

ანტიკური ლიტერატურის ანთოლოგია

ელინური ხანის პროზა



ელინიზმისა და რომაული ბატონობის
პერიოდის ბერძნული ლიტერატურა

(ძვ. წ. IV ს. – ახ. წ. V ს.)

შეადგინა, წინათქმანი და განმარტებანი დაურთო
ნანა ტონიამ

წიგნი II

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი

●
პროგრამა «ლოგოსი»

პუბლიკაციები და ღონისძიებები კლასიკური ფილოლოგიის,
ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სფეროში

წიგნი გამოდის პროგრამის:

«ბერძნული ენა საქართველოს სკოლებში»

მხარდაჭერით

Η παρούσα έκδοση έγινε με τη συμβολή

του προγράμματος

«Ελληνική Γλώσσα στα Σχολεία της Γεωργίας»



ლოგოსი
თბილისი 2009

პასუხისმგებელი რედაქტორი: რისმაგ გორდემიანი

რედაქტორები: იამზე გაგუა

თინათინ გიორგობიანი

© პროგრამა „ლოგოსი“, 2009

ISBN 978-9941-401-35-0

პროგრამა „ლოგოსი“

ილია ჭავჭავაძის გამზირი 13,

თბილისი 0179

ტელ 25-02-58, ფაქსი 22-11-81

ელ ფოსტა: greekstudies@caucasus.net

შინაარსი

ეღინური ხანის პროზა

ისტორიოგრაფია

პეროლოტოსი	9
ისტორია (წიგნი I).....	9
<i>თარგმნა თინათინ ყაუხჩიშვილმა</i>	
თუკილიღესი	18
პელოკონესოსის ომის ისტორია	18
პერიკლეს სიტყვა (წიგნი II).....	18
<i>მემოკლებული თარგმანი ლევან გორდემიანისა</i>	
ჭირი ათენში (წიგნი II).....	21
<i>თარგმნა დალი ქურიძემ</i>	
პერიკლეს სიტყვა (წიგნი II)	24
<i>თარგმნა დალი ქურიძემ</i>	
ქსენოფონი	27
ნადიმი	27
<i>თარგმნა ქეთევან ჯაველიძემ</i>	

ფილოსოფია

პლატონი	50
სოკრატეს აპოლოგია	51
<i>თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ</i>	
სახელმწიფო (მერჩევით)	70
<i>თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ</i>	
არისტოტელე	116
პოეტიკა	116
<i>თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ</i>	

მკვირმეცხველება

ღემოსთენესი	143
ფილიპიკები (მესამე სიტყვა ფილიპეს წინააღმდეგ)	144
<i>თარგმნა გიგლა სარიშვილმა</i>	
ისოკრატესი	153
პანეგირიკი	153
<i>თარგმნა ალა გრაპაიძემ</i>	

ელინისტური ლიტერატურა

ეპოსი

აპოლონიოს როდოსელი.....	164
არგონავტიკა (წიგნი III).....	164
თარგმნა აკ. გელოვანმა	

ლირიკა

კალიმაქოსი.....	174
თარგმნა თამარ კალაგოშმა	
თეოქრიტოსი.....	180
თარგმნა დალილა ბელიანიძემ	

ეპიგრამატული პოეზია

ასკლეპიადესი.....	190
თარგმნა მანანა ღარიბაშვილმა	
ლეონიდასი.....	191
თარგმნა მანანა ღარიბაშვილმა	
მელეპტროსი	191
თარგმნა მანანა ღარიბაშვილმა	

ახალი ატიკური კომედია

მენანდროსი.....	193
დისკოლოსი.....	194
თარგმნა მანანა ფხაკაძემ	
სამოსელი ქალი.....	231
თარგმნა მანანა ფხაკაძემ	

რომაული ბატონობის პერიოდის ბერძნული პროზა

კლუტარქოსი.....	264
პარალელური ბიოგრაფიები	264
პერიკლე.....	264
თარგმნა აკაკი ურუშაძემ	
მორალიები.....	291
ბედის შესახებ.....	291
თარგმნა მაია დანელიამ	
მეგობართა სიმრავლის შესახებ.....	295
თარგმნა გიორგი ქაჯაიამ	

ლუკიანოსი	301
პერეგრინოსის სიკედილი	302
<i>თარგმნა რუსუდან კახიძემ</i>	
სიციოცხლეთა გასაღება	311
<i>თარგმნა ნანა გონიამ</i>	
ლონგოსი	329
ლაფნისი და ქლოე	329
<i>თარგმნა მაია დანელიამ</i>	
კელიოლოროსი	335
ეთიოპიკა (წიგნი პირუელი)	335
<i>თარგმნა გიგლა სარიშვილმა</i>	

ღამაბება

ესოაოსი	353
იგავ-არაკები	353
<i>თარგმნა გიგლა სარიშვილმა</i>	357
ელიანოსი	358
ჭრელ-ჭრელი ამბები (შერჩევით)	358
<i>თარგმნა ნანა გონიამ</i>	
ანაპრონტია	367
<i>თარგმნა თამარ კალაგოშმა</i>	
უსეველო – ლონგინოსი	373
ამაღლებულისათვის	373
<i>თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ</i>	
საკუთარ სახელთა ბანმარტბები	4223

ელნური ხანის პროზა

კვ. წ. V-IV საუკუნეები



ისტორიოგრაფია

პეროლოგოსი

(დაახლ. 484-425 წწ.)

მცირე აზიის სანაპიროზე ბერძენთა მრავალი კოლონია მდებარეობდა, მათ შორის პალიკარნასოსი, რომელმაც სახელი გაითქვა იმით, რომ პეროლოგოსის სამშობლო იყო. შეძლებული ოჯახშიშვილი აქტიურად მონაწილეობდა ქალაქის პოლიტიკურ ცხოვრებაში, იბრძოდა გირანიის წინააღმდეგ. ამ ბრძოლას შეეწირა მისი ბიძა. თავად კი იძულებული გახდა, დაეტოვებინა მშობლიური მხარე.

პეროლოგოსმა თითქმის ათი წელი იმოგზაურა ევროპასა და აზიაში, მოინახულა ფინიკია, ეგვიპტე და ბაბილონი. ბოლოს ათენსაც ეწვია, სადაც სამუდამოდ დასახლდა კიდეც. დაუმეგობრდა პოეტ სოფოკლეს, მოქანდაკე ფიდიასს, ფილოსოფოს ანაქსაგორასს და ამ დიდებულ ადამიანთა საზოგადოებაში შეუდგა ეპოქალური მნიშვნელობის თხზულების წერას.

„ისტორია“ პეროლოგოსის ერთადერთი ქმნილებაა. მოგვიანებით, ანტიკურ ხანაშივე, მას უწოდეს „მუშები“, დაყვეს ცხრა წიგნად და მათ მუშათა სახელები დაარქვეს. თხზულება ბერძენ-სპარსელთა ომის შესახებ მოგვითხრობს, მაგრამ ეს არ არის გაუთავებელ ბრძოლათა მოსაწყენი ისტორია. მასში მრავალი საინტერესო ამბავია ჩართული. რომლის ძალითაც მკითხველის თვალწინ ევროპის, აზიისა და ეგვიპტის გასაოცარი სამყარო იხსნება. წიაღსელები შორეულ ხალხთა მწესა და ადათებზე, არნახულ ცხოველებსა და მცენარეებზე, ნოველები სახელოვან ადამიანებზე ისეა ჩაქსოვილი ძირითადი თემის ქარგაში, რომ მკითხველი დააინტერესოს და დააფიქროს ყველა დროის წინაშე დასმულ პრობლემებზე, რომელიც დასაუღეთის და აღმო-საუღეთის ურთიერთობას ეხება.

სახელოვანმა რომაელმა მკვერმეგყველმა ციცერონმა პეროლოგოსს „ისტორიის მამა“ უწოდა და დღემდე შემორჩენილი ეს სახელი ნათლად მიუთითებს ამ დიდი ბერძენის ფასდაუღებელ ღვაწლზე.

თარგმანი:

პეროლოგე. ისტორია, ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებელი ღურთოთინათინ ყაუსნიშვილმა, თბილისი. ტ. I. 1975; ტ. II. 1976.

ისტორია

წიგნი I

პეროლოგე პალიკარნასელის ისტორიის ეს გაღმოცემა მიღნად ისახავს იმას, რომ ღრთოთა ვითარებაში არ იქნეს დაეიწყებული ადამიანთა საქებარი საქმიანობა, არც ის დიდი და საოცარი საქმეები უნდა ღარჩეს განუღიღებელი, რომლებიც აღასრულეს

როგორც ელინებმა, ისე ბარბაროსებმა, არ უნდა იქნეს დაეწევილი ყველა სხვა და განსაკუთრებით კი ის მიზეზი, რისი გულისთვისაც ებრძოდნენ ელინები და ბარბაროსები ერთმანეთს.

1. სპარსთა ისტორიკოსები ამბობენ, რომ ფინიკიელები იყვნენ ელინთა და სპარსთა მგრობის მიზეზი, რადგანაც ფინიკიელები მეწამულად წოდებული მღვიდან რომ მოვიდნენ, აი, ამ ზღვასთან დასახლდნენ იმ ადგილას, სადაც დღესაც სახლობენ, მაშინკი შორეული საოსნობა მოაწყვეს. წაიღეს ეგვიპტური და ასირიული საქონელი სხვადასხვა ქვეყნებში და მივიდნენ არგოსშიც. ხოლო არგოსი იმ დროისათვის აღმავლობდა ელადად წოდებულ ქვეყანაში შემავალ ყველა მხარეს. მოვიდნენ ფინიკიელები ამ არგოსში და გამოაფინეს თავისი საქონელი. მათი ჩამოსვლის მეხუთე თუ მეექვსე დღეს, როდესაც თითქმის ყველაფერი გაყიდული ჰქონდათ, მოვიდა ზღვასთან სხვა ბევრი ქალიცა და მათ შორის მეფის ასულიც, მისი სახელი, იმის მიხედვით, როგორც მას ელინები უწოდებენ, არის იო, ინაქოსის ასული. ქალები გაჩერდნენ ხომალდის ცხვირთან და ყიდულობდნენ იმ საქონელს, რაც მათ მეტად მოსწონდათ, ფინიკიელებმა კი წააქეშეს ერთმანეთი და დაესხნენ მათ თავს. ქალთაგან მეტი წილი გაიქცა, ხოლო იო სხვებთან ერთად მოიგაყეს. ფინიკიელებმა ჩაყარეს ქალები ხომალდში და გასურეს ეგვიპტისაკენ.

2. ასე მოვიდა იო ეგვიპტეში, როგორც მოგვითხრობენ სპარსელები და არა როგორც ელინები, და პირველი უსამართლობაც ასე დაიწყო. სპარსელები ამბობენ, რომ ამის შემდეგ ზოგიერთნი ელინთაგან (არ გადმოგვცემენ მათ სახელებს) მოვიდნენ ფინიკიის გიროსში და მოიგაყეს მეფის ასული ევროპე. შეიძლება ესენი იყვნენ კრეტელები. ეს იყო სამაგიეროს მიზღვა – თანაბრად თანაბრისათვის. ამის შემდეგ ელინებმა უსამართლობა მეორედ ჩაიდინეს; გრძელი ხომალდით მოსურეს ააა – კოლხიდაში. მდინარე ფასისთან, და იქ, როდესაც გააკეთეს ის, რის გულისთვისაც მოვიდნენ. მოიგაყეს მეფის ასული მედეა. კოლხთა მეფემ გაგზავნა ელადაში მოსაქული, რომ მოეთხოვა სამართალი მოგაყებისათვის და უკან გამოეთხოვა ასული. ხოლო ელინებმა უპასუხეს, რომ არც ამათ უგიათ პასუხი მათ წინაშე არგოსელი იოს მოგაყებისათვის და ამიგომ არც თვითონ აპირებენ, რომ მისცენ მათ რაიმე.

3. ამბობენ, რომ მეორე თაობაში ამის შემდეგ აღექსანდრემ, პრიამოსის ძემ, ყოველივე ამის გაგების შემდეგ, მოინდომა, რომ თავისათვის ელადიდან მოეგაყა ქალი. მან კარგად იყოდა, რომ არ მოუხდებოდა პასუხისგება, რადგანაც არც იმათ უგიათ თავის დროზე პასუხი. ასე მოიგაყა მან ელენე, ხოლო ელინებმა თავდაპირველად გადაწყვიტეს მოციქულების გაგზავნა, რომლებმაც უკან გამოითხოვეს ელენე და მოიოხოვეს პასუხი მოგაყებისათვის. ხოლო გროელებმა თავი იმართლეს იმით, რომ შეახსენეს ელინებს მედეას მოგაყება, როდესაც ელინებმა არც პასუხი აცეს და არც ქალი დააბრუნეს, მათ რომ ეს მოსთხოვეს; ხოლო ახლა კი მოინდომეს, რომ სხვებს ეკოთ პასუხი.

4. აქამდე მათ შორის იყო თითო ქალის მოგაყება, ხოლო ამიერიდან ელინებმა დიდი დანაშაული ჩაიდინეს, რადგან მათ პირელებმა დაიწყეს ლაშქრობა აზიაში, მასზე უწინ ვიდრე ამიელებმა ევროპეში. ქალების მოგაყება უსამართლო კაცების საქმედ ითვლება. ხოლო მოგაყებული ქალებისადმი მრუნვის გამოჩენა უგურურებს შეპურვის, ჯინიერებმა კი მოგაყებულ ქალთა მიმართ არაერთგვაროვანი ყურადღება არ ენდა გამოიჩინონ, რადგანაც ცხადია, რომ თუ ამ ქალებს არ უნდათ, მათ არც არავინ მოიგაყებს. სპარსელები ამბობენ, რომ ამიგომაცაა, რომ მათ აზიიდან მოგაყებული ქალებისათვის ყურადღებაც კი არ მიუქცევიათ, ელინებმა კი ერთი ლაკედემონელი ქალის გულისათვის დიდი ლაშქარი შეკრიბეს, შემდეგ მივიდნენ აზიაში და პრიამოსის ძალაუფლება დააბრუნეს. ამის მერე მუდამ ისეა მიჩნეული, რომ ელინები სპარსელების მტრები არიან. სპარსელები აზიასა და იქ მცხოვრებ ბარბაროს გომებს თავისიანებად მიაჩნევენ, ხოლო ევროპესა და ელინთა გომს კი ემიჯნებიან.

5. სპარსელები ამბობენ, რომ ვერე იყო და გამოაცხადეს, რომ ელინთა მიმართ მათი მტრობის მიზეზი იყო ილიონის დამხობა. ხოლო იოს შესახებ ფინიკელები სპარსელების ამრისა არ არიან. ფინიკელები ამბობენ, რომ მათ ძალით კი არ მოიგაყეს და წაიყვანეს იო ეგვიპტეში, არამედ, მოხდა ისე, რომ იო დაუახლოვდა არგოსში ხომალდის უფროსს და როდესაც შეიგყო, რომ ორსულად იყო, მერცხვა მშობლების, ამიგომ მან თვითონ მოინდომა ფინიკელებთან ერთად გაეუკრა, რომ არ გამოძევათ უფროსი მისი აშბაეი. ამას მოგვითხრობენ სპარსელები და ფინიკელები. მე ამის შესახებ არ დაიწყებ კითხვას, ასე იყო ეს ამბები, თუ სხვაგვარად, ისე მე თვით ვიცი ის პირი, რომელმაც პირველად ჩაიღინა უსამართლობა ელინთა მიმართ, ამას აღვნიშნავ და განვაგრძობ შემდეგ ჩემს თხრობას, თანაბრად მიმოვიხილავ ხალხთა მცირე და დიდ ქალაქებს, რადგანაც უწინ რომ დიდი ქალაქები იყო, ბევრი მათგანი დაკნინებულა, ხოლო რომლებიც ჩემს დროს დიდი იყო, უწინ ისინი მცირე ყოფილან. მე ვიცი, რომ ადამიანური ბედნიერება არაა უცვლელი, ამიგომ თანაბრად მოვიხსენებ ორთავეს.

6. კროასოსი იყო წარმომობით ლიდიელი, ალიაგვისის შვილი, გირანი იმ გომებისა, რომლებიც მდინარე ქალისის შიგნით ცხოვრობენ. ხოლო ქალისი მიედინება სამხრეთიდან სირიელთა და პაულაგონიელთა შორის, მიემართება ჩრდილოეთისაკენ და ეგრეთ წოდებულ ეექსინის პონგოს ერთვის. ეს კროასოსი ჩვენთვის ცნობილ ბარბაროსთაგან პირველი იყო, რომელმაც ელინთაგან მოგი დახარკა, ხოლო მოგიერთი დაიმეგობრა. დაიმორჩილა იონიელები, ეოლიელები და დორიელები, რომლებიც აზიამი ცხოვრობდნენ, ხოლო დაიმეგობრა დაკედემონელები. კროასოსის გამგებლობამდე ყველა ელინი თავისუფალი იყო, რადგანაც კიმერიელთა ლამქრობამ, რომელმაც იონიამდე მიაღწია და რომელიც კროასოსზე უფრო ადრე მოხდა, ვერ დაიმორჩილა ქალაქები: ეს ლამქრობა ხომ საერთოდ მხოლოდ მოულოდნელი თავდასხმა-ყაჩაღობა იყო.

7. ხელისუფლება პერაკლიდეს რომ ეკუთვნოდა, შემდეგნაირად გადავიდა კროასოსის გვარში, რომელსაც მერმნადთა გვარი ერქვა. იყო კანდავესი, რომელსაც ელინები მირსილოსს უწოდებდნენ, სარდელთა გირანი, პერაკლეს ძის, ალკაიოსის ჩამომავალი. აგრონი, ნინოსის ძე (ხოლო ნინოსი ბელოსის ძე იყო, ხოლო ბელოსი კი ალკაიოსისა) პირველი პერაკლიდი მეფე იყო სარდელებისა, ხოლო კანდავესი, მირსოსის ძე – უკანასკნელი. აგრონის უწინარესი მეფეები ამ ქვეყნისა იყვნენ ლიდოს აგისის ძის ჩამომავლები, ამის მიხედვით დაერქვა სახელი მთელ ამ ლიდიელ ხალხს, უწინ მეფონებად წოდებულს. ამათგან მიიღეს ძალაუფლება პერაკლიდებმა წინასწარმეგყელების თანახმად; პერაკლიდები წარმომობილნი იყვნენ იარდანოსის მხეელისა და პერაკლესაგან; ისინი მართავენ ადამიანთა 22 თაობას, 505 წლის განმავლობაში შვილი მამისაგან ღებულობდა ხელისუფლებას, კანდავესს მირსოსის ძემდე.

8. ამ კანდავესს უყვარდა თავისი ცოლი; შეყვარებული იყო და მიაჩნდა, რომ მას ჰყავს ცოლი, ყველა ქალზე უმშენიერესი. ეს ასე მიაჩნდა და ჰყავდა მას შუბოსანთა შორის გიგესი დასკილოსის ძე, რომელიც გამორჩევით მოსწონდა, კანდავესი ამ გიგესს ყველაზე უფრო სერიოზულ საქმეებს ანდობდა და თავისი ცოლის გარეგნობასაც უქებდა. დიდი დრო არ გასულა (რადგანაც კანდავესს ბოროტი უნდა შემთხვეოდა), რომ კანდავესმა უთხრა გიგესს შემდეგი: „გიგეს, მე მგონია, რომ შენ არ გჯერა ჩემი ნათქვამი ჩემი ცოლის გარეგნობის შესახებ (რადგანაც ადამიანებს ყურები უფრო ურწმუნო აქვთ, ვიდრე თვალები), ამიგომ ისე მოიქეცი, რომ ჩემი ცოლი შიშველი დაინახო“. გიგესმა ხმამაღლა შეჰყვირა და თქვა: „უფალო, ეს რა უგუნურ სიგყვას მეუბნები, რომ მიბრძანებ, ჩემი ღელოფალი შიშველი ენახო. გაძრცივლ კვართთან ერთად ქალი ხომ სირცხვილსაც იხდის. ძველთაგანვე აქვთ ადამიანებს მიკელეული მშენიერი აზრები, რომელთაგანაც უნდა ვისწავლოთ. მათ შორის ერთი ასეთი არის: უყურე მას, რაც შენი საკუთარია. მე მჯერა, რომ შენი ცოლი ყველა ქალზე უმშენიერესია და გეხეწები, ნუ მომთხოვ უკანონობის ჩადენას“.

9. თქვა ვიგვესმა ეს და ამგვარად უნდოდა თავი დაეცემა, რადგან ემინოდა, რაიმე ცუდი არ მოჰყოლოდა ამას. „გამხნევი, გიგეს, და ნუ გეშინია ნურც ჩემი, თითქოს შენ გამოსაყდელად ვეუბნები ამ სიგყვას, ნურც ჩემი ცოლისა, არავითარ მიანს არ მოვაყენებს იგი შენ. თავიდანვე ისე მოვაწყობ, რომ ვერც კი გაიგებს, რომ შენ ის იხილე. მე შენ დაგაყენებ ღია კარებს უკან იმ ოთახში, რომელშიც ჩვენ ვიძინებთ. მე როგორც შევეალ, მოვა ჩემი ცოლიც სარეუელთან, შემოსასულიელის მახლობლად დგას გასტი. ამ გახტთან სათითაოდ გაიხდის განსაცემელს და ზედ დააღაგებს, შენ კი სიმშვიდე დაიყავი და დაათვალარე. ხოლო როდესაც წავა საწოლისაკენ და შენ მის ზურგს უკან აღმოჩნდები. მაშინ უნდა შეეცადო, ისე გახვიდე კარებში, რომ მან არ დაგინახოს“.

10. გიგვესმა რაკიდა ვერ შეძლო ამ საქმის თავიდან აცილება, თანხმობა მისცა. ხოლო კანდაელესმა, როდესაც გადაწყვიტა, რომ ძილის დროა, შეიყვანა გიგესი ოთახში. ამის შემდეგ მაშინვე მივიდა იქ მისი ცოლიც. გიგესი უტქეროდა მას, რომ შემოვიდა და იხდიდა განსაცემელს. ხოლო როგორც კი საწოლისკენ მიმავალი ქალის ზურგს უკან აღმოჩნდა, იგი მაშინვე ჩუმად გავიდა გარეთ. ქალმა დაინახა ის, რომ გადიოდა. იგი მიხვდა, რომ ეს მისი ქმრის მოწყობილი იყო, არ შეჰყვირა დარცხვენილმა და არც დაიმჩნია, რომ მიხვდა, გუნებაში კი გადასწყვიტა, რომ სამაგიეროს მიუზღავედა კანდაელეს, რადგანაც ლიდიელებს, ისევე როგორც თითქმის ყველა ბარბაროსს, ღიდ სირცხვილად მიაჩნდათ, თვით მამაკაცის სიშიშველე.

11. ამგვარად, ქალმა მაშინ არაფერი დაიმჩნია და სიმშვიდე დაიყვა. ხოლო როდესაც ვათენდა, რამდენიმე საგანგებოდ ერთგული მსახური მოამზადა და დაუძახა გიგესს. იგი მოვიდა დაძახებისთანავე და არა ფიქრობდა, რომ ქალმა რაიმე იცის მომხდარის შესახებ. რადგან უწინაც ჩვეულებრივ, როდესაც დედოფალი მოიხმობდა, გამოუცხადებოდა ხოლმე. როგორც კი მოვიდა გიგესი, უთხრა მას ქალმა: „გიგეს, ახლა შენ ორი გზა გაქვს, გაძლე არჩევანს, ამ ორიდან, რომელსაც გინდა, იმას დაადექი. ან მოკალი კანდაელესი და მაშინ შენი ვიქნები მეც და ლიდიის სამეფოც, ან ახლავე უნდა მოკედე შენ თვითონ, რომ მომავალში არ დაუჯერო ყველაფერი კანდაელესს და არ შეხედო იმას, რაც არ შეგფერის. ან ის უნდა მოკედეს, ეს რომ მოიგონა, ან შენ, რომელმაც გიგველი მიხილე და ჩაიღინე ის, რაც არ შეგფერებოდა. გიგესი ერთხანს გაკვირებული უსმენდა დედოფლის სიგყვებს, შემდეგ კი შეეხვეწა მას, ნუ აიძულებდა გაეკეთებინა ასეთი არჩევანი. დედოფალმა არ შეიწყნარა და გიგესი ხედავდა, რომ ჭეშმარიტად აუცილებლობის წინაშეა, ან უფალი უნდა მოკლას, ან თვითონ უნდა იქნეს მოკლული სხვათა მიერ; მაშინ მან ამჯობინა თვითონ გადარჩენილიყო. იგი შეეკითხა დედოფალს: „რადგანაც შენ მე ჩემდა უნებურად მაიძულებ ჩემი უფალი მოკლა, გამაგებინე კიდევაც, როგორ დავესხა მას თავს“. ქალი დაეთანხმა და უთხრა: „იმავე ადგილიდან უნდა მოხდეს თავდასხმა, საიდანაც მან შენ ჩემი თავი გიგველი გაჩვენა. თავდასხმა უნდა მოხდეს მძინარეზე“.

12. როგორც შეითქვენ და დადგა დამე, გიგესი შეჰყვა ქალს საწოლში (რადგანაც არ გაუშვეს გიგესი და არც იყო მისთვის არავითარი ხსნა. ან თვითონ უნდა დაღუპულიყო, ან კანდაელესი). ქალმა მისცა მას მახვილი და დამალა იმავე კარებს უკან. ამის შემდეგ, როდესაც კანდაელესმა მოისვენა, გიგესი ჩუმად გამოვიდა და მოკლა იგი, და ასე დაეპაგრონა ქალსაც და სახელმწიფოსაც (არქილოქე პაროსელი, რომელიც ამავე დროს ცხოვრობდა, იამბიკურ გრიმეგრში იხსენიებს ამას).

13. გიგვესმა დაიპყრო სახელმწიფო და შემოიმტკიცა ის დელფოს სამისნოს მეშვეობით. რადგანაც, როდესაც ლიდიელები სამინლად აღშფოთდნენ კანდაელესის მკვლელობის გამო და შეიარაღდნენ, გიგესის მომხრეები და დანარჩენი ლიდიელები ასე შეთანხმდნენ: თუ სამისნო გამოაცხადებს იმას, რომ გიგესი იყო ლიდიელთა მეფე, იგი იმეფებს, თუ არა და, უკან გადასცემს ჰერაკლიდებს ძალაუფლებას. სამისნომ სცნო იგი და ასე იმეფა გიგვესმა. ხოლო პითიამ შემდეგი თქვა, რომ ჰერაკლიდების მიმართ ასეთი საქციელისათვის სამაგიერო მიეზღვებათ გიგესის ჩამომავლებს მესუთე

თაობაში. ლიდელებიცა და მათი მეუღეებიც ამ სიკვყვას არავითარ ყურადღებას არ აქცევენ, ვიდრე ის არ აუხდათ.

14. ეგრე უკურათ პერაკლიდებისაგან წართმეული ძალაუფლება მერმნადებს, ხოლო გიგესმა გირანობის დროს დელფოში გაგზავნა არა მცირედი შეწირულება, ის კი არა, რამდენი ვერცხლიც კია შეწირული დელფოში, მისგანაა მეტი წილი; გარდა ვერცხლისა, უზომო ოქროც შესწირა გიგესმა. ამათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ოქროს ექვსი კრაგერი. ისინი დგანან კორინთელთა საგანძურში და იწონიან 30 ტალანგს. სიმართლე რომ ეთქვათ, კორინთელთა სახელმწიფოსი კი არაა საგანძური, არამედ კიფსელოს ეგეოსის ძისა. გიგესი პირველია ჩვენთვის ცნობილ ბარბაროსთა შორის, რომელმაც შესაწირაეები მიართვა დელფოს, ფრიგიის მეფის მიდეს გორდიესის ძის შემდეგ მიდესმა დელფოს შესწირა სამეფო ტახტი, რომელმედაც თვითონ იჯდა და მოსამართლეობდა. ეს ტახტი ღირსშესანიშნავი რამ არის. ის იქვე დგას, სადაც გიგესის კრაგერებია. ეს ოქრო და ვერცხლი, რომელიც გიგესმა შესწირა, დელფოელების მიერ შემწირველის სახელის მიხედვით იწოდება ვიგადად. როდესაც მმართველობა ხელთ იგდო გიგესმა, შეიყვანა ლაშქარი მილეგში, სმირნაში და კოლოფონის ქალაქი აიღო. მას არაფერი დიდი არ გაუკეთებია თავის მეუბაში, რომელიც ორ წელ ნაკლებ 40 წელს გრძელდებოდა, საკმარისია მის შესახებ ამდენი მოგონება და მას ახლა თავს ვანებებ.

15. მოვიგონებ ადრისს, გიგესის ძეს, რომელიც გიგესის შემდეგ მეუბდა. მან დაიპყრო პრიენელები და მილეგშიც შეიჭრა, როდესაც ადრისი იყო სარდელეების გირანი, მომთაბარე სკვითების მიერ გამოძევებული კიმერიელები თავისი საცხოვრისიდან მოვიდნენ ამიაში და აიღეს სარდე მთლიანად, გარდა აკროპოლისისა.

16. ადრისი მეუბოდა ერთ წელ ნაკლებ 50 წელს. მისი მემკვიდრე იყო სალიატესი, ადრისის ძე, რომელიც მეუბოდა 12 წელს. ხოლო სალიატესის მემკვიდრე იყო ალიატესი. ეს ეომებოდა კიაქსარესს, დეიოკესის ჩამომავალს და მიდიელებს. ამასთანავე, მან კიმერიელები გააძევა ამიიდან, აიღო სმირნა, რომელიც კოლოფონის ახალშენი იყო და კლაძომენეში შეიჭრა. აქედან ის ისე კი არ წაეიდა, როგორც უნდოდა, არამედ დიდად დამარცხებული. ხოლო სხვა საქებარ საქმეთა შორის, რომელიც მისი მმართველობის დროს მოხდა, თხრობის ღირსია შემდეგი:

17. ალიატესი ებრძოდა მილეგელებს, ხოლო ომი გადმოეცა მას მემკვიდრეობით მამისაგან. იგი თავს ესხმოდა და ალყას არგყამდა მილეგს ამგვარად: როგორც კი დედამიწაზე ნაყოფი მომწიფდებოდა, მამინევე გაემართებოდა ხოლმე იქით ლაშქრით. ლაშქრობისას სალაპურებზე, პექტილებზე, სადედაკაყო და სამამაკაყო აელოსებზე უკრავდნენ, ხოლო როდესაც ალიატესი მილეგის სანახებს მიაღწევდა, სახლებს, რომლებიც იმ ველებზე იდგა, არც ანგრედა, არც სწავადა და არც კარებს ჩამოხსნიდა ხოლმე. სგოვებდა მათ ხელუხლებლად, ხოლო ხეებსა და დედამიწის მოსაეაღს როგორც კი მოსპობდა, ბრუნდებოდა უკან, რადგან ზღვა მილეგელებს უკურათ, ამიგომ ალყის შემორტყმვა ადვილი საქმე არ იყო ლაშქრისათვის. ხოლო ლიდიელი სახლებს იმიგომ არ ანგრედა, რომ შილეგელებს სახლები რომ ექნებოდათ, მიწის დათესვასა და დამუშავებასაც დაიწყებდნენ, თვითონ კი თავს დაესხმოდა და გაანადგურებდა მათ ნამუშევარს.

18. ასე ომობდა მილეგი თერთმეტ წელიწადს. ამასობაში ორი დიდი დამარცხება იწინიეს მილეგელებმა, ერთი – როდესაც იბრძოდნენ თავიანთ მიწაზე – ლიმენეიონზე, ხოლო მეორე – მაჰანდროსის დაბლობზე. 6 წელიწადს თერთმეტიდან ჯერ კიდევ სალიატეს ადრისის ძე მართაედა ლიდიელებს და იმ დროს აწყობდა ლაშქრობას მილეგის მხარეში. ეს სალიატესი იყო, რომელმაც წამოიწყო ეს ომი, ხოლო დანარჩენი ხუთი წელი, რომელიც მოსდევდა ექვსს, ომობდა ალიატეს სალიატესის ძე და როგორც მე გამოვაცხადე ზემოთაც, მან მემკვიდრეობით მიიღო მამისაგან ბრძოლა და დაუღალაედა ეწეოდა მას. მილეგელებს იონიელთაგან ამ ომს არავინ უმსუბუქებდა ქიოსელების გარდა. ესენი მსგავსითვე უხდიდნენ მილეგელებს სამაგიეროს და ემეველებოდნენ მათ, ვინაიდან უწინ მილეგელებს ვადაუგანიათ ქიოსელებთან ერთად ერთიორელებთან ბრძოლა.

19. მეთორმეტე წელს, როდესაც ლაშქარმა ყანებს ცეცხლი წაუკიდა, ასეთი ამბავი მოხდა: როგორც კი ყანებს მოეკიდა, ალი ქარმა წაიღო და წაუკიდა ათენას გაძარს. რომელსაც ეწოდება ასესოსისა; ცეცხლმოღებული გაძარი დაიწვა. მაშინ ამისთვის არავის მიუქცევია ყურადღება, მაგრამ ლაშქრის სარდლში დაბრუნებისთანავე ალიაგესი ავად გახდა. რაკილა გაუგრძელდა ავადმყოფობა, მან კაცები ვაგზავნა დელფოში ღეთის ნების შესაგყობად (მათი ვაგზავნა ან ვინმესთან თათბირის შედეგად მოხდა, ან კიდევ თვითონ გადაწყვიტა), რათა ღმერთს შეპკითხვოდნენ ავადმყოფობის შესახებ. დელფოში მოსულებს პითიამ უთხრა, რომ არ გიწინასწარმეტყველებთ მანამ, ვიდრე არ ალაღვენენ ათენას გაძარს, რომელიც დაიწვა მილეგის მხარის ასესოსში.

20. მე დელფოელთაგან მსმენია და ვიცი, რომ ეგრე მომხდარა. ხოლო მილეგელები უმატებენ ამას, რომ პერიანდროს კიფსელოსის ძე მილეგის მაშინდელი გირანის თრასიბულოსის გულითადი მეგობარი იყო. მან შეიგყო მისნობა, რომელიც ალიაგესს ეხებოდა და ვაგზავნა დესპანი თრასიბულოსთან სათქმელად, რომ წინასწარ სყოდნოდა ნამდვილი ვითარება. მილეგელები ჰყვებიან, ეგრე არისო.

21. ხოლო ალიაგესმა როგორც კი შეიგყო, მაშინვე ვაგზავნა მაცნე მილეგში, რომ დაზავებოდა თრასიბულოსს და მილეგელებს იმდენი ხნით, რამდენიც გაძრის აგებას დასჭირდებოდა. მოციქული მოვიდა მილეგში, თრასიბულოსს კი წინასწარ კარგად ჰქონდა შეგყობილი ყოველივე, იყოდა ალიაგესი რის გაკეთებას აპირებდა და მოაწყო შემდეგი: მთელი პური, რაც კი ქალაქში იყო, როგორც მისი საკუთარი, ასევე კერძო პირებისა, მოედანზე მოაზიდინა და გამოუცხადა მილეგელებს, რომ როგორც კი თვითონ ანიშნებდა, მაშინ უნდა დაეწყო ყველას სმა და მხიარულება.

22. ეს იმის გულისთვის ვააკეთა და თქვა თრასიბულოსმა, რომ სარდელ მაცნეს დაენახა პურის დიდი გროვა და მომლხენი ხალხი და გადაეცა ალიაგესისთვის. ასეც მოხდა. როგორც კი დაინახა ეს მაცნემ, გადასცა თრასიბულოსს ლიდელი მეფის შემონათვალის და დაბრუნდა სარდლში; როგორც მე შევიგყვე, დაზავება სხვა რაიმე მიზეზით არ მომხდარა, რადგანაც ალიაგესი იმედოვნებდა, რომ მილეგში სასტიკი უპურობაა და ხალხს უკიდურესად უჭირს, ხოლო მაცნე რომ მილეგიდან დაბრუნდა, იმის სრულიად საწინააღმდეგო ამრი მოისმინა, რასაც თვითონ ფიქრობდა. ამის შემდეგ მოხდა დაზავება, რომლის მიხედვითაც ისინი ერთმანეთის მეგობრები და მოკავშირეები უნდა ყოფილიყვნენ. ალიაგესმა ასესოსში ათენას ერთი გაძრის ნაცვლად ორი გაძარი აუგო და თვითონაც ავადმყოფობას წამოუდგა. ასე ეომებოდა ალიაგესი მილეგელებსა და თრასიბულოსს.

23. პერიანდროსი იყო კიფსელოსის შვილი; ამან იყო, რომ აუწყა თრასიბულოსს ვანგების ნება. გირანობდა პერიანდროსი კორინთოში. მის შესახებ მოგვითხრობენ კორინთელები (და მათივე ამრისა არიან ლესბოსელები), რომ მის სიციცხლეში დიდი სასწაული მომხდარა: გაძანრონში შემოსულა დელფინზე შემჯდარი არიონ მეთიმნელი, რომელიც კითაროდი იყო და მაშინდელ კითაროდთა შორის მეორე არაეინ იყო იმისთანა. პირველმა მან შექმნა ღითირამბი იმ ხალხთა შორის, ვინც კი ჩვენ ვიცით, დაარქვა მას სახელი და დააწესა კორინთოში.

24. ამ არიონის შესახებ მოგვითხრობენ, რომ მან დიდი დრო დაჰყო პერიანდროსთან და მოისურვა გამგზავრება იგალიასა და სიკელიეში. იქ შეიძინა დიდძალი ქონება და მოინდომა უკან კორინთოში წამოსვლა. წამოვიდა ის გარანგიდან და რადგანაც არავის ენდობოდა უფრო მეტად, ვიდრე კორინთელებს, დაიქირავა კორინთელების ხომალდი. ზღვაში კორინთელებმა განიმარახეს არიონი გადაეგდოთ და მისი ქონება მიეთვისებინათ. არიონმა ეს რომ შეიგყო, შეეხვეწა: წაელოთ ქონება, ხოლო მისთვის სიციცხლე შეენარჩუნებინათ. არ შეიწყნარეს მისი თხოვნა და გამოუცხადეს მებღაუკრებმა: ან მოიკლას თავი და როგორმე მიაბარებენ მიწას, ან სასწრაფოდ გადაეარდეს ზღვაში. არიონს დიდი გასაჭირი ადგა და ითხოვა: რადგანაც მის მიმართ ასეა გადაწყვეტილი, ნება დართონ დაღვს მთელი მორთულობით

გემბანზე და იმღეროს. არიონმა აღუთქვა, რომ იმღერებდა და მერე მოიკლავდა თავს. მემღვაურები საიპოვნების მოლოდინში იყვნენ, რაკილა ადამიანთა შორის საუკეთესო აედს მოუსმენდნენ და ხომალდის ცხვირიდან შუა ნაწილისაკენ წავიდნენ. არიონი საგანგებოდ მოიკამბა. აიღო კითარა, დადგა გემბანზე და დაიწყო მაღალი ხმით სიმღერა. ხოლო როდესაც დაამთავრა სიმღერა, გადაეარდა ზღვაში, მთელი თავისი მორთულობით. მემღვაურებმა გასურეს კორინთოსაკენ. არიონის შესახებ ამბობენ, რომ ის დელფინმა აიყვანა და გამოიყვანა გაანარონთან. ნაპირზე გამოსული წავიდა კორინთოში თავისი მორთულობით და მოჰყვა იქ ყოველივეს, რაც შეემთხვა. პერიანდროსმა არიონს არ დაუჯერა და მცველი მიუყენა მას, არსად უშვებდა, ამავე დროს, ფხიზლად ადევნებდა თვალს მემღვაურებსაც. როგორც კი ჩამოვიდნენ ისინი, დაუძახა და მოათხრობინა, თუ რას იტყოდნენ არიონის შესახებ, ხოლო მათ მიუგვეს, რომ არიონი უნებელია, იმყოფება იტალიაში და მათ ის დაგოვეს გარანტში ყოველად წარმატებული. მაშინ პერიანდროსმა უჩვენა მათ არიონი ისეთი, როგორიც გადაეარდა ხომალდიდან ზღვაში. მემღვაურები განცვიფრდნენ და მხილებულებს აღარ შეეძლოთ, რომ უარეყოთ თავიანთი დანაშაული. ამას მოგვითხრობენ კორინთელებიცა და ლესბოსელებიც. ხოლო არიონის არც თუ დიდი სპილენძის ქანდაკება არის გაანარონში. ესაა დელფინზე შემოძვარი ადამიანის გამოსახულება.

25. ალიაგეს ლიდიელმა მიღეგლებთან ომი დაამთავრა და შემდეგ მოკვდა, მან იმეფა 57 წელი. ავადმყოფობას რაკი გადაურჩა, ეს მეორე იყო ამ სახლიდან, რომელმაც შესწირა დელფოს ვერცხლის დიდი კრატერი და ამ კრატერის რკინის შეკაემირებული სადგამი; დელფოში ყველა შეწირულობათა შორის გამოირჩევა ეს ნიეთი – ნამუშევარი გლავკოს ქიოსელისა, რომელმაც ერთადერთმა ყველა ადამიანთ შორის, გამოიგონა რკინის შეკაემირება.

26. ალიაგეს გარდაცვალების შემდეგ სამეფო დაიმკვიდრა კროასოსმა, ალიაგესის ძემ, რომელიც მაშინ 35 წლისა იყო. ელინთა შორის პირველები ეუფსელები იყვნენ, რომელთაც ის დაესხა თავს. მის მიერ ალყაშემორტყმულმა ეუფსელებმა ქალაქი გადასცეს არტემიდეს – გააბეს თოკი მისი ტაძრიდან ზღუდემდე. ძველ ქალაქსა, რომელიც მაშინ ალყაშემორტყმული იყო, და გაძარს შორის არის 7 სტადიონი. კროასოსმა პირველებს მათ დაალო ხელი, ხოლო შემდეგ რიგრიგობით ყველა იონიელსა და ეოლიელს. სხვადასხვა ქალაქს სხვადასხვა მიზმს მოსდებდა ხოლმე; ზოგის მიმართ ახერხებდა დიდი მიზმების გამონახვას და მათ მძიმე ბრალდებას უყენებდა, ხოლო ზოგ მათგანს მცირედ ადანაშაულებდა.

27. კროასოსმა, როგორც კი აზიაში მცხოვრები ელინები დაიმორჩილა და დახარკა, განიზრახა ამის შემდეგ ხომალდების დამზადება და კუნძულების მცხოვრებლებზეც თავდასხმა. როდესაც ყველაფერი მზად იყო ხომალდმშენებლობისათვის, ერთნი ამბობენ, რომ სარდელი მოვიდა ბიანტ პრიენელი, ხოლო მეორენი ამბობენ – პიგაკოს მიგილენელი. როდესაც შეეკითხა კროასოსი, რა არის ასალი ელადაშიო, მოსულმა უპასუხა, რამ შეაჩერა ხომალდმშენებლობა: „მეფეო, კუნძულების მცხოვრებლებმა შეიძინეს 10000 ცხენი და გუნებაში აქეთ ლაშქრობა სარდელზე და შენს წინააღმდეგ“. კროასოსს ეგონა, რომ ის მართალს ლაპარაკობს და უთხრა: „ნეგაეი კი ღმერთებმა ჩააგონონ ასეთი რამის გაკეთება კუნძულის მცხოვრებლებს და მართლაც წამოვიდნენ ისინი ლიდიელთა წინააღმდეგ ცხენებითაო“. მოსულმა მოუსმინა და უთხრა: „მეფეო, მე მეჩვენება, რომ შენ გულით გინდა ცხენოსანი კუნძულების შეპყრობა ხმელეთზე და ვფიქრობ, შენი იმედი უსაფუძელო არ არის, მაგრამ იმას არ ითვალისწინებ, რომ კუნძულის მცხოვრებლები როგორც კი შეიტყობენ, რომ შენ აპირებ მათ საწინააღმდეგოდ ხომალდების აგებას, სხვას არაფერს არ მოინდომებენ თუ არა ლიდიელების ზღვაზე თავდასხმას, რათა სამაგიერო მოგიზღონ ხმელეთზე მოსახლე ელინთათვის, რომლებიც შენ მონობაში გყვანან“. ძალიან მოეწონა კროასოსს ეს მსჯელობა, რადგან ეჩვენა, რომ ისეა ნათქვამი, როგორც საჭიროა და დაჯერებულმა თავი ანება ხომალდმშენებლობას. ეგრე დაუმეგობრდა კროასოსი კუნძულებზე მცხოვრებ იონიელებს.

28. დროთა ვითარებაში კრომოსმა მდინარე ქალისის აქეთ მცხოვრები თითქმის ყველა ხალხი დაიმორჩილა. რადგან ვარდა კილიკელებისა და ლიკიელებისა, სხვა ყველა თავის ხელში ჰყავდა კრომოსს. ხოლო ესენი არიან: ლიდიელები, ფრიგიელები. მისიელები, მარიანდინები, ხალიბები, პაულაგონელები, თრაკიელები, თინებიცა და ბიჟინებიც. კარიელები, იონიელები, ღორიელები და პამფილიელები.

29. როდესაც კრომოსმა ესენი დაიმორჩია და ლიდიელებს შეჰმაგა, მოვიდნენ სიმდიდრით აყვავებულ სარდემი ელადის სხუადასხუ ბრძენებიც, რომლებიც კი ამ დროს იყვნენ. სხებთან ერთად მოვიდა სოლონიც, ათენელი კაცი, რომელმაც ათენელებს კანონები შეუქმნა მათივე განკარგულების თანახმად. სოლონმა ათ წელს იმოგზაურა სამშობლოს გარეთ ქვეყნების დათვალიერების საბაბით; სინამდვილეში კი იმიტომ, რომ არ გამხდარიყო იძულებული რაიმე შეეცვალა მის მიერ დაწესებულ კანონთაგან, თვითონ ათენელებს კი ამავეს გაკეთება არ შეეძლოთ, რადგანაც ღიდი ფიცი ჰქონდათ დადებული, რომ ათი წლის განმავლობაში დაიცავდნენ კანონებს, რომლებიც მათ სოლონმა შეუქმნა.

30. სოლონი ამ მიზეზების გამოც და დათვალიერების მიზნითაც გაემართა სამოგზაუროდ და მივიდა ეგვიპტეში ამასისტან და სარდემი კრომოსთან. კრომოსმა ჩამოსული სასახლეში მიიღო. ხოლო შემდეგ, მესამე თუ მეოთხე დღეს, დაუძახა კრომოსმა სოლონს და მისი მსახურები დაატარებდნენ მას საგანძურებში და აჩვენებდნენ ყოველივეს. რაც კი იყო მნიშვნელოვანი და მდიდრული. მას მერე, რაც სოლონმა ყოველივე ეს ნახა და დაათვალიერა, კრომოსმა შეურჩია დრო და უთხრა: „ათენელო სტუმარო, ჩვენამდეც მოაღწია შენმა ღიდმა სახელმა შენი სიბრძნისა და მოგზაურობების შესახებ, რომ შენ ქენიერების სიყვარულით და დათვალიერების მიზნით დაიარე მრავალი ქვეყანა. ახლა მინდა შეგკითხო, მათ შორის, ვინც შენ შეგხვედრია, ვინ ნახე ყველაზე უფრო ბედნიერი?“ კრომოსი ამას რომ კითხულობდა, იმელოვნებდა, რომ თვითონ იყო ადამიანთა შორის უბედნიერესი, ხოლო სოლონი მას არ მიეპირფერა და რაც მიაჩნდა სიმართლედ, ის უთხრა: „გელოს ათენელი“. გაუკვირდა კრომოსს ნათქვამი და უთხრა მკვირცხლად: „რაგომ მიგაჩნია შენ გელოსი უბედნიერესად?“ სოლონმა უპასუხა: „ჯერ ერთი, იმიტომ, რომ გელოსს, რომლის ხელშიც მისი ქალაქი წარმატებული იყო, ჰყავდა კარგი და კეთილი შვილები. და ის მოესწრო იმას, რომ ყველა მის შვილს გაუჩნდა შვილები და ეს შვილები ყველანი ცოცხლები იყვნენ. მეორე – ჩემის აბრით, მდიდრულად ცხოვრობდა და ცხოვრების აღსასრული ბრწყინვალე ჰქონდა: რადგან, როდესაც ათენელები მეზობლებს ებრძოდნენ ელევსინში, იგი დაეხმარა მათ, მგერი გააქცია, და თვითონ ლამაზად მოკვდა, ათენელებმა იგი სახელმწიფო სახსრებით დამარხეს იქ, სადაც ის დაეცა და ღიდი პატივი სცეს“.

31. სოლონმა გააღიზიანა კრომოსი გელოსის შესახებ მრავლისა და ბედნიერის მოთხრობით და [კრომოსი] შეეკითხა მას: ვინ გინახავს ბედნიერი მეორე მას შემდეგაო. რადგან ფიქრობდა, რომ მეორე ადგილი მაინც მას ხვდებოდა. ხოლო სოლონმა უპასუხა: „კლეობისი და ბიგონი. ესენი წარმომობით არიან არგოსელები, ქონება მათ საკმარისი ჰქონდათ და, ამის გარდა, სხუელის ძალაც. ორიენი თანაბრად იყვნენ გამარჯვებული შეჯიბრებაში, ამის შესახებ მოგვითხრობენ ასეთ ამბავს: როდესაც არგოსელებს პერას დღესასწაული ჰქონდათ, მათი დედა აუცილებლად უნდა მისულიყო სალოცავში ურმით, ხარები ვერ მიუყვანეს მას დროზე და რაკილა დრო აღარ იყო, ჭაბუკები თვითონ შევებენ უელში და ეწეოდნენ ურემს, ურმით კი თავისი დედა მიჰყავდათ, 45 სტადიონი გაიარეს და მივიდნენ სამლოცველოში. მათ ეს გააკეთეს საზეიმო შეკრებულობის თვალწინ და სიცოცხლის აღსასრულიც შესანიშნავი ჰქონდათ. ამით დმურთმა გვიჩვენა, რომ ადამიანისათვის უმჯობესია სიკედილი, ვიდრე შერცხვენილი სიცოცხლე. ირგვლივ მყოფი არგოსელები აღივებდნენ ჭაბუკების ძალას, ხოლო არგოსელი ქალები – მათ დედას, ასეთი შვილები რომ ჰყავდა. დედა კი ღიდად იყო გახარებული შვილების საქმითა და სახელით, იღვა ქანდაკების წინ და ლოცულობდა კლეობისისა და ბიგონისათვის – თავისი შვილებისათვის, რომლებმაც დედა ღიდად

ასახელეს და სთხოვა ღმერთქალს, მიენიჭებინა მათთვის, რაც კი რამ საუკეთესოა ადამიანისათვის. ამ ლოცვის შემდეგ, როგორც კი შესწირეს მსხვერპლი და ინადიმეს, ჭაბუკებმა იმავე გაძარში დაიძინეს და აღარ ამღვარან, ასეთი ბოლო ჰქონდათ მათ. არგოსელებმა მათი გამოსახულებები გააკეთეს და შესწირეს ღელუოს, რადგანაც საუკეთესო ვაჟაკები იყვნენ“.

32. ამრიგად, სოლონმა ბედნიერების მხრივ მეორე ადგილი მიაკუთვნა მათ, ხოლო გაჯაერებულმა კრომოსმა უთხრა მას: „ათენელო სტუმარო, ჩვენს ბედნიერებას ეგრე არაფრად აგდებ, რომ ეკრძო პირების ბედნიერების დარადაც არ მიგაჩნია?!“ სოლონმა კი მიუვო: „კრომოსო, მე, რომელმაც ვიცი, რომ ყოველივე ღვთაებრივი შურით აღსავსე და შფოთიანია, მე შეკითხები, ადამიანთა ყოფის შესახებ? ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბევრი რამ არის ისეთი, რასაც კაცი ნახულობს, რის ნახვაც მას არ სურს და ბევრსაც განიცდის. ადამიანისათვის ცხოვრების მიჯნად 70 წელი მიმაჩნია. ეს 70 წელი შეიცავს 25200 დღეს, დამატებითი თვე რომ არ იყოს. თუ კი ყოველ მეორე წელს გაეაგრძელებ ერთი თვით, იმისათვის, რომ წლის დროები თათავის ადგილზე მოხვდნენ, მაშინ 70 წელზე მოვა 35 დამატებითი თვე, ხოლო ამ თვეებისაგან შედგება 1050 დღე. მთელი ამ დღეებიდან, რომლებსაც შეიცავს 75 წელიწადი, და ეს არის 26250 დღე, ერთი დღეც კი ვერ მოიგანს არაფერს სახსებით მსგავსს მეორე დღესთან შედარებით. ამრიგად, კრომოსო, ადამიანი მთლიანად შემთხვევითობაა. მე შენ ძალიან მდიდრადაც მეჩვენე და მრავალი ხალხის მეფეცა ხარ, მაგრამ, რასაც შეკითხები, ჯერ ეერაფერს გეცყვი, ვიდრე არ შევიცყო, რომ კარგად დაასრულე შენი სიცოცხლე. რადგანაც, დიდად შეძლებული არაა უფრო ბედნიერი მასზე, ვისაც მხოლოდ „ჟური არსობისა“ აქვს, თუ კი ყოველივე სიკეთის ჯაგრონს ბედმა არ გარგუნა ცხოვრების კარგად დასრულება; რადგან, ერთის მხრივ, ბევრნი, უაღრესად მდიდარი ადამიანები უბედურები არიან, ხოლო მეორეს მხრივ, სამუალო შეძლების ჰქონენი – ბედნიერნი, ძალიან შეძლებულს, მაგრამ უბედურ კაცს ბედნიერის მიმართ მხოლოდ ორი უპირატესობა აქვს, იმას კი მდიდრისა და უბედურის მიმართ – მრავალი; მდიდარი სურვილს აისრულებს და დიდი უბედურება რომ დააყვება, შეუძლია გადაიგანოს, ხოლო ღარიბს უპირატესობა აქვს მასთან შედარებით, რადგან, მართალია, არ შეუძლია მასავით უბედურების გადატანა და თავისი სურვილების დაკმაყოფილება, მაგრამ მისი კარგი ბედი იცავს მას ყოველივე ბოროტებისაგან: იგი არ სახიჩრდება, არ ავადმყოფობს, უბედურებას არაფერს განიცდის, ჰყავს კარგი შვილები და არის კარგი შესახედავი. თუ ამასთან ერთად იგი სიცოცხლესაც კარგად დაასრულებს (ეს ისაა, რასაც შენ ეძიებ), მაშინ ღირსია იმისა, რომ ბედნიერი ეწოდოს. ვიდრე კაცი არ აღესრულება, თავი შეიკავე იმისაგან, რომ ბედნიერი უწოდო მას (მანამ მხოლოდ ბედიანი უწოდე). ყოველივე ეს რომ თავმოყრილი იყოს ერთ ადამიანში, შეუძლებელია. ისევე, როგორც არც ერთი ქვეყანა არაა, რომ კმაყოფილდებოდეს იმით, რაც მას თვით აქვს. ერთი რომ აქვს, მეორე ესაჭიროება, ხოლო რომელსაც მეტი აქვს, ისაა მიჩნეული უმჯობესად, ასევე არც ერთი ადამიანიშვილი არ არის სრულიად დაკმაყოფილებული, რადგან ერთი რომ აქვს, მეორე აკლია. მათ შორის, ვისაც ყველაზე მეტი აქვს თავისი სიცოცხლის განმავლობაში და შემდეგ სიცოცხლეს კარგად ამთავრებს, ჩემი აზრით, მეფეო, მისთვისაა სამართლიანი ამ სახელის გარება. მამასადაამე, უნდა ვიხილოთ ყოველივე ამბის ბოლო. რადგანაც ღმერთი ბევრს პირდებოდა ბედნიერებას და მერე შეუბრუნა ყოველივე ძირფესვიანად“.

33. ესა თქვა სოლონმა, რაც კრომოსოს დიდად არაფრად ეპიგნავა. არც არაფერი უთხრა მას, ისე გაუშვა, რადგან იფიქრა, ძალიან უმეცარია ის, ვინც აწმყო სიკეთეს უყურადღებოდ სტოვებს და ყოველივე ამბის აღსასრულის ხილვას ბრძანებსო.

34. სოლონის წასვლის შემდეგ კრომოსოს დიდი ღვთის რისხვა დააყვდა თავს, როგორც ჩანს, იმისთვის, რომ მას თავისი თავი ყველა ადამიანზე ბედნიერად მიაჩნდა.

თუკიდიდესი

(დაახლ. ქ.წ. 460-396 წწ.)

ანტიკურობის ეს უდიდესი ისტორიოგრაფიისი პეროდოგოსზე მხოლოდ ერთი თაობით გვიან ცხოვრობდა, თუმცა თავისი მსოფლალქმითა და აზროვნების სტილით მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა მისგან. იგი პერიკლესის ეპოქის ატიკურ კულტურას იყო მიარებული და ადრეული სოფისტიკისაგან შემკვიდრებით მიღებულ სექსტიკურ დამოკიდებულებას რელიგიურ-მითოლოგიური მსოფლმხედველობისადმი, კრიტიკულ მადგომას ყოველნაირი გრადიციისა და ავტორიტეტებისადმი შემოქმედებითად ავრძელებდა.

თუკიდიდესი ცხოვრობდა იმ დროს, როდესაც საბერძნეთში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, როდესაც პოლიტიკურ პეგემონობას ესწრაფვოდა ორი ძლევაშისილი სახელმწიფო: ათენი და სპარტა. თუკიდიდესი მონაწილეობდა ამ ბრძოლაში, ათენის ფლოტს მეთაურობდა, თუმცა, წარუმატებლობამ იძულებული გახადა გადახვეწილიყო და მოცალეობის ეამს ომის შესახებ მასალეები ევროენებინა. მხოლოდ ოცი წლის იქმდე, ბრძოლის დასრულებისთანავე, დაბრუნდა იგი ათენში და სულ მალე ვარდაიყვალა, ისე, რომ ეერ მოასწრო თხზულების ბოლო თავების დაწერა. როგორც ჩანს, არც ნაშრომი დაუსათაურებია. სახელწოდებას „*ქელოპონესოსის ომის ისტორია*“ პირველად ციყერონთან ეხედებით.

თუკიდიდესი მისივე თანამედროვე ამბებს ეხება და წინამორბედთაგან განსხვავებით, რომლებიც ისტორიულ მოვლენებს სხვათა ნაამბობის მიხედვით გადმოცემდნენ, მხოლოდ თავისი თვალით ნანახსა და პირველ პირთაგან მოსმენილს აღწერს. ამასთანავე, ელილობს თავადაც გააანალიზოს წარმოდგენილი მასალა. ამ თვალსაზრისით იგი ისტორიული კრიტიკის ფუძემდებლად არის მიჩნეული. მის ღირსებათა შორის ასახელებენ პოლიტიკური ანალიზის უგყვარ უნარსა და მიუეკრძოებლობას, რაც ერთობ რთული უნდა ყოფილიყო იმ ადამიანისათვის, რომელიც ცხოვრების ბოლომდე სამშობლოს ერთგული იყო.

ისტორიული ფაქტების გადმოცემისას ინარჩუნებდა რა თხრობის სიმკაცრეს, თუკიდიდესი მაღალმხატვრული ოსტატობით აღწერდა დრამატულ მოვლენებსა თუ ისტორიულ პირთა მიერ წარმოთქმულ სიგყვებს, რომლებმაც ეპოქალური მნიშვნელობა დაიმკვიდრეს.

ქელოპონესოსის ომის ისტორია

პერიკლეს სიგყვა

წიგნი II, 34-46

ისავე ზამთარს ათენელებმა ძველი ჩვეულებისამებრ მოაწყეს ომში დაღუპულ მებრძოლთა საზვიომო დაკრძალვა... დაკრძალვაზე გამოსათხოვარ სიგყვას წარმოთქვამს ხოლმე კაცი, ვისაც მისი ჭკუისა და დამსახურების გამო უპირველესად მიიჩნევენ თანამოქალაქენი. ამჯერად გამომსვლელად პერიკლე აირჩიეს.

„ჩემამდე აქ გამოსულთა უმრავლესობა აქებდა დაღუპულთა საფლავთან მათ პატივსაცემად სიგყვის წარმოთქმის წესს, რადგან გემართებს პატივი მივაგოთ ბრძოლაში დაიქმელთ. მე კი ვამჯობინებდი, იმ მოქალაქეებს, ვინც საქმით გამოიჩინა გმირობა, საქმითვე მივაგოს პატივი და მათი გმირობის შეფასება არ იყოს გამომსვლელის მჭყერმჭყვევებზე დამოკიდებული. მართლაც, ძნელია იპოვო შესაფერისი სიგყვები იქ, სადაც რთულია მსმენელი ნაოქვამისადმი ნდობით განაწყყო. მოვლენებში გათვითყ-

ნობიერებულ და თანაგრძნობით განწყობილ ათენელს სიტყვა სუსტად მოეჩვენება იმასთან შედარებით, რაც იცის და რისი მოსმენაც სურს. უცხო კი, როდესაც იმის შესახებ მოისმენს, რასაც თვითონ ვერ ჩაიდენდა, შურით აღივსება და გმირობას გადაჭარბებულად მიიჩნევს. მაგრამ, რადგან ჩვენს წინაპრებს ეს ჩვეულება დაუღვენიათ. მეუ დავემორჩილები და ვეილები, შეძლებისდაგვარად, თითოეული მსმენელის სურვილისა და მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

დავიწყებ წინაპრებით. ჩვენ გვმართებს მათი მოგონება. ისინი ამ ქვეყანაში ცხოვრობდნენ ოდითგანვე და იგი მათი გმირობით შემოგვინახეს დღევანდელ დღემდე. კიდევ მეტი ქების ღირსი არიან ჩვენი მამები, რომლებმაც წინაპართა დანაჯოვარი გაამრავლეს და ჩვენ დიდი სახელმწიფო გვიანდერძეს. ჩვენ, დღევანდელმა მოწიფულმა თაობამ, კიდევ უფრო განვაძლიერებთ მისი ძლიერება. ჩვენ მივეციოთ ქვეყანას სრული დამოუკიდებლობა, საყსებით მოვაშადათ იგი როგორც ომის, ასევე მშვიდობისათვის. ჩვენი საგმირო საქმეები სხვა ქვეყნების დაპყრობისას თუ შემოსეული მტრებისგან თავდაცვისას საყოველთაოდაა ცნობილი და მათზე აღარ ვისაუბრებ. სანამ დაცემულთ, ვისაც დღეს ვერძალათ, ხოტბას შევასხამდე, ვიტყვი ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო წყობის შესახებ, რამაც დღევანდელი სიღიაღე მოგვიტანა. ეფიქრობ, დღეს ეს უნდა გაეხსენოთ და მსმენელისთვისაც სასარგებლო იქნება ამის გაგება.

ჩვენი სახელმწიფო უცხო ნიშუშის მიხედვით არ მოგვიწყევია. პირიქით, უმაღლესი ჩვენ ვართ სხვისთვის სამაგალითონი. და რადგან ჩვენს ქვეყანას მართავს არა ადამიანთა მცირე ჯგუფი, არამედ ხალხის უმეტესობა, ამ წყობას დემოკრატია ჰქვია. კერძო საქმეებში ყველა თანასწორია კანონის წინაშე. ხოლო რაც სახელმწიფო საქმეს შეეხება, საპატიო თანამდებობებზე ვირჩევთ გამორჩეულთ არა რომელიმე წოდებისადმი კუთვნილების მიხედვით, არამედ პირადი ღირსებების გამო. თუ კაცს ქვეყნის სამსახური შეუძლია, მას ამაში ხელს ვერ შეუშლის სიღარიბე, მდაბიო წარმომობა ან დაბალი საზოგადოებრივი მდგომარეობა. ჩვენ თავისუფლად ვცხოვრობთ და ყოველდღიურობაში მემობელსაც არ ვაწუხებთ მედმეტი ეჭვითა და ჰკუის დარიგებით. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ვიყავთ კანონებს, მათი პატივისცემის გამო, ემორჩილებით ხელისუფლებასა და კანონს, განსაკუთრებით ჩაგრულთა დასაყავად დადგენილს და დაუწერელ წესებს, რომელთა დარღვევაც სათაკილოდ ითვლება.

ჩვენ ვასართობი გვაქვს, რათა კაცმა შრომისა და სადარდელისგან დაისვენოს, ვაწყობთ თამაშებსა და დღესასწაულებს, ხოლო ოჯახური სითბო აქარეებს ყოველდღიურ სამრუნავს. ჩვენი ქვეყნის ბაზარზე მთელი მსოფლიოდან მოედინება ყველაფერი, რაც გუქირდება და უცხო ნაწარმით ისევე თავისუფლად ესარგებლობთ, როგორც საკუთართით.

სამხედრო საქმეშიც მოწინააღმდეგისაგან განსხვავებული წესები გვაქვს. ჩვენ ყველას ვუშვებთ ჩვენს ქვეყანაში და არ ვუშვით უცხოელებს მის გაყნობას იმის მიშით, რომ ჩვენ საიდუმლოს გაიგებენ. ჩვენ ხომ ძირითადად საკუთარ სიმაჰაყს ეყრდნობით და არა სამხედრო ხრიკებს. ჩვენი მოწინააღმდეგე მისი აღმრდის სისტემით ცდილობს ბავშვობიდან მკაცრი დისციპლინით გამოუმუშავოს ყმაწვილს სიმაჰაყე, ჩვენ კი ლაღად ვცხოვრობით, ამგვარი სიმაჰაყის ვარემე და მაინც მხნედ ვებრძვით თანასწორ მეტოქეს. აი დასტურით: ლაკედემონელები მარტო კი არ იტრებიან ჩვენს მიწაზე, არამედ მოკაეშირებთან ერთად, ჩვენ კი მარტონი ვესხმით თავს მათ მემობლებს და იოღად ეძლეეთ მათ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი საკუთარი ქონების დასაყავად იბრძვიან. მეტრი ჯერ არ შეხვედრია მთელ ჩვენ სამხედრო ძალას, რადგან ჩვენ ერთდროულად გვიწევს ხომალდების აღჭურვაც და ხმელეთზედაც სხედასხეა ადგილას რაგმების გაგზავნა. ერთ რაგმთან შეტაკებაში თუ მიღწევენ წარმატებას, თავი ისე მოაქვით, თითქოს ათენელთა გაერთიანებულ ლაშქარს სძლიეს; მარტის შემთხვევაშიც ირწმუნებიან, რომ ჩვენ ერთიან ძალებთან დამარტსდნენ. ჩვენი უპირატესობა იმაშია, რომ ხიფათს არ გაუვრბივართ არა მძიმე ვარჯიშის ჩვევისა და კანონის მოთხოვნათა გამო, არამედ სიცოცხლის ხალისისა და თანდაყოლილი სიმაჰაყის გამო. ჩვენ არ გვადარდებს მომაჰავალი საურთხე, რთულ

მდგომარეობაში კი არანაკლებ ვაეკაცობას ვიჩენთ, ვიდრე ის, ვინც მძიმე შრომით მუდმივად ამისთვის ემზადება. სხვათა შორის, ჩვენი ქვეყანა ამითიყ იწვევს გაოცებას.

მშვენიერებას ვესწრაფით მფლანგველობის გარეშე და ჩვენი გატაცება მეცნიერებით არ ვნებს სულიერ ძალას. სიმდიდრეს იმიტომ ვაფასებთ, რომ მისი გონიერულად მოხმარება შეიძლება. სიღარიბე არ არის ჩვენთან სამარცხვინო, მაგრამ სათაკილოა, თუ კაცი არ ცდილობს თავისი შრომით დაძლიოს იგი. ჩვენი ხალხი კერძო და საზოგადო საქმით ერთდროულად არის დაკავებული. მიუხედავად იმისა, რომ ყველა საკუთარ საქმეშია გაწაფული, თითოეული მოქალაქე კარგად ერკვევა პოლიტიკაში. რადგან მხოლოდ ჩვენ მივიჩნევთ საზოგადოებრივ საქმეთაგან შორს მდგომ კაცს არა საიმედო მოქალაქედ, არამედ უსარგებლო უქნარად. ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ საზოგადო საქმეს აენებს საჯარო განხილვა. პირიქით, არასწორად მიგვაჩნია მოუზმადებლად, განსჯის გარეშე მნიშვნელოვანი ვადაწყვეტილებების მიღება. მიუხედავად იმისა, რომ მამაცნი ვართ, ჩვენ ჯერ კარგად დავგვეგმავთ და შემდეგ ჩავივლდებით თავს საფრთხეში; სხვებში კი უმეცარი შემლუღულობაა გამბედაობის მიზეზი, ხოლო საღი განსჯა – მერყეობის. ნამღვილ ვაეკაცად მხოლოდ ის შეიძლება მივიჩნიოთ, ვინც მწარე იყის და ტკბილიც და სწორედ ამის გამო არ გაურბის ხიფათს. გულკეთილობა ჩვენ განსხვავებულიად გვესმის, ვიდრე ადამიანების უმრავლეს ნაწილს: მეგობრებს ვიძენთ არა იმის მიხედვით, რასაც ვიღებთ მათგან, არამედ იმით, თუ რა მეგობრობას ვიჩენთ მათ მიმართ. საიმედო მეგობარი სწორედ ის არის, ვინც სამსახურს უწევს მეორეს და დამსახურებულ მაღლიერებას განამტკიცებს შემდგომი სამსახურით. ნაკლებ სანდოა კაცი, რომელიც კეთილ საქმეს ვალდებულების გამო აკეთებს და არა წრფელი გულით. ჩვენ ერთადერთნი ვართ, ვინც სხვას უანგაროდ ეხმარება.

მოკლედ, მე ვამტკიცებ, რომ ჩვენი ქვეყანა სანიშნოა მთელი ელადისათვის და თითოეულ ჩვენთაგანს შეუძლია კარგად წარმოაჩინოს თავი სრულიად განსხვავებულ ვითარებაში. ჩემი სიტყვების სიმართლეს ადასტურებს ჩვენი ქვეყნის ძლევამოსილება, რომელსაც სწორედ ჩვენი წყობის მეშვეობით მივაღწიეთ. თანამედროვე ქვეყნებიდან მხოლოდ ჩვენი სახელმწიფოა სინამდვილეში იმაზე ძლიერი, რა სახელიც მას აქვს. მხოლოდ მისი მტერი არ ითაკილებს მისგან მარცხს, ხოლო მისი ქვეშევრდომი ვერ დაიჩივლებს მმართველთა არარაობას. ჩვენ დიდი საქმეებით დაეადასტურეთ თანამედროვეთა და შთამომავლობის გასაოცრად ჩვენი ქვეყნის ძლევამოსილება. ჩვენ განსაზღვრულად არ გვჭირდება პომეროსი. ჩვენმა სიმამაცემ გადაგვიშალა მღვაც და ხმელეთი და ყველგან სამუდამო ძეგლი დაგვიდგა. სწორედ ასეთი ქვეყნისათვის დადეს თავი ამ მეომრებმა და ცოცხლად დარჩენილებიც ყველანი სიხარულით შეეწირებთ მას.

ამიტომ ვისაუბრე ამდენი ჩვენი ქვეყნის ღირებულების შესახებ. მინდოდა მეჩვენებინა, რომ ჩვენ ბევრად უფრო მეტს ვიცავთ, ვიდრე ის ხალხი, ვისაც მსგავსი რამ არ გააჩნია და მინდოდა მომეგანა დალუპულთა გმირობის უცყური საბუთი. ძირითადი უკვე ითქვა. რადგან ყველაფერს, რასაც მე აქ ხოგბა შევასხი, ჩვენი ქვეყანა ამ გმირებსა და მათნაირებს უნდა უმაღლოდეს. მთელ ელადში ცოგა თუ მოიძებნება ისეთი, ვისი სახელიც ამდენადვე შეესაბამება მის დამსახურებას. ბედი, რაც მათ ეწიათ, მათი სიცოცხლის სახელოვანი დასასრულია. ვინც ადრე თავის მოვალეობას არ ასრულებდა, მათაც კი სამშობლოსათვის ბრძოლით შეუძლია ძველ შეყოლებათა გამოსყიდვა. ამ გმირებმა კი არ დაკარგეს მხნეობა, არ ამჯობინეს სიმდიდრით ტკობა ან გამდიდრების იმედი და არ შეუმინდნენ საფრთხეს. სამშობლოსათვის თავის დადება მათ უდიდეს სიქველედ მიიჩნიეს. უდიდესი განსაცდელის ეამს მათ მოისურვეს შებმოდნენ მტერს, დაივიწყეს ყველაფერი და საკუთარ ძალებს დაენდნენ. მათ სიკვილილი ამჯობინეს ღათმობას, რითიც თავიდან აიცილეს სიმხდალის ბრალდება, დაამარცხეს შიში და სამუდამო სახელი მოიპოვეს.

მათ პირნათლად მოიხადეს ვალი ქვეყნის წინაშე. ცოცხლად დარჩენილებმა ღმერთებს უნდა ეთხოვოთ, რომ ბედმა მეტად გაგვიღიმოს, მაგრამ მტრის მიმართ ისევე შეუდრეკელი უნდა ვიყოთ, როგორც დალუპულები. მოქალაქეთა უმეტესობა მხოლოდ

ორატორისგან ნუ შეიტყობს, რა კარგია მტრის მოგერიება, არამედ თითოეულ თქვენსათვის დაე ყოველდღიურად ჰქონდეს ქვეყნის მშენიერებითა და მიღწევებით ტკბობის საშუალება. როდესაც ქვეყნის სიღაღით იამაყებთ, გახსოვდეთ, რომ არსებობდნენ ღირსეული ადამიანები, ვინც იყოფა, რა არის ვალი და აღასრულა იგი. წარუმატებლობის დროსაც მათ არ დაუკარგავთ ღირსება და ქვეყანას უმშვენიერესი შესწირეს – საკუთარი სიცოცხლე. ამით მათ საუკუნო სახელი მოიპოვეს. ამგვარი ხალხია ჩვენთვის სამაგალითო, ბედნიერებად მიიჩნით თავისუფლება, ხოლო თავისუფლებად – სიმამაცე და მხნედ შეხედით ომის ხიფათს. გაჭირვებულმა და უიმედომ რისთვის უნდა იბრძოლოს, მაგრამ სამშობლოსათვის თავგანწირვა მართებს მას, ვისაც წარუმატებელი ომი ცხოვრებას დაუძიმებს. კეთილშობილი ადამიანისათვის დამცირება სიკვდილზე უარესია, აღსასრული კი უმტკივნეულო ხდება, თუ საკუთარი ძალის შეგრძნებითა და საერთო საქმის წარმატების იმედით კვდები.

ამდენად, მე არ ვგლოვობ დალუქულთა მშობლებთან ერთად და მიემართავ მათ ნუგეშის სიგყვებით. ბედნიერია ისიც, ვისაც ასეთი მშვენიერი აღსასრული ეღირსა, ან თქვენსავე კეთილშობილი მწუხარება ერგო და ისიც, ვინც ბედნიერად ცხოვრობდა და ასევე აღესრულა. მესმის, რომ ძნელია გაგიქარვით შეიღის სიკვდილით გამოწვეული მწუხარება, თქვენი დაკარგული ბედნიერება ყოველთვის გაგახსენდებათ, როდესაც სხვისას დაინახავთ. განუდელ ბედნიერებას არ მოაქვს ტკივილი, მაგრამ შეჩვეული ბედის დაკარგვა მტანჯველია. ვინც კიდევ ახალგაზრდა ხართ და სხვა შეიღის გაჩენა შეგიძლიათ, ამით ინუგეშეთ თავი. ახალი ბაემეები მშობლის ნუგეშითა და ქვეყნის ძალაც. ვინც არ ბრუნავს ბაემეების მომავალზე, ვერც თანამოქალაქეთა სასარგებლო სწორ და სამართლიან გადაწყვეტილებას მიიღებს. მოხუცებმა კი გაიხარეთ იმით, რომ სიცოცხლის დიდი ნაწილი ბედნიერად განვლეთ და ცოტაღა დაგრჩათ, დარჩენილ დღეებს კი შეიღების დიდება დაგიმშვენებთ. დიდებისადმი ღგოლვა არასდროს ქრება. იმ ასაკშიც კი, როდესაც კაცი საზოგადოებისთვის უსარგებლო ხდება, მას ყველაზე მეტად პატივი სწყურია.

გმირების ვაჟებსა და ძმებს გაგიჭირდებათ მათ სახელთან შეჯიბრი და უდიდესი ვაჟაყობითაც მხოლოდ მიუახლოვდებით მათ დიდებას. სიცოცხლეში ღირსეული ხალხი შურს აღძრავს და მხოლოდ მიცვალებულებს ასხამენ უმურველად ხოგბას (ისინი ხომ მეტოქეები აღარ არიან). უნდა შევეხო დაქერივებულ ქალბატონთა სიქველეს და მათ ეს რჩევა მივცე: ნუ დაკარგავთ თქვენ ქალურ ბუნებას როგორც მეუღლეები და მოქალაქეები; თქვენი უდიდესი დამსახურება იქნება, თუ კაცები თქვენზე არაუფროს იგყვიან, არც აუგს და არც საქებარს.

ჩვენი წინაპრების წესისამებრ, დალუქულთა პატივსაცემად მე ვთქვი, რისი თქმაც საჭიროდ მიმაჩნდა. ქვეყანამ ნაწილობრივ მიაგო მათ პატივი ამ ცერემონიალით, და ის იბრუნებს მათ შეიღებზედაც სრულწლოვანებამდე. ეს მაღალი ჯილდოა, გვირგვინის მსგავსი, რასაც გმირების შეიღები იმსახურებენ. ქვეყანაში, სადაც ვაჟაყობა უასდება, მოქალაქეებიც ვაჟაყობი არიან.“

შემოკლებული თარგმანი ლევან ვორდე ზიანისა

ჭირი ათენში

წიგნი II

48. როგორც ამბობენ, მოარულმა სენმა თავდაპირველად ეგვიპტის მეშოთ, ეთიოპიაში იჩინა თავი და მთელი ეგვიპტე. ლიბია და სპარსეთის მეფის მიწა-წყლის მნიშვნელოვანი ნაწილი მოიკვა. ათენელთა ქალაქში ამ უბედურებამ უეცრად იფეთქა: პირველ რიგში პირეოსის მაცხოვრებლები დასნებოვდნენ. ისინი ამტკიცებდნენ,

პელოპონესელებმა წყალსაცავები მოგვიწამლესო (წყალსადენები ჯერ არ ჰქონდათ). შემდეგ იგი მედა ქალაქსაც მოედო, მოცელა ხალხი. დაე, საკუთარი მოსაზრება გამოთქვას ყველამ, მკურნალმაც და არამკურნალმაც, თუ რისგან გაჩნდა ეს უბედურება, რა იყო მისი წარმოშობის ნამდვილი მიზეზები და რამ გამოიწვია ადამიანის ორგანიზმში ასეთი ძლიერი ცვლილებები, მე კი დაავადების ნიშნებს აღწერ. რომ მისი გამოცნობა ყველამ იმთავითვე შეძლოს და არავინ შეცდეს, თუ ის კვლავ გამოჩნდება, მით უფრო, რომ ეს უბედურება თავად გადავიგანე და სხვათა განჯვის თვითმხილველიც ვიყავი.

49. იმ წელიწადს, მთარული სენის გავრცელებამდე, ქალაქში სხვა დაავადება თითქმის არც ყოფილა. ამას ყველა ადასტურებს. აღრე ადამიანი რითაც უნდა ყოფილიყო აეად, ბოლოს მაინც ეს სენი იწირავდა; სხვებს კი, ჯანმრთელებს, უეცრად და ყოველად უმიზეზოდ შემოენთებოდათ თავზე სამინელი ცეცხლი, თვალები უწითლდებოდათ და ეწყებოდათ ანთება. შინაგანად, ხახასა და ენას მყისვე სისხლისფერი ედებოდა, სუნთქვა კი მძიმე და მყრალი უხდებოდათ. შემდეგ აუტყდებოდათ ცემინება და ხროგინი. მალე სენი ძლიერი ხველებით მკერდის ღრუს ედებოდა; როცა კუჭსაც მისწვდებოდა, ავადმყოფს ღებინება ეწყებოდა და ანთებდა დიდი ოდენობით ნაირგვარ ნალექს. რომლებსაც ექიმები თავთავის სახელებს არქმევენ. ყოველივე ამას სამინელი ტკივილები ახლდა. სნეულთა უმრავლესობას ღებინება არ ჰქონდა, მაგრამ სლოკინი განჯავდა. რაც ძლიერ კრუნჩხვებს იწვევდა. კრუნჩხვებისგან ზოგი მალე თავისუფლდებოდა, ზოგს კი კარვა ხანს უგრძელდებოდა. ავადმყოფის სხეული არაფერმკრთალი, მოღურჯო-მოწითალო ფერისა იყო, კანზე წვრილ-წვრილი წყლულები და ჩირქოვანი მუწუკები ასხდა. მართალია, იგი შეხებით ძლიერ ცხელი არ იყო, მაგრამ მის შიგანს ისეთი ცეცხლი შემონთებოდა, განზე ვერაფერს იკარებდა, ვერც სიფრიფანა სამოსელს და ვერც მსუბუქ მოსასხამს; შიმშელდებოდა და განსაკუთრებული სიამოვნებით ეშვებოდა ცივ წყალში. დაუოკებელი წყურვილის გრძნობით გატანჯული ბერი ავადმყოფი უპაგრონობით ჭამიც ჩავარდა. სულ ერთი იყო, წყალს ბევრს დალეედა თუ ცოტას, წყურვილს მაინც ვერ იოკებდა. შინაგანი შფოთი და უძილობა აწამებდა ავადმყოფს. ვიდრე სენი მძლავრობდა, ორგანიზმი არ ეუბებოდა სატანჯველს, სიძაბუნე არ ეტყობოდა, ჯერ მთლად ღონემიხდილები არც იყვნენ, რომ მეშვიდე – მეცხრე დღეს ეს შინაგანი სიმზურვალე მათ სიცოცხლეს უსწრაფებდა; თუ ამ დღეებს გადაურჩებოდა, სენი მუცლის ღრუში გადადიოდა, ნაწლავებს აწყლულებდა, რასაც სამინელი ფადართიც ერთოდა და მუცელკვეთით ღონემიხდილი ილუკებოდა სნეული. ამდენად, პირველად თავში ჩაბუღებული სატკივარი მთელ სხეულს მოივლიდა. ვინც ამ უძმიძეს უბედურებას გაუძლებდა, სენი თავის ნიშანს ადებდა და დამიანებულ კიდურანაწილებს უტოვებდა: ხელისა და ფეხის თითებს, სასირცხეო ორგანოებს; ბევრ ცოცხლად დარჩენილს საერთოდ ერთმეოდა ეს ასოები. ზოგი თვალის ჩინს კარგავდა, ზოგი მეხსიერებას: ვერც საკუთარ თავს ცნობდა და ვერც ახლობლებს.

50. ამ დაავადების რაობას ენა ვერ აღწერს. მან ყველა დაჯაბნა. იმდენად მძიმე იყო, ადამიანური ბუნება ვერ უმკლავდებოდა; მისი უცნაურობა იქიდანაც ჩანდა, რომ არც ლემისმჭამელი ფრინველები და ოთხფეხები ეკარებოდნენ დაუმარხაეად მიგოვებულ გვამებს (ასეთი კი ბერი იყო), ხოლო, თუ პირს დააკარებდნენ, ისოცებოდნენ. თვალმისაცემი გახდა ამგვარ ფრინველთა გაქრობა, ველარც გვამების ახლოს ნახავდით მათ და ვერც სხვავან. ყველაზე მეტად კი ძაღლებზე აისახა სენის შედეგები, რადგანაც ისინი ადამიანებთან ერთად ცხოვრობენ.

51. ასეთი გახლდათ დაავადების საერთო სახე; კერძო შემთხვევათა განმასხვავებულ თავისებურებებს საგანგებოდ არ შეეხე. ადამიანები იმხანად სხვა ჩვეულებრივი სენით არ აუადობდნენ. თუ მაინც შეეყრებოდათ რაიმე, ისიც ჭირით მთავრდებოდა. ისოცებოდნენ მზრუნველობამოკლებულნიც და საგულდაგულოდ მოვლილნიც. შეიძლება ითქვას, ერთი რაიმე წამალიც არ არსებობდა, შეება რომ მიეცა სნეულთათვის: რაც ერთს ადგებოდა, მეორეს ვნებდა. სენს ვერც ძლიერი ორგანიზმი უმკლავდებოდა და

ვერც სუსტი. არც ცხოვრების პირობებს ჰქონდა მნიშვნელობა. ჭირი ყველას განურჩევლად ემართებოდა. ყველაზე შემაძრწუნებელი მთელ ამ უბედურებაში სასოწარკვეთა იყო, რაც მაშინვე ეუფლებოდა ადამიანს, როგორც კი თავს შეუძლოდ იგრძნობდა (იმედ-დაკარგულნი ბედს მიენდობოდნენ და სენს აღარ უძალიანდებოდნენ). გარდა ამისა, შემაძრწუნებელი იყო ისიც, რომ მოელისას სენი ერთიდან მეორეზე გადადიოდა და სნებაშეყრილიცა და მათგან დასნებოვნებულნიც ცხერებივით იხოცებოდნენ. სიკვდილიანობას ძირითადად სწორედ ის იწვევდა, რომ სენი ვადამლები იყო. იმას, ვინც სენის ვადამების შიშით სხეას არ ეკარებოდა, მარტოობაში უწევდა სულის დაღევა. ასე უპატრონობით ბევრი ოჯახი ამოწყდა. მაგრამ იხოცებოდნენ ისინიც, ვისაც სინდისი შეაწუხებდა და თავს არ იმოგავედა, რომ მეგობარი მოენახულებინა, მეგობარი, რომელიც უკვე გარდაცვლილთა გლოვით გულდამძიმებულ და უბედურებისაგან ილაკაგაწყვეტილ ოჯახის წევრებს უკვე მოეძულებინათ. მომეტებულად თანაუგრძნობდნენ ავადმყოფებს და სულთმობრძავეებს სენმობილინი, რომლებმაც უკვე გადაიგანეს ეს უბედურება. ისინი თამამად იყვნენ, რადგან სენი მეორედ არავის შეყრია და არავინ მოუკლავს.

52. ათენელთა უბედურებას ისიც დაემატა, რომ ქალაქს მინდვრებიდანაც (სოფლებიდანაც) მოაწყდა ხალხი, მეტადრე უცხოელები (ჩამოსახლებულნი). მათ სახლ-კარი არ გააჩნდათ და მაფხულში საშინლად დახუთულ ქოხმახებში იყვნენ შეხიზნულნი. ერთიმეორეზე ახორხლილი სულთმობრძაენი უთაბოლოდ ეყარნენ და იქვე იხოცებოდნენ; ან კიდევ ქუჩებში და ჭების ირგვლივ ცოცხალ-მკვდრები დაფორთხავენენ წყურვილით გაგანჯუნნი. გეამებით საესე იყო წმინდა ადგილებიც, სადაც კარები ჰქონდათ გაშლილი. ვამიანობით გაგეხილმა და განადგურებულმა ადამიანებმა, რომლებმაც აღარ იყიდნენ რა ელოდებოდათ, დაკარგეს კრძალვა როგორც ღვთიური, ისე ადამიანური კანონების წინაშე. მიცვალებულთა გაჰაგიოსნების აღრინდელი ადათ-წესები შეირყვნა: ყველა ისე მარხავდა თავის მიცვალებულს, როგორც შეეძლო. გაუთავებელი სიკვდილანობის გამო ბევრს დაკრძალვის საშუალებაც არ ჰქონდა და სამარცხვინოდ იქეოდა: ერთნი როგორც კი სხეებისთვის გაჩარებულ ცეცხლს დაიგულვდნენ, თავიანთ მიცვალებულს გეამს დებდნენ და წეადენენ, მეორენი კი დაიწვევებოდა თუ არა სხეისი მკედარი თავიანთ მიცვალებულს ცხედარს (ნემოს) გემოდან აგდებდნენ და ვარბოდნენ.

მოარული სენის ვაჩენისთანავე ხალხმა სახელმწიფოს კანონებზე სხვა მხრივაც აიღო ხელი. ადვილად ბედადნენ იმას, რასაც წინათ მალეით ჩადიოდნენ, თავამებულობისთვის რომ არ დაეძრახათ. მათ თეალწინ ხდებოდა მდიდართა ბედის უკულმა გრიალი, რომლებიც მოულოდნელად კედებოდნენ და მათი ქონება უპოვართ რჩებოდათ. ცხოვრებაცა და სიმდიდრეც წარმავალი ჩანდა და ყველას სურდა, ხორციელ ტკობას დაწაფებოდა. აღარავის უნდოდა თავის ვაწირვა მშვენიერი მიზნებისთვის. ვინ უწყოდა, რომ მიზნების მიღწევამდე სული არ ამოხდებოდა. ამიგომ მშვენიერად და სასარგებლოდ ის მიანდათ, რაც იმ წამს მიანიჭებდა ტკობას ან ის, რაც ამ ტკობის მიღწევაში დაეხმარებოდა. აღარც ღვთის შიში ჰქონდათ და აღარც ადამიანური კანონებისა. ხედადნენ, რომ ვანურჩეველად ყველანი იღუპებოდნენ, ამიგომ ღმერთის პატივისცემა თუ უპატიეებულობა უმნიშვნელო რამედ ეჩვენებოდათ; არავის ჰქონდა იმდენხანს სიცოცხლის იმედი, რომ ჩადენილი დანაშაულისთვის სამართალში მიეცემოდა, ვინაიდან ბედს მათთვის უფრო მიიძე ვანაჩენი ვამოეგანა და აღსასრულის მოსელამდე, ცხადია, სიცოცხლით ტკობა ეწადათ.

თარგმნა დალი ქურიძემ

60. „აიხელებო, ველოდი, რომ თქვენი რისხეა თავს დამაგყდებოდა. ამ განრისხების მიზეზებსაც ვხვდები. სახალხო კრება მოვიწვიე, რომ მოგი რამ შეგახსენოთ და კიდევ ვისაყვედუროთ: ამ უბედურების ეპოს უმართებულოდ აღშოთებულხართ, და მისცემიხართ სასოწარკვეთას. ჩემი ამრით, მთელი სახელმწიფოს ძლიერება უფრო მეტ სარგებლობას მოუტანს კერძო პირს, ვიდრე ერთი-ორი კაცის აღზევება – დაქცეულ და გატიალებულ ქვეყანას. რაგინდ ბედნიერი და წარმატებული უნდა იყოს ადამიანი, მისი ბედნიერება სამშობლოს დაღუპვისთანავე ქრება. აყვავებულ და ძლიერ სახელმწიფოში კი ბედკრულიც იოლად იმოვის ხსნას. სახელმწიფოს ძალა შესწევს, იგვიროთოს საკუთარ მოქალაქეთა გასაჭირი, ერთ კაცს კი სახელმწიფოს უბედურების გამკლავება არ ძალუძს. ამიგომ განა არა სჯობს, ყველანი ერთად ვიცავედეთ მას? და განა დასაშვებია, ისე ვიქცეოდეთ, როგორც დღეს თქვენ აკეთებთ? პირადი უბედურებებით შეწუხებულებს ქვეყნის ხსნაზე ხელი ავიღოთ და მე მადანამაულებთ, ომის დაწყება რომ გირჩიეთ; საკუთარ თავსაც იდანამაულებთ, ჩემს რჩევას რომ აპყვეით. ბობოქრობთ და მიტევთ მე, კაცს, რომელმაც, ვკონებ, ვინმემე ნაკლებად როდი იცის სახელმწიფო საქმის წარმართვა და ძალუძს სხვებსაც გააგებინოს; თანაც უანგაროა და სამშობლო უყვარს. იმ ადამიანის ცოდნა კი, ვინც თავად კარგად ერკვევა საქმეში, მაგრამ სხვას ვერ უხსნის, არცოდნის გოლფასია. თუ მავანს ერთიე შეუძლია და მეორეც, მაგრამ გულში ავი უღევს, სასიკეთოს ვერც ის ურჩევს ქვეყანას. იქნებ კეთილმოსურნეც იყოს, მაგრამ, თუ ვერცხლისმოყვარეობა ძლევს, ვერცხლზე გაყიდის ყველაფერს. თქვენი ფიქრით, თუ მე სხვებზე მეტი ღირსებები მაქვს და ამიგომაც დაიწყეთ ჩემი რჩევით ომი, დღეს უსაფუძვლოა თქვენი ბრალდება, თითქოს არასწორი იყო ჩემი გადაწყვეტილება.

61. „ყოველმხრივ ბედნიერი კაცისთვის, თუ მას არჩევანის საშუალება აქვს, ომის დაწყება დიდი უგუნურებაა, მაგრამ როცა კაცი იძულებულია ან დამორჩილდეს მგერს, ან თავისუფლება საფრთხეში თავის ჩაგდების ფასად შეინარჩუნოს, მაშინ ის უნდა გავიყნოთ, ვინც საფრთხეს გაექცევა და არა ის, ვინც მას წინ აღუდგება. მე გადაწყვეტილება არ შემეიყლია, იგივე ვარ, თქვენ კი ამრი იცვალეთ. სანამ ომს დაიწყოებით, ჩემს რჩევებს მიჰყებოდით, ხოლო როგორც კი ომის სუსხი იწვნიეთ, ნანობთ, რომ დამიჯერეთ; საკუთარი სულმოკლეობის გამო ჩემი რჩევა არასწორი გეჩვენებათ. დღეს ყოველი თქვენგანი ჩემი პოლიტიკის მხოლოდ სამწუხარო შედეგს გრძნობს და მისი სამომავლო სარგებლიანობა ვერ განუჭვრეტია. ვითარების ერთბაშად ასე უკუღმა დატრიალებამ ისე წავახდინათ, საკუთარი გადაწყვეტილებისა და ამრის მტკიცედ დაყვის ძალაც არ შეგრჩათ. ეს ჩვეულებრივი ამბავია, სხვა დროსაც დაგმართნიათ. მაგალითად, ეამიანობისას. თქვენ, როგორც სახელოვანი სახელმწიფოს მოქალაქეებს, მისი ძლევა-მოსილების საკადრის წეს-კანონებზე აღმრდილებს, განსაცდელში უდიდესი სიმტკიცის გამოჩენა გმართებთ, რათა ღირსება არ შეგელახოთ. ადამიანები ერთნაირად კილავენ იმასაც, ვინც სულმოკლეობისა თუ სიძაბუნის გამო საკუთარი ღირსების საკადრისად არ იქცევა და იმასაც, ვინც თავხედურად ეპოგინება თავისთვის შეუფერებელ დიდებას. დაივიწყეთ პირადი გასაჭირი და სახელმწიფოს გადარჩენაზე იმრუნეთ;

62. რაც შეეხება ომის სიმძიმესა და თქვენს ეჭვებს, რომ იგი დიდხანს გასტანს და ვერ გავიმარჯვებთ, მათი უსაფუძვლობა არაერთხელ დავისაბუთეთ და საკმარისი უნდა ყოფილიყო. დღეს ერთ მნიშვნელოვან უპირატესობაზეც მიგითითებთ; ეს თქვენი სახელმწიფოს ძლევა-მოსილება გახლავთ, რამეც არც თქვენ დაფიქრებულხართ და არც ჩე აღმინიშნავს წინა სიტყვებში. ხმასაც არ ამოვიღებდი, უმიზეზოდ შემინებულებს რომ არ გხედავდეთ, რათა მედიდურობის საბაბი არ მომეცა თქვენთვის. თქვენ მხოლოდ მოკავშირეთა მხრიანებლებად მიგაჩნიათ თავი, მე კი გიმტკიცებთ, დედამის ზურგზე ორი რამ – ზღვა და ხმელეთი ეძლევა ადამიანს მოსახმარად. აქედან ერ-

ათს - მღვის სრული ბაკონ-პაგრონი თქვენ ხართ. და განა მარგო იმ ნაწილის, სადაც დღეს თქვენი ხომალდები დაეურავენ, დანარჩენი თქვენი იქნებოდა, თუ ინებებდით. არ არსებობს მეფე და არ არსებობს გომი, რომელიც მღვამე დღეს თქვენს აღჭურვილ ხომალდებს წინ აღუდგება. ეს ძალა იმდენად მნიშვნელოვანია, რა მოსაგანია მასთან სახლებითა თუ მამულებით მიღებული სარგებელი, რომელთა დაკარგვას ასე მისტირით. არაღ ჩააგდოთ, გული არ დაგწყდეთ, თითქოს უბრალო ბალი ან ლამაზი სამკაული დაგკარგოდეთ. შეიგნეთ, რომ თავისუფლება, თუ მას ერთიანი ძალით შეეინარჩუნებთ, აღვილად აღგვიდგენს დანაკარგს. ხოლო თუ სხევებს დაკემონებით, ადრე მონაგარსაყ დაეკარგათ; ასე ხდება ჩვეულებრივ. არ გვეკადრება ბედოელი-ოთბა. არაფერში ჩამოერჩეთ ჩვენს მამა-პაპათ. მათ საკუთარი შრომითა და გარჯით შექმნეს ყოველივე, არაეისგან მიუღიათ, დაიცეს და გვიანდერძეს. უფრო სამარცხი-ნო ისაა, რომ დაკარგო, რაც ვაბადია, ვინემ შეძენაში მოგვეაროს ხელი. მგერს ვა-კაურად უნდა შევებრძოლოთ ერთგვარი სიამაყით და, ამავე დროს, მიზლის გრძნობით. ვინაიდან სიამაყე ლაჩარშიც იღვიძებს, როცა ბედნიერი შემთხვევა უმეცრებისგან იხსნის. აი, მიზლი კი იმ ადამიანებს ახასიათებთ, რომლებიც მგერთან თავანთ უპირატესობაში არიან დაჯერებულნი. თუ საქმეში ბელი არ ჩაერია, უპირატესობით განპირობებული სიამაყის შეგრძნება სიამაყეს კმაგებს ადამიანს; ეს თავდაჯერება კი ეყარება არა იმედს (იმელი გაჭირვებისაა), არამედ არსებული შესაძლებლობების შეფასებას და გასიგრძეგანებას, რაც საიმედო მომავალის მგკიცე საწინდარია.

63. თქვენ ხელი უნდა შეუწყოთ იმ საპაგიო მდგომარეობის შენარჩუნებას, რაც თქვენს სახელმწიფოს თავისი ძლიერებით აქვს მოიპოვებული და რაც ყოველი თქვენგანის სიამაყის საფუძველია. ან სიძნელეებს არ უნდა გაექცეთ, ან ამ საპაგიო მდგომარეობაზე უნდა თქვათ უარი. ნუ გგონიათ, რომ ერთი მიზანი ჰქონდეს ჩვენს ბრძოლას: თავისუფლება ან მონობა. პირიქით, მბრძანებლობის შესანარჩუნებლად მოგვიწევს ბრძოლა, საფრთხე ჩვენი მბრძანებლობის მოშურნეებისგან გველის. ამ მბრძანებლობაზე მოგიერთი თქვენგანი უარს ამბობს, თითქოსდა მშვიდობისმოყუელები იყონ. ეს მათი სიმხდალისა და უმოქმედობის საფარველია. მართალია, თქვენი მბრძანებლობა უკვე გირანიას დაემსგავსა და, ვგონებ, ეს მთლად სამართლიანი არ არის, მაგრამ მასზე უარის თქმა დღესდღეობით სახიფათოა. ეს მშვიდობისმოყუარენი სხვებსაც თუ გადაიბირებენ, სახელმწიფოს დალუკავენ ამგვარი რჩევებით; ისევე, როგორც დალუკავენ იმ სახელმწიფოს, თავისთვის რომ შეექმნათ სადმე. მარგო მშვიდობიანი პოლიტიკა, თუ მას გაბედული ქმედებაყ არ ახლავს თან, დამლუკველია ქვეყნისთვის. ასეთი პოლიტიკა დამონებულ ქვეყანას გამოადგება, რათა უშუოთველად იცხოვროს მონობაშიც. მბრძანებელ სახელმწიფოს კი სიკეთეს არ მოუგანს.

64. ნუ აყვებით ასეთ მოქალაქეებს და მეც ნუ მსაყვედურობთ. ჩვენ ხომ ერთად გადაეწყვიტეთ ბრძოლის დაწყება. არ ვისურვეთ, მომხდურთ დაემორჩილებოდით. ამიგომ მგრის თავდასხმა და რბევა უცხო არ უნდა ყოფილიყო ჩვენთვის. მოულოდნელად რაც თავს დაგეაგყდა, ეს ჰირის ეიღემია გახლდათ. ამქამინდელ სიავეთაგან მხოლოდ ეს იყო სასოწარმკვეთი უბედურება. ვიცი, ესეც გახდა ნაწილობრივ ჩემი ათვალწუნების მიზეზი, მაგრამ უმართებლოდ. შემთხვევით წარმატებას ხომ არ მომაწერდით მე. ამიგომ ღეთისგან მოვლენილი უბედურებაყ, როგორც გარდაუეალი რამ, უღრგვინველად უნდა იგანოთ და მგრის მიერ თქვენს თავსდამგყდარ გასაჭირს ვაეკაყურად უნდა შეხედეთ. ასეთი წესი იყო წინათ ჩვენს სახელმწიფოში და დღესაც არ უნდა დაირღვეს იგი. შეიგნეთ, ჩვენმა სახელმწიფომ თავისი ქედუხრელობით გაითქვა ქვეყნად სახელი. მრავალი ადამიანის სიცოცხლე და შრომა შეეწირა ომებს და ასე შეინარჩუნა უდიდესი ძლიერება დღემდე ჩვენმა სახელმწიფომ. მათი ხსონა სამარადეამოდ დარჩება შთამომავლობას, თუნდაყ დღეს ცოგა წავიბორძიკოთ (ბუნებაში ყველაფერს აქვს თავისი დასაწყისი დასასრული). დარჩება ხსონა იმისა, რომ ჩვენ, ელინები, ელინური ქალაქების უმრავლესობას ვმბრძანებლობდით და სასტიკ ბრძოლებში ეამარცხებდით როგორც ცალკეულ, ისე მათ გაერთიანებულ ძალებს. ის ქალაქი

კი, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობდით, ყველაზე ძლიერი და უმდიდრესი გავხადეთ. და თუ დღეს ყოველივე ამას უმაქნისნი და მცონარენი აბუჩად აიგდებენ, შრომასმოწადინებულნი გავვეჯიბრებიან და, თუ ვერ გავვიგოლდებიან, შეშურდებით ჩვენი. დღეს ჩვენ ვეჯავრებით. მაგრამ ეს სიძულელი ყველა მბრძანებლის ხედრია. ვინც უმაღლესი მიზნისკენ ისწრაფვის. სიძულელს იმკის, მაგრამ სწორად იქცევა. სიძულელი სწრაფად ქრება. ხოლო ამჟამინდელი ბრწყინვალება და სამომავლო დიდება სამარადისოდ რჩება. თქვენ ორივესთვის უნდა იბრძოლოთ, იმისთვისაც რაც დღეს სირცხვილს არ გაჭმევთ და იმისთვისაც, რაც მომავალში სახელს მოგიგანთ. ლაკედემონელებს ნურც მოლაპარაკებას გაუმართავთ, და ნურც იმას აგრძნობინებთ, რაოდენ მძიმეა თქვენთვის ეს უბედურება. ის სახელმწიფო და ის პიროვნებაა ულიერესი, ვინც ჭირთა სიმრავლის ჟამს სასოწარკვეთილებას არ ეძლევა და მგკიყედ უხვდება განსაცდელს.“

თარგმნა ღალი ქურიძემ

ქსენოფონი

(დაახლ. ძვ.წ. 430-355 წწ.)

ათენის არისტოკრატიული გვარის ჩამომავალი ქსენოფონი ცნობილია როგორც ისტორიოგრაფოსი და მწერალი. იგი სოკრატეს მოწაფე იყო, თუმცა ფილოსოფიისადმი დიდი ინტერესი არ გამოუვლენია. ათენის პოლიტიკური ცხოვრებით გაწბილებულმა მონაწილეობა მიიღო არგაქსერქსესის წინააღმდეგ ლაშქრობაში, რომელიც კიროს უმცროსმა მოაწყო. სპარსელი უფლისწულის დამარცხების შემდეგ (ძვ.წ. 401 წ.) ქსენოფონმა თავის თავზე აიღო ბერძენთა დაქირავებული ჯარის უკან დაბრუნების ხელმძღვანელობა, რაც აღწერა კიდეც „ანაბასისში“.

ქსენოფონი ანტიდემოკრატიული სპარგის მეფე აგესილას დაუკავშირდა და თან ახლდა მას ათენის მოკავშირე თებეს წინააღმდეგ მოწყობილ ექსპედიციაში (ძვ.წ. 394 წ.), რის გამოც ათენელებმა იგი გააძევეს ქალაქიდან. ლაქედემონელებმა ქსენოფონს უწყალობეს მიწები ოლიმპიის მახლობლად მდებარე სკილოსში. ხოლო როდესაც ელბელებმა ეს ქალაქი დაიპყრეს (ძვ.წ. 370 წ.), მწერალი იძულებული გახდა გაქეუულიყო კორინთოსში, სადაც გარდაიცვალა კიდეც.

თარგმანები:

ქსენოფონი, მოგონებები სოკრატეზე, სოკრატეს აპოლოგია. ძველბერძნულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და შენიშვნები დაურთო აკ. ურუშაძემ, თბილისი 1973.

ნაღიმი

I

1. ჩემი ამრით, გახსენების ღირსია ყველა ის საქმე, რომელიც ადამიანებს მხოლოდ დინჯი ქმედებებისას კი არ გარდაქმნის მაღალმზნობისად, არამედ ლაღობისასაც. ამიტომ, მე, შემსწრეს ასეთი შემთხვევისა, მსურს, რაც მე ვიცი, ის განვიცხადო.

2. ეს იყო ჯირითისას, პანათენეების დროს, კალიას პიპონიკესის ძე შეყვარებული გახლდათ აეგოლიკოსზე ჯერ კიდევ მამინ, როცა ის ბავშვი იყო. ახლა კი მან მრავალჭიღიში გაიმარჯვა და კალიასიც სწორედ ამ შეჯიბრის სანახავად მოვიდა. დამთავრდა თუ არა რბოლა, კალიასმა აეგოლიკოსსა და მის მამასთან ერთად პირეოსში, თავისი სახლისკენ, გასწია. მას მიჰყებოდა ნიკერაგოსიც.

3. უცებ კალიასმა სოკრატე და მასთან ერთად კრიგობულე, პერმოგენე, ანგისტენე და ქარშიღე დაინახა, რის გამოც მან მასთან მოყუთავან ერთს სთხოვა აეგოლიკოსი თანმხლები პირებითურთ მის სახლამდე მიეცილებინა, თვითონ კი სოკრატესა და მის გარემოცვასთან მივიდა და უთხრა:

4. — რა კარია, რომ შევხვდით. განზრახული მაქვს აეგოლიკოსსა და მამამისს ვუმასპინძლო, ნაღიმი კი, დარწმუნებული ვარ, ბევრად უფრო დიდებული გამოვა, თუკი მას თქვენსავე სულგანწმენდილი კაცები დაამშვენებენ და არა სტრატეგოსები, პიპარქოსები და ასევე მაძიებელნი სხვადასხვა თანამდებობებისა.

5. სოკრატემ მიუგო: — შენ სულ დავციინი და უგულუბელგეყოფ. ამიტომაცაა, რომ სიბრძნეში გასაწაფად ბევრი ფული მიეცი გორგიას, პროდიკეს და კიდევ ბევრ სხვასაც. ჩვენ კი ისე გვიყურებ, როგორც თვითნასწავლთ ფილოსოფიაში.

6. — დიახ. — უპასუხა კალიასმა, — აღრე გიმალავდით, ბევრი და ბრძნული რამის თქმა რომ შემეძლო. ახლა კი, თუ თქვენ გამომყევით, ციქვენებთ, რომ სრული ყურადღების ღირსი ვარ.

7. თავიდან სოკრატემ და მასთან მყოფებმა, ცხადია, მიწვევაზე მადლობა გადაუხადეს მასთან სადილობის პირობას კი არ დასთანხმდნენ, მაგრამ როგორც კი აშკარა გახდა, რომ გაუყოლობის შეპიხვევაში კალიასი ძალიან გაბრამდებოდა, გააყენენ. აპოს შეძღვრისანი მართლაც მივიდნენ მასთან: მოგნი ნავარჯიშევი და ზეთცხებულნი, ზოგნიც განბანაღნი.

8. ავგოლიკოსი მამამისის გვერდით დაჯდა, სხეები კი, როგორც მიღებული იყო, ჰარათიკოზე წამოწვენენ. ის, ვინც ყურადღებას მიაქცევდა იმას, რაც იქ ხდებოდა, მყისვე დაასკვნიდა. რომ სილამაზე თავისი ბუნებით მეფური რამაა, მით უმეტეს, თუ ის პოპოლარებასა და კეთილგონიერებასთანაა წილნაყარი, როგორც თუნდაც ავგოლიკოსის შემთხვევაში.

9. ჯერ ერთი, როგორც მანათობელი რამ, ღამით მოგყინარე, იყრობს ყველას შვერას. ასევე იტაცებდა სილამაზე ავგოლიკოსისა ყველას თვალს. თანაც ამის შემოქმედებით სულში გამოწვეულ რაღაც განცდას ველარავინ უძლებდა: ერთნი ღუმდნენ, მეორენი კი რაღაცას მიანიშნებდნენ ხელებით.

10. ღირსსანახავია ყველა, რომელიმე ღმერთის მიერ შეპყრობილი, ასეთთავან ზოგნი გორგონასებრ გამოიშვირებიან, ზოგთ ხმა უხდებათ თავმარდამცემი, ზოგთ კი – მოძრაობა მშავი, ხოლო უბიწო ეროსით მოყულთ, მშერა აქეთ თბილი, ხმა – ხავერდოვანი. ხოლო მანერები – თავისუფალი ადამიანისთვის ნიშანდობლივი. ეროსის და ამ ღმერთის საიდუმლოებაგანდობილთა გავლენით სწორედ ასეთი იყო კალიასი. დიდებული რამ იყო მისი ყურება.

11. ასე რომ, სტუმრები მღუმარედ სადილობდნენ, თითქოს რომელიმე უზენაესი ღმერთის ბრძანებას ასრულებენო. ამ დროს კარზე ფილიპოსმაც დააკაკუნა. ხუმარამ სთხოვა კარისკაცს, ეუწყებინა მასპინძლისათვის, ვინ იყო და რისთვის მოსული და თან დასძინა, რომ მოიძღვანია ყოველივე, რაც კი საჭირო იყო სხვის ხარჯზე სანადიმოდ, რომ მის ხელზე მოსამსახურე ძლიერ იყო დამძიმებული, ვინაიდან უმზოდ გადავილს თან არაფერი მოქქონდა.

12. ამის გამგონე კალიასმა თქვა: – მეგობრებო, ცხადია, სირცხვილი იქნება თავმესაფარზე უარი ვუთხრათ, შემოვიდეს და თან ავგოლიკოსს გახედა, ჩანს, აინგერესებდა როგორ მიიღო მისი გახუმრება მან.

13. ფილიპოსი გაჩერდა შუაგულ დარბაზში, სადაც სუფრა იყო გაშლილი და წარმო-სთქვა: – თქვენ ყველას მოგხსენებათ, რომ ხუმარა ვარ, აქ ჩემი ნებით მოვედი, ვინაიდან ვიფიქრე, რომ უფრო სასაყილო იქნებოდა, თუკი ნადიმად წვევის გარეშე, დაუპატიებლად გამოეცხადებოდი. – მამ წამოწექი – მიუგო კალიასმა – ხომ ხედავ, აქ მყოფნი, აღვსილნი სიღინჯით, სიყილს სრულიად მოკლებიან.

14. სადილობისას ფილიპოსმა უმაღლე მოიწადინა სახუმარო რამ ეთქვა, რათა აღესრულებინა თავისი მოვალეობა, რისთვისაც იწვევდნენ ხოლმე ყოველთვის. მაგრამ მისმა ნათქვამმა სიყილი ვერ გამოიწვია, რამაც, ცხადია, დაამწუხრა ის. პატარა ხანი რომ გამოხდა, ის კიდევ შეეცადა გახუმრებას, მაგრამ როცა ამ ხუმრობასაც არ მოჰყვა სიყილი, მან გახურებული ნადიმისას ჭამა შეწყვიტა და იწეა ისე, თავწაფარებული.

15. მამინ კითხვა კალიასმა მას: – რა დაგემართა, ფილიპოს? რაიმე ხომ არ გაწუხებს? მან კი კენესასავით უპასუხა: – ღიახ, კალიას, ეფიყავ ზევსს, ძალიანაც მაწუხებს. თუკი სიყილი ადამიანებს მიაგოვებს, ჩემს ხელობასაც მოვლება ბოლო. უწინ იმისთვის მიწვევდნენ, რათა სტუმრებს ჩემი მახილსიგყვაობით ემხიარულათ. აბა, ახლა რისთვისაა მიმიწვევენ? მე, ჩემი მხრივ, დინჯად ყოფნა იმაზე ნაკლებად როდი ძალმიძს, ვიდრე უკვდავად ქცევა: არც მაგიერი მიაგოვების იმედად დამიძახებს ვინმე, რამეთუ იყიან, რომ ჩემთან რაიმეს წამოძღვანიება წესი არ არის. ამბობდა რა ფილიპოსი ამ სიგყვებს, თან ცხვირს აცემინებდა, მისი ხმა კი სლუკუნს უფრო მოგავგონებდათ.

16. ამიგომ ყველამ დამშვიდება დაუწყო მას, კპირდებოდნენ, რომ სხვა დროს გაიყინებდნენ, ოღონდაც ახლა ეჭამა. კრიგობულეს სიყილიც კი წასკდა ხუმარასადმი ესოდენი სიბრაღელისა გამო.

1. როცა სუფრა ააღაგეს, თანამეინახეებმა ზედაშე შესწირეს და გალობა ადავლინეს, სწორედ ამ დროს მოვიდა მათთან ერთი ეინმე სირაკუსელი ფლეიგამე დამკერულ და თანაც მშეენიერ მოცეკვაეე ქალთან ერთად, ერთ იმათგანთან, საოცრებებს რომ სჩადიან ხოლმე და კიდევ ერთ ძალიან ლამაზ ბიჭთან ერთად, რომელიც ჩინებულად უკრავდა კითარაზე და ცეკვადა კიდევ. სირაკუსელი მათ ხელოვნებას საზოგადოებას საკეირეულებად წარუდგენდა ხოლმე და თან ამაში ფულს იღებდა.

2. როცა ჯერ ქალმა დაუკრა ფლეიგამე, შემდეგ კი – ვაჟმა კითარაზე, და როგორც გამოჩნდა, ფრიად ასიამოვნა სტუმრებს, მაშინ სოკრატემ თქვა: – ვფიცავ ზეესს, კალიას, სრულყოფილად გემასპინძლობ, მარგო სადილი კი არ იყო უნაკლო, არამედ მზერა და სმენაც დაგვიტკბე.

3. კალიასმა კი მიუგო: – რა იქნება, თუკი სურნელოვან ზეთსაც მოგვიტანენ, რათა კეთილსურნელებითაც ვაგვიმასპინძლდნენ? – არ არის საჭირო – შეეპასუხა სოკრატე – როგორც სხვა კაბა ამშეენებს ქალს, სხვა კი – მამაკაცს, ასევეა სურნელიც: ერთი შეკუფერის ქალს, მეორე – კაცს. რაც შეეხება მამაკაცს, უნდა ვივარაუდოთ, რომ არც ერთი კაცი არ იცხებს სურნელოვან ზეთს. რაც შეეხება ქალებს, მით უმეტეს, ახალ პატარძლებს, როგორნიც ნიკერატოსისა და კრიტობულოსის ცოლები არიან, იმათ აბა რაში სჭირდებათ სურნელოვანი ზეთი? ისინი ხომ თავად აფრქვევენ სურნელს? ხოლო ქალებს იმ ზეთის სურნელი უფრო სიამოვნებთ, რომელიც საეარჯიშო დარბაზებშია, თუმცა უმჯობესია ის არ იყოს.

4. რადგან მონა იცხებს სურნელოვან ზეთს, თუ თავისუფალი ადამიანი, სულ ერთია, ერთნაირი სუნი ექნება ორივეს, ხოლო თავისუფალი ადამიანისთვის ნიშანდობლივი შრომის სურნელს, წინდაწინ ბევრი ჯაფა და დიდი დრო სჭირდება, რათა ის სასიამოვნო და შესაფერისი იყოს მისთვის. ლიკონმა კი იკითხა: – ეს ყოველივე ახალგაზრდებს ეხებათ, ჩვენ კი, ვინც აღარ ვეარჯიშობთ, რის სუნს უნდა ვაფრქვევდეთ? – სათნოებათა სურნელს – ვფიცავ ზეესს, – მიუგო სოკრატემ – მაინც სად იშოვება ეგ სუნამო? – არა სურნელოვანი ზეთების გამყიდველებთან – ვფიცავ ზეესს – იყო სოკრატეს პასუხი. – მამ სად? – თეოგნიდესმა ბრძანა: „კეთილთაგან სიკეთეს სწავლობ, ცუდთაგან კი გონებას, რაც გაქვს, იმასაც უკარგავ“ (I, 35).

5. აქ კი უკვე ლიკონმა მიმართა შვილს: – გესმის, შვილო? – დიახ, ვფიცავ ზეესს! – ესმის – თქვა სოკრატემ და საქმით დაამტკიცებს ამას. სურდა ძლეით შემოსილიყო მრავალჭიღში, ასლა კი შენთან ერთად დაუფიქრდება იმას, თუ ვინ იქნება მეგობრად უკეთესი ამ საქმეში და მასთან გააბაზს კავშირს.

6. ამას მოჰყვა ყველას ხუმრობა: ერთმა თქვა: – სად იპოვის ამის მასწავლებელს? მეორემ აღნიშნა, რომ ამის სწავლა შეუძლებელია, მესამე კი შეეწინააღმდეგა, რომ ამის სწავლაც ისევეა შესაძლებელი, როგორც სხვა რამის.

7. სოკრატემ კი შენიშნა: – ეს სადავო სკითხია, სხვა დროისათვის გადავდოთ და იმას მივხედოთ, რაც ჩვენ წინაშეა. აი, მე ეხედავ მოცეკვაეე ქალს, რომელსაც აძლევენ რგოლებს.

8. ამის შემდეგ მეორე ვოგონამ ფლეიგის ხმაზე ააცეკვა პირველი, ხოლო მოცეკვავის ასლო მდგომმა მამაკაცმა მას ერთიმეორეზე მიყოლებით სტყორცნა რგოლები, სულ თორმეტი. ისიც ცეკვა-ცეკვით იჭერდა მათ, მაღლა ისროდა და თანაც ისე, რომ ეტრიალათ. ამავე დროს ის ითვალისწინებდა სროლის სიმაღლესაც, რათა მუსიკის გაქტში ჩატეულიყო.

9. ამის შემხედვარე სოკრატემ კი თქვა: – მეგობრებო, როგორც ბევრი სხვა რამ. ისე ესეც, რასაც ეს ვოგონა აკეთებს, გვიდასტურებს იმას, რომ დედათა ბუნება არაფრით ჩამოუკარდება მამრთა ბუნებას, გარდა გონებრივი მონეუქმების და ფიზიკური ძალისა, ასე რომ, თუკი რომელიმე თქვენგანსა ჰყავს ცოლი, დაე, ასწავლოს თამამად ყოველივე ის, რის ხილვასაც მასში მოისურვებდა.

10. აქ კი ანგისთენეც ჩაერთო: – სოკრატე, თუკი შენი აზრი ასეთია, მაშ რაგომ არ აღზრდი ქსანთიოპეს. რომელზე მძებნავარეც, ჩემი აზრით, არაეინ არის, არც ყოფილა და არც იქნება? – იმიტომ რომ, – უპასუხა სოკრატემ, – რამდენადაც მე მაქვს შენიშნული, მხედრობაში გაწაფვის მოსურნენი თვინიერ ცხენებს კი არ ირჩევენ ხოლმე, არამედ ფიცხებს. ისინი ფიქრობენ, რომ თუკი ასეთებს ვახედნიან, სხვა ცხენებს უფრო იოლად დაიურვებენ. პოდა მეც. ადამიანებთან ურთიერთობის მოყვარულმა, ქსანთიოპე იმ რწმენით შევირთე ცოლად, რომ თუ მას გაუძლებდი, ყველა სხვა ადამიანთან გამი-აღვილდებოდა ურთიერთობა. ეს სიტყვები კი, ცხადია, არ იყო უბრალოდ ნათქვამი.

11. შემდეგ ამისა მოიგანეს რგოლი, რომელსაც სიმალღებე ჩასობილი ჰქონდა მახვილები. მოცეკვავე ქალი მათ შორის ყირამალას გადადიოდა. ისე ხტოდა, რომ მაყურებლებს ემინოდათ, რამე არ დამართნოდა მას. მოცეკვავე კი ამას თამამად და მშვიდად აკეთებდა.

12. სოკრატე კი მიბრუნდა ანგისთენესაკენ და უთხრა: – ვინც ამას იხილავს, არ იქნება წინააღმდეგი თქვას, რომ სიმამაის სწავლაც შესაძლებელია. მართალია, ის ქალია. მაგრამ ძალიან ღაღად დახგის ხმლებს შორის.

13. ამაზე ანგისთენემ მიუვო: – აქედან გამომდინარე, ამ სირაკუსელისათვის იქნებ უკეთესი იყოს თავისი მოცეკვავე მთელ ქალაქს წარუდგინოს და უთხრას, რომ თუკი ათენელები ფულს გადაუხდიან, მათ ისეთ მამაცებად გარდაქმნის, რომ შუბსაც კი წამოუგებინან.

14. ხუმარამ კი თქვა: – ვფიცავ შენს, მე, ჩემი მხრივ, ვისურვებდი მენახა ჩვენი სახალხო წინამძღოლი, პისანდროსი, ხმლებს შორის ყირამე გადასვლას როგორ ისწავლიდა, მაშინ როცა, ის შუბს ვერ იგანს და ლაშქრობისას სხვებთან ერთად ბრძოლაზეც უარს ამბობს.

15. ამის შემდეგ იცეკვა ბიჭმა: – ხედაეთ, – თქვა სოკრატემ, – მართალია, ყმაწვილი ლამაზია. მაგრამ როცა ის საცეკვაო ილეთებს ასრულებს, იმაზე ლამაზად გამოიყურება. ვიდრე უმოძრაობის შემთხვევაში. – მგონი, შენ ცეკვის მასწავლებლის შექება გწალია, – მიმართა სოკრატეს ქარმიდემ.

16. ღიახ, – თქვა სოკრატემ, – აი, რა აღმოვაჩინე: ამ ცეკვისას სხეულის არც ერთი ნაწილი არ იყო უძრავად, შეთანხმებულად მოძრაობდნენ: კისერი, ფეხები და ხელები. ასე უნდა ეცეკვადეს ის. ვისაც სხეულის სიმსუბუქე სურს. მე კი, სირაკუსელო, – დაამატა სოკრატემ ნათქვამს, – ვისურვებდი, საცეკვაო ილეთები შენგან მესწავლა. – კი მაგრამ, რაში გვირდება? – ჰკითხა მან. – რათა ვიცეკო – ვფიცავ შენს!

17. ცხადია, ამაზე მყისვე გაეცინა ყველას, სოკრატემ კი მომეტებული სიღინჯის გამოხატული სახით თქვა: – დამცინით? ნუთუ იმის გამო, რომ ვარჯიშით გაკაყება მოვისურვე, ან იქნებ იმიტომ, რომ შინდა მეტი სიამოვნებით დაენაყრდე და მოვისვენო? განა მე ისეთ ვარჯიშებს ვესწრაფვი, რომელთა გამო ფეხები სივდება, მხრები კი ვიწროვდება, როგორც ეს შორბენლებს ემართებათ, ან ისეთს, როცა მხრები ფართოვდება. ფეხები კი წვრილდება, როგორც ამას მოკრიეებში ვხვდებით? არა, მე მთელი სხეულის ვარჯიში, მისი ნაკეთების წონასწორობაში მოყვანა მსურს!

18. იქნებ იმაგომ დამცინით, რომ არ დამვირდება ჯუფთის ძებნა და არც სიჭარმაგეში საჯაროდ გამიმელება მომიწევს, რომ შვიდი ლოყის მოცულობის ოთახიც მეყოფა, როგორც ამ ბიჭს ჰყოფნის ეს მენობა ოფლის საღვრელად? რომ ზამთრობით ჭერქვეშ ვივარჯიშებ, ხოლო როცა ძალზე ეცხლება – ჩრდილქვეშ?

19. ან იქნებ იმაზე იცინით, რომ მე უზომოდ დიდი მუცლის დაგდება მინდა? ნუთუ არ იცით, რომ არცთუ დიდი ხნის წინ, განთიადისას, სწორედ ეს ქარმიდე გადამეყარა ცეკვისას? – ღიახ, ვფიცავ შენს, – თქვა ქარმიდემ, – პირველად გავოცდი, შემემინდა, სომ არ გავიქვდა-მეთქი, ხოლო როცა შენი ახლანდელის მსგავსი მოსაზრებანი მოვისმინე, მართალია, სახლში დაბრუნებულს ცეკვა არ დამიწყია, ვინაიდან არასოდეს მისწავლია, მაგრამ ხელ-ფეხს მაინც ვიქნევიდი, რადგან ეს ნამდვილად შემიძლია.

3. - ასეთ შემთხვევაში, - თქვა სოკრატემ, - სიამოვნებით მივიღებდი კალიასის დანაპირებს: სწორედ მან აღვვითქვა, რომ თუკი მასთან ვისაღილებდით, თავისი განსწავლულობის ნიმუშს წარმოგიდგენდა. - გიჩვენებთ კიდევ, - მიუგო კალიასმა, თუკი ყოველი თქვენგანი საჯაროდ წარმოადგენს, რაც რამ იცის კარგი. - არავინაა წინააღმდეგი. - თქვა სოკრატემ, - არც უარს ამბოს ვინმე, გეთხრას რა ცოდნას მიიჩნევს ღირებულად.

4. - თუკი ასეა, - თქვა კალიასმა, - გეტყვით, რითაც ეამაყო. ჩემი აზრით, შემძლია ადამიანები უკეთესებად ვაქციო. მაშინ ანგისტენემ ჰკითხა: - ორიდან რომელს ასწავლი, ხელობას რასმე, თუ სათნობას? - სათნობას, თუკი სამართლიანობა სათნობაა. - ვფიქვან გვეს, ეს უდავოდ ასეა, - თქვა ანგისტენემ. სიმამაცე და სიბრძნე ზოგჯერ მიაწინს მომგანია მეგობრებისა და თანამოქალაქეებისათვის, სამართლიანობას კი არაფერი აქვს საერთო უსამართლობასთან.

5. - მამ ასე, როგორც კი ყოველი თქვენგანი იცყვის, თუ რა აქვს მას სარგებლის მომგანი, მაშინ, ჩემი მხრივ, მეც არ ვიგყვი უარს დავასახელო ის ხელობა, რომლის მეშვეობითაც ამას ვიქმ. ნიკერატოს, მოდი ახლა შენ თქვი, - განაგრძობდა კალიასი, - ყველაზე მეტად რისი ცოდნით მოგაქვს თავი? მან მიუგო: - მამაჩემი ზრუნავდა რა იმაზე, რომ კარგი კაცი დავმდგარიყავი, მაიძულებდა ჰომეროსის ყველა ქმნილება შემეწავლა, ასე რომ, ახლა მე შემძლია მთელი „ილიადა“ და „ოდისეა“ გეპირად წარმოვთქვა.

6. - ნუთუ დავავიწყდა, - მიმართა მას ანგისტენემ, რომ ეს პოემები რაფსოდებმაც იციან გეპირად? - მაგას რა დამავიწყებს, - უპასუხა მან, - როცა მათ მე თითქმის ყოველდღე ვესმენ? - ადამიანთა მოდგმაში რაფსოდებზე უბრიყვესი თუ იცი ვინმე? - არა. ვფიქვან გვეს, მგონი, არ ვიცი - მიუგო ნიკერატოსმა. - ცხადია, - თქვა სოკრატემ, - ისინი დაფარულ ამრს ვერ სწვდებიან. შენ კი, ნიკერატოს, დიდი თანხა მიეცი სტესიმბროტოსს, ანაქსიმანდროსსა და ბევრსაც სხვას, რათა ღირებული არაფერი გამოგრჩენოდა.

7. - აბა შენ, კრიტობულოს, რითი მოგაქვს თავი? - განაგრძობდა სოკრატე. - სილამაზით, - იყო პასუხი. - განა შეგიძლია თქვა, - მიმართა მას კელაე სოკრატემ, - რომ შენი სილამაზით ჩვენ უკეთეს ადამიანებად გვაქცევ? - თუ ვერა, მაშინ გამოდის, რომ გამოუსადეგარი ვყოფილვარ.

8. - შენ, ანგისტენეს, შენ რითილა ამაყო? - ჰკითხა მან ანგისტენესს. - სიმდიდრით, - უპასუხა მან. მაშინ ჰერმოგენემ ჰკითხა ანგისტენესს, ბევრი ფული ჰქონდა თუ არა მას. ფილოსოფოსმა დაიფიცა, რომ ობოლიც არ გააჩნდა. - იქნებ მამულები გაქვს შეძენილი? - კარგი, გეყოფა ჩვენი ავგოლიკოსის სილაში ამოგანგვლა.

9. - მასაც უნდა მოეუსმინოთ. ქარმიდე, - მიმართა სოკრატემ, - შენ რითილა ამაყო? - მე, პირიქით, სიღარიბით მომაქვს თავი დიდად, - იყო პასუხი. - ვფიქვან გვეს, - თქვა სოკრატემ, - ვგ ფრიად სასიამოვნო რამაა, ყველაზე ნაკლებ შესამური. მის გამო არ იბრძვიან, ის დაუცველადაც კი დაცულია, ზრუნვას მოკლებული, უფრო და უფრო იმაგებს ძალებს.

10. - სოკრატე, აბა შენ რითილა მოგაქვს თავი? - ჰკითხა კალიასმა. ის მრავალმნიშვნელოვნად შეყოვნდა და მიუგო: - შუაკაცობით. მას შემდეგ, რაც მას ყველამ სიცილი დააყარა, სოკრატემ მიმართა მათ: - თქვენ კი იცინით, მაგრამ მე ვიცი, რა დიდ ქონებას შევიკრებდი, თუკი ჩემს ხელობას გასაქანს მივეცემდი.

11. - შენ ფილიპოს - ახლა ლიკონი მიუბრუნდა ფილიპოსს: - ცხადია, ამაყო შენი ხეშარობით. - დიახ და ფრიად სამართლიანადაც, - უპასუხა მან, - ვიდრე მსახიობი კალიპიდესი, რომელიც თავს იმით იწონებს, რომ შეუძლია ბევრი ჩამოსხას ცრემლმდინარედ.

12. - ლიკონ, იქნებ შენც ვეითხრა, რითი მოგაქვს თავი? - ჰკითხა ანგისტენემ. ლიკონმა უპასუხა: - განა ყველამ არ იცით? ჩემი ვაჟით, მას კი - კელაე იკითხა ვილა-

ცამ – ალბათ თაყისი გამარჯვებით. ავტოლიკოსი წამოწითლდა და თქვა: – სულაც არა, ვუიყავ ზევს!

13. შემდეგ ამისა ყველამ, გახარებულმა იმით, რომ მისი ხმა გაიგონეს, მზერა მიაპყრეს მას. ვილაყამ ჰკითხა: – მაშ რითი, ავტოლიკოს? მან მიუგო: – მამაჩემით და მიუკრა მას. ეს რომ კალიასმა დაინახა, თქვა: – ლიკონ, ხედები მაინც, ყველაზე მდიდარი რომ ხარ ადამიანთა შორის? – ღიახ, ფაქტზე წამასწარით, ალბათ, მართლაც ყველაზე მდიდარი ვარ!

14. – ჰერმოგენე, შენ რითილა ბრწყინავ? – ჰკითხა მას ნიკერატოსმა. – მეგობართა სატნოებებითა და სიძლიერით. – თქვა მან, – და იმით, რომ ისინი ბრუნავენ ჩემზე. აქ კი ყველამ მას შეხედა და ბევრმა ჰკითხა კიდევ, დაასახელებდა თუ არა მათ. მან კი მიუგო, რომ წინააღმდეგი არ იყო.

IV

1. ყოველივე ამის შემდეგ სოკრატემ თქვა: ისლა დავერჩენია, აღნიშნულ საჯანთა დიდი ღირებულება წარმოვაჩინოთ. – უიირველეს ყოვლისა. მე მომისმინეთ – ბრძანა კალიასმა – იმ დროს, როცა თქვენ კამათობთ იმის შესახებ, თუ რა არის სამართლიანობა, მე ადამიანებს ვეხმარები სამართლიანნი გახდნენ. – კი, მაგრამ, როგორ. ჩემო კარგო? – ჰკითხა სოკრატემ. – ვუიყავ ზევს, ფულს ვაძლევ ხოლმე.

2. აქ კი წამოდგა ანგისტენე და მეტი სიხალისათვის ჰკითხა მას: – კალიას, შენ როგორ გვინია, სამართლიანობა რაში აქეთ ადამიანებს სულში თუ აბგაში? – სულში, – მიუგო მან. – და შენ, მას შემდეგ, რაც ვერცხლს საშულეში ჩაუჩხრიალებ, მათ სამართლიანობისკენ მიმართავ? – ნამდვილად! – როგორ? – ადამიანებს, იყიან რა, რომ აქეთ შესაძლებლობა საჭიროებისამებრ შეიძინონ ის, რაც სურთ, აღარც ბოროტმოქმედება უნდათ და აღარც თავის ხიფათში ჩავდება.

3. – გაძლევენ კი რამეს იქიდან, რასაც იღებენ? – ჰკითხა ანგისტენემ. – ვუიყავ ზევს, ნამდვილად არა, – მიუგო მან. – როგორ, ფულის მაგიერად მადლობას ვიხდიან? – ვუიყავ ზევს, არც მაგას აკეთებენ, ზოგნი უფრო მგრულადაც კი შეკიდებიან, ეიღრე ფულის მიღებად. – გასაოყარია, – თქვა ანგისტენემ და თან კარგად დააკვირდა მას. შენ შევიძლია ისინი სამართლიანობით განაწყო ყველას მიმართ, გარდა შენი თავისა?

4. – კი, მაგრამ. ამაში რა არის გასაოყარი? – გაიკვირვა კალიასმა. განა ცოტა ხურო და მშენებელი ვინახავს, რომელნიც სხვათათვის სახლებს აშენებენ, თავიანთთვის კი ვერ ახერხებენ და ნაქირავეებში ცხოვრობენ? – სოფისგო, ჩანს, დამარცხდი, უნდა აიგანო.

5. – ვუიყავ ზევს, – ჩაერთო საუბარში სოკრატე, – ის უნდა შეურიგდეს ამას. როგორც ამბობენ, ნათელმხილველნიც უწინასწარმეტყველებენ ხოლმე მომავალს სხვათ, თავისას კი ვერ ხელებიან. ასე დამთავრდა მაშინ მათი ბაასი.

6. ამის შემდეგ ნიკერატოსმა თქვა: – მეც მომისმინეთ, ვითხრათ, რითი გახდებით ჩემთან თანაობით უკეთესნი. თქვენ, რა თქმა უნდა, იყით, რომ ბრძენი პომეროსი თავის ქმნილებებში ყველა ადამიანურ საქმეზე საუბრობს, ასე რომ, თქვენგან ვისაც სურს, რომ გახდეს დახლოებული მნე, სახალხო წინამძღოლი, ჯარის მეთაური, ან კიდევ აქილევსის, აიასის, ნესტორისა და ოდისევსის მსგავსი, მე უნდა მომავოს პატივი, მე ხომ ეს ყოველივე ვიცი. – როგორ, მეფობაც შევიძლია, რადგან იყი, რომ პომეროსმა ავამეშნონი შეაქო, ვითარცა კარგი მეფე და სწორუკოვარი შუბოსანი? – ჰკითხა ანგისტენემ. – ღიახ, ვუიყავ ზევს! – უპასუხა ნიკერატოსმა, – მე, ჩემი მხრივ, ისიც კი ვიცი, რომ ეგლს როცა მართავ, ბოძთან ახლოს უნდა მოუხვიო. „თვითონ მაგრად იდექ ლამამ ეგლზე, მარცხნივ სულ ოდნავ გადაიხარე, ცხენი რომ გყავს მარჯვენა ხელთან, მათრახი დასცხე და სადავე მიუშვი სულაც“.

7. გარდა ამისა, მე ვიცი ისიც, და თქვენ შესაძლებლობა გაქეთ ახლავე დარწმუნდეთ ამაში, რომ პომეროსი ბრძანებს სადღაც: „ხახვი კარგი მისაყოლებელიაო

ბისიას". და თუ ვინმე მოიგანს ხახვს, თქვენ ახლავე ნახავთ სარგებელს – სიამოვნებით დალევთ.

8. ახლა ქარმიდემ გამოთქვა აზრი: – მეგობრებო, ნიკერატოსს სურს, რომ მას ხახვის სუნი ასდიოდეს, რათა სახლში დაბრუნებისას ცოლმა ირწმუნოს, რომ მისი კოცნის სურვილი აზრად არაღის მოუვიდოდა. – ეს ასეა, ვფიქროვებ, – თქვა სოკრატემ. მაგრამ სხვაგვარი პატივის მოხვეჭის საფრთხე გველის – დაცინვის. ხახვი, რა თქმა უნდა, ნამდვილად მისაყოლებელია, ვინაიდან ის არა მარტო საჭმელს, სასმელსაც გემოს კმატებს. ასე რომ, თუკი ჩვენ მას სადილის შემდეგაც მივირთმევთ, ვინც რა უნდა თქვას, ჩვენ კალიასთან არა სხვათა, საკუთარი თავის მოსაუერებლად შოვედით.

9. – სოკრატე, არ ეგების – მიუგო ქარმიდემ. – ის, ვინც ბრძოლას ეშურება, მისთვის მისწრებაა ხახვის ჭამა, ისევე როგორც, ზოგნი ნიორნაჭამ მაძლებს უშეებენ საძიძვილოდ. ჩვენ კი უფრო მეტად იმაზე ვფიქრობთ, ვინმეს როგორ ვაკოცოთ და არა როგორ ვიბრძოლოთ. დაახლოებით ასე და ამგვარად დასრულდა ეს კითხვა-პასუხი.

10. კრიტობულოსმა კი თქვა: – კეთილი, მეუ ვიკყვი, რა უღვეს საფუძვლად სილამამით ჩემს თავმომწონეობას. – თქვი. – დასთანხმდნენ ისინი. – მე თუ ლამაზი არა ვარ, მაშინ, ჩემი აზრით, სამართლიანი იქნებოდა თქვენი სამართალში მიცემა ტყუილის გამო. რამეთუ არავინ გაიძულებდათ დაგეფიყათ, არადა მუდამ ფიქტებში ირწმუნებოდით, რომ ლამაზი ვარ. მე კი, ცხადია, გენდობოდით და კეთილშობილებადაც მივიჩნევდით.

11. მაგრამ თუკი ნამდვილად ლამაზი ვარ და თქვენ ჩემ წინაშე იმასვე განიცდით, რასაც მე იმ ადამიანის ხილვისას, ვისაც მე ლამაზად მივიჩნევ, მაშინ, ყველა ღმერთს გუფიყებთ, სილამაზეს სამეფო ხელისუფლებაშიც არ გავცვლიდი.

12. ახლა მე უფრო დიდი ნეტარებით ვუყურებ კლინიასს, ვიდრე ყველა სხვა ამსოფლიურ სილამაზეთ. სიბრმავეს ავირჩევდი ყოველივეს მიმართ, გარდა ერთის, კლინიასისა. მძულს ღამე და მძულს სიმზარიც, ვინაიდან მას ვერ ვხედავ, ხოლო დღისა და მზის მაღლიერი ვარ დიდად, მისი მჭვრეტელი.

13. ჩვენ, ლამაზებს, თავი იმითაც შეგვიძლია მოვიწონოთ კიდეც, რომ ძლიერ ადამიანს ქონების შესაძენად მუშაობა სჭირდება, მამაცს ხიფათი ელის. სწავლულს – ბაასი, ლამაზს კი შეუძლია უშრომლადაც ყველაფერს მიაღწიოს.

14. ამიტომ, მართალია, მე ვიცი, რომ ფული კარგი რამაა, მაგრამ რაც მაქვს, სიამოვნებით მიეცემდი კლინიასს, ვიდრე ვინმესგან მივიღებდი რამეს. თავისუფლებას ნეტარებით გავცვლიდი მონობაზე, თუკი კლინიასის მორჩილებაში ვიქნებოდი, მისთვის შრომა უფრო გამიიოლდებოდა, ვიდრე დასვენება, უსაფრთხოებას მისი გულისთვის საურთხეს ვარჩევდი.

15. ამრიგად, თუ შენ, კალიას, თავი დიდად მოგაქვს იმით, რომ შეგიძლია ადამიანები უფრო სამართლიანნი გახადო, მე კიდე შენზე მეტი ის შემიძლია, რომ ყველა სათნოებისაკენ მივმართო. ჩვენ, ჩვენი სილამაზის წყალობით, რალაციტ მთავაგონებთ ხოლმე შეყვარებულთ. ჩვენი გამოისობით ისინი უფრო გულუხვნი ხდებიან, უფრო შრომისმოყვარენი და უფრო მეტად სახელის მაძიებელნი განსაცდელში და ამასთანავე უფრო მოკრძალებულნი და თავმეკაევებულნი, იმისი კი ერიდებათ, რაც ყველაზე უფრო სჭირდებათ ხოლმე.

16. უკუნურნი არიან ისინი, ვინც სარდლებად ლამაზებს არ ირჩევენ. აი, მაგალითად, მე კლინიასის მეთაურობით თუნდაც ცეცხლში გავივილიდი და ვიცი, თქვენც ამასვე გააკეთებდით ჩემთან ერთად. ასე რომ, ნულარ დაუჭვლები, სოკრატე, იმაში, რომ ჩემი სილამაზე საზოგადოებას რაღაც სარგებელს მოუტანს.

17. ცხადია, არც იმას უნდა ჩავეძიოთ, რომ სილამაზე წარმავალა. ლამაზი შეიძლება იყოს როგორც ბავშვი, ასევე ჭაბუკი, მამაკაცი და მსოფლიანი. აი, მტკიუნბულებაც: ათენას პატივსაცემად ბეთისხილის გოგების დამტარებლად ლამაზ მოხუცებს ირჩევენ ხოლმე დასტურად იმისა, რომ სილამაზე ყველა ასაკის თანმდევი.

18. და თუკი საამოა, ლამაზთაგან მათიეე თანხმობით მიილო ის, რაც გინდა, ღრმად ვარ ღარწმუნებული, რომ ამ ბიჭს და ამ გოგოს მე, მღუმარე, უფრო მალე დაეარწმუნებდი ჩემთვის ეკონათ, ვიღრე შენ, სოკრაგე, თუმეა ბეერს უზნობ, და თანაყ ჭკეი-ანურს.

19. — ეს რა ამბაეია? — იკითხა სოკრაგემ, — ისე მოგაქეს თაეი, თითქოს მართლაც ჩემზე ლამაზი იყო. — ღიახ, ვფიყაე გეესს, ასე რომ არ იყოს, საგირული ღრამეების ყველა სიღენოსზე თაემარღამეევი ვიქნებოღი. სოკრაგე კი მართლაც ჭგაეღა მათ.

20. — მამ ასე, — თქვა სოკრაგემ, — ღაიმახსოერე, რომ ეს ბაასი სიღამამის შესახებ განჩინებას მოითხოვს, მას შემდეგ, რაც წარმოსათქმელი სიგყეანი წრეს შემოწერს. დაე, განგესაჯოს არა ალექსანღრემ, პრიამოსის ძემ, არამედ აი ამათ, რომელნიც, როგორც შენ გგონია, შენს სააღერსოდ ისწრაფიან.

21. — ნუთუ კლინიასს არ მიანღობ მაგ საქმეს, სოკრაგე? — არ შეწყყეე მუღმიეად კლინიასის ხსენებას? — თაეის მხრიე გაეპასუბა სოკრაგეე. — მის სახელს თუ არ ეახსენებ, რა გგონია, ნაკლებ მემახსოერება? განა არ იეი, რომ მისი სახე სულში ისე ნათლად მაქეს აღბეჭღიღი, რომ ფერმწერი, ან მოქანღაეე რომ ვყოფილიყაევი, ამ ანაბეჭღის მიხეღეით ნაკლებ მსგაეს სახეს როღი შეექმნიღი, ისეთს, თითქოს ნამღეიღად მისთვის მეყურებიწოს.

22. ახლა სოკრაგემ ჩამოართეა მას სიგყეა: — თუ ეს მართლაც ასეა და აღბეჭღიღი გაქეს მისი სახე, მამ ამოღ რად მრჯი ხოლმე და იქ მიგყაეეარ, საღაც კი მას ღაინახაე? — იმიგომ, რომ მისი ანასახი სიხარულს კი ვერ მგერის, სეეღას მიმბაფრებს მხოლოღ.

23. საუბარში ჩაერთო პერმოგენეე: — სოკრაგე, მე ვფიქრობ, ეს შენს საქეიელს არ ჭგაეს, რომ ღაგეშეა კრიგობულოსს სიყეარულისაგან ცნობა მიხღოღა. — ჩანს, ფიქრობ, ის ამ მღგომარეობამღე მას შემდეგ მიეიღა, რაც ჩემთან მეგობრობს? — მამ როღის! — ვერა ხეღეე მისი ქოჩორი ეს-ესაა ყურებს გაუსწორღა, მამინ, როყა თმა კლინიასს ახლა უეეე უკანა მხარეს გაღასღის? (ე.ი. კრიგობულოსი ახალგაზრღაა კლინიასზე). ეეცხლი მას ჯერ კიღეე მამინ შემოეგზწო, როყა მასთან ერთად სკოღამი ღაღი-ოღა.

24. მამამისმა — მიხეღა რა ამას — მე ჩამაბარა ის, ვინაიღან იმეღოენებღა, რომ ვეშეეღიღი რამეს. რა თქმა უნღა, ახლა ის ბეერად უეეათაა. უწინ კრიგობულოსი გორგონას მაქეერაღეით გამოიყურებოღა, გაქეაეებული მგერით უმგერღა და ქეაღქეეული ბიჯითაც არ შორღებოღა მას. აი, ახლა კი შეენიშნე, თეალი ღაახამხამა!

25. მეგობრებო, ღმერთებს გეფიეებით, ჩვენში ღარჩეს და მგონი, აკოყა კიღეე კლინიასს. კოცნა კი, მოგეხსენებათ, სიყეარულის ყვეღაზე აალებადი საშუალებაა და ტკბილ იმეღებს აღმრავს.

26. იქნებ იმიგომაც, რომ ბაგეებით შეხება ქმეღებათაგან ერთაღერთია, რომელიც თანამოსახეღეა სულისმიერი სიყეარულისა და საპაგოა ფრიად. აი, რაგომაც ვამტკიეებ, რომ ღამაზებთან კოცნას უნღა მოერიღოს ის, ვისაც თაეშეკაეევა ძაღუმს.

27. ქარმიღემ კი თქეა: — სოკრაგე, მამ რაგომაა, რომ შენ ღამაზთაგან განგეღრეე ჩენ, თეითონ კი, ვფიყაეე აპოლოწს, თაეაღეე ვიხიღე, თაეი როგორ მიაყრღნე კრიგობულოსის თაეს, მხარი — მხარს მისას, მიშეელს, როყა სკოლის მასწაეღებულთან ერთსა და იმაეე წიგწში რაღაყას ემებღით.

28. — ოჰ! — თქეა სოკრაგემ, აი, თურმე ხუთზე მეგი ღღის განმეეღობაში რაგომ მტკიოღა მხარი, ან გული რაგომ მჩხეღეეღა მხენცნაკენიეით. ახლა კი კრიგობულე, — მიმართა მას სოკრაგემ, — საჯაროდ, ამღენი მოწმის წინაშე გიყხაღებ, მანამ ვერ შემეხეები, სანამ ნიყაი თაეიეით არ შეგემოსება თმით. აი, ასე იყო ერთმანეთში არეული მამინ მათი ხუძრობა და ღინჯი ბაასი.

29. — ახლა შენი რიგია, ქარმიღე, — მიმართა მას კალიასმა, — განაგრძე საუბარი, თქეი, მანიწ რა უღეეს საფუძეღად შენს ესოღენ თაემომწონეობას სიღარიბით? — ყვეღა ერთხმად აღიარებს, რომ სჯობს არ გემინოღეს, ვიღრე გემინოღეს, თაეისუ-

ფალი იყო. ვიდრე მონა, ვინმეს იმსახურებდა, ვიდრე ემსახურებოდა, სამშობლო გენ-
ლობოდეს. ვიდრე არ გენლობოდეს.

30. ასე და ამგვარად, როცა მე ქალაქში მდიდრულად ვესოვრობდი, უპირველეს
ყოველსა, იმის შემინოდა, რომ ვინმე ჩემს სახლს საძირკველს გამოუთხრიდა, ფულს
მომპარაედა და თავად მეე რაიმე ცუდს შემამთხვედა. ამას გარდა, დამსმენთა მო-
თაფულაე მიწვედა. ვიცილი რა, რომ მათ მეტი ზიანის მოგანა შეეძლოთ ჩემთვის,
ვიდრე მე მათთვის. თანაე ქალაქი ყოველთვის რადაე გადასახადებს შემაწერდა
ხოლმე. გასაქციევი კი არსად იყო.

31. ახლა კი, როცა უცხოეთში მიწები დაეკარგე და ვერც აქაური მამულებიდან ვიწვე
მოსაეალს, სახლიდან კი ყველაფერი გასხვისებულია, ჩემს გემოზე მძინაეს, გამსლარ-
თულს. ქალაქი მენდობა, საურთისესაე აღარავისგან ველი. ახლა უკეე მე თვითონ ვარ
სხვაითთვის საურთისე. როგორც თავისუფალ ადამიანს, შემიძლია, აქაც ვიესოვრო და
უცხოეთშიე. ახლა უკეე მე წამომიღვებიან ხოლმე მდიდრები ფეხზე და გზასაე მითმობენ.

32. ახლა მეფეს ეგაეარ, მაშინ კი ნამდვილად მონა ვიყაევი. მაშინ მე ეუხდიდი
გადასახადს ხალხს. ახლა კი ქალაქი მისდის გადასახადს და მარჩენს კიდეე. როცა
მდიდარი ვიყაევი, სოკრაგესთან მეგობრობისთვის მკიცხაენენ, ახლა კი გავლარიბდი
რა, ჩემი დარდი აღარავის აქეს. გარდა ამისა, როცა ბევრი მექონდა, მუდამ რადაეცას
ეკარგაევი: მოეს ქალაქის წყალობით, მოესაე ბედისა. ახლა კი აღარაფერს ეკარგაე-
რადაგან არაფერი გამაჩნია, იმედი იმისა კი, რამე რომ შევიმაგო, მაქეს.

33. - მამასადამე, - მიმართა მას კალიასმა, - იმისთვისაე კი ლოცულობ, აღარა-
ხოდეს რომ არ გამდიდრდე და როცა კარგ სიზმარს ნახულობ, უბედურების ამრიდე-
ბელ ღმერთებს სწირაე მსხვერპლს? - არა, არა, მაგას არ ვიქმ, პირიქით ხი-
ფათისმოყვარე ესდები და თუკი რაიმეს მოენა მეიმედება, ვუძლებ განსაეცდელს.

34. - აბა ახლა შენ გვითხარი, ანგისთენე, ასეთი მცირეს მექონებელი, როგორ
ამაეობ სიმდიდრით? - კეითხა მას სოკრაგემ. - მეგობრებო, მე ვთვლი, რომ სიმ-
დიდრე და სიღარიბე ადამიანებს არა სახლებში, არამედ სულებში აქეთ.

35. ბევრი მდიდარი კერძო პირი მინახაეს, დიდი ქონების პაგრონი, რომელთაე
თაეი ისეთ ღარიბებად მიაჩნიათ, რომ ყოველგეარ საქმეს კეილებენ ხელს, ყოველგეარ
რისკმე მიდიან. ოღონდაე მეტი მოიხეეჭონ, ისეთი ძმების შესახებაე ვიევი, რომელთაე
ქონება თანაბრად მიიღეს, ამათგან ერთს კყოფნის და გასაეაღმე მეტი რჩება, მეორეს
კი ყველაფერი აქლია.

36. ისეთ გირანებმეე მსმენია, რომელნიე ფულს დასარბებულნი, უპოვრებზე მეტ
სამინელებებს სჩადიან. დაუკმაყოფილებლობის გამო ზოგნი ფულს იპარაენ, ზოგნი
კელებს ანგრეენ, ზოგნი ადამიანებს იგაეებენ. არიან ისეთი გირანებიე, მთელ
ოქახებს რომ ანადგურებენ, უმრაეელსობას ხოცაენ და ხშირად ფულისა გამო მთელ
ქალაქსაე დაიმონებენ ხოლმე.

37. ამიგომ ისინი, ამ უმძიმესი სენის გამო, ჩემი მხრივ, მართლაც ძალიან მე-
ბრალეებიან. ჩემი აზრით, მათ იმდაგეარიეე რამ აწუხებთ, როგორც ბერისმქონებელთ,
ბეერისმჭამელთ, მაგრამ მედმივად დაუკმაყოფილებელთ. მე კი იმდენი რამ მაქეს,
ძლიეძლიეობით ეპოულობ ხოლმე. ამრიგად, მე ის უპირაგესობა მაქეს, რომ დანაყრე-
ბულს აღარ მშია, დარწყულებულს აღარ მწყურია, ვიევაე ისე, რომ გარეთ ისეთ მდი-
დარზე მეგად არ ვითომებოდე, როგორიე კალიასია.

38. ხოლო როცა სახლში ვარ, უთბილეს ქიგონად მეჩვენება კელები, უთბილეს
მოსახაზად - ჭერი, ქეემაგები ისე მიფარავს, რომ სათუო საქმეა ჩემი გავლიძება,
ხოლო როცა ჩემი სხეული სიყვარულით დაკმაყოფილებას მთხოეს, იმაზეე ყაბულსა
ვარ, რაე არის. ქალები, რომელთაე მე მიემართაე ხოლმე, სიხარულით მხედებიან,
ენაიდან სხეას არაეის სურს მათთან ყოფნა.

39. ეს ყოველიეე კი მე იმდენად საამურად მეჩვენება, რომ თითოეულის აღს-
რეკლესის შეძლეე მეტ ნეგარებას აღარ ვისურვებდი, პირიქით, ზოგი მათგანი, მგონი,
ეურო საამოა, ვიდრე სასარეებლო.

40. ჩემს სიმდიდრეში უმაღლეს სიკეთედ მივიჩნევი იმას, თუკი რაც ახლა მაქვს, იმასაც წამართმევდნენ. როგორც მე ვხედავ, ვერანაირი ცუდი ვერ შეძლებდა იმას, რომ საკმაო სარჩო ვერ მემოვა.

41. და მართლაც, როცა მსურს სიამოვნება მივიღო ბაზარში როდი ვყიდულობ ფუფუნეულობას, ეინაიდან ძვირია, არამედ სულში მოვიძიებ ხოლმე. გაცილებით საამური, როცა იღებ იმას, რასაც მოთმინებით ელოდი, ვიდრე, როცა ძვირადღირებულ საკვებს იყენებ ჩვეულებრივ, როგორც ახლა მე, როცა თასოსურ ღვინოს ნდომის გამო კი არ ვსვამ, არამედ იმიტომ, რომ გადაეაწყვი.

42. უეჭველია, ბერად სინდისიერნი არიან ისინი, ვისაც იაფუფასიანი რამეები უყვართ და არა ძვირადღირებულის მოსურნენი, რამდენადაც ყოფნის კაცს ის, რაც აქვს, იმდენად ნაკლებად ეტანება სხვისას.

43. ყურადსაღებია ისიც, რომ ასეთი ქონება სიუხვით აღაესებს ადამიანს. მაგალითად, სოკრატე, რომლისგანაც მე ეს მივიღე, უანგარიშოდ და აურწყავად სწორედ იმდენს მაძლევდა, რამდენის თანწალებაც შემეძლო. ახლა კი უარს არც მე ვეუბნები ვინმეს. ჩემი სულის სიმდიდრეს ყველა მეგობარს ვუჩვენებ ხოლმე და უშურველადაც ვუყოფ.

44. ამას გარდა, თქვენ იმასაც ხედავთ, რომ ფულზე უამესი, მოცალეობა, მუდამ თან მახლავს. აქედან გამომდინარე, ეუყურებ იმას, რაც საყურებელია, ვუსმენ იმას, რისი მოსმენაც ღირს და რაც ჩემთვის ყველაზე ძვირფასია, მოცალედყოფი მარადლე სოკრატესთან ვარ. ისე, არც ის მოჰყავს ალგაყებაში ოქროს ზოდების დამთელელებს და ვინც მოსწონს, დროს სწორედ მათთან აგარებს.

45. აი, ასე უბნობდა ანგისტენე. კალიასმა უთხრა მას: – ვფიცავ პერას, ძმურს შენი სიმდიდრე, ვინაიდან ქალაქი გადასახადებს არ გაკისრებს, არც მონასავით გექცევა და არც იმათ მოსდით გული, ვისაც სესხს ვერ უბრუნებ. – ვფიცავ ზევსს, – შეუბრუნა კალიასს სიტყვა ნიკერატოსმა: – ნუ გმურს, ვინაიდან აქედან წასვლისას მისგან „არაფრის ნდომა“ უნდა ვისესხო, რამეთუ ასე მასწავლა ანგარიში პომპროსმა:

„იცეხლმუხებ შეიდ სამუფხას, ათ ოქროს ტალანგს, ოც კარდალასაც მოეღვარეს, თორმეტ მარდ მერანს“.

და მეც განუწყვეტლივ ის მსურს, რაც შეიძლება მეტად გავზარდო ჩემი ქონება როგორც ზომით, ასევე წონით. ალბათ, ამიტომაა, რომ ბევრი ძალიან ძუნწად მიმიჩნევს. აქ კი, იხადია, ყველას გაეცინა, რადგან ჩათვალეს, რომ ნიკერატოსი მართალს ამბობდა.

46. ამის შემდეგ ვილაყამ თქვა: – აბა, ახლა შენი რიგია, პერმოგენე, თქვი, ვინ არიან შენი მეგობრები, დაასაბუთე, რომ ღიდ-ღიდნი არიან და ზრუნავენ შენზე. მხოლოდ მაშინ გაცხადდება სამართლიანი რომაა შენი თავმოწონება მათით.

47. – ასე და ამგვარად: – დაიწყო პერმოგენემ, – ელინები და ბარბაროსებიც აღიარებენ, რომ ღმერთებმა უწყიან ყველაფერი: აწმყოც და მომავალიც, ეს სრულიად ნათელია. ყოველ შემთხვევაში ყველა ქალაქი და ყველა ხალხი ქადაგთა მეშვეობით ეკითხება ღმერთებს. რისი გაკეთება უამთ მათ და რისი არა. ჩვენ გვჯერა ისიც, რომ მათ ძალუბთ როგორც კარგის, ასევე ცუდის ქმნა და ნათელია ესეც: ყველა, რა თქმა უნდა, იმას ვედრება ღმერთებს, მანვე განარიდოს და სიკეთე უწყალობოს.

48. ამრიგად, ყოელის მხედველი და ყოელის შემძლე ღმერთები ისე მეგობრულად არიან ჩემდამი განწყობილნი, რომ საყოველთაო ზრუნვისას არასოდეს ვავიწყდები მათ: არც ღამე, არც ღღე, სადაც არ უნდა მივიღოდე და რასაც არ უნდა ვაკეთებდე. თავიანთი წინასწარყოღნის მეშვეობით, უწყიან რა ყოველი საქმის ბოლო, ისინი მაცნებად მიგზავნიან ხოლმე: ხმებს, სიმზრებსა და მომასწავებელ ფრინველებს და მიმანიშნებენ, რისი გაკეთება შეიძლება და რისი არა. როცა ამ მითითებებს ვითვალისწინებ, არასოდეს ენანობ, ურჩობისას კი დავსჯილვარ მყისვე.

49. – ამამი დაუჯერებელი არაფერია, – თქვა სოკრატემ, – მაგრამ მე მაინც ვისურვებდი შემეგყო, როგორ ემსახურები მათ, ესოდენ რომ გემეგობრებიან შენ? – ვფიცავ ზევსს, – მიუგო პერმოგენემ, – ეს ძალზე იაფი მიჯდება: ვადიდებ მათ და ამამი

არაკობს ვახდი. შათივე ნაბოძებიდან მყისვე უკან ვაბრუნებ წილს. სათნოდ ვმეგყვანულ და საქმეებში შათი მოწმეებად მოხმობისას შეგნებულად არ ვიგყუები, — ვფიცავ გეგებს. — ბრძანა სოკრატემ. — თუკი შენნაირს ღმერთები მეგობრებად გყავს, ჩანს, ძარბალაე უამთ შათი სათნობანი. აი, ასეთი ღინჯი იყო მათი ბაასი.

50. როცა აკრი ფილიპოსზე მიდგა, ჰკითხეს მას, რას ხედავდა მასხარაობაში კარგს და რაგომ იწონებდა მისით თავს. — განა თავმოსაწონებელი არ არის, — უპასუხა მან, — ყველა იცის რა. რომ ხუმარა ვარ, როცა საქმე კარგად მისდით, დიდი სიამოვნებით მიწვევენ ხოლმე. ხოლო როცა ცუდად, უკანმოუხედავად გარბიან, ვინაიდან ვმინიათ ჩემი დანახვისას თავისდაუნებურად არ გაეცინოთ.

51. — ვფიცავ გეგებს, — გამოეხმაურა ნიკერატოსი, — ნამდვილად სამართლიანად იწონებ თავს. აი, ჩემთან კი სულ სხვაგვარადაა საქმე: ჩემს მეგობართაგან ვინც კარგად ცხოვრობს, გამირბის. ხოლო ვისაც ცული რამ შეემთხვა, სულ ჩემთან ნათესაობაზე ლაპარაკობს და აღარ მმორღება.

52. — კეთილი, — თქვა ქარმიდემ, — შენ რითი ამაყობ, სირაკუსელო? — ნამდვილად ბაჭათ. არა? — ვფიცავ გეგებს, სულაე არა, — მიუგო მან, — პირიქით, მის გამო მუღმიე შიში ვარ. ვინაიდან ზოგნი მის დალუქვაზე ოცნებობენ.

53. ეს რომ სოკრატემ მოისმინა, წარმოიქცა: — ო, ჰერაკლეე, მაინც რას ფიქრობენ, ისეთი რა დაუშავა შენმა ბიჭმა, რომ მისი მოკელა განუმრახავთ? — არა, მისი მოკელა კი არ უნდათ, — უპასუხა სირაკუსელმა, — არამედ თავისთან დაწოლაზე სურთ დაითანხმონ. — შენ კი, ჩანს, ფიქრობ, რომ ეს თუ მოხდა, ის დაილუქება. სწორედაც, რომ, ვფიცავ გეგებს, — დაეთანხმა ის.

54. — მაშ, შენ თვითონ არ გძინავს მასთან? — ჰკითხა კელაე სოკრატემ. — ვფიცავ გეგებს, — არა, მთელ ღამეებს თეთრად ვათენებ. — ჰერას ვფიცავარ, — გაიკვირვა სოკრატემ, — დიდება შენდა, რომ ბუნებისგან ასეთი სხეული გრგებია, რომ მხოლოდ ის არ ღუქავს თანამოძინართ. ასე რომ, სხვა თუ არაფრით, ასეთი სხეულით ნამდვილად შეგიძლია. იამაყო.

55. — არა, ვფიცავ გეგებს — მაგით არ ეამაყო, — იყო პასუხი. — მაშ რითი? — ბრიყუებით — ვფიცავ გეგებს — ისინი ნახულობენ ჩემი თოჯინების წარმოდგენებს და მარჩენენ მე. — აი, თურმე რაგომ იყო, — თქვა ხუმარამ, — ამას წინათ რომ შემომესმა, როგორ ვევედრებოდი ღმერთებს, სადაც შენ იქნებოდი, იქ გამოეგზავნათ პური, ჰკუა რა მოსაგანიო.

56. — კეთილი, — თქვა კალიასმა, — აბა შენ რას იგყვი, სოკრატე, შენ რაგომღა მოგაქვს თავი იმ უმნიშვნელო ხელობით, რომელიც დაგვისახელე? — ჯერ შევთანხმდეთ, რამი მდგომარეობს შუაკაცობის არსი, — უთხრა სოკრატემ, — ჩემს შეკითხვებზე მიპასუხეთ დაუყოვნებლივ, რათა გავიგოთ, რაზე შევეჯერდებით, თანახმანი ხართ? — დიახ, — მიუგეს მათ. და რადგან ერთხელ თქვეს, შემდგომ ყველა ამ სიგყვით — „დიახ“ — აძლედა პასუხს.

57. — ამრიგად, — შეუღდა საუბარს სოკრატე, — კარგი შუაკაცის მიზანია, ისე მთარიგოს საქმე, რომ კაცს თუ ქალს, ვისაც ის ერთმანეთს ურიგებს, უნდა მოსწონდეს ის, ვისაც უკავშირდება, მართალია თუ არა? — დიახ, — იყო საყოველთაო პასუხი. — მოწონების ერთ-ერთი საშუალება ხომ ისაა, რომ ჰქონდეს მას სახის შესაფერისი ვარცხნილობა და სამოსი? — დიახ! — დაადასტურეს კელაე.

58. — ისიც ხომ ვიცი, რომ ადამიანს შეუძლია ერთი და იმავე თვალებით მეგობრულადაც შეხედოს ვინმეს და მგრულადაც? — დიახ! — რომ ერთი და იმავე ხმით შეიძლება ნაზად და უხეზად საუბარი? — დიახ! — განა ისეც არ ხდება, რომ ზოგი საუკარი მგრობას აძირავს, ზოგი კი — მეგობრობას? — დიახ!

59. — მაშასადამე, კარგი შუაკაცი, ყოველივე აქედან გამომდინარე, არ ასწავლის კაცს იმა, რაც მოწონებაში ეხმარება? — დიახ! — რომელი შუაკაცია უკეთესი, რომელიც ერთი კაცისთვის გახდის ადამიანებს მოსაწონთ, თუ მრავლისთვის? აქ კი ვაი-უფრო ერთი ამოიხდენ: ცხადია „ბეკრისთვის“, მეორენი გაიძახოდნენ „დიახ“!

60. სოკრატემ კი თქვა, რომ ერთი ამრი აქვთ და განაგრძო: – თუკი ვინმე მოახერხებდა, ადამიანები მთელი ქალაქისთვის მოეწონებინა, განა არ იქნებოდა ჭეშმარიტად კარგი შუაკაცი? – ვფიქრობ გვესს, ნამდვილად! – იყო საერთო პასუხი. – თუკი ვინმე ასეთ ადამიანებად გარდაქმნიდა მათ, ვისაც თვითონ წინამძღოლობს, განა სამართლიანად არ იამაყებდა ამ ხელობით და სამართლიანადე არ მოითხოვდა დიდ გასამრჯელოს?

61. როცა მას ყველა დასთანხმდა, მან განაგრძო – ასეთია ჩემი ამრით, ანგისთენე. – როგორ, მე გადმომცემ მაგ ხელობას? – ჰკითხა ანგისთენემ. – დიახ, ვფიქრობ გვესს, – მიუგო სოკრატემ, – ვინაიდან ვხედავ, რომ შენ სრულყოფილი მისი მომხრეა ხელობა, – კი მაგრამ რომელი? – მახეში გაბმის ხელოვნება, – აუხსნა სოკრატემ.

62. ძალიან გაბრაზებულმა ანგისთენემ კი ჰკითხა: – მაინც რა იცი ჩემ მიერ ამგვარი ჩადენილი? – ჯერ ერთი, – უთხრა სოკრატემ, – შენ კალიასი იმ სოფისტ პროდიკეს მიუყვანე, ხედავდი რა მას ფილოსოფიაზე შეყვარებულს, პროდიკეს კი ფული სჭირდებოდა. მეორე, შენვე გააცანი ის ელისელ ჰიპიასსაც, რომელთანაც კალიასი მესხიერების გაუმჯობესების ხელოვნებას დაეუფლა და რისი შემდეგობითაც ადვილად შეყვარებადი გახდა. ამიგომ ნახავს რა მშვენიერ რამეს, აღარასოდეს იეიწყებს.

63. ცოტა ხნის წინათ კი ისე მიქებდი ჰერაკლელ სტუმარს, რომ მისი გაცნობით ჩემში მისდამი ნდობა აღძარი. ამის გამო, ცხადია, მადლიერი ვარ. ფლინგელ ესქილესაც შენ არ მიქებდი? ჩემს თავს კი უქებდი მას. განა შენ არ მიგვიყვანე იქამდე, რომ შენი ენის გამოისობით შეყვარებულნი, ერთმანეთს სასებნელად ამბუენებული ძალებით დავევლით?

64. ვხედავ რა ყოველივე ამას, შენ მახეში კარგ გამბმელად მიგიჩნევ. ვისაც შეუძლია, მიხედვს, ვინ ვის მოუგანს სარგებელს და ვისაც შეუძლია, მათში ურთიერთ სიყვარული აღძრას, ის, ჩემი ღრმა რწმენით, ქალაქსაც მეგობრობისაკენ მიღრეკს, ქორწილებსაც სათანადოს გამართავს. ასეთი ადამიანი დიდი შენაძენი იქნებოდა როგორც ქალაქების, ასევე მეგობრებისა და მოკავშირეებისთვისაც. შენ კი ისე გაცხარდი, თითქოს გამომელანძღე იმით, რომ მახეში კარგი გამბმელი გიწოდე. – ახლა აღარ ებრაზობ, – ვფიქრობ გვესს, – თქვა ანგისთენემ, – თუკი ეს ყოველივე მე შემიძლია, ჩემი სული მართლაც ყოფილა გადაძებნილი სიმდიდრით. აი, ასე დასრულდა მათი საუბრის ეს მონაკვეთი.

V

1. კალიასმა კი ჰკითხა კრიტობულოსს: შენ ხომ არ გსურს სილამაზის შესახებ სოკრატესთან პაექრობაში ჩაება? – ვფიქრობ გვესს, არ უნდა, – თქვა სოკრატემ, – ალბათ ხედავთ, რომ შუაკაცი მსაჯულებში პატივით სარგებლობს.

2. – არ გავექცევი, – დასთანხმდა კრიტობულოსი. – სოკრატე, თუ შენ ჰკვიანური არგუმენტები გაქვს, რომ ჩემზე ლამაზი ხარ, გავცაყანი, მხოლოდ ლამაზის ახლო მოწვევა არ დაგავიწყდეს, – დაამატა მან. – ასე და ამგვარად, – დაიწყო სოკრატემ, – უპირველეს ყოვლისა, – ჯერ დაკითხვა უნდა მოხდეს საქმის ირგვლივ – მიპასუხე! – შენ კი მკითხე!

3. – კრიტობულე, შენი ამრით, მხოლოდ ადამიანშია სილამაზე თუ კიდევ სხვა რამეში? – ვფიქრობ გვესს, – მიუგო მან, – სილამაზე არის ცხენშიც, ხარშიც და ბევრ სხვა უსულო საგანშიც. ვიცი ისიც, რომ ლამაზი შეიძლება იყოს: ფარიც, მახვილიც და მუბიც.

4. – ეს როგორ შეიძლება, რომ ეს საგნები ერთმანეთს არაფრით რომ არ ჰგვანან, ყველა ლამაზი იყოს? თუ ისინი, ვფიქრობ გვესს, კარგადაა დამზადებული იმ საქმეთათვის, რომლებსთვისაც ჩვენ მათ ეყიდულობთ, ან თუ თავისი ბუნებით ჩვენი საჭიროებისათვის კარგია, მაშინ ისინი ლამაზია, – უპასუხა კრიტობულოსმა.

5. – ის თუ იცი შენ, – ჰკითხა სოკრატემ, – რისთვის გეჭირდება თვალები? – ეს ხომ ისედაც ცხადია, – მიუგო მან, – რათა დავინახოთ. – მაშინ ჩემი თვალები შენს თვალებზე ლამაზი ყოფილა. – ვითომ რატომ? – იმიგომ, რომ შენი თვალები მხოლოდ

პირდაპირ იყურებიან. ჩემები კი – ცერადაც, ვინაიდან გადმოკარკლული მაქვს. – შენ როგორც ამბობ, – უთხრა კრიგობულოსმა, – კიბორჩხალას ყველა ცხოველზე უკეთესი თუალები ჰქონია. არა? – ნამდვილად, – მიუგო სოკრატემ, – ვინაიდან მსედველობის სიძლიერით მას ბუნებისგან საუკეთესო თვალები ერგო.

6. – კეთილი, მაგრამ ცხვირი ვისია უკეთესი, ჩემი თუ შენი? – ჰკითხა კრიგობულოსმა. – ვფიქრობ ჩემი, – უპასუხა სოკრატემ, – თუკი ღმერთებმა ის ჩვენ ყნოსვისთვის შეგვიქმნეს: შენი ნესგოები მიწას დაჰყურებენ, ჩემი კი ზეითაა აშვერილი და სუნს ყოველი მხრიდან შეიყნოსავენ. – პაჰუა ცხვირი რითია სწორზე ლამაზი? – იმით, რომ ისინი მგერას არ ზღუდავენ, თვალებს მყისვე შეუძლიათ დაინახონ ის, რისი დანახვაც სურთ. მაღალი ცხვირი კი აუგად ვანწყობილივით ამორიშორებს მათ.

7. – ხოლო პირს რაე შეეხება, – უთხრა კრიგობულოსმა სოკრატეს – ამაში ნამდვილად ჩამოგიყარდები, – თუკი ის კბეჩისთვისაა შექმნილი. შენ, ცხადია, ჩემზე მეტს ჩაკებე. იქნებ ისიც გგონია, რომ სქელი გუჩების პაგრონს ამბორი გექნება ნაზი? – შენი სიგყვების თანახმად, ისე გამოდის, თითქოს ვირზე გონჯი პირი მქონდეს. ჩემი სილაშაშის დასტურად ნუთუ არც იმას მიიჩნევ, რომ ნაიალები, ქალღმერთები, შობენ სილენოსებს, მე რომ მგვანან უფრო და არა შენ?

8. – მეტს ევლარ გავიძლებ, – მიმართა კრიგობულოსმა სოკრატეს. – დაე, კენჭები მოიგანონ, რათა მალეუე შევიგყო, რა სახის ჯარიმა მეკისრება. თუ შეიძლება, ფარულად ჩაყარონ. რამეთუ მეშინია, შენმა და ანგისტენეს სიმდიდრემ არ მძლიოს.

9. გოგონამ და ბიჭმა მართლაც ფარულად დაიწყეს კენჭების ჩაყრა. ამასობაში კი სოკრატე, დამინებული იმით, ვაითუ მსაჯულნი შეუდრომაში შეეყვანათ, ლამპის კრიგობულოსთან მიგანამე წვალობდა, რათა გამარჯვებულისათვის მოსამართლეთ არა ბაბთები, არამედ კოცნა განეჩინათ. როცა კენჭები გადმოყარეს, ყველა კრიგობულოსის სასარგებლოდ აღმოჩნდა, სოკრატემ კი წამოიძახა: – ახ, ახ, კრიგობულოს, შენი ფული კალიასისას არ ჰგავს. მისი – აღამიანებს სამართლიანობისკენ მიდრეკს, შენი კი, როგორც მრავალთა, მსაჯულთა და მოსამართლეთა შესაცდენადაც საკმარისია.

VI

1. ამის შემდეგ ერთნი იმას ითხოვდნენ, რომ კრიგობულოსს საგამარჯვებო ამბორი მიელო, მეორენი მას ბიჭის და გოგოს პაგრონისგან თანხმობის მიღებას ურჩევდნენ, მესამენი კი ხუმრობდნენ. რაც შეეხება პერმოგენეს, ის ახლაც ღუმდა. სოკრატემ სახელდებით მიმართა მას და ჰკითხა: – პერმოგენე, შეგიძლია გვითხრა, როგორ გესმის „აყალმაყალი მემთერალეობისას“? მან მიუგო: – მე თუ მეკითხები, ეგ რა არის, არ ვიცი. მაგრამ ჩემი აზრის გამოთქმა შემიძლია. – კარგი, თქვი, – სთხოვა სოკრატემ.

2. ქეიფისას თანამეინახენი შეაწუხო, – აი, ეს მიმაჩნია აყალმაყალად. – იცი კი, რომ შენ შენი ღუმილით გეაწუხებ? – მაშინაც, როცა თქვენ ლაპარაკობთ? – არა, როცა ვჩერდებით. – ნუთუ ვერ ხვდებით, რომ თქვენს საუბარში არა თუ სიგყვას, ბეწვსაც ვერ ჩააგდებს ვერინ?

3. – კალიას, – მიმართა სოკრატემ, – იქნებ მიემველო კელელთან მიმწყვედულ პერმოგენეს? – დიახ, როცა ფლეიგის ხმა გვესმის, ყველანი ეღუმდებით. პერმოგენემ კი ჰკითხა მათ: – ხომ არ გსურთ, ფლეიგის ბგერათა თანხლებით გესაუბროთ? სწორედ ისე, როგორც მსახიობი ნიკოსტრატოსი წარმოსთქვამს ხოლმე ტეტრამეტრებს?

4. – ღმერთთა გულისთვის, პერმოგენე, – უთხრა სოკრატემ, – ეგრე მოიქეცი. მჯერა, რომ როგორც სიმღერაა საამო ფლეიგის პანგთა თანხლებით, ასევე იქნება საამური შენი სიგყვაც, მით უმეტეს, თუკი შენს სიგყვას ფლეიგამე დამკერელი ქალივით ხელებსაც მიაშველებ.

5. – კეთილი, – თქვა კალიასმა, – ფლეიგის რომელი კილო იქნება საჭირო, როცა ანგისტენე ნადიმისას ვინმეს გაკიცხავს?

– გაკიცხულს, ჩემი აზრით, სტვენა შეეფერება, – უპასუხა ანგისტენემ.

6. — ამასობაში სირაკუსელი, რომელიც ხედავდა, რომ სტუმრები ერთმანეთში ბაასით ერთობოდნენ და მის წარმოდგენას ყურადღებას არ აქცევდნენ, გაბრაზდა და უთხრა მას: — სოკრატე, ამას შენ გეძახიან მაღალ საგნებზე მოამზოვნეს? — ღიას, ეს უფრო უკეთესია, ვიდრე ის, რომ უამროს მეძახდნენ. — ღიას, თუკი ცის მნათობებზე მეოცნებედ არ ჩაგთვლიდნენ.

7. — იყი კი რამე ღმერთებზე უზესთავისი? — ჰკითხა სოკრატემ, — არა, ვფიქროვებ, მაგრამ შენზე ამბობენ, რომ ღმერთები კი არ წარმოადგენენ შენი ფიქრის საგანს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ღრუბელთა ზედა მდებარენი. — ახლაც ასეა. — შეეპასუხა სოკრატე ღმერთებზე ფიქრით ვარ მოსული. იქიდან გვიგზავნიან ისინი მარგებელ წვიმას და იქიდანვე გვანიჭებენ ნათელს და თუ მე მკაცრად ვლაპარაკობ, ამის მიზეზი შენ ხარ, ვინაიდან ამაოდ მრჯი.

8. — კარგი, ახლა ამას შევეშვათ, — უთხრა სირაკუსელმა სოკრატეს. — და ის მითხარი, რწყილის რამდენი ნახტომი გეყოფს მე და შენ? ამბობენ, რომ მთელი შენი გეომეტრიის ცოდნა ეგ არის. აქ უკვე ანტისტენეუ ჩაერთო: — ფილიპოს, შენ, რომელსაც შედარების ხერხი გემარჯვება, არ გგონია, რომ ეს კაცი განმაქიქებელს ჰგავს? — ღიას, ვფიქროვებ, განმაქიქებელსაც ჰგავს და კიდევ ბევრს სხვასაც.

9. — შენ მაინც ნურავის შეადარებ მას, — უთხრა სოკრატემ ხუმარას, თორემ შენც განმაქიქებელთ დაემსგავსები. — თუ მე კარგ და უკეთეს ადამიანებს შეეადარებ მას, მაშინ არა განმაქიქებელი, არამედ მაქებარი უნდა მიწოდონ. აი, სწორედ ახლა ჰგავხარ განმაქიქებელს, ვინაიდან ამბობ, რომ მასზე უკეთესია ყველა.

10. — გსურს უარესებს შეეადარო? — ჰკითხა ფილიპოსმა სოკრატეს. — არა, არც უარესებს. — მაშ ვის? — არაის. თუ მე გაეჩუმდები, — თქვა ხუმარამ, — როგორ გავაკეთო ის, რაც სადილის შემდეგ ჩემი გასაკეთებელია? — ძალიან იოლად, როცა ლაპარაკი საჭირო არ არის, დადუმდი! აი, ასე დასრულდა ეს შფოთი.

VII

1. შემდგომ ამისა, იქ მყოფთაგან ერთნი ითხოვდნენ შედარებას, მეორენი უარზე იყვნენ. ატყდა ხმაური და სიტყვა კვლავ სოკრატემ განაგრძო: — ვინაიდან ჩვენ ყველას ერთად გსურს საუბარი, იქნებ სჯობდეს გუნდად გვემღერა? თქვა თუ არა ეს სიტყვები, ის სიმღერას შეუდგა.

2. სიმღერის დასრულებისთანავე კი მოსეკვავე გოგონასთვის მოიტანეს რგოლი, რისი მეშვეობითაც მას უნდა ესაკიერველმოქმედა. აქ სოკრატემ მიმართა სირაკუსელს: — როგორც შენ ბრძანებ და მეც გემოწმები, მოამზოვნე ვარ. და წარმოიდგინე, აი, თუნდაც ახლა ეგ შენი ბიჭი და ეგ შენი გოგო როგორ შეებას იგრძნობდნენ და ჩვენც როგორ ვისიამოვნებდით, თუკი მხოლოდ ვუყურებდით მათ. კარგად ვიცი, შენც ეს გინდა.

3. ჩემი ამრით, მახვილებს შორის ყირამალაზე გადასვლა, სახიფათო წარმოდგენაა და სულაც არ შეეფერება ნადიმს. ღიას, ჯარაზე გრიალი, თანაც წერა და კითხვა თანაბარი ძალის საკიერველებანია, მაგრამ რა სიამოვნებას გვანიჭებს, გავება არ შემძლია. ახლაც ასეა. ყურება ლამაზი ბიჭებისა, როცა ისინი ისე იმნიჭებიან, რგოლი რომ განასახიერონ, მათ მშვიდ ღგომაზე უკეთესი სანახაობა სულაც არ არის.

4. მართლაც, ძალიან ღიდ იშვიათობას როდი წარმოადგენს ის, რომ კაცი, თუკი მას ეს სურს, რაიმე საკიერველებას გადააწყდეს, აქ მდებარე ნიეთებსაც კი ძალუძთ არანაკლები გაოცების აღძერა. რაგომაა, რომ ეს ლამუა, აქვს რა ბრწყინვალე აღი, ნათელს გამოსცემს, ხოლო მბრწყინავი სპილენძის ჰურჭელი ვერ წარმოქმნის ნათელს, თვით მასში კი აირეკლება ყველა საგანი? ან თუნდაც: ზეთი მართალია სითხეა, მაგრამ ცეცხლს აძლიერებს, ხოლო წყალი, სწორედ იმიტომ აქრობს ცეცხლს, რომ ის სითხეა?

5. თუმცა ასეთ საუბარს არ მიეყავართ იმისკენ, რისკენაც ღეინოს უნდა მიეყავდეთ, მაგრამ თუკი ეს მოსეკვაენი, ფლეგის თანხლებით ცეკვა-ცეკვით იმგვარსავე სცენებს

წარმოადგენდნენ. როგორც ქარიგებს, პორებსა და ნიშებს ხატავენ ხოლმე, ჩემი აზრით. მათაც გაუადვილებოდათ საქმე და ჩვენი ნადიმის საამო იქნებოდა უფრო.

VIII

1. სირაკუსელი მოწონების შეძახილებით გააცილეს. სოკრატემ კი საუბარი ახალ თემაზე წამოიწყო: — მეგობრებო, განა არ შეგეფერის, გაიხსენოთ ის მაღალი ღმერთი, ჩვენში მსუფევი, დროითი თვალსაზრისით მარადმსუფევი ღმერთების ხნის, შესახედლობით მათზე ახლგაზრდა, თავისი სიმდიდრით ყოველივეს დამტევი, ჩვენს სულში ჩანერგილი — ეროსი, მით უმეტეს, რომ ჩვენ ყველანი ვესაუბრებთ მას?

2. მე არ შემიძლია, გაიხსენო დრო, როცა ვინმეს მიმართ სიყვარულს არ განვიციდი. ქარმიდემ, რამდენადაც მე ვიცი, ბევრია შეყვარებული, ზოგთა მიმართ კი თვითონაც არ არის გულგრილი. კრიტობულოსს, მართალია, კიდევ შეუძლია სიყვარულის გამოწვევა, თუმცა ახლა უფრო თვითონ განიცდის მის შემოტევას სხვებისადმი.

3. ნიკერატოსი კი, რამდენადაც მე ვიცი, თავის ცოლზეა შეყვარებული და ისიც სიყვარულითეუ ქასუბობს. რაც შეეხება ჰერმოგენეს, ის მაღალი ზნეობისათვის დნება, რამიც არ უნდა იყოს იგი, ნუთუ ვერ ხედავთ, როგორ შესტმუხენია წარბები! მგერა — უძრავი, სიგყვა — მოზომილი, ხმა — დინჯი, ზნეობა — მაღალი. დრმად პატივისცემი ღმერთების მეგობარი ზემოდან როდი დატყუარებს ჩვენ, ადამიანებს! — ანგისტენე, ნუთუ შენ ხარ მხოლოი, ვისაც არავინ უყვარს?

4. — ვფიცავ ღმერთებს, ძალიან და თანაც შენ. სოკრატემ გადახედა და ცხადია, წახუშრებით უთხრა: — მხოლოდ ახლა არა, თავს ნუ მომაბეზრებ, ხომ ხედავ, სხვა რამით ვარ დაკავებული.

5. ანგისტენე გამოექასუხა: — შენ, საკუთარი თავის შუაკაცო, ასეთ შემთხვევაში მუდამ ასე იქუევი ხოლმე: ხან ვითომ ღმერთთა ხმასა ხარ მიყურადებული, ხან კი სხვა საქმეში ხარ ჩაფლული ვითომ.

6. — ღმერთთა გულისთვის, ოღონდ ცემას ნუ დამიწყებ და შენს უმძიმეს ხასიათს ყველაფერში როგორც ვუძლებდი, მეგობრობის ხათრით ასევე გაუძლებ. ეს კია, შენი სიყვარული უნდა დავმალოთ, მით უმეტეს, რომ ის არა ჩემი სულის, არამედ ჩემი სილამაზისადმი მიმართული.

7. ხოლო შენ, კალიას, ავტოლიკოსზე რომ ხარ შეყვარებული, მთელმა ქალაქმა იცის და მგონი, ბევრმაც ჩამოსულთაგან. ამის მიზეზი კი ის არის, რომ თქვენ, ორივენი, სახელოვანი კაცის შეილები ხართ და თვითონაც ჩინებულნი.

8. მე ყოველთვის აღმაშრთოვანებდა შენი ბუნებრივი მონაცემები. ახლა კი უფრო ვერძნობ ამას, ვინაიდან ვხედავ, რომ შენ შეყვარებული ხარ არა განცსრომანებიერობაზე, არა მცონარეობაზე, არამედ ყველას ძალმოსილების, ამგანობის, სიამამისა და თავდატერილობის მაგალითს უჩვენებ. ასეთი რამეებისადმი ტრფიალი კი შეყვარებულის ბუნების წარმომჩენია.

9. აფროდიტე ვრთია თუ ორი — ზეციური თუ მიწიური — არ ვიცი. საყოველთაო აზრით, ზევსიე ვრთია, მაგრამ ზეწოდებანი აქვს ბევრი. თითოეული აფროდიტესათვის ცალ-ცალკე რომაა აღმართული ტაძრები და საკურთხეველები და ცალ-ცალკე რომ ეწირვით მსხვერპლი — მიწიურს — ნაკლებ საპატიო, ზეციურს — მეტად საპატიო — ესეე ვიცი.

10. უნდა ვივარაუდოთ, რომ ხორციელ სიყვარულს მიწიერი აფროდიტე უგზავნის სხულს. სულის, მეგობრობისა და კეთილშობილური საქმისადმი სიყვარულს კი — ზეციური. მგონი, შენ სწორედ ამ სიყვარულით ხარ შეყვარობილი, კალიას.

11. ამას მე შენი შეყვარებულის ღირსებაზე დაყრდნობით ვასკენი და კიდევ იმაზე დაყრდნობით, რომ შენ შეილთან პაემანზე მამაც მოიწვიე, ხოლო მშვენიერი და სათნო სიყვარულით აღვსილს, შეუძლებელია დაფარული რამე ჰქონდეს მამისაგან.

12. — ვფიცავ ჰერას, სოკრატე, — მიმართა მას ჰერმოგენემ, — მრავალი რამ მანცეფრებს შენში, სხვათა შორის ისიც, რომ კალიასს ქათინაურების თქმისასაც კი ას-

წავლი, როგორი უნდა იყოს. – დიახ, – ვფიცავ მეცხს, – თქვა სოკრატემ, – მეტი სიხარული რომ მივანიჭო მას, მსურს დავუმტკიცო, რომ სულისმთვარი სიყვარული სულის მოთხოვნილებაა, მისთვის მეგობრობა საამოცაა და ნებულობითი. ხოლო ვინც ხორცისმთვარი სიყვარულის შემოტყუვას განიცდის, იმათგან ბევრს სძულს და აძაგებს საკუთარი შეყვარებულის თვისებებს.

14. თუნდაც ორივე – სხეულიც და სულიც – ერთად შეიყვარონ, მსწრაფლ დაჰქნება რა ახალგაზრდობის ყვაილი, გამქრალ სიყმაწვილესთან ერთად წარხლება მეგობრობის ყვაილიც, სული კი დროში კეთილგონიერად მდინარი, მეტ და მეტ სიყვარულს შეიკრებს.

15. გარდა ამისა, გარეგნობით სარგებლობასაც ახლავს ერთგვარი მოყირკება. ბიჭის სიყვარულთან დაკავშირებითაც ხდება იგივე, რაც შედმეტი საკვების მიღებისას, ხოლო სიყვარული სულისადმი, სიწმინდესთან წილდებული, არ არის მსწრაფლ დანაყრებადი, თუმცა, როგორც შეიძლება ვინმეს ეგონოს, ის ნაკლებ საამური როდია. პირიქით, ამ დროს აღველინება ლოცვა ღმერთებისადმი, რომლითაც უფლისაგან გამოითხოვება კეთილი სიტყვისა და კეთილი საქმის ბოძება.

16. და ასეთი გრძნობა მართლაც აღაურთოვანებს სიყვარულით აღვსილს და უყვარს ის სულს გარეგნული მშენიერებით, მოკრძალებით და კეთილშობილებით მოყვავილედ, რომელსაც ძალუძს თანასწორთა შორის პირველობედს და თავაზიანობით გამოირჩეოდეს, რაც აღარ საჭიროებს დასაბუთებას, ხოლო ასეთ შეყვარებულს მაგიერი სიყვარულით რომ უნდა პასუხობდნენ, ამას კი დავისაბუთებთ.

17. უპირველეს ყოვლისა, ვინ შეძლებს სძულდეს ის, ვინც მას, როგორც მისთვის ცნობილია, მაღალზნეობრივად მიიჩნევს? ვინც ბიჭის მნებობრობაზე უფრო მზუნავს, ვიდრე საკუთარ სიამებზე. თუკი ამას გარდა, მას სჯერა, რომ გრძნობა მისი მხრიდან არ განელდება ყმაწვილობის ჩაელის, ან ავადმყოფობის გამო სილამამის დაკარგვასთან ერთად?

18. ხოლო თუ ისინი ერთურთს ემსჭვალვიან, განა არ იგრძნობენ საჭიროებას ერთიმეორეს სიამოვნებით შეხედონ? განა კეთილგანწყობილნი არ იქნებიან, არ დაეხმარებიან, წინდაწინვე არ იზრუნებენ ურთიერთზე? თანამონაწილენი კარგ ამბებში, უბედურებას არ იმგლოვიარებენ ერთად? განა ბედნიერად არ განლევენ დროს ერთად და ჯანმრთელად მყოფნი? ხოლო თუ რომელიმე მათგანი ავად გახდება, განა მეორე დაუხსნელად არ იქნება მასთან? განა განშორებისას კიდეც უფრო მეტად არ იზრუნებენ ერთი მეორეზე, ვიდრე ერთად ყოფნისას? ყოველივეს ეს განა კარგი არ არის? აი, სწორედ ასეთ ქმედებათა გამო უყვართ მათ ეს მეგობრობა, სიბერემდე მათი თანმდევი.

19. ხოლო ვინც სხეულს მისჯაჰვია მხოლოდ, რატომ ეყვარება ბიჭს? მხოლოდ იმიტომ, რომ ის, მიმღები იმისა, რაც სურს, სირცხვილუფიფოფს მას? ან იქნებ იმიტომ, რომ თავისი მიმნებიდან გამომდინარე, ახლობლებს ამორებს ბიჭს?

20. ხოლო როცა ის ძალას კი არ მიმართავს, არამედ დარწმუნებით ცდილობს ბიჭის მინდობას, მაშინაც კი მოძალადე ჩრდილს აყენებს საკუთარ თავს. მიმნდობი მინდობილს უკლავს სულს.

21. მას კი, ვინც ფულზე ჰყიდის თავის სილამამეს, რატომ ეყვარება მყიდველი ბაზრის ვაჭარზე მეტად? კიდეც იმიტომ არ ეყვარება, რომ მოყვავილეს საქმე აქვს ჩაყვავებულთან. ლამაზს – ულამაზოსთან, სიყვარულით აღვსილს – სიყვარულისგან დაცლილთან. რომ ბიჭი სიყვარულით გტობას მამაკაცთან ქალივით კი ვერ ინაწილებს, არამედ ფხიზლად უყურებს მას. აფროდიტეს მიერ მთვრალს.

22. ამ მიზეზთა გამო სულაც არ არის გასაკვირი, რომ მიმღი დაიბადოს. კარგად თუ მიმოიხედავს ვინმე, დაინახავს, რომ იმათგან, ვინც მნემალალი სიყვარულით უყვართ, არანაირი ბოროტება არ წარმოიშობა, ხოლო სამარცხენო ურთიერთობებიდან, ცხადია, ჩნდება ბევრი ცული რამ.

23. ახლა მე თქვენ იმასაც დავიმტკიცებთ, რომ იმისთვის, ვისაც სულზე მეტად ხორცი უყვარს, ეს კავშირი დამაკინებელიცაა, ვინც ასწავლის რა უნდა თქვას და რა უნდა აკეთოს კაცმა. იმსახურებს პატივისცემას, როგორც, მაგალითად, ქირონი და ჭოანიქსი – აქილევსისგან. სოლო სხეულის აღმგზნები მხოლოდ, ცხადია, უპოვარივით ასწავლებს მის ირგვლივ, მუდამ აედევნება და წყალობის მომლოდინეს მუდამ ენდობება ამბორი ან სხვა შეხებითი ურთიერთობანი.

24. თუკი უხეშად გამოძღვის, ნუ გაიკვირვებთ, ვინაიდან ღვინო აღმგზნებს, ხოლო ჩემში თანაჩხოვრები მეციური ეროსი მაქმებს ღვიად ეისაუბრო მის მოძულე მიწიურ ეროსზე.

25. და მართლაც, ის, ვისაც თვალი მხოლოდ გარეგნობაზე უჭირავს, მიწის დამქირავებელს ჰგავს. ვინც იმას კი არ ცდილობს ნაკეთის ღირებულება გაზარდოს, არამედ იმას. რაც შეიძლება მეტი მოსაყალი მოიწიოს იქიდან. მეგობრობისკენ მსწრაფი კი იმ შეშამულის მსგავსია, რომელიც თავის მამულში ეზიდება ყველაფერს, რაც კი შეუძლია. თავისივე გრუიალუბის საგნის ფასი რომ გაზარდოს.

26. ასევეა ბიჭებთან დაკავშირებითაც. სილაამაზის გამღებმა თუ იყის, რომ ის დაიმორჩილებს მასზე შეყვარებულს, მაშინ ის ყველაფრის მიმართ გულგრილი რჩება, ხოლო ვინც ხელება, რომ ზნეობის გარეშე ვერ შეინარჩუნებს მეგობრობას, მაშინ ის სათნოებებზე უმეტეს მრუნავს.

27. ღიად ბედნიერია ის, ვინც საყვარელი ბიჭისგან თავისივე მეგობარს აღზრდის. ეს კი იმის ნიშანია, რომ ის თვითონაც ივარჯიშებს სათნოებებში. ხოლო ის, ვინც თვითონ იქცევა უცადა, ვერც ახლობლებზე მოახდენს გავლენას. თვითონ უსირცხვილო და ზღვარდაქარგული, ვერც საყვარელ ადამიანს განმსჭვალავს სიყვარულითა და მომიერებით.

28. – კალიას, ამისი მაგალითები, რომ არა მარტო ადამიანები, ღმერთები და გმირებიც სულსმიერ სიყვარულს უფრო მაღლა აყენებენ, ვიდრე ხორცისმიერს, მსურს, მითოლოგიიდანაც მოგიყვანო.

29. მაგალითად: ზევსი მშვენიერ მოკედავ ქალებზე შეყვარებული, მათთან მიღგომის შემდეგ უკედავებად როდი აქცევდა მათ, ხოლო ვის სულსაც ის აღფრთოვანებაში მოჰყავდა, მათ უკედავყოფდა. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნებიან: პერაკლე და დიოსკურები და როგორც ამბობენ, კიდეც სხვანი.

30. მეუ ვამტკიცებ, რომ ზევსმა განიმედესი ოლიმპოსზე არა სხეულის, არამედ სულის გამო აღიგაყა. ამას მისი სახელიც მოწმობს. პომეროსი ამბობს: γάστται δέ τ' ἀκσίμαρ – რაც ნიშნავს „ხარობდე, მსმენო“. სხვა ადგილას კი ასე წერია: πακισὸ φρεσὶ μῦρσθ εἰδᾶσθ – რაც ნიშნავს: „გონებით იყოდე ბრძნული აზრები“. როგორც ამ ორი ადგილიდან ჩანს, განიმედესს პატივი ღმერთთაგან მიენიჭა არა იმიტომ, რომ ერქვა „სხეულით ამო“, არამედ „საამო სულით“.

31. შემდეგ კი, ჩემო ნიკერაგოს, აქილევსმა, როგორც პომეროსი მოგვითხრობს, მაგიერი მიუზლო პაგროკლოსის მოკელის გამო, სთელიდა რა მას მეგობრად და საგნად ვნების. ამისვე მაგალითები არიან: ორესგესი, პილადესი, თესევისი, პირითოოსი და კიდეც სხვა სახელოვანნი ნახეარღმერთებიდან, რომელნიც, პოეტთა მიერ შექმბულნი. ერთად აღასრულებდნენ ღიდ და სახელოვან საქმეთ, არა იმიტომ, რომ ერთად ეძინათ, არამედ იმიტომ, რომ ღიად უყვარდათ ერთმანეთი.

32. და ვინ უწყის, იქნებ ახლაც ასე იყოს. იქნებ ყველა ბრწყინვალე საქმეს ქებადიდებისთვის აღასრულებენ ადამიანები, იქნებ ამისთვის უფრო იღვწიან და ამისთვისვე იგალებენ ხიუათში თავს, ვიდრე სახელის მაგიერ განცხრომის მღომნი?

მართალია, პოეტ აგათონზე შეყვარებული პანესანიასი თავმუუკავებელთა დასაყაად წერს, რომ ასეთთა ლამქარი იყო ძალიან ძლიერი, ვინაიდან, მისი აზრით, მათ ერთურთის მიგოვება ერცხეინებოდათ.

33. განსაკუთრებული აზრია, თითქოს ადამიანებს, რომელთაც ერთმანეთის არ ერილებათ და გულგრილად ეკიდებიან კიცხვას, სამარცხეინო საქმის შერცხებოდეთ!

34. პავსანიას ამის მტკიცებულად ის მოჰყავს, რომ თებულები და ელელელები მისი აზრისანი არიან, რომ მართალია, ისინი საყვარელ ბიჭებს თავისთან იწვევენ, მაგრამ ბრძოლის დროს ამოიყენებენ ხოლმე გვერდში. თუმცა, ეს სულაც არ არის სათანადო მტკიცებულება. ეს ჩვენთვის სამარცხვინოა, მათთვის კი – კანონი. მე ასე მგონია, რომ ადამიანებს, რომელნიც ასე იქცევიან, არა აქვთ იმის იმედი, რომ მათი რჩეული, შორს მყოფნი მათგან, სამამაყო საქმეთ ადასრულებენ.

35. ლაკედემონელები კი, რომელთაც სწამთ, რომ მხოლოდ სხეულზე შემსჭვალული ადამიანი გამოუსადეგარია კეთილშობილურ საქმეში, თავიანთი ბიჭებისაგან ისეთი ვპირებს მრდიან, რომ ისინი არათუ შეყვარებულებთან, არამედ უცხოთა ლაშქარშიც კი ურიდებიან თანამებრძოლის მიტოვებას. ასეთნი ქალღმერთად აღიარებენ სირცხვილს და არა უსირცხვილობას.

36. მგონი, ჩვენი სასაუბრო საკითხის შესახებ ყველანი მივალთ ერთ აზრამდე, თუკი საკითხს ასე შევხედავთ: როგორი სიყვარულის შემთხვევაში შეიძლება კაცმა ბიჭს ანდოს ბავშვი და ფული? ან უყოს წყალობა? ჩემი აზრით, ის ეინც ბიჭის მხოლოდ გარეგნობით სარგებლობს, ყოველივე ზემოთქმულს ანდობდა მხოლოდ სულით მოყვარეს.

37. – შენ კი, კალიას, ჩემი ფიქრით, ღმერთებს მაღლობა უნდა შესწირო იმის გამო, რომ მათ ავგოლიკოსისადმი სიყვარული მოგანიჭეს. ცხადია, ის პატივმოყვარება, მზადაა ბევრ შრომასა და ჯაფას გაუძლოს, რათა მსაჯმა მრავალჭილში გამარჯვებულად გამოაცხადოს.

38. ხოლო თუკი ის ოცნებობს, იყოს სამკაული არა მხოლოდ მამისა და საკუთარი თავისა, არამედ შესაძლებლობის შემთხვევაში, თავის მაღალ სამამაყო მნეთა მემკვიდრით, მეგობრებს სიკეთე გაუკეთოს, სამშობლო აღიღოს, მგერთა ძღვევის აღსანიშნავად ძეგლი აღმართოს და ყველა ამ საქმეთა გამო ცნობილი და სახელგანთქმული გახდეს, ნუთუ გგონია, რომ მას, ვისაც ამ ყოველივეში თანამონაწილედ მიიჩნეის, უღიდეს პატივს არ მიაგებს?

39. ამრიგად, თუკი გსურს, ავგოლიკოსს მოსწონდე, უნდა გაითვალისწინო, როგორმა ცოდნამ მისცა თემისგოკლესს ელადის განთავისუფლების შესაძლებლობა, რა მონაცემების გამო ჩათვალეს პერიკლესი სამშობლოს საუკეთესო მრჩეველად, ან რომელმა ფილოსოფიურმა მიმართულებამ მისცა სოლონს შესაძლებლობა ასეთი საუკეთესო კანონები შეექმნა ჩვენი ქალაქისათვის? ან როგორი ვარჯიშები ეხმარება სპარტელებს, საუკეთესო მხედართმთაერებად ითვლებოდნენ? შენ ხომ მათი საპატიო მოქალაქე ხარ და მათგან საუკეთესონი მუდამ ჩერდებიან ხოლმე შენთან?

40. ყოველივე ამის მყოფნეს, თუკი შენ თვითონ ისურვებდი, ქალაქი უმაღვე განდობდა თავის საქმეთა ხელმძღვანელობას. ასე იქნებოდა, გვეროდეს. შენ ყველაფერი საჭიროზე მეტი გაქვს ამისთვის: წარჩინებული ოჯახიდან ხარ, ვეპაგრიდი, ქურუმი-ერისთეველი ღმერთებისა, რომლებმაც იაკქოსთან ერთად დაამარცხეს ბარბაროსები და ახლა, ამ დღესასწაულზე, შენ შენს წინაპართა შორის ყველაზე მეტად შეგფერის საღმრთო პატივი: გარეგნობით ყველას სჯობიხარ ქალაქში და გაუძლო გვირთს, ესეც ძალგობს.

41. იქნებ ფიქრობთ, რომ იმაზე ღინჯად ვსაუბრობ, ვიდრე ეს სასმელიან სუფრას შემვენის? ნუ გაიკვირვებთ, მე ხომ თანამოქალაქეთა მსგავსად მიყვარს ბუნებისაგან მიმადლებულნი, სათნოებისკენ სწრაფვა მუდამ პატივად რომ მიაჩნიათ?

42. სოკრატეს ამ სიტყვასაც მოჰყვა ბაასი. ავგოლიკოსი მშერამიჯრით უყურებდა კალიასს. მან კი, ავგოლიკოსისაკენ ირიბად მზირალმა, თქვა: – სოკრატე, მამასადამე შენ იქნები შუამავალი ჩემსა და ქალაქს შორის, რათა მე მისი საქმეებით დავკავდე და წყალობა მისი აროდეს მომაკლდეს?

43. – დიახ, ვფიცავ ზევსს, – მიუგო სოკრატემ, – თუკი ისინი დაინახავენ, რომ არა მოჩვენებითად, არამედ ნამდვილად ზრუნავ სათნოებებზე. ფუჭი სახელი მსწრაფლ განქარდება საქმით, ხოლო ჭეშმარიტი სათნოება, თუ ღმერთები ინებებენ, თავისი ქმედებით მეტ და მეტ ბრწყინვალებას მიანიჭებს სახელს.

1. ამით დასრულდა ეს ბაასი. ავტოლიკოსი, რომლის ადგომის დრო უკვე მოსულიყო, ვასასეირნებლად წამოდგა. მისმა მამამ ლიკონმა, შვილთან ერთად მიმავალმა, უკუმოხედვით თქვა: – სოკრატე, პერას ვფიცავარ, ჩემი ამრით, კარგი კაცი ხარ მართლაც.

2. ამის შემდეგ ოთახში, უპირველეს ყოვლისა, დადგეს ტახტი. მერე კი შემოვიდა სირაკუსელი და მიმართა შეკრებილთ: – მეგობრებო, არიადნე ახლა აბრძანდება საქორწინო სარეულზე. რომელიც საბიარო აქვს დიონისესთან, შემდგომ კი მოვა დიონისე და ისიც იქ დაიკავებს ადგილს და ილალობებენ ერთად.

3. პირველად საქორწინოდ მოკაზმული არიადნე გამოჩნდა და დაბრძანდა ტახტზე. დიონისეს მოხვლამდე კი ფლეიგაზე დამკერულმა ქალმა ბაკქური მელოდია ააუღერა. აქ კი ყველა აღაფრთოვანა დამდგმელის ხელოვნებამ: გაიგონა თუ არა არიადნემ მუსიკის ხმა, ისეთი მოძრაობა გააკეთა, ყველა მიხვდებოდა, რომ მოსმენა სიამოვნებდა. ის არათუ წაივდა დიონისესთან შესახვედრად, არც კი წამომდგარა, მაგრამ ჩანდა, რომ ჯდომა უჭირდა.

4. დიონისე კი არიადნეს დანახვისთანავე ცეკვა-ცეკვით წაივდა მისკენ. თითქოს უნახვს სიყვარულს გამოხატავსო, ასე მოთავსდა ქალის მუხლებზე, მოეხვია და აკოცა მას. დარცხენილი არიადნეც მოეხვია დიონისეს. ამის დანახვაზე იქ მყოფებმა ტაში დასცხეს და შესძახეს: „კიდეე“, „კიდეე“!

5. როცა დიონისე წამოადგა და არიადნეც წამოაყენა, კარვად გამოჩნდა, როგორ გამოსახავდნენ ისინი მოძრაობით ხევენა-კონასს. დამსწრენი ხელაუდნენ სინამდვილეში, რა ლამაზი იყო დიონისე, როგორი ნორჩი არიადნე, ხელაუდნენ იმასაც, რომ ისინი არა ყასითად, არამედ ნამდვილად კოცნიდნენ ერთმანეთს ბაგეებში და იყო ყველა ამით აღფრთოვანებული.

6. ესმოდათ ისიც, თუ როგორ ეკითხებოდა დიონისე არიადნეს, უყვარდა თუ არა იგი მას. ხოლო არიადნე ისე ადასტურებდა ამას ფიცით, რომ სტუმრებიც ფიცქემ იტყოდნენ იმას, რომ ბიჭს და გოგოს უყვარდათ ერთმანეთი, რომ ეს ნასწავლი მოძრაობა კი არ იყო, არამედ მათ ნება ჰქონდათ დართული, გაეკეთებინათ ის, რაც დიდი ხანია სურდათ.

7. სტუმრებმა, როგორც კი დაინახეს, რომ დიონისე და არიადნე ერთმანეთს მოეხვიენენ და საქორწინო სარეულზე აბრძანდნენ, დაუქორწინებელნი დაქორწინების ფიცს სდებდნენ, ხოლო დაქორწინებულთაგან ისინი, ვინც ცხენებით იყენენ, მყისვე მოახტნენ მათ და საკუთარ ცოლებთან სალალობოდ გაკურცხლეს. სოკრატემ და კალიასთან ერთად დარჩენილებმა კი ლიკონსა და მის ვაჟ ავტოლიკოსსთან ერთად გაისეირნეს. აი ასე დასრულდა ეს ნადიმი.

შენიშვნები

1

2 ა. პანათენეები – უმთავრეს ათენურ დღესასწაულთაგან ერთი, მითოლოგიური ტრადიციით, მიუე თესვისის მიერ ქალღმერთ ათენასადმი მიძღვნილი, იმართებოდა შუა მაუსულში ჯერ წელიწადში ერთხელ, პისისტრატეს დროიდან კი (565 წ.) 4 წელიწადში ერთხელ. მისი შემადგენელი ნაწილი იყო შეჯიბრებები ტანვარჯიშში, ცხენოსნობასა და მუსიკაში. ტანვარჯიშს განეკუთვნებოდა ძრავალჭიდიც, რომელიც თავის მხრივ ჭილაობისა და კრივისაგან შედგებოდა. შეჯიბრების მონაწილენი სამ ასაკობრივ ჯგუფად იყოფოდნენ. ბავშვები, ჭაბუკები – „წვერვამო“ და ეაქაენი (წვეროხანნი). ჩვენი „სნაღმის“ პერსონაჟი ავტოლიკოსი, როგორც ჩანს, ბავშვების ჯგუფში შედიოდა. გამარჯვებულს აჯილდოებდნენ „საღმრთო“ მეთისხილის გოგების გვირგვინითა და ძვირფასი ამფორით.

ბ. კალიას ჰიპოთეზის ძე – ისტორიული პიროვნება. ათენის უმდიდრესი მოქალაქე, პლატონის „სოკრატეს აპოლოგიისა“ და „პროტაგორას“ პერსონაჟი. მის ოჯახში იკრიბებოდნენ ცნობილი ათენელები და სოფისტები, რომლებიც დიდ როლს თამაშობდნენ ათენის ცხოვრებაში. კალიასი დიდ სახსრებს ხარჯავდა საკუთარ განათლებაში. ქსენოფონი აღგვიწერს ნამდიდრ აშბავს. ეს ნაღიმი კალიასის ოჯახში გამართულა – 422 წელს, როცა სოკრატე 46-47 წლისა ყოფილა.

3. კრიტობულე – სოკრატეს მიმდევარი.

პერმოკრესი – ათენის დიდებული საჯარეულოს წარმომადგენელი, შმა უმდიდრესი კალიას ჰიპოთეზის მისა. უერთგულესი მოწაფე სოკრატესი; ანგისთენე – ასევე უერთგულესი მოწაფე სოკრატესი. შემდგომში კინიკური მიმართულების ფუქმდებელი ფილოსოფიაში. ქარმიდე – გლაუკონის ძე, პლატონის ღედიშმა, ძველი არისტოკრატიული „კალოკაგათიას“ განსახიერება, ცნობილი, დიდებული, მორგებული, მაღალ საგნებზე ბაასის მოყვარული.

5. პროტაგორა, გორგია, პროდიკე – სოფისტები.

7. იმდროინდელ ათენში ცულ გონად ითვლებოდა ერთხელ მიპატიუებას დასთანხმებოდა ვინმე. მიწვეული ჯერ ემაღლიერებოდა მიმწვეულს. მერე სხედასხევა მიზეზთა გამო უარობდა, ბოლოს კი თანხმდებოდა, სწორედ ისეთი სიტუაცია იქმნებოდა ხოლმე, როგორც დაეით კლდიაშვილის მოთხრობებიდანაა ჩვენთვის ნაცნობი.

8. ისტორიულ ეპოქაში ბერძნები მაგიდასთან მხარ-თემომე წამოწოლილნი მიირთმევენენ. ბაემ-უები კი ისხდნენ.

10. ღეთისაგან შეპყრობილებში – იგულისხმებიან ორგიასტული კულტების მიმდევრები: კიბელეს ქერემები და ბაკქელები.

11. სტუმრების ვასართობად იწვევენენ ხუმარებს, კომედიანტებს, თოჯინების თეატრს, დამკერულებს, მოცეკვაეებს, აკრობატებს.

II

1. ბერძნული ნაღიმი (სამეიმო სუფრა სტუმრებთან ერთად) სამი ნაწილისგან შედგებოდა: საღილის, ღესერგის და ქეიფისგან. პირველის დასრულების შემდეგ იბანდნენ ხელებს, რომელიც ჩანგლის მაგივრობას სწევდა. თითო ყლუპ ღვინოს დააყოლებდნენ „კეთილი გენიის“ საპატიუსაემოდ. შემდეგ გაქონდათ მაგილები. მათ ქვეშ დარჩენილ ძელებსა და ნამუცეებს კი პვეილენენ (ჩვენთან, ფშამში, მაგილის ქვეშ იყრებოდა ძელები და სუფრის სხვა ნარჩენები, რასაც კი არ პვეილენენ, არამედ იქვე მიირთმევენენ კაგა და კნუგები, ან ლეკუები).

4. ლიკონი – აეგოლიკოსის მამა. იმ დროის ცნობილი ორატორი, რომელმაც შემდეგ სოკრატეს სიკედილით დასჯა მოითხოვა.

10. ქსანთიჟე – სოკრატეს მეუღლე. ცხაღია, მისი სიფიცხე თვით სოკრატეს ცხოვრების წესითაც იქნებოდა გამოწვეული. ასე რომ, ჩვენს ღღეანღლობიდან გამომღინარე, შეიძლება გაეუგოთ ქსანთიჟეს და ეუთანაგრძნოთ კიდეც.

14. პისანდროსი – ღემაგოგი, 400 ოლიგარქიის შექმნის ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი.

18. თთახის ფართობი იზომებოდა მასში განთავსებულ ლოკათა რაოდენობის მიხედვით.

20. როგორც ჩანს, პური ორი ნაწილისგან შედგებოდა და მისი ზედა და ქვედა ნაწილი თანაბარი მოშისა და წონისა უნდა ყოფილიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში პურისმცხობელი ჯარიმდებოდა.

26. გორგია ლეონტიელი ცნობილი იყო თავისი სიკყეაიქმნაღობითა და ღღლარჭნიღმეყველეუბით.

III

5. პომეროსს ბერძნები ზნეობისა და ყოველგვარი ცოდნის მამად თვლიდნენ, თუმცა, ჩვენდა სანუგემოდ უნდა ეთქვას, რომ მასაც პყავდა განმაქიქებელთა მთელი არშია, რომელთა მისამართით ბერძნებს ქქონდათ გამოთქმა „პომეროპათი – პომეროსმოძულე“.

6. პოეტური ნაწარმოების შექმნისა და მისი მსმენელამდე მიღანის პროცესი ოთხ საფეხურს მოიცავდა: ღმერიდი, პოეტი, ღეთიე მთავონებელი, რაფსოდი – ღეთიემთაუგონებელი, მსზენელი. რაფსოღობა სახარბიელო სულაც არ იყო შეფასების თეალსაზრისით, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა მათი რიგების ზრდას.

7. ა. იღუმალი ამრის წედომა – ამ დროს მიღებული იყო პომეროსის პოემების ალევორიული განზარტება.

ბ. სტესიმბროგოს თასოსელი (-V ს. II ნახ.) ცნობილი რაფსოდი და პომეროსის კომენტატორი. გ. ანაქსიმანდროს მიხედველი (არანატურფილოსოფოსი – 611-546), მწერალი და პომეროსის განმმარტებული (-V ს. II ნახ.).

8. ა. ობოღოსი – ღელის უმცირესი ერთეული.

ბ. შეჯიბრზე გაოფლიანებისა და სხლგომადობის თაეიდან ასაცილებლად მონაწილეს წშინდა სიღაში ამოგანგლადენენ ხოლმე.

11. კალიპიდეისი – ტრავტიკოსი მსახიობი.

IV

ბ. ა. „ქარტი მეფე და უძლიერესი მუბოსანი“ („ილიადა“ III, 179. (რ. მიმინომეილისეული თარგმანი: „სვიანი მეფე და მებრძოლი ქალგულოვანი“).

12. კლინიაი – როგორც ჩანს, ალკიბიადესის ძმა ან ბიძაშვილი. მათ საკუთარი გვარი ორესტე აგაქსინოსის ძისგან გამოჰყავდათ. დიოგენე ლაერტელი არისტოქე კირინელზე დაყრდნობით ტექსტში კრიტიკულობის ამ სიტყვებს თვით ქსენოფონის მიაწერს, რომელიც თურმე შეეყვარებული იყო კლინიასზე.

19. სილენოსი – პერმესისა ან პანის და ნიმფას ძე, თანამგზავი აღმზრდელი და მწერთელი ბაკქოსისა. მისი მახასიათებლებია: ღვინის გიკივით გაბერილი, მთვრალი, მხიარული, კეთილმოსაუბრე, ცხვირკომბალა მოხუცი.

24. იყო სამი გოგონა, რომელთა შეხედვისას ადამიანი ქეაულებოდა.

30. ა. დამსვენები და მანგაეისტები აღძრავდნენ ხოლმე სასამართლო პროცესებს მდიდარი მოქალაქეების წინააღმდეგ ფულის ვაშლისადად, ხანაუ პირადი ასგარიმწოროების გამო.

ბ. ქალაქის მთავრ მეწერილი გადასახადები იყო: 1. ტრიერარქია – სამხედრო ხომალდების მობარაგება; 2. ქორეგია – მუსიკალური, საორკესტრო და თეატრალური წარმოდგენების დაფინანსება;

3. ვიქსასარქია – საორგული მეჯობრებების ორგანიზება ამა თუ იმ დღესასწაულისთვის.

გ. ქარმიდეს ეს მამულები, როგორც ჩანს, დაუკარგავს პელოპონესოსის ომის პერიოდში.

32. ათავისუფალი მოქალაქე სასამართლოსა და სახალხო კრებაში მონაწილეობისათვის იხილდა ჯერ 1 ობოლს, შემდეგ – 3-ს.

გ. უბედურების ამრიდებელ ღმერთებად ითვლებოდნენ: მერსი, აპოლონი, პერაკლე.

41. თასოსური ღვინო ითვლებოდა უძვირფასესად.

45. ნაწიკები „ილიადადან“ IX 120, 261, თარგმანი რ. მიმინომეილისა.

ყოველივე ამას ავამეშნონი კვირდება რისხვის მოხსნის სანაყელოდ აქილევსს. ციტატა მოყვანილია ირონიით, მტკიცებულებად იმისა, რომ პომეროსი ასწავლიდა გამომეწონასა და ქონების მოხეკვას.

63. ესქილე ფილენგელის შესახებ არაფერია ცნობილი.

V

7. ნიაღები – მტკნარი წყლის ნიმუები.

8. მსაჯები უნდა იყვნენ ერთი ენაზე სირაკუსელის ქალ-ვაჟი.

9. ბაბთები ეძლეოდათ მეჯობრში გამარჯვებულებს და უკეთებდნენ სელზე, ფეხზე ან თავზე.

VI

1. პატრონი ივლისხმება სირაკუსელი.

3. ნიკოსტრატოსი – იმ დროის სახელგანთქმული მსახიობი, რომელსაც პირველს შემოუღია დიალოგების მუსიკის თანხლებით კითხვა.

ბ. ა. მოაპროუნე, ასე იხსენიებს სოკრატეს კომედიოგრაფოსი არისტოფანე თავის „ღრუბლებში“, რომელიც პირველად – 423 წელს დაიდგა. ეს ნაღიმი კი იყო – 422 წ.

ბ. სირაკუსელს ღმერთების საუფლოს ელევია მიაჩნია დანაშაულად და ღვთისგმობად. ეს ბრალდება არისტოფანეს „ღრუბლებიდან“ მომდინარეობს. მაგრამ ეს იყო ცრუ ბრალდება, ვინაიდან სოკრატემ ფილოსოფია შეციდან მიწაზე ჩამოიგანა და ეთიკისკენ მიმართა.

VII

1. ბერძნული ნაღიშების თანმდევი იყო თანამეინახის ვინმესთან ან რამესთან შედარება. ასეა ეს როგორც პლატონის, ასევე ლუკიანოს „ნაღიშში“.

5. ქარიკები – სილაშაშის სამი ქალღმერთი; პორები – დროისა და ბუნებაში წესრიგის დამცველი სამი ქალღმერთი.

VIII

1. სოკრატეს საუბარი ეროსის შესახებ ჰეაეს ორფიკულ ნაამრევს.

2. ქარმიდე თაყუანისმცემელთა გარემოებაში წარმოდგენილია პლატონის დიალოგში „ქარმიდე“.

5. ღვთის ხმა ეს სოკრატელი „დაიშინა“ ანუ ბარათამეილს თუ დავიხმართ, „ხმა იღუმალია“, რიგელი მას რჩევებს აძლევდა.

9. ა. ორი აფროდიტე – მიწიერს, ანუ საყოველთაო აფროდიტეს ეწირებოდა ავხორცობის სიმბოლო – სისა, ზეიერს კი – ხბო.

გ. შევისის შეწოდებანი იყო: „მესთაზე“, „მხსნელი“, „ფიციის დამცველი“, „სტუმართმფარველი“, „ქალაქის მფარველი“, „კერიის მფარველი“.

23. ქირონი – კენტავრი; ფონიქსი – აქილევსის აღმზრდელი. გროას ომში მამამ აქილევსს ფონიქსი გააყოლა („ილიადა“ IX, 438-43).

32. ა. პავსანიასი – ისტორიული პიროვნება, დაბალი სოციალური წარმოშობის, პლატონის „ნადიმისა“ და „პროტაგორას“ პერსონაჟი, და არა ისტორიკოსი II საუკუნისა.

გ. აგათონი (– 447-405) – მეძღვრეული მოქალაქე და განახლებული ტრაგედიის პოეტი, პლატონის „ნადიმი“ სწორედ მისი დრამატული სპექტაკლის გამარჯვების (416) აღსანიშნავ შეიშს აღწერს.

35. ციკერონის თანახმად („კანონთა შესახებ“, II, II, 28), ათენში ყოფილა ურცხეობის ტაძარი. თუმცა ათენსა და სპარტაში პქონიათ „მორცხეობის“ სტატუებიც.

39. სპარტის საპატიო მოქალაქეობა – პროქსენია – ქსენოფონს თუ ვერწმუნებით (ქელენიკა VI, 3,4) კალიასის გვარში თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

40. ერებთეველ ღმერთებში იგულისხმება დემეტრესა და პერსეფონეს კულტი, რომელიც უძველეს მეფეს, ერისტეესს, დაუარსებია. ეს ორი ქალღმერთი მთაეარ როლს თამაშობდა ელევსინის მისტერიებში. მასში მონაწილეობდა აგრეთვე იაკქოსი, რომელიც გეესისა და დემეტრეს ძედ ითელეობდა. ღეთისმსახურების აღსრულებისას მთაეარი ჟუნქცია პქონდათ იეროჟანტესსა და ჩირაღდნის დამტარებლებს, რომელთაც ჯერ კერივების, შემდეგ კი კალიასების (– V-IV სს.) გვარიდან ირჩევენენ.

თარგმნა ქეთევან ჯაკელიძემ

ფილოსოფია



კლატონი

(ძე.წ. 429/8 – 347/6 წწ)

ძე.წ. V-IV საუკუნეები ბერძნული ფილოსოფიის ინგენსიური განვითარების ხანაა. ამ დროს შეიქმნა ძველი სამყაროს უმთავრესი ფილოსოფიური სისტემები (დემოკრიტეს მატერიალიზმი, პლატონის იდეალიზმი და მათ შორის მყოფი არისტოტელეს მოძღვრება). ამავე პერიოდში იქმნება ფილოსოფიურ მეხედულებათა მხატვრული წარმოსახვის სპეციფიკური ფორმა – დიალოგი, სადაც ავტორისეული აზრები ბრძენი მოძღვრისა და მოწაფის პაექრობით გამოითქმება.

ფილოსოფიური დიალოგის უბრწყინვალესი წარმომადგენელია ანტიკური იდეალიზმის მამამთავარი პლატონი, რომელიც ახალგაზრდობაში თავის მოძღვრად სოკრატეს აღიარებდა, თუმცა მოგვიანებით მისი გმიდან გადაუხვია და საკუთარი ფილოსოფიური სკოლა (აკადემია) დააარსა.

დიალოგის ფორმა პლატონისათვის იყო არა ლიტერატურული, არამედ ეპისტემოლოგიური ხერხი, რომლის საშუალებითაც აღამიანს საკუთარი სულიერი და მენტალური ძალების მობილიზებით შეეძლო ჩასწვდომოდა ჭეშმარიტებას. ჩვენამდე პლატონის ოცდაათამდე დიალოგი და 13 წერილია შემორჩენილი. ისინი დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევიან და სხვადასხვა ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევიან. დიალოგების მთავარი გმირი სოკრატეა, რომელიც მოწაფეებს თავის მოძღვრებას აზიარებს. სინამდვილეში კი ეს არის თავად პლატონის ფილოსოფია, რომლის არსებითი ნაწილი იდეათა თეორიის ქადაგებაა.

სამყარო, რომელშიც ჩვენ ვეხვრობთ, პლატონის აზრით, მხოლოდ ჩრდილია იმ ჭეშმარიტი სამყაროსი, რომელსაც გონებით შევიცნობთ. საგნები, რომლებსაც ჩვენ მიწიერ სამყაროში ვეხებით, მხოლოდ აჩრდილებია იმ ჭეშმარიტ სამყაროში არსებული იდეებისა. მათი შეცნობა შესაძლებელია, რამეთუ ჩვენი უკვდავი სული ვიდრე ამქვეყნად განსხეულდებოდა, სწორედ იქ იყო და მას ძალუძს ეს გაიხსენოს.

იდეათა სათავეში დგას სიკეთე, რომლის ქვეშ სიბრძნის, საშარტლიანობის, სიმამაყის, კეთილგონიერებისა და მშვენიერების იდეები არიან განლაგებულნი. მათ ქვეშ დანარჩენი იდეები დაეანებულან და იდეათა პირამიდა აღუმართავთ.

იდეათა ამ თეორიას ყველაზე ნათლად წარმოსახავს პლატონის მოძღვრება ხელოვნებაზე, რომლის თანახმადაც, მშვენიერება არსებობს თავისთავად, ვითარცა მარადიული იდეა. მიწიერი, გრძნობადი საგნები ამ იდეასთან მიარებით იძენენ მშვენიერებას. ხელოვნებას მშვენიერების ასახვა მართებს. ხელოვანი, რომელიც მშვენიერი გრძნობადი საგანის მიბაძვით ქმნის მხატვრულ ნიმუშს, არის მიბაძვის მიმბაძველი („მიმესისის“ თეორია). ამიგომ, იგი თხემით გერფამდე თუ არ იქნა შეპყრობილი მშვენიერების იდეით, მის სულს აღმაფრენა თუ არ დაუფულა, ჭეშმარიტ ქმნილებას ვერასოდეს შექმნის („ნადიმი“).

პლატონის აზრით, იდეალურ სახელმწიფოში პოეტები არ უნდა იყენენ, რადგან ისინი ჭეშმარიტების ნაცელად აჩრდილს ბაძავენ, რითაც აღამიანების მნებორიე სრულყოფილებას კი არა, მხოლოდ მის გართობას ემსახურებიან. პლატონი თავის თხზულებაში „სახელმწიფო“ გვთავაზობს სამოგადოების წყობის იდეალურ მოდელს, სადაც უმაღლესი განმგებლები ფილოსოფოსები არიან, მოქალაქეები კი მათ მიერ დაწესებულ კანონებს ემორჩილებიან. ამ დიალოგს თავისი მრავალფეროვნებით, სიღრმით, პრობლემათა სიუხვით, განსაკუთრებული ადგილი უკავია პლატონის შემოქ-

მედებაში. და ეს სახეებით გასაგებია, რადგანაც იდეალური სახელმწიფოს სურათი, რომელსაც ესოდენ შთაგონებით წარუდგენს სოკრატე თავის მეგობრებს, ადამიანური ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს – პირადს, ოჯახურს, პოლისურს თავისი ინტელექტუალური, ეთიკური თუ ესთეტიკური ასპექტებით.

პლატონი ერთდროულად მოაზროვნეც არის და შემოქმედიც. მისი ქმნილებები საინტერესოა როგორც ფილოსოფიური, ასევე მხატვრული თვალსაზრისითაც. შესაძლოა, პლატონის, როგორც შემოქმედის, უდიდეს დამსახურებად მივიჩნიოთ სოკრატეს სახის შექმნა. ამ ირონიული და მოქილიკე ბრძენკაცის მიღმა. ესოდენი მახეილგონიერებით რომ მოინარეკლებს ხოლმე ერთ ავტორიტეტებს, იმალება მაღალი ინტელექტისა და ზნეობის მოქალაქე, რომელიც უდიდეს გეგაულებას ასდენს მის გარშემო თავმოყრილ ადამიანთა აზროვნებასა და საქციელზე. გვიანი ხანის დაალოგებში ეს სახე ფერმკრთიადდება და სოკრატე საზოგადოებასთან გამიჯნულ პიროვნებად წარმოდგება.

„სოკრატეს აპოლოგია“, რომელშიც ათენელი ფილოსოფოსის ცხოვრების დასასრულია აღწერილი, ერთადერთია პლატონის ქმნილებებში, რომელსაც დიალოგის ფორმა არ აქვს. უნდა აღინიშნოს, რომ იგი სხვა თხზულებათაგან თავისი ლიტერატურულ-მხატვრული ღირსებებით გამოირჩევა.

თარგმანები:

პლატონი, ადრეული დიალოგები, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინათქმები და კომენტარები დაურთო ბ. ბრეგვაძემ, „ნეკერი“, თბილისი 1997.

პლატონი, „ნადიმი“, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო ბ. ბრეგვაძემ, თბილისი, 1964.

პლატონი, „პარმენიდე“, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, დამატებები და კომენტარები დაურთო ბ. ბრეგვაძემ, „ნეკერი“, თბილისი 2002.

პლატონი, „ტიმეოსი“, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო ბ. ბრეგვაძემ, „ირმისა“, თბილისი, 1997.

პლატონი, „ფედონი“, ძველბერძნულიდან თარგმნა ბ. ბრეგვაძემ, თბილისი, 1966.

პლატონი, „სახელმწიფო“, ძველბერძნულიდან თარგმნა ბ. ბრეგვაძემ, თბილისი, 2003.

ბერძენ და რომაულ ავტორთა თარგმანები შესრულებული პეტრე ქაეთარაძის მიერ, თბილისი. 1962.

სოკრატეს აპოლოგია

(საბრალდებო სიტყვების წარმოთქმის შემდეგ)

არ ვიცი, როგორი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე, ათენელნო, ჩემი ბრალმდებლების სიტყვებმა; მე კი, ღმერთმანი, კინაღამ თავი არ დამავიწყდა: ისე დამაჯერებლად ლაპარაკობდნენ. მთელი ამ მიეთ-მოეთიდან ყველაზე მეტად იმან გამააკვირვა, რომ ისინი დაკინებით გირჩევენ თქვენ: ფრთხილად იყავით, ამ კაცის მჭევრმეტყველების მომწუსხველმა ძალამ არ გაყუნოთო. უგიფრობაც ამასა ჰქვია: ნუთუ იმისი მაინც არ რცხენიათ, რომ მე შემიძლია საქმით ვამხილო მათი სიცრუე, დიახ, საქმით, რადგან ორ სიტყვას ვიტყვი თუ არა, წამსვე აშკარა გახდება თქვენთვის, რომ დიდი ვერაფერი მჭევრმეტყველი ვახლავართ, თუკი, რა თქმა უნდა, ისინი დიდ მჭევრმეტყველად არ თვლიან იმას, ვინც სიმართლეს ამბობს. თუ ამას გულისხმობენ, მაშინ მეც ვაღიარებ, რომ მჭევრმეტყველი ვარ. მაგრამ არა მათნაირი მჭევრმეტყველი: მათ ხომ სიმართლის ნატამალიც არ უთქვამთ, მე კი დაუფარავად მოვახსენებთ მთელს სიმართლეს. თუმცა, ვუიყავ გვესს, თქვენ ვერ მოისმენთ, ათენელნო, მათი სიტყვებით მორთულ-მოკაზმულსა და მიზილ-პიპილებით შემკულ სიტყვას; მე ვლაპარაკობ უბრალო, ენის წვერზე სახელდახელოდ მომდგარი სიტყვებით, რადგან ურყევად მწამს ჩემი სიმართლე, – და სხვას ნურაფერს მოვლით ჩემგან. ეგეც არ იყოს, არც შემფერის ხანდაზმულ კაცს საგანგებოდ შეთხზული სიტყვით გამოვიღე თქვენ წინაშე, ათენელნო, უწვერული ჭაბუკის მსგავსად.

მხოლოდ ერთ რამეს ვთხოვთ, ერთ რამეს გვედრებით, ათენელნო: როცა დარწმუნდებით, რომ იმავე სიტყვებით ვიცავ თავს, როგორც ვლაპარაკობ ხოლმე მოედნებზე თუ ზარათა დასლებთან. ისევე როგორც ბევრ სხვა ადგილას, სადაც თითქმის ყველას მოვისმენიათ ჩემთვის, ნუ ვაოცდებით ამის გამო, ნურც აღშოთდებით. საქმე ისაა, რომ მე, სამოცდაათი წლის კაცს, პირველად მიწევს მსაჯულთა წინაშე გამოვლად და ამიგომ ჩემთვის უცხო ენასავეთ უცნობია სამსჯავროს ენა. ხომ მომიტყევებდით, მე რომ მართლაც უცხოელი ვიყო და იმ კილოცებზე, იმ ენაზე ვლაპარაკობდე, რომელსაც ბავშვობიდანვე მშობლიურად ვთვლიდი. ამიგომ ახლაც, მე მგონია, უფლება მაქვს მოვთხოვოთ, ყურადღებას ნუ მიაქცევთ ჩემს კილოს, მიუხედავად იმისა, მოვწონთ თუ არა იგი, და მხოლოდ იმას დაუკვირდით, მართლს ვამბობ თუ არა; რადგან მსაჯულის ღირსება – სიმართლის დანახვაა, ხოლო მჭევრმეტყველისა – სიმართლის თქმა.

ასე და ამრიგად, მართებული იქნება, ათენელნო, თუ თავდაპირველად შევეცდები თავი დავიცვა პირველი ყალბი ბრალდებისა და პირველი ბრალმდებლისგან, ხოლო შემდეგ – ახლანდელი ბრალდებისა და ბრალმდებლებისგან. აგერ უკვე რამდენი წელია ათასი ვინმე მღებს ბრალს თქვენ წინაშე, მაგრამ ერთსაც არ უთქვამს მართალი. სწორედ მათ ვუერთიხი უფრო მეტად, ვიდრე ანიგოსს და მის თანამგრაბველთ. თუმცა ამ უკანასკნელთაც უნდა უერთხოდეს კაცი, მაგრამ პირველნი უფრო საშიშნი არიან, ათენელნო! სწორედ ისინი გამხედრებდნენ ჩემს წინააღმდეგ ჯერ კიდევ მაშინ, როცა თქვენ ბავშვები იყავით, და ათას ყალბ ბრალდებას თითხნიდნენ ჩემს გასასვრელად, რომლებშიაც ერთი სიტყვაც არ იყო მართალი: არის ვინმე სოკრატე, ამბობდნენ ისინი, რეგვენი ბრძენი, რომელიც იკვლევს ყველაფერს, რაც მიწის მემოთაა და რაც მიწის ქვეშაა; კაცი, რომელიც მდაბალს მაღლად გვაჩვენებს და სიმართლედ ასაღებს გყვილს. დიახ, სწორედ ამნაირი მითქმა-მოთქმის გამავრცელებელი მიმანია, ათენელნო, ყველაზე საშიშ ბრალმდებლებად, ვინაიდან მათ მიაბიგ მსმენელებს ჰგონიათ, რომ კაცს, რომელიც იკვლევს ყოველივე იმას, რასაც მე ვიკვლევ, ალბათ, ღმერთებიც არა სწამს. ვგეც არ იყოს, ისინი ძალზე ბევრნი არიან და მერე რამდენი ხანია მღებენ ბრალს: იმ დროიდან მოყოლებული, როცა თქვენ ჯერ კიდევ ყმაწვილები და ყრმები იყავით და ამიგომ ადვილად იჯერებდით ყველაფერს. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ დაუსწრებლად მღებდნენ ბრალს და, ცხადია, არ შემძლო მემართლა თავი. მაგრამ ყველაზე დიდი უაზრობა მაინც ის არის, რომ მე მათი სახელებიც კი არ ვიცი, ერთი კომედოგრაფის გარდა. რაც შეეხება დანარჩენებს, რომლებიც შურის, ღვარძლის ან კიდევ იმის გამო გამხედრებდნენ ჩემს წინააღმდეგ, რომ გულბრყვილად დაიჯერეს ჩემი სახელის ირგვლივ ატეხილი მითქმა-მოთქმა და მერე სხვების დაჯერებაც სცადეს, – ისინი ხომ საერთოდ მიუწევდომელნი და მოუხელთებელნი არიან ჩემთვის: მათ ვერც სასამართლოში დაიბარებ და ეერც სიცრუეში ამხილებ, ასე რომ, თავის დასაცავად, იძულებული ხარ ეომო უხილავ მტერს, იძულებული ხარ ებრძოლო აჩრდილებს. მაშ, დამეთანხმეთ იმაში, რომ ორნაირი ბრალმდებლები მყავს: ახლანდელი და ადრინდელი, რომელთა შესახებაც ეს-ესაა მოგახსენეთ, – დიახ, დამეთანხმეთ და აღიარეთ, რომ თავდაპირველად ამ უკანასკნელთაგან უნდა დავიცვა თავი, ვინაიდან მათი ბრალდება უფრო ადრე და უფრო ხშირად მოვისმენიათ, ვიდრე ახლანდელი ბრალმდებლებისა.

ასე რომ, მე მმართებს თავი დავიცვა, ათენელნო და მოკლე ხანში უარეყო ის ცილისწამება, რომელიც ამდენ ხანს ბუღობს თქვენს სულში. ნეტა კი შევძლო, ნეტა ეს სასარგებლო აღმოჩნდეს როგორც ჩემთვის, ისე თქვენთვისაც, – უკეთესს რას მივაღწევ თავის მართლებით? მაგრამ ჩემთვის არც ისაა საიდუმლო და დაფარული, რომ ეს ძალიან მწელი საქმეა, მეტიც, – თითქმის შეუძლებელი, თუმცა, დაე, ყველაფერი ისე მოხდეს, როგორც ღმერთს ნებაეს; მე კი მხოლოდ ერთი რამ მმართებს: დაე-მორჩილო კანონს და თავი ვიმართლო.

დავიწყოთ თავიდან: რაში მდგომარეობს ბრალდება, რომელმაც დასაბამი მისცა ჩემს წინააღმდეგ მომართულ ცილისწამებას და რომელზე დაყრდნობითაც მელეგოსმა თქვენ წინაშე მიჩივლა? ვნახოთ, რა სიგყევით მწამებენ ცილს ჩემი ბრალმდებელი. მოვიგანოთ სიგყეასიგყევით მათი ბრალდება, როგორც ახლანდელი ბრალმდებლის ფიციტ დამოწმებული საჩივარი: „სოკრატე მკრეხელობს და უხეხქემ თელავს კანონს; თავხედურად ცდილობს ჩასწვდეს ქვესენელის და მესენელის საიდუმლოს; სიცრუეს სიმართლედ ასალებს და სხეებსაც ამასვე აწევებს.“ ბრალდებაც ამას ქქეია! თქვენ ყველას გინახათ, არისგოფანეს კომედიაში, როგორ წრიალებს მოქანავე გოდორში ვიდაც სოკრატე და თან გაჰყვირის: ჰაერში დავექრეიარო. ეს კიდეც რაა: ღმერთმა იცის, რას მიედ-მოედება. მაღლობა უფალს, მთელი ამ ჩმახეისა არც თავი მესმის და არც ბოლო. თუმცა ამას იმ მიზნით როდი ვამბობ, რომ ესოდენ დიდებულ მეცნიერებას ჩირქი მოეცხო და მოეაყივნო; – ნეგაეი იმას, ვისაც რაიმე ესმის მისი! – ისღა მაქლია, მელეგოსმა ახალი ბრალდება წამომიყენოს! მე მხოლოდ იმის თქმა მსურს, ათენელნო, რომ ამ საქმის არა გამეგება რა. მოწმედ შემიძლია მოეიყვანო ბევრი თქვენგანი. მე ვთხოვ ყველას, ვისაც ერთხელ მაინც მოუსმენია ჩემი საუბარი, – ხოლო თქვენ შორის რამდენია ჩემი მსმენელი! – გაიხსენოს და გულდასმით აწონ-დაწონოს ყველაფერი. ჰკითხეთ ერთმანეთს, ოდესმე მაინც თუ სმენია რომელიმე თქვენგანს, რაიმე ამგვარი შეთქვას ამ საკითხთან დაკავშირებით, და თავად დარწმუნდებით, რამდენად შეესაბამება სიმართლეს ყოველივე ის, რასაც ჩემზე ამბობენ და რასაც მამბრალებენ.

ეს ხომ მგენარი სიცრუეა, მაგრამ თუ ვინმესგან გაგიგონიათ, თითქოს მე ვცდილობ აღმზარდო ხალხი და ამ გზით ფულს ვაკეთებ, მერწმუნეთ არც ეს არის მართალი. თუმცა, ისიც უნდა გითხრათ, რომ შეენაგრი ყველას, ვისაც შეუძლია ასწავლოს და აღმზარდოს ხალხი; დაგისახელებთ თუნდაც გორგია ლეონტინელს, პროდიკე კეოსელსა და ჰიპია ელიდელს. თითოეული მათგანი, ათენელნო, ქალაქ-ქალაქ დადის და არწმუნებს ჰაბუკებს, რომლებსაც კაცმა რომ თქვას, არაფერი უმლით ხელს უფასოდ ისარგებლონ თავიანთი თანამოქალაქეების რჩევა-დარიგებით, მურგი აქციონ თავისიანებს და მაინცდამაინც მას დაუდგენენ შეგირდებად, ხოლო სანაცვლოდ ფული უხადონ და ფულს მაღლობაც მედ მიუსართონ. მე გაეიგე, რომ ამჟამად აქ იმყოფება ერთი სხვა აღმზრდელიც – პაროსელი ბრპენი. ამას წინათ კი შემთხვევით შემხვდა კაცი, რომელმაც უფრო მეტი ფული გადაუხადა სოფისტებს, ვიდრე ყველა თქვენგანმა ერთად, – კალიასი, ჰიპონიკეს ძე. კალიასს ორი ვაჟი ჰყავს, და მე ვკითხე მას:

– ერთი ეს მითხარი, ჩემო კალიას, შენი ვაჟები რომ კეციები იყვნენ ანდა მოზერები, ხოლო ჩვენ დაეალებული გვექონდეს მხედნელი მოგვეძებნა მათთვის, რომელიც შეძლებდა სათანადოდ გაწერტონა და გაეხედნა ისინი, ცხადია, მას მხედართა და მხენელ-მთესეელთა შორის ამოვარჩევდით, არა? მაგრამ რაკი ისინი ადამიანები არიან, როგორ გგონია, ვის ავირჩევთ მათ აღმზრდელად? ვინ არის ადამიანური თუ სამოქალაქო სიქველის მყოდნე? შენ, ალბათ, გიფიქრია ამ საკითხზე, რაკი ვაჟების მამა ხარ. რას იგყვი, გეგულება თუ არა ასეთი კაცი?

– რა თქმა უნდა, – მომიგო მან.

– ვინ არის? – ვკითხე. – სადაურია და რამდენს იღებს სწავლის საფასურად?

– ევენე გახლავს, პაროსელი, ხოლო სწავლის საფასურად ხუთ მნას მოითხოვს, სოკრატე.

მამინ ვიფიქრე, რა ბედნიერი კაცია ეს ევენე, თუკი მართლაც ფლობს ამნაირ ხელობას და ასე ცოგას იღებს-მეთქი სწავლის ქირად. რომ შემეძლოს, მეც სიამოვნებით ვიკისრებდი ასალგამზრდობის აღმზრდას და ვიამაყებდი კიდეც ამით; მაგრამ ვაი რომ არ შემიძლია, ათენელნო.

იქნებ მოგმა თქვენგანმა მკითხოხოს: „კი მაგრამ, შენ რალა საქმეს მისდევე, სოკრატე? მაინც რატომ გწამებენ ცილს? რადგან შენ რომ იმავე საქმეს ადგე, რასაც ადგას

ყველა ჩვენგანი. უჭველად ავლებოდა ამდენი მითქმა-მოთქმა. მაშ, გვითხარი, რა ხელობის კაცი ხარ, რათა გყვილად არ ვიმგერიოთ თავი“.

ჩემის აზრით, ასეთი კითხვა დროული და მართებული ჩანს, და მე ვეუბნები განგი-მარგოთ, რას უნდა ვუმაღლოდე ჩემი სახელის მოყიენებას, ან რაგომ გავხდი ცი-ლისწამების მსხვერპლი. მაშ, მისმინეთ: იქნებ, ზოგ თქვენგანს ისიც მოეჩვენოს, რომ ეხუმრობ, მაგრამ მერწმუნეთ. სიმათლეს მოგახსენებთ.

ჩემს სახელს სხვა რამეს კი არა, მხოლოდ და მხოლოდ ერთგვარ სიბრძნეს უნდა ვუმაღლოდე, ათენელნო. მაინც რა სიბრძნეს, გაინგერესებთ? შესაძლოა, ადამიანურს, თუკი არსებობს ადამიანური სიბრძნე. მემოსხენებული სოფისტები კი, როგორც ჩანს, რომელიდაც სხვა, ადამიანურ სიბრძნეზე უფრო მაღალი სიბრძნით არიან ბრძენნი; არც კი ვიცი, რა სახელი ვუწოდო მას, არ ვიცი იმიგომ, რომ არა გამეგება რა მისი, ხოლო ვინც სხვა რამეს ამტკიცებს, ცრუობს, რათა ურცხვად დამწამოს ცილი.

გემუდარებით, ნუ ყაყანებთ, ათენელნო, ნურც გკონიათ, თითქოს თავი მომაქეს მაღალფარდოვანი სიგყვით. ჩემი სახელით კი არ ეილაპარაკებ, არამედ დაეიმოწმებ მას. ვისიც გწამთ და ვისაც ენდობით. ჩემი სიბრძნის მოწმედ თუკი საერთოდ გამაჩნია სიბრძნე, მოვიყვან დელფოსელ ღმერთს. თქვენ ყველანი იცნობდით ქერეფონს, – ის ხომ ჩემი, ისევე როგორც ბევრი თქვენგანის სიყრმის მეგობარი იყო; მას თქვენთან ერთად დაატოვებინეს სამშობლო და თქვენთან ერთად დაბრუნდა მშობლიურ ქალაქში. თქვენ ისიც იცით, რა ფიცხი კაცი იყო ქერეფონი, რა მხნე, ერთგული და საქმისთვის თავდადებული. ერთხელ, დელფოსში ჩასულმა გაბედა და ამნაირი კითხვით მიმართა მისანს...

აკი გთხოვეთ, ნუ ყაყანებთ-მეთქი, ათენელნო!

ღიას, ამნაირი კითხვით მიმართა: ვინ არის ამ ქვეყნად სოკრატეზე უფრო ბრძენიო, რამედაც პათიამ უპასუხა: არავინო. მართალია, ქერეფონი ცოცხალი აღარ არის, მაგრამ მისი ძმა გვესწრება აქ და ის დამიმოწმებს, რომ მართალს ვამბობ.

იცით, რად გეუბნებით ამას? მე ხომ ვაპირებ აგიხსნათ, რაგომ გავხდი ცილის-წამების მსხვერპლი.

როცა პათიას სიგყვა მაუწყეს, ასეთი ფიქრი მომეძალა: „რისი თქმა სურდა ღმერთს? რას გულისხმობდა იგი? მე ხომ ამრადაც არ მომსვლია ოდესმე, რომ, თურმე ნუ იტყვით და, ბრძენი ვარ? მაშ, რას ნიშნავს ეს გამოცანა, რაგომ მიწოდა ყველაზე ბრძენი? მაგრამ არც ის შეიძლება, რომ ღმერთი ცრუობდეს; არ ეკადრება მის ღირსებას-მეთქი“.

დიდხანს ვიყავი ამ საგონებელში და ვერასგვით ვერ ამეხსნა მისწერი სიგყვის აზრი. ბოლოს, როგორც იქნა, რის ვაივავლახით მივაკვლიე მისი ამოხსნის ხერხს: მივადექი ერთს იმ კაცთაგან, რომელსაც ბრძენ მოძღვრად იცნობენ ჩვენში, მივადექი, რადგან ვფიქრობდი, რომ, ყველა ყველა და, მის წინაშე მაინც შევძლებდი მემხილებინა მისნის სიყრუე და ასეთი სიგყვა მეკადრებინა მისთვის: „აი, ჭეშმარიტი ბრძენი, შენ კი, ბრძენთა-ბრძენად მე გამოგაცხადე-მეთქი“. მაგრამ როცა კარგად დავეუკირდი ამ კაცს – სახელს არ გეტყვით, ათენელნო, დასჯერდით იმასაც, რომ ის, ვისაც ფარული მიზნით ვეწვიე, სახელმწიფო მოღვაწე იყო, – და გული ვიჯერე მასთან საუბრით, დაერწმუნდი, რომ მხოლოდ მოყვასთა და, უწინარეს ყოვლისა, საკუთარ თვალში ჩანდა ბრძენი, სინამდვილეში კი, სიბრძნისა არა ეცხო რა. ამის შემდეგ, მე ყვადე დამემტკიცებინა მისთვის, რომ მხოლოდ თავს გვაჩვენებდა ბრძენკაცად, სინამ-დვილეში კი არ იყო ბრძენი, რისთვისაც მისი, ისევე როგორც ბევრი თქვენგანის სიძულვილი დაემისახურე. უკან გამობრუნებულმა უკვე ვიცოდი, რომ მასზე ბრძენი ვარ, თუნდაც იმიგომ, რომ, მართალია, არეერთმა არაფერი არ ვიცი, მაგრამ მას, არაფრის მყოფნეს, ჰკონია, რომ ყველაფერი იცის, მე კი, რადგან არა ვიცი რა, არც ვიჩემებ რაიმეს ყოდნას. სწორედ ამ მცირედით ვარ უფრო ბრძენი, სახელდობრ, იმით, რომ რაკი არაფერი არ ვიცი, არც მკონია, რომ რაიმე ვიცი.

მერე, ის იყო, მეორე კაცს მივაღეი კარზე, რომელიც პირველზე უფრო ბრძენი ჩანდა, და კვლავ იგივე განმეორდა: იქაც შემიძულეს, თვითონაც და ბევრმა სხვამაც.

ამის შემდეგ, რიგ-რიგობით თითქმის ყველას ჩამოუყარე. ვგრძნობდი, რომ საძულველი ვხედებოდი, ეწუხდი და მეშინოდა ამის, მაგრამ რა მექნა, ისიც ვიცი, რომ ღმერთის სიგყვა ყველაზე და ყველაფერზე მაღლა უნდა დამეყენებინა.

მისნობის ამრს რომ ჩაესწელომოდი, არაინ არ უნდა გამომრჩენოდა, ვისაც ბრძენის სახელით იცნობენ ჩვენში. და მე – ვფიცავ ძაღლს, სიმართლეს მოგახსენებთ, ათენელნო, – ასეთი მთაბეჭდილება დამრჩა: ისინი, ვისაც ყველაზე დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, ბრძენკაცებად კი არა, ლამის შტერებად და ყეყეჩებად წარმომიდგნენ, ხოლო ისინი, რომელთა სახელსაც აშკარად ჩრდილადა პირველთა დიდება, უფრო ჰკუადაძადარნი მეჩვენნენ. მაგრამ ბოლომდე უნდა ვიამბოთ, როგორ დავხვებოდი. გატანჯული და გაწამებული, თითქოს მძიმე გვირითი რამ მაწვა მხარზე, რათა ამრიგად გამეცხადებინა მისნობის უარული ამრი.

სახელმწიფო მოღვაწეების შემდეგ მე მივაღეი პოეტებს – გრატიკოსებს, დითირამბისტებს და სხვა დანარჩენთაც, რათა აქ მაინც შემხილებინა თავი და დაერწმუნებულებიყავი, რომ მათზე უეიცი ვარ. მე ვიღებდი იმ ნაწარმოებებს, რომლებიც მათ, ჩემის ამრით, ყველაზე უფრო დახვეწილი და უკეთ დამუშაებული ჰქონდათ; მსურდა გაგეგო, რისი თქმა სურდათ ამ ქმნილებებით, რათა ცოცა რამ მაინც მესწავლა მათგან. მე მრცხენია, კაცნო, სიმართლის თქმა, მაგრამ მეგი გზა არ არის, სათქმელი უნდა ითქვას. ერთი სიგყვით, თითქმის ყველა იქ მყოფი უკეთ ახსნიდა ამ პოეტების ქმნილებებს, ვიდრე თვით მათი შემოქმედნი, და მე მოკლე ხანში დაერწმუნდი, რომ პოეტები სიბრძნით კი არ ქმნიან მას, რასაც ქმნიან, არამედ ერთგვარი ბუნებრივი ნიჭისა და ღვთიური სიმშაგის წყალობით, მსგავსად ღმრთიეშთაგონებული მისნებისა და წინასწარმეტყველებისა, რომლებიც ბევრ მშვენიერ რამეს გვიცხადებენ სიგყვით, მაგრამ თვითონ კი არ იციან, რას გვიცხადებენ. მე მომეჩვენა, რომ რაღაც ამგვარს განიღდიან პოეტებიც. ისიც შეენიშნე, რომ, რაკი ლექსების თხზვა შეუძლიათ, ჰგონიათ, თითქოს სხვა მხრივაც ყველას ალემბაგებიან სიბრძნით, თუმცა ერთია, რაც მათ ჰგონიათ და მეორე – ის, რაც არის და როგორც არის სინამდვილეში. დაემორღით პოეტებს და ისეთი გრძნობა გამომყვა, რომ მათაც იმითვე ალემბაგები, რითაც სახელმწიფო მოღვაწეებს.

ბოლოს, ჯერი ხელოვნებაზე მიდვა. მე ხომ ვიცი, რომ არას შემძლე და არაფრის მაქნისი ვარ; მით უფრო ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ სწორედ მათ შორის ეპოვებდი ბევრი მშვენიერი ხელობის მცოდნეთ. არც შევმცდარეარ: მათ იცოდნენ ბევრი ისეთი რამ, რაზედაც წარმოდგენაც არა მქონდა, ასე რომ, ამ მხრივ, თქვენს მონა-მორჩილს აშკარად ალემბაგებოდნენ სიბრძნით. მაგრამ მე მომეჩვენა, ათენელნო, რომ ეს დიდებული ოსტაგებიც ისევე სცოდავდნენ, როგორც პოეტები: რაკი სრულყოფილად ფლობდნენ თავიანთ ხელობას, რაკი ზედმიწევნით იცოდნენ თავიანთი საქმე, თვითთულ მათგანს ყველა სხვა მხრივაც, ცოდნის ყველაზე დიდმნიშვნელოვან დარგშიაც, ყველაზე ბრძენად მოჰქონდა თავი, და ეს ბრიყუული შეცდომა აშკარად ჩრდილადა მათ სიბრძნეს. ასე რომ, მისნობის ამრში საწვდომად, ამ კითხვით მიემართავდი საკუთარ თავს: რას ამჯობინებ – დარჩე იმად, რაც ხარ და არ იყო ბრძენი მათი სიბრძნით, არც უმეყარი მათი უმეყრებით, თუ გსურს მათსავით ბრძენიც იყო და უმეყარიც? ხოლო ამ კითხვის პასუხად ასე მივეუგებდი მისანსაც და საკუთარ თავსაც: მე მირჩენია დაერჩე იმად, რაცა ვარ-მეთქი.

სწორედ ამ კვლევა-ძიების ბრალია, ათენელნო, რომ ერთის მხრივ, ბევრმა თქვენგანმა შემიძულა უმძაფრესი და უსასტიკესი სიძულვილით, რამაც დასაბამი მისცა ამდენ მითქმა-მოთქმას, ხოლო, მეორეს მხრივ, ბრძენის სახელი გამივარდა ხალხში, ვინაიდან ჩემი მსმენელნი ერთთავად იმას ფიქრობდნენ, რომ, რაკი მე ვამტკიცებ – მავანსა და მავანს სიბრძნისა არა სცხია მეთქი, ეს მხოლოდ იმას უნდა ნიშნავდეს, რომ თავად ვიჩემებ ბრძნობას.

სინამდვილეში კი ბრძენი მსოფლოდ ღმერთია, ათენელნო, და მისნის პირით იმის თქმა სურს, რომ კაცის სიბრძნეს ჩალის ფასი აქვს. როგორც ჩანს, ის სოკრატეს კი არ გულისხმობს. არამედ ჩემი სახელი სანიმუშოდ სჭირდება მხოლოდ, თითქოს სურს გვითხრას: „თქვენ შორის, კაცნო, ყველაზე ბრძენია ის, ვინც, სოკრატეს მსგავსად, იყის. რომ მისი სიბრძნე ჭეშმარიტად უბადრუკია და უფასური“.

ასე და ამრიგად, დღემდე დავესხები და ღმერთის სიტყვის თანახმად, დღენიადავ ვეძებ და ვჩხრეკ, ვინ ეადიარო ბრძენკაცად თანამოქალაქეთა თუ უცხოელთა შორის, და, ამდენი მცდელობის მიუხედავად, ხელმოცარული და იმედგაცრუებული ვედილობ ყველას დაეუმტკიცო, რომ ღმერთი მართალია, და რომ დედამიწის ზურგზე არ მოიძებნება არცერთი ბრძენი. აი, რამ შეიწირა ჩემი დღე და წუთისოფელი; აი, რაგომ ვერ მოვაბი თავი ღირსახსოვარ, საზოგადო თუ პირად საქმეს. ღმერთის სამსახურს ვუმაღლი იმას, რომ დღემდე ვერ დავაღწიე თავი უკიდურეს სილატაკეს და სიგლახაკეს.

ეგემ არ იყოს, ჩემი მიმდევარი ათენელი ჭაბუკები, ყველაზე მდიდარ მოქალაქეთა შვილები, რომლებსაც თავისუფალი დრო თავზე საყრულად აქვთ, სიამოვნებით ისმენენ, როგორ ვედი ხალხს და, ჩემი მიბაძვით, ხშირად თვითონაც ცდიან სხვებს. მე მგონია მათ ანკესმე ბლომად ეგებიან ისეთნი, რომლებსაც ჰგონიათ რაღაც ვიცითო, თუმცა სინამდვილეში არაფერი იციან, მაგრამ მათ მიერ გამოცდილნი თავიანთ თავზე კი არა, რაგომდაც ჩემზე ბრამოზენ და გაპყვირიან: ვინ ვღია ეს ოხერი სოკრატე, ახალგაზრდობას რომ გვირყვინისო. მაგრამ, აბა, ჰკითხეთ მათ, ვინ არის ეს სოკრატე და რას ასწავლის ახალგაზრდობას? მერწმუნეთ, ფეგვის მარცვალევით დაიბნევიან და თავიანთი დაბნეულობა რომ დამაღონ, ერთხმად მოპყვებიან ლანძღვა-გინებას, რომლითაც საერთოდ უმასპინძლებიან ფილოსოფოსებს: ისეე გამოჩხრეკენ „მესკნელისა და ქვესკნელის საიდუმლოს“, ისეე ამოიჩემებენ „მკრეხელობას“, ისეე შეაჩვენებენ „სიერუსის სიმართლედ გამსაღებელს“, და ასე შემდეგ. სიმართლის თქმა კი არა და არ სურთ, მე მგონია, იმიგომ, რომ მაშინვე ფარდა აებდება მათ საიდუმლოს, მაშინვე გამოამკარავდება, რომ მხოლოდ თავს გვაჩვენებენ მცოდნეებად, სინამდვილეში კი არაფერიც არ იციან. ხოლო რაკი ისინი, ჩემი ამრით, პატივმოყვარენი, ძლიერნი და მრავალრიცხოვანნი არიან და, თანაც, ასე დაჟინებით და დამაჯერებლად ლაპარაკობენ ჩემზე, ალბათ რახანია გამოგიჭედეს ყურები ჩემი ცილისწამებით და ლანძღვა-გინებით.

მათ რიცხვს ეკუთვნიან ჩემი დამსმენიც – მელეტოსი, ანიტოსი და ლიკონი. მელეტოსი პოეტების ვამო მშვიინვარებს, ანიტოსი ხელოსნებსა და სახელმწიფო მოღვაწეებს იცავს, ხოლო ლიკონი – რიგორებს. ამიგომ, როგორც თავში მოგახსენეთ, ძალიან გამიკვიდრებოდა, თუ ესოდენ მოკლე დროში შეეძლებდი ამ უსამველოდ გაბერილი და გამვიადებული ცილისწამების უარყოფას.

ასეთია, ათენელნო, შეუფარავი და შეულამაზებელი სიმართლე; არც რამ გამიყალბებია და არც რამ გადამისხვაფერებია. თუმცა ვიცი, რომ სანაცვლოდ მხოლოდ თქვენს სიძულვილს მოვიმკი, მაგრამ სწორედ ეს მოწმობს, რომ სიმართლეს ვამბობ, სწორედ ამიგომ მწამებენ ცილს და სწორედ ეს გახლავთ ცილისწამების მიმომიცი, ასე რომ, როცა არ უნდა გაგერჩიათ ჩემი საქმე, უფრო ადრე თუ უფრო გვიან, სულერთია, ამით არაფერი შეიცვლებოდა, სურათი ერთი და იგივე იქნებოდა ყოველთვის.

რაც შეეხება ჩემს პირველ ბრალმდებელს, ვფიქრობ, თქვენთვის თავის ასეთი მართლება საკმარისი უნდა იყოს. ახლა კი ვეცდები მელეტოსისგან, ამ, როგორც თვითონ ამტკიცებს, კეთილი და მშობლიური ქალაქზე თავგადაკლული კაცისაგან, ისევე როგორც დანარჩენი ბრალმდებლებისაგან დავიცუა თავი. ისინი ადრინდელ ბრალმდებლებს როდი ჰკვანან, ამიგომ, მოდი, გავიხსენოთ მათი ფიცით დამოწმებული საჩივარი, რომელიც დაახლოებით ასეა ჩამოყალიბებული: „სოკრატე ფეხქვეშ თელავს კანონს, ვინაიდან რყენის და აფუჭებს ახალგაზრდობას; არა სცნობს ღმერთებს, რომელთაც თავყანსა სცემს ქალაქი, არამედ აღიარებს რომელიდაც ახალ ღვთაებებს“. ასეთია ბრალდება. განვიხილოთ მისი თითოეული მუხლი ცალ-ცალკე.

აქ ნათქვამია, რომ სოკრატე, უკანონოდ იქცევა, ვინაიდან რყვნის და აუუჭებს ახალგაზრდობას, მე კი ვამტკიცებ, რომ უკანონოდ იქცევა მელეტოსი, ვინაიდან ამასხრებს იმას, რაც სულაც არ არის სამასხრო და დაუდევრად იბარებს ხალხს სასამართლოში. თანაც, თავს ისე გვაჩვენებს, თითქოს მართლაც გული შესტკივა იმ საქმეზე, რისი გულისთვისაც არასოდეს შეუწუხებია თავი. ეცდები დაგიმტკიცოთ, რომ მართალს ვამბობ.

მომიახლოვდი, მელეტოს, და მიპასუხე. შენ ხომ ყველაფერზე მაღლა აყენებ იმას, რომ ჩვენი ჭაბუკები დღითი-დღე უფრო მნესრულნი და სრულყოფილნი ხდებოდნენ?

– რა თქმა უნდა.

– მაშ მოახსენე საკრებულოს, ვინ სრულყოფს მათ? შენ, ალბათ, იცი, რაკი ამ საქმეზე გული შეგტკივა. გამრყენელი, შენ თუ დაგიჯერეთ, უკვე აღმოაჩინე: აქ დამიბარე და ბრალსა მდებ. ახლა კი, კეთილ ინებე და მათი სრულყოფიერ დაგვისახელე. აი, ხომ ხედავ, შენ სდუმხარ, მელეტოს, სდუმხარ იმიტომ, რომ არ იცი, რა თქვა. უაი სირცხვილო! განა ეს არ მოწმობს ჩემს სიმართლეს? განა ეს არ არის საუკეთესო დასტური იმისა, რომ ამ საქმით არასოდეს ავიტკივებია თავი? მაგრამ მიპასუხე, კეთილო კაცო, მაინც ვინ სრულყოფს მათ?

– კანონები:

– მე განა მაგას გეკითხები, ღირსეულო? მე მსურს გავიგო, ვინ არის ის კაცი, რომელმაც, უწინარეს ყოვლისა, შესანიშნავად იცის კანონები?

– აი, ესენი, სოკრატე, – მოსამართლენი.

– რას მეუბნები, მელეტოს, ნუთუ ამათ შეუძლიათ აღზარდონ და სრულყოფნა ჩვენი ჭაბუკები?

– შეუძლიათ და მერე როგორ!

– ყველას? თუ მოგს შეუძლია, მოგს კი არა?

– ყველას..

– დიდებული პასუხია, ვფიქრებ პერას! ეს რამდენი საჭირო და სასარგებლო ხალხი გეყოლია! ჩვენს მსმენელებზე რაღას იტყვი, ნუთუ ისინიც სრულყოფენ ჭაბუკებს?

– დიახ, ისინიც.

– სათათბიროს წევრებიც?

– რაღა თქმა უნდა.

– კი მაგრამ, მელეტოს, ვინდა აუუჭებს ამ ჩვენს ჭაბუკებს? იქნებ სახალხო საკრებულოს მონაწილენი? თუ ისინიც უკლებლივ სრულყოფენ მათ?

– ცხადია ისინიც.

– როგორც ჩანს, ჩემ გარდა, ყველა ათენელი სრულყოფს ჩვენს ჭაბუკებს და მარტო მე ვრყენი მათ. ამას ამტკიცებ?

– სწორედ მაგას.

– რაღა მეშველება მე უბედურს! მაგრამ ერთი ამ კითხვაზეც მიპასუხე: შენ გგონია, რომ იგივე შეიძლება ითქვას ცხენებზეც? ყველა სრულყოფს და მხოლოდ ერთი კაცი აუუჭებს მათ გაწერთილებას? თუ პირიქით, ცხენების სრულყოფილი ხედნა მხოლოდ ერთს, ან ძალიან ცოტას თუ შეუძლია, სახელდობრ, მხედრებს, მაშინ როდესაც ყველა დანარჩენი მხოლოდ აუუჭებს მათ? განა იგივე არ ითქმის, მელეტოს, ყველა სხვა ცხოველის მიმართ? რა თქმა უნდა. მითხარი, შენ და ანიგოსი იზიარებთ თუ არა ამ აზრს? რა ბედნიერი იქნებოდა ჩვენი ახალგაზრდობა, მხოლოდ ერთი კაცი რომ რყენიდეს, ყველა დანარჩენი კი სრულყოფდეს და აკეთილშობილებდეს მას. თუმცა შენ ეჭვმიუტანლად დაგვიმტკიცე, მელეტოს, რომ არასოდეს ავიტკივებია თავი ახალგაზრდობაზე გრუნვით და თვალნათლივ გვიჩვენე შენი გულგრილობა მის მიმართ. მეუ ასევე გულგრილად და დაუდევრად დამიბარე სასამართლოში.

მეგის გულისთვის, ერთი ესეც მითხარი, მელეტოს: ვის შორის გირჩენია ცხოვრება – კეთილშობილთა თუ აკაცთა შორის? მიპასუხე, ჩემო ძვირფასო, არც ისე

ბნელ კითხვას გთავაზობ. განა აეკაცინი შევ დღეს არ აყრიან თავიანთ მოყვასთ, ხოლო კეთილშობილნი კეთილისმყოფელნი არ არიან მათი?

– რა თქმა უნდა.

– მერქდა, განა ჩვენ შორის მოიძებნება ვინმე ისეთი, ვისაც ბოროტისმყოფელი ურჩევნია კეთილისმყოფელს?

– რასაკვირველია, არა.

– კეთილი და პატიოსანი; შენ ბრალად მდებ, თითქოს ახალგაზრდობას ვრყენი; როგორ გვონია. შეგნებულად ვიქცევი ასე თუ შეუგნებლად?

– შეგნებულად.

– ვითომ, მელეტოს? ნუთუ შენ – ყმაწვილი კაცი – უფრო ჭკვიანი ხარ, ვიდრე ბებერი სოკრატე? ნუთუ შენ მიხვდი, რომ აეკაცინი შევ დღეს აყრიან თავიანთ მოყვასთ, ხოლო კეთილშობილნი კეთილისმყოფელნი არიან მათი, მე კი – ბერიკაცი – იმდენად უგუნური გვონივარ, რომ დღემდე ვერ მივხვედრილვარ, ვერ შემიგნია ესოდენ მარტივი ჭეშმარიტება: თუ მე არამზადად ვაქცევი რომელიმე მოყვასს, თვითონვე უნდა მემინოდეს მისი სიამის, და შენ გვონია, როგორც შენივე სიციხეები მოწმობენ ამას, რომ მე შეგნებულად ჩაეღვივარ ამ გაუგონარ ბოროტებას? როგორ ვერწმუნო, ჩემო მელეტოს, ანდა როგორ ვერწმუნონ სხვები? ასე რომ, მე ან საერთოდ არ ვრყენი, ანდა, თუ ვრყენი, შეუგნებლად ვრყენი მათ. ამრიგად, შენ ორსავე შემთხვევაში ცრუობ. ხოლო თუ მე შეუგნებლად ვრყენი ახალგაზრდობას, ამ უნებლიე შეცოდების გამო, საცა სამართალია, სახალხოდ კი არ უნდა მომაყივნო, არამედ ცალკე უნდა გამიხმომ, დამანახო ჩემი შეცდომა, ჭკუა მასწავლო, დამარიგო. რადგან, თუ ჩემს შეცდომას შევიგნებ, რასაკვირველია, ხელს ავიღებ იმაზე, რასაც შეუგნებლად ჩაეღვივარ. შენ კი ერთხელაც არ მოსულხარ ჩემთან, არ დაგორიგებია ვარ და პირდაპირ იქ მომიყვანე, სადაც მხოლოდ განსაჯელნი მოჰყავთ და არა ისინი, ვისაც ჭკუა უნდა ასწავლო. განა ეს თავისთავად არ მოწმობს, ათენელნო, რომ მელეტოსს, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, არასოდეს აუტკიებია თავი ამ საქმით?

მაგრამ გვითხარი მელეტოს: შენის აზრით, მაინც როგორ ვრყენი ახალგაზრდობას? თუ შენს ბრალდებას ვერწმუნებით, მე თითქოს ვასწავლი ათენელ ჭაბუკებს უარყონ ის ღმერთები, რომლებსაც თავყვანს სცემს ქალაქი და მათ ნაკელად ახალი ღვთაებები თუ ღმერთები აღიარონ. ხომ ამას გულისხმობ, როცა ამტკიცებ, რომ მე ჩემი მოძღვრებით ვრყენი ახალგაზრდობას?

– დიახ, სწორედ მაგას ვგულისხმობ.

– მაშ, ვაფიცებ სწორედ ამ ღმერთებს, რომლებიც, ეს-ესაა ეახსენეთ, მელეტოს, უფრო ნათლად და როგორც ჩემთვის, ისე, აი, ამ ხალხისთვისაც უფრო გასაგებად ილაპარაკე. რადგან მე ვერასდობებით ვერ მიმხვდარვარ, რისი თქმა გსურს: იმას ამტკიცებ, თითქოს მე ემოძღვრავ ახალგაზრდობას აღიაროს რომელიღაც ახალი ღვთაებანი და, მაშასადამე, თვითონვე ვაღიარებ ღმერთების არსებობას. ასე რომ, არ შეიძლება პირწაყვარდნილი უღმერთო მეწოდოს, და, ამრიგად, ამ მხრივ როდი ეყოდა; მხოლოდ ეგაა, ვაღიარებ არა იმ ღმერთებს, რომლებსაც თავყვანს სცემს ქალაქი და სწორედ ამაში მდებ ბრალს, – თუ იმის დამტკიცება გსურს, რომ მე საერთოდ უარყოფ ღმერთებს და არა მარტო თავად უარყოფ, არამედ სხვებსაც ამასვე შევაგონებ?

– მე ვამტკიცებ, რომ შენ საერთოდ არა სენობ ღმერთებს.

– საოცარი კაცი ხარ, მელეტოს! რატომ ამტკიცებ მაგას? მაშასადამე, მე, სხვებისგან განსხვავებით, ღმერთებად არ ვენობ, ღმერთებად არ ვთვლი არც მშვეს და არც მთვარეს.

– ვფიცავ ზეესს, მართლაც ასეა, მოსამართლენო: ის ამტკიცებს, რომ მზე – ქვაა, მთვარე კი – მიწა.

– როგორც ჩანს, ანაქსაგორას ადანამაულებ, ჩემო ძვირფასო მელეტოს, და ისე უბადრუკებად, ისე უვიცებად მიგაჩნია ჩენი მოსამართლენი, რომ გვონია, თითქოს

მათ არ იციან, ანაქსაგორა კლაპომენელის წიგნები ამნაირი ამრებით რომაა საესე. ჩვენი ჭაბუკებიც, თურმე ნუ იგყვით და, ჩემი წყალობით იგებენ ამას, თუმცა შეუძლიათ ორქესტრამი, სულ დიდი, ერთი ღრამის ფასად შეიგყონ იგივე, რათა შემდეგ მასხრად აიგღონ სოკრატე, თუ ის მართლაც მიითვისებს და თავისად გაასაღებს მთელ ამ სისულელეს. მაგრამ მითხარი, გვესის გულისთვის, ნუთუ მართლა გცონია, რომ მე არ ეცნობ არაერთარ ღმერთს?

– აგრეა, ვფიცავ გვეს.

– დაუჯერებელია, ჩემო მელეგოს, და მე გგონია, შენ თვითონაც არ გჯერა შენი სიტყვები. ჩემის ამრით, ეს კაცი, ათენელნო, შარიანია და მლეგი. ჩემი ბრალდებაც სწორედ თავისი შარიანობისა და სიმლეგის, თავისი ახალგაზრდობისა და გამოუცდლობის გამო შეთხზა; მაგრამ ეს ბრალდება გამოცანას უფრო ჰგავს: „აბა, ენახოთ, თუ გამოიცნობს ეს ჩვენი ბრძენი სოკრატე, რომ მე ვხუმრობ და ჩემსავე თავს ეწინააღმდეგები, – თუ შეეძლებ გავაყურო ისიც და დანარჩენი მსმენელებიც?“ რადგან მე მართლა გგონია, რომ ის თავის თავს ეწინააღმდეგება, თითქოს ამის თქმა სურსო: „სოკრატე მკრებელობს არა იმიტომ, რომ არ აღიარებს ღმერთებს, არამედ იმიტომ, რომ აღიარებს ღმერთებს“. ოინიც, თუ გნებავთ, ესაა სწორედ!

მაშ, ჩემთან ერთად დაუკვირდით, ათენელნო, მართლა იმის თქმა სურს თუ არა, რასაც მე ვფიქრობ? გვიპასუხე, მელეგოს, თქვენ კი ნულარ გამამეორებინებთ თხოვნას: ნუ აყაყანდებით, თუ ჩემებურად ვილაპარაკებ.

მოიძებნება თუ არა, მელეგოს, ამ ქვეყნად ისეთი კაცი, რომელიც აღიარებს აღამიანთა მოქმედებას და შემოქმედებას, თვით აღამიანების არსებობას კი არ აღიარებს? დაე, მიპასუხოს, მოქალაქენო, თქვენ კი გთხოვთ, ნუ ყაყანებთ აგრე უაზროდ და უმიზნოდ. მოიძებნება თუ არა ამქვეყნად კაცი, რომელიც არ აღიარებს ცხენების არსებობას, ცხენოსნობას კი აღიარებს? ანდა კაცი, რომელიც არ აღიარებს აელეგისტებს, აელეგობას კი აღიარებს? არ მოიძებნება, ჩემო უკეთილშობილესო მელეგოს, თუ არ გსურს მიპასუხო, შენც და ყველა აქ დამსწრესაც მე გეგყვით ამას. მაგრამ იქნებ ამ კითხვაზე მაინც ინებო პასუხის გაცემა: მოიძებნება თუ არა კაცი, რომელიც აღიარებს ღმერთიურობას, თვით ღმერთებს კი არ აღიარებს?

– არა, არ მოიძებნება.

– მაღლობა ღმერთს, ძლიეს არ გაიძულეს ათენელებმა პასუხი გელირსებინა ჩემთვის? ამრიგად, შენ ამტკიცებ, რომ მე ვაღიარებ და სხვებსაც ვაღიარებინებ ღმერთიურობას, სულერთია, ახალია თუ ძველი ეს მრწამსი: მთავარი ისაა, რომ მე ვაღიარებ ღმერთიურობას, და რომ შენ ფიცით დაუმოწმე აქ შეკრებილთ შენი ბრალდების ეს მუხლი. ხოლო თუ მე ვაღიარებ ღმერთიურობას, შეუძლებელია არ ვაღიარებდე თვით ღმერთებსაც. ასეა, არა? რა თქმა უნდა, ასეა. ხომ გავიგონია, ღმირილი თანხმობის ნიშანიო. კი მაგრამ, განა ღმირნებს ღმერთებად და ღმერთების ნაშიერებად არა ვთვლით?

– ცხადია, ვთვლით.

– ამრიგად, თუ მე ვაღიარებ ღმირნებს, რასაც არც თავად უარყოფ, და თუ ღმირნები იგივე ღმერთებია, მაშასადამე, მართალი მითქვამს: შენ ხუმრობ და გამოცანას გეთაყაზობ, რახან ამტკიცებ, რომ მე უარყოფ ღმერთებს და, იმაედროულად, ვაღიარებ მათ, რაკილა ვაღიარებ ღმირნებს. მეორეს მხრივ, თუ ღმირნები ღმერთების ნაშიერნი არიან, სულერთია, ვინც უნდა იყვნენ მათი ღედები – ნიმფები თუ, როგორც ამბობენ, მოკვდავი ქალები, – მითხარი, ვინ გეგულება ისე დამთხვეული, რომ აღიაროს ღმერთების ნაშიერნი და არ აღიაროს თვითონ ღმერთები? ეს ხომ ისეთივე სიბრიყვე იქნებოდა, როგორც, ვთქვათ, ერთის მხრივ, იმის აღიარება, რომ არსებობენ ჯორები – ცხენებისა და ვირების ნაშიერნი, ხოლო მეორეს მხრივ, ცხენებისა და ვირების არსებობის უარყოფა. არა, მელეგოს, შეუძლებელია, რომ ჩვენს გამოსაცდელად არ შეგეთხზა და შეგეთითხნა ეგ ბრალდება, ან არა და, ალბათ, არ იცოდი, რაში დაგედო ჩემთვის ბრალი. ისე კი, თუ გგონია, რომ შეძლებ გავაყურო თუნდაც ერთი

ჩვენგანი, ვისაც ჭკუის ნასახი მაინც მოუძებნება, და დაარწმუნო იმაში, თითქოს ერთი და იგივე კაცი აღიარებს ღვთაებრივს თუ ღმერთს და, იმავდროულად, უარყოფს ღვთაებებისა თუ ღმერთების არსებობას. — მერწმუნე, თავს იგყუებ მხოლოდ და მხოლოდ.

მოკლედ, ათენელხო, მე რომ უდანამაულო ვარ იმაში, რაშიც ბრალსა მდებს მელეგოსი, ჩემის აზრით, მტკიცებას და დასაბუთებას აღარ მოითხოვს: საკმარისია ისიც, რაც ითქვა. ხოლო ის, რომ, როგორც ადრევე მოვახსენეთ, ბევრ თქვენგანს ეძულვარ უძმაფრესი სიძულვილით, მერწმუნეთ, სრული ჭეშმარიტება გახლავთ. ამიგომ, თუ დამლუპავს, მელეგოსი და ანიგოსი კი არ დამლუპავს, არამედ ბრბოს სიძულვილი და ცოდისწამება, რამაც უკვე დაღუპა არა ერთი და ორი პატიოსანი კაცი და, ჩემის აზრით, კვლავაც დაღუპავს, ვინაიდან არაერთიარი საფუძველი არა მაქვს კოფორს, რომ მაინცდამაინც მე ვიქნები უკანასკნელი.

მაგრამ იქნებ რომელიმე თქვენგანმა მკითხოხ: „როგორ არა გრცხვენია, სოკრატე, რამ გაიძულა იმ საქმეში გარევა, სიკვდილს რომ ექიადის დღეს?“

პართალი ვიქნები, თუ ამ კითხვის პასუხად ასე მიეუბნებ მას: „არასწორად მსჯელობ. ჩემო მეგობარო, თუ გვინია, რომ კაცი მხოლოდ სიკვდილ-სიციოცხლის საფრთხეს უნდა უწვედეს ანგარიშს და არა იმას, თუ როგორ იქცევა — სამართლიანად, როგორც მეშვენის კეთილს, თუ უსამართლოდ, როგორც შეჟურის უკეთურს. შენის აზრით, სულმოკლე ყოფილა გროასთან დაემული ყველა ნახეუარღმერთი და, მათ შორის, თეგიდას ეაყი, რომელსაც ისე ემინოდა სახელის გაგებისა, რომ არად ჩააგლო სიკვდილის საფრთხე და როცა ქალღმერთმა დედამ, რომელმაც გაიგო, პეტრორის მოკვლას აპირებდო, თუ არა ვედები, ამ სიგყეებით გააფრთხილა: „ჩემო ვაჟაყიო, თუ შენი მეგობრის პაგროკლეს შურის საძიებლად მოკლავ პეტრორს, თაყადაც მოკვდები: პრიამოსის ძის სიკვდილის შემდეგ აღარც შენ გიწერია დიდი დღე“. — მან გულშეიდად მოისმინა დედის სიგყეები, არ შეუღრკა საფრთხეს და არ შეუშინდა სიკვდილს. ვინაიდან ათასწილ უფრო ემინოდა მსდალის სახელი არ შერქმეოდა, თუ არ აიღებდა მეგობრის სისხლს: „დაე, მოვკვდე, ოღონდ სანაცულო მიეუბნო თაგვასულს, ოღონდ არ დაფრჩე აქ, ნამგალა ხომალდთა გვერდით, კაცთა სამასხროდ და მიწის სირცხვილად“. როგორ გვინია, განა მას აშინებდა საფრთხე და სიკვდილი?“

ლიახ, ასეა. ჭეშმარიტად ასეა, ათენელხო: ვისაც რა ადვილი უჭირავს მწყობრში, სულერთია. იმიგომ, რომ თავეისთვის ყველაზე უკეთესი და შესაფერისი ჭგონია იგი, თუ იმიგომ, რომ სწორედ ეს ადვილი მიუჩინა არქონგმა, ჩემის აზრით, იქვე უნდა დარჩეს და არად ჩააგდოს არც საფრთხე, არც განსაცდელი, არც სიკვდილის შიში, ერთის სიგყით, არაფერი, გარდა სირცხვილისა. ხოლო მას შემდეგ, რაც თქვენს მიერ არჩეულმა არქონგებმა მომიჩინეს მწყობრში ადვილი, რათა მათი წინამძღოლობით შეგბოდი მგერს. — ასე იყო პოგიდეასთან, ასე იყო ამფიპოლისთან, ასე იყო დელიონთან. — ღიახ, მას შემდეგ, რაც მე, ისევე როგორც ბევრი თქვენგანი, ათასგარი განსაცდელისა და სიკვდილის საფრთხის მიუხედავად, მტკიცედ და ნირმეუკუელად ვიდექი ჩემს ადვილას. — თაეად განსაჯეთ, რას ემგვანებოდა ჩემი ქიკვა. ათენელხო, თუკი ამეამად, როცა თვით ღმერთმა ჩამაყენა მწყობრში და მიბრძანა, მისდევ ფილოსოფიას და გამოსყადე როგორც შენი თაეი, ისე სხვებიცო, — ანაზღუელად შემაკრთობდა სიკვდილისა თუ სხვა რამის შიში და ღაჩრულად დაგვოყუბდი მწყობრს. ამ უღირსი საქციელის გამო ჩემთვის მართლაც უნდა გყჩელათ სასამართლოში და ბრალად დაგედოთ, რომ მე ანგარიშს არ ვუწევ მსისობის აზრს. უარყოფ ღმერთებს, მემინია სიკვდილის და, თუმცა სიბრძნის არა მქია რა, ბრძენკაცად მომაქვს თაეი, რადგან სიკვდილის შიში, არსებითად, სხვა არა არის რა, მოქალაქენო, გარდა იმისა, რომ ბრძენკაცად მოგჭონდეს თაეი და იჩემებდე იმის ცოდნას, რაც, სინამდვილეში, არ იყი. მართლაცდა, ვინ იყის, რა არის სიკვდილი? იქნებ, ის უდიდესი სიკეთეა ადამიანისათვის, თუმცა ისე კი ემინიათ მისი, თითქოს

დაბეჯითებით იცოდნენ, რომ ის უდიდესი ბოროტებაა. მაგრამ მხოლოდ სრულიად უიციო და უმეცარი თუ დაიჩემებს იმის ცოდნას, რაც არ იცის. მე კი, მოქალაქეწოდ, სწორედ იმით განსხვავდები უმრავლესობისაგან და იმიტომ ეჩანვარ, თუკი ვისიმე თვალში მართლა ეჩანვარ, სხვებზე უფრო ბრძენი, რომ, რაკი პადესზე ბევრი არა ვიცი რა, არც მგონია, თითქოს რაიმე ვიცი, ხოლო კანონის დარღვევა და შენზე უმჯობესის (სულერთია, ღმერთის თუ კაცის) უგულებელყოფა რომ სამარცხენოა და საძრახისი. მერწმუნეთ, ამაში არასოდეს შემპარვია ეჭვი. ამიტომ არ შეუუკრთები იმას, რაც, შესაძლოა, სიკეთეც იყოს ჩემთვის, და არ შეუუშინდები უფრო მეტად, ვიდრე იმას, რასაც ჩემთვის ამკარა ბოროტებად ვთვლი.

ახლა კი, რომც ადგეთ და გამამართლოთ, ისე რომ ყური არ ათხოვთ ანიგოსს, რომელიც გაპყვირის, რომ ან საერთოდ არ უნდა გამოეცხადებულებოდა სასამართლოში, ანდა, რაკი გამოეცხადდი, დაუშვებელია ჩემი დაუსჯელად გამშვება, და რომელიც ერთავად იმას გიმტკიცებთ, რომ თუ გამამართლებთ, მაშინ თქვენი შეილები, სოკრატეს ფეხის ხმას აყოლილნი, შეიძლება საბოლოოდ წავიდნენ ხელიდან, — დიახ, რომც ადგეთ და ასე მითხრათ: „ამჯერად ჩვენ ვაწბილებთ ანიგოსს და გამართლებთ, სოკრატე. მხოლოდ იმ პირობით, რომ თავი ანებო ამ უაზრო კვლევა-ძიებას და ხელი აიღო ფილოსოფიაზე, მაგრამ თუ მაინც აგვიხირდები და შენსას არ დაიშლი, ელარაფერი გიხსნის სიკვდილისაგან“, — მერწმუნეთ, ამ პირობით კიდეც რომ გამამართლოთ, მაინც ასე გეტყოდით თქვენ:

„მე თქვენ პატივს გეცემთ, მე თქვენ მიყვარხართ, ათენელნო, მაგრამ მაინც ღმერთის უფრო მჯერა, ვიდრე თქვენი; ამიტომ, სანამ პირში სული მიდგას და ძალა მერჩის, ხელს არ ავიღებ ფილოსოფიაზე, არ დაემშვიდდები, არ დაეცხრები და ეეცდები იგივე მთავაგონო თითოეულ თქვენგანს, რასაც აქამდე მთავაგონებდი: „ეჰა, უკეთილშობილესო კაცთა შორის, ეჰა ათენელნო, უდიადესი და სიბრძნითა თუ ძალმოსილებით ყველაზე სახელგანთქმული ქალაქის მოქალაქე, ნუთუ არა გრცხენია, რომ მხოლოდ ოქრო-ვერცხლზე გიჭირავს თვალი, მხოლოდ ფულის მოგებაზე გელევა სული? ნუთუ მხოლოდ სახელისა და პატივის მოხევეჰა შენი სამრუნავი და არა სიბრძნე, ჭეშმარიტება, სული? ნუთუ არ გინდა, რომ შენი სული უფრო წმინდა იყოს, უფრო მშვენიერი, უფრო მნერული? ხოლო თუ რომელიმე თქვენგანი შემედაეება და დაიწყებს იმის მტკიცებას, თითქოს დიახაც მრუნავს სულისთვის, იმ წამსვე კი არ დავეხსნები და გავეცდები, არამედ კითხვას გავემეორებ, გამოვუდი, გამოვაამკარავებ, და თუ შევატყვე, რომ სიქველის ნასახიყ არ გააჩნია და მხოლოდ თავს გვაჩვენებს ქველად, დავგობ, შევარცხვენ, შევაჩვენებ იმის გამო, რომ არაფრად აგდებს ყველაზე ძვირფასს, ხოლო ყველაზე უფასური თავს ურჩენია. ასე მოვექცევი ყველას, ვისაც შევხედები, — მოხუცსა თუ ახალგაზრდას, უცხოელს თუ ჩვენებურს, მით უმეტეს, — თქვენ, ათენელნო, ვინაიდან თქვენა ხართ ჩემი სისხლი და ხორცი. მერწმუნეთ, ამას მიბრძანებს ღმერთი, და მე მგონია, მთელს ქალაქში არ მოგეტყებნებათ უფრო დიდი სიკეთე, ვიდრე ეს ჩემი სამსახური ღმერთის მიმართ. მე ხომ სხვას არას ვაკეთებ, გარდა იმისა, რომ დაედევარ ქალაქში და ვარწმუნებ ყველას, მოხუცსაც და ახალგაზრდასაც, უმეტეს და უწინარეს ყოვლისა, სხეულსა და ფულზე კი არა, სულზე იმრუნონ, რათა ის უფრო სრულქმნილი გახდეს. დიახ, მე ვამტკიცებ, რომ ფული კი არ ბადებს სიქველეს, არამედ სიქველე ანიჭებს კაცს ფულსაც და ყველა სხვა სიკეთესაც როგორც პირად, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. თუ ამნაირი სიკვებებით ვრყვნი ახალგაზრდობას, რა თქმა უნდა, დამნაშავე ვარ. ხოლო ვინც ამტკიცებს, თითქოს ამას კი არა, სხვა რამეს ვასწავლი ათენელ ჭაბუკებს, წყალს ნაყავს მხოლოდ. ამიტომ, კელავ გიმეორებთ, ასე გეტყოდით თქვენ: „მიუხედავად იმისა, ვრწმუნებით თუ არა ანიგოსს, მიუხედავად იმისა, გამამართლებთ თუ არა, მე ჩემსას არ მოვიშლი, ათენელნო, ერთხელ კი არა, ათასჯერაც რომ მომაკვდინოთ“.

ნუ ყაყანებთ, ათენელნო, შემისრულებთ ეს სათხოვარი; ნუ კი ყაყანებთ ჩემს ყოველ სიტყვაზე, არამედ ყურადღებით მისმინეთ. მე მინდა ვითხრათ რაღაც ისეთი, რის

გამოც თქვენ. ალბათ, უფრო ხმაძალდა აყაყანდებით, მაგრამ კვლავ გემუდარებით, ნუ იზამთ ამას. მერწმუნეთ, თუ მომკლავთ, დიახ, თუ მომკლავთ, ისეთს, როგორცაა ეარ სინამდვილეში. ამით თქვენს თავს უფრო ავნებთ. ვიდრე მე. რას დამაკლებენ მელეკოსი და ანიგოსი? ბუმსაყ ვერ ამიფრენენ, რადგან არა მგონია უარესს ნება ქქონდეს ავნოსი უკეთესს. რა თქმა უნდა, მას შეუძლია მოჰკლას, გააძევეს, ღირსება აპყაროს. შესაძლოა, ის ამას ღიდ ბოროტებად თვლის, ის და მისი მსგავსნი. მაგრამ არა მე: ჩემის აზრით, გაცილებით უფრო ღიდი ბოროტებაა ის, რასაც ახლა სჩადის, რაკილა ცდილობს ასე განუკითხავად სასიკედილოდ გაწიროს კაცი. ამრიგად, მე ახლა თავს კი არ ვიცავ. ათენელნო, როგორც შეიძლება ერთი შეხედვით მოეჩვენოს კაცს, არამედ თქვენ გიცავთ. დიახ. თქვენ, რადგან ვშიშობ, თუკი სიკედილით დამსჯით. არ დაკარგოთ უფლის მიერ ბოძებული ღეთიური ნიჭი. მართლაც, თუ მომკლავთ, საღლა ჰპოვებთ ჩემნაირ კაცს. რომელიც – სასაცილოა, ღმერთმანი, – თვითონ უფალმა მიუჩინა ჩვენს ქალაქს; როგორც ძლიერსა და კეთილშობილ, მაგრამ მეგისმეგი სიმსუქნისაგან გამარმაცებულსა და გამულუქებულ ცხენს, რომელსაც უჭირს განძრევა, თუ აბეზარი კრამანა თავისი ბასრი ნესტრით, როგორც წვეტიანი ღმებით, არ უწყლავს ფრღებს. მე მგონია, ღმერთმა სწორედ იმ მიზნით წარმომგზავნა ამ ქალაქში, რომ მთელი ღლე მუხლსაუხრელად ეიარო კარდაკარ, გამოგაუხიბლოთ, მოსვენება არ მოგცეთ, ყვეღრებით აგავსოთ. სხეას ჩემისთანას აგრე იოღად ეღღარ იპოვიოთ. ათენელნო, მე კი, თუ მერწმუნებით, შეგიძლიათ შემიწარჩუნოთ, თუმცა, აღვილი შესაძლებელია, ისეღაც მოხდეს, რომ ერწმუნოთ ანიგოსს, გაგულისღეთ და, როგორც ძაღად გამოღვიძებულმა და თავგაბებრებულმა კაცმა – აბეზარი მწერი, ხელის ერთი მოსმით გამსრისოთ. მაშინ კი მოგიწევთ მთელი თქვენი სიეოსხლე თელემამი გალიოთ, თუ ღმერთმა მოწყალე თვალთ არ გაღმოგხეღათ და სხეა ჩემნაირი არ მოგიღინათ ვინმე. ხოლო მე რომ მართლა ისეთი ვარ, როგორიც ღმერთმა წარმომგზავნა ამ ქალაქში, აი, ამის უგყუარი საბუთი: მითხარით, საღ გინახავთ ან გაგიგონიათ, რომ კაცმა ხელი აიღოს თავის თავმე, ამღენი წელი გაჭირვებაში ამოხადოს სული საკუთარ ოჯახს, და მხოლოდ თქვენი საქმე აკეთოს, თავისებურად მიუღგეს თითოეულ თქვენგანს, როგორც უფროსი ძმა ან მამა, და სიქველისათვის დაუღადებელი მრუნვა შთააგონოს. მე რომ რაიმე გამორჩენა მქონდეს ან სწავლის საფასურს მოვითხოვე, კიღევ ჰო, კაცს შეიძლება ეფიქრა, რომ ანგარების კარნახით ვიქვევი ასე, მაგრამ ხომ თქვენი თვალთ ხეღავთ, ჩემს ბრალმღებლებს, რომლებიც ყვეღაფერში ასე ურცხვად მღებღენ ბრალს, აქ უკვე აღარ ეყოთ უგიფრობა და ვერცერთი მოწმე ვერ დაასახელეს იმის დასაღას-ტერებღად, თითქოს ოღესმე ამეღოს, ან თუნღაც ვინმესთვის მომეთხოვოს სწავლის საფასური. მე კი, მათგან განსხეავებით, შემიძლია ჩემი სიმართლის საღსებით სანღო მოწმე დაღისახეღოთ, – ჩემი სიღაგაკე.

იქნებ უენაურად მოგეჩვენოთ ის ამბავი, რომ მხოლოდ კერძო, ცალკეულ ჰირებს ვაძლეე რჩეეას, ყვეღას კარდაკარ ვუვლი და ყვეღაფერში ვერჩები, თავყრიღობაზე საჯაროდ გამოსვღას და ქალაქისათვის რჩეეის მიეემას კი თავს ვარიღებ. ამის მიმებში არაერთგმის და არაერთგან გსმენიათ ჩემგან: მე ვგრძნობ ჩემში რაღაც ღეთაებრივს თუ ღემონურს, რასაც მეღეგოსმა ასე მწარედ დასცინა თავის ბრალ-ღებაში. მაგრამ, რა ექნა, თუ სიყრმითვე ამკარად ვგრძნობ, როგორ მეჩურჩულება რაღაც იღუმალი ხმა, რომელიც ყოვეღეთის მიმღის იმის კეთებას, რისი გაკეთებაც მსურს, წაქებებით კი არასოღეს არაფრისთვის არ მაქებებს. აი, სწორედ ეს ხმა მიკრძაღავს სახელმწიფო მოღეაწეობას, საზოგადო საქმის კეთებას, და ჩემის აზრიო, კარგსაც მერება, რომ მიკრძაღავს. ღამერწმუნეთ, მოქალაქენო, მე რომ ოღესმე მეყაღა და საზოგადო საქმისათვის მიმეყო ხელი, ღიდი ხანია ჩემი სახსენებელიც აღარ იქნებოღა ამ ქვეყნად: გყვიღებრალოდ დავიღუკებოღი, ისე რომ ვერც თავს ვარგებღი რასმე და ვერც ქალაქს. ნუ შემრისხავთ სიმართლის თქმისთვის: ჯერ კიღევ არ დაბადებულა ისეთი კაცი, ამ უკუღმართ ქვეყნაში ამღენი უსამართლობის აღმოფხე-

რისა თუ უკანონობის აღკვეთის მიზნით ამჟამად რომ დაგვიპირისპირდეთ თქვენ ან რომელიმე სხვა უმრავლესობას და... ცოცხალი დარჩეს.. არა და არა; ვინც მართლა სამართლიანობისათვის იბრძვის, თუ სურს ცოტა ხანს მაინც გაუძლოს მტრებს, ბოლომდე კერძო პირად უნდა დარჩეს: საზოგადოებრივი ასპარეზი მისი სარბიელი არ არის. ამის დასტურად მე წარმოგიდგენთ უტყუარ საბუთს: არა მაღალფარდოვან სიგყვას, არამედ იმას, რასაც ყველაზე მეტად აფასებთ, – საქმეს. მაშ, ისმინეთ, რა შემთხვევა ერთხელ, და დარწმუნდებით, რომ სიკვდილის შიშმაც ვერ მაიძულა ვისიმე საამებლად შეღალატა სამართლიანობისათვის, რამაც კინაღამ წამაგებინა თავი.

რასაც ახლა ვიამბობთ, მოსაწყენია და მძიმე მოსასმენი. სამაგიეროდ სრული ჭეშმარიტება გახლავთ, არასოდეს, ათენელნო, არ მჭერია ქალაქში რაიმე თანამდებობა, მაგრამ სათათბიროს წევრი კი ვიყავი. ჩვენი, ესე იგი, ანტიოქიდის ფილეს პრიტანობის ჯერმა სწორედ იმ დროს მოაწია, როცა ეპირებიტით ერთად დაგვესაჯა ათი სტრატეგი, რომლებმაც ვერ შეძლეს მოეკრიბათ საზღვაო ბრძოლაში დაღუპულთა გვამები. მაგრამ ეს იყო უკანონო გადაწყვეტილება, როგორც შემდგომ ერთხმად აღიარა ყველამ. პრიტანებს შორის მაშინ მე ერთადერთმა არ დავუშვი კანონის დარღვევა და ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ მივეცი ხმა, რის გამოც ორაგორებმა ლამის დალაგი დამწამეს და ჩემი დაპატიმრება მოითხოვეს. სხვათა შორის, თქვენ მაშინაც ასე ყვიროდით და ერთხმად მოითხოვდით ჩემს დასჯას. მაგრამ მე მტკიცედ გადავწყვიტე, რომ, განსაცდელის მიუხედავად, ჩემი ვალი, უმაღლესი, კანონისა და სამართლიანობის დაუცვა იყო, ვიდრე ის, რომ დაპატიმრებისა და სიკვდილით დასჯის შიშით შემკრთალს მხარი ამება თქვენთვის – მრუდედ განმსჯელთა და უსამართლოდ გამრიგეთათვის. ეს ჯერ კიდევ მაშინ მოხდა, როცა ქალაქს ხალხი მართავდა, ხოლო როცა ოლიგარქიის დრო დადგა, ოცდაათმა გირანმა, თავის მხრივ, თოლოსში დამიბარა, ოთხ სხვა მოქალაქესთან ერთად და მიბრძანა ლეონ სალამინელი ჩამომეყვანა სალამინიდან, ვინაიდან მისი სიკვდილით დასჯა ჰქონდათ გადაწყვეტილი. ამნაირი ბრძანება მაშინ ბევრმა სხვამაც მიიღო, ვინაიდან გირანიას სურდა ამ გზით გაეზარდა დამნაშავეთა რიცხვი. მაგრამ მე ამჯერადაც სიგყვით კი არა, არამედ საქმით დავამტკიცე, რომ სიკვდილი, თუ შეიძლება ასე ითქვას, არაფრად მიჩანს, ხოლო უსამართლობისა და უკეთურობისაგან განზე დგომა ყველაფერია ჩემთვის. ხომ ასე ძლიერი და სასტიკი იყო ეს მმართველობა, მაგრამ ვერ შემამინა და ვერ მაიძულა უსამართლობა ჩამედინა. თოლოსიდან რომ გამოვედით, ოთხივე ჩემი თანამზრახველი სალამინს გაემგზავრა და ლეონი ჩამოიყვანა, მე კი შინსკენ გაეწიე. ალბათ, სიკვდილით დასჯილენ ამ ურჩობისთვის, მაგრამ გირანია მაღე დაემხო. რამდენი თქვენგანია ყოველივე ამის მოწმე.

იქნებ გგონიათ, ამდენ ხანს გაეძლებდი, სახელმწიფო სამსახური რომ მეგვირთა და, თანაც, ისე მეგვირთა, როგორც შემვენის წესიერ კაცს: შემწეობა აღმოგჩინა მართალთათვის და, როგორც ჯერ არს, სწორედ ეს დამესახა ჩემი მოღვაწეობის უმთავრეს მიზნად? ვერა, ღმერთმანი, ვერ გაეძლებდი, ათენელნო! ან კი ვინ გაძლებდა? ხოლო მე ყოველთვის ასეთი ვიყავი, – სახელმწიფო სამსახურშიც, თუკი სადმე მიმსახურია, და კერძო საქმეშიც: სამართლიანობის სამიანოდ არავისთვის დამიკრავს კვერი, – არც იმათთვის, ვისაც ჩემი მოწაფეები უწოდეს ჩემმა ბრალმძებლებმა, და არც სხვა ვინმესთვის.

თუმცა მე არავის მასწავლებელი არ ვყოფილვარ არასდროს. ხოლო თუ ვინმეს, სულერთია მოხუცსა თუ ახალგაზრდას, მოუსურვებია მოესმინა ჩემი საუბარი და დაჰკვირვებოდა, როგორ ვაკეთებ ჩემს საქმეს, არასოდეს არავისთვის მითქვამს უარი. ვერაინ იცყვის, რომ მხოლოდ ფულის გულისათვის ვსაუბრობ, ხოლო უფულოდ არასოდეს მისაუბრია; ყველას, მდიდარსა თუ ღარიბ-ღაგაკს, უფლება აქვს მკითხოს, რაც უნდა, ანდა, თუ სურს, თავად მიპასუხოს ჩემს კითხვებზე. და თუ ვინმე ამის გამო უკეთესი ხდება ან უარესი, საცა სამართალია, მე რად უნდა ვაგო პასუხი? ვინაიდან არასოდეს არავისთვის არ აღმითქვამს – გასწავლი-მეთქი და არც არასოდეს მისწავ-

ლებია. ხოლო თუ ვინმე ამტკიცებს, თითქოს ოდესმე კერძოდ უსწავლია ჩემთან, ანდა ჩემგან მოუსმენია რაიმე იმგვარი, რაც არასოდეს სმენიათ სხვებს, დარწმუნებული ბრძანებდოდეთ. ცრუობს.

მაგრამ რატომ ასე სულგანაბელი მისმენს ზოგიერთი დიდიდან სადამომდე? ხომ ჯესპია. ათენელნი, სიმართლეს მოგახსენებთ, ისინი სიამოვნებით ისმენენ, როგორ ვიდი ყველას, ვისაც ბრძენკაცად მოაქვს თავი, თუმცა სიბრძნისა არა სხვია რა. რომ იცოდეთ, რა საამო მოსასმენია. ხოლო ამას თვითონ ღმერთი მიბრძანებს მისნის პართი. სიმპარული ჩვენებით, ერთის სიგჷვით, ყოველგვარი საშუალებით, რომლითაც ოდესმე გამოვლენილა უფლის ნება და ზეგარდმო მინდობია კაცს მისი აღსრულება.

ეს არა მარტო სწორია, არამედ ადვილად დასამტკიცებელიც, ათენელნი, თუ ახალგაზრდობის ნაწილს ვრყენი, ნაწილი კი უკვე გაერყენი, ზოგი მათგანი მაინც ხომ უნდა მიმხვდარიყო. რაკი ხანში შევიდა და ჭკუა ისწავლა, რომ ოდესღაც, სიჭაბუკის ეამს. ცუდად ვწერთნიდი და ვასწავლიდი, ხოლო თუ მიხვდა, რატომ აქ არ გამოცხადდა ბრალმდებლად, რათა თქვენს წინაშე შევერცხვინე და შევეჩვენებინე? ვთქვათ. მათ თავი აარიდეს ამას. სად არიან მათი ახლობლები – მამები, ძმები, ნათესავები? ვანა ისინი დამიიწყებდნენ სივეკაცეს, ჩემი გამოისობით რომ ავი რამ შემთხვეოდით პართლაც? ბევრი მათგანი დღეს აქ გახლავთ, მე ვხედავ მათ: აი, უწინარეს ყოვლისა, კრიგონი, ჩემი თანამოასაკე და თანადემოსელი, ამ ჩენი კრიგობულეს მამა; აქეა ლისია, სუფიელი, თქვენს შორის მყოფი ესქინეს მამა; აი ანგიფონ კეფისელი, ეპიგენეს მამა; ავერ ისიც, ვისი ძმებიც ერთავად ჩემთან იყვნენ, – ნიკოსტრატე, თეოდოტიგეს ძე და თეოდოტეს ძმა; აი, პარალე, დემოდოკეს ძე, რომელსაც თეაგე ძმად მოსვდებოდა; ავერ აღიმანტეს, არისგონის ძე, ამ ჩენი პლატონის ძმა; აქე ვხედავ აიანგოდორეს, აპოლოდორეს ძმას. სხვაც ბევრი შემძლია დავისახელოთ, და მელეგოსს თავის სიგჷვამი, უწინარეს ყოვლისა, სწორედ ერთ-ერთი მათგანი უნდა მოეხმო მოწმედ. თუ მაშინ დაავიწყდა, ახლა გაიხსენოს, მე ნებას ვრთავ; მოიხმოს მოწმედ რომელიც ნებას და უთხრას, რაც სურს, თუკი რაიმე აქვს სათქმელი. მაგრამ თქვენ სულ სხვა სურათი გადაგვმლებათ თვალწინ, ათენელნი: თქვენ ნახავთ, რომ მე – მათ გამრყენელს – ყველა ერთხმად დამიჭერს მხარს. მე, ვინც ესოდენ დამნაშავე ვარ მათი ახლობლების წინაშე, როგორც ამტკიცებენ მელეგოსი და ანიგოსი. თუ მიკერძობით განსჯით, კაცმა შეიძლება იფიქროს, თითქოს ჩემ მიერ გარყენილნი გარკვეული მიზნით გამოვლენ ჩემს დასაცაყად, მაგრამ რა რჯის, რა აიძულებს მათ ნათესავებს, გაურყენელსა და უკვე ხანში შესულ ხალხს, ერთხმად დამიჭირონ მხარი, თუკი გულწრფელად არ სჯერათ, თუკი ღრმად არ სწამთ, რომ მელეგოსი გყუის, ხოლო მე მართალს ვამბობ?! მაგრამ კმარა. მოქალაქენო! აი, ყველაფერი, რითაც ასე თუ ისე შემძლია ვიმართლო თავი.

შესაძლოა, ზოგი ვინმე განარისხოს იმის გახსენებამ, რომ, როცა მისი, არცთუ ესოდენ მნიშვნელოვანი საქმე ირჩეოდა, ცრემლების ურქევეით სიხოვდა შეწყალებას მოსამართლეებს და მათი გულის მოსალბობად და ასაჩუყებლად თავისი შეილები და მრავალრიცხოვანი ნათესავები თუ მეგობრები მოჰყავდა აქ, – მე კი არაფერ ამის მსგავსს არ ვაპირებ, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი საქმე, როგორც ვაგყობ, უკუღმა შეგრიალდა. დიახ, შეიძლება ვინმემ გაიხსენოს ეს და, განრისხებულმა და ღირსებაშელახულმა, იმით იყაროს ჯავრი, რომ კენჭისყრისას ჩემს წინააღმდეგ მისიკეს ხმა. არ მინდა ეს დავიჯერო, მაგრამ თუ ზოგი თქვენგანი მართლა ამნაირადაა განწყობილი, ვფიქრობ, არ შეეცდები, თუ ამ სიგჷვებით მივმართავ მას:

...არც მე ვარ უთვისგომო და სახლ-კარგადამენებული, ჩემო ძვირფასო. მეც კაცი ვარ და. პომეროსის თქმისა არ იყოს. მუხას და კლდეს კი არ ვუშეივარ, არამედ ადამიანები იყვნენ ჩემი მშობლები; მეც მაქვს ოჯახი, ათენელნი, მყვანან ვაჟები, დიახ. დიახ. სამი ვაჟი: ერთი მათგანი მოზრდილია, ორი – ჰატარა, მაგრამ არცერთს არ ჰყოყვან აქ, თქვენს წინაშე, და არ გთხოვთ შეწყალებას“.

მაგრამ რატომ არ ვიბამ ამას? არა ქედმაღლობის, არა თქვენს მიმართ მიზღის გამო. ათენელნო! მოდიტ, ნუ გამოვეკიდებით იმას, მეშინია თუ არა სიკედილის, მაგრამ, მე მგონია, ჩემი, ისევე როგორც თქვენი და მთელი ქალაქის ღირსებისათვის სამარცხვინო იქნებოდა, ჩემი ასაკისა და ჩემი სახელის კაცს – სულ ერთია, ღირსი ვარ თუ არა ამ სახელისა, – დიახ, ჩემი ასაკისა და ჩემი სახელის კაცს რომ ჩამედინა რამე უღირსი. ხომ ყველას მგონია, რომ სოკრატე განსხვავდება უმრავლესობისაგან, და განა სამარცხვინო არ იქნება, ასე რომ მოიქცეს ყველა, ვინც სიბრძნით, სიმამაცით ან სხვა რამ სიქველთ გამოირჩევა თქვენს შორის? მე არაერთხელ ვყოფილვარ იმის მოწმე, როგორ წამხდარა სასამართლოს წინაშე ბევრი ეითომ პატიოსანი და ყველას მიერ პატივცემული კაცი. თითქოს რაღაც არნახული სამინელება უნდა დაეთმინათ, თუკი სასიკედილო განაჩენს გამოუგანდით და თითქოს უკვდავნი გახდებოდნენ, თუკი სიკედილთ არ დასჯილთ. ჩემის ამრთ, ასეთი ხალხი არცხვენს ჩვენს ქალაქს და მათმა შემხედვარე უცხოელმა შეიძლება იფიქროს, რომ ათენში თავიანთი სიქველთ სახელგანთქმულნი კაცნი, რომლებსაც, სახელმწიფო თუ სხვა საპატიო თანამდებობაზე დანიშნენისას, თვით ათენელები ანიჭებენ უპირატესობას, არაფრით არ განსხვავდებიან დიაცთაგან. ეს, ათენელნო, მიუხედავად იმისა. მართლა ღირსეულნი ხართ თუ მხოლოდ სხვებს აჩვენებთ თავს ღირსეულად, არამტუ არ უნდა ჩაიდინოთ, არამედ არც დაუშვათ ამის ჩადენა. პირიქით, თქვენი ეალია მაგალითი მისცეთ ყველას და უჩვენოთ, რომ უმაღ იმას დასჯით, ვინც ამ ცრემლიან წარმოდგენებს მართაეს და, ამრიგად, არცხვენს ჩვენს ქალაქს, ვიდრე იმას, ვისაც ღირსეულად უჭირავს თავი.

ღირსებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, არც ის მგონია მართებული, მოქალაქენო, რომ თხოენით მოაბეზრო თავი მსაჯულებს და ვედრებით გამოსძალო შეწყალება, ნაცულად იმისა, რომ დაწერილებით აუხსნა საქმის ვითარება და შენს სიმართლეში დაარწმუნო ისინი. მსაჯული იმისთვის კი არ გვიმის, რომ თვითნებურად შეგვიწყალოს, არამედ იმისთვის, რომ წესისამებრ განგესაჯოს და სამართალი გაგვიჩინოს. სიმართლის ერთგულებაზე იმიგომ როდი დაიფიცა, რომ შეიწყალოს, ვინც მოეპირიანება, არამედ იმიგომ, რომ კანონის მიხედვით გაგვიკითხოს და კუთენილი მოგვაგოს. ამიგომ არც ჩვენ უნდა მივაჩიოთ ფიცის ვატებას და არც თქვენ უნდა მიეჩიოთ ამას, ვისაიდან ორივე მხარეს მკრეხელობაში ჩამოგვერთმევა ეს. ნუ ელით, ათენელნო, რომ თქვენ წინაშე ჩაივლენ იმას, რაც უკეთურობად, უსამართლობად და ღეთისმგმობლობად მიმანჩნია, – მით უმეტეს, ვფიცავ მევენს, ახლა, როცა მელეგოსი მკრეხელობას მღებს ბრალად. თავისთავად ცხადია, მე რომ თხოენით გამომეძალა შეწყალება და იძულებით გამეტეხინებინა თქვენთვის ფიცი, სხვას რას ჩაგავგონებდით ან გაფიქრებინებდით, თუ არა იმას, რომ ღმერთები არ არსებობენ და, ნაცულად იმისა, რომ თავი მემართლა, თვითონვე გამოვიდოდი საკუთარი თავის ბრალმდებლად და თვალნათლივ გიჩვენებდით, რომ ღმერთები არა მწამს. მაგრამ სინამდელიეში სულ სხვაგვარადაა საქმე: ღმერთებს მე უფრო ვეცმ თაყვანს, ათენელნო, ვიდრე რომელიც გნებათ ჩემი ბრალმდებელი, და ამიგომ სწორედ ღმერთს და თქვენ განდობთ, ისე განსაჯოთ, როგორც თვითონ მიიჩნევთ უმჯობესად, როგორც ჩემთვის, ისე თქვენთვისაც.

(სოკრატეს დამნაშავედ ცნობის შემდეგ)

ბევრი რამ არ მაძლევს იმის ნებას, ათენელნო, რომ თქვენმა გადაწყვეტილებამ აღმამუოთოს. მართალი ვითხრათ, ეს მოულოდნელი არც ყოფილა ჩემთვის. პირიქით, მე გაცილებით უფრო გამაკვირვა ურთიერთსაპირისპირო ხმების რაოდენობამ. არ მეგონა, თუ მათ შორის ესოდენ უმნიშვნელო განსხვავება იქნებოდა: გაცილებით მეტს მოველოდი. ახლა კი, როგორც ირკევეა, საკმარისი იქნებოდა სულ რაღაც ოცდაათი კენჭი აქეთ ჩაგეგლოთ და არა იქით, რომ სამართლის სასწორი ჩემკენ გადმოხრილიყო. მელეგოსს, როგორც ჩანს, უკვე დავადწიე თავი, და არა მარტო დავადწიე;

ანიგოს და ლიკონს რომ თავიანთი ბრალდებებით არ დაეჭირათ მისთვის მხარი, იძულებული იქნებოდა ათასი დრაქმა გადაეხადა ჯარიმად, ვინაიდან საჭირო ხმების მეხუთედ იქნებოდა ვერ მოაგროვებდა.

მაშ ასე. ეს კაცი სიკვდილს მისჯის; კეთილი და პატიოსანი. მაგრამ მე რაღას მიუხედავად ათენელნო, საკუთარ თავს? ალბათ, იმას, რისი ღირსიცაა ეარ. მერედა, რისი ღირსი ვარ მაინც? რას ვიმსახურებ, ან რა სახის ჯარიმა უნდა გადავიხადო იმისთვის, რომ მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე მოსვენებას არ ვაძლევდი საკუთარ თავს და არაფრად ვთვლიდი ყოველივე იმას, რასაც ასე ელოდებოდა უმრავლესობა – ანგარებას. ოჯახის კეთილდღეობას, მხედართმთვარობას, ბელადობას, ძალაუფლებასა და ყველა იმ მეთქმულებასა თუ ამბოხებაში მონაწილეობას, რაც ესოდენ ხშირია ჩვენს ქალაქში. – ვინაიდან მეგისმეტად წესიერ კაცად მიმაჩნდა თავი და იმედი არა მქონდა, რომ ცოცხალი გადავრჩებოდი, თუ ყველაფერ ამას ვიგვირთებდი ან ყოველივე ამას მივიღებდი მონაწილეობას; რას ვიმსახურებ იმისთვის, რომ თავს ვარიღებდი ყველაფერს, რითაც ვერც თქვენ გარგებდით რასმე და ვერც საკუთარ თავს. და ყოველთვის ვილგვოდი იქით, სადაც განზე გამდგარსა და განკერძოებულს შემეძლო, როგორც მოგახსენეთ, უდიდესი სიკეთე გამეწვია თითოეული თქვენგანისათვის და ცალ-ცალკე ჩამეგონებინა ყველასთვის, – უწინარეს ყოვლისა, თქვენს საქმეებზე კი არა, თქვენს თავზე იზრუნეთ, რათა, შეძლებისამებრ, უფრო სრულქმნილნი გახდეთ-მეთქი. და, მუსგად ასევე, ქალაქის საქმეზე კი არა, უმალ, თვით ქალაქზე მზრუნეა მერჩია თქვენთვის? დიახ, რას ვიმსახურებ ყოველივე ამის სანაცვლოდ? მე მგონია, კეთილ სამღაურს, ათენელნო, თუკი კაცს დამსახურებისამებრ უნდა მიემლოს მისი კუთვნილი; და, თანაც, ისეთ სამღაურს, რაც საჭიროა ჩემთვის. მაგრამ რა სჭირდება ჩემსავით კეთილისმყოფელსა და ჩემსავით ღატაკ კაცს, რომლისთვისაც აუცილებელია მოცალეობა თქვენს დასამოძღვრად? ამნაირი კაცისთვის, ათენელნო, სწორედ რომ მისწრება იქნებოდა ყოველდღიური სადილი პრიგანეიონში. მერწმუნეთ, ეს მისთვის უფრო უპრიანია, ვიდრე ოლიმპიურ თამაშებში ცხენოსანთა მარულასა თუ ორ ან ოთხსახეიან ეგლთა მეჯიბრში გამარჯვებულისათვის; ვინაიდან ის მხოლოდ მოჩვენებით ბედნიერებას განიჭებთ, მე კი – ჭეშმარიტს; ის უზრუნველყოფილია და უფასო სადილი არა სჭირდება, მე კი მჭირდება. ასე რომ, თუ სათანადოდ განესჯიდი ჩემს დამსახურებას, მხოლოდ ერთ რასმე მივესჯიდი საკუთარ თავს: ყოველდღიურ სადილს პრიგანეიონში.

იქნებ, ეს ჩემი სიგყვები ისეთივე ქედმაღლობად მოგეჩვენოთ, როგორც ჩემი მსჯელობა ცრემლების ფრქვევისა და ვედრებისათვის. არა, ათენელნო, ქედმაღლობა კი არა, სულ სხვა რამ მაღაპარაკებს ამას: მე მწამს, რომ არავის შეურაცხვეყო შეგნებულად, მაგრამ ამის დამტკიცება არ შემიძლია, ვინაიდან სასაუბროდ ძალზე ცოტა დრო დავურჩა. და მაინც ვფიქრობ, შეეძლებდი თქვენს დარწმუნებას, თქვენი კანონი სხვებისას რომ ჰგავდეს და სისხლის სამართლის საქმის გარჩევას ერთს კი არა, რამდენიმე დღეს ანდომებდეთ. ახლა კი, დროის სიმციროს გამო, თითქმის შეუძლებელია ესოდენ სამინელი ცილისწამების უარყოფა. თუმცა, რაკი მწამს, რომ არავის ვაყენებ შეურაცხყოფას, სულაც არ მსურს შეურაცხვეყო ჩემივე თავი. დავიბრალდო დანაშაული და თვითონვე გამოვეუგანო განაჩენი საკუთარ თავს. რაგომ და რისთვის? იმის შიშით, რასაც ჩემს სასჯელად მოითხოვს მელეგოსი და რაც, კვლავ ვიძეორებ, არ ვიცი, ბოროტებაა თუ სიკეთე ჩემთვის? თუ ამის ნაცვლად სხვა რამეს ავირჩევ სასჯელად და თავს გაეწირავ უეჭველი ბოროტებისთვის? მერედა, მაინც რას ავირჩევ? საპყრობილეს? კი მაგრამ, რად ვეგდო ბნელ დილეგში ყოველ წელს ხელახლა არჩეული თერთმეტი მბრძანებლის მონად? ფულად ჯარიმას, რომელიც თუ არ გადავიხადე, ისე ვერ გამოვალ საპყრობილედან? მაგრამ ეს ჩემთვის იგივე სამუდამო პატიმრობას ნიშნავს, ვინაიდან ჯარიმის გადასახდელი ფული ვინ მომამავა? გაძევებას? ამას კი, ალბათ, სიამოვნებით მომისჯილით, მაგრამ რა გამწარებით უნდა ვებღაუუჭებოდე სიცოცხლეს, ათენელნო, რომ ისე წავხლდე, უბრალო რამ ვერ მოვისაზრო:

თუკი თქვენ, ჩემმა თანამოქალაქეებმა, ვერ აიტანეთ ჩემი საუბრები და შეგონებანი, თუკი ისინი იმდენად მძიმე და აუტანელი შეიქმნენ თქვენთვის, რომ ცდილობთ სამუდამოდ ჩამაკმენდინოთ ხმა, როგორღა ამიტანენ უცხოელნი? ვერა, ღმერთმანი, ვერ ამიტანენ, ათენელნო! რაღა აჯობებს ჩემს ყოფას, თუ ამ სიბერის ეამს ათენიდან გაბევებული ქალაქ-ქალაქ დაეიწყებ წანწალს, ყველას მიერ დევნილი და მოძულეებული! მე ხომ ვიცი, სადაც უნდა მივიღე და დაეიწყო საუბარი, იქაური ჭაბუკები, ჩვენი ახალგაზრდობისა არ იყოს, ბუმბუიით დამეხვევიან. რა ექნა, გავყარო ისინი? – უფროსებს დაუჯერებენ და თვითონვე განმდევნიან; არ გავყარო და, მაშინ უფროსები განმდევნიან მათი გულისთვის.

შეიძლება ვინმე ადგეს და მითხრას: „კი მაგრამ, ნუთუ ჩვენგან წასულიც ვერ შეძლებ, სოკრატე, ჩუმად და მშვიდად იცხოვრო?“

აი, სწორედ ამ საკითხში ძნელად თუ დაარწმუნებ მოგიერთ თქვენგანს, რადგან თუ გეგყვით, რას ნიშნავს ურჩობა ღმერთის მიმართ, ხოლო ურჩი ვერასოდეს ემბარება სიმშვიდეს და აუმღერეველობას, – თქვენ არ დამიჯერებთ და იგყვით, რომ მე ეპირფერობ. მეორეს მხრივ, თუ გეგყვით, რომ კაცისთვის უდიდესი სიკეთეა საუბარი სიქველისა და ყოველივე იმის შესახებ, რამედაც ყოველდღე გესაუბრებით და, ამრიგად, ეყდი ჩემს თავსაყ და სხვებსაყ, ხოლო ამ გამოცდის გარეშე სიცოცხლეს სიცოცხლე არ ეთქმის, – დიახ, თუ გეგყვით ამას, თქვენ უფრო უნდოდ მოეკიდებით ჩემს სიტყვებს. მაგრამ ეს სრული სიმართლე გახლავთ, ათენელნო, თუმცა ძნელად თუ დაგარწმუნებთ კაცი ამაში.

ეგეც არ იყოს, მე არ მჩევეია იმაზე ფიქრი, თითქოს ვიმსახურებ რაიმე ბოროტს. ფული რომ მქონდეს, სათანადო თანხის გადახდას მივუსჯიდი საკუთარ თავს, რადგან კაცმა რომ თქვას, რას დაეკარგავდი? მაგრამ ვაი, რომ ფული არა მაქვს, თუკი, რა თქმა უნდა, იმდენს არ გადამახდევინებთ, რამდენის გადახდაც შემიძლია; შეძლებით კი ძალიან ცოტა შემიძლია; სულ დიდი, ერთი ვერცხლის მნა; სწორედ ამას ვუსჯი ჩემს თავს! თუმცა, აგერ, ეს ჩვენი პლაგონი, ათენელნო, ისევე როგორც კრიგონი, კრიგობულე და აპოლოდორე მთხოვენ – ოცდაათი მნა თქვიო და თვითონვე მიდგებიან თავმდებად. კეთილი, იყოს ოცდაათი მნა! ჩემი თავმდებნი, ღირსეული ხალხია, მოქალაქენო!

(სასიკვდილო განაჩენის გამოგანის შემდეგ)

ახლა, როცა ორიოდ ღელდა დამიგოვეთ სასიცოცხლოდ, ათენელნო, სახელი გაგიტყლებათ და ჩვენი ქალაქის მტრები და ავისმდომელნი ბრალად დაგდებენ იმას, რომ სიცოცხლე მოუსწრაფეთ სოკრატეს – ბრძენკაცს; დიახ, ავისმდომელნი ერთხმად დაიწყებენ იმის მტკიცებას, რომ მე ბრძენი ვარ, თუმცა ეს სიმართლეს არ შეეფერება. ისე კი, ცოტა რომ დაგვეცადათ, სიკვდილი თავად მომიკაკუნებდა კარზე; ხომ ხედავთ, რა ხნისა ვარ, ცალი ფეხი სამარეში მიდგას უკვე ამას ყველას გასაგონად როდი ეამბობ; მხოლოდ მათ მიემართავ, ვინც სიკვდილი გადამიწყვიტა. მათვე მინდა ვუთხრა შემდეგი: ხომ არ გგონიათ, ათენელნო, თითქოს იმიტომ მომესაჯა სიკვდილი, რომ სიტყვები არ მეყო, დიახ, სიტყვები, რომლებითაც შეეძლებდი თქვენს მოღბობას და ჩემს მხარეზე გადმობირებას, თუკი საჭიროდ მივიჩნევიდი, არაფრის წინაშე არ დამეხია უკან. რათა თავიდან ამეცილებინა ასეთი განაჩენი? არ დაიჯეროთ მოქალაქენო. მე ბევრი რამ არ მეყო მართლაც, მაგრამ არა სიტყვები, არამედ თავხელობა, უტიფრობა და იმის თქმის სურვილი, რაც ასე საამოდ ელამუნება თქვენს სმენას; არ ვიკადრე ცრემლების ფრქვევა, მღულარება, მოთქმა-გოდება, ერთის სიტყვით, ყოველივე ის, რასაც ასე შეგაჩვიეს სხვებმა, მაგრამ რაც, კვლავ ვიმეორებ, არ შემშვენის მე. დიახ, მაშინაც, როცა საფრთხე მემუქრებოდა, უღირსად მივიჩნიე მონური ქცევა და არც ახლა ვნანობ, რომ ამნაირად ვიყავი თავს; რადგან მე მირჩევნია ასე ვიმართლო თავი და მოვკვდე, ვიდრე ცრემლების ფრქვევით გამოვძალოთ შეწყალება. ვინაიდან,

არც სამჯავროში და არც ბრძოლის ველზე, არც სოკრატეს და არც სხვა ვინმეს არ ეკადრება სირცხვილის ფასად დააღწიოს თავი სიკვდილს. ბრძოლაშიც ხშირად ამკარაა, რომ შევიძლია ცოცხალი დარჩე, თუ იარაღს დაყრი ან ფეხქვეშ ჩაუყარღები მღვკარს: არსებობს საერთიხიდან დაძვრენისა და თავის გადარჩენის ბევრი სხვა ხერხი, მხოლოდ ეგაა. მაშინ კაცმა ხელი უნდა აიღოს სინდისზე.

არა, ათენელნო, არც ისე ძნელია სიკვდილისაგან თავის დაღწევა; ვაცილებით უფრო ძნელია თავი დააღწიო სულიერ სიკვდილს: ის უფრო სწრაფია და უფრო მალე ეწევა თავის საბრალე მსხვერპლს. აი, ახლაც მე – საპყარი ბერიკაცი, – უფრო მანგი მგრის მსხვერპლი ვახედი, მაშინ როდესაც ჩემი მხნე და მკვირცხლი ბრალმღებლები უფრო სწრაფი მგრის – სულიერი სიკვდილის წერა შეიქნენ. მალე ყველანი წაეალთ აქედან: მე – თქვენ მიერ ვანწირული და სიკვდილმისჯილი; ისინი – თვით სიმართლის მიერ ვერავგობასა და უსამართლობაში მხილებულნი. მე ჩემი განაჩენის ანაბარა ვრჩები, ისინი – თავიანთი სასჯელის ამარა. მოხდა, რაც უნდა მომხდარიყო: მაშ, მოხდეს, რაც მოსახდენია.

ახლა კი, ათენელნო, მე მინდა მომავალი ვიწინასწარმეგყველოთ თქვენ – ჩემს გამწირველთ. უკვე მოაწია დრომ, როცა კაცში თითქოს მისნობის ნიჭი იღვიძებს, – ასე სჩვევია სიკვდილის სიახლოვეს. მაშ, იყოღეთ, ათენელნო, რომ ჩემს გამწირველთ სულ მალე სამინელი უბედურება დაგაგყდებათ თავს, უფრო მძიმე, ვფიცავ მექსს, ვიდრე სიკვდილი, რომელიც მომისაჯეთ. ხომ ასეა: გამწირეთ და შევებით ამოისუნთქეთ, რადგან გგონიათ თქვენს სიცოცხლეში აღარ მოგვიწეეთ ანგარიში ჩააბაროთ ვინმეს. პირიქით მოხდება, ვფიცავ მექსს: მოგველინებათ ასჯერ მეტი მამხილებელი, – აქამდე მათ მე ვაკაეებდი; და ეს მით უფრო მძიმე და აღმამფოთებული იქნება თქვენთვის, რაც უფრო ახალგამრღები არიან ისინი. სასტიკად ცდებით, თუ ფიქრობთ, რომ სიკვდილის შანით ამოსწეათ და ამოძირკეათ თქვენი უსამართლობისა და უკეთურობის მამხილებელთ. ცუდი ხერხი ავირჩევიათ თავდასაცაეად, ცუდი და არასაიმედო, ხოლო თუ გნებათ, მე გასწავლით ყველაზე სანდო და ყველაზე მარტივ ხერხს: სხვას ნუკი სჩრით პირში ბურთს, ეყადეთ თავად ვახდეთ უკეთესნი. ამ წინასწარმეგყველებით გემშიღობებით ჩემს გამწირველთ.

რაც შეეხება ჩემს გამმართლებლებს, სიამოვნებით ვესაუბრებოდი მათ ყოველივე იმის შესახებ, რაც ახლა მოხდა, სანამ არქონგებს არ სცალიათ და ჯერ კიდევ არ წაუყვანიათ იქ, სადაც უნდა მოეკედე. ნუ მიმატოვებთ მთელი ამ ხნის განმავლობაში, ჩემო ძვირფასნო! მოღით, ვისაუბროთ, სანამ ხელს არაეინ გვიშლის, სანამ ნებას გერთავენ. თქვენ, ჩემს მეგობრებს, მინდა ვაგიმელავნოთ იმის ფარული აზრი, რაც ახლა დამემართა. ჩემს თავს, ძვირფასო მოსამართლენო, – თქვენ კი უყოყმანოდ შემიძლია მოსამართლენი გიწოღოთ, – უენაური რამ მოხდა. მაშ, რას უნდა მივაწეროთ ის ამბავი, რომ თუ აღრე გრძნეული ხმა გამუღმებით მეჩურჩულეღოდა, ვასაქანს არ მაძლევათ თვით ყველაზე უმნიშვნელო განმრახვის აღსრულებისას და უკულმართი ნაბიჯის გადაღგმის ნებას არ მრთაედა, ახლა, როცა თავს დამაგყდა ის, რასაც ხეღავთ და რასაც ყველა ერთსულოენად მიიჩნევს უღიდეს უბედურებად, – ღმერთის სიგყვამ თუ ღვთიურმა გამოცხადებამ ერთხელაც არ შემიშალა ხელი: არც ღიღით, როცა სახლიდან გამოღდიოდი, არც სამსჯავროში შემოსელის დროს და არც სიგყვის წარმოთქმისას, მიუხეღავად იმისა, თუ რის თქმას ვაპირებდი. უწინ ხომ, რაც უნდა მეთქვა, წამღაუწუმ მაწყვევინებდა სიგყვას, ახლა კი ერთხელაც არ ამიკრღალა არცერთი ნაბიჯი, ერთხელაც არ აღმიკვეთა არცერთი სიგყვა. რას მივაწერო ეს? მოგახსენებთ: მე მგონია, ყოველივე ეს ჩემს სასიკეთოდ მოხდა და, როგორც ჩანს, ცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ სიკვდილი ბოროტებაა. მე ხელთა მაქვს ამის უგყუარი საბუთი: ვანა ასე უღვთოდ გამწირავდა უფლის ხმა, მართლა უკეთური მრახვა რომ მღებოდა გულში?

ამასაც დაუკვირღით: რამღენი რამ გვიმტკიცებს იმის რწმენას, რომ სიკვდილი სიკეთეა! მართლაცღა, ორში ერთია. სიკვდილი ან არარაობად ქეევაა, ასე რომ,

მკედარი ვერაფერს ვერ გრძნობს, ანდა, თუ ძველ გადმოცემებს ვერწმუნებით, სიკვდილი სხვა არა არის რა, თუ არა გარდაცვალება, სულის ფერისცვალება და აქედან სხვა ქვეყნად გადასახლება. თუკი ვერაფერს იგრძნობ, რაღა სიკვდილი და რაღა ტკბილი ძილი, როცა მგანჯველი სიზმრები არ გიმღერევენ სულს; ღიახ, თუკი მართლა ასეა, სიკვდილი უფლის წყალობაა სწორედ. მე მგონია, ვინმე რომ დაგვეყენებინა ასეთი არჩევანის წინაშე; ჯერ გაეხსენებინა ღამე, როცა ისე ტკბილად ეძინა, რომ სიზმრები არ ამოთუბდნენ, მერე შეედარებინა ის ყველა თავისი დანარჩენი დღე-ღამისათვის და ბოლოს პირუთენელად გადაეწყვიტა, მთელი სიციოცხლის განმავლობაში რამდენ დღე-ღამეს იყო უფრო ბედნიერი, ვიდრე იმ ღამეს, – ვუიქრობ, არა მარტო ბეჩაიე მდაბიორი, არამედ თვით დიდებული მეფეც უყოყმანოდ გადაწყვეტდა, რომ მთელი მისი სიციოცხლე სხვა არა ყოფილა რა, თუ არა გამუდმებული განჯვა-ვაება, ამ ორიოდ ნეტარ ღამესთან შედარებით. და თუ სიკვდილი ესაა, რაყაა, ალბათ არ ეცდები, როცა უფლის წყალობას ვუწოდებ მას; ვინაიდან, ამ შემთხვევაში, მარადისობა მხოლოდ ერთ ასეთ ღამედ წარმოგიჩნდება.

მეორეს მხრივ, თუ სიკვდილი მხოლოდ გარდაცვალებაა და სულის სხვა ქვეყნად გადასახლება, და თუ მართალს გვაუწყებს გადმოცემა, რომ იქ ერთად იყრიან თავს მიცვალებულნი, რა შეიძლება იყოს ამაზე დიდებული, მოსამართლენო? თუ პადესს ჩასული საბოლოოდ თავისუფლება ამ თვითმარქვია მოსამართლეებისაგან, რათა იქ ჭეშმარიტ მსაჯულთა წინაშე წარსდგეს, რომლებიც, გადმოცემით, განიკითხავენ მიცვალებულთა სულებს, – მინოსის, რადამანთისის, ეაკეს, გრიპკოლემოსისა და ყველა იმ ნახევარღმერთის წინაშე, რომელთაც ამქვეყნიურ სიციოცხლეშიაც ვერაინ შეედრებოდა სამართლიანობით. რას იტყვი, განა ბოროტება ეთქმის ამნაირ გადასახლებას?

ეგეც არ იყოს, რა დიდი პატივია თითოეული ჩვენგანისათვის ორფევის, მუსეოსის, პესიოდეს, პომეროსის გეერდით ყოფნა! მე მზადა ვარ ათასჯერ მოვეკედე, თუკი ეს მართალია; რადგან, სხვისი რა მოგახსენოთ და, ჩემთვის ენითუთქმელი ბედნიერება იქნებოდა შევხედროდი და მესაუბრა იქ, ეთქვათ, პალამედესთან, აიანგთან, გელამონის ძესთან, თუ რომელიმე სხვა წინაპართან, რომელიც მათსავეით უსამართლო მსჯავრის მსხვერპლი გახდა. ვუიქრობ, სასიამოვნო იქნებოდა ჩემი ხვედრის შედარება მათ ხვედრთან.

და, რაც მთავარია, – ჩემებურად გამეგარებინა დრო, ესე იგი, მუსტად ისევე გამო-მეყადა ისინი, როგორც თქვენ გუდიდით, რათა, ამრიგად, გამერკვია, ვინაა ჭეშმარიტად ბრძენი და ვინ მხოლოდ თავს გვაჩვენებს ბრძნად, სინამდვილეში კი სიბრძნისა არა სცხია რა. რას არ მისცემდით მოსამართლენო, რომ გამოგეყადათ ის, ვინც ურიცხვი ლაშქარი მიაყენა გროას გალაჟანს, ან ოდისეესი, სიმიფე და ბევრი სხვა სახელოვანი კაცი თუ ქალი; რა ნეტარება უნდა იყოს მათი სიახლოვე, მათთან საუბარი, მათი გამოცდა. მარტო ის რად ღირს, რომ ამის გამო სიკვდილით არ დაგსჯიან. ეგეც არ იყოს, სულეთის მკეიდრნი ჩვენზე უფრო ბედნიერნი არიან, ვინაიდან, თუ გადმოცემა მართალს გვაუწყებს, მათთან ხელი არა აქვს სიკვდილს.

მაგრამ თქვენ, ჩემო მოსამართლენო, ნურაფერს აეს ნუ მოეღით სიკვდილისაგან, რადგან თუ ამქვეყნად რამეა მართალი, უწინარეს ყოვლისა, ის, რომ კეთილი კაცის ხვედრი კეთილია როგორც სიციოცხლეში, ისე სიკვდილის შემდეგაც, და რომ ღმერთები მზრუნველობას არ აკლებენ მას. აი, ახლაც, ჩემი ხვედრი თავისთავად როდი გამორკვეულა; მე მწამს, რომ ჩემთვის უმჯობესია მოვეკედე და თავი დავაღწიო ამ გაუთავებელ განჯვა-ვაებას. სწორედ ამიგომ ერთხელაც არ შემაჩერა უფლის გრძნეულმა ხმამ; სწორედ ამიგომ არა ვრისხაე ჩემს ბრალმდებელთ და ჩემს გამწირველთ, თუმცა, ამ მიზნით როდი წამომიყენეს ბრალდება და გამომიგანეს სა-სიკვდილო განაჩენი. არამედ, სურდათ, რაიმე ეენოთ ჩემთვის, – მხოლოდ ესაა მათში გმობის ღირსი. და მაინც, ერთი სათხოვარი მაქვს მათთან: როდესაც ჩემი ვაყები წამოიზრდებიან, მოიძულეთ ისინი, ათენელნო, თუ შეაგყობთ, რომ ფულისთვის უფრო

ზრუნავს, ვიდრე სიქველისათვის; მიმღით ჰკმეთ და უღირსნი უწოდეთ, მუსტად ისევე, როგორც მე გვმობდით თქვენ; ღიას, თუ შეაგყობთ, რომ, თუმცა არარაინი არიან, მვაობენ და იუღმედილობენ, შერიხსეთ, თავს ლაფი დაასხით, შეაჩვენეთ, როგორც მე გრისხავდით თქვენ. სწორედ ამით მოგვაგებთ კუთვნილს მეც და ჩემს ვაჟებსაც.

თუმცა უკვე ღროა წავიღეთ: მე – რათა მოვეკედე; თქვენ – რათა იცოცხლოთ. ხოლო ვისი ხედრია უკეთესი, არავინ უწყის, გარდა უფლისა.

თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ

სახელმწიფო

წიგნი მესამე

პოეზიის როლი სახელმწიფოში

– აი, როგორ წარმოგვიდგება საქმე ღმერთებთან მიმართებით: – ეთქვი მე, – ჩვენ უკვე ვიცით, თუ სიყრმითგანვე რას შეიძლება უსმენდნენ და რას არ უნდა უსმენდნენ ისინი, ვისი ვალიაა თაყვანს სცემდნენ ღმერთებს, პატივს მიაგებდნენ მშობლებს და არ ამყირებდნენ მეგობრობას აღამიანთა შორის.

– ეს, მე მგონია, – თქვა აღიმანგემ, – საესებით სწორი თვალსაზრისია.

– მერედა, თუ გვინდა, რომ ისინი მხენი და მამაყნი იყვნენ, განა ყოველივე ისიც არ უნდა გაეყნოთ მათ, რაც ამ ჩვენს მომავალ მცველებს სიკედლის შიშისაგან დაიხსნის? ან იქნებ, შენი აზრით, შეიძლება მამაყი იყოს ის, ვის გულშიაც ამნაირი შიში ბუღობს?

– არა, ვფიყავ ზეესს, არ შეიძლება.

– მაგრამ ვისაც სწამს, რომ ჰადესი ათასნაირი საშინელების საუფლოა, განა მისთვის იმდენად უეხო იქნება სიკედლის შიში, რომ ბრძოლის ველზე სახელოვან სიკედლის ამჯობინებს ღამარცხებას და მონობას?

– არამც და არამც.

– მამასაღამე, ჩვენ გემართებს მკაცრად ვადვენოთ თვალი ამნაირ თქმულებათა მთხვეულებსაც, რათა ისინი ხელაღებით კი არ ჰგმობდნენ ჰადესის მთელ საუფლოს, არამედ აქებდნენ მას, მით უმეტეს, რომ მათი გმობა არა მარტო მკრეხელურია, არამედ მანეყ მომავალი მეომრებისთვის.

– ღიას, ესეე ჩენი ვალია:

– მამ, პირწმინდად ამოვშალოთ მათი ქმნილებებიდან, აი, ამნაირი ლექსები:

„ათასწილ მიჯობს, ცოცხალი ვიყო და
ემსახურებლე თუნდ ღლიურ მუშად
კაცს ღარიბ-ღაგაკს, ვიდრე ჰადესში მწუხარე
ღანდთა მბრძანებლად მთელიდნენ..!“

ანღა ესენი:

„მეკრთა, შეძრწუნდა, ვაითუ მოკედაეთ და
მათთან ერთად უკედაეთაც ღიად
ღაიგულონო ბჭე შავეთისა, თვით ღმერთებისთვის თავმარღამყემი“.

ან კიდეე:

„ჰოი, ღმერთებო, ნამღვიღად რჩება ჰადესში
ჩენი სული და ღანდი,

მაგრამ უგონო და უსხეულო, უგრძნობელი და ცნობამიხდელი“.

ანდა:

„მხოლოდ ერთადერთს შერჩა გონება ამ ცნობამიხდელ აჩრდილთა შორის“.

აი, ესენი:

„მწარე ქვითინით მიფრინავს ჰაღესს
სხეულს გაყრილი საბრალო სული,
დასტირის თავის უბედურ სვესა და
სამუდამოდ ამ ქვეყნად მთენილ
სიმტკიცეს, სიმხნეს და სიჭაბუკეს“

და ესენიც მათ მივაყოლოთ:

„როგორც პირქუში მღვიმის სიღრმეში
გიმრისფერ ატმად დაკიდებული
დამურების გუნდს გულშემმარავე წრიპინით
წყდება ერთი მათგანი
და დაფეთებულს ფრთხიალ-ფრთხიალით
თან მიჰყვებიან დანარჩენები,
ასე იხუვლეს სულებმაც მაშინ და მიაშურეს
წვილით ჰაღესს“.

ჩვენ ბოღიშს ვიხდით ჰომეროსისა და სხვა პოეტების წინაშე და ეთხოვთ, ნუ შეგერისხავენ, თუ ამოეშლით, აი, ამათ და სხვა მათნაირ ლექსებს, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ არაპოეტურნი არიან, ან უსიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენენ მრავალ მსმენელზე, არამედ პირიქით: რაც უფრო პოეტურნი არიან, მით უფრო ნაკლებად მართებთ მათი სმენა ბავშვებსაც და მოზრდილებსაც, რაკიღა ადამიანი თავისუფალი უნდა იყოს და სიკვდილზე უფრო უფროთხოვდეს მონობას.

– ცამდე მართალი ბრძანდებით.

– ეგეც არ იყოს, უნდა უარვეყოთ ჰაღესთან დაკავშირებული ყველა საშინელი და საზარელი სახელი, როგორც მაგალითად, „კოკიგოსი“, „სტიქსი“, „ლამიწებულნი“, „შავეთი“ და სხვა მისთანანი, რომელთა ხსენებაზეც მსმენელს შიშის ერუანტელი უელის განში. შესაძლოა მათი ხმარება გამართლებული იყოს სხვა თვალსაზრისით, მაგრამ ჩვენ გვაშინებს ჩვენივე მცველების ბედი: ვაითუ ამდენმა ერქოლამ თუ თრთოლამ მეგისმეტად გაასათუთოს და ბედმეტად მგრძნობიარენი გახადოს ისინი.

– ჩვენი შიში საფუძველს მოკლებული როდია.

– მაშასადამე, ყოველივე ეს უნდა უარვეყოთ?

– ღიას.

– და სულ სხვა სიტყვებითა თუ პოეტური ქმნილებებით შევეცვალოთ ისინი?

– ცხადია.

– ესე იგი, პოეზიიდან ჩვენ გამოვრიცხავთ სახელოვან ვაჟკაცთა მწარე გმინვასა თუ საწყალობელ მოთქმა-გოდებას?

– აუცილებლად, თუკი გავითვალისწინებთ იმას, რაც ზემოთ ითქვა.

– მამ. დაუკვირდი, მართებულად ვიქცევით თუ არა, ყოველივე ამას რომ გამოვირიცხავთ. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ბრძენკაი საშინელებად არ მიიჩნევენ მეორე ბრძენკაის სიკვდილს, ეს უკანასკნელი მისი მეგობარიც რომ იყოს.

– დიახ. ვამტკიცებთ.

– მამასადამე, ის არ მოპყვება გოდებას, ეს რა საშინელება მოხდაო.

– რასაკვირველია, არ მოპყვება.

– მაგრამ ჩვენ იმასაც ვამტკიცებთ, რომ ამნაირი კაცი, რომელიც ღირსეული ცხოვრებით ცხოვრობს, ყველაზე მეტად თვითმკმარია და დანარჩენებისაგან განსხვავებით ნაკლებად სჭირდება ვინმე.

– ჭეშმარიტად.

– მამასადამე, მისთვის სულაც არაა საშიში ვაჟის, ძმის, ახლობლების, ავლაღიღებისა თუ სხვა მისთანათა დაკარგვა.

– არა, ღმერთმანი.

– ესე იგი, ის არ მოპყვება მოთქმა-გოდებას და შესაშური თვინიერებით შეეგებება თავს დატეხილ უბედურებას?

– დიახ.

– მამასადამე, მართებულად მოვიქცეოდით, თუ გამოვირიცხავდით ყველა იმ ადგილს, სადაც სახელგანთქმული გმირები მღუღარე ცრემლებს აფრქვევენ, რათა ქალებისათვის, თანაც, ყველაზე უმწეო ქალებისათუ უნიათო კაცებისთვის მიგვენებებინა მოთქმა-გოდება, და ამნაირი ქცევის მიმართ მიზლი ადგვეძრა მათთვის, ვისაც, როგორც მოგახსენე, ქვეყნის მცველებად უნდა ვზრდიდეთ.

– მართალს ბრძანებ.

– კვლავ უნდა ვთხოვოთ პომეროსსა და სხვა პოეტებს, ნუ წარმოგვიდგენენ აქილევს იმ სახით, რაც არ მეჭურის ქალღმერთის ძეს:

„ხან მხარ-თეძომე წეეს მგლოვიარე, ხან

პირქეე გდია, ხანაც გულაღმა,

წამოიჭრება მერე სარეცლით და მიაშურებს

ზღვის სანაპიროს“.

ანდა:

„ხელით მოხეეგა გულჯავრიანმა ფერული
და თავზე გადაიყარა“.

ნურც სხვაგან ღრგინაეს, მოთქვამს და გოდებს, როგორც გვაუწყებს პომეროსი;

ნურც ღვთისდარ პრიამოსზე გვეუბნებიან, თითქოს ის

„მგვერში გორაედა და სახელდებით

ვეედრებოდა თვითეულ ვაჟკაცს“.

კიდევ უფრო დიდი სათხოვარი გვაქვს პომეროსის მიმართ: ნუ გვიხატავს მოგირალსა და მოზარე ღმერთებს:

„ეაიმე ბედკრულს, ვაი სეედავისილს, უებრო

გმირის უბედურ ღელას!“

თუ საერთოდ დაუშვებელია ასეთნაირად დაგვიხატონ ღმერთები, მაშინ რა თავხედობაა საჭირო, რათა იმ სახით წარმოგვიჩინონ უკვდავთა შორის უღიაღესი, რომ ველარც კი იცნო, და, აი, ეს სიგყეები ათქმეინო:

„ეაიმე, ვხედავ, როგორ გაურბის ქალაქის
ბჭესთან მგერს უძლეველი

გმირი, ვინც ასე ძლიერ მიყვარდა, და მწუხარებით მევსება გული“.

ანდა:

„ვაიმე, ვხედავ მოკვდავთა შორის ჩემთვის ყველაზე ძვირფას სარკედონს, მოირების მსხვერპლს და სასიკვდილოდ განწირულს უკვე პატროკლეს ხელით“.

თუ ჩვენი ჭაბუკები, ჩემო ძვირფასო აღიმანტე, საწმუნოდ მიიჩნევენ ამნაირ ლათიებს, ნაცულად იმისა, რომ სასაილოდაც არ ეყოთ ისინი, როგორც ღმერთებისთვის ყოვლად უღირსნი, მაშინ ნებისმიერ მათგანს, რაკილა ის მხოლოდ და მხოლოდ ადამიანია, გაუჭირდება თავისთვის უღირსად მიიჩნიოს ასეთივე სიკაცა თუ საქმე, რაც შეიძლება წამოსცდეს ან ჩაიღინოს; პირიქით, თუკი ოღნავი საბაბი მაინც მიეცა, ყოველგვარი სირცხვილის გარეშე მოჰყვება მოთქმა-გოდებას.

– ცამდე მართალი ბრძანდები.

– მაგრამ ეს დაუშვებელია რაშიც თვალნათლივ დაგეარწმუნა ჩვენმა მსჯელობამ, რომელსაც უნდა ეყრდნობოდეთ, ვიდრე უფრო საწმუნოდ საბუთებს არ წარმოგიდგენენ.

– გეთანხმები.

– თუმცა არც ის ივარგებს, რომ ჩვენი მცველები ყველაფერზე იცინოდნენ, რადგანაც წრეგადასულ სიცილ-ხარხარს მალე სრულიად საპირისპირო განწყობილება ცვლის.

– მეც ეგრე მგონია.

– ესე იგი, დაუშვებელია, რომ სიცილი თავს აეიწყებინებდეს ღირსეულ ადამიანებს და, მით უმეტეს, ღმერთებს?

– რა თქმა უნდა.

– მამასადადე, ისიც დაუშვებლად უნდა მიგეაჩნდეს, რასაც ჰომეროსი ამბობს ღმერთებზე:

„ენით უთქმელი სიცილ-ხარხარი აუცყდათ ღმერთებს, როს ჰეფესტოსმა ჩლახუნ-ჩლახუნით ჩამოატარა დარბაზში თასი, სავსე ნექტარით“.

რას იგყვი, დაუშვებელია თუ არა ეს?

– თუ ჩემი ამრის გაგება გსურს, ვერასლდეებით ვერ დავუშვებთ ამას.

– მაგრამ ყველაფერზე მალლა უნდა ვეყენებდეთ ჰემმარიგებას. თუ მართლნი ვიყავით, როცა აღვნიშნე, რომ ღმერთებისათვის ფუჭი და ურგებია სიცრუე, ადამიანებისათვის კი ხანდახან მაინც სასარგებლოა, როგორც სამკურნალო საშუალება, ცხადია, რომ ეს საშუალება მკურნალთა ხელში უნდა იყოს, უეიცნი კი ახლოსაც არ ეკარებოდნენ მას.

– ღიახ.

– სხვისა რა მოგახსენო, მაგრამ ქვეყნის მმართველს კი უფლება აქვს იცრუოს, რათა თვალი აუხვიოს მტრებსაც და თავის ქვეშევრდომებსაც, თუკი სახელმწიფოს კეთილდღეობა მოითხოვს ამას, დანარჩენებს კი სასტიკად ეკრძალებათ ეს. ხოლო თუ კერძო პირი ცრუობს მმართველის წინაშე, ისეთსავე, ან უფრო მძიმე დანაშაულადაც ჩავუთვლით ამას, როგორც ავადმყოფს – ექიმის, ან მოვარჯიშეს მისივე მწვრთნელის წინაშე სიცრუის თქმას, მწვრთნელისა, რომელსაც იგი თავისი ჯანმრთელობის ამბავს

უმაღლესს. და არანაკლებ სკოდაეს მენიზბუე, რომელიე მესაჰეს არ მოახსენებს, რა დღეშია ხომალდი, ან დანარჩენი მენიზბუები.

– მართალს ბრძანებ.

– ამრიგად, იუ მმართველი სიერუეში ამხილებს რომელიმე მოქალაქეს

„ვინდ ვრძნულ მისანს, ვინდაე ექიმს, ვინდ ხუროთმოძღვარს“,

უთოოდ უნდა დასაგოს მხილებული, რომელიე ამკვიდრებს მავნე ჩვეულებას, რასაე მუეძლია ისე ააყირაოს სახელმწიფო, როგორც ვრიგალმა – ხომალდი.

– მით უმეტეს, თუ სიგყვას საქმე მოსდევს.

– და მერე, ვანა თავდაჰერილობაც ასევე აუცილებელი არ იქნება ჩვენი ჭაბუკებისათვის?

– რა თქმა უნდა.

– თავდაჰერილობა კი უმრავლესობისათვის ისაა, რომ არა მარტო ემორჩილებოდნენ მბრძანებლებს, არამედ თვითონვე იყვნენ ამქვეყნიურ სიამეთა – სმა-ჭამის, სასიყვარულო განცხრომისა და სხვა მისთანათა მბრძანებელნი.

– მეუ ვგრე მგონია.

– ასე რომ, ალბათ, მოსაწონად მივიჩნევთ იმას, რასაე ჰომეროსი ათქმევიებს დიომედესს:

„ჩუმად იყავი, კაპანეუსის ძე, და ყურად ილე ჩემი თათბირი“.

და, მე მგონია, ამ სიგყვებსაც:

„მხნედ მოდიოდნენ აქაიელნი, სდუმდნენ თაეიანთ ბელადთა რიდით“,

ისევე, როგორც ყველა ამნაირ ადგილს.

– კეთილი და ჰაგიოსანი.

– მაგრამ ამამე რაღას იტყვი? –

„ეჰეი, ღვინით გაღეშილო, ძაღლის თვალი გაქეს, გული კი – ირმის“.

ან ამის მომდევნო ლექსი მაინც თუა მოსაწონი? და საერთოდაც, რა საკადრისია, როცა ხელქვეითი აუგად იხსენიებს მბრძანებელს ვინდ პროზაული და ვინდ პოეტური სიგყვით?

– მართლაცდა, რა საკადრისია.

– მე მგონია, ყოველივე ეს სულაც არ უწყობს ხელს ჭაბუკის სულში თავდაჰერილობის განვითარებას. თუმცა ამნაირი ლათაიები შეიძლება სასიამოვნო მოსასმენიე იყოს, და ამამი არა არის რა ვასაკვირველი; ასეა, არა?

– დიახ, ასეა.

– მერედა, როცა პოეტი კაცთა შორის ყველაზე ბრძენს ათქმევიებს, რომ, მისი ამრით, ვერაფერი შეედრება

„პურ-ღვინით საესე და ხორცეულით გულის

სალხენად გაწყობილ სუფრას,

მწდე კრაგერიდან მჩქეფარე ღვინით რომ

აღიყლიყებს წვეულთა თასებს“,

ვანა ეს, მენის ამრით, თავდაჰერილობას ასწავლის ჭაბუკს? ანდა, აი, ეს:

„მაგრამ შიმშილით სიკედელი ჩვენთვის ყველაზე უფრო საშინელია“,

ან კიდე ზევსის წარმოჩენა ისეთნაირად, თითქოს როცა დანარჩენ ღმერთებსა და ადამიანებსაც ეძინათ, მხოლოდ ის ერთი უხიმლობდა, მაგრამ ვნებააგანილს ერთბაშად გადააიწყადა ყველაფერი, რაც განეზრახა: პერას დანახვისას ისეთი ძალით შემოეგზნო გრფობის სახმილი, რომ მინ შესვლაც აღარ ინება, არამედ მოიწადინა იქვე, მიწაზე გაეგორებინა და ძალით დაუფლებოდა მეუღლეს; როგორც თვითონვე აღიარა, ვნების აღმა უფრო ძალუმაღ იფეთქა მასში, ვიდრე მათი პირველი შეხვედრისას, რაც „საყვარელი მშობლებისგან მალულად“ მოხდა. ზუსტად ამავე მიზეზის გამო არესი და აფროდიტე ერთად შეკოჭა ჰეფესტოსმა.

– ვფიცავ ზევსს, – თქვა აღიმანტემ, – ყოველივე ეს უხამსობა მგონია.

– მაგრამ როდესაც გადმოგვეცემენ ქედუხრულ და უღრეკ გმირთა სიგყვას თუ საქმეს, ამას ყოველთვის სიამოვნებით უნდა ვკითხულობდეთ და ვისმენდეთ კიდეც; სანიმუშოდ ესეცა კმარა:

„მქერღს მჯიღი იკრა და გულს ასე უთხრა ბორგნეულს:

დამშვიდდი, გულო, უარესიყ დაგითმენია“.

– მართალს ბრძანებ.

– ვერც იმის ნებას მიეცემთ ჩვენს მომავალ მცეელებს, რომ მექრთამენი და ანგარების მოყვარენი გამოვიდნენ.

– ვერა, ვერ მიეცემთ.

– და ვერც პოეტებს – იმის უფლებას, რომ მათ წინაშე მღეროდნენ:

„თავს მოუქონავ სუყველას ქრთამით – თვით ღმერთებსაც და ღიდ მეფეებსაც“.

ვერ მოეუწონებთ საქციელს აქილევის გამზრდელს – ფენიქსს, შემპარავი სიგყვით რომ ურჩედა შეგირღს, მიეღო ძღვენი და მიმეელებოდა აქაელებს, ხოლო თუ ძღვენს არ მიართმევდნენ, არ დაეცხრო გულში შმაგად მბორგავი რისხვა. ვერც იმას მივიჩნევთ ქების ღირსად, რაც არ ეკადრება აქილევის: ასე მაგალითად, როცა ამბობენ, თითქოს იმდენად ანგარების მოყვარე ყოფილიყოს, რომ აგამემნონისაგან მიეღოს ძღვენი, ანდა გამოსასყიდის ფასად დაეთმოს მის მიერ მოკლული გმირის ცხედარი, რასაც არასდღებით არ დათანხმდებოდა გამოსასყიდის გარეშე.

– აბა, ეგ რა ქების ღირსად უნდა მიგვანდეს?

– მაგრამ ეს მაინც კომეროსია, და მე იმის თქმასაც ვერ ვბედავ, რომ მკრეხელობაა, ამნაირად წარმოგვიჩინო აქილევისი, თუმცა სხვა პოეტებს კი ვუჯერებთ ამას. მაგრამ, აი, რას ეუბნება იგივე აქილევისი აპოლონს:

„მამ, მომაგყუე, უკვდავთა შორის

უმმაკეარესო და უბოროტესო?

ო, რომ შემეძლოს, ღმერთმანი, მწარედ

გამღვევინებდი მაგ თაეხელობას!“

აქილევისი თვით მდინარესაც არ ეპუება – ხოლო ეს იგივე ღმერთია, – და მზადაა ორთაბრძოლაში გამოიწვიოს. ხოლო მეორე მდინარის – სპერსხეიოსის გაღლებს რომ აგანს თავის კულულებს, ის ამბობს:

„თან წაიგანებს გმირი პატროკლე მისი

მეგობრის შეკვეცილ კულულს“,

პატროკლე კი ამ ღროს უევე მკვდარია. ვერ დაეიჯერებთ, თითქოს აქილევისს ეს ჩაედინოს; ვერც იმას, თითქოს პატროკლეს სამარის ირგვლივ დაათრევა პექტორის ცხედარს; ისიყ დაუჯერებელია, რომ პატროკლეს გვამის დასაფერფლად დანთებულ კოცონთან ყელი გამოელადროს გროელი გყეეებისათვის და ცეცხლში შეეყაროს ისინი. ამიგომაც ყოველივე ეს მგკნარ სიყრუედ უნდა მიგვანდეს, და ვერ დავეუშებთ, რომ ჩვენს ჭაბუკებს სწამდეთ, თითქოს აქილევისს – ქალღმერთისა და შორსმჭერეგელი პელევისის ძეს (პელევისისა, ვისი წინაპარიყ თვით ზევსი იყო) და ბრძენთა-ბრძენი ქირონის აღზრდილს – ისეთი ქვენა გრძნობები უმღვრევდნენ სულს, რომ მასში ერთ-

მანეთს ვერწყმოდა ორი ურთიერთსაპირისპირო ვნება: სულმდაბალთათვის ნიშნული ანვარება და ქედმალური მიზლი უკედაეთა და მოკედაეთა მიმართ.

– მართალს ბრძანებ.

– ვერც იმას ვირწმუნებთ და არც ვათქმევინებთ ვინმეს, თითქოს თესვესი, პოსიე-ლონის ძე, და პერითუსი, ზევსის ვაჟი, თაჲზეხელაღებული შგაყებლები ყოფილიყვნენ; და საერთოდაც, განა შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ღვთაების ამა თუ იმ ნაშიერს, ან რომელიმე ვმირს ისეთი საზარელი და ღვთისმგმობლური საქმის ჩადენა გაებედოს, რასაც მათ მიაწერენ ხოლმე? მეტიც, ჩვენ ვაიძულებთ პოეტებს, აღიარონ, რომ ან მათ არ ჩაუღენიათ მთელი ეს სამინელება, ან თუ ჩაიღინეს, მაშინ ნამდვილად არ ყოფილან ღვთის ნაშიერი. ნუ მიუცემთ მათ იმის უფლებას, რომ ერთდროულად ამგ-კიყონ ორი ურთიერთგამომრიცხველი რამე. ნურავინ ეცდება ჩააგონოს ჩვენს ჭაბუ-კებს, თითქოს ღმერთები ბოროტების მიზეზად გვევლინებოდნენ, ხოლო გმირები არაფრით არ იყვნენ ჩვეულებრივ ადამიანებზე უკეთესნი. შემოთქმულისა არ იყოს, ეს არა მარტო სიცრუეა, არამედ მკრეხელობაც; აკი დაეამტკიცეთ, რომ შეუძლებელია ბოროტება ღმერთებისაგან იღებდეს დასაბამს.

– რა თქმა უნდა.

– თვით ამნაირი უაზრობისთვის ყურის გდებაც კი მებნება: მაშინ ყოველი ჩვენგანი შეეცდება როგორმე გაამართლოს თავისი ბოროტება, რადგანაც დარწმუნებული იქნება, რომ ამნაირ საქმეს სჩადიოდა და ეკლავაც სჩადის

„თვით ღვთაებათა ნაშენ-ნაგრამი, თვით დიდი ზევსის სისხლი და ხორცი,

ვინც იღას თხემზე თაყვანს სცემს ღვთსაც მოკედაეთა მამის წმინდა სამსხეერპლოს, და ვის ძარღვებშიც ძალუმად ბორგავს ღვთიური სისხლი წინაპრებისა“.

ამიგომაც ნულარაუის გავეუმორებთ ამ აბდაუბდას, რათა უკეთური მრახვებისგან დავიხსნათ ჩვენი მომავალი მცველების სული.

– მართალი ხარ, – თქვა აღიმანტემ.

– კეთილი და პატიოსანი; რაკილა ჩვენ ვაპირებთ იმის გარკვევას, თუ რანაირ თხმულეებს უნდა ვიწონებდეთ ან ვიწუნებდეთ, რალა დავგერჩა განსახილველი? ვინაიდან უკვე ყველაფერი ითქვა, რაც ღმერთების, ღვმონების, გმირებისა თუ პადესის მკვიდრთა შესახებ უნდა თქმულიყო.

– ღიახ.

– მაგრამ ადამიანებზე ხომ რალაც მაინც დავგერჩა სათქმელი?

– როგორც ჩანს.

– მაგრამ ამის თაობაზე, ჩემო ძვირფასო, ჯერჯერობით ვერაფერს ვიგყვით.

– რაგომ?

– მოგახსენებ: ამ შემთხვევაში, მე მგონია, მიუკიბ-მოუკიბავად უნდა განვაცხადოთ, რომ პოეტებსაც და არაპოეტებსაც ძალიან მყდარი წარმოდგენა აქვთ ადამიანებზე. ისინი ამტკიცებენ, რომ უსამართლო ადამიანების უმრავლესობა ბედნიერია, სამართ-ლიანებისა კი – უბედური; რომ უსამართლო ქცევა თავისთავად სასარგებლოა, თუ უსამართლობა დაფარული რჩება, მაშინ როდესაც სამართლიანობა მხოლოდ სხვის-თვისაა სასარგებლო, თვით სამართლიანისთვის კი – სასჯელი. ჩვენ მათ ავეუკრძა-ლათ ამნაირ ლაპარაკს და ვაიძულებთ ამიერიდან სრულიად საპირისპირო რამ ამტკიცონ როგორც პოეტური, ისე პროზაული სიტყვით; ან, იქნებ, შენ სხვა ამრისა ხარ?

– არა, ღმერთმანი.

– თუ ჩემს სიმართლეს აღიარებ, მაშინ ისე ვიგულებ, რომ წელანდელ მსჯელობასაც ეთანხმები.

– რა თქმა უნდა.

- მამ, სამერმისოდ გადავდოთ იმის გარკვევა, თუ რანაირად უნდა ემსჯელობდეთ ადამიანებზე; მანამდე კი დაუდგინოთ, რა არის სამართლიანობა, ან რა სარგებლობა მოაქვს მას თავისთავად სამართლიანი კაცისათვის, მიუხედავად იმისა, სამართლიანი პგონია თუ არა იგი ხალხს.

- ცამდე მართალი ბრძანდები.

- ამით დავამთავროთ სიკვდიერების განხილვა. ახლა კი გამომსახველობით საშუალებებსაუ მივხედოთ და მაშინ, ალბათ, სრულად მიმოვიხილავთ იმასაც, თუ რას ეამბობთ და იმასაც. როგორ ვამბობთ.

- რა ექნა, არ მესმის, - თქვა აღიმანტემ.

- უნდა გესმოდეს, - ვუთხარი მე, - თუმცა, იქნებ, ასე უკეთ გაიგო: ყველაფერი, რასაც გადმოგვეყმენ თქმულებათა მთხვევლები და პოეტებიც, ან წარსულს ეხება, ან აწმყოს და ან მომავალს.

- რა თქმა უნდა.

- ხოლო ამას უბრალო თხრობის, ან მიბაძვის გზით აღწევენ, ან კიდევ როგორც ერთის, ისე მეორის საშუალებით.

- ნეგა უფრო ნათლად გამაგებინა.

- როგორც ჩანს, მასწავლებლად ღმერთს არ ეუქნივარ. ამიგომ იმ ხალხისა არ იყოს, ვისაც არაფრის გადმოყება არ შეუძლია, მე ერთბაშად მთელ საკითხს კი არა, მხოლოდ მის ერთ ნაწილს ავიღებ და ამის მიხედვით ავიხსნი, თუ რისი თქმა მსურს, ერთი ეს მითხარი: „ილიადას“ დასაწყისი თუ გახსოვს, სადაც პოეტი გვაუწყებს, როგორ ეახლა ქურუმი ქრისე აგამემნონს და შევეედრა, გაეთაეისუფლებინა მისი ასული, რამაც სამინლად განარისხა აქაიელთა წინამძღოლი, და როგორ შეკლალადა გაწბილებულმა ქურუმმა ღმერთს, სანაცულო მიეგო ბერძნებისათვის?

- ცხადია, მახსოვს,

- მაშინ ისიც გემახსოვრება, რომ, აი, ამ აღვილამდე:

„ასე მხურვალედ ევედრებოდა აქაიელებს

საბრალო მამა,

უმეტესად კი ორივე აგრიდს, აქაიელთა ორ

მძლე წინამძღოლს“, -

პოეტი თავისი პირით ლაპარაკობს და ოდნეადაც არ ცდილობს სხვა მხრივ მიმართოს ჩვენი აზრი, ან გვაფიქრებინოს, თითქოს თვითონ კი არა, ვილაც სხვა ლაპარაკობს. აქედან მოყოლებული კი, ისე გადმოგვეყმენ ამბავს და შეძლებისდაგვარად ცდილობს იმნაირი შთაბეჭდილება შეგვიქმნას, თითქოს თვითონ კი არა, აპოლონის მოხუცი ქურუმი ლაპარაკობდეს. ამნაირადვე წარმართავს მთელ დანარჩენ თხრობასაც, მიუხედავად იმისა, თუ რას გადმოგვეყმენ ილიონის, ითაკისა თუ იმ მხარეთა ამბავს, „ოდისეაში“ რომ აღგვიწერს.

- მართალს ბრძანებ.

- მაშასადამე, როცა სხვის სიკვევებს გადმოგვეყმენ და მაშინაც, როცა მათ შორის თავის სიკვევასაც ჩაურთავს ხოლმე, ეს მაინც თხრობა იქნება?

- მამ, რა?

- კი მაგრამ, როცა სხვისი პირით ლაპარაკობს, ხომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის ცდილობს თავისი სიკვევა რაც შეიძლება უფრო მეტად მიამგვანოს მისას, ვისზედაც წინასწარ გვაუწყებს, ახლა ამას და ამას ეაძლევე სიკვევასო?

- რა თქმა უნდა, შეგვიძლია.

- ხოლო სიკვევით თუ სახით მიემგვანო სხვა ადამიანს, განა იგივე არ არის, რომ მიბაძო მას, ვისაც ემგვანები?

- რასაკვირველია.

- მამ, როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში ჰომეროსიცა და სხვა პოეტებიც მიბაძვის მეშვეობით წარმართავენ თხრობას?

- ცხადია.

- პოეტი რომ არსად არ მალავდეს თავს, მაშინ მისი თხრობისთვის და, საერთოდ, შემოქმედებისთვისაც უცხო იქნებოდა მიბაძვა. მაგრამ შენ რომ არ გათქმეინო, არც ეს მესმისო, ვეცლები ახლავე ავიხსნა. მას შემდეგ, რაც გვაუწყა, როგორ ეახლა ქრისე ავამემონოს, გამოსასყიდი მიაართა და გულმხურვალედ შეევედრა აქაიელებს, უწინარეს ყოვლისა კი - მათ ბელადებს, ჩემი ქალი დამიბრუნეთო, - პომპროსს კვლავაც თავისი პირით რომ გაეგრძელებინა ამბის გადმოცემა, და არა ისე, თითქოს ქრისედ ქეუულიყოს, შენთვის, ალბათ, გასაგებია, რომ ეს მიბაძვა კი არ იქნებოდა, არამედ უბრალო თხრობა, რომელიც დაახლოებით ამნაირ სახეს მიიღებდა (პრობაული სიგყვით გადმოცემე, რადგანაც პოეტისა არა მცხია რა): „მოვიდა ქურუმი და აქაიელებს შეევედრა: დმერთმა ინებოს რომ გროა აილოთ, თქვენ კი უენებელნი და საღსალამათნი დარჩეთ; გემუდარებით, ჩემი ღვთაების რიღით მიიღეთ გამოსასყიდი და ჩემი ქალი დამიბრუნეთო. ამის თქმაც იყო და აქაიელებმა ერთსულოვნად დაუღასგურეს თავიანთი თანხმობა, მაგრამ განრისხებულმა ავამემონომ ქურუმს უბრძანა, სასწრაფოდ გასელოდა იქაურობას და აღარასოდეს დაეღა ფეხი აქაიელთა ბანაკში, თორემ ვეღარც ქურუმის კვერთხი იხსნიდა და ვეღარც საღმრთო გვირგვინი. თანაც დასძინა, რომ ვიდრე ასულს დაუბრუნებდა, გყვე ქალი მასთან ერთად დაბერდებოდა არგოსში; ბოლოს კი დაემუქრა, წადი, გამეცა, მოთმინების ძაფს ნუ გამიწყვეტ, თუ გინდა მშვიდობით დაბრუნდე შინო. შეშინებული ბერიკაცი უსიგყვოდ გაეცალა აქაიელებს, მაგრამ მათ ბანაკს გასცდა თუ არა, გულმხურვალედ შეევედრა აპოლონს, ყველა სახელით უხმო და შეახსენა, რა სამსახური გაეწია მისთვის, რამდენი ტაძარი აეგო და რამდენჯერ შეეწირა ზვარაკი. ყოველივე ამის სანაცულოდ კი სთხოვა, თავისი ბასრი ისრებით მისი ცრემლების სანაცულო მიეგო აქაიელთათვის!“ აი, რანაირია, ჩემო ძვირფასო, ლიგონი თხრობა, ყოველგვარი მიბაძვის გარეშე.

- გასაგებია.

- ახლა კი შენთვის ალბათ ისიც გასაგები უნდა იყოს, რომ არსებობს სულ სხვანაირი თხრობაც: საკმარისია მთლიანად ამოვიღოთ პოეტის სიგყვა, რომელიც მისივე გმირების სიგყვებს შორისაა ჩართული, და ხელთ შეგვრჩება მხოლოდ ამრთა გაცვლა-გამოცვლა.

- ესეც გასაგებია: გრაგეღიას გულისხმობ, არა?

- ნამდვილი გულთმისანი ყოფილხარ. მე მგონია, შენთვის ახლა მაინც ნათელია ის, რაც წელან ვერ გაგაგებინე: პომპროსისა და მითისქმნალობის ერთ დარგს წმინდა მიბაძვა უღვეს საფუძელად; ეს, შენი თქმისა არ იყოს გრაგეღია და კომედიია. მეორე დარგის საფუძელად საკუთრივ პოეტის სიგყვა გვევლინება; ეს უპირატესად ღითირამბოსები გახლავთ და ბოლოს, ეპიური პომპია და სიგყვიერების ბევრი სხვა დარგიც. თუ კარგად გესმის ჩემი, ორივე ზემოხსენებულ საფუძველს ემყარება.

- ღიახ, ახლა კი მესმის, რისი თქმაც გსურდა წელან.

- თუ გახსოვს, რას ვარკვევდით ამაზე უწინ? უკვე ითქვა, რას უნდა ვამბობდეთ პომპიაში; განსახილველი დავგვრჩა ის, თუ როგორ უნდა ეამბობდეთ.

- მახსოვს.

- სწორედ იმას მოგახსენებდი, რომ უნდა შევეთანხმდეთ, მივეცეთ პოეტებს მიბაძვის ნება თუ არ უნდა მივეცეთ? ანდა, თუ მიეცემთ, მაშინ რას შეიძლება ბაძავდნენ და რას არა? ან, იქნებ, სულაც ავეუკრძალა მათთვის ყოველგვარი მიბაძვა?

- მესმის, რისი თქმაც გნებაჟს: დაუშვათ თუ არა ჩვენს სახელმწიფოში გრაგეღია და კომედიია.

- შესაძლოა, ასედაც იყოს, თუმცა შესაძლოა, არც იყოს ასე; ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვი; საითაც წავგიღებს ამრის ღინება, ჩვენც იქით უნდა წავიღეთ.

- ღიღესული ნათქვამია.

- ახლა კი შენ თვითონ გადაწყვიტე, აღიმანგე, მიბაძველები უნდა იყვნენ ჩვენი მკეელები თუ არა უნდა იყვნენ? თუმცა ეს თავისთავად გამომდინარეობს ზემოთქმუ-

ლიდან, რის თანახმადაც თითოეულ ჩვენგანს შეუძლია სათანადოდ ასრულებდეს მრავალს კი არა, მხოლოდ ერთ საქმეს: ვინც ბევრ საქმეს მოჰკიდებს ხელს, ვერცერთს ვერ გაართმევს თავს, და ვერც ვერაფერს მიაღწევს.

– მართალს ბრძანებ.

– განა იგივე არ ითქმის მიბაძვაზედაც? ერთი კაცი ისევე კარგად მიბაძავს მრავალს, როგორც ერთ რასმე?

– ვერა.

– მით უმეტეს, შეუძლებელია რაიმე მნიშვნელოვან საქმეს აკეთებდე და, იმავდროულად, წარმატებით ბაძავედ მრავალ რამესაც. რადგან იმ შემთხვევაშიაც კი, როცა მიბაძვის ორი სხვადასხვა სახე საქმაოდ ახლოსაა ერთმანეთთან, როგორც, ვთქვათ, გრაგელია და კომედია, იშვიათად რომ ვინმემ წარმატებით გაართვას თავი ორივეს. აკი წელან მენ თვითონ მიბაძეად მიიჩნიე როგორც ერთი, ისე მეორეც.

– ღიახ, მართალი ხარ, როცა ამგვიცებ, რომ შეუძლებელია ერთმა კაცმა ორივეს გაართვას თავი.

– ასევე შეუძლებელია ერთსა და იმავე დროს რაფსოდიც იყო და მსახიობიც.

– ღიახ.

– ვერც ერთი და იგივე მსახიობი ითამაშებს გრაგელიასაც და კომედიასაც, თუმცა მსახიობის ხელოვნებაც, გრაგელებისა და კომედიების თხზვაც მიმბაძველობითი ხელოვნებაა.

– რა თქმა უნდა.

– ეგეც არ იყოს, მე მგონია, აღიმანგე, აღამიანის ბუნება ურიცხე პაწაწინა ნაწილაკებადაა დანაწევრებული, ასე რომ, მისთვის შეუძლებელია სათანადოდ მიბაძოს მრავალ რასმე, ან აღასრულოს ის, რის მსგავსებადაც გვევლინება მიბაძვა.

– სრული სიმართლეა.

– ამრიგად, თუ შევინარჩუნებთ პირველად საწყისს, ჩვენმა მცველებმა ხელი უნდა აიღონ ყველა სხვა საქმიანობაზე და მტკიცედ დაიცვან სახელმწიფოს თავისუფლება, ისე, რომ არას დაგიდევდნენ და ჩირადაც არ თვლიდნენ დანარჩენს. სხვა რამის არც კეთება მართებთ და არც მიბაძვა; ანდა, თუ მაინც მიბაძავენ რასმე, მხოლოდ და მხოლოდ იმას, რასაც ბაეშობიდანეც უნდა იძენდნენ: სიმამაცეს, თავდაჭერილობას, ღეთისმოსაობას, თავისუფლების სიყვარულს და სხვა მისთანათ. ხოლო იმას, რაც უპირისპირდება თავისუფლებას, იმას, რაც სამარცხეინოა, არც უნდა ბაძავენ და არც შეეძლოთ მისი მიბაძვა, რათა მიბაძვის წყალობით იმასვე არ დაემგვანონ, რასაც ბაძავენ. ან, იქნებ, არ შეგიძინევი, რომ მიბაძვა, თუკი ბაეშობიდან მოყოლებული ხანგრძლივად ბაძავენ რასმე, ჩვეულებად იქცევა და აღამიანის ბუნების განუყოფელი ნაწილი ხდება: იცელება გარეგნობა, იცელება ხმა, იცელება სული.

– როგორ არ შემიმჩნევია.

– ამიგომაც ვერ დაუშვებთ, რომ ისინი, ვისზედაც ვმრუნავთ და გვსურს ქველ ვაყკაცებად აღვზარდოთ, ქალებს ბაძავენ, თუმცაღა კაცები არიან, სულერთია, ახალგაზრდაა ეს ქალი თუ ბებერი, წყველა-კრულვას არ აკლებს ქმარს თუ ღმერთებს ეგოქება, კეთილდღეობით იწონებს თავს თუ სილაგაკეს უჩივის და გულამოსკენით დასტირის თავის უიღბლობას, – აბა, ყველას სად ჩამოთვლი?

– მართლაც.

– არც ის ივარგებს, რომ მონებსა და მონა ქალებს ბაძავენ, რადგანაც მონა მხოლოდ თავის მონურ საქმეს ასრულებს.

– ცხადია, არც ევ ივარგებს.

– არც ბოროტმოქმედებს, ამ ნამდვილ ლაჩრებს, ყოველთვის იმის საპირისპიროდ რომ იქცევიან, რაზედაც წელან ელაპარაკობდით, – ავისიგყვობენ, ერთმანეთს დასციინან, სიფხიზლეშიც და სიმთვრალეშიაც ლანძღვა-გინებით იკლებენ ერთიმეორეს და, საერთოდ, ვინ მოსთვლის, სიგყვით თუ საქმით, რაღას არ ჰკადრებენ არა მარტო ერთმანეთს, არამედ სხვებსაც. მე თუ მკითხავთ, ჩენი მცველები არც შლეგებს უნდა

ბაძაველენ. არც სიგყვითა და არც საქმით, უნდა შეეძლოთ გამოიყონ შლევი, უგუნური და უკეთური, ვინდ ქალი იყოს და ვინდ კაცი მაგრამ არც უნდა ჰგავდნენ და არც ბაძაველენ მათ.

– ცამდე მართალი ბრძანდები.

– მაგრამ იქნებ მკვლელებსა თუ სხვა ხელოსნებს, გრიერების მენიჩებებსა თუ მათ თავკაცებს, ან სხვა მისთანათ უნდა ბაძაველენ?

– რანაირად უნდა ბაძაველენ, როცა ყველა სხვა ხელობის შესწავლაზე ფიქრიც კი აუეკრძალებო?

– ცხენების ჭიხვინზე, ხარების ბღაილზე, ნაკადულების ჩუხჩუხზე, ზღვების ღრიალსა თუ მების გრიალზე რაღას იტყვი: იქნებ ყოველივე ამას მაინც უნდა ბაძაველენ?

– თუ სწორად გავიგე შენი სიტყვები, არსებობს თხრობისა და გამოხატვის იმნაირი სახე, რომელსაც განუხრელად უნდა მისდევდეს ჰემმარიტად ღირსეული კაცი, როცა მას სურს რამე გვაუწყოს; მაგრამ არსებობს თხრობის სულ სხვანაირი სახეც, რომელსაც გამუდმებით იყენებს და განუხრელად მისდევს ის, ვინც თავისი აღზრდითაც და ბუნებითაც ძირეულად უპირისპირდება პირველს.

– მაინც რა სახეებს გულისხმობ?

– მე მგონია, როცა ღირსეული კაცი, ვისთვისაც უცხო არ არის მომიერების გრძნობა, ამა თუ იმ ამბის თხრობისას იმ ადგილამდე მივა, სადაც მასავით ქველი კაცის სიტყვა თუ საქმე უნდა გადმოგვეცეს, – უთუოდ მოიწადინებს ისე გვაუწყოს ყველაფერი, თითქოს თვითონვე იყოს ის, ვის ამბავსაც გადმოგვეცემს, და ალბათ სამარცხვინოდ არ მიიჩნევს ამნაირ მიბაძვას, მეტადრე მაშინ, თუ იმის ქცევაში, ვისაც ბაძავს, მკაფიოდ ვლინდება სულის სიმტკიცე და სიბრძნე, და არა იმ შემთხვევაში, თუ მისი მიბაძვის საგანი უბრძოლველად ნებდება სნეულებას, წინააღმდეგობას ვერ უწევს ვნებათა ღელვას, ან თავს ვერ აღწევს სიმთვრალეს და სხვა მისთანათ. მაგრამ როცა იმნაირი კაცი უნდა წარმოგვიდგინოს, ვინც თავისი ღირსებებით ვერ შეედრება, ის მხოლოდ ცოტა ხნით თუ იკადრებს მიბაძვას მას, და ისიც იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი, ასე თუ ისე, ღირსეულად იქცევა; რადგანაც საგანგებოდ არ უვარჯიშნია მის მიბაძვაში და ამიტომ არა მარტო სათაკილოდ, თავისდა საზიანოდაც მიიჩნევს იმ კაცად გარდასახვას, ვინც მასზე უარესია; ასე რომ, მხოლოდ თავშესაქცევად თუ მიბაძავს იმას, ვინც, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, შეუძლებელია პატივისცემის ღირსად მიაჩნდეს.

– მართალს ბრძანებ.

– მაშასადამე, მისი თხრობა მსგავსი იქნება იმისა, რამედაც წელან, ჰომეროსის ლექსების განხილვისას ვლაპარაკობდით: გადმოცემისას ის გამოიყენებს ორივე ხერხს, მიბაძვასაც და თხრობასაც, თუმცა მიბაძვის წილი ნაწარმოების მთლიან მოყულობაში გაცილებით უფრო უმნიშვნელო იქნება; ან, იქნებ, ვცდები?

– რას ბრძანებ? მისი თხრობა სწორედ ამნაირად წარმოგვიდგება.

– ესე იგი, იმას ვინც ჩვენს მთხრობელზე უარესია, გაცილებით უფრო მეტი მიდრეკილება ექნება ყოველგვარი მიბაძვისადმი: მე შენ გეტყვი, სათაკილოდ მიიჩნევს რასმე! ამიგომაც ეცდება გულმოდგინედ მიბაძვას ყველაფერს მრავალრიცხოვან მსმენელთა თანდასწრებით, თვით იმათაც კი, რაც წელან ჩამოვთვალეთ, კერძოდ, მების, ქარიშხლის თუ სეგყვის გრიალს, კრამანების ბზუილს, ღერძისა თუ ლილეაკის ჭრიალს, ყოველგვარი მუსიკალური საკრავის ხმიანობას, ბუკის გუგუნს, სალამურისა თუ სკვირის წკრიალს, აგრეთვე ძაღლების ყუფას, ცხვრების პეტელსა და ჩიტების ჭიკჭიკს. მთელი მისი გადმოცემა ბგერების, მოძრაობისა თუ მიხრა-მოხრის მიბაძვაზე დაიყვანება, თხრობას კი ძალზე უმნიშვნელო ადგილი უჭირავს მასში.

– ეგ გარდაუკვალა.

– აი, სწორედ ესაა გადმოცემის ის ორი სახე, წელან რომ გუბუნებოდი.

– და მართალსაც მეუბნებოდი.

- პირველი სახე დასამუშავებს ხდის მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებებს, და თუ მას სათანადო პარმონიას და რიგმს მივანიჭებთ, იმისათვის, რომ მართებულად გამოიყენო იგი, საჭირო იქნება კვალდაკვალ მიჰყევ ამ პარმონიას, რაკილა აქ მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებებია შესაძლებელი, და დაახლოებით იგივე ითქმის რიგმზედაც.
- რა თქმა უნდა.
- მეორე სახე კი, პირიქით, სრულიად სხედასხვა პარმონიას და რიგმს მოითხოვს, რათა სათანადო გემოქმედება მოახდინოს მსმენელზე; აკი აქ ნაირნაირი ცვლილებებია შესაძლებელი.
- ჭეშმარიტად.
- მაგრამ ყველა პოეტი და, საერთოდ, ყველა ადამიანი, მსმენელთა წინაშე გამოსვლისას, გადმოცემის ან ერთ სახეს გამოიყენებს, ამ მეორეს, ან კიდევ ორივეს ნაზავს.
- უცილობლად.
- მერედა, რა ექნათ, რომელი მათგანი მივიჩნიოთ დასამუშავად ამ ჩვენს სახელმწიფოში: სუყველა ერთად, თუ ერთ-ერთი, მეორესთან შეზავების გარეშე, ან, იქნებ, ორივეს ნაზავი?
- ჩემს ხმას რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს, მაშინ დასამუშავად უნდა მიგვეჩინა ნაზავი, რომლითაც პოეტი მიბაძავედა ღირსეულ კაცს.
- კი მაგრამ, აღიმანტე, სასიამოვნოა შეუზავებელი სახეობაც; ბავშვებსაც, მათ აღმზრდელებსაც და ბრბოს უმეტეს ნაწილსაც საამოდ ეჩვენებათ სწორედ იმის საპირისპირო სახეობა, შენ რომ უპირატესობას ანიჭებ.
- ღიახ, მათთვის ეგ უფრო სასიამოვნოა.
- მაგრამ შენ, ალბათ, იგყვი, რომ ის არ შეჰფერის ჩვენს სახელმწიფოს, ვინაიდან ჩვენი მოქალაქე ვერც ორად გაიჭრება და ვერც ათად, რაკილა ყველა მხოლოდ ერთ საქმეს აკეთებს.
- მართლაც რომ არ შეჰფერის.
- ამიგომ მხოლოდ ჩვენს სახელმწიფოზე თუ შეიძლება ითქვას, რომ აქ მეწაღე მარტოდენ მეწაღეა და თავის მეწაღეობას მესაჭეობასაც არ უთავსებს, მიწის მუშაე მხოლოდ მიწის მუშაა და თავის საქმესთან ერთად მსაჯულის მოვალეობასაც არ ასრულებს, ხოლო მეომარი მარტოდენ მეომარია და არა ვაჭარიც.
- მართალს ბრძანებ.
- ამრიგად, ჩვენს სახელმწიფოს რომ სწევოდა კაცი, რომელსაც გარდასახვისა და ყველაფრის მიბაძვის უნარი შესწევს, რათა საჯაროდ შეესრულებინა თავისი ქმნილებები, ჩვენ თაყვანს ვცემდით მას, როგორც სიწმინდით მოსილსა და მომწესხველ საოცრებას, მაგრამ, ამასთანავე, ვეგყოდით, რომ ჩვენს სახელმწიფოში არ არიან და არც შეიძლება იყვნენ მისნაირები, მერე გუნდრუკს ვაკმევედით თავზე, შალის საკრავით წავეუკრავდით შუბლს და სხვა სახელმწიფოში გავისტუმრებდით, ჩვენ კი ნაკლებად მკაცრსა და თუნდაც ნაკლებ სასიამოვნო, მაგრამ ჩვენი მიზნებისათვის გაცილებით უფრო სასარგებლო პოეგსა თუ თქმულებების მთხზველს დაეჯერებოდით, რომელიც მხოლოდ ღირსეული კაცის მეგყველებას მიბაძავედა და თავის ენას იმ ნიმუშებს შეუხამებდა, იმთავითვე, რომ ჩამოვაყალიბეთ, ჩვენი მცველების აღზრდაზე საუბრისას.
- ჩვენზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, რა თქმა უნდა, ასეე მოვიქცეოდით.
- ახლა კი, ჩემო მეგობარო, - ვუთხარი მე, - უკვე დაეასრულეთ მუსიკური ხელოვნების იმ დარგის განხილვა, სიგყვიერებასა და თქმულებებს რომ ეხება; გავარკვიეთ, რას უნდა ვამბობდეთ და როგორ ვამბობდეთ.
- მეუ ეგრე მგონია.
- მაშასადამე, განსახილველი დაგვრჩა გალობისა და მელოსის თავისებურებანი.
- ღიახ.

– მაგრამ რა უნდა ეთქვათ მათზე, ან რანაირი უნდა იყვნენ ისინი, – ამას, ალბათ, ყველა მიხვდება, თუკი ჩვენს ახლანდელ მსჯელობას შევეუთანხმებთ იმას, რაც ზემოთ ითქვა.

გლავკონმა გაიციინა და მითხრა:

– პირადად მე, სოკრატე, როგორც ჩანს არ ვეკუთვნი ამ „ყველას“, რადგანაც ასე ერთბაშად ვერ გეტყვი, რისი თქმა გემართება; თუმცა რაღაცას მაინც ვხვდები.

– ყოველ შემთხვევაში, – ვუთხარი მე, – შენ შეგიძლია თამამად თქვა, რომ მელოსი სამ ნაწილს მოიცავს: სიგყვას, პარმონიას და რიგმს.

– ღიახ, მაგის თქმა კი შემიძლია.

– სიგყვები, რომლებიც მელოსის ნაწილად გვევლინებიან, არსებითად, არ განსხვავდებიან სამწერლო ენაში ხმარებული სიგყვებისაგან, რაკილა ისინიც უნდა ესადაგებოდნენ იმ ნიმუშებს, რომლებზედაც წელან ვლაპარაკობდით.

– სწორია, – თქვა გლავკონმა.

– სიგყვას თან უნდა ახლდეს პარმონია და რიგმი.

– რა თქმა უნდა.

– მაგრამ ჩვენ ხომ შეუთანხმდით, რომ პოემიისათვის უცხო უნდა იყოს ცრემლის ღერა და მოთქმა-გოდება.

– ღიახ, შეუთანხმდით.

– კი მაგრამ, რანაირი კილოები ახასიათებს მოთქმა-გოდებას? მითხარი, შენ ხომ მუსიკოსი ხარ.

– ნაშავი ლიდიური, მკვეთრი ლიდიური და მოგიერთი სხვა მათნაირი კილო.

– მაშასადამე, ისინი უნდა უკუვაგდოთ, რადგანაც თვით ღირსეული ქალებისთვისაც ფუჭნი და ურგებნი არიან, არამცთუ კაცებისათვის.

– რა თქმა უნდა.

– მცველებისათვის სრულიად შეუფერებელია სიმთვრალე, უნიათობა და უქნარობა.

– ღიახ.

– კი მაგრამ, რომელ კილოს შეიძლება ეწოდოს უნიათო და სუფრული სიმღერებისათვის ნიშნული?

– იონიურსა და ლიდიურს, რომლებსაც „ღუნედ“ უხმობენ.

– მერედა, განა დასაშვებია, ჩემო ძვირფასო, რომ მათ იყენებდნენ მეომრები?

– არამც და არამც, ასე რომ შენ დორიული და ფრიგიული კილოდა გრჩება.

– რა უქნა, არ მესმის ეს კილოები, მაგრამ დამიგოვე ის კილო, სათანადოდ რომ მიბაძვება მხნე, მამაცი და შემმართებელი კაცის ხმასა თუ სიმღერას, კაცისა, რომელიც ბრძოლის შუაგულში გრიალებს, ან ათასნაირ განსაცდელს ერკინება, მარცხს განიცდის, ჭრილობებიდან სისხლი სდის, თავის განწირვას აპირებს თუ სხვა რამ უბედურება ეშუქრება, მაგრამ ქედს არ უხრის ბედისწერას და უღრტვინველად იგანს თავის უძიძვეს ხვედრს.

დამიგოვე მეორე კილოც იმისათვის, ვინც მშვიდობის ეამს იძულებით კი არა, თავისი ნებით აკეთებს საქმეს, და მიზნის მისაღწევად ლოცვითა და ხვეწნა-ვედრებით ცდილობს გული მოუღბოს ღმერთს, რჩევითა თუ შეგონებით დაარწმუნოს კაცი, ანდა, პირიქით, თვითონვე უსმენს ყურადღებით სხვის რჩევას და შეგონებას, მოკლედ, გონიერულად იქცევა, არ ქედმალლობს და ისე იგვარებს საქმეს, როგორც შეშვენის თავდაჭერილსა და ჭკუადამჯდარ კაცს, რომელიც წინდახედულად ითვალისწინებს ყველა შესაძლო მედეგს.

აი, სწორედ ეს ორი კილო – „იძულებითი“ და „ნებაყოფლობითი“ დამიგოვე, ყველაზე შუსტად რომ გამოხატავენ ღირსეული ადამიანის ბედნიერებას თუ უბედურებას, მის სიბრძნეს და სიმამაცეს.

– მაგრამ შენ სწორედ იმათ დატოვებას მთხოვ, წელან მე რომ დაგისახელე.

– ამრიგად, ჩვენი სიმღერებისა თუ მელოსისათვის არც მრავალსიმნიანი საკრავები დაგეჭირდება და არც ყველა კილო.

- მე მგონია, არა.
- ასე რომ, ჩვენ აღარ მოვამზადებთ იმ ოსტატებს, რომლებიც გრიგონოსებს, პექტიდებსა და სხვა მრავალსიმიან თუ მრავალკილოიან საკრაეებს აკეთებენ.
- ალბათ აღარ მოვამზადებთ.
- აელოსების ოსტატებსა და აელეტისტებზე რაღას იგყვი, მათ მაინც თუ აბოგინებ ამ ჩვენს სახელმწიფოში? განა აელოსი ყველაზე მრავალსიმიანი საკრაეი არ არის? ასე რომ, ყველა კილოს ნაზავი მხოლოდ მისი ხმიანობის მიბაძვად გვევლინება.
- ცხადია.
- მაშასადამე, ქალაქში სახმარად მხოლოდ ღირა და კითარა გრჩება, სოფლად კი მწყემსებმა, დაე, სალამური აკენესონ.
- ჩვენს მსჯელობას სწორედ ამ დასკვნამდე მიყვავართ.
- განა რაღაც უჩვეულოს ჩავიდნთ, ჩემო ძვირფასო, თუკი აპოლონს მთელი თავისი საკრაეებითურთ მარსიასა და მის საკრაეებზე მალლა დაუაყენებთ?
- ვფიქვ ბევს, მეც ეგრე მგონია.
- ვფიქვ ძალღს, - ვუთხარი მე, - ვერკ კი შევნიშნეთ, როგორ გაეწმინდეთ ჩენი სახელმწიფო, რომელსაც წელან უნიათოს და ფუფუნებაში ჩამყაყებულს ვეძახდით.
- ჩვენ ხომ გონიერულად ვიქცევით.
- მაშ, მოდი, დანარჩენიც გაეწმინდოთ. კილოს კვალდაკვალ განსახილველი დაგვრჩა რიგში. ნაირნაირ რიგმსა და საზომებს ნუკი დაეძებთ, არამედ დაეადგინოთ, რომელი რიგმი შეესაბამება ღირსეული და მამაცი კაცის ცხოვრებას, ხოლო როდესაც დაეადგენთ, იმდენი ექნათ, რომ საზომიცა და მელოსიც ამ კაცის სიგყვებს ესადაგებოდეს, და არა პირიქით: სიგყვები - საზომს და მელოსს. შენ თვითონ უნდა გვიჩვენო, მაინც რანაირია ეს რიგმი, ისევე, როგორც წელან კილოები გვიჩვენე.
- ვფიქვ ბევს, არ ვიცი, რა ეთქვა. თუ კარგად დაეუფიქრდები, მხოლოდ ის შემიძლია მოგახსენო, რომ არსებობს გერფების სამი სხვადასხვა სახე, რომელთაგანაც ითხზვის ყველა სალექსო საზომი, ისევე, როგორც ყველა კილო ოთხი სხვადასხვა ხმიანობისაგან წარმოიქმნება, მაგრამ რომელი მათგანი წარმოგიდგენს მიბაძვის გზით ამა თუ იმ ცხოვრებას, ამისას კი ვერაფერს გეტყვი.
- მაშინ ჩვენც აედგებით და დამონს დაეკითხებით, მაინც რომელი საზომი შეესაბამება სიმდაბლეს, კაღნიერებას, სიმლეგეს და სხვა უკეთურ თვისებებს, ანდა რომელი საზომი უნდა შემოვიწინახოთ საპირისპირო თვისებების წარმოსაჩენად. თუ მესხიერება არ მალაგობს, ოდესღაც გამიგონია, რომ დამონი ენიპლიოსს, დაქტილოსსა თუ პეროიკოსს უწოდებდა რომელიღაც შედგენილ გერფს, მაგრამ არ ვიცი, რანაირად აგებდა, ან როგორ აღწევდა ხმის აწევისა თუ დაწევის თანაბარზომიერებას, რასაც ხმოვანთა სიგრძე და სიმოკლე უდევს საფუძვლად. თუ არა ვედები, ის ახსენებდა იამბეიონსა და რომელიღაც სხვა გერფსაც, ვგონებ გროქიოსს, სადაც ერთმანეთს ერწყმის მოკლე და გრძელი მარცვლები. ზოგჯერ ამა თუ იმ საზომში ის აქებდა ან იწუნებდა გერფთა მოძრაობას და არა საკუთრივ რიგმს, ზოგჯერ კი ერთსაც და მეორესაც, ზუსტად ვერ გეტყვი. თუმცა, როგორც წელან მოგახსენე, მოდი, ყოველივე ეს დამონს მივანდოთ, რადგანაც ამაზე მსჯელობა ღიდ ღროს წაგვართმევს; მაგრამ იქნებ შენ სხვაგვარად ფიქრობ?
- არა, ღმერთმანი.
- ასეა თუ ისე, ერთი რამ მაინც შეგიძლია აღნიშნო: მომხიბვლელობაც და ხიბლისაგან განძარცულობაც რიგმულობასა და არიგმულობაზეა დამოკიდებული.
- რა თქმა უნდა.
- მაგრამ რიგმულობა დახევეწილ სტილს შეესაბამება, არიგმულობა კი - საპირისპირო სტილს. იგივე ითქმის ნატიუ პარმონიასა და ღისპარმონიაზედაც, რაკილა, გემოთქმულის თანახმად, კილოც და რიგმიც სიგყვას უნდა ესადაგებოდეს და არა პირიქით.
- ღიახ, სიგყვას უნდა ესადაგებოდეს, როგორც ერთი, ისე მეორეც.

– კი მაგრამ, განა გამოხატვის საშუალებებიც და თვით სიგყვაც სულიერებას არ შეესაბამება?

– რასაკვირველია.

– ყოველივე დანარჩენი კი – სიგყვის თავისებურებებს?

– დიახ.

– ასე რომ, სიგყვის, პარმონიის, ხიბლისა თუ რიგმის სინატიფე სულის სიმარტივის მედეგად გვევლინება: მე იმ სიმარტივეს კი არ ვეკულისხმობ, რასაც ჩვენ პირფერულად ვუწოდებთ მიამიტობას, არამედ სულის ჭეშმარიტ სიმარტივეს, საიდანაც იღებს დასაბამს სიკეთეც და მშვენიერებაც.

– ჭეშმარიტად.

– განა ჩვენი ჭაბუკები თავგამოდებით არ უნდა მიეღვოდნენ ყოველივე ამას, თუ სურთ პირნათლად მოიხადონ თავიანთი მოვალეობა?

– რა თქმა უნდა.

– ყოველ შემთხვევაში, სწორედ ამითაა სავეს ფერწერაც და ყველა სხვა მსგავსი ხელოვნებაც – ქსოვა, ქარგვა, მშენებლობა, მეაეეჯობა და თვით სხეულებისა თუ ათასნაირი მცენარეულობის ბუნებაც: აქაც ყველაფერში ევლინება სიმახინჯე და კეთილსახიერებაც. უსახურობაც, არიგმულობაც, დისპარმონიაც აესიგყვაობას და აეგნეობას ენათესავება, ხოლო მათი საპირისპირო თვისებები გყუპისცალივით ჰგვანან კეთილგონიერებას თუ კეთილმზნეობას და მათ უშუალო მიბაძვად გვევლინებიან.

– მერედა, ნუთუ მხოლოდ პოეტებზე უნდა გვეჭიროს თვალი ფხიზლად, რათა ვაიძულოთ ისინი, თავიანთ ქმნილებებში ხორცი შეასხან კეთილმზნეობის ნიმუშებს, ანდა საერთოდ ხელი აიღონ შემოქმედებით საქმიანობაზე, თუ სხვა ოსტატებსაც უნდა ვადვენოთ თვალყური, რათა საშუალება არ მიეცეთ მათ, ცოცხალ არსებათა სახით, ნაკეობებითა თუ სხვა ქმნილებებით განასახიერონ აეგნეობა, აღვირასსნილობა, სიმდაბლე და სიმახინჯე? ვისაც ამ მოთხოვნების შესრულება არ შეუძლია, იმას საერთოდ არ უნდა მიეცეთ დაოსტატების ნება, თორემ ბიწიერების ნიმუშებზე აღმზრდილი და თითქოს მზამიანი მცენარეულობით ნასამრდოები ჩვენი მკველები ყოველდღიურად ცოტ-ცოტას კი არა, იმდენ სიმყრალეს და სიბინძურეს შეიწოვენ და შეისისხლხორციებენ, რომ მათ სულს თანდათან, თვით მათთვისვე მალულად და ნაჩუქათეად შეეპარება და ბოლოს მთლიანად მოიცავს საბარელი სენი – ხრწნილება. არა, უნდა გამოეძებნოთ იმნაირი ოსტატები, რომლებსაც, თანდაყოლილი ნიჭიერების წყალობით, უნარი შესწევთ თავიანთ ქმნილებებში ხორცი შეასხან მშვენიერებისა და კეთილსახიერების ბუნებას, რათა ჩვენი ჭაბუკებისათვის, ყოველი სიკეთით შემკული კუთხს მცხოვრებთა მსგავსად, სარგო იყოს ყველაფერი, მიუხედავად იმისა, თუ რა მხრიდან სწვდება მათ მშერასა და სმენას მშვენიერების ანარეკლი: ესაა თითქოს იმ კურთხეული კუთხიდან მონაბერი სიო, რომელსაც თან მოაქვს სიმრთელე და სიჯანსაღე. ჩვენს ჭაბუკებს სიყრმითგანვე რომ აჩვევს მშვენიერების სიყვარულს და მეგობრობისა თუ სრული თანხმობის ცხოველმყოფელ გრძნობას უნერგავს გულში.

– რამდენად უმჯობესი იქნებოდა ამნაირი აღმზრდა!

– აი, სწორედ ეს განაპირობებს, გლაეკონ, მუსიკური ხელოვნების უდიდეს აღმზრდელობით მნიშვნელობას, ხელოვნებისა, რომელიც ყველაზე ღრმად სწვდება აღამიანის სულს და უჩვეულო ძალით აღელვებს მას. რიგმსა და პარმონიას თან ახლავს კეთილსახიერება, და ისინი კეთილსახიერებითვე მოსავენ სულსაც, თუკი ეს უკანასკნელი ისეა აღმზრდილი, როგორც ჯერ ერს, თუ არა და, პირიქით, ამახინჯებენ მას. ვინც ამ მხრივ სათანადოდ არის აღმზრდილი, ძალიან მძაფრად განიცდის როგორც ბუნების, ისე ხელოვნების ქმნილებათა ყოველნაირ ნაკლს, მათ გაურანდაობასა თუ არასრულყოფილებას. მისი გაღიზიანებაც და კმაყოფილებაც სავსებით ბუნებრივი იქნება. მშვენიერების თაყვანისმცემლად ქცეული, სულით რომ აღიქვამს და შეისისხლხორციებს მას, მშვენიერებითვე ისულდგმულებს და თვითონაც მშვენიერი და კეთილი გახდება. სიმახინჯეს კი სავსებით სამართლიანად დაკვებობს და სიყრმითგანვე

შეიზიზღებს მას, თვით მანამდეც კი, ვიდრე გონებით შეძლებდეს ამის გააზრებას, ხოლო როდესაც გონიერების ასაკს მიაღწევს, მთელის არსებით შეიყვარებს თავის გონებას და შეიყვარებს კიდევ, რომ მასთან სწორედ მუსიკურმა აღზრდამ დაანათესავა.

– მე მგონია, – თქვა გლავეკონმა, – სწორედ ესაა მუსიკური აღზრდის უპირატესობა.

– ეგეც არ იყოს – ვუთხარი მე, – ჩვენ მხოლოდ მაშინ შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, კითხვა ვიცი, როცა თავისუფლად ვცნობთ ყველა ასოს (რომელთა რიცხვიც საკმაოდ ცოტაა) ნებისმიერ ასოთნაერთში, ისე, რომ არცერთს არ უგულუბელუყოფთ, თითქოს ყურადღების ღირსად არ ვთვლიდეთ, არცერთი არ გვეპარება მხედველობიდან, არც ღიდი და არც მცირე, პირიქით, ყველგან ვცდილობთ სათითაოდ ამოვიცნოთ ისინი, და მანამდის ვერ ვისწავლით კითხვას, სანამ ამას თავს არ გავართმევთ.

– მართალს ბრძანებ.

– ასე რომ, წყლის სიღრმეში თუ სარკეში არეკლილ ასოებსაც მანამდე ვერ ამოვიცნობთ, სანამ არ გვეცოდინება თითოეული მათგანი; თუმცა ეს იმავე ხელოვნებაში თავის გაწაფვას და წვრთნას მოითხოვს.

– რა თქმა უნდა.

– კი მაგრამ, ვფიქროვებ, მეც ხომ სწორედ ამას ვამტკიცებ: მუსტად ასევე ვერ დავეუფლებით მუსიკურ ხელოვნებას ვერც ჩვენ და ვერც ის მკვლელები, რომლებიც, როგორც მოგახსენე, ჩვენ თვითონ უნდა აღვზარდოთ, ვიდრე არ ვისწავლით კეთილგონიერების, სიმამაცის, ღიადსულოვნებისა თუ ყოველივე იმის გარჩევას, რაც მათ ენათესავება, ან უპირისპირდება; ვიდრე არ შევიგნებთ, რომ არ შეიძლება უგულუბელუყოფთ, ან მხედველობიდან გამოგვეპაროს მათი ნებისმიერი გამოვლინება, მიუხედავად იმისა, თუ სად გვხვდებიან, ან რა ადგილი უჭირავთ – ღიდი თუ მცირე, ანდა რანაირად გვევლინებიან – თავისთავად თუ ხაგებათა სახით, და ვიდრე არ ვირწმუნებთ, რომ აქაც იმავე ხელოვნებაში გაწაფვა და წვრთნაა საჭირო.

– უცილობლად.

– მაშასადამე, თუ მხეკეთილ კაცში ერთმანეთს ერწყმის სულიერი და ხორციელი სილამაზე, – ხოლო ორივე ეს სილამაზე ერთი და იმავე წყაროდან იღებს დასაბამს, – რა შეიძლება იყოს უფრო მშვენიერი სანახაობა იმისათვის, ვისაც ამ მშვენიერების დანახვა ძალუძს?

– არაფერი.

– მაგრამ ყველაზე მშვენიერი ხომ, იმაედროულად, ყველაზე უფრო საყვარელია?

– რა თქმა უნდა.

– მაშასადამე, ყველაზე მეტად სწორედ ამნაირ ადამიანს შეიყვარებდა მუსიკური ხელოვნების მიმდევარი, და არა იმას, ვის არსებაშიც პარმონიულად არ ერწყმის ერთმანეთს სულიერი და ხორციელი მშვენიერება.

– რა თქმა უნდა, არა, თუ ეს ღისპარმონია სულიერი მანკიერების შედეგია, რასაც ვერ ვიტყვით იმ შემთხვევაში, თუ ამის მიზეზად რაიმე ფიზიკური ნაკლი გვევლინება.

– გასაგებია, – ვუთხარი მე, – მენტვის უცხოა ეს გრძნობა და ამიგომაც არ გელაპებო. მაგრამ ერთი ეს მითხარი: თუა რამე საერთო თავდაჭერილობასა და განცხრომას შორის?

– რა უნდა იყოს საერთო; თუკი განცხრომა არანაკლებ ვნებს სულს, ვიდრე სნეულება?

– განცხრომასა და ამა თუ იმ სიქველეს შორის?

– არაფერი.

– განცხრომასა და თავხედობას, ან თავაშვებულობას შორის?

– ყველაზე ნაკლები.

– კი მაგრამ, თუ შევიძლია დამისახელო სხვა განცხრომა, თავისი სიმძაფრით სასიყვარულო განცხრომას რომ შეედრებოდეს?

– არა, მაგამე მლეგური არა არის რა.

- მაგრამ ჭეშმარიტი სიყვარულის საგანი წესრიგია და მშვენიერება; ეს გონივრული და პარამონიული სიყვარულია.

- რა თქმა უნდა.

- ასე რომ, მისთვის სრულიად უცხოა სასიყვარულო განცხრომა, რასთანაც საერთო არა აქვს რა არც შეყვარებულს და არც მისი სიყვარულის საგანს.

- ვფიქვს მეცს. მართალი ხარ, სოკრატე.

- ამიგომ ჩვენ მიერ დაარსებულ სახელმწიფოში შენ დაადგენ, რომ მათი ურთიერთობა არაფრით არ უნდა განსხვავდებოდეს მამისა და შვილის ურთიერთობისაგან, და ამ სიყვარულის მიზანი მშვენიერება უნდა იყოს, რათა არაეის მისცენ მათი გმობისა და კილვის საბაბი.

- ღიახ.

- ხომ არ გგონია, - ეუთხარი მე, - რომ ჩვენი მსჯელობა მუსიკალური ხელოვნების შესახებ დასასრულს მიუახლოვდა. ის დამთავრდა იმით, რითაც უნდა დამთავრებულიყო. რადგანაც ყველაფერი, რაც მუსიკურ ხელოვნებას ეხება, მშვენიერების სიყვარულით უნდა დასრულდეს.

წიგნი მეოთხე

იდეალური სახელმწიფოს მოდელი

(უტოპია)

- მე მგონია, პასუხის მოძებნა არ ვაგვიჭირდება, თუკი იმავე გმას ვაყვებით. ჩვენ ვიგყვით, რომ საკვირველი არა არის რა იმაში, თუ ჩვენი მცველები სწორედ ამ პირობით იქნებიან ყველაზე ბედნიერნი; თუმცა, ჩვენი სახელმწიფოს დაარსებისას იმას კი არ ვისახავთ მიზნად, რომ განსაკუთრებით ბედნიერი გავხადოთ მოსახლეობის ერთი რომელიმე ფენა, არამედ იმას მიველგვით, რომ მთელ სახელმწიფოს მოუუპოვოთ ყველაზე ღიდი ბედნიერება. რადგანაც იმთავითვე გვეგონა, რომ სწორედ ამნაირ სახელმწიფოში შეიძლებოდა სამართლიანობის მიკვლევა, ისევე, როგორც უსამართლობისა - მანკიერი წეს-წყობილების მქონე სახელმწიფოში, და იმედი გვეონდა, რომ ამ დაკვირვების წყალობით შეეძლებოდა გადაგვეჭრა ის საკითხი, რომელსაც ამდენი ხანია ვუკირიკებთ. ამიგომაცაა, რომ ახლა ჩვენი წარმოსახვით ვძერწავთ სახელმწიფოს, რომელიც ბედნიერი გვეგონია, მაგრამ არა ნაწილობრივ, არამედ მთლიანად; მოქალაქეთა მხოლოდ ერთი ნაწილი კი არ უნდა იყოს ბედნიერი, არამედ ყველა. შემდეგ კი განვიხილავთ მის საპირისპირო სახელმწიფოს. ვილაყის სურათს რომ ეხატავდეთ, ხოლო მათანი მოვიდეს და გმოზა დაგვიწყოს იმის გამო, რომ ყველაზე ლამაზ ფერებს არ ვიყენებთ სხეულის ყველაზე ლამაზი ნაწილების გაღმოსაყვამად, ვთქვათ, თვალებს, სხეულის ამ ულამაზეს სამკაულს, ძოწეულით კი არა ეხატავთ, არამედ შავი ფერით, - მე მგონია, მართებული იქნებოდა, თუ ასე მივეუბრდით პასუხად: „ო, ჩვენო საოყარო მჩხრეკელო, რატომ გგონია, თითქოს თვალებს ისე ლამაზად უნდა ეხატავდეთ, რომ აღარც კი შეიძლება თვალებსა ჰგავდნენ? იგივე ითქმის სხეულის სხვა ასოებზედაც. შენ ისა თქვი, რომ თუ ყველა ნაწილს სათანადო ფერით გაღმოყვებთ, ლამაზი გამოგვივა მთელი სხეულიც“. ასეა აქაც: ნუ გვაიძულებ მცველების თანამდებობას უშუალოდ დაუეყავშიროთ იმნაირი ბედნიერება, რის შედეგადაც ისინი შეიძლება რადაც გნებაეთ, იმად იქნენ, მხოლოდ მცველებად კი არა. ჩვენ შეგვეძლო სასალუქო სამოსით შეგვემოსა, ოქროქსოვილით შეგვემო მიწის მუშაკნი და ნება მიგვეყა მათთვის, მხოლოდ სახალისოდ ეშრომათ და ემუშავათ; ბუხრის პირას, მხართეძომე არხეინად წამოწოლილი წარმოგვედგინა მე-თუხეუბიც; დაე, ელხინათ და ნება-ნება ეწრუპათ ღვინო, თავიანთი დაბგები კი გვერდით მოედგათ და მხოლოდ იმდენი ეგრიალეზინათ, რამდენიც მოეპრიანებოდათ; შეგვეძლო ასევე, გავგებებდნიერებინა დანარჩენებიც და მთელი ჩვენი სახელმწიფო

აყვავებულ ბაღნარად წარმოგვესახა. მაგრამ ნუ გვაქნეინებ ამას, რადგან, კაცმა რომ ყური გივდოს, აღარც მიწის მუშაკი ემგვანება მიწის მუშაკს, აღარც მეთუნე – მეთუნეს და, საერთოდ, ვერცერთი ჩვენი მოქალაქე ვეღარ შეინარჩუნებს თავის საკუთარ სახეს. თუმცა, ზოგჯერ ეს შეიძლება არც ისე დიდი უბედურება იყოს. რადგან თუ მეწაღეები უვარგისნი და უმაქნისნი იქნებიან, სახელმწიფო როგორმე გაუძლებს ამას. მაგრამ თუ ქვეყნისა და კანონიერების სადარაჯომე მღვარი მცველები მხოლოდ სახელით იქნებიან მცველები და არა თავიანთი არსით, მალე შენი თვალითა ნახავ, როგორ დააქცევენ და მიწასთან გაასწორებენ სახელმწიფოს, ეინაიდან მათგეა დამოკიდებული ქვეყნის ბედნიერებაც და კეთილდღეობაც. თუ ჩვენ ნამდვილ მცველებად აღვზრდით მცველებს, ისინი ვერავითარ მიანს ვეღარ მიაყენებენ სახელმწიფოს. ხოლო ვისაც სურს ერთგვარ მაწის მუშებად წარმოგვიჩინოს ისინი, თითქოს მცველები კი არა, საერთო სახალხო ზემისა და ღრეობის მონაწილენი იყენენ, ის ალბათ სახელმწიფოს კი არა, სულ სხეა რადაცას გულისხმობს. უნდა გადავწყვიტოთ, მაინც რას ვისახავთ მიმნად, სახელმწიფოს სადარაჯომე რომ ვაყენებთ მცველებს: თვით მცველების ბედნიერებას თუ მთელი სახელმწიფოს კეთილდღეობას. ძალითა თუ შეგონებით უნდა ვაიძულოთ არა მარტო ჩვენი მწენი და მცველები, არამედ დანარჩენებიც, რაც შეიძლება უკეთ შეასრულონ თავიანთი მოვალეობა. ამრიგად, ჩვენ მიერ დაარსებული და სათანადო წყობილების მქონე სახელმწიფოს კეთილდღეობის მრდასთან ერთად საშუალება უნდა მიეცეთ ყველა ფენას, ყველა წოდებას, თავისი საკუთარი წილი ედოს საზოგადო სიკეთეში, მათი ბუნებრივი მონაცემების შესაბამისად.

- მე თუ მკითხავ, მშვენიერად მსჯელობ.
- მაგრამ ასევე მოგეწონება თუ არა ჩემი შემდეგი მსჯელობაც, გყუპისცალივით რომ ჩამოჰკავს წინას?
- მაინც რომელი?
- ენახოთ, ეს ორი რამ ხომ არ აფუჭებს ხელოსნებს, უმაქნისნი რომ ხდებიან?
- რას გულისხმობ?
- სიმდიდრეს და სიღარიბეს.
- როგორ?
- როგორ და, აი, ასე: განა გამდიდრებული მეთუნე მოისურვებს უფრო სრულყოფილად დაეუფლოს თავის ხელობას?
- არამც და არამც.
- პირიქით, დღითი-დღე სულ უფრო მცონარი და დაუღვეარი გახდება.
- რა თქმა უნდა.
- ასე რომ, უფრო უარესი მეთუნე გვეყოლება.
- დიახ.
- მეორეს მხრივ, თუ სიღარიბის გამო ვერც ხელსაწყობების შეძენას შეძლებს და ვერც მისი ხელობისათვის საჭირო მასალისას, ჩვენი მეთუნის ნახელავიც უარესი იქნება და თავის საქმეს ვეღარც თვითონ ასწავლის ხეირიანად ვერც შეილებს და ვერც სხეა შეგირდებს.
- ცხადია.
- მაშასადამე, როგორც ერთის, ისე მეორის, – როგორც სიმდიდრის, ისე სიღარიბის გამოისობით ნახელავიც უარესი ხდება და თვით ხელოსანიც.
- ეგრე ჩანს.
- ასე რომ, ეცყობა, ამ ჩვენს მცველებს რადაც ახალი გამოუჩხრიკეთ, რასაც ყოველნაირად უნდა უფრთხოდნენ და თავგამოდებით ცდილობდნენ, რომ, მათდა შეუმჩნეველად, ჩვენს სახელმწიფოში არ შემოაღწიოს.
- რამ?
- სიმდიდრემ და სიღარიბემ. რადგანაც პირველი მცონარების. უქნარობისა და ახალ-ახალ სიამეთა წყურვილის სათავეა, მეორე კი, ამ ახალ სიამეთა წყურვილის გარდა, – სიმდაბლისა და ბოროტმოქმედებისაც.

– რა თქმა უნდა: მაგრამ ამასაც დაუკვირდი, სოკრატე: რანაირადღა იომებს ჩვენი სახელმწიფო, თუკი დიდძალ ფულს არ მოაქუჩებს, და თუ, ამასთან იძულებული იქნება დაღსა და მდიდარ სახელმწიფოსთან იომოს?

– ცხადია, ერთ ამისთანა სახელმწიფოსთან ომი გაუჭირდება, – ვუთხარი მე, – ორთან კი ადვილად შეძლებს ომს.

– რას აპბობ? – თქვა მან.

– რასა და, უწინარეს ყოვლისა, იმას, რომ თუ საქმე საქმეზე მიდგა, განა ამ ჩვენს მეომარ ათლეტებს მდიდარ ხალხთან არ მოუწევს ბრძოლა?

– რა თქმა უნდა.

– მერედა, რას იცყვი, აღიმანგე, განა ერთ მაგარ მოკრივეს გაუჭირდება კრივში გაუწაფაე ორ ზორზოხ მდიდართან შერკინება?

– ორივეს ერთად მაინც ნუ შეეარკინებთ.

– არა, სწორედ ორივეს ერთად: მხოლოდ მასზე იქნება დამოკიდებული, განზე გაუსხლტეს ორივეს, მერე ანამზად შემოგრიალდეს და ვინც პირველი ეძგერება, იმასა ხეთქოს მუშგი. ხოლო თუ ხმირ-ხმირად გაიმორებს ამას, და თანაც მზის გულზე, შუადღის ხეაგმი? განა ამნაირ კაცს გაუჭირდება ორი ამისთანა, ან, თუ გნებაეს, მეგი მოწინააღმდეგის ძლევა?

– არა. – თქვა მან. – და ეგ არც იქნება გასაკვირველი.

– კი მაგრამ, როგორ გგონია, განა მდიდარი ხალხი კრივში უფრო გაწაფული და გამობრძმედილი არ არის, ვიდრე საომარ საქმეში?

– ეჭვიე არ შეპარება, – თქვა აღიმანგემ.

– მაშასადამე, ჩვენი მეომარი ათლეტები ადვილად გაუმკლავდებიან მათზე ორჯერ თუ სამჯერ მეგ მგერს.

– გეთანხმები; მე გგონია, მართალი უნდა იყო.

– ხოლო თუ სხვა სახელმწიფოში გავგაენიან ელჩებს და მათი პირით სრულ სიმართლეს შეუთელიან: „ჩვენ არც ვერცხლს ვხმარობთ და არც ოქროს; ეს სასტიკად აკრძალულია ჩვენთვის, მაგრამ თქვენ ხომ არ გეკრძალებათ? მაშასადამე, თუ ჩვენი მოკაემირეები იქნებით ომში, ჩვენი წილი ნადავლი თქვენი იქნებაო“, – როგორ გგონია, რას ამჯობინებენ ამის გამგონენი: ძარღმეგარსა და გაძვალტყავებულ ქოფაკებთან ომს თუ მათთან ერთად ბრძოლას მსუქანი და ფუმუღლა ცხვრების წინააღმდეგ?

– ჩემის აზრით, ამ უკანასკნელთა წინააღმდეგ ბრძოლას ამჯობინებენ. მაგრამ თუ დანარჩენი სახელმწიფოების სიმდიდრე ერთ ქვეყანაში მოიყრის თავს, განა ეს სამიში არ იქნება ღარიბი სახელმწიფოსთვის?

– ნეგავი თუ მართლა გგონია, რომ სახელმწიფოს სახელი შეიძლება სხვა რამესაც მიესადაგოს, გარდა იმისა, რასაც ამეამად ვაარსებთ?

– რატომაც არა?

– იმიგომ, რომ ყველა დანარჩენი სახელმწიფოს სახელი გაცილებით უფრო გრძელი იქნება, რადგანაც თითოეული მათგანი ერთი კი არ არის, არამედ მრავალი, როგორც ამბობენ მოთამაშენი. ასეა თუ ისე, ყველა სახელმწიფოში ერთურთის მიმართ მგრულად განწყობილი ორი სახელმწიფო მაინცაა: ერთი – მდიდრებისა, მეორე კი – ღარიბების, და თვითეული მათგანი, თავის მხრივ, მრავალ სხვადასხვა სახელმწიფოდ იყოფა, ასე რომ, სასტიკად ცდები, ერთ სახელს რომ უწოდებ მათ. ხოლო თუ ყველას ასე აღიქვამ, როგორც მრავალს, საკმარისი იქნება ერთთა კუთვნილი ოქრო-ვერცხლი თუ ძალაუფლება გადასაცემო მერედ, და შენ ყოველთვის ბლომად ჰპოვებ მოკაემირეებს, მოწინააღმდეგე კი ცოგა გეყოლება. ეს ჩვენი სახელმწიფო კი, ვიდრე მას ბრძნულად მართავენ, იმ გეგმის შესაბამისად, წელან რომ შევიმუშავეთ, დიადი და ძლევა მოსილი იქნება, მაგრამ მოჩვენებითი კი არა, ჰემმარიგი სილიადით, თუნდაც მხოლოდ ათასი მეომარი იყავდეს მას. როგორც ელინთა, ისე ბარბაროსთა შორის ძნელად თუ ჰპოვებ ჰემმარიგად დიად სახელმწიფოს, მაშინ როდესაც მოჩვენებითი სილიადით რამდენიე

გინდა, იმდენი სახელმწიფო აღემატება ჩვენსას; მაგრამ იქნებ შენ სხვაგვარად ფიქრობ?

- არა, ვფიცავ ზევს – თქვა აღიმანგემ.
- მამასაღამე, სწორედ ესაა ზღვარი, ჩვენმა მმართველებმა რომ უნდა დაუდონ სახელმწიფოს ზრდას და მის სიდიდეს, უფრო მეტად კი აღარ შეეცადონ გაფართოებას.
- მაინც რომელ ზღვარს გულისხმობ?
- ჩემის აზრით, აი, ამას: სახელმწიფო შეიძლება მხოლოდ მანამდე მარდო, სანამ ის ინარჩუნებს ერთიანობას, ამ ზღვარს კი არ გადახვიდე.
- კეთილი და პატიოსანი.
- ასე რომ, ჩვენს მცველებს ერთ ამნაირ დავალებასაც მიეცემთ: თვალი ფხიზლად უნდა ეჭიროთ იმაზე, რომ ჩვენი სახელმწიფო არც მეტისმეტად დიდი იყოს და არც პატარა, არამედ ზომიერებასა და ერთიანობას ინარჩუნებდეს.
- არც ისე ძნელი დავალებაა.
- მათთვის ამამე უფრო ადვილი იქნება ის, რაზედაც წელან ელაპარაკობდით: თუ მცველების ნამიერნი უღირსნი და უვარგისნი გამოდგნენ, სხვა წოდებაში უნდა გადავიყვანოთ, და, პირიქით, სხვა წოდებათა ღირსეული ნამიერნი მცველებად უნდა შევრაცხოთ. ამით ჩვენ გვინდოდა გვეჩვენებინა, რომ თითოეულ მოქალაქეს ის საქმე უნდა მიუეჭინოთ, რისი კეთების უნარიც შესწევს, რადგან თუ კაცი მხოლოდ ერთ საქმეს ასრულებს, თვითონაც ერთია და არა მრავალი, რის შედეგადაც სახელმწიფოც თავის ერთობას ინარჩუნებს და თავს აღწევს სიმრავლედ დანაწიერებას.
- ეს მართლაც უფრო ადვილი ამოცანაა.
- იქნებ ვინმემ ისიცა თქვას, ჩემო ძვირფასო აღიმანგე, რომ მეტისმეტად ბევრსა და, მაღალ მოთხოვნებს ეუყენებთ მცველებს, მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ უმნიშვნელო წვრილმანია იმ ერთ დიდ საქმესთან შედარებით, რომლის სადარაჯოზეც ჩვენი მცველები უნდა იდგნენ; თუმცა, უფრო სწორი იქნებოდა, თუ „დიდად“ კი არა, „საკმარისად“ მივიჩნევდით მას.
- მაინც რა საქმეს გულისხმობ?
- აღზრდას და სწავლა-განათლებას. რადგან თუ სათანადო აღზრდის წყალობით ჩვენი მცველები თავდაჭერილ აღამიანებად იქცევიან, ისინი ადვილად გაართმევენ თავს არა მარტო ამ საკითხებს, არამედ ყველა დანარჩენსაც, რასაც ამჯერად ღუმი-ღით ეუვლით გავრდს, კერძოდ, საცოლის შერჩევას, ქორწინებასა თუ შვილების ყო-ლის: ყოველივე ეს ხომ შედმიწვევით უნდა ესადაგებოდეს ძველ ანდამას – მეგობრებს ყველაფერი საერთო აქეთო.
- ჭეშმარიტად, – თქვა აღიმანგემ.
- მართლაცადა, საკმარისია პირველი ბიძგი, და სახელმწიფო ისე იზრდება, როგორც წრე, გბამი ჩავდებული ქვა რომ აჩენს წყლის მედაპირზე. რადგანაც სათანადო აღზრდა და სწავლა-განათლება აკეთილშობილებს ბუნებას, ხოლო ვისაც დაბადებითვე თან დაჰყვება საუცხოო ბუნებრივი მონაცემები, მასში თანდათანობით ხვეწს და აეითარებს ამ მონაცემებს, რომლებიც შემდეგ მემკვიდრეობით გადაეცემა შთამომავ-ლობას, რაც ნიშნეულია ყველა ცოცხალი არსებისათვის.
- ეგრეა, თქვა მან.
- მოკლედ, სახელმწიფოს მცველებს ფხიზლად უნდა ეჭიროთ თვალი, რათა სწავლა-განათლებას, მათდა შეუმჩნეველად, ხრწნილება არ შეეპაროს; უწინარეს ყოელისა კი, მათი ვალია მუსიკურსა თუ გიმნასტიკურ ხელოვნებაში წესრიგის დამრღვევ სიახლეთა შემოჭრისაგან დაიცვან სახელმწიფო. როცა ამბობენ –
„კაცთა სასმენელს ყველაზე მეტად ატკობს ახალი საგალობლები,
აედებისგან შეთხზული ბოლოს“, –
ყველაზე მეტად იმას უნდა ვუფრთხოდეთ, რომ შეიძლება იფიქრონ, თითქოს აქ პოეტი სიმღერების ახალ შინაარსს კი არ გულისხმობდეს, არამედ ახალ სასიმღერო

კილოს, და სწორედ ეს მიიჩნინო მოსაწონად. მაგრამ ეს სულაც არაა მოსაწონი, და არც ზემოთ მოტანილი ლექსი უნდა გვესმოდეს ამნაირად. ყოველი საშუალებით უნდა ვერიდოთ მუსიკური ხელოვნების ახალი სახის შემოტანას, რამაც შეიძლება ყველაფერი აამღვრიოს. აკი დამონი ამტკიცებს და მეუ მჯერა მისი, რომ მუსიკური ხელოვნების ყოველნაირი ცელილება სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს კანონთა შეცვლას იწვევს.

– მოდი, მეუ იმათ რიცხვს მიმათვალე, ვისაც დამონისა სჯერა, – თქვა აღიმანგემ.

– როგორც ჩანს, ჩენი მკვლევები სწორედ აქ – მუსიკური ხელოვნების დარგში დააწესებენ თავიანთ სათვალთვალ ადგილს.

– მართლაც, ყველაზე ადვილად და შეუმჩნეველად სწორედ აქედან მოიპარება კანონიერების რღვევა.

– და მართლაც, კანონიერების რღვევას ის ზიანი მოსდევს შედეგად, რაც ნელ-ნელა იჩენს თავს, ჯერ მზე-ჩვეულებათა გაუკუღმართებაში ვლინდება, საიდანაც თანდათანობით მოიყავს ყველაფერს, მოქალაქეთა საქმიან ურთიერთობებს, თვით სამართალს და სახელმწიფო მმართველობის საფუძვლებსაც, ასე რომ, უკიდურესი აღვირახსნილობის სათავე ხდება, სოკრატე, და თავდაყირა აყენებს როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეს.

– ვითომ მართლა ასეა საქმე?

– ჩემის ამრით, სწორედ ასეა.

– მაშინ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბავშვების თამაში რომ თამაშია, თვით ისიუკი დასაბამითე უნდა დაეუქვემდებაროთ წესიერებას, რადგან თუ თამაშისას არაერთარი წესრიგი არაა დაკული და ბავშვებიც უწესოდ იქცევიან, შეუძლებელია ისინი სამართლიან აღამიანებად აღიმარდონ.

– რა თქმა უნდა.

– ხოლო თუ ბავშვები თამაშისას თვითონვე იცავენ წესრიგს და მუსიკური ხელოვნების წყალობით ეჩვევიან კანონებისადმი პატივისცემას, დანარჩენი ბავშვებისაგან განსხვავებით, ეს ჩვევა თანდათანობით ფესვს იღვამს, იმრდება და მტკიცდება მათში, ასე რომ, შეუძლია ყველაფერი გამოასწოროს, თვით გაუკუღმართებული სახელმწიფო წყობილებაყკი.

– მართალს ბრძანებ.

– ისინი თვით წესებსაც კი დაადგენენ, რაც წერილმანებად მიაჩნია ხალხს, და რაც მთლიანად დაივიწყეს მათმა წინამორბედებმა.

– მაინც რა წესებს?

– მოგახსენებ: უმცროსები უნდა ღუმდნენ უფროსების წინაშე, ფეხზე აღგომით ეგუბებოდნენ და ადგილს უთმობდნენ მათ, პატივს მიაგებდნენ მშობლებს; ამას მოსდევს ყველაფერი, რაც გარეგნობას ეხება: ვარცხნილობა, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და სხვა მისთანანი ან, იქნებ, არ მეთანხმები?

– რასაკვირველია, გეთანხმები.

– მაგრამ არა მგონია, საჭირო იყოს ყოველივე ამის დაკანონება: არსად ეს არა წერია და, ეგეუ არ იყოს, წერილობითაც რომ ჩამოვაცალებოთ, ამ წესებს დიდი დღე მაინც არ უწერია.

– ვითომ რაგომაო.

– რაგომ და იმიგომ, აღიმანგე, რომ ვინც რანაირად აღუმრდიათ, იმნაირივე იქნება, მთელი მისი ცხოვრების გზაყ. ან, იქნებ, შენის ამრით, მსგავსი თავის მსგავსსეუ არ იწვევს?

– ცხადია, იწვევს.

– მე მგონია, ჩენი საბოლოო დასკენითაც, ყოველგვარი აღმრდის შედეგი საესეხით ნათელია და გარკვეული: ან სიკეთე, ან მისი საპირისპირო ბოროტება.

– რა თქმა უნდა.

– ამიგომაყ კერჯერობით ვერ გავებდავი ყოველივე ამის დაკანონებას.

- გასაგებია.
- მაგრამ, თუ ღმერთი გწამს, ესეც მითხარი: შეიძლება თუ არა კანონებით მოვაწესრიგოთ ბაზარი, ესე იგი, ათასნაირი ვარიგება, ყიდვა-გაყიდვა, ალებ-მიცემა, ან, თუ გნებავს, ხელოსნების ურთიერთობა, აყალ-მაყალი, დავიღარაბა, შეხლა-შემოხლა, სარჩელის წარდგენა თუ საქმის გარჩევა? ან კიდევ ბაზრებსა თუ ნავსადგურებში გადასახადის დაწესება და ბაჟის აკრეფა, ერთი სიტყვით, ყოველივე ის, რაც საბაზრო, საქალაქო, სანავსადგურო თუ სხვა ამისთანა საქმეებს ეხება?

- არა, - თქვა აღიმაზგემ, - არ შეიძლება წესიერი და პატიოსანი ხალხისათვის ქსევის წესების თავზე მოხვევა; ისინი თავად განსამღერავენ უპირატესად, სად რა კანონია საჭირო.

- სწორია, ჩემო ძვირფასო, თუ ღმერთმა დააყვევინათ ის კანონები, მემოთ რომ მიმოვიხილეთ.

- არა და იძულებულნი იქნებიან მთელი სიციხის მანძილზე ახალ-ახალი კანონები დაადგინონ და ათასნაირი შესწორებები შეიტანონ მათში, იმის იმედით, რომ ოდესმე მაინც მიაღწევენ სრულყოფილებას.

- კაცმა რომ ყური გიგდოს, რაღა მათი სიციხლე და რაღა იმ აუადმყოფებისა, რომლებსაც აღვირახსნილობის გამო არა სურთ ცხოვრების უკეთურ წესზე ხელი აიღონ.

- რა თქმა უნდა.

- სეირი თუ გნებავს, სწორედ მათ ცხოვრებაზე ითქმის: მკურნალობით მხოლოდ იმას აღწევენ, რომ ამრავლებენ და ამძაფრებენ სნეულებას, მაგრამ თუ ვინმემ ახალი წამალი შესთავაზათ, მაინც არ კარგავენ განკურნების იმედს.

- ამნაირი აუადმყოფების უბედურებას ეგაა სწორედ.

- ეგეც არ იყოს, განა ეს კი ნაკლებად სასეიროა? - თავიანთი მოსისხლე მტერი სიმართლის პირში მთქმელი ჰგონიათ: თუ არ მოეშვებით ლოთობას, ღორმუცელობას, სასიყვარულო განცხრომას და უქნარობას, ველარც წამლები გიმველით, ველარც ამოწვა და გაკეთათ, ველარც შელოცვები თუ ავგაროებები და სხვა მისთანანი.

- კი მაგრამ, განა სასეიროა, თუ გულწრფელი რჩევა მხოლოდ წყრომას იწვევს?

- ეტყობა, ამ ხალხის მაქებრად არ გამოდგები.

- არა, ღმერთმანი.

- მაშასადამე, არც იმ სახელმწიფოს მაქებრად, რომელიც, ჩვენი წელანდელი თქმისა არ იყოს, მუსგად ასევე იქცევა. ან იქნებ გგონია, რომ იგივე არა ხდება იმ სახელმწიფოებში, რომლებსაც ცუდად მართავენ, და რომელთა მოქალაქეებსაც ეკრძალებათ ძირეულად შეეყალონ სახელმწიფო წეს-წყობილება, რისი მცდელობაც სიკედილით ისჯება. მაშინ როდესაც ის, ვინც თვალებში შესიციინებს და ელაქეცება მოქალაქეებს, ცდილობს როგორმე გამოიყოს მათი სურვილი და ძალ-ღონეს არ იმურებს მის დასაკმაყოფილებლად, არა მარტო საზოგადოების ღირსეულ წევრად. არამედ ბრძენ სახელმწიფო მოღვაწედაც ითვლება და საყოველთაო პატივისცემითაა გარემოსილი.

- დიახ, ეგ სახელმწიფოები სწორედ ასე იქცევიან, და მე ვერაუფრს მოუწონებ მათ.

- ნუთუ ემსახურებას არ იწვევს იმათი სიმარჯვე და სითამამე, ვინც ასე გულმოდგინედ ემსახურება ამნაირ სახელმწიფოებს?

- რა თქმა უნდა, მაგრამ იმათი გამოკლებით, ვისაც აგყუებს ამნაირი სახელმწიფოების მოჩვენებითი სიღიადე და ნამდვილ სახელმწიფო მოღვაწეებად მოაქვთ თავი, მხოლოდ იმიტომ, რომ ბრბო აქებს და აღიღებს მათ.

- რაო, რას ამბობ? ნუთუ არ ეთანხმები ამ ხალხს? წარმოიდგინე კაცი, რომელსაც გარს ახევეია ბრბო; ამ კაცს წარმოდგენაყ არა აქვს, რა არის ზომა, და იგივე ითქმის ბრბომელდაც, მაგრამ ერთხმად კი უმტკიყებს კაცს, სიმაღლით ოთხი წყრთა ხარო; როგორ გგონია, ირწმუნებს თუ არა იგი ბრბოის ამრს?

- რასაკვირველია.

- მაშ, ნუღარ შერისხავ მათ. მართლაცაა, ამნაირ სახელმწიფო მოღვაწეებზე სასაილო ხალხის მნახელი არა ვარ: ერთთავად თავიანთ კანონებს ჩაჰკირკიტებენ და, ჩვენი წყლანდელი იქმისა არ იყოს, ათასნაირი შესწორებები შეაქეთ მათში, რადგანაც კვინათ, რომ ამ გზით აღმოფხვრიან უკუღმართობას. მაგრამ ის კი არ ესმით, რომ იმ კაცსა ჰკვანან, ვინც ცდილობს თავი დააგდებინოს ჰიდრას.

- მართლაცაა, მეტი საქმე არა აქეთ.

- მეც, ჩემდა თავად, ვერ წარმომიდგენია, რომ ამა თუ იმ სახელმწიფოში, რომელსაც კარგად ან ცუდად მართავენ, ნამდვილი კანონმდებელი თავს უნდა იმტერევედეს ამნაირი კანონების შემოღებაზე, რადგანაც იმ სახელმწიფოში, რომელსაც კარგად მართავენ. ეს სრულიად უსარგებლოა და ზედმეტი, ხოლო იმ სახელმწიფოში, რომელიც ცუდად იმართება, ყველას მეუძლია მონაწილეობა მიიღოს ამნაირ კანონთა დაწესებაში, ყოველივე დანარჩენი კი თავისთავად გამომდინარეობს უკვე არსებული ადამ-წესებიდან.

- კი მაგრამ, - თქვა აღიმანგემ, - რაღა გერჩება კანონმდებლობის დარგში?

- ჩვენ არაფერი, მაგრამ აპოლონ დელფოელს კი ის, რომ უდიდესი, უმშენიერესი და უმნიშვნელოვანესი კანონები გვიკარნახოს.

- მაინც რა კანონებს გულისხმობ?

- კანონებს, რომლებიც განსაზღვრავენ ტადრების მშენებლობას, მსხვერპლმწიფრ-ეასა და ღმერთების, დემონებისა თუ გმირებისადმი თაყვანისცემას; აგრეთვე მიცვალებულთა დაკრძალვას და იმასაც, თუ რა არის საჭირო, რომ ჰადესის მკვიდრთა გული მოვიგოთ და მოვინადიროთ. ყოველივე ეს უცნობია ჩვენთვის, მაგრამ სახელმწიფოს რომ ვაარსებთ, თუ ჰკუაზე მწყრალად არა ვართ, არცერთ სხვა ღეთაებას არ მივმართათ შემწეობისთვის, გარდა ჩვენი მამულის მუარველისა; რადგანაც აპოლონია ყველა მოკედავის მოძღვარი, ღეღამიწის შუაგულში, ზედ მის ჰიამზე დაეანებული.

- მომწონს ეგ სიგყვა; ასეც მოვიქცეთ.

- ახლა დავეშვათ, რომ ეგ შენი სახელმწიფო უკვე დაეაარსეთ. ამის შემდეგ ისღა დაგერჩენია, რომ ბრდღეილა ჩირადღანი აიღო ხელში, შენს ძმას, აგრეთვე პოლემარქესა და დანარჩენებსაც მოუხმე და ნახე, იქნება დაეღანღოთ, საღ მიყუქულა სამართლიანობა და საღ - უსამართლობა, რა განსხეაეებაა მათ შორის და რომელი უნდა ირჩიოს კაცმა, ვისაც სურს ბედნიერი იყოს, მიუხედავად იმისა, ამჩნევენ თუ არა მას მოკედავნი ანღა უკედავნი.

- ხუმრობ, თუ მართალს ამბობ? - თქვა გლაეკონმა, - აკი თვითონვე აპირებდი მაგის ძიებას: შენ არა თქვი, მკრეხელობაში ჩამომერთმევა, სამართლიანობას რომ არ დაეუჭიროთ მხარი, როგორც შემიძლია და რითაც შემიძლიაო?

- კარგი ქენი, რომ გამახსენე, - ვუთხარი მე, - ასეც ვიზამ. მაგრამ თქვენც უნდა დამეხმაროთ.

- ბაგონი ბრძანდები.

- იმედი მაქვს. აი, ამ გზით მივაკვლიო პასუხს: მე მგონია, ეს ჩვენი სახელმწიფო, თუკი მას სწორად მართავენ, სრულქმნილების ნიმუში უნდა იყოს.

- უცილობლად.

- ცხადია, მას არც სიბრძნე უნდა აკლდეს, არც სიმამაცე, არც ზომიერება და სამართლიანობა.

- რა თქმა უნდა.

წიგნი მერვე

ღემოკრაგია

- ღემოკრაგიული წყობილება, ჩემის აზრით, მაშინ მყარდება, როცა ღარიბები გამარჯვებას აღწევენ და თავიანთი მტრებიდან ზოგს სპობენ, ზოგსაც აძეებენ.

დანარჩენებთან ერთად კი თანაბრად ინაწილებენ სამოქალაქო უფლებებსაც და სახელმწიფო თანამდებობებსაც, რასაც უმეტესწილად ენჭისყრა წყვეტს.

– ღიახ, დემოკრატია სწორედ ასე მყარდება, სულერთია, იარაღის ძალით იმარჯვენებს თუ იმის წყალობით, რომ მისი დაშინებული მოწინააღმდეგენი თანდათანობით უკან იხევენ.

– კი მაგრამ, – განვაგრძე მე, – რა დღეში არიან მისი მოქალაქენი, ან რას წარმოადგენს თვით ეს წყობილება? ხომ ცხადია, რომ მოქალაქე, რომელიც მას ჰგავს, ჩვენ გვევლინება დემოკრატიული ადამიანის სახით.

– ღიახ, ცხადია.

– უწინარეს ყოვლისა, დემოკრატიული სახელმწიფოს მოქალაქე თავისუფალი ადამიანია, რადგანაც იქ თავისუფლება და გულახდილობა სუფევს, ასე რომ, ვისაც რა სურს, იმას აკეთებს.

– ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობენ.

– ხოლო სადაც ეს ნებადართულია, ყველა ისე წარმართავს თავის ცხოვრებას, როგორც მოეპრიანება.

– მართალია.

– ჩემი ამრით, ამნაირ სახელმწიფოში ადამიანები ძალიან უნდა განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან.

– რა თქმა უნდა.

– ერთი შეხედვით, ეს თითქოს ყველაზე უმჯობესი სახელმწიფოებრივი წყობილება უნდა იყოს. როგორც ჰრელი ფრთებით მოჩითული ქსოვილი, ისე ნაირნაირი ხასიათებით შემკული სახელმწიფო შეიძლება ყველაზე მშვენიერი გეგონით. ქალებისა და ბავშვებისა არ იყოს, ჰრელაჭრულებს რომ შეჰხარიან, ბევრმა შეიძლება იფიქროს, რომ მას ბადალი არ მოეძებნება.

– ღიახ.

– აქ აღვილია, ჩემო მეგობარო, ეცადო, როგორც გინდა, ისე მოაწყო სახელმწიფოს ცხოვრება.

– როგორ?

– როგორ და ისე, რომ თავისუფლების წყალობით, რაც დემოკრატიაში სუფევს, აქ აღმოაჩენ ყველა შესაძლო წყობას. თუ ვინმეს, ჩვენსავე, დემოკრატიული სახელმწიფოს დაარსება სურს, კეთილ ინებოს და დემოკრატიულ სახელმწიფოს მიაშუროს, სადაც, როგორც ზამარში, ყოველგვარი მიმართულებით ვაჭრობენ, და ამოარჩიოს ის, რომელიც მოსწონს. არჩევანის შემდეგ კი თავისი სახელმწიფო დააარსოს.

– იქ ალბათ არ ვაჭირდება ნიმუშების მოძებნა.

– დემოკრატიულ სახელმწიფოში სულაც არ არის აუცილებელი მონაწილეობას იღებდე მმართველობაში, ამის უნარიც რომ გქონდეს, და არც იმის აუცილებლობაა, რომ სხვებს მორჩილებდე, თუკი შენ თვითონ არა გსურს; ან ომობდე, როცა სხვები ომობენ, ან მშვიდობას იცაუდე, როცა სხვები იცაუენ, თუკი არ გსურს იცაუდე მას; ხოლო თუ კანონი გიკრძალავს მმართველობაში მონაწილეობას ან ხალხის განსჯა-განკითხვას, ერთი შეგიძლია და მეორეც, თუკი მოგეპრიანება. განა, ერთი შეხედვით, საამურად და ღეთაებრივად არ გეჩვენება ამნაირი ყოფა?

– ერთი შეხედვით შეიძლება მართლაც მოგეჩვენოს.

– ან ის ლმობიერება რად ღირს, რასაც იქ იჩენენ მოგიერთი სიკედილმისჯილის მიმართ? ნუთუ არ შეგიმჩნევია, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოში ისინი, რომელთაც სიკედილი ან განდევნა მიესაჯა, კელაეც სამშობლოში რჩებიან და საზოგადოებაში გრიალებენ: თითქოს არავეს არაფერი ესაქმებოდეს და ვერც ვერაფერს ამჩნეოდეს მათ, ისე თავისუფლად დასეირნობენ, როგორც ნამდვილი გმირები.

– როგორ არ შემომჩნევია.

– ეს ლმობიერება დემოკრატიული სახელმწიფოს უბადრუკი წერილმანი როდია; პირიქით, აქ თავს იჩენს ზიზღი ყოველივე იმის მიმართ, რაც არსებითად მიგვაჩნია

ჩვენი სახელმწიფოს დაარსებისას. თუ ადამიანს, – ვამბობდით ჩვენ, – ბუნება არ შეეწია, ის ვერასოდეს გახდება კეთილშობილი, ანდა თუ ბავშვობაში – თამაშისას თუ მეცადინეობისას – საერთოდ არ შეხებია მშვენიერებას. არადა, დემოკრატიული წყობილება, ქედმაღლურად რომ თელავს ფეხით ყოველივე ამას, ერთხელაც არ დაფიქრებულა. საიდან მოსულ კაცს ანდობენ სახელმწიფოს მართვას; საკმარისია კაცი ბრბოს ელაქუცებოდეს, და პატივი არ მოაკლდება.

– მართლაც რომ კეთილშობილური ღმობიერებაა.

– აი. რა თვისებებითა და თავისებურებებით ხასიათდება დემოკრატია. როგორც ხელად, მართლაც სანატრელი წყობილებაა, მრავალფეროვანი და ანარქიული, ერთმანეთს თავისებურად რომ უთანაბრებს ყველას – თანასწორთაც და არათანასწორთაც.

– ახალს არაფერს ამბობ.

– ახლა კი დაუკვირდი, – განვაგრძე მე, – რას წარმოადგენს ამ სახელმწიფოს მინამგვანი ადამიანი, ან როგორც უფრო უმაღლეს სახელმწიფო წყობილების ჩამოყალიბება განვიხილეთ, აქაც ხომ არ გკენახა, რანაირად ყალიბდება იგი?

– დიახ, უნდა ვნახოთ.

– ასე ხომ არა? მე მგონია, ოლიგარქიული წყობილების ხელმომჭირნე მოქალაქის ვაქს ისე აღმრდიან. რომ მნითაც და მიდრეკილებებითაც მამას ჰგავდეს.

– რასაკვირველია.

– მამამისისა არ იყოს, ისიც ეცდება ნებისყოფის დაძაბვით დათრგუნოს ყველა ის გულისთქმა თუ სურვილი, რაც მომჭირნეობას კი არ აეთარებს, პირიქით, მულანგველობამდე მიჰყავს ადამიანი. ამნაირ სურვილს შეიძლება ზედმეტი სურვილი ეწოდოს.

– გასაგებია.

– ხომ არ გნებაეს, ბუნდოვანების თავიდან ასაცილებლად, ჯერ ის გავარკვიოთ, რომელ სურვილს შეიძლება ეწოდოს ზედმეტი და რომელს აუცილებელი, ანუ არაზედმეტი?

– ცხადია, მნებაეს.

– იმ სურვილს, რომელსაც თავს ვერ დავაღწევთ, მართებულად შეგვიძლია აუცილებელი ვეწოდოთ, ისევე, როგორც იმას, რომლის დაკმაყოფილებაც სასარგებლოა ჩვენთვის. როგორც ერთის, ისე მეორისადმი მორჩილება აუცილებელია თვით ჩვენი ბუნების ძალით. ასეა, არა?

– დიახ.

– მამსადამე, ჩვენ უფლება გვაქვს აუცილებელ სურვილებად ვსახავდეთ მათ.

– რა თქმა უნდა.

– ხოლო რაც შეეხება იმ სურვილებს, რომლებსაც შეიძლება თავი დავაღწიოთ, მით უმეტეს, თუ აღრული ასაკიდანვე ვეცდებით ამას, და რომლებსაც სასიკეთო არა მოაქვთ რა, ზოგიერთი კი სულაც საზიანოა, – განა შესაფერის სახელს არ დავარქმევთ, თუ ზედმეტ სურვილებს ვეწოდებთ მათ?

– ყოვლად შესაფერისს.

– ახლა კი განვიხილოთ როგორც ერთის, ისე მეორის ნიმუში, რათა ზოგადი წარმოდგენა შევიქმნათ მათზე.

– აუცილებლად უნდა განვიხილოთ.

– ჭამის სურვილი, რასაც მოითხოვს ჯანმრთელობა და კარგად ყოფნა, პურისა და უბრალო საკამბ-სანელების სურვილი, განა აუცილებელ სურვილად არ უნდა მიგვაჩნდეს?

– მე მგონია, უნდა მიგვაჩნდეს.

– პურის სურვილი ორმხრივია აუცილებელი: ჯერ ერთი, ის სასარგებლოა და, მეორეც, მისი დაკმაყოფილების გარეშე ვერ იცოცხლებ.

– დიახ.

– საკამბ-სანელებლები კი აუცილებელია იმდენად, რამდენადაც ჯანმრთელობას გვინარჩუნებს.

– რა თქმა უნდა.

– მაგრამ იმ სურვილზე რაღას იტყვი, აუცილებლობაზე მეტს, ესე იგი, ნუგბარ კერძებს რომ მიეღტვის? თუ ამ სურვილს ბაეშვობიდანვე დავიურევთ სათანადო აღმზრდის მეოხებით, უმრავლესობამ შეიძლება თავი დაიხსნას მისგან: ის ხომ თანაბრად მავნეა სხეულისთვისაც და სულისთვისაც, რადგან არც გონებას ავითარებს და არც თავდაჭერილობას. ამიტომაც მართებული იქნებოდა ზედმეტი სურვილი გვეწოდებინა მისთვის.

– უმართებულესიც.

– ხომ არ ეწოდოთ ამ სურვილს მულანგველური, პირველს კი – მომგებიანი, რამდენადაც ხელს უწყობს ჩვენს ქმედითობას?

– უთუოდ.

– ამასვე ვიტყვით სასიყვარულო და მის მსგავს სხვა სურვილებზედაც?

– რა თქმა უნდა.

– ვინც წვდან მამალ ფუტკარს შევადარეთ, მთლიანად ამ ზედმეტი სურვილებითა თუ ენებებითაა სავსე, თავიანთ ნებაზე რომ ათამაშებენ მას, მაშინ როდესაც ხელმოშვინე და ოლიგარქიული კაცი აუცილებელ სურვილებს ემორჩილება.

– ღიახ.

– მაგრამ კვლავ მივუბრუნდეთ იმას, თუ როგორ იქცევა ოლიგარქიული ადამიანი დემოკრატიულ ადამიანად. ჩემის აზრით ეს, უპირატესად, ასე ხდება...

– როგორ?

– როცა ჭაბუკი, როგორც ზემოთ ვამბობდით, უმეტრებისა და მომჭინობის გარემოში იზრდება და უცებ მამალი ფუტკრის თაფლს იგემებს, რის შედეგადაც ამ სამიში და მძინვარე მწერების გუნდში ამოყოფს თავს, რომლებსაც შეუძლიათ ათასნაირი სიამოვნება მიანიჭონ, მერწმუნე, სწორედ მაშინ იწყება ილიგარქიული ადამიანის ქცევა დემოკრატიულ ადამიანად.

– უცილობლად, – თქვა მან.

– როგორც სახელმწიფოში ხდება ცვლილება, როცა მისი მოქალაქეების ნაწილი, მხედულებათა მსგავსების წყალობით, დახმარებას იღებს გარედან, ასე იცელება ჭაბუკიც, როცა მისი სურვილების ერთ ნაწილს გარედან ეშველებიან მათი მონათესავე და მსგავსი სურვილები.

– ზუსტად ასეა.

– და მე მგონია, როცა ამის საპირისპიროდ რაღაცა ეხმარება მის ოლიგარქიულ საწყისს, მამის ან ოჯახის სხვა წევრების შეგონება იქნება ეს თუ ყვედრება. ყმაწვილი კაცის სულში იბადება აღმშოთება და წინააღმდეგობა როგორც ახლობლების, ისე თავისი თავის მიმართაც.

– რა თქმა უნდა.

– ჩემი აზრით, ზოგჯერ დემოკრატიული საწყისი უკან იხევს ოლიგარქიულის წინაშე, ზოგიერთი სურვილი ქარწყლდება ან განიდევნება, რის შედეგადაც ჭაბუკის სულში უწინდებურად იღვიძებს სირცხვილის გრძნობა და კვლავ წესრიგი მყარდება.

– ზოგჯერ ასედაც ხდება.

– მაგრამ შემდეგ გაძევებულ სურვილთა მონათესავე სურვილები, მამის, როგორც აღმზრდელის, უგერგილობისა და უნიათობის წყალობით, კვლავინდებურად ღვივდებიან, მრავლდებიან და ძლიერდებიან.

– ჩვეულებრივი ამბავია, – თქვა მან.

– ისინი კვლავ ძველი ამფსონებისკენ ეზიდებიან ყმაწვილ კაცს, და ამ ფარული ურთიერთობისაგან ბევრი ახალი სურვილი იბადება.

– რა თქმა უნდა.

- მე მგონია, ეს სურვილები, ბოლოს და ბოლოს, კიდევაც ეუფლებიან ჭაბუკის სულის აკროპოლისს, როდესაც დაინახავენ, რომ ის ცარიელია, რომ მასში არც ცოდნაა, არც კეთილშობილური ჩვევები და არც სიტყვების სიწრფელე - ღმერთების საყვარელი აღამიანების ეს უკეთესი დარაჯები და მცველები.

- მართლაც რომ უკეთესნი.

- მათ აღვილას მის სულში, მე მგონია, მდარი წარმოდგენები და მკეახე სიტყვები იწყებენ თარეშს.

- ამრიგად, ის კელაე უბრუნდება ლოგოფაგოსებს და უკვე ამკარად იღებს ბინას მათ შორის. თუ ახლობლები ლამქარს დასძრავენ მისი სულის მომჭირნე საწყისის მისამველებლად, მკეახარა სიტყვები სამეფო ვალაენის ბჭეს ჩაკეცავენ და არამტუ მაშველ ლამქარს, თვით ელჩებსაც, ესე იგი, უფროსი და უფრო ჭკვიანი ხალხის გონიერულ რჩევა-დარიგებებსაც არ შეუშვებენ აკროპოლისში. სამარცხინოდ განდევნიან სობრიყველ შერაცხულ უმანკობას; კეთილშობილებას სიმბდალეს უწოდებენ და თავს-ლაფდასხმულს გააძევენ; მომიერებასა და წესრიგს მფლანგველობად დასახავენ და მდაბიურ შემეცნებად და სიმდაბლედ მიჩნეული, ფუჭ გულისტქმათა ურიცხე სიმრავლეზე დაყრდნობით, უკან მოაგოვებიანებენ თავიანთი სამფლობელოს სამღვრებს.

- უცილობლად.

- მას შემდეგ, რაც ჭაბუკის სულს დააცარიელებენ და განწმენდენ, ჭაბუკისა, რომელსაც თავიანთ ნებაზე ათამაშებენ და თითქოს დიდ მისტერიებს ამიარებენ, ისინი დიდი მარშიმითა და მრავალრიცხოვანი ქოროს თანხლებით შეაბრძანებენ მასში თავხედობას, თავაშეებულობასა და უგოფრობას, რომლებსაც მომხიბლავი სახელებით ამკობენ: თავხედობას ისინი თავაშიანობას უწოდებენ, თავაშეებულობას - თავისუფლებას და უგოფრობას - დიდებულებას. განა სწორედ ასე არ გადადის აუცილებელი სურვილებით ნასამრდოები სული ფუჭი და მედმეტი სურვილების სამყაროში, სადაც სრულ ვასაქანს ანიჭებს მათ?

- ცხალზე ცხალია.

- შემდეგ როგორღა წარიმართება მისი ცხოვრება? მე მგონია, მედმეტი სურვილებს ის არანაკლებ ფულს, გარჯას და დროს შეაღვეს, ვიდრე - აუცილებელთ. მაგრამ თუ მისდა საბედნიეროდ ბაკქური სიმღეგე არც ისე ძალუმად ბობოქრობს მასში, რაც უფრო ემაგება წლები და რაც უფრო უკან იგოვებს ენებათა ღელვას, ნაწილობრივ კელაე უბრუნდება ავის გაძეებულ სურვილებს და მთელი არსებით როდიღა ეძლევა მასში უფრო გვიან შემოჭრილი, ასე რომ მის ცხოვრებაში სურვილთა ერთგვარი წონასწორობა მყარდება: ის ყოველთვის დაემორჩილება იმ სურვილს, რომელიც თითქოს წილისყრით ერგო, ვიდრე მთლიანად არ დაიკმაყოფილებს მას, შემდეგ კი - მეორე სურვილს, და არცერთს არ შეაქცევს მურგს, არამედ ყველა თანაბარი იქნება მისთვის.

- რა თქმა უნდა.

- და მაინც. ის უკუაგდებს და თავის ციხე-სიმაგრეში არ შეუშვებს გონიერულ განსჯას იმისას, ვინც ეტყვის, რომ მოგიერთი სიამონება კარგი და კეთილი სურვილისგან იღებს დასახამს, მოგიერთი კი - ცუდისგან, და რომ მოგ სურვილს უნდა ვაეითარებდეთ და პაგივს ვეცმდეთ, მოგს კი ვიურვებდეთ და ვიკვეთდეთ. პასუხის ნაცულად ის მხოლოდ უნარის ნიშნად გაიქნევს თავს და იტყვის, რომ ყველა სურვილი ერთი და იმავე ბუნებისაა და თანაბრად პაგივისცემის ღირსი.

- ამნაირი ხალხი ყოველთვის ასე იქცევა.

- ეს კაცი იმით სულდგმულობს, რომ ცდილობს დაიკმაყოფილოს გულში აღძრული ყველა სურვილი: ხან ფლეიტების მომნუსხველი ხმის თანხლებით ლოთობს, ხან კი წყლის მეტს არას მიირთმევს და უჭმელობით იფიგავს სხეულს; ხან ქანცაწყვეტამდე ვარჯიშობს, ხან კი ისეთი სიმარამაცე მიეძალება, რომ არაფრის თავი აღარა აქვს; მოგჯერ ფილოსოფიაში დანთქმული გეგონებათ; ხშირად სახელმწიფო მოღვაწეს ბაძავს: ანამდეულად ახტება ფიცარნაგზე და რაც თავში მოუვა, იმას ვაჰყვირის, ხოლო

რასაც ვაპყვირის, კიდეც ასრულებს; ერთ დღეს რომ მეომრებს შექნაგრის და მათკენ მიემუხრება, მეორე დღეს ვაჭრებისკენ მიუწევს გული. ერთი სიტყვით, მისი ცხოვრებისთვის უცხოა წესრიგი და აუცილებლობა, მაგრამ ამ ცხოვრებას საამურს, ლაღს, ნეტარს უწოდებს და ნიადავ მისი ერთგული რჩება.

– მშვენივრად დაგვისაგე იმ კაცის ცხოვრება, ვისთვისაც ყველაფერი სულერთია.

– ჩემი აზრით, ეს კაცი თავის თავში აერთიანებს ათასნაირ ბუნებასა თუ ხასიათს და ისეთივე მრავალსახოვანია და ჭრელი, როგორც მისი სახელმწიფოებრივი წყობილება. ვინ მოსთვლის, რამდენ ქალსა და კაცს შემურდებოდა ამნაირი ცხოვრება, სადაც ერთმანეთს ერწყმის მმართველობისა და მზე-ჩვეულებების ურიცხვი სხვადასხვა ნიშნები.

– ასეა, – თქვა მან.

– რა ვქნათ, დემოკრატიულ წყობილებას ხომ არ შევეუპირისპიროთ ეს კაცი? რადგანაც სრული უფლება გვაქვს დემოკრატიულ ადამიანად მიგვაჩნდეს იგი.

– ასე მოვიქცეთ.

– მაგრამ ყველაზე საუცხოო სახელმწიფოებრივი წყობილება, ისევე, როგორც ყველაზე საუცხოო ადამიანი, ჯერ კიდეც განსახილველი დაგვრჩა: ესაა გირანია და გირანი.

– მართლაც.

– მამ, მოდი, ვნახოთ, ჩემო ძვირფასო მეგობარო, რანაირად იბადება გირანია; თუმცა დემოკრატიისაგან რომ იღებს დასაბამს, ეს, მგონი, ცხადი უნდა იყოს.

– ღიახ, ცხადია.

– როგორც ოლიგარქიისაგან წარმოიშვა დემოკრატია, განა ასევე არ იბადება დემოკრატიისაგან გირანია?

– როგორ?

– საბოლოო მიზნად დასახული სიკეთე, რამაც დასაბამი მისცა ოლიგარქიას, სიმდიდრე იყო, არა?

– ღიახ.

– დადუკით კი რამ დადუკა, თუ არა დაუოკებელმა სწრაფვამ სიმდიდრისაკენ და გულგრილობამ ყველაფრის მიმართ, სარფისა და სარგებლის გარდა?

– მხოლოდ მაგან.

– ჰოდა, რასაც სიკეთედ სახავს დემოკრატია და რასაც დაუცხრომლად მიელგვის, სწორედ ის დადუკავს მას.

– კი მაგრამ, რას სახავს სიკეთედ?

– თავისუფლებას. დემოკრატიულ სახელმწიფოში სულ იმას გაიძახიან, რა მშვენიერია თავისუფლება და ამტკიცებენ, რომ მხოლოდ ამნაირ სახელმწიფოში უნდა ცხოვრობდეს თავისუფლად შობილი კაცი.

– მართლაც და, ხშირად გაიგონებ ამნაირ სიტყვებს.

– ჰოდა, როგორც წედან მოგახსენებდი, ამნაირი დაუცხრომელი ლტოლვა მხოლოდ ერთისკენ და ყოველივე დანარჩენის უგულებელყოფა ამახინჯებს ამ წყობილებას და გირანიის მოთხოვნილებას ბადებს.

– როგორ?

– როცა თავისუფლებას მოწყურებული ამნაირი დემოკრატიული სახელმწიფოს სათავეში უხეირო მერიქიფენი დგანან, ეს სახელმწიფო მომამე მეტად თვრება თავისუფლების წმინდა და გაუზავებელი ღვინით, ხოლო მმართველებს, თუ ისინი საკმაოდ თვინიერნი არ არიან და სრულ თავისუფლებას არ ანიჭებენ ყველას, ბრალს სდებს და მკაცრად სჯის კიდეც, როგორც უკეთურ ოლიგარქებს.

– ღიახ, ასედაც ხდება.

– ხელისუფალთა მორჩილ მოქალაქეებს იქ აბუჩად იგდებენ და ნებაყოფლობით მონებს უწოდებენ, სამაგიეროდ ქვეშევრდომებს, რომლებიც მმართველებს ჰგვანან, და მმართველებს, ქვეშევრდომებს რომ მოგვაგონებენ, ქება-დიდებით იხსენიებენ და

პატივს სცემენ როგორც კერძო. ისე სამოვადლოებრივ ცხოვრებაშიაც. განა ამნაირ სახელმწიფოში ყველაზე თანაბრად არ ვრცელდება თავისუფლების სული?

- რა თქმა უნდა.

- ის, ჩემო მეგობარო, ოჯახებშიაც აღწევს, ასე რომ, ანარქია, ბოლოს და ბოლოს, თვით ცხოვრებასაც მოიცავს.

- ეგ როგორ უნდა გავიგოთ?

- როგორ და ისე, რომ მამა, მაგალითად, ეჩვევა ისე ეპყრობოდეს შვილს, როგორც თანასწორს და ემინოდეს კიდევ შვილებისა, შვილი კი მამას უტოლებს თავს და აღარც მისი პატივისცემა აქვს, აღარც შიში და კრძალვა, რადგანაც თავისუფლება სწყურია. ახალმოსახლე ბირძველ მოქალაქეს უტოლდება, ეს უკანასკნელი კი - ახალმოსახლეს, და იგივე ითქმის უცხოელების მიმართაც.

- ასეა.

- ამას ზედ ერთვის ბევრი სხვა წვრილმანიც: ამნაირ ვითარებაში მასწავლებელს მოსწავლეებისა ემინია და ამიგომაც ეპირფურება მათ, მოსწავლეები კი არაფრად აგლებენ მასწავლებლებს და აღმზრდელებს. ახალგაზრდები უფროსებს ბაძავენ და სიგყვით თუ საქმით ეჯიბრებიან მათ, უფროსები კი, თავიანთი მხრივ, ცდილობენ მიესადაგონ ახალგაზრდებს და ერთავედ ოხუნჯობენ და ლაზღანდარობენ, რათა აუტანელ დესპოტებად არ ჩანდნენ ხალხის თვალში.

- ყველაფერი მართლაც ასეა.

- მაგრამ უკიდურესი თავისუფლება, რაც ნიშნულია ამნაირი სახელმწიფოსათვის, ისაა, ჩემო მეგობარებო, რომ ნაყიდი მონები თუ მონა ქალები სულაც არ არიან ნაკლებ თავისუფალნი, ვიდრე მათი მყიდველნი. კინაღამ დამავეიწყდა მეთქვა, სანამდის მიღის თავისუფლება ქალებისა კაცების მიმართ და პირიქით.

- რატომ არ უნდა ითქვას ის, რაც, ესქილეს მიხედვით, „ეს-ესაა მოგვადგა პირმე“?

- მეუ სწორედ მაგას ვაპირებ. ახლა იმას აღარ იკითხავ, რამდენად უფრო თავისუფლად გრძობენ აქ თავს შინაური ცხოველები, ვიდრე სხვაგან? არც კი დაიჯერებ, ვიდრე შენი თვალთ არ ნახავ. ანდაზისა არ იყოს, „რალა ძალღებები და რალა მათი ქალბატონები“. ცხენები და ვირები ისე ლაღად და თავისუფლად დათარეშობენ, რომ ეაი იმას, ვინც გზას არ დაუთმობს მათ. ერთის სიგყვით, თავისუფლება კალაპოტში ვეღარ ეტევა.

- თითქოს საკუთარ სიზმარს მიყვები. როგორც კი სოფელში ჩავალ, სულ ამ დღეში არა ვარ?

- ახლა, თუ ყოველივე ამას შევაჯამებთ, როგორც თვითონვე ხვდები, მთავარი ის იქნება, რომ მოქალაქეთა სული მეგისმეტად მგრძობიარე ხდება თვით წვრილმანების მიმართ. ყოველგვარი ძალდატანება ისეთ აღშფოთებას იწვევს მათში, თითქოს ეს სრულიად დაუმეებელი რამ იყოს. ბოლოს და ბოლოს, ხომ გვსმის, იქამდის მივა საქმე, რომ არაერთარ ანგარიშს აღარ გაუწევენ კანონებს, არც დაწერილს და არც დაუწერელს, რათა ვეღარავინ მბრძანებლობდეს მათზე.

- ყველაფერი მშვენივრად მესმის.

- პოდა, მე თუ მკითხავ, ჩემო მეგობარო, სწორედ ამნაირი მმართველობიდან, ჭაბუკურად თავგასული და მომხიბლავი მმართველობიდან იღებს დასაბამს გირანია.

- მართლაც რომ თავგასულია. მაგრამ შემდეგ რა ხდება?

- იგივე სწეულება, რამაც თავი იჩინა ოლიგარქიულ სახელმწიფოში და დააქცია ის, თვითნებობის გამო კიდევ უფრო მძაფრად ვითარდება აქ და მთლიანად იმონებს დემოკრატიას. მართლაც, ყოველივე მეგისმეტი მძაფრ უკუქმედებას იწვევს ნებისმიერი საუნისა თუ მოვლენის - ამინდის, მცენარეებისა თუ სხეულების მხრივ, რასაც არანაკლებ აელენენ სახელმწიფო წყობილებანი.

- რა თქმა უნდა.

- მეგისმეტი თავისუფლება როგორც ადამიანის, ისე სახელმწიფოსათვისაც, როგორც ჩანს, მეგისმეტ მონობად იქცევა.

- ცხადია.
- ასე რომ, გირანია რომელიმე სხვა წყობილებიდან კი არა, დემოკრატიიდან იღებს დასაბამს; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უკიდურესი თავისუფლებიდან იბადება უმძიმესი და უსასტიკესი მონობა.
- მართლაც.
- მაგრამ, მე მგონია, ამას კი არ მეკითხებოდა, არამედ გინდოდა გაგეგო, რა არის ეს სნეულება, დემოკრატიასაც ისევე რომ ენებს, როგორც ოლიგარქიას, და მთლიანად იმონებს მას.
- მართალს ბრძანებ, - თქვა მან.
- ზემოხსენებულ სნეულებად მე მიმაჩნია მოქალაქეთა ახალი ფენის - მოცილილთა და მფლანგველთა გაჩენა, რომელთაგანაც უფრო მამაცინი წინ მიუძღვიან დანარჩენებს, უფრო მხალნი კი კულში მისდევენ მათ. ისინი ჩვენ შეეადარეთ მამალ ფუტკრებს: პირველნი ბასრი ნესტრებით არიან აღჭურვილნი, მეორენი კი არა.
- სწორია.
- ორივე ეს ფენა გაჩენისთანავე ისე ამღერეს სახელმწიფოს პოლიტიკურ წესრიგს, როგორც ანთება ან ნალველი - სხეულს. კარგმა ქირურგმა და სახელმწიფო კანონმდებელმა მათ წინააღმდეგ დროულად უნდა მიიღონ ზომები, როგორც მარჯვე მეფუტკრემ, რათა არ დაუშვან მამალი ფუტკრების გაჩენა, ხოლო თუ ამას ვერ შეძლებენ, სკას ფიჭასთან ერთად უნდა ამოარიღონ ისინი.
- ვფიცავ ზევსს, ეს აუცილებელია.
- ახლა კი, აი, როგორ უნდა მოვიქცეთ, რათა უფრო ნათლად გავარჩიოთ ის, რაც გვსურს.
- როგორ?
- სახელმწიფო ამრით გავყოთ სამ ნაწილად, რომელთაგანაც შედგება ის სინამდვილეში. პირველი ნაწილი მამალი ფუტკრების ფენა იქნება, თვითნებურად რომ მრავლებიან აქ, მაგრამ არა ნაკლებ, ვიდრე ოლიგარქიული წყობილების პირობებში.
- ასეა.
- მაგრამ აქ ის გაცილებით უფრო მხამიანია, ვიდრე იქ.
- რატომ?
- ოლიგარქიულ სახელმწიფოებში მათ პატივს კი არ სცემენ, არამედ დაკავებულ თანამდებობებსაც ატოვებინებენ, ასე რომ, ვერც ხელს მოითბობენ და ვერც გაძლიერდებიან. დემოკრატიულ სახელმწიფოში კი ისინი თითქოს ერთპიროვნულად მბრძანებლობენ. ყველაზე მხამიანი ფუტკრები ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს წარმოსთქვამენ და თამამად მოქმედებენ, დანარჩენები კი კათედრებთან იყრიან თავს, გამმაგებით ბზუიან და პირს უკუპრავენ ყველა მოწინააღმდეგეს. ასე რომ, დემოკრატიულ სახელმწიფოში ყველა საქმეს, იშვიათ გამონაკლისთა გარდა, სწორედ ეს ხალხი განაგებს.
- მართალს ბრძანებ.
- ბრბოს ყოველთვის გამოეყოფა კიდევ ერთი ნაწილი...
- რომელი?
- საქმოსნებიდან, უმეტესწილად, ყველაზე მეტად მდიდრდებიან თავიანთი ბუნებით ყველაზე მოწესრიგებულნი.
- როგორც ჩანს.
- მამალი ფუტკრებიც სწორედ მათგან აგროვებენ ყველაზე მეტ თაფლს.
- ვისაც ცოტა აქვს, რას გამოორჩები?
- ამნაირ მდიდრებს, ჩვეულებრივ, მამალი ფუტკრების ყვაილებს უწოდებენ.
- დიახ, ესაა მათი სახელი.
- მესამე ნაწილს ხალხი შეადგენს - ვინც თავისი ხელითა შრომობს, ვისთვისაც უცხოა საქმოსნობა და ვისაც თითქოს არაფერი არ აბადა. დემოკრატიულ სახელმწიფოში ისინი ყველაზე მრავალრიცხოვანნი არიან და ყველაზე ძლიერნიც, როცა ერთად იყრიან თავს.

- ასეა. - თქვა მან, - მაგრამ რატომღაც ნაკლებად იჩენენ თავშეყრის სურვილს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა თავიანთ წილ თაულს ვეღარ იღებენ.

- კი მაგრამ, განა ყოველთვის არ იღებენ თავიანთ წილს, რაკილა ხელისუფლებას შეუძლია მდიდრებს ჩამოართვას მათი ქონების ნაწილი და ხალხს დაურიგოს? თუმცა მეტ წილს ხელისუფალნი თავისთვის იგოვებენ.

- ხალხი სწორედ ასე იღებს ხოლმე რაღაცას.

- ხოლო ისინი. ვისაც ქონებას ართმევენ, იძულებულნი არიან თავი დაიცივან, სიკვებით გამოდიან ხალხის თავყრილობაზე და მიმნის მისაღწევად არც სხვა სამუქალებებზე ამბობენ უარს.

- რა თქმა უნდა.

- თუმცა სახელმწიფო გადაგრილებადაც რომ არ ამზადებდნენ, ვილაცა მაინც გამოეცა და ბრალს დასდებს, ხალხის წინააღმდეგ შეთქმულებას აწყობენ და ოლიგარქობას მიეღვიანო.

- ღიახ.

- ბოლოს და ბოლოს, როცა დაინახევენ, რომ ცილისმწამებლების მიერ გაბრიყვებული ხალხი ბოროტების კი არა, უყოღინარობის გამო მზადაა გაუსწორდეს მათ, ისინი უკვე ძალაუბნებურად ხდებიან ოლიგარქიის მომხრენი. ეს მათი ბრალი არ არის: მამალმა უუტკარმა მოწყლა და გააბოროტა ისინი.

- მართალს ბრძანებ.

- იწყება ბრალდება, სასამართლოებში ჩივილი, ცილობა და დავიდარაბა.

- რა თქმა უნდა.

- ხალხს კი ხომ იცი, რაც სჩვევია: საგანგებოდ ირჩევედეს ერთს, თავყვანს სცემდეს და აღიღებდეს.

- მართლაც რომ ასე სჩვევია.

- მამასადამე, ცხადია, რომ გირანის გამოჩენისთანავე, ის ყოველთვის სწორედ ამ უესიდან ამომბრდება, როგორც ხალხის ბელადი.

- ღიახ, ცხადია.

- კი მაგრამ, რითი იწყება ამ ბელადის ქცევა გირანად? თუმცა ამკარაა, რომ ეს იწყება სწორედ მაშინ, როცა ის იმასვე სჩადის, რასაც გადმოგვეცემს თქმულება ზევს ლიკეელის გაძრის შესახებ, რომელიც მდებარეობს არკადიაში.

- მაინც რას გადმოგვეცემს?

- ვინც სამსხვერპლო ხორცთან ერთად ადამიანის წერილად დაკეპილ მიგანსაც იგემებს, აუცილებლად მგლად უნდა იქცეს. ან იქნებ არ გაგიგია ეს თქმულება?

- გამიგია.

- ასე ხალხის ბელადიც, რომელმაც იცის, რომ ბრბო მისი მონა-მორჩილია, უკვე აღარ ერიდება თვისგომთა სისხლის დაღვრას; პირიქით, უსამართლო ბრალდებით სასამართლოს წარუდგენს მათ და უდანამაულო მსხვერპლთა სისხლით იბლალავს სულს, თავისი უწმინდური ბაგებითა და ენით თქვლევს თვისგომთა სისხლს და განდევნილთა და სიკვდილით დასჯილთა ხარჯზე კპირდება ხალხს ვალების ჩამოწერასა და მიწა-წყლის გადანაწილებას. განა ყოველივე ამის ჩამდენი კაცი საიმისოდ განწირული არ არის, რომ ან მტრებმა მოუსწრაფონ სიცოცხლე, ანდა გირანად ქცეული მგლად გარდაისახოს?

- უცილობლად, - თქვა მან.

- აი, ვინ ამბობებს ხალხს მდიდრების წინააღმდეგ.

- ღიახ.

- თუ მარცხი განიცადა და განდევნეს, მაგრამ, თავისი მტრების სავალალოდ, კვლავ მოახერხა დაბრუნება, უკვე ჩამოყალიბებულ გირანად ბრუნდება უკან.

- როგორც ჩანს.

- მაგრამ თუ მტრებმა კვლავ ვერ დაამხეს, ან ხალხს ვერ წაპკიდეს და ვერც ის შეძლეს, რომ სიკვდილით დაესჯათ, მაშინ უთუოდ ეცდებიან ქურდულად მოკლან იგი.

- ჩვეულებრივ, ასედაც ხდება.
- აქედან - გირანთა საყოველთაოდ ცნობილი მოთხოვნა: როგორც კი ძალაუფლებას იგდებენ ხელთ, საგანგებო ბრძანებით ინიშნავენ სხეულის მკვლელებს, რათა ხალხის მწეს და მეოხს არა ევნოს რა.
- ასეა, - თქვა მან.
- და ხალხიც, რა თქმა უნდა, თანახმაა სხეულის მკვლელები იყოლიოს, რადგანაც უშინია, ფათერაკს არ წაეკიდოსო, თავისი სიცოცხლე კი არ აღარღებს, რადგანაც საიმედოდ დასული ჰგონია იგი.
- რა თქმა უნდა.
- ამის შემყურე მდიდარი კაცი, რომელმაც იცის, რომ თავისი სიმდიდრის გამო ხალხის თვალში ისედაც საუკუო ჩანს, დაუყოვნებლივ იზიარებს მისნის მიერ კრემუსისთვის მიცემულ რჩევას:
 - „მსწრაფლ მიაშურე კენჭმრავალ პერმოსს, და საერთოდაც ნუ უურთხი იმას, ვაითუ ხალხმა მხლად შემრაცხოსო“.
- მეორედ ვედარაინ შეძლებდა მის დაფრთხობას.
- გაქცეული ხელში რომ ჩაეგდოთ, სიკედილით დასჯა არ ასცდებოდა.
- რაც შეეხება ხალხის ბელადს, მასზე, ალბათ, ვერაინ იგყვის - „როცა დაეცა, ვეება განით მისებრ ვეება სივრცე დაფარა“, - პირიქით, თვითონ დასცემს და დაამხოვს ურიცხვ მტერს, სახელმწიფოს საჭესთან უკვე არა ბელადად, არამედ ნამდვილ გირანად მდგარი.
- ასეც იყო მოსალოდნელი.
- ხომ არ განვიხილოთ ამ კაცისა და იმ სახელმწიფოს ბედნიერება, რომელსაც ევლინება ამნაირი მოკვდავი?
 - რასაკვირველია, უნდა განვიხილოთ.
 - თავდაპირველად ის ალერსით უღიმის ყველას, ვისაც კი ხელება, და თავგამოდებით ამტკიცებს, ჩემი გირანობა ვის გაუგიაო? ათას რამეს ჰპირდება კერძო პირებსაც და საზოგადოებასაც: ვალეებს ჩამოგაწერთ და მიწის ნაკვეთებს დაგირიგებთ თქვენცა და ჩემს მკვლელებსაცო, და, საერთოდ, ცდილობს, ყველას კეთილმოწყალე და თვინიერად მოაჩვენოს თავი.
 - უცილობლად.
 - ხოლო როცა მტერთაგან ზოგს დაუმადებდა, ზოგს კი მოსპობს, ასე რომ, მის კეთილდღეობას ვედარაინ დაემუქრება, მისი პირველი საზრუნავი, ალბათ, ის იქნება, რომ ომში ჩაითრიოს ხალხი, რათა ის გამუდმებით გრძნობდეს ბელადის აუცილებლობას...
 - ესაღია.
 - ...და რათა გადასახადებით გადატაკებულ ხალხს ღლიდან ღღემდე ძლივს გააქონდეს თავი და შეთქმულებაზე ფიქრიც კი აღარ შეეძლოს.
 - რა თქმა უნდა.
 - ხოლო თუ შენიშნავს, რომ ზოგიერთ მეგისმეტად თამამად და თავისუფლად მოამბროვნეს არ შეუძლია მის მბრძანებლობას დაემორჩილოს, ომი საკმაო საბაზია მისთვის, რათა ცილი დასწამოს ამ ხალხს - მტერს მიეყიდნენო, და ისინი საიქიოს გმას გაუყენოს. ყოველივე ამის გამო გირანი იძულებულია ომის მუდმივი საშიშროებით აფრთხობდეს და აფორიაქებდეს ხალხს.
 - ჭეშმარიტად.
 - მაგრამ ამნაირი ქცევით ის სულ უფრო და უფრო მეტად შეაძულებს თავს მოქალაქეებს.
 - აუცილებლად.
 - ამასობაში ზოგიერთები, ხელი რომ შეუწყეს მის აღმეებას და ღიდი გავლენით სარგებლობენ სახელმწიფოში, არა მარტო ზურგსუკან დასძრახავენ იმის გამო, რაც

ხდება. არამედ მათ შორის ყველაზე გაბედულნი პირისპირა თამამად მოახსენებენ თავიანთ აზრს.

- ალბათ.

- ძალაუფლების შესანარჩუნებლად გირანი იძულებული იქნება მუსრი გაავლოს ყველას, ასე რომ, ბოლოს და ბოლოს, მეგობრებს ვინ ჩივის, რიგიანი მტერიც აღარ შერჩება.

- ცხადია.

- მამასადამე, გირანი ფხიშლად უნდა აღევენებდეს თვალს, ვინ არის მამაცი, ვინ არის დიდსულოვანი. ვინ ჭკვიანი ან მდიდარი, რადგანაც მისი კეთილდღეობა იმაზეა დამოკიდებული, რომ, უნდა თუ არა, ყველას მახეს უგებდეს, ვიდრე სახელმწიფოს მთლიანად არ ვაწმენდს მათგან.

- უკეთესი ვაწმენდა აღარ იქნება.

- დიახ, ეს მკვეთრად უპირისპირდება იმას, რასაც სნეულის განსაწმენდად იყენებენ ექიმები. ყოველივე ცუდისა თუ უკეთურისაგან რომ წმენდენ სხეულს და მხოლოდ კარგს გოვებენ მასში. აქ კი პირიქითაა საქმე.

- როგორც ჩანს, გირანი მართლაც იძულებულია ასე მოიქცეს, თუკი სურს ძალაუფლება შეინარჩუნოს.

- ასე რომ, ის შეკრულია ნეტარი აუცილებლობით: ან უკეთურთა ხროვაში იცხოვროს, რომელთაც ჭირივით სძულთ იგი, ან ისიცოცხლეს გამოეთხოვოს.

- დიახ, შეკრულია.

- ისიც ხომ ცხადია, რომ რაც უფრო საძულეელი ხდება მოქალაქეებისათვის თავისი ქვეით, მით უფრო მეტად სჭირდება მრავალრიცხოვანი და ერთგული სხეულის მცველნი.

- რა თქმა უნდა.

- კი მაგრამ, სად არიან ეს ერთგულნი? საიდან მოიყვანოს ისინი?

- თავისით მოფრინდებიან, რამდენიც უნდა, თუკი ფულს არ დაიშურებს.

- ვფიცავ ძალს, მე მგონია შენ ისევე გადამთიელ მამალ ფუტკარზე ჩამოაგდე სიგყვა.

- გგონია და არცა სცდები.

- კი მაგრამ, ვითომ გირანი დაიწუნებს ადგილობრივ სხეულის მცველებს?

- დაწუნებით კი არ დაიწუნებს, მაგრამ სად იშოვის?

- როგორ თუ სად? ადგება და მოქალაქეებს ჩამოართმევს მონებს, თავისუფლებას მიანიჭებს და თავის მცველებად დანიშნავს მათ.

- ნამდვილად; თანაც მათზე ერთგულს ვერაფერს ნახავს.

- შენ თუ გერწმუნეთ, ბედნიერი კაცი ყოფილა ეს ჩვენი გირანი, რაკილა ერთგულ მეგობრად ამნაირი ხალხი ჰყავს, მამინ როდესაც ნამდვილი მეგობრებიდან ერთიც არ დაგოვა ცოცხალი.

- მეტი რა გზა აქვს, ამნაირებს უნდა დასჯერდეს.

- თავყვანისმცემლებად თანამშრომლები ეყოლება, მეგობრებად კი - ახალი მოქალაქენი; რაც შეეხება პატიოსან ხალხს, გირანი სიძულვილისა და შიშის ღირსი იქნება მისთვის.

- უცილობლად.

- როგორც ჩანს, გრავედიას გყუილად როდი მიიჩნევენ სიბრძნის ხელოვნებად, ხოლო ამ მხრივ ყველაზე მაღლა დგას ევრიპიდე.

- ვითომ რაგომაო?

- იმიგომ, რომ სწორედ მას ეკუთვნის ეს ღრმავაროვანი გამონათქვამი:

„გირანთა ბრძნობის ბრძენთა ძმობა არის მიზეზი“.

ხომ ხედავ, მისი აზრით, გირანები ბრძენკაცებთან რომ მეგობრობენ.

- თანაც როგორ აქებს და ადიღებს, გირანის ძალაუფლებას კი ღეთაებრივად სახაეს, სხვა მისთანათა ქება-დიდებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რაშიაყ მას დიდად როდი ჩამორჩებიან დანარჩენი პოეტები.

- ჰოდა, რაკი გრატიკოსი პოეტები ასე გაბრძნობილნი არიან, დაე, მოვეციეკონ ჩვენცა და ჩვენს თანამოაზრეებსაც, თუ ჩვენს სახელმწიფოში არ მივიღებთ მათ, როგორც გირანული ძალაუფლების მეხოტბეებს.

- მე მგონია, მოვეციეკებენ, მათ შორის ყველაზე გონიერნი მაინც.

- ქალაქიდან ქალაქში რომ დადიან, მრავალრიცხოვან ბრბოებს უყრიან თავს და მშვენიერი და ძლიერი ხმის მქონე შემსრულებლებს ქირაობენ, - ისინი დემოკრატიისა და გირანის დამყარებისაკენ მოუწოდებენ ხალხს.

- და მერე როგორი თავგამოდებით მოუწოდებენ.

- მეტიც, საზღაურსაც იღებენ და მათ ყველაზე დიდ პატიეს მიაგებენ, ჯერ ერთი, გირანები და, მეორეც, დემოკრატები, მაგრამ რაც უფრო მალა მიიწვევენ სახელმწიფო თანამდებობების კიბეზე, მით უფრო კინდება მათი დიდება, თითქოს სუნთქვა აღარ ჰყოფნით და აღმასკლა უძნელდებათ.

- მართლაც.

- მაგრამ ჩვენს სათქმელს გადავუხვიეთ, ამიგომ, მოდი, კელაე გირანის დიდებულ, მრავალრიცხოვან, ჭრელსა და გამუღმებით ცვალებად ლაშქარს მიუბრუნდეთ და ენახოთ, როგორ ინახავს მას.

- თუ სახელმწიფოში წმინდა საუნჯენი მოიძებნება, ეცყობა, სწორედ მათ ხარჯზე, და ამითი ფარავს გასაეალს, რისი მეოხებითაც გადასახადებით არა ხდის სულს მოქალაქეებს.

- მაგრამ როცა ეს წყარო დაიწრიტება?

- მაშინ ის თავის თავსაც, თავის თანამზრახველთაც, მეგობრებსაც და ხარჯებსაც მათი მამების სახსრებით არჩენს.

- გასაგებია: რახან ხალხმა შვა, მანვე უნდა არჩინოს გირანიც და მისი ამაღაც.

- მეტი რა გზა აქვს.

- რას ამბობ, აღამიანო? ხალხი რომ აღშოთდეს და თქვას: სად გავგონილა, დაეაქაყებულ შეილს მამა არჩენდეს? პირიქით, მამას უნდა არჩენდეს შეილი; და მართლაც, იმისთვის როდი აჩუქა სიოცხლე და დააფრთიანა, რომ მისი დაეაქაყების შემდეგ თავისი საკუთარი მონების მონად ქეუელიყო და შეილთან ერთად მონებისა და არამბადების ხროვაც ერჩინა, არამედ იმისათვის, რომ აღმევებული შეილის მეოხებით განთავისუფლებულიყო მდიდრებისა და ეგრეთწოდებულ ღირსეულთა ბატონობისგან; ახლა კი თავის თანამზრახველებთან ერთად ისევე აძევებენ სახელმწიფოდან, როგორც მამა აძევებს სახილდან შეილს მის უღირს თანამეინახებთან ერთად.

- ვფიცავ ზევს, მაშინ კი მიხვდება ხალხი, რომ ხეთოც შვა და ნებიერადაც აღმარდა; მაშინლა იგრძნობს, რა ძალის მქონენი არიან ისინი, ვის განდევნასაც თავისი სუსტი ძალებით ცდილობს.

- რას ამბობ? განა გირანი გაბედავს ძალმომრეობა გამოიჩინოს მამის მიმართ, და თუ მან უკან არ დაიხია, ხელიც კი აღმართოს მასზე?

- დიახ, - თქვა მან, - მას შემდეგ, რაც იარაღს აჰყრის.

- მაშასადამე, შენ მამისმკვლელად და მოხუცი მშობლების უღირს მარჩენლად მიიჩნევ გირანს? ეცყობა, ესაა გირანული ძალაუფლების საყოველთაოდ აღიარებული თავისებურება. როგორც იცყვიან, „კეამლს გაექცა და ცეცხლში ჩაეარდაო“. ისეა სწორედ: თავისუფალ აღამიანთა მბრძანებლობას გარიღებული ხალხი დესპოტური ძალაუფლების მონობაში ამოყოფს თავს და მეტისმეტ თავისუფლებას ყველაზე მძიმე და აუტანელ მონობაზე - მონების მონობაზე გაცულის.

- ყოველთვის ასე ხდება.

- მაშ. ასე. შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ჩვენ სავსებით საკმარისად ვილაპარაკეთ იმის თაობაზე, თუ როგორ იბადება გირანია ღემოკრატიისაგან და როგორია მისი თავისებურებანი.

- დიახ. სავსებით საკმარისად.

წიგნი მეათე

პოეზიის ადგილი იდეალურ სახელმწიფოში

- და მართლაც, - განვაგრძე მე, - ბევრი სხვა ნიშნის მიხედვითაც ვრწმუნდები, რომ ყველაზე უკეთ დაეფუძნეთ ეს ჩვენი სახელმწიფო; ამას რომ ვამბობ, მე, უწინარეს ყოვლისა, პოეზიას ვგულისხმობ.

- მაინც?

- ვერსადიღებთი ეერ დაუშვებთ სახელმწიფოში, რადგანაც ის მიმბაძეველობითია. ახლა. როცა ცალ-ცალკე განვიხილეთ სულის ყოველი სახე, ეს კიდეც უფრო აშკარა ვახდა.

- როგორ?

- ჩვენს შორის დარჩეს და, - იმედია, არ დამასმენთ ტრაგედიების მთხვევლებისა და სხვა მიმბაძეველების წინაშე, - მთელი მათი შემოქმედება ნამდვილი უბედურებაა მსმენელთა სულისთვის, რადგანაც მათ შხამსაწინააღმდეგო საშუალება არ გააჩნიათ, რათა გაიგონ. რა არის ეს.

- რას გულისხმობ?

- მეტი რა გზაა, უნდა გითხრათ. თუმცა ერთგვარი სიყვარული და პატივისცემა პომეროსის მიმართ, რაც სიყრმიდანვე ჩამენერგა გულში, ხელს უშლის ამ აღიარებას. როგორც ჩანს, ის იყო ამ მშვენიერი ტრაგიკოსი პოეტების პირველი მოძღვარი და ჰეგემონი. მაგრამ არ შეიძლება კაცს უფრო მეტ პატივს სცემდე, ვიდრე ჭეშმარიტებას. ამიგომ იძულებული ვარ ვთქვა ის, რის თქმასაც ვაპირებ.

- რასაკვირველია.

- მაშ. მისმინე, ან, უფრო სწორად, მიპასუხე.

- შენც ადექი და მკითხე.

- თუ შეგიძლია მითხრა, რა არის მიბაძევა საერთოდ? რადგანაც, მართალი გითხრა, მე კარგად არც კი მესმის, რა არის.

- და შენ გგონია, რომ მე შეიძლება მესმოდეს?

- ეითომ რა გასაკვირია? ხშირად სუსტი მხედველობის მქონე იმაზე მალე არჩევს საგნებს, ვისაც ბასრი მგერა აქვს.

- ხდება ხოლმე. მაგრამ ნათლადაც რომ ვხედავდე, შენს გვერდით მაინც ვერ გაუბედავდი რაიმეს თქმას. ასე რომ. მაინც შენ მოგიწევს განხილვა.

- მაშინ, თუ გნებავს, ჩვენთვის ჩვეული გზით შევედგეთ საქმის განხილვას: ერთი და იმავე სახელით აღნიშნულ საგანთა ყოველი სიმრავლისათვის ჩვენ ვიღებთ მხოლოდ ერთ სახეს, ერთ იდეას. ხომ გესმის?

- მესმის.

- ახლა ავიღოთ ნებისმიერი სიმრავლე. ხომ არსებობს, ვთქვათ, სიმრავლე მაგიდებისა თუ საწოლებისა...

- რა თქმა უნდა.

- მაგრამ ყველა ამ ავეჯის იდეა მხოლოდ ორია - ერთი საწოლისა და ერთი - მაგიდისა.

- დიახ.

- ჩვეულებრივ, იმასაც ვამბობთ, რომ ხელოსანი, ამა თუ იმ ნივთის დამზადებისას, უწინარეს ყოველისა, აკვირდება იდეას და მისი მიხედვით ქმნის ერთი - საწოლებს.

მეორე კი – მაგიდებს, რომლებსაც ჩვენ ვიყენებთ. მაგრამ არცერთ ხელოსანს არ შეუძლია საკუთრივ იდეის შექმნა; ასეა, არა?

– რა თქმა უნდა.

– მაგრამ შეგიძლია თუ არა ხელოსანი უწოდო იმასაც...

– ვის?

– ვინც მარტო ქმნის ყოველივე იმას, რასაც ცალ-ცალკე ქმნის ყველა ხელოსანი.

– განსაკუთრებლად ხელმარჯვე ოსტატს გულისხმობ.

– ცოტაც და კიდევ უფრო განსაკუთრებული მოგვიჩვენება. რადგანაც მას შეუძლია არა მარტო ყოველნაირი ავეჯის შექმნა, არამედ ყველაფრისა, რასაც თავისი წიაღიდან აღმოაყენებს დედამიწა, ყოველი ცოცხალი არსებისა და, მათ შორის, თავისი თავისა, დედამიწისა, ცისა, ღმერთებისა, ყოველივე ზეციურისა და იმისა, რაც არის მიწის ქვეშ, ჰაღესში.

– ეს უკვე ჯადოქარია.

– რაო, არ გჯერა? ერთი ეს მითხარი, როგორ გგონია, საერთოდ არ არსებობს ამნაირი ხელოსანი თუ ვიღაცას რადანაირად მაინც შეუძლია ყოველივე ამის შექმნა? ნუთუ ვერ ამჩნევ, რომ მენ თვითონაც შეგეძლო ყოველივე ეს მოგემოქმედა?

– კი მაგრამ, როგორ?

– არც ისე ძნელი საქმეა; საკმაოდ ხშირად და სწრაფადაც კი კეთდება; თუ გინდა, აიღე სარკე და რაც შეიძლება სწრაფად ატრიალე ყოველი მიმართულებით: ხელად გააჩენ მშესაც და სხვა ციურ სხეულებსაც, დედამიწისა, მენს თავსაც, დანარჩენ ცოცხალ არსებებსაც, ნაირ-ნაირ საგნებსაც, მცენარეებსაც და სხვა მისთანათ.

– დიახ, მაგრამ ყოველივე ეს ხომ მოჩვენებითი იქნება და არა ნამდვილი?

– კეთილი; მშვენივრად გამიგე; ჩემის აზრით, ამნაირ ხელოსანთა რიცხვს ეკუთვნის მხატვარიც, არა?

– უეჭველად.

– მაგრამ მენ, ალბათ, იტყვი, რომ ნამდვილი როდია, რასაც ის ქმნის, თუმცა მხატვარი, გარკვეულწილად, ქმნის საწოლს; ასეა, არა?

– დიახ, მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენებითი საწოლია.

– ღურგალზე რაღას იტყვი? განა მენ არ ამბობდი წელან, რომ ის საწოლის იდეას კი არ ქმნის, რასაც ჩვენ ნამდვილ საწოლად ვსახავთ, არამედ მხოლოდ ერთგვარ საწოლს?

– დიახ, ვამბობდი.

– მაგრამ რაკი იმას როდი ქმნის, რაც არის, ამიგომ ნამდვილ საგანს კი არ ქმნის, არამედ მხოლოდ ამ უკანასკნელის მსგავს საგანს, და ვინმეს რომ დაეჩემებინა, ღურგლისა თუ რომელიმე სხვა ოსტატის მიერ შექმნილი საგანი ნამდვილი საგანიო, არამც და არამც არ იქნებოდა მართალი.

– ყოველ შემთხვევაში, მისი აზრით მაინც, ვისთვისაც ჩვეულებრივი ამბავია ამნაირ საკითხებზე მსჯელობა.

– ასე რომ, ნუ გაგიკვირდება, თუ მისი ნახელაეი მხოლოდ ბუნდოვანი ასლი იქნება დედნისა.

– მართლაც.

– ხომ არ გსურს, ამ ქმნილებებზე დაყრდნობით, ვნახოთ, როგორი იქნება თვით მიმბაძეული?

– ვნახოთ.

– ყველა ეს საწოლი სამი სხვადასხვა სახით წარმოგვიჩნდება: ერთი თვით ბუნებაში არსებულია, და, მე გგონია, ჩვენ შეგეძლო ღმერთის ქმნილებად მიგვეჩნია იგი; თუ არა და, ვინ უნდა დაგვესახა მის შემოქმედლად?

– არავეინ, მხოლოდ ის.

– მეორე – ღურგლის ქმნილებაა.

– დიახ.

- შესამე – მხატვრისა; ასეა, არა?
- ეთქვათ.
- მხატვარი. ღურგალი, ღმერთი – აი, სამი შემოქმედი საწოლთა ამ სამი სახისა.
- ღიახ. სამი.
- ღმერთმა, იმიტომ, რომ არ უნდოდა, თუ აუცილებლობის ძალით, რომელიც მოითხოვდა. რომ ბუნებაში მხოლოდ ერთი საწოლი ყოფილიყო, – მარტო ერთი საწოლი შექმნა, და ესაა ერთადერთი ნამდვილი საწოლი, ორი ერთნაირი თუ მეტი საწოლი ღმერთს არ შეუქმნია და არც შექმნის.
- ვითომ რატომ?
- რატომ და, ორიც რომ შეექმნა, მაინც ერთი იქნებოდა, რომლის იდეაც ხორცს შეისხამდა ორივეში, და ეს იქნებოდა ერთადერთი ნამდვილი საწოლი, ორი კი არა.
- სწორია, – თქვა მან.
- ეს რომ იყოღა, ღმერთს, ჩემის ამრით, სურდა ნამდვილად ყოფილიყო ნამდვილი საწოლის ერთადერთი შემოქმედი, და არა ამა თუ იმ საწოლის შემქმნელი ესა თუ ის ოსტატი; ამიგომაც იყო, რომ თავისი ბუნებით ერთადერთი ნამდვილი საწოლი შექმნა.
- როგორც ჩანს.
- თუ გნებავს, ამ საწოლის შემოქმედი, ან სხვა ამგვარი სახელი ვუწოდოთ მას.
- სამართლიანი იქნება, რადგანაც საწოლიც და ყოველივე დანარჩენიც მან ბუნების თანახმად შექმნა.
- კი მაგრამ, ღურგალს რაღა ვუწოდოთ? საწოლის შემქმნელი ოსტატი ხომ არა?
- ღიახ.
- მხატვარსაც ამავე საგნის შემქმნელი და ოსტატი?
- არამც და არამც.
- მამ, რას იტყვი, ვინაა ის ამ მიმართებით?
- მე გგონია, ეს იქნებოდა მისი შესაფერი სახელი: ის ამ საგნის შემქმნელთა მიმბაძველია.
- კეთილი; მაშასადამე, მიმბაძველს შენ უწოდებ იმას, ვისი ნახელავიც სამი საფეხურით დამორებულია ნამდვილი არსისაგან?
- რა თქმა უნდა.
- მაშასადამე, აი, როგორი იქნება გრაველების შემოქმედი: რაკიღა მიმბაძველია, უთუოდ შესამე ადვილზე უნდა იყოს მეუფისა და ჭეშმარიტების შემდეგ, ისევე, როგორც ყველა სხვა მიმბაძველი.
- როგორც ჩანს.
- ამრიგად, მიმბაძველობის თაობაზე უკვე მივალწიეთ თანხმობას; თუმცა ამ კითხვამაც შიშასუხე მხატვართან დაკავშირებით: როგორ გგონია, ის ბუნებაში არსებული ერთადერთი ნამდვილი საგნის მიბაძვეას ცდილობს თუ ოსტატთა ქმნილებებისას?
- ოსტატთა ქმნილებებისას.
- კი მაგრამ, როგორ ბაძავს მათ: როგორიც არიან სინამდვილეში თუ როგორიც ჩანან? ესეც ხომ უნდა განასხვავო.
- შენ თვითონ როგორ გგონია?
- აი, როგორ: თუ საწოლს გვერდიდან, პირდაპირ ან რომელიმე სხვა მხრიდან უყურებ. განსხვავდება თავისი თავისგან თუ, ყოველგვარი განსხვავების გარეშე, მხოლოდ განსხვავებული გეჩვენება, და იგივე ითქმის ყველა სხვა საგნის მიმართაც?
- იგივე: მხოლოდ განსხვავებული ჩანს, სინამდვილეში კი არაფრითაც არ განსხვავდება.
- ანდა კი ამასაც დაუკვირდი. რა ამოცანას ისახავს მხატვრობა ყველა ცალკეულ შემთხვევაში: ცდილობს ისე მიბაძოს საგანს, როგორც ის არის სინამდვილეში, თუ ისე, როგორც ის გეჩვენება? ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მხატვრობა ღანდების ზრდაზეა თუ სინამდვილისა?
- დანდობის.

– მაშასადამე, მიმბაძველობითი ხელოვნება შორსაა სინამდვილისგან. ჩემის აზრით, ამიგომაც შეუძლია ასახოს ყველაფერი, რაც გნებათ, სულ ოდნავ რომ ეხება ამა თუ იმ საგანს, რის შედეგადაც ლანდები იბადებიან. ასე მაგალითად, მხატვარი დახატავს ღურგალს, ხარამს ან სხვა ხელოსანს, თუმცა, თვითონ არც ერთი ამ ხელობის არა გაეგება რა. მაგრამ თუ კარგი მხატვარია, ღურგალს რომ დახატავს და თავის ნახატს შორიდან აჩვენებს ხალხს, შეიძლება ბავშვები და ბრიყვები კი მოაგყუოს და აუიქრე-ბინოს, ნამდვილ ღურგალსა ვხედავით.

– რა თქმა უნდა.

– აი, რას უნდა ეფიქრობდეთ, ჩემო მეგობარო, ყოველივე ამის შესახებ. ვინმემ რომ გვითხრას, ერთი კაცი გამაცნეს, რომელიც ყველაფერს ყველაზე უკეთ აკეთებს და უკეთაც იყის ყოველივე ის, რაც თითოეულმა იყის ცალ-ცალკეო, – პირში უნდა ეყოხრათ ამის მთქმელს: გეგყობა, დიდი მიაშიგი ვინმე ბრძანდები, რაკილა ასე ადვილად მოაგყუებინე თავი გაიძვერასა და მიმბაძველს, ყოელისმოდნე რომ გეგონა მხოლოდ იმიგომ, რომ ერთმანეთისაგან ვერ არჩევ ცოდნას, უმერებასა და მიბაძვას.

– მართალს ბრძანებ.– ახლა კი უნდა განვიხილოთ გრაგვლია და მისი ჰეგემონი – პომეროსი, რადგანაც მოგიერთებისგან გაგიგონია, თითქოს გრაგიკოსი პოეგები ყველა ხელობასა თუ ხელოვნებაში გაწაფულნი იყენენ და არა მარტო ყველა ადამიანური საქმის – კეთილისა თუ ბოროტის – მცოდნენი, არამედ ყოველივე ღეთა-ებრივისაც. რადგანაც კარგმა პოეგმა, ვისაც სურს სრულყოფილად შეასხას ხორცი თავის შთანაფიქრს, მათი აზრით, აუცილებლად უნდა იცოდეს ის, რაზედაც წერს, თორემ ვერაფრის დაწერასაც ვერ შეძლებსო. უნდა გავარკვიოთ, გყუედობდნენ თუ არა ადამიანები ამნაირ მიმბაძველებთან შეხვედრისას, ამჩნეუდნენ თუ არა, რომ მათ ქმნილებებს მთელი სამი საფეხური ამორებთ ნამდვილი ყოფიერებისაგან, და რომ მათ ადვილად შეიძლება შეასხას ხორცი იმან, ვისთვისაც უცნობია ჰეგემარიგება, რადგანაც აქ ლანდებს ქმნიან და არა ნამდვილ არსს. თუ ადამიანები არ ცდებიან და კარგმა პოეგებმა მართლაც იციან ყველაფერი, რაზედაც, უმრავლესობის აზრით, ასე კარგად ლაპარაკობენ?

– დიახ, ეს მართლაც იმსახურებს განხილვას.

– კი მაგრამ, ვინმეს რომ შეეძლოს როგორც ერთის, ისე მეორის – დედნისა და ასლის შექმნა, როგორ გგონია, მთელ თავის უნარს ჩააქსოვდა ასლის შექმნაში და სწორედ მას მიიჩნევდა თავისი სიყოცხლის მთავარ და ყველაზე უკეთეს საქმედ?

– არა გგონია.

– მაგრამ კარგად რომ სცოდნოდა, რასაც ბაძავს, მთელი მისი ძალისხმევა შექმნის-კენ იქნებოდა მიმართული და არა მიბაძვისაკენ. ის ეცდებოდა თავის სახსოვრად დაე-გოვებინა ბევრი მშვენიერი ქმნილება და, ცხადია, ამჯობინებდა, თვითონ ის ედიდებინათ, ვიდრე თავად ედიდებინა სხვები.

– ალბათ; ეს უფრო საპაგიო და სასარგებლო იქნებოდა მისთვის.

– ძალიან ბევრი საქმისთვის ანგარიშს არ მოეთხოვთ არც პომეროსს და არც რომელიმე სხვა პოეგს; არ ვკითხავთ, ექიმები იყენენ თუ ექიმთა ენის უბრალო მიმბაძველები. განა არსებობს გადმოცემა, რომ თუნდაც ერთ პოეგს, გინდ ახალს და გინდ ძველს, ჯანმრთელობა დაებრუნებინოს ვინმესთვის, როგორც უბრუნებდა ასკლე-პიოსი, ან ისეთი მოწაფეები დაეგოვებინოს მკურნალებად, როგორც იყენენ ასკლე-პიოსის მემკვიდრენი? არც სხვა ხელოვნებასთან დაკავშირებით ვკითხავთ მათ რამეს, თავს არ შევაწყენთ. მაგრამ როცა პომეროსი ყველაზე დიადსა და მნიშვნელოვანს ეხება, როცა ომებზე, მხედართმთავრის ხელოვნებაზე, სახელმწიფოს მართვასა თუ ახალგამრდობის აღზრდაზე ლაპარაკობს, მაშინ კი მართებული იქნება ვკითხოთ: „პეირფასო პომეროსო, თუ სიქველისა და სრულქმნილების თვალსაზრისით ნამდვილი არსიდან მესამე ადგილზე კი არ დგახარ და მარტოოდნე ასლსა და მსგავსს კი არა ქმნი, რაც, ჩვენი განსამღვრისამებრ, მიბაძვა იქნებოდა, არამედ მეორე ადგილი გიჭირავს და, ამრიგად, შეგიძლია იცოდე, რას აკეთებენ ადამიანები უკეთ და რას –

უარესად. როგორც კერძო, ისე სამოგადოებრივ ცხოვრებაშიაც, – კეთილ-ინებუ და გეითხარი, რომელმა სახელმწიფომ მიაღწია შენი წყალობით უკეთეს მმართველობას, როგორც ლაკედემონმა – ლიკურგეს მეოხებით, ან ბერმა სხვა დიდმა თუ პატარა პოლისმა – ბერი სხვა კანონმდებლის მეშვეობით? იგაღია და სიცილია ამნაირ კანონმდებლად ქარონდას მიიჩნევენ, ჩვენ – სოლონს, შენ კი – ვინ?“ შეძლებდა თუ არა პოპეროსი რომელიმე სახელმწიფოს დასახელებას?

– არა მგონია. – თქვა გლაუკონმა, – ამაზე თვით პომერილებიც კი არაფერს ამბობენ.

– ან სადმე თუ იხსენიება პომეროსის ღროინდელი თუნდაც ერთი ომი, გამარჯვებით რომ დამთავრებულიყოს მისი მხედართმთავრობისა თუ რჩევის წყალობით?

– არავითარი ამნაირი ომი არა ყოფილა.

– ან ხელმარჯვე და მახელგონიერ ოსტაგად, მრავალი სხვადასხვა გამოგონებისა და სხვა მისთანათა ავტორად თუ მიიჩნევენ მას, როგორც ძველი გადმოცემები – მილეტელ თალესს ან სკეით ანაქარსისს?

– არაფერი ამის მსგავსი პომეროსს არ მიეწერება.

– მაგრამ თუ სახელმწიფოს ბერი ვერა არგო რა, იქნებ იმას მაინც ამბობენ, რომ კერძო ცხოვრებაში ვიდაყის აღზრდას მაინც ხელმძღვანელობდა, რის გამოც ისე შეიყვარეს აღზრდილებმა, რომ შთამომავლობას გადასცეს ცხოვრების პომეროსული გზა. როგორც პითაგორელებმა – თავიანთი მოძღურისა, რასაც დღემდე ცხოვრების პითაგორულ წესს უწოდებენ და რითაც მკვეთრად განირჩევიან სხვებისგან.

– არაფერ ამგვარს პომეროსზე არ გადმოგვცემენ, სოკრატე. თვით კრეოფილეს, რომელიც პომეროსთან დაახლოებული კაცი უნდა ყოფილიყო, თავისი აღზრდით კიდე უფრო სასაყლო ჩანს, ვიდრე მისი სახელი, თუკი მართალია, რასაც პომეროსზე გადმოგვცემენ; გადმოცემით კი იმას გადმოგვცემენ, რომ თანამედროვეებს არაფრადაც არ მიაჩნდათ თურმე.

– დიახ, ასე ამბობენ, მაგრამ როგორ გგონია, გლაუკონ, პომეროსს რომ მართლაც შეძლებოდა ადამიანების აღზრდა, მათი სრულყოფა, ხოლო ამ საქმეში მიზაძევა კი არ გამოეყენებინა, არამედ ცოდნა, – ნუთუ უამრავ მიმდევარს და თაყვანისმცემელს ვერ შეიძინდა? პროგატორა აბდერელი, პროდიკე ეკოსელი და სხვანი და სხვანი პირადი ურთიერთობის წყალობით არწმუნებენ თავიანთ თანამედროვეებს, რომ განსწავლისა და განათლების გარეშე ვერც თავიანთ შინაურ და ვერც სახელმწიფო საქმეებს ვერ გაართმევენ თავს. და, აი, ამ სიბრძნის გულისთვის მოწაფეებს ისე უყვართ ისინი, რომ ღამის იაზემ დაისვენ. ნუთუ პომეროსს, თუკი მართლა შეეძლო კაცთა სიქველის სრულყოფა, და ჰესიოდესაე ხალხი იმის ნებას მისცემდა, რომ მოხეტიალე რაფსოღების ცხოვრებით ეცხოვრათ და არ აიძულებდა მათ ერთ ადგილას დამკვიდრებულიყვნენ, ხოლო თუ ვერ დაიყაბულებდა, განა ფეხდაფეხ არ გაჰყვებოდნენ ყველგან, ოღონდ კი მათგან რამე ესწავლათ?

– რასაც შენ ამბობ, მე მგონია, სრული სიმართლეა, სოკრატე.

– მაშ, რა ექნათ, ხომ არ ვაღიაროთ, რომ ყველა პოეტი, პომეროსიდან მოყოლებული, სიქველის მოჩვენებითი ხაგებისა და სხვა მისთანათა უბრალო მიზაძეველია, მაგრამ ვერასოდეს ვერ აღწევს ჭეშმარიტებას? ასე, ჩვენი წელანდელი თქმისა არ იყოს, მხატვარმა შეიძლება დახატოს ხარაზი და ნამღვილ ხარაზადაც კი მოაჩვენოს ხალხს, თუმცა ხარაზის ხელობისა არც მას და არც მისი ნახატის მაყურებელს საერთოდ არა გაეგებათ რა: ისინი მხოლოდ ფერებისა და ხაზების მიხედვით მსჯელობენ.

– რა თქმა უნდა.

– მე მგონია, იგივე ითქმის პოეტებზედაც, სიგყვებისა და ხატოვანი გამოთქმების მეშვეობით გარკვეული ფერადოვნებით რომ წარმოგვიჩვენენ ამა თუ იმ ზელოვნებას ან ხელოვნობას, თუმცა არც ერთის არა გაეგებათ რა და მხოლოდ მიზაძევით გადიან ფონს. ასე რომ, არანაკლებ უმეყარსა და მხოლოდ სიგყვების ეღერადობით თავბრუ დასხმულ მსმენელს ეჩვენება, რომ ეს საუესოოდ არის ნათქვამი, მიუხედავად იმისა.

პოეტი რიგმული და პარმონიულად წყობილი სიტყვით ხარაზის ხელობაზე მსჯელობს თუ საომარ ხელოვნებაზე, – იმდენად მომნუსხველია პოეტური სამკაულების ბუნებრივი ხიბლი. მაგრამ თუ პოეტურ ქმნილებებს მუსიკალური ხელოვნებით მინიჭებულ ფერადოვნებას ჩამოუაცილებთ, მოგეხსენება, რა უღიმღამოდ წარმოგვიჩნდებიან შიშველი სახით; თვითონაც ხომ შეგინიშნავს ეს?

– ღიას.

– განა ახალგაზრდობაში მშვენიერ, მაგრამ ხანდამშულობაში გაცრეცილ და ვახუნებულ სახეებს არა ჰკვანან?

– ძალიან.

– ერთსაც დაუკვირდი: ვინც ლანდებსა თუ ხატებს ქმნის, ესე იგი, როგორც ჩვენ ვუწოდებთ, – მიმბაძველი, საერთოდ ვერ ერკევა, რა არის ნამდვილი არსი და მხოლოდ მის მოჩვენებით მხარეს იცნობს; ასეა, არა?

– ღიას.

– შუა გზაზე ნუ შეეწყვეტთ სიტყვას და რაც ეთქვით, სრულად განეხილოთ.

– გისმენ.

– ჩვენ ვამბობთ, რომ მხატვარს შეუძლია შექმნას სადავე და ლაგამი.

– ღიას.

– დამზადებით კი სარაჯი და მჭედელი ამზადებენ მათ.

– რა თქმა უნდა.

– განა მხატვარმა იყის, როგორი უნდა იყოს სადავე და ლაგამი? ეს თვით მათმა დამამზადებლებმა – სარაჯმა და მჭედელმა კი არ იციან, არამედ მხოლოდ იმან, ვინც მათ იყენებს, ესე იგი, მხედარმა, არა?

– ღიას.

– განა იგივე არ ითქმის ყველა სხვა საგნის მიმართაც?

– როგორ?

– ყოველ საგანს სამი სხედასხვა ხელოვნება ესადაგება: მისი გამოყენების, დამზადებისა და გამოსახვის ხელოვნება.

– ღიას.

– მაგრამ რას ეთანაფარდება ავეჯის, ცოცხალი არსების ან მოქმედების თავისებურება, სილამაზე და სრულქმნილება, თუ არა მის გამოყენებას, რისთვისაც ის შექმნა ადამიანმა თუ ბუნებამ?

– სხვას არაფერს.

– მაშასადამე, ყველაზე დიდი გამოცდილების მქონე იქნება ის, ვინც ამა თუ იმ საგანს იყენებს და თავისი გამოცდილების მიხედვით შეუძლია მისი ნახელავის აუკარგვე მიუთითოს ამავე საგნის გამკეთებელს. ასე, მაგალითად, ფლეიგამე დამკვერელი ფლეიგის ოსტატს უჩვენებს, როგორი ფლეიგა სჯობს საკრავად, ან როგორ უნდა დამზადეს იგი, და ოსტატიც ყურად იღებს მის რჩევას.

– უეჭველად.

– ამრიგად, ვინც იყის, საკრავის აუკარგვს უჩვენებს იმას, ვინც მცოდნეს ენდობა და მისი მითითების მიხედვით აკეთებს საკრავს.

– ღიას.

– მაშასადამე, ამა თუ იმ საგნის სრულქმნილებისა და ნაკლის შესახებ ამ საგნის გამკეთებელს სწორი წარმოდგენა ექმნება მცოდნესთან ურთიერთობის წყალობით და ძალაუვნებურად გაიზიარებს მის მითითებებს; მაგრამ მცოდნე მხოლოდ ისაა, ვინც ამ საგანს იყენებს.

– რა თქმა უნდა.

– რაც შეეხება მიმბაძველს, გამოცდილებით იძენს ცოდნას იმ საგნების შესახებ, რომლებსაც ხატავს, – რამდენად კარგი და სრულქმნილია თითოეული მათგანი, – თუ მცოდნესთან ურთიერთობის წყალობით იძენს სწორ წარმოდგენას მათზე და მცოდნისავე მითითებებს ეყრდნობა, თუ როგორ დახატოს ისინი.

- არც ერთის და არც მეორის წყალობით.
- ესე იგი. მიმბაძველს არც ცოდნა ექნება და არც სწორი წარმოდგენა იმ საგნების შესახებ. რომლებსაც ხაგავს.
- როგორც ჩანს. არა.
- დიდებული შემოქმედი კი უნდა იყოს ამნაირი მიმბაძველი.
- არც ისე.
- მაგრამ ის კელავაც მიბაძვეს საგნებს, თუმცა არ ეცოდინება მათი ავ-კარგი; ამიგომ, როგორც ჩანს, მშვენიერად წარმოგვიჩენს იმას, რაც მშვენიერად ესახება ბრბოს და უმეცართ.
- მეგის თავი რომ არა აქვს.
- ამ მხრივ. ეგყობა, სრულ თანხმობას მივაღწევთ: ჯერ ერთი, მიმბაძველმა ბევრი არაფერი იცის იმ საგნისა, რომელსაც ბაძავს და, ეგეც არ იყოს, მისი შემოქმედება დარბაისელი კაცისთვის შეუფერებელი ბავშვური თავმექცევაა. გრაგიკული პოემის ყველა შემოქმედი, მიუხედავად იმისა, იამბიკურ ლექსს იყენებს თუ ეპიკურს, უპირაგვ საღ მიმბაძველია.
- რა თქმა უნდა.
- კი მაგრამ. ზევსის გულისთვის, განა ამნაირი მიბაძვა რალაც ისეთს არ მიეპართება. რაც შესაძვე ადვილზე ღვას, ნამდვილი არსიდან მოყოლებული?
- ღაბ.
- მეორეს მხრივ. ადამიანის რომელ საწყისზე ახდენს მიბაძვე შემოქმედებას?
- რა გეშქმედებას გულისხმობ?
- აა. რას: ერთი და იგივე სიდიდე, იმის მიხედვით, შორიდან ვუყურებთ თუ ახლოდან. თანბბარი როდი ჩანს.
- შართლაც.
- შუსტალ ასევე. ხაგნები ან გეხილნი ჩანან, ან სწორნი, იმის მიხედვით, წყალში ეაკვრდებნთ მათ თუ წყლის ვარეთ, და მათი ჩაბნევილობაც და ამოშნევილობაც მსერას შადარობს შედეგია. რასაც ამავე საგანთა შეფერილობა იწვევს. ცხადია. რომ ამნაირი შადარობა ნიშნულია ჩვენი სულისთვის და ჩვენი ბუნების სწორედ ამ თავს-სიქურების ეშქარება შადარობაც შთავს თავისი ხიბლით. თვალთმაქცთა თინბაბობაც და სთვა მისთინანი.
- შართლს შრინან.
- ხაგნის ვანი ან შთარობის ვახაქარწყლებლად არ იქნა აღშონენილი ძალზე ქსიდითი სიშქაღუნის ვახილვის ვახილვისა თუ აწონის სახით? ასე რომ. ხევენ შთიარობა არა სიდიდის და სიბაქარავის სიშრავლისა და სიძიბის შიხვენებითი ექილყადილია. არსიდე ვახილვის ვახილვლაც და აწონის უბარა.
- რა იქნა უნდა
- ყოლოდითი კი კი სეენი სულის ენბერული ხაწყისის ხაწყვა. არა?
- რას ეკარგულია
- იმანი. ვახილვისი წყაღონით ან ხაწყისა აღშონენა. რომ შოგიერთი ხაგნა უგრი დავსია. სიდე - უგრო შაგარა სიდე კი - ერთბუნეთის გოლი, თუმცა ეს ხაგნება ისეადაროლად: ურთიყრისამირთამირო სახით წარმოგვიჩნდებთან ჩვენ.
- ფას.
- სეენ. კი ვახილყეენდით. რომ ერთსა და იმავე ხაწყისს ერთსა და იმავე დროს სეულყეილია იანი საამრისამირო. ისანი ექონდეს ერთსა და იმავე ხაგანზე.
- და შართლსაც ვიყვიეთ.
- შამბასადისე. სეენი სულის ის ხაწყისი, რომელაც ხაგნებზე შათი შომების ჰაპირას-ავროთა შაქლოდის. ხეუდღეილია იგიეობრადი იყოს იმ ხაწყისისა, ამ შომების შესა-ბახიბად. რომ ავიქეიბს ხაგნებს.
- რა იქნა უნდა, შეუდღეიელია.
- აა. რაც სეენს ვახილვას და ვახილვლას ენდობა, ჩვენი სულის უკეთესი ხაწყისია.

- უეჭველად.
- ხოლო ის, რაც ამას უპირისპირდება, უარესი საწყისი უნდა იყოს.
- უცილობლად.
- სწორედ ამ დასკვნისკენ მიმყავდი, როცა ვამტიყებდი, რომ მხატვრობის, ისევე, როგორც ყველა მიმბაძველობითი ხელოვნების ქმნილებები შორს დგანან სინამდვილისგან და მათ საქმე აქვთ ჩვენი სულის იმ საწყისთან, რომელიც ასევე შორსაა გონიერულობისაგან, რის გამოც შეუძლებელია ყოველივე იმის თანამდგომი და ხელშემწყობი იყოს, რაც ჯანსაღია და ჭეშმარიტი.
- მართლაც.
- ასე რომ, თავისთავად დაბალი მიმბაძველობითი ხელოვნება დაბალთანავე შეუღლების შედეგად დაბალსეუ აძლევს დასაბამს.
- როგორც ჩანს.
- ეს მხოლოდ იმ მიმბაძველობით ხელოვნებას ეხება, რომელსაც მგერით აღვიქვამთ, თუ იმასაც, სმენით რომ აღიქმება და პოეზია ჰქვია სახელად?
- ცხადია, ამ უკანასკნელსაც.
- ნუ ვენდობით მარტოოდენ მოჩვენებით მსგავსებას პოეზიას და ფერწერას შორის, არამედ განვიხილოთ სულის ის საწყისიც, რომელთანაც საქმე აქვს პოეტურ მიმბაძველობას, და ვნახოთ, ღირსეულია ეს საწყისი თუ უბადრუკი.
- ეს მართლაც უნდა ვნახოთ.
- მოდი, ასეთი კითხვა დავსვათ: მიმბაძველობითი პოეზია ადამიანს გვიხატავს როგორც იძულებით ან ნებსით მოქმედებს, ამ მოქმედების საფუძველზე კი ის ფიქრობს, რომ ან კარგად მოიქცა, ან ცუდად, და ყველა ამ ვითარებაში ან წუხს, ან ხარობს. თუ ის სხვა რამესაც გვიხატავს, გარდა ამისა?
- სხვას არაფერს.
- კი მაგრამ, ყველა ამ ვითარებაში ადამიანი აუშლვრეველი რჩება? თუ როგორც მგერით აღქმადი საგნების ჭერეგისას მასში თავს იჩენდა შინაგანი წინააღმდეგობა და ურთიერთსაპირისპირო წარმოდგენები ამ საგნებზე, თავის საკუთარ მოქმედებებთან მიმართებისას მისი სული ასეთსავე გაორებას განიცდის და ურთიერთსაპირისპირო შეხედულებათა ჭიდილის ასპარეზად იქცევა? თუმცა, გამახსენდა, რომ ახლა სულაც არ გვჭირდება ამის მტიყება, რადგანაც შემოთ ბევრი ვიმსჯელებთ და დაბეჯითებითაც დავასაბუთებთ, რომ ჩვენი სული სავსეა შინაგანი წინააღმდეგობებით, ერთდროულად რომ იჩენენ თავს.
- მართალია.
- ღიახ, მართალია, მაგრამ ჩემის აზრით, ახლა მაინც აუცილებლად უნდა განვიხილოთ ის, რაც მაშინ გამოგვჩა.
- რა?
- ჩვენ ვამბობდით, რომ ნამდვილი ადამიანი სხვებზე უფრო ადვილად იგანს თავს დატეხილ უბედურებას, ეთქვამთ, შვილის სიკვდილს თუ მისთვის რაღაც ძვირფასის დაკარგვას.
- რა თქმა უნდა.
- ახლა კი ესეც ვნახოთ: ამნაირი ადამიანი საერთოდ არ იგლოვებს (რაკილა ეს წარმოდგენილია), თუ გარკვეულწილად უფრო თავდაპირილი იქნება თავისი მწუხარების გამოხატვისას?
- ეს უკანასკნელი უფრო საეარაულოა.
- ამის შემდეგ ესეც მითხარი: როგორ გვონია, როდის დაუპირისპირდება უფრო მტიყედ თავის მწუხარებას და მეტ წინააღმდეგობას გაუწევს მას: ხალხის თვალწინ თუ როცა მარტოა?
- ხალხის თვალწინ.

- სიმარტოვეში კი, ჩემის ამრით, თავს ვეღარ შეიკავეს და მწარედ ატირდება, რასაც, ალბათ, ვერ გაბედავდა, რომ სკოდნოდა, ვიღაც მიყურებსო. და, საერთოდ, ბევრ ისეთ რამესაც ჩაიდენდა, რასაც ნამდვილად არ მიუტყებდა სხვებს.

- ასე, - თქვა მან.

- რაე მას აიძულებს წინააღმდეგობა გაუწიოს მწუხარებას, გონებაა და კანონი, ხოლო რაე მწუხარებისაკენ უბიძგებს, - თვით განჯვა?

- დიახ.

- მაგრამ რაკი აღამიანს ერთი და იმავე საბაბით ერთდროულად ორი ურთიერთ-საპირისპირო სწრაფვა აღეძერის, შეიძლება ითქვას, რომ მასში ორი სხვადასხვა საწყისი უნდა იყოს.

- რა თქმა უნდა.

- ერთი უსიტყვოდ ემორჩილება კანონის მბრძანებლურ კარნახს.

- როგორ?

- კანონი ბრძანებს, რომ უბედურებაში ყველაზე უკეთესია ინარჩუნებდე სიმშვიდეს და ვასაქანს არ აძლევედ მწუხარებას, რადგანაც არავინ იცის, რა არის კარგი და რა არის ცუდი ამამში, და რამდენიც არ უნდა ივალალო, მაინც ვერაფერს გახდები. აღამიანურ საქმეთაგან ერთიც არ იმსახურებს იმას, რომ მეტისმეტად დიდი მნიშვნელობა მიანიჭო, მწუხარება კი ხშირად აბრკოლებს იმას, რასაც შეეძლო მწედ მოგველენოდა ამნაირ ვითარებაში.

- რას გულისხმობ?

- საჭიროა გაეერკვეთ იმაში, რაე დაგვემართა; აქ, როგორც კამათლებით თამამში, ბედისწერის დარტყმებს უნდა დაუპირისპიროთ ყველა ის საშუალება, რასაც გონება მიიჩნევს უმჯობესად. პაგარა ბავშვებს ხომ არ უნდა ვემსგავსოთ, როგორც კი რამე დაუშაველბათ, მამინვე ხელს რომ იგაცებენ მტკივან ადვილზე და გულამოსკენილი გირიან. არა, უნდა მივაჩვიოთ სული იმას, რომ დაუყოვნებლივ შეუდგეს მკურნალობას, რათა აღიღგინოს დანაკარგი, დაიხსროს ტკივილი და წამლობით ჩაახშოს მწუხარე მოთქმა-გოდება.

- ყველაზე მართებული იქნებოდა ასე დაეხვედროდით ბედისწერის დარტყმებს.

- ჩვენი უკეთესი საწყისი სწორედ ასე მისდევს გონების ხმას.

- ცხადია.

- უარეს საწყისს კი, რომელიც არ ივიწყებს განჯვა-წამებას და ვერ ძლება მწარე გმინვით, ჩვენ უგუნურს, უქნარას და მხდალს ვუწოდებთ.

- დიახ.

- სულის აღგზნებადი საწყისი ხშირად ექვემდებარება მრავალფეროვან მიბაძვას, ხოლო გონიერული და თვინიერი მზე აღამიანისა, რომელიც ყოველთვის ინარჩუნებს თვითიგივეობას, ძნელი მისაბაძია, მაგრამ თუ მაინც მოახერხეს მისი მიბაძვა, ძნელად თუ ვინმე გაუტებს რასმე, მით უმეტეს სახალხო მვიმის ან თეატრალური წარმოდგენების დროს, სადაც უამრავი ხალხი იყრის თავს, რადგან მიბაძვა, რომელსაც ბრბოს შესთავაზებდნენ, მისთვის სრულიად უცხო სულიერი მდგომარეობის მიბაძვა იქნებოდა.

- დიახ, სრულიად უცხოში.

- ცხადია, მიბაძველ პოეტს ცოგა რამა აქვს საერთო სულის გონიერულ საწყისთან და მის დასაკმაყოფილებლად როდი სრულყოფს თავის ხელოვნებას, რადგანაც მხოლოდ იმას მიელტვის, რომ წარმატებას მიაღწიოს ბრბოის წინაშე. ის მხოლოდ აღგზნებად და ცვალებად მნეს მიმართავს, რომელიც ადვილად ექვემდებარება მიბაძვას.

- რა თქმა უნდა.

- მამასადამე, ჩვენ უფლება გვაქვს ხელი ჩავჭიდოთ ამნაირ პოეტს და მხატვრის გვერდით მიეუჩინოთ ადვილი, რომელსაც ძალიანა პგავს იმით, რომ, ჭემმარიტების თვალსაზრისით, უფასურ ნაწარმოებებს ქმნის, და იმითაც, რომ სულის იმავე საწყისთანა აქვს საქმე და არა უკეთესთან. ასე რომ, მართალნი ვიქნებოდით, თუკი

მას არ მივიღებდით ჩვენ მიერ დაარსებულ სახელმწიფოში, რომელსაც ბრძნული კანონები მართავენ; არ მივიღებდით იმიტომ, რომ აქემებს, ასაზრდოებს და ამტკიცებს სულის უარეს საწყისს, უკეთესს კი ღუპავს. ასეთია იმ სახელმწიფოს ხვედრიც, რომლის მმართველობასაც უღირსებს უგდებენ ხელში. ღირსეულებს კი მუსრს ავლებენ. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ასევე იქცევა მიმბაძველი პოეტიც, უარესი საწყისის წაქეზებით უკეთურ მმართველობას რომ ამკვიდრებს თვითთული ადამიანის სულში. საწყისისა, რომელიც ერთმანეთისგან ვერ ასხეაებს უდიდესსა და უმცირესს, ერთსა და იმავეს ხან ღიდად სახაეს, ხან კი – პაგარად, და ამრიგად ქმნის ხატებებს, რომლებიც ძალზე შორს არიან სინამდვილისგან.

– უცილობლად.

– მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ არ წაგვიყენებია პოემიისათვის ყველაზე მძიმე ბრალდება: მას შეუძლია თვით ნამდვილი ადამიანის სულიც კი შეზღალოს თავისი ზემოქმედებით, რასაც ძალზე ცოტანი თუ აღწევენ თავს. აი, რა არის ყველაზე საშინელი.

– თუ ასეა, უფრო საშინელი რა უნდა იყოს?

– მომისმინე და თავად განსაჯე: როცა ჩვენ შორის თვით ყველაზე უკეთესნიც კი კომეროსსა თუ რომელიმე სხვა გრაგიოს პოეტს უსმენენ, მწუხარებით შეპყრობილ გმირს რომ გეიხატავენ, რომელიც ბედის სამღურავით საესე სიგყვას წარმოთქვამს, სხეებს კი აიძულებს მარს ამბობდნენ და მჯიდს იყემდნენ მკერდში, – როგორც მოგეხსენება. ამ შთაბეჭდილებას აყოლილნი, გმირის განცდების კვალდაკვალ, თვითონაც ერთგვარ სიამოვნებას განვიცდით, მასთან ერთად რომ ეიტანჯებით და გულსაკლავად დაგვირით ყოველივე ამას. ჩვენ ვაქებთ და ვადიდებთ იმ პოეტს, რომელიც სწორედ ამ განწყობილებას იწვევს ჩვენში.

– როგორ არ მოგეხსენება.

– მაგრამ როცა უბედურება ჩვენ თვითონ გვატყდება თავს, შეგვიმჩნევია თუ არა, რომ სრულიად საპირისპირო ქცევით ვიკეხებით – ვცდილობთ შევინარჩუნოთ სიმშვიდე და აუმღვრეველობა, როგორც შემვენის კაცს, ხოლო ის, რასაც ზემოთ ვაქებდით, ქალებისთვისაა ნიშნული.

– როგორ არ შემიმჩნევია.

– მერედა, განა მოსაწონია იმისი ქება, ვისი დანახვაც არამცთუ გვანატრებინებს, ნეტავი შენ გვაძელო, თვით ამის გაფიქრებაც კი სირცხვილით დაგწვავს, – ღიახ, ვისი დანახვაც, ნაკვლად იმისა, რომ მიზღს ჰკვრიდეს, სიამოვნებას ანიჭებდეს და ქების ღირსად მიაჩნდეს ხალხს?

– არა, ვფიცავ გეგს, უაზრობას უფრო კვავს.

– ღიახ, თუ ამ მხრივაც შეხედავ საქმეს...

– რა მხრივ?

– თუ დაუკვირდები, ამ შემთხვევაში პოეტები სიამოვნებას ჰკვრიან და ატკობენ ჩვენი სულის იმ საწყისს, რომელსაც ჩვენი საკუთარი უბედურების დროს ყოველნაირად ვცდილობთ თავი დაუჭიროთ და გასაქანი არ მიეუთ; არადა, თავისი ბუნებრივი მიდრეკილების გამო, სწორედ მას სურს გირილით მოიხოს და მწუხარებით იჯეროს გული. მეორეს მხრივ, ჩვენი სულის უკეთესი საწყისი, ჯერ კიდევ არასაკამარისად განმტკიცებული გონებისა და ჩვეულების მიერ, თავის ზედამხედველობას ასუსტებს ამ მოტირალ საწყისზე და სხვისი ვნებების შემყურეს ჰგონია, თითქოს თვითონ მას სრულიადაც არ ბღალავს იმითი ტკობა, რომ ეს სხვა, თუნდაც სიქველემედაც დებდეს თავს, ღირსეულად ვერ გამოხატავს თავის მწუხარებას; ამიტომაც აქებს, თანაუღმობს და იმასაც კი ფიქრობს, რომ ეს თვითონ მასაც ამღიდრებს. ასე რომ, არასდიდებით არ ისურვებდა თავისი მიზლი გამოეხატა მთელი ნაწარმოების მიმართ, და, ამრიგად, მოელო ეს სიამოვნება. მე გგონია, იშვიათად თუ ვინმე უწევს ანგარიშს იმას, რომ სხვისი განცდები გადამდები ძალით მოქმედებენ ჩვენზე: თუკი ისინი მძაფრ სიბრალულს აღძრავენ სულში, ძნელია თავი დავაღწიოთ ასეთსავე სიბრალულს ჩვენი საკუთარი უბედურებისა.

- მართალს ბრძანებ, - თქვა მან.

- განა იგივე არ ითქმის იმაზე, რაც სასაყილოა? თუკი, ერთის მხრივ, უფრო იმას, ვაითუ ხალხი ვაცირო, მეორეს მხრივ კი სიამოვნებით უყურებ კომიკურ წარმოდგენებს ან ვიწრო წრეში ავყიათა უკვან ლიბლობას, მაგრამ, როგორც უკეთურს, მიზლით არ უყურებ ამას. მაშინ მუსტად ისე იქცევი, როგორც გულის აჩუყებისას. შენ გონებით ირგუნავ ღლაბუისა თუ ქილიკის ეინს, მაგრამ მემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში სრულ გასაქანს აძლევ მას, და ხშირად, შინაურებს შორის, შენდა შეუმჩნეულად თვითონვე იქცევი კომედიების მთხვეულად.

- მართლაც.

- სიყვარული, მრისხანება, სულის ყველა სასიამოვნო თუ უსიამოვნო ენება, რაც, ჩვენი მტკივნეობით, თან ახლავს ჩვენსავე მოქმედებას, - ყოველივე ეს პოეტურ მიზნაძველობას იწვევს ჩვენში. ის ასაზრდოებს და რწყავს ყოველივე იმას, რაც აჯობებდა დამკნარაიყო, და ჩვენს სულს მათ მბრძანებლობას ეუქვემდებარებთ, თუმცა ჩვენ თვითონ უნდა მოგვეთოკა ისინი, რათა უკეთესობას და ბედნიერებას ვწოდოთ, ნაცულად იმისა, რომ უარესნი და უბედურნი ვყოფილიყავით.

- სხვა რამეს ვერც ვიგყოლი.

- ამრიგად, როცა პომეროსის თაყვანისმცემლებს შეხედები, გლავკონ, რომლებიც ამტკიებენ, რომ ამ პოეტმა აღმარდა ელადა და ადამიანურ საქმეთა წარმართვისა და განათლებისათვის გულმოდგინედ უნდა ვსწავლობდეთ მას, რათა მის სიბრძნეს შეუწონოთ მთელი ცხოვრება, - კეთილმოსურნედ და ალერსიანად მოეპყრო მათ, ვინაიდან ისინი, შეძლებისდაგვარად, შესანიშნავი ადამიანები არიან, დაუთმე და დაეთანხმე ამ ხალხს, რომ პომეროსი ყველაზე დიდი შემოქმედი და გრავიკოსთა შორის პირველი პოეტია, მაგრამ ნუ დაგვიწყდება, რომ ჩვენს სახელმწიფოში მისაღებად მიგვაჩნია მხოლოდ ღმერთებისადმი მიძღვნილი ჰიმნები და კეთილშობილ კაცთა სახობგო სიმღერები. ხოლო თუ მათ მაგივრად ვნებიან მუშას მიიღებ, გინდ მელიკური იყოს და გინდ ეპიკური, მაშინ სახელმწიფოში სიამოვნება და განჯევა გავბატონდება კანონისა და მოვადი საწყისის ნაცულად, რაც, საყოველთაო აღიარებით, ყოველთვის ყველაფერზე უმჯობესია.

- მართალს ბრძანებ.

- დაე, ეს იყოს ჩვენი თავისმართლება პოეზიის წინაშე, სახელმწიფოდან რომ გავაძევეთ მისი ბუნების გამო. საამისოდ ხომ საკმაო საფუძველი გვექონდა. მაგრამ სისასტიკესა და გაუთლელობაში რომ არ დაგვდოს ბრალი, აქვე დავძენთ, რომ ოლითგანვე შეინიშნება ერთგვარი უთანხმოება ფილოსოფიასა და პოეზიას შორის. მრავალრიცხოვანი ანდაბები, როგორც მაგალითად, - „აი, ძაღლი, პატრონს რომ უღრენს და უყეფს“, „დიდი კაცია ბრიყვთა ფუჭსიგყვაობაში“, „ბრძენკაცთა ბრბო ზეესაე სძლევს“ და სხვა მისთანანი ნათლად მოწმობენ მათ ძველისძველ უთანხმოებას. და მაინც, თუ მიზნაძველობითი პოეზია, რომელიც მიზნად ისახავს ხალხის გართობას. ერთ საბუთს მაინც მოიგანს იმის დასგურად, რომ ის საჭიროა სრულყოფილი წყობილების მქონე სახელმწიფოში, ჩვენ სიამოვნებით მივიღებთ მას. თვითონვე ეაღიარებთ, რომ მოწმობენ ვართ მისი ხიბლით. მაგრამ იმისი დალაგა, რაც ჭეშმარიტია, მკრეხელობაა. ისე კი, ჩემო მეგობარო, განა შენც არ გხიბლავს პოეზია, მით უმეტეს, როცა პომეროსის პოეზიას ეხება საქმე?

- პირდაპირ მაჯადოებს.

- ამრიგად, თუ ის გამართლდება, სულერთია, მელიკურ პოეზიას ეიგულისხმებთ თუ რომელიმე სხვა მონით გამართულს, რა თქმა უნდა, განდევნილობიდან დაბრუნების უფლებას მოიპოვებს.

- აუცილებლად.

- ხოლო პოეზიის იმ დამცველებს, რომლებიც პოეტები კი არა. პოეტების მოყვარენი არიან, ჩვენ საშუალებას მივეძმეთ თუნდაც პროზით დაიცვან იგი და დაგვიმტკიონ, რომ პოეზია არა მარტო სასიამოვნოა, არამედ სასარგებლოც როგორც

სახელმწიფოს, ისე ადამიანის ცხოვრებისთვისაც. მართლაცა, ხომ გავმდიდრდებოდით, ის არა მარტო სასიამოვნო, სასარგებლო რომ ყოფილიყო?

- რა თქმა უნდა.

- მაგრამ თუ მისი დაცვა შეუძლებელი შეიქნა, მაშინ, ჩემო ძვირფასო მეგობარო, იმ შეყვარებულებივით უნდა მოვიქცეთ, ოდესღაც რომ უყვარდათ, მერე კი გადაწყვიტეს, რომ ეს სიყვარული უსარგებლო იყო მათთვის, და, მართალია, დიდი ძალისხმევის შედეგად, მაგრამ ბოლოს მაინც უარყვეს იგი. ასე ჩვენშიც - დღევანდელ მშვენიერ სახელმწიფოთა მიერ აღზრდილებშიაც ღვივის სიყვარული ამ პოეზიის მიმართ და ჩვენ წარმატებას ვუსურვებთ მას, ესე იგი, გვინდა, რომ ის არა მარტო საუცხოო, არაშედ ჰემმარიტიც იყოს. მაგრამ ვიდრე თავი არ უმართლებია, ყოველთვის, როცა იძულებულნი ვიქნებით მოეუსმინოთ, მისი ხიბლისაგან თავის დასაცავად შელოცვასავით გავიმეოროთ ის მოსაზრებები, რომლებმედაც წვდან ემსჯელობდით, და ყოველნაირად ვეცადოთ კვლავ ამ ბალღური სიყვარულის მახეში არ გავებათ. შეუძლებელია სერიოზულად იფიქრო, თითქოს ამნაირი პოეზია სერიოზულია და ჰემმარიტების წვდომას ცდილობს. მის მსმენელს სიფრთხილე მართებს, რათა მტკიცედ დაიწყას თავისი სულიერი სამყარო და სახელმძღვანელო წესად აქციოს ის, რაც ჩვენ მიერ პოეზიაზე ითქვა.

- გეთანხმები.

- ეს სასტიკი ბრძოლა, ჩემო ძვირფასო გლაკონ, გაცილებით უფრო სასტიკი, ვიდრე ერთის შეხედვით ჩანს, იმის გამო მძვინვარებს, კეთილი უნდა იყოს კაცი თუ უკეთური. ასე რომ, არც პატივი, არც სიმდიდრე, არც სხვა რამ ძალაუფლება და, ასე განსაჯე, არც პოეზია არა ღირს იმად, რომ მათი გულისთვის უგულებელყოფდეთ სამართლიანობას და ყველა სხვა სიქველს.

- გეთანხმები, ყოველივე იმის საფუძველზე, რაც ზემოთ ითქვა და, ვფიქრობ, ასევე დაგეთანხმებიან ყველანი.

- მაგრამ ჯერ კიდევ არ განგვიხილავს სიქველის ყველაზე დიდი საზღაური და მისთვის დაწესებული ჯილდო.

- რაღაც ღიადს უნდა გულისხმობდე, თუკი ზემოთ ჩამოთვლილ ჯილდოებს აღემატება.

- დიადი რა უნდა იყოს ესოდენ მოკლე დროში? განა ჩვენი სიცოცხლის ყაელი, სიყრმიდან სიბერემდის, უბადრუკი არ არის მარადისობასთან შედარებით?

- უმნიშვნელო და უბადრუკი.

- მერედა, როგორ გგონია, უკედავი არსება მარადისობაზე კი არა, დროის ამ უბადრუკ შუალედზე უნდა გრუნაედეს?

- მე გგონია, მარადისობაზე; მაგრამ მაინც რას გულისხმობ?

- ნუთუ ვერა გრძნობ, რომ ჩვენი სული უკედავია და არასოდეს არ იღუპება?

თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ

არისტოტელე

(ძვ.წ. 384-322)

ძველი სამყაროს ეს უდიდესი მოაზროვნე თავის თავს პლატონის მოწაფედ მიიჩნევდა, თუმცა მოძღვრის იდეალისტურ კონცეფციას არ იზიარებდა. თრაკიის ქალაქ სტაგირაში დაბადებული (ამიგომ მას სტაგირელ ფილოსოფოსადაც მოიხსენიებენ) მრავალმხრივ განათლებას ემიარა ათენში, სადაც მოგვიანებით საკუთარი სკოლა დააარსა. ლიკეონად სახელდებული, რომელსაც პერიპატეტიკოსთა (მოსეირნეთა) სკოლასაც უწოდებენ. ენციკლოპედიური განათლების მქონე სწავლული წერდა თხზულებებს ფიზიკის, ლოგიკის, მემცნების თეორიის, ეთიკის, პოლიტიკის, რიტორიკის, მეტეოროლოგიის, ზოოლოგიის და სხვა სფეროებში. მან ჩამოაყალიბა ყოველგვარ ფორმას და თვისებას მოკლებული პირველადი მატერიის თეორია. *Materia prima*, არისტოტელეს თანახმად, არის სრული პოტენციურობა, რომელსაც შეუძლია მიიღოს ნებისმიერი ფორმა. ანუ ფორმა არის მატერიის პოტენციის გამოვლინება. პირველადი მატერიის თეორია არისტოტელეს ფილოსოფიის საფუძველია.

სახელოვანი სტაგირელის ესთეტიკური შეხედულებანი წარმოდგენილია თხზულებებში: „*რიტორიკა*“ და „*პოეტიკა*“. ამ უკანასკნელს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ლიგურატურის თეორიის თვალსაზრისით. არ ასახელებს რა პლატონს, არისტოტელე ფარულად ეკამათება თავის მოძღვარს. მისი თეორია, არსებითად, პლატონის შეხედულებათა კრიტიკაა.

ლიგურატურის წინამორბედ თეორეტიკოსთა თანახმად, არისტოტელესაც მიაჩნია პოეზია „მი ბ ა ძ ე ა ლ“ ანუ „მი მ ე ს ი ს ა ლ“. მაგრამ იმაზე, თუ რა შეიძლება იყოს ამ „მიმესისის“ ობიექტი, იგი საკუთარ მოსაზრებებს გეთავაზობს. პლატონისაგან განსხვავებით. არისტოტელე ასახულებს, რომ ხელოვნება სინამდვილეს ასახავს (თავი I) და მას შემეცნებითი ხასიათი აქვს (თავი IV). „მიმესისის“, რომელსაც პლატონი მიბაძვის მიბაძვად აღიქვამდა, რის გამოც ჭეშმარიტების წვდომის ფუნქციას ართმევდა, არისტოტელე პოეტური ხელოვნების ღირსების განმსაზღვრელად მიიჩნევს. მისთვის პოეტური მთავონება ირაციონალური ექსტაზით გამოწვეული აქტი კი არ არის, არამედ ინტელექტუალურ-მეშეცნებითი პროცესია, რომელიც ეფუძნება შემოქმედისათვის ბუნებით მიმდებლელ ნიჭს – მიბაძოს სინამდვილეს.

„*პოეტიკა*“ არისტოტელს ორ წიგნად დაუწერია. ჩვენამდე მხოლოდ პირველი წიგნი შემორჩა. იგი კონსპექტის მთაბეჭდილებას გოვებს, რთულად იკითხება და, როგორც ჩანს. არც იყო გამოსაქვეყნებლად გამიზნული. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ სტაგირელი მოაზროვნის ეს კონსპექტი მთელი ევროპული პოეტიკის საუკუძღვალად იქცა.

პოეტიკა

I

ჩვენ ვილაპარაკებთ როგორც პოეზიაზე საერთოდ, ისე მის ცალკეულ სახეებზედაც: ვიგყვიოთ. რა მნიშვნელობა აქვს თითოეულ მათგანს და როგორ უნდა ითხზებოდეს უაბულა პოეტური ქმნილების სრულყოფის მიზნით; ვიგყვიოთ აგრეთვე, რამდენი და რანაირი ნაწილებისაგან შედგება პოეტური ნაწარმოები და ბევრ სხვა რამესაც, რაც უშუალოდ უკავშირდება ამავე საკითხს. ხოლო ჩვენს სიტყვას, რა თქმა უნდა, ყველაზე არსებითით დავიწყებთ.

ეპოპეა და გრაველია, ისევე როგორც კომედია, ღითირამბული პოეზია და ავლენიკისა თუ კითარისტიკის უმეტესი ნაწილი, – ყოველივე ეს, კაცმა რომ თქვას. სხვა არა არის რა, თუ არა მიბაძვა, ხოლო ერთმანეთისაგან ისინი სამი რამით

განსხვავდებიან: ან იმით, რითაც ბაძავენ, ან იმით, რასაც ბაძავენ, ანდა იმით, როგორც ბაძავენ. და როგორც ზოგი ხელოვანი თავისი ხელოვნების, ჩვევისა თუ ბუნებრივი ნიჭის წყალობით ბევრ რასმე ბაძავს, როცა ფერებითა და ფორმებით ქმნის მისაბამ საგანთა ხატებს, – მუსტად ასევე ხორციელდება მიბაძვა ხელოვნების ყველა შემოხსენებულ დარგშიც. ყოველი მათგანი რიგშით, სიტყვით და პარმონიით ბაძავს, ან სამივეთი ერთად, ან თითოეულით ცალ-ცალკე. ასე მაგალითად, მარტოოდენ პარმონიას და რიგმს იყენებენ ავლეგია, კითარისტიკა და მუსიკალური ხელოვნების ზოგიერთი სხვა დარგი, ვთქვათ, სალამურზე დაკვრის ხელოვნება. მხოლოდ რიგშით, პარმონიის გარეშე, ბაძავენ მოსეკეავენი, რომელნიც გამომსახველობითი რიგმული მოძრაობებით წარმოსახავენ ხასიათებს, განცდებს, ქმედებებს. სიტყვიერი შემოქმედება კი იყენებს პროზაულსა თუ სალექსო საშობით გამართულ პოეტურ სიტყვას; ამასთან, ის ხან რამდენიმე სალექსო საშობის მონაცელებობას ახდენს, ხან კი მხოლოდ ერთ საშობს ხმარობს. ამიგომაა, რომ დღემდე არ ხერხდება მისი განსაზღვრა. და მართლაც, ჩვენ ხომ არ შეგვიძლია ერთი და იგივე სახელი ვუწოდოთ სოფრონისა თუ ქსენარქეს მიმებს, სოკრატულ საუბრებსა და მიბაძვის ზოგიერთ სახეს, ვთქვათ, გრიმეტრებით ან ელეგიური თუ რომელიმე სხვა საშობით გამართულ ქმნილებებს. მაგრამ კაცნი, სალექსო საშობს სიტყვა შექმნას (პოიენ) რომ უკავშირებენ, ზოგს ელეგიების შემოქმედს (ელეგეოპოიოს) უწოდებენ, ზოგსაც ეპოსის შემქმნელს (ეპოპოიოს) და ამრიგად, შემოქმედის, პოეტის (პოიეტეს) სახელს მიბაძვის არსის მიხედვით კი არ აკუთვნებენ მათ, არამედ – საერთო საშობის მიხედვით. ასე რომ, თუ ვინმე ლექსის ფორმით გამოაქვეყნებს სამედიცინო ან საბუნებისმეტყველო ხასიათის თხზულებას, ისინი მასაც პოეტის სახელით იხსენიებენ, თუმცა პომეროსს და ემპედოკლეს არაფერი აქვთ საერთო, სალექსო საშობის გარდა. ამიგომაც მართებული იქნება, თუ მხოლოდ პირველს ვუწოდებთ პოეტს, მეორეს კი უმალ ბუნებისმეტყველად უნდა ეთვლიდეთ, ვიდრე პოეტად. მუსტად ასევე, თუ ვინმე ყველა სალექსო საშობის შერწყმა-შერევით განახორციელებს თავის მიბაძვას, როგორც მოიქცა ხერემონი რაფსოდია „ენტაერის“ თხზვის დროს, რასაკერძეულია, ისიც პოეტად უნდა მიგვაჩნდეს.

ამ საკითხზე საკმარისად ეილაპარაკეთ. მაგრამ არის ხელოვნების ზოგიერთი სხვა დარგი, რომელიც იყენებს ყველა შემოხსენებულ საშუალებას: რიგმს, მელოდიას, მეტრს. ასეთია, მაგალითად, ღითორამბული პოეზია და ნომების პოეზია, გრაველია და კომედია. ხოლო ისინი ერთმანეთისაგან იმით განსხვავდებიან, რომ ზოგიერთი მათგანი იყენებს უკლებლივ ყველა საშუალებას, ზოგიერთი კი მხოლოდ ნაწილობრივ. აი, რა განსხვავებას ვგულისხმობ მე ხელოვნების სხვადასხვა დარგთა შორის, იმის მიხედვით, თუ რა საშუალებებს მიმართავენ ისინი მიბაძვისას.

II

რაკიდა ყველა მიბაძველი მოქმედ პირთ ბაძავს, რომელნიც, აუცილებლად, ან კეთილნი არიან, ან უკეთურნი (ყოველი ხასიათისათვის მეტნაკლებად ნიშნეულია მარტოოდენ ეს ორი თვისება, რადგან ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ხასიათის სიქველთით თუ ბიწირებით), – ამიგომ მიბაძვის შედეგად ისინი წარმოგვიდგებიან ან როგორც ჩვენზე უკეთესნი, ან უარესნი, ან ისეთნი, როგორიც ჩვენ ვართ. ასეა მხატვრობაშიც: პოლიგნოტეს ქმნილებებში ადამიანები უფრო უკეთესნი არიან, ვიდრე სინამდვილეში, პაესონისაში – უარესნი, ხოლო დიონისიოსის ქმნილებებში – მდმიწუნით ჩვენი მსგავსნი. ცხადია, ასეთივე განსხვავება იარსებებს მიბაძვის ყველა შემოხსენებულ სახეთა შორისაც; თითოეული მათგანი იქნება ის, რაც არის, და არა სხვა რამე, სწორედ მიბაძვის საგნის მიხედვით. ეს განსხვავება თავს იჩენს ეკევაშიც და ფლეიტასა თუ კითარაზე დაკვრის ხელოვნებაშიც. იგივე ითქმის პროზაული თუ ლიგონი პოეტური სიტყვის მიმართაც: ასე მაგალითად, პომეროსის გმირები უკეთესნი არიან, კლეოფონისა – ჩვენი მსგავსნი, ხოლო პირველი პაროდისტის – ჰეკემონ თასოსელისა და „დელიადას“ აეგორის – ნიკობარეს გმირები – უარესნი. ამ მხრივ, არც

დათირაპბები და ნომებია გამონაკლისი: გავისხენოთ, თუნდაც, გიმოთესა და ფილოქსენეს „სპარსელები“ და „კიკლოები“. ასეთივე განსხვავებება კომედიასა და გრაგედისა შორის: პირველს სურს წარმოვეცისახოს უარესნი, ხოლო მეორეს – უკეთესნი, ვიდრე ჩენი თანამედროენი არიან.

III

არსებობს შესაძვე განსხვავებაც მიბაძვის ამ სახეთა შორის, სახელდობრ, ხერხი, როპლითაც ბაძავს თითოეული მათგანი. და მართლაც, ხომ შეიძლება მიბაძო ერთსა და იმავე საგანს ერთი და იმავე საშუალებით, მაგრამ სხვადასხვა ხერხით: ასე მაგალითად, ამა თუ იმ ამბის გადმოცემისას ან შენი პიროვნების მიჩქმალვით, თითქოს სხვისი პირით მოგვიტხრო მასზე, როგორც იქცევა პომეროსი, ან – პირადად, შენივე პირით და, ამრიგად, სხვა ვინმედ არ იქცე, ანდა წარმოგვიდგინო შენი გმირები როგორც მოქმედნი და ქმედითნი.

აი, ამ საში ნიშნით განსხვავდება მიბაძვის ყველა სახე ერთმანეთისაგან, კერძოდ, როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, მიბაძვის საშუალებით, საგნით და ხერხით. ასე რომ, სოფოკლე, ერთის მხრივ, შეიძლება გაიგივებულ იქნეს პომეროსთან, ვინაიდან ორიენი რჩეულთ ბაძავენ, ხოლო მეორეს მხრივ, არისგოფანესთან, ვინაიდან ორივეს გმირები მოქმედნი არიან და ქმედითნი. მოგიერთის ამრით, სწორედ აქედან წარმოსდგება ამ ნაწარმოებთა საერთო სახელი – „დრამა“, ვინაიდან ისინი მოქმედ პირებს გვხვბავენ. აი, რაგომბა, რომ ღორიელებს გრაგედისა და კომედის შემქმნელბად მოაქეთ თაეი. კერძოდ, აქაური მეგარელები თაეიანთ თაეს მიაწერენ კომედის შექმნის პატივს და ამტკიეებენ, რომ ის მათი ღემოკრატიული წყობილების ღროიდან ილებს დასაბამს. მაგრამ ამავე პატივს იჩემებენ სიცილიელი მეგარელებიც, ვინაიდან მათი თანამემამულე იყო პოეტი ეპიქარმე, რომელიც ხიონიღესა და მაგნესზე გაიღლებით აღრე ცხოვრობდა. ხოლო გრაგედის საკუთარ ქმნილებბად მიიჩნესს პულოპონესის მოგიერთი ღორული მოღგმის გომი. თაეიანთი ამრის დასამტკიეებლად ისინი ეგემოლოგიებს იშველიებენ. მათი სიგყეით, ქალაქების ირგვლიე მღებბარე პაგარა სოფლებს ისინი კომებს უწოღებენ, ათენელები კი – ღემოსებს, ასე რომ, კომედიანტების სახელი მშნისაგან „კომბაძინ“ კი არ წარმოსდგება, არამედ ქალაქში ხელმოყარული მსახიობების კომებიდან კომებში ხეგიალისგან. გარდა ამისა, ცნებბას „მოქმედება“ ღორიელები გამოხბაგავენ მშნით „ღრან“, ხოლო ათენელები – მშნით „პრაგტინ“.

ამრიგად, ჩვენ გავარკეეეთ, რამღენი და რა სახის განსხვავებბანი არსებობს მიმბაძველობითი ხელოვნების სხვადასხვა ღარგთა შორის.

IV

როგორც ჩანს, პოეტიური ხელოვნების წარმოშობა, საერთოდ, ორბა ბუნებრივბა მიზეზბა განბპირობბა. ჯერ ერთი, მიბაძვა ბავშვობიღანვე თანღაყოლილი თვისებბაა აღამიანებისბ, რომლებიც ღანარჩენი ცხოველებისბგან იმით განსხვავებღბიან, რომ ყვეღბზე მეტ მიღრეკილებბს ამქღღენებენ მიბაძვისბღამი. სწორედ მიბაძვის წყალობით იტყენ ისინი პირველღაწყებით ცოღნას. მეორეე, მიბაძვის ნაყოფი ყვეღას სიბამოენებას პგერის. ამბს გვიმოწმებს ჩენი ყოველღღიური გამოციღლება. და მართლაც, ჩვენ სიბამოენებით ვუქტერთ ყოველივე იმის მუსტ ასლს, რისი ცქერაც სინამღვიღემი უსიბამოენობ, მბვალითად, ბიღწი ცხოველებისბ და გვბამების გამოსახულებებს. ამის მიზეზი კი ისბა, რომ ცოღნის შეძენბ სსიბამოენობ არბ მარგო ფილოსოფოსთათვის, არამედ სხეებისთვისბ, თუმცღღა ეს უკბნასკნეღნი ნაკლებ ღროს უთმობენ ამბს. გამოსახულებების ცქერბ აღამიანებს იმიგომ ანიჭებს სიბამოენებას, რომ ამ ღროს ისინი იმტყსებენ და განსჯის გბით ასკენიან, რბს წარმოაღგენს ესბ თუ ის გბმოსახულებბ, ასე მბვალითად: „ესბ და ეს გამოსახბავს ამბს და ამბს“. ხოლო თუ მბთ აღრე არ უნბხბეუთ გამოსახული სბგანი, მბმინ მისი გამოსახულების ცქერისბს ისინი

მიბაძვის სიზუსტით კი არ რჩებიან ნასიამოვნები, არამედ შესრულების სიუაქიბით, ფერებით ან სხვა რამ ფაქტორით.

ვინაიდან მიბაძვის ნიჭი ბუნებით თანდაგვეყვა ჩვენ, ისევე როგორც პარმონიისა თუ რიგმის გრძნობა (ხოლო ყველა სალექსო საზომი რომ რიგმის ნაწილია, ეს ცხადია თავისთავადაც), ამიგომ მათ, ვინც თავიდანვე ამჟღავნებდნენ ამის უნარს, თანდათანობით განავითარეს პირველი პოეტური იმპროვიზაციები და, ამრიგად, დასაბამი მისცეს პოეზიას, რომელიც, პოეტთა შინაგანი ბუნების მიხედვით, შემდეგ სახეებად დანაწევრდა: ყველაზე ღირსეულმა პოეტებმა დაიწყეს კეთილ ქმედებათა და კეთილმოქმედ კაცთა მიბაძვა, ნაკლებ ღირსეულებმა კი უკეთურ კაცთა ქმედებანი გაიხადეს მიბაძვის საგნად. ეს უკანასკნელნი თავდაპირველად თხზავდნენ სათრეველ ლექსებს, ხოლო პირველნი – პიმნებსა და სახოტბო სიმღერებს. ჰომეროსამდე ჩვენ ვერ დავასახელებთ ვერცერთ სატირულ ქმნილებას, თუმცაღა, მათი რიცხვი, ალბათ, არც ისე უმნიშვნელო იყო, ჰომეროსის შემდეგ კი შეგვიძლია დავასახელოთ, მაგალითად, მისი „მარგიტი“ და სხვა მისთანანი. სათრეველმა ლექსმა თან მოიგანა სათრეველი საზომი, რომელსაც დღეს იამბიკურს ვუწოდებთ, ვინაიდან ამ საზომით ათრევედნენ და დასცინოდნენ ერთიმეორეს. ამრიგად, ძველ პოეტთაგან ზოგი პეროიკული პოემების ავტორი გახდა, ზოგიც – იამბიკური ქმნილებებისა. ხოლო ჰომეროსი, რომელსაც ბადალი არ მოეძებნა სერიოზული პოემიის დარგში, ვინაიდან მან არა მარტო დიდებული პოემები დაწერა, არამედ დრამატული სახეებიც შექმნა, – ასევე პირველობს პოემიის მეორე დარგშიც, ვინაიდან პირველმა ჩამოაყალიბა კომედიის ზოგადი სქემა და საძრახისი კი არა, სასაილო დასახა კომიკური მიბაძვის საგნად. ასე რომ, მის „მარგიტესა“ და კომედიებს შორის ისეთივე დამოკიდებულება არსებობს, როგორც ტრაგედიებსა და „ილიადასა“ და „ოდისეას“ შორის. ხოლო როდესაც დაიბადა ტრაგედია და კომედია, მამინ, პოემიის ამა თუ იმ დარგისადმი ბუნებრივი მიდრეკილების მიხედვით, ზოგიერთმა პოეტმა იამბების ნაცულად კომედიის წერას მიჰყო ხელი, ზოგიერთმა კი ეპოსის ნაცულად – ტრაგედიის თხზვას, ვინაიდან პოემიის ორი უკანასკნელი დარგი პირველ ორზე უფრო მნიშვნელოვანია და ფასეული.

სხვა საკითხია, მიადწია თუ არა ტრაგედიამ განვითარების საბოლოო საფეხურს, როგორც თავისთავად, ისე თეატრთან მიმართებით. ტრაგედიის, ისევე როგორც კომედიის საწყისი იმპროვიზაციაა, რადგან პირველი დითირამბების ექსარქონტთაგან იღებს დასაბამს, ხოლო მეორე – ფალიკური სიმღერების ექსარქონტებისგან; ამ სიმღერებს დღესაც ასრულებენ ელადის ბევრ ქალაქში. შემდეგ ტრაგედია ნელ-ნელა გაიზარდა მისი შინაგანი შესაძლებლობების თანდათანობითი განვითარების გზით და მრავალი სახეეკილების შედეგად თავისი დღევანდელი, ბუნებრივი სახე მიიღო. ესქილე იყო პირველი ტრაგიკოსი, რომელმაც ერთის ნაცულად ორი მსახიობი შემოიყვანა სცენაზე; მანვე შეამყარა ქოროს პარტია და არსებითი მნიშვნელობა მიანიჭა დიალოგს. სოფოკლემ სამამდე გაზარდა მსახიობების რიცხვი და მხატვრულად გააფორმა სცენა. ტრაგედიამ შედარებით გვიან აიღო ხელი მოკლე მითების დამუშავებასა და თავისი პირველსაწყისის – სატირული პოემიისათვის დამახასიათებელ სახეშარო სტილზე, შედარებით გვიან მიადწია თავის აწინდელ სიდიადეს, ხოლო მისი სალექსო საზომი ტეტრაამეტრის ნაცულად იამბიკური ტრიმეტრი გახდა. ტრაგიკოსები სწორედ ტეტრაამეტრს იყენებდნენ თავდაპირველად, ვინაიდან თვითონ პოემია სატირული იყო და უფრო მეტად ეხამებოდა ექევას. დიალოგების შემოღების შემდეგ კი თვითონ ბუნებამ იზრუნა იმაზე, რომ სათანადო საზომი გამოეძებნა. და მართლაც, იამბი ყველა მეტრზე მეტად შეჰფერის სასაუბრო ენას. ამის საბუთად გამოდგება თუნდაც ის, რომ საუბარში ყველაზე ხშირად იამბებს ეხმარობთ, ხოლო დაქტილებს – ძალზე იშვიათად, მაგრამ ამ იშვიათ შემთხვევებშიც კი ვარდევით ხოლმე მეტყველების ბუნებრივ რიტმს. დასასრულ, შეიძლებოდა გვეთქვა, როგორ გაიზარდა ეპიკოსების რიცხვი და როგორ დაიხვეწა ყოველივე ის, რაც ამკობს და

სრულყოფილს ხდის გრაველიის ცალკეულ ნაწილებს, მაგრამ ყველაფრის დაწვრილებით განხილვა შორს წაგვიყვანდა.

V

როგორც აღვნიშნეთ, კომედია ბიწიერ კაცთა მიბაძვავა, მაგრამ ის ბაძავს არა მთელს მათ ბიწიერებას. არამედ მხოლოდ მოვიერთ იმ ნაკლს, რომელშიაყ სასაცილო სპარკიხინოს ნაწილად გვევლინება. ხოლო სასაცილო ერთგვარი შეცდომაა, ან კიდევ გარეგანი თუ შინაგანი მანიკიერება, რომელიც არაყვის არ აყენებს ტკივილს ან მომაკედანებელ ენებას. ასეთია, თუნდაც, კომიკური ნიღაბი, რომელიც, თავისთავად, სპარკიხინოა და უმგავსი, მაგრამ განჯვას კი არ გამოხატავს.

გრაველიის სახეეულილებანი და ამ ცელილებების მოქმედთა სახელები ჩვენთვის ცნობილია. რასაც ვერ ვიგყვით კომედის მიმართ, ვინაიდან მას თავდაპირველად ვაყილებით ნაკლებ ყურადღებას აქეუვდნენ. ქორო რომ ქოროა, კომედისათვის მისი მიეკვამე კი ძალზე ვიან დაიწყო არქონგმა. ამიგომაც პირველი ქორევეგები სყენის-მყვარე მოხალისენი იყვნენ. კომედოგრაფთა სახელებიც მხოლოდ იმ დროიდან იხუნაება. როცა კომედამ უკვე განვითარების გარკვეულ საფეხურს მიადწია. მაგრამ ჩვენ არ ვიცით, ვინ შემოილო ნიღბები ან პროლოგი, ვინ გამარდა მსახიობების რიყები და სხვა მისთანანი. კომიკურ თქმულებათა დამუშაება ყველაზე უმაღ ეპიქარმემ და ჟორმისმა დაიწყეს. ასე რომ, კომედია ჩაისახა ჩაილიაში, საიდანაც მან საბერძნეთში ვადპონანყლა, ხოლო ათენში კრატესი იყო პირველი კომიკოსი, რომელმაც თავი ანუ-ბა საყუთრივ იამბიკური ლექსების წერას და განმამოგადოებელი ხასიათის დიალოგუნაა და ჟაბულების თხზვას მიჰყო ხელი.

ეპოპეა. თავისი მაღალი მეგრის გამოკლებით, გრაველიას ჰგავს, რამდენადაც ირივე კთილმობილურ ქმედებებს ბაძავს, ხოლო მისგან განსხვავდება იმით, რომ მარტივი მეგრი აქვს და სხვა არა არის რა, თუ არა ვაბმული თხრობა. ევეც არ იყოს, ისანი მოქმედების დროის ხანგრძლიობითაც განსხვავდება იან ერთმანეთისაგან. გრაველია ცდილობს. რამდენადაც ეს შესაძლოა, მთელი თავისი მოქმედება მშის ერთი სადღელაძვსო მოქყევის პერიოდით შემოფარგლოს, ან რაც შეიძლება მყირელი ხნით გადასყდეს ამ სამღეარს, ეპოპეა კი განსამღვრული არ არის დროით. თუმეც ისიც უნდა ითქვას, რომ ეს განუსამღვრულობა თავდაპირველად ისევე დასაშეები იყო გრაველიაში. როგორც ეპოსში. რაც შეეხება ცალკეულ ნაწილებს, მოგი მათგანი საერთო ორავესათვის, მოგი კი მხოლოდ გრაველიის კუთვნილებაა. ამიგომ ვინც იყის, რა განსხვავებაა კარგსა და ეულ გრაველიის შორის, ის ეპოსის აეკარგიანობასაც იყნობს. ვინაიდან ყოველივე ის, რაც ნიშნულია ეპოსისთვის, გრაველიასაც ახასიათებს, თუმეც ყოველივე ის, რაც ნიშნულია გრაველიისთვის, უკლებლივ როდი ახასიათებს ეპოსსაც.

VI

პექამეგრული პოემისა თუ კომედის შესახებ უფრო ვიან ვილაპარაკებთ. ახლა კი კვლავ გრაველიას მივებრუნდეთ და გემოთქმულზე დაყრდნობით განვსამღვროთ მისი არსი. მამ. ასე. გრაველია არის სერიოზული, დასრულებული და გარკვეული განმარტების მქონე მოქმედების მიბაძვა კამმული სიგყვით, რომლის სხვადასხვა ნაწილაც სხვადასხვაგვარად არის შემკული; მიბაძვა, რომელიც თხრობის კი არა. მოქმედების შემეობით ხორციელდება და რომელიც სიბრალულისა თუ შიმის გამოწვევას გმით ამგვარ ენებათაგან განწმენდას აღწევს. „კამმული სიგყვით“, რომ ეამბობ. მე ვგულისხმობ სიგყვას, რომლისთვისაც ნიშნულია რიგში, პარამონია და მელოდია. ხოლო როდესაც დავსძენ. რომ მისი „სხვადასხვა ნაწილი სხვადასხვაგვარად არის შემკული“, ამით ის მინდა ვთქვა, რომ ამ ნაწილთაგან მოვიერთისათვის ნიშნულია მხოლოდ მეგრი, მოვიერთისთვის კი – მელოდია.

რაკი მინაძვა მოქმედების შემეობით ხორციელდება, ამიგომ, აუცილებლობის მაღით, გრაველიის პირველი შემადგენელი ნაწილი იქნება სპექტაკლის მხატვრული

გაფორმება, ხოლო შემდეგ – მუსიკალური კომპოზიციის და მხატვრული სტილი, რადგან გრაგელია სწორედ ამ საშუალებებით ახდენს მიბაძვას. სტილს მე ვუწოდებ სიტყვების თანაკაემირს, ხოლო მუსიკალური კომპოზიციის მნიშვნელობა განუმარტავადაც ყველასათვის გასაგებია.

რაკი გრაგელია მოქმედების მიბაძვაა და რაკი მოქმედება თავისთავად გულისხმობს მოქმედ პირთ, რომელთაც აუცილებლად უნდა გააჩნდეთ საკუთარი რაობა ხასიათისა თუ ამროვნების უნარის მიხედვით (ვინაიდან სწორედ მათი წყალობით განესამღვრავთ ჩვენ ამა თუ იმ მოქმედების რაობასაც), – ამიგომ მოქმედებას ორი ბუნებრივი მიზეზი აქვს: ამროვნება და ხასიათი, რომლებიც განაპირობებენ ყველა მოქმედის წარმატებას თუ წარუმატებლობას.

მოქმედების მიბაძვა არის ფაბულა. ფაბულას მე ვუწოდებ ფაქტებისა და მოვლენების საერთო ქარგას. ხასიათი არის ის, რაც განსამღვრავს მოქმედთა მეობას, ხოლო ამროვნებას მე ვუწოდებ უნარს, რომლის წყალობითაც თანამოსაუბრენი რაიმეს უმტკიცებენ ერთიმეორეს, ან უბრალოდ, თავიანთ ამრებს გამოთქვამენ.

ამრიგად, გრაგელიას აუცილებლად უნდა ჰქონდეს ექვსი ნაწილი, რომლებიც განსამღვრავენ მთელს მის რაობას. ეს ნაწილებია: ფაბულა, ხასიათები, ამროვნება, სპექტაკლის მხატვრული გაფორმება, სტილი და მუსიკალური კომპოზიციისა. ამათგან მიბაძვის საშუალებებს მიეკუთვნება ორი ნაწილი, ხერხს – ერთი, ხოლო საგანს – სამი ნაწილი; ეს არის და ეს. შეიძლება ითქვას, რომ ამ ნაწილებით აგებს თავის ქმნილებას არა მარტო მოგიერთი, არამედ ყველა გრაგიკოსი პოეტი, ვინაიდან ნებისმიერი გრაგელიასათვის ნიშნულია სპექტაკლის მხატვრული გაფორმებაც და ხასიათიც, ფაბულაც და სტილიც, მუსიკალური კომპოზიციაც და ამროვნებაც.

ამ ნაწილთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია მოქმედებათა საერთო ქარგა, რადგან გრაგელია არა მარტო კაცთა მიბაძვაა, არამედ მათი ქმედითობისა და სიციოხლის, მათი ბედნიერებისა და უბედურების მიბაძვაც არის, ხოლო ბედნიერებაც და უბედურებაც მოქმედებაში ვლინდება. ამიგომ გრაგელიის მიზანი საკუთრივ მოქმედების რაობაა და არა მოქმედების უბრალო უნარის ჩვენება. თავიანთი ხასიათის მიხედვით ადამიანები ამა თუ იმ თვისების მქონენი არიან, ხოლო მოქმედების მიხედვით – ბედნიერნი ან უბედურნი. აი, რატომაა, რომ პოეტები უშუალოდ ხასიათებს კი არ გვიხატავენ, არამედ – მოქმედებას, ხოლო მოქმედების ასახვით ხასიათებსაც წარმოსახავენ. ასე რომ, გრაგელიის მიზანი სხვა არა არის რა, თუ არა მოქმედება და ფაბულა, ხოლო მიზანი ყველაზე უფრო არსებითია. ევცე არ იყოს, მოქმედების გარეშე გრაგელია უკვე აღარ იქნებოდა გრაგელია, მაშინ როდესაც ხასიათების გარეშე ის მაინც ინარჩუნებს თავის რაობას. და მართლაც, თანამედროვე გრაგიკოსთა უმრავლესობა თითქმის მთლიანად უგულბებლყოფს ხასიათებს; ასეთი პოეტი რამდენიც გნებავთ, იმდენია. იგივე ითქმის მხატვრობის მიმართაც. საკმარისია ერთმანეთს შევადაროთ ძვექსისი და პოლიგნოტე. ეს უკანასკნელი დიდოსტატური ხელოვნებით გვიხატავს ხასიათებს, პირველი კი არაერთარ ყურადღებას არ აქცევს მათ.

ისიც უნდა ითქვას, რომ ეთიკური შეგონებებისა და ნატიფი სიტყვებისა თუ გამოთქმების მწყობრი კავშირით ვადმოცემა სულაც არ ნიშნავს გრაგელიის წინაშე დასახული მიზნის მიღწევას. პირიქით, თავის მიზანს უფრო უმაღლ მიადწევს გრაგელია, რომელიც გაცილებით მეტს სცოდავს ამ ხრივ, მაგრამ, ამასთან, ფაბულისა თუ მოქმედების საერთო ქარგის სრულქმნილებით გამოირჩევა. ასეა ფერწერაშიც: საუცხოო საღებავების ქაოტური ლაქები გაცილებით ნაკლებ სიამოვნებას გვცვრის, ვიდრე თეთრ ფონზე მკაფიოდ მოხაზული ამა თუ იმ საგნის სულ უბრალო, შავი კონტური. ვარდა ამისა, ჩვენს სულბებზე ყველაზე მძაფრ ზემოქმედებას გრაგელია სწორედ ფაბულის ნაწილებით – პერიპეტეებითა და გამოცნობებით ახდენს. ამ მოსამზრების სისწორეში ისიც გვარწმუნებს, რომ დამწყები პოეტები სტილისტურ სრულყოფილებას უმაღლ აღწევენ და ხასიათების ხატვაშიც უფრო მაღლე ოსტატებიან, ვიდრე

მოქმედებათა თანმიმდევრობის დინამიურ გადმოცემაში, რაც ნიშნულია ძველი დროის თითქმის ყველა პოეტიკისათვის.

ამრიგად, გრაველიის საწყისი და, თუ შეიძლება ასე ითქვას, მისი სული არის ფაბულა. მეორე ადგილი ეკუთვნის ხასიათებს, ვინაიდან გრაველია მოქმედების მიბაძევა, ხოლო ამ მიბაძვის წყალობით ის, უპირველეს ყოვლისა, მოქმედ პირთ ბაძაეს. გრაველიის მესამე ნაწილი ამროვნებაა. ამროვნება ნიშნავს ამტკიცო ის, რაც საქმის არსს ეხება და ესაგყვისება; მჭევრმეტყველების სფეროში სწორედ ამას მიეღვებიან პოლიტიკა და რიგორიკა, ძველი პოეტები თავიანთ გმირებს პოლიტიკოსებივით ალაპარაკებდნენ, თანამედროვე პოეტების გმირთა მეტყველება კი რიგორთა მეტყველებას გვაგონებს. ხასიათი არის ის, რაშიც ნების სწრაფვა ვლინდება; ამიგომაც ხასიათს არ გვიხატავენ ის სიტყვები, რომელთა მიხედვითაც ვერ ვგებულობთ, ვინ რას მიეღვების ან რას გაურბის, და რომლებიც სრულიად არაფერს გვეუბნებიან იმის შესახებ, თუ რას ირჩევს ან უარყოფს მთქმელი და ბოლოს, ამროვნება სხვა არა არის რა, თუ არა უნარი, რომლის წყალობითაც რისამე არსებობას თუ არარსებობას ამტკიცებენ, ან, საერთოდ, გამოთქვამენ რასმე. გრაველიის მეოთხე ნაწილია სტილი. როგორც უკვე ვთქვით, სტილი არის ამრის სიტყვიერი გამოხატულება, რასაც თანაბარი მნიშვნელობა აქვს პროზაშიც და პოეზიაშიც. დანარჩენ ნაწილთაგან მეხუთე – მუსიკალური კომპოზიცია – გრაველიის უმნიშვნელოვანესი სამკაულია. ხოლო სექტაკლის მხატვრული გაფორმება, ჩვენს სულებზე მთელი თავისი გემოქმედების მიუხედავად, ძალზე შორს დგას ხელოვნებისგან და, ამდენად, პოეტიკის გარეთ რჩება, ვინაიდან გრაველია ყოველგვარი მეჭირბრებისა თუ მსახიობთა ხელოვნების გარეშეც ინარჩუნებს თავის ძალმოსილებას. ეგეც არ იყოს, სექტაკლის მხატვრული გაფორმება უფრო დეკორატივის საქმეა, ვიდრე პოეტის.

VII

ყოველივე ამის განსაზღვრის შემდეგ ისიც ვთქვათ, როგორი უნდა იყოს მოქმედებათა საერთო ქარვა, ვინაიდან ყველაზე მთავარი და არსებითი სწორედ ეს არის გრაველიაში. როგორც აღვნიშნეთ, გრაველია დასრულებული, მთლიანი და გარკვეული განზომილების მქონე მოქმედების მიბაძევაა. ხოლო „გარკვეულ განზომილებას“ იმიტომ ვთვლი მისაბაძი მოქმედების ერთ-ერთ თვისებად, რომ არსებობს მთელი, რომელსაც არაერთი განზომილება არ გააჩნია. მთელი კი არის ის, რასაც აქვს დასაწყისი, საშუალო და დასასრული. დასაწყისი არის ის, რაც აუცილებლობის გამო სხვას კი არ მისდევს, პირიქით, ბუნებრივი თანმიმდევრობის თანახმად, თვით მას მოსდევს ან მის შემდეგ ხდება სხვა რამე. ამისდა საპირისპიროდ, დასასრული არის ის, რაც აუცილებლობის ძალით ყოველთვის სხვას მოსდევს, სხვის შემდეგაა, თვითონ მას კი აღარაფერი აღარ მოსდევს. და ბოლოს, საშუალო არის ის, რაც ერთის მხრივ, სხვა რასმე მოსდევს, ხოლო მეორეს მხრივ, წინ უსწრებს სხვას. ასე რომ, კარვად გამართული ყველა ფაბულა, თვითნებურად, საიდანმე კი არ უნდა იწყებოდეს და, ასევე თვითნებურად, სადმე კი არ უნდა წყდებოდეს, არამედ მემოთ მოგანილ განსაზღვრებებს უნდა ემორჩილებოდეს აუცილებლად.

და მერე, რაკი მშვენიერი – სულდგმული არსება თუ უსულო ნივთი, – გარკვეული ნაწილებისაგან არის შემდგარი, ამიგომ ის არა მარტო მკაყრი წესრიგით უნდა აერთებდეს ამ ნაწილებს, არამედ გარკვეულ სიდიდესაც უნდა წარმოადგენდეს: მშვენიერება ხომ სიდიდესა და წესრიგში ვლინდება. ამიგომ არ შეიძლება მშვენიერი იყოს მეტისმეტად პატარა არსება, ვინაიდან მშვენიერით მისი აღქმა თითქმის შეუძლებელია, – ან მეტისმეტად დიდი, ვინაიდან, თუ დავეუშვებთ, რომ ამ არსების სიგრძე შეიძლება ათი ათას სტადიონს აღწევდეს, მაშინ მას მთლიანად კი ვერ აღვიქვამთ, არამედ მხოლოდ დანაწევრებულად, მხოლოდ ნაწილ-ნაწილ, და, ამრიგად, ჩვენი მშვენიერების მიუწვდომელი დარჩება მისი ერთობა და მთლიანობა. მაშასადამე, როგორც სულდგმულ არსებებს და უსულო საგნებს უნდა ჰქონდეთ ადვილად აღსაქმელი

სიდიდე, ისე ფაბულურბასა უნდა ჰქონდეთ გარკვეული სიგრძე, რომელიც ადვილად დასამახსოვრებელი უნდა იყოს. ფაბულის სიგრძის განსაზღვრა თეატრალურ შეჯიბრებებსა თუ გრძობად აღქმასთან მიმართებით პოეტური ხელოვნების საქმე როდია. და მართლაც, შეჯიბრებისას რომ ასი გრაგვდია იყოს წარმოსადგენი, მაშინ შეჯიბრი კლესიდრებით ჩატარდებოდა, ისევე როგორც, გადმოცემის თანახმად, ეს ხდებოდა ზოგიერთ სხვა შემთხვევაში. რაჲ შეეხება გრაგვდის სიგრძის განსაზღვრას საქმის ჭეშმარიტი არსის მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ თავისი სიდიდით ყოველთვის უმაჯობეია ფაბულა, რომელშიაც მოქმედების განვითარება სათანადო სიყხადმდეა მიყვანილი. ან, უფრო მარტივად განსაზღვრის მიზნით, ჩვენ ვიტყვი, რომ საკმარისია ის სიდიდე, რომლის ფარგლებშიაც, ალბათობისა თუ აუცილებლობის თანახმად მოვლენათა თანმიმდევრული მსვლელობის გზით უბედურება შეიძლება ბედნიერებაში გადაიზარდოს, ანდა, პირუკუ, ბედნიერება – უბედურებაში.

VIII

ფაბულა იმიტომ კი არ არის ერთობლივი, რომ, როგორც ზოგიერთს ჰგონია, ერთი გმირის თავგადასაყალს მოგვითხრობს. მართლაც, ხომ შეიძლება ერთსა და იმავე გმირს უსასრულოდ მრავალი რამ გადახდეს თავს, ხოლო ამ სიმრავლიდან ზოგიერთ რამეს არაფერი არ აერთებს ერთმანეთთან. ზუსტად ასევე, ერთი და იგივე გმირი შეიძლება ათასგვარი საქმის მოქმედი იყოს, მაგრამ ამ საქმეთა ერთობლიობა არასოდეს არ იძლევა ერთ მთლიან საქმეს. ამიტომ, როგორც ჩანს, ცდებიან ის პოეტები, რომელთაც ეკუთვნით „ჰერაკლიდა“, „თესეიდა“ და მათი მსგავსი სხვა პოემები. ისინი ფიქრობენ, რომ რაკი ჰერაკლე ერთი იყო, ამიტომ ერთი იქნება ფაბულაც, რომელიც მის შესახებ მოგვითხრობს. ჰომეროსმა კი, რომელიც სხვა მხრივაც გამოირჩევა დანარჩენი პოეტებისგან, როგორც ჩანს, ხელოვნებისა თუ ბუნებრივი ნიჭის წყალობით, ეს საკითხიც მართებულად გადაწყვიტა; კერძოდ, „ოდისეას“ რომ ქმნიდა, მან ყველაფერი კი არ ჩართო შიგ, რაც მის გმირს თავს გადახდენია: ასე მაგალითად, ჰომეროსს არ უთქვამს, როგორ დაიჭრა ოდისეესი პარნასზე და როგორ სყადა მან შემლილად მოეჩვენებინა თავი ყრილობისათვის, რომელზედაც გროას წინააღმდეგ გალაშქრების გეგმებს აწყობდნენ, ვინაიდან არც აუცილებლობა და არც ალბათობა არ მოითხოვდა იმას, რომ გმირის ცხოვრების ერთ-ერთ ამ ეპიზოდს მეორე ეპიზოდიც გამოეწვია. პირიქით, თავისი „ოდისეა“ მან, ჩვენი წყადანდელი განსაზღვრებისამებრ, ერთი მოქმედების ირგვლივ ააგო, და ასევე მოიქცა იგი „ილიადას“ თხზვის დროსაც.

ამრიგად, რაკი მიმბაძველობითი ხელოვნების ყველა სხვა დარგში ერთობლივი მიბაძვა ერთის მიბაძვაა, ამიტომ ფაბულაც, რომელიც მოქმედებას ბაძავს, ერთი და, ამასთან მთლიანი მოქმედების მიბაძვა უნდა იყოს; მოქმედების ნაწილები კი ისე უნდა ერწყმოდნენ ერთმანეთს, რომ ერთ-ერთი მათგანის გადაადგილება ან ამოღება მთელის ცელილებასა და გადასხეაფერებას უნდა იწვევდეს, ხოლო ის, რისი მიბაძვა ან გამოკლება არაფერს არ ცვლის, მთელის ორგანულ ნაწილად ვერ ჩაითვლება.

LX

გემოთქმულიდან აშკარაა, რომ პოეტმა იმაზე კი არ უნდა ილაპარაკოს, რაც სინამდვილეში მოხდა, არამედ იმაზე, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო და, მაშასადამე, რაც ალბათობისა თუ აუცილებლობის მიხედვითაა შესაძლებელი. პოეტი და ისტორიკოსი იმით როდი განსხეაუდებიან ერთმანეთისგან, რომ პირველი სალექსო საზომით წერს, მეორე კი პროზით. შეიძლებოდა ლექსად გარდაგვეთქვა ჰეროდოტეს თხზულებანი, მაგრამ, გალექსვის მიუხედავად, ისინი მაინც ისტორიული ხასიათის ქმნილებებად დარჩებოდნენ. არა, პოეტი და ისტორიკოსი ერთმანეთისაგან სწორედ იმით განსხეაუდებიან, რომ ისტორიკოსი სინამდვილეში მომხდარ ამბებს გადმოგვცემს, პოეტი კი იმას, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო. ამიტომ პოეზია უფრო ფილოსოფიურია

და სერიოზული, ვიდრე ისტორია. პოემიის საგანი უფრო ზოგადია, ხოლო ისტორიისა – ცალკეული. ზოგადი არის ის, რისი თქმაც ან რისი ქმნაც მართებს ალბათობისა თუ აუცილებლობის მიხედვით. ამა თუ იმ ბუნების კაცს; სწორედ ამას მიეღწევის პოემია მამინაც კი, როცა სახელებს არქმევს მოქმედ პირებს. ცალკეული კი არის ის, რაც ჩაიდინა ან განიცადა. მაგალითად, ალკიბიადემ. კომედიის მიმართ ეს უკვე ცხადია: მართლაც, ალბათობის მიხედვით რომ აგებენ ფაბულას, კომედიოგრაფები შემთხვევით სახელებს არქმევენ თავიანთ გმირებს და, ამრიგად, კონკრეტულ პიროვნებებზე როდი წერენ. იამბოგრაფთა მსგავსად. გრაფიკოსები კი წარსულის რეალურ სახელებს არჩევენ. ხოლო ამის მიზეზი ის ვახლავთ, რომ შესაძლებელი, ამავე დროს, დამაჯერებელიც. სარწმუნოც არის: ჩვენ არა გეჯერა, რომ შესაძლებელია ის, რაც ჯერ კიდევ არ მომხდარა, ხოლო ის, რაც უკვე მოხდა, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, ვინაიდან შეუძლებელი რომ ყოფილიყო, არც მოხდებოდა. მაგრამ ზოგიერთ გრაფედიამი ორიოდ ცნობილ სახელს თუ შეხედვით, დანარჩენი სახელები კი გამოგონილია, ხოლო ზოგიერთში ერთ ცნობილ სახელსაც ვერა კპოვებთ; ასეთია, მაგალითად, აგათონის „ყვეილი“, რომელშიაც ყველაფერი, მათ შორის უკლებლივ ყველა სახელი აგორის გამოგონილია, მაგრამ ამისდა მიუხედავად, ის სხვა გრაფედიებზე ნაკლებ როდი გვიხიბლავს ჩვენ. ასე რომ, სულაც არ არის საფაღლებულო მითიური თქმულებების გამოდევნება, რომელთაც ციკლსაც არ სცილდება გრაფედიების უმრავლესობა. ის კი არა და, სასაცილოც იქნებოდა ამისკენ სწრაფა, ვინაიდან ის, რაც ცნობილია, მხოლოდ მცირედტათვის არის ცნობილი, მოწონებით კი ყველას მოსწონს. შემოთქმულიდან ამკარაა, რომ პოეტი უფრო მეტად ფაბულებს უნდა ქმნიდეს, ვიდრე სამომებს, ვინაიდან ის იმდენად არის შემოქმედი, რამდენადაც მიმბაძველია, ხოლო ეს მიბაძვა მოქმედების მიბაძვაა. მას რომ თუნდაც სინამდვილეში მომხდარი ამბის ასახვა მოუხდეს, ის მაინც პოეტად დარჩება, ვინაიდან არაფერი არ უშლის ხელს იმას, რომ ზოგი რამ, რაც სინამდვილეში ხდება, ალბათობისა და შესაძლებლობის მიხედვით მოხდეს: ამ ასექტში ის მათი შემოქმედი.

მარტივ ფაბულათა და მოქმედებათა შორის ყველაზე უარესი ეპიზოდური ფაბულები და მოქმედებებია. ეპიზოდურს მე ვუწოდებ ისეთ ფაბულას, რომელშიაც ეპიზოდები ყოველგვარი ალბათობისა თუ აუცილებლობის გარეშე მისდევენ ერთმანეთს. ამნაირ ფაბულებს ცუდი პოეტები თავიანთი უნიჭობის გამო თხზავენ, ხოლო კარგი პოეტები – მსახიობთა ვაშო: მართლაც თავიანთ გრაფედიებს შეჯიბრში მონაწილეობის მიზნით რომ ქმნიან და, ამრიგად, უსამელოდ ჰიმავენ ფაბულებს, ისინი იძულებულნი არიან ხშირად დაარღვიონ მოქმედების ბუნებრივი თანმიმდევრობა.

გრაფედია არა მარტო დასრულებული, არამედ შიშისა თუ სიბრალულის აღმძვრელი მოქმედების მიბაძვაც არის. ხოლო ამ გრძნობებს მოქმედება მეტწილად აღძრავს მამინ, როცა მოულოდნელად ხდება, უფრო მეტად კი მამინ, როცა არა მარტო მოულოდნელად, არამედ გარემოებათა ურთიერთგანპირობებულობის შედეგადაც ხდება. ამ დროს განსიყვრება უფრო ღიმი იქნება, ვიდრე იმ შემთხვევაში, რაიმე რომ თავისთავად ან სრულიად შემთხვევით მომხდარიყო, ვინაიდან შემთხვევითთაგან ყველაზე განსაკვირებელი სწორედ ის არის, რაც შეიძლება განმრახ მამინდარი ეგონოს კაცს. ასე მაგალითად, არგოსში მიგისის ქანდაკებამ მოკლა მიგისისავე მკვლელი, რომელსაც თავზე დაეცა იმ დროს, როცა ეს უკანასკნელი მას ათვალთვრებდა შეიძლება იფიქრო, რომ მსგავსი მოულოდნელ მარტოოდენ ბრმა შემთხვევითობას როდი მიეწერება. მაშასადამე, ამნაირი ფაბულები უცილობლად ყველაზე უკეთესი მისაღებია.

X

ზოგიერთი ფაბულა მარტივია, ზოგიერთი კი დახლართული, ვინაიდან ასეთია ის მოქმედებებიც, რომელთა მიბაძვებსაც ფაბულები წარმოადგენენ. მარტივს, წვლანდელი განსამდურისამებრ, მე ვუწოდებ ისეთ უწყვეტსა და ერთობლივ მოქმედებას. რომელშიაც ცვალებადობა პერიპეტეიისა და გამოცნობის გარეშე ხდება, ხოლო

დახლართულს – ისეთ მოქმედებას, რომელშიაც ცვალებადობა გამოცნობის ან პერიპეტიის, ან კიდევ, ერთდროულად, ორივე მათგანის მეშვეობით ხორციელდება. ყოველივე ეს ფაბულის აგებულებიდან უნდა გამომდინარეობდეს, მაგრამ ისე კი, რომ უწინ მოვლენისაგან აუცილებლობისა თუ ალბათობის მიხედვით იღებდეს დასაბამს, ვინაიდან მართლაც დიდი განსხვავებაა – ერთი რამ მეორის შედეგად ხდება, თუ, უბრალოდ, მეორის შემდეგ.

XI

პერიპეტია არის მოქმედების გადასვლა მის საპირისპირო მოქმედებაში, და თანაც, ისეთი გადასვლა, რომელიც, ჩვენი მტკიცებისამებრ, ალბათობისა თუ აუცილებლობის მიხედვით ხდება. ასე მაგალითად, „ოიდიპოსში“ მეფის კარზე მოსულმა პაენემ, რომელსაც სურდა კეთილი ამბავი ესარებინა ოიდიპოსისათვის და, ამდენად, დედის წინაშე შიშისაგან დაეხსნა იგი, მის მიერ მოგანილი ამბით საპირისპირო შედეგს მიაღწია. და კიდევ ერთი მაგალითი: „მენეკესში“ ერთი კაცი სიკვდილით დასასჯელად მიჰყავთ, ხოლო დანაოსი უკან მიჰყვება, რათა მოაკვდინოს იგი, მაგრამ მოქმედების განვითარების შედეგად თვითონ დანაოსი მოკვდა, სიკვდილმისჯილი კი გადარჩა.

გამოცნობა, როგორც თვით სახელწოდება გვიჩვენებს, სხვა არა არის რა, თუ არა არცოდნიდან ცოდნაზე, ან კიდევ მეგობრობიდან მგრობაზე გადასვლა; მე ვგულისხმობ იმათ გადასვლას, ვისაც განგებამ ბედნიერება ან უბედურება არგუნა წილად. ყველაზე უკეთესი გამოცნობა ის გამოცნობაა, რომელიც პერიპეტეიების თანხლებით ხდება; ასეთი გამოცნობა გამოყენებულია, მაგალითად, „ოიდიპოსში“. რა თქმა უნდა, არსებობს ბევრი სხვა გამოცნობაც: როგორც ითქვა, შეიძლება გამოცნობა უსულო საგნებისა თუ სხვადასხვა შემთხვევითობის მიხედვით; შეიძლება გამოცნობა იმის მიხედვითაც, თუ ვინ რა ჩაიდინა ან არ ჩაიდინა. მაგრამ ყველაზე არსებითი როგორც ფაბულისთვის, ისე მოქმედებისთვისაც მაინც ზემოაღნიშნული გამოცნობაა, ვინაიდან ამგვარი გამოცნობა უთუოდ გამოიწვევს სიბრაულს ან შიშს, ხოლო გრაგედია, როგორც გავარკვეით სწორედ ამნაირი მოქმედების მიბაძვა. ეგევ არ იყოს, ამგვარ გამოცნობასვე მოსდევს ბედნიერებაც და უბედურებაც.

რაკი გამოცნობა რამდენიმე გვირს შორის ხდება, ამიტომ ან ერთი გვირი ცნობილობს მეორეს (როცა ერთ-ერთი მათგანი ცნობილია), ან ორივე – ერთიმეორეს. ასე მაგალითად, ორესტემ იფიგენიას მიერ მისთვის გაგზავნილი წერილით იცნო და, იფიგენიას კი სხვაგვარი საბუთი დასჭირდა ორესტეს საცნობად.

მამასადამე, ამ მხრივ, ფაბულას ორი ნაწილი აქვს: პერიპეტია და გამოცნობა. მესამე ნაწილია ტანჯვა. პერიპეტიისა და გამოცნობის შესახებ უკვე ვილაპარაკეთ, ხოლო ტანჯვა ისეთი მოქმედებაა, რომელიც სიკვდილს ან სასტიკ ტკივილს იწვევს; ასეთია, მაგალითად, სხვადასხვაგვარი სიკვდილი სცენაზე, აუტანელი ტკივილი, ჭრილობის მიყენება და სხვა მისთანანი.

XII

გრაგედიის იმ ნაწილთა შესახებ, რომლებიც მის საფუძველად უნდა მიგვაჩნდეს, ზემოთ ვილაპარაკეთ, ხოლო მოცულობისა და ქვედანაყოფების მიხედვით მას შემდეგი ნაწილები აქვს: პროლოგი, ეპისოდიონი, ექსოდოსი და ქორიკონი, რომელშიაც, თავის მხრივ, შემდეგი ორი ნაწილი გამოიყოფა: პაროდოსი და სტასიმონი. ეს ორი ნაწილი საერთოა ყველა ქორიკონისათვის, ხოლო კომოსები და სიმღერები სცენიდან მარტოდენ მოგიერთი ქორიკონის კუთვნილებაა. პროლოგი არის გრაგედიის მთლიანი ნაწილი ქოროს გამოსვლამდე; ეპისოდიონი არის გრაგედიის მთლიანი ნაწილი, რომელიც ჩართულია ქოროს მთლიან საგალობელთა შორის; ექსოდოსი არის გრაგედის მთლიანი ნაწილი, რომელსაც ქოროს გალობა აღარ მოსდევს; რაც შეეხება ქორიკონის ნაწილებს, პაროდოსი არის ქოროს პირველი მთლიანი სიგყვა, სტასიმონი

– ქოროს ვალობა უანაპესგოდ და უტროქეოდ. ხოლო კომოსი – ქოროსა და მსახიობთა საერთო ვოდება.

ამრიგად, გრავედიის იმ ნაწილთა შესახებ, რომლებიც მის საუფუძელად უნდა მიგვაჩნდეს. მემოთ ვილაპარაკეთ. ხოლო მოცულობისა და ქვედანაყოფების მიხედვით მას შემდეგი ნაწილები აქვს.

XIII

მემოადნიშნულის კვალდაკვალ საჭიროა ითქვას, რას უნდა ესწრაფოდნენ ან რას უნდა არიდებდნენ თავს ფაბულების მთხველნი და რა განაპირობებს გრავედიის წინაშე დასახული მიზნის მიღწევას. რაკი საუკეთესო გრავედია თავისი შედგენილობით მარტივი კი არ უნდა იყოს, არამედ რთული და, ამასთან, შიშისა და სიბრაღულის აღმძვრელი მოქმედების მიბაძვას უნდა წარმოადგენდეს (ვინაიდან სწორედ ესაა მიბაძველობითი ხელოვნების ამ დარგის თავისებურება), ამიგომ, რასაკვირველია, არც კეთილი კაცი უნდა იქნეს წარმოდგენილი როგორც ბედნიერებიდან უბედურებაში გადაშვალა, რადგან ეს შიშისა და სიბრაღულის აღმძვრელი კი არ არის, არამედ აღმამოთებული, და არც უკეთური – როგორც უბედურებიდან ბედნიერებაში გადაშვალა, ვინაიდან ეს ყველაზე ნაკლებ გრაგიკულია, რაკი ამნაირ გრავედიას არ გააჩნია არაფერი, რაც მისთვის საჭიროა, ესე იგი ის, რაც იწვევს კაცთმოყვარეობის, შიშისა თუ სიბრაღულის გრძნობას. და ბოლოს, არც ყოვლად უეარგისი კაცი უნდა ვარდებოდეს ბედნიერებიდან უბედურებაში, ვინაიდან ასე აგებული ფაბულა კაცთმოყვარეობის გრძნობას კი აღძვრავდა ჩვენში, მაგრამ ვერ გამოიწვევდა ვერც სიბრაღულს და ვერც შიშს. და მართლაც, სიბრაღული ჩვენ აღგვეძვრის იმის მიმართ, ვისაც დაუსახურებლად ატყდება თავზე უბედურება, ხოლო შიში – ჩვენივე მსგავსის მიმართ. მაშასადამე, ამნაირი შემთხვევა ვერ გამოიწვევს ვერც სიბრაღულს და ვერც შიშს. ასე რომ, რჩება მხოლოდ კაცი, რომელსაც საშუალო ადგილი უჭირავს მემოჩამოთვლილთა შორის. ხოლო ასეთია ის, ვინც განსაკუთრებული სიქველთა და სამართლიანობით არ გამოირჩევა და ვისაც უბედურება საკუთარი სიმდაბლისა და უკეთურების გამო კი არ ატყდება თავზე, არამედ ამა თუ იმ შეცდომის გამო, თუშვალა, უწინ საყოველთაო პატივისცემით გარემოსილი და დიდად ბედნიერი იყო, როგორც მაგალითად, ოიდიპოსი, თიესტე და მათი მსგავსი სხვა წარჩინებული პირნი.

ამრიგად, აუცილებელია, რომ კარგად გამართული ყველა ფაბულა უმაღლეს მარტივი იყოს, ვიდრე რთული, ანუ ორმაგი, როგორც ამტკიცებს ზოგიერთი, და რომ მას უბედურებიდან ბედნიერებაში კი არ გადაყვავდეთ, არამედ ბედნიერებიდან უბედურებაში. და თანაც, არა გმირის უკეთურების, არამედ მისი მიუგვევბელი შეცდომის გამო; ხოლო ეს გმირი ზედმიწევნით უნდა ჰგავდეს მემოთ აღწერილს, ან, უმაღლეს უკეთესი უნდა იყოს, ვინემ უარესი. ამას გვიმოწმებს ისტორიაც: თავდაპირველად პოეტები მრავალრიცხოვან შემთხვევითს მითებს ამუშავებდნენ, დღეს კი ყველაზე უკეთესი გრავედიები სულ რამდენიმე საგვარეულოს ბედს გვიხატავენ; ასეთებია, მაგალითად, ალკმეონის, ოიდიპოსის, ორესტეს, მელეაგრეს, თიესტეს, ტელუფოსისა და სხვათა ვეარები, რომელთაც ბედმა წილად არგუნა დაეთმინათ ან ჩაედინათ საშინელი რამ ბოროტება.

მაშასადამე, ხელოვნების წესების თანახმად, ყველაზე უკეთესი გრავედია სწორედ ასე აგებული გრავედიაა. ამიგომ ცდება ყველა, ვინც ჰგმობს ევრიპიდეს იმის გულისთვის, რომ ის სწორედ ასე აგებს თავის ქმნილებებს და რომ ბევრი მისი გრავედია უბედურებით მთავრდება. მაგრამ ეს, როგორც უკვე ითქვა, საფსებით გამართლებულია. ამის საბუთად ისიც კმარა, რომ სცენაზე, შეჯიბრის დროს, ასეთი გრავედიები ყველაზე გრაგიკულ ქმნილებებად ჩანან. თუკი მათი დადგმა სწორად არის გადაწყვეტილი, და ევრიპიდეს, ზოგიერთი ხარვეზის მიუხედავად, ყველაზე გრაგიკულ პოეტად გვევლინება ჩვენ.

ხოლო გრავედის მეორე სახეს, რომელსაც ზოგი პირველად თელის, „ოდისეას“ მსგავსად, ორმაგი უბულა აქვს და ავთა და კარგთათვის ურთიერთსაპირისპირო შედეგით მთავრდება. პირველ სახედ კი იმიტომ თელიან, რომ საქმაოდ მდარე გემოვნების მაყურებელი ჰყავს: პოეტები ხომ თავიანთ შემოქმედებას ხშირად მაყურებელთა გემოვნებას უსადაგებენ. მაგრამ სიამოვნება, რომელსაც ამგვარი ქმნილება გვანიჭებს, უფრო კომედიისთვისაა ნიშნული, ვიდრე ტრაგედისთვის. და მართლაც, კომედიის გმირები, რომლებიც, უბულის მიხედვით, თავდაპირველად მოსისხლე მტრები იყვნენ, როგორც მაგალითად, ორესტე და ეგისტე, ბოლოს მეგობრები ხდებიან და არცერთი არა კვდება მეორის ხელით.

XIV

შიშისა და სიბრალულის გრძნობა შეიძლება სპექტაკლის მხატვრულმა გაფორმებამ აღძრას ჩვენში, მაგრამ მას თვით უბულის ზოგადი ქარგაც იწვევს, რაც უპირველესი ღირსება და ჭეშმარიტი პოეტის ნიშანი არის. უბულა ისე უნდა იყოს აგებული, რომ მასში გადმოცემული ამბავი სცენაზე წარმოდგენის გარემოც აძრწუნებდეს და სიბრალულით ავსებდეს მკითხველს. ეს განცდა დაუფლება ყველას, ვინც ოიდიპოსის ამბავს მოისმენს. მაგრამ ამ გრძნობის გამოწვევა სპექტაკლის მხატვრული გაფორმების საშუალებით ქორეგიის საქმეა და არა პოეტური ხელოვნებისა. ხოლო მას, ვისაც სასცენო წარმოდგენით შიშის კი არა, მარტოოდენ განცდიერების გამოწვევა სურს, არაუფრო აქვს საერთო ტრაგედიასთან, ვინაიდან ტრაგედიაში ყოველნაირ სიამოვნებას კი არ უნდა ვეძებდეთ, არამედ მხოლოდ მისთვის ნიშნულს. და რაკი პოეტს მართებს მიბაძვის გზით გვანიჭებდეს სიამოვნებას, რომელიც შიშისა და სიბრალულისგან უნდა გამომდინარეობდეს, ამიტომ, ცხადია, თვით ტრაგედიის უბულა ამ გრძნობებით უნდა იყოს გამსჭვალული. მაშ, ვიკვლით, რომელი მოქმედება იწვევს შიშს და რომელი – სიბრალულს. ყველა ეს მოქმედება აუცილებლად უნდა ხდებოდეს ერთურობის მიმართ ან მტრულად, ან მოყვრულად, ან არც მტრულად და არც მოყვრულად განწყობილ პირთა შორის. უკეთუ მტერი სტანჯავს მტერს, მაშინ მისი მოქმედება ანდა მრახვა კი არ იწვევს ჩვენში სიბრალულს, არამედ თვით განჯვა თავისთავად. იგივე ითქმის იმ შემთხვევაშიც, როცა ასევე იქცევიან ერთურობის მიმართ არც მტრულად და არც მოყვრულად განწყობილი პირნი, მაგრამ როდესაც მოყვასი სტანჯავს მოყვასს, ასე მაგალითად, როცა ძმა ჰკლავს ძმას, შვილი – მამას, დედა – შვილს, შვილი – დედას და ა. შ., ან აპირებს მოკლას, ან რაიმე ამის მსგავსს სჩადის – აი, რას უნდა ეძიებდეს პოეტი მითში.

ჩვენამდე გადმოცემით მოღწეული მითების მეცლა არ შეიძლება; ასე მაგალითად, არ შეიძლება მეცვალო ის, რომ კლიტემნესტრას ორესტე კლავს, ხოლო ერიფილეს – ალკმეონი. პოეტი თვითონ უნდა პოულობდეს მისთვის საჭირო მასალას და ოსტატურად სარგებლობდეს გადმოცემებით. მაგრამ უფრო გარკვევით ვთქვათ, რას ვგულისხმობთ, როცა ვამბობთ „ოსტატურად“. მოქმედება შეიძლება ისე ხდებოდეს, როგორც წარმოდგინათ ძველ პოეტებს, რომელთა გმირები შეგნებულად მოქმედებენ; ასე მაგალითად, ევრიპილეს მედეა წინამრახვით ჰკლავს თავის შვილებს. მაგრამ გმირმა შეიძლება შეუგნებლადაც ჩაიდინოს შემზარავი დანაშაული და მხოლოდ შემდეგ შეიტყოს, რაოდენ ახლობელი ყოფილა მისთვის მისივე მსხვერპლი. ასეთია, მაგალითად, სოფოკლეს ოიდიპოსი. თუმცა ეს საშინელება სოფოკლესთან საკუთრივ დრამის გარეთ ხდება, ხოლო თვით ტრაგედიაში ასე მოქმედებენ ასტიდამასის ალკმეონი და ტელეგონე „დაჭრილ ოდისეესში“. არსებობს მოქმედების მესამე სახეც, როცა გმირი შეუგნებლად, უცოდინრობის გამო, აპირებს ჩაიდინოს საშინელი დანაშაული, მაგრამ ბოროტი მრახვის აღსრულებამდე სცნობს თავის მსხვერპლს. სხვა სახის მოქმედება აღარ არსებობს: აუცილებელია ჩაიდინო ან არ ჩაიდინო დანაშაული, და, თანაყ, – შეგნებულად ან შეუგნებლად. ამ მოქმედებათაგან ყველაზე უარესი ისაა, როცა გმირი შეგნებულად აპირებს დანაშაულის ჩადენას, მაგრამ არ სჩადის. ეს

გულშემაზრავია. მაგრამ არა გრაფიკული, ვინაიდან აქ გამოორიესულია ტანჯვის მოქმეტი. აი, რატომ, რომ ყველა თავს არიდებს მოქმედების ამნაირ განვითარებას, რამდენიმე იშვიათი გამონაკლისის გარდა, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება, მაგალითად. პემონის ქვევა „ანტიგონეში“ კრონის მიმართ. მოქმედების სხვაგვარი განვითარებისას გმირი უკან კი არ იხევს, არამედ საქმედ აქცევს განზრახულს. მაგრამ ყველაზე უკეთესი მაინც ისაა, როცა გმირი შეუვინებლად, უცოდინარობის გამო სჩადის დანაშაულს. ხოლო გამოცნობა დანაშაულის ჩადენის შემდეგ ხდება, ვინაიდან აქ არაფერია გულშემაზრავი, გამოცნობა კი შემადრწუნებელ შთაბეჭდილებას ახდენს. და ბოლოს, ყველაზე ქმედითი გზა მოქმედების განვითარებისა: სანიმუშოდ ავიღოთ „კრესტონგე“. რომელშიაც მეროპე აპირებს მოკლას თავისი ვაჟი, მაგრამ არა კლავს – დედამ იცნო შვილი. ასე „იფიგენიაში“ და იცნობს ძმას, ხოლო „პელეში“ ვაჟიშვილი – საკუთარ დედას. რომელიც ის-ის იყო უნდა გაეყა. აი, რატომ, რომ ტრაგედიები, როგორც ზემოთ ითქვა, სულ რამდენიმე საგვარეულოს ბედს აგვიწერენ. თავიანთი ძიებისას გრაფიკოსებმა ხელოვნების წყალობით კი არა, შემთხვევით მიაგნეს იმას, რომ მათთვის საჭირო მასალა უშუალოდ მოცემულია მითებში. ამიტომ მათ ძალა-უნებურად უხდებათ იმ საგვარეულოებზე წერა, რომლებსაც მიწყვივ თანა სდევდათ ამნაირი უბედურება.

ამრიგად, მოქმედებათა შედეგნილობისა და იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყვნენ ფაბულები, საკმარისად ვილაპარაკეთ.

XV

რაც შეეხება ხასიათებს, არის ოთხი პირობა, რომელსაც უნდა ვითვალისწინებდეთ: პირველი და ყველაზე არსებითი ის გახლავთ, რომ ხასიათი კეთილშობილური იყოს. მოქმედ პირს ხასიათი აქვს, თუკი როგორც ზემოთ ითქვა, მისი სიტყვა ან ქვევა ცხადყოფს, რომ ის რაღაცას ირჩევს, ხოლო ხასიათის კეთილშობილებას არჩევანის კეთილშობილურობა განაპირობებს. კეთილშობილება შეიძლება ყველა ადამიანს ახასიათებდეს, ასე გასინჯეთ, დიაცსა და მონასსაც კი, თუმცა პირველი მდაბალი ქმნილებაა, ხოლო მეორე ყოვლად უბადრუკი არსება არის. მეორე პირობა ისაა, რომ ხასიათი შესაფერისი იყოს: ასე მაგალითად, ატლანტეს მამაკაცური ხასიათი აქვს, მაგრამ დიაცს არ შეუფერის, რომ მას მამაკაცური ან სასტიკი მზე ჰქონდეს. მესამე პირობის თანახმად, ხასიათი მართალი უნდა იყოს. ხასიათის სიმართლე სულ სხვა გზით მიიღწევა. ეს არც კეთილშობილური ხასიათია და არც შესაფერისი, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი. და ბოლოს, მეოთხე პირობის თანახმად, ხასიათი თანმიმდევრული უნდა იყოს. იმ შემთხვევაშიც კი, როცა მოქმედი პირი არათანმიმდევრულია და ამ სახით წარმოსდგება ჩვენს წინაშე, მისი არათანმიმდევრულობა მაინც თანმიმდევრულად უნდა იყოს ნაჩვენები. ხასიათის ისეთი სიმდაბლის ნიმუშად, რომელიც აუცილებლობით არ არის გამოწვეული, შეიძლება დაეასახელოთ მენელაოსი „ორესტეში“, უხამსი და უდირსი ქვევის ნიმუშია ოდისეუსის მოთქმა „სკილაში“ და მელანიპეს სიტყვა, ხოლო არათანმიმდევრული ქვევისა – „იფიგენია აელისში“, ვინაიდან მათედრებელი იფიგენია სრულებით არა ჰგავს იმ იფიგენიას, რომელიც უფრო გვიან გვევლინება ტრაგედიაში.

ხასიათებში, ისევე როგორც მოქმედებათა ქარგაში, ყოველთვის უნდა ვეძებდეთ ალბათობას და აუცილებლობას, რათა ესა და ეს ამბობდეს ან აკეთებდეს ამას და ამას აუცილებლობისა თუ ალბათობის მიხედვით და რათა ერთი რამ სდებოდეს მეორის შემდეგ ისე და ისე აუცილებლობისა თუ ალბათობის მიხედვით.

ზემოთქმულიდან ამკარაა, რომ ფაბულის გახსნა თვით ფაბულიდან უნდა გამომდინარეობდეს. თვით ფაბულით უნდა ხდებოდეს და არა მანქანის საშუალებით, როგორც მაგალითად. „პელეაში“, ან „ილიადაში“ (გაეხსენოთ ხომალდით უკან გაბრუნების სცენა). მანქანას უნდა იყენებდნენ მხოლოდ იმის გასაცხადებლად, რაც დრამის გარეთ ხდება: ან იმისა, რაც აღრე მოხდა და, მაშასადამე, რისი ცოდნაც არ ძალუძს კაცს,

ანდა იმისა, რაც უფრო გვიან მოხდება და ამიტომ წინასწარმეტყველებასა და ღვთაებრივ გამოცხადებას მოითხოვს; დიახ, ღვთაებრივს, ვინაიდან ჩვენი წარმოდგენით, მხოლოდ ღმერთები არიან ყოელის განმჭერეგნი.

მოქმედებაში არაფერი უნდა იყოს ალოგიკური, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ის გრაგედის გარეთ უნდა დარჩეს, როგორც მაგალითად, სოფოკლეს „ოიდიპოსში“. რაკილა გრაგედია უკეთეს კაცთა ასახვა, ამიტომ ის კარგ პორტრეტებს უნდა ბაძავდეს: ვისიმე პორტრეტს რომ ქმნიან, ეს უკანასკნელი მარტოოდენ მსგავსების გადმოცემით კი არ კმაყოფილდებიან, არამედ ლამაზადაც გვიხატავენ მას. მუსტად ასევე, ფიცხ, თავქარიან თუ სხვა ამნაირ თვისებათა მქონე პირებს რომ ბაძავს, პოეტი უფრო კეთილშობილ არსებებად უნდა წარმოგიდგინდეს მათ. ასე დაგვიხატეს აგათონმა და პომპროსმა უღმობელი აქილევსი. აი, რას უნდა ვითვალისწინებდეთ იმ შთაბეჭდილებებთან ერთად, რომლებსაც უშუალოდ პოეტური ნაწარმოები იწვევს ჩვენში, რადგან მათაც შეუძლიათ ხშირად გვაედუნონ. ამის შესახებ საკმაოდ ბევრი რამ არის ნათქვამი ჩემს გამოქვეყნებულ თხზულებებში.

XVI

ჩვენ უკვე ვთქვით, რა არის გამოცნობა. ახლა კი მის სახეებზე ვილაპარაკოთ. პირველი და ყველაზე ნაკლებ ოსტატური სახე, რომელსაც გამოუვალნი მდგომარეობიდან თავის დაღწევის მიზნით მიმართავენ, — ესაა გამოცნობა გარეგნული ნიშნების საშუალებით. ამ ნიშანთაგან ზოგი ბუნებრივია, როგორც მაგალითად, „მუბი, რომელიც ხელთ უპყრიათ მიწის ნაშიერთ“, ანდა ვარსკელაეები — კარკინეს „თიესტეში“, ზოგი კი — შენაძენი, რომელთაგანაც ზოგიერთი ნიშანი ან გმირის ტანს ამჩნევია, როგორც მაგალითად, ნაჭრილობევი; ან ტანსაქმელია, როგორც მაგალითად, მანიაკი, და ბოლოს, ამავე ნიშანთაგანია ზოგიერთი სხვა ნიეთიც, მაგალითად, პაგარა ნაეი — „ტიროში“. ამ ნიშნების გამოყენება უკეთესადაც შეიძლება და უარესადაც. ასე მაგალითად, ოდისეის ნაჭრილობევის მიხედვით სხვადასხვაგვარად იცნეს, ერთის მხრივ ძიძამ, ხოლო მეორეს მხრივ, მელორეებმა. ყველაზე ნაკლებ ოსტატურია გამოცნობა, რომელიც დაჯერების გულისთვის ხდება, ისევე როგორც ყველა სხვა ამგვარი გამოცნობა საერთოდ. უკეთესია გამოცნობა, რომელიც პერიპეტიიდან გამომდინარეობს, როგორც მაგალითად, „განბანის“ სცენა „ოდიპოში“.

მეორე სახის გამოცნობა თვით პოეტის მიერ არის გამოგონილი და, ამდენად, ნაკლებ ოსტატურია. ასე მაგალითად, ორესტე „იფიგენიაში“ აღიარებს, რომ ის ორესტეა; იფიგენია წერილით ამელაენებს თავის ვინაობას, ორესტე კი ლაპარაკობს იმას, რაც პოეტს სურს, მაგრამ რასაც არ მოითხოვს თვითონ ფაბულა. ამიტომ ასეთი გამოცნობა ახლოა შემოხსენებულ ნაკლთან: შესაძლო იყო ორესტეს ზოგიერთი გარეგნული ნიშანიც კქონოდა. ამნაირი გამოცნობის ნიმუშია ნაქარგის ღალადისი სოფოკლეს „ტერეესში“.

შესაძება გამოცნობა მოგონების საშუალებით, როცა ამა თუ იმ საგნის ხილვა რაიმე გრძნობას იწვევს. ასე მაგალითად, დიკაიოგენეს „კიპროსელებში“ გმირმა დაინახა სურათი და ქეთინი დაიწყო, ხოლო „ალკინოესთან საუბარში“ გმირმა მოუსმინა კითარისტს და, წარსულის მოგონებით გულშეძრული, მწარედ ატირდა. აი ასე იცნეს ორივე.

მეოთხე სახის გამოცნობა დასკვნის საშუალებით ხდება, როგორც მაგალითად, „ქოფორობში“: „მოსულა ვიდაც ჩემი მსგავსი, მაგრამ ჩემი მსგავსი არავინაა, ორესტეს გარდა, მაშასადამე, მოსული — ორესტეა. ასეთივე გამოცნობაა გამოყენებული სოფისტ პოლიედეს თხზულებაში იფიგენიას მიმართ: ორესტე მართებულად დაასკვნის, რომ მისი და მსხვერპლად შესწირეს, ამიტომ მასაც შესწირავენ მსხვერპლად. ხოლო თეოდექტეს „ტიდეესში“ გმირი დაასკვნის, რომ, რაკი თავისი ეაყის საძებნად მოვიდა, უსათუოდ დაილუქება. ასევეა „ფინიდეზში“: დაინახავენ თუ არა ადგილს, ქალები წამსვე მიხედებიან, რომ აქ უნდა დაიხოცონ, ვინაიდან აქვე გადმოსხეს ისინი.

არსებობს ევრეთწოდებული რთული გამოცნობაც, რომელიც მაყურებელთა მცდარ დასკვნაზეა დაფუძნებული, როგორც მაგალითად, „ერუმაენე ოდისევსში“, სადაც ოდისევსი აცხადებს, რომ შეუძლია იცნოს მშვილდი, რომელიც თვალით არ უნახავს. მაყურებელს კი ჰკონია, რომ მართლა იცნობს და, ამრიგად, მცდარ დასკვნამდე მიდის.

მაგრამ ყველაზე უკეთესი გამოცნობა მაინც უშუალოდ მოქმედებიდან გამომდინარე გამოცნობაა. ამ დროს მაყურებლის განცეიფრებას მოელენათა ბუნებრივი განვითარება იწვევს. ასეთი გამოცნობა გამოყენებულია სოფოკლეს „ოიდიპოსსა“ და „იფიგენიაში“. მართლაც, სავსებით ბუნებრივია, რომ იფიგენიას წერილის გადაცემა სურს. მხოლოდ ამგვარი გამოცნობა ხდება ხელოვნური ნიშნების გარეშე. მეორე ალგილი ეკუთვნის გამოცნობას დასკვნის საშუალებით.

XVII

ფაბულების აგებისა და მათი სტილისტური დამუშავების დროს პოეტს თვალწინ უნდა ედგას ყველაფერი, რაზედაც წერს. შემოქმედი მხოლოდ მაშინ მიაკვლევს იმას, რისი მიკვლევაც მართებს და მის თვალს მხოლოდ მაშინ არ გამოუქარება შინაგანი წინააღმდეგობანი. როცა ყველაფერს ისე ცხადად ითვალისწინებს, თითქოს მის მიერ აღწერილი ამბების თვითმხილველი იყოს. ამას გვიმოწმებს თუნდაც ის, რასაც კარკინეს უსაყვედურებდნენ: მის დრამაში ამფიარე გამოდიოდა ტაძრიდან, რაც დაფარული რჩებოდა მაყურებლისათვის, რომელიც დრტვინავდა და უკმაყოფილებას გამოსთქვამდა ამის გამო. სწორედ ამან განაპირობა დრამის მარცხი სცენაზე.

რამდენადაც შესაძლოა, პოეტს ნათლად უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი გმირთა განცდებიც. ამა თუ იმ განცდის გადმოცემისას ყველაზე დამაჯერებელია ის, ვინც თვითონაც გულმეძრულია ამავე გრძნობით გვაღელვებს ის, ვინც თვითონაც ღელავს, ხოლო ჩვენს რისხვას იწვევს რისხვით გულანთებული. ამიგომ პოეზია, მაღალნიჭიერ ან ღვთაებრივი სიმშაგით შექყრობილ კაცთა საუფლოა, ვინაიდან პირველთ გარდასახვის ძალი შესწევთ, ხოლო მეორეთ – ალკინების, ალფრთოვანების.

როგორც მითიური თქმულებებით შემონახული, ისე შეთხზული მასალაც პოეტმა ზოგადად უნდა მოიაზროს წერის დროს, შემდეგ კი ეპიზოდების ჩართვით განაყრცოს იგი. ჩემის აზრით, ზოგადი შეიძლება ისე მოიაზრო, როგორც მაგალითად, „იფიგენიაში“: უმანკო ქალწულს მსხვერპლად სწირავენ. ის გაეპარება მზორავთ და მორეულ ქვეყანაში გადაიხეწება, რომლის მცხოვრებნიც, წინაპართა წესისამებრ, უცხოელებს მსხვერპლად სწირავენ ქალღმერთს. აქ მას მზორავ ქურუმად განამწესებენ. უოტა ხნის შემდეგ, ღმერთის ბრძანებით, ამ ქვეყანაში ჩადის ქალწული ქურუმის ძმა (რა იყო ამ ბრძანების მიზეზი – ეს ზოგადი სქემის გარეთაა, ხოლო რა იყო მიზანი – ეს ფაბულის გარეთ რჩება). საბრალოს ჩასვლისთანავე შეიყრობენ და მსხვერპლად შეწირვას დაუპირებენ. და აი, სწორედ აქ იცნეს იგი (შესაძლოა, ისე, როგორც ეერიპიდემ წარმოადგინა. ან ისე, როგორც პოლიეიდეს მიერაა წარმოდგენილი), ვინაიდან ენებურად აღმოხდა სიგყვა, რომელიც სავსებით ბუნებრივია მის ღღეში მყოფი კაცისთვის: კერძოდ, მან თქვა, რომ არა მარტო მის დას, არამედ თურმე მასაც ბედად ეწერა, რომ მსხვერპლად შეეწირათ ღვთაებისათვის. სწორედ ამან გადაარჩინა განწირული.

მას შემდეგ, რაც მოქმედ პირებს სახელები დაერქმევათ, პოეტს ეპიზოდების შექოტანა მართებს, მაგრამ ეს ეპიზოდები ორგანულად უნდა ერწყმოდნენ და ეხამებოდნენ მთელს მოქმედებას, როგორც მაგალითად, ორესტეს გაშმაგება, რის უამოც ის შეიყრეს, შემდეგ კი განწმენდა, რამაც იხსნა იგი.

დრამაში ეპიზოდები მოკლეა, ეპოსში კი გავრცობილი. ასე მაგალითად, „ოდისეას“ მთელი შინაარსი შეიძლება სულ რამდენიმე ფრაზით გადმოეცეთ: გმირი წლების განმავლობაში დაეხეტება ხმელსა თუ ზღვაზე. მას სღვენის პოსეიდონი. ის მარტოა. ამასობაში სასიძოები მთელს მის აელა-ღიდებას ანიაებენ და ბოროტს იზრახავენ მისი ძის მიმართ. ხანგრძლივი ტანჯვა-წამების შემდეგ ის შინ ბრუნდება, თავის

ვინაობას უმედავენებს მოგიერთ შინაურს და თავს ესხმის სასიძობებს, რომლებსაც მუსრს გააველებს, თვითონ კი გადარჩება. ამით ამოიწურება პოემის მთელი შინაარსი, ყოველივე დანარჩენი კი ეპიზოდებია.

XVIII

ყოლ გრაგედიაში ორი ნაწილი გამოიყოფა: გასკენა და გახსნა. პირველი, ჩვეულებრივ, მოიყავს მოვლენებს, რომლებიც დრამის გარეთაა და მოგ რასმე იქიდან, რაც საკუთრივ დრამაში შედის, ხოლო მეორე – ყოველივე სხვა დარანჩენს. გასკენას მე ვუწოდებ იმ ნაწილს, რომელიც გრძელდება დასაწყისიდან გარდატეხის მომენტამდე, საიდანაც ბედნიერებიდან – უბედურებაში, ან, პირუკუ, უბედურებიდან ბედნიერებაში გადასვლა ხდება, ხოლო გახსნას – იმ ნაწილს, რომელიც გარდატეხის მომენტით იწყება და დასასრულამდე მიდის. ასე მაგალითად, თეოდექტეს „ლინკეესში“ გასკენა არის ის, რაც ადრე მოხდა, სახელდობრ, ბავშვის გატაცება და გამტაცებელთა შეპყრობა, ხოლო გახსნა მკვლელობაში ბრალის დადებიდან დასასრულამდე გრძელდება.

არსებობს გრაგედიის ოთხი სახეობა, ესე იგი, იმდენი, რამდენი ნაწილიც მემოთ აღინიშნა: კერძოდ, დახლართული გრაგედია, რომელშიაც ყველაფერი პერიპეტეიასა და გამოცნობაზეა დაფუძნებული; პათეტიკური გრაგედია, როგორც მაგალითად, „ფთიოტილები“ და „პელესი“, და ბოლოს ფანტასტიკური გრაგედია, როგორც მაგალითად, „ფორკილები“, „პრომეთე“ და სხვა მისთანანი, რომელთა მოქმედებაც ქაღესში ხდება.

პოეტი, უწინარეს ყოვლისა, უნდა ცდილობდეს იმას, რომ მისი ქმნილება ყველა ამ სახეობას აერთიანებდეს, ან, თუ ყველას არა, უმთავრეს და უმრავლეს სახეებს მაინც, მითუმეტეს ღღეს, როცა პოეტებს ასე უსამართლოდ ესხმიან თავს: მიუხედავად იმისა, რომ ყველა ამ სახეობაში ბევრი კარგი პოეტი ვეყავს, მაინც დაეინებით მოითხოვენ, რომ თითოეული მათგანი ჩრდილავდეს თავის ყველაზე ღირსეულ წინამორბედს.

შესაძლოა, უფრო მართებულად მოვიქცევით, თუ გრაგედიათა მსგავსებას ან არამსგავსებას ფაბულების მიხედვით კი არ განვსაზღვრავთ, არამედ გასკენისა და გახსნის მიხედვით. ბევრი პოეტი, რომელსაც კარგად გამოუღის გასკენა, ხშირად თავს ვერ ართმევს გახსნას, თუმცა საჭირო კია, რომ მათ ორივე ამ ნაწილის სრულყოფილი გადაწყვეტისთვის უკრავდნენ გამს.

არც ის უნდა დავივიწყოთ, რაც არაერთგზის აღგვინიშნავს: ვერიდოთ გრაგედიაში ეპოსისებური კომპოზიციის გამოყენებას. ეპოსისებურს მე ვუწოდებ მრავალფაბულიან ქმნილებას; ასე მაგალითად, ვინმეს რომ მთელი „ილიადა“ გრაგედიის ენაზე გადაეგანა, სწორედ ამნაირ ნაწარმოებს მივიღებდით. ეპოსის სიგრძის გამო მისი ნაწილებიც სათანადოდ არიან გაერცობილნი, გრაგედიაში კი ნაწილთა ამნაირი გაერცობა სრულიად მოულოდნელ შედეგს იძლევა. აი, საბუთიც: იმ გრაგიკოსებმა, რომლებმაც თავიანთ გრაგედიებს მთელი „ილიონის დამხობა“ დაუღეს საფუქელად და არა მისი მოგიერთი ნაწილი, ეერიპიდეს მსგავსად, ანდა ნიობეს მთელი თავგადასავალი დაამუშავეს და არა მისი ცხოვრების ერთი ეპიზოდი, როგორც ესქილემ. – ან სასტიკი მარცხი იწენიეს, ან შეჯიბრისას თავიანთ მეტოქეებს დაუთმეს პირველობა. სწორედ ამან განაპირობა აგათონის მარცხიც, თუმცადა, პერიპეტეიებისა და მარტივ მოქმედებათა გადმოიყმისას ის ყოველთვის წარმატებით აღწევდა მიზანს. ხოლო მიზანი მიღწეულად ითვლება მაშინ, როცა, ავგორის ჩანაფიქრით, ბრძენი, მაგრამ ბოროტი კაცი თვითონ რჩება მოგყუებული, როგორც მაგალითად, სისიფოსი, ანდა მამაიც, მაგრამ უსამართლო კაცი მარცხდება. ეს გრაგიკულიცაა და სამართლიანიც, მაგრამ, ამავე დროს, ბუნებრივიც არის, ვინაიდან, აგათონის თქმისა არ იყოს, „ბუნებრივია ისიც, რომ ბევრი რამ არაბუნებრივად ხდება“.

დასასრულ, ქორო ერთ-ერთ მსახიობად უნდა მიგვაჩნდეს. ის უნდა იყოს მთელის ნაწილი და თავისი წვლილი შექმონდეს მოქმედების განვითარებაში, მაგრამ არა ისე, როგორც ეერიპიდესთან, არამედ – როგორც სოფოკლესთან. დანარჩენ პოეტთა

შემოქმედებაში კი ქოროს საგალობლები იმდენადევა დაკავშირებული საკუთარ ფაბულასთან. რამდენადაც ნებისმიერ სხვა გრაველიასთან. ამიგომ მათ ქმნილებებში ქორო ჩართულ საგალობლებს ასრულებს მხოლოდ. ამნაირი „ჩართვა“ პირველად ავათონმა შემოიღო. მაგრამ კაცმა რომ თქვას, რა განსხვავებაა: გინდ ქოროს შეუსრულებია ჩართული საგალობელი და გინდ ერთი გრაველიდან მეორეში გადავიგანია ვისიშე სიგყვა, ან, თუნდაც, მთელი ეპიზოდი.

XIX

ამრიგად, ყველა სხვა საკითხის განხილვას მოვრჩით; ახლა კი სტილისა თუ ამროვნების შესახებაც ვილაპარაკოთ, მაგრამ ამ უკანასკნელის განხილვა უფრო რიტორიკის საქმეა, ვინაიდან თავისი არსით ის უმალ ცოდნის ამ დარგს უკავშირდება. ამროვნებისეულია ყველაფერი, რაც სიგყვის მეშვეობით უნდა იქნას მიღწეული. კერძოდ, დამტკიცება, გაბათილება, ამა თუ იმ განცდის, მაგალითად, სიბრაღელის, შიშის, მრისხანების თუ სხვა მისთანათა გამოწვევა, აგრეთვე რისამე განდიდება ან დაკნინება. რასაკვირველია მოქმედებათა გადმოცემის დროსაც იმავე საშუალებებს უნდა მივმართავდეთ, რომლებსაც ვიყენებთ ამრის სიგყვიერი გადმოცემისას, თუკი გვმართებს წარმოვადგინოთ საწყალობელი ან საშინელი, ჩვეულებრივი თუ არაჩვეულებრივი. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ დრამატულ მოქმედებაში ყოველივე ეს თავისთავადაც, ესე იგი, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშეც ცხადი უნდა იყოს, მაშინ როდესაც თავის სიგყვაში ყოველივე ამას თვითონ მოლაპარაკე გვიცხადებს. მართლაცდა, რიდას მაქნისი იქნებოდა ეს უკანასკნელი, მისი სათქმელი რომ უიმისოდაც ცხადყოფდეს, ვთქვათ, სასიამოვნოს ანდა საშინელს?

რაც შეეხება სტილს, აქ ერთ-ერთი განსახილავი საკითხია სიგყვის გარეგნული გაფორმება. მისი ცოდნაც სამსახიობო ხელოვნებისა თუ ამ ხელოვნებას სრულყოფილად დაუფლებული კაცის საქმეა. მე ვგულისხმობ იმის ცოდნას, თუ როგორი ფორმა უნდა ქჷონდეს ბრძანებას, თხოვნას, თხრობას, მუქარას, კითხვას, პასუხს და სხვა მისთანათ. ყოველივე ამის ცოდნა თუ არცოდნა პოეტური ხელოვნების არსებით ღირსებად ან ნაკლად ვერ ჩაითვლება და ამიგომ არც იმისი ამრია მაინცდამაინც დიდი ყურადღების ღირსი. ვინც ამ ნიშნით იწონებს ან იწუნებს პოეტს. მართლაცდა, განა შეიძლება პომეროსი დაეგმოდთ იმის გულისთვის, რისთვისაც მას ჰკიცხავს პროტაგორა? კერძოდ, ის თვლის, რომ პომეროსი სცოდაც, როდესაც ამბობს:

„მიმღერე, ღმერთქალო, რისხვა“...

ვინაიდან, პროტაგორას ამრით, ბრძანებით კილოში დასმული მოქმედების აღმნიშვნელი სიგყვა მარტოდენ ბრძანებას გამოხატავს და არა თხოვნასაც... მაშ, მოდი, ნულარ შევჩერდებით ამ საკითხზე, რომლის განხილვაც სხვა ხელოვნების საქმეა და არა პოეტიკისა.

XX

სტილის შემადგენელი ნაწილებია: საწყისი ბგერა, მარცვალი, კავშირი, სახელი, მზნა, ნაწეუარი, ფლექსია, წინადადება.

საწყისი ბგერა ეწოდება უმარტივეს, განუყოფელ ბგერას, მაგრამ არა ყველანაირს, არამედ მხოლოდ ისეთს, რომელიც თავისი ბუნებით დასაბამს აძლევს ვონიერულ სიგყვას. მართლაცდა, ცხოველებსაც ხომ აქვთ დაუნაწევრებელი ბგერები, რომელთაგანაც არყერთს არ უწოდებ საწყის ბგერას. ამ უკანასკნელის სახეებია – ხმოვანი, ნახევარხმოვანი და არახმოვანი. ხმოვანია ბგერა, რომელიც ენის მკვეთრი მოძრაობით წარმოითქმება; ნახევარხმოვანია ბგერა, რომელიც ენის მკვეთრი მოძრაობით წარმოითქმება, როგორც მაგალითად, „ს“ ან „რ“; და ბოლოს, არახმოვანი ბგერა სამეგყეელო ორგანოების მოძრაობისას თავისთავად კი არა ბგერს, არამედ მხოლოდ სხვა, მეგნაკლებად თავისთავადი ბგერების შემობლობაში აღიქმება როგორც ბგერა. ასეთია, მაგალითად, „გ“ ან „დ“. ეს ბგერები ერთმანეთისაგან

განსხვავდებიან საქეცყველო ორგანოთა მღვთმარეობით, მათი წარმოთქმის ადგილით, უშენის სისუსტით თუ სიძლიერით, სიგრძე-სიმოკლით და, ბოლოს, მკვეთრი, ბლაგვი თუ შემოსილი მახვილის მიხედვით. ყოველივე ეს, უფრო დაწერილებით, მეტრიკაში უნდა იქნეს განხილული.

მარცვალი არის თავისთავადი მნიშვნელობის არმქონე ორი ან მეტი ბგერის კომპლექსი, რომელიც ერთი ხმოვნისა და ერთი ან რამდენიმე არახმოვნისაგან შედგება. ასე მაგალითად „გა“ მარცვალია „რ“-ს გარეშე და „რ“-სთან ერთადაც – „გრა“. მაგრამ მარცვალთა ურთიერთგანსხვავების განხილვაც მეტრიკის საქმეა.

კავშირი არის თავისთავადი მნიშვნელობის არმქონე სიგყვა, რომელიც არც ხელს უწყობს და არც ხელს უშლის რამდენიმე სიგყვისაგან ერთი ამრიანი წინადადების წარმოქმნას. ის დაისმის წინადადების ბოლოში ან შუაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა შესაძლებელია მისი დასმა წინადადების თავში, როგორც მაგალითად, *мен, етот, де*. ან კიდევ, კავშირი არის თავისთავადი მნიშვნელობის არმქონე სიგყვა, რომელიც რამდენიმე თავისთავადი მნიშვნელობის მქონე სიგყვას ერთ ამრიან წინადადებად აკავშირებს.

ნაწვეარი არის თავისთავადი მნიშვნელობის არმქონე სიგყვა, რომელიც გვიჩვენებს წინადადების დასაწყისს თუ დასასრულს, ან მის დაყოფას ცალკეულ ნაწილებად; ასეთებია, მაგალითად, *ამი, peri* და სხვა მისთანანი. (ან კიდევ, ეს არის თავისთავადი მნიშვნელობის არმქონე სიგყვა, რომელიც არც ხელს უწყობს და არც ხელს უშლის რამდენიმე სიგყვისაგან ერთი ამრიანი წინადადების წარმოქმნას. ის დაისმის წინადადების ბოლოში ან შუაში).

სახელი არის თავისთავადი მნიშვნელობის მქონე რთული სიგყვა, რომელიც არ შეიცავს დროის გაგებას და რომლის ნაწილებს თავისთავადი მნიშვნელობა არ გააჩნიათ. და მართლაც, ჩვენ ხომ თავისთავადი მნიშვნელობით არა ვხმარობთ ორმაგ სახელთა თვითეულ ნაწილს, ასე მაგალითად, სახელში *Theodoros* მეორე ნაწილის *doros* – მნიშვნელობა დაკარგულია.

გმნა არის თავისთავადი მნიშვნელობის მქონე რთული სიგყვა, რომელიც შეიცავს დროის გაგებას და რომლის ნაწილებს, ისევე როგორც სახელისას, თავისთავადი მნიშვნელობა არ გააჩნიათ. ასე მაგალითად, „კაცი“ ან „თეთრი“ არ შეიცავს დროის გაგებას, მაშინ როდესაც „მოდის“ და „მოვიდა“, გარდა თავიანთი უშუალო მნიშვნელობისა, დროსაც აღნიშნავენ: პირველი – აწმყოს, ხოლო მეორე – წარსულს.

ფლექსია სახელსა თუ გმნაში აღნიშნავს ან ისეთ მიმართებას, როგორცაა: „ამან“, „ამას“ და ა. შ., ან მხოლობითს და მრავლობითს, როგორც მაგალითად, „კაცი“ და „კაცნი“, ან კიდევ ურთიერთმიმართებას მოლაპარაკეთა შორის, ვთქვათ, კითხვის ან ბრძანების ფორმას, მაგალითად, „წავიდა?“, „წაიდა!“

წინადადება არის სიგყვათნაერთი, რომელსაც, ისევე როგორც მის ნაწილებს, თავისთავადი მნიშვნელობა აქვს. ყველა წინადადება როდი შედგება გმნებისა და სახელებისგან. შესაძლოა უგმნო წინადადებაც, მაგალითად, ადამიანის განსაზღვრა, მაგრამ წინადადების ერთ წევრს მაინც ყოველთვის უნდა ჰქონდეს თავისთავადი მნიშვნელობა. ასე მაგალითად, წინადადებაში „კლეონი მოდის“ ასეთი წევრი იქნება „კლეონი“. წინადადება ერთიანია ორმაგი ამრით: ან იმით, რომ ერთ საგანს აღნიშნავს, ან იმით, რომ სიმრავლის ერთობას აღნიშნავს. ასე მაგალითად, „ილიადა“ ერთიანია, როგორც სიმრავლის ერთობის გამომხატველი, ხოლო „ადამიანის“ განსაზღვრა – როგორც ერთის გამომხატველი.

XXI

ზოგი სახელი მარტივია, ზოგი კი რთული. მარტივს მე ვუწოდებ სახელს, რომელიც მნიშვნელობის არმქონე ნაწილებისგან შედგება, როგორც მაგალითად, „მიწა“. ხოლო რთულ სახელთაგან ზოგიერთი მნიშვნელობის მქონე და მნიშვნელობის არმქონე ნაწილებისაგან შედგება, (ოღონდ პირველი ნაწილის მნიშვნელობა თვითონ სახელში

წამილია), ზოგიერთი კი მნიშვნელობის მქონე რამდენიმე ნაწილისაგან, რთული სახელი შეიძლება იყოს ორმაგი, სამმაგი, ოთხმაგი ა ა. შ. ასეთია მაღალფარდოვან სახელთა უმრავლესობა. როგორც მაგალითად, „პერმოკაიკოქსანთოსი“.

თითოეული სახელი შემოდება იყოს ან საყოველთაო, ან გლოსა, ან მეტაფორა, ან სამკაული, ან შეიხზული, ან გაგრძელებული, ან შემოკლებული, ანდა შეცვლილი.

საყოველთაოს მქ ეწოდება სახელს, რომელსაც იყენებს ყველა, გლოსას კი – სახელს, რომელსაც იყენებენ მხოლოდ ზოგიერთნი. ამრიგად, ამკარაა, რომ ერთი და იგივე სახელი შეიძლება გლოსა იყოს და საყოველთაოც, მაგრამ არა ერთი და იგივე კუთხის მცხოვრებთათვის. ასე მაგალითად, *sigyon* (შუბი) კვიპროსელთათვის საყოველთაოა, ჩვენთვის კი – გლოსა.

მეტაფორა არის სახელის გადატანა, მისი მნიშვნელობის შეცვლით, ან გვარიდან სახემზე, ან სახიდან გვარზე, ანდა სახიდან სახემზე, და ბოლოს, ეს გადატანა შეიძლება ანალოგიის გზითაც მოხდეს. სახელის გვარიდან სახემზე გადატანის ნიმუშია – „და აქვე დგას ჩემი ხომალდიც“, ვინაიდან „ღუმის ჩაშვება“, „ღუმზე დგომა“ კერძო სახეა ცნებისა „დგომა“. სახიდან გვარზე გადატანის ნიმუშია – „ღიახ, გვიჩვენა ოდისეესმა მირიადი საგმირო საქმე“. ვინაიდან „მირიადი“ ნიშნავს „მრავალს“, ამიგომ პოეგმა ეს სიტყვა „მრავლის“ ნაცვლად იხმარა. სახიდან სახემზე გადატანის ნიმუშია, ერთის მხრივ, – „ამოართვა მახვილით სული“, ხოლო მეორეს მხრივ, – „და მოჰკვეთა ბასრი მახვილით“. აქ „ამოართმევა“ ნიშნავს „მოკვეთას“ და, პირუკუ, „მოკვეთა“ ნიშნავს „ამოართმევას“, ხოლო ორივე რისამე „წართმევის“ მნიშვნელობით არის ნახმარი. ანალოგიით გადატანას მქ ეწოდება ისეთ შემთხვევას, როცა მეორე ისე მიემართება პირველს, როგორც მეოთხე – მესამეს. ამიგომ შეიძლება მეორის ნაცვლად მეოთხე ითქვას, ხოლო მეოთხის ნაცვლად – მეორე. ზოგჯერ მეტაფორას უმატებენ იმ სიტყვასაც, რომელსაც მიემართება მისი შემცველი მეტაფორა: ასე მაგალითად, ფიალა დიონისესათვის იგივეა, რაც არესისათვის – ფარი; ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ფიალა დიონისეს ფარია, ხოლო ფარი – არესის ფიალა. ან კიდევ: სიბერე სიციცხლის მიმართ იგივეა, რაც საღამოა დღის მიმართ; მამასაღამე, შეიძლება ითქვას, რომ საღამო დღის სიბერეა, ხოლო სიბერე – სიციცხლის საღამო, ანუ, ემპედოკლეს თქმისა არ იყოს, – სიციცხლის ჩასვლა. ზოგიერთ მოვლენას შესაყვისი სახელი არ გააჩნია, მაგრამ ანალოგიის გზით მაინც შეიძლება მისი ხატოვანი გამოთქმა: ასე მაგალითად, მთესველის მიერ თესლის ფანტვას „თესვა“ ეწოდება. მზის მიერ სხივების ფანტვას კი საკუთარი სახელი არ გააჩნია. მაგრამ სხივების ფანტვა ისე მიემართება მზეს, როგორც თესვა – მთესველს. სწორედ ამიგომ თქვა პოეგმა: „თანაც თესდა ღვთაებრივ ნათელს“. ამგვარი მეტაფორის გამოყენება სხეანაირადაც შეიძლება, კერძოდ, სიტყვის გადატანისას მისთვის დამახასიათებელი რაიმე ნიშნის უარყოფის გზით. ასე მაგალითად, ჩვენ შეგვეძლო ფარისათვის გვეწოდებინა არა „არესის ფიალა“, არამედ „უღვინო ფიალა“.

შეთხზულია სიტყვა, რომელიც არავის არ უხმარია და თვითონ პოეტის მიერ არის გამოვიწვილი. ასეთია, მაგალითად, *ernyges* (ყლორტები) *ta kerata*-ს (რქები) მნიშვნელობით და *areter* (მლოცველი) *hierays*-ის (ქურუმი) მნიშვნელობით.

არის აგრეთვე გაგრძელებული და შემოკლებული სიტყვები. გაგრძელებულია სიტყვა, რომლის ამა თუ იმ მოკლე ხმოვანს გრძელი ხმოვნით ცვლიან ან რომელშიც მთელ მარცვალს რთავენ; შემოკლებული კი არის სიტყვა, რომელსაც რასმე აკლებენ, პირველის მაგალითებითა: *poléos* (*poleos*), *Péléos* (*Péleos*), *Péléiadeó* (*Péleiadoy*), ხოლო მეორისა: *cri*; *do* და *mia ginetai amfoteron ops*.

სიტყვა შეცვლილია მაშინ, როცა ხმარებული ფორმის ერთ ნაწილს გოვებენ, მეორეს კი უმატებენ; ასე მაგალითად *dexiteron cata mazon* ნაცვლად *dexion*-ისა.

სახელთაგან ზოგი მამრობითი სქესისაა, ზოგი მდედრობითის და ზოგიც სამუალო სქესისა. მამრობითი სქესის სახელები *n*, *r*, *s*-ითა და ამ უკანასკნელის შემცველი ასოებით ბოლოვდებიან, ასეთი ასო კი ორია *ps* და *x* მდედრობითი სქესის სახელები ან

მუდამ ვრძელი ხმოვნებით $\acute{\epsilon}$ და \acute{o} -თი ბოლოვლებიან, ან კიდევ ხან გრძელი და ხანაჲ მოკლე ხმოვნით. ასე რომ, მამრობითი და მდედრობითი სქესის სახელების დაბოლოებათა რიცხვი თანასწორია, ეინაიდან ps და x იგივეა, რაჲ s. არახმოვნით ან ყოველთვის მოკლე ხმოვნით არსერთი სახელი არ ბოლოვდება. i-თი ბოლოვდება მხოლოდ სამი სახელი: meli (თაფლი), commi (წებო) და peperī (პილიპილი), ხოლო y-ით – ხუთი და ბოლოს, საშუალო სქესის სახელები ამ ხმოვნებით, აგრეთვე n და s-ით ბოლოვდებიან.

XXII

სტილის ღირსება ის არის, რომ ნათელი იყოს და არა მდაბალი. ყველაზე მკაფიო სტილს საყოველთაოდ ხმარებული სახელები უდევს საფუძელად. მაგრამ ასეთი სტილი მდაბალია. ამის ნიმუშია კლეოფონისა და სთენელეს შემოქმედება. მაღალი და ნატიფი სტილი კი უჩვეულო სიტყვების ხმარებაზეა დაფუძნებული. უჩვეულო სიტყვას მე ვუწოდებ გლოსას, მეტაფორას, გაგრძელებას და ყოველივე იმას, რაჲ საყოველთაოდ ხმარებული სახელების რიცხვს არ ეკუთვნის. მაგრამ თუ ვინმე მხოლოდ ამნაირი სახელებით ააგებს მთელ თავის სიტყვას, მაშინ მივიღებთ გამოცანას ანდა ბარბარიზმს. მარტოოდენ მეტაფორებით შედგენილი წინადადება გამოცანაა, მარტო გლოსებით შედგენილი კი ბარბარიზმია. მართლაცა, გამოცანის არსი ხომ ისაა, რომ არსებულზე ლაპარაკისას მას შეუთავსო შეუძლებელი. საყოველთაოდ ხმარებული სიტყვების შემდეგობით ამის მიღწევა არ შეიძლება, მეტაფორების შემდეგობით კი შესაძლებელია. ასე მაგალითად:

„ეიხილე კაცი, რომელმაც ცეცხლით მიარჩილა სპილენძი სხელს“, და სხვა მისთანანი... ბარბარიზმი წარმოსდგება გლოსებისაგან. მაშასადამე, საჭიროა, რომ მწერლის ენაში ეს სიტყვები ზომიერად ერწყმოდნენ ერთმანეთს, ეინაიდან გლოსის, მეტაფორის სამკაულებისა და სიტყვის სხვა შემოსხენებული სახეების წყალობით სტილი ამაღლებული და დახვეწილი ხდება, ხოლო საყოველთაოდ ხმარებული სიტყვები სინათლეს ანიჭებენ მას. სტილის სინათლეს და სინატიფეს მნიშვნელოვანწილად განაპირობებენ გაგრძელებული, შემოკლებული თუ შეცვლილი სიტყვები, ეინაიდან ამგვარი სიტყვების განსხვავება სასაუბრო ენის ჩვეულებრივი ფორმებისაგან თავიდან გეაიცილებს სტილის სიმდაბლეს. ხოლო მათ გვერდით სასაუბრო ენისათვის ჩვეულებრივი ფორმების გამოყენება სინათლეს უნარჩუნებს სტილს. ასე რომ, უმართებულოდ ავსიტყვაობენ ამნაირი სტილის მგმობელნი და პოეტის განმქიქებელნი, როგორც მაგალითად, უუროსი ეეკიდე. მისი აზრით, არაფერია ლექსის წერაზე უურო ადვილი, თუკი თავს ნებას მისცემ ისე დააგრძელო სიტყვები, როგორც მოგეპრიანება. მან თვით თავისი ლექსის ფორმით დასცინა ასეთ სტილს:

Epicharen eidon Marathonade badizonta,

ანდა:

oyc an g'eramenos ton eceinoy elleboron

თუმცა ამ ხერხის უადგილოდ ხმარება მართლაც სასაცილოა, ეინაიდან სიტყვიერების ყველა ნაწილის აუცილებელი პირობაა ზომიერება. ამიგომ ის, ვინც მეტაფორებს, გლოსებს და სხვა მისთანათ უადგილოდ ან განზრახ, ვთქვათ, სიცილის გამოწვევის მიზნით იყენებს, თვითონვე გაიხდის თავს სასაცილოდ. ხოლო რარიგ მნიშვნელოვანია ყოველივე ამის თავის ადგილას ხმარება, დაე, მკითხველმა თავად განსაჯოს ეს ეპიური პოემის მაგალითზე, როცა მის სალექსო სამომში საყოველთაოდ ხმარებულ სახელებს რთავენ. ის, ვინც გლოსებს, მეტაფორებს და სხვა მისთანათ საყოველთაოდ ხმარებული სიტყვებით შეცვლის, თვალნათლივ დარწმუნდება ჩვენი მოსაზრების სისწორეში. ასე მაგალითად, ესქილესა და ევრიპიდეს ეკუთვნით იამბიკური სამომით გამართული თითო სტრიქონი, რომლებიც მხოლოდ ერთი სიტყვით განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ესქილეს ლექსში საყოველთაოდ ხმარებული სიტყვა

ვერიპიდეშ გლოსით შეცვალა. და ეს ცვლილება საკმარისი აღმოჩნდა, რათა ერთ ლექსს ამკარად დაენრიდია მეორე. კერძოდ, ესქილე „ფილოქეტეში“ ამბობს:

„ჰამს შწვევე წყული ფეხის ხორცს ჩემსას“,

ვერიპიდეშ კი სიტყვა „ჰამს“, შეცვალა სიტყვით „ნთქამს“. ზუსტად ასეთსავე შედეგს მავილებდით. ვინმეს რომ ამ სტრიქონში:

„ახლა კი ვინ? ამ უბადრუკმა, უსახო ჯუჯამ“...

გლოსები საყოველთაოდ ხმარებული სახელებით შეეცვალა:

„ახლა კი ვინ? ამ საცოდავმა, უშნო კაცუნამ“...

ანდა ქვეშით მოგანილი სტრიქონის ნაცვლად –

„უნოდ ნაჩორკნი მიუჩონა მას ჯორკო და დაბალი გაბლა“,

ეთქვა:

„უნოდ გათლილი მიუჩონა მას სკამი და პაგარა სუფრა“; ან კიდეე ამის ნაცვლად

– „ქოდლეხი ბღაივან“. – დაეწერა: „ქოდლეხი ყვირიან“... ჯერ კიდეე არიფრადე დასკანოდა გრავიკოსებს: ისეთ გამოთქმებს იყენებენ, როგორსაც არაეინ იხმარდა საუბარში: ასე მაგალითად, domaton apo და არა apo domaton; Achilleos peri და არა peri Achilleos; sethen. ego de nin და ა. შ. მაგრამ ამნაირი გამოთქმები სწორედ იმიტომ ვგაყვილებენ თავიდან სტილის სიმდაბლეს და სიგლანქეს, რომ ყოველდღიურ პეტყველებაში არ იხმარებიან. არიფრადეს კი ეს არ ესმოდა.

ძალზე მნიშვნელოვანია სიტყვების ყველა შემოსხენებული სახის, როგორც მაგალითად, გლოსებისა თუ რთული სახელების თავის ადგილას ხმარება. მაგრამ ყველაზე არსებითი მაინც მეგაფორების ოსტატურად გამოყენება გახლავთ. მხოლოდ არ შეიძლება ამის გადმოლება სხვებისგან. ეს ბუნებრივი ნიჭის უტყუარი ნიშანია, ვინაიდან სრულყოფილი მეგაფორების შექმნა მსგავსების არსში წვდომის უნარზე მტყვევლებს.

სიტყვათა შორის რთული სახელები ყველაზე მეტად დითირამებს შეჰფერის, გლოსები – პეროიკულ ნაწარმოებებს, ხოლო მეგაფორები – იამბიკური საზომით გამართულ ლექსებს. პეროიკულ პოეზიაში სიტყვების ყველა შემოსხენებული სახე გამოიყენება. იამბიკურ პოეზიაში კი შესაფერისია ყველა ის სიტყვა, რომელსაც ყოველდღიურ მეტყველებაში იყენებენ, ვინაიდან სასაუბრო ენას ყველაზე უფრო მეტად იამბებით ბაძავენ. ასეთი სიტყვებია: საყოველთაოდ ხმარებული სახელები, მეგაფორები და ეპითეტები.

მამ, დაჯერდეთ იმას, რაც გრაველიასა და მოქმედებისმიერი მიბაძვის შესახებ ეთქვით.

XXIII

რაც შეეხება თხრობითსა და საგმირო საზომის მქონე პოეზიას, ცხადია, რომ მისი, ისევე როგორც გრაველიის ფაბულა ღრამაგული და, ამასთან ერთი მთლიანი, დასრულებული მოქმედების მომცველი უნდა იყოს, მოქმედებისა, რომელსაც აქვს დასაწყისი, სამუალო და დასასრული, რათა მან, როგორც მთლიანმა ცოცხალმა ორგანიზმმა, მისთვის ჩვეული სიამოვნება მოგვანიჭოს. თავისი კომპოზიციით ის არ უნდა ჰგავდეს ისგორიას, რომელშიაც აუცილებელია არა ერთი მოქმედების, არამედ დროის ერთი მონაკეთის ასახვა, რომლის განმავლობაშიაც ხდება ყოველივე ის, რაც შემთხვევით უკავშირდებიან ერთიმეორეს. ასე მაგალითად, ერთდროულად გაიმართა სალაშინის საზღვაო ბრძოლა და ბრძოლა კართაგენელებთან სიცილიაში, რომლებიც სულაც არ ისახავდნენ ერთსა და იმავე მიზანს. ზუსტად ასევე, დროის თანმიმდევრულ დინებაში, ბევრი რამ ხდება ერთიმეორის შემდეგ, რომელთაგანაც არც ერთს არ აერთებს საერთო მიზანი. და მაინც, ბევრი პოეტი მტდარ გზას ირჩევს და ისგორიკოსს ბაძავს. ამიტომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პომეროსი ამ მხრივაც ღეთაებრივად გვიჩვენება სხვა პოეტებთან შედარებით: მას არ უცდია მთელი ომის ასახვა, თუმცა

ამ ომს თავისი დასაწყისი უკონდა და დასასრულიც; არ უცდია, რადგან ამ შემთხვევაში მისი ქმნილება ან მეტისმეტად ვრცელი გამოვიდოდა, რაც ძალიან გაართულებდა მის მიმოხილვას, ან შედარებით მოკლე, მაგრამ მოქმედებათა სიჭრელის გამო ძალზე დახლართული. და აი, არჩია რა ომის მხოლოდ ერთი ნაწილი, პომეროსმა მრავალი ეპიზოდი ჩართო შიგ, როგორც მაგალითად, „ხომალდთა კატალოგი“ და სხვა მისთანანი, რომელთა წყალობითაც მრავალფეროვნება მიანიჭა თავის პოემას. სხვები კი თავიანთ ქმნილებებს ერთი გმირის, დროის ერთი მონაკვეთისა და ერთი დანაწევრებული მოქმედების აღწერით აგებენ, როგორც მაგალითად. „კიპრიებისა“ და „მცირე ილიადას“ შემოქმედნი. ამიგომაა, რომ „ილიადასა“ და „ოდისეასგან“ მხოლოდ თითო ტრაგედიის შექმნას თუ შეძლებს კაცი, მაშინ როდესაც „კიპრიები“ შეიძლება რამდენიმე ტრაგედიას დაედოს საფუძვლად, ხოლო „მცირე ილიადა“ – ათამდეც მაინც: ესენია „დავა საჭურველის გამო“, „ფილოქეტე“, „ნეოპტოლემოსი“, „ვერიპილე“, „მსხემობა“, „ლაკედემონელი ქალები“, „ილიონის დამხობა“, „დაბრუნება“, „სინონი“, „ტროას ასულნი“.

XXIV

გარდა ამისა, ეპოპეას იგივე სახეები უნდა უკონდეს, რაც ტრაგედიას, ესე იგი, ან მარტივი უნდა იყოს, ან დახლართული, ან ეთიკური, ან პათეტიკური, და იმავე ნაწილებისაგან უნდა შედგებოდეს, მუსიკალური კომპოზიციისა და სასცენო სანახაობის გამოკლებით, ვინაიდან, მისთვისაც აუცილებელია პერიპეტეიები და გამოცნობანი, ხასიათები და ვნებანი, ისევე, როგორც ნატიფი სტილი და მაღალი ამრი. ყოველივე ეს პირველად და დიდოსტატურად გამოიყენა პომეროსმა. მისი პოემებიდან „ილიადა“ მარტივი და პათეტიკური ქმნილებაა, ხოლო „ოდისეა“ – დახლართული (მთელი პოემა გამოცნობებით არის სავსე) და ეთიკური. ეგეც არ იყოს, პომეროსი სიგვეიერი ძალმოსილებითა და ამროვნების სიღრმითაც აშკარად ჩრდილავს სხვებს.

ეპოპეა თავისი შედგენილობის სიგრძითა და თავისი სალექსო საზომითაც გამოირჩევა. ამ სიგრძის საზღვრების დასადგენად საკმარისია ის, რაც ზემოთ ითქვა: საჭიროა ერთბაშად, თავიდან ბოლომდე შეიძლებოდეს მისი მიმოხილვა, რაც მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ პოემის შედგენილობა შესაბამისად ერთი წარმოდგენისათვის განკუთვნილი ტრაგედიების საერთო მოცულობას. თავისი გვერდობის წყალობით ეპოპეას ერთი არსებითი თავისებურება ახასიათებს: საქმე ისაა, რომ ტრაგედიაში შეიძლება აისახოს არა რამდენიმე ერთდროული მოვლენა თუ მოქმედება, არამედ მხოლოდ ის, რაც სცენაზე ხდება და რასაც მსახიობები წარმოგიდგენენ. ეპოპეაში კი, რომელიც სხვა არა არის რა, თუ არა გაბმული თხრობა, შეიძლება ერთბაშად ვადმოიყოს საქმის არსთან დაკავშირებული რამდენიმე ერთდროული მოქმედება, რომლებიც მრდიან პოემის მოცულობას. ამრიგად, ეს უპირატესობა სილიადეს ანიჭებს ეპოსს და მსმენელის განწყობილების სწრაფი ცვლისა და მრავალფეროვან ეპიზოდთა ასევე სწრაფი მონაცვლეობის შესაძლებლობას აძლევს მას. ხოლო გულისგამაწვრილებელი ერთფეროვნება ხშირად იწვევს ტრაგედიის ჩაყარდნას სცენაზე.

ეგრეთწოდებული საგმირო საზომი ეპოპეამ ცდის საფუძველზე შეითვისა და შეისისხლბორცა. ვინმეს რომ ეპოსი რომელიმე სხვა საზომით ან რამდენიმე საზომის მონაცვლეობით გაემართა, ეს უადგილოდ და შეუფერებლად მოგვეჩვენებოდა, ვინაიდან საგმირო საზომი ყველა სხვა მეტრზე უფრო სტატიურია და უფრო ზეიადი; ამიგომაეც ითაესებს ყველაზე მეტად გლოსებსა და მეტაფორებს. იამბი და ტეტრაპეტრი კი უფრო ღინამიურია. ამასთან, პირველი მოქმედების გადმოცემისთვისაა შედგამოჭრილი, ხოლო მეორე უკეთ უდგება, უკეთ ესადაგება ცეკვის რიტმს. კიდევ უფრო უადგილოა ეპოსში სალექსო საზომების აღრევა, რაც ნიშნულია ხერემონის ქმნილებისათვის. აი, რატომაა, რომ ეპოსის თხზვისას არაეინ არ იყენებს სხვა მეტრს,

სავმრო საზომის ვარდა. როგორც მეზოთ ითქვა, თვითონ ბუნება გვასწავლის, რომელი საზომი უფრო მეტად შეპუერის ეოსს.

ბევრ სხვა ღირსებასთან ერთად პომეროსი იმ მხრივაც იმსახურებს ქება-ღიღებს, რომ პოეტთა შორის მხოლოდ მან იყის, რისი ქმნა მართებს. და მართლაც, პოეტი ყველაზე ნაკლებ უნდა ჩანდეს თავის ქმნილებაში, ვინაიდან ამის მიხედვით როდი იწოდება ის მიმბაძველად. და მაინც, სხვა პოეტების პიროვნება ამკარად ცნაურდება მათს ქმნილებებში. მაშინ როდესაც თავიანთი თავის ეს მიმბაძველნი ხასიათებს ძალზე იმვითად და ტუნწად ხატავენ. პომეროსს კი მოკლე შესავლის შემდეგ დაუყოვნებლივ შემოჰყავს კაცი, ქალი ან სხვა არსება და ყველას თავის დამახასიათებელ თვისებებს უძებნის, ყველას თავისი ხასიათით მოსავს.

ეპოსში, ისევე როგორც გრაველიაში, უნდა აისახოს განსაკუთრებული. მაგრამ განცვიფრებას უმეტესწილად ალოგიკურობა იწვევს, რომელიც ეპოსში უფრო ადვილი შესაგანია, ვინაიდან აქ მოქმედ პირებს არ უყურებენ. მართლაცა, პეტტორის ღევის ეპიზოდი რომ სცენაზე ყოფილიყო წარმოდგენილი, უთუოდ სიცილს გამოიწვევდა: აბა, წარმოიდგინეთ: აქაველნი უძრავად დგანან, აქედევსი კი თავის ქნევით რადაცს ანიშნებს მათ. ეპოსში კი ეს არავითარ უხერხულობას არ იწვევს, ხოლო განსაკუთრებული – სასიამოვნოა. ამის საბუთად ისიც კმარა, რომ, რაიმე ამბის მოყოლისას, თითქმის ყველა მთხრობელი, თავის მხრივ, რადაც უჩვეულოს უმატებს მას, რაღვან ფიქრობს, რომ ამით აამებს მსმენელს.

პომეროსმა ისიც კარგად ასწავლა სხვებს, თუ როგორ უნდა იცრუო. ამნაირი სიურუე მდარ დასკვნაზე დაფუძნებული. კაცნი ასე სჯიან: თუ ერთი რამის არსებობა ან გამოვლენა მეორე რამის არსებობის ან გამოვლენის პირობაა, ამიგომ, თუ არსებობს ან ვლინდება ეს უკანასკნელი, მაშინ პირველიც უნდა არსებობდეს ან ვლინდებოდეს. მაგრამ ეს მდარნი დასკვნაა, ვინაიდან თუ პირველი ყალბია, მაშინ, მიუხედავად იმისა, რომ მეორე, მასაძლოა, ჭეშმარიტიც იყოს, ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვიგყვით იმას. თითქოს პირველიც აუცილებლად არსებობს, ვლინდება ან გამომდინარეობს. მაგრამ ხშირად, რაკი ვიცი, რომ მეორე ჭეშმარიტია, ჩვენი სული მდარად დაასკვნის, რომ პირველიც ჭეშმარიტი უნდა იყოს. ამის ნიმუშია ერთი ეპიზოდი „განბანიდან“.

მეუძლებელი, მაგრამ სარწმუნო, უნდა გვერჩიოს შესაძლებელს, მაგრამ არასარწმუნოს. თხრობა თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი ალოგიზმისაგან. რა შეედრება თხრობას, რომელიც საერთოდ არ შეიყავს რაიმე არალოგიკურს. მაგრამ თუ ეს არ ხერხდება, ალოგიკური ფაბულის გარეთ უნდა იქნეს დატოვებული (როგორც მაგალითად, „ოიდიპოსში“). სადაც მთავარმა გმირმა არ იყის, როგორ მოკვდა ლაიოსი და არა თვით ღრამაში (როგორც მაგალითად, „ელექტრაში“, რომელშიაც გადმოცემულია ცნობა პითიურ თამაშობათა შესახებ, ან „მისიელებში“, რომელშიაც აღწერილია მუნჯის ჩასვლა გეგვიდან მისიამი). ამიგომ სასაცილოა იმის მტკიცება, თითქოს ეს ღამლის და დაარღვევს ფაბულას. კაცმა რომ თქვას, პოეტმა თავიდანვე უნდა აიღოს ხელი ამნაირი ფაბულის თხზვამე. მაგრამ თუ მას მაინც შემოაქვს ალოგიკური და ამის წყალობით თავისი ქმნილება უფრო სრულყოფილი ეჩვენება. შესაძლოა, ვერც სრული უაზრობა აიცილოს თავიდან. ასე მაგალითად, თვით „ოდესეამი“ კი ვხვდებით გარკვეულ შეუსაბამობას (კერძოდ, გმირის გადმოსვლა ითაკის ნაპირზე), რაც ჭეშმარიტად აუგანელი იქნებოდა, ეს რომ უხეირო პოეტს შემოეგანა, მაგრამ პომეროსი სხვა ღირსებებით აფერმკრთალებს და სასიამოვნოდ წარმოვიჩინეს ალოგიკურს.

რაც შეეხება სტილს, საჭიროა მისი დახვეწა ნაწარმოების ყველა იმ არაარსებობა ნაწილში, სადაც პოეტი არც ხასიათებს გვიხატავს და არც აზრების სიღრმით ვეაკვიფრებს. ვინაიდან მეტისმეტად ბრწყინვალე ენა ამკარად ჩრდილავს ხასიათს და ამრსაც ძნელად აღსაქმელს ხდის.

საკითხი პოეტიკის წინაშე მდგარი ამოცანებისა და მათი გადაჭრის, ისევე როგორც მაიონ რაოდენობისა და რაობის შესახებ, ნათელი გახლება ჩვენთვის, თუ მას შემდეგი თვალსაზრისით განვიხილავთ: რაკი პოეტი, ფერმწერისა თუ რომელიც გნებათ სხვა შემოქმედის მსგავსად, მიმბაძეულია, ამიტომ მას მართებს მიბაძვის სამი სახეობიდან ერთ-ერთის მიხედვით ბაძავდეს საგნებს: ან ისე, როგორც ისინი იყვნენ თუ არიან, ან ისე, როგორც ისინი წარმოუდგენიათ ანდა პგონიათ, ან კიდეც ისე, როგორც ისინი უნდა იყვნენ: ყოველივე ეს პოეტურ ენაში საყოველთაოდ ხმარებული სიტყვებით, გლოსებით და მეტაფორებით გამოითქმება. არის ენის ბევრი სხვა მოდუსიც, რომლებითაც სარგებლობის უფლებას ჩვენ თამამად ეანიჭებთ პოეტს. ეგეც არ იყოს, პოლიტიკისა და პოეტიკის კანონები ისევე განსხვავდებიან ერთმანეთისგან, როგორც პოეტიკისა და რომელიმე სხვა ხელოვნებისა. საკუთრივ პოეტიკაში შესაძლებელია ორნაირი სახის შეცდომა, რომელთაგან ერთი თვით პოეტური ხელოვნების არსს ეხება, მეორე კი შემთხვევითია. ასე მაგალითად, თუ პოეტი მიმნად დაისახავს მიბაძოს შეუძლებელს (შეუძლებელს პოეტიისთვის), ეს პირველი სახის შეცდომა იქნება; ხოლო თუ პოეტი განიმრახავს არასწორად ასახოს რამე, მაგალითად, წარმოვიდგინოს ცხენი, რომელსაც ორივე მარჯვენა ფეხი მაღლა აწეული აქვს, ან თუ ის უმუსგობას დაუშვებს რომელიმე სხვა ხელოვნების, ვთქვათ, სამედიცინო ხელოვნების სპეციფიკურ საკითხში, ან კიდეც რაიმე შეუძლებელს შეთხზავს, – ასეთი შეცდომა შემთხვევით შეცდომად ჩაითვლება. ამიტომ ყველა ის საყვედური, რომელსაც პოეტური ხელოვნების მიმართ გამოთქვამენ მის წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრისას დაშვებული შეცდომების გამო, სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა იქნეს განხილული და გაქარწყლებული.

უწინარეს ყოვლისა, განვიხილოთ საყვედური იმ შეცდომების გამო, რომელიც თვით პოეტური ხელოვნების არსს ეხება. თუ ხელოვნება ასახავს შეუძლებელს, რასაკვირველია, ცდება, მაგრამ ის ცაძვე მართალია, თუკი მის მიერ დასახულ მიზანს აღწევს, ესე იგი, თუკი პოეტი თავისი ქმნილების ამა თუ იმ ნაწილს უფრო მძაფრი მემოქმედების ძალას ანიჭებს. ამის მაგალითია ჰექტორის დევნა. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ თუ შესაძლებელია მიზნის მეტ-ნაკლები სისრულით მიღწევა ხელოვნების წესების თანახმად, მაშინ შეცდომა გაუმართლებელია, რადგან თუ შეიძლება შეცდომის თავიდან აცილება, რატომ არ უნდა ავიცილოთ იგი? და მერე, უნდა ვნახოთ, რა ხასიათისაა თვით ეს შეცდომა: ხელოვნების არსს ეხება თუ შემთხვევითია. რადგან პოეტი უფრო ნაკლებ ცდება მაშინ, როცა არ იყოს, რომ ფურიერეს რქები არა აქვს, ვიდრე მაშინ, როცა სრულყოფილად ვერ აგვიწერს მას. გარდა ამისა, როცა პოეტს უსაყვედურებენ – სინამდვილეს ღალატობსო, ამ საყვედურის პასუხად შეიძლება იგივე ითქვას, რაც სოფოკლემ თქვა ერთხელ: მე ვხატავ ადამიანებს ისე, როგორც ისინი უნდა იყვნენ, ეერიპიდე კი ისე, როგორც ისინი არიანო. ხოლო თუ ვერც ერთისა და ვერც მეორის მაგალითს ვერ დავიმოწმებთ, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ ასე ამბობენ, მაგალითად, ღმერთების მიმართ: კერძოდ, შესაძლოა, არც ის იყოს სწორი, რომ ღმერთები, როგორც ამბობენ, სინამდვილეზე მაღლა ღვანან, არც ის, რომ ისინი სინამდვილის თანაფარდნი არიან, და სწორი იყოს ქსენოფანეს მოძღვრება ღმერთების ბუნების შესახებ, – მაგრამ მაინც ასე ამბობენ! სხვა რამე კი შეიძლება სინამდვილეს არ შეესაბამებოდეს, მაგრამ ასე იყო ძველად: აი, მაგალითად, რას ამბობს პომპროსი საჭურველის შესახებ –

„...შეეულად იდგნენ მათი შუბები,
ღრმად ჩარჭობილნი მიწაში გარით...“

ასეთი იყო ძველი წესი, რომელიც დღეს მხოლოდ ილირიელებს შემორჩათ.

ხოლო როდესაც ვარკვევთ, კარგია თუ ცუდი ის, რაც ვინმემ თქვა ან ქმნა, საჭიროა დაუკვირდეთ არა მარტო იმას, თუ როგორია ეს ნათქვამი ან ნაქმარი – კარგი თუ ცუდი, არამედ იმასაც, თუ ვინ არის მთქმელი ან მქმნელი და ვის მიმართ, როდის,

ვისთვის ან რისთვის ითქვა ან იქმნა ის, რაც ითქვა და იქმნა, ასე მაგალითად, უფრო დიდი სიკვირის დამკვიდრებისა თუ უფრო დიდი ბოროტების შემუშვების მიზნით?

საყველური, რომელსაც სტილის მიმართ გამოთქვამენ, შეიძლება გლოსებზე დაკვირვების გზით გაქარწყლდეს: ასე მაგალითად: პოეტი ამბობს – „თავდაპირველად ეკვეთა ჯორებს...“

მაგრამ ხომ შეიძლება, რომ ის ჯორებს კი არ გულისხმობდეს, არამედ მცველებს. ან კიდევ, როცა პოეტი დოლონზე ამბობს, რომ ის იყო „თელად ნასი“, შეიძლება უწინ განს კი არ გულისხმობს, არამედ უგვან სახეს, ვინაიდან კრეტელებისათვის „პირმშენიერი“ იგივეა, რაც „მშენიერი შესახედავი“. მუსგად ასევე "Zbroteron de ceraie" ნიშნავს არა „შემოგვთავაზე შეურეველი“, როგორც შემშენის ლოთებს, არამედ – შეგვიზავე შეურეველი“.

ზოგი გამოთქმა მეტაფორაა; ასე მაგალითად:

„ყველას ეძინა – ღმერთებსაც და დაღლილ მხედრებსაც“... ხოლო იქვე პოეტი ამბობს:

„ის გასცქეროდა გროელთა ველს და განცვიფრებით

ყურს მიუვლებდა საკრავთა ხმას...“

მამასაღამე, „ყველა“ აქ ნახმარია მეტაფორულად – „მრავლის“ მნიშვნელობით, ვინაიდან „ყველა“ გარკვეული სიძრავეა. ასევე მეტაფორულია გამოთქმა: „მხოლოდ ერთადერთს არ უძეეს წილი“. ვინაიდან ყველაზე უფრო ცნობილი, თავისებური გაგებით, ერთადერთია.

ზოგიერთი გაუგებრობა მახვილის გადაადგილებით ბათილდება. ასე დაამუსგა პიპია თასოსელმა შემდეგი გამოთქმების აზრი: "didomen (didómen) de hoi" და "to men oy (oy) katapythetai ombro" ზოგიერთი – სასვენი ნიშნების დასმით, როგორც მაგალითად, ემპელოკლეს სიგყებში:

„მოკვდავად იქა უცებ ყოველი, რაც ძველი სწავლით,

უკედავი იყო, მუშმღვრეველი უწინ შეიმღვრა“.

ზოგიერთი კი – სიგყეის ორამზროვნების კათვალისწინებით: ასე მაგალითად, სტრიქონში "parochecen de pleo nyx" სიგყვა "pleo" ორამზროვანია.

ზოგჯერ საყველურის გასაბათილებლად საკმარისია აღინიშნოს ამა თუ იმ სიგყეის ხმარების თავისებურება. ასე მაგალითად, „ღვინო“ ხშირად „სასმელის“ მნიშვნელობით იხმარება; ამიგომაც ამბობენ, რომ „ღვინიმდე ზეესს უსხამს ღვინოს“, თუმცა ღმერთები ღვინოს არ სვამენ. მუსგად ასევე, ხშირად მესპილენძეს უწოდებენ რკინის მჭედელსაც და, ალბათ, ამიგომ ვხვდებით ლექსში „ახალნაჭედი კალის საბარკულს“; თუმცა ეს, შესაძლოა, მეტაფორაც იყოს. ხოლო როდესაც გვეჩვენება, რომ სიგყეის ამა თუ იმ მნიშვნელობით ხმარება გარკვეულ წინააღმდეგობას ქმნის, მაშინ უნდა გავარკვიოთ, მაგალითად, ამ სტრიქონში –

„და სწორედ იმან შეაკავა სპილენძის შუბი“ –

რამდენი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს გამოთქმას „იმან შეაკავა“, ან როგორ შეიძლება უფრო უკეთ აიხსნას ეს. მაგრამ ასე როდი იქცევა ის, ვისაც, გლაეკონის სიგყეით რომ ეთქვათ, ამა თუ იმ ადგილის გარჩევისას წინასწარ აკვიატებული აზრის მიხედვით გამოაქვს დასკვნა, და თუ ეს დასკვნა მის წარმოდგენას ეწინააღმდეგება. მყისვე პოეტის გზობას იწყებს, თითქოსდა ამ უკანასკნელს მართლა ეთქვას ის, რაც მან დაასკვნა. გავიხსენოთ, მაგალითად, რა ამბები დატრიალდა იკარიოსის სახელის ირგვლივ. უიქრობენ, რომ იკარიოსი ლაკედემონელი იყო და ამიგომ ვერასვგით ვერ აუხსნიათ, რაგომ არ შეხვდა მას ლაკედემონში ჩასული ტელემაქე. მაგრამ იქნებ უფრო სწორნი არიან კეფალეს მკვიდრნი: მათი მტკიცებით, ოდისევსს იქაური ქალი შეურთავს და მის სიმამრს იკარიოსი კი არ რქმევია, არამედ იკადიოსი. როგორც ჩანს, მთელი გაუგებრობა ამ უბრალო შეცდომითაა გამოწვეული.

საერთოდ, როცა პოეზიისმიერ შეუძლებელზე ემსჯელობთ, ყოველთვის უნდა ეითვალისწინებდეთ, რას მიეღღვის პოეტი – უკეთესს თუ ჩვეულებრივს. პოეზი-

სათვის უმჯობესია სარწმუნო შეუძლებელი, ვინემ არასარწმუნო შესაძლებელი. ასე მაგალითად, შეუძლებელია არსებობდნენ ისეთი ადამიანები, როგორსაც ხატავდა ძეკესისი. მაგრამ ასეთი შეუძლებლობა უმჯობესია, ვინაიდან ხელოვნების ნიმუში უფრო უკეთესი უნდა იყოს, ვიდრე ის, რასაც ხელოვნება ბაძავს. ხოლო ის, რასაც ალოგიკურს უწოდებენ, შესაძლოა ზოგჯერ არც იყოს ალოგიკური, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „ბუნებრივია ისიც, რომ ბევრი რამ არაბუნებრივად ხდება“.

წინააღმდეგობა ნათქვამში ისე უნდა იქნეს განხილული, როგორც უარყოფა რიტორიკულ ხელოვნებაში: კერძოდ, უნდა განვიხილოთ, ერთი და იგივე რამ ერთი და იმავე პირის მიმართ ერთნაირად არის თუ არა თქმული. ამიგომ შემოადინებული წინააღმდეგობის გადაჭრისას აუცილებლად უნდა ვითვალისწინებდეთ იმას, რასაც პოეტი ამბობს, ან რავე შეეძლო ევარაუდა გონიერ კაცს.

მაგრამ სავსებით სამართლიანია საყვედური, რომელსაც გამოთქვამენ ალოგიკურისა და არაეთიკურის გამო, როცა პოეტს ყოველგვარი საჭიროების გარეშე შემოაქვს ალოგიკური (ასე იქცევა, მაგალითად, ევრიპიდე თავის „ევეესში“) ან არაეთიკური (გაისხენეთ მენელაოსის სიმდაბლე მისსავე „ორესტეში“).

ამრიგად, ყოველგვარი საყვედური, რომელსაც პოეტური ნაწარმოების მიმართ გამოთქვამენ, ხუთი სახისაა: საყვედური შეუძლებლის, ალოგიკურის, არაეთიკურის, წინააღმდეგობრივისა და, ბოლოს, არახელოვნებისეულის გამო. ხოლო ყველა ამ საყვედურს, მათგანვე გამომდინარე, თორმეტი სხვადასხვა სახის გაბათილება უპირის-პირდება.

XXVI

შესაძლოა ვინმემ იკითხოს: რა სჯობსო – ეპოსი თუ გრაგვლია? თუ ნაკლებ გლანქი პოეზია უკეთესია, ხოლო ასეთია პოეზია, რომელსაც უკეთესი მსმენელი და მაყურებელი ჰყავს, ამიგომ არ შეეცდებით, თუ ვიგყვით, რომ პოეზია, რომელიც უკლებლივ ყველაფერს ბაძავს, გლანქია და დაუხვეწელი. შემსრულებელნი კი, თითქოს შიმობენ, რომ მაყურებელი ვერაფერს გაუგებს მას, თუკი, თავის მხრივ, ცოგა რამ მაინც არ წაუმაგეს სექეტაკლს, – ციბრუგივით ბრუნავენ და წინაუკმო გრიალებენ უხეირო ფლეიგისტების მსგავსად, რომლებიც „დისკოს“ ასახიერებენ სცენაზე, ან აქეთ-იქით დაათრევენ კორიფეოსს, როცა ფლეიგაზე არსულებენ „სკილას“. ასე რომ, გრაგვლის შესახებ შეიძლება იგივე ითქვას, რასაც უფროსი თაობის მსახიობები ამბობენ თავიანთი მემკვიდრეების მიმართ: ასე მაგალითად, მინისკე მაიმუნს ეძახდა კალიპიდეს, რომელსაც ზომიერების გრძნობა აკლდა; ასევე „ამკობდნენ“ პინდარესაც. რა დამოკიდებულებაც არსებობს ძველი და ახალი თაობის მსახიობთა შორის, ისეთივე დამოკიდებულება არსებობს მთელს დრამატულ ხელოვნებასა და ეპიურ პოეზიას შორისაც. ეპოსი, მისი დამცეელების ამრით, დახეწილი გემოვნების მქონე მსმენელთათვისაა განკუთვნილი, რომელთაც არ სჭირდებათ არაეთიკური მიმიკა, გარაგვლია კი – ბრბოსთვის. ამრიგად, თუ გრაგვიკული პოეზია გლანქია, ცხადია, ის ეპოსზე დაბლა უნდა იდგეს.

მაგრამ, ჯერ ერთი, ეს პოეტური ხელოვნების კი არა, აქტიორული ხელოვნების კრიტიკაა, ვინაიდან ზომიერების გრძნობამ, მიმიკური მოძრაობისას, შეიძლება რაფსოდსაც უღალაგოს, როგორც მაგალითად, სოსისგრაგეს, და აელსაც, როგორც მაგალითად, მნასითეოს ოპუნგიელს. ევეც არ იყოს, მიმიკურ მოძრაობას კი არ უნდა უარყოფდეთ საერთოდ, თუ არა გესურს უარყოთ ცეკვა, არამედ მხოლოდ უხეირო მსახიობების მოუხეშავ მიმოხრას, რასაც თავის დროზე უწუნებდნენ კალიპიდეს და ამეამადაც უწუნებენ ყველას, ვინც სრულყოფილად ვერა ბაძავს კეთილშობილ ქალებს. და ბოლოს, გრაგვლია მიმიკური მოძრაობის გარეშეც ახერხებს საკუთარი მიზნის მიღწევას, ისევე როგორც ეპოპეა, რომლის ღირსება-ნაკლოვანება უბრალო კითხვითაც ცნაურდება მკითხველისათვის. ამრიგად, თუ ყველა სხვა მხრივ გრაგვლია ეპოსზე მაღლა დგას, მაშინ მიმიკა შედმეტიყა მისთვის.

და მერე, გრაგელიას აქვს ყველაფერი, რაც გააჩნია ეპოსს: მას შეუძლია ისარგებლოს პექსამეტრითაც; ვარდა ამისა, გრაგელიაში უმნიშვნელო ადგილი როდი უჭირავს მუსიკალურ კომპოზიციას და სპექტაკლის მხატვრულ გაფორმებას, რომელთა წყალობითაც ის უფრო ცხოველყოფელ ზემოქმედებას ახდენს მაყურებელზე. გრაგელია უფრო ცხადია და თვალსაჩინო როგორც კითხვის, ისე სცენაზე წარმოდგენის დროსაც. ეგეც არ იყოს, გრაგელია ეპოსზე მაღლა დგას იმითაც, რომ უფრო მყარ მოცულობით აღწევს პოეტური ხელოვნების მიზანს, რადგან ყოველივე ის, რაც უფრო მეკრულია, გაცილებით უფრო სასიამოვნო მთაბეჭდილებას ახდენს, ვიდრე ის, რაც დროის გრძელ მანძილზეა გაჭიმული და გაჭიანურებული. წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა იმდენივე სტრიქონისაგან შემდგარი სოფოკლეს „ოიდიპოსი“ რამდენსაც „ილიადა“ ითელის. და ბოლოს, გრაგელია ეპოსზე უფრო მთლიანია და ერთიანი. ამის საბუთად ისიც კმარა, რომ რომელიც გნებავთ ეპოპეა შეიძლება რამდენიმე გრაგელიას დაედოს საფუძვლად. ასე რომ, როცა ეპიკოსები ერთ ფაბულას თხზავენ, პოემა ან „კულმოკვეილი“ ჩანს, თუ მოკლედაა გადმოცემული, ანდა წყალწყალა, თუ გრძელი მეტრით არის გამართული. მე ვგულისხმობ... ხოლო თუ პოემა „ილიადასა“ და „ოდისეას“ მსგავსად, მრავალ მოქმედებას გადმოგვცემს, მაშინ ის ბევრ ისეთ ნაწილს შეიცავს, რომელთაგანც თითოეულის სიდიდე საკმარისი იქნებოდა ზოგიერთი მთლიანი პოეტური ქმნილებისათვის. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს პოემები, შეძლებისამებრ, სრულყოფილად არიან შედგენილნი და უნაკლოდ გადმოგვცემენ მოქმედების ერთიანობას.

მამასადამე, თუ გრაგელია როგორც ყოველივე ზემოთქმულით, ისე თავისი ქმედითობითაც განსხვავდება ეპოსისაგან (რადგან ის ყოველგვარ შემთხვევითს სიამოვნებას კი არ უნდა გვანიჭებდეს, არამედ მხოლოდ ისეთს, რაც ზემოთ აღინიშნა), ცხადია, ის ეპოსზე მაღლა დგას, ვინაიდან უკეთ აღწევს პოეტური ხელოვნების მიზანს.

ამრიგად, გრაგელიასა და ეპოპეის, მათი სახეებისა და შემადგენელი ნაწილების, ამ უკანასკნელთა რაოდენობისა და ურთიერთგანსხვავების, პოეტურ ქმნილებათა აუკარგიანობის მიზეზების, ყოველგვარი საყვედურისა და მათი ყოველგვარი გაბათილების შესახებ საკმარისად ვილაპარაკეთ.

თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ

მჭევრმეტყველება



ღემოსთენისი

(ძვ.წ. 384-322)

მართალია, ორაგორული ხელოვნების დიდებული ნიმუშები პომპროსის ეპოსშიც დაიძებნება, მაგრამ ანტიკური მჭევრმეტყველების ლიტერატურულ ქანრად ჩამოყალიბების პროცესი ძვ.წ. V საუკუნიდან იწყება. მისი აღმავლობა ათენის დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარებას უკავშირდება, იმ სახელმწიფოს, რომლის მოქალაქეებსაც ხშირად უხდებოდათ სასამართლო პროცესებზე, სახალხო კრებებზე, დღესასწაულებზე თუ სხვა ოფიციალურ შეხვედრებზე გამოსვლა.

სწორედ დემოკრატიულ ათენში მოიპოვა აღიარება ღემოსთენისმა. ორაგორული მოღვაწეობა მან თავის არაკეთილსინდისიერ მეურვეთა წინააღმდეგ აღძრულ პროცესებზე გამოსვლით დაიწყო. წარუმატებლობამ აიძულა თავდაუმოგავი შრომით გამოესწორებინა თანდაყოლილი მანიკერებანი: სუსტი ხმა, გაურკვეველი მეტყველება, ენაბრკვილობა; იგი ვერ გამოთქვამდა ასო „რ“-ს, მხარს ათამაშებდა და ბოლოს, თავს ვერ იჭერდა ხალხის წინაშე. ფიზიკურ ვარჯიშებთან ერთად ღემოსთენისი გულმოდგინედ ეუფლებოდა თუკიდიდის „ისტორიას“. თავდაპირველად მან სახელი გაითქვა სასამართლო პროცესებზე იუმორით აღსავსე და ნიჭიერად არგუმენტირებული სიტყვების წარმოთქმით. მაგრამ ეს არ იყო მისი მოწოდება. ღემოსთენისმა პირველმა განჭვრიტა ის საფრთხე, რომელიც ათენის დემოკრატიას მაკედონელ მეფეთაგან ემუქრებოდა. ძვ.წ. 351 წლიდან იგი სათავეში ჩაუდგა ბრძოლას ფილიპოს მეორის ექსპანსიის წინააღმდეგ. ამ პერიოდში მისი პირადი ცხოვრება ათენის ბედს დაუკავშირდა. მან როგორც პოლიტიკურმა ორაგორმა, როგორც სახელმწიფო მოღვაწემ მთელი თავისი ნიჭი და ენერჯია ათენის დემოკრატიისა და დამოუკიდებლობის დაცეას შეაღია, მაგრამ ისტორიამ თავისი სიტყვა თქვა: ათენი დამარცხდა, დაკნინებულმა საზოგადოებამ მისივე მოამაგე აიძულა, მიეღო საწამლავი. თუმცა ათენელებმა ქალაქის მოედანზე მას ბრინჯაოს ქანდაკება აღუმართეს: ნაღვლიან ორაგორს შეუპოვრად მოემუჭა ხელები. ქანდაკების კვარცხლებეკზე კი ასეთი სიტყვები იყო ამოტვიფრული: „ღიადო ღემოსთენეს, შენი გონების საკადრისი ძალაუფლებაც რომ გქონოდა, მამინ ელადას ვერ სძლედა მაკედონური არესი“.

ღემოსთენისის სახელით ჩვენამდე 61 სიტყვამ და 6 წერილმა მოაღწია (თუმცა მოგიერთი მათგანის ავთენტურობა ეჭვს იწვევს მეკლეეართა შორის). თავისი მგზნებარებითა და დახვეწილობით ფილიპოს მაკედონელის წინააღმდეგ მიმართული სიტყვები ე. წ. „ფილიპიკები“ გამოირჩევა. მათში სათქმელის გამოსხავეის უბრალოებას ერწყმის გრძნობისა და აზრის სიღრმე, სინათლე და დამაჯერებლობა, ორაგორულ ხელოვნებას მიაჩრებული სამშობლოსათვის თავდადებული სახელმწიფო მოღვაწის გულწრფელი პათეტიკა.

ანტიკურ სამყაროში ღემოსთენისის სახელი სამშობლოს უანგარო სამსახურის სიმბოლოდ იქცა, მისი მჭევრმეტყველების ოსტატობით გამოწვეული აღფრთოვანება კი არ მინელებულა დღემდე.

თარგმანები:

ღემოსთენისი, ფილიპიკები, თარგმანი, წინასიტყვაობა და კომენტარები გ. სარიშვილისა, თბილისი 1984.

მესამე სიგყვა ფილიპეს წინააღმდეგ

ამ წინასიგყვის დელაზრი უბრალოა; რადგან ფილიპე სიგყვით იყავს მშვიდობას, საქმით კი მრავალ უსამართლობას სჩადის, ორაგორი ათენელებს ღამქრობას ურჩევს და თავდაყუას მეფისაგან, რამეთუ საფრთხე მარგო ამათ კი არ ემუქრება, არამედ მთელს ელინეთს.

ლიბანიოსის წინათქმა

თითქმის ისეთი კრება არ არის, ათენელო დარბაისელნო, რომ მრავლად არ წარმოითქვას სიგყვა ფილიპეს საქმეთა გამო, რასაც ზაეის დადების ქამიდან აღასრულებს იგი უსამართლობით არა მხოლოდ თქვენს საწინააღმდეგოდ, არამედ დანარჩენ ელინთა საზიანოდაც. ოღონდ ერთი კი კარგად უეყვი: ყველას რომ ის ეთქვა და ეკეთებინა, რასაც არ აკეთებენ, მაგრამ რაიყ ყველა მათგანის მოვალეობას შეადგენს, ამით აღაგმეაღნენ ამ კაცის თავზელობას, ანუ განაჩენდნენ სამართალს; აწ კი საქმეს ესოდენ უკულმა წარებულს რომ ვხედავ, ვმიშობ, რაგინდ ძნელიც იყოს ამის თქმა, – ვაითუ სიმართლე ასეთი ვახლდეთ: ყველა აქ გამოსულ მრჩეველს რომ დასთანხმებოლით და მხარმი ამოსდგომოლით მხოლოდ საქმეთა გაუკულმართების მიშნით, მაშინაც, ვფიქრობ, ისე არ წაგახდებოდათ საქმე, როგორც ამჟამად წაგხდომიათ. მრავალი ამის მიშეში, – არათუ ერთს ან ორ მიშეშთაგანს გაუმრუდებია საქმე ამ ზომამდე. მაგრამ გამოწვლილვით თუ გამოიძიებთ ყოეელს, ნახაეთ, რომ ამამი ბრალი ეღებათ უმეტესად იმათ, ეინც ხალხის გულის მონადირებას ღამობდა, და არა იმათ, ვინც ოდენ კეთილს რჩებოდა. მრავალი ამათგანი კი, ათენელო დარბაისელნო, მხოლოდ ქვეყანამე სახელის გაფენობას და ძალმორჭმას ესწრაფვის, ქვეყნის მომავალი კი სულაც არ აღონებს და არც ისა სურს, რომ თქვენ გაღონებდეთ; მოგნი კიდეც სახელმწიფოებრივ საქმეთა აღმასრულებელთ სდებენ ბრალს, თითქოსდა ჩენი სახელმწიფო თავს უნდა ისჯიდეს, მხოლოდ ამით იყოს გართული, ფილიპემ კი თქვას და აკეთოს, რაც სურს. ესეეთარ პოლიგიკურ განსჯას ჩეეულხართ თქვენ, რაც უსათუოდ მიანს შეგამთხვევით. მე ვთხოვთ, ათენელო დარბაისელნო, თუ რამ სიმართლეს წრფელად მოგახსენებთ, რისხეა არ დამაწიოთ თავს. მოგვხსენებათ, სიგყვის თავისუფლება ჩვენს სახელმწიფოში ეკუთვნის ყველას, უცხოელებიცა და მონებიც კი ამ უფლებით სარგებლობენ აქ; ჩვენში მონებს გაცილებით მეტი უფლება ენიჭებათ – სიგყვით გამოთქვან თავისუფალი ამრი, ვიდრე თავისუფალ მოქალაქეებს სხეა სახელმწიფოში, გარნაღა თქვენ დაამყრეთ ეგ თავისუფლება. ამიგომ თავად ზეობთ, იფერებთ გყუილს, უსშენთ მაამებლურ სიგყვებს, მაგრამ, როცა ჯერი საქმემე მიდგება და ჟამი მოაწევს, უკვე უკიდურეს ხიფათში აღმოჩნდებით ხოლმე. თუ ახლაც ამგვარ მდგომარეობაში გეგულებათ თავი, მაშინ რაღა მშთენია თქმად. ხოლო თქვენდა სასიკეთოდ თუ გსურთ უგყურად ისშინოთ სიგყვა, მეც მზადა ვარ თქმად. თუნდაც ყოელად წარხდენილი იყოს საქმე და მრავალი რამ დაკარგულიც, მაინც, თუ აუცილებლის გაკეთებას ისრეებთ, შესაძლოა, ყოველივე წაღმა წარიმართოს. შესაძლოა. უენაურად გეჩვენოთ, რასაც ახლა ვიგყვი, თუმცაღა ღია სარწმუნოა იგი: უარესი წარსული უკეთესი მომავლის საწინდარია მოგჯერ. კერძოდ რას ვგულისხმობ? იმას, რომ შშიმე ვითარების ჟამს თქვენ არრა იღონეთ – არც ცოგა, არც ბეერი. ვთქვათ, ყოველივე რომ გეღონათ, რაც გევალებოდათ, საქმე კი მაინც ეულად წაგესლოდათ, აი მხოლოდ მაშინ გადაგწურებოდათ უკეთესი მყობადის იმედი. ხოლო ამჯერად თქვენს უსულგულობასა და განუსჯელობამე იმარჯვა ფილიპემ და არა სახელმწიფომე; თქვენ კი არ დამარცხებულხართ – საერთოდ არ გიბრძოლიათ.

თუკი ამჯერად ყველანი ცხადყოფთ, რომ ფილიპე ჩვენს ქვეყანას ეომება და არღვევს მავს, მაშინ ვერც ერთი აქ გამომსვლელი უკეთესს ვერას გირჩევდათ, ვიდრე უმტკიცეს და უმარჯვეს თავდაცვას. ზოგი კი ღიდ ახირებულობას იჩენს: მაშინ, როცა იგი იპყრობს ქალაქებს, ითვისებს მრავალ თქვენს სამფლობელოს და უსამართლოდ ეპყრობა ყველას, — გამოდის აქ, სახალხო კრებაზე, და ამტკიცებს, ომის გამჩალებელი თქვენს შორის იგულვეთო. ამჯერად კი სიფრთხილე გემართებს და მართლგანმსჯელობა. წინდახედულობაა საჭირო, რომ იგი, ვინც თავდაცვას გვირჩევს და გვისაბუთებს, ომის გამჩალებლად არ შერაცხონ. ამიგომ, უწინარეს ყოელისა, ემსჯელობ და ვეძიებ. თუ რა გმას დაეადგეთ, — რასაც თქვენი დასტურიც სჭირდება, — დავიყვით მშვიდობა თუ ვიომთო.

თუ შესაძლებელია, სახელმწიფოში მშვიდობა დამყარდეს, — და ეს ჩვენზეა დამოკიდებული, — მაშინ, აქედან დავიწყებ, ვეთანხმები ჩვენგნით მშვიდობის დაცვას; ოლონდ, ვინც ვერე მსჯელობს, მე მიმანია, მან უნდა დასტურჰყოს ეს წერილობით, საქმიანობით და არ ეცროს სიგყეას. მაგრამ, თუ ჩვენს მოწინააღმდეგეს იარაღი აუსხამს, ჯარი გაუმრავლებია, ჩვენ ზავით უნდა შეგვიქციოს, თავად კი ომის საქმეებს აგვარებს, მაშინ ნუთუ კიდევ დავგრჩენია სხვა რამ, ვარდა თავდაცვისა? ხოლო თუ თქვენც, იმის მსგავსად, საჭიროდ მიგანიათ, იბახოთ: — მშვიდობას ვიყავთო, — საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. თუ ვინმეს ჰგონია, ზავი იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ იმ კაცმა ხელყოს ყველა და ყველაფერი, რათა ბოლოს თქვენ მოგადგეთ, ის, ჯერ ერთი, ვიკია და, მეორეც, — ლაპარაკობს ისეთ ზავზე, რომელიც მხოლოდ თქვენ უნდა შეჰკრათ იმასთან და იმან კი აღარა — თქვენთან. სწორედ ასეთი ზავის ყიდვას ლამობს ფილიპე, ამისთვის ხარჯავს მთელ თავის ფულს, რომ გეომებოდეთ იგი და არ ეომებოდეთ თქვენ.

თუ ველოდებით იმას, როდის აღიარებს თავად — მე თქვენ გებრძვითო, — ყოვლად ბრიყვნი ვყოფილვართ, რადგანაც იგი თუნდაც აგიკაში შემოიჭრას ან კიდევაც პირეოსს მოადგეს, მაშინაც არ აღიარებს ამას, თუ მის უწინდელ საქმეთა კვალობაზე ვიმსჯელებთ. როგორც, მაგალითად, ოლინთოსელთა ქალაქიდან ორმოციოდე სგადიონის სიახლოვით მდგარმა განუსხადა მათ, — ორში ერთია, ან თქვენ არ უნდა სახლობდეთო ოლინთოსში, ან მე — მაკედონიაში; სხვა დროს, როცა ვინმე ბრალს სდებდა მას მსგავს საქციელში, იგი იფხორებოდა, ელჩობას გზავნიდა და ბრალდების უკუგდებას აიძულებდა მბრალმდებლებთ. ასევე, იგი ფოკეაში მიემგზავრებოდა, ვით მეკავშირებთან, ფოკეელთა ელჩნი ლამჰრდაც მიაცილებდნენ მას, ჩვენ კი მაშინ დაჰინებთ ვამტკიცებდით, რომ ეს გზა სიკეთეს არ უქადა თებელთ. შემდგომშიც ასე მიადგა ფეროსს იგი, ვითარცა თესალიელთა მეგობარი და მეკავშირე, და აილო იგი. ბოლოს საწყალ ორეოსელებს გაუგზავნა ლამჰარი — თითქოსდა კეთილმოსურნეობითი მიზნით, რადგან თურმე მათი აეადობა და შფოთიანობა შეუტყვია და, ვითარცა ჰემმარიტ მეგობარს, მოუწადინებია, დროულად ეშველა მათთვის. როცა იგი რწმუნდება, რომ მავანი მიანს არ აყენებს, მაგრამ შეიძლება თავდაცვაზე კი იფიქროს, — ამისთანათა მიმართ გყუილს უფრო არჩევს; თქვენ კი ფიქრობთ, ფილიპე ომს დავიწყებთ ამჰარა გამოცხადებით და არ ისარგებლებს იმით, რომ ასე იგყუებთ თავს. ევ არ მოხდება. კაცთა შორის ურეგვენესი უნდა ყოფილიყო იგი, — როცა მისგან შეჰკირებულნი მას კი არა ჰყეედრით, ისეე თქვენთაგანს ბრალეულჰყოფთ ეისმე, — ამ დროს წინ აღსდგომოდა თქვენს შინა ურთიერთ ქიშას და მტრად გადაეკიდებინეთ, ან მოესპო ლაპარაკის საშუალება იმ მოქირავენათთვის, რომელნიც ლაპარაკობენ, იგი ომს თქვენს საწინააღმდეგოდ არ ეწევაო.

მაგრამ არის კი, გევსის გულისათვის, ვინმე ჰკუათმყოფელი. ვინც არა საქმით, სიგყეით განსჯიდა — ომს ეწევა იგი თუ მართლა მშვიდობას იყავს? ასეთი არავინ მეგულება. დასაწყისიდანვე, — როცა ის-ის იყო დალო ზავი, (მაშინ ღიოპითე ჯერაც არ ლამჰრობდა ქერონესში, სადაც ახლაა წარგზავნილი), — ფილიპემ მოიწადინა სერიონისა და დორისკოსის მიტაცება და სერიონის ციხიდან და წმინდა მთიდან იმ

მეიხობუნეთა განდევნა, ჩვენმა მხედართუფროსმა რომ ჩააყენა იქ. რას ნიშნავს მისი ესევითარი ქმედება? იგი ხომ ზაგზა დაფიციბული. ნურავინ იგყვის, — მერე რა მოხდა, ეს რა ჩენი ქალაქის გასაკითხავიაო! რამდენად უმინშენლო არის ეგ ან რამდენად გვებება ჩვენ, სრულიად სხვა საკითხია. მაგრამ სათნობასა და სამართლიანობას კი როდენაყ არ უნდა ხელყოფდნენ — გინდ მცირედ, გინდ დიდად, ამას უკვე თანაბრად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ახლაც, როცა მეფეა და მთელი ელინური მოღვმაც თქვენად მიიჩნევს ქერონესს, როცა თაეად ისიც კი დახმარებას გთავამობთ და ეპისტოლესაც წერს ამის თაობაზე, — საკითხავია, რადად აგზავნის იქ მოქირავენებს, რად აკეთებს ამას? თაეად კი იძახის — არ ვომობო, მაგრამ მე არ შემძლია ამის ვამო დავეთანხმო მას, რომ მშეილობას იყავს; ისევე, როგორც არ შემძლო დავეთანხმებოდი მამინ. როცა მეგარის დაპყრობას ცდილობდა და ევებებს განუმზადებდა გირანისა: ახლაც, როცა თრაქიას ლამქრავს, ქებებუდანობს პელოპონესში და ყველგან მოქმედებს ჯარებით, — მე ვამბობ, რომ ეს არის ზავის დარღვევა და ომი თქვენს წინააღმდეგ ან ევებ იქამდე იძახთ იმ ხალხზე, საალყო მანქანებს რომ აგებენ, მშეადობას იყავსო, სანამ ამ მანქანებს თქვენს კედლებს არ მოაყენებენ. მაგრამ თქვენ არ დასტურყოთ ამას: იგი ხომ, ვინც ჩვენს მპყრობელობას ლამობს, სათანადოდ მოქმედებს და ემზადება, თუმცა ჯერ არც ქვა უსვრია და არც ისარი. რა ხიჯათი მოგელით, რამე რომ მოხდეს? დაპყრავთ პელესპონგს, თქვენი მოწინააღმდეგე გახდება მეგარისა და ევების ბატონი, პელოპონესელნიც მას მიემხრობიან. იმ კასზე, რომელიც ესევითარ ხრიკს უმზადებს ჩვენს სახელმწიფოს, იმას გეტყვით, მშეილობას იყავს-მეთქი? არამც და არამც! მაგრამ მე მიმამჩნია, მან ომი იმ დღიდან დაიწყოთ თქვენ, როცა ფოკიდელი შემუსრა. ამჟამად კი თქვენს გონიერულობად თაედაყვას მივიჩნევ. ხოლო თუ ამას ახლავე არ მიაქევეთ ყურადღებას, მერე, კიდე რომ ონდობოთ, ვეღარ შეძლებთ. მე იმდენად დაემორდი დანარჩენი სხვა მრჩეველების თვალსაზრისს, ათენელი დარბაისელნი, რომ, მგონია, აღარ დარჩა არც ქერონესისათვის და არც ბიზანტიონისთვის ბჭობის დრო; რასაკვირველია, უნდა დავეხმაროთ იქაურ მოლაშქრეებს, მივაშველოთ, რაც აკლიათ, მაგრამ ახლა მთავარი საზრუნავია სრულიად ელადა, რომელსაც დიდი საფრთხე ემუქრება. მინდა, ახლავე ვითხრათ, რად მეუფლება ესევითარი შიმი სახელმწიფოებრივ საქმეთა გამო და, თუ მართლად განვსაჯო, ყურად იღეთ ესე განსჯილი აღსასრულებლად — სხვებისთვის თუ არა, თქვენი თავისთვის მაინც; არადა, თუ ცარიელ, ფშუგე მესიტყვედ გეჩვენოთ, ნურს ახლა და ნურს მერმე გონიერ კაყად ნუ ჩამთვლით.

ამრიგად, დიდად იქცა ფილიპე მცირესაგან, რასაც იგი დასაწყისიდან წარმოადგენდა. ერთმანეთის მიმართ ურწმუნობენ და ქიშპობენ ელინნი; მისთვის კი იმად გახლობა, რაც გახდა, მამინ უფრო მოულოდნელი იყო, ვიდრე ახლა, როცა მრავალი იყრა და ყოველგნით წარიმართა ხელი, რამეც კიდე შემძლო სიტყვის გაგრძელება, მაგრამ აღარ გაეაგრძელებ. თუმცა ვხედავ, რომ ყველა ადამიანი, თქვენგან დაწყებული, სწორედ ის დაუთმო მას, რისთვისაც ბერძენები ერთმანეთს ეომებოდნენ ყოველ დროს. რასა ჰავს ეს? იგი ირჯება, როგორც ნებაჯს, სათითაოდ ძარცვავს და ალატაკებს ელინთ, დასამონებლად თავს ესხმის ქალაქებს. ამ დროს თქვენ სამოცდაყამეტი წელი იყავით ელინთა პროსტატები; დაკედემონელები პროსტატებად ოცდასტრა წლის განმავლობაში იღვნენ; რადაც ძალა ბოლო დროს თებელებმაც მოიპოვეს ლეკტრებთან ომის შემდეგ მაგრამ არც თქვენ, არც თებელებს და არც ლაკედემონელებს არასოდეს, ათენელი დარბაისელნი, — დიახ, ბერძენთაგან არასოდეს გქონით ნება, გეკეთებინათ რაც მოგესურვებოდათ; არ მომხდარა ეგ! მაგრამ მამინ თქვენთან, უფრო სწორედ ათენელებთან, — თუკი ვინმე მიიჩნედა, რომ ესენი უსამართლოდ იქცოდნენ, — ომს იწყებდა ყველა, მათ შორის ისინიც, რომელთაც თქვენთან სასაყვედურო არა ჰქონდათ რა; ასევე ლაკედემონელებთანაც, — როცა ისინი გათავკაცდნენ, მიაღწიეს ისეთსავე ძლიერებას, რასაც აღწევდით თქვენ, მერმე კი უსამართლობით

იმპლაერეს და განწყობების მომას გადასცდნენ, – ყველამ ერთად წამოიწყო ომი, მათ შორის იმათაც, ვისაც მათი დასამღერი არა ჰქონდა რა.

რა შეიძლებოდა გვეთქვა სხვათა მიმართ? ჩვენ და ლაკედემონელი, მართალია, ერთმანეთში საწყენსა და სასაყვედუროს ეერაფერს ეხედავდით, მაგრამ სხვათა მიმართ თუ ენახავდით რაიმე უსამართლობას, ურთიერთშორის ქიშპობასა და ომს მივიჩნევდით ხოლმე საჭიროდ. მაგრამ რაც ლაკედემონელებმა ჩაიდინეს ოცდაათი წლის განმავლობაში, ხოლო, ჩვენმა წინაპრებმა – სამოცდაათი წლის განმავლობაში, მეტად უმნიშვნელოა, ათენელო დარბაისელნო, იმასთან შედარებით, რაც ფილიპემ ამ ცამეტი ნაქლოვანი წლის განმავლობაში უსამართლობა აწია ელინთ. ამის სადასტუროდ მოკლე სიტყვაც კმარა. აღარას ვამბობ ოლინთოსზე, მეთონზე, აპოლონიაზე და თრაკიის ოცდათორმეტ ქალაქზე, რომელთაგან ყველა ისე აღგავა, რომ მნახველი ვერც იტყვის – უცხოვრიათ თუ არა იქ როდისმე. ფოკელთა ასე ძლიერი გომის განადგურებისათვისაც ვიყურებ. ვითარ არიან თესალიელნი? განა დემოკრატიული უფლებები არ ჩამოართვეა მათს სახელმწიფოს და ოთხთა ხელისუფლება არ დაუწესა, რომ არა მხოლოდ ქალაქობრივად, აგრეთვე გომობრივად დემონებინა ისინი? განა ევების ქალაქებს გირანები არ მართავენ უკვე, თანაც კუნძულის ქალაქების – თებესა და ათენის მახლობლად? განა ეპისტოლეში გარკვევით არ წერს: „მე მშვიდობა მინდა იმათთვის, ვისაც ჩემი მოსმენა სურს?“ არა მხოლოდ წერილობით, საქმითაც ამას აკეთებს იგი. აგერ, პელესპონგს გასწია, ადრე ამბრაკია დაღამქრა, დაიყრო ელიდა, ესოდენ მნიშვნელოვანი ქალაქ-ქვეყანა პელოპონესისა, დააპირა მეგარიის ალებაც, – ერთი სიტყვით, არც ელადა და არც ბარბაროსული ქვეყნები არ კმარან მაგ კაცის გულუძღვობისთვის. ჩვენ, სრულიად ელინნი, ვჭვრეტთ და ვისმენთ ყოველივე ამას, მაგრამ ელჩობას არ ვგზავნით ურთიერთშორის, არცა ემფოთავთ; იმდენად საცოდავ დღეში ჩაეყვივდით, ისე შემოვირავვეთ თავი ქალაქში, რომ დასაბამიდან დღემდე შესაფერისი და საშურო ვერა გაგვირიგებია რა, ვერც ერთმანეთი გაგვიმტკიცებია სამხედრო თუ სამეგობრო დახმარებით. ამის ნაცულად, გულგრილად ვადევნებთ თვალს მაგ კაცის გაძლიერებას და, როგორც ვფიქრობ, ყოველ ჩვენგანს ჰგონია დროს იგებს, სანამ სხვა იღუპება; ელინთა ხსნისთვის კი არავინ ფიქრობს და არას აკეთებს, თუმცა ყველამ უწყის, რომ ფილიპე, ვითარცა ეამიანის ციება ან სხვა რამ უბედურება, ავითებს ისეთ რამეს, სანამ საღ-სალამათი ხარ, ვერც კი წარმოიდგენ. ამასთანავე, უწყით თქვენ, რომ – თუ ბერძნები ითმენდნენ რასმე ლაკედემონელთაგან ან თქვენგან, ითმენდნენ ელაღის ღირსეულ შეილთაგან და ყოველი მათგანი ამას იღებდა ისე, კანონიერმა შეილმა საერთო სიკეთეში უსამართლოდ რომ დაიდოს წილი; და, თუმცა მას მიიჩნევდნენ კიცხვისა და ბრალდების ღირსად, მაინც არავინ იტყოდა მასზე, რომ უფლება არ ჰქონდა ეს ეკეთებინა, როგორც საერთო ქონების მონაწილე მემკვიდრეს. ვინმე მონას ან გარეწარს რომ ხელეყო და გაენიაეებინა ქონება, რაზედაც მას წილის უფლება არა აქვს, მაშინ კი, იყოცხლე, – ვფიცავ პერაკლეს, უურო დიდსა და სასტიკ რისხეას გამოიჩენდით ყველანი! მაგრამ ფილიპეზე და მის საქმეებზე ვერც არა სჯიან, თუმცა იგი არა მხოლოდ ელინი არ არის და ელინებთან საერთოდ არა ესაქმება რა, – არამედ იმ მხარის ბარბაროსადაც არ თქმულა, რომელიც ღირსეულად მაინც იხსენიება; უბრალოდ, ერთი წყალწაღებული მაკედონელია იმ მხარისა, საცა ადრე რიგიან მონასაც კი ვერ შეისყიდდი.

კვლავ რაღა აკლია მის აღვირახსნილ თავხედობას? გარდა იმისა, ქალაქები რომ გააპარტახა, განა პითიურ დღეობებს არ მართავს იგი – ელინთა საერთო შეჯიბრს, რასაც თავად ესწრება და თავის მონებს შეჯიბრთგამრიგებად გზავნის? განა პილოსის ბატონი არ არის იგი, გინა ელაღის მისასველეთა, და თავისი მუეიხოვნენი და მოქირავენენი არ უყენია გმებზე? განა თავად არ სარგებლობს ორაკულის სამისნო პირველუფლებით, – რაიც წარგვტაცა ჩვენ, თესალიელებს, დორიელებს და დანარჩენ ამფიქტიონებს, – რითაც ელინთაგან ყველა ვერ სარგებლობს? განა თესალიელთ არ უკანონებს იგი მმართველობის წესებს? განა მოქირავენებს არ გზავნის პორთმოსში,

რომ იქ ერეგრიალთა დემოკრაგია დაარბიოს, აგრეთვე ორეონში, რომ იქ ფილსტიდე დასეას გირანად? ყოველივე ამას ელინები უყურებენ და განიცდიან ისევე, როგორც სტეკვას: ყველა იმაზე ფიქრობს – მე არ დამაგყდესო თავს, თორემ მის აცილებას არაეინ ლამობს. არამითუ ელადას იყავს ვინმე თავზედობისგან. არამედ ყოველ თქვენგანზე მოწვენილი უსამართლობისთვისაც არაეინ იმალლებს ხმას. ეს ხომ უკვე მეტიგმეგია. ვანა მან არ დალაშქრა ამბრაკია და ლეკადა – კორინთოსელთა კუთვნილი ქალაქები? ვანა აქველთა კუთვნილი ნაუპაკოსის გადაცემას არ შეჰპირდა ფიციოთ იგი ეგოლიელებს? ვანა ექინოსი არ წარტაცა თებელთ და ახლა მოკაემირე ბიზანტიონელთა წინააღმდეგ არ ლამქრობს? ვანა ჩვენ, სხვა რომ არა ვთქვათ რა, ქერონესის უდიდესი ქალაქი კარდია არ გამოგვევლიჯა? და, ყოველივე ამის გამცდელნი. კიდევ დროს ეაჭინურებთ, ვიჩენთ სულმოკლეობას, ურთიერთუნდობლობით ვუყურებთ მეზობლებს და არა ჩვენს დამარბეველს. ახლა რომ ასე ეყრობა ეს კაცი ყველას, როგორ ფიქრობთ, რას იზამს მამინ, როცა ყოველ თქვენგანს სათითაოდ წარგყვევის?

რა არის მიზეზი ამისა? არც უსაფუძელოდ და არც ღირსსაცნობი მიზეზის გარეშე ესწრაფოდნენ ელინნი თავისუფლებას, ახლა კი ასე უღრგვინველად იტანენ მონობას. იყო, ათენელო დარბაისელნი, უმრაველესთა ცნობიერებაში იყო რაღაც ისეთი, რაც აწ აღარ არის, რაც აღემატებოდა თვით სპარსელთა სიმდიდრეს და თავისუფლებას ანიჭებდა ელადას, ვერ ამარცხებდა მას ვერც საზღვაო და ვერც სასმელეთო ბრძოლებში. აწ ძალი იგი წამხდარა და ქვედამხობილა ყოველი კეთილნაღვაწი ელინთა. სახელდობრ, რა ძალი იყო ეს? არაფერი, გარდა იმისა, რომ ის ხალხი, ვინც ფულს იღებდა ძალაუფლების მოსურნეთაგან, ვინა ელაღის სხვა მომყვივნებელთაგან, ყველას მიზლს იმსახურებდა; ყოველად თავლაფდასხმული იყო ამგვარ საქმეში მხილებული და უდიდეს სასჯელსაც იმსახურებდა. ამიგომაც, არც ერთი იმ საქმეთაგან, რასაც ზოგჯერ ბედი ვანამზადებს, არ უნდა გაყიდულიყო ორაგორთაგან, ვინა მხედართმთავართაგან, – არც ურთიერთნდობა, არც უნდობლობა გირანთა და ბარბაროსთა მიმართ და არც სხვა მრავალი ამდაგვარი. აწ ყოველივე ეს გაყიდულა, ვითარცა ბაზარზე, რის სანაცვლოდაც შევიძენით ისეთი რამ, რაც ღუპავს და ასნეულებს ელადას. რაღაა ეს? მური იმათ მიმართ, ვინც რამ მოიხევეჭა, დაეინვა – ვინც აღიარებს, თანაგრძნობა – ვისაც ამხელენ, სიძულვილი – ვინც გაიციხავს, – ერთი სიგყვით, ყველაფერი, რაც მომსყიდველობას უკაემირდება. ხოლო რაც შეეხება ტრიერებს, ცოცხალ ძალას. ფულადი სახსრების მარაგს, აგრეთვე მოსამზადებელ საშუალებებს და სხვა მრავალს, რითაც სახელმწიფოს ძლიერებაზე შეიძლება იმსჯელოს კაცმა, – დღეს გაცილებით უფრო მეგად გააჩნია ყველა თქვენგანს, ვიდრე იმ ხალხს მოეძვეებოდა მამინ. მაგრამ ყველაფერი ეს უსარგებლოა, უქმი და უნაყოფო, მოვაჭრეთა ანაბრად გარდაგებული.

ვამ-ვითარება რომ ასეთია, ამას თავად ხედავთ და ჩემი დასტური სულაც არ გჭირდებათ. ხოლო უწინდელ დროს, დღეის საპირისპიროდ რომ იყო ვითარება, ახლავე ცხადყოფთ, მაგრამ არა ჩემი სიგყვით, არამედ თქვენი წინაპრების ნაწერით. აკროპოლისზე რომ დაუგოვებიათ სპილენძის სტელაზე ამოგვიფრული. „ართმიოსი, – გვამენობს ნაწერი, – ძე პითონაკისა, ძელიელი, მოკვეთილია, ვითარცა მგერი ათენელი ხალხისა და მის მოკაემირეთა, – თავად და გვარი მისი“. მერმე წერია მიზეზიც, რის გამო მოხდა ეს: „რამეთუ მან ოქრო მიდიდიდან პელოპონესში გაზიდა“. ასეთი რამ წერია იქ. განსაჯეთ, ღმერთთა გულისთვის, რა იგულისხმებს მამინდელმა ათენელებმა, რაგომ მოიქცნენ ასე, რა მნიშვნელობა მიანიჭეს ამ ამბავს. ვინმე ძელიელი ართმიოსი, მონა მეფისა (ძელია ხომ აზიაშია), იმის გამო, რომ ბაგონის სურვილით ოქრო წამოიღო პელოპონესში, თანაც არა ათენში, გამოაცხადეს თავიანთ და მოკაემირეთა მგრად. თავად იგიც და მთელი მისი გვარიც მოლაღატებად შერაყეს და მოქალაქეობის უფლება წაართვეს. მაგრამ ეს არ გახლავთ უბრალო მოქალაქის უფლებათა აყრა. ძელიელთათვის რა მნიშვნელობა ჰქონდა ამას, როცა ათენის სამოქალაქო უფლებანი მასზე არ ვრყელდებოდა? მაგრამ დამატებითს კანონში წერია,

რომ ამგვარ კაცთა მკვლელობის საკითხი სასამართლოზე არ გაირჩევა. კანონი პირდაპირ ამბობს: „მოკვლეს განუკითხველად“. ამით ისაა ნათქვამი, რომ ვინც ამგვარ კაცს მოკლავს, უმწიკვლოდ დარჩება.

ამრიგად, ისინი ყველა ბერძნის ხსნიხთის მოღვაწეობდნენ. თორემ რაში ენაღლე-ბოდათ, პელოპონესში ვის რა მიაქვს, ვინ ვის ყიდულობს ან პრყენის. სჯიდნენ ისინი, შურს მიაგებდნენ ამგვარ საქმეში შემჩნეულთ და სგელას განუმზადებდნენ. სწორედ ამიტომ, სრულიად ბუნებრივად, ბერძნების შიში ჰქონდა ბარბაროსს და არა ბერძნებს ბარბაროსისა. ახლა ასე არ გახლავთ. თქვენ სხეირივად ეკიდებით ამდაგვარ საქმეთ, მაგრამ როგორ მაინც? ვინდათ გითხრათ? არ განრისხდებით? ზოგს სურს, საარაკო სიგყვით დაამოშინოს ქალაქი, აქაოდა ფილიპე ეგოდენ ძლიერი არ არის, როგორც იყენებო ლაკედემონელი, რომლებიც ულობდნენ სრულიად მღვასა და ხმელს, მაგრამ მათ გაუმკლავდა ჩენი ქალაქი და არკი დამხოზილა. მაგრამ მე ვფიქრობ, – შეიძლე-ბოდა თქმა, – რომ ყოველი წარმატებული საქმე, აწინდელი და უწინდელი, ერთმანეთს რომ არა ჰგვანობს, ყველაზე მეტად მოგვარდება და მოიგება ომით. უპირველეს ყოვლისა, მაშინ ლაკედემონელი, როგორც მე მსმენია, და ყველა სხეაყ, ოთხი ან ხუთი თვის განმავლობაში ყველაზე კეთილგაროსიან ეამს, შეიჭრებიან ხოლმე ქვეყანაში და ააოხრებენ კოპლიტებით, სახელმწიფო ჯარებით და კელაე უკუმოიქუ-ვიან შინისკენ. ისინი იყავენ ძველ, უკეთ რომ ვთქვათ – სჯულმდებლურ წესს, არ მისდევენ ფულადი აღებ-მიცემობის ჩვეულებას, მაგრამ მათი ომის მიზანი ყოველთვის მაინც წრფელია და პირდაპირი.

დღეს კი თქვენ ხედავთ, რომ საქმეთა მეტი წილი წაახდინეს მოღალატეებმა, ჯართა წყობა და ბრძოლა კი არა ჩანს. ამის მაგიერ გესმით ფილიპეს მუქარა, და-თარემობს საცა ნებაეს, – არა კოპლიტთა ფალანგებით, არამედ მსუბუქ ცხენოსანთა მხედრონით, მშვილდოსანი მოქირავენებით და სხეა ამგვარი ლაშქრეულით. როცა ურთიერთმტრობით სნებულთ დაესხმის თავს და მშობელი ქვეყნისთვის არაეინ გაირჯებით უნდობლობით იჭვენულნი, აი მაშინ დასძრავს იგი სამხედრო მანქანას და შეუდგება ალყას. იმაზე აღარას ეამბობ კიდევ, რომ ეგ კაცი მამთარ-მაფხულს არ არჩევს, წლის რა დროც არ უნდა იყოს, თავის საქმეს არ მიაგოვებს. ცხადია, ყოველი-ვე ეს უნდა გაითვალისწინოთ, ვინძლო არ გადმოვანაცლოთ ჩვენს მიწა-წყალზე და უწინდელი მარტივი ლაკედემონური ომების წამხელავებმა კისერი არ მოეიტებოთ; უპირველესად, საქმით გემართებს სიფრთხილევ და მზადყოფნით. თეალყური უნდა ვადვენოთ, მტერი არ დაიძრეს შინიდან, უნდა ვიმარჯვოთ, სანამ ხელჩართულ ბრძოლაზე მივიდოდეს საქმე. ომში ჩვენ გავვაჩნია ბუნებრივი უპირატესობანი, თუ, ათენელო დარბაისელნო, გამოვიჩენთ სურვილს აღეასრულოთ, რაყ საჭიროა. იმის ქვეყნის ბუნება ისეთია, რომ ადელი მისადგომია საძარცვავად და მრავალი მიანის მისაყენებლად; ეს და სხეა უპირატესობანი ჩვენს მხარეზეა, მაგრამ სამხედრო ძლიერებით ის გეჯობნის. არა მხოლოდ ეს უნდა გაითვალისწინოთ. არა მხოლოდ იმისგან უნდა დაიცვათ თავი ომით, – არამედ შეგნებულად მოიძულოთ მის დასაყავად აქ გამოსული ორაგორები; უნდა გაითვალისწინოთ, რომ მანამ ვერ სძლევთ სახელმწიფოს გარეშე მტერთ, სანამ არ დასჯით მტერთა თანამშრახველთ სახელმწი-ფოს შიგნით. მაგრამ თქვენ ეს არ ძალგიძთ, – ვფიყავ მეგეს და სხეა ღმერთებს, – უგუნურებით იქცევით, ან კიდევ – აღარ ვიყი, რა ვთქვა (ხშირად შიში მიპყრობს, დემონი რამ ხომ არ შეუჩნდა-მეთქი ჩვენს საქმეს), რომ ლანძღვის, შურის, ოხუნჯობის თუ მრავალი სხეა მიზეზის წყალობით ლაპარაკის უფლებას აძლევთ მხევეკელ, მედროვე ადამიანებს, რომელთა შორის ზოგი სულაც არ მალავს თავის რაობას, და სიყილით კედებით, როცა ისინი ვინმეს აყივნებენ და თაელაფს ასხამენ.

და მაინც – მთავარი საშინელება ესეც არ არის, თუმც კი საშინელებაა. ამასთანავე, თქვენ საშუალება მიეცით მათ, გაცილებით უსაფრთხოდ ეწეოდნენ პოლიტიკურ საქმიანობას, ვიდრე თქვენს დასაყავად დამამურალი ორაგორები. აბა ნახეთ, რა

ხიფათს გიშვადებთ მათდამი თქვენი სმენისმოყვარეობა. მოგახსენებთ იმ საქმეთათვის. რასაც ახლა ყველანი გაეცნობით.

ოლინთოსში ერთი ფილიპეს საქმეს უკერდნენ მხარს და ყველაფერში მას თანაუზრახოდნენ. სხვანი კი ილწოდნენ იმ საუკეთესო იმედით, რომ მონობას აარილებდნენ მოქალაქეებს. მამ, რომელთაგანმა გასწირა სამშობლო? რომლებმა გაყიდეს ცხენოსნები და ამ დალაგით დალუქეს ოლინთოსი? იმათ, ვინც ფილიპეს თანაუზრახვოდ და, სანამ ევ ქალაქი ჯერ კიდევ ფეხზე იდგა, ქვებუდანურად ცილს სწამებდა მის ქომაგ ორაგორებს, ვინც ოლინთოსელ ხალხს აპოლონიდეს მოკვეთა ჩააგონა.

ამგვარ საქმიელს მარტო მათთვის არ მოუგანია ყოველგვარი უბედურება, სხვაგანაც ასე მომხდარა. მაგალითად, ერეგრიასში, — როცა პლუგარქე მოქირავნეების თურთ გააძევეს და ხალხს ეპყრა ძალაუფლება ამ ქალაქში, — აგრეთვე პორთმოსში; ერთი იქ თქვენს საქმეს იყავდნენ, მეორენი — ფილიპესას. და უსმენდნენ რა უპირატესად ამ უკანასკნელთ, ბედურულმა ერეგრიელებმა საქმე იმით დაამთავრეს, რომ გააძევეს მათივე საქმისათვის დამამერალი ორაგორები. მაშინ მან, მათმა მოკაცშირე ფილიპემ, პიპონიკოსი გაგზავნა მათთან ათასი მოქირავნითურთ, დაანგრია პორთმოსის ციხენი და განაწესა იქ სამი გირანი: პიპარქოსი, ავგომედონგი და კლიტარქოსი; ამის შემდეგ ქვეყნიდან გარეკა მცხოვრებნი, ორგმის რომ სცადეს დაეხსნათ თავი: პირველად ეერილოქოსი გაგზავნა მათ წინააღმდეგ მოქირავნე ლაშქრით, მეორედ — პარმენიონი.

რა საჭიროა კიდევ გაეავრძელო სიგყვა? ორეონში ფილიპესთვის ილწოდნენ ფილისტიდე, მენიპოსი, სოკრატე, თოანგი და ავაპეოსი, რომელთაც ახლა უპყრიათ ქალაქი, და ეს ყველამ უწყის. ვინმე ეფურეოსი კი, რომელიც ერთ დროს თქვენთან სახლობდა, ილწოდა იმისთვის, რომ თავისუფალი ყოფილიყვენენ მოქალაქენი და არავის დამონებოდნენ. რამდენად შელანძლული და მეზიზღებული იყო ხალხისგან ევ კაცი, საამისოდ ბევრის თქმა შეიძლებოდა. მაგრამ აი, — ქალაქის აღებაზე ერთი წლით ადრე მან, — ფილისტიდეს და მისთა თანამზრახველთა საქმიანობა რომ შეიგყო, — დალაგში ბრალი დასდო მათ. მაშინ შეკრბა აღელვებული ბრბო, რომელსაც ფილიპე ჰყავდა ქორეგოსად და პრიგანად, და ჩაამწყვდიეს ეფურეოსი დილეგში, ვითარცა მოჯანყე და შფოთისთავი. ორეონელი ხალხი კი, იმის ნაცვლად, რომ მიშეულებოდა მას, არც აღშფოთებულა მისი შეპყრობით, პირიქით — საკადრისად ეზლო, — ამბობდა და ნიშნისმოგებით ხარობდა. ამის შემდეგ მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო, — აიღეს ქალაქი. საამისოდ მზადდებოდა საქმე; მრავალი გრძნობდა ამას, მაგრამ ხმას არ იღებდა შიშით თავმარდაცემული, რამდენადაც ახსოვდა, რა ბედი ეწია ეფურეოსს. იმდენად ვაგლახად იყვნენ დათრგუნულნი, რომ მათზე დაძრულ უბედურებათა წინაშე სიგყვის გაღებასაც ვერა ბედავდნენ, სანამ ამასობაში საომრად შემართული მტერი არ მოადგა კედლებს. მაშინ ზოგი თავდაცვას შეუდგა, ზოგი — დალაგს და აი, ასე სამარცხვინოდ და ბოროტად წარტყვევნილ ქალაქს აწ ესენი ფლობენ და გირანებად სხედან. ის ხალხი კი, — ყოველი ღონე რომ იხმარეს თავის გადასარჩენად და ეფურეოსი გასწირეს, — ამათ ერთიანად დაქსაქსეს: ზოგი გააძევეს, ზოგი მოაკედინეს. ხოლო ეფურეოსმა თვითონ გაიგმირა თავი და საქმით დასტურჰყო, რომ წმინდად და უანგაროდ თანაუდგა თავის ხალხს ფილიპეს წინააღმდეგ.

„რა იყო მიზეზი, — გაიკვირვებთ თქვენ, — რომ ოლინთოსელნი, ერეგრიელნი და ორეონელნი მეგი სიამოვნებით უსმენდნენ იმათ, ვინც ფილიპესთვის წარმოთქვამდა სიგყვას, ვიდრე მათივე ინგერესების დამცველ ორაგორებს?“ მიზეზი იგივეა, რაც თქვენთან: მართლის მთქმელი, სურვილიც რომ ჰქონდეს კარგის თქმის, ზოგჯერ ვეღარ ამბობს, რამეთუ პირმოთნეობას ქვეყნის ხსნაზე ლაპარაკი ურჩევნია; ესენი კი, რომელნიც შაამებლობენ, ოდენ ფილიპეს საქმეებს განარჩევენ. ისინი ფულის შეგანას, ესენი — არშეგანას ამბობენ, ისინი ომს და არა ცუდრწმენობას, ესენი კი — ზავის დაცვას, — და ასე მანამ, სანამ გყეეობაში არ ამოუყვიათ თავი. დანარჩენი საქმე, როგორც მე მგონია, ისე და იმგვარად წარიმართა, დაწერილებით აღარას მოვეყვები.

ზოგნი მამამებლობდნენ, ზოგნი ხსნას ეძიებდნენ, ბევრი რამ ამ ბოლო დროს ხელიდან გაუშვა ხალხმაც. — მამამებლობით და უმეურები თუ არა, არამედ სასო წარუკეთათ და მთელი საქმე წაგებულად მიიჩნიეს. აი, სწორედ ეს მაშინებს მეც, — უფიქვან მეცს და აპოლონს, — ისეთი რამ არ გარდავხდებოდა, რომ თქვენი სამუქელი არსით იყოს. მაგრამ აქამდე, ათენელო დარბაისელნო, ნუმე მისულიყოს საქმე. ათიათასგზით სიკვდილი გიჯობთ, ვიდრე ფილიპეს ემლიქენელოთ და თქვენს საკეთილდღეოდ დამამერალ ორაგორთაგან უკუაგლოთ ვინმე. კი, დიდი ჯილდო მიიღეს სამღაურად ახლახან ორეულემა, ფილიპეს თანამდგომნი რომ გაახელმწიფეს, ხოლო ეფეროსი გაიუცხოეს; კარგად ეზლო ერეტრიელ ხალხს, ჩვენი ელჩები რომ დაითხოვა და კლიტარქოსის ბატონობას მისცა თავი: აწ მონობას, მათრახს და საწამებელს მისცემიან. ასევე კარგად მოეპყრო იგი ოლინთოსელთაც, რომლებმაც ლასთენე პიპარქად აირჩიეს, აპოლონიდე კი განდევნეს. სიბრიყვე და ბოროტება იმით დაიმედება, რომ მრუდედ განმსჯელებმა არ ადასრულოთ, რაც ჯერ არს, ხოლო მგერთათვის მეტყველ ორაგორთა მსმენელებმა იფიქროთ, — ჩვენ იმოდენა სახელმწიფოში ვსახლობთ, რავინდ დიდი სამიმროება დააგყდეს თავს, ვერას დააკლებსო. სირცხვილი იქნება მხოლოდ, მერმე რომ თქვას ვინმე: „ვინ იფიქრებდა, ეს მოხდებოდა? გემართებდა, უფიქვან მეცს, ეს კი არ გვექნა, არამედ ის“. ახლა მრავალ საშუალებას დაასახელებენ ოლინთოსელნი ისეთს, რომელიც, მაშინ რომ გაეთვალისწინებინათ, არ დაიღუპებოდნენ, ასევე მრავალს — ორეოსელნი, მრავალს — ფოკიდელნი და კიდევ მრავალს ყველა ისინი, ვინც დაიღუპნენ. მაგრამ ახლა ეს რაღა სარგებლობას მოუტონს მათ? სანამ მრთელია ხომალდის ძარა, ვინდ დიდი, ვინდ მცირე ხომალდისა, მანამ მართებს მენიზბეს, მესაჭეს და ყველა მეხომალდეს, ურთხილად იყოს, რომ ვინმე ნებსით თუ უნებლიეთ ხომალდი არ დააყირავოს, თორემ თუ ხომალდს მღვამ უყო პირი, უკვე ამოა გარჯა. ჩვენი საქმეც ახლა ასეა, ათენელო დარბაისელნო, სანამ ჯერ კიდევ ვართ მრთელი, გვაქვს უდიდესი სახელმწიფო, უმღვავი სახსრები, საუკეთესო სახელი. რას ეაკეთებთო? — იკითხავს აქ მსხდომთაგანი ვინმე. მე, უფიქვან მეცს, ვიგყვი ყოველს და დავწერ კიდევ თქმულს, თუ თქვენც ისურვებთ — ხმებით დამიდასტუროთ ეს. პირველ რიგში, თავად უნდა განვაგებოთ თავდაყუა და შეუდგეთ მზადებას — ვგულისხმობ ტრიერებით, ფულითა და ჯარით მომარაგებას (თუ ყველა დანარჩენები მონობას დასთანხმდებიან, ჩვენ მაინც უნდა ეიბრძოლოთ თავისუფლებისათვის); ჯერ თავად უნდა მოვემზადოთ ყველას დასანახად, მერმე კი მოუწოდოთ სხევებს. უნდა დავგზავნოთ ელჩები ახსნა-განმარტებისათვის, რათა ყველა დავარწმუნოთ საერთო ხიფათში თანამონაწილეობისა და სახსრების გაღების აუცილებლობაში, თუ არადა, დრო მაინც მოვიგოთ ამით საქმეთა მოსაგვარებლად. რამდენადაც ომი გვექნება მხოლოდ კაცთან და ჯერაც მოუმაგრებელი სახელმწიფოს ძალასთან, მნიშვნელობას ესეც არ არის მოკლებული, ისევე როგორც ჩვენი შარშანდელი ელჩობა პელოპონესის სხვადასხვა ადგილებში, — როცა ჩემთან ერთად იყვნენ ყოველად ღირსეული პოლიექკოსი, პეგესიპოსი, კლიტომაქი, ლიკურგი და სხვა ელჩნი; მაშინ ჩვენ საბრალდებო სიგყებით ვამხილეთ იგი, ვაიძულეთ შეჩერებულიყო, არ მივეყით საშუალება გაველო ამბრაკია და შესულიყო პელოპონესში. ამით იმის თქმა როდი მინდა, მხოლოდ სხევებს მოუწოდოთ, თავად კი არ გავაკეთოთ ის, რაც ჩვენთვის აუცილებელია. უჩვეულო რამ იქნებოდა სწორედ, შინ არაფერი გავგანდეს და გარეთ სხევებს ვაირდებოდეთ ამენებას, თავად ურწმუნოდ ვეგოთ, სხევებს კი მომავლით ვამინებდეთ. არა, ამას კი არ ვამბობ, მე მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რომ უნდა მიაშველოთ ფული ქერონესს და ყველაფერი, რასაც იქ ითხოვენ. ჯერ უნდა მოვემზადოთ თავად, მერმე კი მოუხმობთ დანარჩენ ელინთ, შევყაროთ ისინი და ვამცნოთ ყოველი. ეგ ვალად აღეცხვოდენ დიდმნიშვნელოვან სახელმწიფოს, როგორც თქვენი. თუ ფიქრობთ, ელადას ქალიკელნი ისხნიან ან მეგარელნი და თქვენ არ მოგიწევთ გარჯა, — არასწორად ფიქრობთ: ისიც ბევრი იქნება, იმათ თავიანთი თავი რომ გადაირჩინონ. არა, მხოლოდ ჩვენ უნდა

გავაკეთოთ ეს. რამეთუ სწორედ ეგ გვიანდერძეს ჩვენმა წინაპრებმა დიდი ვალისა და აურაცხელი განსაცდელის ფასად. თუ ვინმე ეძიებს საშუალებებს იმის აღსასრულებლად. რააც სურს. მაგრამ. ამავე დროს, ფიქრობს, რომ თავად არაფერი გააკეთოს სააპისოდ. მაშინ, ჯერ ერთი, იგი ვერ იპოვის ამ საქმის აღმსრულებელთ, რამეთუ ასეთნი არ არსებობენ, მეორეც, ვშიშობ, ვაითუ აუცილებლობის ძალით მერე ერთბაშად დაგვაწვეს იმ საქმეთა გეირთი, რომელთა აღსრულებას ახლა გაეურბივართ.

აი. ეს არის. რასაც ვამბობ და რასაც ვწერ. მე ვუფიქრობ. ჯერაც არაა ვეიან. – წაღმა წავა საქმე. თუ ხელს დროულად მოჰკიდებთ მას. თუ ვინმეს ამაზე უკეთესი რამ ეთქმის. გეიხრას და გეირჩიოს. რა გადაწყვეტილებასაც არ უნდა დაადგეთ. გწყალობდეთ ღმერთები. ხელი მოგიმართონ მათ!

თარგმნა გივლა სარიშვილმა

ისოკრატი

(ძვ. წ. 436 – 338 წწ.)

ისოკრატესი ორატორული ხელოვნების წარმომადგენელია. დაიბადა ფლეიგების სახელოსნოს მფლობელის ოჯახში. ამიგომაც მთელი თავისი შემოქმედებით ანტიკური მონათმფლობელური სამოგადოების მაღალი ფენების ინტერესებს გამოხატავდა და დემოკრატიული წყობილების მოწინააღმდეგე იყო.

ისოკრატესი თავგამოდებით იცავდა სპარსეთის წინააღმდეგ ბერძენთა გაერთიანებული ლაშქრობის იდეას. მაგრამ თავისი პანელინური იდეალები არ გაუმართლდა და ასაკში შესული ისოკრატესი შორეული წარსულის – სალამისის, მარათონის, თერმოპილის ბრძოლების მოგონებებითა ცხოვრობდა. არ ესმოდა ათენის განვითარების ახალი, პერიკლესისეული გზა. ცხოვრების ბოლო ხანებში მაკედონურ პარტიას მიემხრო. იმედოვნებდა, რომ საბერძნეთის ხსნა ფილიპოს მაკედონელს შეეძლო.

ჩვენამდე მოღწეულია ისოკრატესის ოცდაერთი სიგყვა და ცხრა წერილი. სიგყვებიდან ექვსი სასამართლოზეა წარმოთქმული, თხუთმეტი კი საშეიმო ხასიათისაა. საშეიმო სიგყვათა შორის ცხრა სასკოლოა, ექვსი – პოლიტიკური.

ისოკრატესის სიგყვათა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია „*პანეგირიკი*“, „*არეოპაგიტული სიგყვა*“ და „*პანათენური სიგყვა*“.

„*პანეგირიკი*“ (დაახლ. 380 წ.) საკუთარ გარდასულ დიდებას მოაგონებს ბერძენებს და მიზნად ისახავს მათ გაერთიანებას ათენისა და სპარტის მეთაურობით. ისოკრატესი სპარტა-ათენის ძველი კავშირის განახლების იდეას იცავს, სადაც საზღვაო ჰეგემონი ათენი უნდა იყოს, სახმელეთო კი სპარტა. ისოკრატესი ცდილობს შეაგულიანოს ისინი იონიის გასათავისუფლებლად და საერთო მტრის – სპარსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ძველ დროს განადიდებს ისოკრატესი „*არეოპაგიტულ სიგყვაშიც*“ (დაახლ. 357 წ.). ის ხოგბას ასხაშს ათენში არეოპაგის მართველობის ხანას. ბერძენთა გაერთიანებისკენ მოწოდებაა აგრეთვე „*პანათენური სიგყვაც*“ (342 – 339 წწ.). აქაც ათენის ისტორიული როლი და მნიშვნელობაა წინ წამოწეული.

რიტორიკული გექნიკის თვალსაზრისით, ისოკრატესი გორგიასის გზის გამგრძელებელია. დიდ ყურადღებას აქცევს სიგყვის გარეგნულ ფორმას და ცდილობს პროზაულ მეტყველებას პოეტურობა მიანიჭოს. ისოკრატესმა შემოიღო ე. წ. პერიოდული მეტყველება. მისი აზრით, ყოველი ფრაზა თავისთავად დასრულებულ მხატვრულ ერთეულს – პერიოდს უნდა წარმოადგენდეს. ისოკრატესი სიგყვის უმაღლო ოსტატია. მან უდიდესი ამაგი დასდო ბერძნული სალიგარატურო ენის საბოლოოდ ჩამოყალიბების საქმეს.

მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია ისიც, რომ ისოკრატესმა ათენში დააარსა ორატორული ხელოვნების სკოლა, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ბერძნული კულტურის ისტორიაში.

პანეგირიკი

სიგყვა წარმოთქმულია დაახლ. ძვ. წ. 380 წელს სრულიად ბერძენთა შეკრების დროს ოლიმპიურ გეიმზე. იგი ორი ძირითადი ნაწილისგან შედგება: პირველი, სახოგბო ნაწილი (§§ 20-128) უფრო ეპიდექტიკური ხასიათისაა და წარმოადგენს იმის მტკიცებას, რომ სპარსეთის წინააღმდეგ ომში ელინთა შორის ჰეგემონობის უფლება ათენელებს ეკუთვნით. ამ მიზნით ისოკრატესი საგანგებოდ წარმოაჩენს ათენის დამსახურებებს მთელი ელადის წინაშე.

მეორე ნაწილი (§§ 133-186) სიმბულეტიკური ხასიათისაა. აქ ისოკრატესი გმობს ვიწროპოლისურ პოლიტიკას და ცდილობს თითოეული პოლისის დარწმუნებას, რომ თავიანთი პოლიტიკა საერთო-ელენური მნიშვნელობის მქონე საკითხების გათვალისწინებით ააგონ.

ამ ნაწილებს კრავს §§ 16-20 და §§ 129-132.

საგყვა იწყება მუსაველით (§§ 1-14) და მთავრდება ეპილოგით (§§ 187-189).

სიგყვის საერთო მიზანი პანელინური სულისკეთების აღძვრაა. ისოკრატესი ცდილობს თვალაუხილოს ძმათაპორისი პრობლემით ღონეშიდილ თავის ხალხს და შეაგნებინოს შინაოშების უაშრობა. სანაყელოდ კი თანაშობშებს სთავაშობს იდეას, რომ ეს ურთიერთშგრობა და შუდლი სხვა ხალხისა და სხვა ქვეყნისკენ. კერძოდ, სპარსეთისკენ მიმართონ.

ათენის დამსახურებები ელადის წინაშე

17. შვეერმეგყველს თუ მხოლოდ ოსტატობით თავის გამოჩენა არ განშრახავს და სურს მისმა ენაშვეერობამ ნაყოფიყ გამოიღოს, მაშინ სიტყვები ისე მარჯყედ უნდა შეარჩიოს, რომ როგორმე შეაგნებინოს ამ ორ ქალაქს¹, უფლებებიყ თანაბრად გაიყონ და ჰეგემონობაყ ერთმანეთში გაინაწილონ², ხოლო უპირატესობა, რასაყ დღეს ასე თავეგამოღებით ეძიებენ ელინთა შორის, ბარბაროსთა შორის მოიპოვონ. 18. ამ აშრმე ჩყენი ქალაქი იწნებ კიდეყ დაიყოლიო, მაგრამ ლაკედემონელებს ვერაუფრს მოუხერხებ. შათ ცრუ აშრი უანდერძეს წინაპრებმა, ჰეგემონობა ძველთავანეე ჩყენ გეეკუთენოდაო. თუ ვინმე ლაკედემონელების დარწმუნებას შეძლებდა, რომ ეს პატივი უმაღ ჩყენ, ათენელებს გეეკუთენის, ვიდრე შათ, აი, მაშინ კი მიანებებდნენ თავს ამ ამბის საყულდაყულო ძიებას და საერთო საქმისთვის სასიკეთო გშას დაადგებოდნენ.

19. სხვა შვეერმეგყველთაყ ამით უნდა დაეწყოთ: ჯერ სადავო საკითხები უნდა გაერჩიათ და მხოლოდ შემდეგ მიყათ ის რჩევები, რაშეყ არაყინ კამათობს. პირადად მე სადაყო საკითხებშე გაყილებით დიდხანს შეეჭრდები, თანაყ ორი განშრახებით: პირველ ყოელისა. ეგებ რადაყით წაყადაგე საქმეს და როგორმე ერთმანეთის ძღვეის წადილი აღმოეფხვრა ჩყენში, რათა ერთობლივი ომი წამოვიწყოთ ბარბაროსების წინააღმდეგ; 20. მაგრამ, თუ ამას ვერ მივაღწიე, მაშინ ჩემი მიზანი მხილება ვახდება, მხილება იმისა, ვინყ გადაულახავ მღუდელ აღმართულა ელინთა ბედნიერების გშამე. ყველასთვის ცხადი უნდა ვახდეს, რომ ჩყენი ქალაქი ადრეყ სამართლიანად ბატონობდა მღვაშე და უმართებულოდ ჰეგემონობას არყ ამჯერად იჩემებს. 21. თუ ყოველ საქმეში პატივი ყველაშე გამოყდილსა და ყველაშე უნარიანს უნდა მიეგოს, მაშინ ჰეგემონობა უდავოდ ჩყენშეა ალაღი. აკი ადრეყ ჩყენ გეეკუთენოდა. აბა, თქყას ვინმემ, რომელი ქალაქია სახმელეთო ბრძოლებში ისევე გამორჩეული, როგორიყ ჩყენი – სამღვაო შეტაკებებისას? 22. შოგ-შოგებს ეგებ აშგვარი განსჯა არაჯეროენად მიაჩნიათ და თავად ასე სყიან: სოფელი მუხთალია, ძალა-უფლება ხელიდან ხელში გადადის, ამიგომ ჰეგემონობა, ისევე, როგორყ სხვა რამ დიდი პატივი, ან იმას შემეშენის, ვისაყ პირველს ხედა წიღად, ან იმას, ვინყ ელინებს ყველაშე მეტი სიკეთე მოუგანაო. ჩემი აშრით, ისინიყ საჩყენოდ მსჯელობენ. 23. მართლაყ, თუნდაყ ამ ორი თელასაშრისით გადაეხელოთ საქმის ვითარებას, რაყ უფრო შორეული წარსულიდან მოყყებით, შით უკან ჩამოვიგოვეთ ჩყენს მეტოქეებს. დიახ, საყოველთაოდაა აღიარებული, რომ უძველესი, უდიდესი და მსოფლიოში ყველაშე სახელგანთქმული სწორედ ჩყენი ქალაქია. მაშ, დიდებული საფუძველი გექონია, რომ პატივი არ გეაკლდეს, მაგრამ ძველ ღირსებებს ბეერი ახალიყ ემატება, რაყ კიდეე მეტი პატივების ღირსად გვხდის. 24. ჩყენ ამ მიწაშე ფესვი ისე ვავიდგით, არაყინ ვავიძიეებია, არყ უკაყრიელი ადგილი დავვიჭერია და არყ სხვადასხვა გომთა ნარევი ვახლავართ. ჩყენს ძარღვეებში შეურეველი, კეთილშობილი სისხლი ჩქეფს და ამ მიწასთანაყ სისხლით ვართ დაკავშირებულნი. ისაა ჩყენი მშობელი და ოდითგანეე მშობელ მიწაშე ვეხოვრობთ. ჩყენ ამ მიწის მევიდრნი ვართ და თავისუფლად შეგვიძლია ჩყენს ქალაქს უახლოესი ადამიანივით მივმართოთ: 25. ელინთა შორის მხოლოდ ჩყენ ვართ უფლებამოსილნი „მარჩენალი“, „სამშობლო“ და „დედა“ ეუწოლოთ მას. სწორედ ასეთი წარმომავლობა ეკადრება ხალხს, რომელიყ დიახაყ რომ ღირსეულად იწონებს თავს, დიახაყ რომ სამართლიანად იჩემებს ჰეგემონობას და ხშირ-ხშირადაყ მოიხსენიებს ხოლმე წინაპართა ნაღვაწს.

26. ასე ღიადი დასაბამი გვარგუნა ბედმა; ხოლო, სხეებისთვის რა სიკეთეთა წყაროდ ვქეულებართ, ყველაზე უკეთ მაშინ გავარკვევთ, დროის სიღრმეებში თუ შევიჭრებით და, თანდათანობით, სულ თავიდან განვიხილავთ ჩვენი ქალაქის ღვაწლს. აღმოვაჩინოთ, რომ ჩვენი ქალაქი – ომის ქარ-ყეცხლში გადაშფევეტი ბრძოლების სული და გული – სხვა საკითხებსაც განაგებს, 27. იქნება ეს ადამიანთა პირადი ცხოვრება, სამოგალობრივი მოღვაწეობა, თუ საარსებო საშუალებათა მოპოვება. თითქმის ყველა სასიკეთო საქმის სულისჩამდგმელია. ჩვენი ქალაქის კეთილშობილურ ნაღვაწთან მათინდამაინც შეუმჩნეველსა და არადჩასაგდებს ნუ გამოვყოფთ. ისეთები გამოვარჩიოთ, რომლებზეც მათივე სიღიადის გამო ყველგან და ყოველთვის საუბრობენ და რომლებიც დავიწყებას არასოდეს ეძლევიან.

28. პირველ რიგში ვთქვათ, რომ ადამიანთათვის ბუნებით აუცილებელი საზრდოც სწორედ ჩვენი ქალაქის წყალობით გვაქვს მოპოვებული. მამ, მოგითხრობთ ამბავს, რომელსაც, მართალია, მღაპრული ელფერი დაჰკრავს, მაგრამ დღეს მისი გახსენება ურიგო მაინც არ იქნება: კორეს მოგაყების შემდეგ, ხეგიალისას, დემეტრე თურმე ჩვენს ქალაქსაც მოსდგომა. ჩვენს წინაპრებს მისთვის ღიდი სამსახური გაუწევიათ. თუ, კერძოდ, რა სამსახური, ამის გაგება მხოლოდ განდობილთ ხელეწიფებათ. ამ ამბავმა დემეტრე ჩვენი წინაპრების მიმართ კეთილად განაწყო და მათ ორი უდიდესი ძღვენი უსახსოვრა: ესაა მარცვლეული (რომლის წყალობითაც აგვედა ცხოველური ყოფა) და მისტერია (რომლის საიდუმლოებებს ზიარებულთ გკბილი იმედები ალაესებთ ხოლმე ცხოვრების აღსასრულისა და მარადისობის მიმართ). 29. მაგრამ ჩვენი ქალაქი მხოლოდ ღვთის მოყვარე და პატივისმცემელი კი არ იყო, კაცთა სიყვარულის ნიჭიც უხვად ჰქონდა მომადლებული. და მართლაც, როგორც კი ამ ღვთიებოძებულ სიკეთეთა პატრონი გახდა, უმურველად გაუზიარა ისინი დანარჩენ ელინებსაც. მაგალითად, მისტერიებს ყოველწლიურად ვმართავთ დღემდე. ასევე, ყველას მაშინვე ასწავლა ჩვენმა ქალაქმა მარცვლეულის მოვლა-პატრონობა, დამუშავება და გამოყენებაც. 30. ამ ამბის სიმართლეში ეჭვი რომ არ შეგეპაროთ, გემოთქმულს ცოგას კიდევ დაუმატებ. პირველ რიგში ამას გეტყვი: შესაძლოა მავანს ამ ამბების სიძველე მოემიზებებინა და მათთვის ყურიც არ ეთხოვებინა, მაშინ როცა, თვით ეს სიძველე უნდა იყოს ყოველივე გემოთქმულის უკყუარობის დასტური. სწორედ იმ მიზეზით, ბერს რომ უთქვამს და ყველას გაუგონია, ეს ამბავი არახალია, მაგრამ სარწმუნოდ ნამდვილად უნდა მივიჩნიოთ. ეგეც არ იყოს, მარტო იმას როდი ვეყრდნობით, რომ ამ ამრმა ჩვენამდე მრავალთა გადმოცემით მოაღწია. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი საბუთებიც შეგვიძლია მოვიგანოთ: 31. ქალაქების უმეტესობა, მათ მიმართ ძველად გაწეული სამსახურის სახსოვრად, ყოველწლიურად გვიგზავნის პურელის მოსავლის უკეთეს ნაწილს. თუ რომელიმე ქალაქი ამ ჩვეულებას მიგაღამიგ მიივიწყებდა ხოლმე, პითია აიძულებდა გაეღო თავისი წილი მარცვლეული და ჩვენი ქალაქის წინაშე მამაპაქეული მოვალეობა აღესრულებინა. და რაღა არის ღვთის სიყვავამე უფრო სარწმუნო? მით უფრო, რომ ბერი ელინიც ამ ამრისაა; თანაც, ამ ძველ ამბავთა ჭეშმარიტებას დღევანდლობაც ადასტურებს, არავითარი წინააღმდეგობა არაა მასსა და გარდასულ ამბებს შორის. 32. მოდი, ამას თავი დავენებოთ და სულ თავიდან მოვყვეთ განხილვას. აი, რას ვნახავთ: დედამიწის პირველ ბინადართ საზრდო-საარსებო ერთბაშად დღევანდელი სახით არ მისცემიათ. მათ თავად მოიპოვეს იგი თანდათანობით, საერთო ძალისხმევით. მართლაცდა, განა იმ ხალხს არ უნდა მიევოს მეტი პატივი, ვისაც თვით ღმერთები უგზავნიან ძღვენს, ანდა, ვინც საზრდოს თავად ეძიებს და პოულობს კიდევ? 33. განა პატივების ღირსი სწორედ ის ხალხი არ არის, ვინც საყოველთაო აღიარებით პირველი გაჩნდა ამ მიწაზე და ვინც ძალზე მოკრძალებულია ღმერთების მიმართ, ვინც სხვადასხვა ხელობების დაუფლების უდიდესი ნიჭითა და უნარით არის დაჯილდოებული? ცხადია, აღარ გესწავლებათ, ჰეგემონობის პატივი იმ ხალხს ეკუთვნის, ვისგანაც ამდენი სიკეთე მომდინრეობს, რამეთუ არ მოიპოვება სხვა იმოდენა ჯილდო, მათ ღვაწლთა გოლფასი რომ იყოს.

34. ჩვენი ქალაქის ღვაწლთა სიდიადე შეძლებისდაგვარად უკვე გაგაცანით. ისიც ვიამბეთ. რომ ჩვენ უშუალოდ ამ მიწაზე ვიშვით და ისიც, თუ რაოდენ გულითადად ვიჩინებთ ყველას მიმართ. ახლა ესეც უნდა ვითხრათ: იმ ხანებში დედამიწის უღიდესი ნაწილი ბარბაროსებს ეკირათ, ელინები კი ხელისგულისოდენა მიწაზე იყვნენ გამოძვრულნი და მიწის უკმარობის გამო შინაომები ჰქონდათ გაჩაღებული. ელინთა ერთ ნაწილს შიმშილი დღითიდღე ბოლოს უღებდა, მეორე ნაწილი კი ძმათაშვილებს ომების მსხვერპლი ხდებოდა. 35. ამის მხილველმა ჩვენმა ქალაქმა ეს ვასაკირიც გულთან მიიგანა და ელადის სხედასხვა ქალაქებში მხედართმთავრები წარგზავნა, რომლებიც სათავეში ჩაუდგნენ ყველაზე გაჭირვებულ ელინებს, უწინამძღვრეს ომში და დაამარცხეს ბარბაროსები. ამ გზით მათ უამრავი ქალაქი დააარსეს ორსავე კონტინენტზე და ყველა კუნძული დაასახლეს. ასე და ამრიგად, გაჭირვება ამორეს ყველას – თანმხლებ მოახალშენებსაც და საკუთარ მიწაზე დარჩენილებსაც: 36. შინ დარჩენილთ სამშობლო მიწა დაუტოვეს სამყოფად. თანმშობლებს კი იმაზე მეტი შესძინეს, ვიდრე ჰქონდათ. გარშემოხაზეს მთელი ის მიწა-წყალი. რაც დღეს გვიჭირავს. ამით გზა გაუკაფეს სხვა ქალაქებსაც, რომლებმაც ჩვენს შემდეგ ჩვენი ქალაქის მიბაძვით მონიდომეს ახალშენების დაარსება. მათ მიწების მოსაპოვებლად საფრთხეში თავის ჩაგდება აღარ სჭირდებოდათ, ჩვენს მიერ დაპყრობილ მიწებს იკავებდნენ და სახლებოდნენ. 37. ვის შეუძლია მიგვითითოს ჰეგემონობა, რომელიც ჩვენსავე უფრო ძველი და წინაპართაგან ნაანდერძევი იქნება? ჩვენი ჰეგემონობა ხომ უფრო ადრე იშვა, ვიდრე ელინურ ქალაქთა უმეტესობა დაარსდებოდა. ანდა, ვის შეუძლია გვითხრას, ვინაა ჰეგემონობის უფრო ღირსეული მაძიებელი, ვიდრე ჩვენი ქალაქი, რომელმაც ბარბაროსებიც გააძევა და ელინებსაც არსახული კეთილდღეობა მოუგანა? 38. ჩვენმა ქალაქმა ელინებს სასიცოცხლოდ უმთავრესი საკითხები რომ გადაუწყვიტა, არც შედარებით უმნიშვნელოთა გათვალისწინება დაივიწყა: საფუძველი ჩაუყარა ქველმოქმედებას და დააპურა მშვიდობა. დიასაც, კეთილისყოფა იმ ხალხის მოვალეობაა, ვისაც მეორე რიგის საკითხთა მოწესრიგებაც დაუსახავს მიზნად. ჩვენს ქალაქს კარგად ესმოდა, რომ ადამიანს ღიად არ ეთიგნაება ისეთი ყოფა, სადაც ცხოვრების მხოლოდ ძირითადი მხარეებია მოგვარებული და ამიგომაც არამთავართა მოწესრიგებაზეც გაისარჯა. ასე რომ, ჩვენი ქალაქის ჩაურევლად არც ერთი ის სიკეთე არ მიგვიღია, რაც დღეს გვაქვს და რაც ღმერთისგან კი არ გადმოსულა ჩვენზე, არამედ ურთიერთშემწეობით მოვიპოვეთ თავად. მათი უმეტესობა სწორედ ჩვენი ქალაქის დამსახურებაა. 39. როგორც კი გაიაზრა ჩვენმა ქალაქმა, რომ ელინები კანონების გარეშე ცხოვრობდნენ და ზოგან კანონის მარწუხებით შეუბოჭავი ხელისუფალნი ძალმომრეობდნენ, ზოგან კი გაფანტულად მოსახლე ელინებს (ელინთა ნაწილი აქა-იქ, გაფანტულად ცხოვრობდა) უმეთაურობით გამოწვეული არეულობა უღებდა ბოლოს, ეს სიძვეცე ააშორა მათ თავიდან. კერძოდ, დაქსაქსულად მოსახლეთა ბატონ-ჰატონობა თავად იკისრა, კანონის უქონელთ კი საკუთარი მაგალითი მისცა. მან ხომ კანონებიც პირველმა დაიწესა და სახელმწიფო წყობილებაც პირველმა დაიდგინა. 40. ეს აქედანაც კარგად ჩანს: თუ რომელიმე ხალხი მკვლევლობის თაობაზე პირველად მიმართავდა მართლმსაჯულებას ან, უბრალოდ, რაიმე სადავო საკითხის გადაწყვეტას საქმის განხილვის საფუძველზე ამჯობინებდა და არა ძალისმიერად, განაჩენი სწორედ ჩვენი კანონების მიხედვით გამოქონდათ. ეგეც რომ არა, ჩვენმა ქალაქმა სხვა ქალაქებს მათდა საკეთილდღეოდ მრავალი ხელობა შეასწავლა, რომელთა ნაწილი ყოფილი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად გამოიგონეს, ნაწილი კი – სიამოვნებისთვის. ეს ხელობები ან პირადად ჩვენმა ქალაქმა აღმოაჩინა, ან, უკვე აღმოჩენილი, გამოსცადა და მოიწონა. 41. ჩვენი ქალაქის სამეურნეო მართვა-გამგებლობა ღიდი სტუმართმოყვარეობის პრინციპს ეფუძნებოდა და ჩვენთან ყველა შინაურად გრძნობდა თავს. ამიგომ ყველა მისკენ მოისწრაფოდა, განურჩევლად იმისა, უქონელი იქნებოდა თუ მრავლისმქონე, რომელსაც თავისი მოჭარბებული ქონებით ტკბობა ეწადა. მისკენ

მოუწევდა გული ყველას, მიუხედავად იმისა, თავის ქვეყანაში ბედნიერი იყო თუ უბედური. ერთიყა და მეორეც ჩვენთან პოულობდა იმას, რასაც ეძიებდა: ბედნიერი – უნეტარეს დროსტარებას, უბედური – საიმედო თავშესაფარს. 42. მეტსაც გეტყვით: არ არსებობს მიწა, რომელიც თავის წყალობას ზომიერად იძლეოდეს – არც საკმარისზე მეტს და არც საკმარისზე ნაკლებს. ეს სიჭარბე-ნაკლებობა კი ბევრ სირთულეს ბადებს: სად უნდა გაიყიდოს ჭარბი საქონელი და საიდან უნდა შემოიზიდოს, რაც აკლიათ? ეს საქმეც ჩვენმა ქალაქმა მოაგვარა: შუაგულ ელადში დააარსა სავაჭრო ნავსადგური პირეოსი, სადაც საქონლის უმომო სიუხვეა. ასე რომ, პირეოსში ადვილია ერთბაშად შეიძინო ყველაფერი ის, რასაც მანამ გაჭირვებით, საღდაც-საღდაც თუ იშოვნიდი და ასე სათითაოდ თუ მოაგროვებდი ხოლმე.

43. სამართლიან ქებას იმსახურებენ სახალხო ზემების დამფუძნებლები. მათ შესანიშნავი ჩვეულება გვიანდერძეს: დაეზავდეთ, დაივიწყოთ ურთიერთშუღლი და მგრობა და ერთ ადგილას შეეყაროთ. ამგვარი აღთქმების დადებისა და მსხვერპლშეწირვის ერთობლივად ჩატარების შემდეგ ერთმანეთთან ნათესაობას ვისხენებთ; ყოველივე ეს ჩვენდამი მომავალ კეთილგანწყობათა საწინდარია. ამ თავყრილობებზე ძველ მეგობრულ კავშირებს აღვადგენთ და ახლებს ვამყარებთ. 44. ამგვარი დროსტარება ყველასთვის ნაყოფიერია, უბრალო მოკვდავი იქნება თუ ბუნების მიერ გამორჩეული ადამიანი. იკრიბებიან ელინნი და ყველა ხარობს: ნაწილი თავის სიჩაუქეს და ოსტატობას აჩვენებს, ნაწილი კი მათი ცილობის ექვრით ტკბება. დაკმაყოფილებულია ყველას პატივმოყვარეობა – მაყურებლისაც და ათლეტებისაც: მაყურებელს კმაყოფილებას გვრის ის, რომ ათლეტების თავდაუშოვანობას ხედავენ, მით უფრო, რომ ყოველივე ეს მათ საამებლად ხდება, ათლეტებს კი ამოდენა ხალხის მათ სახილველად შეყრა სიამოვნებთ. აი, რა სიკეთე მოაქვთ თავყრილობებს. ჩვენი ქალაქი არც ამ საქმეში უღებს გოლს ვინმეს. 45. ბევრი უმშვენიერესი სანახაობა გვაქვს. ზოგ მათგანს მათზე გაწეული ხარჯების სიდიდე გამოარჩევს, ზოგს ის, რომ ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენს, ზოგს კი ერთიყა და მორეც; ამიგომაც ჩვენი ქალაქი მუდამ სტუმრიანია. თუ ხალხების ერთმანეთთან დაახლოებას რაიმე სიკეთე მოაქვს, მაშინ ჩვენი ქალაქის ღირსებათა რიცხვს ესეც უნდა მიეთვალოს. ჩვენთან შეიძლება კპოვო უერთგულესი მეგობარი, გადააწყვე ადამიანთა სრულიად სხვადასხვა გაერთიანებებს, შეესწრო მოცილეობას არა მხოლოდ სისწრაფესა და ძლიერებაში, არამედ მჭევრმეტყველებაშიც, ამროვნებაშიც და ა. შ. 46. გამარჯვებულთათვის ძალიან დიდი ჯილდოებია დაწესებული. ერთია, რომ ჩვენი ქალაქი ამ ჯილდოებს თავად არიგებს, მაგრამ, მთავარი ისაა, რომ სხვა ქალაქებსაც უბიძგებს მათ გასაცემად, ვინაიდან ამა თუ იმ საკითხის ჩვენული ვადაწყვეტა ყოველთვის იმოდენა სახელს იხვეჭს, რომ მათ სხვებიც ხალხით აიტაცებენ ხოლმე. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სხვა ქალაქებში სახალხო ზემები იშვიათად ეწყობა და სწრაფადვე სრულდება, ჩვენი ქალაქი კი სტუმართათვის მარადიული სახალხო ზემია.

47. ჩვენმა ქალაქმა მეცნიერული ცოდნის დაუფლების დიდი წადილი გამოავლინა, რამაც გვაპოვინა სწორედ ყველა სიკეთე; მანვე მოგვცა მათი ცხოვრებაში გატარების ნიჭიც. აღგებარდა და მოგვამზადა სამოგადობრივი მოღვაწეობისთვის, მაგრამ არც ერთმანეთის დანდობის უნარი დაგვაკლო. მან შეგვაძლებინა უმეცრებით გამოწვეული უბედურების განსხვავება გარდუვალი უბედურებისგან და გვასწავლა, როგორ ავიცილოთ თავიდან ერთი და როგორ გადავიგანოთ ღირსეულად მეორე. 48. ჩვენმა ქალაქმა მეტად საპატიო საქმედ ცნო ორატორული ხელოვნება (განა ყველას გულით არ სწავლია, ამ ნიჭის პატრონი იყოს? და თუ ვინმეს გამოაჩნდება, განა შურის თვალთ არ შესექერიან?), ვინაიდან იყოლა, რომ მეტყველების უნარი ბუნებამ მხოლოდ ადამიანებს დაგვაცოლა, რაც გამოგვარჩევს კიდევ სხვა ცოცხალ არსებათაგან. ამ აღმატებულობის წყალობით კი სხვა მხრივაც დიდად განესხვავდებით მათგან. ამავე დროს იმასაც ხედავდა, მჭევრმეტყველების გარდა როგორი მერყეობა ბედი ყველა

სხვა საქმეში: სმირად გონიერს უმუხთლებს ხოლმე, უგუნურს კი გაულიმებს, მაშინ როცა, ოსტატური ლამაზსიგყვაობა არასოდეს გამოსდის მდაბიოს და ის მხოლოდ კეთილგონიერი სულის ნიჭია. 49. მეცნიერი და უმეცარი ადამიანები ძირითადად სწორედ ამ ნიჭით განსხვავდებიან ერთმანეთისგან. გარდა ამისა, თავისუფალი ადამიანის ღირსებით აღზრდილ კაცს ვერც ვაქაყობით გამოვიცნობთ, ვერც სიმდიდრით და ვერც სხვა რამ ამ რიგის სიკეთით. ყველაზე მეტად სიგყვით იცნობა ადამიანი. ყოველ ჩვენგანს შეეძლება აღზრდის ეს უგყუარი ნიშანი. თუ კაცს ენა უჭრის. მხოლოდ თავის ქალაქში როდია დაფასებული, სხვაგანაც დიდ პატივს სცემენ. 50. ამროვნებისა და ორაგორული ხელოვნების განვითარების მხრივ ჩვენმა ქალაქმა იმდენად უკან ჩამოიგოვა სხვა ხალხები, რომ ჩვენებური მოწაფეები სხვა ქალაქებში თავისუფლად მასწავლებლობენ. სწორედ ჩვენმა ქალაქმა აქცია ელინების საგომო სახელი უკვე არა გომის, არამედ ამროვნების წესის გამომხატველ სიგყვად: „ელინებს“ ჩვენნი ირი აღზრდა-განათლების ადამიანებს უფრო უწოდებენ, ვიდრე ჩვენი ჩამომავლობის ხალხს.

51. აღარ მინდა წერილმანებზე დაეკარგო დრო და მთავარი უთქმელი დამრჩეს. არც ის მინდა, ამ ამბების გამო ავიყვანო ცამდე ჩვენი ქალაქი, თითქოს ომის ამბებში ჭირდეს მისი განდიდება. ამიგომ ყოველივე ეს იმის ყურთა საამებლად იყოს ნათქვამი, ესაყ ასეთი წერილმანები პატივმოყვარეობას უკმაყოფილებს; მე კი ასე ვფიქრობ: ჩვენი წინაპრები თავიანთი საგმირო საქმეებით არანაკლებ პატივს იმსახურებენ, ვიდრე სხვა ღვაწლთა გამო. 52. მათ ყოგა, უმნიშვნელო და უსახელო ომები როდი გადაიხადეს, პირიქით, ძალიან ბევრი, მნიშვნელოვანი და სახელოვანი ბრძოლების გადაგანა მოუხდათ: ზოგისა – საკუთარი ქვეყნის დასაყაყად, ზოგის კიდეც – სხვათა გასათავისუფლებლად. ჩვენმა წინაპრებმა თავიდან ბოლომდე ისე იცხოვრეს, რომ ქალაქის კარი მუდამ ღია ჰქონდათ განურჩევლად ყველა დენილისთვის და უარად ედგენ სხვებისგან შევიწროებულ ელინებს. 53. სწორედ ამიგომ ზოგ-ზოგები იმასაც კი გვაბრალებენ, თითქოს ზოგჯერ უმართებულო გადაწყვეტილებებს ვიღებდით. კერძოდ, დანაშაულად გვითვლიან, რომ სუსტებზე მრუნება უფრო გეჩვევია, თითქოსდა კიდეც უფრო არ განგვადიდებდეს, თუ საკითხის ჩვენულ გადაწყვეტას ამ ამრის გაბატონება მოჰყვება. რა თქმა უნდა, ასე ვწყვეტდით არა უმეცარნი იმისა, თუ რაოდენ ხელსაყრელია, თუნდაც უსაფრთხოების მიზნით, უფრო ძლიერი სახელმწიფოების მოკავშირეობა. პირიქით, მედმიწვენი, სხვებზე გაცილებით უკეთ ვიცოდით, რა მოჰყვებოდა ჩვენს ნაბიჯებს და მაინც, ყოელად უანგაროდ, სუსტთა მხარში ამოღვომას ვარჩევდით, ვიდრე იმას, რომ გამორჩენის მიზნით უსამართლობა ჩაგვედინა უფრო ძლიერებთან ერთად.

სპარსეთის წინააღმდეგ პანელინური ომის დაწყების აუცილებლობის მოტივები

158. ჩვენ მთელი არსებით ვართ ბარბაროსებისადმი მტრულად განწყობილნი. ამიგომაც უდიდესი სიამოვნებით ვისმენთ თქმულებებს გროისა და სპარსეთის ომებზე, რომლებიც ტროელთა და სპარსთა უბედურებებს მოგვითხრობენ. ყველა შენიშნავდა, რომ ბარბაროსებთან ომი საზეიმო სიმღერათა შესაქმნელად გვასხამს ფრთებს, მაშინ როცა, ელინებთან ომი ჩვენთვის სამგლოვიარო სიმღერათა წყაროა. ჰიმნებს ზეიმებზე ვასრულებთ, დაგირებებს კი მაშინ, როცა ჩვენთა სიავეთ ვიხსენებთ ხოლმე. 159. ვგონებ, პომეროსის შემოქმედებამ სწორედ იმით მოიხვეჭა ეგოდენი დიდება, რომ ბარბაროსებთან გმირულად მებრძოლებს შეასხა სოგბა. ჩვენმა წინაპრებმა პომეროსის დიდებული ხელოვნების სამუსიკო შეჯიბრებებზე გამოგანა და ახალგაზრდების აღსამრდელად გამოყენება იმიგომაც მოიწადინეს, რომ ამ სიმღერების სმირ-სმირად მოსმენით ღრმად გაგვეცნობიერებინა ბარბაროსებისადმი

ჩვენი მტრობა და, ამ შეზღუდვებთან მხედრობაში გაჯიბრებულებს, ბარბაროსების წინააღმდეგ მათი საემირო საქმეების განმეორებისკენ გვესწრაფა გულმხურვალედ.

160. ამდენად, ჩემი ამრით, სპარსის წინააღმდეგ საომრად მრავალზე მრავალი გარემოება გვიხმობს. განსაკუთრებით ეს ამ ხელსაყრელ დროზე ითქმის. ეს ხომ სრულიად აშკარაა. არამედარამც ხელიდან არ უნდა გავუშვათ ეს დრო. სამარცხინოც კია, ახლა არ გამოვიყენოთ და მერე გავიხსენოთ, როცა უკვე გაივლის. მართლაცდა, თუკი საერთოდ ვაპირებთ მეფესთან⁵ შებმას, რას ეელოდებით, რაღა გვინდა ამაზე მეტი? განა არ განუღვა მას ევეიკე და კვიპროსი? განა ომის შედეგად დანგრეული არაა ფინიკია და სირია? გიროსი კი, რომლითაც ასე ამაცობდა მეფე, განა მის მტრებს არ აქვთ ხელში ჩაგდება? კილიკიის ქალაქთა ერთი და უმეტესი ნაწილი ჩვენს მოკავშირეებს უჭირავთ, მეორე ნაწილის დაპატრონება კი არც თუ ისე ძნელია. რაც შეეხება ლიკიას, აქ არც ერთ სპარსს არასოდეს უბატონია. 162. პეკატომნოსი, კარიის ნაცვალი, სინამდვილეში უკვე კარგა ხანია განუღვა მეფეს და რა წუთშიც მოვისურვებთ, მაშინვე მხარს აგვიხამს. კნიდოსიდან სინოპემდე, ამიის ნაპირების გაყოფებით, ელინები ცხოვრობენ, რომლებსაც საომრად საგანგებო გადმობირება არც სჭირდებათ; ხელი არ უნდა შეუშალოთ მხოლოდ. და რაღა საჭიროა მეგისმეტი დაწერილებით ვიძიოთ, რა მოხდება შემდეგ, მაშინ როცა, დღეს ამდენი შემავალიანებული მიმეში გვაქვს და, იმედროულად ამიას გარს მოდგომია ვეებერთელა ომი. როცა სპარსნი ჩვენს მცირე-მცირე ნაწილებსაც ეერ უმკლავდებიან, გასაგებია, რა დაემართებათ მათ, თუ ჩვენს გაერთიანებულ ძალასთან ომს მოვახევეთ თავს. 163. მდგომარეობა ასეთია: თუ ბარბაროსი უფრო გამაგრდება მღვის სანაპირო ქალაქებში და იმაზე უფრო დიდ სამხედრო ნაწილებს განალაგებს იქ, ვიდრე ახლა ჰყავს, მაშინ შესაძლოა ამიის ახლომდებარე მოგიერთი კუნძული, მაგალითად, როდოსი, სამოსი და ქიოსი, მას მიემხროს. მაგრამ, თუ ჩვენ დაეასწრებდით ამ სანაპირო ქალაქების აღებას, მაშინ საფიქრებელია, რომ ლიდიის, ფრიგიისა და სხვა გემოთა ქვეყნების მოსახლეობა იმას დაემორჩილება, ვინც საომარ მოქმედებას დაიწყებს აქედან. 164. ამრიგად, უნდა ვიჩქაროთ, წუთიც არ უნდა დაეკარგოთ, თუ არ გვინდა ისე დავემართოს, როგორც ჩვენს მამებს მოუვიდათ. სწორედ იმის გამო, რომ ვერ დაასწრეს ბარბაროსებს ამიაში შესვლა, თანაც მოგიერთი მოკავშირე სულ მიივიწყეს, თავად მცირერიცხოვანთ, ძალაუნებურად, მრავალრიცხოვანი მტრის წინააღმდეგ მოუხდათ ბრძოლა. არადა, ელინთა მთელი გაერთიანებული ძალებით რომ შეესწროთ ბარბაროსებისთვის ამიაში, ამიის თითოეული გომის ცალ-ცალკე დამორჩილებას შეძლებდნენ. 165. რამეთუ გამოცდილია: როცა სხვადასხვა კუთხეებიდან შესაკრებ ხალხს ეომები, არ უნდა დაელოდო, თავად როდის მოგადგებიან და ჯერ კიდევ გაუერთიანებულ და დაფანტულ მტერს უნდა დაესხა თავს. შეედნენ თავიდან ჩვენი მამები. თუმცა შემდეგ უდიდესი ბრძოლები გადაიხადეს და ამით ყველა შეეცდომა გამოასწორეს. ჩვენ კი, თუ საღად ვაზროვნებთ, თავიდანვე ფრთხილად მოვიტყვიეთ: შევეუდებით დაეასწროთ ბარბაროსებს და ლიდიისა და იონიის გარშემო განვალაგოთ ჩვენი ჯარი. 166. კარგად ვიცი, რომ ამიის ხალხები ნებაყოფლობით არ ემორჩილებიან მეფეს. მაგრამ საქმე ისაა, რომ მას უფრო დიდი ძალა ჰყავს, ვიდრე ამ ხალხებს ცალ-ცალკე. თუ ჩვენ მეფის ჯარზე უფრო დიდ ძალას გავგზავნით ამიაში, – ეს კი არ გავგიჟირდება, თუ მოვიწოდებთ, – მთელი ამია ჩვენი შემოსავლის საიმედო წყარო გახდება. თანაც ბევრად უფრო სასახელოა, მეფეს ეომებოდეთ სამეფოსთვის, ვიდრე ერთმანეთს ეექიმებოდეთ ჰეგემონობისთვის.

167. საცა სამართალია, ამ ლაშქრობის საკითხი ახლანდელი თაობის ხელში უნდა გადაიჭრას, რათა ამ თაობის ადამიანები, ძნელბედობის ეამს რომ ერთად იღვწენ, ბელსაც ერთად ეწიონ და მთლად ხელმოყარულად არ მოუხდეთ ცხოვრების გმის გალევა. ისეც საკმაო დრო დაეკარგეთ. რა საშინელება აღარ გადაგვხდა თავს ამ ხნის მანძილზე? უამრავი გარდაუვალი სიავე ხომ ახვეადება თავს ადამიანს, მაგრამ კიდევ მეტი ჩვენივე მეცადინეობით – შინაომებითა და განხეთქილებებით – მოვიწიეთ. 168.

ამიგომაცაა. რომ ყოელად უსამართლოდ ელინთა ერთი ნაწილი სამშობლოშივე ილუკება. ნაწილი ცოლ-შვილიანად უცხო მიწაზე დაეხეგება, ნაწილი კი გაჭირვების გამო დაქირაებული ჯარისკაცი ხდება, ძალაუნებურად მგრის მხარეს იბრძვის და ბრძოლის ველზე ეეცმა როგორც თანამომძმეთა წინააღმდეგ მემომარი. შეწუხებულა ვინმე მათ ბედზე ოდესმე? ეს მაშინ, როცა პოეტურ ქმნილებებში აღწერილი უბედურებების გამო ცრემლთა ფრქვევა დიდად უასდება, ომის თანამდევი ნაღდი და საშინელი, მათ თვალწინ მომხდარი განჯყის გამიარება კი უჭირთ. მეტიც, სხვათა უბედურება უფრო ახარებთ, ვიდრე საკუთარი ბედნიერება. 169. შეიძლება ბევრს კიდეც გაეცინოს ჩემს გულბრყვილობაზე, ცალკეულ პირთა უბედობას რომ ვჩივი ასეთ დროებაში, როცა იგაღია აოხრებულა, სიცილია – დამონებული, ამდენი ქალაქი ბარბაროსთა ხელშია და ელადის დანარჩენ ნაწილებსაც უდიდესი საფრთხე ემუქვრებათ.

170. ქალაქის მესვეურებისა გამეკირებია, თუ ჰკონიათ, რომ საამაყოდ აქეთ საქმე არც არანდროს ჰქონიათ ეგვომ მნიშვნელოვანი საკითხების გასიგარძეგანებისა და მათზე გმიანი სიგყვის თქმის თავი. თუკი სახელ-დიდება ღირსეულად აქეთ მოპოვებული, მაშინ ყველა სხვა საქმე ახლა გვერდზე უნდა გადადონ და ბარბაროსებთან ომის თაობაზე რაზე უნდა დაადგინონ და გვირჩიონ. 171. ვინ იყის, ეგებ რაზე გამოსულიყო კიდეც; მაგრამ, თუ ამჯერად ვერას გახდებოდნენ, სამერმისოდ გასათუალისწინებელ სიგყევებს მაინც დავიგოვებდნენ. ეს დიდად სახელმოხევეჭილი პირები კი მხოლოდ მცირე-მცირე საქმეებს აგვარებენ და ეგვომ მნიშვნელოვან საკითხებზე რჩევა-თათბირი ჩვენზე მოაგდეს. ჩვენ ხომ სახელმწიფო მოღვაწენი არა ვართ!

172. მაგრამ, რაც უფრო სულმდაბლად იქვეიან ჩენი თავკაცები, მით მეტი ზრუნვა გვმართებს ჩვენ, დანარჩენებს, შინაური მგრობის აღსაკვეთად. ღლესღლეობით ერთმანეთთან საზავო ხელშეკრულებებს ამოდ ედებთ. სულ ერთია, შინაომებს მაინც არ გაუანებებთ თავს, მხოლოდ გადაევადადებთ და ახალ მარჯვე შემთხვევას დაუელოდებით, რომ კვლავ გამოუსწორებელი მიანი მივაყენოთ ერთმანეთს. 173. განვირიდოთ ავი მრახვანი და ხელი მივყოთ ისეთ ქმედებებს, რომლებიც ჩვენსავე ქალაქებში უფრო უსაფრთხოდ ცხოვრებისა და ერთმანეთის მიმართ მეტი ნლობით გამსჭვალვის საშუალებას მოგვეცემენ. ამის თაობაზე უბრალოდ და მარტივად შეიძლება ითქვას: მტკიცე მშვიდობა ვერ დამყარდება, თუ ბარბაროსების წინააღმდეგ ერთობლივ ომს არ წამოვიწყებთ და ვერც ერთ პირზე დაედგებით ელინები, ვიდრე ყველას შემოსავლის ერთი საერთო წყარო არ გავიგინდება და ერთ საერთო მგერს არ შევემბებით. 174. მაგრამ თუ ეს მოხდება და თავს დაეიხსნით ლუკმა-პურის ნაკლებობისგან (რაც არღვევს სწორედ მეგობრულ კავშირებს, მგრობად აქვევს ნათესაობას, საამბოხოდ და საომრად აღძვრავს ადამიანებს), მაშინ აუცილებლად მივალწვეთ ერთსულოვნებას და ერთმანეთის მიმართ ნამდვილ კეთილგანწყობას. ამიგომ უმთავრეს მიზნად უნდა დაეიხსნოთ, რომ ომი რაც შეიძლება სწრაფად მოვაშოროთ ჩვენს მიწას და ამიამი გადაეიგანოთ. ამით კი, თუ გამჭრიახობას გამოვიჩინებთ და ურთიერთბრძოლებიდან მიღებულ გამოცდილებებს ბარბაროსთა წინააღმდეგ ბრძოლაში გამოვიყენებთ, ეგებ ამ ერთადერთ სიკეთეს მაინც გამოვრჩებთ ჩვენს შინაომებს.

175. მაგრამ იქნებ თავის შეკავება გვმართებს მეფესთან დადებული ხელშეკრულების⁶ საფუძველზე და არა აჩქარება და ნაუცბადევიად გალაშქრება? ეს იმ ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის წყალობითაც გათავისუფლებული ქალაქები მეფეს ემადლიერებინან, თითქოს მეფემ მიანიჭა მათ დამოუკიდებლობა, ხოლო ის ქალაქები, რომლებიც ბარბაროსებს გადაეცათ, პირველ რიგში მაკედონელებს აბრალებენ ამას, მერმე კი – შეთანხმების სხვა მონაწილეებს⁷, თითქოსდა ამათ გაეწიროთ ისინი მონობისთვის. განა შეიძლება არ გაუქმდეს ხელშეკრულება, რომელმაც ასეთი ამრიგეა, თითქოს ბარბაროსი ღელავს ელადის ბედზე და ის უდგას მშვიდობას დარაჯად, ხოლო ჩვენ, მოგიერთები, მხოლოდ ვლუპავთ და მიანს ვაყენებთ მას? ყველაზე

სასაილო ისაა, რომ შეთანხმების წერილობითი მუხლებიდან უარესთა დამცველები გამოვლექით. ამ მუხლების ერთი ნაწილი, რომელიც დამოუკიდებლობას ანიჭებს კუნძულებს და ევროპის ქალაქებს, დიდი ხანია დარღვეულია და ქვის სტელებზე უამროდაა შემორჩენილი, მეორე ნაწილს კი მხოლოდ სირცხვილი მოაქვს ჩვენთვის, ვინაიდან ბევრ ჩვენს მოკავშირეს ბარბაროსების კუთვნილებად აცხადებს. აი, სწორედ ეს მუხლები დგას ურყევად თავის ადგილას და ჩვენ, ყველანი, კანონის ძალას ვანიჭებთ მათ. არადა, შეთანხმებად კი არა, ბრძანებად უნდა მივიჩნიოთ და თავიდან უნდა მოვიშოროთ, ერთ დღესაც არა აქვთ მათ არსებობის უფლება. ვინ არ იყის, რომ შეთანხმება ისაა, რაც ორივე მხარეს თანაბარ და საერთო პირობებს სთავაზობს, ბრძანება კი ის, რაც სამართლიანობას გვერდს უელის და ერთ-ერთ მხარეს ამარა-ლებს? 177. ამიგომ მართალნი ვიქნებით, თუ ამ მავის შესაკრავად წარგზავნილებს ბრალს დაედებთ იმის გამო, რომ მათ, ელინთა ელჩებმა, ბარბაროსების სასარგებლო ხელშეკრულება გააფორმეს, სინამდვილეში კი სამიდან ერთი, ორივე მხარისათვის ერთნაირად მისაღები პირობა უნდა შეერჩიათ: ან ის, რომ თითოეულ მხარეს თავ-თავისი მიწა-წყალი დარჩენოდა, ან ის, რომ გადასცემოდა მთელი ის მიწა-წყალი, რაც ბრძოლით მოიპოვა, ან ის, რომ რგებოდა ის მიწა-წყალი, რაც მავის დაღების დროს ეკავა. აი, ასე სამართლიანად უნდა განესაჯათ და მხოლოდ ამგვარი განსჯის შემდეგ უნდა შეედგინათ შეთანხმების წერილობითი ტექსტი. 178. ამ დროს, ჩვენსა და ლაკედემონელთა ქალაქს არავითარი პატივი არ მიაგეს, ბარბაროსი კი მთელი ამიის ბაგონად დასვეს, თითქოს ჩვენ მისთვის გვებრძოლოს, ან, თითქოს სპარსთა ძალაუფლება ძველთაგან იყოს დადგენილი, ხოლო ჩვენ გუშინდელი ჩასახლებულები ვიყოთ ჩვენს ქალაქებში. მაშინ როცა, სპარსელებმა არც თუ დიდი ხანია, რაც ეს პატივი მოიპოვეს, ჩვენ კი მართლაც ოდითგანვე ეუდგაერთ ელინებს სათავეში. 179. რასაც ახლა გეტყვით, ვგონებ, კიდევ უფრო გამოამბეურებს ჩვენს პატივაყრილობას და მეფის სიხარბეს: მთელი დედამიწა, მთელი ცისქვეშეთი ორადაა გაყოფილი. ერთს ამია ეწოდება, მეორეს ევროპა. ამ ხელშეკრულების საუბრებზე დედამიწის ნახევარი მეფემ მიიტაცა, თითქოს ხალხს კი არ უღებდა ხელშეკრულებას, არამედ მეფის განჩინებით იკაებდა ამ ქვეყანას. 180. გვაიძულა კიდევ, ეს შეთანხმება ქვის სტელებზე წაგვეწერა და პანელინურ ტაძრებში მოგვეთავსებინა. ეს არის ნიშან-სევეგი, რომელიც გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, რომელსაც გადახდილი ბრძოლის ადგილას აღმართავენ ხოლმე. ბრძოლის ადგილას ხომ მყირე საქმის და ცალკეული ბედნიერი მოვლენის აღსანიშნავად აღმართავენ მათ. ეს სტელები კი ღვანან ნიშნად მთელი ომისა, ანუ, ნიშნად მთელი ელადის უბადრუკობისა.

181. ყოველივე ამას ჩვენი მრისხანება უნდა მოჰყვეს. მთელი ჩვენი ამრი და გონება იქით უნდა მივმართოთ, თუ, კერძოდ, წარსულის გამო მური როგორ ვიძიოთ და სამომავლოდ მდგომარეობა როგორ გამოვასწოროთ. მართლაცდა, სამარცხვინოა, შინა საქმეებში ბარბაროსები მხოლოდ მონობის ღირსად მიგვაჩნდნენ, საზოგადო-ებრივ სარბიელზე კი გულარხვინად შეექეროდეთ, ჩვენი ამდენი მოკავშირე რომ ჰყავთ დამონებული და არ ვიხსენებდეთ გროის ამბავს, ერთი ქალის მოგაცემის გამო რომ მოხდა. ამ ომის ყველა მონაწილემ იმდენად გაითავისა შეურაცყოფილთა მრისხანება, რომ ომი მანამ არ შეწყვიტა, სანამ მიწასთან არ გაასწორა თავგასულ ბრალეულთა ქალაქი. 182. დღეს კი რა ხდება, მთელი ელადაა შეურაცყოფილი, ერთობლივი შურისძიება კი ვერაფრით მოგვიხერხებია. შეგვეძლო კია სანუკვარი ოცნების ახდენა. ეს ომი განსაკუთრებულია: მშვიდობას აღემატება, წმინდა ელჩობას უფრო ჰგავს, ვიდრე საბრძოლო ლაშქრობას. ყველასთვის ხელსაყრელია – იმისთვისაც, ვინც მშვიდობას ეძიებს, და იმისთვისაც, ვისაც ომი სწადია. მშვიდობის მაძიებლებს საკუთარი ქონების გულმშვიდად მოხმარების საშუალება შეექნებოდათ, ომის მომხრეებს კი – სხვათა ქონებიდან დიდი სიმდიდრის მოხვეჭისა.

183. კარგად თუ აეწონ-დავწონით, აღმოჩნდება, რომ ასე მოქცევა ჩვენთვის ყოველმხრივ უადრესად ხელსაყრელია. აბა ვთქვათ, ვის უნდა ებრძოდეს ხალხი,

რომელიც თავად არ ესწრაფვის რაიმე გამორჩენას, მაგრამ დარაჯად უდგას ჭეშმარიტ სამართლიანობას. თუ არა იმ ხალხს, რომელიც ელადაზე ადრეც მგრად იყო გადაკიდებული და არც ახლა უქადის სიკეთეს. საერთოდაც, მუდამ ასე იყო ეს ხალხი ჩვენდამი განწყობილი.

184. ვინ უნდა ეჯავრებოდეს ხალხს, რომელიც მთლად არ დალაჩრებულა და ცოგაოდენი ვაეკაცობა მინც შერჩენია, თუ არა ის ხალხი, რომელმაც კაცთათვის განკუთვნილზე მეტი ძალაუფლება მოიხევეჭა, სინამდვილეში კი ჩვენებურ უბადრუკ ადამიანებზეუ ნაკლები პატივის ღირსია? ვისკენ უნდა დაძრას ლაშქარი ხალხმა, რომელიც გულმოწყალე და ღეთისმოსაეი კია, მაგრამ, იმავდროულად, მოგების საქმეც აინტერესებს, თუ არა იმ ხალხისკენ, ვინც ღღესაც და წინაპართაგან მოყოლებულიც მთელი არსებით მისი მგერია? იმ წინაპართაგან მოყოლებული, რომლებმაც დიდი სიმდიდრე და სიკეთე კი მოიხევეჭეს, მაგრამ სწორედ ამ ხალხის მიმეშით სიკეთის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილის გადარჩენა შეძლეს. ის ხალხი, ვისაც ყველა ზემოთქმული ესადაგება, რა თქმა უნდა, სპარსელებია. მოლაშქრეთა მოგროვეებისას ჩვენ არ დაეიწყებთ ქალაქებისთვის სულის ამოხდას. ეს ღღეს, ამ გახურებული მიწათების ეამს. მეტისმეტად შეაწუხებს მათ. მგონია, გაცილებით ცოგა მოისურვეებს შინ დარჩენას. მეტი კი ლაშქრობის მოწადინე იქნება. მართლაც, ვინ არის ისე ჯაბანი, ახალგაზრდა თუ ასაკოვანი, რომელიც ამ ჯარში ჩაწერას არ ისურვეებს, ჯარში, რომელსაც ათენელები და ლაკედემონელები წარუძღვებიან და რომელიც შეიყრება, რათა თავისუფლება მოუგანოს მოკაემირეებს. იგი მთელი ელადის წარგზავნილი იქნება ბარბაროსებზე შურისსაძიებლად. ვიცოდეთ, რომ სიცოცხლეშივე შორს გაიჭრება ყველას სახელი, ვინც ამ საქმეში თავს გამოიჩენს. სიკედლის შემდეგაც მარადიული ხსოვნა და უკედავება ელით მათ. საცა აღექსანდრეს თანამებრძოლებმა, რომლებმაც მხოლოდ ერთი ქალაქი აიღეს, ამოდენა ქება-დიდება დაიმსახურეს, საქებაარ სიგყვათა რა ზღვას უნდა ეელოდოთ მთელი ამიის მძღვეელთა მიმართ? მართლაც, შემოქმედის ნიჭით დაჯიღოებული რომელი ადამიანი დაიშურებს შრომას, ან ვინ დააკლებს მეცადინეობას, ვისაც კი ენა და გონება უჭრის, თუ სურს სამარადეამოდ შერჩეს ხსოვნას მისი ამრისა და სულის ნაღვაწი და, მასთან ერთად, ამ გმირთა მნესრულობის ამბები?

შენიშვნები

- ¹ იგ. ათენი და სპარტა.
- ² კერძოდ: სამღვაო ჰეგემონობა ათენს ხედეს წილად, სახმელეთო კი სპარტას.
- ³ იგ. აპოლონი. რომელიც პითიას პირით აყხადებდა თავის ნება-სურვილს.
- ⁴ იგ. ეეროპასა და ამიამი.
- ⁵ აქაც და შემდეგშიც იგ. სპარსეთის მეფე.
- ⁶ იგ. ანგალიკიდისის მავი, რომელიც ბერძნებსა და სპარსელებს შორის იქნა დადებული 387 წელს (ძე წ.) არგაქსერქსეს შორესთან ქ. სუსამი. ეს მავი მეტად არახელსაყრელი იყო ბერძნებისთვის.
- ⁷ ამ მოლაპარაკების მთავარი მონაწილენი ბერძენთა მხრივ სპარტელები იყვნენ (თვით ანგალიკიდისიც სპარტელი იყო), მაგრამ მათ გარდა მონაწილეობდნენ ათენელებიც, თებელებიც, კორინთელებიც და არგოსელებიც.

თარგმნა ალა ტრაპაიძემ

ელინისტური ლიტერატურა



ალექსანდრე მაკედონელის კოლოსალური იმპერიის შექმნით, რომელმაც დასაქვური და აღმოსავლური კულტურები ერთმანეთს დაუახლოვა, ახალი ერა დაიწყო ძველი ქვეყნების ისტორიაში. ამ იმპერიამ დიდხანს ვერ იარსება, რადგან ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ რამდენიმე სამეფოდ დაიშალა. მათ შორის ყველაზე დიდი იყო ეგვიპტე, რომლის დედაქალაქი ალექსანდრია მთელი ბერძნული სამყაროს ცენტრად იქცა. სწორედ იქ დაიწყო დასაქვურ და აღმოსავლურ კულტურათა შერწყმის პროცესი, ელინურის დომინირებით, რამაც განსაზღვრა კიდევ ეპოქის სახელწოდება – ელინიზმი.

ელინისტური კულტურის უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ალექსანდრიაში პტოლემე-მაიოს II ფილადელფოსის მიერ დაარსებული „მუსეიონი“ („მუზათა გაძარი“), რომლის დარბაზებში, კოლონადებსა და ბალებში იღვწოდნენ და ლექციებს კითხულობდნენ სხვადასხვა ქვეყნებიდან მოწვეული სწავლულები. მუსეიონის მშენებებას წარმოადგენდა სახელგანთქმული ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა , სადაც თავმოყრილი იყო ბერძნული ლიტერატურის იმ დროისათვის ცნობილი ყველა ქმნილება. ალექსანდრიელ ფილოლოგოსთა და საერთოდ, ელინისტური ეპოქის მწერალთა წინაშე, ჩანს, მწვავედ იდგა ლიტერატურის განვითარების გზათა ძიების საკითხი. შემოქმედთა ყურადღება გადატანილი იყო ფორმაზე, რომელიც იუველირულ დახვეწას ითხოვდა; ესთეტიზმის ძირითად პრინციპთა შორის სახელდებოდა ორიგინალობა, გრადიციისგან გამიჯენა, მცირე ფორმათა აღმოჩენა. ლიტერატურამ უარი თქვა მითოსის გრადიციულ სიუჟეტთა გამოყენებაზე და დაიწყო მისი იშვიათი, მიეიწყებული ან ნაკლებად ცნობილი ვარიანტების ძიება, რაც უადრესად განათლებული და დახვეწილი გემოვნების მკითხველზე იყო გათვლილი. თავის მხრივ, ელინიზმის ხელოვნებამ მრავალი სიახლე შესთავაზა ევროპულ კულტურას. კერძოდ, მან უფრო ღრმად ჩაიხედა ადამიანის სულში და შეძლო მის უფაქიზეს განწყობილებათა ისეთი ოსტატობით წარმოსახვა, რაც უცხო იყო წინამაჟალი ლიტერატურისათვის (კალიმაქოსი), თუმცა ელინისტურ სამყაროში მნიშვნელოვან ეანრად რჩებოდა ეპოსიც (აპოლონიოს როდოსელი). ლირიკული პოემის ეპიკური ეანრის ტყვეობიდან გათავისუფლებისათვის პოეტთა მთელი ჰლეადა იბრძოდა (თეოკრიტოსი), სრულიად განსხვავებული გზით განვითარდა ელინისტური დრამატურგია (მენანდროსი), დიდი პოპულარობა მოიპოვა ეპიგრამატულმა პოეზიამ (ასკლეპიადესი, ლეონიდასი, მელეაგროსი).

აპოლონიოს როდოსელი

(ძვ.წ. 295-215 წწ.)

კალიმაქოსის მოწაფე, ალექსანდრიის ბიბლიოთეკის ღირეპეტორი, არაერთი მხატვრული თუ სამეცნიერო შრომის ავტორი, უგანათლებულესი პიროვნება, თავისი მრწამსით გრადიციონალისტი, რომელმაც მოძღვართან პაექრობის გამო დაგოვა დედაქალაქი. იგი კუნძულ როდოსზე დასახლდა, სადაც სრულყო ეპიკური პოემა „არგონავტიკა“. გადმოცემათა თანახმად, მას სურდა პეროიკული ეპოსის აღორძინება, რასაც ეწინააღმდეგებოდნენ სხვა ალექსანდრიელი პოეტები. მიუხედავად პომეროსული განწყობილებებისა, პოემაში ახალი ეპოქის გაელენებიც შეინიშნება. იგი გამოირჩევა ღრმა და დახვეწილი ფსიქოლოგიზმით (განსაკუთრებით ეს ითქმის III წიგნზე), ოლიმპიური პანთეონისადმი ირონიული დამოკიდებულებით, ცნობილი მითის მივიწყებული ვარიანტების აქტენგირებითა და სხვა ალექსანდრიზმებით.

თარგმანები:

აპოლონიოს როდოსელი, „არგონავტიკა“, თარგმანი და წინასიტყვაობა აკ. ურუშაძისა, თბილისი, 1970 (ძველებერძულ-ქართული პარალელური გამოცემა). აპოლონიოს როდოსელი, „არგონავტიკა“, თარგმანი აკ. გელოვანისა, თბილისი 1975.

არგონავტიკა

წიგნი III

(შემოკლებით)

- 1 მოდი, ერატო. ქალღმერთო ჩემო და შენს მგოსანს შემატყობინე, ვით დაუფულა ეზონის შვილი საწმისს მედეას ტრფობის წყალობით და იოლკოსში ვით ჩაიტანა... მუზავ, კიპრიდას თანახიარო.
- 4 შენც ხომ ხმატკბილი სიმღერით ხიბლავ, ენებით აღანთებ ლამაზ ქალწულებს.

...

- 451 უფროს დას გაჰყვა მყისვე მედეაც ისეთი ფიქრით და მღელვარებით, რასაც მოგვივლენს ხოლმე ეროსი, ზეშთაგონების ნეტარ წუთებში. ის, რაც იხილა, შორს იყო, მაგრამ ჯერ კიდევ თვალწინ უტრიალებდა: თვით იაზონი, როგორც იყო და რანაირი სამოსიც ეცვა, რას მეტყველებდა, და სეარძელში რარიგად იჯდა, როგორ ვაჟიდა, როგორ დატოვა მამის სასახლე ტანახოვანმა, სწორუპოვარმა, და გუნებაში ერვენებოდა, ქვეყნად არ არის ჯუფთი გმირიო. სმენას უტკბობდა იმისი სიტყვა, ტკბილი ხმა მშვიდი, პაეროვანი; და კანკალებდა ელდანაკრავი – დაღუპავენო შმაგი ხარები.
- 460 ან თვით სასტიკი აიეტ მეფე; ისე დარდობდა, ისე მოთქვამდა, თითქოს ის კაცი გულგანგმირული და დაღუპული ესეენა თვალწინ. ქალწულს ერვენა, რომ უკვე მოკლეს, დაწვებს უღბობდა მდუღარე ცრემლი. კაეშანს გულში იკლავდა, მაგრამ ოხვრით წარმოთქვა ასეთი სიტყვა: „ო, ღმერთო ჩემო, რად ვიტანჯები ასე სასტიკად მე უბედური? უკეთესია თუ უარესი სხვა ვაჟიკაცებზე, მე რა მაწუხებს?

თუ განწირული არის ნამდვილად, დე, დაიღუპოს, რა მენაღვლება?
მაგრამ ნეტავი, გადარჩებოდეს! ო, პერსეიდო, დიდო ქალღმერთო!
ჰეკატეე, სათნო მფარველო ჩემო! მოსტაცე სასტიკ ბედსა და წერას
და დააბრუნე მშობელ მხარეში უენებელი და სეებედნიერი!
470 ხოლო თუ მაინც ხართა წერაა, იცოდე, მაშინ ვერ გავიხარებ!“

...

აღარ ისმოდა მაშინ ქალაქში ძაღლის ყეფა და ხალხის ხმაური,
750 მიყუჩდა ქუჩა, მიწყდა ბაასი, დუმდა წყვდიადი თვალმუდგამი.
მხოლოდ მედეას არ გაეკარა ტკბილი ძილი და სულის სიმშვიდე.
ენება-სურვილი იაზონისა ახალ საზრუნავს უჩენდა გულში.
თავზარსა სცემდა ცეცხლისმფრქვეველი ხარების ღონე და ეშინოდა,
ვაჰ, თუ უბრალოდ, უღირსად მოკლან არესის ველზე ეზონის ძეო!
ამგვარი ფიქრით დეღეილ ქალიშვილს გული საგულეს აღარა ჰქონდა.
მსგავსად სხივისა, სარწყულში ჩასხმულ ცინცხალ წყალში რომ აირეკლება,
ან სადმე თასში, სუფთა ჭურჭელში, არ გაჩერდება, აციმციმდება,
სახლის კედელზე მოაყვება ტოკვას, აღმა და დაღმა, მარჯვნივ თუ მარცხნივ
ბრუნავს, ციალებს, წამს არ ჩერდება, ხტუნავს, აწყდება ჭერსა და სარკმელს, -
760 ასე შფოთავდა, ასე ტოკავდა ქალწულის მკერდში ენებული გული.
თვალთაგან ცრემლი სცვიოდა მწველი სიბრალულის და სიყვარულისა.
დარდი დაღავდა. სახმილი შლიდა - ტანში, სახსრებში რომ შენთებოდა,
ფაქიზ ძარღვებში ცეცხლად უვლიდა, საფეთქელს სცემდა, კეფას აღწევდა,
სადაც ტკილი უფრო მწველია, ოდეს ეროსნი დაუცხრომელნი
მოკვდავთა მკერდში საკირველ სევდას დააბუდებენ დასატანჯავად.
ჯერ იტყოდა, რომ ჯადოსნურ წამალს დაუმზადებს და მისცემს იაზონს,
მერე ამბობდა, წამალს არ მიეცემ და არც მე თვითონ ვიცოცხლებ თავსო.
დასასრულ აღთქმას აძლევდა თავსა: არც წამალს მიეცემ, არც თავს მოვიკლავ,
გულში ჩავიკლავ მწუხარებასა, შევეგუები სასტიკ ბედსაო.
770 ბოლოს ჩამოჯდა ისევ საწოლზე, სასომიხდილმა წამოიძახა:
„რა მეშველება მე უბედურსა? საით მივბრუნდე? ყველგან დარდია!
ვერ მიპოვია გამოსავალი, ღონე მღალატობს, ცეცხლი მედება.
არსაით ხმა და არსით ნუგეში! სულ მწუხარებას ვხედავ გარშემო!
ჰოი, ნეტავი, დიდ არტემიდეს მეც განვეგმირე მსუბუქი ისრით,
ვიღრე ვნახავდი ბედშავ დისშვილებს, გემით გაგზავნილთ აქაიაში!
სწორედ იქიდან ჩამოიყვანეს ღმერთმა თუ ავმა ერინიებმა
ამ გადაძთიელ ვაუკაცთა გუნდი ჩვენდა შავებდად, საუბედუროდ!
დე, დაიღუპოს ველზე ბრძოლაში, თუ ბედის წიგნში ეს უწერია!
როგორ შევიძლო მშობლებისაგან ფარულად მისთვის წამლის კეთება?
780 განა მათ რამე დავმალებათ? რა პასუხს გავცემ მრისხანე მამას?
რა ცბიერება მიშველის მაშინ, რა მოხერხება და რა მისნობა?
ან იაზონთან როგორ მივიღე? როგორ ვეჩვენო მარტო უცხოელს?
რა უბედური ბედი მქონია! და თუ ის მოკვდა, ნუთუ მგონია,
რომ მომასვენებს დარდი და ზაფრა? არა, იფეთქებს ტანჯვა ორწილი,
როგორც კი გმირი დაიღუპება... და მაშ განქარდეს ქალწულის კდემა!
მშვიდობით, ჩემი ცხოვრების სხივო! დე, ჩემი გრძნობით დახსნილი გმირი
წავიდეს საღი და უენებელი იქით, საითაც გაუწევს გული!
მე კი, რა დღესაც ის გადარჩება, მოახდენს თავის საგმირო საქმეს,
მზადა ვარ მოვკვდე გულდამშვიდებით, ან ჩამოვიხრჩო სენაკში თავი,

- 790 ან საშინელი სამსალა შეესვა. სახსრებისა და სულის დამშლელი.
 მაგრამ სიკვდილის შემდეგაც, ვიცი, სიცილს დამაყრის მოცლილი ხალხი,
 მთელი ქალაქი იტყვის ხმადალა, რა მწარე ბედი ერგო მედეას.
 თვითმკვლელს დაგმობენ კოლხი ქალები და ჩამაგდებენ ქვეყნის ყბაშია.
 იჭორავებენ, რას არ იტყვიან: თავი შესწირა უცხოელსაო!
 მისთვის იზრუნა, ვენებას ემონა, თავისიანებს მოსჭრა თავიო!
 განა იქნება ქვეყნად სირცხვილი, ამ ჩემს სირცხვილზე მძიმე და მწველი?
 ვაი, რა მწარე ბედი მქონია! ათასჯერ მიჯობს აქვე, ამ ღამეს,
 ამ ჩემს ოთახში მოვისპო თვითონ სიცოცხლე, ეგზომ გამწარებული,
 მოულოდნელად აღვმართო ხელი, რომ სამუდამოდ ამცდეს სირცხვილი.
- 800 უცებ მესტუმროს სიკვდილი მხსნელი, არვინ იცოდეს მიზეზი მისი,
 ვიდრე შემიტყონ საქმე საძრახი და უსაშველოდ მომეჭრას თავი.
 თქვა და მიიჭრა იმ ზარდახშასთან, რომელშიც ეწყო ბევრი ბალახი,
 ზოგი მკურნალი, ჭირთა წამალი, ზოგიც სამსალა საბედისწერო.
 გახსნა ქვითინით მუხლებზე ყუთი, მკერდს უსველებდა ცრემლთა ნაკადი,
 წუთითაც კი არ შეუწყვეტია სასოწარკვეთილს მოთქმა-გოდება.
 თავის უბედურ ბედზე მტირალმა გადაარჩია ბალახ-ბულახი,
 მომაკვდინებელ ფოთოლს არჩევდა, სურდა ესინჯა სამსალის გემო.
 გახსნა ზონარი, ნახა ბალახი, მაგრამ შეძრწუნდა ანაზღეულად,
 ბნელი ჰადესის შიშმა შეიპყრო სიცოცხლით სავესე ქალწული ქალი.
- 810 იჯდა კარგა ხანს გაშტერებული, ყუთს დასცქეროდა, სამსალით სავესეს.
 თვალწინ დაუდგა ჭირი და ლხინი, შვება და ზრუნვა წუთისოფლისა,
 განცდა სიცოცხლის გამხარებელი და მწუხარების გამქარებელი;
 თვალწინ დაუდგა ყოფნის სიამე, რაც ყოველ სულდგმულს უხარებს გულსა
 და მოაგონდა – თავად უბიწოს – თავის თანატოლ ქალწულთა გუნდი.
 მზე უწინდელზე უფრო ნათელი და მიმზიდველი ეჩვენა ახლა,
 ასწონ-დასწონა მთელი წარსული და მოენატრა შუქი ციური.
 მაშინ მედეამ დახურა ყუთი და მუხლებიდან დაუშვა დაბლა,
 გამოეცვალა გული, გუნება პერას ნებით და შთაგონებითა.
 აღარ ტანჯავდა ფიქრი და ზაფრა, იჯდა, ელოდა მხოლოდ განთიადს:
- 820 გადაწყვეტილი ჰქონდა მედეას, რომ ინათებდა ოდნავ თუ არა,
 იაზონისა ენახა სახე და გადაეცა დათქმული ჯადო.
 მისთვის აღებდა ხშირ-ხშირად კარებს, რათა ეხილა ცისკრის ნათელი.
 ბოლოს ინათა, ნანატრი შუქი მოჰფინა მიწას ოქროს ეოსმა.
 გარეთ გაისმა ისევე გნიასი – ყოფნის ფერხულში ჩადგა ქალაქი.
 არგოსმა ძმები დაარიგა და უბრძანა, ქალაქს დარჩითო ჯერაც,
 რათა თვალყური ედევნებინათ, რას იღონებდა მათი დეიდა,
 თვით ქალაქიდან ისევე გაეიდა გემს მიაშურა გახარებულმა.
 ქალწულმა ქალმა გამთენიისას იხილა ცისკრის შუქი თუ არა,
 ქერა კაეები აიკრა მალა და დაივარცხნა თავისი ხელით.
- 830 აქამდე უშნოდ რომ ჩამოშლოდა, უყურადღებოდ, დაუდევრადა,
 შემდეგ ლოყები ნამტირალევი ჩამოიბანა და დაიმშვენა,
 ნელსურნელოვან ნექტრის მალამო მარჯვედ წაისვა სახეზე, ტანზე.
 ჩაიცვა კაბა უძვირფასესი, ღამაზად ჩასმულ ბალთებიანი,
 მოირგო ნაზი წამოსასხამი და ვერცხლისფერი თავსაბურავი.
 დიდხანს ვიღოდა სენაკში მართო ასე მორთული და მოკაზმული.
 წარსული დარდი წარსულს მიანდო და მომავალი, უფრო საზარცი,
 რომელიც უნდა თავს დასტეხოდა, და რომლის ბოლოც ჯერ არ იცოდა.

- აი, უბრძანა კიდევაც მხეველებს – თორმეტნი იყვნენ მისნი ერთგულნი, სურნელოვანი მისი სენაკის ან თალამონის წინ რომ ეძინათ,
- 840 მის ტოლ ქალწულებს, ჯერ სარეცელი მამაკაცისა რომ არ ეხილათ, – რაც შეიძლება ჩქარა შეაბით ჩემი რჩეული ჯორები ეტლში, რათა ჰეკატეს ბრწყინვალედ ნაგებ ტაძრისკენ სწრაფად გავაქროლოთ! ვიდრე მხეველები ქალწულ მედეას ეტლის მზადებით იყვნენ გართულნი, თვითონ მედეამ თლილი სკივრიდან წამლად აიღო ერთი ბალახი, – ამბობენ, რომ ამ ჯადოსნურ ყვავილს „პრომეთეს წამალს“ ეძახის ხალხი. თუ დედისერთა ქალწულის გულსა ღამის მსხვერპლებით მოიგებს ვინმე, პრომეთეს წამლით განიბანს ტანსა და საიდუმლოდ განიწმინდება, მას ვერც მახვილით განგმირავს ვინმე, ვერც შუბითა და სატევრით დაჭრის, არც მოგიზგიზე ცეცხლის წინაშე დაიხვეს უკან ასეთი კაცი.
- 850 იმ დღეს იმისი მძლეველი კაცი ღელის მუცლიდან არა შობილა. ყვავილი იგი გაჩნდა პირველად კავკასიონის მწვერვალთა შორის, როცა წვეთ-წვეთად ჩამოდიოდა კლდეზე მოწამე პრომეთეს სისხლი, ტიტანს კორტნიდა ხარბი არწივი, მიწას ნამავდა უკვდავი სითხე, და წყრთის სიმაღლის ორღეროვანი კობტა ყვავილი იზარდა მისგან, კორიკიოსის ზაფრანის მსგავსი, ღვთაების გულის სისხლით ნაკეები, ღრმად რომ გაუდგამს წითელი ფესვი, სადღაც მიწაში ღვივის უჩინოდ, ქორფა საკლავის ჯერაც სისხლიან ხორცის ნაჭერი რომ გეგონება, და წვენი გასდის – მაღალი მთების მუხის წვენსა ჰგავს ის მუქი წვენი. ჯადოსნობისთვის მოიპარაგა შავბნელ ღამეში შეად მოსილმა
- 860 ქალწულმა წვენი კასპიის ზღვიდან ამოღებული თეთრი ნიჟარით, – შეიდგზის ნაბანმა უწყვეტ ნაკადში, შეიდგზის მოუხმო მოწყალე ბრიმოს. ბაეშეთა მარჩენალ დედუფალ ბრიმოს, მიცვალებულთა მბრძანებელ ქალღმერთს, მიწისქვეშეთის დიდ ჩირაღდნოსანს, ბნელ ღამეში რომ დაეხეტება. გმინვა გაისმა შავ მიწის გულში, მკერდი ეტკინა წიაღთა წიაღს, როცა მედეამ ტიტანის ფესვი მოჭრა და კენესით გასცა პასუხი მაშვრალმა შეიღმა იაფეტისამ, მძაფრი ტკივილით გაწამებულმა. ფრთხილად აიღო ჯადო მედეამ და სურნელოვან სარტყელში ჩადო, სხივოსან ქალწულს რომ შემოერტყა თავის ღვთაებრივ, მშვენიერ მკერდზე. გაალო კარი, ავიდა ფიცხლავ და ჩაჯდა მეფურ სწრაფთვლიან ეტლში, აქეთ-იქიდან უახლოესი ორი მოახლე ქალწული დასვა.
- 870 მარდად აიღო სადავეები და მოიპარჯვა მოქნილი შოლტი, შემდეგ მარჯვენა აიქნია და ფიცხლავ ქუჩებში გაიჭრა ეტლით. სხვა ქალწულებმა ქიტონის კალთა ზე აიწიეს თეთრ კოჭებამდე. ხელი ჩასჭიდეს ეტლის ძარასა და დაედვენენ ფართო შარაზე. ქროლა-სირბილში მსუბუქ სამოსელს აფრიალებდა დილის ნიავი. იღვა მედეა დიდებულ ეტლზე, ვითარცა თბილი პართენიოსის ანდა ამნისეს მდინარე წყალში ტანდაბანილი ლეტოს ასული მიჰქრის ზანდახან ოქროს ეტლითა, ფურ-ირმები რომ შეუბამს ღმერთქალს, მიჰქრის, მიჰყვება ბორცვებს, გორაკებს, მიეშურება შორეულ მთებში.
- 880 თავის ღვთაებრივ დღესასწაულზე რომ ეძღვნას უხვი ჰეკატომბები. უკან ნიშნები ასდევნიბიან, ეს განუყრელი თანამგზავრები, ერთნი ამნისეს სათავეებთან შემოკრებილან, სხვები კი სხვაგან – ნაკადულებით დასერილ მთებში, ხეობებსა და უღრან ტყეებში; მიჰქრის ეტლი და მხეცნი წკაფწკავით, კუდის ქიციინით უთმობენ გზასა, ასე მიჰქროლა ტურფა მედეაც და ხალხი კრძალვით დგებოდა განზე.

გზას უთმობდნენ და თვალს არიდებდნენ მეფის გრძნეული ასულის მზერას;
როდესაც უკან დარჩათ ქალაქი, გასცდნენ მოკირწყლულ, ღიღებულ ქუჩებს,
გადაიქროლეს ქალაქის ველი და მიაღწიეს ჰეკატეს ტაძარს.

890

შემობრუნდა თავის მხეველებსა და ფიქრიანმა ასე მიმართა:
„ო! მეგობრებო, რარიგ შეეცოდუ! აზრადაც კი არ მომსვლია თავში,
რომ ღმერთგამწყვრალი უცხოელები ჩვენს მიწა-წყალზე ეხეტებიან.
უცხო ენისა და წესის ხალხმა ისე დააფრთხო მთელი ქალაქი,
რომ ვერ მოსულან წმინდა ტაძართან ჩვენი მორწმუნე მანდილოსნები,
უწინ რომ მუდამ დილაადრიან იკრიბებოდნენ გუნდებად აქა!
მაგრამ რაკილა მოვსულვართ ჩვენა, და აღარავინ აქ აღარ მოვა,
მოღით, ვილხინოთ, ვიბხიარულოთ, ლალ სიმღერებით ვიჯეროთ გული.
ჩვენს ხაერდოვან ველზე დაკრეფილ ვარდ-ყვავილებით შევიმკოთ თავი
და ბოლოს, როცა მოგვესურება, გულდამშვიდებით წავიდეთ შინა.

900

თქვენ კი საჩუქრებს მიიღებთ უხუად და მოგებული დარჩებით კიდეც.
თუ ჩემი აზრი მოგეწონებათ, რასაც ახლავე გაგიზიარებთ.
ოღონდ იცოდეთ, რასაც მე გეტყვით, ჩვენს შორის დარჩეს, არ გამამხილოთ,
და საიდუმლო შემომინახეთ, რომ არ მივიდეს მამის ყურამდე.
არგოსმა მთხოვა მაცლური სიტყვით და თვითონ ჩემმა დამ ქალკიოპემ
დამამუნათა, დაიხსენიო ის უცხოელი, რომელიც მამას
ცეცხლისმფრქვეველი ხარების ძღვევას და დევგმირებთან შებმას დაჰპირდა.
გმირმა ასეთი სამსახურისთვის წინასწარ უნდა მომართვას ძღვენი,
ამიტომ ახლა ნება მაქვს შეეხედე სტუმარს ლაშქრიდან განმარტობით,
რომ მისი ძღვენი გავინაწილოთ, არც კი გვიხილონ მისთა მხლებელთა,

910

და მე კი მიეცე მაგნე სამსალა, რაც მას არაფრად გამოადგება.
მაგრამ გმირი რომ მოახლოვდება, თქვენ, მოახლენო, გადაქით განზე!
ესმათ შედეას სიტყვა ცბიერი და გაიხარეს მოახლეებმა.
მაღე არგოსთან მივიდნენ ძმები, მისდა სალხენად შეატყობინეს,
დეიდაჩვენმა მედემ დილით ჰეკატეს ტაძარს მიაშურაო.
მყისვე არგოსმა ეზონის შეილი განზე გაიხმო, ველზე გავიდნენ,
ტაძრის ბილიკზე გაიყვანა და მოჰსოს-მისანიც იახლეს თანა,
ამპიკეს შეილი, ნიშანთა ცნობით გამორჩეული დიდი მენცარი,
ფრინველთა ფრენით ბედს რომ არკვევდა და მოგზაურებს აძლევდა ცნობებს.
ჯერ არ ყოფილა ისე ლამაზი ქვეყნად არც ერთი მოკვდავთაგანი,

920

არც კრონიონის ზევისის მოღვმისა, არც რომელიმე სხვა დიდი გმირი,
უზენაესთა შთამომავალი, უკვდავ ღმერთების სისხლი და ხორცი,
როგორც ეზონის ძე იყო იმ დღეს, ზევისის მეუღლის პერას წყალობით –
სახის იერიით. მჭევრმეტყველებით და ვაჟაკური ახოვანებით.
თვით მეგობრები, გარს რომ ეხვივნენ, ვედარ ფარავდნენ გაოცებასა,
როგორ ელაესო, სხივამთოველი! თვით ამპიკიდე, მოჰსოს-მისანი
გმირს შეჰხაროდა და ბედის ღიმილს გრძნობდა წინასწარ ქვეშეცნეულად.
ტრიალ მინდორში, ტაძრის პირისპირ ჰეკატეს გზაზე ტანატყორცნილი
ტურფა აღვისხე აღმართულიყო, და შრიალებდა ხშირი ფოთოლი.
იქა ჰქონოდათ ძველთაგან ბინა და საბუდარი მყვირალა ყვაეებს.

930

ერთმა მათგანმა, ყვაემა ყვანჩალამ შეაფართხალა ფოთლებში ფრთები
და მისან-მოჰსოს ხის კენწეროდან თავზე დასჩხავლა პერას ბრძანება:
„ჰკი, მისანო აუგიანო, შე უსახელოვ, მიუხვედრელო,
უენო ბავშვიც მიხვდება ამდენს: შენ ხელს შეუშლი მშვენიერ ქალწულს,

სიტყვას ვერ ანდობს სიყვარულისას, სანუკვარ ვაჟაკს ვერ ეტყვის სიტყვას, რადგან უსაქმოდ ასდევნებიხარ და არ შორდები საყვარელ სტუმარს.

წადი, სულელო, განიხადი, უბედურების მაწყვებელი!

არც აფროდიტე და არც ეროსი შენს სიახლოვეს არ ისურვებდა“.

ასე გათათხა ყვავემა მისანი, და იმ ფრთოსანი არსების სიტყვა მოჰსოსს ენიშნა სიტყვად ციურთა, გაეცინა და ასე დაიწყო:

940 „ეზონის შვილო, შედი ტაძარში, სადაც ქალღმერთის ქურუმი ქალი მოგელის ახლა, მოუთმენელი, სიკეთის მსურველ, მოწყალე გულით. ასე ინება დიდმა კიპრიდამ: ბრძოლას მოიგებ! შენთან არს ღმერთი! ასე გვიმისნა ბრძენმა ფინევსმა, აგენორის ძემ, გვახსოვს, ადრევე. ჩვენ აქ დაგიცდით, მე და არგოსი, ამ მოედანზე, ტაძრის გარეგან, დაველოდებით შენს დაბრუნებას, და შენ კი შეხვდი ქალიშვილს მარტო, შეეხმატებილე შენებურადა, რომ იქნებ შველა ინებოს შენი“. – თქვა გონივრულად მოჰსოსს-მისანმა, და მოიწონა ორივემ სიტყვა. ხოლო მედეას აზრი და გრძნობა ვერც მხიარულმა სიმღერამ ჩაკლა.

950 ვერც გაუფანტა სიმღერამ სევდა, და ვერ გაართო დიდხანს ქალწული. წამოიწყებდა, შეწყვეტდა ხოლმე, შეფაკლული და შეშფოთებული, მზერას აპყრობდა არა გოგოებს, არამედ სადღაც შორეულ გზასა. თვალს აცეცებდა გაშლილ მხარეში, სხვაგან უწევდა გული და სული; როგორც კი სმენას ხმა მისწვდებოდა მსგავსი ნაბიჯის, ანდა ქარისა, ეკუმშებოდა მკერდში გული და მიაბრუნებდა იქითკენ სახეს, თუმცა ეს დიდხანს როდი გაგრძელდა, მალე მოვიდა ეზონის შვილი – სწრაფად წამოდგა წინ იაზონი, ვით სირიუსი სხივთამთოველი სწრაფად ამოდის ოკეანიდან და თვალთა მზერას უხარებს ყველას, მაგრამ უსაზღვრო უბედურებას დაატეხს ხოლმე ცხვარსა და თხასა, –

960 ასე დაუდგა ქალს იაზონიც თვალთა საამო, გულთა მკოდავი. ჩაუწყდა მკერდში გული მედეას, გადაეფარა ნისლი თვალებზე, წითლად აენტო ნაზი ლოყები და ჩაულამდა შავი თვალები. იდგა უძლური, მუხლმოკვეთილი, ვერ გადაედგა ვერსაით ფეხი, – ფეხისწვერები გაშეშებოდა, და თითქოს მიწას დაეკრა ფეხი. მოახლეები ამასობაში მას ჩამოშორდნენ ფეხაკრეფითა. იდგა ორივე გაოგნებული: იქ იაზონი, აქეთ მედეა, ორივე ჰგავდა ახოვან მუხას... ტანაყრილ ფიჭვებს მოგაგონებდათ, მაღალ მთაში რომ დგანან უძრავად, ღრმად ფესვგადგმულნი, გაშეშებულნი, არც ირხევიან უქაროდ, მაგრამ თუ ქარიშხალი ჩამოუქროლებს,

970 შეირხევიან, შეირწყვიან და შრიალებენ შეუსვენებლით, – ასე ელოდათ მათაც შერყევა, ეროსის ნებით გულდაისრულებს, და ბევრი სიტყვა ჰქონდათ სათქმელი, მისი ქარიშხლით ნაკარნახევი. მიხვდა ვაჟაკი, რომ მეფის ასულს თავს დასტეხოდა ღმერთების რისხვა, და ვნებულ ქალწულს უთხრა ასეთი პირმოთნობით ნაფერი სიტყვა: „ქალწულო, მარტო მოვსულვარ შენთან, იქნებ ამისთვის კანკალებ ასე? მე ხომ არა ვარ ისე თავხედი, როგორც ბაქია მამაკაცები, არცა ვყოფილვარ უწინ, როდესაც ჩემს სამშობლოში ვცხოვრობდი ჯერაც. ამიტომ ნუ გაქვს შიში და რიდი, გადამიმალე, ქალწულო, გული, ან გამომკითხე, რაც რამ გენებოს, აწ საწადელი მითხარი შენი.

980 რაკი განგებამ შეგვეყარა აქა, კეთილგანწყობით შეგვეზიარა, განა იმისთვის, ღმერთთა საეანე უმსგავსო საქმით შევლახოთ ჩვენა! მკითხე, მომმართე მოურიდებლად, არ დამიმალო სათქმელი შენი.

- ოლონდ ამაოდ ნუ შეეცდები ტკბილი სიტყვებით ჩემს მოტყუებას, რადგან შენ აკი შენს დას დაჰპირდი, საჭირო წამალს მიეცემო სტუმარს! გაფიცებ თვითონ ქალღმერთს ჰეკატესს, ვისაც მსახურებ, და შენსა მშობლებს, დიდ ზევსს გაფიცებ, სტუმართა მფარველს, მავედრებელთა შემწყნარებელსა, - მეც ხომ მოვსულვარ შენს ქვეყანაში, როგორც სტუმარი, მავედრებელი, და უსაშველო საფრთხეში შენი ფერხთით ვემხობი ხვეწნა-მუდარით. თუ არ მიშველი, მკლავი მიმუხთლებს, ვერ გავიმარჯვებ სასტიკ ბრძოლაში,
- 990 და თუ დამიხსნი, დახმარებისთვის მეც გადაგიხდი სამაგიეროს, როგორც წესია, და როგორც ძალუმს მოკვდავს, რომელიც შენგან შორს არის. ელადას მოვფენ დიდებას შენსას და სხვა გმირებიც შენ გადიდებენ. შენი წყალობით გამარჯვებულნი რომ დავბრუნდებით მშობელ მხარეში, რადგან გაფანტავ მამაც მოყმეთა დედების მძიმე დარდას და ურვას, ზღვის ნაპირებზე რომ სხედან ახლა და დასტირიან საყვარელ შვილებს. ბედნიერებას აჩუქებ საწყალებს, დედებს და ცოლებს. შიშით მოცულეებს. აკი ოდესღაც გმირი თეზეუსიც ასე დაიხსნა სასტიკ ბრძოლაში კეთილმოსურნე არიადნემაც, მინოსის ქალმა, სათნო არსებამ, შენებრ უბიწომ, ვინც პასიფადმ, თვით ჰელიოსის ასულმა შობა.
- 1000 და ის ქალწულიც ხომ გაჰყვა თეზეუსს, როგორც კი დაცხრა მინოსის რისხვა! გემზე ავიდა, შორეთს გაცურა და მიატოვა მშობელი მიწა. თვითონ ღმერთებმა ის შეიყვარეს, ნიშნად ამისა შუა ეთერში ციურ სხეულთა შორის ტრიალებს უკვდავის მეგლად ვარსკვლავთკრებული და მოციმციმე წყვილად ღამეში მას „არიადნეს გვირგვინს“ უხმობენ. იცოდე, ციურ უკვდავთა დასი შენც ამ წყალობით დაგასაჩუქრებს, თუ შენი გრძნებით. შენი სიკეთით ამდენი გმირის სიცოცხლეს იხსნი! შენს გარეგნობას თუ ვერწმუნებით, გექნება თბილი, კეთილი გული“. ასე აღიდა გმირმა ქალწული. ხოლო მედეა მიწას უმზერდა და ნექტარივით ტკბილი ღიმილი დასთამაშებდა საოცარ ბაგეს.
- 1010 შვებით აუესო შექებამ გული, ასწია თავი, გმირს გაუცინა, მაგრამ სასურველ საუბრისათვის ვერ გამონახა საჭირო სიტყვა, რადგანაც სურდა სულყველაფერი გადაეშალა. გაეხსნა გული. ბოლოს ღუმილი არჩია სულაც, სურნელოვანი სარტყელი გახსნა, მარჯვედ აიღო ჯადო-წამალი და გაუწოდა უბრალოდ მოყმეს. გმირს გაუხარდა, ხოლო მედეა მზად იყო გულიც ამოეგლიჯა და უყოყმანოდ მიეცა მისთვის, თუ ისურვებდა ეზონის შვილი. გმირის ქერა თავს ეროსის ნებით ისეთი ვნების ცეცხლი მოედო და სახეს ისე ახსივოსნებდა, რომ ატყვევებდა მედეას მზერას; ბოჭყადა მოყმის ძალაუფლება, ათობდა მეფის ასულის გულსა.
- 1020 ზედ აღნებოდა, როგორც აღნება კოკობი ვარდის ფურცელს ცვარ-ნამი, ოდეს დილის მზის სხივი ცხოველი დაეცემა და აციაგდება. არც იაზონი რჩებოდა ცივი. ხან შეხედავდნენ ერთიმეორეს, ხანაც ანაზღად შეფუაკლულები ისევ დახრიდნენ დაბლა მზერასა და ვნების სხივებს ისროდნენ ისევე წარბთა ქვემოდან ნაზი ღიმილით. დაბოლოს გულმა ვერ მოუთმინა და თქვა ქალწულმა ასეთი სიტყვა: „კარგად ინიშნე, რაც ახლა ვითხრა შენი სიცოცხლის გადასარჩენად! შენ მაძაჩემი რომ დაგიბარებს, არესის ველზე დასათესავად მოგცემს დრაკონის საზარელ ყბათა საბედისწერო ჯადოსნურ კბილებს, არ დაიძინო შუალამემდე და ღამე ორად რომ გაიყოფა,
- 1030 გადი გარეგან და განიბანე ტანი უწყვეტი ნაკადის წყალში,

მარტო იყავი. არეინ იახლო და მოსასხამი მოისხი შავი.
გარეთ საჩქაროდ დაიხარე და გათხარე ორმო მრგვალი, წრიული,
შიგეე დაკალი დედა-ბატკანი, არ დაჭრა ხორცი, დაანთე ცეცხლი
და ორმოს ფსკერზე ასე მთლიანად დაწვი იმ ცეცხლზე მთელი ტარიგი,
თან დედისერთა იხმე ჰეკატე, პერსეს ასული და შევეედრე,
ზედაც ზედაშე წაუქციე და – იყოს ფუტკრების ნამუშავევი.
ასე ახსენე, მოინადირე, ლოცვით მოაღბე ქალღმერთის გული.
შემდეგ მოსცილდი სამსხვერპლო კოცონს, წადი და უკან არ მოიხედო,

- 1040 თუნდაც ნაბიჯის ხმა უცნაური გაიგონო და ძაღლების ყეფა, –
არ მიიხედო, იცოდე, უკან, თორემ სანუკეარ საქმესაც აენებ
და მეგობრებსაც ველარ იხილავ, შენი გმირული ღირსებით საცეს.
განთიადისას ეს ჯადოსნური ჩემი წამალი კარგად დანამე,
ტანთ გაიხადე და დაიზილე თხემით ტერფამდე, ზეთისნაირად,
განუზომელი გექნება ძალა, მოგემატება ასკეცი ღონე
და იტყვი გულში, მოკვდავთ კი არა, ღმერთებსა ეძლევეო მრისხანე მკლავით.
არ დაგავიწყდეს, შუბსაც წაუსვი ჯადო-წამალი, ფარსაც და ხმალსაც.
მაშინ ვერ მოგწყლავს მიწისმშობელთა ფხიანი ხმალი და ვერას გავნებს
ვერც საშინელი ხარების ცეცხლი, სულ რომ აფრქვევენ რკინის ხახიდან.
ოღონდ სულ ასე კი არ იქნები: მხოლოდ ერთი დღე! მაგრამ იცოდე,
- 1050 ბრძოლაზე უარს მაინც ნუ იტყვი: ერთხელ გეძლევა, ერთხელ ივარგე!
მსურს კიდევ ერთი სხვა რჩევა მოგცე, იმ განსაცდელში გამოსადეგი:
საშინელ ხარებს რომ მოერევი, უღელს დაადგამ, გუთანს შეაბამ,
სწრაფად გადახნავ იმ შავ ხოდაბუნს შენი ძალუმი, გმირის მარჯვენით,
ხნულში დათესავ დრაკონის კბილებს და აღიძვირან ბუმბერაზები,
შენიშნავ – შავი ლაშქარი ფარავს უკვე შავ მიწას კუშტი კაცების, –
შავ ქვას აიღებ, ისერი ფარულად, მისციელებიან უზამფარები,
ვით ქოფაკები, ძვალს რომ მიუგდებ, და დახოცავენ ერთიმეორეს.
მაშინ შევარდი შენც იმ გროვაში და დაასრულე დეკაკტოა შეხლა.
თუ ყველაფერი ეს შეასრულე იმგვარად, როგორც ახლა გასწავლე,
- 1060 შენ გაიმარჯვებ და ოქროს საწმისს წაიღებ კიდევ შენს ელადაში.
შორს სადღაც წახვალ, ამ აიადან... მაგრამ მე აბა ვინ მეკითხება?
წახვალ საითაც მოგესურვება – ეს შენი ნება არ არის განა?"
თქვა და დადუმდა მეფის ასული, კდემით და რიღით დახარა მზერა,
ყირმიზ ლაწვებზე გადმოუგორდა ორი კურცხალი მღვდარე ცრემლის.
წასკდა ტირილი, წუხდა, რომ სტუმარს უნდა ხელახლა განშორებოდა
და უცხო ზღვეებში გაეშვა გმირი, ასეთი ფიქრით შეჭრეებულმა
გადაივიწყა რიდი და კრძალვა, ისეე შეხედა ეზონის ძესა,
ხელით შეეხო მოყმის მარჯვენას და შეაგება მწუხარე სიტყვა:
„თუ გაგიმართლა, დაბრუნდი შინა, იხილე სახლი მამისეული,
არ დაივიწყო სახელი ჩემი, მე კიდევ შენი მემახსოვრება
- 1070 და ვიდრე ფეთქავს მედეას გული, არ დაგივიწყებს შორეულ სტუმარს.
ახლა მიაშბე შინაურულად, ვინ ხარ, საიდან მოსულხარ შორით.
სადა ცხოვრობ და შორეულ ზღვებში ახლა რა მხარეს წარმართავ საჭეს?
ისეე მდიდარი ორქომენისკენ გაეშურები თუ ესტუმრები
შორეულ კუნძულ აიიას? მითხარ ამბავი ეგზომ ქებული
იმ ქალწულისა, შენ რომ ახსენე – იმ პასიფაეს ტურფა ასულის
არიადნესი, მამიდაჩემის, პელიოს ღმერთის სათნო ასულის“.
თქვა მედეამ და მღვდარე ცრემლით მოუღბო გული უცხოელ ეაჟაკს.

- მკაცრი ეროსი ესტუმრა მალლით. და უპასუხა გმირმა მედეას:
 „ღიახ. მე ვიცი დაბეჯითებით, ვერც დღე, ვერც ღამე ვერ დაგივიწყებ,
 1080 თუ მიწვრია ქვეყნად სიცოცხლე, გადავრჩი ბოროტ ბედისწერასა,
 თუ ორქომენში დავბრუნდები და ახალ განსაცდელს არ გამიმზადებს,
 ახალ საზარელ საქმეს არ მანდობს აიეთ მეფე მზაკრული ზრახვით.
 თუ გულით ვინდა გაიგო ჩემი ქვეყნის ამბავი, ინებე. გეტყვი:
 მეც ხომ ეგ მინდა. გულით და სულით მომნატრებია მამული ჩემი!
 არის ასეთი ქვეყანა საღდაც, ირგვლივ არტყია მაღალი მთები,
 სამოვრებია გადაჭიმული და შეფენია ფერდობებს ფარა.
 იქ იაფეტის ძემ დიდებულმა, პრომეთემ შექმნა პირველი მეფე,
 დეკალიონი სახელოვანი, ვინც დასაბამი მისცა ქალაქებს,
 აუგო უკელავ ღმერთებს ტაძრები, ხოლო მოკვდავთა გახდა ხელმწიფე.
 1090 იქ, ჰემონიად ხმობილ მხარეში ჩემი ქალაქი იოლკოსია.
 იმ იოლკოსის კიდევან ბევრი დასახლებული ქალაქიც არის,
 სადაც ხალხს დღემდე არც კი სმენია, თუ არის სადმე აიაია.
 ამბობენ, ძველად ჰემონიიდან კადმოსის მხარეს გაეშურაო
 მინიას მეფე, ეოლოსის ძე, და დააარსა ორქომენიო –
 ის ორქომენი, რაც ესაზღვრება კადმოსელების დიდებულ მხარეს...
 მაგრამ ნეტავი, რა საჭიროა, ამდენს რომ ვყბებობ ტყუილუბრალოდ
 ჩემს სამშობლოზე, მინიელებზე, მეფე მინოსის ტურფა ასულზე,
 საქვეყნოდ ცნობილ არიადნეზე, რომლის ამბავიც წვლანა მკითხვე?
 მისი კეთილი, სათნო სახელი ყველგან დიდებით იხსენიება!
 1100 ნეტავი, როგორც მინოსმა იგი თეზევსს დაუთმო სახელოვანმა,
 ისევე შენი სასტიკი მამაც ჩვენ შეგვხვდებოდეს კეთილი თვალით!“
 ასე მიუგო, რომ ქალის გული მამაშეხელი სიტყვით მოეგო.
 ტკბილმოუბარი ვაჟკაცის სიტყვამ ქალწულს უმეტეს ატიკინა გული,
 დარდით დამწვარმა, კაეშნიანმა და ფიქრიანმა უთხრა იაზონს:
 „სასახელოა, შენს ელდაში რომ შეთანხმებებს პატივსა სცემენ,
 მაგრამ აიეთ მეფე არ არის ისეთი კაცი, შენ რომ გგონია,
 არცა ჰგავს მინოსს, პასიფაეს ქმარს, ვერც მე ვედრები შენს არიადნეს!
 რა საჭიროა ფუჭი სიტყვები? შენ ის მეგობრად არ გაგიხდება!
 მხოლოდ ერთსა გთხოვ: შენს იოლკოსში როცა ჩახვიდე, არ დამივიწყო,
 1110 მე კი, მშობლებმაც რომ ამიკრძალონ, შენზე ვიფიქრებ დღეცა და ღამეც.
 ო, თუ შორიდან მოვიდა ცნობა, რომ დამივიწყე... თუ დამივიწყე,
 იცოდე, ჩიტი მომიტანს ამბავს, ცხრა მთის იქიდან, არ ახსოვხარო!
 ანდა მე თვითონ გამიტაცებდეს ფრთამალი ქარი, ვინატრებ მაშინ,
 გადამატაროს ზღვა და ხმელეთი და იოლკოსის მიწაზე დამსვას.
 თვალწინ დაგიდგე საყვედურივით და გიკივიო გაუტანლობა, –
 ვინძლო ინებო და გაიხსენო, რომ ჩემმა გრძნებამ გიზსნა ოდესღაც!
 ო, როგორ მინდა, მოულოდნელად გამოეჩნდე მაშინ შენს სასახლეში!“
 ასე ამბობდა მეფის ასული და სიმწრის ცრემლი ღაწვებს ღარავდა.
 გულის ჩონჩხით აღმოდებულმა ასე მიუგო მოყმემ ქალიშვილს:
 1120 „უცნაური ხარ! ქარებს მოეშვი, დაე იქროლონ, საითაც უნდათ!
 მაინც ჩიტებსაც – რა საჭიროა ამ გადაკრული სიტყვების ხარჯვა!
 რად ამბობ იმას, რასაც არ ვიზამ? შენ არ გექნება კიცხვის საბაბი!
 იცოდე, თუ შენ ჩემს ელდაში და ჩვენს მხარეში მოხველო ოდესმე,
 ქალებისა და კაცებისაგან იქნები ყველგან პატივდებული,
 და როგორც ქალღმერთს, თაყვანსა გცემენ ყველანი, რადგან შენი წყალობით

- დაუბრუნდებათ მშობლებს შეილები, ზოგს ძმა თუ ქმარი, ზოგს ნათესავი, სიცოცხლით სავსე ეს ვაჟკაცები, ვისაც სიცოცხლე არუქე შენა.
- ხოლო ჩემს სახლში კანონიერი ცოლის სარეცელს დაისაკუთრებ, და ვერასოდეს ველარაფერი ჩვენს საქორწინო კავშირს ვერ დაშლის,
- 1130 სიკვდილის გარდა, რაც წარგვიტაცებს მკაცრი ბუნების კანონის ძალით!"
 ასე თქვა მოყმემ. და ის სიტყვები ქალს ნეტარებად მოედო გულზედ, მაგრამ ზარავდა მამის რისხვა და თავისი მძიმე დანაშაული. საბრალო ქალი! სად შეიძლებდა დიდხანს ჯიუტად უარზე დგომას, რომ ელადაში გმირს გაჰყოლოდა! პერას ხომ უკვე დიდი ხანია გადაწყვეტილი ჰქონდა ეს საქმე, რომ სამშობლოდან სამუდამამოდ ის წასულიყო წმინდა იოლკოსს, პელიას მეფის დასადუჰავად! აგერ, მოსწყინდათ კიდეცა მხეველებს განცალკევებით დგომა. ლოდინი, უკვე ღელავდნენ: დადგა საათი, შინ დაბრუნებას ითხოვდა ვალი, დასტურ, დრო იყო, რომ დედის კალთას დაბრუნებოდა ქალწული ქალი.
- 1140 მაგრამ მედია დაბრუნებაზე როდი ფიქრობდა – გული ტკბებოდა ჯერ იაზონის სილამაზითა და მერე სიტყვით მოთაფლულითა. ბოლოს კი ისევ ეზონის შეილმა შეჰკადრა ქალწულს სიფრთხილის სიტყვა: „დროა დაეშორდეთ, თორემ დღე გადის, და ჰელიოსის ბურთმა რომ ზღვაში ჩასვლა დაგვასწროს, გამელელ-გამომვლელს ველარ დავრჩებით შეუმჩნეველნი. მინდორს თვალი აქვს, ხალხი გაიგებს... მევე შევხვდებით ისევ ერთმანეთს“. ასე ეტრფოდნენ ერთიმეორეს, თქვეს მეგობრული სიტყვა მრავალი, მაგრამ დრო იყო განშორებისა, და მხიარული ეზონის შეილი უკან გაბრუნდა, თავის ხომალდზე, სადაც ელოდნენ თანამგზავრები. ხოლო მედია მხეველებს ეახლა, შემოეგება ყველა ხალისით.
- 1150 მაგრამ ქალწულმა ფიქრით გართულმა ვერც კი შენიშნა მოახლეები: სხვაგან დაჰქროდა მისი გონება, სადაც ზეცაში, დრუბლებზე მალდა. ეტლზედაც ასე მართო ავიდა, არ გაიკარა შემწედ არავინ. სადავეს ცალი ხელი ჩასჭიდა, მეორე ძვირფას მათრახს დაავლო, გადაჰკრა ჯორებს და აჩქარებით გაჰქუსლა ეტლით ქალაქისაკენ. მივიდა შინა და ქალკიოპემ, შეილების დარდით შეწუხებულმა. დაუყოვნებლივ ჰკითხა ამბავი, მაგრამ მედია დუმდა ჯიუტად. ათასი ფიქრით და საზრუნავით დაოსებული ხმას არ იღებდა, არც კი უსმენდა, და დის კითხვებზე სიტყვის მიგებაც აღარ ინება. დაეშვა დაბლა, საკარცხულზე და სავარძლის გვერდით იჯდა უძრავად.
- 1160 თავდახრილი და კრიჭაშეკრული, დაწვით მარცხენა ხელს დანდობილი. თვალი მაღიმაღ ენამებოდა და ერუოდა თავში ფიქრები: ასეთ მავნე და საშიშ საქმეში გავხდით მტრების თანაზიარი.

თარგმნა აკ. გელოვანმა

ლირიკა



კალიმაქოსი

(ძვ.წ. 310-240 წწ.)

ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში მოღვაწეობისას მას შეუდგენია წიგნთსაცავის კატალოგი. ე.წ. „ფირფიტები“ 120 წიგნად, სადაც თავმოყრილი ყოფილა მწერალთა ბიოგრაფიები და მათი ქმნილებების მოკლე შინაარსები. გარდა ამისა მას 800-მდე თხზულება დაუწერია. ჩვენამდე მოაღწიეს მისმა ჰიმნებმა, ეპიგრამებმა და სხვა ქმნილებათა ფრაგმენტებმა.

კალიმაქოსი ბერძნულ ლიტერატურაში ახალი მიმართულების დამამკვიდრებლად ითვლება. იგი მცირე ფორმის ეპოსის (ეპილიონის) უპირატესობას ქადაგებდა და პოეზიის ელიტაურობის მომხრე იყო. მისმა შემოქმედებამ უდიდესი გავლენა იქონია მომდევნო პერიოდების ლიტერატურაზე, კერძოდ რომაულ პოეზიაზე.

თარგმანები:

პელიკონი. ძველი ბერძნული ლირიკა, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნანა გონიამ, თბილისი 2002.

ელადის მუზა, ბერძენი ავტორები, თარგმანი რომან მიმინოშვილისა, თბილისი 1963.

ანტიკური ლირიკა, ძველი ბერძნულიდან და ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო გივლა სარიშვილმა, თბილისი 1988.

ჰიმნი ზევსს

ოდეს ზევსს ვწირავთ საღვთოს, სხვას ვის მიუძღვნათ ხოტბა,
თუ არა თავად დიადს, უკვდავს, გიგანტთა მმუსერელს,
ვინც სამართალი უქმნა ურანიდების მოდგმას...
ვადიდოთ დიქტეელი, თუ ლიტეელი ვაქოთ,
სულში ფუთფუთებს ეჭვი, სად დაიბადე ზევსო?
მავანთ და მავანთ აზრით, შობილხარ იდას მთაზე,
სხვანი ფიქრობენ ვითომც არკადიაში იშვი.
ორში რომელი ტყუის? რისხვით დაატყდი თავზე
„კრეტელთ სიცრუით ცნობილთ“, – შექმნეს აკლდამა ყალბი,
უკვდავს ვინ უქმნის საფლავს. შენ უკვდავი ხარ მარად.
პარნასის მთაზე, სადაც ყოველს ბუჩქნარი ფარავს,
შენ გაგაჩინა რეამ და ამ უწმინდეს ალაგს
ფეხს ვერ დაადგამს ვერც ვინ ცხოველი, გინდა ქალი,
ვინც წილნაყარი არი ილითიასთან უკვე...
მისივე წყალობით ამ მთას ძველთაგან წმინდად თვლიან...
როს ღედაშენის დიად, ქალურ საშოდან იშვი,
ქალღმერთმა იწყო ძებნა მდინარის წყლისა, რადგან
მოლოგინების ტუჭყვი ჩამოერეცხა სურდა,
რომ განეწმინდა ტანი, მაგრამ იმხანად, ჯერაც

10

ლალონის უხვი წყლები... ერიმანთოსი ვრცელი

არ აცოცხლებდა სივრცეს.

ის არკადია უწყლო, ღღეს წყალუხვია ძლიერ...

20

სადაც ქამარი წელზე შეიხსნა ღედა რეამ,

სად მაღალ მუხის ხეებს მტკიცედ გაედგათ ფესვი,

სად იაონო მოჩქეფს. გამხმარ მიწაზე მრავალ

ოთხთვალას ჰქონდა გეზი მელანისაკენ, ხოლო

კარნიონოსი ტალღებს მიწის წიაღში სცემდა,

იქ, ღრმა ხეებში მრავალ ცხოველს დაედო ბინა.

როცა კრათისის გავლით მეტოპესაკენ მავალ

ქვეით წყურტი და ქვალზე უთკეცებდათ ტანჯვას,

მაშინ მათ ფერხთ ქვეშ წყალი სადღაც სიღრმეში ჩქეფდა

და ამიტომაც ბრძანა დიდმა ქალღმერთმა რეამ:

„ო, საყვარელო გეა, გთხოვ, შენც დაბადო, რადგან

მშობიარობა მუდამ უმტკივნეულო იცი“.

თქვა ეს თუ არა მძლავრი ხელით მთას დასცხო კვერთხი

და გადმოდინდა წყალი ორად გაპოხილ მთიდან.

და მბრძანებელო, ღედამ სწრაფად განგბანა მაშინ

და შეხვეული ჩერებში ნედას გადაცა ფრთხილად.

ვისაც კრეტაზე ჩუმაღ შენ აღეზარდე უნდა...

ნიმფათა შორის ერთ-ერთ უღირსეულეს ნიმფას,

ვინც დაეხმარა რეას, მოალოვინა იგი...

მას, უპირველესს გვარში, სტიგიას, ფილირას შემდეგ,

დიდი მადლობა უძღვნა ქალღმერთმა და იმ წყალსაც,

სათავეშივე წყალუხვს ნედას სახელი არქვა.

და უერთდება იგი ზღვას ლეპრეოსთან ახლოს,

რაც დააარსა ერთ დროს კაკონთა მოღვმის ზალხმა.

40

და ოდითგანვე მის წყალს შთამომავალნი სვამდნენ –

მძლე ლიკაონის ქალის, ვინც დათვად იქცა ერთ დროს...

მამაო ზევსო, ნიმფამ მსწრაფლ მიატოვა თენე

და წაგიყვანა კნოსოს, თენე ახლოა მასთან.

იმ დღიდან, ღმერთო, ადვილს, სადაც შენ მოგძვრა ჭიბი,

კილონიელთა მსგავსად ომფალოსად თელის ყველა.

ზრუნვით აღგავსეს მაშინ კორიბანტების დებმა,

იფანთა მელიებმა, ზევსო, თვით ადრასტეამ

შენ ჩაგაწვინა ფრთხილად აკვანში, ოქროწუნულში...

და ამალთეას ძუძუს წოედი ტკბილ თაფლთან ერთად...

იქ, პანაკროსზე – იდას მთებში ფუტყარი გაჩნდა

50

და ჰა, პანაკრა სახელს ფუტყრის წყალობით იხვეჭს...

და კურეტები ხშიან ცეკვით გივილიდნენ ირგვლივ,

აღჭურვილები ფარებს აბრაზუნებდნენ ძლიერ.

შენი ტირილის ხმა რომ არ გაეგონა კრონოსს

და იზრდებოდი მშვიდად, ძალას იკრეფდი სწრაფად.

ო, ზეციურო მეფევე, წამოიჩიტე როცა

ამოგეწვერა ღინღლი,

ყოველი შენი სიტყვა ბაღლობიდანვე, ღმერთო,

მთლად სრულყოფილი იყო...

და ამიტომაც შენმა ღვიძლმა, ალაღმა ძმებმა,
თუმც უფროსები იყვნენ, ტახტად დაგიტმეს ზეცა.
ეკ, არ ყვებიან მართალს ძველნი პოეტნი სრულად.
მათის სიტყვიდან ჩანს, რომ სამეშკვიდრეო წილი
სამივე კრონიდს თურმე უნდა რგებოდა ტოლად...
კენჭის საყრულად აქცეეს ვინმე ოლიმპს ან ჰადესს,
თუ არ საესებით ბრიყვი, რადგან კენჭისყრა მხოლოდ
მაშინ ეგების, როცა განსხვავებაა მცირე
ამოსარჩევთა შორის...

60

დაე. იცოდნენ, ხვედრმა არ გაგამეფა სხვებზე,
არც უმნიშვნელო საქმემ,
არა, ღიადმა ძალამ და ვაჟკაცობამ მტკიცემ,
რომ დაამკვიდრე ტახტთან...

ელჩად და შენი ნიშნის მაუწყებლად ჰქმენი ფრინველთა ლაღი მეფე,
გთხოვ, ჩემს მეგობართ, ძვირფასთ, გამოეცხადო, ღმერთო.
საუკეთესო ვაჟკაცთ შენ უთვალთვალე ზშირად,
მაგრამ არც მეზღვაურებს გამობრძმედილებს ზღვაში,
არც ჯარისკაცებს – ვაჟკაცთ და არც პოეტებს წყალობ,
არა, შენ მათზე ზრუნვა მდებალ ღვთაებებს ანდე...
თავად ამქვეყნის ნეტართ, ხალხის ბელადებს ირჩევ...
მათ. ეის მორჩილებს ყველა: მიწის მამურალი მუშა,

70

მებრძოლიც, მეზღვაურიც და სხვა მრავალიც ქვეყნად...
მიტომ მფარველობს ალბათ კოჭლი ჰეფესტო მჭედელთ,
არეისი მებრძოლთ, ფებოს – ლირის დიდებულ დამკერვლთ,
მონადირეთ კი იცავს ქიტონი – არტემისი.
მეფეთა გარდა წმინდად არ მიგაჩნია არვინ,
ზეესო, ამიტომ მათვე დაუნაწილე მიწა...

სახელმწიფოთა დაცვაც მათვე მიანდე მიტომ...
შენ კი შორიდან უცქერ მტკიცე სამართალს ვინ ჰქმნის,
ან განიკითხავს მრუდედ თავისი ქვეყნის მცხოვრებთ
ბედნავსობისგან იხსენ და თვითეული მათში,
თუმც ერთნაირად არა, მაინც აავსე განძით...

80

სამაგალითოდ ჩვენი ქვეყნის მმართველიც კმარა,
მან გვარიანად უკან ჩამოიტოვა სხვები...
ღილით განზრახულს იგი შებინდებამდე ასწრებს
და რომც მისჭირდეს ღიდად, უმნიშვნელოდ ჰქმნის მაინც...
უმთავრესია წამი, როს გონებით ჭკრეტს საქმეს,
სხვანი იგივე საქმეს ვერ ამთავრებენ ღიღხანს...

ღროც კი არ ჰყოფნით. ზოგჯერ
მათთა სურვილთა ჩაშლას შენვე ახდენდი თავად,
ღიღება შენდა, ზეესო, უპირველესო ძმებში,
მომნიჭებელო ქვეყნად განცხრომისა და ტკბობის,
ღარღის განმდევნო ღმერთო...

90

შენთა საქმეთა ხოტბის შესხმა ვით შეძლოს ენამ.
არა, არც არვის ძალუძს და არც შობილა ქვეყნად
მეხოტბე ზეესის საქმის...
ღიღება შენდა, ღმერთო, კელავაც ღიღება მარად.
პოი, სიმღიდრე მხოლოდ ვერ აღამაღლებს კაცთა,
თუ ზნესრულობაც არ აქვთ,

ეგრეც ზნესრული ქვეყნად, უქონლად კეთილს ვერ იქმს...
მოგვეც სიქველე ღმერთო, მასთან სიმდიდრეც მოგვეც.

ეპიგრამები



მითხრეს, რომ მოკვდი ჰერაკლიტე, მწარე სიძარტლემ
ცხარე ცრემლები მაფრქვევინა და გამახსენა
როგორ ვხედებოდით ჩვენ ერთმანეთს და საუბრებით
მზის ჩაბრძანებას ვაცილებდით... აწ კი მივტირი
პალიკარნასელ ჩემს მეგობარს, უკვე მტვრადქცეულს,
თუმც ძველებურად ცოცხალია შენი პანგები,
ვერას დააკლებს მათ ჰადესის ხელი მსახვრალი...



დაე, ნუ მეტყვი გამარჯობას, ცბიერო გულო
მომწყდი თავიდან...
თუ არ შემხვდები, მით ვიქნები გამარჯვებული...



ტიმონ, შენ უკვე აღარა ხარ... ამიტომ გკითხავ
რა გძულს უფრორე სიბნელე, თუ ნათელი დღისა,
„სიბნელე, რადგან აქ, ჰადესში, მკედრებია მხოლოდ“.



ო, ძეფიროსის ქალბატონო, ვიყავ ნიჟარა
დახავსებული... დღესდღეობით, კიპრისო, შენი
პირველი ყლორტი სელენედან,
ნაუტილუსი, უსასრულო ზღვის სიერცეს მივსდე,
და როს დაბერავს, მე გაეჭიმაე ბაგირზე აფრას,
თუკი გალენე, მოთმინების მშვიდი ქალღმერთი,
ალივლივდება ჩემს ფეხებთან საბედისწეროდ,
მაშინ ჩემს საქმეს დაამშვენებს სახელი ჩემი...
მანამ კი ვიდრე მივალწევდე ქვიშრობ ნაპირებს
იულისისას, მცირე ღროით გავხდები შენი
ლხენის მომგვრელი სათამაშო, ო, არსინოე...
ამ ნიჟარაში ძველებურად აღარ იქნება,
თუ განვისვენებ სამუდამოდ, ალკუნის კვერცხი...
მიუძღვენ მაღლი კლინიასის მშვენიერ ასულს,
ვინაც სიკეთის ქმნაც იცის და იმისი ფასიც...



მე სამოსელის შექმნილი ვარ, რომელმაც უწინ
თავის კერასთან უმასპინძლა დიდებულ აედს,
მწარედ დავტირი ვერიტეს და იოლეს ამბავს...
და თუმც ვითვლები ჰომეროსის წიგნად იცოდე,
ზევსო, ეს დიდი პატივია კრეოფილესთვის.

- ◆
- 6 ალამაზებდა დედინაცვლის საფლავს ყმაწვილი,
სწამდა, გარდაცვლილ შეეცვალა ბუნება ძველი,
მაგრამ საფლავზე გადახრილი ბიჭი ქვამ მოკლა...
ო, განერიდეთ დედინაცვალს, გერებო, სწრაფად
და მათ საფლავსაც განერიდეთ...
- ◆
- 7 და პა. დაადგა თეეტეტი გზას გაუთელავს...
ჰოი, ბაქუსო, შენი ხავსი ჯერ ამ ახალ გზას
ნუ მოედება კვლავ ცოტა ხანს, ვიდრე მაცნეებს
არ მობეზრდებათ ქება მისი
და სიბრძნეს მისას ვიდრე კვლავაც უმღერს ელადა...
- ◆
- 8 აქ, ამ ადგილას, რომ ითვლება ყველასთვის წმინდად
წევს აკანთიელ დიკონის ძე, ქველი საონი...
ნუ მოიხსენებთ კეთილშობილს მიცვალებულად...
- ◆
- 9 თუკი ტიმარქოსს, ვინც პადესში იხრწნება უკვე,
ეძებ, რომ ჩაწვდეს მისი სულის შესახებ ამბავს,
ან ეით არსებობს ის ხელახლა... მოინახულე
პავსანიასის ძე – პტოლემიდთა შთამომავალი
და მკვლარს იხილავ გარემოცულს თაყვანისცემით.
- ◆
- 10 უცხო სტუმარი სიტყვაძუნწი იყო ძალიან,
მე უფრო მეტად...
„არისტოსის ძე თერისი – კრეტელი აქ წევს“.
- ◆
- 11 თუკი მოხვდები კიზიკოსში, ხელად იპოვი
ჩემს ნაცნობ ოჯახს პიპაკოსის და დიდიმესას
და ამცნე იმათ საზარელი, მძიმე ამბავი,
რომ მათი შვილი, კრიტიასი, აქ განვისვენებ.
- ◆
- 12 სწორედ აი, აქ, ამ ადგილას, წევს ქარიდასი,
თუ მას კითხულობ, არიმახის ძეს კირენედან,
ის განისვენებს აქ, ჩემს ქვევით, ჰოი, ქარიდას,
რაა ქვევით? „წყველია დი მეფობს“, აღმდგარა ვინმე?
„ტყუილია“, აბა პლუტონი? „ზღაპარი არის“ დამღუპველი...
ჭეშმარიტია ჩემი სიტყვა, რომელიც გითხარ,
მაგრამ თუ მაინც თავს იხიბლავ ამო ტყუილით,
გწამდეს პელაურ ხარს პადესში გროშის ფასი აქეს...

◆
13 ნეტაე ვის ძალუმს დაინახოს სიმუხთლე ბედის...
გუშინ ზომ ჩემივ თვალით გჭერეტდი მხიარულ ქარმისს,
დღეს კი დაგტირით მიცვალებულს, თუმც ამ სიკეთეს
ბედისწერისას შეაჩერებს ქვეყნად ვერავინ.
ვერც მამაშენი დიოფონი...

◆
14 ო, ვინ ხარ ნეტაე? „ტიმონოე“. ღვთაებებს ვფიცავ
სულ ვერ გიცნობდი...
საფლაავის ქვაზე სახელი რომ არ ყოფილიყო
ტიმოთეოსის – მამაშენის და მეთიმნასი –
– შენი ქალაქის...
ო, რა მწარეა დაქვრივებულ ძვირფას მუღლის
ვეთიმენესის უსაზღვრო სევდა...

◆
15 ამ გოგონებმა სამოსიდან ვერა შეიტყვეს
ენამოქარგულ მეგობარზე, თავად კრატისს კი
რომელსაც თელიან მოთამაშედ და გამოცდილად
მრავალ საქმეში...
და გვიყვებიან მასზე ათას მშვენიერ ზღაპარს...
თურმე აქ ძინავს... ამ ძილს ვერვინ ვერ გავუქცევით...

◆
16 ამ ჩემს საფლავეზე გადაკელილო, მგზავრო, იცოდე:
კალიმაქეა კირენელი – მშობელი ჩემი
და შეილსაც ჩემსას კალიმაქე ვარქეი სახელად...
წინამძღოლობდა სამშობლოს ჯარს მშობელი ჩემი,
ვაჟი სიმღერის ხელოვნებით ამაღლდა შურზე,
ნუ გაიოცებ, ბავშვობიდან მუხათ რჩეული,
თუ სიბერეში აღარაა მათთვის ძვირფასი.

◆
17 მძულს კიკლიკური ლექსი, ვით გზა, უმრავლესობას
რომ დაატარებს აქეთ-იქით, ასევე სატრფოც
უცხოთა ტრფილს რომ არ იკლებს შარახვეტია...
ყველა წყაროდან წყალს არ დაკლევ...
ო, ლისანიევ, მშვენიერო, მშვენიერთ შორის,
– ვიდრე ამოვთქვამ, იმეორებს ექო გარკვევით,
„იგი სხვისია“ იმახის ვილაც...

თარგმნა თამარ კალატოზმა

თეოკრიტიკოსი

(ძვ.წ. III ს.)

მის შემოქმედებაში ღიღი სითამამით აისახა ის სიახლე, რაც ელინისტურმა ეპოქამ შესთავაზა ლიტერატურას: ბუნების ემოციური განცდა, სევდიანი სიყვარულის პოეზია, უბრალო ადამიანებისა და ყოფითი მომენტების წინა პლანზე წამოწევა და სხვა. თეოკრიტიკოსის უდიდეს დამსახურებად მსოფლიო ლიტერატურაში *პასტორალური* (ბუკოლიური) პოეზიის უაღკეთესი განვითარება ჩამოყალიბება სახელდება. მისი პოეტური შემოქმედების დროიდან ჩვენამდე 33 იდილიამ და 27 ეპიგრამამ მოაღწია.

იდილია I

თირსისი ანუ სიმღერა

თირსისი:

ისმის საამო შრიალი, ფიჭვიც საამოდ ხშიანობს
წყაროთა პირას, თხის მწყემსო! შენც საამურად აკენესებ
მაგ შენს საღამურს. პანს შემდეგ მეორე ჯილდო გერგება.
ის თუ რქიან ვაცს მოიგებს შეჯიბრზე, შენ – ნეზეს და ის თუ
ჯილდოდ მიიღებს ნეზეს, მაშინ შენი ჯილდოა თიკანი. 5
თიკანს კი კარგი ხორცი აქვს, ვიდრემდე მოიწვევლიღეს.

თხის მწყემსი:

შენი სიმღერა სჯობია, მეცხვარე, შენი სიმღერა
თვით ნაკადულის მღერასაც, კლდეზე რომ ჩამორაკრავს.
თუკი მუხები შეჯიბრზე ცხვარს მოიგებენ, შენ მაშინ
მუქმწოვარ კრავს მიიღებს და თუკი მათ მოიპოვეს 10
ბატკანი, მაშინ ნარჩენი ცხვარი ნამდვილად შენია.

თირსისი:

მოდი, ვფიცავარ ამ ნიმფებს, მოდი, თხის მწყემსო, აქ დაჯექი,
სადაც ბორცვაკის ფერდაზე დამსხდარან იაღღუნები
და საღამურზე დაუკარ! მაგ თხებს კი მე მოყუდებები.

თხის მწყემსი:

არ შეიძლება, მეცხვარე, არ შეიძლება შუადღით 15
დაკვრა. ვაშინერს! ამ დროს ხომ ღღის ნადირობით დაღლილი
პანი ისვენებს და მტრისას, თუ განგვირისხდა! ფიცხია!
ბოღმა სულ ცხვირში აწევება. სჯობს, ხელში არ ჩაუვარდე.
შენ, თირსისი, ისა სჯობია, დაფინისის ტანჯვას უმღერო
და მწყემსთა მუხებს ხშირ-ხშირად შესთხოვო, რომ შეგეწვიონ! 20
აი, აქ დავსხდეთ, თელებს ქვეშ, პრიაპოსისა და კიდევ –
კრანიალების პირისპირ. აქ ხომ მუხები დგანან და
ტახტიც დგას, მწყემსის საკადრი. თუ ისევ ისე იმღერებ,
როგორც ლიბიელ ქრომისთან შეჯიბრებული მღეროდი,
მარჩებთა მომგებ ამ ჩემს თხას შენ სამჯერ მოგაწვევლინებ, 25
თუმცა ორ თიკანს აწოვებს წყვილ-წყვილ საწველელს გაგივსებს.
ამ ფიალასაც გაჩუქებ, ცვილწასმულს. ხომ ლამაზია!

ახალი ნაჩუქრთმევი, სურნელოვანი, ორყურა.
 გარეთა მზრიდან სატურჩეს სურო ეხვევა გარშემო,
 სურო, ნეგოსთან ჩაწნული, ზაფრანისფერი ნაყოფი 30
 უხვად ასხია, ხუჭუჭა რტოებს უმკობს და უმშვენებს.
 შიდა მხარეს კი ქალი ჩანს, იტყვი, თვით ღმერთებს უქმნიათ!
 მოსასხამი და თავსაკრი უხდება. იქვე, შეხედე,
 ორი მოქიშვე კაცია გამოსახული, ერთმანეთს
 ტურფა ქალისთვის უტევენ გინებით, ჯაგარაშლილნი. 35
 ქალს არცერთი არ ეთმობა. ერთს თუ ღიმილით ატყვევებს,
 მეორეს – მზერით ავივებს. თვალჩასისხლული კაცები
 ამაოდ იტანჯებიან სიყვარულისგან ამდენ ხანს.
 მათ შემდეგ – ნახე – სალ კლდეზე მოჩანს ბებერი მეთევზე,
 ის ცდილობს, ამოათრიოს თევზი, ბადეში გაბმული, 40
 თევზი ღიღია, მოხუცი წეალობს და ძლივს უმკლავდება,
 მზით გარუჯული იმ ბადეს ხელიდან მაინც არ უშვებს.
 კისრის ძარღვები ასკდება, ისე ძალუმაღ ირჯება,
 თუმც ჭადარაა სრულიად, გული კვლავ ერჩის ბიჭვიით.
 იქვე, ამ ზღვისგან დახრული მეთევზის გვერდით ლამაზი 45
 მზით დამკრახული მტეენებით დახუნძლული ჩანს ვენახი,
 მისი დარაჯი პატარა ბიჭიც იქვე ზის, ღობესთან.
 ბიჭის ორივე მხარეს კი ორი მელაა, ერთ-ერთი
 ვაზებში მოჩანს – მტეენებს რომ მიპარვით ღრღნის და აფუჭებს,
 მეორე – გუდას უქექქავს, ცბიერი, უხმოდ, უჩუმრად – 50
 არ გაეცლება, სანამ ბავშვს უსაგზლოდ მშრალზე არ დასკამს.
 ბიჭი კი ლერწმის ბადით და ჩალის ღერებით ლამაზად
 კალიის საჭურ ხაფანგს წნავს, აღარც ვენახი აღარდებს,
 აღარც – გუდა და საგზალი, ისეა გატაცებული.
 ფიალას შემოხვევია ირგვლივ მოქნილი აკანთო, 55
 აუპ, რა მოხატულია! საოცრებაა! შეხედე!
 ერთ კალიდონელს, იცოდე, ამის ჩამომტანს, სანაცლოდ
 თხაც გავატანე, თეთრი რძის ყველის დიდკვერიც მივეცი.
 ჯერ ჩემი ბავე სატურჩეს არ შეხებია, ასე დევს
 უხმარი, დაულაქაეი. მოგართმევ, შენს გულს ვაამებ, 60
 ძვირფასო, ოღონდ მიმღერე რომ მიყვარს ა – ის სიმღერა.
 აღარც დაგცინი, ხომ ხედავ! მიდი რა, ჩემო კეთილო!
 მაგ შენს სიმღერას პადესში თან ხომ არ ჩაიყოლიებ.

თ ი რ ს ი ს ი :

იწყეთ მწყემსური სიმღერა, იწყეთ, ძვირფასო მუზებო!
 მე თირსისი ვარ ეტნელი, ეს პანგი – თირსისისაა. 65
 სად, სად იყავით, ნიმფებო, ოდეს დაფნისი კვდებოდა,
 პენეოსის ნაპირას ლამაზ მინდორზე. პინდოსზე?
 არც ტალღამრავალ და წყალუხვ ანაპოსში არ ყოფილხართ,
 არცა – ეტნისა მწვერვალზე, არც – წმინდა წყალში აკისის.
 იწყეთ მწყემსური სიმღერა, იწყეთ, ძვირფასო მუზებო! 70
 იქ კი ტურები კიოდნენ, იქ მგლებიც მწარედ ყმუოდნენ,
 ჭალელი ლომიც მომაკედავ ჭაბუკს ღრიალით გლოვობდა.
 იწყეთ მწყემსური სიმღერა, იწყეთ ძვირფასო მუზებო!
 მის ფერხთით ხარი მრავალი, მრავალი ფურიც იქავე,

კიდევ – მრავალი მოზვერიც და ღეკეულიც ბღაოდა. 75
 იწყეთ მწყემსური სიმღერა, იწყეთ ძვირფასო მუზებო!
 მთიდან ჰერმესი მივიდა ყველაზე უწინ და ხმა-ჰყო:
 დაფნის, ვინ გტანჯავს? შე კარგო, ვინ გიყვარს ასე ძალიან?"
 იწყეთ მწყემსური სიმღერა, იწყეთ ძვირფასო მუზებო!
 მივიდნენ მემროწლები, მეცხვარეებიც მივიდნენ 80
 და კითხულობდა ყოველი – რა კლავსო! მერე მივიდა
 პრიაპოსი და შესძახა: „დაფნის, საბრალო, შენ რა გჭირს?
 თვით გოგომ ფეხით შემოვლო ყველა წყარო და ჭალაკი,
 ყოჩაღ შენ! ქალის ენება გკლავს, მაგრამ გულისთქმას არ ჰყვები“.
 იწყეთ მწყემსური სიმღერა, იწყეთ ძვირფასო მუზებო! 85
 „კაცს მენახიერ გქეია და თხის მწყემსს კი დამსგავსებინხარ!
 თხის მწყემსი რომ დაინახავს მბღავანა წალებს ნერბისას,
 თვალი ზედ რჩება შურისგან, რომ თვითონ ვაცი არ არის“.
 იწყეთ მწყემსური სიმღერა, იწყეთ ძვირფასო მუზებო!
 შენც – ასე, როცა უყურებ ატრაციალურ ქალწულებს,
 თვალი ზედ გრჩება შურისგან, რომ იმათ ვერ დაერევი“. 90
 მას ვერაფერი მიუგო ხარების მწყემსმა, თავის დარდს,
 თავის მკვლელ ტრფიალს დანებდა, ბოლომდე დაჰყვა მოირებს.
 იწყეთ მწყემსური სიმღერა, იწყეთ ძვირფასო მუზებო!
 მასთან მივიდა კიპრისიც, პირზე ტკბილდიმილიანი, 95
 თან უღიმოდა თვალთმაქცი, თან – გულში ბოდმას მაღავედა,
 და უთხრა: „აღთქმა ხომ დაღე, რომ ეროსს მოერეოდი!
 დაფნის, რაო, თვით ეროსმა, იმ უძლეველმა გაჯობა?"
 იწყეთ მწყემსური სიმღერა, იწყეთ ძვირფასო მუზებო!
 იმას დაფნისმა პასუხად შესძახა: „კიპრის, მტანჯველო!
 კიპრის, შე საგინებლო! კიპრის, შე მტერო მოკვდავთა!
 რას მამცნობ ახლა? რომ ჩემთვის ყველა მზე ჩაესვენება?
 ეროსს ტანჯვით და წამებით ჩაჰყავს ჰადესში დაფნისი!"
 იწყეთ მწყემსური სიმღერა, იწყეთ ძვირფასო მუზებო!
 კვლავ უთხრა კიპრისს მემროწლემ – „წაეთერ შენს ანქიზოსთან!
 იდას წაეთერ! იქ არის მუზებიც, კიპეიროსიც!
 იქ ტკბილად დაზუზუნებენ თავის ნაყარში ფუტკრები“.
 იწყეთ მწყემსური სიმღერა, იწყეთ ძვირფასო მუზებო!
 „მთიელი ადონისიც ხომ არკვს იქავე ამოვებს,
 ფრინველს სროლით არ ასვენებს და ნადირს სდევნის ყოველგან“.
 იწყეთ მწყემსური სიმღერა, იწყეთ ძვირფასო მუზებო! 110
 მერმედ კი დაღექ, რომ მიხვალ დიომედესთან და უთხარ:
 „მეძროზე დაფნისს ვაჯობე, მოდი და შენც მებრძოლე-თქო“.
 იწყეთ მწყემსური სიმღერა, იწყეთ ძვირფასო მუზებო!
 „ვაჰ, მგლებო! ვაჰმე, ტურებო! მთად მობუნავე დათვებო!
 მშვიდობით, მწყემსი დაფნისი აღარ მოგივალთ არც ტყეში,
 არც მუხნარსა და ჭალაში. მშვიდობით, არეთუსა და
 მდინარეებს, რომელნიც თიმბრისზე ლამაზ წყალს ერთივით“.
 იწყეთ მწყემსური სიმღერა, იწყეთ ძვირფასო მუზებო!
 „მე დაფნისი ვარ, ის, ვინაც ფურებს აქ აბალახებდა,
 დაფნისი, ვინც არწყულებდა აქ ხბორებსაც და ხარებსაც“.
 იწყეთ მწყემსური სიმღერა, იწყეთ ძვირფასო მუზებო! 120

„ვაჰ, პანო, პანო! თუკი ხარ ლიკაიონზე – დიდ მთაზე,
 ან – მაღალ მაინალონზე თუ ქხვალ, წამოდი კუნბულზე
 სიცილიისა, დატოვე ჰელიკეს დიდი ყორღანი, 125
 ლიკეონიდის ქეასვეტი, ნეტართა მოწონებული!“
 ამოთქვით მწყემსის სიმღერა, ისევ ამოთქვით, მუზებო!
 „ო, მეუფეო, მოდი და წაიღე ცვილით შეკრული
 სატურნიანი, ლამაზი, ხმატკბილი ა – ეს სირინქსი,
 „რადგან მე უკვე მიმართევეს პადესში ვნება მტანჯველი“. 130
 ამოთქვით მწყემსის სიმღერა, ისევ ამოთქვით, მუზებო!
 „ახლა ქაცვმა და აკანთომ იებიმც გამოიტანონ.
 მაყელის ბურქებზე ლამაზი სუმბულიმც გადაფურჩქნულა,
 უკუღმამც ქმნილა ყოველი, ოდეს აქ კვდება დაფნისი!
 ფიჭვის მსხლებიმც გამოსხმია და ძაღლსამც მისდევდეს ირემი,
 ჭოტის ბულბულთან მღერაში შეჯიბრი სწორიმც ყოფილა!“ 135
 ამოთქვით მწყემსის სიმღერა, ისევ ამოთქვით, მუზებო!
 ეს თქვა და სიტყვაც გაუწყდა. აფროდიტემ კი ისურვა
 კვლავ აღედგინა, მაგრამ იქ გაწყვიტეს ძაფი ყოველი
 მოირებმა და დაფნისი დინებას დაჰყვა, მორევში 140
 გაქრა მუზათა მოყვარე, იგი არც ნიმფებს არ სძულდათ.
 ამოთქვით მწყემსის სიმღერა, ისევ ამოთქვით, მუზებო!
 მომეცი თხა და ფიალა! თხას მოეწველი და დაუთხევე
 მუზებს თავისას! მაღლობა, დიდი მაღლობა, მუზებო!
 სხვა დროს კი თქვენი შეწვევით უფრო საამოდ ვიმღერებ. 145

თ ხ ი ს მ წ ყ ე მ ს ი :

თაფლსამც ავესოს გოლეულს ეგ შენი პირი, ო, თირსის!
 მაგ შენს პირს – ეგილოსური ლეღვის ჩირი ნუ მოაკლოს!
 რამე რომ იყოს, ჭრიჭინას ბეერად აჯობებ მღერაში.
 აჰა ფიალა! დაიტკბე თვალი! ოჰ, რა სურნელი აქვს:
 ასე გგონია, ჰორების წყარობშია ნაელები. 150
 მოდექი აქ. კისაითა! თირსისო, მოდი, მოწველე!
 წალებო, რას აკუნტრუშდით! წყნარად, ვაცი არ მოგიდგეთ!

ილილია II

ჯადოქრები

დაფნა რა მექნა? თესტილის, მომე! სასმელი სადღაა?
 ფინიკიური ცხერის მატყლი შემოაკარი ფიალას,
 ასემც შეკრულა ის გულქვა კაცი, რომელიც მე მიყვარს.
 მტანჯველი მეთორმეტე დღეც მიილია და ის არ ჩანს,
 არცა იკითხავს, ამდენ ხანს გაეწყვით თუ დავრჩით უმისოდ. 5
 ჭიშკართანაც არ მოსულა ის ჩემი მტერი! ეტყობა,
 აფროდიტემ და ეროსმა სხვა ქალს შეჰყარეს ორგული.
 ხვალ მივალ ტიმაგეტესის პალესტრის წინ, რომ ის ვნახო
 და ერთი კარგად ვეჩხუბო! ეს რა ჰქნა! ოჰ, ეს რა მიყო!
 ახლა მსხვერპლს გწირავ, რომ იგი შემაკერევიწო, სელენე!
 წყალობით გადმომანათე, გიმღერ, ნათელო დემონო! 10
 ო, ბთონიურო ჰეკატეე! ლეკვები ძრწოლევით გეხდებიან

ყორღანთა ზედა დათხეულ შავ სისხლზე მკედრეთით ამოსულს.
 დიდება შენ, საშიშარო ჰეკატე! მომყევ ბოლომდე,
 რომ ჯაღო შევექმნა ისეთი, ვერც მეღეამ და ვერც კირკემ, 15
 ვერც იმ ოქროსფერთმიანმა პერიმედემ ვერ მაჯობოს.
 იუნქს, იბრუნე, ჩემს სახლში შენ დააბრუნე ის კაცი!
 პირველად ქერი მოეხარშოთ ცეცხლზე. ჩაყარე, თესტილის!
 რა იყო, შე საცოდავო, სად გაგაფრინეს ფიქრებმა?
 იქნებ ნიშნს მიგებ, ასეთი პატივყარილი რომ დავრჩი? 20
 თან ჩაყარე და სანამ ყრი – „დეღფისის ძვლებს ვყრი“ – თან ეს თქვი.
 იუნქს, იბრუნე, ჩემს სახლში შენ დააბრუნე ის კაცი!
 დეღფისმა მე რომ დამბუგა, მეც – დეღფისს დაფნას დაეუწვავ.
 როგორც ამ დაფნას მოედო ალი, გუგუნით ავარდა
 და მერე უცებ ჩაიწვა, ფერფლიც კი არ დამინახავს, 25
 ნეტამც დეღფისის სხეული ცეცხლს დაეფერფლოს ასევე!
 იუნქს, იბრუნე, ჩემს სახლში შენ დააბრუნე ის კაცი!
 არტემის, ახლა შეგწირავ ქატოს და ის უსინდისო
 მოუსაველეთში ჩაგზავნე, მის ოხტში ამომიყვანე!
 თესტილის, აი ძაღლები მთელ ჩვენს ქალაქში აყმუვლდნენ, 30
 ქალღმერთი გზაჯვარედინზე დგას, წინწილსა ჰკრავს ხშირ-ხშირად.
 იუნქს, იბრუნე, ჩემს სახლში შენ დააბრუნე ის კაცი.
 აჰა, თვით ზღვაც კი გაჩუმდა და თვით ქარებიც გაჩუმდნენ;
 ჩემი გული კი ბობოქრობს, გულს კი ჯავრი არ ასვენებს.
 მისთვის ვიწვი და ვიდაგვი, ვინც ქალწულება წამართვა 35
 და უბედური დამტოვა ცოლად მოყვანის მაგიერ.
 იუნქს, იბრუნე, ჩემს სახლში შენ დააბრუნე ის კაცი!
 როგორც მე ვადნობ დემონის ძალით ამ ცვილის ჩიტუნას,
 ასევე დამდნარა ვნებისგან მსწრაფლ მინდოსელი დეღფისი.
 ვით ეს სპილენძის ბორბალი აფროდიტესგან აქ ბრუნავს, 40
 ოჰ, ასევე უტრიალია ჩემი ჭიშკრის წინ იმასაც.
 იუნქს, იბრუნე, ჩემს სახლში შენ დააბრუნე ის კაცი!
 სამგზის დაგიბეჯე და სამგზის ამგვარად ხმა-გყოფ, ქალღმერთო:
 იმას თუ ქალი ან კაცი გაუჩენია საყვარლად,
 დე, დავიწყებამ შეიპყროს, როგორც შეიპყრო თეზეესი, 45
 დიაზე ლამაზთმიანი არიადნე რომ დაქვიწყდა.
 იუნქს, იბრუნე, ჩემს სახლში შენ დააბრუნე ის კაცი!
 არკადიაზე იზრდება ჰიპომენეისი – ყველა კვიცს
 ისე აგვიებს, რომ მთაზე არბიან ფაშატებისთვის.
 ასევე მენახოს დეღფისი, მათსაკვით გაგიჟებული 50
 იმ პალესტრიდან ჩემს სახლში მოვარდეს ტანგაზეთილი.
 იუნქს, იბრუნე, ჩემს სახლში შენ დააბრუნე ის კაცი!
 ა – ეს არშია დეღფისმა დაკარგა თავის ქლენადან,
 ახლა მე ამას თან ვგლეჯ და თან ამ მძვინვარე ცეცხლზე ვყრი.
 ავაჰმე, ეროს, მტანჯველო! ჭაობის წურბელასაკვით 55
 რად დამეწაფე და შავი სისხლისგან რატომ დამცალე?
 იუნქს, იბრუნე, ჩემს სახლში შენ დააბრუნე ის კაცი!
 ამ ჯაღო სასმელს გაექნი და ზეალ გამზადებულს მივართმევე.
 თესტილის, ახლა წაიდე ეგ საცხი, ასე მოზილე,
 მისი კარის ზღურბლს წაჰგლისე, ვიდრემდე შეირიჟრაუებს, 60

თან იფურთხე და თან ეს თქვი: „დეღუფისის ძვლებს ვზელ.

დეღუფისის!“

სულს და გულს მაინც ის უნდა, ვინც ჩემი სიტყვა არად ჰქმნა,
იუნქს, იბრუნე, ჩემს სახლში შენ დააბრუნე ის კაცი!

ახლა კი მარტოდ შთენილმა გლოვა საიდან დავიწყო?

ისევე იმისგან დავიწყებ, ვისმა ტრფიალმაც დამღუპა.

65

ჩვენი ანაქსოც, ასული ევბულოსისა, წავიდა
კანფეოროსად ჭალაში არტემისისა, იქ ქალღმერთს
ნადირთ აღლუმი მიუძღვნეს, თვით ძუ ლომიც კი არ აკლდათ.

ისმინე, ვითარ შემოიპყრა ვნებამ, უფალო სელენე!

მე თევზარიდამ ნეტარმა, იმ თრაკიელმა გადიამ

70

და მეზობელმა კარისა გადმომძახა და მევედრა,

საზეიმო სელა ვნახოთო. მე და ის ერთად წავედიო,

ის უბედური! ბისონის სირიულ ლამაზ ქიტონში

გამოვეხევიე, ქსისტოდა – კლეარისტასი მემოსა.

75

ისმინე, ვითარ შემოიპყრა ვნებამ, უფალო სელენე!

შუა გზაში რომ ვიყავით, ეზოსთან ლიკანოსისა

მე დავინახე დეღუფისი, ევდამნიპოსის მხარდამხარ.

ნეგოზე უფრო ოქროსფრად პირშეღინღული ორივე,

მკერდები – ბევრად მბზინვარე, ვიდრე შენა ხარ, სელენე!

80

ისმინე, ვითარ შემოიპყრა ვნებამ, უფალო სელენე!

როგორც შევხედე, გავვიყდი. მყის შემომეგზნო ხანძარი,

უბედურს. ვაჟმა ლამაზმა მე ისე დამწვა, ზემის

არარა გამიგია რა, აღარც ის მახსოვს, შინ როგორ

დავბრუნდით. უკურნებელი სენი შემყარა დეღუფისმა,

85

ათსა დღესა და ათ ღამეს ვერ განვეშორე სარეცელს.

ისმინე, ვითარ შემოიპყრა ვნებამ, უფალო სელენე!

გავყვიითლდი, ისე გავყვიითლდი, თაფსოსისფერი შევიქმენ,

თავზე თმა აღარ მრჩებოდა, ისე მცვიოდა, სულ მალე

დაერჩი ძვალი და ტყავილა. ეპ, ვისთან აღარ ვიყავი,

90

სიმღერით გამომლოცველი დედაბრები კი არ ეცადე?

არსაით ჩანდა საშველი, დრო კი გარბოდა, გარბოდა.

ისმინე, ვითარ შემოიპყრა ვნებამ, უფალო სელენე!

მაშინ მე ამ ჩემს მოახლეს სიტყვა ვუთხარი მართალი:

„თესტილის, უნდა მომგვარო ჭირთაგან ჩემი დამხსნელი.

95

იმ მინდოსელი ბიჭისგან მჭირს ეს ყოველი. მაშ წადი,

ტიმაგეტისის პალესტრის წინ უდარაჯე შენ იმას,

იქ გამოჩნდება, ბიჭებს ხომ იქ უყვართ ხოლმე დასხდომა“.

ისმინე, ვითარ შემოიპყრა ვნებამ, უფალო სელენე!

„რომ დაინახავ, მარტოა, მიდი და ჩუმაღ უთხარი –

100

„შენ სიმართა გიხმობს-თქო“ და აქაც ამომიყვანე“.

ეს ვუთხარ. ქალიც წავიდა და შინ მომგვარა დეღუფისი,

ზეთით ტანგაბზინებული. მე ის მაშინვე ვიცანი,

როგორც კი ჭიშკარს გამოსცდა და ზღურბლზე ფეხი შემოდგა.

105

ისმინე, ვითარ შემოიპყრა ვნებამ, უფალო სელენე!

თოვლის უმეტეს გავცივდი სულ ერთიანად და შუბლზე

ოფლი ღვარივით წამომსკდა, როგორც სამხრეთულ სიცხეში.

ხმაც კი ვერ დავძარ, ისეც კი, ძილში რომ ჩაულულულელებს

რაღაცას დედას, საყვარელს, ჩახუტებული პატარა.
 ლამაზი ფერი დაკარგე, გაეხედი – ვით სანთლის თოჯინა.
 ისმინე, ვითარ შემოიყრა ვნებამ, უფალო სელენე! 110
 რომ დაძინახა, უგრძობმა მიწას დააპყრა თვალები,
 თან ჩამომიჯდა საწოლზე და ეს ტყუილი მოჩმახა:
 „ოჰ, სიმაითა, შენ ისე გამასწრე, როგორც გუშინწინ
 თვითონ გავასწრე შეჯიბრზე სირბილში ლამაზ ფილინოსს,
 ამ ჭერქვეშ შენთან რომ მიხმე. აჰა, მოვედი, შენთან ვარ!“ 115
 ისმინე, ვითარ შემოიყრა ვნებამ, უფალო სელენე!
 „რამეთუ მეც ვაპირებდი, ვფიცავ ტკბილ ეროსს, აქ მოსვლას!
 სამი ან – ოთხი ძმაცაცით, როგორც კი შელამდებოდა.
 ვაშლები დიონისესი უბეში მელაგებოდა,
 პერაკლეს წმინდა ალვის რტო თავს მეღგებოდა გვირგვინად, 120
 თეთრი რტო შეწნულ-შეკრული ასე პორფირის ბაფთებით“.
 ისმინე, ვითარ შემოიყრა ვნებამ, უფალო სელენე!
 „თუ მიმიღებდი, მაშ ჩემიც შეიქმნებოდი – არც მიკვირს,
 მე ყველა ბიჭზე მარჯვე და ლამაზიცა ვარ, ამბობენ –
 მხოლოდ ის დამაწყნარებდა, ეგ ბაგე რომ დამეკონცა. 125
 ხელს თუ მკრავდი და ამ ჭიშკარს ურდულით ჩამირაზავდი,
 ნაჯახებით და ლამპრებით გზას გავიხსნიდი შენამდე“.
 ისმინე, ვითარ შემოიყრა ვნებამ, უფალო სელენე!
 „ახლა კი, როგორც წესია, ჯერ კიპრისს შევთხოვ წყალობას,
 მერე – შენ, შენ ხომ კიპრისის შემდეგ მეორე ქალი ხარ, 130
 ასე ნახევრადამწვარი შენ განმარინე ცეცხლისგან,
 რაკი შენს სახლში მიწვიე, ო, სიმაითა! ეროსი
 ჰეფესტო ლიპაროსელზე დიდ ცეცხლს დააგზნებს ხანდახან“.
 ისმინე, ვითარ შემოიყრა ვნებამ, უფალო სელენე!
 „თუ კაცი ერთი შეუჩნდა, ქაწულს სახლიდან გაიყვანს 135
 და პატარძალს კი – ქმრის გამთბარ სარეცელს დააგდებინებს“.
 ასე უბნობდა, ჩემს შებმას ბევრი არ დასჭირებია,
 ხელი კვიდე და ღუნღულა ლოგინზე წამოვიწვინე,
 სხეულმა მყისვე ააგზნო სხეული და სახეებმაც
 ცეცხლი გადასდეს ერთმანეთს, თან ეჩურჩულებდი საამოდ. 140
 დიდხანს არ გაგრძელებულა ჩვენი არშიყი, სელენე!
 იქ მოსახდენი მოხდა და ნდომამ შევევიყრო ორივე.
 გუშინდელ დღემდე არც მე და არც იმას არრა გვეწყენია
 ერთმანეთისგან. დილას კი ვარდისფერთითა ეოსის
 ოკეანიდან ზეცაზე ამოსაყვანად ვიდრემდე 145
 ცას გადირბენდნენ ცხენები, მელიქსოსა და ფილისტას
 იმ ჩვენი ავლეტრისისა დედა მეწვია რატომღაც.
 რა არ მითხრა და ისიც, რომ დელფისს სხვა შეჰყვარებია.
 ვისი ენება სჭირს, ქალის თუ კაცის, არ უთქვამს ამდენი,
 ეს არ იცოდა, სხვა კი თქვა – თურმე ბოლომდე დაყლურწა 150
 იმ ოხრის საღვგრემლო და მერე სირბილით გაეარდა,
 რომ გვირგვინებით მოერთო იმისი სახლი, ვინც უყვარს.
 ა, ეს შიამბო სტუმარმა და უნდა იყოს მართალიც.
 დელფისი დღეში სამჯერ და ზოგჯერ ოთხჯერაც მნახავდა,
 თავის დორიულ საზეთეს ბევრჯერ ჩემთანაც ტოვებდა. 155

ახლა კი თორმეტი დღეა, თვალით არ დამნახვებია,
 თუ სხვა არ გაუჩენია, მაშ მე რად მომიძულებდა?
 ახლა წამლებით შეეკრავ და თუ მაინც ასე დამტანჯავს,
 მოირებს მიუკაკუნებს, ვფიცავ, პაღესის ჭიშკარზე.
 წამლებს კალათში ჩავძალავე და დელფის ასე წავეულებ.
 ასირიელმა სტუმარმა ქალმა მასწავლა ყოველი.
 შენ, ქალბატონო, ნავაჭრით გახარებული გაბრუნდი
 ოკეანის გზით და მე კი ისე ექმენ, ვით დამარიგე.
 ნახვამდის, ო, მოელვარე სელენე და თქვენც ნახვამდის
 წვრილნო ვარსკვლავნო, მხლებლებო მშვიდთა ღამეთა ეტლისა.

160

165

იდილია IX

კიკლოპი

პიერიდებზე უებრო წამალი ჯერ არ არსებობს,
 ვერც ფხვნილი და ვერც მალამო სიყვარულს ისე ვერ არჩენს,
 ნიკიას, ჩემო! იოლიც არის კაცთათვის, საამოც!
 ასე მგონია! შოვნა კი, რა ექნათ, არ არის იოლი!
 მაგრამ შენ ხომ ხარ ექიმი კარგი და სახელგანთქმული
 და ცხრა მუზასაც უყვარხარ, უყვარხარ, როგორც – რჩეული.
 ასე არ გადაიტანა იმ ჩვენებურმა კიკლოპმაც,
 ბებერმა პოლიფემოსმაც ტრფიალი გალატეასი!
 მაშინ ის იყო, წვერი და უღვაში ახლად აშლოდა.
 უყვარდა, მაგრამ ვერც ვაშლებს, ვერც ვარდს, ვერც –
 კულულს უძღვნიდა.

5

10

გიჟივით იქცეოდა და ყველაფერს არრად აგდებდა.
 ბევრჯერ მისულა თავისით ზურმუხტი სამოვრებიდან
 ცხვარი ფარებში და ის კი გალატეაზე მღეროდა.
 უხმობდა წყალმცენარიან ზღვის ნაპირისკენ ბღავილით,
 განთიადიდან, დნებოდა, გულს ქვემოთ იყო დაჭრილი,
 დიდი კიპრისის ისარი შიგ ღვიძლში ჰქონდა მორტყმული,
 მაგრამ მიაგნო წამალსაც, იქ მაღალ კლდეზე ჩამოჯდა,
 თან ზღვისკენ იყურებოდა და თან ამეებს მღეროდა:
 (სიმღერა)

15

ო, თეთრო გალატეია, რად განმამეებ შენს მეტრფეს,
 შენ, კვერცხზე უფრო თეთრო და შენ, კრავზე უფრო ნაზო!
 შენ, ხბოზე ანცო და ველურ მკვახე ყურძენზე მკვრივო.
 მაშინ ხომ მომეახლები, როს ტკბილი ძილი მეწვევა
 რად ქრები მყისვე, როგორც კი ის ტკბილი ძილი დამაგდებს!
 რუხ მგლის თვალნაცემ ცხვარივით რატომ გამირბი, მითხარი?
 მე შემეყვარდი, ქალწულო, როცა დედაჩემს გაჰყევი
 მთაზე პირველად, სუმბულის ფოთლები გსურდათ, გეკრიფათ.
 მე კი იმ გზაზე გახლდით და წინ მიგიძლოდით ორივეს.
 მაშინ რომ თვალი მოგწყვიტე, საბოლოოდ რომ შეგხედე,
 მას შემდეგ არც მინახიხარ, ზეესს ვფიცავ, შენ არც გადარდებ!

20

25

მივხვდი, ღამაზო ქალწულო, მივხვდი, რატომაც გამირბი – 30
 რადგანაც ეს გაბანჯკვლული ორივე წარბი მთელ შუბლზე
 ერთი ყურიდან მეორე ყურამდე გადამჭიმვია,
 თვალიც ერთი მაქვს, ცხვირიც კი – ტურნებზე დატყეპებული.
 ხომ ასეთი ვარ, მაგრამ მე ას ცხვარსაც ვმწყემსავ და ვწყვლი
 და ისეთ რძეს ვსვამ, რომ იმას ქვეყნად რძე არ შეედრება. 35
 ყველი არ შემომღლეია არც ზაფხულსა და ზამთარში,
 არც შემოდგომით, მიწყვიად საესე მაქვს ყველა კალათი,
 სირინქსსაც ვუკრავ, – ვერც ერთი კიკლოში აქ ვერ მაჯობებს.
 შენ, ჩემს საყვარელ ტკბილვაშლას სულ ჩემთან ერთად გახსენებ
 ღამ-ღამობით რომ ვიძღერი. შენ ვიზრდი თერთმეტ ირემსაც, 40
 შუბლზე მთეარე რომ აჩნიათ, დათვის ოთხ ბელსაც გინახავ.
 ოღონდაც მოდი, იცოდე, უკლებლივ მოგცემ ყველაფერს!
 ეგ ზღვა, ლაყვარდი ხმელეთსამც ეხეთქოს და იღრიალოს,
 შენ ჩემთან ერთად ატარე ღამეზე ტკბილნი ღამენი!
 მაშ ამდენ რამეს, მითხარი, ზღვა და ტალღები სჯობია? 45
 აქ დაფნებია, აქ არის მოქნილი კიპარისები,
 შავი სუროც და უტკბესი ყურძნით ავისილი ვაზებიც,
 ცივ-ცივი წყალიც, მე ეტნა მრავალტყვიანი მიგზავნის
 სასმელად ამბროსიასაც, თეთრთა თოვლთაგან ნაჟურსა.
 ისიც ვიფიქრე – თუკი გინჩს, რომ ძლიერ ბანჯკვლიანი ვარ, 50
 მუხის შეშა მაქვს და ცეცხლიც – ღადარში გაუქრობელი.
 ამ თავსაც შევიტრუსავდი შენთვის და ამოვიძრობდი
 სულსაც და თვალსაც ერთადერთს, სხვა რა მაქვს უფრო ძვირფასი!
 ვაჰმე, დეღამ რად არ მშობა ლაყურჩიანი, ვაჰ, რა ვქნა!
 მოკცურდებოდი შენთან და ხელთ მაინც დაგიკოცნიდი, 55
 ტურნებს თუ ამარიდებდი, თან მოგართმევდი თეთრ შროშანს,
 ანდა, – ღადღადა ყაყაჩოს, ველის ყაყაჩოს ქორფასა.
 ერთის დრო თუა ზაფხული, მეორე ხარობს ზამთარში,
 და ასე ერთად ყველაფერს სხვა ჩემებრ ვერვინ მოგიტანს.
 ვაი, ქალწულო, ვეძიებ, ახლა მანდ როგორ მოეცურდე, 60
 ნეტავი სხვასაც გაეველო აქ ზომალდიან უცხოელს,
 ერთი გამეგო, ვინც ცხოვრობთ მანდ, ზღვის სიღრმეში რა მოგწონთ?
 მო, გალატა, მოდი და დავიწყებიდან მიხსენი!
 აქა ეზი, წასვლის დროა და შინ წასვლა არ მაგონდება.
 ნეტავი მოისურვებდე, ერთად გვემწყემსა ცხოვარი, 65
 თან რძე გვეწველა, თან მწყლარტე კვეთიც ჩაგვეერთო საყველოდ.
 ერთი შეილი ჰყავს დედაჩემს და რა უგულოდ მექცევა –
 ჩემზე შენ ერთ კარგს არ გეტყვის, იცის კი აქ რა დღეშიც ვარ?
 თან მხედავს, ასე დღითი-დღე როგორ ვხმები და ვილევო.
 მაშ ეტყვი, თავიც მისკდება, ორივე ფეხიც მტეხს-მეთქი. 70
 დედა, იტანჯებოდეს, როგორც აქ მე ვიტანჯები.
 ოჰ, კიკლო, კიკლო, ნეტაი საით გავირბის გონება?
 რაკი მოსულხარ, კალათიც მოგეწნა, გეჭრა ნეკერი,
 ბეკეებისთვის წაგედო, ნეტავი ჭკუა გყოფნოდა.
 რაც შენთანაა, მოწველე, და რაც გავირბის, სად მისდევ? 75

იპოვი გალატეას მსგაესს და სხეასაც, უფრო უკეთესს.
ღამით მრავალნი ქალწულნი ერთად რომ შეიყრებიან,
მე მეძახიან და ყველა ხითხითებს, ოღეს ხმას გაეცემ.
აი, მეც ამ ჩემს მიწაზე კაცი ვარ, კაცად ვითვლები!
ასე მომწყემსა ეროსი პოლიფემოსმა, სიმღერით,
თან განიკურნა იოლადა, თან – ოქროებიც დაზოგა.

80

თარგმნა დალილა ბედიანიძემ

ეპიგრაფიკული პოეზია

ასკლეპიადესი



ყვაილთა პატარა წნულო, კარს ზემოთ ეკიდე მშვიდად,
ნუ შეირხევი ოღონდ, ნუ მიმოახნე ფურცლებს,
ფოთლები დაგილბე ცრემლით – ცრემლი მაქვს დღემუდამ თვალზე,
პოდა, მიჯნური ჩემი თუ გამოაღებს კარებს,
აპკურე ყვაილთა ნაში – თვალთაგან ნადენი წვიმა,
ჩემი მხურვალე ცრემლით რომ დაენამოს თმები.



დამთოვე, დამეცი მეხი, დამსეტყვე, დამაგდე ბნელში,
ქვე დაანარცხე მიწას ელვა-ღრუბლები ძოწის!
მომკლავ და დავცხრები მაშინ, მაგრამ თუ დამარჩენ ცოცხალს,
რა ექნა, რაც უნდა გაწყრე – ღზინს მიეცემა, ზევსო!
მე შენზე ძლიერ ღმერთს ემონებ, მისი ტყვე შენც იყავ ერთხელ,
როცა სპილენძის კოშკში მოხველ ოქროვან წვიმად!



ჯერ ოცდარისაც არ ვარ – ცხოვრებით გაებეზრდი უკვე,
ჰეი, ეროსნო, ვიწვი, თქვენმა სახმილმა დამწვა,
სრულად რომ მოგენდოთ მერე? მერედა, რაც მელის ვიცო,
ძელებს კამათლებად მიქცევთ და გააჩაღებთ თამაშს!



რა ენებით მეკვროდა უწინ, რა ზვეენა-ალერსით მკლავდა,
ვაგლახ, ვედარც კი მამჩნევს არქეადესი ეხლა.
ჩამტყბარი ეროსიც ზოგჯერ გბეზრდება, ამოგდის ყელში,
ზოგჯერ ტყივილის შემდგომ უფრო ამოა ტრფობა.



მო, ასკლეპიადეს, ჩემთან, დავლიოთ, რა ცრემლებს აფრქვევ,
აეი კიპრისის მსხვერპლი განა შენა ხარ მხოლოდ,
და განა შენ ვესერის მხოლოდ სასტიკი ეროსი ისრებს,
ჯერ ხომ არა ხარ მკედარი, ცოცხლად საფლავში წვები?!
ბახუსის სასმელი შეევათ, შეევათ და ეოსიც მოვა,
რადას ველოდოთ ნეტა, ძილის მაცნეებს – ლამპრებს?!
დავლიოთ, მივეცეთ ღზენას, დავლიოთ, არ დაგვრჩა ბევრი,
მაღე მოგველის ყველას მარადიული დამე!

თარგმნა მანანა ღარიბაშვილმა

ლეონიდასი

აეგოეპიგაფია

შორს იტალიიდან ეწევეარ და ვნატრობ მშობლიურ ტარენტს.
ალბათ, სიკედლიზე მწარე უფრო ეს არის ჩემთვის.
ასეა ყარობის ბოლო – გზაშია საბრალო მუდამ,
მაგრამ ტანჯვის წილ მუზამ სიმღერის ნიჭი მიძღვნა,
მოივლის ზღვასა და ზმელეთს სიმღერა – მუზათა ძღვენი,
რომ ლეონიდეს სახელს ვერა დააკლოს ეამმა!



„ჭიგოს რომ ეყრდნობა ვაზი, ყავეარჯენს ეყერდნობი ისე,
გელის სიკედლილი, გორგოს, ჰადესისაკენ გიხმობს,
გეძახის, მიუგდე ყური, რაღაში გჭირდება ვითომ,
რომ სამიოდე წელი მზეზე იჯდე და თელემდე.“
ესა თქვა მოხუცმა მშვიდად, ხელები დაიწყო გულზე –
და უდრტინეველად გაჰყვა ჰადესს მიმავალ ბილიკს.

ჰომეროსს

აბნელებს ვარსკვლავთა ციაცს და მთვარის ნათელსაც აქრობს
მზის ოქროვანი ეტლი ცის კაბადონზე მსრბოლი,
ჰომეროს, ასევე ჩრდილაე შენს ირგვლივ აედთა გუნდებს,
უკვდაე მუზათა ბრწყინვით ცაზე ეულად ბრწყინავ!

...

შიშველი ძელები ვარ, მგზავრო, ეს ძელებიც ცალ-ცალკე ყრია,
ჩემი საფლავის ფილაც გადაეარდნილა განზე,
ჭიებმა გამოხრეს კუბო და ირგვლივ ფუთფუთი გააქეთ,
ვითომ საფლავში ეწევეარ? ვითომ მაყრია მიწა?
ახალი ბილიკიც განდა, ბილიკიც გაკვალეს აქეთ,
ხალხი მიმოდის მშვიდად – თავზე დამადის ფეხით,
გაფიცებ, კეთილო მგზავრო, ნიქტოსს და ჰერმესს და ჰადესს,
ფეხს ნუ დამადგამ თავზე, გვერდი უქციე ბილიკს!

თარგმნა მანანა ღარიბაშვილი

მელეაგროსი

აეგოეპიგაფია

ერთსა ვთხოვ, კეთილო მგზავრო, მდუმარედ გაჰყევი ბილიკს,
რჩეულს რჩეულთა შორის აქ მელეაგროსს ძინავს,
ვინც იყო ევეკრატეს ძე და ვინც ლაღად უმღერდა ლექსში
ლალ ქარიტებს და მუზეებს და ტკბილცრემლიან ეროსს,
ვინც ღეთიურ ტვიროსმა ზარდა და წმინდა გადარის მიწამ,
ზოლო სიბერის ხანად კოსმა თავისთან უხმო.

ელინმა „ხაირე“ უძღვენ, სირიით მოსულმა „სალამ“.
ფინიკიელმა მკზავრმა „ნაიდიოსი“ უთხარ.



ფილა სიაძით ამბობს, ფილა რაკრაკით ჰყვება,
რომ ძენოფილე მალმალ ბაგეს ბაგეზე აჭდობს,
ნეტარო ჭურჭელო. ნეტავ ჩემს ტუჩსაც მიაჭდოს ბაგე,
მეც დამეწაფოს ასე, სულმოუთქმელად შემსვას!



რაიურაჟო, ფეხს ითრეუ ახლა? მტერი ხომ არა ხარ ჩემი?
ახლა, როდესაც დემო სხეას – ჩემმაგიერს კოცნის.
როდესაც მე ვიყავ მასთან, რა სწრაფად მოქროდი მაშინ,
რა გამალებით მცემდი მაშინ სახეში სხივებს!



რად გინდა ტყუილი ფიცი – მე შენი არ მჯერა მაინც,
ნელსაცხებულთა სუნი შენს დანაშაულს ამხელს,
თვალეზსაც შეხედე, თვალეზს, დაღვენთილს უძილო დამით,
თმაში გარჩენილ ყვაკილს – ღამის გვირგვინთა ნაშთებს,
აშლილ და აწეწილ თმებზეც გეტყობა ორგის კვალი,
ბანცალ-ბანცალით დახვალ, ძლივს და დაათრეუ ფეხებს...
თავიდან მომცილდი, მრუშო! ხომ გესმის პექტისის ხმები
ისევ გეძახის ღზენად, კვლავ საბუქნაოდ გიწვევს!



რა იყო, საბრალო სულო? ეროსი შეგიჩნდა ისევ?
ნუთუ იარამ ძველმა ისევ გაიხსნა პირი?
ზევსს ეფიცავ, იყურე გიჯობს, ზევსს ეფიცავ, სიგიჟეს სჩადი,
მინავლებული ცეცხლი არ აბრიალდეს უცებ.
ხომ გახსოვს, რა გიყო ერთხელ, ხომ გახსოვს, რამდენი გტანჯა,
ჰოდა, წამებით მოგკლავს თუ მოგიხელთა კვლავაც!

თარგმნა მანანა ღარიბაშვილმა

ახალი ატიკური კომედია

მენანდროსი

(დაახ. ძვ.წ. 342-292 წწ.)

„დიდებული წარმომავლობის მენანდროსს ცხოვრებაც დიდებული ჰქონდა“ – გვაუწყებს ერთ-ერთი ბიოგრაფოსი. კომედიათა მთხვეულს მთელი ელინური სამყარო იცნობდა. მას თავის კარზე უხმობდნენ მაკედონიისა და ეგვიპტის მბრძანებელნი, მაგრამ იგი სიციოცხლის ბოლომდე საკუთარ მამულში, პირეოსში ცხოვრობდა მშვიდად.

მენანდროსს ასზე მეტი კომედია დაუწერია და მხოლოდ რვაგზის მოუპოვებია გამარჯვება. ჩვენამდე მისი შემოქმედებიდან ერთადერთმა თხზულებამ მოაღწია სრულად. ეს გახლავთ 1956 წელს აღმოჩენილი კომედია სახელწოდებით „დისკოლოსი“ (მიახლოებით ამ ტერმინს ასეთი მნიშვნელობები დაეძებნება: „ბუბუნა“, „ახირებული“, „კატომოქლე“ და სხვა). ცნობილია მენანდროსის სხვა ქმნილებათა („თამაშოკევილი“, „სამედიაგორო სასამართლო“, „სამოსული ქალი“, „შექვლებული“, „ჟარი“, „მიწის მუშა“, „ორგზის მოცუებული“, „გმირი“, „შერისხული“, „კითარისტი“, „კართაგენელი“, „მლიქვნელი“, „სიკიონელი“, „მოჩენება“)

ფრაგმენტებიც. მასვე მიეკუთვნება ერთსტრიქონიანი ვნომების კრებულიც.

ახალ ატიკურ კომედიაში, რომლის ტიპური წარმომადგენელიც არის მენანდროსი, აისახა საზოგადოების ცნობიერებაში მომხდარი ის გარდატეხები, რომლებმაც თავი იჩინეს ძვ.წ. V საუკუნის ათენში მას შემდეგ, რაც მან დაკარგა თავდაპირველად ელინური სამყაროს ჰეგემონობა, ბოლოს კი პოლიტიკური დამოუკიდებლობაც. ამ პროცესებმა შეცვალეს თეატრიც: ტრაგედიის ეანრი დაკნინდა, კომედია კი ნირი იცავლა. მან უარი თქვა პოლიტიკურ სიმწვავეზე, სატირულ შეფერილობაზე და სუფთა ყოფით კომედიად გარდაისახა. იგი შემოიფარგლა სიუჟეტთა განსამღვრული წრით, რომლის ცენტრშიც ბანალური სატრაგიკო სიუჟეტი მოექცა. გაჩნდნენ ტრადიციული ნიღბები (პერსონაჟები): მეყვარებული ჭაბუკი, მოხუცი ძუნწი მამა, მაჭანკალი, პარასიტოსი და სხვა.

დიდი დრამატურგის სახელი მენანდროსმა მოიხვეჭა იმით, რომ დიდებულად ფლობდა გმირთა ფსიქოლოგიური ხასიათების წარმოჩენის ხელოვნებას, რაც მას საშუალებას აძლევდა შეექმნა ინდივიდუალური სახეები, ტრადიციული ნიღბებისათვის მიენიჭებინა ადამიანური თვისებები, გაემრავალფეროვნებინა და გაერდიდრებინა თეატრალური ნიღბების პირობითი სამყარო.

დისკოლოსი

მოქმედი პირნი:

პანი	ღმერთი
ქაირუასი	პარასიტი
სოსტრაგოსი	შეყვარებული ყმაწვილი
პირიასი	სოსტრაგოსის მონა
კნემონი	მობუცი კაცი
ქალიშვილი	კნემონის შვილი
დაოსი	გორგიასის მონა
გორგიასი	კნემონის გერი
სიკონი	მზარეული
ვეტასი	კალიპიდესის მონა
სოსტრაგოსის დედა	
სიმბიქე	კნემონის მსახური
კალიპიდესი	სოსტრაგოსის მამა

გრამატიკოს არისტოფანეს ჰიპოთესისი

ერთი ახირებული კაცი სოფლად მხოლოდ ქალიშვილის ანაბარა დარჩა. ცოლმა, რომელსაც პირველი ქორწინებიდან ვაჟი მოჰყვა, უემური კაცი მალე მიატოვა. ამ კაცთან ქალიშვილის ხელის სათხოვნელად მივიდა სოსტრაგოსი, ქალზე უზომოდ შეყვარებული ყმაწვილი. ახირებულმა კაცმა ქალიშვილის თაყვანისმცემელი უარით გაისტუმრა. შეყვარებულ ყმაწვილს ქალის ძმის იმედი ჰქონდა, მაგრამ მანაც ვერაფერი გააწყო.

მოულოდნელად კნემონი ჭაში ჩაეარდა და სოსტრაგოსმა გადაარჩინა.

კნემონი ცოლს შეურიგდა, ქალიშვილი სოსტრაგოსს მიათხოვა, გერ გორგიასს კი სოსტრაგოსის და შერთო ცოლად, თავად თვინიერი გახდა.

მენანდროსმა ეს პიესა წარმოადგინა ლენეებზე დემოგენესის არქონგობისა და გაიმარჯვა. მონაწილობდა არისტოდემოს სკაფესი. მიწერილი აქვს მეორე სახელწოდება - „კაცთმოძულე“

სცენაზე ჩანს კნემონისა და გორგიასის სახლები და პანისა და ნიმფების სამლოცველო.

პირველი მოქმედა

სამლოცველოდან გამოდის პანი

პანი

(მაყურებელს მიმართავს)

წარმოიდგინეთ, რომ ეს ადგილი ატიკის ფილეა: ნიმფების საყანე კი, საიდანაც მე გამოვდივარ, ყოვლად დიდებული ტაძარია ფილელთათვის, რომლებიც

აქ კლდეებს ეჭიდებიან.

მარჯვნივ - ამ მამულში ცხოვრობს ერთი უწყური და
ახირებული კაცი. ხალხი არ უყვარს,
„ხალხიო“ ვამბობ? კარგა ხნისამ მოიყარა
და სიცოცხლეში ტკბილი სიტყვა არავისთან
დასცდენია, არავის გამოლაპარაკებია
ჩემს, პანის გარდა, ასე თუ ისე
მეზობელი ვარ. ამას კი, ვიცი, მაშინვე ნანობს.
და მიუხედავად ამისა, ასეთი ხასიათის კაცმა
ცოლი შეირთო ახლადდაქვრივებული
ქალი ხელზე დარჩენილი
პატარა ბიჭით.

10

კნემონი ქალთან ჩხუბში ათენებდა და
ალამებდა. რაც დრო გადიოდა, მით უფრო
უჭირდა ქალს ცხოვრება. კნემონთან გოგონა გაუჩნდა.
უარესი ღლე დაადგა. ენით უთქმელი უბედურება
დატრიალდა. ცხოვრება მძიმე და აუტანელი გახდა.

20

დაუბრუნდა ქალი პირველი
ქორწინებიდან დარჩენილი ვაჟის სახლს.
ბიჭს აქვე, მახლობლად პატარა მამული
აქვს, რომელიც ახლა ძლივს არჩენს
დედას. თავად მას და ერთ ერთგულ მამისეულ
მსახურს. ჯერაც ყმაწვილი
ვაჟი ასაკთან შედარებით ჭკვიანია.
ცხოვრებისეული გამოცდილება აბრძენებს კაცს.
ბერიკაცი კი ცხოვრობს მხოლოდ ქალიშვილსა
და მოხუც მოახლესთან ერთად; შეშას ეზიდება და

30

თოხნის, სულ შრომობს. ყველა
სძულს - ცოლი, მეზობლები, თუნდაც
შორეული. ქალიშვილი კი
ისე გაიზარდა, ცუდი არაფერი
უნახავს. ჩემს ახლობელ ნიძვებს
მონდომებით თავს ევლება. პატივს სცემს
და მეც გადავწყვიტე. მეზრუნა მასზე.
მოვახერხე, რომ ჩვენსკენ შემთხვევით
შემოეხვია აქ დიდი მამულების
პატრონი და მდიდარი მიწათმფლობელის
ქალაქში გაზრდილ ვაჟიშვილს
მონადირესთან ერთად და
გაგიჟებით შეყვარებოდა ქალიშვილი.
ასეთი გახლავთ საქმის არსი. დაწერილებით თუ
გაინტერესებთ გაგება, ნახავთ - თქვენ მხოლოდ ისურვეთ.
მე მგონი, სწორედ ის
შეყვარებული მოდის ვიღაცასთან ერთად
და ამის შესახებ საუბრობენ.

40

(შედის სამლოცველოში)

ქ ა ი რ ე ა ს ი

რას ამბობ. სოსტრატოს! - აქ დაინახე
ქალიშვილი. ნიშნებს რომ გვირგვინს უწნავდა
და მყისვე შეყვარებული გამობრუნდი?
სო ს ტ რ ა ტ ო ს ი

50

მყისვე.

ქ ა ი რ ე ა ს ი

ასე სწრაფად?

წასვლისას უკვე გადაწყვეტილი გქონდა ვინმეს შეყვარება?

სო ს ტ რ ა ტ ო ს ი

შენ ხუმრობ. მე კი ქაირეას, შავ ღლეში ვარ.

ქ ა ი რ ე ა ს ი

ვანა არ მჯერა?

სო ს ტ რ ა ტ ო ს ი

ამიტომაც მოვედი, დამეხმარე.

მეგობარი ხარ და ასეთ საქმეში მეტი სმეტად

გამოქექილიც.

ქ ა ი რ ე ა ს ი

ასეთ საქმეში, სოსტრატოს,

ტოლი არა მყავს. თუ რომელიმე მეგობარს

ჰეტერა უყვარდება, მაშინვე ვიტაცებ,

თავბრუს ვახვევ, ეუჩინხინებ, ბევრს

60

არ ველოლიავები; მთავარია, გაგიმართლოს. დახანება

ხომ აძლიერებს სიყვარულს.

სწრაფად მოგვარებული კი სწრაფადვე ქრება.

თუ თავისუფალ ქალიშვილთან ქორწინებაზე მიდგა საქმე,

მაშინ სხვანაირად ექცევი: გამოვიკითხავ მის ჩამომავლობას,

შეძლებას, ხასიათს. მეგობარს ხომ ცხოვრების

ბოლომდე ისე ვემახსოვრები,

როგორადაც საქმეს მოუგვარებ.

სო ს ტ რ ა ტ ო ს ი

ძალიან კარგი,

ქ ა ი რ ე ა ს ი

მაგრამ მერა?

ჯერ ყველაფერი უნდა გავიგოთ.

70

სო ს ტ რ ა ტ ო ს ი

პირიასი.

ნადირობისას თან რომ მახლდა, ადრევე

გავეზავნე -

ქ ა ი რ ე ა ს ი

ვისთან?

სო ს ტ რ ა ტ ო ს ი

ქალიშვილის

მამასთან ან სახლის პატრონთან,

არც ვიცი. ვისთან.

ქ ა ი რ ე ა ს ი

ო, ჰერაკლე,

რას ამბობ?

სოსტრატოსი

შეეცდი. მსახურს დიახაც

არ ენდობოდა ასეთი საქმე, მაგრამ

შეყვარებულს რა ჭკუა მოეკითხება.

მიკვირს, რად დაიგვიანა ასე.

ნათქვამი მქონდა, როგორც კი რამეს გაიგებდა,

მყისვე შინისკენ გამოეწია.

80

პირიასი

გზა, თავს უშველე, მოეცალეთ აქაურობას.

გიჟი მომღვეს, გიჟი.

სოსტრატოსი

რა მოხდა, ბიჭო?

გაიქეცი!

სოსტრატოსი

რა გჭირს?

პირიასი

ბელტები, ქვები დამიშინა.

მოვეკედი.

სოსტრატოსი

დაგიშინა. საით? უბედურო?

პირიასი

ნუთუ

აღარ მომღვეს?

სოსტრატოსი

ზეესია მოწმე.

პირიასი

მე კი შეშინოდა.

სოსტრატოსი

რას ამბობ?

პირიასი

გვედრები. წავიდე.

სოსტრატოსი

საით?

პირიასი

რაც შეიძლება შორს ამ კარებიდან.

ნამდვილად ურჩხულის ნაშობი,

გულდრძო ან ეილაც უკულმართი კაცი

ცხოვრობს იმ სახლში, სადაც,

ჩემდაჭირად, შენ გამგზავნე. ფეხზე ძლიეს ვდგავარ,

თითები სულ მოვიმტვრიე.

სოსტრატოსი

დაიწყე?

პირიასი

რა? დავთვერი?

სოსტრატოსი

რასაკვირველია.

90

პ ი რ ი ა ს ი

ზეეს ვფიცავ, დავიღუპე.

მოკვდი, სოსტრატოს; ფრთხილად იყავი.

არ შემძლია ლაპარაკი, სუნთქვა შემეკრა:

სახლის კარებზე დაუაკაუნე.

ვუთხარი - პატრონს ვეძებ- მეთქი. გამოვიდა

ვიღაც სულელი დედაბერი და

სახლის პატრონზე გორაკისაკენ მიმითითა,

რომელიც ხოხვა-ხოხვით აგროვებდა

პანტას თუ ლატანს.

ქ ა ი რ ე ა ს ი /სოსტრატოსს/

რა გაბრაზებულა!

/პირიასს/

100

მერე რა მოხდა, ძვირფასო?

პ ი რ ი ა ს ი

ფეხი შევდგი თუ

არა მის მამულში, პირდაპირ მოხუცისკენ გავემართე

და შორიდანვე მივესალმე, მსურდა ყოფილიყავი

რაც შეიძლება თავაზიანი და კეთილგანწყობილი.

მიემართე: "მოვედი შენთან, მამილო,

შენსავე საქმეზე მზრუნველი". მან კი სიტყვის

თქმა არ მაცალა, დამიყვირა: "უნამუსო,

როგორ გაბედე ჩემს მამულში შემოსვლა", აიღო

ბელტი და შიგ სახეში მთხლიშა.

ქ ა ი რ ე ა ს ი

ჯანდაბას მისი თავი.

პ ი რ ი ა ს ი

ესლა მოვასწარი "შენ

პოსეიდონმა..." და თვალთ დამიბზნელდა, რაღაც

პალოს წამოავლო ხელი, მირტყამდა და თან

გამყინაუდ ყვიროდა: "მე შენთან რა საქმე

მაქვს. გზას ვერ აგნებ?"

ქ ა ი რ ე ა ს ი

შენ ამბობ, რომ

მოხუცი ჭკუაზე არაა.

პ ი რ ი ა ს ი

ნამდვილად: გავიქეცი,

თითქმის თხუთმეტი სტადიონი მდია -

ჯერ გორაკის ირგვლივ, მერე ქვემოთ

ტევრში, მესროდა, რაც ხელში მოხედებოდა -

ბელტებს, ქვებს, პანტას.

რა ველურობაა, უსინდისო მოხუცია.

გემუდარები, წადით.

ს ო ს ტ რ ა ტ ო ს ი

შიში გალაპარაკებს.

პ ი რ ი ა ს ი

არ იცით, რა საშინელია. ნადვილად

შეგვჭამს.

120

ქ ა ი რ ე ა ს ი

იქნებ რაიმე უბედურება
შემთხვა. ამიტომ. სოსტრატოს, მე მგონი,
უნდა გადაეღო მასთან მისვლა. შენც კარგად იცი,
რომ ყოველი საქმე შესაფერის დროს
ითხოვს.
პ ი რ ი ა ს ი

ჭკვიანურია.

ქ ა ი რ ე ა ს ი

თითქმის ყველა

ღარიბი გლეხი, მარტო ეს კი არა,
გულღრმია. ხვალ უთენია
მე მარტო მივალ მასთან, სახლიც
ვიცი. ახლა კი წადი შინ
და დამელოდე. ყველაფერი მოგეარდება.
პ ი რ ი ა ს ი

130

ასე მოვიქცეთ.

სო ს ტ რ ა ტო ს ი (ქაირეასზე)

რა გაიხარა, მიზეზიც

ხომ იშოვა. ისე უხალისოდ მომყვებოდა,
რომ თავიდანვე ეტყობოდა, ქორწინების
განზრახვას არ იწონებდა.

/პირიას/

შენ კი.

არამზადა, ღმერთებმა

შეგაჩვენონ.

140

პ ი რ ი ა ს ი

რა დავაშავე, სოსტრატოს?

სო ს ტ რ ა ტო ს ი

რაიმე საძაგლობას ჩაიდენდი.

პ ი რ ი ა ს ი

ზევსს ვფიცავ, არ მომიპარავს.

სო ს ტ რ ა ტო ს ი

აბა, ტყუილუბრალოდ მიგბეგვს?

პ ი რ ი ა ს ი

ასეა.

/გამოჩნდება კნემონი/

ის არის.

მიედივარ ძვირფასო. შენ ელაპარაკე.

სო ს ტ რ ა ტო ს ი

ვერ შეეძლებს. საერთოდ არ მეხერხება

ლაპარაკი. რა ეუთხრა?

კარგ კაცს არ უნდა ჰგავდეს.

ზევსია მოწმე. რა უჩქარია. ცოტას ჩამოვეცლები

150

კარებს. უკეთესია. მოდის და ყვირის,

მგონი ჭკუაზე ვერაა.

აპოლონსა და ღმერთებს ვფიცავ, შემეშინდა

ცოდვა გამხელილი ჯობს.

კ ნ ე მ ო ნ ი

ვანა ორჯზის პედნიერი არ იყო პერსევსი,
ფრაუები რომ შეისხა და კაციშვილს არ ხედებოდა
დედამიწაზე, ანდა ქედ რომ აქცევდა
ყველა თავის შემაწუხებელს. ნეტა
მეც შემემლოს ეს, მაშინ ქვეყნად ქვის
ქანდაკებზე მეტი არაფერი იქნებოდა.
ახლა კი, ასკლეპიოსს ვფიცავ, საშველი აღარაა.

160

უკვე მამულშიაც მეჭრებიან,
ქაქანებენ. ზევსია მოწმე, გზის პირას
მიყვარდა ყოფნა. ახლა მიწის ამ ნაწილს
აღარც კი ვამუშავებ. გზაზე მოსიარულეებს
გაუურბივარ; მაგრამ უკვე ზემოთ,
გორაკისკენაც მოიწვევენ. ო, რამდენი ხალხია ქვეყნად.
ვაიმე, ისე ვილაცა ღვას ჩემს
კარებთან
ს ო ს ტ რ ა ტ ო ს ი

ნუთუ მცემს?

კ ნ ე მ ო ნ ი

ვინმემ ჩამოხრჩობა რომ მოინდომოს,
უკაცრიელადგილს ვერსად ნახავს.
ს ო ს ტ რ ა ტ ო ს ი

170

ჩემზე ბრაზობს? ეელოდები, მამილო, აქ
ვილაცას; ასე შევთანხმდით.

კ ნ ე მ ო ნ ი

ამას არ ვამბობდი?

ეს სტოა გგონიათ თუ ლეოს დუქანი?
თუ ვინმეს ნახეა მაინცდამაინც ჩემს კარებთან
გსურთ, ბარემ ყველაფერი მოიწყვეთ.
სკამები დადგით. ანდა უკეთესია,
სათათბირო გამართეთ. ვაი, რა უბედური ვარ!
ჩემის აზრით, შეურაცხყოფაზე ღიღი ბოროტება არაფერია.
ს ო ს ტ რ ა ტ ო ს ი

180

ცხადია, ეს საქმე უწვალეზლად,
როგორც ადრე მეგონა, არ გამოვა.
ღიღი ხათაბალაა. ხომ არ მივიდე
გეტასთან, მამაჩემის მონასთან? ღმერთმანი,
კარგი აზრია. ცეცხლია, კაცი კი არა და
ყველა საქმეში გამოქექილი. ვიცი, ამ
ახირებულს ის მოუვლის.
ღროს აღარ დაუკარგავ, ერთ
ღლეში რა არ ხდება.
მაგრამ კარებსზე ვილაცამ დააკაუნა.

ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ი

ვაი, მე უბედურს, მე საცოდავს!
რა ვქნა ახლა. ძიძა დოქს
იღებდა ჭიდან და შიგ ჩავარდა.

190

სოსტრატოსი (განზე)

ო, მამაო ზევსო

და მხსნელო ფოიბოს, საყვარელო ღიოსკურებო!
კალმით ნახატია!

ქალიშვილი

მამამ წასვლისას

წყლის გათბობა დამავალა.

სოსტრატოსი (განზე)

ხალხნო, საოცრებაა!

ქალიშვილი

თუ მამამ გაიგო, მოკლავს საწყალ

დედაბერს. ცემს. მოცდა არ შეიძლება.

ბეირფასო ნიმფებო, თქვენგან ავიღებდი წყალს,

მაგრამ მრცხვენია, მსხვერპლის შემწირველები

არ შევაწუხო.

სოსტრატოსი

ნებას თუ დამრთავ, თვალის

დახამხამებაში მოგირბენინებ ღოქით წყალს.

200

ქალიშვილი

ოღონდ მალე, ღვთის გულისათვის.

სოსტრატოსი

რამდენი კეთილშობილებაა

ამ სოფლულ გოგონაში. სათაყვანო ღმერთებო,

რომელი შემეწევით?

(წყლის მოსატანად მიდის)

ქალიშვილი

ვაი, ჩემ თავს,

ვინ დააკაკუნა? ნუთუ მამაა.

თუ გარეთ დამინახა, ნამღვილად

მცემს.

დაოსი /გორგიასის დედას/

ამდენი ხანი დროს ტყუილად ვკარგავ

შენს სამსახურში, ის კი მართო თოხნის. მასთან

უნდა წავიდე. ო, უბოროტესო, დამაქცეველო

სიღარიბევე, რად გადაგვეკიდე,

რად ჩამოგვიჯექი და დაისადგურე

ჩვენთან სამუდამოდ.

210

სოსტრატოსი

აიღე

ღოქი.

ქალიშვილი

მომეცი.

დაოსი /განზე/

რა უნდა ამადამიანს?

სოსტრატოსი

კარგად იყავი, მამას მიხედე!

/თავისთვის/

ვაი ჩემ თავს, უბედურს! მორჩი ტირილს, სოსტრატოს.

ყველაფერი მოგვარდება.

დაოსი

რა მოგვარდება?

სოსტრატოსი

ნუ გეშინია.

როგორც ახლახან აპირებდი. ყველაფერი დაწერილებით მოუყევი ვეტას და თან წამოიყვანე/

დაოსი

ცუდი რა ხდება? რა და, სულაც არ მომწონს, რომ ყმაწვილი თავს ევლება

220

ქალიშვილს. საშინელებაა. შენ კი, კნემონ. ღმერთებმა შეგაჩვენონ.

უმანკო ქალიშვილი უყურადღებოდ, მარტოდმარტო მიაგლე უკაცრიელ ადგილას. არ გაუფრთხილდი.

ალბათ გაიგო ეს ყმაწვილმა

და მოვიდა. იფიქრა

„ღეთის ნაბოძებიაო“. არა, უთუოდ

მის ძმას უნდა შეეატყობინო,

ქალიშვილს უნდა მოვუფრთხილდე.

230

ახლა კი წავედი. ასე მოვიქცევი.

თანაც ვხედავ. გვიახლოვდებიან პანის

შეზარხოშებული მადიდებელნი,

მაგათი თავი არა მაქვს.

(გადის)

II მოქმედება

(დაოსი გორგიასთან ერთად ბრუნდება)

გორგიასი

მითხარი, ასე უგულოდ და დაუდევრად

საქმეს რად მოეკიდე?

დაოსი

როგორ?

გორგიასი

დაოს, ზეესია მოწმე.

ქალიშვილთან ნახე ეილაც მისული,

არ იცი, ვინ იყო და მაშინვე არ

გააფრთხილე, რომ თვალით აღარ დაგნახებოდა.

ახლა კი. თითქოს შენ არაფერ შუაში ხარ,

ისე მოიქეცი. გაგონილა, ნათესაურ

კავშირს გაუქცე? ჩემს დაზე კვლავაც

ვიზრუნებ. მამამისს უნდა, ჩვენთან საერთო

არაფერი ჰქონდეს. ჩვენ კი მის ახირებას არად

ჩაუვადებთ. თუ ჩემს დას თავი მოეჭრა,

ეს ჩემი სირცხვილიც

იქნება. უცხო თვალი ხომ

მომხდარს დანახავს, მიზეზს კი არ იკითხავს.

240

დაოსი

ჩემო კარგო გორგიასს, მოხუცის
შემეშინდა. მის კართან მისულს თუ
მომიხელთებს, იმ წამსვე მომკლავს.

გორგიასი

აზრი არა

აქვს მასთან შებმას, ვერანაირად ვერ
აიძულებ გამოსწორდეს.

250

ვერც გადაარწმუნებ, ვერც დაიყოლიებ.
ძალდატანებას კანონი არ დაგანებებს,
დაყოლიებას კი - მისი ხასიათი.

დაოსი

მოიცა. ტყუილად არ მოვსულეართ,
ეიცოდი, რომ დაბრუნდებოდა.

გორგიასი

ქლანისი რომ აცვია ისაა, ვიზეც ამბობ?

დაოსი

ისაა.

გორგიასი

შესახავად ნამდვილი ავაზაკია.

სოსტრატოსი

გეტასი შინ არ დამხვდა.

დედას განუზრახავს, რომელიღაც ღმერთისთვის
არ ვიცი რომლისთვის, მსხვერპლი

260

შეეწირა - ასეა ყოველ ცისმარე

დღეს: მთელ დემს შემოივლის, ყველა ღმერთს მსხვერპლს

შესწირავს: - ახლაც გაუგზავნია გეტასი

მზარეულის დასაქირავებლად. მე კი არაფრად ჩავაგდე

მსხვერპლშეწირვა და აქეთ გამოვწიე.

მე მგონი, დროა მოვრჩე მიღებ-მოღებას

და თავს თვითონ მივხედო. კარებზე დავაკაკუნებ.

ვიდრე გადამიფიქრებია.

გორგიასი

ყმაწვილო, გინდა დაიჯერო საქმიანი

270

სიტყვა?

სოსტრატოსი

სიამოვნებით, მითხარი.

გორგიასი

ასე მგონია, თითოეული ადამიანი,

ბედნიერი თუ უბედური,

რაღაც ზღვარს აღწევს და თითოეულს რაღაც ბედის

ცვლილება ელის. ბედნიერად მცხოვრებს

მანამ უმართლებს, ვიდრე შეუძლია

ხვედრს დასჯერდეს და

უსამართლობა არ ჩაიდინოს. მაგრამ

ბედნიერებით გალაღებულს უკეთურობისაკენ რომ

წასცდეს ფეხი, მაშინ ყველაფერი უკუღმა შემოუტრიალდება.

280

უპოვართ კი, თუ ცუდს არაფერს

ჩაიდენენ და ღირსეულად დამორჩილდებიან
ბედს. უთუოდ დაუდევბათ დრო, როცა
უკეთესი ხვედრი ერგებათ.
ამიტომ. ნურც შენ დაგაიმედებს
შენი სიმდიდრე და ნურც ჩვენ, ღარიბებს
აგვივდებ აბუჩად. რათა ყოველმა შენმა
მნახველმა ბედნიერების ღირსად ჩავთვალოს.

სო სტრატოსი

შენ გგონია. რომ ახლა მე რაღაც საშინელებას ჩაველივარ?

გორგიასი

მე მგონი, ავი საქმე განგიზრახავს.

290

ვინდა თავებრუ დაახვიო და შეაყლინო თავისუფალი
ქალიშვილი. ან მარჯვე შემთხვევას უცდი,
ისეთი დანაშაული ჩაიდინო, რაც ათასგზის სიკვდილს
იმსახურებს.

სო სტრატოსი

ო, აპოლონ!

გორგიასი

სად არის სამართალი?

შენმა უსაქმურობამ ჩვენ ხიფათს რად
უნდა გადაგვიკილოს? იცოდე, განაწყენებულ ღატაკზე
უფრო საშიში, არავინაა:

ჯერ საბრალოა, შემდეგ კი, მის თავზე დამტყდარს
უსამართლობად კი არა, შეურაცხყოფად იღებს.

სო სტრატოსი

ყმაწვილო, ღმერთმა ხელი მოგიმართოს. ცოტა მეც
მომისმინე.

300

დაოსი /გორგიასს/

კარგია, ბატონო, ასრემც ბევრი

სიკეთე მე.

სოსტრატოსი /დაოსს/

შენ კი. ლაქლაქა, ჯერ კარგად გაერკვიე.

/გორგიასს/

აქერთი ქალიშვილი დავინახე, შემეყვარდა.

თუ ეს დანაშაულია, დამნაშავე ვარ.

ვინ რა უნდა თქვას. მაგრამ ამ ქალიშვილთან კი არ მოვედი, მამამისის ნახვა მინდა.

მე თავისუფალი მოქალაქე ვარ.

შეძლებულიც, მზად ვარ უმზითვოდ წავიყვანო

იგი ცოლად. ვიცი, მთელი ცხოვრება მეყვარება.

თუ აქ სააკაცოდ მოვედი

310

ან თქვენგან ფარულად რამე მზაკერობა მიღვეს გულში,

მაშინ. ყმაწვილო, პანმა და

ნიმფებმა აქვე განმგმირონ.

გული მეტყინა, გარეწარი

რომ გეგონე.

გორგიასი

თუკი გაცხარებულმა ზედმეტი

წამოვროშე. ნუ გეწყინება.

ეჭვებიც გამიფანტე და მეგობრადაც გიგულე.

ამას, ძვირფასო, უცხო კი არა,

ქალიშვილის ძმა, დედით ერთი, გეუბნება.

სო ს ტ რ ა ტო ს ი

ზეესია მოწმე, მოძავალში გამომადგები.

გორგისი

გამოგადგები, როგორ?

სო ს ტ რ ა ტო ს ი

320

კეთილშობილი კაცი ჩანხარ,

გორგისი

თავიდან მოსაცილებლად არ გეუბნები,

უბრალოდ, მინდა იცოდე, მამამისისნაირი

კაცი არ ვაჩენილა და არც ჩვენს შორის

მეგულება ვინმე.

სო ს ტ რ ა ტო ს ი

ვიცი.

გულღრძობა.

გორგისი

საზარელი ადამიანია.

დაახლოებით ორი ტალანტის ქონება

აქვს. მიწას ამუშავებს და მატოდმარტო ცხოვრობს.

კაციშვილი დამხმარე არ ჰყავს:

არც მონა, არც აქაური დაქირავებული,

არც მეზობელი, სულ მარტოა.

ოღონდ ადამიანს ნუ დაანახებ და მასზე ბედნიერი

არაეინ იქნება. თუმცა ხშირად მასთან ერთად

ქალიშვილი მუშაობს. მხოლოდ მას ელაპარაკება.

სხვებს კი - ნურას უკაცრავად.

ამბობს: მაშინ გაათხოვებს ქალიშვილს,

როცა თავის ჭკუის კაცს ნახავს.

სო ს ტ რ ა ტო ს ი

თქვი ბარემ -

არასდროს.

გორგისი

საქმე გამოგელია, ძვირფასო?

ამაოდ გაირეხები. დე, ჩვენ, ნათესავებს,

ვისაც ბედმა გვარგუნა მისი თავი, დაგვანებე მისი გაძლება.

სო ს ტ რ ა ტო ს ი

არასდროს გყვარებია ვინმე.

ყმაწვილო?

გორგისი

ჩემთვის არ შეიძლება, ძვირფასო.

სო ს ტ რ ა ტო ს ი

რატომ?

ხელს ვინ გიშლის?

გორგისი

გაჭირვებაზე ფიქრი

არ მასვენებს.

330

340

სოსტრატოსი

არა მკონია: უბრალოდ ჯერ გამოუცდელი ხარ და ამიტომ
ამბობ ასე. თავის დანებებას მიჩრევე; მაგრამ ეს
უკვე ჩემი კი არა, ღვთის ნებაა.

გორგიასი

მაშ

ჩვენ არაფერს გვეჩი? ტყუილუბრალოდ იტანჯები?

სოსტრატოსი

რატომ? თუ ქალიშვილს ვითხოვ?

გორგიასი

რომ ვერ ითხოვო?

გამომყევი და თავად დარწმუნდები.

350

რა კაცია, აქვე ახლოს ხევში

მუშაობს.

სოსტრატოსი

როგორ უუთხრა?

გორგიასი

მე სიტყვას ჩამოვადებ

ქალიშვილის ქორწინებაზე. წინასწარ

ვიცი, რაც მოხდება.

მყისვე აენთება, ყველას ლანძღავს

მოყვება. შენი გაზულუქებული და

ფუქსავატური იერი კი წონასწორობას დააკარგვინებს

სოსტრატოსი

ახლა აქ არის?

გორგიასი

არა, მაგრამ ცოტა ხანში

გამოჩნდება.

სოსტრატოსი

ჩემო კარგო, შენ ამბობ

რომ ქალიშვილიც თან დაყვება?

360

გორგიასი

ხანდახან.

სოსტრატოსი

საითაც მეტყვი, იქით წამოვალ,

ოღონდ, გემუდარები, დამეხმარე.

გორგიასი

როგორ.

სოსტრატოსი

როგორმე, წავიდეთ.

დაოსი

როგორ გგონია,

ჩვენ ვიმუშაებთ, შენ კი ქლანის

მონურული იდეები?

სოსტრატოსი

რატომაც არა.

დაოსი

მყისვე ბელტებს

დაგიშენს, წყვეულ უქნარას გიწოდებს. შენც უნდა
თოხნო ჩვენთან ერთად. თუ გაგიმართლა,
იქნებ სიტყვის თქმის ნებაც დაგროს.
ჩათვალოს, რომ ღარიბი ხარ და საკუთარი
მარჯვენით ირჩენ თავს.
სო ს ტ რ ა ტო ს ი

270

ყველაფერს დაგიჯერებ, წაეიღეთ.

გორგიასი

თავს რად იტანჯავ?

დაოსი /განზე/

მინდა,

დღეს რაც შეიძლება მეტი ვიმუშაოთ,
რომ ეს ქალაქელი წელში გაწყდეს და
შეგვეშვას, აღარ მოგვეკაროს.
სო ს ტ რ ა ტო ს ი

გამოიტანე წერაქვი.

დაოსი

აჰა, აიღე.

ამასობაში მე ღობეს შემოვაველებ.
ესეც ხომ გასაკეთებელია.
სო ს ტ რ ა ტო ს ი

მომეცი.

/გორგიასს/

დაოსი

მარჩენალო, თქვენ კი თქვენ გზას დაადექით.
სო ს ტ რ ა ტო ს ი

მაშ ასე. ან სიკედილი ან სიცოცხლე
სატრფოსთან ერთად.

გორგიასი

თუ იმას ამბობ,

რასაც ფიქრობ, ღმერთმა ხელი მოგიმართოს.
სო ს ტ რ ა ტო ს ი

ო, დიდებულო ღმერთებო,

/გორგიასს/

რაც მეტ წინააღმდეგობას მიწევ,
მით უფრო მაგულიანებ.
თუ ქალიშვილი ქალებს არ გაუზრდიათ,
არც არაფერი ეცოდინება ცხოვრებისეულ სიავეთაგან,
არც არაფერ ცუდს გაიგებდა ვიღაც
დღედა თუ ძიძისასგან, ავისმომძულე
და მკაცრი მამის ხელში გაზრდილთან
შეხვედრა კი ბედნიერება არაა განა?

/თავისთვის/

ამ წერაქვის სიმძიმე

390

მომკლავს; მაგრამ უნდა გავუძლო,
რაკილა ამ სატანჯველს შევები.

ს ი კ ო ნ ი

ცხვარია, უკეთესი არ იქნება.
ჯანდაბას მისი თავი. თუ მაღლა აყვანილი
მოშყავს. პირით ყლორტებს ეპოტინება, ლეღვის
ფოთლებს წიწკნის, სიქა გამაძრო.
თუ როგორმე ძირს ჩამოსვი, ძერას ვერ უზამ.
თავდაყირა დააყენა ყველაფერი: მე - მზარეული -
ასო-ასოდ ამქნა. ძლიეს მივათრევ,
მავრამ, საბედნიეროდ, აი. ნიმფათა მღვიმეც,
სადაც მსხვერპლი უნდა შევწიროთ. დიდება პანს!

400

/გეტას/

ბიჭო, ასე ჩამოგვრჩი?

გ ე ტ ა

ოთხი სახედრის

საპალნე ამკიდეს ამ მოსასპობმა

ქალუბმა.

ს ი კ ო ნ ი

როგორც ეტყობა, ბუერი

ხალხი მოდის... უამრავი დასაფენი

მოგაქვს.

გ ე ტ ა

მე რა...

ს ი კ ო ნ ი

ესენი აქ დადე.

გ ე ტ ა

სულ ასეა,

თუ სიზმარში პაიანელი

პანი ნახა, ვიცი, მაშინვე

მსხვერპლის შესაწირად გავემართებით.

ს ი კ ო ნ ი

ვინ ნახა სიზმარი?

გ ე ტ ა

ადაშიანო, თავი დამანებე!

ს ი კ ო ნ ი

410

მაინც მითხარი, გეტა,

ვინ ნახა?

გ ე ტ ა

ქალბატონმა.

ს ი კ ო ნ ი

ღუთის გულისათვის, რა ნახა?

გ ე ტ ა

რას გადამეკიდე. ესიზმრა, თითქოს პანმა-

/პანის ქანდაკებაზე უთითებს/

ს ი კ ო ნ ი

ამაზე ამბობ?

გ ე ტ ა

ამაზე.

ს ი კ ო ნ ი

რა ქნა?

გეტა

სოსტრატეს - ჩემს ბატონს

სიკონი

ამ მშვენიერ ყმაწვილს?

გეტა

ბორკილები დაადო

სიკონი

ოი, აპოლონ!

გეტა

მერე მისცა ტყაპუჭი და

წერაქვი და უბრძანა აქვე

მახლობლად მიწის დამუშავება.

სიკონი

წარმოუდგენელია!

გეტა

მსხვერპლსაც

იმიტომ ვწირავთ, რომ ეს საშინელება კეთილად ახდეს.

სიკონი

გასაგებია. მოხვეტე ყველაფერი და შიგ

შეიტანე. საფენები დაეაგოთ,

420

ყველაფერი მოეაშზადოთ. მსხვერპლ შეწირვა არაფერმა

არ უნდა დააბრკოლოს. ბედი გეწყალობდეს.

ნუ იჯღანები, შე უბედურო!

დღეს კარგად გამოგაძღობ.

გეტა

მუდამ შენი ხელოვნების მაღიღებელი ვიქნები,

შენი კი არ მჯერა.

გუნდი

III მოქმედება

/კნემონი გამოდის სახლიდან. სამლოცველოს უახლოვდებიან მლოცველები. წინ სოსტრატოსის დედა მოუძღვით /

კნემონი / სიმიქეს/

ღედაბერო, კარები ჩაკეტე და ვიდრე მე არ

დაუბრუნდები, ნურავის გაუღებ.

ალბათ, ღამემდე ვერ მოვალ.

ღედა

პლანგო, ჩქარა მოდი! აქამდეც უნდა

430

შეგვეწირა მსხვერპლი.

კნემონი /თავისთვის/

ეს რა უბედურებაა!

რა ბრბოა, ჯანდაბას მაგათი თავი.

ღედა

პართენე, დაუკარი

ფლეიტაზე პანისთვის. ამბობენ, ამ ღმერთთან ჩუმად

მასკლა არ შეიძლებაო.

გ ე ტ ა

მადლობა ღმერთს, მოაღწიეთ.

კ ნ ე მ ო ნ ი

ოი. პერაკლე, ამის ატანა არ შეიძლება!

გ ე ტ ა

რამდენი ხანია

ესხედართ და გელოლებით.

ღ ე ღ ა

ყველაფერი მზადაა

ჩვენთვის?

გ ე ტ ა

აბა რა, ზეესია მოწმე.

საბრალო ბატკანი, კინალამ მოკვდა,

შენი დრო არ იცის მაგან.

ღ ე ღ ა

შედიო, რაღას უდგეხართ,

მომზადეთ კალათები, ნაკურთხი წყალი,

მსხვერპლი.

გ ე ტ ა /ერთ-ერთ მონას/

რა პირი დაგიღია, შე გამოჩერჩეტებულო!

კ ნ ე მ ო ნ ი

ჭირმა გაგწყვიტოთ! უსაქმური

გამხადეს. სახლი მართო ვერ

დამიტოვებია. - ნიმფები, ჩემდა ჭირად,

მეზობლად ცხოვრობენ; ალბათ,

დაეშლი სახლს და სხვა ადგილას ავაშენებ.

ან კი მსხვერპლს როგორ წირავენ ეს ავაზაკები:

კალათები, ფიალები ღმერთებისათვის კი არა,

თავისთვის მოაქეთ. საკმეველსა და წმინდა

კვერს ცეცხლიდან მიიღებდა ღმერთი,

ისინი კი საჭმელად უვარგისს -

ნაღველსა და თემოს ნაწილს წირავენ,

დანარჩენს თვითონ ნთქავენ. ღედაბერო,

ჩქარა გააღე კარი. მგონი

საკუთარი ქონება დასაცავი გამიხდა.

გ ე ტ ა /სამლოცველოდან გამოდის /

ამბობ. რომ ქვაბი დაგრჩათ? საბოლოოდ

გამოფხიზლდით? ახლა რა ვქნათ?

ეტყობა, ღმერთის მეზობლები უნდა

შევაწუხო. ბიჭო! ღმერთებსა ვფიცავ,

ასეთ ბედოვლათ მოახლეებს ვერსად

ნახავ. ხალხნო! არაფერი იციან

ღლაბუცისა და - ხალხო კეთილო! -

ჭორიკნობის გარდა. ბიჭებო!

რა უბედურებაა. ხალხნო! არავეინაა შინ.

აი. გამოჩნდა, ვილაც მოქროსისი

კ ნ ე მ ო ნ ი

რას მოდგომიხარ კარს, სამგზის უბედურო.

440

450

460

მიტხარი ერთი?

გეტა

ნუ იღრინები!

კნემონი

ზევსს ვეიცავ.

ცოცხლად შეგჭამ.

გეტა

არა, ღვთის გულისათვის.

კნემონი

რა საერთო მაქვს შენთან,

470

უნამუსო?

გეტა

არავითარი. არც ვალს ვითხოვ

შენგან, არც მოწმედ მჭირდება.

ქვების სათხოვნელად მოვედი.

კნემონი

ქვების?

გეტა

ქვების.

კნემონი

არამზადა!

შენ გგონია, რომ მე თქვენსავით

ხარებს ვწირავ მსხვერპლად?

გეტა

შენ არც ლოკოკინას გამმეტებული ჩანხარ.

კარგად იყავი, ძვირფასო! ქალებმა მიბრძანეს

ამ კარებზე დაკაკუნება და თხოვნა.

ასეც მოვიქეცი. არ არის? წავალ და

მოვახსენებ. ო, სათაყვანებლო ღმერთებო!

ეს ჭალარა ადამიანი ნამდვილი გველია.

480

/ გეტა სამლოცველოში შედის/

კნემონი

კაცისმკვლელი მხეცებო! ჩემს კარებზე ისე

აკაკუნებთ, თითქოს თქვენი მეგობარი ვიყო. თუ

აქ ვინმე მოვიხელთე და ადგილზევე შავი

ღლე არ ვაყარე, კაცი არ

ვიყო. მეც არ ვიცი, ახლა ამას რატომ

გაუღიმა ბედმა იმათთან შედარებით, ვინც აქ ოღესმე

ყოფილა.

/შედის შინ/

სამლოცველოდან გამოდის სიკონი და მიმართავს შიგნით

დარჩენილ გეტას/

სიკონი

შენ მოისპე! გაგლანძლა? ალბათ,

ნეხვიჭამია! ხამი კაცივით სთხოვე.

თხოვნის ხელოვნება ჩემი მოგონილია.

ქალაქში ხომ უამრავ კაცს ემსახურები,

490

მათ მეზობლებს ვაწუხებ, ყველასგან რაღაც

ჭურჭელს ვიღებ. როცა რამეს ითხოვ,
ქლესა უნდა იყო: თუ მოხუცმა გააღო
კარი. იმ წამსვე „მამას“ ან „მამილოს“ უწოდებ,
თუ დედაბერმა - „დედილოს“, თუ შუახნის ქალმა -
„ქურუმს“, თუ მსახურმა -
„ძვირფასოს“. თქვენ კი ჩამოხრჩობის ღირსი ხართ.
რა უეცილობაა „მონა“, „მონებოს“ ძახილი.
აბა. მე მიყურე. - გამოდი, მამიკო, მინდა შენ. . .

კ ნ ე მ ო ნ ი
ისეუ შენა ხარ?
ს ი კ ო ნ ი

500

რა მოხდა?

კ ნ ე მ ო ნ ი

თითქოს განგებ

მაღიზიანებს. არ გითხარი, ჩემს კარებს არ
მიუახლოვდე-თქო? დედაბერო! მომე მათრახი!
ს ი კ ო ნ ი

არავითარ

შემთხვევაში. გამიშვი!

კ ნ ე მ ო ნ ი

გამიშვიო?

ს ი კ ო ნ ი

ძვირფასო, ღვთის გულისათვის. .

კ ნ ე მ ო ნ ი

ალარ მოხვიდე.

ს ი კ ო ნ ი

პოსეიდონმა შენ. .

კ ნ ე მ ო ნ ი

კიდევ იღებ ხმას?

ს ი კ ო ნ ი

ჯამ-ჭურჭლის სათხოვნელად მოვედი.

კ ნ ე მ ო ნ ი

არა მაქვს

არც ჯამ-ჭურჭელი, არც ნაჯახი, არც მარილი,

არც ძმარი, არც არაფერი. ხომ უთქვი

გასაგებად, აქ არავინ მოვიდეს - თქო.

ს ი კ ო ნ ი

ჩემთვის არ გითქვამს.

კ ნ ე მ ო ნ ი

ახლა გეუბნები.

ს ი კ ო ნ ი

ძალიან უზრდელურადაც! ვერ მეტყვი,

ვისთან მივიდე ან საიდან ავილო?

კ ნ ე მ ო ნ ი

რა გითხარი!

კიდევ შელაპარაკები?

ს ი კ ო ნ ი

კარგად იყავი!

510

თქვენი კარგად ყოფნა.

ს ი კ ო ნ ი

ნუ იქნები კარგად.

კ ნ ე მ ო ნ ი

ო, რა უბედურებაა!

ს ი კ ო ნ ი

კარგად მომიშორა

თავიდან! ასეთია მარჯველ
თხოვნა. ზეესია მოწმე. სხვის კარს
მივადგე? მაგრამ თუ აქ ყველა ასე მზადაა
ხელჩართული ბრძოლისათვის, მძიმეა: არ მირჩენია.
მთელი ხორცი შევწვა? რასაკვირველია!
რაღაც თასიც მაქვს. ფილელებს თავს დავანებებ
და იმას გამოვიყენებ. რაც გვაქვს.

520

ს ო ს ტ რ ა ტ ო ს ი

ვინც უბედურებას ეძებს, სანადიროდ
ფილეს მოაკითხოს. ო, სამგზის უბედურს,
რა დღეში მაქვს წელი, ზურგი, კისერი, ერთი
სიტყვით, მთელი სხეული. ამ საქმის ხამი
მყისვე მონღოლებით ვეძგერე კლდეს. გამოცდილი
მიწის მუშასავით მოვიქნე წერაქვი,
მაგრად დავარტყი. გულმოდგინედ მივეძაღე, მაგრამ
დიდხანს ვერ გავუძელი. ავწრიალდი, აქეთ-იქით
დავიწყე ცქერა, მოხუცი ხომ არ მოდის ქალიშვილთან
ერთადო. ჯერ, ზეესია მოწმე, ძალულად
ვიტაცე ხელი წელზე, მაგრამ რახან ბოლო
აღარ უჩანდა ამ ტანჯვას, მოვიკაკვე.
გავხვედი. არავინ მოდიოდა.

530

მზე კი აცხუნებდა. შემომხედა გორგისმა. დაინახა,
რომ ჯერ ძლივს გავიმართე წელში, მერე კი მოხრა
გამიჭირდა და მითხრა, „აღბათ, აღარ მოვა
აწი მოხუცი, ყმაწვილო“. შევეკითხე -
„აბა რა ვქნა - მეთქი“.

540

„ხეალ დავუდარაჯდეთ, ახლა კი
„შევეშვათო“ - მომიგო მან. დაოსიც იქ იყო
და მიწის თხრაში შემენაცვლა. პირველი ცდა ასე
დასრულდა. მაინც აქეთ მოვიღვივარ,
რისთვის? ვერ ვიტყვი. ღმერთებსა ვფიცავ.
რაღაცა ძალა ჩემდაუნებურად აქეთ მეწევა.

გ ე ტ ა

რა უბედურებაა! შენ გგონია მე სამოცი ხელი
მაქვს, ადამიანო. ნახშირს გიღვივებ,
... მომაქვს, ვრეცხავ, ვჭრი შიგნეულობას,
პურს ეზელ, ვარიგებ,
ბოლმა სულ დამაბრმავა.
მაგარი დღესასწაული მაქვს.

550

სოსტრატოსი

ბიჭო, გეტა!

გეტა

ვინ მეძახის?

სოსტრატოსი

მე.

გეტა

შენ ვინა ხარ?

სოსტრატოსი

ვერა ხედავ?

გეტა

ვხედავ.

/ტყაპუჭში გახვეულ სოსტრატოსზე ამბობს/

ბატონი ყოფილა.

სოსტრატოსი

ერთი მითხარი, აქ რას აკეთებ?

გეტა

რას და

მსხვერპლი შეეწირეთ ახლახან და სადილს

ვაშხადებთ თქვენთვის.

სოსტრატოსი

დედა აქაა?

გეტა

დიდი ხანია.

სოსტრატოსი

მამაც?

გეტა

ველოდებით. შენ მღვიმეში შედი.

სოსტრატოსი

ცოტა ხნით გავიქცევი. დროულია ეს

მსხვერპლშეწირვა. წავალ და

მოვიპატიეებ იმ ყმაწვილსაც და მის

მსახურსაც. თუ მსხვერპლშეწირვას

დაესწრებიან, მომავალში უფრო გამომადგებიან-

ქორწინებაში შემეწიფობენ ხელს.

560

გეტა

რა თქვი? ვილატეების დაპატივებას

აპირებ სადილად. ჩემი რა საქმეა. თუნდაც

სამი ათასი სტუმარი იყოს. მე წინასწარ ვიცი.

რომ არაფერი შემხედება. აბა საიდან? ყველას

ავგროვებთ. ისეთი მშვენიერი მსხვერპლი

შეწირეთ. ერთ ნახვად ღირს. ეს სათნო დედაკაცებიც

რისი გამმეტებელნი არიან. არაფრის,

დემეტრეს ვფიცავ, კენიტი მარილისაც კი არა.

სოსტრატოსი

570

გეტა.

დღეს ყველაფერი კარგად იქნება. გული

მიგრძნობს. ო, პან! როცა აქეთ ვარ,

ყოველთვის თაყვანს გცემ.

ს ი მ ი ქ ე /გამორბის კნემონის სახლიდან/
ვაიმე უბედურს, ვაიმე უბედურს, ვაიმე უბედურს!

გ ე ტ ა

ჯანდაბამდის გზა გქონია. ვილაც ქალი
გამოვიდა მოხუცისაგან.

ს ი მ ი ქ ე

რა მეშველება? მინდოდა

ბატონის ღოქი ჭიდან როგორმე მალულად
თვითონ ამომეღო,

გამოვაბი წერაქვი რალაც სუსტ.

დამპალ თოქს და მაშინვე

გამიწყდა.

გ ე ტ ა

ძალიან კარგი.

ს ი მ ი ქ ე

წერაქვიც

ღოქთან ერთად ჭაში ჩამივარდა მე საცოდავს.

გ ე ტ ა

ისლა დაგრჩენია, თავადაც ჩახტე.

ს ი მ ი ქ ე

ბატონი კი, ბედი არ გინდა. დაგროვებული სკორეს

გატანას აპირებს, დარბის, კარგა ხანია ეძებს,

წერაქვს და ყვირის –

/შიაყურადებს/

კარებსაც აჯახუნებს.

გ ე ტ ა

გაიქეცი, საწყალო, გაიქეცი! ღედაბერო, მოგკლავს.

გირჩენია თავს უშველო.

კ ნ ე მ ო ნ ი

სად არის ჩემი ამომგდებელი?

ს ი მ ი ქ ე

უნებლიედ ჩამივარდა, ბატონო!

კ ნ ე მ ო ნ ი

შედი

შინ.

590

ს ი მ ი ქ ე

მითხარი, რას მიპირებს?

კ ნ ე მ ო ნ ი

მე?

მიგაბამ და ჩაგიშვებ.

ს ი მ ი ქ ე

არა! ვაი, მე ბედშავს.

კ ნ ე მ ო ნ ი

იმავე თოკით, ღმერთთა მოწმე.

გ ე ტ ა

უკეთესია, თუ მთლად დამპალი იქნება.

ს ი მ ი ქ ე

მეზობლის დაოსს დაეუძახებ.

კ ნ ე მ ო ნ ი

დაოს უძახი, უსინდისო! მე არ მეკითხები.

ვის ვკუბნება, სასწრაფოდ შედი შინ!

/ სიმიქე მიდის/

ვაი ჩემ თავს! ახლა განმარტობა ისე მწყურია,

როგორც არასდროს. ჩავალ ჭაში, სხვა

რა დამრჩენია.

გ ე ტ ა

კავს და თოკს

ჩვენ მოგცემთ

600

კ ნ ე მ ო ნ ი

ღმერთი დაგწყევლის,

თუ კიდევ რამეს მეტყვი.

გ ე ტ ა

ახია მასზე. ისევ გავარდა.

თავისი თავის უბუღურია. რა ცხოვრება აქვს!

ნამდვილი ატიკელი მიწის მუშაა.

ებრძვის კლდეებს, სადაც სალბისა და ურცის მეტი არაფერი ხარობს;

ტანჯვა თავს ატყდება. ბედნიერება კი - გაურბის.

მაგრამ აი, ჩემი ბატონიცი!

მოპატიებულებს მოუძღვის. აქაურ

მიწათმოქმედებს გვანან. საკვირველია,

ან რაში სჭირდება ისინი ახლა აქ ან

როგორ გაიცნო?

610

ს ო ს ტ რ ა ტ ო ს ი

/შემოდინ სოსტრატოსი, გორგიასი და დაოსი/

არაფერი გამოგივა,

არ გაგიშვებ. ყველაფერი გვაქვს, ო, ჰერაკლე!

ვინ ამბობს უარს მეგობრის

მოპატიებაზე. გაიგე.

მე შენი დიდი ხნის მეგობარი ვარ,

გაცნობამდეც ვიყავი.

/უთითებს ტყაპუჭსა და წერაქვეს/

დაოსს,

ესენი წაიღე და მაშინვე გამობრუნდი!

გ ო რ გ ი ა ს ი

არავითარ შემთხვევაში,

დედა მარტო არ დატოვო, მიხედუ.

რამე არ დაჭირდეს. მე მალე მოვალ.

გ უ ნ დ ი

მეოთხე მოქმედა

/სიმიქე გამორბის კნემონის სახლიდან/

ს ი მ ი ქ ე

ვინ მიშველის მე ბედშავს.

620

ვინ მიშველის?

ს ი კ ო ნ ი

გმირო ჰერაკლე!

ღმერთებისა და დემონების გულისათვის
ხელი მოგვიმართე, მსხვერპლი შეეწიროთ. ყველა
ჩხუბობს, ილანძღება, ირტყმევენება. რა უცნაური სახლია.

ს ი მ ი ქ ე

ბატონი ჭაში ჩავარდა.

ს ი კ ო ნ ი

როგორ?

ს ი მ ი ქ ე

როგორ და,

ჩავიდა ჭაში წერაქვისა და ღოქის ამოსასტანად,

დაცურდა და შიგ

ჩავარდა.

ს ი კ ო ნ ი

ის აშარი მოხუცი ხომ

არა? ურანოსს ვფიცავ. კარგი უქნია.

ო, ძვირფასო დედაბერო, ახლა შენზეა საქმე.

ს ი მ ი ქ ე

630

რა ვქნა?

აილე სიბი ქვა, ლოდი ან რაც ხელთ

მოგხვდება და ზემოდან დაუშვი

ს ი მ ი ქ ე

ძვირფასო,

ჩადი რა შენ.

ს ი კ ო ნ ი

ო, პოსეიდონ, იმისთვის, რომ როგორც იგავშია-

ჭაში ძალღთან მომიხდეს შეჭიდება. არავითარ შემთხვევაში.

ს ი მ ი ქ ე

პეი, გორგიას, სადა ხარ?

გ ო რ გ ი ა ს ი

მე შემახი?

რა მოხდა, სიმაქე?

ს ი მ ი ქ ე

რა იყო და, გეტყვი.

ბატონი ჭაში ჩავარდა.

გ ო რ გ ი ა ს ი

სოსტრატე,

მოდი აქ. ჩქარა გაგვიძეხი წინ.

ს ი კ ო ნ ი

ვფიცავ დიონისეს! ღმერთები არიან. არ

მოგვეცი ქვაბი მავედრებლებს, შე უღმერთო,

შეგშურდა ჩვენი? რაკი ჩავარდი ჭაში,

მთელი წყალი შეხვრიპე, რომ არავინ შეგეცილოს.

ნიმფებმა მიუზღეს მას საკადრისად.

ჩემზე უკეთ. თუ ვინმე უსამართლოდ მოექცევა

მზარეულს, დაუსჯელი ვერ გადარჩება.

ჩვენი ხელობა წმიდათაწმიდაა.

640

სუფრის გამწვობს კი, როგორც გინდა, ისე მოექცეცი.
მავრამ ხომ არ მოკვდა მოხუცი, საყვარელ
მამას ვილაც ეძახის, დატირის.

649

/აკლია ოთხი სტრიქონი/

აშკარაა, რომ...
ასე ამოიყვანა...
მისი იერი...

რა სანახავე იქნება, ღმერთებს ვფიცავ,
ვაუბედურებული, აკანკალებული, საუცხოოა, ხალხნო,
აპოლონს ვფიცავ. მე დიდი სიამოვნებით ვნახავ მას.

660

თქვენ კი, ქალებო, ილოცეთ და
ღმერთს ევედრეთ, რომ მოხუცი გადარჩეს - ოღონდ
დასახიჩრებული, კოჭლი, ალბათ, ამის შემდეგ
მაინც გახდება უწყინარი მეზობელი ღმერთებისა
და მსხვერპლის შემწირველთათვის. მე მხოლოდ ის
მაფიქრებს, კიდევ ვინმემ არ დამიქირავოს ამ მხარეში
სო ს ტ რ ა ტ ო ს ი

ხალხნო, ვფიცავ დემეტრეს, ასკლეპიოსსა
და სხვა ღმერთებს, ჩემს სიცოცხლეში
არ მინახავს, რომ ადამიანი ასე
დროულად დამხრჩვეალიყოს. სასიამოვნო შემთხვევაა.

670

გორგიასი, როგორც კი მოვედით,
მაშინვე ჭაში ჩაძვრა, მე და
კნემონის ქალიშვილი ზემოთ დავრჩით. არაფერს ვაკეთებდით,
ან რა უნდა გვექნა? ის თმებს იგლეჯდა,
ტიროდა, მკერდში ხელს იცემდა თავდაუზოგავად.
მე კი მისი სიახლოვით ბედნიერი, ღმერთთა მოწმე,
ძიძასავე გვერდით ვედექი, ვევედრებოდი დამშვიდებულებიყო,
ვემუდარებოდი, შევცქეროდი როგორც ხელთუქმნელ
ქანდაკებას, ჭაში ჩავარდნილი სულ არ მადარდებდა,
ოღონდ მაინც ვექაჩებოდი თოკს,
ჩემდა ჭირად.

680

კინალამ, ზეესია მოწმე, არ დავლუპე.
ქალიშვილის ცქერაში თოკი
სამჯერ გამეშვა ხელიდან, მაგრამ გორგიასმა,
ტყუილად კი არ იყო ატლანტოსივით, ჩასჭიდა და
ძლივძლივობით ამოიყვანა. როგორც კი ამოვიდა კნემონი,
მაშინვე გავშორდი იქაურობას. თავს ვეღარ
ვიკავებდი, კინალამ მივედი და ვაკოცე
ქალწულს. ასე მგზნებარედ მიყვარს
იგი. ერთი სული მაქვს, ცოლად მოვიყვანო. - კარები
გაჭრილდა. ო, მხსნელო ზეესო, საოცრებაა!

690

/სახლიდან გამოდიან კნემონი, მისი ქალიშვილი და გორგიასი/

გორგიასი
მითხარი, კნემონ, რა გინდა.
კნემონი

რა მინდა?

ცულად ვარ.

გორგიასი

გამაგრდი.

ქნემონი

მოკვდება

ქნემონი და აღარასოდეს

შეგაწუხებთ. . .

გორგიასი

აი. რა ცუდია მარტობა.

ხომ ნახე, ცოტა ხნის წინ კინალამ დავილუპე.

ნამდვილად საჭიროა, ამ ხნისაზე ვინმე

ზრუნავდეს.

ქნემონი

ვიცი. წასულია ჩემი

საქმე. გორგიას, დედას დაუძახე

სასწრაფოდ. როგორც ჩანს, კაცს

მარტო გასაჭირი თუ ასწავლის ჭკუას. მშინდა

წამოდგომაში მომეხმაროს ქალიშვილი.

სოსტრატოსი

700

რა

ბედნიერი ადამიანი ხარ.

ქნემონი

რას დამადეკი თავზე, შე საცდავო!

/ აკლია ხუთი სტრიქონი /

. . . თქვენთან ყოფნა მსურს

. . . მირინე და გორგიას,

. . . მერჩია

710

არ გადავრჩენილიყავი. . . არცერთ თქვენთაგანს

არ შეუძლია აზრი შემაცუკუეენოს, უნდა დამეთანხმოთ.

ერთ რამეში კი ვცდებოდი, ვფიქრობდი,

სხვების დახმარების გარეშე ვიცხოვრებდი და არავინ

დამჭირდებოდა.

ახლა კი, როცა ჩემი ცხოვრების საშინელი და წარმოუდგენელი

აღსასრული დავინახე,

მიუხედავად, რომ არასწორად ვფიქრობდი მაშინ.

მუდამ უნდა გყავდეს გვერდით დამხმარე.

ხასიათი კი, ჰეფესტოს ვფიცავ, ასე იმიტომ გამიფუჭდა,

რომ ადამიანებში ანგარებისა და

მოხვეჭისა კენ სწრაფვის მეტს ვერაფერს ვხედავდი-

720

მეგონა, კაცი არ იყო სხვისი გულშემატკივარი.

ეს აზრი მღუპავდა. ახლა კი ძლივს, ერთმა, გორგიასმა

თავისი მოქმედებით ადამიანთა კეთილშობილება დამანახა.

მისთვის არასოდეს დამირთავს ნება ზღურბლზე გადმოვბიჯებინა,

არასოდეს არაფერში დავხმარებივარ,

ტყბილად კი არა, საერთოდ არ გამოვლაპარაკებივარ,

და მიუხედავად ამისა, გორგიასმა გადამარჩინა.

სხვას შეეძლო. და სრულიად სამართლიანადაც, ეთქვა:

„მიკრძალავდი შენთან მოსულას და
არც მოვდიოდი. არასოდეს გამოგვდგომიხარ და
ახლა არც მე შევიწუხებ შენთვის თავს. „იცი, რა,
ყმაწვილო, თუ მე ახლა

730

მოგკედი. გული მიგრძნობს. ისე ცუდად ვარ,
ან თუნდაც ცოცხალი დავრჩი. გიშვილებ და მთელ ჩემს
ქონებას შენ გადმოგცემ. დასაც შენ გაბარებ.
საქმრო გამოუძებნე. მე სრულიადაც რომ გამოვჯანმრთელდე.
მანაც ვერ მოვახერხებ. არასდროს არაეინ
მომეწონება. მე კი დამანებეთ ვიცხოვრო ისე, როგორც მსურს:
ყველა საქმეს თვითონ მიხედე. ღეთის მადლით. ჭკუაუც გიჭრის.
დაზუც იზრუნე. ქონების ნახევარი მზითუად
მიეცი ქალიშვილს. ნახევარი კი შენ
აიღე და მოგვხედე მე და ღედაშენს.

740

წამომაწვინე, შვილო, შე მგონი,
ზედმეტი ლაპარაკი კაცის საქმე არაა. გარდა ამისა,
მსურს ცოტა რამ გითხრა ჩემი გამოცდილებიდან:
ყველა ჩემნაირი რომ იყოს, არც სასამართლო იქნებოდა
საჭირო, არც ხალხის საპყრობილეში ჩასმა,
არც ომი. ყველა თავის შემოსავალს დასჯერდებოდა.
მაგრამ თქვენ სხვა უფრო მოგწონთ. ისე მოიქეცით,
როგორც გერჩიოთ. ძნელად ასატანი ახირებული ბერიკაცი კი ჩამოგვეცლებათ.

გორგისი

ყველაფრს ჩემს თავზე ვიღებ. ქალიშვილს სასწრაფოდ
უნდა მოვუძებნოთ საქმრო შენივე თანხმობით.

კნემონი

მე რაც მინდოდა. უკვე გითხარი. დამეხსენი, ღეთის გულისათვის.

750

გორგისი

შენთან შეხვედრა სურს -

კნემონი

არავითარ შემთხვევაში.

გორგისი

ქალს ვთხოვს.

კნემონი

ჩემი საფიქრელი აღარაა.

გორგისი

მან შენ გადაგარჩინა.

კნემონი

რომელმა?

გორგისი

აი ამან. მოდი აქ!

კნემონი

მზე მოჰკიდებია. მიწათმოქმედია?

გორგისი

თანაც ძალიან კარგი,

არც განებივრებულია და არც ისეთი უსაქმური,

მთელი ღღე რომ დაეხეტება.

...

კ ნ ე მ ო ნ ი

... მიეცი, გააკეთე ეს,

მე შიგნით შემეყვანეთ.

იზრუნე იმაზე, რომ შემდგომში

შენი და ...

გ ო რ გ ი ა ს ი

სოსტრატეს, შენ უნდა მოაგვარო ეს ...

ს ო ს ტ რ ა ტ ო ს ი

მამა უარს არ მეტყვის.

გ ო რ გ ი ა ს ი

მე შენ

ცოლად გაძლეე ჩემ დას, სოსტრატეს, და
ყველა ღმერთის თანდასწრებით მზითვს, რაც ეკუთვნის.
აეი განზრახვით არ წამოგიწყია საქმე, წრფელი
გულით მოხვედი ჩვენთან, თავი არ დაგიზოგავს ამ
ქორწინებისთვის. განებივრებულმა წერაქესაც მოჰქიდე
ხელი, მიწას ამუშაებდი.

760

პირველ რიგში ამით გამოიცნობა ადამიანი.

თუ შეძლებული ღარიბს გაუტოლდება და მასთან

ერთად აიტანს გაჭირვებას. ბედის ყოველგვარ

ცვლილებასაც მედგრად შეხვდება. შენ ღირსეულად

გაუძელი გამოცდას. მუდამ ასეთი იყავი.

770

ს ო ს ტ რ ა ტ ო ს ი

ბევრად უკეთესი გავხდები.

მაგრამ თავის ქება რა საკადრისია. ...

გ ო რ გ ი ა ს ი

აგერ მამაჩემიც დაბარებულივით მოღის.

გ ო რ გ ი ა ს ი

კალიპედესი

შენი მამაა?

ს ო ს ტ რ ა ტ ო ს ი

სწორედ ასეა.

გ ო რ გ ი ა ს ი ზეესია მოწმე.

შეძლებული კაცია, სამართლიანი და შეუდარებელი მეურნე.

კ ა ლ ი პ ი დ ე ს ი

აღბათ დაეავიანე.

ცხვარსაც შეჭამდნენ, თქმა არ უნდა და

გზასაც გაუყვებოდნენ.

გ ო რ გ ი ა ს ი

ო, პოსეიდონ!

ამ მშვიერ კაცს ახლავე ეუთხრათ ყოველივე.

ს ო ს ტ რ ა ტ ო ს ი

ჯერ დანაყრდეს,

უფრო ღმობიერი გავხდება.

კალიპიდესი

რა, სოსტრატეს, უკვე ისაღილეთ?

სოსტრატოსი

კი, მაგრამ შენც შეგინახეთ, შედი.

780

კალიპიდესი

ასე მოვიქცევი.

გორგიასი

თუ ვინდა, რომ მამას პირისპირ ელაპარაკო,

გაჰყევი.

სოსტრატოსი

შინ დამიცილი, არა?

გორგიასი

ფეხს არ მოვიცვლი

იქიდან.

სოსტრატოსი

ცოტას ხნის შემდეგ მეც მოგაკითხავ.

გუნდი

მეხუთე მოქმედება

/სამლოცველოდან გამოდიან სოსტრატოსი და კალიპიდესი/

სოსტრატოსი

მამა, ყველაფერი ისე არ მოხდა,

როგორც მე მსურდა და ველოდი შენგან.

კალიპიდესი

მაინც რა.

არ დაგეთანხმე. ვინც გიყვარს, ის უნდა

მოიყვანო ცოლად, მეც ეს მინდა.

სოსტრატოსი

რალაც უერ გამჩნეე.

კალიპიდესი

ღმერთებსა ვფიცავ, ვიცი, რომ

ახალგაზრდებში ის ქორწინებაა მყარი,

რომელიც სიყვარულს ეფუძნება.

790

სოსტრატოსი

მე ცოლად მომყავს იმ ყმაწვილის და,

რომელიც ჩვენს შესაფერისად მიმაჩნია.

შენ კი ამბობ, რომ არ მიათხოვებ

მას ჩემს დას.

კალიპიდესი

სულელურად მსჯელობ.

არ მინდა ღარიბ რძალთან ერთად

სიძეც ღატაკი შემომივიდეს. ერთიც გვეყოფა.

სოსტრატოსი

ფულზე ღაპარაკობ, ხელის ჭუჭყზე.

თუკი გეცოდინება, რომ მუდამყამს
 შენ დაგრჩება, შეინახე, ნურავის
 გაუნაწილებ; მაგრამ რომ არ ხარ შენ
 განმკარგავი, ბელზე რომაა ყველაფერი
 დამოკიდებული. ამიტომაც სხვისთვის ნურაფერს
 დაიშურებ, მამა. ბელმა შეიძლება ყველაფერი
 წაგართვას და სხვას, უღირსს მისცეს.
 ამიტომაც გირჩევ, ვიდრე შენა ხარ
 გამგებელი, კეთილგონიერულად გამოიყენო ქონება,
 ყველას დაეხმარო, რაც შეიძლება მეტი
 სიკეთე დათესო. ეს არის მარადიული
 სიმდიდრე. თუ გაგიჭირდა, ხალხისთვის
 გაწეული სიკეთე დაგიბრუნდება.

ბეურად მეტს გარგებს ერთგული მეგობარი,
 ვიდრე უხილავი, ჩამარხული სიმდიდრე.
 კ ა ლ ი პ ი დ ე ს ი
 შენ იცი, სოსტრატოს, მე როგორი ვარ. რაც
 მახადია, თან ხომ არ ჩავიტან საფლავში. - ან კი
 როგორ მოვახერხებ? ყველაფერი შენია.
 გსურს მეგობარი შეიძინო? ღმერთმა ხელი მოგიმართოს;
 მე ჭკუას ნუ მასწავლი, წადი, მოიყვანე,
 გაეცი. დაარიგე ყველაფერი. თანახმა
 ვარ.

სო ს ტ რ ა ტო ს ი

შენი ნებასურვილით?

კ ა ლ ო პ ი დ ე ს ი

ღიას, ჩემივე ნებით. ეს შენ

ნუ გაშფოთებს.

სო ს ტ რ ა ტო ს ი

ახლა კი გორგიასს დაკუძახებ.
 / გორგიასი გამოდის თავისი სახლიდან/

გორგიასი

შინიდან გამოვდიოდი, და ყველაფერი, რაც
 თქვით, თავიდან ბოლომდე მოვისმინე.
 რა შეთქმის. სოსტრატოს, ნამდვილ მეგობრად
 მიგიღე და გულით შეგიყვარე.
 რაც მახადია, იმაზე მეტი არა მინდა რა,
 რომც მინდოდეს, ზევსია მოწმე, ვერ შევირგებდი.

სო ს ტ რ ა ტო ს ი

არ მესმის, რას ამბობ.

გორგიასი

ჩემს დას

შენ გაძლეე ცოლად, მე კი შენ დას ვითხოვ-
 არ იქნებოდა ურიგო.

სო ს ტ რ ა ტო ს ი

როგორ ურიგო?

გორგიასი

არა მგონია

ტკბილი იყოს სხვისი მონავართი ფუფუნებაში ცხოვრება-
თვითონ მოვახერხებ რამეს.

სოსტრატოსი

რა სისულელეს ამბობ, გორგიას!

ამ ქორწინების ღირსად არ მიგაჩნია თავი.

გორგიასი

ამ ქორწინების ღირსი კი ვარ.

მაგრამ არ მინდა მცირედის მქონე მრავალს დავხარბდე.

კალიპიდე სი

ღმერთო ჩემო, რა ამაყი

ხარ.

გორგიასი

რატომ?

კალიპიდე სი

არაფერი გაქვს, თავს კი იღებ.

... ნება შენია.

... ნამდვილად დამიყოლიე. ორმაგად

... ბრიყვია ის ღარიბი, ვინც

... კეთილ რჩევას არ იჯერებს.

სოსტრატოსი

... მაშ მართო ქორწინებალა დაგერჩენია.

კალიპიდე სი

გაქორწინებ, ყმაწვილო, ჩემს ქალიშვილზე.

რათა კანონიერი მემკვიდრეები დატოვოთ.

მზითვად სამ ტალანტს გაძლევ.

გორგიასი

მე კი მზითვად

ღისთვის ერთი ტალანტი მაქვს.

კალიპიდე სი

ნამდვილად გაქვს?

ბუერს ხომ არ იძლევი?

გორგიასი

მიწის ნაკვეთიც მაქვს.

კალიპიდე სი

ყველაფერი შენთვის დაიტოვე, გორგიას.

დედა და და კი ახლავე აქ, ჩვენს

ქალებთან გადმოიყვანე.

გორგიასი

ასე მოვიქცევი.

სოსტრატოსი

... ამ დამეს ყველა აქ დავრჩებით,

... ქორწილებისთვის მოვემზადებით

გორგიას. ბერიკაციც აქ

მოიყვანეთ. ყველაფერს, რაც დაჭირდება,

ჩვენთან უფრო ნახავს.

გორგიასი

არ მოინდომებს, სოსტრატოს.

სოსტრატოსი
დაიყოლიე როგორმე.
გორგიასი

თუ შევძელი.

სოსტრატოსი

მამილო, ჩვენ

ახლა მაგარი სმა გველის,
ქალებს კი - ღამისთევა.
კალიპიდესი

პირიქით,

გული მიგრძნობს, ისინი დალევენ,
ღამისთევა კი ჩვენ მოგვიწევს. მე
წავალ. ყველაფერს მოვამზადებ.
სოსტრატოსი

860

კეთილი. გონიერმა

კაცმა იმედი არასდროს უნდა გადაიწუროს.
მონდომებითა და გარჯით ყველაფრის მიღწევა
შეიძლება. ამის მაგალითი თავად გახლავართ.
ერთ დღეში ისეთი ქორწინება მოვაკვარაზგინე,
რომელზეც ვერცერთი ადამიანი ვერ იოცნებებდა.

გორგიასი

/კნემონის სახლიდან გამოდის სოსტრატოსი დედასა და დასთან ერთად/
ჩქარა გაიარეთ.

სოსტრატოსი

აქეთ, აქეთ.

დედა! სტუმრებს შეეგებე. კნემონი ჯერ არ მოსულა.

გორგიასი

არა. იხვეწებოდა, მოხუცი მოახლევ თან
წაიყვანეთ, რომ მართო დავრჩე საკუთარ თავთანო.

სოსტრატოსი

ო, რა აუტანელი

ხასიათისაა!

870

გორგიასი

ასეთია.

სოსტრატოსი

ღმერთმა კარგად ამყოფოს.

ჩვენ კი წავიდეთ.

გორგიასი

სოსტრატოს, მრცხვენია

ქალების -

სოსტრატოსი

რასისულელეა. წადი წინ!

ჩვენ ხომ უკვე შინაურები ვართ.

/სიმიქე დგას კნემონის სახლის კარებთან და მიმართავს შიგ მყოფ კნემონს/

სიმიქე

მეც წავალ, არტემიდეს ვფიცავ! იწევი აქ

მართო, უხიაგი ხასიათი გაქვს.

უნდოდათ წაეყვანეთ ღმერთების პატივსაცემად.

შენ უარი უთხარი. ღმერთებსა ვფიცავ.
დიდი უბედურება დაგატყდება თავს, უფრო დიდი, კიდრე ახლათ.

გ ე ტ ა

/ სამლოცველოდან გამოდის გეტა/

წავალ, იქაურობას დავხედავ.

/ ერთ-ერთ ფლეიტაზე დამკვრელს/

რას უკრავ ჩემთვის, უბედურო, ჯერ შენთვის არ
მცალია. აქ ავადმყოფის მოსაველელად გამომგზავნეს.

880

შეწყვიტე ახლავე.

ს ი მ ი ქ ე

სხვა ვინმე დარჩეს კნემონთან.

მე კი ჩემ აღზრდილს გავყვები.

დაველაპარაკები, გამოვეშვიდობები.

გ ე ტ ა

კარგს იზამ, წადი.

ამას მე მივხედავ, კარგა ხანია შესფერის დროს

დაკეძები, რომ ამ კაცისათვის მომეველო.

...

მზარეულო,

სიკონ, მოდი საჩქაროდ ჩემთან, პოსეიდონ,

გული მიგრძნობს, კარგ დროს გავატარებთ.

890

ს ი კ ო ნ ი

შენ მეძახი?

გ ე ტ ა

ღიახ, მე.

გინდა შური იძიო იმაზე, ვინაც ამას წინათ გაგაწვალა?

ს ი კ ო ნ ი

მე გამაწვალა? სისულელს ნუ ჩმახავ.

გეტა ის უემური კაცი სახლში მარტო წევს

ს ი კ ო ნ ი

როგორ არის?

გ ე ტ ა

არც ისე ცუდად.

ს ი კ ო ნ ი

ვერ შეძლებს წამოდგომას და

ჩვენ ცემას?

გ ე ტ ა

მე მგონი, რომ ვერა.

ს ი კ ო ნ ი

ეს რა კარგი ამბავი მითხარი. შევალ და

რაიმეს ვთხოვ. შეიშლება.

გ ე ტ ა

აი რა, ჯერ გარეთ

გამოვათრიოთ, დავავდოთ, მერე

კარებზე ვაბრახუნოთ, ვთხოვოთ რამე, გავაღიზიანოთ.

გეუბნები, დიდი სიამოვნება გველის.

ს ი კ ო ნ ი

900

მეშინია

გორგიასმა არ ჩაგვავლოს, მოგვეკლავს.

გ ე ტ ა

შიგნით ხმაურია,

სვაშენ, ვერაინ გაიგებს. ეს აღამიანი ჩვენი მოსარჯულებელია. მასთან დავმოყვრდებით, ჩვენი ახლობელი გახდება. თუ მუდამ ასეთი იქნება, საქმე ცუდად წაგვივა. ასე არაა?

ს ი კ ო ნ ი

ეცაღე

ფრთხილად გამოიყვანო.

გ ე ტ ა

ჯერ შენ წადი.

ს ი კ ო ნ ი

ცოტა

მოიცადე. გემუდარები. ნუ დამტოვებ, ნუ წახვალ.

გ ე ტ ა

ღვთის გულისათვის, ნუ ხმაურობ.

ს ი კ ო ნ ი

არ ეხმაურობ. გეას ვფიცავ.

გ ე ტ ა

მარჯვნივ.

ს ი კ ო ნ ი

აი, ასე.

გ ე ტ ა

დააწვინე, ახლა კი დროა.

ს ი კ ო ნ ი

ასე?

910

მე პირველი მიუვახლოვდები. შენ ამყევი: „ბიჭო, ბიჭუნა, ბიჭებო, ლამაზებო, ბიჭო, ბიჭუნებო. კ ნ ე მ ო ნ ი

ვაი, ვაიმე!

ს ი კ ო ნ ი

ბიჭებო, ლამაზებო, ბიჭო, ბიჭუნა, ბიჭო, ბიჭებო!

კ ნ ე მ ო ნ ი

ვაი, ვაიმე!

ს ი კ ო ნ ი

ვინ არის? რომელი ხარ?

კ ნ ე მ ო ნ ი

მე. შენ რა გინდა?

ს ი კ ო ნ ი

ქეახისა და თასის სათხოვნელად მოვედი.

კ ნ ე მ ო ნ ი

ეინ

წამომაყენებს.

ს ი კ ო ნ ი

გაქვთ თქვენ, ნამდვილად გაქვთ.

კიდევ გვინდა შეიდი სამფეხა და თორმეტი მაგილა.

ბიჭებო, დროზე გამომიტანეთ, მეჩქარება.

კ ნ ე მ ო ნ ი

არაფერი მაქვს.

ს ი კ ო ნ ი
არა გაქვს?
კ ნ ე მ ო ნ ი

არა. ათი ათასჯერ მითქვამს.

ს ი კ ო ნ ი

მაშინ წავალ.

კ ნ ე მ ო ნ ი
ო. რა უბედური ვარ, აქ როგორ მოხვდი?
ვინ ღამაწვინა გარეთ?

920

/გეტას/

აქედან დამეკარგე.

გ ე ტ ა

კი, ბატონო,

ბიჭო. ბიჭუნა, ქალბო. კაცებო, მეკუჭნავევ!
კ ნ ე მ ო ნ ი

გაგიჟდი.

აღაშინო! კარს დამიმტვრევ.

გ ე ტ ა

ცხრა ხალიჩა

გვათხოვე.
კ ნ ე მ ო ნ ი

საიდან?

გ ე ტ ა

კიდე ასი არშინი უცხოური

ჩამოსაფარებელი.

კ ნ ე მ ო ნ ი

ნეტა ჩემთვის მქონდეს.

საიდან? დედაბერო! სად დაიკარგე?

გ ე ტ ა

სხვა კარს

მივადგები.

კ ნ ე მ ო ნ ი

თავი დამანებე. დედაბერო! სიმიქე!

ღმერთმა დაგწყეველოს.

/სიკონს/

რა გინდა?

ს ი კ ო ნ ი

კრატერი მინდა, დიდი, ბრინჯაოსი.

კ ნ ე მ ო ნ ი

ვინ

წამომაყენებს?

გ ე ტ ა

გაქეთ, ნამდვილად გაქეთ.

დასაგებიც, მამილო, მამიკო!

930

კ ნ ე მ ო ნ ი

კრატერიც არ მაქვს.

მოკლავ სიმიქეს.

ს ი კ ო ნ ი

დაიძინე, ნუ ბუზღუნებ

ხალხს გაურბიხარ, ქალები გძულს, არც
მსხვერპლ შეწირვაზე წახვედი. ამიტომ ყველაფერი
ეს უნდა აიტანო. არაეინ დაგეხმარება, ტყუილად იწამებ
თავს. მოისმინე ყველაფერი თანმიმდევრობით.

...

... ქალები ... თქვენგან

უპირველესად თქვენს ცოლსა და ქალიშვილს
სასიამოვნო პირობები შეუქმენით. მაგარი დროსტარებაა.

940

მამაკაცებისათვის კი სუფრა

გავაწყვე. გაიგე - ნუ იძინებ!

გ ე ტ ა

არ დაიძინო!

კ ნ ე მ ო ნ ი

ვაიმე!

ს ი კ ო ნ ი

არ გინდა იქ ყოფნა? მოისმინე, იქ რა

ხდება: ღვინო შეწირეს. მიწაზე ჭილობებია დაფენილი,
მაგიდებია გაშლილი - ჩემი გაკეთებულია ყველაფერი - გაიგე.
მზარეული ვარ, კარგად დაიმახსოვრე.

გ ე ტ ა

რა მორჩილი კაცია.

ს ი კ ო ნ ი

ერთი ხარის დოქს ფიალაში უშეებს და ჭალარა
მოხუცივით ძველ ბახუსს აზაეებს ნიმფების წყაროს
წყლით, მეორე კი ყველას სთავაზობს ამ ფიალებს,
ქალებსაც. ქეიშასავით ჩხრიალებს თასებში ღვინო.

950

გაიგე. ვილაც ახალგაზრდა მსახური ქალი
ყვავილივით სახეს იფარავს, მღერის. ცეკვას
იწყებს, რითმს მორცხვად ჰყვება და როკავს.
მეორეც კიდებს მას ხელს და ცეკვავს.

გ ე ტ ა

ო. რა საშინელ დღეში ხარ, წამოდექი, იცეკვე.

კ ნ ე მ ო ნ ი

რა გინდათ, მწვალებლებო!

გ ე ტ ა

უმჯობესია, ადგე.

შეველურო!

კ ნ ე მ ო ნ ი

არა, ღვთის გულისათვის.

გ ე ტ ა

შიგნით ხომ არ

შეგიყვანოთ?

კ ნ ე მ ო ნ ი

რა ექნა?

შევინთ ყოფნა მირჩენია.

პეტა

ყოჩაღ, ჩვენ გავიმარჯვეთ.

აბა, კაცებო, ბიჭო დონაქს და შენც, სიკონ!

960

აიყვანეთ და შეიყვანეთ. გვიფრთხილდი.

თუ ისეე გაჭირვეულდი. ადვილად

არ გადაგვირჩები. ახლა კი

გამოიტანოს ვინმემ გვირგვინები, ჩირალდნები. /სიკონს/
ეს შენ აილე.

მაშ ასე. გავიხაროთ, დავამარცხეთ

მძიმე ხასიათის მოხუცი, ყმაწვილებო.

ბავშვებო. მამაკაცებო. ტაშს ნუ დაინანებთ.

მუდამ შემწედ გვეყოლოდეს კეთილშობილი,

სიტყვის მოყვარული ქალწული ნიკე.

შენიშვნები

კომედია „ლისკოლოსის“ ტექსტის ძირითადი წყარო III დასარულის ან IV საუკუნის დასაწყისის პაპირუსის კოდექსია.

გრამატიკოს არისტოფანეს პიპოთესის „კომედიის მამის“ არისტოფანესა და, შესაძლოა, მენანდროსის პირველ გამოცემულს არისტოფანე ბიზანტიონელს (ძვ. წ. 257-180 წწ.) ეკუთვნის.

სტრ. 1-2 ატიკის ფილე – ათენიდან დაახლ. 20 კმ-ით დაშორებული დასახლება.

სტრ. 5 მარჯნიე – მოლაპარაკე პანიდან, ანუ მაყურებელიდან მარცხნივ.

ათენის თეატრის წესების მიხედვით, მაყურებელიდან მარჯნიე ქალაქის გზა იყო; აქედან შემოვლენ: სოსტრატოსი, გუგასი, სიკონი, კალიპიდესი;

მარცხნივ კი – სოფლის გზა, საიდანაც გამოჩნდებიან პირიასი და კნემონი.

სტრ. 45 თქვენ მხოლოდ ისურვეთ – სცენური ილუზიის დარღვევა, რომელიც შემდგომში რომაულმა კომედიამ შეითვისა.

სტრ. 50 ნიმფებს რომ გვირგვინს უწნადა – სამლოცველოს წინ მღვარი ნიმფების ქანდაკებები.

სტრ. 155 პერსეუსი – ბერძენი ვმირი; არგოსის მეფის ასულის დანაესა და მევისის ძე; კუნძულ სერიფოსის მეფის პოლიდექტესთვის გორგო მედეზას თავის ჩამოსატანად გაემურა. გორგო მედეზას სამარულ მგერას შეეძლო ქეად ექცია ყველა, ვინც მას შეხებდავდა; ქალღმერთმა ათენამ პერსეუსს აჩუქა ფარი, რომელიც სარკესაეით ირეკლავდა ირგვლივ ყველაფერს. სტიქსის ნიმფების ნახუქარი ფრთიანი სანდლებითა და ამ ფართი პერსეუსმა შეძლო გორგო მედეზასათვის თავი მოეკეთათ.

სტრ. 173 ეს სტოა გვინათ თუ ლეოს ღუქანი? – სახალხო კრებებისა და ბაზრის მოვლანი (აგორა) შემკული იყო კოლონებით, სადაც გაწყობილი ჰქონდათ ღუქნები, ფარდულები და ა.შ.

სტრ. 192 დიოსკურები – გუპი ძმები - კასტორი და პოლიდექტესი, ლედასა და მევისის ვაჟიშვილები, რომელთაც ვაჭირეებაში დასახმარებლად უხმობდნენ.

სტრ. 327 ტალანტი – წონის ერთეული, რომელიც 26, 2კგ-ს შეესაბამებოდა,

ფულის ერთეულად კი 600 დრამას. ორი ტალანტის ქონება 12-ჯერ აღემატებოდა დემეტრიოს ფალერონელის მიერ ძვ. წ. 317 წელს დაწესებულ მინიმალურ ქონებრივ ცენზს.

სტრ. 567 ისეთი მშენიერი მსხვერპლი მესწირეთ, ერთ ნაბეად დირს – მკვლე ცხვრის კომედიისთვის დაბახასითებელი ირონიული მოხსენიება.

სტრ. 666 ასკლეპიოსი – მკურნალობის ღვთაება, პოლონისა და კრონოსის ძე.

სტრ. 842-844 გაქორწინებ, ყმაწვილო, ჩემს ქალიშვილზე, რათა კანონიერი მემკვიდრეები დატოვოთ – კანონიერი ქორწინების დროს წარმოსათქმელი ფრაზა.

სამოსელი ქალი

მოქმედი პირნი:

მოსქიონი	დემეასის გერი
ქრისისი	პეტერა სამოსიდან
პარმენონი	დემეასის მონა
დემეასი	მოსქიონის მამობილი
ნიკერატოსი	დემეასის მემობელი
მმარეული პლანგო	ნიკერატოსის ქალიშვილი

მოქმედება თამაშდება ათენში დემეასისა და ნიკერატოსის სახლის წინ

[მოსქიონი]

] რად ვაწყენინე მე [
] მწარეა. შეეცდი. [
] ვფიქრობ ეს გახდება (გასაგები)
უფრო) ცხადი კი, თუ თქვენ
მისი ხასიათი ზედმიწევნით გაგაცანით.
ადრიდანვე, ბავშვობიდანვე
გამანებიერა; კარგად მახსოვს; [ამაზე] სიტყვას აღარ
გავაგრძელებ; კარგს მიკეთებდა, მე ჭკუა არ მეკითხებოდა.
]... არაფრით განსხვავებული სხვებისაგან,
როგორც იტყვიან: „ერთი მრავალთაგანი“; 10
] ამასთანავე, ზევს ვფიცავ, უფრო უბედური ვარ.
მარტო) ვართ მართლაც. გამოვიჩინეოდი ქორეგოსობისას
ხელგაშლილობით; ჩემთვის [მამობილი] აშენებდა ძაღლებს,
ცხენებს; ბრწყინვალედ ვიფილარქოსე. შემძლო
გაჭირვებულ მეგობრებს დაეხმარებოდი.
მისით [მამობილით] ვიყავი ადამიანი. მეც თავაზიან
კეთილგანწყობას მივაგებდი, ვიყავი მოკრძალებული.
შემდეგ აი რა მოხდა –მე ხომ ჩვენ ყველა
საქმეს საფუძვლიანად გიყვებით. თავისუფალი დროც მაქვს-
სამოსელ პეტერასადმი ვნებით აღიგზნო, 20
სრულიად ადამიანურია.
მაღავეა ამას, რცხვენოდა; შეენიშნე მე
მისდა უნებლიედ და ვიფიქრე,
თუ პეტერა მისი არ გახდებოდა,
დაიტანჯებოდა ყმაწვილი მეტოქეებისაგან;
შეიძლება, ჩემს გამო რცხვენოდა ამის გაკეთება
...] მისი მოყვანა...
...]...
(აკლია დაახლოებით 23 სტრიქონი)
...] ვნახე მოაქვს 31
...] ეურთავდი ყოველმხრივ
...] მეზობელთან

...] ვატეხა ნავსი ძალზედ
კეთილად იყო განწყობილი მამის
სამოსელი ქალისადმი ქალიშვილის დედა, და
ხშირად იყო მათთან; თავის მხრივ,
ისინი ჩვენთან. სოფლიდან შემოვირბინე,
სწორედ აღონისის დღესასწაულზე წაეასწარ
მათ სხვა ქალებთან ერთად თავშეყრილებს
აქ ჩვენთან. ხოლო როცა დღესასწაულის სეირი
კარგა მაგრად გაჩაღდა, მეც იქ ვიყავი,
შევესწარი; არ დამაძინა
ქალების ხმაურმა.

40

სახურაზე აქონდათ მთელი ბალი,
ცეკვავენ, მთელი ღამე ფიზიკობდნენ თავაშეებულები.
ვერ ვებედავ დანარჩენის თქმას, მრცხვენია;
თითქოს არაფერია; მაინც მრცხვენია.
გოგონა დაორსულდა. ვთქვი და
მოგიყევით აქამდე მომხდარი. არ უარყვავი,
მტყუანი ვიყავი; მაგრამ პირველად მე შეეხელი
ქალიშვილის დედას, შეეპირდი მის ცოლად შერთვას
...| როგორც კი მამა დაბრუნდებოდა, დავიფიცე კიდეც.
მალე ბავშვი გაჩნდა.
თავისთავად აეწყო და კარგადაც –
ქრისისმაც გააჩინა ბავშვი. ამას მართლაც ვეძახით ...

50

....

(აკლია დაახლოებით 29 სტრიქონი)

ქ რ ი ს ი

ჩვენსკენ სწრაფად [...

მე კი დავრჩები და მოვუსმენ, რასაც ამბობენ

მ ო ს ქ ი ო ნ ი

შენ თვითონ ნახე, მამა, პარმენონ?

პ ა რ მ ე ნ ო ნ ი

არ გესმის? გუუბნები.

მ ო ს ქ ი ო ნ ი

მეზობელიც?

პ ა რ მ ე ნ ო ნ ი

აქ არიან.

მ ო ს ქ ი ო ნ ი

კარგი ქნეს.

პ ა რ მ ე ნ ო ნ ი

როგორმე ივაეკაცე

60

და მყისვე ქორწინებაზე ჩამოვადე

სიტყვა.

მ ო ს ქ ი ო ნ ი

როგორ? როგორც კი საქმის გასრულება მოახლოვდა,

უკვე შეეშინდი.

პარმენონი

რას ამბობ?

მოსქიონი

მამის მრცხენია.

პარმენონი

ქალიშვილის,

რომელიც შეურაცხვევ და დედამისის;

როგორ კანკალებს, ქალაჩუნა.

ქრისისი

რა გაყვირებს, უბედურო?

პარმენონი

ქრისისი აქ იყო. შენ მეკითხები,

რატომ ვყვირი. სასაცილოა. მინდა, რომ ქორწილი

ახლავე გაიმართოს. ამ კარებთან ეს აღარ

ტიროდეს, არც ის დაივიწყოს,

რაც დაიფიცა; მსხვერპლშეწირვას, გვირგვინით შემკობას, სესამის

დაფქვას შეუდგეს. ხომ მართალს

ვამბობ?

მოსქიონი

ყველაფერს გააკეთებ. რა თქმა

უნდა.

ქრისისი

მეც ასე ვფიქრობ.

მოსქიონი

მაშ ბავშვს

ეუტოვებთ ახლავე, ის ზრდის

და ამბობს, რომ მან გააჩინა.

ქრისისი

მართლაცაა, რატომაც არა?

მოსქიონი

მამა გაგიბრაზდება.

ქრისისი

ისეუ დამშვიდდება.

შეყვარებულია, უძვირფასესო, მეტისმეტად.

არა ნაკლებს, ვიდრე შენ; ეს კი ძალზედ

გალიზიანებულსაც მყისვე აშოშმინებს.

მგონია, უმალ მე თავად ყველაფერს გადავიტან,

ვიდრე ამ ბავშვს ვიღაც ძიძას გადავცემ გასაზრდელად.

(აკლია დაახლოებით 23 სტრიქონი)

მოსქიონი

მინ[და

აი[ღებ

მართლაც ყველაზე

უბედური; თავი ახლავე არ ჩამოვიხრჩო?

მხოლოდ ორატორი [თუ ილაპარაკებს].

მე კი არანაირი გამოცდილება არა მაქვს.

წაველ სადმე უკაცრიელ ადგილას,

70

80

90

ვივარჯიშებ: ბრძოლა არ იქნება ჩემთვის იოლი.
დე მ ე ა ს ი (ნიკერატოსსა და მონების თანხლებით შემოდის)
ნუთუ ვერ გრძნობთ უკვე ადგილის ცვლილებას,
რამდენად განსხვავდება ეს იქაურ საშინელებათაგან?

ნიკერატოსი

პონტო: მსუქანი მოხუცები, თეზი უხვად.
საქმეები – გაუსაძლისი. ბიზანტიონი?
ყველაფერი შემზარავი. აპოლონ, ეს მხოლოდ
ღარიბთათვისაა მისწრება.

დე მ ე ა ს ი

უპეირფასესი ათენი,

100

ნეტავ ღირსეულად მოგეზღვეოდეს;
რომ ჩვენ, შენმა მოყვარულებმაც,
ყველანიარად გავიხაროთ. - შედით შიგნით
თქვენ.

(მიმართავს ერთ მონას)

გამოშტერდი, დამღვარხარ და მე მიცქერ?

ნიკერატოსი

დემეას. ყველაზე მეტად იმან გამაოცა,
რომ მზე ზოგჯერ იქ დიდი
ხნის განმავლობაში არ ჩანდა.

როგორც ჩანს, რაღაც ჯანლი ფარავდა.

დე მ ე ა ს ი

ანღა რა უნდა დაენახა იქ სახეირო –
იმღენს ანათებდა, რამღენიც საჭირო იყო.

110

ნიკერატოსი

ღიონისეს უფიცავ, სწორს ამბობ.

დე მ ე ა ს ი

ამაზე სხვებმა იმტერიონ თავი. ჩვენს საქმეზე
რას ფიქრობ?

ნიკერატოსი

შენი ვაჟიშვილის

ქორწინებაზე ლაპარაკობ?

დე მ ე ა ს ი

რასაკვირველია.

ნიკერატოსი

კვლავ გავიმეორებ:

ხელი მოგვემართოს. დღე

დაუთქვათ.

დე მ ე ა ს ი

გადაწყვეტილია?

ნიკერატოსი

ჩემთვის კი.

დე მ ე ა ს ი

ჩემთვის უფრო ადრე.

ნიკერატოსი

დამიძახე, როცა მოხვალ.

დ ე მ ე ა ს ი
ცოტა

(აკლია დაახლოებით 14 სტრიქონი)

მოქმედება მეორე

მოსქიონი ...

და თუ[]

120

ვეცადე, წარმომედგინა [საქორწილო სამზადისი]
რადგანაც მართოდმართო მოეხვედი ქალაქგარეთ:
მხვერპლს ვწირავდი, მეგობრებს სადილად ვუხმობდი,
ქალები განსაბანად გაეგზავნე, წინ და უკან დავდიოდი,
სესამს ვარიგებდი, ...

ჰიმენეს ვლიდინებდი. სულელი ვიყავი,
როგორც კი გული ვიჯერე..... მაგრამ, აპოლონ, სწორედ
რომ მამაა. ნუთუ მომისმინა. გამარჯობა, მამა!

დ ე მ ე ა ს ი

შენც გაგიმარჯოს, შვილო!

მოსქიონი

რატომ ხარ წარბშეკრული?

დ ე მ ე ა ს ი

რატომ?

როგორც ჩანს, ცოლი ჰეტერა მყავს.

მე კი არ ვიცოდი.

მოსქიონი

130

ცოლი? როგორ? არ მესმის, რას ამბობ?

დ ე მ ე ა ს ი

როგორც ჩანს, ფარულად ვაჟი გამიჩნდა.

ჯანდაბაში წავიდეს,

ბავშვიც თან წაიყვანოს.

მოსქიონი

არავითარ შემთხვევაში...

დ ე მ ე ა ს ი

როგორ არავითარ შემთხვევაში?

ხომ არ გგონია, რომ მე შინ გავზრდი უკანონო

ბავშვს? [...] მე ასე არ ვფიქრობ.

მოსქიონი

ყოველი კანონიერი ან უკანონო, ღეთის გულისათვის,
აღამიანი არ არის?

დემეასი

შენ

ხუმრობ?

მოსქიონი

არა, დიონისეს ვფიცავ, სერიოზულად ვამბობ;

რა მნიშვნელობა აქვს, როგორი დაიბადე?

მაგრამ თუ ვინმე სამართლიანად განსჯის, კანონიერი

წესიერია, უკანონი კი - უეარგისი

140

და მონა

(აკლია დაახლოებით 18 სტრიქონი)

დექეასი

] სერიოზულად თქვი.

მოსქიონი

[მსურს ცოლის თხოვა

] არა ქორწილებს

დექეასი

.... ბიჭო.

მოსქიონი

მინდა

] ფიქრი.

დექეასი

კარგს შერები.

მოსქიონი

დექეასი --

მოგცემს - ცოლად ითხოვ.

მოსქიონი

როგორ. თუ საქმეში არ გაერკვიე.

როგორ მიხედები, რომ ჩემთვის მნიშვნელოვანია და როგორ დამეხმარები?

დექეასი

მნიშვნელოვანი? არაფერი გავიგე? მიეხედი.

მოსქიონ, რასაც ამბობ. უკვე მიერბივარ

მასთან და ვეტყვი, ქორწილისათვის

მოემზადოს. ჩვენის მხრიდან ისე იქნება,

[როგორც] ამბობ. უკვე ვასხურე.

მსხვერპლი შეეწირე და საკმეველიც ვაკმიე -

მოსქიონი

ქალიშვილთან

მივდივარ.

დექეასი

ჯერ ნუ წახვალ; ვიდრე გავიგებ.

რომ დაგვეთანხმება.

მოსქიონი

შენ წინააღმდეგობას არ გაგიწევს. რა წესია,

მე რომ [აქ] დავრჩე და შენ შეგაწუხო.

დექეასი

შემთხვევითობა, როგორც ჩანს, რაღაც ღმერთია,

რომელიც ბევრ შეუცნობელ საქმეს აგვარებს.

მე ხომ არ ვიცოდი, რომ ის

შეყვარებულია.

(აკლია დაახლოებით 27 სტრიქონი)

[ის მინდა

აქეთ სწრაფად მოვდივარ

ნიკერატოსი
რაზე?

დემეასი

კარგი გამარჯობა შენი.

ნიკერატოსი

]

170

დემეასი

გახსოვს, მითხარი მე,
[დაენიშნეთ დღე?

ნიკერატოსი

მე.

[დემეასი]დღეს
იცი ზუსტად.

ნიკერატოსი

სად? როდის?

დემეასი

...სწრაფად იქნება,
...დღეს.

ნიკერატოსი

როგორ?

დემეასი

[ნიკერატოსი] შეუძლებელია.

დემეასი

[ჩემთვის, შენთვის კი არაკითარი.
]

(?)პერაკლე,

]; როგორ გითხრათ;

მაგრამ [საჭიროა] ამაზე ლაპარაკი;

180

ნიკერატოსი

] ვიდრე ეტყვი მეგობრებს,

] ფიქრია.

დემეასი

ნიკერატოს,

] სიხარული.

ნიკერატოსი

როგორ გავიგებ?

] მეგობარს მოვძებნი.

] ამას სერიოზულად ამბობ?

მაგ|რამ მოგელაპარაკება

შეგეჯიბრება.

დემეასი

ჭკვიანურია

] დაგეხმარება.

ნიკერატოსი

ამბობ

|

დემეასი

პარმენონ, ბიჭო. პარმენონ,
გვირგვინები, სამსხვერპლო ცხოველი, სესამი
] ყველაფერი პირდაპირ ბაზრიდან
ნაკვარი მოვიტანე.
პარმენონი

190

ყველაფერი? მე []. დემეას
] შენღე.

დემეასი

სწრაფად გეუბნები.

მზარეულიც მოიყვანე.

პარმენონი

მზარეულიც? სხვა

ნაკვარი?

დემეასი

ნაკვარი.

პარმენონი

ავიღე ვერცხლი [და] მიერბივარ.

დემეასი

შენ კი ჯერ არა, ნიკერატოს?

ნიკერატოსი

მიედივარ, ვუთხარი

ცოლს. მოაწესრიგოს შინ

[შემდეგ] მას დავედევნები.

პარმენონი

(გამოდის სახლიდან და იქ დარჩენილ ქრისისს მიმართავს)

არაფერი ვიცი.

გარდა იმისა, რაც ნაბრძანებია და მივიჩქარი იქით.

200

დემეასი

მან ცოლი უნდა დაიყოლოს.

ჩვენ კი არც ბევრი ლაპარაკი გვჭირდება

და არც დრო.

(პარმენონს მიმართავს)

ბიჭო, დროს ნუ კარგავ, არ

მირბიხარ?

(პარმენონი მიდის)

] ცოლი

] ვთხოვ. მერე რა?

(აკლია დაახლ. 10 სტრიქონი)

III მოქმედება

დემეასი

როგორც იღბლიან გზაზე

უეცრად მოულოდნელი ქარიშხალი [

ამოუარდება. კარგ ამინდში

მოსიერნებს გადმოყრის და დაანარცხებს;
ასეა ახლა ჩემთვის. მე

210

ქორწილისათვის ვემზადებოდი, ღმერთებს მსხვერპლს ვწირავდი,
ყველაფერი ისე მიდიოდა, როგორც მინდოდა.
ვერაფერი გავიგე, ათენას ვფიცავ, კარგად ვერ
გავერკვიე. წინ ვასწრებ მოვლენებს;
უძლიერესი დარტყმა მივიღე.

წარმოგიდგენიათ? გამარკვიეთ, სრულ ჭკუაზე ვარ |
თუ ვგიჟდები, სწორადაც ვერაფერი |
გავიგე. დიდი უბედურება დამატყდა |
როგორც კი მოვედი, თავი არ დავიშურე

220

ქორწილის გადახდისათვის, მოკლედ მოვეჭერი;
სახლეულებს რაც საჭიროა, ყველაფრის მომზადება ვუბრძანებ;
დასუფთავება, გამოცხობა, მსხვერპლშეწირვის დაწყება.
მართლაც, ყველაფერი მზადდებოდა,

დასაქმებულთა ალიაქოთმა, როგორც ხდება,
არეულობა გამოიწვია. აღრიალებული ბაეში
იქვე საწოლზე მიაგდეს, თავად კი ერთდროულად გაყვიროდნენ:
„ფქვილი, წყალი, ზეთი მომეცი, ნახშირი“,

თავადაც ვაწვდიდი რაღაცაებს და ვეხმარებოდი;

საკუჭნაოში მომიწია შესვლა, იქ

230

დავყოვნდი, ვათვალისწინებდი,
დიღხანს ვეძებდი. ვიდრე იქ ვიყავი,

ზემოდან ვილაც ქალი ჩამოვიდა

საკუჭნაოს წინა ოთახში.

როგორც ყველგან, ერთი სართავი ოთახია,

საიდანაც ზევითაც არის ასასვლელი

და საკუჭნაოში შემოსასვლელიც. ის ქალი

მოსქიონის მოხუცი ძიძა იყო.

ადრე ჩემი მონა, ახლა კი თავისუფალი. როგორც კი

უპატრონოდ მიტოვებული აღრიალებული ბაეში დაინახა,

და არ იცოდა, რომ მე შიგნით ვიყავი, ლაყბობას

240

მოყვა. მიუახლოვდა და აღერისიანად მიმართა: „ძვირფასო

პატარა, დიდო განძო. დედიკო სადაა?“

აკოცა, მოეხვია. როგორც კი შეწყვიტა [ბაეშემა]

ტირილი, თავისთვის თქვა: „ვაი, ჩემს თავს,

ცოტა ხნის წინ იყო მოსქიონი ასეთი; მე

მას ეუვლიდი, მიყვარდა, ახლა კი, მას შემდეგ

რაც უკვე მისი ბაეში გაჩნდა და იგი

(აკლია 2 ან 3 სტრიქონი)

| და

მოხ|და

250

| და გარედან შემორბენილ

ვილაც ახალგაზრდა მსახურს ეუბნება: „დაბანეთ, უბედურო,

ბაეში; ეს რა წესია? მამის ქორწილში

პატარას არ უვლით?“

ის კი პასუხობს: „საცოდავო, რას რომავ,

ის [დემეასი] შიგნითაა“. „კარგი ერთი, სად?“

„საკუჭნაოში“ და ბანზე აუგლო სიტყვა:
„ძიძა, ქალბატონი ვეძახის“ და „წადი,
ინქარე. არც არაფერი გაუგია. ბედნიერებაა.“

ის [ძიძა] კი ამბობს: „ვაი, ჩემ თავს,
ლაქლაქას“. გავარდა, არ ვიცი, საით.

260

მეც ისეთ ხასიათზე გამოვედი, რანაირზეც
ცოტა ხნის წინ მოვედი. სრულიად მშვიდად.
თითქოს ვერაფერი გაეიგე, ვერაფერს მივხვდი.
სამოსელი ქალი კი გარეთ დაეინახე ბავშვთან
ერთად. პატარას ძუძუს აწოვებდა;
ამიტომ გასაგებია, ბავშვი მისია;
მამა კი ვინ არის? ან მე

ან – ვერც კი ვამბობ ამას თქვენს წინაშე, ხალხო;
არც ვუშვებ. მხოლოდ იმას ვამბობ,
რაც მოვისმინე; არც ვბრაზობ.

270

რადგან. ღმერთებსა ვფიცავ, ადრე
ჩემს მიმართ ყოველთვის

მოკრძალებული და ჯეროვნად თავაზიანი იყო.
მაგრამ, როგორც კი გავიგე მოსქიონის
ძიძის ლაპარაკი, ჩემგან უჩუმრად
რას ამბობდა, სრულიად გადავირიე;
როგორ შევხელო სამოსელ ქალს,
რომელმაც თავისი გაიტანა
და მიუხედავად ჩემი სურვილისა, ბავშვი აიყვანა,
მაგრამ, საბედნიეროდ, ეხედაე,
პარმენონი მოდის ბაზრიდან. უნდა ვაცალო,
ვინც მოჰყავს, ისინი შეიყვანოს.

280

(აკლია დაახლოებით 10 სტრიქონი)

პ ა რ მ ე ნ ო ნ ი

მზარეულო, ნეტა ვიცოდე, დანა რაში
გჭირდება? შენ ხომ ენითაც
შეგიძლია ყველაფრის დაჭრა.

მ ზ ა რ ე უ ლ ი

საცოდავო

ბრიყვო.

პ ა რ მ ე ნ ო ნ ი

მე?

მ ზ ა რ ე უ ლ ი

ღმერთებსა ვფიცავ, ასეა.

ნეტა გამაგებინა, რამდენი მაგიდის გაშლას
აპირებთ. ქალი რამდენია, სადილი
როდის უნდა იყოს, მაგიდის გამწყობი
თუ დაგვჭირდება, ჭურჭელი საკმარისია,
თუ არა; სამზარეულო თუა გადახურული.

290

სხვა დანარჩენიც თუ გაქვთ -
პარმენონი

მჭრი მე,

უძვირფასესო, შენდა უნებურად, ნაჭრებად
და ოსტატურადაც.
მზარეული

იტირებ.

პარმენონი

შენც იგივე

დაგეპართება. შიგნით შედით.
დექეასი

პარმენონ!

პარმენონი

მე შეძახიან?

დექეასი

აბა რა.

პარმენონი

გამარჯობა, ბატონო!

დექეასი

კალათა დადე და აქ მოდი.

პარმენონი

ხელი მოგეპართოს.

დექეასი

ამას, მართლაც, როგორც მგონია, არაფერი

დაემალება. ყველაფერი ეცოდინება.

არნახული ჩალიჩაა. მაგრამ კარებმა

გაიჯახუნა, მოდის.

პარმენონი

ქრისისს, ყველაფერი,

რასაც მზარეული მოითხოვს, მიეცით. დედაბერიც

ლოქებს ჩამოაცილეთ. ღეთის გულისათვის. რა უნდა ქნა,

ბატონო?

დექეასი

რა უნდა ქნა და კარს მოშორდი;

ცოტაც.

პარმენონი

ასე.

დექეასი

მისმინე, პარმენონ,

თორმეტ ღმერთს ვფიცავ, შენი გაწკეპელა

არ მინდა; ბევრი რამ მაკავებს.

პარმენონი

გაწკეპელა? მაინც

რა ჩაეიღინე?

დექეასი

გავიგე, რალაცას მიმალავ.

პარმენონი

მე?

დიონისეს ვფიცავ, ამ აპოლონს ვფიცავ.

მფარველ ზევსს, ასკლეპიოსს –

310

დემეასი

ბორჩი, ნურცერთს ნუ იფიცავ, კი არ მეჩვენება

პარმენონი

რომ არასდროს-

დემეასი

შენ, აქეთ გამომხედე.

პარმენონი

აი, ვიყურები.

დემეასი

ბავშვი ვისია?

პარმენონი

ქრისისის.

დემეასი

ბაეში

ვისია? კეითხულობ.

პარმენონი

ქრისისის.

დემეასი

მამაკი?

პარმენონი

ამ [ბობენ], შენ.

დემეასი

მოგკლავ, მატყუილებ მე.

პარმენონი

მე?

დემეასი

ყველაფერი ზუსტად ვიცი: გავიგე.

რომ მოსქიონისაა, რომ შენ თანამზრახველი იყავი,

რომ მოსქიონისთვის ქრისისი ახლა ბაეშეს ზრდის.

პარმენონი

ვინ ამბობს?

დემეასი

ყველა. მაგრამ ამაზე მიპასუხე მე?

ასეა?

320

პარმენონი

ასეა, ბატონო, მაგრამ დამალვა

დემეასი

რა „დამალვა“? რომელიმე მონამ ქამარი მომაწოდოს

ამ ურცხვისათვის.

პარმენონი

არა, ღვთის გულისათვის.

დემეასი

დაგდაღავ, შენ, ქელიოსს ვფიცავ.

დემეასი

ახლავე.

პარმენონი

დავიღუბე.

დემეასი

საით, შენ, საით, გაიძვერა?

დაიჭირე ის. ო, კეკროპის ქვეყნის ქალაქო,
ო, მაღალო ეთერო, ო – რა გაყვირებს, დემეას?

რა გაყვირებს? უგუნურო? შეიკავე თავი, გამაგრდი.
შენთვის მოსქიონს არაფერი დაუშავებია. შეიძლება
ხმამაღალია ეს სიტყვა, ხალხნო, მაგრამ ჭეშმარიტი.

330

მართლაც, თუ სურვილმა ან სიყვარულმა
გააკეთებინა ეს, ან ჩემდამი სიძულვილმა;
იმავე აზრზე იდგებოდა და კიდევ მეტად გათავზელდებოდა
და მე წინააღმდეგობას გამიწევდა; ახლა კი ჩემს წინაშე
გამართლებული აღმოჩნდა, მან ქორწინების ამბავი
სიამოვნებით მოისმინა. სიყვარულის გამო კი არა,
როგორც მე ადრე მეგონა, არამედ ჩემი
ელენესაგან სურს ბოლოს და ბოლოს თავის დაღწევა.
ქრისისი არის ყველაფრის თავიდათავი.

ცხადია, გამოიჭრა ის მთვრალი;

340

თავს რომ არ ფლობდა. ბევრ უგუნურებას კი
სჩადის შუმი ღვინო და ახალგაზრდობა, როცა
მათ ახლოს ავის მზრახველი აღმოჩნდება.
ჩემი აზრით, არაფრით დასაჯერებელი არაა,
რომ ყველასადმი ასეთ მოკრძალებულსა და თავშეკავებულს
ჩემთვის ასეთი რამ გაეკეთებინა.

არ არის მქნელი, თუნდაც ათჯერ არა ღვიძლი
შვილი იყოს ჩემი. მე ხომ მის ხასიათს
კარგად ვიცნობ. ქრისისი კი კახაა, წყეული. მაგრამ რა?
ვერ გადარჩება. დემეას, ახლა შენ უნდა ივაჟკაცო.

350

დაივიწყე ვნება, მორჩი სიყვარულს
და თავს დამტყდარი უბედურება შვილის
გულისთვის როგორმე დამალე. შინიდან კი
კისრისტეხვით ჯანდაბაში გაისტუმრე მშვენიერი
სამოსელი ქალი. საბაბიცა გაქვს – ბავშვი
აიყვანა. სხვას ნურაფერს გამოამჟღავნებ.
[ტუჩზე] იკბინე, [თავი] შეიკავე, ვაჟკაცურად გადაიტანე.

მზარეული
ნუთუ აქ კართანაა?

ბიჭო, პარმენონ. ადამიანი დამიძვერა ხელიდან,
სულ არ დამეხმარა.

დემეასი

ჩამომეტალე.

360

წადი.

მზარეული

ქერაკლე. ეს რა ხდება, ბიჭო?

შიგნით ვიღაც გაგიჟებული მოხუცი თუ
რალაცა სხვა უბედურება შემოვარდა; მერე მე რაა, ბიჭო?
პოსეიდონს ვფიცავ, გაგიჟდა, მე მგონი;
საზარლად ყვირის. რა კარგი იქნება,
თუ ჩემს წინ დასაცავად ჩამომწყრივებულ ჯაშებს
ნამსხვრევებად აქცევს. კარებს
აჯახუნებს. ჩამოიღო. შენ დაილუპე, პარმენონ,
მე რომ აქ მომიყვანე. ცოტას გაეიწევი.

დემეასი

ნუთუ არ გესმის? წადი.

ქრისისი

საით? უბედურო?

370

დემეასი

ჯანდაბაში.

ქრისისი

საბრალო ჩემი თავი.

დემეასი

დიახ, საბრალო.

ვერ ამიჩუყებ გულს საწყალობელი ცრემლით. მე შენ მოგივლი
მე მგონი –

ქრისისი

რა ჩაეიღინე?

დემეასი

არაფერი. გყავს

ბავშვი. დედაბერი; ჭირსაც წაულიხარ.

ქრისისი

ბავშვი რომ ავიყვანე?

დემეასი

ამისთვის და –

ქრისისი

რა „და“?

დემეასი

ამისთვის.

მზარეული

რა საშინელებაა. მივხვდი,

ვერ შეძელი ფუფუნებაში ცხოვრება.

ქრისისი

ვერ შეეძელი?

ამას რას ამბობ?

დემეასი

აქ ჩემთან ძონძებში

მოხვედი, ქრისის, გაიგე?

გაუბედურებული

ქრისისი

მერე რა?

ღეშქასი

მაშინ მე შენთვის ყველაფერი 380

ვიყავი, როცა თავს ცუდად გრძნობდი.
ქრისისი

ახლა კი?

ღეშქასი

ხმას ნუ იღებ.

ყველაფერი გაქვს. ქრისისს, მსახურ
ქალსაც გაძლეე. შინიდან
წადი.

მზარეული

ეს ვილატა ღვთის რისხეაა. უნდა მიეუახლოდე.
უძვირფასესო, მომისმინე –

ღეშქასი

მე მეუბნები?

მზარეული

არ მიკბინო.

ღეშქასი

სხუა ჩემთან კმაყოფილი იქნება, ქრისისს და ღმერთებსაც
მსხვერპლს შესწირავს.

მზარეული

რა ხდება?

ღეშქასი

შენ კი

შეილი იყოლიე. ყველაფერი გაქვს.

მზარეული

ჯერ არ იკბინება.

მაინც –

ღეშქასი

თავდაყირა დაგაყენებ, შენ, ადამიანო,

თუ დამელაპარაკები.

მზარეული

ვფიცავ, სამართლიანადაც, მაგრამ

ნახე, უკვე შევდივარ.

390

ღეშქასი

დიდად მომხიბვლელო. ქალაქში

მიხვდები, სინამდვილეში ვინცა ხარ

შენნაირი ჰეტერები, ქრისისს, მხოლოდ ათ

დრაჰმად მირბიან სადილად და

სიკვდილის პირამდე სვამენ შუმ ღვინოს, ან

შიმშილობენ, თუ ამას მზადყოფნითა და სწრაფად

არ აკეთებენ. ახლა შენს თავზე გამოცდი ამას,

ეიცი მე, და გაიგებ, როგორ დააშავე.

აქ იდექი.

ქრისისი

ვაი, მე უბედური ბედისას.

ნიკერატოსი

აი, ეს ცხვარი ღმერთებისა და ღმერთქალებისთვის
წესისამებრ შეიწირება:

400

სისხლიც აქვს. ნაღველიც საკმარისი, მშვენიერი ძვლები,
დიდი ელენთა, ოლიმპიელთათვის მისწრებაა.
უკვე დაკვალი, ტყავს მეგობრებს გაუუგზავნი
გასასინჯად; ეს ნარჩენები ხომ ჩემია.
მაგრამ, პერაკლე, ეს რა არის? კარებთან
ქრისისი დგას და ტირის. ნამდვილად ისაა,
თვალი არ მატყუებს. ნეტავ რა მოხდა?
ქრისისი

გამომაჰანღურა

შენმა კარგმა მეგობარმა. მეტი რა?
ნიკერატოსი

ო, პერაკლე,

ვინ? ღემეასმა?
ქრისისი

ღიახ.

ნიკერატოსი

რისთვის?

ქრისისი

ბავშვებისათვის.

ნიკერატოსი

გავიგე მე ქალებისაგან, რომ აიყვანე
და ზრდი ბავშვს. თავზარდამცემია.
მაგრამ ღემეასი კეთილია. მაშინვე არ
გაბრაზდა? ცოტა ხნის შემდეგ? მხოლოდ ახლა?
ქრისისი

410

მითხრა,

ქორწილისათვის საოჯახო საქმეებისათვის მიმეხედა,
ამასობაში კი გიჟივით შემომივარდა
და გარეთ გამომაგდო.
ნიკერატოსი

ღემეასი ჭკუიდან გადადგა.

პონტო ჯანმრთელი ქვეყანა არაა.
ჩემს ცოლთან წამომყევი.
ყოჩაღად იყავი. რა გინდა? მორჩება გიჟობას.
როცა გონს მოვა; ახლა რას აკეთებს?

420

IV მოქმედება

ნიკერატოსი

ქალო, ნუ გადამრიე. ახლა მასთან მიედივარ ამბის გასაგებად.
არაფერი მნიშვნელოვანი არ მომხდარა, ღმერთებსა ვფიცავ.
როცა ქორწილისათვის ვემზადებოდი,
უცნაური ნიშანი მოგვევლინა. ვიღაცა გამოგდებული მოვიდა ჩვენთან ბავშვიანად.
დაიწყო ცრემლები, ქალები შემფოდნენ. ღემეასი
მიირთმევს. პოსეიდონს და ღმერთებს ვფიცავ, მიიღებს

სულელი.

მოსქიონი

მზე არაფრით ჩადის. რა უნდა ითქვას?

დამემ თავი დაივიწყა. გრძელი საღამო. მესამედ

მივდივარ განსაბანად. მეტი რა ვქნა?

ნიკერატოსი

430

მოსქიონ,

გამარჯობა.

მოსქიონი

ახლა ქორწილს ვაპირებთ, პარმენონმა

მითხრა. ბაზარში შემხვდა ახლახანს. რა მოხდება

ახლა გოგონასაკენ რომ გავუყვე?

ნიკერატოსი

არიცი, აქ რა მოხდა?

მოსქიონი

რა?

ნიკერატოსი

რა? რაღაც უცნაურობა მოხდა.

მოსქიონი

ჰერაკლე; ეინ? მოვდივარ, არაფერი ვიცი.

ნიკერატოსი

ახლახან

მამაშენმა ქრისისი შინიდან გამოაგდო, უძვირფასესო.

მოსქიონი

რა თქვი.

ნიკერატოსი

რაც მოხდა.

მოსქიონი

რისთვის?

ნიკერატოსი

ბავშვისათვის.

მოსქიონი

მერე ახლა სად არის?

ნიკერატოსი

ჩემთან სახლში.

მოსქიონი

საშინელ,

გასაოცარ ამბავს ამბობ.

ნიკერატოსი

თუ შენ საშინლად გეჩვენება -

დემეასი

თუ ავიღე ჯოხი. ცრემლები მერე

ნახეთ. რას როშავთ? მზარეულს არ

მოემსახურებით? მართლაც ღირსი ხართ ტირილის,

ზევსს ეფიცავ; მართლაც დიდი განძი წაგივიდათ

შინიდან. ჩანს, რომ ასეა. გამარჯობა, უძვირფასესო აპოლონ,

ხელი მოუმართე ყველა ქორწილს; ახლა რომელსაც

ვაპირებთ, გადაგვახდევინე, შეგვაძლებინე. ქორწილს

440

ვიხლი, ხალხნო, ნაღველს კი ვსვამ. დამიფარე,
ბატონო, თავი რომ არ გამოვამყლავნო.
მაიძულე პიძენეს მღერად.

აქრა ძალიან კარგად, როგორც ახლა მაგრამ რა?
დაბრუნდება...

450

ნიკერატოსი (მოსქიონს)

ჩემზე წინ შენ მიდი, მოსქიონ.

მოსქიონი

კარგი. მამა, რატომ აკეთებ ამას?

ღემეასი

რას, მოსქიონ?

მოსქიონი

რას? მეუითხები? რატომ წავიდა ქრისისი, მითხარი.

ღემეასი

...[ვილაცამ მომიგზავნა. საშინელებაა. აპოლონს ვფიცავ,

(მოსქიონს)

შენი კი არა, ჩემი საქმეა.

(განზე)

რა ბოღეა? – საშინელებაა. მითრევს მე.

მოსქიონი

რას ამბობ?

ღემეასი (განზე)

აშკარად. რატომ ესარჩლება მას? ალბათ, უნდა

უხაროდეს, რაც მოხდა.

მოსქიონი

დაფიქრებულხარ, რას იტყვიან

მეგობრები, რომ გაიგონ?

ღემეასი

...[მოსქიონ,

მეგობრები – შემეშვი.

მოსქიონი

რომ დაგიტმო, უღირსად მოვიტყეოდი.

ღემეასი

ხელს შემიშლი?

მოსქიონი

რასაკვირველია.

ღემეასი

ხედავთ, ეს მეტიმეტია.

იმ საშინელებებზე უფრო საშინელი.

მოსქიონი

არ გეკადრება. რისხვას აყვე.

ნიკერატოსი

ღემეას, მოსქიონი კარგად ამბობს.

მოსქიონი

გაიქეცი, ნიკერატოს. ქრისისს უთხარი, აქ მოვიდეს.

ღემეასი

მოსქიონ, შემეშვი მე, შემეშვი მე, მოსქიონ; მესამედ გეუბნები

ამას. ყველაფერი ვიცი.

460

მოსკიონი

რა ყველაფერი?

დემეასი

ნუ მელაპარაკები.

მოსკიონი

რომ საჭიროა, მამა.

დემეასი

საჭირო? ჩემ სახლში

უფროსი არ ვარ?

მოსკიონი

წყალობა გაიღე.

დემეასი

რა წყალობა?

რას ფიქრობ, მე შინიდან წავიდე.

თქვენ კი ორივენი დარჩეთ? გადამახდევინე ქორწილი.

470

გადამახდევინე ქორწილი, ჭკუას მოუხმე.

მოსკიონი

შეგეშვები.

ოღონდ ქრისისიც ჩვენთან იყოს.

დემეასი

ქრისისი?

მოსკიონი

შენთვის უფრო ვცდილობ ამას.

დემეასი

გაუგებარი,

გაურკვეველი არაა? ლოქსია, მოწმედ გიხმობ, ვილაცა

ჩემს მტრებთან პირს კრავს; ვაიმე; გავსკლები.

მოსკიონი

რას ამბობ?

დემეასი

იცი რა მინდა გითხრა?

მოსკიონი

თქვი.

დემეასი

აქეთ მოდი.

მოსკიონი

მიტხარი

დემეასი

აი, რა. ვიცი, ბავშვი შენია; გავიგე შენი

თანამზრახველი პარმენონისაგან. ამიტომ

ნუ დამცინი.

მოსკიონი

მერე შენ ქრისისი რას გიშაუვებს, თუ ბავშვი ჩემია?

დემეასი

შენი ხომ?

480

მოსკიონი

მართლაც, მისი რა ბრალია?

დ ე მ ე ა ს ი

რას ამბობ?

სულ არ ფიქრობ?

მ ო ს ქ ი ო ნ ი

რას ყვირიხარ?

დ ე მ ე ა ს ი

რას ყვეირი, შე ყურმსალო?

ამას მეკითხები? შენს თავზე იღებ დანაშაულს,

მითხარი. და ამას ბელად მითხრა მე და მიყურო?

სულ არაფრად მაგდებ?

მ ო ს ქ ი ო ნ ი

მე?

რისთვის?

დ ე მ ე ა ს ი

ამბობ „რისთვის“? კითხვასაც ბელად?

მ ო ს ქ ი ო ნ ი

ეს მართლაც არც

ისეთი საშინელებაა, ათასი ამასვე სჩადის,
მაშა.

დ ე მ ე ა ს ი

ზევსო, რა თავხედობაა. აქ მყოფების

თანდასწრებით გეკითხები: ვისგან გყავს შენ

ბავშვი? ნიკერატოსს უთხარი ეს, თუ გგონია,

რომ ეს საშინელება არაა.

მ ო ს ქ ი ო ნ ი

490

ზეესს ვფიცავ, მართლაც

საშინელება იქნება, ეს რომ ვუთხრა. გაიგებს და გაბრაზდება.

ნ ი კ ე რ ა ტ ო ს ი

აღამიანთა შორის უსაზიზღრესო; ბოლოს და ბოლოს,

ძლივას ვიწყებ უბედურებისა და მომხდარი სამაგლობის მიხვედრას,

მ ო ს ქ ი ო ნ ი

მომკლავს.

დ ე მ ე ა ს ი

ახლა ხვდები, ნიკერატოს?

ნ ი კ ე რ ა ტ ო ს ი

აბა რა. ო, საზარელო საქმე! რაც კი გესმენია,

თერევისის, ოიდიპოსის, თიესტესის და სხვათა სარეცტლები,

ყველაფერს გადაამეტა.

მ ო ს ქ ი ო ნ ი

მე?

ნ ი კ ე რ ა ტ ო ს ი

შენ გაბედე ამის გაკეთება, ეს გაბედე? ახლა ამინტორის

რისხვა უნდა დაგეუფლოს, დემეასს და ის

უნდა დააბრმავო.

დ ე მ ე ა ს ი

შენ გააგებინე მას ყველაფერი

ნ ი კ ე რ ა ტ ო ს ი

ყველაფერზე წაზვიდლოდი? როგორ [არა

500

შენთვის მომეცა ცოლად ჩემი ქალიშვილი?
როგორც ამბობენ, ადრე გულში [მყავდი].
ადრასტეას მერიდება, გამიხდებოდა დიომნესტე სიძედ [...
აშკარა უბედურება.

დ ე მ ე ა ს ი

... [.....

გაბრაზებულმა შევიკავე თავი.

ნ ი კ ე რ ა ტ ო ს ი

მონური სულის კაცი ხარ, დემეასს

ჩემი საწოლი რომ შეელახა, მეტ შეურცხყოფას ვერ
მომაყენებდა ვერც ის და ვერც სარეცლის გამზიარებელი;
ხვალეუ ხასად პირველ შემხვედრს მიეყიდდი,
გავყიდდი მასთან ერთად ბავშვს, ასე რომ არც სადალაქო იქნებოდა
ცარიელი, არც სტოა, ყველა იჯდებოდა დილიდან
და ჩემზე ილაყებდა, იტყოდნენ როგორ სამართლიანად
დასაჯა კაცმა ნიკერატოსმა სიკვდილისათვის.
მოსქიონი? რა სიკვდილისათვის?

510

ნ ი კ ე რ ა ტ ო ს ი

სიკვდილად მიმანია, როცა წინ აღვიდგებიან.

მ ო ს ქ ი ო ნ ი

დაუძლურებული და ნირწამხდარი ვარ უბედურებისაგან,
ღმერთებსა ვფიცავ.

ნ ი კ ე რ ა ტ ო ს ი

მე კი საშინელების ჩამდენი

[ქრისისი] ჩემს სახლში შემოუეშვი.

დ ე მ ე ა ს ი

ნიკერატოს,

გააგდე, გემუდარები, ჩემთან ერთად ჩაიღინე დანაშაული ღირსეულად, როგორც მეგობარმა.

ნ ი კ ე რ ა ტ ო ს ი

გაკესკლები ამის შემხედვარე, მე მიყურებ, ბარბაროსო,
ნამდვილო თრაკიელო? არ მორჩები?

520

მ ო ს ქ ი ო ნ ი

მამა მომისმინე, ღვთის

გულისათვის

დ ე მ ე ა ს ი

არაფერს მოგიხმენ.

მ ო ს ქ ი ო ნ ი

თუ არაფერი ის არ მომხდარა, რასაც შენ

ფიქრობ? ახლალა მივხვდი.

დ ე მ ე ა ს ი

როგორ არაფერი?

მ ო ს ქ ი ო ნ ი

არ არის ქრისისი იმ ბავშვის დედა, რომელსაც ახლა
ზრდის; უბრალოდ მე მასიამოვნა, ბავშვი რომ აიყვანა.

დ ე მ ე ა ს ი

რას ამბობ?

მ ო ს ქ ი ო ნ ი

სიმართლეს.

დეშეასი

როგორ, შენ გასიამოვნა?

მოსქიონი

იძულებული ვარ, უფრო დიდ ბრალდებას გავუქეცი და მცირე ვალიარე, თუ სწორად გაიგებ მომხდარს.

დეშეასი

მოკვდელები, ვიდრე იტყვი.

მოსქიონი

ნიკერატოსის ქალიშვილისა და

ჩემია. ამის დამალვა მინდოდა.

დეშეასი

რას ამბობ?

მოსქიონი

რაც მოხდა.

დეშეასი

შემხედე, ნუ მატყუილებ.

მოსქიონი

დასტურს ითხოვ? ტყუილი რაში მჭირდება?

დეშეასი

არაფერში. მაგრამ ვილაცა კარებზე -

ნიკერატოსი

ო, მე უბედური, უბედური;

ისეთი დავინახე, შეშლილი გამოვარდი

კარებში, უეცარმა ტყვიელმა დამიარა გულში.

დეშეასი

ბოლოს და ბოლოს რას ამბობს?

ნიკერატოსი

ახლახან შინ დავინახე,

ჩემი ქალიშვილი ბავშვს ძუძუს აწოვებდა.

დეშეასი

მაშ, ასე იყო.

მოსქიონი

მამა, მისმინე?

დეშეასი

მოსქიონ, ჩემთვის შეურაცხყოფა არ

მოგიყენებია. მე კი შენში ეჭვი შევიტანე.

ნიკერატოსი

დეშეას, შენთან მოვდიოდი.

მოსქიონი

განზე გავდგები.

დეშეასი

გამაგრდი.

მოსქიონი

როცა დავინახე, მოკვდი.

დეშეასი

რამდელვარებაა?

ნიკერატოსი

ახლახან შინ დავინახე,

ჩემი ქალიშვილი ბავშვს ძუძუს აწოვებდა.

დემეასი
შეიძლება იხუმრა.
ნიკერატოსი

არ უხუმრია. როგორც კი მე შესული

დამინახა, მყისვე წახდა.
დემეასი

შეიძლება იფიქრა -

ნიკერატოსი
დამტანჯაუ მე ყოველი „შეიძლება“-თი
დემეასი (განზე)

ყველაფერი ჩემი

ბრაღია.
ნიკერატოსი
რას ამბობ?

დემეასი

დაუჯერებლად მეჩვენება. რასაც ამბობ.

ნიკერატოსი
ნამდვილად ვნახე.
დემეასი

მიქარაუ.

ნიკერატოსი

ტყუილს არ ვამბობ.

თუმცა უკან დაებრუნდები.
დემეასი

აი, რა, ჩემო კარგო, ნელ-ნელა

ყველაფერი გადის, ტრიალდება, ბოლო ედება. ზეეს
ვფიცავ, როცა მომხდარს შეიტყობს. გაბრაზდება, აყვირდება;
უხეში ადამიანი, სკორესმოყვარე, რქიანი ხასიათით.
მე ხომ უნდა მეფიქრა მის გაუთლელობაზე, მე.
ჰეფესტოს ვფიცავ. ნამდვილად მოსაკლავი ვარ. ჰერაკლე,
როგორ იყვირა. ასეა. „ცეცხლიო“ ვეირის. ამბობს.
ბავშვს დაეწვაო. შვილიშვილს ვნახავ
დამწვარს. ისევე გაიჯახუნა კარი. ქარბორბალა ან
გრიგალია ეს ადამიანი.

550

ნიკერატოსი

დემეასს, ჩემს წინააღმდეგ

აქეზებს და საშინელებებს აკეთებს ქრისისი.
დემეასი

რას ამბობ?

ნიკერატოსი
ჩემი ცოლი და ქალიშვილი დაიყოლია, არაფერში
დამეთანხმონ. ბავშვი უჭირავს ჩემს ჯინაზე და მეუბნება,
არ მოგცემო. ამიტომ არ გაგიკვირდეს, თუ
საკუთარი ხელით გავუსწორდები.
დემეასი

560

საკუთარი ხელით ჩემს ცოლს?

ნიკერატოსი
მან ხომ ყველაფერი იცის.

დეშეასი

არაეითარ შემთხვევაში. ნიკერატოს.

ნიკერატოსი

შენთვის კი მინდოდა შეთქვა -

დეშეასი

ის გაგიჟდა...

შეეარდა [შინ]. ვინ რა უნდა ქნას ასეთ უბედურებისას?

ჯერ არასდროს ჩავარდნილვარ ასეთ გაუგებრობაში, ღმერთებსა ვფიცავ.

ვიცი. რასაკვირველია, ბევრად უკეთესია, სიმართლე

ვუთხრა. მაგრამ. აპოლონ, კარი კვლავ ინგრევა.

ქრისისიო, მე უბედური, როგორ მოვიქცე? საით გავიქცე? ბავშვს

წამართმევს.

დეშეასი

ქრისისი, აქეთ.

ქრისისი

ვინ მძახის?

დეშეასი

შინ გაიქეცი.

ნიკერატოსი

შენ საით? საით მირბიხარ?

დეშეასი

570

აპოლონ, ჩანს, დღეს

ორთაბრძოლა შექნება: (ნიკერატოსს)

რა გინდა? ვის მისდევ?

ნიკერატოსი

დეშეას,

ჩამომეტალე. თუ ბავშვს ხელში ჩავიგდებ.

ქალებისაგან ყველაფერს გავიგებ.

დეშეასი

არაეითარ შემთხვევაში.

ნიკერატოსი

მირტყამ კიდეც?

დეშეასი

ღიახაც. ქრისისს, სწრაფად შეეარდი შინ.

ნიკერატოსი

შენ მე...

დეშეასი

ქრისისს. გაიქეცი; ჩემზე ძლიერია.

ნიკერატოსი

პირველმა შენ დაიწყე; მე ამას ვამტკიცებ.

დეშეასი შენ კი თავისუფალ ქალზე ჯოხით იწევ

და მისდევ.

ნიკერატოსი

ცილს მწამებ.

დეშეასი

შენ თვითონ.

ნიკერატოსი

ბავშვი

გამომიყვანე.

დე მ ე ა ს ი

ხუმრობ? ის ჩემია.

ნიკერატოსი

არ არის შენი.

დე მ ე ა ს ი

ჩემია.

580

ნიკერატოსი

ეჭვი, ადამიანებო!

დე მ ე ა ს ი

იყვირე რა.

ნიკერატოსი

შევალ და ქალს

მოკვლავ. მეტი რა დამრჩენია?

დე მ ე ა ს ი

საშინელებაა.

ამას არ დაეუშვებ. საით? შეჩერდი.

ნიკერატოსი

ხელი არ დამაკარო.

დე მ ე ა ს ი

თავი შეიკავე.

ნიკერატოსი

გამჩნევ, მამრახებ მე, დემეას.

ყველაფერი იცი.

დე მ ე ა ს ი

მე მკითხე.

ცოლისგან რა გინდა.

ნიკერატოსი

შენმა შეილმა ხომ არ

გამხვია [შარში]?

დე მ ე ა ს ი

რას მიედ-მოედები. წაიყვანს შენს

ქალიშვილს; ასე კი არა, მოდი აქ

ჩემთან ერთად ცოტა გაისეირნე.

ნიკერატოსი

გაეისეირნო?

დე მ ე ა ს ი

გონს მოდი.

არ გაგია ტრაგედიის მთქმელთაგან, მითხარი

590

ნიკერატოს, როგორ დაეცა სახურავიდან

ოქროდქცეული ზეესი დამწყვედეულ ქალს და ბავშვზე აცდუნა?

ნიკერატოსი

მერე ამით რა?

დე მ ე ა ს ი

ყველაფერზე ფიქრია საჭიროა. ნახე.

შენი სახურავი სადმე თუ ატარებს?

ნიკერატოსი

თითქმის ყველგან.

მავრამ რა კავშირშია ეს ამასთან?

დემეასი

ზეესი ხან ოქროდ იქცეოდა,

ხან წყლად. ხელავ. მისი საქმეა. როგორ სწრაფად

მივავენიო მიზეზს.

ნიკერატოსი

მატყუილებ.

დემეასი

აპოლონს ვფიცავ, ნამდვილად არა.

მავრამ აკრისიაზე რითი ხარ უარესი ან ნაკლები:

თუკი მისი ქალიშვილი დააფასა, შენი -

ნიკერატოსი

ვაიმე უბედურს,

მოსქიონმა მომიწყო?

დემეასი

წაიყვანს, ნუ შიშობ.

600

გაიგე, ღმერთის ნებით მოხდა.

შემიძლია გითხრა. უამრავი დადის ჩვენს შორის

ღმერთისგან გაჩენილი. შენ კი გგონია, რომ საშინელება

მოხდა. პირველ რიგში, ქაირეფონი, მუქთამჭამელი,

არ გეჩვენება, რომ ღმერთია?

ნიკერატოსი

ჩანს ასეა. რა მეშველება?

ტყუილად არ გეკამათები?

დემეასი

ჭკვიანი ხარ, ნიკერატოს.

ანდროკლე ამდენ ხანს ცხოვრობს, დარბის, დახტუნავს,

ბევრს იხეუჭს; შავთმიანი დასეირნობს, ჭაღარა არც სიკვდილის პირას იქნება.

არც ვინმე მოკლავს. რით არ არის ღმერთი?

ვეედრე. ყველაფერი კარგად აეწყოს, საკმეველი

აახრჩოლე, ...ახლავე ჩემი ვაჟიშვილი ქალიშვილთან მოვა.

ნიკერატოსი

610

აუცილებელია?

დემეასი

ჭკვიანი ხარ.

ნიკერატოსი

თუკი ჩავეგდებ, მაშინ -

დემეასი

მორჩი. ნუ მაღიზიანებ. გააკეთე

ყველაფერი, მოემზადე.

ნიკერატოსი

ვიზამ.

დემეასი

შეკი ჩემთან

ნიკერატოსი

ვეენი.

დემეასი

მაგარი ხარ. - დიდი მადლობა ყველა ღმერთს,

V მოქმედება

მოსკიონი

მაშინ, როცა ტყუილი ბრალდებისაგან
გავთავისუფლდი, დავკმაყოფილდი და
გავიფიქრე, რომ ბედნიერი
ვარ. მაგრამ როგორც კი გონს მოვეგე
და განსჯას შევუდექი, გაეშმაგდი.

620

გაუბრაზდი ჩემს თავზე და უფრო მეტად
იმაზე, რომ მამას ეჭვი შეეპარა, თითქოს მე
დანაშაული ჩავიდინე. ქალიშვილი რომ არ მომწონდეს
და ამასთანავე არ მამბრკოლებდეს - ფიცი, ვნება,
დრო, ჩვეულება, რომელთაც მე დავემონე,
ის ბრალდებას არ წამომიყენებდა

და მეც გადავიკარგებოდი
ქალაქიდან შორს, სადმე ბაქტრიაში ან
კარიაში. იქ მებრძოლი გავხდებოდი.
ახლა კი ამას და ვერაფერს ვაქყაცურს
შენს გამო ვერ ვიზამ.

630

უძვირფასესო პლანგო; არც შეიძლება და არც
მიშუებს ახლა ჩემი აზრის მკყრობელი ეროსი.
არარაობად ან სრულიად უღირსად რომ არ გამოვჩნდე,
ამიტომ საჭიროა, სხვა თუ არაფრით, მხოლოდ სიტყვით
დემეასი შევაშინო: ვეტყვი - მივდივარ, რომ მომავალში
მეტად მომიფრხილდეს; უსამართლოდაც არ მომექცება,
როცა დაინახავს, როგორ მძიმედ გადამაქვს.

მაგრამ ნახეთ, რა დროულად მოდის
ის, ვისი ნახვაც ყველაზე მეტად მინდა.

640

პარმენონი

ეფიცავ ძლიერ ზევსს, გაუგონარი და
სამარცხინო საქმე ჩავიდინე.
არაფერი დამიშაუვებია, მაინც შეეშინდი და ბატონს
გამოექექცი. მაინც რით დავიმსახურე?
მართლაც, მოდით ერთად განვსაჯოთ.
ბატონმა თავისუფალ ქალიშვილთან
შესცოდა. თქმა არ უნდა, პარმენონი უდანაშულოა.
ქალიშვილმა მუცლად იღო. პარმენონის რა ბრალია.
ჩვენს სახლში ბავშვი

გაჩნდა. მე კია არა, ბატონმა მოიყვანა.
შინაურთაგან ვილაცამ გათქვა ამ დაბადების ამბავი.
აქ პარმენონი რა შუაშია?

650

არაფერში. მაშ, რატომ გამოიქექცი, ბრწყინო
და უმხდალესო? სასაცილოა. დამემუქრა, რომ
დამდალაედა. გაიგე? რა მნიშვნელობა აქვს,

უსამართლოდ დაიტანჯები ამის გამო, თუ სამართლიანად,
ყველანირად უსიამოვნოა.

მოსკიონი

ისაა.

პარმენონი

გამარჯობა შენი.

მოსკიონი

შეწყვიტე ლაქლაქი და სწრაფად

შედი შინ.

პარმენონი

რა კენა?

მოსკიონი

ქლამისი და მახვილი

გამომიტანე.

660

პარმენონი

მახვილი მე შენთვის?

მოსკიონი

სწრაფად.

პარმენონი

რისთვის?

მოსკიონი

წადი და ჩუმად გააკეთე ის.

რაც გითხარი.

პარმენონი

რაშია საკმე?

მოსკიონი

თუ

ავილე ქამარი?

პარმენონი

არავითარ შემთხვევაში. მივლივარ.

მოსკიონი

რალას

აყოვნებ? – ახლა მამა მოვა. რასაკვირველია, მთხოვს
დარჩენას. მთხოვს ამაოდ რალაც დრომდე.

შემდეგ დავემორჩილები მას.

მხოლოდ საჭიროა, რომ დამაჯერებელი იყოს ის-

დიონისეს ვფიცავ, რისი გაკეთებაც მე არ შემიძლია.

ასეა. მოდიხ. კარს აჯახუნებს.

პარმენონი

მე მგონი, შენ აქაური ამბებისა არაფერი

670

იცი, არაფერი გაგია, არც მოგისმენია,

ტყუილად ღელავ და სასოწარკვეთილებას ეძლევი.

მოსკიონი

არ მოგაქვს?

პარმენონი

შენი ქორწილისათვის ემზადებიან. წყლით

[ღვინოს] აზავებენ, ხრჩოლავს, მსხვერპლის შეწირვა
დაიწყო. იწვის მსხვერპლი ჰეფესტოს ცეცხლით.

მოსქიონი
არ მოგაქვს?
პარმენონი

შენ, შენ გიცდიან ისინი დიდი ხანია.

გოგონას მოყვანას აპირებ? ხელი მოგემართოს. შენთვის
არაფერი ხდება ცუდი. გამაგრდი. რა გინდა?
მოსქიონი

მე მარიგებ.

მითხარი, ავაზაკო?
პარმენონი

რას შერები, მოსქიონ?

მოსქიონი

არ გაიქცევი

სწრაფად და არ მოიტან იმას, რასაც გეუბნები?
პარმენონი

დამისკდა პირი.

მოსქიონი -
კიდევ ლაქლაქებ, შენ?
პარმენონი

680

მიეღივარ, ზევსს ვფიცავ.

უბედურებას გადაეყვარე.
მოსქიონი

აყოვნებ?

პარმენონი

ნამდვილად აწყობენ ქორწილს.

მოსქიონი

ისევ?

რამე სხვა მითხარი. ახლა მამა გვიახლოვდება. თუ არ
შემეხვეწება, ხალხნო, დარჩენას, არამედ გაბრაზდება
და გამიშვებს-ეს გამომრჩა- რა უნდა ვქნა?
მაგრამ ამას არ იზამს. თუ კი? ყველაფერი
ხდება. ზევსს ვფიცავ. უკან დახეული სასაცილო ვიქნები.
პარმენონი

აი. ქლამისიც აქაა და მახვილიც. აიღე.

მოსქიონი

მომეცი. შინაურებიდან ვერავინ ნახე?

პარმენონი

ვერავინ.

მოსქიონი

სულ

ვერავინ?

პარმენონი

გითხარი, არა-მეთქი.

მოსქიონი

რას მეუბნები, ზევსმა დაგლუპოს.

690

პარმენონი

სადაც გინდა, იქ წადი. სისულელეებს ლაპარაკობ.

დემეასი

სად არის, არ მეტყვი?

ბიჭო, რა ხდება?

პარმენონი

სწრაფად წადი.

დემეასი

ჩაცმულობა რას ნიშნავს?

რა მოხდა? წასვლას აპირებ, მითხარი.

პარმენონი

როგორც ხედავ, უკვე მიღის, გზაზეა. ახლა კი მეც უნდა გამოვემშვიდობო შინაურებს. უკვე მივდივარ.

დემეასი

მოსქიონ,

რად ბრაზობ, მიყვარხარ მე შენ, და არ [...
 თუ გაწყენინე უსამართლო ბრალდებით. [
 მაგრამ იმაზე მაინც დაფიქრდი, რა მწარე [...
 მე ხომ მამა ვარ. [...აგ]იყვანე შენ ბავშვი,
 გაგზარდე, თუ [...] სასიამოვნო ცხოვრება გქონდა,
 მე შეგიქმენი; ამის გამო შენ უნდა მოგეთმინა
 და ჩემგან წყენა, როგორც შეილს,
 აგეტანა. რაღაც უსამართლოდ დაგადანაშაულებ;
 შეეცდი, შეეცოდე, განვირისხდი. ესაა და ეს.
 სხვების მიმართ უცოდავდი, შენზე კი ღიდად
 უზრუნავდი. ჩემსავე თავში ვიკლავდი იმას, რისი ეჭვიც მქონდა,
 მტრების გასახარებლად არ გამოვიაშკარავე. შენ კი
 ჩემი შეცდომა გამოაჭენე და მოწმეებიც
 მოგყავს ჩემი სისულელის [სანახავად]. არ ვიმსახურებ,
 მოსქიონ. ნუ გამახსენებ ჩემი ცხოვრების
 ერთ დღეს, როცა რაღაც შემეშალა, აღრინდებებს კი ნუ დაივიწყებ.
 მოვრჩები ლაპარაკს, ცუდია, მამის დაჯერება
 გიჭირდეს, მყისვე დათანხმება –უკეთესია. დაიმახსოვრე.

700

710

ნიკერატოსი

ჩემზე ნუ წუხარ. ყველაფერია: განბანვა,
 მსხერპლშეწირვა, საქორწილო ნადიმი.
 ასე რომ, თუ მოსქიონი მოვა, შეუძლია ქალიშვილი
 წაიყვანოს.

ბიჭო, რა ხდება?

დემეასი

მეც არ ვიცი, ზევს ვფიცავ.

ნიკერატოსი

როგორ არ იცი?

ქლამისი? სადმე წასვლას აპირებს?

დემეასი

ამბობს კია.

ნიკერატოსი

თავად ამბობს? ვინ გაუშვებს გარყვნილებაში
 გამოჭერილს და ფიცის მიმცემს. ახლავე შეგკრავ,
 ყმაწვილო.

მოსქიონი
შეშარი, გემუდარები.
ნიკერატოსი

სისულელებს ჩმახე. არ

720

გადაგდებ მახვილს სასწრაფოდ?
დეშეასი

მოსქიონ. ღვთის გულსათვის.

გადაგდე, ნუ აბრაზებ.
მოსქიონი

მოვისროლე. დამიყოლიეთ

ჩემმა მთხოვნელებმა.
ნიკერატოსი

შენმა მთხოვნელებმა. აქეთ.

მოსქიონი

შემკრავ?

დეშეასი
არავითარ შემთხვევაში. საცოლე აქ გამოიყვანე.
ნიკერატოსი

გადაწყვიტა.

დეშეასი
რასაკვირველია.
მოსქიონი

ეს რომ მაშინვე გაგეკეთებინა, არ
დაგჭირდებოდა, მამა, ფილოსოფოსობა.
ნიკერატოსი

გამიძეხი.

მოწმეთა თანდასწრებით მე შენ გაძლეე ქალიშვილს
კანონიერ ბავშვთა გასაჩენად. ამასთანავე როცა
მოკვდები, ყველაფერი შენ დაგრჩება; სულ ხომ არ ვიქნები?
მოსქიონი

მყავს.

მიმყავს, მიყვარს.
დეშეასი

შემდეგ განსაბანად წასვლაა [საჭირო].

ქრისის, გაგზავნე ქალები, წყლისმზიდავი. ფლეიტაზე დამკვრელი.
აქ კი ჩვენთან ვინმემ ჩირაღდანი და გვირგვინები
გამოიტანოს, რომ
თან გამოგვყვინენ.
მოსქიონი

730

აქაა, ვისაც მოაქვს.

დეშეასი

შენ შეიმკე თავი

და თავადაც მოირთე.
მოსქიონი

მეც [ვიზამ ამას]

დეშეასი

მშვენიერო ბიჭებო,

ყმაწვილებო, მოხუცებო, ვაჟაკებო, ყველამ ერთად

ძლიერად გაუგზავნეთ ბახუსს კეთილგანწყობილების მომასწავებელი გულთბილი ტაში.

უმშვენიერეს შეჯიბრებათა მუდმივ მფარველ ქალღმერთ ნიკეს კი მუდამ ხელი მოემართოს ჩვენი გუნდებისათვის.

შენიშვნები

ტექსტის ძირითადი წყარო III-IV სს-ის პაპირუსის კოდექსია.

პირველი ორი მოქმედება ძლიერ დამიანებულია, მაგრამ ჩვენ მაინც შეგვიძლია აღვადგინოთ კომედიის დასაწყისი: ორი შემობელი – დემეასი და ნიკერატოსი რაღაც საქმეებზე პონგოს გაუმგზავრებინან: ამასობაში დემეასის ეპიშვილი მოსქიონი დღესასწაულზე ძალას იხმარს ნიკერატოსის ქალიშვილზე და გაჩნდება ბაეშვი.

დემეასის პეტერა ქრისისსაყ ამავე დროს გაუჩნდება პატარა, რომელიც მაშინვე დაილუქება. ქალები მოილაპარაკებენ და ქრისისი დათანხმდება, მოსქიონის პატარა აიყვანოს გასამრდელად, ვიდრე ახალგაზრდების მამები დაბრუნდებიან და კანონიერ ქორწილს გადაიხდიან.

სგრ. 9-10 არაფრით განსხვავებული სხეებისაგან, როგორც იტყვიან: „ერთი მრავალთავანი“ – 18 წელს მიღწეული ყოველი ათენელისთვის მოქალაქეთა სიაში შეყვანის პროცედურა; ამ სიების საფუძველზე სავლდებულო სამხედრო სამსახურისთვის იქმნებოდა ყმაწვილების (ეფებოსების) რამმები.

სგრ. 12 ქორეგოსი – საპატიო მოვალეობა მდიდარი მოქალაქეებისათვის, რომელთაც უნდა მოემზადებინათ დრამის გუნდი და შეემოსათ თეატრალური კოსტიუმებით.

სგრ. 14 ფილარქოსი – აგია 10 აღმინისტრაციულ ერთეულად (ფილად) იყოფოდა და თითოეულს უნდა გამოეყვანა მხედრობა. მხედრების მეთაურს ფილარქოსი ეწოდებოდა.

სგრ. 38 აღონისის დღესასწაული – აღმოსავლური ღმერთის, აღონისის საპატიეყმელოდ გამართული დღესასწაული, რომელიც ათენში ძვწ-ის V ს-ში შემოვიდა. ეს დღესასწაული მაფხლობით იმართებოდა და მისი ვანუყოფელი რიტუალი იყო სიმბოლური თესვა და მოსავლის აღება. შდრ. სგრ. 44 სახურავეზე აქქონდათ მთელი ბაღი.

სგრ. 72 სესამის დაფქვა – დაფქული სესამის მარცვლებისა და თაფლის ნაშაეისაგან საქორწილო გამასპინძლება მზადდებოდა.

სგრ. 97 ბიზანტიონი (თანამედროვე სტამბოლი) – ბერძნული კოლონია (დაარსებულია ძვ. წ. 660 წელს) ბოსფორის ყურეში.

სგრ. 121-126 ვეყადე, წარმომდგინა [საქორწილო სამზადისი], რადგანაც მარგოდმარგო მოხევი ქალაქგარეთ: მსხვერპლს ვწირავდი, მეგობრებს სადილად ვუზმობდი, ქალები განსაბანად ვაეგზავნე, წინ და უკან დავდიოდი, სესამს ვარიგებდი, კიმენეს ვიღიწებდი – მოსქიონი წარმოსახვაში ხელავს თავის ქორწილს, როგორც უკვე გადახდილს.

სგრ. 130-136 კოლი პეტერა მყავს და ა.მ. – დემეასი კანონს იხსენებს, რომლის მიხედვითაც არაკანონიერი მეუღლის შვილი ასევე უკანონოდ ითვლებოდა.

სგრ. 130-136 დედაბერიე დოქებს ჩამოაყილეთ – სასმელის მოყვარული მოხუცი ქალები კომედიამი ხშირად ვეხელება; შდრ. მენანდრ. რ. 4; 60; პლაეტუსი, „კურკული“, 76-140; გერენციუსი, „ანდროსელი ქალი“, 231-232;

სგრ. 325-326 ო, კეკროპის ქეყენის ქალაქო, ო, მაღალო თეთრო – პაპირუსის არმიებზე მინაწერიტო ეს ციგაგა ვერიპილეს ჩვენამდე არმოდწეული გრაგედია „ოიდიპოსიდან“ არის.

სგრ. 337 ჩემი ელენესაგან სურს ბოლოს და ბოლოს თავის დაღწევა – დემეასი ელენესთან ქრისის შედარებით ელენეს უმნობას უსვამს ხაზს.

სგრ. 474 ლოქსია – აპოლონის საკულგო სახელი.

სგრ. 492-494 – კომიკური არეულობა: ნიკერატოსს ჰგონია, რომ მოსქიონმა მამის საწოლი შებღღა; მოსქიონს კი ჰგონია, რომ ნიკერატოსმა მისი პლანგოსთან ურთიერთობის შესახებ შეიგყო.

სგრ. 495-497 რაყ კი გესმენია, თერეესის, ოიდიპოსის, თიესტესის და სხვათა სარეყლები, ყველაფრის გადაამეგა – ნიკერატოსი იხსენებს ინესტის ყველაზე საშინელ მითოლოგიურ მაგალიტობს: თრაკიის მეფე გრეესმა, რომელსაც კოლაღ ყყავდა ათენის მეუის ასული პროკნე, ძალა იხმარა კოლის და ფილომელამზე (სოფოკლეს ჩვენამდე არმოდწეული გრაგედია „ტერეესი“ ფრგ 581-595); ოიდიპოსმა უნებლიედ მოკლა მამა და დედა შერთო კოლაღ (სოფოკლე „ოიდიპოს მეფე“); თიესტესი, ატრეესის ძმა, შესყოდა თავის ქალიშვილ პელოპიასთან, რათა მათ შთამომავალს

მური ეძია ატრეუსის მიერ თიესტესის მოკლეული შვილებისათვის (სოფოკლეს ჩვენამდე არმოდწეული ტრაგედია „თიესტესი“ ფრგ. 247-269 და ეურიპიდე „ ფრგ. 391-397).

სგრ. 499 *ამინგორის რისხვა* მაგალითი მითოლოგიიდან: მეფე ამინგორმა დააბრმა თაეისი ძე ფენიქსი იმისთვის, რომ მან მამის საყვარელთან გაიზიარა სარეული. როგორც ჩანს, ფენიქსზე ტრაგედია ეურიპიდეს კქონდა დამუშაებული (ფრგ. 804-818).

სგრ. 505 *ადრასტეა* ძე.წ. IV საუკუნიდან მას ხშირად აიგიებდნენ შურისგების ქალღმერთ ნემესისთან, ფრიგიელი ქალღმერთი, რომელიც სჯის ამპარგაუნული სიგყებისათვის. *ადრასტეას მერიღება* მაღალფარდოვანი სიგყებისათვის.

დიომნესტე უცნობი პირი, რომელიც გარეული იყო ოჯახურ არეულობაში.

სგრ. 520 *ნამღელილო თრაკიელო* ბერძნების წარმოდგენით, თრაკიელებს სექსუალური აღვირახსნილობა ახასიათებდათ.

სგრ. 591-595 *დანაე*, აკრისიასის ქალიშვილი, რომელმაც მეესისგან გააჩინა ბერძენი გმირი პერსევსი. მეესმა ოქროს წვიმის სახით ჩააღწია მიწისქვეშეთში გამომწყვდეულ დანაესთან.

სგრ. 603 *ქაირეფონი* ათენში ცნობლი პარასიგი, ნალიმების დაუპატიეებელი სტუმარი.

სგრ. 606 *ანდროკლე*, როგორც ჩანს, ჩვენთვის უცნობი პარასიგი.

სგრ. 628-629 *ბაქტრია* ელინისტური სამყაროს უმორესი ოლქი, რომელიც თანამედროვე უზბეკეთის სამხრეთ და ავღანეთის ჩრდილოეთ რაიონებს მოიცავს.

კარია საბერძნეთთან მცირე აზიის უახლოესი რაიონი. როცა მოსქიონი ამ ორ, ერთმანეთისგან დიდად დამორებულ რეგიონს ასახელებს, დაქირაეებულ მეომრად წასელის დიდ შესაძლებლობას ხამს უსვამს.

თარგმნა მანანა ფზაკაძემ

რომაული ბატონობის პერიოდის ბერძნული პროზა



კლუბარქოსი

(დაახლ. 46-119 წწ.).

დიდად განათლებული, ნაკითხი და კეთილშობილებით გამორჩეული მწერალი განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივით სარგებლობდა თანამოქალაქეთა თუ რომაელ იმპერატორთა შორის.

ჩვენამდე შემორჩა მისი 150-მე მეტი ქმნილება, რომელთაც ორ კატეგორიად კყოფენ ასეთი სახელწოდებებით: „მორალიები“ და „პარალელური ბიოგრაფიები“.

„მორალიები“ ფილოსოფიური, რელიგიური, ღიდაქტიკური, პოლიტიკური, ფსიქოლოგიური, მუსიკალური, ლიგურატურული და სხვა ეთიკური შინაარსის მქონე გრაქტაგების კრებულია. თანამედროვე სამყაროსათვის პლუტარქოსი მნიშვნელოვანია არა იმდენად „მორალიებით“, რამდენადაც „პარალელური ბიოგრაფიებით“; სადაც წარმოდგენილია ანტიკური სამყაროს ორმოცდაათი სახელოვანი მოღვაწის ცხოვრების აღწერილობა. პლუტარქოსი არ მიიჩნევდა თავს ისტორიოგრაფოსად, მას თავის გმირთა ხასიათების, მათი სულიერი სამყაროს წარმორჩენა სურდა. „ბიოგრაფიებს“ მორალისტი მწერლის ხელი ევყობათ. ავტორი თავის გმირთა ცხოვრებისა თუ ისტორიულ მოვლენათა აღწერისას ხშირად სუბიექტურია, თუმცა ისტორიამ მშვიდად მიიღო ეს გენდენცია და არნახული პოპულარობით დააჯილდოვა მუდამ სიკეთის მაძიებელი მწერალი.

თარგმანები:

პლუტარქოსი, რჩეული ბიოგრაფიები (მსოფლიო ლიგურატურის ბიბლიოთეკის სერიიდან), ძველბერძნულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტებები დაურთო აკაკი ურუშაძემ, თბილისი 1975.

პლუტარქოსი, რჩეული ბიოგრაფიები, II, ძველბერძნულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტებები დაურთო აკაკი ურუშაძემ, თბილისი 1987.

პარალელური ბიოგრაფიები

პერიკლე

1. ერთხელ რომში კეისარს¹ ვიდაც მდიდარი უცხოელები დაუნახავს, რომლებიც უბეში ჩასმულ ძაღლისა და მაიმუნის ნაშიერებს ეალერსებოდნენ. გაოცებულს უკითხავს: ნუთუ თქვენში ქალები ბავშვებს არ შობენო? ქვეყნის წინამძღოლის მეგად დამამწევენებელი ამ სიგყვებით მან შეგონებით მიმართა ყველას, ვინც პირუტყვებზე ხარჯავს ჩვენს არსებაში ჩაბუღებულ, ადამიანის მოსაფერებლად განკუთვნილ სიყვარულისა და აღერსის გრძნობას. მართლაც, რაკი ჩვენს სულსა და გულს შემეცნებისა და ჭკერეგის უნარი ბუნებით შეუძენია, განა გონიერული არაა, გავეციხთ ის, ვინც ამ უნარს უღირს საგანთა ყურადღებისა და ჭკერეგისთვის იყენებს და უგულუბელყოფს მშვენიერსა და სასარგებლოს? ჩვენი შეგონება, ვარეგანი ბიძგის მიზგმით, იძულებულია, უჭკერიგოს ყოველ მოვლენას, სასარგებლოსაც და უსარგებ-

ლოსაც; მაგრამ გონების მეშვეობით ყოველ კაცს ძალუძს, თუ მოისურვებს, მუდამ და სულ ადვილად წარმართოს ან არ წარმართოს საკუთარი უნარი იმისაკენ, რაც საყურადღებოდ მიაჩნია. სწორედ ამიგომ, საჭიროა, უკეთესისაკენ მივისწრაფოდეთ, რათა არა მხოლოდ ევკრეტდეთ მას, არამედ მისი ჭერეგითა და აღქმით სამზღლოსაც ეღებულობდეთ. ვით თვალისთვისაა საამო ის ფერი, რომლის სიხასხასე და მახალისებელი ძალა სიყოცხლეს მაგებს და ასამზღოებს ჩენს მხედველობას, ჩენი გონებას ასევე ისეთ საგანთა ჭერეგა-აღქმისაკენ უნდა წარმართოთ, რომლებიც ალაღებენ მას და ჩვეული სიკეთისაკენ უხმობენ. ეს საგნები კი უზენაესი სიქველისაგან წარმომდგარ იმ საქმეებშია, რომლებიც გადმოცემათა წყალობით მიბაძვის მგზნებარე სურვილსა და ხალისს გვინერგავენ. სხვა შემთხვევებში კი რაიმე ქმნილებით აღფრთოვანებას მაშინვე არ უნდა მოსდევდეს მსგავსის შექმნის დაუოკებელი წადილი. საქმე ის გახლათ, რომ ხშირად აგლებით ვეკილებით ოსტაგს, ვისი ნახელავითაც ეხარობთ. ასე მაგალითად, ნელსაცხებელნი და ძოწეულის შესამოსელნი თავისთავად სიამოვნებას გვანიჭებენ, მაგრამ ღებებისა და ნელსაცხებელთა ოსტაგებს უგვანო და დაბალი ღირსების ხელოსნებად ვთვლით. სწორედ ამის გამო ჩინებულად უთქვამს ანგისტენეს,² როცა მოუსმენია – ისმენია კარგი აელეგიაო,³ – „ო, მაგრამ კაცადაა უეარგისი; სხვაგვარად ასე ბეკითი აელეგი ვერ იქნებოდაო“. ფილიპე⁴ თავის ვაჟს, რომელიც ერთ ლხინში საამოდ და ოსტაგურად აელერებდა ჩანგს, ასე უთხრა თურმე: „არა გრცხვენია, აგრე კარგად რომ უკრავ? სრულიად საკმარისია, თუ მეჟე ღროს პოულობს ჩანგზე დამკერულთა მოსასმენად. იგი ამდაგვარ ხელოვნებაში სხვათა შეკიდრზე მაყურებლად ყოფნითაც კი ღიდ ხარკს უხდის მუგებსო“.

2. მდაბალ საქმეთათვის გაწეული პირადი უსარგებლო შრომა თავისთავად მშენიერებისადმი უსულგულო დამოკიდებულებას მოწმობს. არც ერთი კეთილშობილი ჭაბუკი არ მოისურვებს, გახდეს ფილია ან პოლიკლიტე, რაკი პიაში გევისი, ხოლო არგოსში ჰერა იხილა. არც იმას მოინდომებს, ანაკრონტი, ფილეტა, ანდა არქილოქე იყოს, იმის გამო, რომ მათი ქმნილებებით დატკბა. ვისიმე ნახელავი თუ სიამეს გვანიჭებს, როდია აუცილებელი, შემქმნელი მიბაძვის ღირსად ჩავთვალოთ.⁵ აი, ამიგომ მაყურებელთათვის სარგებლობაც ვერ მოაქვთ ისეთ საგნებს, რომელთა მიმართაც ბაძვის მისწრაფება ვერ აღიძვრის და ვერც მიმსგავსებისათვის საჭირო წადილისა და ბიძგის აღმგზნები ძალა. მაგრამ უზენაესი სიქველე თავისი საქმენით მყისვე განგვაწყობს ისე, რომ ერთღროულად გაოცებულები ვრჩებით ამ საქმეებით და მათ შემოქმედთა მიბაძვის კინიც აღგვეძვრის. ბედისაგან მომდინარე სიკეთეში ქონებასა და სიამეს ვეგრფით, უზენაესი სიქველის⁶ მადლში კი – შემოქმედებას, ამასთან გვსურს, ბედის სიკეთე სხეებისაგან მივიღოთ, უზენაესი სიქველისა კი – გვიჯობს, ჩენ თვითონ გავიღოთ სხვათათვის. მშენიერება საქმით გვიბიდავს თავისკენ და მყისვე გვინერგავს მოქმედების სურვილს: მისი განსახიერება მაყურებელს მიბაძვით კი არ აღუძრავს მისწრაფებას, არამედ ნამოქმედარის ამბის გადმოცემით. სწორედ ამიგომ განვიმზარხე, კვლავ მოვიკიდო ხელი ცხოვრებათა აღწერას და კიდევ შევადგინე ეს მეთე წიგნიც, რომელიც პერიკლესა და პანიბალის წინააღმდეგ მებრძოლი ფაბიუს მაქსიმუსის ბიოგრაფიებს შეიცავს. მამულისათვის ღიდად სასარგებლო ეს ეაქვაცუბი ყოველი ქველობით ჰგვანან ერთმანეთს, განსაკუთრებით კი – ლმობიერებით, სამართლიანობით და ხალხისა და თანამდგომთა მხრივ მათ მიმართ გამოთქმულ მდარ მოსამრებათა მოთმენა-გადატანის უნარით. მართებულად მივალწიეთ თუ არა დასახულ მიზანს, ეს ამ თხზულების საფუძველზე უნდა განისაჯოს.

3. პერიკლე ქოლარგოსელი გახლდათ – აკამანგისის ფილედან.⁷ მშობლების მხრივ მოწინავე ოჯახსა და გვარს ეკუთვნოდა. მიკალეს კონცხთან სპარსთა მეფის სარდლების მძლეველი ქსანთიპე შეეუღლა ავარისტეს, იმ კლისტენეს ბადიშს, ვინც პისისტრატილები განდევნა, ტირანია მამაცურად დაამხო, კანონები დაამკვიდრა და შექმნა

სახელმწიფო წყობილება, რომელშიაც საუკეთესოდ იყო ერთმანეთთან შეხამებული თანხმობა და კეთილდღეობა.⁸ აგარისტემ სიმშრად იხილა თურმე, რომ ლომი შუა რამდენიმე დღის შემდეგ მან პერიკლე დაბადა. ყმაწვილი სხეულით უზალო გახლდათ, მაგრამ თავი პქონდა მეტად წავრძელებული და განთან შეუსაბამო. აი, ამის გამო თითქმის ყველა ქანდაკებაში მას თავზე მუშარადი ახურავს: ეტყობა, ხუროთმოძღვართ არ სურდათ. გასაკილაყად წარმოედგინათ იგი. მაგრამ ატიკელი პოეტები მას სქინოკუფალოს „მღვის ხახვისთავას“ ეძახდნენ. ეს იმიტომ, რომ მღვის ხახვს მოგჯერ სქინოსს უწოდებენ. კომედიათა ერთ-ერთი მთხმეული კრატინე „ქირონებში“ ამბობს: „სტასისი და აღრემობილი კრონოსი შეუღლდნენ და წარმოშვეს უდიდესი გირანი, ვისაც ღმერთები კეჟალეგერეტეს უხმობენ“.⁹ იგივე კრატინე „ნემესისშიც“ ამბობს: „მობრძანდი, ზევსო, უცხოთ-მჟარეულო, დიდთავიანო!“ ტელეკლიდე პერიკლეზე ამბობს, რომ იგი „თავდამძიმებული მოგჯერ მის ქალაქში მრავალი საქმით გაოგნებული; მოგჯერ კი, მარტომყოფი, უმარამაზარი თავიდან საშინელ ხმაურს გამოსცემს“.¹⁰ ექოლისი, „დემოსებში“ პადესიდან ამომავალ ყოველ დემაგოგზე ამბის მკითხველი, როცა ბოლოს პერიკლესაც დაასახელებენ, კითხულობს:

რად აღმოზიდე ქვესკნელიდან მისი თავეკაცი?

4. მრავალი გადმოგვეყმს, პერიკლეს მასწაელებელი მუსიკის ხელოვნებაში დამონი იყო (სხვათა შორის, გვირჩევენ, ამ სახელის პირველი მარცვალი მოკლედ წარმოეთქვათ); არისგოგლეუ კი ამბობს, ეს ვაეკაცი მუსიკაში პითოკლიდესთან იწერთნებოდაო. დამონი, ეტყობა, დიდი სოფისტი გახლდათ, რომელიც მუსიკის სახელს ეჟარებოდა, რათა ხალხისათვის თავისი არაჩეუელებრივი შესაძლებლობა დაემაღა. პერიკლეს ღროს იგი სახელმწიფოს საქმეებში ათლეგის მწერთნელის მსგავსი მრჩეველი და მოძღვარი იყო. მაგრამ ვერა და ვერ დამალა დამონმა, ჩანგს რომ საჟარეველად იყენებდა. იგი, როგორც დიდ საქმეთა ხელმძყოფელი და გირანიის მოტრფიალე, ოსტრაკისმოსის საჟუძეულზე გააძევეს და ამით კომედიების მთხმეულთაც გასართობი მასალა მისცა. პლატონის თხმულებაში, მაგალითად, ერთ-ერთი პირი ასე ეკითხება დამონს:

გთხოვ, მიპასუხო, უწინარეს ასეთ კითხვაზე – ხარ მენ ქირონი, ვინც გაზარდე თურმე პერიკლე?¹¹

პერიკლე უსმენდა ელეელ ძენონსაც, ვინც პარმენიდესავით ბუნებას იკვლევედა და მხილებასა და პაექრობაში მეტოქის ჩიხში მომწყველვის უნარსაც მიაღწია. ამის თაობაზე გიმონ ჟლიასიელს უთქვამს:

აი, უნარი მგმნებარე და მეტად დიადი ორენოვანი ძენონისა – სხვათა მძლეველის.

მაგრამ პერიკლეს ყველაზე უფრო მახლობელი კაცი, რომელმაც დირსეული სიამაყე და სახალხო ხელმძღვანელისათვის საჭირო გონიერება შთაუნერგა და ხასიათის დირსება აღუმაღლა, ანაქსაგორა კლაძომენელი იყო, ვისაც თანამედროვენი „გონებას“ ეძახდნენ. ასეთი სახელწოდების მიზეზი ან ის გახლდათ, რომ ბუნებისმყოფლობაში გამოძღვანებული მისი დიდი და არაჩეუელებრივი გონიერება აოცებდათ, ან კიდევ ის, რომ მთელი სამყაროს წერტიგის საჟუძეულად პირეულმა აღიარა არა ბედი და აუცილებლობა, არამედ წმინდა და შეურეველი გონება, რომელიც სხვადასხვა – ერთმანეთში აღრეული საგნებიდან მსგავს ნაწილაკებს გამოყოფს.¹²

5. ამ კაცით მეტად აღფრთოვანებული პერიკლე ღრმად ჩაწვედა მისეულ მოძღვრებას ეიურ მოვლენათა და უმაღლეს საგანთა თაობაზე. იგი, როგორც ჩანს არა მარტო

მალაღვინიერებისა და მდაბიო და უგვანო უბედობისაგან დაწმენდილი, გეაწეული მეტყველების პატრონი გახდა, არამედ სიცილისათვის მიუწვდომელი მისი ღინჯი სახე, დარბაისლური სიარული, მომიერი შესამოსელი, საუბარში ყოველი სახის ვნებისაგან შეუვალობა და ხმის შეუშოთებელი გემბრი და სხვა ამდაგვარი თვისებები ყველას აჯადოებდა. აი, მაგალითად, ერთხელ ვიდაყ ურცხვი და თავხედი მთელი ღღის მანძილზე ლანძღავდა და ავინებდა, იგი ღმრთობით ითმენდა ამას მოედანზე და თან რაღაც საჩქარო საქმეს ასრულებდა. საღამოებში მშვიდად გასწია შინისაკენ; ის ვიდაყ აედევნა და კვლავ უსაზღვრო ლანძღვა-ვინებით აიკლო. როცა უკვე დაბნელდა და სახლში უნდა შესულიყო, მსახურთაგანს უბრძანა, სანათური აეღო, იმ აუციას გაჰყოლოდა და სახლამდე გაეცილებინა. პოეტი იონი კი ამბობს, პერიკლეს ურთიერთობა ხალხთან თავშეკავებული და ქედმაღლური იყო, ხოლო საკუთარი თავის ქებას მუდ უერთოდა მღვარდაუდებელი ზედობა და სხვათა აბუჩად ავდებოდა. იგი ხოგბას ასხამს კიმონის მზრუნველ, ლმობიერ და დახვეწილ დამოკიდებულებას ურთიერთობაში. მაგრამ დაეანებოთ თავი იონს, ვინც საჭიროდ მიიჩნევს, რომ უზენაეს სიქველეს უთუოდ უნდა ახლდეს თან რაღაც სატირული ნაწილიც, როგორც ეს გრაველიამე მოძღვრებაშია გათვალისწინებული.¹³ ყველას, ვინც პერიკლეს სიღიადეს პატივმოყვარეობისა და ქედმაღლობის სახელს არქმევდა, ძენონი მოუწოდებდა, თვითონაც უკონოდათ რაღაც ამდაგვარი პატივმოყვარეობა, რადგან თავის კეთილშობილად გამოჩენა, შეუმჩნეველად იწვევს ერთგვარ გულწრფელ წადილს და კეთილშობილების ჩვევად გარდაქცევასო.

6. ანაქსაგორასთან ურთიერთობის შედეგად პერიკლემ მარტო ხსენებულ ნაყოფთ კი არ გაუსინჯა გემო, არამედ ეგყობა, იმ ცრუმორწმუნეობაზე აღმდლდა, რომელიც, ციური მოვლენების გამო, საზარელ შიშს უნერგავს მათ, ვინც ამ მოვლენათა მიზეზნი არა უწყიან და ღვთაებრივ საქმეთა წინაშე, გამოუცდლობის წყალობით, გონებას კარგავენ და შემუშოთებულნი არიან. ბუნებისმეტყველება კი ასეთ შიშს თავიდან იცილებს და შემადრწუნებელი და შემამუშოთებელი ცრუმორწმუნეობის ნაცვლად იმედებით აღსავსე მტკიცე ღვთისნიერებას ქმნის.

ამბობენ, ერთხელ პერიკლეს სოფლიდან ცხვრის ცალრქიანი თავი ამოუტანეს. მისანმა ლამპონმა, როცა მუბლის შუა ნაწილში ამოსული ძლიერი და უმაგრესი რქა იხილა, განაცხადა: ქალაქში ახლა არსებული თუკიდიდესა და პერიკლეს ორი გამგებლობიდან ძალა-უფლება გადაევა ერთ-ერთის ხელში, ვისაც ეს სასწაული ექნებაო. ანაქსაგორამ კი თავის ქალა გააპო თურმე და დამსწრეთ უჩვენა, რომ გვინი თავის საფუძველს ვერ აესებდა, კვერცხით წაწეებულყო და მთელი სათავსიდან იმ ადგილას მოეყარა თავი, სადაც რქის ძირი იწყებოდა. ანაქსაგორამ მამინ ყოველი იქ მყოფი გააოცა; მცირე ხნის შემდეგ კი, როცა თუკიდიდე დაამხეს და მთელი საზოგადოებრივი საქმიანობა პერიკლეს ხელთ გადავიდა, ლამპონის მისნობას სცეს თავყანი. ვფიქრობ, არც ერთს, არც ბუნებისმეტყველსა და არც მისანს, არაფერი შემლია: პირველმა სწორად ამოიცნო მიზეზი, მეორემ კი მიზანი. პირველს უნდა გაერკვია, რისგან წარმოიქმნა ამოსაცნობი და რა იყო იგი; მეორეს კი უნდა ეწინასწარმეტყველა, თუ რად მოხდა და რას აღნიშნავდა სასწაული. ვინც მიზეზის აღმოჩენას სასწაულის უარყოფად თელის, მას არ ესმის, ღვთაებრივ ნიშნებთან ერთად რომ ისეთ ხელოვნურ ნიშნებსაც უარყოფს, როგორცაა: დისკოთა ელერა, ჩირაღდანთა შუქი და მზის საათთაგან დაფენილი ჩრდილი. თითოეული ამ საგანთაგან გარკვეული მიზეზითა და მოწყობილობით კეთდება, რათა რომელიმე მოვლენის ამხსნელი ნიშანი იყოს. ასეა ეს, მაგრამ ეს საკითხები სხვაგვარ თხზულებათ განეკუთვნება.

7. ახალგაზრდობის ეამს პერიკლეს მეტისმეტად ემინოდა ხალხისა. გარეგნობით იგი პისისტრატე გირანის მსგავსი ჩანდა. ამ მსგავსებასთან ერთად სასიამოვნო ხმა, საუბარში მოქნილი და სწრაფმეტყველი ენა ძლიერ შიშს ჰგერიდა უხუცესებს. რაკი

სიმდიდრისა და ბრწყინვალე გვარის პატრონი იყო და გავლენიანი მეგობრებიც ჰყავდა, ქალაქიდან ოსტრაკისმოსით გაძევების შიშის გამო სახელმწიფოებრივ საქმეთ არ ეკარებოდა, მაგრამ ლაშქრობათა ემს მამაცი ვაჟაკი იყო და საფრთხეს არ გაურბოდა. როცა არისტიდე გარდაიყვალა, თემისტოკლე კი განდევნილი იყო და კიმონსაც მრავალი სალაშქრო საქმე ელადის მიღმა აკავებდა, აი მაშინ პერიკლემ უკვე იტივრთა სახელმწიფო საქმე და ხალხს მიეკეღა. მიუხედავად თავისი სრულიად არადემოკრატიული ბუნებისა, მდიდართა და მყირერიცხოვან წარჩინებულთა ნაცვლად, უმრავლესობისა და ღარიბების მხარი დაიჭირა. როგორც ჩანს, მიშობდა გირანისაკენ მისწრაფების ეჭვი არ გამოეწვია და თან იმასაც ხედავდა, კიმონი არისტოკრატიას ემხრობდა და რჩეულთა სიყვარულით სარგებლობდა. პერიკლე სწორედ იმის გამო დაუახლოვდა ხალხს, თავისთვის უშიშროება, ხოლო კიმონის წინააღმდეგ საჭირო ძალა მოეპოვებინა. ამიერიდან მან მყისევე შეიყვალა ცხოვრების ნირი. ახლა მას მხოლოდ ერთი გმით – მოედნისა და საბჭოსაკენ მავალს ხედავდნენ. ლხინში წვეულებებს და სხვა ამდაგვარ მეგობრულ შეხვედრებს და ახლო ნაცნობობის დამყარებას სრულიად განერიდა: თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის სანგრძლივი დროის განმავლობაში არც ერთ მეგობართაგანს სადილზე არ სწვევია. მხოლოდ ერთხელ, როცა მისი ნათესავი ევრიპოლემე ქორწინდებოდა, გედაშეს წაქცევამდე დარჩა ლხინში, მერმე კი დაუყოვნებლივ წამოგდა სუფრიდან. და მართლაც, მეგობრობა ისეთი ძალაა, ყოველგვარ დიდებას სძლეეს და ახლო ურთიერთობაში მეტად ძნელი დასაყვია სახელის მოსაპოვებლად გამიზნული გვიადობა. ჭემმარიტ სიქველემი ყველაზე მშვენიერი ის, რაც ყველაზე ამკარად ჩანს და გამორჩეულ ვაჟაკებში გარემე პირთ ისე არაფერი აოცებთ, როგორც ამ ვაჟაკთა ყოველდღიური ცხოვრება აოცებთ მათთან ერთად მყოფთ. სწორედ ამიგომ პერიკლე ახლა გაურბოდა ხალხთან უწყვეტ კავშირს და, თვალში საყემი რომ არ ყოფილიყო, მხოლოდ დროდადრო თუ მიუახლოვდებოდა ხოლმე მას. არც ყოველ საქმეზე მართავდა საუბარს და არც ყოველთვის ესწრებოდა თავყრილობებს. კრიგოლაოსის თქმით, იგი სალაშინის გრიყერიით¹⁴ მხოლოდ უმნიშვნელოვანეს საქმეთ ეძლეოდა, სხვა დანარჩენთ კი მეგობართა და საგანგებო რიგორთა მივლინებით ასრულებდა. ერთი მათგანი, ამბობენ, ეფი-ალტე იყო, ვინც, პლაგონის ვადმოყემის თანახმად,¹⁵ მოქალაქეთ თავისუფლების ბევრ შეურეველ ღვინოს უსხამდა და არეოპაგის საბჭოს ძალა დაამხო.¹⁶ თავისუფლების ამ სასმელისაგან რაშიეთ აქედმალელებული ღემოსი,¹⁷ ვით კომედიათა მთხმველნი იტყვიან: „მორჩილებაში ყოფნას ვეღარ იგანდა და ევბეას¹⁸ კბენა და კუნძულებზე თავდასხმა იწყო“.

8. თავის სიტყვას პერიკლე, ვით საკრავ იარაღს, ისე უხმატკილებდა საკუთარი ცხოვრების ნირსა და მაღალგონიერებას. ძალზე ხშირად მიმართავდა ანაქსაგორას პანგებს და მჭევრმეტყველებას ბუნებისმცოდნეობის საღებავით აფერადებდა. „ეს მაღალგონიერება და ყველაფერში დასახული მიზნის საუკეთესოდ აღსრულების უნარი, – როგორც ღვთაებრივი პლაგონი ბრძანებს, – ბუნებისმცოდნეობისაგან შეიძინა; აილო აქედან ის, რაც სასარგებლო იყო სიტყვის წარმოთქმის ხელოვნებისათვის“.¹⁹ ამის წყალობით ყველასგან გამოირჩეოდა კიდეც. ამბობენ, სწორედ აქედან წარმოგდა მისი მეტსახელიო. მოგიერთი ფიქრობს, მას „ოლიმპიელი“ შეერქვა იმ ნაგებობათა გამო, რომლებითაც ქალაქი მორთო; მოგიერთების ამრით კი, ამის მიზეზი მისი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა და სარღლობის ძალა და უნარი იყო. დაუჯერებელი სრულიდაც არაა, ამ კაცის დიდება მრავალმა წარმატებამ შეაპირობა. მაგრამ მაშინდელ პოეტთა კომედები, რომლებიც ხშირად მოიხსენიებენ მას სიღინჯითა თუ სიყილით, გვიყხადებენ: მეტსახელი უპირატესად მჭევრმეტყველების გამო მიეყო. ხსენებულ პოეტთა თქმით, როცა იგი ხალხის წინაშე სიტყვას ამბობდა, „ქუხდა“ და „ელაჟდა“, ხოლო „ენაზე მეხი ეკიდა“, პერიკლეს მჭევრმეტყველების გამო ერთი ვიდაც მოიხსენიებს კიდეც მეღესიოსის ძის თუკიდიდეს ხუმრობით ნათქვამ სიტყვას. ეს

თუკილიდე წარჩინებულთა წრიდან იყო და ხანგრძლივი დროის მანძილზე ებრძოდა პერიკლეს. ერთხელ ლაკედემონელთა მეფე არქიდამემ ჰკითხა მას: ვინ უკეთ იბრძვის – შენ თუ პერიკლე? „როცა მე მას ბრძოლაში დავცემ, მედავება: – არ დავცემულვარო, – და ამით არწმუნებს მაყურებელთ“. სინამდვილეში კი პერიკლე იმდენად ფრთხილი იყო სიგყვაში, რომ მუდამ, როცა გრიბუნისაკენ მიემართებოდა, ღმერთებს ევედრებოდა: ჩემდა უნებურად წინამდებარე საქმისათვის შეუფერებელი არაფერი წამომცდესო. არავითარი ჩანაწერი პერიკლეს არ დაუტოვებია, გარდა დადგენილებებისა. მოიხსენიება მისი სულ რამდენიმე გამონათქვამი. ასე, მაგალითად: უბრძანებია – „ეგინა²⁰ თავიდან მოვიშოროთ, ვით პირეოსის თვალის ჩირქიო“; უთქვამს – „ეხედავ, ვით მოემართება უკეთ ომი პელოპონესიდანო: „ერთხელ, როცა სოფოკლესთან ერთად მღვამი ლაშქრის სარდლად გასულა და სოფოკლეს ერთი ლაშქარი ბიჭის ქება დაუწყია, უთქვამს – „სოფოკლევ, სტრატეგოსს მარტო ხელები კი არა, თვალებიც სუფთა უნდა ჰქონდესო“. სტესიმბროკეს გადმოცემით, როცა გრიბუნიდან სამოსზე დაეშულ მეომართა მოსაგონარ ხოგბას ამბობდა, უთქვამს – „ესენი ღმერთებივით უკვდავნი არიან. ჩვენ ღმერთებს ვერ ეხედავთ, მაგრამ იმ პატივთა მიხედვით, მათ რომ აქვთ და იმ სიკეთეთა მიხედვით, ჩვენ რომ გვანიჭებენ, მათ უკვდავებად ვაღიარებთ. სწორედ ასეთი თვისებები აქვთ მამულისათვის თავდადებულებსაყ“.

9. პერიკლესეულ სახელმწიფო წყობილებას თუკილიდე უწოდებს არისტოკრატიულს, რომელიც სიგყვით იყო დემოკრატიული, სინამდვილეში კი ერთი კაცის გამგებლობას წარმოადგენდაო.²¹ მაგრამ სხვები, რომლებიც საკმაოდ მრავლად არიან, ამბობენ. პერიკლე იყო პირველი, ვინც დემოსს უბოძა კლერუხია, თეორიკონი და საგანგებო ქირა, რითაც იგი უკვ ჩვეუამდე მიიყვანა.²² ძველ სახელმწიფოებრივ ღონისძიებათა გავლენით მოკრძალებული და მშრომელი ხალხი მულანგველ და თავაშვებულ ბრბოდ გარდააქციაო. მოდით, და თვით საქმეთა მიხედვით განვიხილოთ ასეთი გარდაქმნის მიზეზი.

თავდაპირველად, როგორც ითქვა, კიმონის დიდების წინააღმდეგ მებრძოლი პერიკლე ხალხის გადაბირებას ცდილობდა; მაგრამ ბევრად ჩამორჩებოდა კიმონს, სიმდიდრითა და ფულით, რომელთა წყალობითაც კიმონი ღარიბთა გულს იგებდა: ხელმოკლე ათენელებს ყოველდღიურად სადილზე იწვევდა, მოხუცებულებს განთ აყვავებდა, თავის ადგილ-მამულებს ღობეები დახსნა, რათა იქაური ნაყოფი ყოველ მსურველს მოეწია. ასეთი დემაგოგიით ძლეულმა პერიკლემ, თავი დამონიღეს რჩევით, სახელმწიფო სახსრების დანაწილებას მიმართა, როგორც არისტოკრატულად გამოგვეყვს.²³ სანახაობებზე დასასწრები ფულის გაყვით, სამჯავრო საქმეებში მონაწილეობისათვის გასამრჯელოს გაღებით, სხვადასხვაგვარი ქირითა და დახმარებებით პერიკლემ მალე მოისყიდა ხალხი და დაიწყო მისი გამოყენება არეოპაგის საბჭოს წინააღმდეგ, რომლის წევრიც თვითონ არ იყო იმის გამო, რომ წილად არ ხედა, ყოფილიყო არქონტი, თესმოთეგი, მეფე ან პოლემარქოსი.²⁴ ეს თანამდებობები ძველთაგანვე არჩევითი იყო და ისინი, ვინც ამ თანამდებობებზე შემოწმდებოდნენ, არეოპაგის წევრობას აღწევდნენ. მოიპოვა თუ არა დიდი ძალა ხალხში, პერიკლემ არეოპაგის საბჭო დააქინა: ეუილტეს შემწეობით აღუკვეთა სასამართლო საქმეთა დიდი ნაწილი, ხოლო კიმონი, ვითარცა ლაკედემონელების მომხრე და დემოსის მოძულე, ოსტრაკისმოსით გაძევებულ იქმნა, თუმცა სიმდიდრითა და წარმომავლობით არაეის ჩამოუვარდებოდა, ბარბაროსებზეც ბრწყინვალე გამარჯვებანი მოიპოვა და ქალაქიც დიდძალი ფულით და ნადავლით აავსო, რაც მის ცხოვრებაშია აღწერილი. აი ასე დიდი იყო პერიკლეს ძალა ხალხში.

10. ოსტრაკისმოსის საფუძველზე ბრალდებულთა გაძევება კანონით განსაზღვრული იყო ათი წლის ვადით.²⁵ სწორედ ამ ხანებში ლაკედემონელები შეიჭრნენ ტანგრას მხარეში.²⁶ ათენელები მყისვე გაემართნენ მათ წინააღმდეგ. გაძევებიდან დაბრუნებულმა კიმონმა თავის ფილეს რამმთან ერთად იარაღი აისხა და თანამოქალაქეთა საფრთხის

ვაზიარებით ლაკედემონელთა მხარდაჭერის ბრალდების თავიდან მოცილება ისურვა. მაგრამ პერიკლეს მეგობრები აუმხედრდნენ და გააგდეს ვითარცა განძევებული. ჩანს, სწორედ ამის გამო იბრძოდა პერიკლე ძალზე მამაცურად, თავდაუზოგავად და ყველაში გამოიჩინა კიდეც. ბრძოლაში ერთიანად დაიღუპა კიმონის ყველა მეგობარი, რომელთაც პერიკლე ლაკედემონელების მომხრეობას აბრალებდა ისევე, როგორც თვითონ კიმონს. ათენელები სამინულმა სინანულმა და სევდამ შეიპყრო კიმონის გამო. ისინი ატივის საზღვრებთან დამარცხდნენ და მომავალ გამაფხულზე მძიმე ომს მოელოდნენ. როგორც კი იგრძნო ეს ყველაფერი პერიკლემ, ხალხის სურვილის აღსრულება არ დაუყოვნებია. თვითონვე გამოაგანინა სახალხო საბჭოს გადაწყვეტილება და კიმონი გაძევებიდან დააბრუნა. დაბრუნდა თუ არა კიმონი, ორივე სახელმწიფოს შორის მშვიდობა დაამყარა.²⁷ ლაკედემონელები კიმონს იმდენად მიწინაურულად ეკიდებოდნენ, რამდენადაც პერიკლესა და ხალხის სხვა წინამძღოლებს მტრობდნენ. ზოგიერთი ამბობს, პერიკლემ მანამდე არ შეიტანა წინადადება კიმონის დაბრუნების თაობაზე, სანამ მათ შორის არ დაიდო საიდუმლო ხელშეკრულება კიმონის დის ელპინიკეს შუამავლობით. კიმონი ორასი ხომალდით ათენიდან უნდა გასულიყო და საზღვრებს მიღმა სტრაგეგოსად მყოფს სპარსთა მეფის საგამგებლონი უნდა დაემორჩილებინა, ქალაქში ძალა-უფლება კი პერიკლეს ხელთ რჩებოდა. ჩანდა, ელპინიკე მამინაც ლმობიერად განაწყობდა პერიკლეს კიმონისადმი, როცა ის სამართალში მისცეს.²⁸ დემოსის მიერ ერთ-ერთ ბრალმდებლად დანიშნულმა პერიკლემ მასთან თხოვნით მისულ ელპინიკეს ღიმილით უთხრა: „საამისო საქმეთა გასაკეთებლად მეგად გადაბერებული ხარ, ჩემო ელპინიკე, მეგად გადაბერებული!“ მიუხედავად ამისა პერიკლე მხოლოდ ერთხელ წამოგდა სიციყის სათქმელად და ისიც მოუალეობის მოსახდელად. მან ყველა სხვა ბრალმდებელზე ნაკლები ვნება მიაყენა კიმონს და იქაურობას გაეცალა. როგორღა უნდა ერწმუნოს ვინმე იდომენესს,²⁹ რომელიც პერიკლეს აბრალებს, თითქოს დემოსის წინამძღოლთაგანი, თავისი მეგობარი და სახელმწიფო მოღვაწეობაში თანამშრომელი ეფიალტე მის სახელოვნების ნიადაგზე აღძრული ევკრითა და შურით მოკლა? არ ვიცი, საიდან მოიტანა მან ეს და ვითარცა გესლი შეანთხია კაცს, ვინც, შესაძლოა, ყოველმხრივ უმწიკვლო არ იყო, მაგრამ კეთილგონიერებითა და დიდსულოვნებით იმათ რიგს ეკუთვნოდა, რომელთაც ამგვარი ელური და მხეური ეინი არ დაჰყვებათ. ოლიგარქიული დაჯგუფებისათვის შიმის მომგერელი, ანგარიშის წარდგენისა და დემოსის მავნებელთა დევნის ვაშს შეუბრალებელი ეფიალტე, როგორც არისტოტელე გადმოგვცემს, ფარულად მოკლეს მის წინააღმდეგ შეთქმულმა მტრებმა განაგრელი არისტოდიკეს ხელით. რაც შეეხება კიმონს, იგი სტრაგეგოსობაში გარდაიცვალა კვიპროსზე.

11. არისტოკრატიული დაჯგუფების წარმომადგენელი ადრევე ხედავდნენ, პერიკლე მოქალაქეთაგან ყველაზე გავლენიანი კაცი იყო, მაგრამ მაინც სურდათ, მისთვის ვინმე დაეპირისპირებინათ, ვინც მის ძლიერებას შეასუსტებდა, რათა მთლიანად მონარქია არ დამყარებულიყო. და აი, მის წინააღმდეგ გამოიყვანეს კეთილგონიერი და კიმონის მახლობელი კაცი თუკიდიდე ალოპოკელი. იგი კიმონივით ომის მოყვარული არ იყო; უპირატესად თავყრილობასა და პოლიტიკურ საქმიანობას ეგანებოდა; ქალაქიდან ფეხს არ იყელიდა და სარიტორო კათედრიდან პერიკლესთან მეტოქეობით სულ მალე დაამკვიდრა მოწინააღმდეგე მხარეთა წონასწორობა სახელმწიფო წყობაში. მან ნება არ მისცა „მშენებით შემოსილთა და საუკეთესოთა“ სახელით წოდებულ პირთ,³⁰ დემოსში გაფანტულიყვნენ და მას შერეოდნენ უწინდებურად, როცა ბრბომ მათი ღირსების დაკნინება დაიწყო. თუკიდიდემ ისინი გამოაყალკევა, თავი ერთ ადგილზე მოუყარა და რაკი თავმოყრილთა ძალამ იმაგა, საპირწონეც მათკენ გადასწია. ფარული ბზარი, ისე ეით რკინაში, თავიდანვე არსებობდა და დემოკრატიულსა და არისტოკრატიულ მიმართულებებზე მიანიშნებდა. ახლა კი პერიკლესა და კიმონის მეტოქეობამ და პატივმოყვარეობამ სახელმწიფოში ღრმა ნაპარალი გააელო და ერთი

მხარე „დემოსად“, ხოლო მეორე „უმეორესობად“ იწოდა.³¹ სწორედ ამის გამო პერიკლემ განსაკუთრებით დემოსისათვის მოუშვა სადავნი და მისი გულის მოგების პოლიტიკას ეწეოდა: გამუდმებით მართავდა ქალაქში რაიმე საყოველთაო სანახაობას ან ლხინს, ანდა საზეიმო სელას და მოქალაქეებს საამო ხელოვნებათ აჩვენებდა. ყოველწლიურად გზავნიდა სამოც გრიერს,³² რომლითაც მრავალი მოქალაქე რვა თვის მანძილზე სერავდა მღვას და სათანადო გასამრჯელოსაც იღებდა, თანაც სამღვაოსნო საქმეს სწავლობდა და იწაფებოდა. ამ საქმეთა ვარდა ათასი კლერუხოსი³³ ქერონესზე გაგზავნა, ხუთასი – ნაქსოსზე, ამის ნახევარი – ანდროსზე, კიდევ ათასი – თრაკიაში ბისალგებთან³⁴ დასამკვიდრებლად, ხოლო სხვები იგალიაში, როცა იქ კვლავ დასახლდა სიბარისი, რომელსაც თურიები ეწოდა.³⁵ ამას იმ მიზნით აკეთებდა, რომ ქალაქი უქნარა და მოცლილობის გამო მრავალნაირად მოჩალიჩე ბრბოსაგან გაეწმინდა, თან დემოსის სიღარიბეს შემეუფლებოდა და თანაც თავისი ხალხის ჩასახლებით მოკავშირენი მიშა და თვალთვალში ჰყოლოდა, რათა რაიმე ამბოხება არ მოეწყოთ.

12. ყველაზე უფრო მეტად ხალისი და შნო ათენს მაინც საგანგებო ძველთა მშენებლობამ მოუგანა და ყოველი კაციც გააოცა. სწორედ ეს და მხოლოდ ეს მოწმობს ახლა, ელადის აღიარებული ძლიერება და გარდასული სვეკეთილობა საგყურად დაგდებული ხმა რომ არაა. მაგრამ მტრები პერიკლეს სახელმწიფო საქმიანობათაგან ხსენებულ საქმეს განსაკუთრებით კიცხავდნენ და მის წამომწყებს თაყვრილობებში ლანძღვა-გინებით იკლებდნენ: „ხალხი შერყხენილი და სახელგატეხილია იმის გამო, რომ პერიკლემ ელინთა საერთო ქონება დელოსიდან აქ გადმოიგანა. მართალია, ხალხს შეეძლო ბრალმდებელთათვის ყველაზე შესაფერ საბაბად ის წამოეყენებინა, რომ სამოგადო განძი იქიდან ბარბაროსთა მიშით წამოიღო და შეუვალ ადგილზე იყავს; მაგრამ ეს საბაბი მას პერიკლემ აღუკვეთა.“³⁶ ჩანს, საშინელ ძალმომრეობასა და აშკარა გირანიას განიყდის ელადა: იგი ხელავს, ომის საწარმოებლად თავის მიერ იძულებით შემოგანილი სახსრებით ჩვენ რომ ქალაქს ოქროთი ვავარაყებთ და ქარაფშუკა დიაცივით ვრთავთ, რაკილა ძვირფასი ქვებით, ქანდაკებებით და ათასობით გალანგად ღირებული გაძრებით ვამკობთ!“

პერიკლე თავის მხრივ ხალხს უმოძღვრებდა: „მოქალაქენი არ არიან ვალდებულნი, სახსართა ხარჯვის ანგარიში ჩააბარონ მოკავშირეებს, რომელთა დასაცავად ომობენ და ბარბაროსებს იგერიებენ. მოკავშირენი ჩვენ არც ცხენს გვაძლევენ, არც ხომალდსა და არც მეომარ პოპლიგს; მხოლოდ და მხოლოდ ფულს იხდიან; ფული კი ეკუთვნის არა იმას, ვინც იძლევა, არამედ მიმღებს, თუ იგი სამაგიეროს იხდის იმ საქმით, რისთვისაც ამ ფულს იღებს. როცა სახელმწიფო საკმაოააა აღჭურვილი ომისათვის საჭირო აუცილებელი სახსრებით, მისი ქონება ამ საქმეთაც უნდა მოხმარდეს, რომელთა აღსრულება საუკუნო სახელს მოუხვეჭს და რომელთა კეთებაც მაშინვე ქმნის კეთილდღეობას. თავს იჩენს მრავალგვარი სამუშაო და ნაირნაირი საჭიროება, რომელიც ხელოსნობის ყოველ დარგს აღვიძებს, ყოველ ხელს ამომრავებს, თითქმის მთელ სახელმწიფოს შემოსავალს უქმნის და ამის წყალობით იგი კიდევ ირთება და კიდევ იკვებება“. მართლაც, ვისაც ასაკი და ძალ-ღონე ერჩოდა, მას გასამრჯელოს ლაშქრობები აძლევდა სამოგადო ქონებიდან. რაც შეეხება სალაშქრო სამსახურიდან თავისუფალ მუშახელს, პერიკლეს სურდა, იგი არც სახსართა უწილოდ ყოფილიყო და არც უმუშევრად და უქმად მყოფს მიეღო რაიმე. ამიგომ მან ხალხს შესთავაზა დიად მშენებლობათა გეგმა, რომლის ხორცშესასხმელი პირობა მრავალგვარი ხელობის ხანგრძლივი გამოყენება იყო. ამით შინ დარჩენილთ მებღვაურებზე, მეციხოვნეებსა და მოლაშქრეებზე ნაკლები საბაბი როდი ექნებოდათ, სამოგადო სახსრებიდან თავისი წილი მიეღოთ. და მართლაც, აქ ყოველი მასალა იყო: ქვაცა და სპილენძიც, სპილოს ძვალაცა და ოქროც, აბანოზის ხეცა და კვიპაროსიც. ამ მასალის გამოსაყენებლად და დასამუშავებლად საჭირო ყველა ხელობაც არსებობდა. აქ იყვნენ: მშენებლებიც და მოქანდაკენიც, თოქმაჩეზიცა და ქვის მთლელებიც, მღებარები, ოქრომჭედლები და

სილოს ძელის ოსტაგები, მხაგერები, მემინანქრენი და მკეერაეები. აქ იღვწოდნენ ხსენებული მასალის მომგან-მომწოდებელი: ზღვის გზით – ვაჭარნი, მემღვაურნი და მესაჭენი; ხმელეთის გზით – ფორან-ურემთა გამგებელი და მეეგლენი. აქ იყვნენ: მუბაგირე-მეთოკენი, სირაჯები, გზის ოსტაგნი და მემთამადნენი. ვით სარდალს საკუთარი ჯარი, ისე ჰყავდა აქ ყოველ ხელობას თავისი ქვეშევრდომი, უბრალო, მაგრამ მოწესრიგებული შავი მუშაძალა – იარაღი და სხეული სამსახურისა. საჭირო სამუშაონი ყოველი ასაკისა და ბუნება-უნარის მიხედვით ანაწილებდა და თესავდა კეთილდღეობას.

13. წამოწყებული მშენებლობანი, რომლებიც არაჩვეულებრივი სიღიადით, შეუდარებელი სილამაზითა და მშვენიერებით გამოირჩეოდნენ, აღმა-დაღმა მიიწევდა. ყოველი მშენებელი ცდილობდა, თავისი დახვეწილი ოსტაგობით გასჯიბრებოდა მეორეს. ყველაზე საოცარი მაინც საქმის შესრულების სისწრაფე გახლდათ. ყველა შენობა, რომელთაგან თითოეულზე ფიქრობდნენ: ამის დასრულებას მრავალი თაობისა და კაცის სიოცხლე დასჭირდებაო, სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის აღმეგების მხოლოდ ერთ მონაკვეთში აიგო. თუმცა იმასაც ამბობენ, როცა მხაგვარმა ავათარქემ დაიქადა: სწრაფად და ადვილად ვხატავ სულდგმულთა სურათებსო, ძვექსისს³⁷ ამის გავონებისთანავე უთქვამს: „მე კი ძალზე დიდ ხანს ვუნდები მაგ საქმესო!“ ხელის ერთი მოსმა და სისწრაფე მართლაც ვერ აძლევს ნახელავს მყარ სიმტკიცეს და ხელოვნებით სრულქმნილობას, საქმისათვის დახარჯული დრო კი ნაწარმოებს დღე-გრძელობის ძალას ანიჭებს. სწორედ ამიტომაც, მეტად რომ გვაოცებს მცირე დროში, მაგრამ ხანგრძლივი არსებობისათვის შექმნილი პერიკლეს ნაგებობანი. ყოველი ნაგებობა იმთავითვე ძველებური სილამაზისა გახლდათ, მაგრამ მშვენივით და სიღიადით ისინი დღემდე ინარჩუნებენ სინორჩეს, თითქოს ახლახან აუშენებიათო, დროისაგან ხელშეუხებელი ისეთი იერი აქვთ და მუდამ რაღაც ისეთი სიახლით ხასხასებენ, თითქოს ძალუმი სუნთქვა და უბერებელი სული იყოს შერწყმული მათში.

ყველაფერს განაგებდა და მეთვალყურეობდა პერიკლეს მარჯვენა ხელი ფიდა. ამასთანავე ყოველ ნაგებობას თავისი ხუროთმოძღვარი და დიდოსტაგი ჰყავდა მიჩენილი. „ჰეკატომპედონად“ წოდებულ პართენონს კალიკრაგე და იქტინე აშენებდნენ;³⁸ ხოლო წმინდა საიდუმლოებათა ტაძრის აგება ელეუსინში კორიბემ წამოიწყო. მანვე დაღვა სევეები საფუძველზე და მათი თავები მთავარ კოჭს შეუერთა. მისი სიკვდილის შემდეგ კი მეტაგენე ქსიპეტიოსმა დააყენა მათზე არშია და ზედა სევეები. რაც შეეხება ტაძრის სახურავს, იგი სანათობელით ქსენოკლე ქოლარგოსელმა და-ავირვეინა. კალიკრაგემ ხელი მოჰკიდა გრძელი კედლის მშენებლობას, რომლის გამოც სოკრაგე ამბობს: მისი აგების აზრი მე თვითონ მომისმენია პერიკლესაგანო.³⁹ კრაგინე თავის კომედიაში დასცინის ამ წამოწყებას გაჭიანურებული მსვლელობის გამო: „კაი ხანია, სიგყვით აშენებს ამ კედელს პერიკლე, საქმით კი თითსაც არ ანძრევსო“.

ოღონი შიგნით მრავალი მერხითა და სევეით იყო მორთული. მისი სახურავი კი ერთი წვეროდან ყოველმხრივ ისე დაქანებულად იყო ნაგები, რომ ამბობენ, ეს შენობა სპარსთა მეფის კარვის მიბაძვით აშენდა და ამასაც პერიკლე მეთაურობდაო. ამიგომაც კელავ დასცინის კრაგინე მას „თრაკიელ ქალებში“:

„აი, ხახვისთავა გვიახლოვდება ზევსი –
– პერიკლე; კორგოხზე ოღონი წამოუდგამს,
რაკი განძეების მიშმა გაუარა.“

ჰაგიემოყვარეობის დასაკმაყოფილებლად პერიკლემ მაშინ ხმის მიცემით შემოიღო პირველად მუსიკალური მეჯიბრების გამართვა პანათენურ დღეობებზე. მსაჯად არჩეულმა თვითონვე დაადგინა, როგორი წესით ემღერათ და დაეკრათ ავლოსსა და

კითარაზე შეჯიბრში მონაწილეებს⁴⁰ მამინ და მომდევნო ხანებშიც ოლეონში განუწყვეტლივ იმართებოდა მუსიკალური შეჯიბრებები.

აკროპოლისის პროპილეები ხუთ წელიწადში აიგო მნესიკლეს ხუროთმოძღვრებით. ერთმა საოყარმა შემთხვევამ მამინ ცხადყო, რომ ღმერთქალი⁴¹ მშენებლობას მფარველობას არ აკლებდა და მის დასრულებას შემწობას უჩენდა. მოხდა ისე, რომ ყველაზე თავგამოდებულსა და ბეკით ოსტატთაგანს უხი დაუცდა და სიმალიდან ჩამოვარდა. იგი ისეთ მძიმე ვითარებაში იმყოფებოდა, ექიმებმა მის გადარჩენაზე ხელი ჩაიქნიეს. შეწუხებულ პერიკლეს სიმზრად ღმერთქალი გამოეცხადა და მკურნალობის ხერხი შეაგონა. მისი წყალობით პერიკლემ სწრაფად და ადვილად მოარჩინა თურმე ოსტატი. ამის აღსანიშნავად მანვე დადგა აკროპოლისზე საკურთხეველის ახლოს ათენა-მსხნელის⁴² ბრინჯაოს ქანდაკება, რომელიც, როგორც ამბობენ, ძველადაც მდგარა თურმე იქ.

იმ ხანებში უიღია ღმერთქალის ოქროს გამოსახულებაზე მუშაობდა და სამახსოვრო სვეტზე წარწერილიყაა, რომ იგია მისი შექმნილი. თითქმის ყველაფერი მას აწვა მხრებზე და, როგორც ვთქვით, პერიკლესთან მეგობრობის გამო ყველა ოსტატის თავეკაციც იყო. ამ ვითარებამ ერთს შური, ხოლო მეორეს ლანძღვა-გინება მოუტანა; თითქოსდა უიღია მშენებლობათა დასათვალისწინებლად მომსუველ მსუბუქი ყოფაქცევის ქალებს პერიკლესათვის ღებულობდა. კომისიები ჩაევიღნენ ამ ჭორს და ხმა დაყარეს პერიკლეს უსამღერო თავაწყვეტილობაზე. მას აბრალებდნენ თავისი მეგობრისა და სტრაგეგოსობაში თანამემწის მენიპეს ცოლთან კავშირს; კიხხაღდნენ სირთა გამო პირილაამესთან ურთიერთობისათვის, ვითომც ეს მეგობარი იმ ქალებს, რომლებთანაც პერიკლე ახლოს იყო, უარშევენებებს უგზავნიდა:

კაცმა რომ თქვას, განა ვის გაუკვირდება იმ პირთა აყვიარობა, რომლებიც ყველაფერს ამჯობინებენ, თავიანთი ქილიკაობით მუღამ და მუღამ მსხვერპლად მიუტანონ ბოროტ შურს კეთილ კაცთა სახელი, როცა თვით სტესიმბროტე თასოსელმაც კი იკადრა, პერიკლესათვის სამარული და მითიური სიბილწე დაებრალებინა, თითქოსდა საკუთარი ვაჟის ცოლთან ჰქონდა კავშირი? ეგყობა ყოველმხრივ ძნელი და მიუწვდომელია გამოძიებით ჰემმარიტების დაღვენა, როცა დროით წარმოქმნილი ბუნდოვანება მომდევნო თაობებს ხელს უმლის ამბავთა შეცნობაში, ხოლო გარდასულ საქმეთა და პირთა თანამედროვე ისტორია, ერთი მხრივ, შურითა და მგრობით, მეორე მხრივ კი – მამებლობითა და მლიქვნელობით ამახინჯებს და ამრუდებს სინამდვილეს.

14. თუკიდიდეს გარშემო დარაზმულმა რიტორებმა ყვირილი ატეხეს, პერიკლე უღლებს უღანგავს და სახალხო შემოსავალს ანადგურებსო. მამინ პერიკლემ თავყრილობის ეამს ხალხს ჰკითხვა: როგორ გვონიათ, მართლა ბევრია დახარჯულიო? უქასუხეს:

– ღიახ, მეტისმეტად ბევრი!

– ასეთ შემთხვევაში დანახარჯი თქვენზე კი არა, ჩემზე იყოს. ოლონდ, იყოღეთ, ნეგებობებზე ჩემს საკუთარ სახელს წავაწერ!

თქვა თუ არა ეს პერიკლემ, მისი დიღსულოვნებით გაოცებულმა თუ მშენებლობათა სახელისათვის თავისი საპირისპირო პატიემოყვარობით აღგზნებულმა ხალხმა შესძახა: ყველაფერი საზოგადო ანგარიშზე იყოს და ამიერიდან, რამღენიც გენებოს, დაუმოგავად ხარჯეო!

ბოლოს პერიკლე თუკიდიდესთან ბრძოლაში ჩაება და თავი განგევების საფრთხეში ჩაიყენა, მაგრამ მოწინააღმღევე ჯგუფის განადგურება მოახერხა და თუკიდიდე გააძევა.

15. როცა მუღლი მთლიანად აღიკვეთა და სახელმწიფოში თანხმობა და ერთიანობა დამკვიღრდა, პერიკლემ თავის ხელში მოიქცია ათენიც და ათენელებზე

დამოკიდებული საქმენი: ბევარი და ქარები, ტრიერები, კუნძულები და მღვა, ელინთაგან თუ ბარბაროსთაგან წარმომავალი ყოველი ძალა, ასევე უზენაესი გამგებლობა, შემგვიცული მორჩილი გომების, მეფეებთან მეგობრობისა და სხვადასხვა გამგებლებთან მოკავშირეობის შემწეობით. თვითონ პერიკლეს გამოიყვალა. იგი უკვე აღარ გახლდათ ხალხის ნების მორჩილი კაცი, ადვილად აღარ უთმობდა და აღარ ექვემდებარებოდა ბრბოს ენებებს, ვითარცა ქართა ქროლას. ის სუსტი და მოგჯერ დამთმობი ხალხგამგეობა, რომელიც მხიარულსა და ნამ გალობას ემსგავსებოდა, თავის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაში მან არისტოკრატიული და მეფური პანგით დაძაბა და ამის წყალობით სწორად და შეურყენელად უკეთესობისაკენ წარმართა. ხალხს, უმრავლეს შემთხვევაში ხალხისავე სურვილით, დარწმუნებით და დამოძღვრებით წინამძღვრობდა. მაგრამ იყო ხოლმე ისეთი შემთხვევები, როცა ხალხი უკმაყოფილებას ამჟღავნებდა. მაშინ პერიკლე სადავეებს მოუჭერდა, უკმაყოფილოთ მოათინიერებდა და მათივე სიკეთეს მიუახლოვებდა. იგი პირდაპირ პაძაჟდა იმ მკურნალს, ვინც ცვალებადი და ხანგრძლივი აჟადმყოფობის ეჟს ხან უენებელი სიამოვნების ნებას იძლეჟა, ხან კი მშუშხაჟსა და მხსნელ წამლებს მიმართაჟს.

იმ საზოგადოებაში, რომელიც ესოდენ დიდი ძალა-უფლების პატრონია, ეტყობა, მრავალგვარი ენება წამოჟყოფს ხოლმე თავს. ჰოდა, პერიკლეს ერთადერთს ძალუძდა თითოეული მათგანის ოსტატურად მოთოკჟა. ვითარცა საჭეს, ისე იჟენებდა იგი იმედის მიეჟმისა თუ დამინების ხერხს. ყველაზე თავაწყევეტილ ენებას ლაგაჟს ამოსდებდა, სასოწარკჟვეთილებაზე მისულს ნუგეჟსა და გამხნეეებას შეაშჟელებდა. ამით ჰლაგონისებურად ადასტურებდა,⁴³ რომ მჟვერმეგჟეელება სულის წარმმართველი ძალაა, რომლის ყველაზე დიდი საქმეა, ყოველ ხასიათსა და ენებას, როგორც სულის გამოშხატველ იერსახეთ და ეღერადობათ, საგანგებო ხერხით მიუღგეს და მათ, საჟირობისაშებრ, ნაშად შეეხოს ან მძლავრად დაჟკრას. ამის მიმეში უბრალოდ სიგჟეის ძალა კი არ გახლდათ, არამედ, ვით თუკიდიდე ამბობს,⁴⁴ პერიკლეს ცხოვრების სიდიადე და ამ კაცისადმი გამოჩენილი ნდობა. ყველასათვის ცხადზე ცხადი იყო მისი უანგარობა და მოუსყიდაობა. მართალია, ისედაც დიადი ქალაქი, მან უდიადეს და უმდიდრეს ქალაქად აქჟია და ძალით აჯობა ბევრ მეფესა და მბრძანებელს, რომელთაგან მოგვიერთებმა მასთან ურთიერთობა შეილებსაც უანდერჟეს, მაგრამ თავისი ქონება, რომელიც მამამისმა დაუტოჟა, ერთი დრაქმითაც არ გაუზრდია.

16. პერიკლეს ძლიერების თაობაზე თუკიდიდე გულახდილად გვიამბობს, კომიკოსები კი ღვარძლიანად და გაკერით ლაპარაკობენ ამაზე. ისინი პერიკლეს მეგობრებს ახლად მოვლენილ პისისტრატიდებს⁴⁵ ეძახიან, მისგან კი მოითხოვენ, ჟიცი დაღოს, რომ ტირანად არ იქცეჟა, რადგან მისი ახლანდელი აღმეეებული მღგომარეობა დემოკრატიასთან შეუსაბამოა და აუტანელზე აუტანელი. ტელეკლიდე ამბობს, რომ ათენელებმა პერიკლეს მიანდეს:

ქალაქთა ხარკი, ქალაქებზე სრული უფლება;
კელლებით მათი შემორკალჟა, თუ კელელთ დახსნა;
შაჟ-კაჟშირთ შეკერა, სიმდიდრე და ღვთით გამგებლობა.

ასეთი ხვედრი სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაში რადაც ერთდროული აღმავლობისა და აყეჟების წყალობით კი არ მოუოვებია პერიკლეს, არამედ მთელი ორმოცი წლის მანძილზე ეჟირა პირველი ადგილი ეჟიალტიდების, ლეოკრატიდებისა და მირონიდების, კიმონიდების, გოლმიდებისა და თუკიდიდთა არსებობის პირობებში.⁴⁶ თუკიდიდეს დამხობისა და მისი გაძეეების შემდეგ კი თითქმის თხუთმეტი წლის განმავლობაში გამგებლობდა, თუჟა სტრაგეგოსის ძალაუფლება მხოლოდ

ერთი წლით შეიძლებოდა პქონოდა კაცს.⁴⁷ ასეთი ძალა-უფლების პატრონმა უანგარობა ბოლომდე შეინარჩუნა; ოღონდ ეს იყო, ფულად სახსრებს მთლად გულგრილად არ ეკიდებოდა. მამისეული და კანონიერი ქონების მოსაყელედ ისეთი ანგარიშმიანობა დაიწესა, რომელიც ყველაზე მოხერხებულ და მუსტ ვბად მიიჩნია, რათა ეს ქონება დაუღვერობით არ შემოხარჯოდა და მრავალი საქმით დაგვირთულს მასზე მრუნეთ ბეერი დროც არ დაჰკარგოდა. წლის მთელ მოსავალს ერთდროულად ჰყიდდა, ხოლო შემდეგ, ყოველივეს, რაც სჭირდებოდა, ბაზარზე ყიდულობდა. ამ წესს ყოველდღიურ ცხოვრებაში იყავდა. მის მოწიფულ ვაეებს არ უყვარდათ იგი და არც მათი ცოლები თვლიდნენ მას ოჯახის გულზე მეთაურად. ლანძღავდნენ კიდევ ხარჯვის ასეთი ყოველდღიური და უკიდურეს სიმუსტემდე თავმოყრილი ანგარიშმიანობის გამო. მის ოჯახში არაფერი ზედმეტი არ იხარჯებოდა. აქ არ ხდებოდა ის, რაც დიდსა და დოვლათით უხვ სახლს ახასიათებს. ყოველი ხარჯი და შემოსავალი დათვლილ-გამომზომილი ვახლდათ. მთელ ამ წესრიგს მუსტად იყავდა ერთი მსახური – ევანგელე, რომელსაც ამ საქმეში ბადალი არ ჰყავდა და, ან ბუნებით პქონდა მინიჭებული, ანდა სულაც პერიკლესგან შეეთვისებინა მურნეობის გაძლოის უნარი.

ცხოვრების ასეთი ნირი, რა თქმა უნდა, არ ეხმაგებილება ანაქსაგორას სიბრძნეს, ვინც მემთავრებით და აღმევებული სულით მიაგოვა თავისი სახლი და დაუმუშავებელი მამული ცხერის ფარას დაუგოვა საძოვრად. ჩემი ფიქრით, მართლაც, როდია ერთი და იგივე გონით მვერეტელი ფილოსოფოსისა და სახელმწიფო მოღვაწის ცხოვრება: პირველი იარადისა და გარემე ნითის საჭიროებისაგან თავისუფალ გონებას მშენიერებისაკენ მიმართავს, მეორეს კი, ვინც სიქველეს ადამიანის სარგებლობას უკავშირებს, სიმდიდრე აუცილებლობისათვის კი არა, სიკეთის საქმნელად სჭირდება, ვით სჭირდებოდა ის პერიკლეს, რომელიც მრავალ ღარიბ კაცს შემწეობას უჩენდა.

თვითონ ანაქსაგორაზეც ვადმოგვეცემენ: უკვე სიბერეს მიტანებული უპატრონოდ იწვა თურმე თავწაბურვილი და შიმშილით სიკვილს ლამობდა. პერიკლე ამ დროს მეტისმეტად დაკავებული იყო საქმეებით, მაგრამ, როგორც კი შეიგყო ეს ამბავი, შიშით შეძრულმა მყისვე მიამურა კაცურ კაცს და ყოველი ვედრებით ემუდარებოდა, ხელი აედო განმზარახულზე. იგი საკუთარ თავზე უფრო წუხდა, ვიდრე მოხუცზე: ვაითუ გამომეცალა ხელიდან სახელმწიფო საქმეებში მრჩეველ-დამრიგებელი. ანაქსაგორას თავიდან საბურველი მოუხდია და უთქვამს: „პერიკლევ, ლამპარი ვისაც სჭირდება, მეთს თვითონ ასხამს შიგო!“

17. როცა ლაკედემონელებმა ათენელთა აღმევების გამო შფოთვა დაიწყეს, პერიკლემ კიდევ უფრო მეტად ადამაღლა დემოსის პატივმოყვარეობა და ხალხს დიადი საქმეების შესასრულებლად მოუხმო. მას სახალხო კრებაში ხმის მისაყემად მეაქეს წინადადება, რათა ელინებმა, სულერთია, სადაც მოსახლეობენ, ევროპასა თუ აზიამი, ასევე დიდმა თუ მცირე ქალაქმა, ყველამ შეერთებულად, ათენს წარმოგმაენონ თავყრილობაზე თავთავიანთი წარმომადგენლები. მათ უნდა მოითათბირონ ბარბაროსთაგან ვადაბუგული ელინური ტაძრების გამო; იმ მსხვერპლმწიფრვათა გამო, ბარბაროსებთან ბრძოლის ეამს რომ ღმერთებს აღუთქვებს და ელადის ხსნისათვის რომ უნდა აღესრულებინათ; აგრეთვე მშვიდობისა და მღვამე ყველასთვის უმიზრად მოგმარობის გამო. სწორედ ამ მიზნით ათენიდან ვაგმაენეს ორმოცდაათი წლის ასაკს ვადაცილებული ოცი კაცი. ამათაგან: ხუთი მოუხმობდა აზიამი მოსახლე იონიელებსა და დორიელებს, აგრეთვე კენძულელებს ლესბოსსა და როდოსამდე; ხუთი კაცი ვაემართა პელესპონგთან მღებარე ადგილებსა და თრაკიამი ბიზანტიონამდე;⁴⁸ კიდევ ხუთი მიაველინეს ბეოგიაში, ფოკისსა და პელოპონესზე, ხოლო აქედან, ლოკრებზე ვავლით, მემობლად მღებარე ხმელეთზე, ვიდრე აკარნანისა და ამბრაკიამდე; დანარჩენები კი ევბეამე ვავლით ვაემგმავრნენ ეგელებთან, მალიევის

უბესთან. ფთიელ აქაველებსა და თესალიელებთან. წარგზავნილები ელინებს შეაგონებდნენ, დათქმულ ადგილზე წასულიყვნენ და მონაწილეობა მიეღოთ ზავისა და ელადის გაერთიანებული მოქმედების თაობაზე განზრახულ თათბირში, მაგრამ ეს საქმე ვერ შესრულდა. ქალაქებმა თავი ვერ მოიყარეს, როგორც ამბობენ, იმის გამო, რომ ამ საქმეს დაუპირისპირდნენ ლაკედემონელები და, საერთოდ, ეს ცდა პელოპონესში ჩაიფუშა.

ეს ამბავი თხრობაში პერიკლეს ჭკუისა და გონშემართების საჩვენებლად ჩაესვი.

18. სამხედართმთავრო მოღვაწეობაში სახელი პერიკლეს ყოვლის უწინარეს თავისი სიფრთხილით ქონდა მოხვეჭილი. საკუთარი ნებით არამც და არამც არ ჩაებმებოდა ბრძოლაში, თუ ის სამიში და საეჭვო შედეგიანი ჩანდა. იგი არ ეჯიბრებოდა და არც ჰხაძაედა იმ მხედართმთავრებს, რომლებიც ალაღებდნენ მოქმედებით აღწევდნენ ბრწყინვალე წარმატებასა და გაოცებას იწვევდნენ ვითარცა დიდი სტრატეგოსები. თანამოქალაქეთ პერიკლე ყოველთვის ეუბნებოდა: მთელი იმ დროის მანძილზე, რამდენ ხანსაც ჩემს გვერდით იქნებით, სიკვდილი ვერ მოგეკარებათო.

პერიკლემ დაინახა, რომ გოლმიდე გოლმეოსის ძე, უწინდელი წარმატებებისა და იმის საფუძველზე, საომარ საქმეთა გამო რომ გამორჩევით იყო პატივდებული, სრულიად შეუფერებელ დროს ამზადებდა ბეოგიაში შეჭრას. მას უკვე თავის ნებაზე დაუყოლიებინა ყველაზე მამაცი და ყველაზე პატივმოყვარე ახალგაზრდები. მათი რიცხვი ათასს აღწევდა, რაც სხვა ძალას ემატებოდა. პერიკლე ცდილობდა გოლმიდეს შეკავებას და სახალხო კრებაზეც მოუწოდა, დაეჯერებინა მისთვის და თან ღირსსახსოვარი სიგჳყავ უთხრა: მე თუ არ დამიჯერებ, იმით მაინც არ შეცდები, თუ ყველაზე ბრძენ მრჩეველს – დროს დაელოდებითო. ამის მთქმელმა მაშინ მაინცდამაინც დიდი მოწონება ვერ გამოიწვია, მაგრამ, როცა სულ რამდენიმე დღის შემდეგ კორონეასთან გოლმიდეს სიკვდილისა და მრავალი საუკეთესო მოქალაქის დაღუპვის ამბავი მოვიდა, ხსენებულმა გაფრთხილებამ პერიკლეს სრული მხარდაჭერა, გონიერი და მამულის მოყვარული კაცის სახელი მოუტანა.⁴⁹

19. პერიკლეს წინამძღოლობით გამართულ ლაშქრობათაგან განსაკუთრებული პატივი დამსახურა ქერსონესის ლაშქრობამ, რომლის შედეგადაც პერიკლე მხსნელად მოეწონა იქ მოსახლე ელინებს. მან არა მარტო ათასამდე ახალმოზენე ათენელი წაიყვანა თან და იქაურ ქალაქთა მოსახლეობა გააძლიერა, არამედ მღვიდან მღვამდე არსებული ყელის⁵⁰ გასწვრივ სიმაგრენი და სხვა დამცველი ნაგებობები ააგო. ამით პერიკლემ გზა გადაუღობა ქერსონესთან მრავლად თავმოყრილ თრაკიელთა თავდასხმებსა და განუწყვეტელ, მძიმე ომს, რომელიც გამუდმებით აჩანაგებდა ბარბაროს შემობლებთან უშუალოდ მდებარე და გარეული თუ შინაური ავაზაკებით გავსებულ იმ მხარეს.

სხვა ხალხში პერიკლემ დიდი სახელი გაითქვა პელოპონესის გარშემოცურვით, როცა მეგარისის ქვედან ასი ტრიერით მღვაში გავიდა. მან არა მარტო სანაპიროს დიდი ნაწილი დაარბია, როგორც ეს გოლმიდემ შესრულა უფრო ადრე, არამედ ხომალდზე მყოფი კოპლიტებით მღვიდან მომორებით ხმელეთის სიღრმეშიც შეიჭრა და მისი თავდასხმის მიმით შეძრწუნებული მტრები სიმაგრეებში შერეკა. მხოლოდ ნემუაში აღდგნენ მის წინააღმდეგ სიკიონელები და ბრძოლაც გაუმართეს, მაგრამ ძალით უკუაქცია ისინი და იქ ძღვევის ნიშანიც⁵¹ დადგა. აქედან თემიდან ტრიერებზე ჯარისკაცები აიყვანა და ხომალდთკრებულთ მოპირდაპირე ხმელეთზე გადავიდა. მერზე აქელოოს ჩაუხურა და აქარნანია დაარბია, ხოლო ენიადელები ალყაში მოაქცია და მამული აუოხრა და გაუპარგახა. ამით პერიკლემ მტრებს სამიშ, ხოლო თანამოქალაქეთ ფრთხილ და ბეჯით კაცად აჩვენა თავი და, მართლაც, მასთან ერთად მოლაშქრეთ შემთხვევითაც კი არ მიჰყენებიათ რაიმე ზიანი.

20. შევიდა თუ არა ბრწყინვალედ აღჭურვილი ფლოტი პონტომი, პერიკლემ ელნურ ქალაქებს აუსრულა ყველაფერი, რასაც კი მოითხოვდნენ და, საერთოდ, კაცთმოყვარეობით მოექცა მათ. გარშემო მოსახლე ბარბაროსულ გომებს, მათ მეფეებსა და მთაერებს კი აჩენა დიდი ძლიერება, უშიშროება და მამაცობა, რის წყალობითაც ათენელებს ძალუძდათ ეცურათ, სადაც მოისურვებდნენ და მთელი მღვა საკუთარ ნებაში მოექციათ. სინოპელებს პერიკლემ გირან გიმესილეოსის წინააღმდეგ საბრძოლველად ცამეტი ხომალდი და ჯარისკაცები დაუგოვა ლამაქეს მეთაურობით. ხსენებული გირანისა და მის თანამოსაჯრეთა განდევნის შემდეგ პერიკლემ, კენჭისყრის საფუძველზე, მიიღო გადაწყვეტილება, სინოპში საკუთარი სურვილით გამგზავრებულიყო ექვსასი ათენელი, მათ სინოპელებთან ერთად უნდა ეცხოვრათ და გაენაწილებინათ სახლები და მიწა, რაც უწინ გირანებს ეკავათ. სხვა შემთხვევებში პერიკლე არ აპყვა თანამოქალაქეთა სწრაფვას. იგი, მაგალითად, არ დაეთანხმა ძალითა და ესოდენ დიდი წარმატებით გაამაყებულ ათენელებს, როცა მათ ეგვიპტეზე ევლავ ვალაშქრება და სპარსთა მეფის გამგებლობაში მყოფი, მღვასთან მღებარე მხარის, ამხედრება მოინდომეს.⁵² ბევრი ათენელი უკვე მამინ შეეპყრო სიცილიისადმი ავბელით და წყეულ ენებას, რომელსაც შემდეგ ალკიბიადემ და მის გარშემო დარამბულმა რიგორებმა შეუნთეს ცეცხლი. მოგიერთებს გირენია და კართაგენიც კი ეზმანებოდა. კაცმა რომ თქვას, ეს არცთუ უიმედო იყო ათენის ფართოდ მომცეელი ჰეგემონიისთვის საქმეთა კეთილად მიმდინარეობის ვითარებაში.

21. პერიკლე ათენელთა ასეთ მისწრაფებას გასაქანს არ აძლევდა და მათ უსამღვრო გატაცებებს ფრთებს კვეცდა. მთელ ძალას იგი არსებული სავამგებლოს დაეცასა და განმგკიყებას ახმარდა. ამასთან დიდ და უმთაერეს საქმედ ლაკედემონელთა ალაგმვას თვლიდა და ყოველნაირად უპირისპირდებოდა მათ. ეს ყველაზე მეტად გამოამედლაენა თავისი მოქმედებით „სალეთო ომის“ დროს.⁵³ როცა ლაკედემონელებმა დელფოში გაილაშქრეს და ფოკეელთა მიერ აღებული გაძარი დელფოელებს დაუბრუნეს, პერიკლე მყისვე ამხედრდა მათ წინააღმდეგ, გარეკა ისინი, და კვლავ შემოიყვანა ფოკეელები. როცა დელფოელებმა ლაკედემონელებს მისნობის პირველად მიღების უფლება მისცეს და ლაკედემონელებმა ეს გადაწყვეტილება ბრინჯაოს მგელს შუბლზე წააწერეს, პერიკლემ მისნობის პირველად მიღების იგივე უფლება ათენელებს მოუპოვა და იმავე მგლის მარჯვენა ფერდზე ამოკვეთილი წარწერით განამგკიცა.⁵⁴

22. პერიკლე რომ ათენელთა ძალას მართებულად აკაეებდა ელადაში, ეს მერმინდელმა გარდამხდარმა ამბებმა დაადასტურეს. უწინარეს ყოვლისა ეებეელები აჯანყდნენ და პერიკლე თავისი ძალებით გაემართა მათ წინააღმდეგ. ამის შემდეგ, სულ მალე, შეატყობინეს: მეგარელები ავეიმხედრდნენ და ატიკის საზღვრებზე მგრის ჯარია დარამბული ლაკედემონელთა მეფის პლისტონაქსის წინამძღოლობითო. პერიკლე სასწრაფოდ გამობრუნდა ეებეიდან ატიკაში საომრად, მაგრამ გამოწვევის მიუხედავად, მრავალრიცხოვან და მამაც პოლიტებთან ბრძოლაში ჩაბმა ვერ გაბედა; ოღონდ დაინახა, პლისტონაქსი, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა კაცი, უპირატესად იმ კლენდრიდეს დარიგებებით სარგებლობდა, რომელიც მას, უმწიფარი ასაკის გამო, მკეველად და მრჩეველად მიუჩინეს ეფორებმა.⁵⁵ პერიკლემ სწორედ მასთან საიდუმლო კავშირი გააბა. ჩქარა მოისყიდა იგი ფულით და ატიკიდან პელოპონესელთა გაყვანამე დაიყოლია. როცა ჯარმა უკან დაიხია და ქალაქებში დაიქსაქსა, განრისხებულმა ლაკედემონელებმა მეფე ფულით დააჯარიმეს, მაგრამ რაკი დიდი რაოდენობის გამო მისი გადახდის თავი არ ჰქონდა, თავისივე ნებით გამორდა ლაკედემონს. რაც შეეხება კლენდრიდეს, იგი გაიქცა და დაუსწრებლად სიკედილი მიუსაჯეს. ეს კლენდრიდე იყო მამა გილიპესი, რომელმაც ათენელები დაამარცხა სიცილიაში. ეგყობა, გილიპეს

ბუნებამ შემკვიდრობით შეპყარა ანგარების სენი, რის გამოც სახელოვან წარმატებათა შემდეგ გამოჭერილი, ისიც სამარცხვინოდ გაიქცა სპარტიდან. ეს ამბავი ლისანდრეს ცხოვრების აღწერაში გვაქვს მოთხრობილი.⁵⁶

23. როცა პერიკლემ სამხედრო საქმიანობისათვის საჭირო ათი ტალანტის დანახარჯის ანგარიში წარადგინა, ხალხმა ეს ანგარიში მისი საიდუმლოების გამოძიებისა და ყოველგვარი ყოყმანის გარეშე მიიღო. მოგიერთები, რომელთა შორის თეოფრასტე ფილოსოფოსიცაა, გადმოგვცემენ, რომ პერიკლესაგან ყოველწლიურად შედიოდა სპარტაში ათი ტალანტი, რომელთა წყალობითაც ყველას იმადლიერებდა და ომზე ხელს აღებინებდა. ამით იგი ყიდულობდა არა მშვიდობას, არამედ დროს, რათა დინჯად მომზადებულიყო და მერმე უფრო წარმატებით ეომნა.

პერიკლე დაუყოვნებლივ გაემართა გადამდგართა წინააღმდეგ იგი ორმოცდაათი ხომალდით და ხუთი ათასი პოპლიტით ევბეაზე გადავიდა და იქაური ქალაქები დაიმორჩილა.⁵⁷ სიმდიდრითა და სახელოვნებით გამორჩეული ქალკიდელები, რომელთაც „პიპობოტებს“⁵⁸ ეძახდნენ, ქალაქიდან განდევნა, ხოლო პესტიელები მთლიანად აპყარა თავიანთი სამკვიდრებლიდან და იქ ათენელები ჩაასახლა. პერიკლე მხოლოდ პესტიელებს მოექცა ასე შეუბრალებლად იმიტომ, რომ როცა იმათ ატიკური ხომალდი იგდეს ხელთ, მასზე მყოფნი ყველა უკლებლივ დახოცეს.

24. ამის შემდეგ ათენელთა და ლაკედემონელთა შორის დაიდო ოცდაათწლიანი ზავი.⁵⁹ პერიკლემ მამინევე მიაღებინა გადაწყვეტილება სამოსზე გასაალაშქრებლად. სამოსელებს ბრალად ის დასდო, რომ არ დაემორჩილნენ ბრძანებას და არ შეწყვიტეს ომი მიღებულთან.

რადგან ჰგონიათ, სამოსელებზე გალაშქრება პერიკლემ ასპასიას გულის მოსაგებად მოაწყო, საესებით დროული იქნებოდა, ამ ქალის თაობაზე დაგვეჭირა სიტყვა, თუ რა ხელოვნება, ან ისეთი რა დიდი ძალა გააჩნდა, რომ სახელმწიფო მოღვაწეთაგან თაკაყებს ითვინიერებდა და ფილოსოფოსებსაც კი უხვად აქებინებდა თავს.

ყველა ერთხმად გადმოგვცემს, რომ ასპასია წარმოშობით იყო მიღებელი, აქსიოხეს ასული. ამბობენ, იგი ერთ ძველ იონიელ დიაცს, ვინმე თარგელიას ჰბაძავდა და ყველაზე დიდი ძალის პატრონ მამაკაცებს ეძლეოდაო. თარგელია, გარეგნული მშვენიებით აღსავსე და მიმზიდველობასთან ერთად დიდი გაქანების პატრონი ქალი, ბევრზე ბევრ ელინ ეთაკაყთან ცხოვრობდა თურმე და ყველას, ვისაც კი ახლო ურთიერთობა ჰქონდა მასთან, სპარსთა მეფის მხარეზე იბირებდა და მათი მეშვეობით, რადგან ისინი მეტად დიდი ძალისა და გავლენის მქონე პირები იყვნენ, ქალაქებში მელიმზს ავრცელებდა.⁶⁰ რაც შეეხება ასპასიას, მოგიერთები ამბობენ, მან პერიკლე თავისი სიბრძნით და სახელმწიფოებრივი ჰკუთით მოხიბლაო. ხანდახან მასთან სოკრატეც დადიოდა თურმე ნაცნობებითურთ და ამის მოწაფეებსაც მიჰყავდათ თავისი ცოლები ამ ქალის მოსასმენად, მიუხედავად იმისა, რომ იგი არცთუ წესიერ და საპატიო საქმიანობას ეწეოდა: მსუბუქი ყოფაქცევის გოგოების ჯგუფს ინახავდა. ესქინე⁶¹ ამბობს: პირუტყვითა დალალი, მდაბიო წარმოშობისა და უგვანო ბუნების ლისიკლეც კი პირველი კაცი გახდა ათენში იმის წყალობით, რომ პერიკლეს სიკვდილის შემდეგ ასპასიასთან ცხოვრობდაო. პლატონის „მენექსენეში“, რომლის შესაუბლიც, მართალია, სახუმარო კილოთია დაწერილი, ის ისტორიული სიმართლეა გადმოცემული, რომ მჭევრმეტყველებით სახელმძღვანელო ამ ქალთან ურთიერთობის დამყარებას ათენში მრავალი კაცი ცდილობდა.⁶² პერიკლეს მისწრაფება ასპასიასადმი, ჩანს, მაინც რაღაც განსაკუთრებულად ენებიანი სიყვარულით იყო გამოწვეული. კანონიერ ცოლად მას ესვა ნათესავი ქალი, რომელიც ადრე შეუღლებული იყო პიპონიკესთან, ვისგანაც „მდიდრად“ ხმობილი კალია შვა, ხოლო პერიკლესაგან ქსანთიკე და პარალე ეყოლა. მერმე, როცა ერთად ცხოვრება აღარ მოეწონათ,

პერიკლემ იგი, მისივე სურვილით, სხვას მიათხოვა, თვითონ კი დაისვა ასპასია და გამორჩევითაუ უყვარდა. ამბობენ, ყოველდღე – შინიდან გასვლისა თუ მოეღნიდან დაბრუნების კამს, ესალმებოდა და ჰკოცნიდაო. კომედიებში ასპასიას მეტსახელად ახალ ომფალეს, დეიანიროსა და ჰერას უწოდებენ.⁶³ კრატინე კი პირდაპირ ეძახის მას ხარჭას აი ამ სალექსო კარედებში:

პერიკლეს უმობს გარყვნილება ურცხვ ასპასიას,
ვისაც უხმობენ სხვაგვარად ჰერას.

სავარაუდოა, მისგან შეეძინა პერიკლეს უკანონო ვაჟი, რომელიც ევპოლისს ჰყავს გამოყვანილი თავის „დემოსებში“, სადაც პერიკლე ასეთ კითხვას სვამს:

ხომ ცოცხალია ჩემი ნაგრამი?

მირონიღე უპასუხებს:

კარვა ხნის წინათ გახდებოდა ის კაცურ კაცად,
მრუმობისაგან წარმომობას რომ არ დაეფრთხო!

ამბობენ, ასპასია ისეთი სახელოვანი და ცნობილი გახდა, რომ კიროსმაც კი, ვინც მეფეს სპარსთა წინამძღოლობის გამო ეომებოდა,⁶⁴ თავის ყველაზე უფრო საყვარელ ხასას, უწინ რომ მიღგოს ეძახდნენ, ასპასია შეარქვა. იგი წარმომობით ფოკეელი იყო, ჰერმოგიმეს ასული; როცა კიროსი ბრძოლაში დაეცა, ეს ქალი მიჰკვარეს მეფეს, რომლის კარზედაც დიდი ძალა და პატივი მოიპოვა.

25. პერიკლეს ბრალად სდებენ, რომ მან სწორედ ასპასიას თხოვნით და ძირითადად მილეტელების მხარდასაჭერად გამოაგანინა სახალხო კრებას დადგენილება, სამოსელების წინააღმდეგ ომი გაემართათ. ქალაქები – მილეტი და სამოსი ერთმანეთს პრიენესათვის⁶⁵ ეომებოდნენ. სამოსელები ზედმიზე იმარჯვებდნენ და არ ემორჩილებოდნენ ათენელთა ბრძანებას, ომი შეწყვიტათ და საქმე მათთვის გადაეცათ სასამართლოში განსახილველად. მაშინ პერიკლე მღვაში გავიდა, სამოსზე არსებული ოლიგარქია დაამხო იქაურ წარჩინებულთაგან ორმოცდაათი კაცი და ამდენივე ბაემეი მძევლებად აიყვანა და ლემნოსზე გაგზავნა.⁶⁶ ამბობენ, ყოველი მძევალი მას საკუთარი თავისთვის თითო გალანგს სთავაზობდა და კიდევ სხვებიც, რომელთაც არ სურდათ, ქალაქში დემოკრატია დამყარებულიყო, დიდძალ თანხას ჰპირდებოდნენ. გარდა ამისა, სამოსელებისადმი კეთილგანწყობილმა პისუთნე სპარსმა ქალაქის გამოსასყიდად ათასობით ოქრო გაუგზავნა. პერიკლემ შემოთავაზებულთაგან არაფერი არ აიღო; სამოსელებს უყო ის, რაც გადაწყვიტა; დაამყარა აქ დემოკრატია და ათენისაკენ გაბრუნდა. სამოსელები დაუყოვნებლივ აჯანყდნენ, როცა კი მძევლები გამოიგაცა მათთვის პისუთნემ და ომისათვის ყველაფერი საჭირო მოამზადა. მაშინ პერიკლე კელაე გავიდა მღვაში სალაშქროდ. მაგრამ ისინი ამას არ შეუშინდნენ და არ დაწყნარდნენ. პირიქით, გადაწყვიტეს, მთელი ძალით აღმდგარიყვნენ მღვაზე მბრძანებლობისათვის. იმ კუნძულთან გამართულ ცხარე საზღვაო ბრძოლაში, რომელსაც ტრაგიკებს ეძახიან, პერიკლემ ბრწყინვალედ გაიმარჯვა: მან თავისი ორმოცდაოთხი ხომალდით გაანადგურა სამოცდაათი გემი, რომელთაგან ოცი ჯარების გადასაყვანი იყო.

26. გამარჯვებასა და მტრის დევნასთან ერთად პერიკლემ ხელთ იგლო ნავსაყუდელი და სამოსელების ალყის შემორტყმა დაიწყო. ესენი კი ყოველი ღონით ესწრაფოდნენ, ალყა გაერღვიათ და კედლებთან ებრძოლათ. როცა ათენიდან სხვა,

უფრო დიდი ფლოტი მოვიდა და სამოსელები მთლიანად იქნენ ჩაკეტილნი, პერიკლე სამოცი გრიერთი ღია მღვამი გავიდა. უმრავლესობა ამბობს, სურდა, შეხედროდა სამოსელთა დასახმარებლად წამოსულ ფინიკიელთა ხომალდებს და სანაპიროდან რაც შეიძლება დაშორებით, მათთან ბრძოლა გაემართა. სტესიმბროტეს გადმოცემით კი, კვიპროსზე უნდოდა გალაშქრება, რაც სარწმუნოდ არ ჩანს. ერთი მოსაზრებით სარგებლობდა თუ მეორეთი, სულერთია, შეცდა. როგორც კი გავიდა მღვამი, ფილოსოფოსმა მელისემ, ითაგენეს ძემ, ვინც მაშინ სამოსს სარდლობდა, რაკი მგრის ხომალდთა სიმცირე და მათი სტრატეგოსების გამოუცდელობა შენიშნა, თანამოქალაქენი დაარწმუნა, ათენელებს თავს დასხმოდნენ. ბრძოლა მართლაც გაჩაღდა. ახლა სამოსელებმა გაიმარჯვეს, მრავალი ათენელი დააგყვევეს, მრავალი ხომალდიც გაანადგურეს, ზღვას დაეპატრონენ და თანაც მოიმარაგეს ყველაფერი, რაც ომისათვის იყო აუცილებელი და, რაც უწინ არ ჰქონდათ. არისტოტელეს თქმით, მელისემ უფრო ადრე თვითონ პერიკლე დაამარცხა თურმე საზღვაო ბრძოლაში.

სამავიეროს გადახდის მიზნით სამოსელები ათენელ გყვეებს შუბლზე დაღად ბუს გამოსახულებას ასვამდნენ. ეს იმიტომ, რომ ათენელები სამოსელ გყვეებს „სამენას“ გამოსახულებით დადავდნენ. სამენა ის ხომალდია, რომელსაც ღორის ღინჯის მსგავსი ცხერი აქვს, მუყელივით გაბერილ-ამოდარულია და გვირთის ტარება და სწრაფი სვლა ძალუძს. ასეთი სახელი შეერქვა იმის გამო, რომ თავდაპირველად სამოსზე გაჩნდა და პოლიკრატე გირანის ბრძანებით აიგო. ამბობენ, ხსენებულ დამღებს გულისხმობს აი ეს არისტოფანესეული ქარაგმულად ნათქვამი:

„მრავალდამლიანია სამოსელი დემოსი.⁶⁷“

27. როგორც კი შეიგყო პერიკლემ ბანაკის თავზე დამგყდარი უბედურება, სწრაფად გაემართა დასახმარებლად. მან დაამარცხა მის წინააღმდეგ აღმდგარი მელისე, უკუაქცია მგერი და მაშინვე ქალაქს საალყო კედელი შემოავლო. მან ირჩია, გამარჯვების მოსაპოვებლად და ქალაქის ასაღებად ფული და დრო დაეხარჯა და თანამოქალაქენი კრილობათა და საფრთხეთაგან განერიღებინა. ასეთმა დაყოვნებულმა მოქმედებამ ათენელებს თავი მოაბემრა; ისინი ბრძოლას ესწრაფოდნენ და რაკი მათი შეკაება საძნელო საქმე გახდა, პერიკლემ მთელი თავისი ჯარი რვა ნაწილად გაყო და მათ შორის კენჭისყრა მოაწყო: იმ ნაწილს, რომელიც თეთრი ცერცვის მარცვალს ამოიღებდა, ნებას აძლევდა, დრო ღებინა და უქმობაში გაეგარებინა, სანამ სხვები ბრძოლით იქნებოდნენ ვართულნი. ამბობენ, სწორედ ამ თეთრი ცერცვის მარცვლის გამო უწოდებს ხალხი „თეთრ დღეს“ იმ დღეს, როცა განცხრომაში იმყოფებო.

უფორეს გადმოცემით, პერიკლე მაშინ საალყო მანქანებს იყენებდა და ეს სიახლე გაოცებას იწვევდაო. მასთან იმყოფებოდა თურმე მექანიკოსი არტემონი, რომელიც კოჭლი გახლდათ და, როცა საქმე მოითხოვდა, საკაცით მოჰყავდათ. ამის გამო მას „პერიფორეტოსი“ დაერქვა.⁶⁸ პერაკლიდე პონტოელი უარყოფს ამას ანაკრეონტის ლექსების საფუძველზე, რომლებშიაც არტემონ პერიფორეტოსი სამოსის ომსა და ამ ამბავთა ბევრად უწინარეს ხანებში მოიხსენიება. პერაკლიდე ამბობს, ეს არტემონი სიცოცხლეში მეგად ამიზი, მშინმარა და სულმოკლე ვინმე იყოო; სულ ერთთავად შინ იჯდა და ორ მსახურს მის თავს გემოთ სპილენძის ფარი ეკვირა, რათა გემოდან არაფერი დასცემოდაო; თუ შინიდან გამოსულა სჭირდებოდა, მიწას ოღნავ აცილებული პატარა საწოლით გამოჰყავდათ და დაატარებდნენ, რის გამოც პერიფორეტოსი უწოდესო.

28. მეცხრე თვეზე სამოსელებმა წინააღმდეგობა შეწყვიტეს. პერიკლემ ქალაქის კედლები დაანგრია, ხომალდებიც ჩაიბარა და სამოსს დიდი ფულადი ხარკიც დაადო. ხარკის ნაწილი სამოსელებმა მაშინვე შეიტანეს, დანარჩენი ნაწილის შეტანა კი დათქმული დროისათვის იკისრეს და საამისოდ მძევლები გადასცეს. ღურის სამოსელი

ყველაფერ ამას გრავიკულად ურთავს ბრალდებას ათენელთა და პერიკლეს მიერ ჩადენილი მრავალი სიმკაცრის თაობაზე. რაზეც არც თუკიდიდე, არც ეფორე და არც არისტოტელე არაფერს არ მოგვითხრობენ და რაც, ეგყობა, მართალი არ არის. პერიკლემ თითქოს სამოსელი გრიერარქოსები და მებღვაურები მიღველებების მოედანზე ჩაიყვანა, იქ ფიცრებზე მიაკრა და ათი ღლის განმავლობაში სულის ამოხდომამდე მისულნი ბრძანებით დაახოცინა თავებზე არგანთა ცემით, ხოლო მათი გვამები დაუკრძალავად გადააყრვეინა. ღურისს საერთოდ არა სჩვევია, თხრობაში ჭეშმარიტება დაიყვას, იქაც კი, სადაც ამას პირადად მისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მით უმეტეს ხსენებულ შემთხვევაში, სადაც, ათენელთათვის ბრალის დასადებად, მეტისმეტად ამძიმებს თავისი სამშობლოს უბედურებებს.

სამოსის დამორჩილების შემდეგ, როგორც კი დაბრუნდა ათენში, პერიკლემ ომში დაღუპულთა სახელოვანი დაკრძალვა მოაწყო და მათ საფლავებზე, დამკვიდრებულ წესისამებრ, წარმოთქვა სიტყვა, რომლითაც საერთო აღფრთოვანება გამოიწვია. როცა სარიგორო გრიბუნდიან ჩამოვიდა, დამსწრე ქალები შეეგებნენ და გვირგვინებითა და ბაფთებით შეამკეს, ვით შეჯიბრში გამარჯვებული ათლექი. მივიდა მასთან ელპინიკეც, მაგრამ უთხრა: „მართლაც გაოცებისა და გვირგვინის ღირსია საქმენი უნენი: შენ ხომ ჩვენ მრავალი და საუკეთესო მოქალაქე დაგვიღუპე არა ფინიკიელებსა და მიდიელებთან ომში, ჩემი ძმის კიმონის მსგავსად, არამედ ჩენი მოკაემირე და ჩენი მოღვმის ქალაქის დაპყრობის ეამს!“ ამბობენ, პერიკლემ ღინჯად გაიღიმა და არქილოქეს სიტყვებით უპასუხაო:

„არა, არა ხამს ბებრუუნას ნელსაცხებელი.“⁶⁹

იონ ქიოსელის გადმოცემით, სამოსელთა დაძლევის შემდეგ პერიკლე მეტისმეტად გაყოყორდა. იგი იმით ამაყობდა, რომ ცხრა თვეში დაიმორჩილა იონიელთა უპირველესი და უძლიერესი მოღვმა, აგამემნონს კი მთელი ათი წელიწადი დასჭირდა ბარბაროსთა ქალაქის ასადებად.

კაცმა რომ თქვას, ასეთი გაამაყება უსამართლო როდი იყო. პერიკლეს მიერ გადახდილი ომი მეტად საშიში გახლდათ და მისი შედეგიც საეჭვო; აკი ამბობს თუკიდიდეც: სამოსელთა ქალაქმა კინაღამ გამოსტაცა ათენელებს ზღვაზე მბრძანებლობაო.⁷⁰

29. ამის შემდეგ უკვე პელაპონესის ომის გაღდაც აგორდა.⁷¹ პერიკლემ ხალხი დაითანხმა, დახმარება გაეგზავნათ კერკირელებისათვის, რომელთაც ბრძოლა აუტეხეს კორინთელებმა, და შემოუერთებინათ ხომალდთერებულთ ღონიერი კუნძული კერკირა. როცა ხალხმა დახმარების გადაწყვეტილება გამოიგანა, პერიკლემ აბუჩად აგდებით მხოლოდ და მხოლოდ ათი ხომალდი გაგზავნა კიმონის ძის ლაკედემონიოსის წინამძღოლობით. საქმე ის გახლდათ, რომ კიმონის ოჯახსა და სპარტელთა შორის დიდი კეთილგანწყობილება და მეგობრობა სუფედა. პერიკლეს ვარაუდით, თუ ლაკედემონიოსი თავისი წინამძღოლობით ვერაერთარ მნიშვნელოვანსა და საჭირო წარმატებას ვერ მიაღწევდა, კიდევ უფრო მეტად დაეღებოდა ბრალი სპარტისათვის მხარდაჭერაში – ლაკონიმში. აი, სწორედ ამიგომ მისცა მას ეგომო მყირე ხომალდები და მისი სურვილის წინააღმდეგ გაგზავნა სალაშქროდ. პერიკლე საერთოდ აკინებდა კიმონის ოჯახს: კიმონის შვილები გარეშენი და უცხონი არიან; სახელებიც კი არა აქვთ ჩენეული – ათენურიო; ერთს ლაკედემონიოსი ჰქვია, მეორეს თესალოსი, მესამეს – ელიოსიო. და მართლაც, ყველანი ერთი არკადიელი ქალის ნამიერებად იყვნენ მიჩნეულნი. პერიკლეს უსაყვედურებდნენ იმ ათი ხომალდის გამო: დახმარების მჭირველთ მყირედ შეეწია და მოწინააღმდეგეებს დიდი საბაბი მისცა ბრალდებებისათვისო, მამინ მან კერკირაზე გაგზავნა სხეა, უფრო მოზრდილი ფლოგი, მაგრამ იგი იქ ბრძოლის შემდეგ მივიდა.

ვაჯავრებული კორინთელები ათენელებს უჩიოდნენ ლაკედემონში. მათ მიემხრნენ მეგარელებიც, რომლებიც ათენელებს ბრალს სდებდნენ: ყველა იმ ბაზრიდან და ნაუ-საყუდელიდან, რომლებიც მათ უკავიათ გამოღვენილი ვართ და ყველა გზა გადა-გვიღობეს საერთო სამართალისა და ელინთა მორის დადებული ფიცისა და ხელ-შეკრულებათა საწინააღმდეგოდ.

ეგინელებიც თვლიდნენ, რომ ძალმომრეობის მსხვერპლი იყვნენ, მაგრამ ამის თაობაზე ფარულად ჩიოდნენ ლაკედემონელებთან, რადგან ათენელებისათვის ამჟა-რად ბრალის დადებას ვერ ბედავდნენ. ამასობაში ათენელთა მორჩილი ქალაქი, მაგრამ კორინთელთა ახალშენი პოტიდეაც აჯანყდა და ამის გამო ათენელებმა, ალყა შემოარტყეს, რამაც ომი დააჩქარა.

რაკი ათენში ელჩებს გზავნიდნენ და ლაკედემონელთა მეფე არქიმადე ბრალ-დებათა დიდი ნაწილის გაუქმებასა და მოკავშირეთა დაშოშმინებას ცდილობდა, ზემოხსენებული მიზეზები, ეტყობა, ომს აღარ გამოიწვევდა ათენელებთან, თუ ესენი მეგარელთა საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მოსპობასა და მათთან შერიგებას დათანხმდებოდნენ.⁷² მაგრამ პერიკლე ყველაზე მეტად უშლიდა ხელს ამ საქმეს და ხალხს აქეზებდა, მეგარელებთან დაეა არ შეეწყვიტა. სწორედ ამიტომ ითვლებოდა იგი ომის ერთადერთ, უმთავრეს სულისჩამდგმელად.

30. როცა ლაკედემონიდან ანუ სპარტიდან ხსენებული საქმის განსახილველად ათენში ელჩები მოვიდნენ, ამბობენ, პერიკლე ჩაეჭიდა ერთ კანონს, რომელიც კრძალავდა იმ დაფის მოსპობას, რომელზედაც მეგარის ფსუფისმა იყო აღ-ნუსხულიო. მაშინ ერთ ელჩთაგანს, პოლიალკეს, პერიკლესთვის უთქვამს: „შენც აიღე და ნუკი დაამხსერე დაფას, არამედ გადააბრუნე იგი: ხომ არ არსებობს კანონი, ამას რომ კრძალავდესო“. მიუხედავად იმისა, რომ ეს მარჯვედ ნათქვამი ჩანდა, პერიკლემ მაინც არ დათმო თავისი. ეტყობა, მას რაღაც ფარული, პირადი მტრობა ჰქონდა მეგარელებთან, მაგრამ წამოაყენა საერთო და ამჟარა მიზეზი მათ წინააღმდეგ: წმიდა მიწის მონაკვეთი მიითვისესო.⁷³ პერიკლემ ხალხს მიმართა, მიეღო დადგენილება, რათა საგანგებო ელჩი წარგზავნათ მეგარელებთან და იგივე ელჩი გაეგზავნათ ლაკედემონელებთანაც მეგარელებზე საჩივრელად. ეს დადგენილება შედგენილია თვით პერიკლეს მიერ კეთილშობილური და კაცთმოყვარული სამართლიანობის მრახებით. მაგრამ როცა წარგზავნილი ელჩი, ანთემოკრიტე, მოკლეს, – ეტყობა, მეგარელების მიზეზით, – მათ წინააღმდეგ ქარინემ გამოატანინა სხვა გადაწყვეტილე-ბა: მტრობა უნდა დარჩენილიყო შეურიგებელი და დაუთმობელი; ყოველი მეგარელი, ვინც კი ატიკის მიწაზე ფეხს დადგამდა, სიკვდილით დაისჯებოდა; ამასთან, წინაპართახული ფიცის დადების ეამს სტრატეგოსებს ამ ფიცისათვის უნდა დაე-მაგებინათ აღთქმა, რომ ყოველწლიურად ორგმის მეგარის მიწაზე შეიჭრებოდნენ; ანთემოკრიტე კი უნდა დაკრძალულიყო თრიასიონის ჭიშკრებთან, რომელთაც ახლა დიპილონი ეწოდება,⁷⁴ მეგარელები უარყოფენ ანთემოკრიტეს მკვლელობაში მონა-წილეობას და ბრალი ასპასიასა და პერიკლეზე გადააქვთ, რასაც ადასტურებენ საყოველთაოდ ცნობილი, ხალხში გავრცელებული სალექსო სტრიქონებით „აქარნე-ლებიდან“:

როს წარემართნენ მეგარისკენ მთვრალი ჭაბუკნი,
სიძვის დიაცი მოიგაყეს ვინმე სიმეთე.
განრისხებულმა ამის გამო მეგარელებმა
ორი მუძაღი ასპასიას მოსტაყეს გოგო.⁷⁵

31. ასე იყო, თუ ისე, არცთუ ადვილი საქმეა, შევიცნოთ, რა საწყისი ჰქონდა ომს. ეს კია, მეგარელთა წინააღმდეგ გამოტანილი დადგენილების ხელუხლებლობას ყველა ერთხმად პერიკლეს აბრალებს. ოღონდ, ერთნი ამბობენ: გვიადი პატივმოყვარეობისა

და სიკეთისადმი მიდრეკილი მრავლად ჯიუტობა და დადგენილების მერბილების ცდას უძღურების აღიარებად მიიჩნევა. მეორენი კი თვლიან: თვითდაჯერებულობითა და პატივმოყვარეობით ლაკემონელთა უკულებულყოფას საკუთარი ძალის გამოსაჩენად მიმართავენ. ყველაზე უარესი ბრალდება, რომელსაც მრავალზე მრავალი მოწმე აყავს, შემდეგნაირადაა აღმოცენებული. მოქანდაკე ფილიამ, როგორც შემოთ ითქვა, ხელი მოჰკიდა ქანდაკების შექმნას. რაკილა იგი პერიკლეს მეგობარი იყო და მასთან დიდი გავლენით სარგებლობდა, ამის გამო ბევრი მგერი და მომურნე აყავდა. მოგიერთი მისი მემურობით ხალხის განწყობილების გამოცდას ლამობდა: ვინ და როგორ გამოვიდოდა პერიკლეს განსაჯელად. სწორედ ამ მიზნით ფილიას ერთერთი თანაშემწე, ვინმე მენონი, დაითანხმეს, მოედანზე შეედრებლად დამჯდარიყო და ეთხოვა უფლება, უშიშრად დაებმლებინა ფილია და ბრალი დაელო მისთვის. ხალხმა მისი თხოვნა შეიწყნარა და სახალხო კრებაში ბრალდებას განიხილა, მაგრამ შეწამებული ქურდობის სამხილებელი ვერ აღმოაჩინა. საქმე ის გახლდათ, რომ ფილიამ, პერიკლეს რჩევით ოქრო იმთავითვე ისე მიუსადაგა და შემოავლო ქანდაკებას, მისი მთლიანად მოხსნა და წონის შემოწმება შეიძლებოდა; პერიკლემ სწორედ ამის გაკეთება შესთავაზა მამინ ბრალმდებლებს. მთავარი აქ იყო შური, რომელიც თან სდევდა ფილიას თავის ნახელაეთა სახელის გამო. მეგადრე დიდი შურის აღმძვრელი გახდა მის მიერ ფარზე გამოსახული ამპოდონთან ბრძოლის სურათი, სადაც მან საკუთარი თავი გამოხატა მელოგი მოხუცის სახით, რომელსაც ორივე ხელით ბეაწეული ქეა ეჭირა. აქვე მოათავსა მან ამპოდონთან მებრძოლი პერიკლეს უმშვენიერესი ხატი; ოსტატურად გამოსახული პერიკლეს ხელს სახის წინ აწეული მუბით თითქოს სურს დაფაროს მსგავსება, მაგრამ ეს მსგავსება ორივე მხრიდან თვალსაჩინოა. ფილია საპყრობილემი წაიყვანეს, სადაც ავად გახდა და გარდაიცვალა. მოგიერთები ამბობენ, იგი მოკვდა საწამლავეთ, რომელიც მოუშმადეს პერიკლეს მტრებმა მისთვის ცილის დასაწამებლად.⁷⁶ რაც შეეხება დამბეზლებელ მენონს, გლიკონის წინადადებით, ხალხმა ყოველგვარი ბეგარისაგან გათავისუფლება დაუდგინა და სტრატეგოსებს დააეალა, ამ კაცის უსაფრთხოებაზე ემრუნათ.

32. სწორედ ამ ხანებში ბიწიერებისათვის სამართალში მისცეს ასპასია. მის წინააღმდეგ საქმე აღძრა კომედიების მთხმველმა პერმიკემ, რომელიც ბრალდებას ამასაც ურთავდა: მასთან დადიან თავისუფალი ყოფაქცევის ქალები, რომელთაც პერიკლესათვის იწვევსო. დიოპითემ, თავის მხრივ, გააგარა ფსეფისმა, რათა სამართალში მიეცათ ისინი, ვისაც ღმერთები არ სწამდათ და ისინიც, ციურ მოუღნებზე მოძღვრებას ვინც ქალაგებდნენ. აქ მას ანაქსაგორას მემურობით პერიკლემ გადაჰქონდა ეჭვი. რაკი ხალხი ამ ცილისწამებას გასათვალისწინებლად თვლიდა. დრაკონტიდეს წინადადებით მიიღეს ფსეფისმა, რათა პერიკლეს პრიგანებისათვის დახარჯული ფულის ანგარიშები წარედგინა, მოსამართლეებს კი საქმე ქალაქში განესაჯათ და ხმის მისაყვამი კენჭი საკურთხეველიდან აელოთ. პაგნონმა მოითხოვა ფსეფისმის ეს ბოლო ნაწილი გაეუქმებინათ და საქმე გავრჩიათ ათასხუთასი მოსამართლისაგან შემდგარ საბჭოში, მიუხედავად იმისა, თუ რას დაარქმევდნენ ბრალდებას: ქურდობას, მექრთამეობას, თუ საერთოდ – უსამართლობის ჩადენას. რაც შეეხება ასპასიას, პერიკლემ თხოვნით დაიხსნა იგი. მან, როგორც ესქინე ამობს, სამსჯავროში ბევრი ცრემლი დაღვარა მისი გულისათვის და მოსამართლენი მუდარით შეძრა. ანაქსაგორა კი, ვის გამოც მეგად დამინდა, ქალაქიდან გააპარა. მერე, რაკი ფილიას გამო ხალხმა აითვალწუნა და სასამართლოს მიმამე შეიპყრო, მთელი ყურადღება ომზე გადაიგანა და მისი მიმქრალი ალი გააღვივა. იმედოვნებდა მის წინააღმდეგ მიმართული ყველა ბრალდება გაქარწყლდებოდა და შურიც უკან დაიხედა, როცა დიდ ამბავთა და მოსალოდნელ სამიშროებათა ეამს სახელმწიფო თავს მიანდობდა მხოლოდ და მხოლოდ მას, როგორც საჭირო პატივისა და ძალის მქონე კაცს. ასეთი გახლდათ მიზეზები, რომელთაც ასახელებენ და რომელთა გამოც

თითქოს პერიკლემ დემოსს არ მისცა ნება, ლაკედემონელებისათვის რამე დაეთმო. რაც შეეხება ჰემმარიკებას, იგი ბურუსითაა მოცული.

33. ლაკედემონელებმა იყოღნენ, თუ პერიკლე დაემხოვოდა, ათენელებს ყველაფერზე დაითანხმებდნენ. მათ მოითხოვეს, მკრეხელობის საქმესთან დაკავშირებულ პირთა განდევნა; ამ საქმეში კი გარეული იყო პერიკლეს გვარეულობა დედის მხრივ, როგორც ამბობს თუკიდიდე.⁷⁷ ეს ცდა საწინააღმდეგოდ შეუგრიალდათ საგანგებოდ წარმოგზავნილებს. ეჭვისა და ცილისწამების სანაცვლოდ თანამოქალაქეებმა პერიკლე კიდევ უფრო მეტი ნდობითა და პატივით აღჭურვეს, ვითარცა მგრებისათვის ყველაზე უფრო საძულველი და სამიში კაცი. ამის გამო, სანამ არქიდაძე თავისი პელოპონესელებით ატიკაში შემოიჭრებოდა, პერიკლემ ათენელებს უთხრა: თუ არქიდაძე სხვას ყველაფერს დაარბევს და ჩემ პირად საკუთრებას გვერდს აუელის ჩვენს შორის არსებული სტუმართმოყვარეობის მიზეზით, ანდა იმიტომ, რომ ჩემს მგრებს ცილისწამების საბაზი მისცეს, ხელს ვიღებ სახელმწიფოზე, მიწა-წყალზე და მამულებზე. მალე ლაკედემონელები და მათი მოკავშირენი ატიკაში შეიჭრნენ დიდძალი ჯარით, რომელსაც მეფე არქიდაძე ხელმძღვანელობდა. ამ მხარის რბევა-რბევით ისინი აქარნემდე მივიდნენ და იქ დაბანაკდნენ იმის იმედით, ათენელები თავს ვერ შეიკავებენ და ბრავითა და პატივმოყვარეობით აღგზნებულნი შეგვებრძოლებიანო. მაგრამ პერიკლეს სამიმ საქმედ მიაჩნდა და, უწინარეს ყოვლისა – ქალაქისათვის დიდ საფრთხედ, ბრძოლა გაემართა სამოცი ათასი პელოპონესელი და ბეოტიელი ჰომილიგის (ასეთი იყო მგრის რიცხვი პირველი შემოჭრის ეამს) წინააღმდეგ. იმ მოქალაქეთ, რომელთაც ბრძოლა სურდათ და მეგისმეტად განიყდიდნენ მომხდარს, პერიკლე ამშვიდებდა: გადაბელილი თუ მოჭრილი ხე მალე კვლავ აღმოცენდება, დახოცილ ვაჟაკებს კი უკან ვეღარ დავიბრუნებთო.

სახალხო კრებას პერიკლე არ იწვევდა იმის შიშით, ძალა არ დაეგანებინათ, საკუთარი რწმენის წინააღმდეგ წასულიყო. როცა ზღვაზე ქარიშხალი ამოეარდებოდა, მესაჭე გემზე ყველაფერს აწესრიგებს, ბაგირებს ჭიმავს და ამავგრებს ჩვეული ოსტატობით და არავითარ ყურადღებას არ აქცევს ზღვის აუადმყოფობით შეპყრობილ და შიშით ატანილ მგზავრთა ცრემლებსა და თხოვნა-მუდარას; სწორედ ასევე, პერიკლეს ნაკლებად მიჰქონდა გულთან თანამოქალაქეთა ყაყანი და უკმაყოფილება და საკუთარი მოსაზრებებით მოქმედებდა: მან ქალაქის ჭიშკარი ჩაკეტა და უშიშროებისათვის ყველგან მცველები ჩააყენა. ამოდ ემუდარებოდა მას მრავალი მეგობარი, ამოდ მღეროდნენ კომედიათა გუნდები მის შესარცხვენად დამცინავ სიმღერებს, რომლებშიც აბუჩად იგდებდნენ მის წინამძღოლობას და ებახდნენ ლაჩარს, ვინც სახელმწიფოს მტერს უთმობდა.

თანამოქალაქეებში მის მიმართ არსებულ წყრომას უკვე კლეონიც ჩაეჭიდა და ხალხის გამგებლობის ხელში ჩაგდებას ცდილობდა, რასაც გვიმოწმებს ჰერმიპეს შეთხზული ანაპესტები:⁷⁸

საგირთა მეფევე, რაგომ არა გსურს,
აღმართო შუბი? ომზე ნათქვამი
ცხარე სიგყეები გიშეულის განა,
გელეგის სულის პატრონი როს ხარ?
მგკიეც საღესზე მახვილს ლესავენ,
შენ კი ხმალს კბილით ჩასჭიდებიხარ
კლეონისაგან მძლეუ დაქებნილი!

34. ვერც ერთმა ხსნებულმა წინააღმდეგობამ ვერ შეარყია პერიკლე: იგი მშვიდად და მდუმარებით იგანდა ლანძღვა-გინებასა და მტრობას. პელოპონესელთა წინააღმდეგ მან ასი ხომალდი გაგზავნა; თვითონ არ გაპყოლია. მას შეუცვლელად

ეყრა ხელთ გამგებლობა, მინიდან ფებს არ იყვილა და ქალაქს იყადა, სანამ პელოპონესელები არ გაეყალენ. ხალხის გულის მოსაგებად, რომელიც ომის ღუნედ წარმოების გამო დრგინაუდა, პერიკლემ ფულის დარიგების ხერხს მიმართა და ახორციელებდა გადაწყვეტილებას ახალმოშენთა თაობაზე: მან ღედაბუდიანად აყარა ევინელები და მათი კუნძული წილისყრით ათენელებს დაუნაწილა. ერთგვარი ნუგეში იყო ის წარუმატებლობანიც, რომელთაც მტრები განიცდიდნენ: წარგზავნილმა ფლოგმა, პელოპონესის გარშემოვლის ეამს, ქეყენის დიდი ნაწილი, მისი სოფლები და მცირე ქალაქები, გვარიანად დაარბია. ხმელეთით თვითონ პერიკლე შეიჭრა მეგარის მხარეში და მთლიანად ააოხრა იგი. მართალია, ცხადად ჩანდა, რომ მტერი, რომელიც დიდ ზიანს აყენებდა ათენელებს ხმელეთზე და თვითონაც მრავალ მარცხს განიცდიდა ზღვაზე, ხანგრძლივ ომს ველარ შეძლებდა და მალე დასუსტდებოდა, როგორც ამას იმთავითვე ვარაუდობდა პერიკლე, ადამიანის განსჯას რომ რაღაც ღვთაებრივი ძალა წინ არ აღსდგომოდა. უწინარეს ყოელისა გაერყელდა უღმობელი სენი და აყევებული ასაკისა და ძალის ახალგაზრდობა შემუსრა. ამ სენის გამო სხეულითა და სულით დაზაფრული მოქალაქენი უსაზღვრო წყრომით აღიყსნენ პერიკლეს მიმართ. ვით ავაღმყოფობისაგან გონდაკარგულნი უსამართლოდ შეურაცხყოფენ ხოლმე მკურნალ ექიმსა და მშობელ მამას, ისე დაიწყეს პერიკლემე იერიმის მიგანა ათენელებმა. რომელთაც მტრები აქეზებდნენ შეგონებებით: სენის წარმომქმნელი მიზეზია სოფლის მოსახლეობის თაემოყრა ქალაქში, როცა ამ ზაფხულის ეამს დიდძალი ხალხი იძულებულია, შეჯგუფებულად ცხოვრობდეს ვიწრო ქოხმახებსა და სულისშემხუთავ კარვებში და სუფთა და გამლილ სიერყეში წინანდელი ღალი ცხოვრების ნაცვლად უქმსა და ჩაკეტილ სიყოცხლეს მიაჩანჩალებდეს. ამამი ბრალი მიუძღვის იმას, ვინც ომის გამო სოფლიდან აყრილი ხალხი ქალაქის კედლებში შემორეკა, ვინც ადამიანთა ასეთ დიდ რაოდენობას არაფერში იყენებს და პირუტყევივით ჰყავს მიშეებული, ერთმანეთი დააავაღონ და არავითარ საშუალებას არ აძლევს, ეითარება შეიცვაღონ და სული მოიბრუნონ.

35. ამ ვარამის განკურნებისა და მტრისათვის ერთგვარი ვნების მიყენების სურვილით ამოქმედებულმა პერიკლემ თავი მოუყარა ასორმოცდაათ ხომალდს, მრავალი მამაცი პოპლიგით და მხედრით ზღვაში გასვლაც დააპირა. ასეთი ძალა დიდ იმედს აძლევდა მოქალაქეთ და არანაკლებ მიმს ჰგვრიდა მტერს. ხომალდები უკვე გაესებული იყო და თავის გრიერზე პერიკლევ ავიდა, რომ უყებ, მშის დაბნელება მოხდა. ჩამოწვა წყეღიადი. ამ მოელენამ ყეელა დაამინა და იგი დიდი ამბის მომასწავებელ ნიშნად ჩათვალეს. როცა პერიკლემ შეშინებული და გამოუვალ მღგომარებაში ჩავარდნილი მესაჭე დაინახა, სახესთან თავისი წამოსასხამი მიუგანა, მერმე წამოახურა და ჰკითხა: „არის განა ეს რაიმე საშინელება? ანდა ხომ არ ფიქრობ, რომ ეს რაღაც საშინელების მომასწავებელი ნიშანი იყოს?“ მესაჭემ უარყოფითად უპასუხა. „მამინ, – უთხრა პერიკლემ, – განა რით განსხეავდება ის მოელენა ამისაგან, თუ არა იმით, რომ წყეღიადის შემქმნელი მიზეზი წამოსასხამზე უფრო დიღია?“ აი ასეა გადმოცემული ეს ამბავი ფილოსოფოსთა საუბრებში.

ასე იყო თუ ისე, პერიკლე ზღვაში გავიდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ისეთი არაფერი მოუშოქმედებია, გაწეული სამზადისის ღირსი რომ ყოფილიყო. ერთადერთი ის იყო, რომ ალყა შემოარგყა წმიდა ეპიდაეროსს მისი აღების იმედით, მაგრამ ვერ შეძლო გაერყელებული ავაღმყოფობის გამო, რომელიც მუსრს აეღებდა არა მარგო მყორებს, არამედ ყეელას, ვინც ჯარს შეეროდა.

ამიერიდან ათენელიან მთლად გადაეკიდნენ პერიკლეს. იგი ცდილობდა, დაემშვიდებინა და გაეუმხნევებინა განრისხებულნი, მაგრამ ვერც მათი რისხვა შეწყვიტა და ვერც გადაარწმუნა ისინი, სანამ მის წინააღმდეგ კენჭისყრა არ დაიწყეს და მთელი ძალაუფლება არ აიღეს. პერიკლეს წინამძღოლობა აღუკვეთეს და ფულადი ჯარიმაც დაადეს, რომლის უმცირეს ოდენობად გადმოცემებში თხუთმეტ, ხოლო

უდიდეს ოდენობად ორმოცდაათ გალანგს ასახელებენ. ბრალმდებლად, როგორც ილომენეუსი ამბობს, წარადგინეს კლეონი, თეოფრასტეს თქმით – სიმია; პერაკლიდე პონტოელი კი ბრალმდებლად ლაკრატიდას ასახელებს.

36. სახალხო მღელვარება მალე ჩაცხრა. ხალხმა ჩასობილი ნესტარივით მიაგოვა თავისი რისხვა, რომელიც პერიკლეს დაატეხა თავს. მაგრამ პერიკლეს თავის ოჯახში ჰქონდა მიძიმე ვითარება. შავმა ჭირმა ბევრი ახლობელი შეუმუსრა და შინაური შფოთი იმთავითვე მუწუხად ედგა. ღვიძლ შვილთაგან ყველაზე უფროსი ქსანთიპე პუნებით მფლანგველი იყო და მისი ახალგაზრდა ცოლიც, ეპილიკეს ვაჟის გისანდრეს ასული, ფუფუნების მოყვარული ქალი გახლდათ. ქსანთიპე ვერ იტანდა მამის ზუსტ ანგარიშიანობას: იგი მას სახარჯო თანხას ბუნწად და მცირე რაოდენობით აძლევდა. ერთხელ ქსანთიპემ მამის მეგობართაგანი, ვითომც პერიკლეს დავალებით, ფულის სასესხებლად გაგზავნა. როცა დრო გავიდა და სესხის მომგანმა ვალის გადახდა მოითხოვა, პერიკლემ მას სასამართლო დავა გაუმართა. ჭაბუკი ქსანთიპე ამაზე გაწყრა და მამას განუწყვეტლივ ლანძღავდა. ჯერ დაცინვა დაუწყო ბის შინაურ ურთიერთობებსა და მსჯელობებს სოფისგებთან. ასე, მაგალითად, როცა ერთმა პენტათლოსმა⁷⁹ შემთხვევით ნაგყორენი ხელშეებით ფარსალიელი ეპიტიმოსი მოკლა, პერიკლემ ქსანთიპეს სიკვით, მთელი დღე დახარჯა პროტაგორასთან გამართულ მსჯელობაში ყველაზე სწორი დასკვნისათვის, ვინ ან რა ჩაეთვალათ მომხდარი უბედურების მიზეზად: ხელშეები, მისი მგყორენელი, თუ შეჯიბრის მომწყობი? სტესიმბროგეს ვადმოცემით, ქსანთიპემ ამას ისიც დაუმატა, რომ ხალხში გააერყელა სამიწელი ცილისწამება თავის ცოლთან დაკავშირებით. ამ ახალგაზრდა კაცს საერთოდ სიყოცხლის ბოლომდე შეურიგებელი მგრობა ჰქონდა. მამასთან. ქსანთიპე მალე შავი ჭირით დასნეულდა და გარდაიცვალა.

იმ ხანებში პერიკლემ დაკარგა და, მოყვრები და სახელმწიფო საქმიანობაში დამხმარე და მეტად სასარგებლო ბევრი მეგობარი. თავს დატეხილმა მრავალმა უბედურებამ იგი მაინც ვერ მოდრიკა და სულის მხნეობა ვერ დააკარგვინა. პერიკლე არაეის უხილავს მგლოვიარე და მგირალი საფლავთან ყველაზე ახლობელი პირის დაკრძალვის ეამსაჲ, სანამ ერთადერთი დარჩენილი ღვიძლი შვილი პარალე არ დაკარგა. მართალია, იგი ამ უბედურებამ გატეხა, მაინც ცდილობდა, შეენარჩუნებინა ხასიათის სიმკიცე და სულის მხნეობა; მაგრამ როცა გვამს გვირგვინს ადებდა, მის დანახვებზე თავი ვეღარ შეიმავრა მწუხარებისაგან, ქვითინი მორთო და ბევრი ცრემლი დაღვარა, რაც თავის სიყოცხლეში არ დამართნია.

37. ათენის პოლისი სწორედ ამ ხანებში სხვა სგრაგეგოსებისა და რიგორების შემოწმებას ახდენდა, რაოდენ ძალუძდათ ომის წარმოება. მაგრამ ვერც ერთი ვერ აღმოჩნდა ესოდენ ღიდი მნიშვნელობის წინამძღოლობისათვის შესაბამისი ძალისა და ღირსების მქონე. ახლა კი დაუწყეს პერიკლეს მონაგრებულმა ათენელებმა თხოვნა, დაბრუნებოდა სარიგორო კათედრასა და სგრაგეგოსის სამყოფელს. მწუხარებისაგან სასოწარკვეთილი პერიკლე შინ იწეა, გარეთ არ გამოდიოდა. მხოლოდ ალკიბიადესა და სხვა მეგობრების მეგონებებს დაჰყვა და საქმეს დაუბრუნდა. ხალხმა მის მიმართ ჩადენილი უსამართლო საქციელის პატიება სთხოვა. პერიკლემ კელავ აილო ხელთ სახელმწიფოს გამგებლობა და სგრაგეგოსადაც აირჩიეს. უწინარეს ყოვლისა მან მოითხოვა, გაეუქმებინათ უწინ თავის მიერვე შემოღებული კანონი უკანონოდ მობილთა თაობაზე, რათა პირდაპირი მემკვიდრის უყოლობით მთლად არ აღმო-უხვრილიყო მისი მოღემა და სახელი.⁸⁰ ამ კანონის ამბავი ასეთი გახლდათ: ადრე, როცა სახელმწიფო მოღეაწეობის უმაღლეს საფეხურზე იმყოფებოდა და, როგორც ითქვა, კანონიერი შვილები ჰყავდა, პერიკლემ წარმოადგინა კანონი, რომლის ძალითაც ათენელებად მხოლოდ ისინი უნდა მიეჩნიათ, რომელთა მშობლებიც წარმოშობით ათენელები იყვნენ. როცა ეგვიპტელთა მეფემ ათენის ღემოსს საჩუქრად

ორმოცი ათასი მედიმნი ხორბალი⁸¹ გამოუგზავნა და საჭირო იყო, მოქალაქეებს ერთმანეთში გაენაწილებინათ, ხსენებული კანონის საფუძველზე ნაბუშართა წინა-აღმდეგ, რომელთა წარმოშობის საიდუმლოება მანამდე დაფარული იყო და ყურადღებასაც არ იპყრობდა, მრავალი სასამართლო საქმე აღიძრა; ბევრსაც ცილი დასწამეს. უკანონო მოქალაქეობაში გამომქვანებულნი, თითქმის ხუთი ათასი კაცი, მონებად გაჰყიდეს; მოქალაქეობაში დარჩენილი და ათენელად მიჩნეული აღმოჩნდა თორმეტი ათას ორმოცი კაცი. თუმცა საოცარი იყო, რომ ამდენი კაცის მიმართ ძალმიგანებული კანონი მისი შემომღებლის მიერვე ირღვეოდა, ათენელები მოალმობიერა სწორედ ამ დროს პერიკლეს თავზე დამგყდარმა შინაურმა უბედურებამ: ისინი ეარაუდობდნენ, პერიკლეს სამაგიერო ემღებოდა წინანდელი ქედმაღლობისა და ზვიადობისათვის და ღირსეულად ისჯებოდა. ათენელებმა შესაწყნარებლად მიიჩნიეს მისი ადამიანური თხოვნა და ნება დართეს, უკანონო ვაჟი ფრაგრიისათვის მიეწერა და თავისი სახელი მიეცა.⁸²

პერიკლეს ამ ვაჟმა შემდეგ ხანებში პელოპონესელები დაამარცხა არგინუსის კუნძულებთან გამართულ სამღვაო ბრძოლაში, მაგრამ მერმე თანასტრატეგოსებთან ერთად დემოსმა იგი სიკვდილით დასაჯა.⁸³

38. როგორც ჩანს, სწორედ მაშინ აემა სენმა პერიკლესაც დარია ხელი, მაგრამ არც თუ ისე მწვეველ, როგორც სხვებს. ავადმყოფობა ძლიერი მეგვიის გარეშე, სუსტად და გახანგრძლივებულად მიედინებოდა მრავალგვარი ცვლილებებით: იგი თანდათანობით აკნინებდა სხეულს და ფიგავდა სულიერ ძალებს. თეოფრასტე თავის „ეთიკაში“ სვამს კითხვას: ხომ არ იცვლება ადამიანის შინაგანი სულიერი სამყარო გარე შემთხვევების გამო და სხეულისმიერი ტანჯვით ხომ არ ქრება მისი მამაცობა? ამასთან დაკავშირებით თეოფრასტე იქვე გადმოგვცემს: ავადმყოფმა პერიკლემ მის მოსანახულებლად მოსულ ერთ მეგობართაგანს უჩვენა ავგაროზი, რომელიც ქალებმა ყელზე ჩამოჰკიდეს: ეცყობა, ძალზე ცუდად არის ჩემი საქმე, რაკი ასეთ სისულელეს ვითმენო.

როცა პერიკლე უკვე სიკვდილის პირზე იყო, მის გარშემო იხსდნენ საუკეთესო მოქალაქენი და შემორჩენილი მეგობრები. ისინი მსჯელობდნენ მისი უმაღლესი სრულყოფილებისა და ძლიერების თაობაზე; ითვლიდნენ მისეულ წარმატებულ საქმიანობათ და ალაფის რაოდენობას; აღნიშნავდნენ, რომ მან თავისი წინამძღოლობით მოპოვებულ გამარჯვებათა სახსოვრად ათენის სახელმწიფოს ცხრა საალაფო ძეგლი დაუდგა. ასე საუბრობდნენ ისინი ერთმანეთში და ეგონათ, ავადმყოფს უკვე დაკარგული ჰქონდა შეგრძნება და მათი აღარ ესმოდა. მაგრამ პერიკლე ყველაფერს ყურს უგდებდა თურმე; მერმე შუაგულ საუბარში ჩარეულა და უთქვამს: „მიკვირს. ამდენს რომ მაქვებთ და მოიხსენიებთ ჩემს ისეთ დამსახურებათ, რომლებიც უბრალოდ ბედთანაა წილნაყარი და უკვე მრავალ სხვა სტრატეგოსსაც მიუკეთებია, მაგრამ არაფერს ამბობთ იმ უმშვენიერესსა და უდიდეს დამსახურებაზე, რომ ჩემის მიზეზით არც ერთი ათენელი შავ წამოსასხამში არ გახვეულა!⁸⁴

39. ერთი სიგყვით, საოცარი იყო ეს ვაჟაკი არა მარტო თავისი მშვიდი და ლმობიერი ხასიათით, რომელსაც მრავალფეროვან სახელმწიფო მოღვაწეობასა და გამწვევებულ მტრობაშიც ინარჩუნებდა, არამედ საღი ამროვნებითაც. თავის ყველაზე საჩინო თვისებად იგი თვლიდა იმას, რომ ესოდენ ღიდი ძალა-უფლების მქონე არასდროს არ ალაღებდა შურსა და რისხევას და მგერთაგან არც ერთს შეურიგებელ მტრად არ მიიჩნევდა. მე მგონია, მის გულუბრყვილოდ ამპარგანულ მეგსახელს უმურველსა და შესაფერს ხდიდა ერთი რამ, სახელდობრ ის, რომ ოლიმპიელს ეპახდნენ ესოდენ სათნო ხასიათის კაცს, რომლის ცხოვრება სახელისუფლო ძლიერებაშიც წმიდა და შეუბღალავე დარჩა. მსგავსადვე ვაღიარებთ, რომ დემეტრების მოღვმა სიკეთეთა მიზეზია და არა ბოროტებათა წყარო და ამიგომაც საიმისოდ

გაჩინილი, რომ სამყაროზე იგამგებლოს და იმეფოს. საქმე ისე როდია, პოეტები რომ გააუთუნებენ უმწიფარზე უმწიფარი მოძღვრება-შეგონებებით და თავიანთი თავი თვითონვე ჰყავთ გამოჭერილი საკუთარ თხზულებებში. იმ ადგილს, სადაც მათი სიტყვებით ღმერთები სახლობენ, ისინი უწოდებენ უშიშარსა და ურყვე საეანეს, რომელმაც არ იცის ქარიშხალი და ღრუბელი და რომელიც მოკრიალებული, წყნარი ზეის ქვეშ სამარადემო წმინდა ნათელითაა გასხივოსნებული. ასეთი სუფეა უწინარეს ყოვლისა ნეგარსა და უკვდავ არსებას შექუფერისო. ამავე დროს თვითონ ღმერთები გამოსახული ჰყავთ ისეთი შფოთით, მტრობითა და რისხვით, ასევე – სხვაგვარი ვნებებით აღსავსე არსებებად, რაც გონიერ ადამიანსაც არ ეკადრება. მაგრამ ეს, ეგება, სხვა რიგის ნაშრომის საგანია და აღარაუერს ვიგყვი.

დატრიალებულმა ამბებმა სულ მალე შეაღწიეს ათენელთა შეგრძნებაში და პერიკლე სანაგრელი გაუხდათ. ისინი, რომელთაც პერიკლეს სიოცხლეში აღიზიანებდა ამ კაცის ძლიერება, რაც მათ ჩრდილადა, ახლა, როცა ეს კაცი ხელიდან გამოუცალათ და სხვა რიგორთა და წინამძღოლთა ძალა-უფლებაში აღმოჩნდნენ, იმ ამრს დაადგნენ, რომ არასდროს არსებობდა პერიკლეს ხასიათის მსგავსი მწე, გამორჩეული მომხრებით სიამაყეში და დიდსულოვნებით ლმობიერებაში. რაც შეეხება პერიკლეს ძალას, რაც შურს იწვევდა, და რასაც აქამდე მონარქიასა და გირანიას ეძახდნენ, ახლა ამ ძალაზე ამბობდნენ: იგი სახელმწიფო წყობის მხსნელი ბურჯი იყო. სახელმწიფოს მაშინ მართლაც დამანგრეველი უბედურება და დიდი ბოროტება დაატყდა თავს. პერიკლე ასეთ სიავეს მუდამ ძალას აყლიდა და თრგუნავდა. არ აძლევდა გასაქანს, თავი გამოეყო და ყოველნაირად უღობაედა გმას, არსებულ ვითარებას შეურიგებლად დაპირისპირებოდა.

შენიშვნები

1. იგულისხმება იმპერატორი ოქტავიანუს ავგუსტუსი (ძვ.წ. 27- ახ.წ. 14).
 2. ა ნ გ ი ს თ ე ნ ე – ფილოსოფოსი, სოფისტი.
 3. ა ე ლ ე ტ ი – ფლიტაზე, სალაშქრზე დამკერელი.
 4. ფ ი ლ ი პ ე – მაკედონის მეფე, ალექსანდრე მაკედონელის მამა.
 5. ფ ი ლ ი ა თ ე ნ ე ლ ი, პ ო ლ ი კ ლ ი გ ე ს ი კ ი ო ნ ე ლ ი – ძვ. წ. V საუკუნის ბერძენი ხუროთმოძღვარნი. ელადის ქალაქ პისაში (ოლიმპის მახლობლად) ფიდიას ნახელავეი ზევისს ქანდაკება იდგა, არგოსში კი – პოლიელიტეს მიერ გამოკეთებული პერას ქანდაკება. ანტიკურ საბერძნეთში არათუ ფიმიკური, გონებრივი შრომაზე კი მდაბიობა საქვედ მიიჩნეოდა.
 6. უზნავსი სიქველე – უმაღლესი სიქეთე, რომელშიც ვანხორციელებულია ფიმიკური თუ სულიერ-ზნეობრივი სრულყოფილება, რომელსაც ძველი ბერძენები „არეტა“ სიტყვით გამოხატავდნენ და რაც პლატონის იდეათა სამყაროს უმაღლეს იდეას წარმოადგენს.
 7. ა კ ა მ ა ნ ტ ი ს ი – ატიკის ერთი ფილეთაგანი, რომელშიც ქოლარგოსის მხარე (დემოსი) შედიოდა.
 8. კ ლ ი ს თ ე ნ ე – ძვ. წ. VI საუკუნის მოღვაწე, ათენის დემოკრატის დამუფუნებელი.
 9. ს ტ ა ს ი ს ი – დაეის ღმერთქალი.
- კეფალეგერეტის „თავთა-შემკრებელს“ აღნიშნავს. პერიკლესათვის მიკუთუნებული ეს ირონიული მეგასხელი შექმნილია ზევისს პომეროსისეული ეპითეტის „ნეფელეგერეტეს“ – „ღრუბელთმეკრებელის“ მიხედვით.
10. იგულისხმება ომით გამოწვეული ხმაური.
 11. ბერძნულ მითოლოგიურ ვადმოცემებში მუსიკოსი კ ე ნ ტ ა ვ რ ი (ცხენაკაცი) ქ ი რ ო ნ ი მრავალი გვირის, მათ შორის აქილეუსის, აღმზრდელია. მუსიკოსი დამონი ირონიითაა ქირონის სახელით მოხსენიებული.
 12. ძვ. წ. V საუკუნის ბერძენი ფილოსოფოსის ანაქსაგორას მოძღვრების თანახმად გონიერი სამყაროს არქე ანუ საფუძველი არის პომოიომერები – მსგავსი ნაწილაკები.
 13. ანტიკური ხანის გრატიკოსი პოეტი სათეატრო ავონში (მეჯიბრში) წარმოადგენდა ოსხნაწილიან თხზულებას – გეტრადლოგიას, რომელიც შეიცავდა სამ გრატედიას – ტრილოგიას და კიდევ დიერგისმენტის სახით დართულ გამამხიარლებელ სატირულ დრამას.
 14. ს ა ლ ა მ ი ნ ი ს ტ რ ი ე რ ი – ხომალდი „სალამინია“, რომელიც ათენის პოლისის საგანგებო დავალებებს ასრულებდა.
- კ რ ი ტ ო ლ ა ო ს ი – ძვ. წ. II ს-ის ფილოსოფოსი-პერიპატეტიკოსი.

15. პლაგონი „სახელმწიფო“ VIII, 562 ც.
16. ა რ ე ო პ ა გ ი - უმზნაესი საგამგებლო ორგანო, რომლის როლიც ათენის მონათმფლობელური დემოკრატიის აღშენების დროს დაინიშნა.
17. ათენის სახელმწიფოს მოქალაქენი.
18. ე გ ბ ე ა - დიდი მნიშვნელობის კუნძული ეგეოსის ზღვაში.
19. პლაგონი „ფედროსი“, 270 ა.
20. ე გ ი ნ ა - კუნძული ატიკასთან, სარონიკეს უბეში. პირეოსი - ათენის ნავსადგური.
21. თუკიდიდე „ისტორია“ II, 65.
22. კ ლ ე რ უ ხ ი ა - ათენის თავისუფალ მოქალაქეთათვის მიწების დანაწილება ახლად მოპოვებულ ტერიტორიებზე. თ ე ო რ ი კ ო ნ ი - დრამატულ შეჯიბრებებზე დასასწრებად გადასახდელი თანხა; თეატრში შესასვლელად ყოველ ათენელს ეძლეოდა ორი ობოლი (ობოლი - ფულის წერილი ერთეული, დრაქმის შეექვსედი).
- სავანებო ქირის ქვეშ იგულისხმება ის გასამრჯელო, რომელიც ათენის თავისუფალ მოქალაქეს ეძლეოდა სამოქალაქო მოვალეობის შესრულებისათვის. ასეთი მოვალეობა იყო: მონაწილეობა სახალხო კრებაში, სასამართლოებსა და საბჭოებში.
23. არისტოტელე „ათენელთა სახელმწიფო წყობილება“, 27.4.
24. არეოპაგის საბჭოს წევრი უნდა ყოფილიყო არისტოკრატიის ფენიდან და ჩამოთვლილ თანამდებობათაგან ერთ-ერთი სპეროდა. არქონტი ანუ არქონტ-ეპონიმი იყო არქონტთა ცხრა-წევრიანი კოლეგიის მეთაური. კოლეგიაში ამ არქონტის გარდა შედიოდნენ: არქონტი-ბასილევსი (მეფე), არქონტი-პოლიემარქოსი (მხედართმთავარი) და ექვსი არქონტი-თესმოთეგი (კანონმდებლები).
25. გაძევების კანონი - ო ს ტ რ ა კ ი ს მ ო ს ი ათენის სახელმწიფოში ითვალისწინებდა იმ მოქალაქეთა განდევნას, რომლებიც დემოკრატიულ წყობას მტრობდნენ. გაძევება ხდებოდა ხმის მიყვით. საამისოდ იყენებდნენ თიხის ფირფიტას - ოსტრაკონს.
26. ძე. წე. 457 წელს. ტ ა ნ ა გ რ ა - ბეოგიის ქალაქი.
27. აქ იგულისხმება ე. წ. კიმონის ბაეი, რომელიც ათენსა და ლაკედემონელთა სახელმწიფოს - სპარტას შორის დაიღო.
28. ათენის დემოკრატიაში მაკედონელთა მხარდაჭერის ბრალდებით კიმონი სამართალში მისცა ძე წე. 463 წელს.
29. ი ლ ო მ ე ნ ე ე ს ი - ძე. წე. IV-III სს-ის ბერძენი ფილოსოფოსი და ისტორიკოსი.
30. „მშვენიერებით შემოსილისა და საუკეთესოს“ (კ ა ლ ო ს კ ა ი ა გ ა თ ო ს) სახელით ათენის სახელმწიფოში მოიხსენიებოდა ის, ვინც არისტოკრატიულ ფენას ეკუთვნოდა.
31. იგულისხმება ათენის სახელმწიფოს ორი თავისუფალი ფენა - დემოკრატია და არისტოკრატია. მესამე ფენას უფლებო მონები შეადგენდნენ.
32. ტ რ ი ე რ ი - სამ რიგზე გაწყობილი ხოფებიანი სამხედრო ხომალდი.
33. კ ლ ე რ უ ხ ო ს ი - კლერუხიის უფლების მქონე პირი (იხ. მენ. 22).
34. ბ ი ს ა ლ ტ ე ი - თრაკიული მოღვმის გომი მდინარე სტრიმონთან.
35. ს ი ბ ა რ ი ს ი - სამხრ. იტალიის უმდიდრესი ქალაქი.
36. სპარსთა წინააღმდეგ საომრად შექმნილი უღინთა „სამღეაო კაეპირის“ საერთო ხაზინა ძე. წე. 454 წელს კუნძულ დელოსიდან ათენში გადმოიტანეს. ამ ხაზინას ამიერიდან მთლიანად ათენის პოლისი დაეუფლა.
37. ძ ე ე ქ ს ი ს ი - ძე. წე. V ს-ში მოღვაწე დიდი მხატვარი.
38. პ ე კ ა ტ ო მ პ ე ლ ო ნ ი - ასი ატიკური ფუტის სიგრძის პ ა რ თ ე ნ ო ნ ი ანუ ათენა-ქალწულის ტაძარი ათენის აკროპოლისზე. იგი ცხრა წლის მანძილზე მენდებოდა (447-438). პართენონი თავისი პროპორციულობით და ცალკეულ დეტალთა აღნაგობით დღესაც აოცებს და ესთეტიკურ ტკობას ანიჭებს მნახველს.
39. პლაგონი „გორგია“ 455 ე.
40. ა ე ლ ო ს ი - ფლეიტა, სალაშქარი; კითარა - სიმებიანი საკრავი.
41. დმერთქალი ათენა.
42. ა თ ე ნ ა-პ ი გ ი ი ა - ათენა-მხსნელი; ათენა-მკურნალი.
43. პლაგონი „ფედროსი“ 271 ბ.
44. თუკიდიდე „ისტორია“ II, 65, 8.
45. პისისტრატიდები - ათენის ერთმპყრობელური გამგებლის პისისტრატეს (560-527) ვაჟები - ჰიპია, ჰიპარქე და თესალოსი, რომლებმაც ათენის პოლისში მკაცრი რეჟიმი შემოიღეს.
46. ე ფ ი ა ლ ტ ე, ლ ე ო კ რ ა ტ ე, მ ი რ ო ნ ი დ ე, კ ი მ ო ნ ი, ტ ო ლ მ ი დ ე, თ უ კ ი დ ი დ ე - პერიკლეს თანამედროვე ათენელი პოლიტიკური მოღვაწენი. აქ მოხსენიებული თუკიდიდე იყო არა ცნობილი ისტორიკოსი, არამედ მისი სეხნია - არისტოკრატიული პარტიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი და პერიკლეს მეტოქე.
47. ძე. წე. 445-430 წლებში პ ე რ ი კ ლ ე ათენის დემოკრატიული პოლისის უცვლელი მეთაურია. ამ პერიოდში მას ყოველწლიურად ირჩევდნენ სტრატეგოსად - მთავარსარდლად. ძველი

საბერძნეთის ისტორიაში პერიკლეს ხანა ათენის პოლისის უმაღლესი აყვავების, მისი გაფურჩქვნის ანუ ბერძნული იდეოლოგიის აღმშენებლის ხანად ითვლება.

48. ბ ი მ ა ნ ტ ი ო ნ ი - თრაკიის ბოსფორის სანაპიროსთან მდებარე ქალაქი. მერმინდელი კონსტანტინოპოლი (სტამბული).

49. ბუგიელებმა გოლმიდეს მეთაურობით მათ მხარეში შეჭრილი ათენელები დაამარცხეს ძვ. წ. 446 წელს ქალაქ კორონეასთან.

50. ეგოსის წლისა და პროპონგისის ყელი.

51. ე. წ. გროპეონი.

52. ეგეიკეში მარცხიანი ლაშქრობა ბერძნებმა ჯერ კიდევ მანამდე დაიწყეს, სანამ პერიკლე ათენის სახელმწიფოს მეთაური გახდებოდა. ეს ლაშქრობა (459-454 წლებს შუა) ათენის საეპროკაპიტალის უქსანასის, კოლონიური პოლიტიკის შედეგი იყო. პერიკლე ასეთი პოლიტიკის მომხრე და გამგარებელიც იყო, მაგრამ მისი საგარეო პოლიტიკა საერთოდ სიფრთხილით და მოშივრებით გამოირჩეოდა.

53. ე. წ. „წმიდა ანუ საღვთო ომი“ ათენელებსა და ლაკედემონელთა (სპარტელთა) შორის ძვ. წ. 448 წელს გაიმართა.

54. დელფოს ანუ პითოს აპოლონ ღმერთის სამისნოში იღვას სპილენძისაგან გამოკვეთილი მგლის ქანდაკება.

55. ე ფ ო რ ე ბ ი - სახელმწიფოს მმართველთა ჯგუფი სპარტაში.

56. „ლ ი ს ა ნ დ რ ე“, 16-17 თავები.

57. ეების ქალაქები: ქალკისი და ქესტიეა.

58. პ ი პ ო ბ ო ტ ე ბ ი - „უხუნთმაძიოვარნი“, ქალკიდელი მსხვილი მიწათმფლობელი.

59. ძვ. წ. 446/445 წელს.

60. მ ე დ ი მ შ ი - მიდიელების ანუ სპარსელების გაელენა.

61. ე ს ქ ი ნ ე - სოკრატეს მეგობარი ფილოსოფოსი.

62. პლატონი „მენუქსენე“ 235 ე.

63. ო მ ფ ა ლ ე - ლიდის დელოფალი, რომელსაც ერთხანს პერაკლე ჰყავდა მონად. დეიანირა - პერაკლეს ცოლი, პ ე რ ა - საპატიო ღმერთქალი, გეესის მეუღლე.

64. კიროს უმცროსი სამეფო გახგისათვის ებრძოდა თავის უფროს ძმას, სპარსთა მეფეს - ა რ - გ ა ქ ს ე რ ქ ს ს. კიროსი მოკლეს ძვ. წ. 401 წელს კენაქსასთან ბრძოლაში.

65. პ რ ე ე ნ ე - კარიის ქალაქთავანი.

66. სამოსის ომი დაიწყო ძვ. წ. 442/441 წლებში.

67. დამოწმებულია არისტოფანეს დაკარგული კომედიიდან, რომელსაც „ბაბილონელები“ ერქვა.

68. პ ე რ ი ფ ო რ ე ტ ო ს ი - „ირველიე გარეული“.

69. ე. ი. - „სახელმწიფო საქმე შენ არ გეკითხებაო“.

70. თუკიდლე, VIII, 76,4.

71. პელოპონესის ომის ისტორიის მთავარი წყაროებია: თუკიდლესა და ქსენოფონის საისტორიო თხზულებები, პლუტარქეს ბიოგრაფიები („პერიკლე“, „ნიკია“, „ალკიბიადე“, „ლისანდრე“), არისტოფანეს კომედიები და ჩვენამდე მოღწეული მოგიერთი წარწერა.

72. აქ იგლისხმება ე. წ. მეგარის ფსეფისმა ანუ ათენის სახალხო კრების 432 წლის დადგენილება, რომლის ძალითაც მეგარის ეკრძალებოდა ეპტრობა ათენის სამღვაო კავშირის წევრებთან. მეგარის ფსეფისმა პელოპონესის ომის ერთ-ერთი საბაბი იყო კერკირასა და პოტიდეასთან დაკავშირებულ ინიცილებთან ერთად.

73. წმიდა მიწის მონაკვეთი - ელევსინსა და მეგარას შორის მდებარე ნაკვეთი, - რომელიც ელთაუბისადმი იყო მეწირული.

74. თ რ ი ა ს ი ო ნ ი - ელევსინის დაბლობის ერთი მონაკვეთი.

75. ციტატა დამოწმებულია არისტოფანეს კომედიიდან „აქარნელები“, სტ. 524 მმღვ.

76. ფ ი დ ი ა ს აბრალბდნენ ათენა-ქალწულის ქანდაკებისათვის განკუთვნილი სპილოს ძეღის ნაწილის და აგრეთვე ოქროს ნაწილის გადამალვას. ამ საქმეში თითქოს პერიკლეს იყო გარეული. მგრებმა მას ფიდას მოწამელა დააბრალეს: დიდოსტატი იმიტომ მოიშორა თავიდან, სასამართლოში რომ თითონაც არ დაესახელებინათო.

77. თუკიდლე I, 126 მმღვ.

78. კ ლ ე ო ნ ი - ათენელი შეტყავე, დემაგოგი, პერიკლეს პოლიტიკური მოწინააღმდეგე, პელოპონესის ომის ბოლომდე მიყვანის პროპაგანდისტი. პ ე რ მ ი პ ე - ძველი ატიკური პოლიტიკური კომედიის ერთ-ერთი წარმომადგენელი, პერიკლეს მტერი. ა ნ ა პ ე ს ტ ი - სალექსო სამომი, უპირატესად კომედიებში გამოყენებული.

79. პ ე ნ ტ ა თ ლ ო ს ი - ხუთჯიღში შეჯიბრის მონაწილე.

80. ამ კანონის ძალით ათენელად ჩათვლებოდა და, მამასადამე, ათენში თავისუფლად ცხოვრების უფლება ენიჭებოდა იმ ათენელს, ვინც დეღით და მამით იყო ათენელი. ამ კანონის

გაუქმება პერიკლემ ვედარ შეძლო. ათენელებმა გამოიხადეს ლეგიტიმაცია დაუშვეს მხოლოდ პერსონალურად პერიკლეს ერთ-ერთი თაყის მიმართ, რომელიც ქორწინების გარეშე იმეა.

81. მედიზნი ხორბალი - ორიგინალშია „მედიზნოს პერონ“. მედიზნი - მედიზნოსი - ატიკური საწყაო ერთეული.

82. ფ რ ა ტ რ ი ა - ათენის სახელმწიფოში მოსახლეობა დაყოფილი იყო ტერიტორიულ-პოლიტიკურ ერთეულებად: მსხვილი ერთეული იყო ფილე, უფრო მცირე - ფრაგრია.

83. ძე. წ. 406 წელს არგინუსის კუნძულებთან ათენის ფლოგმა ძლევამოსილი გამარჯვება მოიპოვა სპარტის სამღვაო ძალებზე. იმის გამო, რომ ათენელმა სარდლებმა ბრძოლაში დაღუპული თავისი მეომრები არ დაკრძალეს და დაზიანებულ ხომალდებზე მყოფ შემდეგურებს დახმარება არ გაუწიეს, ისინი ათენის სახელმწიფომ სიკვდილით დასაჯა.

84. პ ე რ ი კ ლ ე გარდაიყვალა ძე. წ. 429 წელს.

თარგმნა აკაკი ურუშაძემ

მორაღიები

ბედის შესახებ

[ბელი განაგებს მოკვდავთა საქმეებს და არა კეთილგონიერება!]

1. განა მოკვდავთა საქმეებს სამართლიანობა და პირუთენელობა, გონება-გამჭრიახოება და წესიერება არ წარმართავს? სეე-ბელი სწყალობდა არისტიდეს ღირსეულად რომ იგანდა გაჭირვებას, მაშინ, როცა ძალუძდა დიდძალ ქონებას დაპაგრონიებოდა? ან სკიპიონს, რომელსაც კართაგენის ალების შემდეგ, ალაფი თვალითაც არ უნახავს და არც რა მიუკერძოებია? ბედის ხელი ერია იმაშიც, რომ ფილოკრატესმა² ფილიპოსისგან ნაბოძები ოქროთი „მებაეები და თევი იყიდა“, ხოლო ლასთენესმა და ევთიკრატესმა³ ოლინთოსი დაღუპეს, რადგან „მხოლოდ სგომაქითა და აღვირაბსნილობით სამღერაედნენ ბედნიერებას“? ბელი იყო მიზეზი იმისა, თვით ალექსანდრემ, ფილიპოსის ძემ, გყვე ქალებს თითიყ რომ არ ახლო და მათი შეურაცხმყოფელნი დასაჯა კიდუც, ბოროგი დემონითა და ბედისწერით შეპყრობილმა პრიამოსის ძემ კი, მასპინძლის ცოლის სარეული გაიზიარა და მისი მოგატყების შემდგომ ორივე კონგინენგს ბრძოლები და უბედურება დაატეხა თავს? თუ ჩავთვლით, რომ ბელია ყოველივე ამის მიზეზი, მაშინ, რატომ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბედისევი მიზეზით არიან კატები უძღენნი, თხები თავმუქაეებელნი, მაიმუნები კი ოინბაზები?

2. თუ არსებობს გონება-გამჭრიახოება, სამართლიანობა და სიქველე, მაშინ როგორ შეგვიძლია, უარეყოთ, რომ ამროვნება არ არსებობს და, თუ ამროვნება არსებობს, როგორ არ იარსებებს კეთილგონიერება? გამჭრიახოება, როგორც ამბობენ. ერთგვარი ამროვნებაა, და თუ ასეა, მაშინ სამართლიანობაც წარმოუდგენელია ამროვნების გარეშე. კეთილგონიერებასა და ამროვნებაზე უფრო მეტ სიკეთელ კი ის მიგვაჩნია, როცა განცხრომამი თავმუქაეებას და მომიერებას ვიჩენთ, საფრთხესა თუ გაჭირვებაში - გამძღეობასა და სიქველეს, საზოგადოებრივსა თუ სახელმწიფო საქმეებში - კანონიერებასა და სამართლიანობას. აქედან გამომდინარე, თუ ჩავთვლით, რომ მოკვდავთა საქმეებს ბელი განაგებს და არა კეთილგონიერება, მაშინ გამოდის, რომ ბედის განგებაა სამართლიანობაცა და გამჭრიახოებაცა, ვფიცაე ზეეს, რომ ბედის გამო ხდება ქურდობაც, ქისების პარეაც და აღვირაბსნილობაც. და თუ ჩვენს საკუთარ მსჯელობასაც ბელს მივანდობთ, ეს მოგვაგონებს ძლიერ ქარს, რომელიც თავის ნებაზე მიმოუანგავს მტვერსა და ნარჩენებს. ამრიგად, თუ კეთილგონიერება არ არსებობს, უდაოდ, არ იარსებებს საჭიროება არც მსჯელობისა, არც განსჯისა და არც იმის ძიებისა, თუ რა არის სასარგებლო; განა ყბელობდა სოფოკლე, როცა ამბობდა, რომ:

„ვინც ეძებს, ის იპოვის
ვისაც ეძარება, ის ვერა“⁴⁴

იმავეს გულისხმობს იგი, როცა მოკვდავთა საქმეებს განიხილავს:

„სასწავლს ვსწავლობ, საკვლევს ვიკვლევ,
სასურველს კი ღმერთებს შევსთხოვ“⁴⁵

მამ, რაღა უნდა იკვლიოს და შეისწავლოს ადამიანმა, თუკი ყველაფერი ბედის წერაა. რად არ უქმდება სახელმწიფო საკრებულო, ან რად არ იმღება სამეფო სინედრიონი, თუკი ყველაფერი ბედის გამგებლობაშია? რად ვკიცხავთ ბედს ბრმა არისო, როცა თავადაც მასზე მინდობილნი ბრმებივით კისერს ვიტყვით? მაშინ რაგომ არ ვბრუნავთ ამაზე, როცა კეთილგონიერებას თვალებს ეთხრით და ჩვენი ცხოვრების წინამძღოლად ბრმას ვირჩევთ?

3. მაგრამ მოდი დავუშვათ, ვინმემ ჩვენთაგანმა თქვას, რომ ბედის შემწეობით ვხედავთ და არაფერი საერთო არ აქვს ამას არც მხედველობასთან და არც „შუქმუნ თვალებთან“, როგორც პლატონი იტყოდა, და, დავუშვათ, რომ ბედისვე მეოხებით ძალგვიძს სმენა და არაფერ შუაშია აქ პაერის გაღლის აღმქმელი ძალა, რომელიც ჩვენს სასმენელს აღწევს და შემდეგ გვინს გადაეცემა⁴⁶. ასე რომ ყოფილიყო, მაშინ მართლაც სიფრთხილით უნდა მიგვენიჭებინა მნიშვნელობა ამა თუ იმ მგრძნობელობისათვის; თუმცა რეალურად ხომ ბუნებამ გვიბოძა მხედველობა, სმენა, გემოს აღქმის უნარი, ყნოსვა და სხეულის სხვა ნაწილებიც, რომელნიც სამსახურს გვიწვევს იმაში, რომ კეთილგონიერები ვიყოთ და საღად ვიამზროვნოთ.

„გონება ჭერებს და გონება ისმენს,
სხვა დანარჩენი ყრუა და ბრმა“⁴⁷

ეს იმას ჰგავს, როგორც პერაკლიგე ამბობს, მზე რომ არ არსებულებოდა და არც სხვა ვარსკვლავნი. უკუნ ღამეში განუღებელით ცხოვრებას; იგივე ითქმის თითოეული მგრძნობელობის შესახებაც, ადამიანს გონება რომ არ ჰქონოდა ან მეტყველება არ შესძლებოდა, არაფრით იქნებოდა მისი ცხოვრება ცხოველისაგან განსხვავებული. ახლა კი ისიც აღვნიშნოთ, რომ არა ბედის მეოხებით და არც შემთხვევითობის წყალობით აღვემატებით ცხოველებს და ვმორჩილებთ მათ. ესქილეს მიხედვით, ამის მიზეზი იყო პრომეთევის; ჩვენი შეხედულებაც ასეთივეა:

„ცხენების, სახედრების, ხარების ნაშიერნი ჩვენ მოგვივლინა
მონებივით ჩვენს მაგიერ ჯაფა რომ გასწიონ“⁴⁸

სამაგიეროდ, ბედისა თუ ბუნების მეოხებით, პირუტყვთა უმრავლესობა დაბადებისთანავე ადამიანზე უკეთესი თვისებებით არის აღჭურვილი: რქებით, კბილებითა და ნესგრით. აი, ემპედოკლესიც ამას ამბობს:

„ზღარბებსაჲ ხომ ზურგზე ნემსივით ბასრი ეკლები ასჯავრიათ“⁴⁹

მოგიერთი ცხოველი შემოსილია ქერცლითა და ბუმბულით, შეჭურვილია ბრჭყალებითა და ხორკლიანი ჩლიქებით. პლატონის მიხედვით, მხოლოდ ადამიანია ბუნების მიერ ბედის ანაბარა მიგოვებული „შიშველი, უიარალო და უხამლო, ყოველგვარი საფარველის გარეშე“:

„მაგრამ ერთი რამ კი უბოძა, რაც ყველაფერ ამას აღემატება“

ეს არის განსჯის უნარი, მზრუნველობა და წინდახედულება:

„ქეშმარიტად კაცთა მოღვმას დიდი ძალ-ღონე არ შესწევს, თუმცა, მან მახვილი გონებით მოახერხა სამიშ ცხოველთა მოთვინიერება მღვაში, დედამიწასა და ჰაერში“¹⁰

მართლაც, მსუბუქი და სწრაფი ცხენი ადამიანს დააჭენებს, შეუპოვარი და თამამი ძალდი კი მას იცავს. ხოლო უგემრიელესი თევზისა და გათქერიებული ღორისაგან ადამიანი სამრდოობს და კერძს იმშადებს. რა უნდა ნახოს კაცმა სპილოზე უფრო დიდი და შიშისმომგვრელი, მაგრამ ისიც კი ადამიანმა გასართობად და საზეიმო სანახაობად აქცია, მას ცეკვა, როკვა და მუხლმოყრა ასწავლა; ყოველივე ამის წარმოდგენა სულაც არ არის უსარგებლო, ამით შევიმეცნებთ, რომ ადამიანს ამროვნების უნარი აღამაღლებს და რომ ყველაზე გამორჩეულია და რომ მისი წყალობით მორჩილებს იგი ყოველიერს:

„არც სახელოვანი მოკრივენი ვართ, არც მოჭიდავენი, ვერც ფეხმარდად დავრბივართ“¹¹

არამედ, ამ მხრივ, ცხოველებზე უბადრუკნი ვართ. თუმცადა, ანაქსაგორასის მიხედვით, გამოცდილების, ცოდნის, სიბრძნისა და ხელობის წყალობით მათგან სარგებლობას ვიღებთ: ფუტკრის ფიჭებს ვჭრით, რძეს ვწველით და ყოველივეს ჩვენი სურვილის მიხედვით განვაკუთ. ასე რომ, ამ შემთხვევაში უპირატესობა კეთილგონიერებასა და წინდახედულებას ენიჭება და არა ბელს.

4. ამას გარდა, ამკარად, მოკედაეთა საქმიანობა ხუროთმოძღვრება, მეთუნეუქობა, აღმშენებლობა და მოქანდაკეობა; ისიც ნათელია, ალაღებდმე და შემთხვევით არცერთ ქმნილებას არ ხელომია წილად წარმატება. მნიშვნელოვანსა და დიდებულ შედეგებს ხელოვანები საკუთარი შთაგონებით სრულყოფენ, თუმცა მათ მყისიერი ილბალიყ შეეწვეათ ხოლმე ზოგჯერ წარმატებაში, ამას ცხადყოფს ეს პოეტიყ:

„ქუჩაში მოდიხართ, ხელოსნებო, მევსის ასულ, გორგონასთვალეზა ერგანეს, შესაწირი კალათებით ვევერებით“¹²

როგორც ჩანს, შემოქმედთა თანაშემწეა ერგანე, ანუ, ათენა და არა ბელის ქალღმერთი (ტიქე). თუმცა, აი, რას მოგვითხრობენ ერთი მხატვრის შესახებ¹³, რომელიც ცხენის დახატვას ცდილობდა. მას თითქმის ყველაფერი კარგად გამოსდიოდა: სილუეტიყ და ფერებიყ, მაგრამ ვერაფრით მოეხერხებინა, ჭენებით გათანგული და აქომინებული ცხენისათვის ლაგამთან პირსმომღვარი დუკი გამოესახა; დღენიდაგ ხატაედა და შემდეგ კვლავ მღიდა. ბოლოს და ბოლოს კი, განრისხებულმა ნახატს მათეთრებლით გაქდენთილი ღრუბელი დაადო, გასაოცარი ხელის მოქნევის შედეგად მხატვარმა სასურველ მიზანს მიადწია. ეს არის ერთადერთი შემთხვევა, რომელშიც ბელი ჩაერია. ზოგადად, ყველა საქმეში იყენებენ კანონებსა და სგათმოსებს, სამომებსა და რიცხვებს, რათა თავიდან აიცილონ უმუსტობა და შემთხვევითობა. ამბობენ, რომ ხელობაყ მკირე ამროვნების დარია, უფრო სწორედ, ის წარმოადგენს ამროვნების ნაკადს, რომელიც, საყოფაცხოვრებო დანიშნულების მიხედვით, სხვადასხვა სფეროდ არის განაწილებული, როგორც ამაზე ალეგორიულად მიგვანიშ-

ნებს პრომეთევის ამბავი, რომელიც მოგვითხრობს, თუ როგორ გაანაწილა და განაერყო მან ცეცხლი სხვადასხვა ადგილას; ამის დარად ამროვნებაც მცირე ნაწილებად და სფეროებად არის დანაწევრებული და დანიშნულების მიხედვით განაწილებული.

5. გასაკვირია, რომ ხელოვნებაში ბედ-იღბალი უმწეოა, ყველა ხელოვნებაზე უადრესი ხელოვნებაა კი – სახელი და დამსახურება – უძლეურია ამ შემთხვევაში. ადამიანის კეთილგონიერება შედარდება იმამც, რომ სიმების დაჭიმვითა და მოშვებით ქმნის კეთილზოვანებას, რასაც მუსიკას უხმობენ, კერძების მომზადების ხელობას – კულინარიას, სამოსის წესრიგში მოყვანისას კი – სისუფთავეს. ბავშვებს ხამლის შეკერასა და ჩაცმას ვასწავლით, აგრეთვე იმასაც, რომ კერძი მარჯვენა ხელში დაიკავონ, მარცხენაში კი – პური. ასე რომ, ყველაფერში დაკვირვების უნარი და ყურადღებაა საჭირო და არა ბედ-იღბალი. განა შესაძლოა, რომ კეთილდღეობი-საივის უმნიშვნელოვანესი და უმთავრესი საქმენი არ მოითხოვდეს არც ამროვნებას, არც განსჯასა და არც წინდახედულებას? განა უამრობა არ არის, ვინმემ თიხა წყლით შეაშაოს და დაგოოს, იქნებ, ბედის წყალობით აგურებად იქცეოს. ანდა, კაცს ბეწვეული და გყავი ჰქონდეს, ის კი გულხელდაკრეფილი იჯდეს და ბედს შესთხოვდეს ქიგონსა და სანდლებს? ან კი ის, ვინც უთვალავი ოქრო-ვერცხლი მოიხვეჭა, ურიცხვ მონას დაეპაგრონა და მრავალკარიანი საცხოვრისი შეიძინა, ძვირფასი სარეცლებითა და მაგილებით მოაწყო, ნუთუ ფიქრობს, რომ ეს ყველაფერი მას კეთილდღეობას მოუტანს და უნადლო, ნეგარ და უცვალებელ სიცოცხლეს უზრუნველყოფს, თუ საქმეს ამრიანად არ მოეკიდა? ერთხელ სარდალ იფიკრაგეს¹⁴ ვილაცამ, გამოცდის მიმნით, ვინაობა ჰკითხა, რადგან იგი არ ჰგავდა „არც ჰოპლიგს, არც მშვილდოსანს და არც პელტასგს“. მან კი პასუხად მიუვო: „მე ის კაცი ვარ, რომელიც ყველა მათგანს მართავს და იყენებს“.

6. ამროვნება არ არის არც ოქრო და არც ვერცხლი, არც სახელი და არც სიმდიდრე, არც ჯანმრთელობა და არც ძლევამოსილება და არც სილამაზე. მამ რა არის? ამროვნებას ძალუძს ყოველივე ეს გონივრულად გამოიყენოს და, ამის წყალობით, თითოეული მათგანი სასიამოვნო, დიდებული და სასარგებლო გახადოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ყველაფერი უსარგებლო, უნაყოფო და ზიანის მომგანი იქნებოდა, დათრგუნავდა და პატივს აპყრიდა მათ მფლობელს. უდაოდ, საზრიანია ჰესიოდეს პრომეთევის რჩევა, რომელსაც იგი ეპიმეთევსს აძლევს:

„ნურასოდეს მიიღებ საჩუქარს ოლიმპიელი ზევსისაგან,
არამედ უკან დაუბრუნე“¹⁵

აქ იგი გულისხმობს შემთხვევებს, რომლებიც ბედით არიან განპირობებულნი და აგრეთვე ბედის გარეშე: ვერ დაუკრავს საღამურზე ის, ვისაც მუსიკის არა გაეგება რა, ვინც არ იყის კითხვა, ვერ წაიკითხავს, ვინც არ იყის ჭენება, ცხენს ვერ გააჭენებს. ამასვე შეაგონებს იგი ეპიმეთევსს, უგუნური ვერ მართავს, ძუნწი ვერ გამდიდრდება, ცოლიც უმჯობესია არ მოიყვანო, თუ ის გმართავს. როგორც ღემოსთენესმა თქვა, არა მარტო „დაუმსახურებელი კეთილდღეობა ხდება ქედმაღლობის საბაბი უგუნურთათვის“¹⁶, არამედ დაუმსახურებელი ბედნიერებაც უგუნურთათვის უბედურების მომგანია.

შენიშვნები

¹ Nzuck, Trag. Graec. Frag., გვ. 782.

² ღემოსთენესი, დანამაულებრივი ელზობის თაობაზე, 229.

³ ღემოსთენესი, გვირგვინის შესახებ, 48.

⁴ სოფოკლე, იოდიპოს მეფე, 110-111.

⁵ სოფოკლე, ფრ. 723.

⁶ პლატონი, ტიმეოსი, 67b.

⁷ Diels. Epich., Fragmente der Vorsokratiker, I, 200.

⁸ ესქილე, ფრ. 180.

⁹ Diels. Emp., Fragmente der Vorsokratiker, I, 83.

¹⁰ ეერიპიდე, ეოლ. ფრ. 27.

¹¹ პომპროსი, ოდისეა, VIII 246-247.

¹² Nauck, Trag. Graec. Frag., სოფოკლე, 760.

¹³ აქ. საეარაულოდ, იგულისხმება ძვ. წ. IV ს-ის II ნახ-ის ბერძენი მხატვარი, აქელესი.

¹⁴ ძვ. წ. IV ს-ის I ნახ-ის ათენელი სარდალი.

¹⁵ ჯესიოდე, სამშ. 86-87.

¹⁶ ღემოსთენესი, ოლინთოსური I, 23.

თარგმნა მაია დანელიამ

მეგობართა სიმრავლის შესახებ

1. მენონ თესალიელს, რომელიც თავს კამათის ხელოვნების უბადლო მცოდნედ მიიჩნევდა, და, როგორც ემპედოკლესი იგყოფდა – „ხშირად იპყრობდა სიბრძნის მწვერეალებს“ – ერთხელ სოკრატემ სთხოვა, განემარტა, რა იყო სიქველე. მან მეყსეულად, ყოველგვარი დაფიქრების გარეშე მიუგო, რომ სიქველე სხეადასხეაა ბაეშვისა თუ მოხუცისათვის, კაცისა თუ ქალისათვის, მმართველისა თუ უბრალო მოქალაქისთვის, ბაგონისა თუ მსახურისათვის. „ჩინებული პასუხია, – შესძახა სოკრატემ, – მე ერთის დასახელება გთხოვე, შენ კი სიქველეთა მთელი გუნდი წამომალე“! ამით მან სწორად შენიშნა: მენონმა იმიტომ ჩამოთვალა ამღენაირი სიქველე, რომ ერთის დასახელებაც არ შეეძლო. ჩვენც ხომ არ უნდა გავხდეთ ვინმეს დასაციანი?! ჯერ არც ერთი ახლო მეგობარი არა გყავს და უკვე გვემინია, ვაითუ მეგობართა სიმრავლემ შეგვაწუხოს. ამით ჩვენ თითქმის არაფრით განვსხვავდებით იმ საპყარი და ბრმა ადამიანისაგან, რომელიც მიშობს, ასხელა ბრიარეუსად ან ყოვლისდამნახავ არგოსად არ იქცეს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ უზომოდ ვაქებთ მენანდროსის ნაწარმოების ახალგაზრდა მოქმედ პირს, რომელიც უდიდეს სიკეთედ მიიჩნევდა მეგობრის თუნდაც აჩრდილის ყოლას.

2. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი, რომელიც აბრკოლებს ნამდვილ მეგობრობას. არის მრავალი მეგობრის ყოლის სურვილი. როგორც ეს გარყვნილ ქალებს ემართებათ, მრავალთან ხშირი კავშირის გამო ვეღარ ვახერხებთ ძველი მეგობრების შენარჩუნებას და ისინი, მზრუნველობის გარეშე დარჩენილნი, ჩვენი ცხოვრებიდან მიდიან. ამ დროს გვახსენდება პიპსიპილეს აღსაზრდელი, რომელიც:

„...მდელიომე მქდომი,

ერთი მეორის მიყოლებით წყვეტდა ყვაეილებს,

აღფრთოვანებით იგაცებდა მათ როგორც ნადავლს,

სიხარბით იყო შეპყრობილი ბაეშეური სული“¹².

ამგვარად, თითოეულ ჩვენგანს ადამიანის ცვალებადი ბუნების გამო, ახლა-ღჩასახული მეგობრობა უფრო იზიდავს და ადვილად ელევა ძველსა და საიმედოს.

მოდით დაეიწყოთ სულ თავიდან, როგორც იგყვიან, ოჯახური კერიდან, იმ ცნობილ ადამიანთა ცხოვრებებით, რომელთა უმტკიცესი მეგობრობაც ისტორიამ სამაგალითოდ შემოგვინახა. თეალი გავადვენოთ ძველი დროის ხანგრძლივ პერიოდს, როგორც მოწმესა და მრჩეველს. ეს იყო ეამი, როდესაც მეგობრობდნენ თესეუსი და პირითოოსი, აქილეუსი და პატროკლოსი, ორესტესი და პილადესი, ფინტიასი და დამონი, ეპამინონდასი და პელოპიდასი.

მეგობრობა თავისი ბუნებით ვინმესთან ერთად ყოფნას ნიშნავს. მაგრამ აქ არ იგულისხმება ჯოჯი თუ ჭკების გუნდი. მეგობარს „მეორე მედ“ მიიჩნევ და ამხანაგს (ἑταῖρος), ანუ მეორეს (ἑτερος) უწოდებ³. სიყვითა ეს მსგავსება ამტკიცებს, რომ მეგობრობას სწორედ რიცხვი ორი შეესაბამება. წერილი ფულით ვერ შეიძენ ვერც ბევრ მეგობარს და ვერც ბევრ მონას. მაშ, რომელია ის მონეტა, რომლითაც მეგობრობას იყიდის? ეს კეთილმოსურნეობა და მაღლია სიქველესთან ერთად, რომლებიც ამ ქვეყნად ყველაზე იშვიათია. ამიტომაც, რომ არ შეიძლება ბევრი ნაძღვლი მეგობარი გყავდეს. დიდი მდინარეებიც კი, რომლებიც მრავალ ნაკადად იტოტებიან, პირვანდელ სიძლიერეს კარგავენ. ასევეა მეგობრობაც. ჩვენს სულში თავიდან მძლავრად აღმოცენებული, მას შემდეგ, რაც მრავალს გავუზიარებთ, უფრო და უფრო კნინდება და ფერმერთაღდება. ცხოველებიც ასე არიან. ერთი შეილის მშობელი უფრო მეტ სიყვარულსა და მზრუნველობას იჩენენ მისდამი. ჰომეროსი მხოლოდმობილ, სიბერეში შეძენილ შვილს რომ იხსენიებს, ერთადერთ ნუგემსა და საყვარელს უწოდებს⁴.

3. ამით იმის თქმა კი არ გეინდა, რომ ერთადერთი მეგობარი უნდა გეყავდეს, სხვებთან ერთად იყოს ჩვენი „ნუგემიც“, შესაძლოა გვიან შეძენილი. ოღონდ მასთან ერთად ის ყბადაღებული ერთი ფუთი მარლი უნდა გექონდეს შეჭმული⁵. არ არის კარგი, როდესაც მეგობრებად იწოდებიან ადამიანები მას შემდეგ, რაც ერთად დალევენ, ბურთს ითამაშებენ, კამათელს გააგორებენ ან ღამეს ერთ ჭერქვეშ გააგარებენ. მეგობრებს სასტუმროებში, პალესტრასა და აგორაზე არ აგროვებენ. ვინც მდიდართა და მმართველთა სახლებში შეჯგუფებულ სტუმრებს, ხმაურიან მიღებებს, ხელის ჩამორთმევებსა და მაამებელთა გუნდს დაინახავს, ჩათელის, რომ მასპინძელი ძალიან ბედნიერია. თუმცა ალბათ იმასაც შეამჩნევს, რომ ამ უკანასკნელის სამზარეულო ბუმბით არის საცხე. არც ბუმბები სასუსნავის გამოლევისა და არც სტუმრები პირადი გამორჩენის შემდეგ ამ სახლში აღარ დარჩებიან. ჭეშმარიტი მეგობრობა სამ რამეს ანიჭებს უპირატესობას: სათნოებას, როგორც მშენიერს, სიახლოვეს, როგორც სასიამოვნოს და სარგებლობას, როგორც აუცილებელს. სანამ ვინმეს დაუახლოვდებით, უნდა ვიყოდეთ, რომ მასთან ყოფნა საამური იქნება და ეს ადამიანი ყოველთვის გამოგადგება გასაჭირში. ზემოთქმულიდან ვასკენით, რომ მრავალი მეგობრის ყოლა შეუძლებელია. უპირველეს ყოვლისა, ამას სადი ამრი გეკარნახობს. ძნელია, მოკლე ხანში შეკრიბო მრავალი ადამიანი, რომლებიც შეძლებენ ერთდროულად და ერთ პანგზე ეცეკვასა თუ სიმღერას, ნიბების თანაბრად მოსმას, სათანადოდ ჩვენი მამულის მეურვეობასა თუ ჩვენი შვილების აღზრდას, მაგრამ უფრო ძნელია, მოძებნო მრავალი მეგობარი, რომლებიც უანგაროდ დაგეხმარებიან ბელთან გადამწყვეტი შერკინების ეამს და რომელთაც თითოეული:

„წარმატებებსაც უყოყმანოდ გავიზიარებს
და განსაცდელშიც თავს გაწირავს დაუნანებლად“.

რადგან გემსაც კი არ დააგყდება ზღვაში ისეთი ძლიერი ქარტყხილი, არც სასახლებებს, სიმაგრეებს და ნავსადგურებს სჭირდებათ დაცვა გალავნებით, მიწაყრილებითა და ჯუბირებით ისეთი საშინელი განსაცდელისაგან, რომლის ეამსაც ადამიანს არ დაიფარავს და დაიხსნის მრავალგზის ნაკადი მეგობრობა. ზოგიერთი თავს ევახვევს მეგობრობას ისე, რომ საქმეში არა გეყავს გამოცდილი. ეს შემთხვევა იმ ყალბ მონეტას გვაგონებს, ჩუმაღ რომ შემოგვაპარეს:

„ვინც მოიშორებს მსგავს მეგობარს, მას უხარია,
ხოლო ვინც ვერა – ღმერთებს შესთხოვს, დაიხსნან იგი“⁶

ძნელია, თავიდან აიცილო უსიამო მეგობრობა. როგორც მანვ და უვარგისი საკვები დიდხანს არ გაჩერდება ადამიანის სხეულში ტკივილისა და ზიანის მიყენების გარეშე, არამედ უკან ამოვა სხვა სახით, როგორც საძაგელი და საზიზღარი მასა, ასევე არასაიმედო მეგობარი ან განუწყვეტელ ტკივილსა და უსიამოვნებას გაყენებთ, ან ეს მეგობრობა შულღისა და მტრობის თანხლებით ნალეულივით ამოინთხევა.

4. ამიგომ ადვილად ნუ დაუკავშირდებით და ნუ დაეიახლოებთ შემთხვევით გაცნობილ ადამიანებს, ნურც მათ დაუუმეგობრდებით, ვინც ძალით გვახვევს თავს მეგობრობას. პირიქით, ჩვენ თვითონ მოეძებნოთ ის, ვინც მეგობრობას იმსახურებს, ვინაიდან საუკეთესოს ადვილად ვერასოდეს მოვიპოვებთ. მართლაც, მეთისხილისა და ვაზის მისაღწევად, მაყვლისა და ასკილის ეკლიან ბურქებს უნდა გადაეახიჯოთ, რომლებიც გვებლაუჭებიან. ამგვარად, სასურველია სიახლოვე არა იმ ადამიანთან, რომელიც მზად არის მოგვეხვიოს, არამედ იმასთან, ვინც ჩვენი კეთილგანწყობის ღირსია და ვისაც ჩვენთვის სარგებლობა მოაქვს.

5. როდესაც ძვექსისის ბრალი დასდეს, დიდხანს ხაგავო, მან ასე მიუგო: დიახ, დიდხანს ვხაგავ, რათა ჩემმა ნახაგმა დიდხანს გაძლოსო. სწორედ ასეთი ხანგრძლივი განსჯა გვმართებს, სანამ ვინმეს დაუუმეგობრდებით, რათა ჩვენი მეგობრობა ხანგრძლივად გაგრძელდეს. დაუუმეთ, სიძნელისდა მიუხედავად, სწორად შევარჩიეთ მრავალი მეგობარი, მაინც ისმის კითხვა, შეუძლებთ კი მათთან სიახლოვის შენარჩუნებას, თუ ესეც შეუძლებელია? მეგობრობით ტკობა მეგობართან სიახლოვეშია, მასთან ყოფნა და მთელი დღეების ერთად გაგარება ყველაზე დიდი სიამოვნებაა:

„ვით სიცოცხლეში მეგობრები გვერდიგვერდ მსხდომნი ამხანაგთაგან მოშორებით ვერ ვითათბირებთ“?

ასეთი სიგყებით იხსენიებს მენელაოსი ოდისეეს:

„... სხვა კიდეე აბა რა გათიშავდა ჩვენს სიყვარულსა და ნეტარებას, სანამ სიკვდილმა შავი ღრუბლით არ დაგვაბნელა“

ის კი, რასაც ჩვეულებრივ მეგობართა სიმრავლეს ეძახიან, საპირისპირო შედეგს გვიჩვენებს. რადგან მეგობრობა იმიდაეს, აერთიანებს, აკავშირებს ურთიერთისადმი კეთილადგანწყობილ ადამიანებს, „სწორედ ისე, ვით თეთრ რძეს, ლელვის წვენი შეადელებს და შეკრავს“, როგორც გვეუბნება ემპედოკლესი, რადგან მეგობრობა სწორედ ასეთი ერთიანობისა და სიახლოვის დამყარებას მოითხოვს, ხოლო მეგობართა სიმრავლე განყოფს, განაშორებს და განარიდებს; მეგობრების ხშირად ცულა ადამიანებს საშუალებას არ აძლევს მტკიცედ დაუკავშირდნენ ერთმანეთს და ასეთი მიშეებული და არამდგრადი ურთიერთობის პირობებში მათ შორის სიახლოვე ქრება.

ეს კი მაშინვე უკმაყოფილებასა და არეუ-ღარეუვს გამოიწვევს; მრავალთა შორის განაწილებული მეგობრობა ურთიერთსარგებლობის თვალსაზრისით თავის მნიშვნელობას კარგავს, რადგან:

„განსხვავებული კაცთ საზრუნავი, მათ განსხვავებულ ქმედებას აღძრავს“.

ეს ბუნებრივია, რადგან არც ერთი და იგივე მისწრაფებები გვიმიდაეს და არც ერთსა და იმავე ხვედრს გვარგუნებს განგება. ცხოვრებისეული მოვლენები, როგორც ქარები, ზოგს წინ მიაქანებენ, ხოლო ზოგს კი დაბრკოლებად აღემართებიან.

6. მეგობრებს ერთდროულად ერთი და იგივე ინტერესებიც რომ ჰქონდეთ, მაინც ძნელი იქნებოდა ყველას დახმარება. ეს ეხება მათთან თათბირს, მათ პოლიტიკურ

ცხოვრებას. პატივმოყვარულ მისწრაფებებსა თუ სტუმართმოყვარეობის გამოჩენა-გამიარებას. იქნებ სხვადასხვაგვარმა მოღვაწეობამ მოუწია ერთდროულად ყველას ან იქნებ სხვადასხვაგვარი თაყვანისაყვალის შეემთხვათ? შეიძლება ერთად მოგვიხმოს ყველამ – ზოგი საზღვაო მოგზაუროში გაყოლას გვთხოვს უცხო მხარეში, ზოგი ბრალდებულია და სასამართლოში მის დამცველად გასვლას გვეაჯება, ზოგი აქეთ აღანაშაულებს სხვას და ამაში მხარდაჭერას საჭიროებს, ზოგს ყიდვა-გაყიდვის საქმეში რჩევების მიცემა სურს. ის ვინც ქორწილს იხდის, მსხვერპლმეწიერებაში მონაწილეობის მიღებას გვთხოვს, ხოლო ვინც მიცვალებულს მარხავს – გლოვის დროს მხარში ამოდგომას.

„დამწვარ საკმეელის სურნელებით სავსე ქალაქი, იმავედროულად პეანებით და კენესით სავსე“¹⁰.

აი, ასეთია მრავალთან მეგობრობა. ყველასთან ყოფნა შეუძლებელია, ხოლო არავისთან – გაუგებარი. ერთის სამსახურის გაწვევით დანარჩენებს გულს ატკენ. „რადგან ხელს ვერ ჰკრავ, ვისაც უყვარხარ“¹¹.

უფრო თაყვანისმცემი მეგობრებმა შეიძლება გააპატიონ უგულვებელყოფა, გულგრილობა და წყრომის გარეშე მიიღონ ასეთი მობოდიშებები: „სრულიად გადამაყვიწყდა“, „არ ვიციოდი“, მაგრამ ისინი არასოდეს გააპატიებენ, თუ ეტყვი: „მე არ გამოცხადდი მენს სასამართლოზე, რადგან გვერდში ვედექი მეორე მეგობარს“, ანდა „ვერ გნახე სიციხიანი, რადგან სხვას ვეხმარებოდი სტუმრების მიღებაში“. მათი უგულვებელყოფა და სხვა პირებისადმი გამოჩენილი მრუნვა განსაკუთრებით მტკივნეულია. უმრავლესობას მრავალი მეგობრის ყოლისას პირადი გამორჩენა ამოძრავებს და, თავის მხრივ, სრულიად არ აინტერესებს, რას გააკეთებს თვითონ სხვებისთვის. მათ არ ახსოვთ, რომ ვინც ბევრისაგან არის დაეალებული, თვითონაც ბევრისათვის მართებს სამსახურის გაწვევა. სწორედ ისევე, როგორც ბრძიარევის ასი ხელით კეებას ორმოცდაათ კუკს და შესაბამისად არანაირი უპირატესობა არა აქვს ჩვენთან შედარებით, რომლებიც ორი ხელით ერთ კუკს ვიკმაყოფილებთ. მრავალი მეგობრით რომ ისარგებლო, საჭიროა, იმდენივეს გაუწიო სამსახური. მათი მღელვარებისა და საფრთხის გამიარებით და მათთან ერთად საქმეში ჩაბმითა თუ თანადგომით, რადგან ვერ დავეთანხმებით ევრიპიდეს, რომელიც ამბობს:

„რომ ზომიერი სიახლოვე მართებთ მოკვდავებს, სულის სიღრმეებს ნუ გახსნიან ისინი სხვისთვის, არც შეიბოჭონ მეგობრობის მტკიცე ღვედებით, რათა მოუშვან და მოჭიმონ სურვილისამებრ“¹²

ისევე როგორც ჩვენ შეგვიძლია ვმართოთ გემი აფრების ბაგირის მოჭიმვითა თუ შესუსტებით, რათა მას სასურველი მიმართულება მიეცეთ. მაგრამ, ო, ევრიპიდე, სჯობს შენი რჩევა მგრობას მიუვსადაგოთ და მოშულდართ უთანხმოების ყაშს „ზომიერება“ მოუწოდოთ. „ნუ გახსნიან ისინი სულის სიღრმეებს“ მგროს წინააღმდეგ, რათა აღვიღად დაივიწყონ სიძულელი, რისხვა, უკმაყოფილება და ეჭვი. ჩვენზე მეტად კი პითაგორას სენტენციას ენდეთ: „ბევრს ნუ ჩამოართმევ ხელს“, რაც ნიშნავს, ნუ გაიჩენ ბევრ მეგობარს და ნუ უცდები, ყველას კეთილგანწყობა მოიპოვო. თვით ერთ აღამიანთან ურთიერთობასაც კი მოერიდე იმ შემთხვევაში, თუ მასთან ერთად შფოთში ყოფნა, ჭირის დათმენა, თანადგომა შრომაში თუ საფრთხის გამიარება განჯევის მოგაყენებს, რაც სრულიად აუტანელია თვით ყველაზე უფრო გულწრფელი და დიდსულოვანი აღამიანისთვის.

7. ჭეშმარიტია ბრძენი ქილონის სიტყვები, მიმართული იმ კაცისადმი, რომელიც მგრობის არყოლით გრძობადა. „საესებით შესაძლებელია, – უთხრა მან, – მენ

მეგობრებიც არ გყავდეს, რადგან მგრობა თან დაჰყვება მეგობრობას და მასთან მჭიდროდაა დაკავშირებული. ამის გამო, შეუძლებელია ადამიანმა არ გაიზიაროს მისი მეგობრისადმი მიმართული სიძულვილი, რისხვა და სირცხვილი. მტრები უნდობლად უყურებენ თავისი არაკეთილმოსურნეების მეგობრებსაც. რაც შეეხება სხვა მეგობრებს, ისინი, ხშირად განმსჭვალულნი შურიტა და ეჭვით, ცდილობენ უთანხმოება ჩამოავდონ მათ შორის.

გიმესიასს უწინასწარმეტყველეს:

„ძალიან მალე ეგ სკა ფუტკართა
გადაიქცევა კრაზანის ბუდედ“¹³.

ამგვარად, მეგობრების მაძიებელნი შენიღბულ მგერთა შორის, კრაზანის ბუდეში აღმოჩნდებიან.

ვარდა ამისა, მტრის გულისწყრომასა და მეგობრის მადლიერებას სხედასხვა წონა აქვს. შეხედეთ, რა არგუნა ალექსანდრემ ფილოტასისა და პარმენიონის მეგობრებსა და ოჯახის წევრებს, დიონისიოსმა – დიონს, ნერონმა – პლავტუსს და გიბერიუსმა – სეიანუსს. ეს უკანასკნელნი აწამეს და სიცოცხლეს გამოასალმეს. არც კრეონს მოუგანა სიკეთე მისი ასულის ოქროს გვირგვინმა და კაბამ. როდესაც მოეხვია და შეეცადა ცეცხლმოდებული შვილის გადარჩენას, მასთან ერთად დაიწვა¹⁴. ასე რომ, მრავალნი, ვისაც არასოდეს უსარგებლია მეგობრის კეთილდღეობით, განსაცდელის ეამს ხშირად ილუპებიან მათთან ერთად. ეს განსაკუთრებით ახასიათებთ მწიგნობრებსა და დახეწილი სულის ადამიანებს, როგორც, მაგალითად, თესვენსა გაინაწილა პირითოოსის სასჯელი და პაგიმრობა, რომელმაც

„ქედზე სპილენძის ბორკილები როდი დაიღო,
მას ხომ ღირსების ბორკილები არგუნა ბედმა“¹⁵.

თუკიდიდესი ამბობს, რომ ისინი, ვისაც განსაკუთრებით მოქონდათ თავი სიქველთ, ჭირიანობის დროს ავადმყოფ მეგობრებთან ერთად იხოცებოდნენ, რადგან არ მოგავდნენ თავს და არ ერიდებოდნენ დაავადებულ ახლობლებთან ურთიერთობას.

8. სიქველის გამო თავის ამგვარი განწირვა არ არის მართებული, არც ის შეიძლება, რომ ჩვენი საუკეთესო გრძნობები შემთხვევით შეხვედრილ ადამიანებს გაუზიაროთ. მყარად და ძლიერად მხოლოდ იმას უნდა დაუკავშირდეთ, ვინც ასეთივე ურთიერთობით გვიპასუხებს. მრავალი მეგობრის ყოლას ადამიანთა შორის არსებული განსხვავებებიც აბრკოლებს. პირუტყვებიც კი ერიდებიან სხვა ჯიშის არსებებს და როდესაც მათ დაწყვილებას აიძულებენ, უკმაყოფილოები ერთმანეთისაგან უკუიქცევიან, ხოლო თავის მსგავსებს ისინი სიამოვნებით უზიარებენ გრძნობებსა და კეთილმოსურნედ ხვდებიან. მაშ, როგორ იმეგობრებენ ისინი, ვინც ჩვეულებებით, მისწრაფებებითა და მიდრეკილებებით სრულიად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან? ღირასა და ქნარზე დაკერისას პარმონია მიღწეულია მათი განსხვავებული ხმიანობის ხარჯზე, როდესაც მაღალი და დაბალი ტემბრი ერთმანეთს ავსებს, ხოლო მეგობრული თანხმობისა და პარმონიის ნაწილებს, პირიქით, ერთმანეთის მსგავსება, ერთგვაროვნება და თანასწორობა შეეფერებათ. ისინი ერთმანეთს უნდა ჰგავდნენ, რომ წარმოიშვას თანხმობა, ერთსულოვნება და აზრთა თანხედობა, რაც ერთ სულს გულისხმობს სხედასხვა სხეულში.

9. განა ბევრს, დაუღალავად ცვალებადსა და მოქნილს, ძალუქს მრავალს დაემსგავსოს ან მოერგოს და არ დასცინოს თეოგნისს, რომელიც გვიჩვენებს:

„მრავალფერიან მელანთევზას გქონდეს გონება,
კლდის სიახლოვეს კლდის ფერს იღებს მაშინვე იგი“.

მაგრამ მელანთევზას ეს ცვალებადობა მხოლოდ ზედაპირულია და გამოწვეულია მისი კანის გამკვრივებითა თუ მასზე ფორების გაჩენით, რომელიც ახლომდებარე საგნების ვაჟლენას ვანიცდის, მაშინ, როდესაც ადამიანთა ურთიერთობებში საერთოა ჩვეულებები. მისწრაფებები, სიგყვები, ცხოვრების წესი და ხასიათი. საერთოდ, სახის შეცვლა მხოლოდ პროტეკუს შეეძლო, რომელიც არც მაინცადამაინც იღბლიანი იყო და არც ზედმიწევნით პატიოსანი. იგი ხშირად ერთ წუთში ჯადოსნობის საშუალებით ახერხებდა სახის შეცვლას: ფილოლოგოსებთან ერთად კითხულობდა, მოჭიდავეებთან ერთად მტვერში ვორავდა, მონადირეებთან ერთად ნადირობდა, ლოთებთან ერთად სუამდა, პოლიტიკოსებთან ერთად ეძიებდა თანამდებობას და საკუთარი კერაც არ გააჩნდა. ნატურფილოსოფოსების აზრით, უფორმო, უფერო სუბსტანცია და მაგერია ყველაფრის საფუძველი და ბაზისია, რომელიც თავისით მიმოიქცევა – ხან ააღდება, ხან ვათხევადდება, ხან აორთქლდება, ხან კიდევ გამყარდება. ასეთივე მდგომარეობაში აღმოჩნდება ის, ვისაც მრავალი მეგობარი ჰყავს. მისი სული განწირულია განჯეის, გაჭირვების, მოთმინებისა და ცვალებადობისათვის, მაშინ, როდესაც მეგობრობა მოითხოვს მშვიდ, მღვრად და უცვლელ ხასიათს. ამიგომაცაა იშვიათი და ძნელადსაპოვნელი ერთგული მეგობარი.

შენიშვნები

- ¹ პლატონი, „მენონი“, 71 E
- ² ნაწყვეტი ეერიპიდეს „ჰიპსიპილედან“.
- ³ სიგყვათა თამაში (პარონომასია).
- ⁴ „ილიადა“, IX, 482; „ოდისეა“, 16, 19.
- ⁵ ციყერონი, „მეგობრობის შესახებ“, IX.
- ⁶ სოფოკლე, ფრაგმენტი 741.
- ⁷ პომპროსი, „ილიადა“, XXIII, 77, 78.
- ⁸ პომპროსი, „ოდისეა“, IV, 178-180.
- ⁹ „ილიადა“, V, 902; პომპროსის სიგყვების პარაფრაზი წარმოდგენილია ემპედოკლესის ფრაგმენტოდან.
- ¹⁰ სოფოკლე, „ოიდიპოს მეფე“, 4, 5.
- ¹¹ გენანდროსი, სტრიქონი წარმოდგენილია პლუტარქოსის თხზულებიდან „ძმური სიყვარული“ §20.
- ¹² ეერიპიდე, „ჰიპოლიტოსი“, 253-257.
- ¹³ პლუტარქოსი, გიმენიასის ისტორია მოთხრობილი სხვა მორალიაში.
- ¹⁴ იხ. ეერიპიდე, „მელეა“.
- ¹⁵ თესვენისა და პირითროსის შესახებ იხ. პაესანიასი, I. 17; X. 29. სტრიქონები წარმოდგენილია ეერიპიდეს „პირითროსიდან“.

თარგმნა ვიორგი ქაჯაია

ლუკიანოსი

(ახ. წ. 120 წ. – 192 წ.)

ლუკიანოსი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა იმ პერიოდში, როდესაც ანტიკური საზოგადოება თავისი სიდიადის უკანასკნელ ღლებს ითვლიდა. ფილოსოფიური ამრის გედაპირულობა, ცრურწმენათა მომძლავრება, სოფისტიკის აღორძინება და მის წინააღმდეგ განწყობილი ვულგარულ-ფილოსოფიური ოპოზიციის აღმოცენება, კედანტური არქაულობა და ლიტერატურის უმინაარსობა – ასეთი იყო ის შემოქმედებითი ეპოქა, რომელიც თავისი დაკნინების წინახანს მრავალმხრივ აისახა ბერძენი მწერლის შემოქმედებაში (თუმცა თავად კი ამაყობდა სირიული წარმომავლობით).

ლუკიანოსმა რომაული იმპერიის მრავალი ქალაქი მოინახულა, რამდენიმე პროფესია გამოიცვალა (აღრეულ ასაკში ქანდაკების ხელოვნებას ეუფლებოდა, შემდეგ რიტორიკამ გაიტაცა და იურისპრუდენციაში დაოსტატებულმა ადვოკატად დაიწყო მუშაობა, წარუმატებლობის გამო მოხეტიალე ორაგორის საქმეს მიჰყო ხელი, ბოლოს ფილოსოფიით დაინტერესდა და თავის მშობლიურ ქალაქ სამოსატას სოფისტიკაში გაწაფული დაუბრუნდა). თუმცა, როგორც მისივე ნაწერებიდან ირკვევა, მწერალს ყველაზე მეტად მოხეტიალე ორაგორის საქმიანობა იზიდავდა.

ლუკიანოსის სახელით ჩვენამდე 80-მა ქმნილებამ მოაღწია (რომელთაგან მკვლევარები ყველას არ მიიჩნევენ მისი შემოქმედების ნიმუშად). მათი კითხვისას ნათელი ხდება, თუ რაოდენ ღრმად იცნობდა მწერალი კულტურას, ისტორიას, ფილოსოფიას, ეთიკას, რელიგიასა და ლიტერატურას. ცოცხალი, სასაუბრო ენით დაწერილ საგირულ დიალოგებში ლუკიანოსი განაქიქებდა თავისი დროის მანკიერებებს. თავად ორაგორს გაეცნობიერებული ჰქონდა რიტორიკის უმაქნისობა და მოელი ძალით მასხრად იგდებდა მჭევრმეტყველებსა და ფილოსოფოსებს დოგმატური ამროვნებისთვის, ამაო მსჯელობებისთვის, რეალური ცხოვრებისაგან განდგომისთვის. ლუკიანოსი არ ინდობდა რელიგიასაც (მათ შორის ქრისტიანულსაც, რის გამოც მას უსურველდნენ მარადიულ ცეცხლში დაფრუფულას თავად საგანასთან ერთად), დასცინოდა ცრუმორწმუნეებს, ჯადოქრებსა და მისტიკოსებს. მას დიდებულად ეხერხებოდა მითებისა და პოპულარული რომანების პაროდირება.

ლუკიანოსის სატირა გამოირჩევა სიმახვილითა და დახვეწილობით და არა სიღრმითა და სიმწვავეთ. ნათელი და იოლად აღსაქმელი სატირული სიუჟეტი, ლიტერატურული ჩანაფიქრის სიცხადე, გადმოცემის მრავალფეროვნება და სიმსუბუქე, მახვილგონიერი ირონია, ცოცხალი, სახალისო თხრობა, სახეთა სიმდიდრე და წარმოსახვითი ხელოვნების მაღალოსტატობა – ლუკიანოსის ქმნილებათა უღაო ღირსებებია. მისმა სატირებმა დიდი გავლენა იქონიეს მომდევნო დროთა ლიტერატურულ პროცესებზე. შუა საუკუნეებში. მიუხედავად იმისა, რომ „ღვთისმგმობლად“ თვლიდნენ, მწერალს მრავალი მიმბაძველი გამოუჩნდა. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ბიზანტიელი სატირიკოსის, თეოდორე პროდრომოსის თხზულება სახელწოდებით „ჰოეტა და პოლიტიკოსთა სიყოცხლეების გასაღება“, რომელიც ლუკიანოსის ცნობილი დიალოგის „სიყოცხლეთა გასაღების“ მიხედვით იყო შექმნილი. XV საუკუნიდან მოყოლებული ლუკიანოსი ჯერ ჰუმანისტთა, შემდეგ კი აღორძინების ეპოქის შემოქმედთა საყვარელ მწერლად იქცა. დიდი ინტერესით კითხულობენ მის ქმნილებებს თანამედროვე საზოგადოებშიც.

პერეგრინოსის სიკვდილი

ლუკიანე კეთილდღეობას უსურვებს კრონიოსს

1. საბრალო პერეგრინოსს ანუ პროტევსს (თვითონ ეს სახელი უფრო მოსწონდა), ისეთივე ხვედრი ერგო, როგორც ჰომეროსის პროტევსს: სახელის მოსახვეჭად მას შეუძლო ყოველნაირი სახე მიეღო, ათასგვარად იცვლიდა იერს და ბოლოს ცეცხლადაც კი გარდაისახა, იმდენად ესწრაფოდა სახელსა და დიდებას. და აი, ახლა ეს ღირსეული ადამიანი ნახშირადაა ქცეული, ემპედოკლესავე. ოღონდ ემპედოკლე, კრატერში რომ ვარდებოდა, ცდილობდა, უცხო თვალს მორიდებოდა; ეს კი, ეს კეთილშობილი კაცი, დაელოდა ელინთა ყველაზე უფრო ხალხმრავალ გვიმს, უმეულელები კოცონი გააჩადა და უთვალავი მოწმის თანდასწრებით გადაეშვა ცეცხლში; ხოლო ამ თავგანწირულ საქციელამდე რამდენიმე დღით ადრე ამის თაობაზე სიგყვითაც კი მიმართა ელინებს.

2. ასე მგონია, ვხედავ, როგორ იყინი ბერიკაცის ამ სიბრიყვეზე და მესმის შენი ჩვეული შეძახილი: ო, უგუნურება! ო, პატივმოყვარეობავე! და მისთანანი, რასაც ვამბობთ ხოლმე ჩვეულებრივ ამგვარ შემთხვევებში. მაგრამ შენ შორსა ხარ და საურთხეც ნაკლები გეშეუქრება. მე კი ეგ ადრეც მითქვამს, მრავალი მსმენელის თანდასწრებით და არც იმ კოცონთან გავჩუმებულვარ. ზოგიერთი, ვისაც მოხუცის უგუნურება ალაფრთოვანებდა, გამიწყრა; იყენენ ისეთებიც, ვინც თვითონაც დასცილნოდა მას; კინიკოსებმა კი კინაღამ ნაკუწებად მაქციეს, როგორც აქტეონი ძაღლებმა ანდა მისი ბიძაშვილი – პენტეესი – მენადებმა.

3. ეს ღრამა კი ამგვარად მზადდებოდა. ხომ იცი, რა პოეტი იყო პერეგრინოსი და როგორ ტრაგედებს წარმოადგენდა მთელი ცხოვრება – სოფოკლეს დაჩრდილა და ესქილეს. სულ ახალი ჩასული ვიყავი ელიდაში, როცა მათი გიმნასიონის მახლობლად მოვესმინე ერთ ხმაჩახლეჩილ და მჭექარე კინიკოსს (ეს ხომ ჩვეულებრივი ამბავია), რომელიც გაჰყვიროდა ყოვლად გაცვეთილ სიგყვებს სიქველემზე, თათხავდა უკლებლივ ყველას და ბოლოს პროტევსსაც შეეხო. შევეცდები, გაეხსენო და ვიამბო, როგორ ილაპარაკა. ისე კი, არც შენ გავიჭირდება მიხვედრა, შენც ხომ ხშირად დასწრებიხარ მის გამოსვლებს.

4. მან თქვა: “ნუთუ გაბედავს ვინმე, პატივმოყვარე უწოდოს პროტევსს? ო, დედამიწავ, ო, მდინარეებო, ზღვაო და მშობელო პერაკლევ! ეს ხომ ის პროტევსია, რომელსაც თავის ღრამე სირიაში ბორკილები გაუყარეს, რომელმაც სამშობლოს 5 000 ტალანტი აჩუქა, რომელიც რომაელთა ქალაქიდან გამოაძევეს, რომელიც მშებე უფრო თაყვანსაყვამია და რომელსაც თვით ოლიმპიელთან შერკინებაც კი არ გაუჭირდება. ახლა კი ეს კაცი მოგ-მოგიერთებმა პატივმოყვარედ გამოაცხადეს მხოლოდ იმისთვის, რომ მან გადაწყვიტა ცეცხლში დაასრულოს სიცოცხლე. მაგრამ განა პერაკლევ ამგვარად არ მოიქცა? ასკლეპიოსიც და დიონისეც ელვით არ აღესრულენ? და ბოლოს, განა ემპედოკლე კრატერში არ გადაეშვა?”

5. როცა ეს თქვა თეაგენებმა (ასე ერქვა იმ მყვირალა კაცს), ჩემს გვერდით ვიდაცას ჩავეკითხე – რას გულისხმობს ცეცხლში, ანდა პერაკლევს და ემპედოკლეს რა ესაქმებათ-მეთქი პროტევსთან? მან მომიგო: მალე პროტევსი თავს დაიწვავს ოლიმპიაშიო. როგორ-მეთქი, რისი გულისთვის? მან დააპირა ეპასუხა, მაგრამ კინიკოსმა ისე დაჰყვირა, რომ შეუძლებელი იყო რაიმეს გაგონება. მაშინ ისევ მის ყბელობას მიუვღე ყური. გასაოცარი ამბები გვაუწყა პროტევსზე. არც სინოპელი ფილოსოფოსი ცნო მასთან შედარების ღირსად, არც მისი მასწავლებელი – ანგისტენე, არც თვით სოკრატე და თავად ზეუსი გამოიწვია საასპარემოდ. თუმცა შემდეგ დაასკენა, რომ მათი ძაღლები თანაბარი იყო და თავისი სიგყვა ასე დაასრულა:

6. კაცობრიობას ორი გამორჩეული ქმნილება უხილავს – ოლიმპიელი ზეუსი და პროტევსი, ხოლო მოქანდაკენი და შემოქმედნი იყენენ: ერთისა – ფიდაისი, მეორესი

- ბუნება. ახლა კი ეს დიდებული ქანდაკება შორდება ადამიანებს, აღის ღმერთებთან, ცეცხლით ამალღებული და ჩვენ ობლად ვგვოვებსო. ამას ამბობდა დიდი ოფ-ლის-ღვრით, ფრიად სასაცილოდ იყრემლებოდა და თმებს იგლეჯდა, თუმცა ფრთხილობდა, რომ მეტისმეტი არ მოსელოდა. და ბოლოს, აზღუქუნებული ვიდაც კინიკოსებმა წაიყვანეს ფერებ-ფერებით.

7. ამის შემდეგ, მაშინვე, სანამ ხალხი დაიმლებოდა, სხვამ აიღო სიგყვა და თავისი წინამორბედის მიერ ავიზგომებულ მსხვერპლს თვითონაც დაუმატა შესაწირავი. თავიდან ბევრი იყინა და ჩანდა, რომ ძალიან გულიანადაც იყინოდა. შემდეგ კი დაიწყო, დაახლოებით ასე: რადგან წყეულმა თეაგენესმა თავისი სამარცხვინო სიგყვა პერაკლიტეს ცრემლებით დაასრულა, მე ღემოკრიტეს სიცილით დავიწყებო და ისე ახარხარდა, რომ ბევრი ჩვენგანიც აიყოლია.

8. შემდეგ კი, რომ დაშოშმინდა, თქვა: „ხალხო, მამ სხეაგვარად როგორ უნდა მოიქცე, როცა ასეთ სასაცილო სიგყვებს მოისმენ და როცა დაინახავ, რომ ყოველად უბადრუკი სახელის გულისათვის ბერიკაცი ღამისაა ყირაზე გადავიდეს ყველას თვალწინ. მე მომისმინეთ, თუ გსურთ გაიგოთ, როგორია ეს ქანდაკება, რომელსაც ცეცხლში დაწვა ელის. მე თავიდანვე ვუკვირდებოდი მის სულს და თვალყურს ვადევნებდი მის ცხოვრებას. ზოგი რამ კი მის თანამოქალაქეებს გამოეკითხე და იმათ, ვისაც შუსტად უნდა სცოდნოდა მისი ამბავი.“

9. ეს ბუნების ნაბერწი ქმნილება, ეს პოლიკლეტოსის ნიმუში ყმაწვილკაცობაშივე მრუმობისას გამოიჭირეს არმენიაში, მრავალი დარტყმაც აგემეს და ბოლოს სახურავებზე ხტუნვა-ხტუნვით გამოიქცა, უკან ბოლოკვარჯობილი. შემდეგ ერთი მშვენიერი ყმაწვილი აუღუნა და ბიჭის ღარიბ მშობლებს სამი ათასი გადაუხადა თავის დასახსნელად, ამიის მმართეელისთვის რომ არ გადაეცათ.

10. მაგრამ ამაზე და ამის მსგავს ამბებზე სიგყვას აღარ გავაგრძელებ, რადგან მაშინ ჯერ კიდევ დაუმუშავებელი თიხა იყო და არ იყო ჩამოყალიბებული სრულყოფილ ქანდაკებად. ხოლო მაშამის რაც გაუკეთა, კი ღირს მოსმენად, რადგან ეერ აიგანა, მამა რომ დაბერდა და სამოც წელს გადაშორდა. როცა ეს ამბავი გახმაურდა, თვითონვე დაისაჯა თავი გაქცევით და მთელი ქვეყანა მოიარა კიდით კიდემდე.

11. სწორედ მაშინ გაეცნო ქრისტიანთა ვასაოყარ სიბრძნეს, მას შემდეგ, რაც პალესტინაში მათ ქურუმებსა და მწიგნობრებს დაუახლოვდა. და მერე რა? სულ მალე ისინი ამის გვერდით ბალღებს დაემგვანენ, ეს კი წინასწარმეტყველიც ვახდა, თიასარქესიც, წინამძღოლიც და ყველაფერს თვითონ განაგებდა. წიგნებს მოგს გან-მარტავდა და ხსნიდა, ბევრიც თავად დაწერა, ხოლო იმათ პერეგრინოსი ღმერთად დაისახეს, კანონმდებლად მიიჩნიეს და თავიანთ მფარველად აღიარეს. ისინი ხომ ჯერ კიდევ თავყვანს სცემენ იმ დიდ ადამიანს, რომელიც პალესტინაში აცეცს ჯვარს ამ ახალი მისტერიის დაწესებისათვის.

12. მაშინ პროტევსს ბრალდებდად ქრისტიანებთან კავშირი წაუყენეს და საპყრობილეში ჩააგდეს. მას ამ ამბავმაც სახელი შემატა შემდგომ და კიდევ უფრო გაუღვივა სიყრუისა და პატივმოყვარეობის სიყვარული, რაც არც მანამდე აკლდა. ქრისტიანებმა კი პროტევსის დატუსაღება დიდ უბედურებად მიიჩნიეს და ყოველ ღონეს ხმარობდნენ მის დასახსნელად. მაგრამ რაკი ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, მისი მოვლა-პატრონობა იგვირთეს და დიდ გულმოდგინებასაც იჩენდნენ ამაში. ალიონზევე დაინახავდი საპყრობილესთან შეჯგუფულ დედაბრებს, ქვრივებსა და ობლებს. მათმა თავკაცებმა კი შედამხედველები მოისყიდეს და მასთან ერთად ეძინათ სატუსალოში. ნაირ-ნაირი კერძებიც მოჰქონდათ, კითხულობდნენ მის წმიდა წიგნებს და ღირსეული პერეგრინოსი (მაშინ ჯერ კიდევ ასე იწოდებოდა) მათ ახალ სოკრატედ აღიარეს.

13. ამიის ქალაქებიდანაც მოვიდნენ იქაური სამოგადოების მიერ გამოგზავნილი ქრისტიანები ამ კაცის მხარდასაჭერად, გასამხნეველად და დასახმარებლად. ისინი ხომ ვასაოყარ სისწრაფეს იჩენენ ხოლმე, როცა რამე საერთო საქმეა მოსაგვარე-

ბელი. მოკლედ რომ ვთქვა, არაფერს იმურობენ. ისე რომ, პერეგრინოსი საპყრობილეს უნდა უმაღლოდეს, ბლომად ფული რომ იმოვა და გვარიანი შემოსავალი გაუჩნდა. რაკი იმ უბედურებმა დაიჯერეს, რომ უკვდავნი არიან და მარადიული სიციცხლე ელით, სიკვდილს აღარად ავღებენ და ბევრი მათგანი უშფოთველად ნებდებოდა მას. შემდეგ მათმა პირველმა კანონმდებელმა დაარწმუნა ისინი, რომ ყველანი ერთ-მანეთის ძმები გახდებიან, როცა ძველ გზას დათმობენ, ელნითა ღმერთებს უარყოფენ, იმ ჯვარცმულ სოფისგს აღიარებენ და მისი კანონების მიხედვით იცხოვრებენ. ამიგომ ერთნაირად გულგრილნი არიან ყველაფრის მიმართ, მიაჩნიათ, რომ ყველაფერი საერთო აქვთ და ეს სჯერათ ყოველგვარი სარწმუნო საბუთის გარეშე. ისე რომ, თუკი მათ დაუახლოვდება ვინმე გაქნილი და ხერხიანი კაცი, ვისაც გარემოებათა გამოყენების უნარი შესწევს, სულ მალე გამდიდრდება და თან იმ ყვეყჩებს მასხრადაც აივღებს.

14. ამასობაში პერეგრინოსი გაათავისუფლა სირიის მამინდელმა მმართველმა, ფილოსოფიის მოყვარულმა კაცმა, რომელსაც არ გამოეპარა მისი სიბრძივე და რაკი მიხედა, რომ იგი სიკვდილსაც კი არ შეეუებოდა, ოღონდ ამით სახელი დაეგოვებინა, გაუშვა, ისე რომ დასჯის ღირსადაც კი არ ჩათვალა. სამშობლოში რომ დაბრუნდა, აღმოჩნდა, რომ იქ ჯერ კიდევ არ მივიწყებოდათ მის მიერ საკუთარი მამის მოკვლის ამბავი და ბევრი უპირებდა ბრალდების წაყენებას. მის არყოფნაში მისი ქონების უდიდესი ნაწილი დაეგაცუებინათ და მხოლოდ სახნავე მიწებიღა იყო დარჩენილი, დაახლოებით თხუთმეტი გალანგის ღირებულებისა. მთელი ის ავლადიდება, რაც მოხუცმა დაგოვა, ოცდაათი გალანგი თუ ეღირებოდა, ყბადაღებული თეაგენესი ირწმუნება – ხუთი ათასი გალანგისა იყო. ამ ფასად ხომ პარიონელთა მთელი ქალაქიც არ შეფასდებოდა, ხუთ მეზობელ ქალაქთან ერთად რომ გაყიდულიყო თავის მოსახლეებ-ჯოგებიანად და მთელი დანარჩენი ქონებითურთ.

15. ასე და ამრიგად, პერეგრინოსის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებანი ჯერ კიდევ ყველას პირზე ეკერა და ეგყობოდა, რომ მალე პირდაპირ შეგვეაზე გადავიდოდნენ. განსაკუთრებით უბრალო ხალხი იყო აღშფოთებული და ყველა მისტიროდა კეთილ მოხუცს (ვინც იცნობდა, ასე ამბობდა), რომელსაც ესოდენ უღირსი სიკვდილი ერგო. ახლა ნახეთ, რა მოიფიქრა ბრძენმა პროტეესმა და როგორ აიცილა თავიდან ხიფათი. მივიდა პარიონელთა ერთ-ერთ თავყრილობაზე, ამ დროს უკვე თმა ჰქონდა მოშეებული, ჭუჭყიან მოსასხამში იყო გახვეული, მსარზე აბგა ეკიდა, ხელთ ჯოხი ეყრა და ფრიად ტრაგიკული იერი ჰქონდა. ამგვარად წარსდგა მათ წინამე და განაცხადა, რომ უარს ამბობდა განსვენებული მამის დანატოვარ ქონებაზე და ყველაფერს საზოგადო კუთვნილებაში გადასცემდა. ეს რომ გაიგონა ხალხმა, დარიბმა ადამიანებმა, რომლებიც პირდაღებულნი ელიან, როდის რა ჩაუვარდებათ ხელში, იმწამსვე შეჰყვირეს: ერთმა – ფილოსოფოსო, მეორემ – სამშობლოს ერთგულ შვილო, მესამემ კიდევ – კრატისის მემკვიდრეო, ხოლო მტრები დადუმდნენ. ვინმეს რომე გაუბედა და ის მკვლელობა ეხსენებინა, მამინვე ქეებით ჩაქოლავდნენ.

16. ამის შემდეგ კვლავ გაემგზავრა სახეგიალოდ. ქრისტიანთა წყალობით სახსრები არ აკლდა, გზამიაც ისინი იცაუდნენ, ისე რომ, სრულ განცხრობაში იყო. ერთხანს ასე ირჩენდა თავს. შემდეგ კი მათი რომელიღაც კანონი დაარღვია (მე მგონია, რომ ვიღაცამ დაინახა, რომ მათთვის აკრძალული კერძი შეჭამა) და უკვე აღარც იმათ მიიკარეს. გაჭირებაში ჩაეარდნილმა გადაწყვიტა კვლავ ხელში ჩაეგდო ქალაქისათვის გადაცემული ქონება და იმპერატორს წარუდგინა ბარათი, სადაც ითხოვდა, უკან დაშიბრუნეთ ჩემი საკუთრებაო. მაგრამ, თავის მხრივ, ქალაქმაც გაგზავნა ელჩები და პროტეესს არაფერი გამოუვიდა: მას ებრძანა დაეცვა ერთხელ მიღებული გადაწყვეტილება და აღარაფერი მოეთხოვა.

17. ამას მოჰყვა მესამე გამგზავრება, ამჯერად – ეგვიპტეში, აგათობულოსთან, სადაც გასაოყარ საქმიანობას მიჰყო ხელი: თავის ერთი ნახევარი გადაიპარსა, სახე გაღახით მოითხუნა და უამრავი ხალხის თვალწინ იშიშვლებდა და ათამამებდა

სარცხინელს, უგრძობელს რომ უწოდებენ. შემდეგ ხან თვითონ უბაგუნებდა სხვას, ხან ამას ურცყამდნენ ეკეს უკანალზე და ბევრ სხვა, კიდევ უფრო დიდ საოცრებას სჩადიოდა.

18. ამგვარად ნაერჯიშევი იგალიისკენ ვამგზავრა. ჩამოვიდა თუ არა ხომალდიდან, ყველას ლანძღვა-გინება დაუწყო, განსაკუთრებით კი იმპერატორს აბაგებდა; დიდ გამბედაობას იჩენდა, რაკი იყო, რომ იმპერატორი სათნო და უწყინარი კაცი იყო და მისგან საფრთხე არ ელოდა. იმას, როგორც ჩანს, ნაკლებად აღარღებდა მავნებლები და საჭიროდ არ თვლიდა, ფილოსოფიაში ჩაღრმავებული კაცი ლაპარაკისთვის დაესაჯა, მით უმეტეს ის, ვისაც თავის ხელობად ლანძღვა-გინება გაუხდია. პერეგრინოსს კი ამგვარად სახელი ემატებოდა. განსაკუთრებით უბირ ხალხში იყო დაფასებული თავისი უგუნურების წყალობით. მაგრამ როცა იგი ყოველგვარ მღვარს გადავიდა, ქალაქის თავმა, კეთილგონიერმა კაცმა, გამოუცხადა – ჩვენს ქალაქს ასეთი ფილოსოფოსები არ სჭირდებათ და გააძევა. თუმცა მას ამანაც დიდება მოუტანა და ყველას პირზე ეკერა სახელი ფილოსოფოსისა, რომელიც სითამამისა და მღვმეტი თავისუფლებისთვის იქნა გაძევებული. აქვე იხსენებდნენ მუსონოსს, დიონს, ეპიქტეტეს და სხვებსაც, ვინც კი ოდესმე ამგვარ მღვმარებაში აღმოჩენილა.

19. ამის მერე ელადში ჩამოვიდა. აქაც ხან ელელებს აგინებდა, ხან ელინებს აქებებდა რომაელების წინააღმდეგ საომრად, ერთხელ კი აუად მოიხსენია ერთი, განსწავლულობითა და ღირსებით გამორჩეული კაცი, რომელსაც მრავალგზის აღმოუჩენია შემწეობა ელადისათვის. სწორედ ამ კაცმა გაიყვანა წყალი ოლიმპიაში და ამით ბოლო მოუღო მეომრე ჩამოსულთა განჯუა-წამებას. პერეგრინოსმა კი განაცხადა – მან ელინები მეტისმეტად გაანებივრა, ოლიმპიადის მაყურებლებს წყურვილი უნდა მოეთმინათო. მეეს ვფიცავ, ბევრი მათგანი იხოცებოდა კიდევ იმ მძიმე სნეულებებისაგან, რომლებიც აქ ჩნდებოდა ხოლმე ხალხის თავმოყრისას, ამ ადგილების უწყლობის გამო. პერეგრინოსი ამას კი ამბობდა, მაგრამ თვითონ სწორედ იმ წყალს მიირთმევდა. ისე რომ, კინაღამ ჩაქოლა იქ თავმოყრილმა უამრავმა ხალხმა. მაშინ ამ კეთილშობილმა კაცმა მეესის გაძარს შეაფარა თავი და ასე გადაურჩა სიკვდილს.

20. შემდეგ ოლიმპიადაზე კი, ოთხი წლის თავზე, ელინებს წაუკითხა ამ შუალედში შედგენილი სიტყვა, რომელშიც ხოტბას ასხამდა წყლის გამოყვანს და თავს იმართლებდა მამინდელი გაქცევისთვის. მაგრამ მისთვის ყურადღება აღარაეის მიუქცევიდა, რადგან მისი სახელი უწინდებურად აღარ ჰქუხდა; აღრინდელი ხრიკები დაუძველდა და ახალსაც ისეთს ვერაფერს იგონებდა, რომ ხალხი გაეოცებინა და დაეკლავ მიემყრო ყურადღება, ამას კი იგი მუდამ ძლიერ ესწრაფვოდა; ბოლოს გადაწყვიტა, ცეცხლით დაემტკიცებინა თავისი სიმამაცე და წინა ოლიმპიადის დამთავრებისთანავე დაჰპირდა ელინებს, რომ მომავალ ოლიმპიადაზე თავს დაიწვავდა.

21. და როგორც ამბობენ, სწორედ ახლა ასრულებს დანაპირებს: თხრის ორმოს, ემიდება შემას და ირწმუნება, რომ საკვირველ გამძლეობას გამოიჩენს. მე კი მგონია, რომ სჯობს მოთმინებით დაელოდოს აღსასრულს და თავად არ ისწრაფავდეს სიცოცხლეს. ხოლო თუკი საბოლოოდ გადაწყვიტა სიკვდილი, რა საჭირო იყო ამისთვის ცეცხლი ანდა მთელი ამ გრაგედის გათამამება. არ ჯობდა, რამე სხვა გზა აერჩია ამ ქვეყნიდან წასასვლელად? (ხომ ათასნაირი საშუალება არსებობს). და თუ მაინცდამაინც ცეცხლი იმიდავს პერაკლესავით, ბოლოს და ბოლოს რაგომ არ ამჯობინებს სადმე გყით დაფარულ მთაზე დაიწვას თავი უხმაუროდ, მარგომ? ფილოქტეტეს ნაცვლად კი წაიყვანოს ვინმე, თუნდაც, აგერ ჩვენი თეაგენესი. მაგრამ არა, მან მოზეიმე ხალხით საესე ოლიმპიაში, ღამის სუენამე მოინდომა თავის შებრაწვა; პერაკლეს ვფიცავ, ეს კი აქეს დამსახურებული, თუკი მამის მკვლელებისა და ურწმუნოების სამაგიერო უნდა მიეზღოთ ოდესმე ბოროტებისათვის. თუმცა, შეიძლება დაუგვიანდა კიდევ ამის გაკეთება, მას აღრევე უნდა მიგებოდა სასჯელი, თანაც

ფლარისის ხარში მომწყვედულს. ახლა კი რა, ერთს დაუღებს პირს ალს და თვალის დახამხამებაში მოკვდება. ჩემთვის ბევრს უთქვამს, რომ ცეცხლით სიკვდილი ყველაზე სწრაფი სიკვდილია – საჭიროა მხოლოდ პირის დაღება და იმწამსვე კვდება თურმე კაცი.

22. მე ვფიქრობ, მას წარმოუდგენია, რომ ფრიად ამაღლებული სანახაობა იქნება ადამიანის დაწვა წმიდა ალაგას, იქ, სადაც სხვა ვარდაცვლილთა დაკრძალვაც კი მიუღებელია. ვაგონილი გექნებათ, ალბათ, რომ უწინაჲ მოინდომა ერთმა თავის გამოჩენა და ეფესელი არგემისის გაძარს წაუკიდა ცეცხლი. რაღაც ამდაგვარი მოიწადინა ამანაც, ისე მიუღგვოდა სახელსა და ღიღებას.

23. თუმცა თვითონ ვაიძახის, ამას ადამიანებისთვის ეაკეთებ, რათა ვურეწო მათ, როგორ უნდა სიკვდილის მიგებება და ჭირის დათმენაო. მე კი სიამოვნებით ვიკითხავდი (ოღონდ არა იმას, თქვენ შეგეკითხებით): ისურვებდით, რომ ავაზაკებსაც ესწავლათ მისგან გამძლეობა, ცეცხლისა და ყოველგვარი საგანჯველის არად ჩაგდება? კარგად ვიცი, არ ისურვებდით. მაგრამ როგორ მოახერხებს პერეგრინოსი, რომ მხოლოდ კეთილ ადამიანებს გაუწიოს სამსახური და ამავე დროს უკეთურებს არ შემატოს გამბედაობა და სიამაჲყე?

24. მაგრამ დაეუშვათ, შესაძლებელი იყოს, რომ მხოლოდ ისინი დაესწრონ ამ სანახაობას. ვინც რაიმე სარგებლობას გამოიგანს აქედან. კელაჲ გკითხავთ: ისურვებდით, რომ თქვენს შვილებს მიებაძათ მისთვის? ცხადია, არა. თუმცა ეს რა საკითხავია, როცა მისი არც ერთი მოწაჲჲ არ ჰბაძავს მას. განსაკუთრებით თეაგენესი იმსახურებს საყვედურს, რადგან სხვაფრივ ყოველნაირად ცდილობს დაემსგავსოს ამ კაცს, მაგრამ ბოლომდე არ მისდევს მასწავლებელს და არ მიჰყვება მას, როგორც ამბობს, ჰერაკლეს გმაზე შემდგარს, თუმცა კი შეეძლო სულ მალე უნეტარესი გამხდარიყო, თავით თუ გადაემგებოდა ცეცხლში. მისაბაძი ხომ მარტო აბგისა და ჯოხის გარება, ანდა მოსასხამში გახვევა არ არის. ეს ხომ იოლია და ყველას ხელეწიფება. მიბაძვა საჭირო იყო მთავარსა და ძირითადში: უნდა დაენთო კოკონი, რაც შეიძლება ნელდი ლედვის ხის მორებით და დამხრჩვალყო კვამლში. რადგან ცეცხლი არა მარტო ჰერაკლესა და ასკლეპიოსოს ხედრია, არამედ გაძართა მძარცველებისაც – ყველას შეუძლია ნახოს, როგორ სჯიან მათ კოკონზე. ისე რომ, ისე კვამლით სჯობია; ეს იქნებოდა გამორჩეული და მხოლოდ თქვენთვის შესაჲფერი სიკვდილი.

25. ჰერაკლეს ასეთი ნაბიჯის გადადგმა გკვირებმა ვააბედვინა, რადგან, როგორც გრაველია გადმოგეყმს, მას კენტავრის სისხლი უსუსხავდა სხეულს. მაგრამ ეს რილასთვის ვარდება ცეცხლში? მეცს ვფიქვავ, იმისთვის, რომ თავის გამძლეობა აჩვენოს, ბრაქმანებიით. აკი თეაგენესმა იგი ბრაქმანებთან შედარებით ბრმად სცნო, თითქოს არ შეიძლებოდა, ინდოელებშიც რომ იყვნენ სულელი და ჰატიჲ-მოყვარე ადამიანები. იმათთვის მაინც მიებაძა! ისინი არ ვარდებიან თურმე ცეცხლში, როგორც ჰყვება ონესიკრიტოსი, ალექსანდრეს მესაჲჲე, რომელმაც კალანოსის დაწვას უყურა: ცეცხლს რომ დაანთებენ, დგებიან მორიახლოს გაუნძრეველად და ნელ-ნელა იხრუკებიან, შემდეგ, ღირსებით აღსავსენი, ადიან კოკონზე და იწვავენ თავს ისე, რომ გვერდსაც კი არ იცვლიან; ხოლო თუ ეს ცეცხლში შევარდება და წამებით დაღვეს სულს, ვითომ რა მოხდება? არც იმის იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ უკან არ გადმოხტება ნახევრადღამწვარი, თუკი მართლაც ღრმა ორმოში არ მოაწყო კოკონი.

26. ვიდაჲ-ვიდაჲებმა ისიც თქვეს, რომ გადაიფიქრაო და ჰყვებაო რაღაც სიზმარს, რომ თითქოსდა მეცს არ აძლევს წმიდა ადგილის წაბილწვის უფლებას. ამისი ნუ შეემინდება; მე დავიფიქვავ, რომ არც ერთი ღმერთი არ გაწყრება, თუკი პერეგრინოსს უკეთურად გასძვრება სული. უკვე აღარც უკან დახევაა იოლი. მისი თანმხლები კინიკოსები აგულიანებენ, უბიძგებენ ცეცხლისაკენ და ამხნევებენ, რომ შიშმა არ

დაჯაბნოს. ეს კი ერთ-ორ მათგანსაც თუ გადაიყოლებდა თან, ცეცხლში, ერთ კეთილ საქმეს მაინც ჩაიდენდა.

27. ისიც ვაგიგე, რომ თურმე აღარ სურს, პროტევისად იწოდებოდეს, სახელი შეიცვალა და ფენიქსი დაირქვა, რადგან ამბობენ, რომ ფენიქსი, ინდოეთში მცხოვრები ფრინველი, კოკონზე აღის მამინ, როცა ღრმა სიბერეს მიადწევს. ამას გარდა, შეთხზა და აერსელებს ვითომ ძველ მისნობებს, რომ თითქოსდა იგი ღამის მფარველ ღვთაებად უნდა იქცეს; ცხადია, უკვე საკურობხელებიც მოიწადინა თავისთვის და იმედი აქვს, რომ ოქროსას აღუმართავენ.

28. მევს ვფიცავ, არაფერია დაუჯერებელი იმაში, რომ უგუნურთა შორის აღმოჩნდებიან ისეთები, ვინც იგყვის, რომ მისი წყალობით ციებ-ციხელებისაგან განიკურნენ, ანდა რომ ღამის მფარველი ღვთაება გამოუცხადოთ შუალამისას. მისი წყეული მოწაფეები კი, ვფიქრობ, ცეცხლის ადგილას სამისნოსაც ააგებენ და სამლოცველოსაც, რადგან ის პროტევისი, მევისის ძე, ამ სახელის მამათავარი, მისანი იყო. ვარწმუნებთ, რომ მისი ქურუმებიც გაჩნდებიან, მათრახებით ან მოსაწვავე რკინებით აღჭურვილნი, ანდა სხვა რაიმე ამგვარი ოინბაზობით და, მევის ვფიცავ. მის პატივსაცემად ღამის მისტერიასაც დააწესებენ და ჩირაღდნიან მსვლელობასაც მოაწყობენ ცეცხლთან.

29. როგორც ერთმა ჩემმა მეგობარმა მაუწყა, ამას წინათ თეაგენეს უბრძანებია, სიბილას ნაწინასწარმეტყველები აქვსო ეს ყველაფერი და ლექსიც გაუხსენებია:

დადგება დღე, როს ბრძენი პროტევისი, კინიკოსთაგან გამორჩეული,
მგრგვინავი მევისის წმიდა მიწაზე კოკონს აღმართავს,
ცეცხლის ალში გადაემეხება და ოლიმპოსზე დაიდებს ბინას,
ვიბრძანებთ, ვინც კი იკვებებით მიწის ნაყოფით –
თაყვანი ეყით გმირს ღამისას, ვის ტახტს უყოფენ
თავად ჰეფესტო და მეუფე ჩენი ჰერაკლე.

30. მამ თეაგენესი ამბობს, რომ ეს სიბილასგან აქვს მოსმენილი. მე კი გეტყვით, რა იწინასწარმეტყველა ბაკისმა. მან მშვენიერად შეავსო სიბილას ნათქვამი და ასე ბრძანა:

როს კინიკოსი, მრავალგვარად სახელდებული,
პატივ-დიდების მოსახვეჭად ცეცხლში ჩახტება,
მამინ ტურებმა, ვინც მანამდე მხარს უმშვენებდნენ,
გაიბიარონ დალუკული მგლის ხვედრი.
ის ლაჩარი კი, ვინც ჰეფესტოს ცეცხლს გაექცევა,
მსწრაფლ ქვით ჩაქოლონ აქაველთა, რათა არ სცადოს
მან, უგულომ, ენამჭვერობა,
მევახშეობით არ გაივსოს აბგა ოქროთი
და არც ქონება დააგროვოს ღამამ პატრამში.

როგორ გგონიათ, ხალხო? ბაკისი სიბილაზე ნაკლები მისანია? ისე რომ, დროა პროტევისის საკვირველმა მოწაფეებმა შეათვალღერონ ადგილი, სადაც ჰაერს შეერთიან. ასე უწოდებენ ისინი დაწვას.

31. ეს რომ თქვა, ყველამ ერთხმად შეჰყვირა: მამ, დაიწვან უკვე თავი, ცეცხლის ღირსნი არიანო. ის კი სიცილ-სიცილით ჩამოვიდა. „მეუმჩნეველი არ დარჩენია ყიფინა ნესტორს“, ანუ თეაგენესს. როგორც კი ხმაურს მოჰკრა ყური, მოფარდა, შედგა ამადლებულზე, დაიწყო ყვირილი და ათასი საღანძღავე სიტყვა მიაყოლა ამ პატიოსან კაცს (მისი სახელი არ ვიცი). ასეთ ჭაპანწყევტაში მივატოვე ის და წავედი ათლეტების

საყურებლად, რადგან თქვეს, ელანოდიკები უკვე ასპარეზზე გამოვიდნენო. ესეუ ელიდის ამბავი.

32. ხოლო ოლიმპიაში რომ ჩავედი, გაძარი უკვე ხალხით სავსე დამხედა. ზოგი აძაგებდა პროტევეს, ზოგიც ხობბას ასხამდა მის განზრახვას, ისე რომ ზოგიერთი მუშტი-კრივზეც კი გადავიდა. ამ დროს მოვიდა თვით პროტევესი, უამრავი მხლებლითურთ და მაცნეთა მეჯიბრის შემდეგ სიგყვა წარმოთქვა. ჰყვებოდა თავის თავზე – როგორ უცხოერია, რა ფათერაკები გადახდენია და რამდენი ჭირი დაუთმენია ფილოსოფიის გულისათვის. მან ბევრი ილაპარაკა, მე კი ცოტა რამ გავვიგონე, რადგან აურება ხალხი იყო შეყრილი. მერე შემემინდა, მეც ისე არ გავეჭყლიტე ამ ზედახორამი, როგორც სხვებს მოუვიდათ ჩემს თვალწინ, და წამოვედი. სიკედილს მოწყურებულ სოფისტს კი, რომელიც თავის თავს ეპიგაფიას უთხმავდა, კარგად ყოფნა ვუსურვე.

33. თუმცა ზოგ რამეს მაინც მოვეკარი მაშინ ყური: მან თქვა, რომ სურდა ოქროს ცხოვრებისათვის ოქროსავე გვირგვინი დაეღვა და რომ პერაკლესებრ სიცოცხლეს მოუხდებდა პერაკლესებრი სიკედილი – ეთერთან შერთვა; თქვა – მსურს ადამინებსაც ვარგო რამე და ვაჩვენო, როგორ არ უნდა მოუდრიკონო ქელი სიკედილს, ამიგომ ყველა ადამიანი ჩემი ფილოქტეტე უნდა იყოსო. დოყლაპიები გიროდნენ და გაიძახოდნენ: შეუნახე შენი სიცოცხლე ელინებსო, უფრო გულადნი კი ყვიროდნენ: აასრულე შენი განზრახულიო. აქ კი შედრკა მოხუცი. მას ეგონა, ხელს სტაკებდნენ, ეცხლს ახლოსაც კი არ გააკარებდნენ და ძალით შეუნარჩუნებდნენ სიცოცხლეს. ხოლო განზრახვის ასრულებას თუ მოსთხოვდნენ, ამას აღარ მოელოდა და მთლად გაფითრდა, თუმცა ისედაც მკედრის ფერი ეღო. ბევს ვფიცავ, კანკალმაყ კი აიგანა, ისე რომ, შეწყვიტა სიგყვა.

34. ხელები, ალბათ, როგორ ვიყინებდი. მას ვერც კი შეიცოდებდა კაცი, რადგან სახელის მოხვეჭის ისეთი მწველი სიყვარულით იყო შეპყრობილი, რომ ვერ შეედრებოდა ვერავინ, ვისაც ამგვარივე გულისთქმა განჯავს. თუმც კი მაინც ბლომად ხალხი ეხვეოდა გარს და შეჭოფინებდა. ისიც სიამაყით გადმოჰყურებდა მათ და ტკებოდა ამ დიდი ჰაგივით. ის კი არ იყოდა იმ საბრალომ, რომ კიდეც უფრო მეტი ხალხი მისდევს ხოლმე იმათ, ვინც ჯვარზე გასაკრავად ან ჯალათისთვის გადასაცემად მიჰყავთ.

35. ამასობაში ოლიმპიადაც დასრულდა. ეს იყო ყველაზე მშვენიერი ოლიმპიადა იმათ შორის, რაც კი მინახავს (უკვე ოთხჯერ დავსწრებივარ ამ ზეიმს). რადგან ერთბამად ბევრი ხალხი იყო გასამგმავრებელი და ეტლები კი არ კმაროდა, იძულებული გავხდი დაერჩენილიყავი. პერეგრინოსი კარგა ხანს აჭიანურებდა საქმეს, ერთ მშვენიერ დღეს კი გამოაყხადა, რომ იმ ღამეს წარმოგვიდგენდა თავის დაწვას. ერთმა მეგობარმა მომაკითხა, წამოვდექი შუაღამისას და გავემართეთ პირდაპირ ჰარპინასაკენ, სადაც კოცონი იყო მომზადებული. სულ ოცი სტადიონი გექონდა გასავლელი, ოლიმპიიდან ჰიპოდრომის მხარეს, აღმოსავლეთისაკენ. ჩვენ რომ მივედით, კოცონი უკვე აღმართული იყო, დაახლოებით ერთი ორგია სიღრმის ორმოში. გარშემო უამრავი ჩირაღდანი იყო ჩარჭობილი ფიჩხებში, რათა რაც შეიძლება სწრაფად ავიგვიბებულიყო ეცხლი.

36. როცა მთვარე ამოვიდა (მასაც ხომ უნდა ეხილა ეს დიდებული სანახაობა), პროტევესი წამოღვა წინ, ჩვეულებისამებრ შემოსილი, უკან კი კინიკოსთა თავაკეები მოჰყებოდნენ, მათ შორის გამოირჩეოდა ერთი პატრული კეთილშობილი კაცი, რომელსაც ხელში ჩირაღდანი ეჭირა და არცთუ ურიგო მსახიობი იყო. ჩირაღდანი მოქონდა პროტევესსაც. რომ მოახლოვდნენ, ამ დროს აბრიალდა დიდი ეცხლი, ჩირაღდნებისა და ფიჩხისაგან. მე გულისყური პროტევესისკენ მქონდა. მან მოიხსნა აბგა, გაიხადა მოსასხამი, დაღო პერაკლეს ხელკეტი და დარჩა გახვეული მეგისმეგად ბინძურ გილოში. შემდეგ საკმეველი მოითხოვა ეცხლში ჩასაყრელად. ვიდაყამ მიაწოდა. მოაფრქვია ეცხლს, პირი სამხრთისკენ მიიქცია (სამხრეთიყ გრაველით

იყო გათვალისწინებული) და წარმოთქვა: დედაჩემისა და მამაჩემის სულეობა, მოწყალე მექმნით მე. – ესა თქვა, გადაეშვა ეცესლში და მამინვე დაფარა აგიმგიმებულმა ალმა.

37. კვლავ ვხედავ, როგორ იყინი, ჩემო კრონიოს, ამ დრამის დასასრულზე. მე კი, დედის სულს რომ შეევედრა, ზეეს უფიცავ, გულში არაფერი გამივლია, მაგრამ მამის სულსაც რომ მოუხმო, აქ კი გამახსენდა, რასაც ჰყვებოდნენ მის მკვლელობაზე და სიცილი ვეღარ შევიკავე. ინიკოსები კი გარს შემორტყმოდნენ კოცონს, არ გიროდნენ, მღუმარედ ჩასტქეროდნენ ეცესლს და გულში იკლავდნენ მწუხარებას. ამ დროს მე ვთქვი: “წაივლით, უგუნუნო, რა სიამოვნებაა ეცესლწაიკიდებული ბერიკაიის ყურება და ამ საძაგელი სუნის ყნოსვა. ან იქნებ ელოდებით, როდის მოვა მხაგვარი და აღგებქდათ გილოზე, ისე, როგორც აღწერენ ხოლმე სოკრატეს მეგობრებს საპყრობილეში?” ისინი გაწყრნენ, გამლანძღეს და მოგიერთმა ჯოხსაჲ კი წამოაელო ხელი, მაგრამ როცა დავემუქრე, გგაყებთ ხელს რომელიმეს, ეცესლში გადაგიძახებთ და თქვენი მასწავლებლის გმას გაგიყენებთ-მეთქი, თავი დამანებეს და მშვილობა ჩამოვარდა.

38. წამოვედი იქიდან, მეგობარო, და ნაირ-ნაირი ფიქრები მიგრიალებდა თავში. ვფიქრობდი – რა არის ასეთი ეს პატივმოყვარეობა, რომ მას თვით რჩეული ადამიანებიჲ კი ვერ უსხლგებიან ხელიდან, ისინიჲ კი, ვინც სულ არა ჰგავს ამ კაცს, ქარაფუტეგასა და თავმეხელადებულს, რომლისთვისაც ეცესლში დაწვა ზედგამოჭრილი იყო-მეთქი.

39. გმად უამრავი ხალხი მხედებოდა. ისინიჲ საყურებლად მიდიოდნენ; ეგონათ, ჯერ კიდევ ცოცხალს მიუსწრებდნენ, რადგან წინა დღეს გავრცელდა ხმა, რომ მშის ამოსვლისას ავიდოდა კოცონზე (უთუოდ იმიგომ, რომ როგორც ამბობენ, ასე იქცევიან ბრაქმანები). ბევრი უკან გაეაბრუნე, ეუბნებოდი ყველაფერი დამთავრდა-მეთქი, მაგრამ ისეთებიჲ იყვნენ, ვისთვისაც იმ ადგილის ხილვა და ეცესლის კეამლის დახედვაჲ კი სანატრელი იყო. მამინ, მეგობარო, უამრავი საქმე გამომიჩნდა. ყველას უნდოდა, დაწერილებით სცოდნოდა ყველაფერი და მეკითხებოდნენ. მეც ვუყვებოდი. თუ შევატყობდი, რომ გონიერ კაცთან მქონდა საქმე, ვთქვამთ, შენნაირთან, ეუამბობდი, რაც მოხდა და როგორც მოხდა. ბრწყინებს კი, პირდაღებულნი რომ მისმენდნენ, მთელ ტრავგედიას ვუთხზავდი: ვითომ, ეცესლი რომ აეარდა და პროტეუსი შთანთქა, მიწა შეირყა დიდი გუგუნით, მერე კი შუა ეცესლიდან ამოფრინდა ძერა და ცას მიაშურა, თან ადამიანის ხმით იძახდა: დავტოვე დედამიწა, აემალღდი ოლიმპოს-მეო. ისინი შეძრწუნებულნი, თავმარდაცემულნი მისმენდნენ, პროტეუსისადმი თავყვინისეკმით იმსჭვალებოდნენ და მეკითხებოდნენ – რომელ მხარეს გაფრანდა ძერა, აღმოსავლეთისკენ თუ დასავლეთისკენო. მეც ეპასუხობდი, რაც პირზე მომადგებოდა.

40. შეკრებულობაზე რომ დაებრუნდი, შევხვდი ერთ თმაჭალარა კაცს, რომელიჲ, ზეეს ვფიცავ, თავისი წვერითა და სიდარბაისლით დიდ ნდობას იწვევდა. მან ბევრი რამ მიაშმო პროტეუსზე და ისიჲ მითხრა, დაწვის მერე, სულ ცოგა ხნის წინ დაეინახე იგი, თეთრებში შემოსილი და ეს-ესაა დავტოვე შეიღმზიან სტოამი მხიარულად რომ დასვირნობდა მეთისხილის გვირგვინით შემკობილიო. ამას ყველაფერს ძერაჲ დაუმატა; იფიცებოდა, ჩემი თვლით დაეინახე, ეცესლიდან რომ ამოფრინდაო. ეს ის ძერა იყო, ცოგა ხნის წინ მე თვითონ რომ გავუშვი სანაჲვარლოდ ბრიყვთა და სულელთა გასამასხრებლად.

41. ახლა შენ წარმოიდგინე, რა შეიძლება მოჰყვეს ამას; რა ფუტკრები აღარ მოგროვებებიან ამ ადგილას, რა ჭრიჭინობელები აღარ მოიყრიან თავს, რა ყორნები აღარ მოფრინდებიან, როგორც ჰესიოდეს საფლაგზე. და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. დარწმუნებული ვარ, რომ სულ მალე ელეულებიჲ და სხვა ელინებიჲ, ვისთვისაც მას ეს დაუეალებია თურმე, მის გამოსახულებებს აღმართავენ. ამბობენ, რომ თითქმის ყველა სახელგანთქმული ქალაქისთვის დაუგზავნია წერილები, რომლებითაც მათ ამცნობდა თავის ანდერძს, თავის რჩევებსა და კანონებს. და ამისათვის მეგობრებს შორის

მეურჩევია დესპანები. რომელთაც „სიკვდილის მაცნეებსა“ და „საიქიოს შიკრიკებს“ უწოდებდა.

42. ასე აღესრულა ბედშაეი პროტეესი, კაცი, რომლიც, მოკლედ რომ ვთქვა, არასოდეს ვულისხმავოფდა ჭეშმარიტებას, ხოლო სახელისა და ხოგბის მოსახევეჭად მზად იყო ყველაფერი ეთქვა და ჩაედინა; ცეცხლშიაც ამისთვის ჩახტა, თუმც კი ვედარ შეიგებო ქება-დიდება, რადგან მისთვის უკვე ყველაფერი სულ ერთი გახდა.

43. დასასრულ კი ერთ ამბავს ვიამბობ, რათა ერთხელ კიდევ გაიცინო გულიანად. პროტეესის სახელი მენ უწინაც გსმენია ჩემგან. სირიიდან დაბრუნებულმა აკი ვიამბე, რომ ტროადან მასთან ერთად ვიმგზავრე და რომ ხომალდზე მას მოლხენა არ დაუკლია. ვიამბე ლამაზ ყმაწვილმეც, რომელსაც მან კინიკოსად გახდომა გადააწყვეტინა, რათა თვითონაც ჰყოლოდა გვერდით ერთი ალკიბიადე. ისიც მოვიყვები, როგორ შეშინდა, როცა შუა ეგეოსის ზღვაში უეცრად ბინდი ჩამოწვა და აზვირთდა უმარამზარი ტალღები; მაშინ ქალებთან ერთად ზღუქუნებდა ეს გასაოცარი კაცი, რომელიც თავს ისე იჭერდა, თითქოს სიკვდილი არაფრად მიაჩნდა.

44. ხოლო აღსასრულამდე ეოტა ხნით ადრე, დაახლოებით ცხრა დღის წინ, ეგეობა ოდნავ მეტი ჭამა მოუვიდა, ღამით ღებინება ატყლომია და ციებ-ცხელება დამართია. ეს მე ვიამბო ექიმმა ალექსანდრემ, რომელსაც მის გასასინჯად უხმეს. რომ მცუელი, ძირს გორავდაო. მითხრა, სიცხისგან გაწამებული; ცივის დადებას ითხოვდაო დაჩინებით, მაგრამ მე არ მიეეცი და ასე ვუთხარიო: რაკი სიკვდილი გარდაუევალია, აგერ თვითონ მოგადგა კარზე, სჯობს, მას გაჰყვე და აღარც ცეცხლი იქნება-თქო საჭირო. მან კი კვლავ გაიმეორა: ეს გმა არ იქნება სახელოვანი, ასე ხომ ყველა მოკვდებაო.

45. ეს მითხრა ალექსანდრემ. მე თვითონაც ვნახე იგი რამდენიმე დღის წინ, იმდენი მალამო წაესვა თვალებზე, რომ ცრემლი სდიოდა მწარე წამლისაგან. ხედავ? ეგეობა, ეაკოსი არ იღებს იმათ, ვისაც მხედველობა არ უვარგა. ეს იმას ჰგავს, ვინმეს ჯვარზე გაკურას რომ უპირებდნენ და ის კი დაშავებული თითის მორჩენაზე მრუნავდეს. როგორ ფიქრობ, რას იზამდა დემოკრიტე, ეს რომ ენახა? სრულიად სამართლიანად გაიცინებდა ამ კაცზე. თუმცა შეძლებდა კი ამდენ სიცილს? მენ კი იცინე, ძვირფასო, მეტადრე მაშინ, როცა მოისმენ, როგორ არიან ალტაცებულნი ამ კაცით სხვები.

თარგმნა რუსუდან კაზიძემ

სიციცხლეთა გასაღება

1. ბევსი შენ უიყარნაგი ააგე და მოამზადე ადგილი მომსეველთათვის. შენ კი, მოიყვანე აქ სიციცხლენი და განალაგე წესით და რიგით, თუმცა თავდაპირველად ისე მორთე, რომ კაცს ეამოს მათი ხილვა, რათა რაც შეიძლება ბევრი მყიდველი მიიზიდონ. შენ კი, პერმეს, ეითარცა მაინემ, ეს განაცხადე.
- პერმესი მათი გასაღების ხელსაყრელი დრო უკვე დადგა. ყოველნაირი ქადაგებების ფილოსოფოსთა სიციცხლეებს ვყიდით და თუ ფული არ მოგეძებნებათ, ვინმე თავლებად დაიყენეთ და გაისად გადაიხადეთ.
- ბევსი უკვე მრავალმა მოიყარა თავი. ასე რომ, არ გემართებს საქმის გაჯანჯლება, რათა მყიდველი არ დაეღალოთ. აბა, დაეიწყეთ გასაღება!
2. პერმესი თავდაპირველად ვინ გაეყიდოთ, რომელს ისურვებ?
- ბევსი აი, ეს გრძელკულელებიანი იონიელი. ეფიქრობ, მასში არის რალაცა დიდებული.
- პერმესი ეი, შენ, პითაგორელო, აბა ჩამოდი, მყიდველებმა რომ კარგად შეგაველონ თვალი.
- ბევსი წარმოგვიდგინე.
- პერმესი საუკეთესო სიციცხლეს ვყიდი, აღმაგებულად პატიელებულს. ვინ იყიდის? ვის სურს, რომ იყოს ზეადამიანი? ვის სურს სამყაროსეული პარმონიის შეენობა და კვლავ აღდგომა სიყვილის შემდეგ?
- მუშტარი ერთი შეხედვით ცუდად არ გამოიყურება. მაინც რა იცის?
- პერმესი არითმეტიკა, ასტრონომია, გეომეტრია, ბოღვა, მუსიკა, ჯალოქრობა. შენს წინ დიდებულ მისანს უმბერ.
- მუშტარი შეიძლება გავესაუბრო?
- პერმესი სწორედაც დროა. გავესაუბრე!
3. მუშტარი სადაური ხარ?
- პითაგორა სამოსელი.
- მუშტარი განათლება სად მიგიღია?
- პითაგორა ეგვიპტეში. იქაურ ბრძენთაგან.
- მუშტარი ერთი მითხარი, თუ გიყიდე, მე რას მასწაველი?

- პითაგორა არც არაფერს გასწავლი, მხოლოდ გაგახსენებ.
- მუმტარი როგორ გამახსენებ?
- პითაგორა თაედაპირეულად გაგისუფთაეებ სულს. ჭუჭყს ჩამოეაცლი.
- მუმტარი კარგი, ბატონო, წარმოიდგინე, რომ უკეე განმწმინდე, გახსენების რა გზას მთაეამობ?
- პითაგორა უპირეელებს ყოვლისა გმართებს ხანგრძლიეი სიმშეიდე, მდუმარეება, კრინტი არ უნდა დაძრა მთელი ხუთი წლის განმეელობამი.
- მუმტარი შენ, ჩემო კარგო, კროისოსის ძე უნდა გეეწერთნა. მე კი მსურს ვიყო მეტყეეელი და არა უტყვი. და მაინე რა მოხლება ამ ხუთწლიანი მდუმარეების შემდეგ?
- პითაგორა მუსიკასა და გეომეგრიამი წაიეარჯიმებ.
- მუმტარი რა კარვად ამბობ! ჯერ მეკითარე უნდა გავხდე, მერე კი ბრძენი, არა?
4. პითაგორა აი, შემდეგ კი თელას ისწავლი.
- მუმტარი თელა ისეე ვიცი.
- პითაგორა აბა, როგორ ითელი?
- მუმტარი ერთი, ორი, სამი, ოთხი.
- პითაგორა ხედაე? რასაე ოთხად თელი, ის ათია, და ის გოლფერდა სამეკუთხელია და ჩენი ფიცი.
5. მუმტარი მამასადამე, ამ ყოვლად ძლიერი ფიციტ, ანუ ოთხიანიტ ეიფიციებ, რომ არასოდეს გამიგია უფრო ლეთაებრივი და უფრო წმინდა სიგყეეები.
- პითაგორა ამის შემდეგ კი, უცხოელო, შენ შეიცილობ როგორ მოძრაობს მიწა, ჰაერი, წყალი და ეეეხლი, როგორია მათი თეისეებები და როგორ იეელიან ისინი ფორმას.
- მუმტარი მამასადამე ეეეხლს, ჰაერს და წყალს რადაეა ფორმა გააჩნიატ?
- პითაგორა ერთობ გამოკეეტილი, რადგანაე რასაე არე ფორმა აქეს და არე საზღერები, ის არე მოძრაობს. შენ შეიგეეობ, აგრეეთეე, რომ ღმერთი არის რიეხეი და გონება და პარმონია.
- მუმტარი საეეირეელს ამბობ!
- პითაგორა გარდა იმისა, რაე გითხარი, ამასაე მიხელები: თაეად რადაეად რომ მიგაჩნია თაეი და სხეად რომ ჩანხარ, სინამდეილეში სულ სხეა ვინმე ხარ.

- მუშგარი რას ამბობ? მე სხვა ვარ და არა ის, ვინც შენ ახლა გებაასება?
6. პითაგორა ახლა შენ ის ხარ, თუმცა უწინ სულ სხვა სხეულში იყავი და სულ სხვა სახელი გერქვა. ხოლო დროთა განმავლობაში კვლავ სხვა სხეულში გადასახლდები.
- მუშგარი როგორც შენ ამბობ, მე უკვდავი გავხდები, რადგან მრავალგზის შევიცვლი სახეს? კმარა, აბა, ამაზე მოვერჩეთ ლაპარაკს! ახლა მითხარი რას ჭამ?
- პითაგორა არ ვჭამ ცხოველებს, სხვას კი ყველაფერს, გარდა პარკოსნებისა.
- მუშგარი ვითომ რაგომო? გეზიმლება პარკოსნები?
- პითაგორა არა, არა. წმინდანნი არიან, ხოლო მათი ბუნება – საოცარი. უპირველეს ყოვლისა კი მათ გააჩნიათ სიციცხლის ძალა. თუ კანს გააძრობ თესლს, ვიდრე მწვანეა, შეამჩნევ, როგორ წააგავს იგი მამაკაცის სხეულის ასოს; თუკი პარკოსნებს მოხარშავ და განსაზღვრულ დამეს მთეარის მუქზე გამოიგან, სისხლად იქცევა. მაგრამ რაუ უფრო მთაეარია, ათენელები, კანონის ძალით, სწორედ მარცელებით ირჩევენ ხელისუფალთ.
- მუშგარი დიდებულად თქვი სათქმელი, ისე, როგორც მექაფერის ქურუმს. მაგრამ აბა, ერთი გაიხადე, გამიმელებული მსურს გიხილო. ოი, ჰერაკლეე! ოქროს თეძო აქვს! ჩვეულებრივი მოკვდავი კი არა, ალბათ ღმერთია. უეჭველია, მას ვყიდულობ. რამდენად ყიდი?
- პერმესი ათ მნად.
- მუშგარი ვყიდულობ ამ ფასად.
- ზეესი ჩაიწერე მუშგრის სახელი და ისიც, თუ სადაურია.
- პერმესი ვფიქრობ, იგალიელი უნდა იყოს, ზეეს, კროგონელი ან ტარასელი, ისე კი, დიადი ელადიდან ვახლაეთ, მაგრამ ის მარტო კი არ არის, ალბათ სამასმა კაცმა მაინც იყიდა ეს იონიელი საერთო ფულით.
- ზეესი გაიყვანონ აქედან, ახლა სხვა ვნახოთ!
7. პერმესი გინდა ის ფეთხუმი პონგოელი ამოვიყვანო?
- ზეესი დიახაც, მინდა.
- პერმესი ეი, შენ, გულიანო, დამონძილი ლაბადით, მოგვიახლოვი და თაემეყრილ ხალხს ჩამოუარე. მამაც სიციცხლეს ვყიდი, სიციცხლეს საუკეთესოს და კეთილშობილს, სიციცხლეს თავისუფალს. ეინ იყიდის?

- მუმტარი მაცნევე, რას ამბობ? თავისუფალს ყიდი?
- პერმესი სწორედ ასეა.
- მუმტარი მერედა, არ გეშინია, რომ თავისუფალის მონად გაყიდვისთვის მან ბრალი დაგდოს და ამის გამო გაგასამართლონ ან არეოპავეში გამოგიძახონ?
- პერმესი ის ამ ვაჭრობას არად მიიჩნევს, რადგანაც ყველგან და ყოველთვის თავისუფალია.
- მუმტარი რომელი სამუშაოსთვის გამოდგებოდა ეს ბინძური და უბედური. მან, ალბათ, მიწა უნდა თხაროს მხოლოდ ან წყალი მიღოს.
- პერმესი არა მხოლოდ. თუკი კარებთან დააყენებ, უფრო ერთგული მეკარე იქნება, ვიდრე ძაღლი; თუმცა მას ისედაც ჰქვია „ძაღლი“.
- მუმტარი ჰოდა, სადაურია-მეთქი, რა შეუძლია?
- პერმესი თავად მას ჰკითხე, უმჯობესია.
- მუმტარი ისეთი დაღერემილია და აღრენილი, რომ მეშინია, არ ამიყუფდეს ან არ მიკბინოს. განა ვერ ხედავ, როგორ მოიმარჯვა თავისი ჯოხი, შეიჭმუნა და გვემუქრება მრისხანე მგერით?
- პერმესი ნუ გეშინია, ის უკვე მოთვინიერებულია.
8. მუმტარი თავდაპირველად, ჩემო კარგო, შენ ის მითხარი, საიდან ხარ?
- ლიოგენე ყოველი მხრიდან.
- მუმტარი აბა, რას ამბობ?
- ლიოგენე კოსმოპოლიტესს ჰხედავ შენს წინ, სამყაროს მოქალაქეს.
- მუმტარი განა ვის ჰბაძავ?
- ლიოგენე პერაკლეს.
- მუმტარი მაშ, თუ ასეა, რად არ მოგისხამს ლომის ტყავი, რაკი კომბლით მას ემსგავსები.
- ლიოგენე ეს დაძონძილი მოსასხამი – ლომის ტყავია. მასავით ვიბრძვი, ოღონდ ვებრძვი სიამტკბილობას, არა ბრძანებით, არამედ ჩემი ნებით მხოლოდ, რადგანაც მიზნად დავისახე სიციოცხლის განწმენდა.
- მუმტარი მართლაც რომ კარგი საქმეა. მაგრამ მაინც თავად რა იყი, რა ხელობის ხარ?

დოკენე კაცობრიობის მხსნელი ვარ და ვენბათა მკურნალი. ისე კი მსურს, ვიყო სიმართლისა და სიგყვის თავისუფლების წინასწარმეტყველი.

9. მუშტარი აბა, მითხარი, წინასწარმეტყველო, თუკი ვიყიდი, რა გმით აპირებ ჩემს დამოძღვრას?

დოკენე უპირველესად, როდესაც დაგიმოწაფებ, მაგ სიაზიზეს მოგაცილებ, სიღარიბესთან ჩაგრაზავ და დამონძილი მოსასხამით შევგმოსავ. შემდეგ გაიძულებ იმუშაო, იშრომო და შიშველ მიწაზე დაიძინო, ის ჭამო და სევა, რასაც იშოვი. სიმღიდრეს, თუკი გაბადია, დამიჯერებ და ზღვაში მოისერი. აღარ იბრუნებ ქორწინებაზე, არც ბავშვებზე, არც სამშობლოზე, ყოველივე ეს მნიშვნელობას დაკარგავს შენთვის. დატოვებ მამის სამოსახლოს და აკლდამაში დაიღებ ბინას, ან მიგოვებულ კოშკში, ან თიხის კასრში. დე, იყოს სავე შენი შულდაკი ქერქებითა და ორივე მხრიდან ნაწერი გრავნილებით. და როდესაც ასე იცხოვრებ, შენი სიციცხლე დიადი მეუის სიციცხლეზე უფრო ბედნიერი მოგეჩვენება. თუკი გცემენ და გაწამებენ, ეერაფერს ცუდს ამაში ვერ დაინახავ.

მუშტარი ამას რას ამბობ! როგორ ვერ ვიგრძნობ გკივილს, როცა დამკრავენ მათრახს. კუ ხომ არა ვარ, ან კიბორჩხალა.

დოკენე თუ ვერიპილეს გამონათქვამს ცოკათი შეეცელით, ისე მოხდება, როგორც მან თქვა.

მუშტარი მაინც რა მოხდება?

10. დოკენე შენი სხეული იგრძნობს გკივილს, სული კი – არა. აი, რა არის უმთავრესი, როგორი უნდა იყო: უხეში და უგოფარი და ერთნაირად უნდა ლანძლო მეფეც, მღაბიოც, რადგანაც მხოლოდ მაშინ მოგაგებენ საკადრის პატივს, ეაქაყად ცენობენ. დაე, შენი ხმა ბარბაროსული, უხეში იყოს, საუბარი კი უღიმღამო, გაუგებარი, თუნდაც ძაღლური. საკმარისია გქონდეს მრავალმნიშვნელოვანი გამომეტყველება და ამ გამომეტყველების შესაბამისი სიარული, და საერთოდ, უნდა იყო ველური და ყველაფერში დაემსგავსო ცხოველს. სიმორცხვე, ღირსებისა და მომიერების გრძნობა უნდა გაიქრო, პირისახიდან მოიცილო დაწეთა შეუაკვლა. შეეცადე, რომ ხშირად იყო ყველაზე უფრო ხალხმრავალ ადგილებში, მაგრამ იქაც კი არ გაუკარო არავის და იყავი მარტო. ნუ შეეცდები მაენთა დამეგობრებას ან დაახლოებას – ეს ძალაუფლებას აკნინებს. ყველას თვალწინ თამამად გააკეთე ის, რასაც სხვა მალულადაც კი ვერ გაბედავს; სამიჯნურო საქმეებიდან ამოირჩიე ყველაზე უფრო სასაცილო; და ბოლოს, თუკი მიხვდები, რომ გამოგადგება, მეჭამე უმი პოლიპი ან მელანთევზა და მოკელი კიდეც. აი, ამდაგვარ ბედნიერებას გთავაზობთ.

11. მუშტარი აი, ახლა კი გამასწარი. შენ ლაპარაკობ კაცთათვის შეუუერებლ და ბინძურ საქმეებზე.

- ლიოგენე მაგრამ, უკეთილშობილესო, ეს ხომ ყველასათვის იოლია. არ დაგვირდება არც აღზრდა, არც განათლება და არც სხვა მსგავსი უმნიშვნელო რამ. შენს წინ დიდებისაკენ მიმავალი უმოკლესი გზა გადაიშლება. და თუ შენ უბრალო ადამიანი ხარ, მეგყავე, მლაშე თევზით მოვაჭრე, ხურო ან ზარაფი, არაფერი შეგიშლის ხელს, რომ ირგვლივმოყვანი გააოცო: საკმარისია იყო უნამუსო, თავხედი და კარგად ისწავლო ლანძღვა-ვინება.
- მუშგარი აი, ამისთვის კი არ მჭირდება. თუმცა დროთა განმავლობაში იქნება შენგან დამღვარიყო მეხოფე ან შებაღე, თანაც მხოლოდ მაშინ, თუკი პერმესი შენს თავს დიდი-დიდი ორ ობოლად მომყიდის.
- პერმესი ჰოღა, წაიყვანე. სიამოვნებით გადმოგილოცავ: საშინლად იქუევა, ყვირის, ყველას დასცინის და იღანძღება.
12. ზეესი ახღა სხეას უხმე, იმ კირენელს, ძოწისფერი მოსასხამით შემოსიღს, თავს ღიადემა რომ დაუღვამს.
- პერმესი ისმინოს ყვეღამ! მეღისმეღად ძვირფასი რამ მაქვს მეძღებული მყიდეღებისთვის. ტკბიღი სიცოცხღე იყიდღვა; სიცოცხღე სამგზის უნეღარესი. ვის სურს შეძენა? ვინ იყიდის ამ განაზღებულს?
- მუშგარი მომიახლოედი და მითხარი, იცი კი რამე? თუ სასარგებლო აღმოჩნღები, გიყიდი კიღეც.
- პერმესი ნუღარ აწუხებ, დიდებუღო, ნურაფერს კეითხავ: ის ხომ მთერალიღა. აღბათ, ვერაფერს გიპასუხებს, თან ენაც ებმის, ხომ ხეღაე?
- მუშგარი რომელი ჰკუათამყოფელი იყიდის ამ თავხედსა და თავაშეღებულ მონას. მაგრამ როგორი სუნი ასღის! რა მოხღენიღად ღაღის, როგორ ქანაობს! და მაინც, პერმეს, ერთი მითხარი, რა შეუძლია, რა ხეღობას ფღობს?
- პერმესი უნღა გითხრა, რომ მხიარული სღუმარია და სასიამოვნო თანამეინახე. მესღვირე ქაღთან ერთაღ სიამით იღხენს იმ ღამეულ ქეიფეღში, რომელსაც აწყობს მისი შეყვარებული და თავაშეღებული მეზაგონე. ვარღა ამისა, ნუღბარ ნამცხეართა გამოცხობის ოსგაგია და გაწაფული მზარეული – ერთი სიგყვით, ის საამური დროსგარების დიდღოსგაგია. აღზრდა-განათლება ათენში მიიღო, სიცოღიელი გირანები, ვისი კარის მსახურიყო იყო, კარგად უხღიდღენ. მისი მთავარი თვისეღებიღა: არაღ მიაჩნღეს სხვა, თუმცა ყვეღა გამოიყენოს და ყვეღაფრიღან ამოხაპოს სიამოვნეღა.
- მუშგარი ახღა კი დროა, ირგვლივე მიმოიხეღო – იქნებ მღიდარი მყიდეღელი ნახო, დიდი განძის მფღობელი; მე კი ნამღვიღად ვერ შევიძენ ამ მხიარულ სიცოცხღეს.

- პერმესი ზეეს, ამ სიოცხლეს ეელარ გაეასალებთ, ჩეენტან დარჩება!
13. ზეესი დარჩეს! სხეა მოიყვანე. აი, ის ორი – მოცინარი აბდერელი და მოტირალი ეფესოელი. მსურს, რომ ორთაეე ერთად გასადღეს.
- პერმესი ფიცარნავის შუა ადგილზე დადექით. ორ საუკეთესო სიოცხლეს ვეიდი, სიოცხლეთაგან უბრძნეებს ეუსმობ!
- მუშტარი ზეესო! რა ხდება, რა უკიდურესობაა! ერთი იყინის განუწყვეტლივ, ხოლო მეორე – თითქოს ვიდაეას დასტირისო, ტირის და ტირის. განა რა მოგდის, რა გაეინებს?
- დემოკრიტოსი. მეკითხები? თქვენზე ვიყინი, თქვენს საქმეებზე მეეინება.
- მუშტარი რას ამბობ? ჩვენ დავეცინი და ჩვენს საქმეებს არაფრად ავღებ?
- დემოკრიტოსი. დიახ, ასეა. რადგანაც საქმეთაგან არაფერია მნიშვნელოვანი, არარაობაა ყველაფერი, ატომთა მოძრაობაც და უსასრულობაც.
14. მუშტარი არც ასეა საქმე. მართლაც არარაობა ხარ და უსასრულოდ რეგვინი! რას გვემართლები! ნუთუ არ შეწყვეტ სიცილს? შენ კი, ტეირფასო, რა ვატირებს? ვფიქრობ, ბეერად საამო უნდა იყოს შენთან ბაასი.
- პერაკლიტოსი. ო, უცხოელო, ასე მგონია, კაცთა საქმენი საწუხარია და სატირალი. არაფერია მათში ისეთი, წარმავალი რომ არ იყოს. სწორედ ამიტომ მედარდებით და დავტირით. რაც ახლა არის, არ მიმაჩნია სადიდებლად, მომავალში კი რაც იქნება – უბედურებად ვთელი, – მხედველობაში მაქვს საყოელთაო ხანძარი და სამყაროს შეეცლა. ამას განვიცდი: არაფერია მუდმივი. ყველაფერი ერთმანეთში აირევა: სიხარული და მწუხარება, შემეცნება და უმეცრება, დიდი და მცირე, – ყველაფერი თაედაყირა დგება და იეელება დროის თამაშში.
- მუშტარი დრო რადა არის?
- პერაკლიტოსი. მოთამაშე ბაეშვი, კოჭებს რომ ისერის სხეადასხეა მხარეს.
- მუშტარი რანი არიან კაცნი?
- პერაკლიტოსი. დმერთნი მოკედაენი.
- მუშტარი აბა, დმერთნი რანი არიან?
- პერაკლიტოსი. კაცნი უკედაენი.
- მუშტარი შენ რა, გამოცანებით ლაპარაკობ თუ თავსატეხებს ქმნი? ლოქსიასიეით ხარ, ერთობ ბუნდოვანია შენი ნათქვამი.

- პერაკლიტოსი. ეს მე სულაც არ მაღელვებს.
- მუშტარი აბა, რომელი ჰკუათამყოფელი გიყიდის შენ?
- პერაკლიტოსი. პოდა, ეუსურვებ ყველა სრულწლოვანს მწარედ ეტიროს, მყიდველსაც და არამყიდველსაც.
- მუშტარი ეს ბოროტების განსახიერება შორს არ არის სიგიჟისაგან. არც ერთს ვიყიდი და არც მეორეს.
- პერმესი ვერ გავასაღეთ და ესენიც ჩვენთან რჩებიან.
- გვესი სხვას უხმე.
15. პერმესი ის ათენელი ხომ არა გსურს, ბევრს რომ ლაქლაქებს?
- გვესი დიახსაც.
- პერმესი აბა, აქ მოდი. თქვენს წინაშეა კეთილი და გონიერი სიციცხლე. ვინ შეიძენს ამ უწმინდესს?
- მუშტარი ერთი მითხარი, რა იცი ყველაზე კარგად?
- სოკრატე. ბიჭთამოყვარე ვარ და ბრძენი ეროტიკული.
- მუშტარი როგორ გიყილო, მე ხომ ბიჭთააღმზრდელი მსურდა სილაშაშით გამორჩეული ჩემი ვაჟისთვის.
- სოკრატე. ვის შეუძლია ჩემზე უკეთ მშვენიერ ვაჟთან ცხოვრება? განა სხეული მიყვარს? მე მიმაჩნია, მშვენიერი სულია მხოლოდ. ერთი საბნის ქვეშაც რომ ვიწვე ნებისმიერთან, ვერავინ გეტყვის, ცუდად მომექცაო.
- მუშტარი წარმოუდგენელ რამეს ამბობ! შენ, რომელიც ხარ ბიჭთამოყვარე, გარდა სულისა სხვა არაფერი გიზიდავს მაშინაც კი, როდესაც წევხარ მასთან ერთად ერთი საბნის ქვეშ სრულიად თავისუფალი?
16. სოკრატე. დიახ, ასეა, ვფიცავ ძაღლს და ვფიცავ ჭაღარს.
- მუშტარი ჰოი, პერაკლეე, რა უცნაური ღმერთებია!
- სოკრატე. რას ამბობ! არ გჯერა, რომ ძაღლი ღმერთია? როგორ, განა ვერ ხედავ, პატივს რომ სცემენ ეგვიპტეში ანუბისს? რა, სირიოსი არ გინახავს ცაზე? ნუთუ არაფერი გაგიგია მიწისქვეშეთის კერბეროსზე?
17. მუშტარი მართალს ამბობ! შეეცდი. ახლა მითხარი, როგორია შენი ცხოვრება?
- სოკრატე. ვცხოვრობ ჩემს მიერ შექმნილ სახელმწიფოში, სადაც მე თავად დავაწესე საგანგებო წყობა და საკუთრივ ჩემი კანონებიც მოვიფიქრე.

- მუშტარი ვისურვებდი, რომ მომესმინა მათგან მთავარი.
- სოკრატე. მაშ, მოისმინე ყველაზე მნიშვნელოვანი, ქალებს ეხება: „დაე, ყოველი მათგანი ეკუთვნოდეს არა მხოლოდ ერთს, არამედ ყველას, ვისაც კი სურს დაქორწინება“.
- მუშტარი როგორც შენ ამბობ, კანონები მრუმობის თაობაზე შეიყუევებიან!
- სოკრატე. მევსს გეფიყები, შეიყულება ყველა წერილმანიც, რაც ამ კანონებს თან ახლავს.
- მუშტარი და მაინც, რას ფიქრობ ლამაზ ბიჭებზე?
- სოკრატე. მათი სიყვარული იქნება ჯილდო იმ საუკეთესო მოქალაქეებისათვის, რომლებმაც სასახელო და საგმირო საქმით გამოიჩინეს თავი.
18. მუშტარი აუუ! რა გულუხვი საჩუქარია! შენი სიბრძნის არსი რა არის?
- სოკრატე. იდეები და წარმოდგენები არსებულზე. რადგანაც ყოველივესი, რასაც ხედავ – მიწის და მისი, რაც მიწაზეა, მეცისა და ზღვის ჭემპარიტი სახებანი უხილავია და ისინი ამ არსებულის მიღმა ღვანან.
- მუშტარი მაინც სად ღვანან?
- სოკრატე. არსად, რადგანაც რომ არსებობდნენ სადმე, მაშინ აღარ იარსებებდნენ.
- მუშტარი ეერ ვხედავ იმ წარმოსახულ საგნებს, რომლებზეც შენ საუბრობ.
- სოკრატე. და არც არის გასაოცარი. შენი სულის თვალი ხომ ბრმაა. მე კი ყველაფრის სახებას ვხედავ, შენს უხილავ სახებასაც და ჩემსაც, ასე რომ ყველაფერს ორმაგად აღვიქვამ.
- მუშტარი მაშ, საჭიროა შენი ყიდვა, რადგან ბრძენი ხარ და ჩვეულებრივ კაცზე მეტს ხედავ. ახლა კი ვნახოთ, ეს რას ითხოვს, რამდენად ყიდი?
- პერმესი ორ ტალანტონად.
- მუშტარი რაც თქვი, იმ ფასად შევისყიდი, ფულს კი სულ მალე გამოგიგზავნი.
19. პერმესი რა გქვია?
- მუშტარი ღიონი ვარ, სირაკუსელი.
- პერმესი წაიყვანე და მშვიდობაში მოიხმარე, ეპიკურელო, ახლა შენ გიხმობ. ვინ შეიძენს? მე სულ ახლახანს რომ განახეთ,

მოცინარი და მოტირალი, სწორედ იმათი მოწაფეა, თუმცა მათზე უფრო ჭკვიანი აღმოჩნდა ერთ რამეში: უფრო მეტად უმოწყალოა, სხვა მხრივ, სასიამოვნო კაცია და გემოს მოყვარე.

მუშგარი რა ღირს?

პერმესი ორი მნა.

მუშგარი აპა, აიღე. თუმცა ისიც გამაგებინე, ყველაზე მეტად რას ატანს გემოს?

პერმესი ტკბილეულს მიირთმევს და ყველაფერს, რასაც თაფლის გემო ახლავს. უფრო მეტად კი ჭამს ლელვის ჩირს.

მუშგარი ღიღი არაფერია. მისთვის კარიულ ტკბილეულსაც შეეძინებოდა ხოლმე.

20. გევისი ახლა სხვას უხმე, აი, ამ მოედანზე თავშეყრილთა უმეტესობა სწორედ მას უცდის.

პერმესი თავად სიქველეს ვყიდი, ყველაზე უფრო სრულყოფილ სიეოცხლეს! ვის სურს იეოდეს ყველაფერი?

მუშგარი რას გულისხმობ?

პერმესი რას და, რომ მხოლოდ ეს არის ბრძენი, მხოლოდ ეს არის მშვენიერი, სამართლიანი, გულადი, მეფე, რიტორი, მდიდარი, კანონმდებელი და ყოველივე, რაც კი არსებობს.

მუშგარი ნუთუ, ძვირფასო, ის ერთადერთი მზარეულია და, გევისს გაფიცებ, ერთადერთი მეტყავე, ხურო და ამდაგვარი?

პერმესი ღიას.

21. მუშგარი მოდი, საყვარელო, და გამაგებინე მე, მუშგარს, როგორი ხარ, უწინარეს კი, ხომ არ განიცდი, რომ გყიდიან და რომ მონა ხარ?

ქრისიპოსი არანაირად. ამას ჩვენ ხომ არ გვეკითხებიან, ხოლო ის, რასაც ჩვენ არ გვეკითხებიან, უმნიშვნელოა.

მუშგარი ვერ მიეხვდი, რა თქვი.

ქრისიპოსი რა ვერ ვაიგე? ნუთუ ვერ ხელები, რომ მსგავს საქმეებში ზოგს ენიჭება უპირატესობა, ზოგს კი – არა.

მუშგარი ვერც ახლა ვხელები.

ქრისიპოსი რა თქმა უნდა! შენ ხომ არა ხარ მიჩვეული ჩვენს გამოთქმებს, და ამიტომაც მათი აღქმაც არ შეგიძლია. ის კი, ვინც ბეჯითად ეუფლებოდა ლოგიკურ ჭერეგას, მოეხსენება არა მხოლოდ ეს, არამედ ისიც, თუ რა არის „ძირითადი თვისება“ და „გეძირითადი თვისება“, აგრეთვე ისიც, თუ რამდენად განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისგან.

- მუშტარი სიბრძნეს გაფიცებ, არ დაიზარო და მითხარი, რა არის ეს „ძირითადი თვისება“ და „მეძირითადი თვისება“. არ შემძლია გამოვხატო, თუ როგორა ვარ მონუსხული ამ გამოთქმათა რიგით.
- ქრისიპოსი არ დაგზარდები. თუ კოჭლი თავისი კოჭლი ფეხით შემთხვევით ქვაზე წამოვეება და მოულოდნელად დაიჭრება, მამინ მისთვის კოჭლობა იქნება ძირითადი თვისება, ხოლო ჭრილობა – მეძირითადი აღმოჩნდება.
22. მუშტარი რა დახვეწილი გონებაა! კიდეუ რას მეტყვი?
- ქრისიპოსი არის სიგყათა ბადე, რომელშიც გაეახვეუ ხოლმე ჩემთან მოსულს, პირს ამოუკრავ და ვაიძულებ დადუმდეს, თითქოს სადრუნჩე ჩამოვაცეი. ხოლო სახელი ამ ძალისა – ყბადაღებული სილოგიზმია.
- მუშტარი ჰოი, კერაკლე! შენი საუბრით ძლიერიც კი დაუძღურდება.
- ქრისიპოსი კარგი, მიყურე: შენ შეილი გყავს?
- მუშტარი მერე რა?
- ქრისიპოსი წარმოვიდგინოთ, რომ ის თამამობს მდინარის პირას; მას თვალი მოჰკრა ნიანგმა და მოიგაცა. ნიანგი გჰირდება, რომ დაგიბრუნებს შეილს, თუ გამოიყნობ, რა ჩაიფიქრა მან ბავშვის გამოშეების თაობაზე. რას ეტყვი ნიანგს?
- მუშტარი მიჭირს პასუხის გაყემა. მე ხომ არ ვიცი, რა მიეუგო თავდაპირველად, რომ დაეიბრუნო ჩემი შეილი. პასუხი შენ თქვი, შეესს გაფიცებ, და დაიხსენი ბავშვი, ვიღრე ნიანგმა არ გადაყლაპა.
- ქრისიპოსი გამავრდი! მე შენ სხვა, უფრო საოყარ რამეებს გასწაველი!
- მუშტარი აბა რას?
- ქრისიპოსი „მომეკელს“, „მეზატონეს“, შემდეგ „ელექტრასა“ და „გადახურულს“.
- მუშტარი რა გადახურულზე ლაპარაკობ, რის ელექტრაზე?
- ქრისიპოსი სწორედ იმ ცნობილ ელექტრაზე, ავამემნონის ასულზე, რომელმაც ერთდროულად იყის კიდეუ და არც იყის ერთი და იგივე: როდესაც მის გვერდით ღვას ჯერ კიდეუ გამოუყნობი ორესტესი, მან იყის, რომ მისი ძმა არის ორესტესი, მაგრამ არ იყის, რომ მის გვერდით მდგომი – ორესტესია. ახლა კი მოისმენ ასევე გასაოყარ მსჯელობას გადახურულზე. მიპასუხე: შენ ხომ იყნობ მამამენს?
- მუშტარი დიახ.

- ქრისტიანობის მამ ასე, თუ კი მენს გვერდით დავაყენებ კაცს, რომელსაც საბურველი ექნება გადახურული და გკითხავ, იცნობ თუ არა მას, რას მიიასუხებ?
- მუშტარი არ ვიცნობ-მეთქი, გეგყვი, ცხადია.
23. ქრისტიანობის მავრამ ეს კაცი საბურველის ქვეშ, იყო კიდეც მამამენი. ამიგომ, მას თუ არ იცნობ, აღარც საკუთარ მამას იცნობ, ასე გამოდის.
- მუშტარი ასე არ არის. თუ კაცს საბურველს ჩამოვაცლი, მე სიმართლე მეყოლინება. და მაინც, რა არის შენი სიბრძნის ბოლო მიზანი, რას გააკეთებ, თუ მიაღწევ სიქველის მწვერვალს?
- ქრისტიანობის მე შევიძენ ბუნების პირველივე მადლს: ვგულისხმობ სიმდიდრეს, ჯანმრთელობას და სხვას ამდაგვარს. მავრამ თავდაპირველად სხვა, წინასწარი სირთულეები – უნდა გადაილახოს: საჭიროა მშერის გაწაფვა მიჯრით ნაბეჭდი წიგნებით, განმარტებათა შეგროვება, საკუთარი ცოდნის შევსება სოლიკისმოსებითა და უჩვეულო სიტყვებით; და რაც მთავარია, შეუძლებელია გახდე ბრძენი, თუკი სამგზის, ერთი მეორის მიყოლებით, მხამას ნახარში არ შეგისვამს.
- მუშტარი რა თქმა უნდა, ყოველივე ეს ღირსეული და კეთილშობილი კაცის საქმეა. მავრამ ის, რომ იყოს გნიფონი და მევახშე – ვხედავ, ერთი და მეორე რომ გახასიათებს – რა ვთქვამთ, შეეფერება კაცს, რომელმაც უკვე შესვა ეს მხამი და მიაღწია სიქველის მწვერვალს?
- ქრისტიანობის ღიხაყ, მხოლოდ ბრძენკაცს მართებს ფულის სარგებლით გასესხება, რადგანაც სწორედ ის არის დახელოვნებული უედომელობაში. ფული სარგებლით რომ გაასესხო და წინდაწინ განსაზღვრო მოგება, ეგონებ ეს არის კიდეც უედომელობა; ეს მეცნიერებაა, რომლის მხოლოდ თავგამოდებულ ქომავს ძალუძს ერთი, მეორე და მან, უბრალო მოგება კი არ უნდა აილოს, სხვათა მსგავსად, არამედ მოგების მოგება. განა არ იცი, რომ არსებობს პირველი მოგება, შემდეგ მეორე, რომელიც თითქოს იმ პირველის ეპიგონია? ერთი შეხედვ ამ სილოგიმმს, რომელიც ამბობს: „თუ ის აიღებს პირველ მონაგებს, ის მეორესაც აიღებს. და რადგანაც ის აიღებს პირველს, მამასადამე მეორესაც აიღებს“.
24. მუშტარი ნუთუ იგივე უნდა ითქვას იმ საფასურზე, რომელსაც იღებ ახალგაზრდებისაგან დამოძღვრის ფასად და ნუთუ მხოლოდ მეცნიერების ასეთ ქომავს აქვს უფლება აილოს გასამრჯელო სიქველის სწავლებისათვის?
- ქრისტიანობის ყოჩად, მიხვედრაც დაგიწყია! სწავლების ქირას ჩემთვის კი არა, გადამხდელისთვის ვიღებ მხოლოდ. და რამდენადაც ორიდან ერთი ხარჯავს, ხოლო მეორე იღებს, ჩემს თავს ვაჩქევ, რომ იყოს მიმღები, ხოლო მოწაფეს ვასწავლი ხარჯვას.

- მუშგარი ჯობდა პირიქით, ახალგამრდას ეგროეებინა, მენ კი ერთადერთ მდიდარს, კეხარჯა ფული.
- ქრისიპოსი ხუმრობ, ძვირფასო? მაგრამ მიფრთხილდი, რომ არ გავიროტო მიუხევედრელი სილოგიზმის ისარი.
- მუშგარი რა საფრთხე ახლავს ამ იარაღს?
25. ქრისიპოსი უმწეობა, მღუმარება და გონების სრული არევა. რაც მთავარია, თუ მოეისურვე, წამისუმალ ქეად გადაგაქეეე.
- მუშგარი როგორ თუ ქეად? ასე მგონია, მენ პერსეესი არ უნდა იყო, ჩემო ძვირფასო!
- ქრისიპოსი ასე მოხდება: ქეა ხომ სხეულია?
- მუშგარი დიახ.
- ქრისიპოსი განა რა, სულიერი არ არის სხეული?
- მუშგარი დიახაც, არის.
- ქრისიპოსი მენ სულიერი ხარ?
- მუშგარი მგონი ვარ.
- ქრისიპოსი ესე იგი ქეა ხარ, რადგანაც სხეული ხარ.
- მუშგარი არა, გეთაყვა, ზევეს გაფიეე, დამისხენი და ისეე კაცად გადამაქეეე.
- ქრისიპოსი რა სირთულეა! ისეე კაცად გარდაისახე, ოღონდ მითხარი: ყველა სხეული სულიერია?
- მუშგარი არა.
- ქრისიპოსი ქეა, ხომ არ არის სულიერი?
- მუშგარი არა.
- ქრისიპოსი ხომ ხარ სხეული?
- მუშგარი დიახ.
- ქრისიპოსი თუ სხეული ხარ, სულიერი ხარ?
- მუშგარი დიახ.
- ქრისიპოსი მამ, მენ რადგანაც სულიერი ხარ, ქეა ვერ იქნები.

- მუშტარი რა კარგი საქმე გამოიკეთე! რადგანაც უკვე ნიობეს მსგავსად თუძოები მიცივდებოდა და სულ მალე გამოიშვებოდა კიდეც. მე შენ გიყიდი. რამდენი უნდა გადავიხადო?
- პერმესი თორმეტი მნა.
- მუშტარი გამომარიოვი.
- პერმესი მხოლოდ შენ ყიდულობ მას?
- მუშტარი ზევსს გეფიცები, ყველასთან ერთად, ვისაც ხედავ.
- პერმესი მართლაც ბევრნი ყოფილან, ძლიერი მხრები უჩანთ და ამ „მოშკელის“ ღირსნიც არიან.
26. ზევსი ღროს ნულარ აცდენ, სხვა გამოიძახე.
- პერმესი მე ვუხზობ პერიპატეტიკოსს, ლამაზს და მდიდარს. მაშ, ასე, იყიდეთ აღმატებულად სამრიანი, რომელმაც იცის ყველაფერი და თანაც კარგად.
- მუშტარი ეგ ვინდა არის?
- პერმესი ზომიერი, სამართლიანი, ჰარმონიული ცხოვრების ნირით და რაც მთავარია, ორმაგი.
- მუშტარი რას ამბობ?
- პერმესი გარედან სხვა ჩანს, შიგნიდან კი სულ სხვა კაცია. ამიგომ თუკი იყიდი, მოგიწევს ერთმანეთისაგან განარჩიო ექსოტერიკული და ესოტერიკული.
- მუშტარი თავად რა იცის?
- პერმესი მან იცის, რომ არსებობს სამი სიკეთე, სულში, სხეულში და მათ გარეთ.
- მუშტარი კაცურად აზროვნებს. რა ღირს?
- პერმესი ოცი მნა.
- მუშტარი ძვირად აფასებ.
- პერმესი არა, ნეტარო. ჩანს, ის უფულო არ უნდა იყოს. ასე რომ, შენ არაფერს კარგავ, თუკი იყიდი. გარდა ამისა, შენ უმაღვე შეიგყობ მისგან რამდენ ხანს ცხოვრობს კოლო, რა სიღრმემდე ანათებს მზე ზღვას და როგორია ხამანწყის სული.
- მუშტარი პერაკლევე! ეს რა გამჭრიახობაა!
- პერმესი მაშინ რას იტყვი, თუკი გაიგებ უფრო საოცარ ამბებს: თესლსა და ჩასახვაზე, იმაზე, როგორ წარმოიქმნება ჩანასახი თავად საშობში, რომ მოცინარი ცხოველია ადამიანი, ვირი კი – არა

და რომ ვერს სულაც არ შეუძლია სახლებისა და ხომალდების შენება.

- მუშტარი ისეთი სასარგებლო და აუცილებელი რამ მაუწყე, რასაც უნდა დავეუფლო და ამიგომაც ოც მნად ვიყიდი ამ სიციცხლეს.
27. პერმესი კეთილი.
- ზეესი ვინლა შემოგვრჩა?
- პერმესი ეს სკეპტიკოსი დაგვრჩა. პირონ, გამოდი, სასწრაფოდ უნდა გამოგაცხადო. უმრავლესობა დაიშალა. მცირეოდენი ხალხის წინაშე გვიწევს ეაჭრობა. იქნება ვინმემ ესეც იყილოს?
- მუშტარი ალბათ, მე. თაედაპირველად იქნებ მითხრა, რა იცი?
- პირონი არც არაფერი.
- მუშტარი ასე რად ამბობ?
- პირონი იმად ვამბობ, რომ ჩემის აზრით არც არაფერი არ არის.
- მუშტარი არც ჩვენ ვართ?
- პირონი აბა, რა ვიცი.
- მუშტარი და არც ის იცი, შენ არსებობ თუ არ არსებობ?
- პირონი ეს სულ არ ვიცი.
- მუშტარი რა უმწეოა! ეს სასწორი კი რადაღ გინდა?
- პირონი მოსაზრებებს ვწონი და ვაფასებ; თუ დაეინახავ, რომ ისინი ერთთავად მსგავსნი არიან და ერთნაირად იწონიან, მაშინ ვარ სწორედ გატუნებული, რადგან არ ვიცი, რომელია უურო მართალი.
- მუშტარი კიდეე რას აკეთებ ხოლმე წარმატებით?
- პირონი ყველაფერს, გარდა ერთისა: გაქცეულ მონას ვერ მივსდე!
- მუშტარი ეგ რატომლა არ შეგიძლია?
- პირონი მიგომ, ძვირფასო, რომ ვერ დავიჭერ.
- მუშტარი ყველა საფუძველი მაქვს, ვიფიქრო, რომ მანგი ხარ და ბარმაცი. მაინც რა არის შენი მოძღვრების საბოლოო მიზანი?
- პირონი უმეცრება, შეუსმენლობა და დაუნახაობა.
- მუშტარი ასე გამოდის, რომ ყრუ-მუნჯი ხარ? განა ეს არ თქვი?

- პირონი უფრო მეტიც: უწესო ვარ, უგრძობელი და ჭიისაგან სულაც არაფრით განვსხვავდები.
- მუმტარი სწორედ ამიტომ ღირს შენი ყიღვა. რა თქვი? რა ღირსო?
- პერმესი ატიკური მნა.
- მუმტარი ინებუ. აბა რას იტყვი, ჩემო კარგო, გიყიდე თუ არა?
- პირონი არ არის ცხადი.
- მუმტარი ეს როგორ? მე ხომ გიყიდე და თან ფულიც გადავიხადე.
- პირონი თავს შევიკავებ საბოლოო პასუხამდე და დაფიქრდები.
- მუმტარი იცი რას ვეტყვი, აბა, ახლა გამომყევი, როგორც ეს მონას შეუფერება.
- პირონი ვინ იყის, მართალს ამბობ თუ ტყუილს.
- მუმტარი მონაგონია მაცნე, მნა და ვინც აქ არიან?
- პირონი აქ ვინმე არის?
- მუმტარი აი, წისქვილზე რომ გაგვზავნი უფრო ძვირფასი სიტყვებით, მაშინ დაგარწმუნებ, რომ ბატონი ვარ.
- პირონი არ ღაიჯერო.
- მუმტარი მევს გეფიციები, ხომ გითხარი ბატონი ვარ-თქო.
- პერმესი აბა, ნულარ ეპასუხები მაგ შენს მყიდველს და თან გაპყევი. თქვენ კი ხვალისთვის მობრძანდით. გაიყიდება კერძო პირთა – ხელოსანთა და ქორვაჭართა სიცოცხლეები.

შენიშვნები

ლუკიანოსის ქმნილებათა მკითხველი ადვილად იგრძნობს, თუ როდენ თავისუფლად მოამროენე იყო მათი ავტორი. მიუხედავად იმისა, რომ იგი არ გამოირჩეოდა სიღრმითა და ორიგინალობით, ხოლო ლიტერატურული ხერხები, რომლითაც სარგებლობდა, უკვე დიდი ხნის წინ იყო აღმოჩენილი, ის მაინც ითვლება თავისი დროის უადრესად საინტერესო მწერლად. ელინური კულტურის საუკეთესო გრადიციებზე აღმრდელმა ლუკიანოსმა მთელი თავისი ლიტერატურული ძალისხმევა წარმართა პოზიირობის, თაღლითობის, ცრურწმენათა და საერთოდ, სნობიზმის ყოველნაირი გამოვლინების წინააღმდეგ. თავად სოფისტურ იდეალებზე აღმრდელი ხშირად აქილიკებდა ამ ფილოსოფიური მიმართულების წარმომადგენლებს. მართალია, ყველაზე მეტად, განსაკუთრებით კი ცხოვრების ბოლოს, მას ეპიკურელთა შეხედულებები იზიდავდა, მაგრამ მაინც მახიობლობდა ყოველგვარ ფილოსოფიურ ღოგმატიზმზე, მეტადრე იმ კინიკოსებზე, რომელთა მოძღვრებასაც ის ხშირად მიმართავდა. დიალოგში, რომელსაც „სიცოცხლეთა გასაღება“ შეარქვა ავტორმა (ჩვენი ტერმინოლოგიით მას „აუქციონი“ შეიძლება ეწოდოს), გაქილიკებულია სხვადასხვა ფილოსოფიურ მიმდინარეობათა შეხედულებები.

1. დიალოგი იწყება მევისს გამოჩენით. იგი მიმართავს უცნობ გმირს, მოამზადოს ადგილი აუქციონისათვის. შესაძლოა, ეს იყოს პერაკლე, რადგანაც საუბრისას მის სახელს ხშირად მოიხსენიებენ. უცნობი რჩება, ვინ უნდა იყოს ის, ვინც აწესრიგებს და გასაყიდად ამზადებს ამ სიცოცხლებს.

2. „ეს გრძელკუდალებიანი იონიელი...“ გახლავთ ფილოსოფოსი პითაგორა (ძე.წ. VI ს.). მისი სამშობლოა კუნძული სამოსი, რომელიც ეგეოსის ზღვაში მდებარეობს.
3. „არც არაფერს გასწავლი, მხოლოდ გაგახსენებ“ – პითაგორას მოძღვრების თანახმად, ყოველი შეცნობა გახსენებაა იმისა, რაც აღამიანმა აღრეული არსებობის ქაშს შეიშენა.

„...კროსოსის ძე უნდა გაგეწერთნა“ – ცნობილია, რომ მიდიის მეფე კროსოსის ძე იყო ყრუ-მუნჯი.
4. „რასაც ოთხად თელი, ის ათია...“ – პითაგორელებს მიაჩნდათ, რომ ყოველი რიცხვი თავის თავში მოიცავს სხვა წინამძღვალ რიცხვებს. ოთხიანი მიაჩნდათ: სამი, ორი, ერთი; ათიანი არის ჯამი ოთხის, სამის, ორისა და ერთის. გოლფურდა სამკუთხედი გამოისახებოდა ისეთ პირამიდად, რომლის საფუძველშიც იდო, ოთხიანი: ეს რიცხვი პითაგორელთა საფიქარი იყო, რადგანაც სწორედ მას მიიჩნევდნენ ბუნების ყველა ელემენტის შემუცლელ მარადიულ წყაროდ.
6. „ათენელები, კანონის ძალით, სწორედ მარცვლებით ირჩევენ ხელისუფალთ...“ – ძველად, საბერძნეთში მარცვლებით ხდებოდა კენჭისყრა. „თეთრი მარცვლები“ მომხრეთა მარჯვენებელი იყო, „შავი მარცვლები“ კი მოწინააღმდეგეთა.
„მნა“ (μνᾶ) არის 1/60 გალანგონი, რაც მიესადაგება 100 ატიკურ ღრამქას.

„ღიალი ულადა“ – ასე მოიხსენიებდნენ ძველად იგალიასა და სიცილიას.
7. „ეი, მენ, გუდინარო, დაძონილი ლაბადით...“ – აი, ასე წარმოადგენს პერმესი ფილოსოფოს ღიოგენესს (ძე.წ. 413-323 წწ). იგი წარმოშობით კაპადოკიის სინოპედან იყო, რომელიც პონტოს ზღვის აუშს ეკუთვნოდა. ღიოგენესი თავის თავს კინიოსად თვლიდა. ეს იყო ბერძნული ფილოსოფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სკოლა, რომელმაც თავისი სახელი მიიღო სიცილიიდან „κῆρυξ“ (ძალი), რადგანაც ამ სკოლის დამფუძნებელს, ანგისთენესს მიაჩნდა, რომ აღამიანმა უნდა იცხოვროს „ძალღურად“. კინიოსები უარყოფდნენ კულტურას, ხელოვნებას, სახელმწიფოს, შეცნობებს, სამოგალოებას, ოჯახს, ქონებას. ისინი საკუთარ თავს „კოსმოპოლიტიკსად“ („მსოფლიოს მოქალაქედ“) მიიჩნევდნენ და მონოთეისტურ შეხედულებებს ქადაგებდნენ.
8. „განა ვის ჰბაძა? – პერაკლეს“. – კინიოსები პერაკლეს თავისუფლების იდეალად მიიჩნევდნენ.
9. „...ბინას დაიდებ... თიხის კასრში...“ – შეადარე: ლუკიანოსი, „როგორ უნდა დაიწეროს ისტორია“.

„ღიალი მეფე“ – ასე მოიხსენიებდნენ სპარსეთის მეფეს.

ვერიპიდეს გამონათქვამისთვის იხ. „ორესტისი“, სტრ. 608.
10. „...მეჭამე უმი პოლიპი ან მელანთევმა...“ – ვადმოცემის თანახმად, პითაგორამ, იმის დასამტკიცებლად, რომ აღამიანს მეუძლია იოლად გავიდეს მოუშმადებელი საკვებითაც კი, მიირთვა უმი პოლიპი (სხვა ვერსიით, ხამანწკა). მაგრამ იმჯერად არ გაუმართლა და ამ უმ საკვებს შეეწირა.
12. „...იმ კირენელს, ძოწისფერი მოსასხამით...“ – იგულისხმება კირენელი ფილოსოფოსი არისტეპოსი, სოკრატეს მოწაფე, რომელმაც დააარსა კირენის ფილოსოფიური სკოლა.
13. „...მოცინარი აბღრელი და მოგირალი ეფესოელი...“ – ლუკიანოსი მოცინარ ფილოსოფოსად მიიჩნევს დემოკრიტოს აბღრელს (ძე.წ. 460-370 წწ.), რომელიც ანტიკური მაგერიალიზმის უმნიშვნელოვანეს წარმომადგენლად

ითვლება, ხოლო მოტირალ ფილოსოფოსად – პერაკლიტოსს ეფესოსიდან (ძვ.წ. 576-480 წწ.), რომელსაც ეკუთვნის სამყაროს ერთიანობის იდეა (მღრ. ლუკიანოსი, „როგორ უნდა დაიწეროს ისტორია“).

14. „...შხედელელობაში მაქვს საყოველთაო ხანძარი და სამყაროს შეცელა...“ პერაკლიტოსის მოძღვრების თანახმად, სამყაროს არსი ცეცხლია. ყველაფერი წარმოიქმნება ცეცხლიდან და განუწყვეტლივ იცვლება რა, ისევე ცეცხლად გარდაიქმნება. ფილოსოფოსის აზრით, თანამედროვე სამყარო თავის საწყის მდგომარეობას უნდა დაუბრუნდეს „მსოფლიო ხანძრის“ გზით.

„ლოქსიასი“ – იგულისხმება აპოლონი.

15. „...ათენელი... ბერს რომ ლაქლაქებს“ – ეს ათენელი სოკრატეა, პლატონის დიალოგების მთავარი მოსაუბრე.

17. „...ეცხოვრობ ჩემს მიერ შექმნილ სახელმწიფოში...“ – ეს უკვე პლატონის აზრია, რომელსაც ლუკიანოსი სოკრატეს მიაწერს.

21. „ძირითადი“ და „მეძირითადი თვისებები“ – სტოიკოსთა ლოგიკური კატეგორიებია.

22. „...მას თვალი მოჰკრა ნიანგმა და მოიგაცა...“ – ე.წ. „ნიანგის სილოგიზმის“ თაობაზე მღრ. ლუკიანოსი, „პერმოტიკოსი“, 81.

23. „...შხამას ნახარში არ შეგისუამს...“ – ლუკიანოსი მიგვანიშნებს სტოიკოსთა გამონათქვამზე: „უამრობის ყოველი გამოვლინება არის სიგიჟე“. სიგიჟის განკურენის უმთავრეს საშუალებად კი ბერძნებს მიაჩნდათ შხამას ნახარში.

„– გნიფონი და შეეახმე...“ – გნიფონი ლუკიანოსთან „ძენწის“ განმოგადებული სახელია. მღრ: „გადასელა“, 17; „სიმშარი ანუ შამალი“, 30; „ტიმონი“, 58.

25. „...ასე მგონია, მენ პერსეუსი არ უნდა იყო...“ – ბერძნული მითოსის თანახმად, პერსეუსი მელემას მოკვეთილი თავით ქვად აქცევედა ხოლმე მოქიშპეს. მღრ: ლუკიანოსი, „მღვის დიალოგები“, 16.

„– ნიობეს მსგავსად თემოები მიცივდებოდა...“ – ბერძნულ მითოსში ნიობე, განგალოსის მშენიერი ასული, უდიდესი მწუხარების გამო ქვად გარდაიქმნა. ყველაფერი კი ასე მოხდა: ნიობეს თებეს მეფე ამფიონისგან ექვის ვაჟი და ექვის ქალიშვილი ჰყავდა. ამის გამო გაკანდიერებულმა ლეგომე მალდა სცადა თავისი თავის დაყენება, რადგანაც ქალღმერთი მხოლოდ ორი შეიღის ღელა იყო. მან აუკრბალა თებელ ქალებს ლეგოს თაყვანისცემაც კი. განრისხდნენ ლეგოს ნაშიერები, აპოლონი და არტემისი და ნიობეს შეიღები ამოუწყვიტეს. ამ უბედურების მხილველი ღელა გაქვედა.

„მოშკელი“ – სოფიზმის ერთ-ერთი ნაირსახეობა.

თარგმნა ნანა ტონიამ

ლონგოსი

(ახ. წ. II ს.)

მსოფლიო ლიტერატურაში რომანი „დაუნისი და ქლოე“ თავისი მხატვრული ღირსებების გამო დამსახურებული პოპულარობით სარგებლობდა. მისი ავტორის, ლონგოსის ბიოგრაფია უცნობია. მკვლევართა შორის დავას იწვევს ნაწარმოების შექმნის თარიღიც. ყველა მოსაზრება, რომელიც რომანის ავტორს ან მისი ქმნილების დათარიღებას ეხება, თავად ტექსტის ანალიზს ეფუძნება.

„დაუნისი და ქლოე“ გვიანბერძნული ლიტერატურის სხვა ქმნილებათაგან თავისი სრულყოფილებით გამოირჩევა. მასში, სოფისტური რომანებისაგან განსხვავებით, მოქმედება ბუკოლიკურ გარემოში ვითარდება, იქ, სადაც მწყემსური დეტალები შემწვდ ევლინებიან რჩეულ გმირებს. თხრობა გახალისებულია „ახალი კომედიისათვის“ დამახასიათებელი ყოფითი მოტივებით.

რომანი ოთხი წიგნისგან შედგება. მისი სიუჟეტი მოკლედ ასეთია: სილარიბის გამო მშობელთაგან მიტოვებული დაუნისი და ქლოეც კუნძულ ლესბოსის ერთი სოფლის სხვადასხვა ოჯახში იმრდებოდნენ. მათ ბავშვობიდანვე შეუყვარდათ ერთმანეთი და ამ სიყვარულით ბუნების წიაღში მშვიდად ნებიერობდნენ, ვიდრე ეს სოფლური იდილია არ დაარღვია ისევე მწყემსმა, თუმცა სულ უცხო აღამიანმა. აქედან იწყება რომანისათვის აუცილებელი თავგადასაქვლები: მოგაყება, გყვეობა, ხომალდის ჩაძირვა, ფულით სავსე ქისის აღმოჩენა და სხვაე მრავალი მოულოდნელობა, რა თქმა უნდა, ბედნიერი დასასრულით: მშობლები პოულობენ შვილებს და ბუნების წიაღში უხდიან ქორწილს.

თარგმანი:

ლონგე, დაუნისი და ქლოე, ფრანგულიდან თარგმნა იროდიონ ქაეყარაძემ, თბილისი 1970 წ.

დაუნისი და ქლოე

1. 1

ლესბოსზე არის ქალაქი მიტილენე, დიდი და ლამაზი. დასერილია არხებით, სადაც მღვა იღვრება, შემკულია თლილი და ქათქათა ქვის ხილებით; გეგონება, რომ კუნძულს ხედაე და არა ქალაქს. მიტილენედან დაახლოებით 200 სტადიონზე მდებარეობდა ერთი მდიდარი კაცის მამული, უღამამესი სამფლობელო: ნადირით სავსე მთები, ხორბლიანი მინდერები, ვაზის ბორცვები, საძოვრებზე ჯოგები. მღვაე თვალუწვედენელი ნაპირის ხავერდოვან ქვიშნარს ეღამუნებოდა.

1. 2

ერთხელ, როცა მწყემსი ლამონი ამ მინდორში თხას მწყემსაედა, ჩვილი ბავშვი იპოვა, რომელსაც თხა კეებაედა. იქ იყო გყე, ეკლიანი ბუჩქნარი, ხშირი სურო და ნაზი ბალახი, სადაც ჩვილი იწვა. სწორედ აქ მორბოდა ეს თხა გამუღმებით, ხშირად გაუჩინარდებოდა, თავის თიკანს მიატოვებდა და ახალმობილთან რჩებოდა ხოლმე. ლამონი თვალყურს ადევნებდა მის აქეთ-იქით სირბილს, გული შესტკიოდა მიტოვებულ თიკანზე. ერთხელ შუადღისას კვალდაკვალ აედენა და ხედაეს, რომ თხას ფრთხილად გაუშლია ფეხები, ჩლიქებით რომ არ დაეზიანებინა ჩვილი. ის კი ხარბად ისრუტაედა

რძეს თითქოსდა დედის მკერდიდან. გაოცებული, რაც ბუნებრივი იყო, მიუახლოვდა მათ და ჩვილი ბიჭუნა აღმოაჩინა, დიდი და ლამაზი, ძვირფას სახვევებში, რაც იმაზე მეტყველებდა, რომ ბედის ანაბარა იყო მიგდებული. თან ჰქონდა მეწამული ქლამისი, ოქროს შესაკრავი და სპილოსძელის გარიანი პატარა სანჯალი.

1. 3

თავდაპირველად ლამონმა განიზრახა, რომ მხოლოდ საჩინო ნიშნები აეღო და ჩვილზე აღარ ეზრუნა. შემდეგ კი შერცხვა, რომ ლმობიერებით თხასაც კი ვერ შეედრებოდა. ღამით დაუდარაჯდა და ყველაფერი: საჩინო ნიშნები, ჩვილი და თვით თხაც თავის ცოლს, მირტალეს წაუღო. ქალი გაოცდა, ნუთუ თხები შობენ ბავშვებსო, ქმარმა კი მას ყველაფერი უამბო, თუ როგორ იპოვა მიტოვებული ჩვილი და იხილა, თუ როგორ იკვებებოდა, ისიც არ დაუმალა, თუ როგორ შერცხვა, სასიკედილოდ განწირულს მიტოვებას რომ უპირებდა. ლამონმა ცოლი დაიყოლია მიტოვებული ნიუტები გადაემაღათ, ბავში საკუთრად ეცნოთ, ხოლო თხისთვის მისი გამოკვება მიენდოთ; გადაწყვიტეს, მისთვის დაფინანსებულ დაერქმიათ, რათა ბავშვს მწყემსური სახელი ჰქონოდა.

1. 4

ორი წელიწადი რომ გაილია, დრისს, რომელიც მემობელ მინდორში ნახირს მწყემსადა, მსგავსი რამ შეემთხვა, იპოვა და ნახა. იქ უზარმაზარ მომრგვალებულ კლდეში ცარიელი ნიშნების გამოქვაბული იყო, სადაც ქვაში გამოსახული იყო თვით ნიშნების ქანდაკებები, ფეხშიშველნი, შეუმოსელი მკლავებითა და მხრებით, რომელთაც კეფამდე კულულები ეყარათ, თებობებზე ქამარი ერგყათ. წარბებში ღიმილი ჩაღვროდათ, ყველაფერი ეს კაცს ფერხულს მოაგონებდა. ნიშნების გამოქვაბულის შესასვლელი ვეება კლდის შუა ადგილას იყო, წყაროდან მომჩქეფარე წყალიც აქვე ჩუხჩუხით მოედინებოდა, გამოქვაბულის წინ კი საუცხოო მდელი გადაშლილიყო, სადაც ხშირი, ნაზი ბალახი ნამით იელინებოდა...

1. 5

ერთი ცხვარი, სულ ახლახან რომ მოეგო ბაგკანი, ისე ხშირად დარბოდა ამ ნიშნეონისკენ რომ ბევრჯერ უფიქრით დაიკარგაო. მწყემსმა გადაწყვიტა ცხვარი დაესაჯა და მისთვის ჰკუა ესწავლებინა. მწვანე წნელისგან ბორკილის მსგავსი მარყუეი დაწნა და ცხვრის დასაჭერად კლდისაკენ გასწია. ახლოს რომ მივიდა, ნახა არა ის, რასაც მოელოდა, არამედ დაინახა ცხვარი, რომელიც ფრთხილად თავის რძით სახე ჯიქანს აწოდებდა ბავშვს, ჩვილი კი მშვიდად ხან ერთ ძუძუსთაეს და ხანაც მეორეს შეაველებდა თავის სპეგაკსა და უნაღვლო პირს, ხოლო ცხვარი მას დანაყრების შემდეგ ვნით სახეს ულოკავდა. ჩვილი გოგონა იყო და მასთანაც ეწყო სახვევები და საჩინო ნიშნები: ოქრომკედით ნაკეთი თავსაბურავი, მოოქროვილი სანღლები და ოქროს სამკაული.

1. 6

ნაპოენი ბავში მწყემსმა ღვთიურ განგებად მიიჩნია და ჩვილი ხელში აიყვანა, ბავშვის შებრალება და სიყვარული მას ხომ ცხვარმა ასწავლა. საჩინო ნიშნები გულში ჩაიწყო და გოგონას მფარველ ნიშნებს შეევედრა, რომ მის ბედნიერად

აღზრდაში შეწეოდნენ. ცხერის მინ გარეკვის დრო რომ დადგა, დრინასი სახლში დაბრუნდა, თავის ცოლს ნანახი უამბო და ნაპოვნი უჩვენა, თან დაიყოლია, გოგონა საკუთრად ჩაეთვალა და, საიდუმლოს გაუმჟღავნებლად, ღვიძლი შეილივით აღეზარდა. ნაპე, მას ასე ერქვა, ნამდვილ დელობას უწევდა და ალერსს არ აკლებდა გოგონას, თითქოსდა, შიმობდა ცხვარს დელობაში არ ჩამორჩენოდა. სარწმუნო რომ ყოფილიყო, გოგონას მწყემსურ სახელს, ქლოეს დაარქმევენ.

[ბავშვები მალე გაიზარდნენ და სოფლის მკვიდრთა შორის სილამაზით გამოირჩეოდნენ. განუყრელად მუდამ ერთად დადიოდნენ იალაღებზე. ერთხელ ქლოე დაფნისს შეესწრება ბანაობისას და მის მიმართ უცნაური გრძნობით განიმსჭვავლება].

1. 14

„ახლა ავად ვარ, მაგრამ რითი ვარ სნეული არ ვიცი. მტკივა, თუმცა ჭრილობა არ მაქვს, ვდარდობ, თუმცა არცერთი ცხვარი არ დამკარგვია, ცუცხლი მეკიდება და ამიგომ ვზივარ ასეთ ჩრდილში. რამდენ ეკალს დაუჩხველეკივარ და არ მიგირია, რამდენ ფუტკარს დაუნესტრივარ და ამიგანია. მაგრამ ის, რამაც გულში დამჭრა, ყველაფერ ამაზე უფრო მწარეა. ლამაზია დაფნისი, მაგრამ ყვაილებიე ხომ მშენიერნი არიან, საამურად ეღერს მისი სალამური, მაგრამ ბუღბუღებიე ხომ საამოდ გალობენ, თუმცა ჩემს გულს ახლა არაფერი აღეღებებს. ნეგა, მის სალამურად მაქცია, სუნთქვა რომ ჩამბეროს, ნეგა, მის თხად მაქცია, მან რომ მომწყემსოს. ო, ბოროტო ნაკადულო, მხოლოდ დაფნისი გაამშენიერე, მე კი ამაოდ ვიბანავე შენს წყალში? ვიღუკები, საყვარელო ნიშუებო, ვერც თქვენ შეეწეით იმ ქალწულს, რომელიც თქვენს თვალწინ გაიზარდა. ეინდა შეგამკობთ ჩემი სიკვდილის შემდეგ? ეინ გამომზღდის საბრალო ბატკნებს, ჭორიკანა ჭრიჭინაზე ეინ იზრუნებს, რომელიც რის ვაი-ვაგლახით დაეიჭირე, მის ჰანგებში რომ ჩამძინებოდა მღვიმესთან. ახლა კი დაფნისმა ძილი გამიკრთო და ჭრიჭინაე ამაოდ ყბეღობს“.

[ქლოე შეუყვარდება მწყემს ღორკონს და მისი გულის მოგებას ცდილობს, იგი დაფნისს ეჯიბრება სილამაზეში. ქლოე კოცნით დაფნისს დაასაჩუქრებს, რის გამოც ღორკონი დაფნისს გადაემტკრება. ქლოეს კოცნის შემდეგ დაფნისს უცნაური გრძნობა შეიპყრობს].

1. 18

„ეს რა მიყო ქლოეს კოცნამ? მისი გუჩები ვარღმე ნაზია, მისი ბაგე თაფლზე ტბილია, მისი კოცნა ფუტკარის ნესტარზე უფრო მწარეა. ბევრჯერ დამიკოცნია თიკნები, ბევრჯერაე ახალშობილი ლეკვები და ხბოც, რომელიც ღორკონმა მაჩუქა, მაგრამ ეს კოცნა სულ სხვაა; სუნთქვა მეეკრება, გული ამოხგომას ლამობს, სული მეღევა, მისი კოცნა კვლავ მწალია. ო, ავისმომგანო გამარჯვებაე, ო, უცნაურო სნეულებაე, რომლის სახელიც კი არ ვიცი, იქნებ ქლოემ მხამი იგემა, სანამ მე მაკოცებდა? მაგრამ მაშინ ცოცხალი როგორღა გადარჩებოდა? როგორ საამოდ გალობენ ბუღბუღები, ჩემი სალამური კი სღუმს; როგორ მკეირცხლად დახგინ ბატკნები, მე კი დამამურალი ეზივარ, როგორ ხარობენ ყვაილები, მე კი გვირგვინებს არ ეწნავ. ია და სუმბული ყვავის, დაფნისი კი ჭკნება. ნუთუ მალე ღორკონი მაჯობებს სილამაზით?“.

ერთხელ, როცა დაუნისი შუაღლისას სალამურზე უკრავდა და ფარა ჩრდილში წამოწოლილიყო, ქლოეს შეუძმნევლად ჩასთვლიდა. ეს რომ დაუნისმა შეამჩნია, სალამური გვერდზე გადადო და ხარბად დაუწყო თვალთვლება მთელს მის არსებას, რადგან მისი უკვე აღარ რცხვენოდა, და თან თავისთვის ჩუმად ჩურჩულებდა: „რა საუცხოოდ თვლემენ მისი თვალები, რა სურნელს აფრქვევენ მისი ბაგენი; ასეთი სურნელი არ აქვს არც ვაშლებს, არც ბუჩქებს. მაგრამ მისი კოცნის მეშინია, რადგან გულში დამკრის და გამახულებს; ვმიშობ, ვაი თუ, კოცნისას გაეაღვიძო. ოჰ, ეს ყბელი კალიები, ხმამაღალი ჭრიჭინით ქლოეს ძილს რომ უფრთხობენ, თხებიც ერთმანეთს რქებით ერკინებინ, ო, მელიებზე მშიმარა მგლებო, რაგომ მათ არ მოიტაცებთ“.

1. 27

[ერთხელ დაუნისმა და ქლოემ გყეში მოლულუნე მგრედი დაინახეს, დაუნისმა საგრფოს ცნობილი მღაპარი უამბო მგრედის შესახებ].

„ოი, ქალწულო, ისიც შენსავით ლამაზი იყო და გყეში ნახირს მწყემსაედა. საუცხოოდ მღეროდა და ძროხებიც კბებოდნენ მისი სიმღერით, ასე რომ, მათ მოსათვინიერებლად არც სახრის მოქნევა სჭირდებოდა და არც ჯოხის მოღერება. ფიჭვის ქვეშ იჯდა და თავიც ფიჭვის გვირგვინით შეემკო და თან პანსა და პიგისზე მღეროდა, მისი ხმით მონუსხული ძროხებიც შორს არ მიდიოდნენ. იქვე, მახლობლად ერთი ყმაწვილი მწყემსაედა ხარებს და ისიც ისეთი მშვენიერი იყო და სიმღერაც ისეთი საამო იყო, როგორც ქალწულმა. ბიჭს სურდა გოგონას სიმღერაში გასჯიბრებოდა; მას, როგორც მამაკაცს, ძლიერი და, როგორც ჯერ კიდევ ყმაწვილს, ტკილი ხმა პქონდა; რეა საუკეთესო ძროხა სიმღერით მონუსხა და საკუთარ ნახირში გადაიბირა; დარდობს ქალწული თავისი ნახირის დანაკლისს, ასევე იმას, რომ სიმღერაში დამარცხდა და ევედრება მფრთებს ფრინველად აქციონ, ვიდრე სახლში მივა. მფრთებმა შეისმინეს მისი და ფრინველად აქციეს, რომელიც მასავით მთაში ცხოვრობს და მღერის და კვლავ თავისი უბედურების შესახებ ჰყვება, ღღემდე გამაკვალარეულ ძროხებს რომ დაექებს“.

[ჭირისელი ყაჩაღები მიტილენესთან ახლოს, ლესბოსზე მოადგნენ ნაპირს. დაუნისი დააგყვეეს, დორკონი მოკლეს და მისი ხარები გემზე გარეკეს. ქლოე დორკონის სალამურზე დაკვრას იწყებს. ხარები, პატრონის სალამურის პანგების გაგონებაზე გემიდან წყალში ხტებიან და მას აყირავებენ, ყაჩაღები იღუპებიან, დაუნისი გადარჩება. მოგვიანებით ყაჩაღები ქლოეს გაიტაცებენ. უბედური დაუნისი ნიმფებს შესჩივის:]

2. 22

„თქვენს თვალწინ მოიტაცეს ქლოე, თქვენ კი ამას გულგრილად უყურეთ? ქლოე, რომელიც თქვენ გვირგვინებს გიწნავდათ, რომელიც ახალ ნაწველ რძეს პირველად თქვენ გწირავდათ, რომელმაც გიძღვნათ სალამური? მგელს ჩემთვის არცერთი თხა არ მოუტაცინია, მგრებმა კი მთელი არვე მომტაცეს და ისიც კი არ დაინდეს, ვინც ჩემთან ერთად მწყემსაედა; თხებს ატყავებენ, ცხვრებს ყელს სჭრიან; ქლოე, ალბათ, სამუდამოდ ქალაქში დარჩება საცხოვრებლად. რა ფეხით უნდა მივიდე მამასთან და დედასთან თხების გარეშე, ქლოეს გარეშე? ამიერიდან უქმად უნდა ვიჯდე, რადგან მოსამწყემსისი აღარაფერი მაქვს. აქ დავწვები და დაველოდები სიკვდილს ან კიდევ

სხვა შემოსევას; ნუთუ შენც ასე იგანჯები, ქლოე? ნუთუ გახსოვს ეს მინდორი, ეს ნიმფები და ნუთუ გახსოვარ მე? თუ ახლა ცხერები განუგემებენ და შენთან ერთად დატყვევებული თხები?”

[დაფნისის ვედრებით, ღმერთების შემწობით უვნებელი ქლოე შინ ბრუნდება. ლამონი ბედნიერებით აღსავსე დაფნისსა და ქლოეს სირინქსის ამბავს უყვება]

2. 34

„ეს სირინქსი ადრე სულაც არ ყოფილა სალამური, არამედ მშვენიერი ქალწული იყო, რომელიც მღეროდა, თხებს მწყემსავდა, ნიმფებთან ერთად უკრავდა, და ღიღინებდა როგორც ახლა. ერთხელ, როცა ის მწყემსავდა, დაკვრითა და სიმღერით იყო გართული, მასთან წინით შეპყრობილი პანი მიიჭრა, რომელიც ასულს შეჰპირდა, რომ ყველა მისი თხა გყუპ თიკანს მოიგებდა. ქალწულს მისი სიყვარული სასაცილოდაც არ ეყო და უთხრა, რომ საგრფოდ ვერ გაიხდიდა მას, ვინც არც მთლად თხა იყო და არც მთლად ადამიანი. პანი ძალადობაზე გადავიდა და ქალწულს თავს დაესხა; სირინქსი გაექცა პანსაც და მის ძალმომრეობასაც. ლტოლვილი და დამაშვრალი ლერწმებს შორის ჩაიმაღა, ჭაობში ჩაფლული. განრისხებულმა პანმა ლერწმები სულ ერთიანად გაკაფა, თუმცა ქალწული ვეღარ იპოვა და მიხედა, რამიყ იყო საქმე; პანმა მამინ საკრავი გამოიფონა, უსწორმასწორო ლერწმის ღეროები ერთმანეთს ცვილით გადააბა, ნიშნად მათი უთანასწორო სიყვარულისა. აი ასე, ვინც ოდესღაც ლამაზი ქალწული ყოფილა, ახლა კეთილხმოვანი სირინქსია ოდენ“.

3. 23

[დაფნისი ქლოეს უამბობს თქმულებას ექოს შესახებ]

„ქალწულო, არსებობენ ნიმფები წყაროსი, ტყისა და ჭაობისა, ყველა ლამაზია, ყველა მუსიკალური. ერთმა მათგანმა შვა ექო, რომელიც მამასავით მოკედავი იყო და ღელასავით მშვენიერი. მას ნიმფები ზრდიდნენ, მუშები კი სალამურზე და ფლეიგაზე დაკვრას ასწავლიდნენ, ასევე ღირაზე და კითარაზე ყოველგვარი ჰანგის დამღერებასაც. ქალწულობაში შესული ექო გაიფურჩქნა, ნიმფებთან ერთად ცეკვავდა და მუშებთან ერთად მღეროდა. ყველა მამაკაცს, იქნებოდა ის ღმერთი თუ ადამიანი, გაურბოდა, რადგან თავისი სიქალწულე უყვარდა მეგად. პანი ექოზე მრისხანებდა, რადგან მისი სიმღერის შურდა, თან ისიც კარგად იცოდა, მისი სილამაზით ტკობა რომ არ ეწერა, ამიგომ მეცხვარეებსა და თხის მწყემსებს ცოფი შეჰყარა, ხოლო მათ ავი ძაღლებივით თუ მგლებივით დაფლითეს ქალწული, მისი სხეულის ნაწილები კი, რომლებიც ღღემდე მღერიან, ირგელივ, მთელს ღელამიწაზე მიმოფანტეს. მას შემდეგ ღელამიწა, ნიმფების საამებლად რომ ექოს სხეულის ნაწილები თავის წიაღში გადამალა, პანგი შეინახა და, მუშების ნებით ხმას გამოსცემს და ჰბაძავს ყოველიერს, როგორც ოდესღაც თვით ქალწული ჰბაძავდა ხოლმე ღმერთებსა და ადამიანებს, საკრავებსა და ცხოველებს; ჰბაძავს თვით პანსაც, როცა ის სალამურს აქლერებს, რომელიც ამ პანგების გაგონებაზე წამოხტება და ხმას მთაში აედევნება, თუმცა მის დაჭერას სულაც არ ლამობს, მხოლოდ ის სურს შეიგყოს, თუ ვინ არის მისი იდუმალი მოსწავლე“.

[დაფნისმა თავისი ნამღვილი მშობლები იპოვა. ქლოე შიშობს, რომ დაფნისი, რომელიც ღიდგეაროვანი ოჯახის შვილი აღმოჩნდა, მას თავს აღარ გაუყარებს].

„დაუნისმა დამივიწყა: ალბათ, მდიდარ ქორწილზე ოცნებობს ახლა; რატომ ვუბრძანე, რომ ნიმუების ნაცულად თხები დაეფიცნა? ისინიც ხომ ისევე მიატოვა, როგორც მე, ქლოე. სულაც არ მოსურვებია ჩემი ნახვა, როცა ნიმუებსა და პანს მსხვერპლს სწირაუდა. ალბათ, დედამისთან ჩემზე უკეთესი მხეველები იპოვა. დე, ბედნიერი იყოს, მე კი დიდხანს აღარ ვიციოცხლებ“.

[მწყემსმა ლამპისმა, რომელსაც ქლოეს ცოლობა ეწადა, დრო იხელთა და მოიგაყა იგი. გნათონმა ქალიშვილი ტყვეობიდან იხსნა და დაუნისს უვნებელი დაუბრუნა. ამასობაში ქლოეს ნამდვილი დედ-მამაც გამოჩნდა. მშობლებმა დაუნისსა და ქლოეს დიდი ქორწილი გადაუხადეს და მას შემდგომ ისინი ბედნიერად ცხოვრობდნენ].

თარგმნა მაია დანელიაშ

პელიოლოგოსი

(III-IV სს.)

II საუკუნიდან მოყოლებული საგრფიალო რომანი სოფისტიკის ლიტერატურულ გაე-
ლენათა ქვეშ ექცევა. „დახეწილი უბრალობა“, რომელსაც დეკლამაციური ამბულე-
ბულობა ენაცვლება, მრავალრიცხოვანი რიტორიკული გადახევეები და აღწერები,
ტრაგიკულობის განცდამე ორიენტირებული პათეტიკურ სიტუაციათა სიმრავლე,
„უჩვეულო“ მოვლენათა წარმოჩენისკენ მიდრეკილება – სოფისტურ რომანთათვის
ნიშანდობლივ მანერულობას განაპირობებენ. ამ სტილის თვალსაჩინო წარმომ-
ადგენელია ფინიკიელი პელიოლოგოსი, გვიანანტიკური ხანის ყველაზე ვრცელი
რომანის ავტორი, რომლის ბიოგრაფიის დამუსტგებული ცნობები დღემდე არ მო-
გვეპოვება.

თხზულება ათი წიგნისაგან შედგება. მისი მოკლე შინაარსი ასეთია: ეთიოპიის
მეფის ასული ქარიკლეა უჩვეულოდ ღია ფერის კანით დაიბადა, რის გამოც
შეშინებულმა დედოფალმა იგი ეთიოპიას გაარიდა. გოგონა დედოფოს ქურუმმა იშვილა.
აქ მას მშვენიერი ჭაბუკი, თეაგენესი გაუმიჯნურდება. შეყვარებულები დედოფლან
გარბიან. მათ დახმარებას უწყებს ეგვიპტელი მისანი, რომელიც ქარიკლეს დაბადების
ამბავს ამოიკითხავს იმ რიღემე, დედისგან რომ შემორჩა გოგონას. ახლა უკვე
ღტოლეილებს ახალი თავგადასაველები ელით, რომელთაგან ყველაზე სახიფათო
ბაბილონში მონად მოხვედრილი თეაგენესის ამბავია. აქ იგი მეყვარდება სატრაპის
მეუღლეს, რომელიც, უპასუხოდ დატოვებული და შეურაცხყოფილი, ჭაბუკს
საპყრობილეში ჩააგდება. მალე იქ აღმოჩნდება ქარიკლეაც. მრავალგმისი განშო-
რებისა და შეერთების შემდეგ პელიოლოგოსი თავის გმირებს ჩაიყვანს ეთიოპიაში,
სადაც მათ მშისა და მთუარის საკურთხეველებზე შეწირვას დაუპირებენ. ამასობაში
დედოფალი იცნობს თავის ასულს და ყველაფერი ქორწინებით დამთავრდება.

შუა საუკუნეების ბიზანტიაში პელიოლოგოსის ეს ერთობ პოპულარული თხზულება
XVI საუკუნეში დასაველეთუეროპელ ხალხთა თითქმის ყველა ენაზე ითარგმნა. დიდი
იყო მისი წელილი XVII საუკუნის ფრანგული, ხოლო შემდეგ კი მთელი ეუროპული
რომანის განვითარების ისტორიაში.

თარგმანი:

პელიოლოგოე, ეთიოპიკა, ძველებრძნული რომანი, თარგმანი გიგლა სარიშვილისა, შესაველი
წერილი ალექსანდრე ალექსიძის. თბილისი, 2008. II.

ეთიოპიკა

წიგნი პირველი

ის იყო დილამ ქვეყანას შესცინა და მშის პირველი სხივი მთის კორგოხებს დაეცა,
როცა ყაჩაღურად აღჭურვილი რამდენიმე კაცი კონცხს მოადგა ნილოსის
შესართათთან, პერაკლეოტიკონს რომ ეძახიან. ისინი წამით შედგნენ და წინ
გაწოლილ ზღვას გახედეს. ჯერ თეალებით აწონ-დაწონეს ზღვის სიერუე; არავითარ
სიკეთეს არ უქადაა იგი ყაჩაღებს. ანაზდად მათი ყურადღება მახლობელმა ნაპირმა
მიიქცია. იქ კი, აი, რა იყო: ზედ ნაპირთან, ნავსაბმელზე იღვა საგვირთო ხომალდი,
რომელზედაც ძე ხორციელი არ ჭაჭანებდა. ხომალდი საქონლით იყო დატვირთული.
ამას შორიდანაც იოლად შეამჩნევედა კაცი – გემი სიმძიმით წყალწყვის შესამე
სარტყელამდე უწყედა. ნაპირზე ნაბრძოლ-ნამუსრევი გვაშები ეყარა – ზოგი მკედარი
იყო, ზოგიც სულს ღაფაედა. ეს გვაფიქრებინებდა, რომ ბრძოლა ახალმიწყნარებული

იყო. აქ მარტო ბრძოლის ნიშნები კი არ იყო ცხადი, – მასში არეული იყო უბადრუკი ნაშთი ხოცვა-ჟლეტით დასრულებული, ავებლითი ლხინისა. იქვე ეყარა მაგიდები – ზოგი ხორავით გაწყობილი, ზოგიც იქვე დამზობილი, რომელსაც ჯერაც ჩაფრენოდნენ მომაკვდავ ადამიანთა ხელები; ზოგი მაგიდა იარაღად გამოიყენებინათ მოულოდნელ ბრძოლაში. ზოგიც, ეგყობა, თავის გადასარჩენად შემძვრალიყო მის ქვეშ. ყოველ კუთხეში ეყარა ფიალები, ისინი ხელიდან გაეარდნოდათ მესმურეებს და იმათაც, ვისაც იგივე ფიალები ქეის მაგიერ აეღოთ ხელში. უცაბედმა უბედურებამ ახლებურად ასწავლა მათ საგანთა ხმარება და აიძულა ისინი, ფიალები საცყორცნ პოროლებად გამოიყენებინათ. ძირს ეყარნენ – ვინ ცულით დაჩეხილი, ვინ ნაპირიდან აკრეფილი ქვით დაჯეჯვლი; აქ ხელ-კეტით დაღურჯებული გდია. ეგერ თავგაფხრეწილი ან სხვა ჯურის იარაღით მკვდარი. უმეტესობა კი ისრით განგმირულა.

განგებამ მრავალს შეუშოკა საეალი გზა, შებღალა ღვინო სისხლით და აღძრა შფოთი მოქეფეთა შორის. ურთიერთში აღრივა ნადიმი და ქლეკა, ღვთაებრივი პურობა და ეშმაკეული სერობა და ეგვიპტელ მეკობრეებს ეს სურათი წარმოუღვინა.

მთამე წამომღვარ ყაჩაღებს, თითქოს თეატრის მაყურებელნი არიანო, ამ სცენის კერა გაეგოთ რა. მრავლად ეყარნენ დახოცილნი, გამარჯვებულნი კი არსად ჩანდნენ. ხელადნენ ბრწყინვალე გამარჯვებას და ხელუხლებელ ნადავლს. ერთადერთი უკაცური, უვნებელი ხომალდი, თითქოს ურიცხვი დარაჯი იყავსო – არხეინად ირწეოდა გაღლებზე. თუმე ვერ გაიგვს რა მომხდარიყო, მაგრამ დავლა და ნაძარცი საქონელი რომ ნახეს, თაეი გამარჯვებულად სცნეს და მყისვე ნადავლისაკენ დაიძრნენ.

ჯერ კარგა არე კი მიახლოებოდნენ ხომალდსა და გვამებს, რომ კიდე უფრო უნაური სანახაობა იხილეს: კლდის ნაგებზე იჯდა ყმაწვილი ქალი, ისე არაამქვეყნიურად მშენიერი, რომ ქალღმერთი გეგონებოდათ. თავს დატეხილი უბედურებით უმომოდ განჯულს თაეი ღირსეული კდემამოსილებით ეჭირა. დაფნის რტოებით შეემოსა თაე-თმა. მხარზე კაპარჯი ეკიდა, ხოლო მარცხენა მომეებელი ხელით მოღლილად ჩამოსვენებოდა ისარს. მეორე ხელის იდაყვი მარჯვენა მუხლზე დაებჯინა, ლოყით თითებს ეყრდნობოდა. ქალი, თავჩაქინდრული, უმოძროოდ დაჰყურებდა ვიდაე ჭაბუკს, მის მუხლებთან მწოლიარეს.

ის კი, ჭრილობისაგან ქანცმიღეული, თანდათან მოღიოდა გონს, თითქოს საღათას ძილისაგან იღვიძებსო. ვაეკაცური მშენებით ჰყეაოდა ჭაბუკი. ჩამონადენი სისხლი უფრო მკვეთრად აჩენდა მისი სახის სითეთრეს. დაღლილობისაგან თვალები ეღულებოდა, მაგრამ ქალის სახე საექერლად იწვეედა თვალებს ეაყისას.

ბოლოს ძალ-ღონე მოიკრიბა, ამოიკენესა და მისუსტებული ხმით აღმოთქვა:

– ნუთუ მართლა ცოცხალი ხარ, სულზე უტკბესო! თუ შენც ბრძოლას შეეწირე და სიკვდილის მერეც ვეღარ შესძელ ჩემი დაგდება? და ახლა არჩილია, შენი სულია, ხეღრს რომ იზიარებს ჩემსას?

– მხოლოდ შენზეა, – მიუგო ქალმა, – ხსნაც და სიკვდილიც ჩემი.

– ამას ხომ ხეღავ, – აჩენა სატეეარი, მუხლებთან მღებარე, – ღღემღე არ გარჯიღა, ღღეს კი მან შეგინარჩუნა სული.

ამ სიტყვებით ლოღიდან წამოიჭრა, ხოლო გაოცებული და დაზაფრული ყაჩაღები, თითქოს თვალები ეღვამ დაუბრმაეათო, აქეთ-იქით მიაწყდნენ ბუჩქებს. როცა ქალი მეწამოიმართა, ყაჩაღებს ჩეეულებრიმე მაღალ და ღვთაებრივ არსებად ეჩვენათ იგი. ანამღეული მერხევისას ისრები ასხლგნენ მისი განიდან: ოქროქსოვილი კაბა უერთოდა მშეში. მძვინვარედ უფრიალებდა მხრებზე გვირგვინიდან ჩამომღილი თმები. ნანახმა შეაეებუნა ყაჩაღები. სანახაობამ იმღენად არა, რამღენადაე გაუტებრობამ დაზაფრა ისინი, გონს ვერ მოსულიყვნენ მომხდარით. ზოგი ფიქრობდა: ქალღმერთი იქნებაო ვინმე, არტემიღა ან აქაური ისიღა. ზოგს ქურუმი ეგონა, რომელიმე ღვთაებისგან გამმაგებული, და აგერ დახორებული გვამების ცოღვა-ბრალიე მისი

საქმე უნდა იყოსო – ფიქრობდა. ასე მსჯელობდნენ ყაჩაღნი, მაგრამ ჭეშმარიტებისა ჯერ კიდევ არა უწყობდნენ რა.

და აი, ქალი, ანამბლად, ჭაბუკს მიეარდა და ჩაეკონა. დასტიროდა, ჰკოცნიდა, სისხლსა სწმენდა, ქეითინებდა, თითქოს თვითონაც არ სჯერაო ამ კონა-ხევენიისა. ეს რომ ნახეს, ეგვიპტელებმა მყისვე იყვალეს აზრი და სულ სხვა რამ გადაწყვიტეს. – განა ეგვიპტარნი არიან ღმერთთა საქმენი? – იკითხეს, – განა ძალუძს რომელიმე ღვთაებას ვერე ვახელებით კოცნიდეს ცხედარს?

ყაჩაღები ერთმანეთს ამხნეებდნენ, ახლორე მივლეთ და სიმართლე შევიგყოთო, ძალა მოიკრიბეს და სირბილით თავქვე დაემუნენ. ქალი კელაე დაჭრილ ჭაბუკთან ნახეს. მორიახლოს შეჩერდნენ. ვერც რაიმეს თქმა გაბედეს, ვერც რამ იღონეს. რაეამს ჩქამი ჩაესმა და მათი ჩრდილი თვალებში იგრძნო, თავი აიღო ქალმა, ყაჩაღებს ერთი კი შეხედა და ისეე ჩაქინდრა. არც მათი კანის ფერი გაჰკვირვებია, არც მათი ყაჩაღური იარაღ-საჭურველი. იგი მწოლიარე ვაყით იყო ვართული.

მოგეხსენებათ – ღიალი განჯეა და ჭეშმარიტი გრფობა არად მიიჩნევს იმას, რაც გარემო ხდება, გინდ ვარამი იყოს იგი და გინდ ლხინი და სულს კარნახობს, ერთ რამეს ხედავდეს, ერთ რამეს სცნობდეს – მხოლოდ იმ საგანს, რომელიც უყვარს.

ყაჩაღები გარს მოღგნენ, მის წინ შეჩერდნენ. ამკარა იყო, რადაცას აპირებდნენ. მაშინ ქალმა კელაე აიღო თავი, შეხედა შეკანიან, უემურსახიან ყაჩაღებს და თქვა:

– თუ თქვენ აქ დაეყმულთა ლანდები ხართ, ნება არა გაქეთ მყუდროება დამირღვიოთ. მრავალი თქვენგანი ხომ ერთმანეთის ხელით დაიღუპა. ხოლო თუ ვინმე ჩემი ხელით დაეცა, ეს მოხდა მხოლოდ თავდაცვისა და შურისგების წესით ჩემი ღირსების თავხედური შელახვისათვის. და თუ ცოცხალთა დასიდან ხართ, მაშინ, როგორც მე მგონია, თქვენ ყაჩაღები უნდა იყოთ და ახლა დროულად მოსულხართ აქ. გთხოვთ გვიხსნათ გასაჭირისაგან, გაასრულოთ დრამა ჩვენი – მოგვიღოთ ბოლო.

ქალმა ისე შესძახა ეს სიტყვები, როგორც გრაველიაში ხდება. ხოლო ყაჩაღებს ამ სიტყვებიდან აბა რა უნდა გაეგოთ. ჩქარა მიაგოვეს ორივე აღრინდელ უბედურებაში. ძლიერ დარაჯად დაუტოვეს საკუთარი უძღურება. თვითონ ნადაელის დასაგაყებლად ხომალდს მიაწყდნენ.

ხომალდი სხვადასხვა საქონლით იყო დატვირთული. ყაჩაღებს მათთვის ყურადღებაც არ მიუქცევიათ. ისინი ოქროს, ვერცხლს, ლალ-ფირუზსა და შალის განსაცემლს დაეხარბნენ. როცა გადაწყვიტეს – ლარი სამყოფად შეგვიგროვდაო, და შეუგროვდათ კია მართლაც იმდენი, რამდენიც თვით ყაჩაღთა უძღებ ბუნებასაც დააკმაყოფილებდა, მთელი დაეღა ნაპირზე დაახორეს და იმის ზრუნვას შეუდგნენ, რა ალაგი აერჩიათ მთელი ამ განძის გასაყოფად, რომ შემდეგ მოხერხებულად გაეზიდათ. ნაძარცვის ფასი კი არა – სიმძიმე ადარდებდათ ყაჩაღებს. შემდეგ კი გუმანში ჰქონდათ, ქალ-ვაჟისთვისაც მიეხედათ.

ამ დროს საიდანღაც მეორე ჯგუფი გამოჩნდა, წინ ორი ცხენოსანი მოუძლოდა, გუნდის უფროსები. რა ეს იხილეს, პირველებმა, არც ხელი აღუმართავეთ, არც ნადაელი წაუღიათ, ოღონდაც არ წამოგვეწიონო და, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, გაკურცხლეს.

ესენი ათნი იყვნენ, მეტოქენი სამჯერ მეტი ჩანდნენ.

ამრიგად, ქალი დაუტყვევებლად მეორედ ჩავარდა ტყვედ. ყაჩაღები, მიუხედავად იმისა, რომ ძარცვა ეჩქარებოდათ, ანამბლად შედგნენ, რადგან ყოველივე ნანახმა თავგმა აუბნიათ, ეგონათ, ეს დაუმოგავი სისხლისღერა იმ დამფრთხალ ყაჩაღთა ნამოქმედარიყო. შეტბუნებულები შეკყურებდნენ ღირსეულად და უცხოურად მორთულ ქალს, რომელიც არად აგდებდა თავს დატეხილ სამიშროებას, თითქოსდა სულაც არ არსებობსო.

იგი ვართული იყო მხოლოდ ვაჟის ჭრილობით, მისი ტკივილით, რომელსაც ვანიცილიდა, როგორც საკუთარს და იგანჯებოდა. მისმა სიტკრფემ, სიმამაცემ გააოცა

ყაჩაღები. ხოლო დაჭრილი კაცის დანახვაზე კიდე უფრო განცეიფრდნენ; იგი, თვალაღ-განადი. თანდათან მოდიოდა გონს, აღრინდელ იერს იძენდა.

ბოლოს ყაჩაღთუფროსი ქალს მიუახლოვდა, მხარზე ხელი დაადო. ადგომა და გაყოლა უბრძანა. ქალმა მისი სიგყვები ვერ გაიგო, მაგრამ ბრძანების აზრს მიუხედა და თავისკენ მიიზიდა დაჭრილი ვაჟი, რომელიც თავის მხრივ ხელს არ უშვებდა მას. მაშინ ქალმა ხანჯალი მკერდზე მოიშომა, რითაც ყაჩაღს ანიშნა: „აქვე გაიფიქრებ, თუ ორივეს ერთად არ წაგვიყვანთ“.

ქალის სიგყვებიდან ცოტა რამეს მიხედა წინამძღოლი, მეტი გაიგო მოძრაობით. თავში გაუელვა, რომ ჭაბუკი, თუ იგი გადარჩებოდა, შესაძლო იყო დიდ-დიდი ამბებისთვის გამოსდგომოდა მას. საჭურველმჭვირთველს ცხენიდან ჩამოხდომა უბრძანა. თვითონაც ჩამოქვეითდა და გყვეები ცხენებზე შესვა. განკარგულება გასცა, ლარი აეკრიბათ და გყვეებზე თვალი სჭეროდათ. თვითონ კი ქვეითად გამოუდგა მათ, რომ ძირს არ ჩამოვარდნილიყვნენ.

ყველაფერი ეს განდიდების მარ-მეიმს უფრო ჰგავდა, თითქოს ხელმწიფეს მონური ვალის აღსრულება, ხოლო გამარჯვებულს დამარცხებულის სამსახური აურჩევიაო.

ღიახ, კეთილშობილურ ახოვანებასა და სიგურუეს ძალუქს თუნდაც ყაჩაღურ მნეთა ღათრგუნვა, გლანქ ბრბოზე გახელმწიფება.

ნაპირის გასწვრივ ორიოდ სგადიონი რომ განელეს, გმიდან გადაუხეიეს. მღვა მარჯენივ მოიგოვეს და მთებში გავიდნენ. თხეში გაჭირებებით გადაელეს, მერე პირდაპირ გბისაკენ დაეშვნენ, რომელიც მთის მეორე მხარეზე გადამლილიყო. აი, რა გბა იყო ეს: მთელ ამ შემოგარენს ბუკოლიად ხმობენ ეგვიპტელნი. ერთი ჩავარდნილი ადვილია, ნილოსის წყლებით სამრდოობს, – გბაც იქ ძევეს. ფსკერი არ უჩანს, ხოლო ნაპირები ჭაობებს ერთის. მღვას ხომ აკრავს სანაპირო, ასევე აკრავს გბას ჭაობი. ეს მიდამო მთელი ეგვიპტის ყაჩაღთა ბუღვა. აქ ისინი ქოხებს ღგამენ წყლიდან ამომვერილ ერთ მგკაველ მიწაზე, ან ცხოვერობენ ნავეებზე, რაც მათ ხომალდისა და საცხოვერებელის მაგიერობას უწევს. ქალები ამ ნავეებზე ართავენ მაგყლს და ამავე ნავეებზე მშობიარობენ. ახალშობილს ჯერ ღელის რძით მრდიან, შემღგე კი მგმზე გამშრალი გბის თევეებით. როცა ბალდი უკვე ფორთხვას იწყებს, მას კოჭზე აბამენ იმ სიგრძე თოქს, რომელიც პაგარას საშუალებას მისცემს, ნაეის, ან ქოხის ძვიღემღე მივიღეს მხოლოდ. ამრიგად ბორკილია ბავშვის უჩეულო აღმმრღელი.

ყოველი ბუკოლი გბაზე იბადება, გბით სამრდოობს და სამშობლოდ გბასვე მიიჩნევეს. გბა არის მათი ციხე-ქალაქი. უწყვეტად მოეღინება აქ ამ ჯურის ხალხი; კედელ-მღუღელ იყენებენ გბას და იმალებიან ჭაობის ბუქჩნარში, როგორც საფარში. გაყყვანიათ მიხვეულ-მოხვეული, თავგზაამბნევი ბილიკები, რომელსაც თაეად კარგად იცნობენ და მოსახერხებელია მხოლოდ მათთვის. სხვეებისათვის კი ეს ხელმიუწეღომელია, ამრიგად წარმოადგენს საიმეღო თავშესაფარს თავღასხმის თაეიღან ასაცილებლად. აი, რა გბა იყო ეს, მელ მცხოვერები ბუკოლებითურთ.

მგე ღასაუღეთით გაღახიხარა, როცა ყაჩაღთუფროსი თაეისი მხლებლებით გბას მოაღგა. ქალ-ვაჟი ცხენიდან ჩამოსვეს და ნაღაელის ხომალღებზე დაღაგებას შეუღღნენ. მოღგა კუნძულზე ღარჩენილი ყაჩაღთა ბრბო. მოღიოდნენ ჭაობის სხვაღასხვა მხრიღან, მორბოდნენ ყოველი კუთხით და ეგებებოდნენ ყაჩაღთუფროსს, ვითარცა მეფეს. ურიცხვი ღაელა და ქალის ღვთაებრივი სიგურუე რომ ნახეს, ქურუმთ ღარბაში, ან ოქროურიცხვი გბძარი გაუძარცვაეთო – იფიქრეს – და ქურუმი ქალიც წამოყყვანიათო გყექმნილი. ან კიღვე თაეიანთი ვეღურობით ფიქრობდნენ: ქალღმერთის სულჩაღმღული კერპი თუაო. იმ ღვაწლისათვის ქება-ღიღებით გააციღეს ყაჩაღთუფროსი თაეის ბინაში. ბინა კი იყო პაწია კუნძული, სხვა კუნძულებისაგან განცალკეეებული. იგი მხოლოდ ყაჩაღთა მეთაურისა და მისი რამღენიმე ხელქვეითის საცხოვერებელს წარმოადგენდა. აქ რომ მოვიღა, მეთაურმა ბრბოს უბრძანა – ახლა ღაიშაღენით, სახლებში წაღით და ხეალ გამოცხადღითო. თვითონ რამღენიმე განუყრელ პირთან ღარჩა და სახელღახელო სუურა გაშაღა მათთან. ქალ-ვაჟი

ჩააბარა ერთ ბერძენ ჭაბუკს. იგი ამასწინათ დაეგყვევებინათ ყაჩაღებს, რათა თარჯიმნად გამოეყენებინათ. მეთაურმა მას თავის ახლოს მიუჩინა ქოხი და უბრძანა ემზუნა ვაჭმე, ხოლო ქალისთვის თითი არავის დაეკარებინა. მერმე მგზავრობითა და ჯაფით დაქანსულმა, აგრეთვე მრავალი ახალი სამრუთაით მოღლილმა, თავი ღრმა ძილს მისცა.

მთელი ჭაობი სიჩუმემ მოიკვა. როცა ღამემ პირველ საყარაულოს უწია, ქალმა ამ გულშემადონებელი ხალხისგან თავი მარტო რომ დაიხელთა, ეულად აქეთინდა. ეტყობა, ღამეში უფრო მძაფრია ვარამი, როცა თვალსა და ყურს არაუფერი იტაცებს და მწუხარებასთან მარტო რჩება კაცი. გიროლა ქალი თავის თავთან განმარტოებული (რაღაც საგებელზე დაეწვინათ იგი ბრძანებისამებრ).

- ო, აპოლონ, - ცხარე ცრემლების ღვრით ამბობდა ის, - რა უღმერთოდ გესჯი მენ ჩვენი შეცდომებისათვის. ნუთუ არ გეყო სასჯელად ჩვენდა, რაც თავს დაგვატყდა? ახლობელთა დაკარგვა, მეკობრეთა ხელში ჩაგვარდნა, ურიცხვი ხიფათი მღვაჭე, მეორედ ჩაგვარდნა ტყვედ; წინ კიდევ უარესი ხიფათი გვიძევს, ვიდრე თავს გადაგვხდომია. სად დასდებ სამანს ყოველივეს? თუ უმწიკვლო სიკვდილი მელის, ნეტარი იქნება აღსასრული ჩემი. ხოლო თუ ვინმე შეეცდება უბირად მიენოს, როგორადაც ჯერ არ ეუცენივარ თეაგენეს, უმალ ყულუს ავირჩევე, ვიდრე თავლაფისდასხმას. წმიდა ვარ და წმიდა დაურჩები სიკვდილის ღღემდე, თან დაეატარებ ძვირფას სამოსელს - უმანკოებას. არც ერთი მსაჯულთაგანი არ არის, ალბათ, შენებრ მკაცრი, აპოლონ.

როცა ქალი ამ სიტყვებს ამბობდა, თეაგენემ იგი შეაჩერა და:

- გეყოფა, ქარიკლეა, - უთხრა, - საყვარელო, სუნთქეა ჩემო. თუმცა სამართლიანად გოღებ, უფრო არისხებ ღმერთებს, ვიდრე გვონია. არ უნდა აყვედრო, უნდა ევედრო ღმერთებს. არა ყვედრებით - ხეწნით თუ მოგზედავს მხოლოდ უმენაესი.

- მართალს ამბობ, - მიუგო ქალმა, - ოღონდაც, როგორ ხარ, ჩემო?

- უკეთ, - მიუგო ვაჭმა, - გუშინდელზე უკეთ, მაგ ბიჭის წყალობით - მან მომიშუშა წყლულები.

- ხეალ კიდევ უკეთესად იქნები, - უთხრა ბიჭმა, რომელსაც მათი დაუცა ეეალებოდა, - ისეთ ბალახს გიმოვნი, სამ ღღეში ყველა ჭრილობას შევიხორცებს - თავად გამომიცდა მისი ძალა: იმ ღღიდან, რაც ამათ ტყვედ ჩამიგდეს. სამიოდ ღღეში იკურნება შეტაკებიდან დაბრუნებული ყოველი დაჭრილი, როგორც კი იმ ბალახს იხმარს. ხოლო რაც შეეხება იმას, რომ მე ეგრე ვბრუნავ თქვენზე, ეს გაოცებად არ ღირს: ვატყობ თქვენაყ იგივე ბედი გწევიათ, რაც მე. ეგეც არ იყოს, მებრალებით როგორც ელინნი, რამდენადაც თავად ელინი გახლავარ.

- ელინი! ჰოი, ღმერთებო! - მღღეღარებით წამოიძახა ორივე უცხოქვეყნელმა.

- ჭეშმარიტად ელინი, წარმოშობით, ენით და...

„ალბათ, ჭირთაგან მოსვენების დაღება ეამი...“

- ჰო, მაგრამ რა გქვიან? - ჰკითხა თეაგენემ.

- კნემონი, - მიუგო მან.

- სად შობილხარ?

- ათენელი ვარ.

- გვითხარ, რა უბედურება დაგტყდომია თავს?

- ჯერ დამაცალე, - წარმოთქვა კნემონმა. - „რათა გწადიან მშფოთვარედ შეჭრა“, ვითარცა იტყვიან გრაგიკოსნი. უადგილო იქნებოდა თქვენს უბედურებაში ჩამერთო ჩემი საკუთარი უბედურება, როგორც ეპიზოდი. ეგეც არ იყოს, დარჩენილი ღამე ცოგაა ჩემი ამბისათვის, თქვენ კი ამდენი ტანჯვის შემდეგ ძილი და მოსვენება გესაჭიროებათ.

ისინი მაინც არ მოეშვენენ, ეხეწებოდნენ რაიმე ეამბნა, არწმუნებდნენ, - ყველაზე ღილი ნუგემი მსგავსი უბედურების მოყოლაშიაო. მაშინ კნემონმა აი, რით დაიწყო:

მამაჩემი არისტიკოსი იყო, წარმოშობით ათენელი; უზენაესთა საბჭოში მსახურობდა, ქონებით საშუალოთა რიცხვს ეკუთვნოდა. მალე დედა გარდამეცვალა. მამამ განიზრახა მეორედ ექორწინა, რადგან ჩემზე – დედისერთაზე დაყრდნობა არასაიმედოდ სწო და ოჯახში შემოიყვანა მეტად კიკლუსი, მაგრამ ავსული ქალი, სახელად დემენეტე.

სახლში შემოვიდა თუ არა, მამაჩემი დაიმორჩილა, თავის მსახურად აქცია. სილამაზით გამოაყუყუეჩა საწყალი ბერიკაცი და, იუცხლედ, ხელს ადარ აკლებდა. ფლობდა ცდუნების იშვიათ ხელოვნებას და ქალთა შორის ყველაზე მეტად სწორედ მას შეეძლო მამაკაცის მოჯადოება. როცა მამა სადმე წასვლას დააპირებდა, ქალი ოხრავდა, მინ მობრუნებულს კი ფაციფუციტ ეგებებოდა, დავვიანებისთვის საყვედურებით ავსებდა.

– ცოტა რომ კიდე შეგვეყვიანებინა, გული გამისკლებოდაო, – სიტყვებს კონიით უხშობდა, ცრემლებსა ღვრიდა.

ხრიკებზე წამოგებული მამაჩემი მხოლოდ იმ ქალით სუნთქავდა, მხოლოდ მას ხედავდა.

ერთხანს ჩემთან თავი ისე დაიჭირა, თითქოს მისი ღვიძლი ძე ვყოფილიყავი. ამითაც მამაჩემის გულს იგებდა; მოვილოდა, მომეფერებოდა, ვითომ ჩემთან ყოფნით ხარობდა. მე ამ საქმისა მაშინ არა გამეგებოდა რა, მაგრამ მაოცებდა ჩემდამი აღძრული ეგეთი ღელაშვილური სათნოება. მერე მომამე მეტად დამიახლოვდა, უფრო და უფრო მხურვალედ მოკონიდა, თვალეზმით მოკრძალება გაუქრა. აშან უცნაური ეჭვები აღმიძრა და ამის შემდეგ ჩემთან მოსულს ვერიდებოდი. ვანა ღირს შეგაწყინოთ ყველა იმ წვრილმანით, რაც შემდეგ მოხდა? რა საცდელს არ მიმართავდა იგი, რას არ მიირღებოდა. ხან შვილიკოს მეძახდა, ხან სულიკოს, ლამაზ-ლამაზი და საცდური სიტყვების კორიანტელში მხვევდა; იმედი ჰქონდა, დამნებდებოდა. რაღა გაგიგრძელოთ – დარბაისელთა თვალში იგი დედა იყო ჩემი, ფარულად კი – მიჯნური.

ბოლოს შემდეგი მოხდა: დიდი პანათენური ღვთისაწაული იდგა, ხმელეთით ხომალდს უგზავნიდნენ ათენას (მე ფეფოსობა მერგო მაშინ), ვიმდერე ქალღმერთის საღიღებელი პეანი და მონაწილეობა მივიღე საბეიმო სვლაში. საღვთისაწაულო მოსასახამითა და გვირგვინით ებრუნდებოდი შინ. დემენეტემ დამინახა თუ არა, ჰკუა დაკარგა. ვნებათა ღელვის დაფარვა არც კი უცდია, მომვარდა, გადამეხვია.

– ო, ჩემო მშვეპბუკო იპოლიტე, თემესის ძეო! – წარმოგიდგენიათ, რა ღღემი ჩავეარდებოდი მაშინ, როცა ამ ამბის გახსენებაზე ახლაც ეწითლდები?

სალამო ეამს მამაჩემი პრიგანიონში გაემართა სავახშმოდ და გადაწყვიტა ღვთისაწაულთან დაკავშირებით ღამე სახალხო ნადიმზე გაეტარებინა. ღამით დემენეტე ჩემთან შემოვიდა, რომ კელავ რამ საცდური ჩაედინა. ყველანაირად წინ აღუდუღექი მის მცდლობას, შორს დაეიჭირე მისი ალერსი, ხვეწნა თუ მუქარა. ბოლოს მძიმედ ამოიოხრა და გამშორდა. ის ერთი ღამე მადროვა მხოლოდ. იმ დღის შემდეგ კი ჩემს შურისგებას შეუდგა ის წყეული.

ჯერ ღოგინიდან წამოდგომა არ ინდომა და შინ დაბრუნებული მამის კითხვაზე – როგორ არისო საქმე, უგუნებობა მოიმძებმა, მანამ ხმაყ კი არ გასცა. მაგრამ მამა არ მოეშვა და მიზეზი ჩაიციებით გამოჰკითხა. მაშინ ქალმა მიახალა:

– ამ ბიჭს რომ უყურებ, ჩვენი საერთო მეილია. ღმერთები დამემოწმებინან, მაგისტის მრუნვა და ალერსი არ დამიკლია. როგორღაც ფხმძიმობა შემწამა; ამის გამხელა ჯერ არ მინდოდა შენთვის, სანამ არ დავანამდვილებდი. ახლაც ჩვეულებრივ ეუყვავებდი, ჰკუას ვარიგებდი, რომ სმას და მსუბუქი ყოფაქცევის გოგოებს არ გადააჰყოლოდა (მე ხომ ვიყი, როგორც ატარებს ღროს ეგ ვაებაგონი, მაგრამ ამაზე შენთან კრინტიყ არ დამიძრავს, რომ დედინაცვლობით არ მომსელოდა ეს). არ მინდოდა სირცხვილში ჩამეგლო, ამიგომ ცალკე გავიყვანე და იქ ველაპარაკე. მან კი შენი არყოფნით ისარგებლა და – რა მათქმევიანებს მთელ მის სიკეთეს შენდა და

ჩემდა სავალალოდ, სირცხვილით ვიწვები – მიგ მუცელში მაზილა წიხლი. ამიგომაც მხედავ ამ დღეში.

მამაჩემმა ყოველივე მოისმინა, კრინტიც არ დაუძრავს, არც რამე უკითხავს ჩემთვის, არც გამოსარჩლება უფიქრია. დარწმუნებული იყო, ჩემზე ავრე რიგად თავადამკედარი ქალი გყვილს არ იკადრებდა. მაგრამ როცა სახლის კუთხეში მარგო დამლანდა, არ ვუწყობდი თუ რატომ, მუშგებით მომეარდა და ცემა დამიწყო; ბიჭებს დაუძახა და რომგები დაქკარიით – უბრძანა. მე კი ვერ გამეგო:

– რათა მცემენ, რას მემართლებიან-მეთქი.

როცა მამაჩემმა გული იჯერა, შევკადრე:

– თუ უწინ არა, ახლა ხომ მაქვს უფლება გკითხო, რისთვის მცემენ, მამა?

ამან მამაჩემში განარისხა:

– რა სამიზლარი თვალთმაქცობაა, – წამოიყვირა, – ამ ვაჭბატონს სურს ჩემგან გაიგოს საკუთარი სიავკაცე! – იგი შებრუნდა და დემენგესაკენ გაემურა.

ქალის გული ჯერ კიდევ არ გამძღარიყო; მან ხელახლა დამიგო მახე.

ერთი მოსამსახურე გოგო გეყავდა, თისბე. კითარაზე უკრავდა; არც თვალად და განად დაიწუნებდა კაცი. სწორედ ეგ თისბე მომიჩინა მან. უბრძანა თავი ისე დაეჭირა, როგორც ჩემს მიჯნურს. თისბეს მონადირება ადრეუ მიყლია, მაგრამ მუდამ ცივ უარზე იღვა. ახლა კი ამკარად მემარმიყებოდა, თვალს მიპაჭუნებდა, მეკეკლეუებოდა. მე ბრიყვმა ვიფიქრე; ეს არის უცბად მხეჭბუკად გადაეკეუეუეარ-მეთქი, და გოგონას საძილე ოთახში გავუმასკინძლდი. მეორედაც შეხვდი, მესამედაც და ბოლოს ჩემთან დადიოდა ჩვეულებრივ.

თისბეს სულ ვეჩიჩინებოდი, ფრთხილად ყოფილიყო და უფროსებს არ გაეგოთ რა.

– როგორდაც მეტისმეტად გულბრყვილოდ გამოიყურები. ჩემთან, ფულით ნაყიდ მონა ქალთან რომ წაგასწრონ, ეს სამინელებად მიგაჩნია, მაგრამ რა სასჯელის ღირსია ის ქალი, თავი პატიოსნად რომ მოაქვს და კანონიერი მეუღლეცა ჰყავს, თან კარგად იყის, ღალატისათვის სიკედილი არ ასცდება და მაინც მრუშობს?

– კმარა! – წამოვიძახე მე, – არ მჯერა შენი.

– აბა რა ვითხრა, თუ გინდა დანაშაულის კეაღზე დაგაყენებ.

– შენი ნებაა; – ვუთხარ, როგორც გენებოს.

– როგორ თუ მენებოს, – თქვა თისბემ, – მე ხომ მენტვის გეუბნები, მან ლაფი დაგასხა. ჩემგედაც არანაკლებ ემრუნავ; ყოველდე გაწამებული ვარ მისგან, გყვილბურალოდ ჯავრს ჩემზე იყრის ხოლმე, ეჭვით გულგასენილი. ასე რომ, იფიქრე ამამე და მოიქეც ისე, როგორც ნამდეილ მამაკაცს შეჭურის.

რამამს შევპირდი, ეგრე მოიქეცი-მეთქი, თისბე განმემორა. მესამე დღეს ლოგინიდან ამაყენა და შემეატყობინა: ის არამზადა აქ არისო, მამაშენი რადაც საჩქარო საქმეზე – მამულში გაემგზაურა, ხოლო დემენგეს შეპირების თანახმად საყვარელი ეს-ეს არის სახლში შემოიპარაო.

დაუყოვნებლივ უნდა მეედგომოდი მურისძიებას: ხმლით ხელში ფიცხლავ მივეარდნოდი გარეწარს, რათა ხელიდან არ დამსხლტომოდა. ასეც მოიქეცი, ხანჯალი ვიმარჯვე და კვალდაკვალ მიყევი თისბეს, რომელიც ჭრაქით ხელში საძილე ოთახში შენიძღვა.

ჯერ კართან შეეჩერდი, საიდანაც სანათის მუქი გამოკრთოდა. მთელი ძალით დაეკეტილ კარს ვეცი და შევამტერი; შევევარი თუ არა, შევძახე:

– ერთი მაჩვენეთ ეგ გარეწარი, სანაქებო მიჯნური ყოვლად უბიწო ქალისა! – ამ სიგყეებით გაექანდი წინ, რომ ადგილზევე მიმესაკლავებინა ორთავე.

მაგრამ ჰოი, ღმერთებო! – საწოლიდან მამაჩემი წამოიჭრა, მუხლებში ჩამივიარდა და შემდადადა:

– შეილო ჩემო, შეყოენდი წამით, შეიწყალე შენი მშობელი, დაზოგე ჭადარა მამა, გამბრდელი შენი. მართალია, გაგანაწყენე, მაგრამ ამისათვის სასიკედილოდ ნუ

გამიძეებს. მრისხანება ნუ დაგაბრმავებს ევოლენ, შეილო, ნუ წაბილწავ საკუთარ ხელებს, ვითარცა მკვლეელი მამისა თვისის.

დღესანს მევედრებოდა მამაჩემი საწყლობლად. მე კი ვიდექი, დანშრალი და გახევებული. მერე თისბეს მივუხედე, რომელიც, ვერ გავიგე, სად გადაკარგულიყო. ვიდექი შუა ადგილას, ვჭერეტილი საძილე ოთახს, საწოლს და აღარ ვიციოდი რა მეთქვა, ან რა მეღონა. ხანჯალი ხელიდან გამივარდა. იმ წამსვე ღემენეტემ მოირბინა და ხელი სტაცა მას, ხოლო მამაჩემმა რაქამსაც თავი უშიშრად იგრძნო, ხელები გამიკაეა და ჩემი ვათოკვა ბრძანა.

– აკი გაფრთხილებდი? – რაც კი შეეძლო აქებებდა ღემენეტე, – ხომ ვამბობდი ამ ბიჭზე თვალი გეჭიროს, თუ დრო მოხელთა, რაიმეს შეგამთხვევს-მეთქი! – ყვიროდა იგი. – მისსავე თვალებში ვკითხულობდი ყველა მის სიკეთეს.

– მეუბნებოდი, მაგრამ არ მჯეროდა, – მიუვო მამამ.
მსურდა იქვე მელიარებინა მთელი სიმართლე, მაგრამ ხელფეხშეკრულს ხმის გაკემნდა მიბრძანა მამამ.

მეთენდა თუ არა, მამაჩემმა ხალხის წინაშე წარმადგინა ვათოკილი.

– ათენულებო, განა რა სასოებით ვზრდიდი მე ამ ბიჭს? – თქვა და თავზე ნაცარი წაიყარა, – გამიჩნდა თუ არა, ჩემი ერთადერთი ნუგეში სიბერეში ეგ იქნება-მეთქი – ვიფიქრე. ვზრდიდი ისე, როგორც თავისუფალი მოქალაქის შვილს შეჰფერის. ჯერ დაწყებით ვანათლებას ვამიარე, მერე ფრაგერთა და გენეტთა წვერი გავხადე, ბოლოს უფუბოსთა რიცხვში ჩაეაწერინე და მისი მოქალაქეობა კანონით დავადასტურე. მთელი ჩემი ცხოვრება მასზეა დამყარებული. მან კი ყოველი დავიწყა, ჯერ მე არად ჩამავლო და ცემა აკადრა აი ამ ქალს, ჩემს კანონიერ მეუღლეს. მერმე კი ღამით ხმაღამოდებული ოთახში შემოიჭრა და თუ იგი მამის მკვლეელი არ გახდა, ეს მოხდა რაღაც ბედისწერის წყალობით, რომელიც მას წინ აღუდგა და შიშით ხმალი ხელიდან გააგდებინა. ახლა თქვენ მოგმართათ და გეტყვი: ჩემი ხელით არ მინდა მოკვლა იგი, თუმცა ამის უფლება კანონით მაქვს; თქვენთვის მომინდვია; უმჯობესია კანონმა დასაჯოს სიკვდილით, ვიდრე მშობელმა საკუთარი შვილი.

თქვა ეს მამამ და ცრემლები წამოუვიდა. ღემენეტეც იმ წამსვე აქვითინდა, ისეთი სახე მიიღო, ვითომ ძალიან წუხდა ჩემზე. საწყალი ბიჭი, – იძახდა იგი, – სამართლიანი, მაგრამ უდროო სიკვდილი რომ მიეხაჯა, იგი ხომ შურისგების ღმერთებმა აუშხედრესო მშობელთ.

ტირილით იმდენად არ იკლავდა თავს, რამდენადაც ცრემლებს ჩემს საზიანოდ ღვრიდა, თავისი ვაი-ვიშით ჩემი დანაშაულის ჭეშმარიტებას ადასტურებდა. მოვითხოვე ჩემთვისაც მოეცათ სიგყვა. მდივანი მომიახლოვდა და მოკლე შეკითხვა მომცა:

– ხმლით ხელში მართლა მიუვარდი მამამენს?
– მიუვარდი, – მიუვგე, – მაგრამ ყური მიგდეთ, თუ როგორ...

მამინვე ერთი აურბაური აგყდა. საჭიროდაც არ სცნეს თავის დაცვის ნება მოეცათ ჩემთვის და ბჭობა დაიწყეს: ქვით ჩაექოლოთ თუ ჯალათს მივანდოთო, რომ კლდეზე გადაამღვრიოსო. სანამ ეს ჩოჩქოლი გრძელდებოდა და ჩემი დასჯის საკითხს ხმის დათელით სწყვეტდნენ, მე დავიყვირე:

– ოჰ, დედინაცვალო! დედინაცვლის მიზეზით ვეთხოვები სიცოცხლეს, სამსჯავროს გარემე მღუპავს დედინაცვალი.

აქა-იქ ჩემს სიგყვებს ყურადღება მიაქციეს და საქმის ნამდვილი არსის შესახებ ეჭვი აღეძრათ.

მაგრამ ხალხში ისეთი აღიქოთი იდგა, რომ სმენა-გავგონება აღარ იყო.

მაღე კენჭი ჰყარეს და სიკვდილი მომისაჯა ათას შვიდასმა კაცმა: ერთნი ჩემს ქვით ჩაქოლვას მოითხოვდნენ. სხვანი – კლდეზე გადაამღვრევას. ხოლო დანარჩენმა, ბარე ათასამდე კაცმა, რომელთაც დედინაცვალზე ეხინჯებოდათ გული, სახლიდან მოკვეთა და სამუდამო გაძევება მომისაჯა. მაინც მათმა აზრმა გასჭრა. ეს იმიტომ

მოხდა, რომ თუმცა ისინი ყველა ერთად აღებულ ხალხზე მცირე იყვნენ, ხმას მთელ ხალხში გაშლილად, ცალ-ცალკე აძლევდნენ და ამრიგად ეს ათასი კაცი ცალკეულ ჯგუფებზე მრავალრიცხოვანი აღმოჩნდა. ასე გამაძევეს მამის სახლიდან და სამშობლო მსარედან. არც ღეთის მოძულე დემენეტეს დაჰყრია კარგი დღე.

მაგრამ ეს შემდეგ მოისმინეთ. ახლა ძილზე ვიფიქროთ. კაი ძალი ღამე გავიდა, ძილი და მოსვენებაც გინდათ.

– მაგრამ იმით უფრო დაგვესჯი, – უთხრა თეაგენემ, – თუ მენს მოთხრობაში დაუსჯელად დატოვებ საძაგელ დემენეტეს.

– მაშ, ყური მიგდეთ, – მიუგო კნემონმა, – რაკი-ღა ვერე გხიბლავთ ეგ ამბავი.

განაჩენის შემდეგ პირეოსს ჩაველი. იქ ბედად ეგინასაკენ მიმავალ ხომალდს მიუესწარ. გაბებული მქონდა, რომ იქ ჩემი ბიძაშვილები ცხოვრობდნენ დედის მხრიდან. ჩაველი, მოეძებნე ისინი, პირველ ხანებში არა მიმავლა რა, ვცხოვრობდით ერთად.

მეოცე დღეს, ჩვეულებისამებრ, გავისეირნე და ნაესადგურში შევედი: ის იყო ნაპირს ნაეი უნდა მოსდგომოდა. წამით შეეჩერდი და თვალთვალი დაუწყე. – რა ნაეია, საიდან მოდის, ან ვინ მოუყვანია-მეთქი. ნაე-კიბე რიგიანად არც კი მოჰყუდებოდა ნაპირს, როცა იქიდან ვილაყ გადმოხტა, მომვარდა და გადამეხვია. ქარიასი აღმოჩნდა, ჩემი თანაუფეოსი.

– სასიხარულო ამბავი მომიგანია, კნემონ, – მომაძახა მან, – სამართლიანად ეგო შური შენს მოზიზღარს – დემენეტე მოკვდა.

– ჯერ მოგესალმო, ქარიას, – ეუთხარი მე, – კეთილი ამბის სამახარობლოს ისე ჩქარა იმორებ თავიდან, თითქოს ავის მაცნე იყო! წერილად მიაშვე ყოველივე. ის მაფიქრებს, ვაი თუ ჩვეულებრივი ერგო სიკედილი და საკადრის ხედრს გაუსხლგამეთქი.

– არც ისე შეუქცევიბა ზურგი მართლმსაჯულებას ჩვენთვის – ვითარცა იგყვის ჰესიოდე, – თქვა ქარიასმა, – თუ ცოგა ხნით რაიმე გამოეპარა მას, ამით შურისგებას ღროებით გადაღებს მხოლოდ, ნიადაგ მრისხანე თვალებით დასეკერის იგი ბოროტმოქმედს. მანვე უწია გულბნულ დემენეტესაც. რაყ იქ მოხდა, ან ითქვა. არაფერი გამომპარვია, რადგანაც, ხომ იცი, თისბემ, ჩემთან შინაურულად ყოფნის წყალობით, ყველაფერი გამანლო. რაეამს უსამართლო გაძეება დაგატყდა თავს, მამაშენმა ყოველივე მწარედ მოინანია, თავის მამულში ერთ მივარდნილ ადგილას დასახლდა, იქ ცხოვრობდა მარტოდ, მწუხარედ, გულმდუღარებით – ვითარცა უთქვამს პოეტს. ერინიებმა ფიცხლავ დაუწყეს დევნა დემენეტეს. შენი არ ყოფნის ეამს სულ გადაირია შენი სიყვარულით, წარამარა მოთქვამდა, ვითომდა შენზე, ნამდვილად კი თავისი გულ-გვამი ეწვოდა.

– კნემონ, კნემონ! – გოდებდა იგი ღლითა და ღამით, გზობდა საყვარელ ბიჭად, სულიკოდ. მასთან მოსული ნაცნობი მანდილოსნები გაკვირებულნი იყვნენ, ალტაცებას ეერ მაღავდნენ. ეს რა დედაშვილური სულსიკეთება აღმოაჩნდაო დედინაცვალს. რაყ კი შეეძლოთ, ამხნევებდნენ, ნუგეშს ცემდნენ. – ვაგლახ, ბედგაწილებული ვარო, – მოთქვამდა იგი, – სხვამ ვით გაიგოს, რა ნესტარიყ მიწამლავსო გულს.

როგორც კი თისბეს მარტოდ დაიხელთებდა, გამეტებით ლანძლავდა – საკადრისად არ მემსახურეო.

– სისაძაგლეში მარჯვე ხარ, – გაჰყვიროდა ის, – სამიჯნურო საქმეში კი მიმუხთლე, სანამ სიკყვას დაუძრავდი, ხელიდან გამოგვლიჯე უსატრფოესი, დაფიქრებაყ კი არ მაცალე.

ამკარა იყო, თისბეს რაიმე ხიფათს შეამთხევედა იგი. პირისფარეში გოგო ხედავდა, რომ ქალბატონი უზომოდ იყო გავემებული და ყოველივეს მოიმოქმედებდა სიშლეგითა და ტრფობით ვნებული, ამიგომ არჩია უფრო ადრე თვითონ დაეგო მახე ქალბატონისათვის, რათა იგი გადაურჩინა.

დემენეტეს ეახლა და ჰკადრა:

- ბრალს რად მდებ. ქალბატონო, ვითომ რას უნდა ნიშნავდეს ყოველივე ეს? მენს ნებას ვმსახურებდი უმწიკვლოდ და კვლავაც ვმსახურებ. თუ რამ არასასურველი მოხდა, ეგ ხომ ბედის საქმეა. მე კი მზად ვარ, თუ მიბრძანებ, ახლაც რაიმე ვიღონო მენტვის.

- აწ ვის-და ძალუძს ჩემი ხსნა ეძიოს, უსაყვარლესო? - წარმოთქვა დემენეტემ, - ვისაც ეგ შეეძლო. ახლა შორეულ მხარეშია იგი - მართლმსაჯულების კაცთმოყვარებამ დამლუჯა ბედად. ქვევით რომ ჩაექოლათ, რომ მოექალათ იგი, სიკვდილთან ერთად მოკვდებოდა ჩემი გულის ვარამიც. აწ კი იმედის ყოველგვარი ნიშან-წყალი გადამწურვია. არსაით ხსნა. განჯულებს მართებთ მოთმენა განჯვის. ახლაც თვალწინ მიდგას, მეჩვენება, თითქოს აქ იყოს, მისი ხმა მესმოდეს, თითქოს მესაყუედურება უსამართლო საქციელისათვის და სირცხვილი მაკრთობს. ხანდახან ევრე მგონია, სადმე შევეყრები, მომამურებს, ალერსით დამათრობს, ხანაც მეოცნებება - მე თვითონ წავალ, მოვებნი, თუნდაც ქვეყნის კიდემდე და ეპოეებ. აი, რა მწვავს, აი, რა მაგიეებს. პოი, ღმერთებო, ვგანჯულებარ საკადრისად ჩემდა! რად არ ვეგულუხვე გულმცირობისა წილ? რად არ ვევედრე ყვედრების წილ? პირველად იუარა? პირველად ხომ ევრეუ ჰფერობდა; პატივი დასლო უცხო სარეუელს, სარეუელს მამისა თვისის. მაგრამ თანისთანობით მოთეინიერდებოდა ალბათ, ამრებს შეიცილიდა. მე კი რეგვენი და ალქაჯი, სიყვარულით კი არა - ძალით ვედილობდი ჩემის გაგანას. როცა ჩემს ნებას არ დამორჩილდა, - დანაშაულს მიემართე. იგი ხომ დემენეტეს გაუფრთხილდა მამინ, თუმცა მშვენიერებით ჩრდილავდა მას. ბარემ მითხარი, თისბე, ჩემო კეთილო, მაინც რა საშველი გეგულება ეგეთი?

- ქალბატონო, - მიუგო თისბემ, - ბევრის ამრით კნემონმა სასჯელის მოსახდელად ქალაქი დაგოვა და ატიკიდანაც გადაიხვეწა. მაგრამ შენს მონა-მხვევალს არაფერი გამოჰპარვია. შეგყობილი მაქვს, სადღაც აქვე იმალება იგი, ქალაქის ახლოს. ალბათ ფლეიტაზე დამკერული არსინოე გაგეგონება, აი, მასთან ცხოვრობდა. იმ ხიფათის შემდეგ მაგ ქალმა შეიფარა, თანგაყოლას შეჰპირდა და მალულად ინახავს, სანამ გასამგმავრებლად მოემზადებოდეს.

- ბედნიერი არსინოე. - წამოიძახა დემენეტემ, - ადრეც ახლოს იყო კნემონთან და ახლაც ერთად გაიქცევიან. მაგრამ ჩემთან რა საერთო აქვს ყოველივე ამას?

- ბერი რამ, ქალბატონო, - მიუგო თისბემ. - თავს ისე დაეიჭერ, ვითომც კნემონი მიყვარდეს. არსინოეს, ხელობით ჩემს ამხანაგს, ეთხოვ ვაეთან მე შემიშვას დამით მის მაგიერად. თუ ეს მოხერხდა, მამინ შენ, ვითომ არსინოე ხარ, მის ნაცელად შეხვალ. მე. მანამდე, ეიბრუნებ. ცოგათი ღვინით შემარხომდეს ვაეი. ხოლო რა დროსაც გულის წადილს აისრულებ, ენებაც დაგიცხრება. ქალებს უმეტესად პირველი ცდისთანვე უქრებათ ლგოლვა. ერთი ეინის დაცხრომა და სიყვარულმაც ჭირი მოგვჭამა. თუ მაინც იქნება სიყვარული, დაე, იყოს, იგი იქნება ხელახლა მოსინჯვა მღვისა, როგორც იყვიან, ანუ ახალი არჩევანი. მანამ ამამე ვიბრუნოთ, რაც წინ გვიძეეს.

დემენეტე მსახურის სიგყვებმა გააღალა და განზრახულის აღსრულებისთვის ილოცა. თისბემ ერთი დღე ითხოვა, რათა ყოველივე სისრულეში მოეყვანა. არსინოე ინახულა და ჰკითხა:

- გელედემოსს იცნობ? -

და რაკი დასტური მიიღო, უთხრა:

- დაგვითმე დღეს ბინა, ამალამ მაგ ბიჭთან უნდა გავათიო - შეპირებული მყავს. პირველად თვითონ მოვა, მე კი შემდეგ - ჯერ ჩემს ქალბატონს დავაწვენ საძილედ.

იმ წამსვე არისტიპოსს მიაშურა მამულში და უთხრა:

- ჩემივე თავის ბრალმდებლად მოესულვარ შენთან, რაც გინდა მიყავი. შენი ვაეი ჩემი მიზებით დაიღუპა, უნებური თანამონაწილე შევიქვენ დანაშაულში. რაწამს დავანამდვილე, რომ ქალბატონი რიგიანად ვერ იქცეოდა, სარეუელს გირცხვენდა, თავად შევმინდი, ეს ამბავი სხვამ არ შეიგყოს და ხიფათს არ გადავეკიდო-მეთქი. გული შემტკიოდა შენზე, მეუღლებე ასე გადაყოლილს სანაცვლოდ შერყხენა რომ

ვერგო. მაგრამ ამის თქმა ვერ გავიბედე და ბაგონიშვილს მოვახსენე ყოველივე, როცა ღამით შევედი მასთან ყველასაგან მალულად. მას გაეანდე – ქალბატონს საყვარელთან სძინავს-მეთქი. ქალბატონისაგან თავგაბეზრებული იყო, თავადაც უწყი. ეგონა, ეუთხარი, საყვარელი ახლა სახლშია-მეთქი, და ცოფმორულმა ფიცხლავ ხანჯალი იმარჯვა. ბევრი ეყვალე შემეკაუებინა იგი, ვუმტკიცებდი, ამჟამად არაფერი ეგეთი არ ხდება-მეთქი, მაგრამ ყურიც არ მათხოვა, ალბათ, იფიქრა, გყუილს მეუბნებაო და ის იყო მღეგანივით შემოვივარდათ სამთიბოში, დანარჩენი თავად უწყი. ახლა შეგიძლია, თუ სურვილი გაქვს, თავი იმართლო ღვენილი ვაჟიშვილის წინაშე, ამავე დროს შური იძიო მასზე, ვინაც მამა-შვილი ლაშში გაგსვარათ. დღესვე გაჩვენებ მას თავის საყვარელთან, ოღონდ ამჯერად ქალაქკარეთ, სხვის სახლში მწოლიარეს.

– თუ შენ ყოველივე ამას დამიმტკიცებ, – უთხრა არისტიპოსმა, – თავისუფლებას გაჩუქებ. მე კი ეგებ მაშინდა შევძლო სიცოცხლე, როცა მოზიმდარზე ვიძიებ შურს. ამ ამბებზე კარგა ხანია გული მეთანადრება, ამდენ ხანს სამხილ-საბუთთა უქონლობა მაკაუებდა მხოლოდ. ახლა კი როგორღა მოვიქცეთ?

– ის ბაღი ხომ იცი, სადაც ეპიკურეელთა ძეგლი დგას? – ჰკითხა თისბემ, – ღამით აქ მოხვალ და დამელოდები.

თქვა ეს თუ არა, ღემენეგესთან გაიქცა და უთხრა:

– აბა, გამოეწყვე, იქ ღამამად უნდა მიხვიდე, – ყველა პირობა შესრულებულია.

ქალბატონი გადაეხვია მას, მერმე ისე მოიქცა, როგორც თისბემ ურჩია. როცა შეღამდა, მსახური წინ გაუძღვა, როგორც მეთანხმებულნი იყვნენ. სახლს რომ მიუახლოვდნენ, თისბემ ცოგა ხნით დაუდა უბრძანა ქალბატონს, თვითონ კი წინ გაეჩქარა და არსინოეს შეეხვეწა – ხელს ნუ შემიმლი, სხვა ბინაში გადადიო.

– ბიჭი მორცხვობს, – თქვა მან, – იგი ხომ ახლა ეცნობა აფროდიტესეულ სიამეს.

არსინოე დაითანხმა, გამობრუნდა, ღემენეგეს ხელი მოჰკიდა, სახლში შეუძღვა და ლოგინი გაუშალა. მერე სანათი წაიღო, რომ ბნელში ქალბატონი ვერ ეცნოთ, და გულისწადილის ფრთხილად აღსრულება ურჩია.

– მე კი ყმაწვილთან წავალ, შემოვიყვან, – თქვა მან, – აგერ მემობლად ქეიფობს.

თისბემ გამობრუნდა და არისტიპოსს შეხვდა, იგი ადრე მოსულიყო იქ. თისბემ შეაქება, რომ ფიცხლად დასხმოდა თავს საყვარელს და იქვე გაეთოკა. არისტიპოსი მიჰყვა მსახურს, საჩქაროდ მიეარდა სახლში და რის ვაივავალაბით მიაგნო მთვარის მკრთალ შუქზე განათებულ საწოლს და შესძახა:

– წაგასწარი თუ არა ღმერთთა მოძულე! – სანამ იგი ამ სიტყვებს წარმოთქვამდა, თისბემ მთელი ძალით კარები მიაჯახუნა და დაიყვირა:

– რა უბედურებაა, ხელიდან გავეისხლგა მსიძავე! ფრთხილად იყავი, კელავ არ გაგაყურონ.

– შენ არხეინად იყავ, – მიუგო არისტიპოსმა, – უფრო ეს ძუენა მჭირდებოდა, იგი ახლა ხელთა მყავს. – მან ცოლი შებოჭა და ქალაქს წაიყვანა.

ქალბატონი, რა თქმა უნდა, ჩქარა მიხვდა, რა ბედიც ეწია: დაიმხერა მისი იმედები და ახლა საკუთარი უპატიურობა ემუქრებოდა კანონიერად დასჯილს. სტანჯაუდა მისი ნამოქმედარის გამომამკარავება და ბოღმა ახრჩობდა, რომ ვერე გააცურეს. უთუოდ იცი აკადემია, სადაც მამა-პაპათაგან დაწესებულ მსხვერპლს პოლემარქოსები გმირებს სწირავენ. აი იქ, ჰას რომ მიუახლოვდა, ანამდად მოხუცს ხელიდან გაუსხლგა ქალი და ჰაში გადაეშვა კისრით. ასე საძაგლად დაიდუქა ის ბილწი.

არისტიპოსმა მას მიაძახა: აბა, უმალ დაგაგყდა თავს სასჯელი, ვიღრე კანონი აღასრულებდა მას.

მეორე დღეს არისტიპოსი კრებულის წინაშე წარსდგა, ქალის შესახებ ყოველი განაცხადა და პატიება გაჭირვებით გამოითხოვა. მერე თავის ნაცნობ-მეგობრებს მიაშურა, რომ რამენაირად შენი დაბრუნების დასტური გაეხერხებინა, კნემონ. გააწყო თუ არა მან რაიმე, ვერ გეტყვი. მანამ მე, როგორც ხედავ, აქეთ წამოსვლა მომიხდა

საქმის გამო. მოსალოდნელია, რომ ხალხი შენი დაბრუნების ნებას დართავს. ხოლო მაშაშენი შენს ძებნას შეუდგება, – როგორც თავად ვანაცხადა ეს.

ეს იყო, რაც ქარიასმა მიაგმო. ხოლო თუ ვითარ მოვსულვარ აქამომდე და ვითარი შაველი ვადამხდენია, ამას სიტყვაც გრძელი სჭირდება და ღროიყ.

ეს რომ თქვა, კნემონს ცრემლი მოერიო. იყრემლებოდნენ მისი სტუმრებიც – თეატენე და ქარიკლეა. გირილის საბაბი კნემონის ეარამი იყო, მაგრამ თითოეულს თავისი მწარე მოსაგონარი ჰქონდა. ისინი კიდე დიდხანს ივიშვიშებდნენ ასე, რომ ამასობაში ძილს არ მოესწრო და ტკილ განცხრომას არ შეეწყვიტა მართქმა.

თიამიღმა (ასე ეძახდნენ ყაჩაღთა წინამძღოლს) ღამის დიდი ნაწილი მშვიდ ძილში ვაატარა. შემდეგ კი არეულმა სიმშრებმა ძილი გაუფრთხო და ფიქრები მოეძალა ერთობ ძილგამკრთალს.

რა ეამს ყვილს იწყებენ მამლები (ეცყობა, ისინი იღუმლად გრძნობენ მშის მოქუევას ჩვენკენ და იღვიძებენ, რათა მიესალმონ მშის ღმერთს; ან, შესაძლოა, იმად იზახიან, რომ მალე გათბნენ, ამოდრავდნენ, კენკეა იწყონ, სამუშაოდ გააღვიძონ პატრონის სახლელი), ამ ღროს ღვთაებრივი სიმშარი ემმანა თიამიღს.

ეჩენა. ვითომე მეშვისშია, მშობლიურ ქალაქში, ისიღას გაძარში მისულა. გაძარში ჩირაღდნები კამკამებენ. ნაირ-ნაირი ზვარაკით აესებულა ბომონ-სამსხვერპლო, სისხლით მოთხვრილა; გოდოლ-კარიბჭესთან ზღვა ხალხი გუგუნებს და შფოთავს. თიამიღი გაძრის სიღრმეში შეღის, წინ ქალღმერთი გამოეგებება, ქარიკლეს ჩააბარებს და ეცყვის:

– აპა, თიამიღ, შენთეის დამიღოცნია ასული. ახლა შენ გყავს იგი, მაგრამ აღარ გეყოლება. შენ გაბოროტდები, მოკლავ შორქვეყნულ ასულს – მაგრამ მაინც არ მოკვდება იგი.

სიმშარმა საგონებელში ჩააგლო თიამიღი. დიდი სურვილი ჰქონდა აესხნა, თუ რას ნიშნავდა ეს. ბოლოს სასომიხიღმა არჩია, რომ ყოველივე სურვილის მიხედვით გადაეწყვიტა: „გეყოლება ქალწული და არც გეყოლება“ – ნიშნავს, რომ ქალი მალე ქალწული აღარ იქნება. ხოლო სიტყვაში „მოკლავ“ იგულისხმება, რომ ქალს მიაყენებს საქალწულო ჰრილობას და მასში მოკლავს ქალწულს, ქარიკლეა კი ამით არ მოკვდება. ერთი სიტყვით, სიმშარი ისე გაიგო, როგორც ინება.

განთიადის ეამს ხელქეითებს ნადაელის მოგანა უბრძანა. ამ ნაძარცეს გროფი უწოდა მან. მერე კნემონი იხმო, გყვეთა მოყვანა უბრძანა.

– რა მოგველის ჩვენ? – წამოიძახეს გყვეებმა, როცა ისინი მიჰყავდათ; კნემონს ეხვეწებოდნენ: თუ რამე შეგიძლია, დაგვეხმარეო. კნემონი დახმარებას ჰპირდებოდა და გულის გამაგრებას ურჩევდა მათ. ამ ყაჩაღს არც თუ მთლად ველური ჩვევები აქვს, ადამიანობა მაგ კაცშიც არისო, კეთილშობილი გვარის ჩამომავალია, ასეთი ცხოვრება მხოლოდ ბედმა არგუნაო.

როდესაც გყვენი წარმოადგინეს და დანარჩენი ხალხიც შეიკრიბა, თიამიღი შემალლებულზე დაბრძანდა, კუნძული კრების ადგილად გამოაცხადა. კნემონს უბრძანა გყვეთათეის გადაეცა ყოველი, რასაც დაასახელებდა. ეგვიპტური ესმოდა კნემონს, ხოლო თიამიღი ძლივს ამგვრევედა ელინურს.

– ხალხო, – წარმოთქვა მან, – თანამოლაშქრენო, თქვენ უწყით გულისთქმა ჩემი, უწყით, როგორ გეპურობოდით. მე, მოგესხენებათ, ნაშიერი ვარ მეშვისელი წინასწარმეტყველისა; მამის სიკვდილის შემდეგ ვერ ვეზიარე ქურუმის ჩინს, რადგან იგი უკანონოდ მიისაკუთრა ჩემმა უმცროსმა ძმამ, თქვენთან გამოვიქეცი, რომ შური მეძია და პატივი ჩემი აღმედგინა. თქვენგანვე არჩეულმა გიწინამძღვრეთ თქვენ, მთელი ეს ხანი დაყვავი თქვენთან და არაფერი სხვაზე უმრავლესი არ ხელმიყვია. როცა განძს ვინაწილებდით, მეც სხვათა თანაბარ წილში ვავდიოდი, გყვეებს როცა ვყილდით, ფული საერთო საღაროში შემქონდა, რადგან მიმამჩნდა: ვისაც სურს კარგი ხელმძღვანელი იყოს, მან სხვაზე მეტი უნდა თესოს, ნაყოფი კი თანაბრად მოიმკოს. გყვე მამრთაგან ვინც კი მუშა-ძალად გამოდგებოდა, თქვენ ვიტოვებდით,

დაძაბუნებულნი კი დამიყილია. ჩემთვის მუდამ უცხო იყო ძალმომრეობა დიაცთაღმი. მათ შორის კეთილშობილი ბერძენი გამითავისუფლებია: ზოგი განძის ხატრით, ზოგიც მხოლოდ თანაგრძობით, მღაბიო ქალნი კი, რომელთაც მონობას გყვეობა კი არ აიძულებს, არამედ მათივე ხვედრი – მსახურებად მომიცია ყველა თქვენგანისათვის. ახლა კი მთელი ამ დავილიდან ერთს ვითხოვ თქვენგან, – ამ უცხო ასულს. ძალით დასაკუთრებაჲ შემეძლო მისი. მაგრამ უმჯობესად მივიჩნევ თქვენი დასტურით მივიკერძო იგი. ხომ სიბრიყვე იქნებოდა ჩემი მხრით, ქალი თვითნებურად მიმეტაცებინა და ამით მეჩვენებინა, ჩემს მეგობრებს არად ვაგდებდე თითქოს. არც თუ მუქთად მოვითხოვ ქალს. ამის სამაგიეროდ დანარჩენ დავლაში მონაწილეობაზე ხელი ამიღია. ქურუმთა ადათი ვერ იგუებს მრუმ აფროდიტეს, მაგრამ მე ეგ ქალი ტკბილი სარეცელისათვის კი არა, შთამომავლობის გასაგრძელებლად მინდა, საბედოდ ამირჩევია. ახლა ამ არჩევანის მიზეზიც მოგახსენოთ: – უპირველეს ყოვლისა – ვგონებ, იგი კეთილშობილური გვარისა უნდა იყოს. ამას მაფიქრებინებს მისი ძვირი ოქრო-სამკაული და თავდაჭერა: უბედურების ეამს სულით კი არ დაცემულა, ჩვეული ღირსებით უჭირავს თავი. გარდა ამისა, ვგრძნობ მის სულიერ უბიწობას და სათნოებას. თუკი ესევეთარ სხივმოსილებით ჩრდილავს იგი ყველა ქალს, თუკი თავისი მოკრძალებული მგერით მნახველთა პატივს იმსახურებს, განა ეს მხოლოდ კარგს არ გვაფიქრებინებს მასზე? ჩემი ნათქვამიდან მთავარი მაინც ესაა: რომელიმე ღმერთთაგანის ქურუმი უნდა იყოს იგი, განსაცდელშიც რომ არ იმორებს საღვთო გვირგვინ-სამოსელს, მოშიმი და მოკრძალებული. თვით განსაჯეთ, ხალხო, ვაჲ – ქურუმთა შთამომავალი, ქალი – ღმერთების საჩუქარი, განა შეიძლება უკეთესი წყვილი მოიძევებოდეს სადმე?

ამ ამბავს ყიყინით მიესალმნენ ყველანი და მოუწოდებდნენ, რომ საკადრისი ქორწილი გადაეხადათ. თიამიღმა კელავ სიგყვა აიღო, თქვა:

– მაღლობელი ვარ თქვენი. მაგრამ უმჯობესი იქნებოდა გავვეგო ქალის ამრიც, როგორ უყურებს იგი ამ ამბავს. თუ საქმე ძალის კანონზე მიდგებოდა, საკმარისი იქნებოდა მხოლოდ ჩემი სურვილი, რადგან ვინც ძალით მოქმედებს, მას კითხვებს არ აძლევენ. მაგრამ როცა საქმე შეუღლებას ეხება, აჲ აუცილებელია ორივე მხარის თანხმობა.

მერმე ქალს მიმართა:

– რას იტყვი ჩემს ცოლობაზე, ასულო? – ჰკითხა. თან უბრძანა ვინაობა გაემხილა – ვინა ხართ, ან საიდან მოსულხართო.

ქალი დიდხანს იდგა, თვალებით მიწას დაშვებოდა: მხოლოდ რამდენჯერმე შეარხია თავი, თითქოს რაღაცის თქმას აპირებს და სიგყვებს ეძებსო. შემდეგ თიამიღს გამოხედა და უწინდელზე მეტად მოხიბლა იგი თავისი სიგურფით – ლოყები ჩვეულებრივზე მეტად შეუუაყლდა მღელვარებისაგან, თვალბში კი მრისხანება ჩაუდგა.

– ლაპარაკი, – თქვა მან, – თარჯიმნობა კნემონი – მეჭურის თეაგენეს – ჩემს ძმას. დიაცთ, რამდენადაც ვიცი, მამრთა წინაშე ღუმილი მართებით, პასუხის მიგება მამაკაცთა წესისა მხოლოდ. მაგრამ რაილა მომეცით სიგყვა, ამით მაგრძობინეთ კაცთმოყვარეობის პირველი ნიშანი; და რადგანაც ცდილობთ არა ძალმომრეობით, არამედ შეგნებით აღასრულოთ წესი, და რამდენადაც ყოველივე ეს ჩემ გამო ხდება, იძულებული ვარ დავარღვიო ქალწულთა ადათი და ამდენ მამაკაცთა წინაშე პასუხი გავეც ყაჩაღთუფროსის წინადადებას ქორწინების შესახებ.

ჩვენს წარმომობას მოგახსენებთ: წარმომობით იონილები ვართ. დავიბადეთ განთქმულ ეფესელთა შორის. მშობლები ცოცხლები გყავს. ჩვენი მღვთმარეობის ბაუმეებს კანონი ქურუმთა დასში შესვლას კარნახობს. მე არტემიდეს მსახურება მხედა წილად, ხოლო ძმას – აპოლონის. ეგ პატივი ერთი წლით გვეძლევა და დათქმული დრო რომ გასრულდა, დელფოსს ვავემურეთ საღმრთო მისიით. იჲ მუსიკალური და ჰიმნური შეჯიბრი უნდა მოგვეწყო და ქურუმის მოვალეობისაგან

გავთავისუფლებულიყავით მამა-პაპათა ადათის თანახმად. ჩენი ხომალდი აივსო ოქრო-ვერცხლით. განძ-სამოსელით, რამდენიც კი შეჯიბრს, ან სახალხო წვეულებას აუთავებოდლა და ზღვაში გავედით. მოხუცი მშობლები და სხვა ხანში შესულნი, რამდენადაც ზღვით მგზავრობას ეკრძალებოდნენ, შინ დავტოვეთ. დანარჩენთაგან ზოგი ჩვენთან ერთად ჩაჯდა გემში, ზოგიც საკუთარი ხომალდით წამოვიდა. გზის კარგა მანძილი გვექონდა გავლილი, როცა ანაზღად ქარ-ბორბალა ამოიჭრა. დაიშხულა ქარმა. წარღვნად მომსკდარმა ვრიგალმა მიმართულება უსკალა გემს. შესაჭე ხიფათს ვერ გაუმკლავდა, გემი ტალღების ანაბარა დაავლო, ბედს მიანდო მისი მართეა. შეუწყვეტელ ქარგეხილში ვეხეგებოდით შეიდი დღისა და ამდენივე დამის განმავლობაში, სანამ აქაურ ნაპირებს არ მოვადექით, სადაც თქვენ ჩაგივარდით გყვედ. იქ თქვენ იხილეთ სისხლიანი ქმედება: ლხინის ეამს, მშვიდობით გადარჩენის გამო რომ გავმართეთ, თავს შეკობრენი დაგვეცნენ. განძეულის გულისათვის ჩენი დახოცვა განიმრახეს. ყველა ჩენი ახლობელის ამ უთავბოლო, ბედუკუდმართ ხოცვა-ელეგამი, სადაც შეიმუსრნენ თავდამსხმელებიც, გამარჯვებულნი გამოვედით მხოლოდ ჩვენ ორნი. და თუ ეს შემთხვევა არა – გადარჩენილნი ვიყავით თითქოს. ამდენი ჰირის სანაცლოდ იმით მაინც გავვიღიმა ბედმა, რომ ღმერთთაგანმა თქვენამდე მოგიყვანა და თუ უწინ სიკედილის შიში მიპყრობოდა, ახლა ქორწილზე მიხლება ფიქრი, რამედაც უარის თქმა ღია არა მსურს.

გამარჯვებულის ცოლობა გყვე ქალისათვის – ეს ხომ ყოველგვარ ბედნიერებას აჭარბებს. მე მონა ღვთისა შევეულო ქურუმის ვაჟს, ან უკეთ თვით ქურუმს, რომლის ჩინსაც ღვთის წყალობით მალე ეღირსება, – ეს ხომ ყოველად ღვთაებრივი ამრის დასტური იქნება. ერთსა გთხოვ მხოლოდ, და ამისრულე, თიამიდ. წარმგზავნე ქალაქს, სადაც გაძარი ან ბომონი იქნება აპოლონის სახელზე, რათა იქ მოვიხსნა ქურუმის ვალი და ნიშანი. საამისოდ აჯობებს მემფისი, სადაც შენ ქურუმის ხარისხსაც მიიღებ. ქორწილიც უფრო სამხიარულო იქნება, თუ კი მას გამარჯვებას შეაგებებ: ჯერ მიმანს ეწევი და მერე ლხინსაც. შესაძლოა უფრო ადრე მოხდეს ეგ, თუ მანამ მამა-პაპათა ადათს აღვასრულებ. ვიცი, ამაზე დამეთანხმები, რადგან როგორც თვითონა ბრძანე, სიყმაწვილის დღიდან ზიარებულხარ წმიდა სალოცავს, ღმერთთა ყოველთა თაყვანებას ჩვეულხარ.

აქ მან სიგყვა შეწყვიტა და გირილი დაიწყო. მისმა სიგყებმა ბრბო ააღელვა. ყვირილით დაადასტურეს თანხმობა. ძალაუნებურად გამხიარულდა თიამიდიც. ერთი გადაღებული წამიც კი ეხანგრძლივებოდა, ძლიერი იყო ქარიკელეასადმი მისი გრფიალი, მაგრამ ქალმა ისე მოხიბლა ლაპარაკით, როგორც ნამდვილმა სირინოზმა. საჭიროდ მიიჩნია თანხმობა. თანაც ყოველივე სიმშრით ახსნა, ირწმუნა, რომ ქორწილი სწორედ მემფისში უნდა გადახდილიყო. კრება დამლილად გამოაყხადა, მერე ალაფი ხელახლა გადაანაწილა და მრავალი ნატიფი ნივთი მიითვალა, რაც ნებით დაუთმეს.

ბრძანა: ათი დღის შემდეგ მემფისზე თავდასასხმელად განემზადეთო. ბერძნებს იგივე ქოხი მიუჩინა. მისი ბრძანებით ქოხში გყვეებს შეეხიზნა კნემონიც, მაგრამ ამჯერად არა როგორც დარაჯი, როგორც თანამეინახე. ხასიათი ჩვეულებრივზე რბილი გაუხდა თიამიდს. დის ხათრით გულთბილად ეპყრობოდა თეაგენესაც. ვადაწყვიტა ქარიკელეასათვის ბედაც არ შეეხედნა, რომ მისი დანახვით გულში ჩარჩენილი ნაპერწკალი არ გაეღვივებინა და ამით სასიხარულო, აწ საჯაროდ ვანცხადებული ვადაწყვეტილებისათვის ხელი არ შეეშალა. ამ ხნის განმავლობაში თიამიდი გაურბოდა ქალთან შეხედრას, რადგან გრძნობდა, რომ მისი შემხედვარე გონიერების საზღვარს გადასდებოდა. ხოლო კნემონი, როგორც კი ყოველივე მიწყნარდა, ზოგი სად მიიმალა და ზოგი სად ტბის მიდამოებში, მოშორებით ბალახის მოსაძებნად წავიდა, თეაგენეს რომ შეჰპირდა ადრე.

თეაგენემ დრო იხელთა თუ არა, მოთქმასა და გოდებას მოჰყვა. ქარიკელეასთვის ხმა არ გაუცია. ღმერთებს იმოწმებდა მხოლოდ.

როცა ქალმა ჰკითხა: – ჩვენს საერთო ვარამზე მოთქვამ თუ ახალი უბედურება გეწიაო, თეაგენემ მიუგო:

– განა არ შეიძლებოდა მწეოდა უფრო ახალი, უფრო სევმრული? თუკი არად ჩააგდებენ მხურვალე ფიცსა და აღთქმას, თუკი ქარიკლეა ეგრე გამწირავს და სხვას გაპყეება?

– ნუ მყველრი ეგრე, – უთხრა ქალმა, – მეტად ნულარ დამიმძიმებ უბედურებას. განა საქმით არ უნდა მეგემოწმებინე მას შემდეგ, რაც გადაიგანეთ, განა ჩემს სიგყვაზე უნდა მიგეტანა ეჭვი, რომლის წარმოთქმა ჩვენდა სასარგებლოდ მაიძულა მდგომარეობამ? სხვაფრივ კი ნეტა პირიქით მოხდეს, და თვით არ აიყარო გული, ვიდრე მე მნახაველე გულაყრილს. განსაცდელზე უარს არ ვიტყვი, მაგრამ უბიწობაზე ვერავითარი ძალა ვერ ამალებინებს ხელს. ისიუ ვიცი, მხოლოდ ერთხელ არ ვიყავე უბიწო, როცა ვნებად დამიპყრო შენდამი პირველად, მაგრამ ეგ ვნება კანონიერი იყო, რადგან მოგენდე მაშინ არა როგორც სიყვარულს, არამედ – როგორც მეუღლეს, როცა პირველად გიძღვენი თავი. დღემდე დამიცავს სიწმინდე ჩემი, მოურიდეებივარ შენთან სიახლოვეს და არაერთხელ უკუმიგდია შენი მცდელობა იმის მომლოდინეს, რომ გადავიხდიდით კანონიერ ქორწილს, საყოველთაო ფიცით დაგვირგვინებულს, რისი პირობაც აღრევე დაგვიღვია. განა ბრიყვი არ იქნებოდი გერწმუნა, რომ ბერძენს ბარბაროსზე გავეცელიდი, მიჯნურს – ყაჩაღზე?

– მაშინ რა მიმანს ისახავდა შენი ბრწყინვალე გამოსულა? – ჰკითხა თეაგენემ. – ჩვენი დაძმობა მეტად ჰკვიანურად მოიგონე, ამით თიამიდი ეჭესაც ვერ გაიულებს გულში, ჩვენ კი უშიშრად ერთად ყოფნის საშუალება მოგვეცემა. იონიისა და დელფოსის გზაბნევის ამბავსაც მივიხედი – ამით სიმართლეს ფარდა ჩამოაფარე და გზა-კვალი აუბნე მსმენელთ. ხოლო რად განაცხადე თანხმობა ქორწინებაზე, ამკარად დათქვი პირობა და დროც დანიშნე, ეგ კი ვერ გავიგე, არც მსურდა გაგება. ვიჯებოდი, მიწამ პირი მიყოს-მეთქი უმაღ, ვიდრე ასე გასრულდეს ყოველი, რაც კი შენთან მაკავშირებს – ჰირი თუ ლხინი.

ქარიკლეა უხეოდდა თეაგენეს, კოცნიდა დაუთვალავად, ცრემლებით ასეულებდა მას. – როგორ მახარებს, – ეუბნებოდა იგი, – როცა უხედავ, რომ ეგრე შიშობდი თურმე ჩემ გამო. იყოდე ამ საუბარსაც კი ვერ ვეღირსებოდი, ის პირობა რომ არ მიმეცა. თავად უწყი: როცა ვნება იმარჯვებს, წინააღმდეგობა მხოლოდ აძლიერებს სურვილს. ლმობიერი სიგყვა, დროულად მიგებული, აწყნარებს პირველსავე მშფოთვარე ალტყინებას და შეპირების სიამით ანელებს მძაფრ ვნებას. მღეგიანი მიჯნურნი თავს გამარჯვებულად თელიან შეპირებით და შვებას ეძლევიან. აი, ამაზე ვფიქრობდი სიგყვებს მინდობილი, ხოლო დანარჩენი ღმერთებს მიეანდე და ჩვენი სიყვარულის მფარველ ღვთაებას. ზოგჯერ ერთ-ორ დღეში ისეთ გამოსავალს გვიკარნახებს ბედი თავდასახსნელად, რასაც ასი დღის ფიქრითაც ვერას ვახედებოდი. მეუ ასევე, ხერხს მიემართე და ხიფათს აგამორე, გყუილი შეპირებებით უკუვავდე ნამდვილი საფრთხე. პოდა გავუფრთხილდეთ ამ ხერხს, სასურველო, ჩუმაღ ვიყოთ ყველასთან, თვით კნემონთანაც. თუმცაღა ჩვენდამი კარგაღაა განწყობილი, ეგეუ არ იყო: ბერძენია, მაგრამ ახლა მონაა და, თუ შემთხვევა მიეცა, აღმეებულს უფრო დაუჭერს მხარს; არც მეგობრობის ხანიერება, არც თესლგომობის ღვთიური ადათი არ გვაძლევს საიმედო საფუძველს მისდამი. პოდა, თუ რამ ეჭვი აღეძრას ოდესმე ჩვენს დაძმობაზე, ეჭვი იმთავითვე უნდა გავუქარწყლოთ. ზოგჯერ კარგია გყუილიც, თუ იგი არგებს მოქმელს და არ აენებს მსმენელს.

ამაზე და ამის მსგავს ამბებზე ჰქონდა ბაასი ქარიკლევას, როცა ანაზღად კნემონი შემოიჭრა – მეტისმეტად შეწუხებული მისი სახე უზომო მღელვარებას გამოხატავდა.

– თეაგენე, – უთხრა მან, – მოგიგანე ბალახი, წყლულზე დაიდე და დაიაზე. ოღონდ ამჯერად ახალი ჰრილობები და სისხლისღერა გველის.

თეაგენემ სთხოვა დამშვიდებით ეთქვა, რას ნიშნავდა მისი სიგყვები.

- ახლა სმენა-გავონების დრო არ არის, - მიუგო კნემონმა, - რადგან ვმომბოძო, კარს მომდგარმა საფრთხემ პირში არ ჩავგჩაროს სიგყვები. ჩქარა გამომყევი უკან. ქარიკლეაუ ჩვენთან წამოვიდეს.

ორთავე თიაშიდთან წაიყვანა კნემონმა. თიაშიდს იმ დროს მიუსწრო, როცა მუზარადს სწმენდა და შუბს ლესავდა.

- სწორედ რომ იარაღის ლესვა გმართებს, - მიაძახა კნემონმა, - ფიცხლავ საჭურველი აისხი და სხვებსაც ეტ უბრძანე. ეს-ესაა მტრის ურიცხვი ლაშქარი დაელანდე, რომლის მსგავსი ჯერ არ მოწვენილა ჩვენზე. ისე ახლოს იყენენ, უახლოესი თხემი ახლა გადმოვლილი ექნებათ. მე აქეთ გამოვიქეცი, რომ თაელასხმის ამბავი მეუწყებინა. გმაში არ დამიხანებია, რაც კი შემეძლო გამოვრგოდი, რომ დაუყოვნებლივ მეცნობებინა ეს.

ეს რომ გაიგონა, თიაშიდი ფეხზე წამოიჭრა და იკითხა: სად არის ქარიკლეა? - მას ქალის ბედი უფრო ამინებდა, ვიდრე თავისი. კნემონმა მიუთითა ქალზე - იგი კარის მორიახლო იდგა უბრად.

- გამოქებალში წაიყვან მას, სადაც განძი ინახება, - ჩუმად უთხრა ეს კნემონს, - იქ დააბინავე, ძმაო. შესასვლელი, როგორც წესი, საგდულით დაკეტივ და მალევე მობრუნდი. ბრძოლაზე გმართებს ბრუნვა.

შემდეგ საჭურველთმგეირთველს გვარაკის მოყვანა და მისი ადგილობრივ ღმერთთათვის შეწირვა უბრძანა, რომ ამრიგად ომს შესდგომოდა.

კნემონმა ბრძანება შეასრულა. უსასოოდ მგირალ ქარიკლეას წაუძღვა, წამით რომ ვერ ამორებდა თვალს თეაგენეს, და ქვაბში დააგდო. ეს არ იყო ბუნებრივი გამოქებალთა, მიწაზე ან მიწისქვეშ რომ ჩნდებოდა ბუნების წყალობით. ამჯერად ყაჩაღთა ხელოვნებას მიეძახა ბუნებისათვის და მიწათხრილი, ნატიფად გამოღარბამებული, ეგვიპტელთა ნახელავი იყო, სადაც ნაყაჩაღარ განძს ინახავდნენ.

შესასვლელი წარმოადგენდა ვიწრო, ბნელ გვირაბს, რომელიც დარანის კარს უერთდებოდა. კარების წირთხლი საჭიროების მიხედვით ეშვებოდა, ან გვერდზე იწვედა. აქედან იწყებოდა მიწისქვეშა მიხვეულ-მოხვეული გასასვლელები. გმაბილიკები ღრმად იჭრებოდა მიწით. მოგან თავგმამაბნეველ დაკლაკნილნი და ცალ-ცალკე მიმავალნი, მოგან კი ფეხვებივით გადახლართულნი, ისინი ერთ ვრცელ დაბლობში იყრიდნენ თავს. გბის მორეული ნაპირიდან არეკილი შუქი, რომელიდაც ნაპრალიდან გამოშავალი, აქ ეცემოდა. სწორედ აქ ერთ განმარტოებულ ადგილას მოიყვანა კნემონმა ქარიკლეა, როგორც აქაურობის მცოდნემ. გმადაგმა ანუგემებდა მას. შეჰპირდა - სადამოს თეაგენესთან ერთად მოვალო. მას სურდა თეაგენე მტერთან შეჯახებამდე არ მიეყვანა, ბრძოლას აერიდებინა. სიგყაუბარი, სუნთქვაშეკრული და გაყუჩებული, თითქოს სიკვდილით შემუსრვილი, დატოვა ქალი კნემონმა ქვაბში. განშორდა რა თეაგენეს, თითქოს სულს განემორა ამით ქარიკლეა საკუთარს. კნემონი გამოქებალთადაც გამოვიდა, მღუღე დაუშვა და ცრემლები წასკდა. გული აუჩვილა ქარიკლეას ბედმა და საკუთარმა მოვალეობამ: იგი იძულებული იყო თითქმის ცოცხლად დაემარხა ცოცხალთა შორის უბადლო ქარიკლეა, ღამის და წკვარამის ამარა დაეგლო იგი. თვითონ თიაშიდთან გაემურა, საომრად ადგყინებულს მოუსწრო, საჭურველში რომ ბმინავდა თეაგენესთან ერთად და გარს მომდგარ ლაშქარს სიგყვით აღაფრთოვანებდა. შუაში მდგარი ასე მიმართავდა ჯარს:

- თანამოლაშქრენო! რა საჭიროა შექება და ყალბი სიგყვები. თქვენ ხომ არასოდეს დაგჭირვებიათ შეხსენება, ისედაც მუდამ იცოდით, რომ თქვენი ცხოვრება ბრძოლაა. განსაკუთრებით ახლა, როცა მტერი ანამბედულად მოგვედგომია კარს და პირში სიგყვასა გვჩრის. შემუსვრას გვიქადის მტერი და ვინც დროზე არ მიაგებს შურს, მას დაეიწყებია თავისი ეალი. თქვენ ხელავთ, რომ არას ვამბობ ცოლებზე და შვილებზე, თუმცა ბევრს მხოლოდ ესეუ კი აღუძრავს ბრძოლის სურვილს, მაგრამ ამჟამად მცირედი მნიშვნელობა ენიჭება ამას. ჩვენი იქნება ყველაფერი, რასაც გამარჯვება მოგვიტანს, ახლა კი ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას. არ დასრულებულა

ჯერ შეთანხმებით ყაჩაღთა ომი, მავი არასოდეს ყოფილა ბოლო, გარდუვალია ჩვენთვის: ან ხსნა და გაპარჯება, ან დამარცხება და დაღუპვა. სულით ხორცამდე ამ რწმენით შევებებით გააფთრებულ მტერს.

თქვა ეს და მოიხედა სადაც საჭურველთმგვირთველი ეგულებოდა. სახელით უხმო რამდენიმეჯერ.

– თერმუთიდ!

მაგრამ იგი არსად ჩანდა. თიამიდი დაემუქრა მას მრისხანედ და ფიცხლავ ნაეს მიაშურა. ბრძოლა უკვე დაწყებულიყო. შორიდანაც შეიძლებოდა დაგენახათ, როგორ დაიკავა მტერმა გბის დასახლებული შემოგარენი. თაედამსმელებმა ცეცხლს მისიეს ბრძოლაში დაეყუდებოდა ან ლგოლვილთა გემები, მათი ქოხები. ხანძარი გადაედო უახლოეს ჭაობს, ცეცხლის ენამ მოლოკა ლერწმების გვერი. თვალს აბრმავებდა ალისქარის კამკამი, გუგუნი ახმობდა სმენას. თქვენ შეგეძლოთ დაგენახათ და გაგვეგონათ ყოველივე, რაც ბძოლის ველზე ხდებოდა: ჭაობის მკვიდრნი ძაღლონეს არ იშურებდნენ, რომ მტრის შეგვეა შეეჩერებინათ, მაგრამ მომხდურნი სიმრავლითა და უცაბელი თაედასხმით უკეთეს მღვომარეობაში აღმოჩნდნენ. მუსრს აელეებდნენ აღამიანებს ხმელეთზე, ან გბაში ძირაედნენ მათ თაეიანთი საცხოვრებელი ქოხმახებით. მანმარებდა კაერი. ერთმანეთს ერკინებოდნენ ხმელეთზე, ხომალდზე, ხოცაედნენ და იხოცებოდნენ, სისხლით იღებებოდა გბა; ერთმანეთს ერთოდა წყალი და ცეცხლი.

ყოველივე ეს რომ ნახა და ისმინა, თიამიდს მოავონდა ისიდასა და გაძრის სიგმარი, სანთლებისა და გვარაკთა სიმრავლე და წარმოიდგინა, რომ სწორედ ეს იყო, რაც სიმშრად ნახა.

შემდეგ კი კვლავინდებურად სიმშრის ახსნას შეუდგა: ქარიკლეა ჰყავს, მაგრამ აღარ ეყოლება, ომი წაართმევს მას. კი არ დაჭრის ქალს თიამიდი – მოკლავს, აფროდიტეს წესით კი არა – ხმლით. მერე რჯულზე შეუკურთხა ქაღღმერთს, სულ ცბიერი უძახა. იმის შიშით, რომ სხვა ვინმეს არ ეგლო ხელთ ქარიკლეა, მხლებლებს მცირე ხნით შეყოვნება უბრძანა. თქვა: უნდა შეეჩერდეთ და ბრძოლა აქედან განვაგრძოთ, მახლობელ კუნძულებს შეეფაროთ, უცაბელი თაედასხმა მოვაწყვოთ, ამრიგად თუ ვაუემკლავდებითო რიცხემრავალ მტერს. თვითონ კი თერმუთიდის ძებნა, თან ღმერთთა საყუდარისაღმი ლოცვა-კურთხევა მოიმიზეზა და გმად არავეინ იახლა, ისე განემორა; ქება-სასახლემი გაეჩქარა გონებაარეული. ძნელია ბარბაროსის მოგება, თუ რაიმე აიხირა მან, სასოწარკვეთილი მოსპობს, ვინც კი მისთვის ძვირფასია, რადგან, ალბათ, სჯერა, რომ საიქიომი მასთან ერთად იქნება, ან, ალბათ, მტრის ხელში ჩასაგდებად და დასამცირებლად არ ემეტება. ამ გრძნობამ თიამიდსაც დაავიწყა ყველაფერი, და თუმცა მტრების რკალში ისე იყო მომწყვდეული, როგორც ბადემი, გახლებულმა სიყვარულით, ეჭვით და რისხვით, გამოქვაბულს მიაშურა, მიგ შევარდა და ეგვიპტურად იმრახა. შესასვლელში შეეჩეხა ქალს, რომელიც ელინურად შეესიტყვა თიამიდს. ყაჩაღმა ხმაზე მოძებნა ქალი. მარცხენა ხელი თავზე წაეგანა და მკერდში, მედ ძუძუს კერგთან დასცა მახვილი.

შესაბრალისად მიესვენა ქალი ძირს: საწყალობელი აღმოხდა კენესა – უკანასკნელი. გვეით აირბინა თიამიდმა, დარანის კარი დაუშვა და მიწის ბორცვი აღმართა მცირე.

– აჰა, საქორწილო საჩუქარი ჩემი შენდამი, – გირილით წარმოთქვა მან. მერე ხომალდებს მიაშურა. თაეისიანებს იმ დროს მიუსწრო, როცა გაქცევას ლამობდნენ. სულ ახლოს იყო მტრის ლამქარი, გამოჩნდა თერმუთიდიც. იგი თიამიდისკენ მოდიოდა გვარაკით. თიამიდმა მას მიუკურთხა – უკეთესი გვარაკთაგანი შეეწირეო უკვე – თქვა და ნავზე ავიდა. ნავზე თვითონ იყო, თერმუთიდი და მესამე – მენიჩბე. ამაზე მეტს ვერ იტევს გბის ნავი, მთლიანი ხისაგან, მსხვილი მორისაგან რომ ღრუგნიან უნახელაუოდ. თაეგენემ სხვა ნავით შეკურა კნემონთან ერთად. სხვებმაც დანარჩენი ნავებით და ამრიგად ყველანი დაიძრნენ. ისინი მცირე მანძილით დაშორდნენ

კუნძულს, უფრო გარშემოსკურეს, ვიდრე უკან ჩამოიგოვეს. მერე ნიჩბების მოსმა შეწყვიტეს. მწკრივზე განალაგეს ნავები, რათა პირისპირ შეჩეხებოდნენ მოწინააღმდეგეს. მაგრამ მოახლოებული მტრის ნიჩბის ჩქაფუნსაც კი ვერ გაუძლეს: ზოგი მარტო იარაღის ელარუნმა დაზაფრა, მტრის დანახვაზე კი ერთბაშად მოკურცხლეს უკან. თეაგენემ და კნემონმაც უკან დაიხიეს, მაგრამ იმდენად შიშით არ ყოფილა ეს ნაკარნახევი. მხოლოდ ერთადერთი თიაშიდი, გაქცევის სირცხვილით, ან უფრო ქარიკლეს დარღით ძლეული – მტერს ეკვეთა.

დაიწყო ხელჩართული ბრძოლა.

– აჯერ ის, თიაშიდი! – დაიყვირა ვილაყამ, თვალყური ადევნეთ მას!

მყისვე გემები წრეზე განალაგეს და შუაში მიიმწყყდიეს იგი. თიაშიდი თავს იცავდა. შუბით კვეთდა მტერს, კკუწავდა. საკვირველი ის იყო: არც მახვილი აღუმართაუთ მასზე, არცა თუ პოროლი უძგერებიათ. ყოველი მათგანი ისწრაფოდა ცოცხლად ეგლოთ ხელთ. დიდხანს არ დანებდა მტერს თიაშიდი, სანამ რამდენიმე კაცი ერთდროულად შუბზე არ სწვდა და ხელიდან არ გამოგლიჯა. იქვე დაკარგა საჭურველთმგვირთველიც, – იგი მედგრად იბრძოდა მის მხარდამხარ და ბოლოს დაიჭრა, ალბათ, სასიკვდილოდაც; უიმედო მდგომარეობაში ჩაეარდნილი გბამი გადაეშვა და ყვინთვით, რომ ისრები აეცილებინა, გაჭირვებით მიაღწია ჭაობს. მისი გამოდევნება არავის მოსელია ამრად.

თიაშიდი კი გყვედ იგდეს. ამ ერთი კაცის შეპყრობა სრულ გამარჯვებად მიაჩნდათ ურიცხვ მეგობართა დამკარგველთ. ყაჩაღის ცოცხლად დაგყვევება უფრო ახარებდათ, ვიდრე თავისიანთა დანაკლისი აღონებდათ.

ფული სიოცხლეზე ძვირფასია ყაჩაღისათვის, მათი ნათესაური და მეგობრული გრძნობებიც ფულით იზომება. ეს ყაჩაღებიც ამ გრძნობით სულდგმულობდნენ. სწორედ ესენი იყვნენ, თიაშიდს და მის რამზს რომ გაექცნენ პერაკლეოტიკონის ვიწროვბში.

უცხო საქონლის ხელიდან გამეებაშ გააცოფა ისინი. ვაი-უშველებელი აგებს ნადაულის დაკარგვის გამო, თითქოს იგი საკუთარი ყოფილიყოს და მთელი თავიანთი სახლეული შეკრიბეს, სამველად უხმეს მომიჯნავე სოფლების გლეხკაცებს, თანაბარი წილი შესთავაზეს ნადავლში, ლაშქრობა ითაეეს და აკი ცოცხლად იგდეს ხელთ თიაშიდი. და აი, რა მიზეზით:

ძმა ჰყავდა თიაშიდს მეფუისში – პეტოსირისი. თუმცა უმცროსი იყო, ცბიერებით მისსაკუთრა ქურუმის ჩინი, რომელიც თიაშიდს ერგებოდა მამის ანდერძით. რაყამს ძმის გაყაჩაღება შეიგყო, დაფრთხა: – ვაი თუ ერთ ღდეს ღრო იხელთოს და კარზე მომადგესო, ან ღრომ ნათელყოსო ჩემი სიავე. თან გრძნობდა, რომ ეჭვი ჰქონდათ, როგორც მკვლელზე უკეალოდ გამქრალი თიაშიდისა. ყაჩაღ მოსახლეობას განუცხადა: ურიცხვ ოქროს, ჯოგ-ფარას გპირდებით, თუ ცოცხლად ჩამაგდებინებთ თიაშიდს. ამ საგყურზე წამოგებულ ყაჩაღებს ბრძოლის ცეცხლშიაც კი არ მოშორებით გამორჩენაზე ფიქრი, და რაყამსაც რომელიდაც მათგანმა თიაშიდი იცნო, ბევრის სიკვდილის ფასად გყვედ იგდეს იგი. მიწაზე გართხმული დაიხელთეს, მკველად ნახევარი რამში მიუჩინეს. ყაჩაღი აგინებდა მათ თვალთმაქსურ კაცთმოყვარეობას, სიკვდილი იმდენად არა – რამდენადაც ბოროკილი აღონებდა მას. დანარჩენებმა კუნძულს მიაშურეს, რათა სიმდიდრე და განძი მოეძიათ. იქაურობა სულ შემოირბინეს, კუნჭულიც არ დაუტოვებიათ უნახავი და, მიუხედავად მოლოდინისა, ვერა ჰპოვეს რა. ან თუ ჰპოვეს – ისიც უმნიშვნელო – მიწისქვეშა ქვაბურებში გადანახული.

კარვებში ცეცხლი აბრიალდა. სადამო მოახლოვდა; ყაჩაღებს კუნძულზე დარჩენისა შეემინდათ – გაქყეული მტერი საფარში არ ჩაგვიჯდესო – და შინ დაბრუნდნენ.

თარგმნა ვიკლა სარიშვილმა

ღამატება



იგავ-არაკის ქანრი

ძე.წ. VII-IV საუკუნეებში ბერძნულმა მწერლობამ უკვე შექმნა ძირითადი ლიტერატურული ეანრები (ეპოსი, ლირიკა, დრამა, მეცნიერული პროზა), თუმცა იმავდროულად ვითარდებოდა ამ ეანრთა ვარიაციები ან მცირე ფორმები: ეპიგრამები, ფლიაკები, მიმოსები და სხვა. საყოველთაო აღიარებით სარგებლობდა იგავ-არაკის ეანრი.

ესოპოსი

(ძე.წ. VI ს.)

ძველი საბერძნეთის ხალხური შემოქმედების წიაღიდან აღმოცენებული იგაეები ლიტერატურის ისტორიაში ესოპოსის (ემოპეს) სახელს უკავშირდებიან. არაეინ იეის ზუსტად, ისტორიული პიროვნება იყო იგი თუ არა. მის შესახებ ხალხში ლეგენდებს ყეებოდნენ. იგი ისტორიულ მეხსიერებას შემორჩა გონჯ და მასხარა მონად, რომელიც თავის ბატონს მუდამ სჯობნიდა გონიერებით.

„ესოპოსის ცხოვრების აღწერილობამ“, სადაც თავმოყრილია ლეგენდები ამ ბერძენ მეიგაეეზე, ელინისტური და ბიზანტიური ხანის რამდენიმე ხელნაწერის სახით მოაღწია ჩვენამდე, თუმცა მათი ძირითადი ბირთვი ძე.წ. VI საუკუნეში უნდა შექმნილიყო. როგორც ჩანს, ესოპოსი ან დახელოვნებული მთხრობელი იყო, ან იგავ-არაკთა პირველი შემგროეებელი. ეს იგაეები ალევორიული ან დიდაქტიკური ხასიათის მცირე ფორმის პროზაული მოთხრობებია, რომლებიც ორი ნაწილისაგან შედგება – ფაბლისა და შეგონებისაგან.

ესოპოსის იგაეები, თავისი მენგორული გონისა თუ სხეა თეისეების გამო ათენში სასკოლო სახელმძღვანელოდ იქცა. მათ პესიოდესა და სოლონის თხზულებებთან ერთად კითხულობდნენ. მოგვიანებით შედარებით პოპულარული იგაეები პოეტურად გადაამუშავეს ფედროსმა, ავიანუსმა, ლაფონტენმა, კრილოვმა. ძველი საბერძნეთის წიაღში შექმნილ იგავ-არაკთა კეალს ჩვენს სასიქადულო სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედებაშიც ვხედებით.

თარგმანი:

ემოპე, იგავ-არაკები, ძველბერძნულიდან თარგმნა გიგლა სარიმეილმა, თბილისი 1968.

იგავ-არაკები

თხა და მელა

მელასა და თხას მოსწყურდათ და წყლის დასალეეად ჭამი ჩაეიდნენ. როცა წყურიელი მოიკლეს, თხამ ჭიდან ამოსასეულეს დაუწყო ძებნა, მაგრამ ვერა ნახა რა. მელამ უთხრა:

– ნუ გემინია, ძმობილო, მე მოვიფიქრე, როგორ დავაღწიოთ თავი აქაურობას. წინა ფეხები კედელს მიადგი, თავი დასწიე, მე ზურგზე შეგახტები. ზეით აეძვრები და შენც აგიყვანო.

თხა ესეც მოიქცა. მელა ჭიდან ამოძერა და გალაღებულმა დავლური დაუარა. თხა ვილას ახსოვდა! იმ საყოდავმა მელას ამოსძახა, სიგყვა რად გაგებეო?

– მე წვერსანცარავ, შენა, მაგ გაქუსული წვერისოდენი ჭკუა რომ გქონოდა, ჭამი ჩასელამდე იქიდან ამოსელაზე იფიქრებდიო, – მიუგო მელამ.

ჭკვიანმა კაცმა საქმე ჯერ კარგად უნდა აწონ-დაწონოს და მერე შეუდგეს მის აღსრულებას.

მამლები და კაკაბი

ერთმა კაცმა კაკაბი მამლებთან გაუშვა ეზომი. მამლებმა კაკაბი იუცხოვეს და ჩაუნისკარგეს.

– უცხო რომ ვარ, მამლებს იმიგომ თუ ვძულვარო, – ფიქრობდა დანაღვლიანებული კაკაბი. მაგრამ ხელავს, ქათმებს ერთმანეთში უარესი წიოკობა აქეთ: – ახლა კი ჩემს უბედურებას დიდად აღარ ვინაღვლი, – გაიფიქრა კაკაბმა. – ერთმანეთს არ ინდობენ, მე რა ხეირს დამაყრიანო?

არაკი გვეუბნება: ჭკვიანი კაცი არად მიიჩნევს იმისგან წყენას, ვინც თავისიანებს არ ინდობსო.

მოხუცი და სიკედილი

ერთ მოხუცს გყეში შემა მოეჭრა და ახლა ზურგზე გულურამოკიდებული რის ეაი-ვაგლახით მინისაკენ მიჩანჩალებდა. დამაშვრალმა გულურა ძირს დააგლო და სიკედილი ინაგრა.

სიკედილი მყისვე თავს წამოადგა:

– რად მიხმე, მოხუცო?

მოხუცი შეცბა:

– აგერ, გულურა დამივარდა, მომეშველე, ზურგზე ამკიდეო, – მიუგო სიკედილს.

არაკი გვეუბნება: ხშირად ცხოვრებაში რაიმე დაბრკოლებას რომ წაეაწყდებით, სიკედილს ვინაგრებთ ხოლმე, თუმცა სიყოცხლე ათასჯერ კი გვირჩევენიაო.

ქერივი და ქათამი

ერთ ქერივს ქათამი ჰყავდა. დღეში თითო კვერცხს ღებდა. დედაბერმა იფიქრა: მოდი, ამ ქათამს ბლომად ქერს ვაჭმევ და კვერცხის ღებასაც ერთიორად მოუმაგებსო. ასეუ მოიქცა. მაგრამ ქათამი ძალზე გასუქდა და ორს კი არა, ერთ კვერცხსაც აღარ ღებდა.

შეგონება: ვინც სიხარბით ბევრს ეპოგინება, ხშირად მცირესაც კარგავს ხოლმე.

მელა და მაიმუნი

ერთხელ მაიმუნი თავმეყრილ ცხოველებს ართობდა, მალაყებს გადადიოდა. მხეცებმა მაიმუნი შეაქეს და მეფუდაც დაისვეს. ამან მელა აღაშფოთა, ხაფანგში საგყუარი ნახა, მაიმუნთან მივიდა და უთხრა: მეფეო, ამა და ამ ადგილას განძი ვიპოვე, კანონით შენ გეკუთვნის, აილე და ისეუბენიერეო.

მაიმუნმა მაშინვე ხაფანგს მიაშურა და შიგ გაება. დატყვევებულმა მაიმუნმა მელას უსაყვედურა: ეს რა მიყავიო?

– აი, მე ბრიყვო, შენა, მეფობა კიდეუ მოგინდებო? – მიუგო მელამ.

არაკი ამბობს: ვინც საქმეს სიფრთხილით არ მოეკიდება, თავს უბედურებას დაიგებსო.

ექიმი და ავადმყოფი

ერთი ექიმი ავადმყოფს მკურნალობდა. როცა ავადმყოფი გარდაიცვალა, ექიმმა ჭირისუფლებს უთხრა:

– ამ კაცს ღვინისთვის რომ თავი გაენებებინა და ხშირად ოყნა ეკეთებინა, მერწმუნეთ, არ მოკვდებოდაო.

– ეჰ, ეგ აღრე გეთქვა, თორემ ახლა გინდ გითქვამს და გინდ არაო, – მიუგო ერთმა ჭირისუფალმა.

არაკი ამბობს: მეგობარი, უპირველეს ყოვლისა, ჭირში უნდა გამოგადგესო.

წინასწარმეტყველი

ქურუმი იჯდა და მარჩიელობდა. ამ ღროს ერთი კაცი წამოხტა და დაიძახა: ქურუმის სახლი გაუტეხიათ და მთელი განძეულობა წაუღიათო.

ეს რომ გაიგონა, ქურუმმა თავში ხელი შემოირტყა, ერთი ვაიუშველებელი მორთო.

ესეუ შენი ქურუმი, სხვის ბედზე მკითხაობს, თავის ბედისა კი არა გაეგება რაო, – თქვა ერთმა კაცმა.

ლომი, ვირი და მელა

ლომი, ვირი და მელა სანადიროდ წაყიდნენ. კარგად რომ ინადირეს, ლომმა ვირს ნანადირევის გაყოფა უბრძანა.

ვირმა ნანადირევი სამ ნაწილად გაყო. ლომი განრისხდა და ვირი დაგლიჯა. ახლა ნანადირევის განაწილება მელას უბრძანა. მელამ მთელი ნანადირევი ლომს დაულო წინ, თვითონ კი მხოლოდ მკირედი იწილადა. ლომმა უთხრა:

– ნადირთა შორის უკეთილშობილესო, ვინ გასწავლა ვერე გაყოფაო?

– ვირის ბედმაო, ხელმწიფევე, – მიუგო მელამ.

წინა კაცი უკანას ხიდიო, – ამაზე თუა ნათქვამი.

ბროწეულისა და ვამლის ხე

ბროწეულისა და ვამლის ხეები წაიკიდნენ: არა მე უფრო ლამაზი ვარ და არა მეო. ერთმანეთს დიდხანს ეკინკლაუენ.

– გვეყოფა, გვეყოფა ჩხუბი და კამათი, – გადმოსძახა იქვე ყორეს აკრულმა უმაქნისმა ეკალბარდამ.

ამაზე იტყვიან: კუმ ფეხი გამოყო, მეუ ნახირ-ნახირო.

ავადმყოფი და ექიმი

ერთი ექიმი ავადმყოფს ეკითხებოდა, როგორა ხარო? უმომო ოფლი მდისაო, – მიუგო ავადმყოფმა. ეს კარგიაო, – თქვა ექიმმა. მეორედ რომ ნახა, კიდევ ჰკითხა: ახლა როგორა ხარო? ძალა აღარა მაქვს და სულ ტანში მაქრიალებსო, – მიუგო ავადმყოფმა. ეს კარგიაო, – უთხრა ექიმმა.

მესამე ნახვამეუ ასე ჰკითხა, როგორა ხარო? წყალმანკი დამემართაო, – შესჩივლა სნეულმა. ეს კარგიაო, – თქვა ისევ ექიმმა.

ბოლოს ერთმა შინაურმა ჰკითხა იმ უბედურს: კაცო, როგორა ხარო. ეჰ, ჩემო ძმაო, ამდენმა „კარგიათ“ ლამის ფეხები გამაფშეკინოსო, – ამოიკნაულა ილაჯგაწყვეტილმა.

ამაოდ დაშვრება ის კაცი, ვინც მხოლოდ რჩევას იძლევაო, – ამბობს არაკი.

ბულბული

ფანჯარასთან ბულბულის გაღია ეკიდა. ღამურა მიფრინდა და ბულბულს ჰკითხა: დღისით რომ დუმხარ და ღამით ვალობ, ეს რას ნიშნავსო.

– დღისით რომ ვივალბო, დამატყვევეს. ამის შემდეგ კი ჰკუა ვისწაელე და ღამ-ღამობით ვვალბო.

– ჰკუის კოლოფო, სანამ გაღიაში ამოჰყოფდი თავს, მანამ უნდა გაფრთხილებულიყავი, თორემ ახლა გინდ ვიმღერია და გინდ არაო, – უპასუხა ღამურამ.

გასაჭირში სინანული გვიანდა არისო, – ამბობს არაკი.

თიკანი და მგელი

თიკანი ბანზე წამოსკუპებულიყო, მგელს დასცინოდა და თავზე ქოქოლას აყრიდა.

– ეჰ, რას იზამ! შენ კი არა, ის ადგილი დამცინის, შენ რომ შემოსკუპებულხარო, – უთხრა მგელმა.

არაკი გვეუბნება: ღრონი მეფობენ და არა მეფენიო.

მგრედი და ყვაევი

სამგრედეში ერთი მგრედი გრაბახობდა: მე ყველაზე ბევრ შვილს ეშობო. ყვაემა ეს გაიგონა და უთხრა: მაგით ნუ იკეხნი, დედაე და თვალო; მეტსა შობ და მეტნიც იტანჯებიანო.

არაკი ამბობს: უბედურია ის დედა, ვინც ბევრ მონას შობსო.

ჭრიჭინა და ჭიანჭველა

როცა ცხოველებს დაუმამთრდათ, ჭიანჭველებმა პურის მარცვალი გამოფინეს გასაშრობად. ერთი დამშეული ჭრიჭინობელა ჭიანჭველებს კარზე მიაღგა და საჭმელი ითხოვა. ჭიანჭველებმა ჰკითხეს: მაფხულში რას აკეთებდი, სარჩო რად არ მოიმარაგეო?

– მაშინ დრო სად მქონდა, მთელი მაფხული ვმღეროდით, – უთხრა ჭრიჭინამ.

– თუ მთელი მაფხული მღეროდი, ახლა წადი და ფერხული დაუარეო.

არაკი გვეუბნება: უსაქმურობასა და განცხრომას ბოლოს წუხილი და გასაჭირი მოჰყვებაო.

მებუკე

ღამქრის მებუკე მტერს ჩაუვარდა ხელთ. მებუკემ შეჰბღავლა:

– გყუღებურალოდ ნუ მომკლავთ, გულოვანნო, ბრალი არა მაქვს. არავინ მომიკლავს, ამ ბუკის გარდა სხვა იარაღი არა გამაჩნია რაო.

– სწორედ მაგიტომ ხარ სასიკედილო, მეომრად არ ვარგისხარ და მთელ ღამქარს კი საბრძოლველად მოუხმობო, – უპასუხეს მებუკეს.

არაკი ამბობს: ღამნაშავე ის არის, ვინც ძლიერს ბოროტების ჩასადენად აქეზებსო.

მელა და ყურძენი

ერთხელ მელამ მწიფე ყურძენი დაინახა და პირის ჩაგემრიელება მოუნდა. ბერს ეცადა, მაგრამ ყურძენს ვერ შესწვდა.

ბოლოს თავი ამით ინუგემა: ჯერ აღრეა, კარგად არ დამწიფებულაო.

არაკი დასცინის იმათ, ვინც სიყრუით ცდილობს აუხდენელი სურვილის დაფარვას.

კაკლის ხე

გზის პირად ერთი კაკლის ხე იდგა, გამწვანებული თუ გამომწვანებული, ყველა ჯოხსა და ქვეს ესროდა.

– რა უბედური ვარ, – თქვა ერთხელ განაწყენებულმა კაკლის ხემ. – პირს ჩემი ნაყოფით იგემრიელებენ, მაღლობას კი ასე მწარედ მიხდიანო.

ეს არაკი უმადურ კაცზეა ნათქვამი.

კაჭკაჭი და ყვაევი

ერთი კაჭკაჭი სხვა კაჭკაჭებზე დიდი იყო; თავი გამორჩევით ეჭირა, ადგა, თანამოძმეებს გაეცალა და ყვაევებს მიეკელა. ყვაევებმა კაჭკაჭი თავისიანად ვერ ცნეს: მისი ხმაყ იუცხოვეს და სახეც, ჩაუნისკარგეს და გააგდეს.

ყვაევებისაგან განდევნილი კაჭკაჭი ისევ თავისიანებს დაუბრუნდა, მაგრამ განაწყენებულმა თანამოძმეებმა ზურგი შეაქციეს.

ეს არაკი სამშობლოს მოღალატეზეა ნათქვამი.

ძუ ლომი და მელა

მელამ ძუ ლომს უსაყვედურა: ერთის მეგს შვილს ვერ აჩენო.

– ერთსა ვმობ, მაგრამ ლომსო, – მიუგო ძუ ლომმა.

კარგი იყოს და ერთი იყოსო, – ნათქვამია.

ლომი და კაცი

ლომი და კაცი გზად მიდიოდნენ. კაცმა აიჩემა, ადამიანი ლომზე ძლიერიო, ლომი კი პირიქით – ადამიანზე ძლიერი ლომიო, – ამბობდა. მაშინ კაცმა ქანდაკება დანახვა – დამორჩილებული ლომები ადამიანთა შერხთით ეყარნენ.

– ლომებსაც რომ შეუძლოთ გამოქანდაკება, ბევრ ადამიანს ნახაედი ლომების შერხთით გართხმულსო, – უთხრა ლომმა.

მეგონება: ბევრი ტრაბახობს, საქმით კი არაფრის გამკეთებელია.

მგლები და ცხერები

ერთხელ მგლებმა გადაწყვიტეს ცხერები მიეგყუებიანთ, მაგრამ ვერ იქნა და ვერაფერი გააწყვეს. მაშინ ადგნენ და ცხერებს შეუთვალეს: ჩვენ რომ ერთმანეთს ვემტერებით, სულ ძაღლების ბრალია, ეგენი თავიდან მოიშორეთ და მაშინვე მშვიდობა ჩამოვარდებაო. ცხერებიც გაბრიყვდნენ და ძაღლები გააძევეს. მგლებმა დრო იხელთეს და უპატრონოდ დატოვებულ ცხერებს მუსრი გააძევეს.

ხალხი რომ ქალაქის თავს უღალატებს, თვითვე ჩაუვარდება მტერს ხელშიო, – გვასწავლის არაკი.

თარგმნა გიგლა სარიშვილმა

ელიანოსი

(II-III საუკუნეთა მიჯნა)

ელიანოსი (ლათ. Aelianus Claudius) თავის თავს რომაელად მოიხსენიებდა. წარმომობით აბაგს, რომელიც რომის მახლობლად მდებარე პატარა ქალაქ პრენესტედან იყო. ქურუმის მაღალი თანამდებობა ეკავა. იგი არასოდეს გასულა იტალიიდან, თუმცა ბერძნულ ენაზე დაუწერია ხუთი თხზულება, რომელთაგან ჩვენამდე მხოლოდ ორმა მოაღწია. ესენია: „ცხოველთა შესახებ“ 17 წიგნად და „ჭრელ-ჭრელი ამბები“ 14 წიგნად. ამ უკანასკნელი ნაწარმოებიდან სრულად მხოლოდ პირველი სამი წიგნი შემორჩა. დანარჩენი წიგნები – შემოკლებით. როგორც ჩანს, თავის ქმნილებებს მორალურ-ლიდაქტიკურ დანიშნულებას ანიჭებდა თავად ავტორი.

ელიანოსი პოპულარული იყო მუა საუკუნეებში.

ჭრელ-ჭრელი ამბები

არ შემიძლია, არ გიაბზოთ თებელი ისმენიოსის სამრიან და ჭემმარიტად ბერძნულ საქციელზე. ერთხელ იგი სპარსეთის მეფეს ეწვია, ვით თავისი ქვეყნის წარგმავნილი და მოისურვა მასთან პირისპირ საუბარი. ქილიარქოსმა, რომელსაც ევალებოდა მეფესთან მიმსვლელთა მიცილება, ისმენიოსს მიმართა: „თებელო უცხოელო (ქილიარქოსი, რომელსაც სახელად ერქვა გიგრავსტი, საუბრობდა, რა თქმა უნდა, სპარსულად, ხოლო თარჯიმანი თარგმნიდა), აქ ასეთი წესია: მეფის პირისპირ თუ წარსდგები, ჯერ თავს დაუკრავ მიწამდე და ამის შემდეგ მოგეცემა უფლება დაიწყო საუბარი. თუ შენ გსურს თავად ელაპარაკო სპარსთა მეფეს, არ გაბედო ამ ადათ-წესის შელახვა, თუ თავის დაკერას არ ისურვებ, შენ შეგეძლება საუბარი, ოლონდაც ჩემი მეშვეობით.“ ისმენიოსმა მიუგო: „წარმადგინე მეფის წინაშე.“ მეფის დარბაზში შესულმა თითიდან მოიხსნა ბეჭედი, დაბლა დააგდო, შედეგ კი ისე დაიხარა, თითქოსდა თავი დაუკრა მეფეს. სინამდვილეში კი თავისი ბეჭედი აიღო. მოსაჩვენებლად ისმენიოსმა დაიცვა კიდეც სპარსთა წესი, იმავედროულად არც ელინისტის შეურაცხყოფი საქციელი ჩაუდენია. ისმენიოსმა მიაღწია თავის საწადელს. სპარსთა მეფემ მას ყოველივე აღუსრულა.

1, 2

არისგოტელე ამბობს, რომ გედი გამოირჩევა თავისი სიმედგრიოთაც. გელები ხომ არც თუ იმვითად ესხმიან თავს ერთმანეთს და ამ შებმისას კვლებიან კიდეც. არისგოტელე იმასაც ამბობს, რომ ისინი არწივებსაც ეომებიან, მართალია, თავდაცვის მიზნით და არა თავდასხმისა. გედის სიმღერა ხომ ცნობილია საყოველთაოდ. მე არ მსმენია ეს სიმღერა და, შესაძლოა, არც არავის, თუმც ყველას სჯერა, რომ გელები მღერიან, რომ ამ ფრთოსანთა ხმა სიციცხლის ბოლოს საოცრად მშენიერი და ტკბილია...

1, 14

როდესაც სოკრატეს მოწამელით სიკედილი მიუსაჯეს და საპყრობილეში ჩასვეს, მასთან მივიდა მეგობარი აპოლოლოროსი, რომელმაც მიუგანა შალის ლამაზი ქიგონი და ასევე ძვირფასი მოსასხამი. თან სთხოვა, ამ სამოსში გამოწყობილს მიეღო საწამლავე. ასეთ სამოსში, ამბობდა იგი, არავის შერცხვება მიაბაროს სოკრატე სამარეს, მისი სხეული ხომ გააპატიოსნებული იქნება. ხოლო სოკრატემ აუღელეებლად მიმართა კრიგონს, სიმასსა და ფედონს: „ღიდი წარმოდგენა ჰქონია ჩემზე ამ აპოლოლოროსს, თუკი ჰგონია, რომ იმ აეადსახსენებელ თასს ოდეს დავცლი, ისევ

მიხილავს მე, სოკრატეს. და თუ ფიქრობს, რომ ის, თქვენს ფეხთა ქვეშ რომ ეგდება სულ ცოტა სანში, მე ეიქნები, ცხადზე უცხადესია, სულაც არ მიცნობს.“

1, 16

აი, როგორია მილეგოსელი მირმეისის და ლაკედემონელი კალიკრატესის ყოვლად უსარგებლო სამშენისები: მათ გააკეთეს ოთხთვალა ეგლი თავის ცხენებით, ბუმზე პატარა. ეგონებ, სერიოზული კაცი სხობას ეს ნიეთები ვერასოდეს დაიმსახურებენ. განა, რა არის ეს, თუ არა უამროდ დაკარგული ღრო?

1, 17

ძველად საბერძნეთში ლეონგინელმა გორგიასმა თავისი დიდებით დაჩრდილა ფილოლაოსი, ხოლო პროტაგორასმა – დემოკრიტე, თუმცა ჭეშმარიტი სიბრძნით ისინი ისევე ჩამორჩებოდნენ ფილოლაოსსა და დემოკრიტეს, როგორც ბაემები მოწიფულ კაკებს. ჩანს, რომ დიდებას არ გააჩნია მეგისმეგად მუსტი ხელეა თუ სმენა, და ამიგომაც ცდება, რადგან სიმართლეს ხან ალამაზებს, ხანაც აყალბებს.

1, 23

ამბობენ, თითქოს მავან სპარსელს, სახელად სინეკესს, თავისი სამოსახლოდან მოშორებით, გზად შეხვედრია არტაქსერქსესი მნემონად წოდებული, თავისი ამალით. სინეკესი სამინლად აღელვებულა, რადგანაც ადათის თანახმად, მეფისთვის ძვენი უნდა ებოძებინა. შეძრწუნებულმა არ იყოდა, რა ეღონა. არ სურდა სხეებზე ცული ყოფილიყო; არ მიერთმია მეფისათვის ძვენი – სამუდამო სირცხვილს უქადა და ამიგომაც მთელი ძალით გაიქცა მდინარე კიროსისაკენ, რომელიც იქვე ახლოს მიედინებოდა, აიესო პეში წყლით და მეფის წინაშე წარსდგა. „მეფეო“ – ასე მიმართა – „უკუნითი უკუნისადმი გრძელდებოდეს შენი მეფობა. მსურს თავყვანი გე ისე, როგორც მე შემიძლია, ხოლო როდესაც დაბანაკდები, ჩემი სახლიდან წამოვიღებ ყველაზე ძვირფასს, რაც გააჩნია. სხეებზე უარესი არ იქნება ჩემი საჩუქარი.“ ეს სიტყვები დიდად ეამა არტაქსერქსესს და ასე მიუგო: „სიამოვნებით ვიღებ შენს ძველს, დიდად ვაფასებ და უძვირფასეს საბოძეართა დარად მივიჩნევ. ჯერ ერთი იმიგომ, რომ წყალი ყველაზე დიდი სიკეთეა ამ ქვეყნად, კიდევ იმიგომ, რომ მდინარე კიროსის სახელს ატარებს. და მიუხედავად ამისა, მე მაინც ველი.“ ამ სიტყვებით მან უბრძანა საჭურისებს, მიეღოთ სინეკესის ძვენი, მათაც ისწრაფეს მისკენ ოქროს ფიალით ხელში, რათა აეესოთ წყლით. ხოლო არტაქსერქსესმა, მიადწია თუ არა ადგილს, სადაც უნდა დაბანაკებულიყვნენ, სასწრაფოდ გაუგზავნა იმ სპარსელ კაცს სპარსული სადღესასწაულო სამოსი, ოქროს ფიალა და ათასი დარიკოსი¹ თანაც უბრძანა მსახურს, გადაეცა სინეკესისთვის: „მეფეს სურს, ამ ოქრომ გაახაროს შენი გული, რადგანაც შენ გაახარე მისი სული: პატივი ეცი ისე, როგორც შეგებლო. მეფეს სურს, ამ ფიალით ამოიღო ხოლმე წყალი მდინარე კიროსიდან და ამავე ფიალითვე სეა.“

1, 32

ერთხელ ქარგლებმა, ძვექსისისათვის საღებაეებს რომ ქნიდნენ, მასხრად აიგდეს მეგაბაძოსი მხოლოდ იმიგომ, რომ მან შეაქო შედარებით მდარე ნახელავი და არაფერი თქვა იმ ქმნილებაზე, რომელიც მაღალი ხელოვნებითა და ოსტატობით იყო შესრულებული. ხოლო თავად ძვექსისმა მას ასე მიმართა: „როდესაც სდუმხარ, მეგაბაძოს, ყმაწვილები შენით აღფრთოვანებულნი არიან, რადგანაც შენი მდიდრული სამოსი და მსახურები მოსდით თვალში. მაგრამ როგორც კი ხელოვნებაზე იწყებ საუბარს, ეელარ გიტანენ. თუ გსურს შეინარჩუნო მათი პატივისცემა, გიჯობს იყურო.“

II, 2

ალექსანდრემ, აპელესის მიერ დახატულ თავის გამოსახულებას რომ ათვალერებდა ეფესოში, სათანადოდ არ შეაქო მხატვრის ოსტატობა. ხოლო როდესაც მოიყვანეს ცხენი, რომელმაც ჭიხინით სცა თავყანი სურათს, თითქოს ცოცხალს ესალმებო. აი, მაშინ კი აპელესმა წამოიძახა: „მეუეო, ასე ჩანს, ცხენს უფრო კარგად ესმის მხატვრობა. ვიღრე შენ!“

II, 3

გამიგია, რომ ოდესღაც მწერთნელ ჰიპომაქოსს თავისი მოწაფისათვის, რომელსაც აღერთოვანებული შეძახილებით შეპტებებია ბრბო, არგანი დაუკრავს, თან ასეც უთქვამს: „ყუდადაც იბრძოდი და ყველაფერს უხეიროდაც აკეთებდი. ნამდვილი ოსტატობა რომ გამოგჩინა, აღარც აღარავინ შეგაქებდაო.“ ამით ჰიპომაქოსი მიანიშნებდა, რომ დიდოსტატებმა ბრბოსი კი არა, ჭეშმარიტ შემუასებელთა ქება უნდა დაიმსახურონ.

მუსგად ასე იქცეოდა სოკრატე. არად მიაჩნდა ბრბოს აზრი. ეს ცხადი იყო მაშინაც, როდესაც ებაასებოდა კრიგონს, რომელიც საპყრობილეში ეახლა მას და გაქუცევა მესთაეაზა, რათა ეხსნა იმ სასიკვდილო განაჩენისაგან, ათენელებმა რომ განუწყესეს.

II, 6

დიდი ხანია ცნობილია, თუ რა ბოროტი განზრახვით სღვენინდენ სოკრატეს ანიგოსი და მისი თანამოაზრენი. და რამდენადაც მათ არ იყოლდენ, რას მოიმოქმედებდნენ ათენელები, თუკი სოკრატეს მსჯავრს დასდებდნენ მსაჯულები (სოკრატემ ხომ სახელი გაითქვა იმითაც, რომ ამხელდა ხოლმე სოფისტთა ცოდნის უსაფუძვლობასა და უთაბოლობას), განიზრახეს თავდაპირველად შეებლალათ მისი სახელი. ისინი ვერ ბედავდნენ ამკარად ხმის ამოღებას და სამსჯავროში საჩივრის შეგანას იმ მიზეზით, რამედაც უკვე მოგახსენეთ, ამასთანავე ემინოლათ, რომ სოკრატეს მეგობრები განრისხდებოდნენ და მსაჯულებს მათ წინააღმდეგ განაწყობდნენ, რასაც შედეგად მოჰყვებოდა ის, რომ ძვირად დაუჯდებოდათ იმ კაცის ლაფში ამოთხვრა, რომელიც არა თუ არაფერს უმავებდა ქალაქს, არამედ პირიქით, მისი მშვენება იყო.

და რა მოიფიქრეს? დაიყოლიეს კომედიათა მთხზველი არისტოფანე, ეს მასხარა და ენამახვილი კაცი, სხვათა გაქირდვით რომ მოხევეჭა დიდი სახელი, წარმოეჩინა სოკრატე ყბედად, რომელსაც შეეძლო უმართებულო მართებულად წარმოესახა და რომელიც ქადაგებდა ახალ ღმერთებზე, ხოლო ჭეშმარიტ ღმერთებს უარყოფდა და ამასეე აიძულებდა თანამოაზრეთ. და აი, არისტოფანემ თამამად მიიღო ეს გამოწვევა: გააბუქა და სასაცილოდ აიგლო ყველაფერი, დიდებულად გააწყო ლექსად და ელინთა შორის უბრძნესი საქილიკოდ ამოიღო მიმანში (ის ხომ ამჯერად მასხრად იგდებდა არა კლეონს, ან ლაკედემონელთ, ანდა თებელებს, თუნდაც პერიკლესს, არამედ იმ კაცს, რომელიც უყვარდა ყველა ღმერთს, ხოლო აპოლონს გამორჩეულად). და რამდენადაც კომიკურ სენაზე სოკრატეს ხილვა გაუგონარი და საკვირველი რამ იყო, თაედაპირველად „ღრუბლებმა“ თავისი უჩვეულობის გამო მიიპყრო ყურადღება, შემდეგ კი ათენელთა აღერთოვანებაც დაიმსახურა, რადგანაც თაეად ათენელები ბუნებით შურიანები არიან და მოსწონთ იმ ადამიანთა აბუზად აგდება, რომლებმაც თავი გამოიჩინეს სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ სარბიელზე, მეტადრე იმათი გაზიარება, რომლებმაც სახელი გაითქვეს სიბრძნითა და სიქველით. თეატრი, როგორც არასდროს, გაშს უკრავდა არისტოფანეს, მაყურებლები ხმამაღალი შეძახილებით მოითხოვდნენ „ღრუბლებისათვის“ პირველ ადგილს, რათა მისი მთხზველის სახელი მოხვედრილიყო ნუსხის სათავეში. აი, ასე დაიწერა ეს კომედია.

სოკრატე იმეიათად გამოჩნდებოდა ხოლმე თეატრში, ისიც მხოლოდ მაშინ, თუ გრაგიკოსი პოტი ვერიპიდე გამოდიოდა თავისი ახალი გრაველიებით. ის პირეოსშიც კი წასულა ვერიპიდე სანახაეად, რადგანაც დიდად აფასებდა ამ შემოქმედის სიბრძნესა და პოეტურ ნიჭს. მაგრამ ერთხელაც ალკიბიადესმა, კლინიოსის ძემ და კრიტიასმა, კალესქროსის ძემ ძალდატანებით წაიყვანეს კომიკოს

მსახიობთა ხუმრობების მოსასმენად. სოკრატეს დიდად არ ეამა ეს სანახაობა და როგორც გონიერმა, სამართლიანმა, კეთილმა და, რაღა თქმა უნდა, ბრძენმა კაცმა არ მოიწონა კომედიებისათვის ნიშანდობლივი ეს ლამაზდარობა, ოხუნჯობა თუ თავხედური გამოხდომები. ამან გაანაწყენა კომედიოგრაფოსები და მათი ეს განაწყენება ანიგოსის და მელეგოსის ბრალდებებთან ერთად „ღრუბლების“ შეთხზვის მიზეზად იქცა. არისტოფანეს, რაღა თქმა უნდა, ფულადი ანამზაურება ერგო ამ კომედიისთვის. და რამდენადაც თავად ანიგოსი და მელეგოსი მთელი ძალისხმევით ლამობდნენ სოკრატეს ცილისწამებას, ნათელია, რომ ეს ღატაკი და ხელიდან წასული არისტოფანე კარგ ანამზაურებასაც მიიღებდა თავისი მონაჩმებისთვის, რომელმაც, უნდა ითქვას, რომ საყოველთაო აღიარებაც მოიპოვა. მართალი იყო კრაგინოსი, როცა ამბობდა, დაუძღურდაო აზრი თეატრში.

დიონისიების ღლესასწაულზე, მაშინ როდესაც წარმოადგენდნენ „ღრუბლებს“, ათენს სხვადასხვა მხრიდან მრავალი ელინი ეწვია ღრამაგულ სანახაობებზე დასასწრებად. რამდენადაც სოკრატე ხშირად ჩანდა სცენაზე, მის სახელს ხშირად იმეორებდნენ და მსახიობთა შორისაც გამოარჩევდნენ (მენიღებებმა ოსტატობა არ დაიშურეს, რათა სოკრატეს მეგისმეტად დამსგავსებოდა მისი ნიღაბი), სტუმრები (მათ არ იცოდნენ, ვისზე ოხუნჯობდნენ) ახმაურდნენ და დაიწყეს გამოკითხვა, ვინ იყო ეს სოკრატე. მან კი გაიგო ეს საუბარი (იგი ხომ მივიდა თეატრში და წინა რიგებში დაიკაევა ადგილი, რადგან იცოდა, რომ კომედია მას ეძღვნებოდა) და განიზრახა დაეკმაყოფილებინა მათი ცნობისწადილი: წამოღვა და ფეხზე მდგომმა განაგრძო სპექტაკლის ყურება. დიახ, ის იღვა, ვიდრე მსახიობებმა არ დაასრულეს წარმოდგენა. აი, ასე გამოხატა მან თავისი სამღურავი კომედიისა და თანამოქალაქეებისადმი.

II, 13

ამბობენ, მეფე ანტიგონოსი გამოირჩეოდაო თავისი გულითადობითა და ხასიათის სირბილით... ერთხელ, როდესაც შეამჩნია, რომ მისი ვაჟი იყო თავნება და ქვეშევრდომებს უხეშად ექცეოდა, უთხრა: „განა არ იცი, შვილო ჩემო, რომ ჩვენი მეფობა მხოლოდ საპაგიო მონობაა და სხვა არაფერი!“ აი, ასეთი კაცთმოყვარეობით ზრდიდა ანტიგონოსი თავის შვილს. ვინც ასე არ ფიქრობს, ალბათ, გირანი უნახავს მხოლოდ და არა ჭემმარიგი მეფე და მბრძანებელი.

II, 20

ცხოვრების ბოლოს უკვე ღრმად მოხუცებული გორგიას ლეონტიელი ძლიერ დასუსტდა და ძილ-ბურანში ჩავარდა. მაშინ მეგობართაგან ვილაცამ მოინახულა და კითხა: „რა მოგდის?“ ამაზე გორგიასმა ასე მიუგო: „უახლოვდება ჩემი ძილი თავის ორეულს.“²

II, 35

როდესაც ხანში შესული სოკრატე დასნეულდა და ვილაცამ კითხა: „საქმეები როგორ მიდისო?“. „ღიდებულადაო – უქასუხა, – ყველა გაგებით: თუ გამოვკეთდი, შევიძენ უფრო მეტ მომურნეს, ხოლო თუ მოვკედი – მეგობრებსო.“

II, 36

ერთხელ მეგობრებთან საუბარში გართულ ანაქსაგორასს მიუახლოვდა ვილაც კაცი და აუწყა, რომ მისი ორთავე ვაჟი დაიღუპა. ამაზე კლადომენელ ფილოსოფოსს მშვიდად მიუგია: „ვიცოდი, რომ მოკვდავნი ვმობეო.“

III, 2

როდესაც ქსენოფონი მსხვერპლს სწირავდა, მანგინეადან ეახლა მაცნე და მისი ეაჟის, გრილოსის, დალუკის ამბავი ამცნო. იმ წამს მოიხსნა მეფემ გვირგვინი და ისე

ვანაგრომ მსხვერპლმეყრევა. მაგრამ როდესაც მაინც დასძინა, რომ გრილოსი გამარჯვებული დაეცა ბრძოლის ველზე, მან კვლავ დაიდგა თავს გვირგვინი. ქეყინამ იცის, ასე რომ მოხდა, ყველას სმენია ეს ამბავი.

III, 3

როდესაც სოკრატემ შენიშნა, რომ ალკიბიადესი თავს იწონებდა თავისი სიმდიდრით. განსაკუთრებით კი, მისთვის კუთვნილი მამულებით, მიიყვანა ათენში, სადაც ინახებოდა მთელი დელამიწის რუკა და შესთავაზა, დაეძებნა აგია. როდესაც ყმაწვილმა ის მონახა, სოკრატემ სთხოვა, ახლა მისი მამული აღმოეჩინა და ალკიბიადესს სიგყებზე: „ის აქ სულაც არ არის,“ მიუგო: „აბა დაფიქრდი, რითი იწონებ თავს. იმით ხომ არა, დელამიწის უმნიშვნელო ნაწილადაც რომ არ ითვლება?“

III, 28

ალექსანდრე. ფილიპოსის ძე, ადრეულ ასაკში კითარაზე დაკვრის ხელოვნებას ეუფლებოდა. ერთხელ მასწავლებელმა უბრძანა, იმ სიმზე დაეკრა, მელოდია რომ მოითხოვდა. ალექსანდრემ კი მეორეზე მიუთითა და იკითხა: „რა შეიძლება, თუკი ამ სიმზე დაუკრავ?“ „არც არაფერი – მიუგო მასწავლებელმა – იმ ყმაწვილისთვის ვინც მეფობისთვის ემზადება, მაგრამ ბევრი რამ იმისათვის, ვისაც სურს კითარაზე დაკვრის ხელოვნებას ეზიაროსო.“

III, 32

სტაგირელების ჭეშმარიტად ბერძნული კანონი ქადაგებდა: „რაც არ დაგიდექს, ის არც აიღო.“

III, 46

პერაკლეელმა ძევესისმა ელენე რომ დახატა, დიდძალი სიმდიდრე დააგროვა, რადგანაც არაეის რთავდა ნებას, უფასოდ დამტკბარიყო მისი ხილვით. მოსურნეთაგან მოითხოვდა, თავდაპირველად გადაეხადათ შესაბამისი თანხა, ხოლო მერე როდესაც და რამდენი ხანიც ეწადათ გულით, ემზირათ ამ ქმნილებისათვის. პოდა, ეს პერაკლეელი ფულს რომ იღებდა, სწორედ ამიგომ ელინებმა მის ნახაგს „ჰეტერა ელენე“ შეარქვეს.

IV, 12

თრასილოსი, ექსონეს მკვიდრი, საკვირველმა და უცნაურმა სენმა შეიპყრო: ის ქალაქიდან პირეოსში გადასახლდა და იქ ელოდა ხომალდებს. ხვდებოდა მათ ნავსადგურში და აცილებდა, ხოლო როდესაც ისინი შინ კვლავ მშვიდობით ბრუნდებოდნენ, გულით ხარობდა, რადგანაც თვლიდა, რომ თავად იყო მათი მფლობელი. თრასილოსმა დიდხანს იავედმყოფა, ვიდრე სიცილიიდან არ დაბრუნდა მისი ძმა, რომელმაც იგი მიკგვარა ექიმს, მან კი განკურნა. მოგვიანებით ხშირად იგონებდა თრასილოსი თავის უცნაურ სენს და ამბობდა, რომ არასოდეს ყოფილა ისეთი ბედნიერი, ვიდრე იმ ხანად, როცა ხვდებოდა შინ მშვიდობით დაბრუნებულ სხვის ხომალდებს, თავისი რომ ეგონა.

IV, 25

არ შემოძლია, არ გაცინოთ ალექსანდრეზე, ფილიპოსის ვაჟზე: როცა შეიგყო, რომ დემოკრიგე თავის თხმულებაში საუბრობს უსასრულოდ ბევრი სამყაროს არსებობაზე, თავი შეურაცხყოფილად იგრძნო მხოლოდ იმიგომ, რომ თუნდაც ერთი ცნობილი სამყაროს მბრძანებელიც კი არ იყო.

ღირს კი იმაზეც მოგახსენოთ, თუ როგორ აიგდებდა მასხრად მას დემოკრიგე, ავტორი ამ თხმულებისა?

IV, 29

ქერონეასთან ათენელების დამარცხებით გაამაყებული ფილიპოსი ამპარტაუნებას რომ არ შეეპყრო, თავის მოთოკეას თავად ღამობდა და აი, რა მოიფიქრა: საგანგებოდ იხმო მსახური და უბრძანა, ყოველ ღილით შეეხსენებინა მისთვის, რომ აღამიანი იყო. ასე ამბობენ, არ გოვებდომ მეფე თავის პალატებს მანამ, ვიდრე მსახური სამგზის არ მიმართავდა მას ამ სიტყვებით: „ფილიპოს, შენ ხარ აღამიანი!“

VIII, 15

პიერონს, თავისი ცხენებით რომ ეწვია ოლიმპიას, თემისგოკლესმა ასპარემობაში მონაწილეობის ნება არ ღართო და ასე მიმართა: „ის, ვისაც უღიდესი საფრთხე ყველასთან ერთად არ ვანუცდია, გვიმს არ უნდა ესწრებოდეს.“ ერთხმად აღიარეს, რომ მართალი იყო თემისგოკლესი.³

IX, 5

მხატვარი პარასიოსი ძოწეულით მოსილი და ოქროს გვირგვინით თავდარქმული რომ სეირნობდა, სხვა გადმოცემებთან ერთად ამას მოწმობენ წარწერები მის მრავალრიცხოვან გამოსახულებებზე. ერთხელაც კუნძულ სამოსზე ის გაეჯიბრა სხვა მხატვარს⁴. მართალია, ოსტატობით ისინი ერთმანეთს არ ჩამოუეარდებოდნენ, მაგრამ პარასიოსი მაინც დამარცხდა. დახატა კი აიასი, რომელიც აქილევსის აბჯრის გამო ოდისევსს ეპაექრებოდა⁵. იშვიათი გონებასახეილობით მიმართა პარასიოსმა წარუმატებლობის გამო მასთან დასამშვიდებლად მისულ მეგობარს, რომ თავად სულაც არ ვანიცილდა იმას, რაც მოხდა, თუმცა ძლიერ წუხდა გელამონის ძის⁶ გამო, რომელიც ამ პაექრობაში უკვე მეორედ დამარცხდა.

პარასიოსს ხელთ ეპყრა ოქროთი მოვარაყებული კვერთხი და სანდლებიც ეცვა ოქროსი. ამბობენ, რომ ის მუშაობდა სწრაფად და ხალისიანად, იყო მულან მხიარული და არ ეპუებოდა სირთულეებს, ხოლო დაღლილობა რომ გაეფანტა, ღიღინებდა და უსტიენდა კიდევ. ამას გადმოგვეცემს თეოფრასტოსი⁷.

IX, 11

ოდესღაც არისტოქოსი ხომალდით რომ მიემგზავრებოდა, სამინელ ქარიშხალში მოხვდა და ძლიერ შემინდა. მაშინ თანამგზავრთაგან ვილაცამ კითხვა: „არისტოქოს, განა ჩვენსავეთ შენც შემინდი?“ მან კი მიუგო: „წარმოიდგინე, უფრო მეტადაც, რადგან თქვენ ბელუკულმართ ცხოვრებას იგდებთ საფრთხეში, მე კი – ბელკეთილს.“

IX, 20

ერთხელ სოკრატე ნადიმიდან მინ გვიან ღამით უნდა დაბრუნებულიყო. ეს რომ გაიგეს ოინბაბებმა, იშოვეს ანთებული ჩირაღდნები, ერინიების ნიღბები და ფილოსოფოსს ჩაუსაფრდნენ. ეს უსაქმური ყმაწვილები ხშირად ირთობდნენ თავს ამდაგვარად. სოკრატე არ დაფრთხა, შეჩერდა და მშვიდად დაიწყო მათი გამოკითხვა. მუსტად ისე, როგორც ამას იყო ჩვეული ლიკეიონსა თუ აკადემიამში.

ერთი გვიმის ღროს ათენში პატივმოყვარე ალკიბიადესმა სოკრატეს მღიდრული ძღვენი გაუგზავნა. ქსანთიპე მოიხიბლა ძვირფასი საბოძვრით და ქმარს სთხოვა, მიეღო იგი. ხოლო სოკრატემ მიუგო: „მოდი, ნუ ვიქნებით ალკიბიადესზე ნაკლებად პატივმოყვარენი და უარი ვთქვათ ამ ნაწყალობეზე.“

„რა ღიღი ბედნიერებაა მიაღწიო იმას, რასაც ისურვებ,“ – უთქვამს ვილაცას სოკრატესთვის. „მაგრამ უფრო ღიღი ბედნიერებაა, თუკი სულაც არ ისურვებ,“ – შედაეებია ფილოსოფოსი.

IX, 29

გადმოგვეცემენ, რომ ოდესღაც სიმონიდეს კეოსელი და პავსანიას ლაკედემონელი ნადიმზე შეხვდნენ ერთმანეთს. პავსანიასმა სთხოვა პოეტს, მისი სიბრძნის საკადრისი

რამ წარმოეთქვა. სიმონიდესმა გაიღიმა და მხოლოდ ეს თქვა: „გახსოვდეს, რომ აღამიანი ხარ!“ პავსანიასმა არად ჩააგდო ეს სიტყვები, რადგან იმხანად უკვე იყო მოჯადოებული ყოველივე მიდიურით და ამპარტავანი – მეფესთან სიასლოვით. თუმც, შესაძლოა, მთვრალიც იყო. მაგრამ მამინ კი გაიხსენა სიმონიდესი, როდესაც ქალიციოკოსის გაძარს თავს აფარებდა და მიმშლით სასომიხილი ემზადებოდა კაცთათვის განკუთვნილი უმძიმესი აღსასრულისთვის. სამგზის აღმოხდა: „ო, კოსელო სტუმარო, ბრძნული იყო შენი სიტყვები და უმეცრებით ვერ გავიგე ის, რაც მითხარი!“

IX, 41

ფერენიკე თან გაჰყვა თავის ეაეს საასპარემოდ რომ მიდიოდა ოლიმპიაში. პელანოდიკესებმა ღელას არ ღართეს ნება მაყურებელთა შორის დაეკაევიზინა ადგილი. მამინ ფერენიკემ მიმართა იქ ღამსწრე საზოგადოებას და აუწყა, რომ მისი მამაც და სამი ძმაც იყვნენ ოლიმპიური გამარჯვებულები და აი, ვაჩიც ემზადებოდა საასპარემოდ. მისი სიტყვა უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე კანონი, რომელიც ქალებს უკრძალავდა შეხებათა ცქერას. ასე, რომ ფერენიკემ მოიპოვა ეს უფლება.

X, 1

ბერძენთაგან აღმატებულად ღირსეულებმა სიღარიბეში განელეს სიცოცხლე. დაე, სიმღიღრეს ხოგბა უძღვნან ზოგიერთებმა, სიღარიბე კი მაინც იქნება ღირსეულთა შეუცვლელი თანამყოფელი... ფოკიონიც ღარიბი იყო. როდესაც ალექსანდრემ მას ასი გლანგონი გაუგზავნა, ფოკიონმა იკითხა: „რისთვის მაძლევსო?“ როცა პასუხად მიიღო, ათენელთაგან მხოლოდ მენ გთვლისო ალექსანდრე კეთილშობილად, ფოკიონმა თქვა: „ჰოდა, დამგოვოს ასეთადო.“

XI, 9

მოქანდაკეთაგან თუ მხატვართაგან არავის წარმოუსახაეს ზევსის ქალიშვილები აღსაჭურველით. ეს იმას მოწმობს, რომ მუშებისადმი მიძღვნილი ცხოვრება უნდა იყოს მშვიდობიანი და ნათელი.

XII, 2

პოეტესა საპფოს, სკამანდრონიმოსის ასულს, პლაგონი, არისგონის ძე დიდებულ ქალად მიიჩნევს. მე გამიგია, რომ ლესბოსზე ცხოვრობდა სხვა საპფო, პოეტესა კი არა, პეტერა.

XII, 19

ჩვენამდე მოაღწია მრავალმა ამბავმა ძველების საგრფილო თავგადასავლებზე. მათ შორის უნდა გავიხსენოთ: თურმე პავსანიასს მხოლოდ საკუთარი ცოლი უყვარდა, ხოლო აპელეს – ალექსანდრეს ხასა. მისი სახელი იყო პანკასტე, სამშობლო – ღარისა. ასე ამბობენ, პანკასტე იყო პირველი, რომელსაც დაუახლოვდაო ალექსანდრე.

XII, 34

„მამალივით დამფრთხალი ფრინიქოსი“, ასე იცყვიან იმ კაცზე, რომელიც გასაჭირშია ჩაეარღნილი და აი, რაგომ: ფრინიქოსის ღრამამ სახელწოდებით „მილეგოსის აღება“ ისე აგირა ათენელები, რომ მათ დამფრთხალ და დაბნეულ ტრაგიკოსს ქალაქიდან გაძევება მიუსაჯეს.

XIII, 17

პტოლემეაიოს ფილოპატორმა პომპეროსს აღუმართა გაძარი და ამ გაძარში პოეტს დიდებულად დაუდგა დიდებული ძეგლი: პომპეროსი მის, მის გარშემო კი განფენილან ქალაქები დედა-სამშობლოდ წოდებისათვის ერთმანეთს რომ ეცილებიან. ხოლო მხატვარმა გალატონმა წარმოსახა პომპეროსი საკეებს რომ აბნეეს, რომლის აკრეფასაც ლამობენ სხვა პოეტები.

XIII, 22

პოეტმა პინდაროსმა თებეში ხუთგზის გამოიწვია კორინა პოეტურ აგონში და რამდენადაც მისი მსმენელი იყვნენ უბირნი, ხუთიეგზის დამარცხდა. თებელების დასარწმუნებლად, რომ მათ მუშების არაფერი გაეგებათ რა, პინდაროსმა კორინას ღორი უწოდა.

XIII, 25

პლატონი ამბობდა, რომ იმელები მღვიძართა მმანებანი არიანო.

XIII, 29

არისტოპოსი დაჟინებით ურჩევდა ადამიანებს, არ ეგანჯათ წარსულის გამო და არ ეფიქრათ მომავალზე, რადგანაც სწორედ ეს არისო საწინდარი სულის სიმშვიდისა და სილადის. ასევე მოუწოდებდა, ემრუნათ მხოლოდ დღევანდელ დღეზე, უფრო მუსტად კი, მის იმ მონაკვეთზე, როდესაც უნდა განეხორციელებინათ ან გაეაზრებინათ მნიშვნელოვანი საქმე. ის ამბობდა, რომ ადამიანს ეკუთვნისო მხოლოდ აწმყო და არა წარსული ან მომავალი, რამეთუ წარსული უკვე გარდასულია, მომავალი კი, დადგება თუ არა, არავინ იცის.

XIV, 6

სტრატეგოსს რომ ირჩევდნენ, ათენელებმა ფოკიონს დემადესი ამჯობინეს. ამ არჩევანით გადიდგულებული დემადესი მიუახლოვდა ფოკიონს და ასე უთხრა: „იქნებ მათხოვო ის ბინძური მოსასხამი, სტრატეგოსობისას რომ ატარებდი.“ ფოკიონმა კი მიუგო: „სიბინძურე ამ მოსასხამის გარემუც გეყოფა.“

XIV, 10

ფერეს მბძანებელი ალექსანდროსი უსასტიკესი იყო ადამიანთა შორის. ერთხელ. როდესაც ტრაგიკოსმა პოეტმა თეოდოროსმა გასაოცარი შთაბეჭდილებით შეასრულა მეროპუს' როლი, იგი ატირდა და თეატრიდან წავიდა. მოგვიანებით, თავს რომ იმართლებდა თეოდოროსსთან, მან აღნიშნა: იმიტომ კი არ მიატოვა სპექტაკლი, რომ არ მოეწონა პოეტის ხელოვნება, არც მისი დამცილება პქონია მრახვად. მხოლოდ სინდისმა შეაწუხა, რადგან სცენაზე გათამამებული ტრაგედიის გამო აღელდა მამინ, როდესაც თანამოქალაქეთა უბედურება მის გულს სულაც არ ეკარება.

XIV, 40

როდესაც ჰერაკლეელმა ძევექსისმა დახაგა ელენე და მხატვარმა ნიკომაქოსმა ის იხილა, გაოგნდა, ისე მოეწონა. ვიდაც უბირი დაინტერესდა იმით, თუ რატომ აღელვებდა მას ასე ძლიერ ძევექსისის ნამოღვაწარი. „ჩემი თვალები რომ გქონოდა. ასეთ კითხვას არ დასვამდიო,“ – უთქვამს მხატვარს. ეს სიტყვები, ჩემი აზრით, შეიძლება მჭეერმეტყველსაც მივუსადაგოთ. მას რომ უსმინო მცნობელის ყურით, იგივეა, რაც იმზირებოლე მხატვრის თვალებით.

XIV, 47

შენიშვნები

- ¹ სპარსული ოქროს ფული
- ² გორგისი მიანიშნებდა ძილისა და სიკედილის მეტაფორულ მსგავსებაზე.
- ³ როდესაც ქსერქსესი საბერძნეთში შეიჭრა, პიროვნება უარი თქვა ბერძენთა დახმარებაზე მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მათ არ აღუსრულეს სურელი – მიენიჭებინათ მისთვის უმაღლესი მთავარ-სარდლის უფლებები
- ⁴ ეს მხატვარი, ვარაუდობენ, რომ იყო გიზანთესი სიკიონიდან (ძეწ, V-IV სს.), რომელიც ითვლება ავტორად ცნობილი ნახაგისა: „იფიგენიას მსხვერპლად შეწირვა“.
- ⁵ პომპროსის „ოდისეას“ ცნობილი სიუჟეტი (იხ. XI, 541).
- ⁶ გელამონი იყო აიასის მამა.
- ⁷ თეოფრასტოსის ამ თხზულებას ჩვენამდე არ მოუღწევია.

თარგმნა ნანა ტონიამ

ანაკრეონტა

„პალაგინის ანთოლოგიის“ დამატებაში ცალკე კრებულად არის წარმოდგენილი ლექსები, რომლებიც ანაკრეონის გაელენით დაუწერიათ ელინიზმისა თუ ბიზანტიის ეპოქებში მოღვაწე პოეტებს. ლექსთა თხზვის ეს ფორმა აიგაცა ევროპულმა ლიტერატურამ და ანაკრეონის თარგმანებსა და ადაპტაციებს ბერძენი პოეტის მიმბაძველთა მრავალი ქმნილება დაემატა. იმ მომძლავრებული ტენდენციის აღსანიშნავად, რომელმაც თავი იჩინა XVII-XIX საუკუნეების ევროპის ლირიკულ პოეზიაში ლიტერატურათმცოდნეებმა სპეციალური ტერმინიც კი შემოიღეს – ანაკრეონტიკა. უნდა ითქვას, რომ ეს ტენდენცია შეინიშნება ქართულ პოეზიაშიც. ანაკრეონისებურ ლექსებს წერდნენ ბესიკი, ალექსანდრე ჭავჭავაძე და სხვა პოეტები.



- ¹ ერთხელ როდესაც დამინახა ანაკრეონმა,
სიმღერისა და ტკობის მეფემ ტეოსის მხრიდან,
სიზმარში სიტყვით
მომმართა და მეც მივაშურე...
გადაკეხიე, გადაკოცნე მოხუცი კაცი.
უბერებელი იყო იგი და მშვენიერი,
აღსავეს მხოლოდ სილამაზით, მწველი ვნებებით
და გამოსცემდნენ სუნს ღვინისას ბაგენი მისნი.
მობარბაცებდა,
თავად ეროსს მოჰყავდა ხელით...
სწრაფად მოიძრო მან თავიდან გვირგვინი მაშინ
და თავისივე ხელით მიძღვნა... გადმოცა იგი
და იფრქვეოდა სურნელება ანაკრეონის...
მე კი შეშლილი განუსჯელად დავეპატრონე,
ავიღე იგი, საფეთქლებზე შემოვიწანი,
და ჰა, მას შემდეგ
სიყვარულის მონა ვარ მხოლოდ.
- ² მომეცით ლირა ჰომეროსის, მომეცით ლირა,
შორს განმარიდეთ სისხლიანი ძველი სიმები
და მომიტანეთ ჩემთვის ასე ძვირფასი თასი,
რომ განვაზაო წესისამებრ მასში სასმელი,
თავდავიწყებით დაეუარო ნასვამმა მერე
და ბრძენთა შორის დაუმცხრალი ვნებით ვიმღერო
ბარბითზე სუფრის სიმღერები მაღალი ხმითა.
მომეცით ლირა ჰომეროსის, მომეცით ლირა,
შორს განმარიდეთ სისხლიანი ძველი სიმები.



- ³ გვირგვინსა ეწნავდი, ჰოდა, უცებ აღმოვაჩინე
ვარდის ფურცლებში მიმალული თავად ეროსი...
ფარფატა ფრთებში წავეტანე და როს შევიპყარ,
ღვინის სასმისში ჩავაბრძანე შეუბრალებლად.
როცა მწყურვალმა შეესვი ღვინო იმავე თასიდან

იგი აქედრდა სწრაფად ჩემში და ჰა, მას შემდეგ
სულში მუდამჟამს მილიტინებს თავისი ფრთებით.



- 4 მითხრეს ქალებმა
ანაკრეონ, ბებერი ხარო
და ყურადღებით ჩაიხედო სარკეში უნდა,
რომ დაინახო აღარა გაქვს თმის ბეწვი ერთი,
მელოტად ქმნილა შუბლი შენი,
მართლაც საბრალოე...
ეკ, უქონრობა არც მალეღეებს
და არც მალონებს,
რადგანაც ვხეღაე.
რომ მოხუცებს უფრო შეჰფერის
ყველა მიწიერ
ცდუნებით და სიამით ტკობა,
რაც უფრო მეტად
ახლოსა ვართ ჰადესის ბჭესთან.



- 5 ო. დიდებულო ხელოვანო, გამომიჭეღე
ლამაზი თასი გაზაფხულის ფერებით საესე,
ზედ ამოკვეთე სიამენი უპირველესნი,
ვარღები შუბლის შესამკობად რომ მოაქვთ ჰორებს.
საღა, უბრალო დამიმზადე ვერცხლისგან თასი,
რომ მისი ცქერა ნადიმისას მგერიდეს სიამეს...
არ ამოჰკვეთო კანონები დღესასწაულთა,
ახირებუღი სურვიღებიც არ მინღა მასზე
არცა რაიმე საზარელი არ ამოჰკვეთო...
უკეთესია გამოხატო ზევესის ვაჟი,
ღვინის მეუფე – თვით ბახუსი შმაგი და ხელი
და სიყვარუღის იღუმაღი წყარო კიჰრისი,
რომელსაც თან სღევს საქორწინო ხმები ბობღანთა...
უიარაღო ეროსები ფრთათა ფარფატით
და მოცინარი ჰარიტები ღიმიღით ჰირზე...
ვაზის ლერწმში, დაბურულში უხვი ფოთღებით,
ყურღმის მტევენები ჰარვისფერი მარცღებით საესე
და ჩააქსოვე ყმაწვიღები ჰირმშვენიერნი
და ერთობღღეს ჩვენთან ერთად თვით ფოიბოსი.



- 6 გოხოვ დამიხატო ბათიღოსი, ეგზომ ძვირფასი...
შექმენი იგი ისე, როგორც გეტყვი, აგიწერ...
ჰირვეღად მინღა, რომ დახატო ბრწყინვალე თმები,
თმები შიგნიღან თითქმის შაეი, ხოლო ზემოღან
დამშვენებუღი თვით მზიური ათინათებით.
ეს ხვეუღები თავისუფღად დაუშვი დაბღა
და უწესრიგოღ მიმოყარე თმები მხატვარო,

რომ ასე უფრო ბუნებრივად წარმოაჩინო...
 წერილი და ნაზი
 შუბლს რკალავენ მუქი წარბები,
 ოღნავ მოლურჯო, ვით ღრაკონის უცხო ფერები
 და დაავანე შავ თვალეებში თვით მრისხანება,
 შეზავებული სიმშვიდესთან და ეს ხატება
 ერთი აიღე არესისგან, ხოლო მეორე
 პირმშვენიერი კითერესგან...
 რომ ზოგიერთებს
 შიში და კრძალვა ჩაუნერგოს,
 ზოგს კი იმედი...
 შექმენი ახლა ვარდისფერი, ნაზი ღაწვები,
 კომშისებურად დაფარული ბუსუსით ოღნავ,
 წითელი ფერი მიუმატე სიმორცხვის ნიშნად
 და არ დაზოგო თავი შენი...
 ო, აღარ ვიცი, ტუჩებს მშვენიერს,
 როგორ შექმნი, დახატავ როგორ?
 ნაზია იგი და ამავე დროს რწმენით აღსავსე.
 იცოდე კარგად, რომ ეგ ცვილი თავის სიჩუმი
 უფრო მეტყველი უნდა იყოს...
 ახლა კი სახე...
 დახატე ისე აღონისის ბადალი იყოს...
 სპილოსძვლისფერი შემოხაზე ამაყი ყელი,
 მკერდი დახატე
 და ხელები ჰერმესისებრი
 და თეძოები პოლიდეკეს მსგავსი შექმენი,
 ხოლო მუცელი ჰქონდეს თავად დიონისესი...
 წარმოაჩინე თეძოები ზევიდან ნაზი...
 ეს თეძოები ენების ცეცხლის მატარებელნი
 და სარცხინელი ბადალი რომ არ ეპოვება,
 თავად პაფოსელს როგორიც სურს ისე დახატე.
 ეკ, რა ცუდია... ხელოვნება გაქვს შურიანი,
 სამწუხაროა, რომ ზურგიდან ის არ მაჩვენე...
 შესანიშნავი იქნებოდა, რომ ეს შეგეძლოს.
 იქნება გინდა, რომ ფეხებიც წარმოგიდგინო?
 აჰა, აიღე საფასური რამდენსაც ითხოვ,
 შენ ხომ შექმენი
 ბათილოსი აპოლონისგან...
 ხოლო როდესაც შენ სამოსში ჩამოხვალ კვალად,
 ბათილოსისგან გადახატე თვით ფოიბოსი.



7 ცელქმა მუზებმა დაატყვევეს ეროსი ერთხელ
 და გვირგვინებით შებოჭილი მიჰკვარეს იგი
 თვით სილამაზეს.
 და აი, ახლა დედამისი – თავად კიპრისი
 ყველგან დაექებს, დაატარებს თან გამოსასყიდს,
 რომ ტყვეობიდან გამოიხსნას ძვირფასი შვილი...

მავრამ ეროსი სულ სხვაგვარად ფიქრობს ამჯერად...
თავისუფლება აღარ უღირს არაფრად უკვე
და აღარც წავა. აქ დარჩება, ამ მონობაში...
... მას მიეჩნია...



- 8 იაკინთისებრ ჯოხით მცემდა
ეროსი რისხვით, მაიძულებდა. რომ მის გვერდით
სწრაფად მეფრინა...
გადაუქროლეთ მთის მდინარეთ,
ტყეებს, ღრანტეებს...
მივქროდი ოფლად გაღვარული სულმოუთქმელად,
გული კი ლამის საგულედან ამომვარდნოდა.
ცოტა და ალბათ დატოვებდა ჩემს სხეულს სული. .
რომ თვით ეროსმა შემიბრალა და ნაზი ფრთები
შემომიქნია. გამიგრილა შუბლი წამიერ...
და მითხრა – უკვე სიყვარული ძალგიძსო აღარ...



- 9 მირტის რტოებზე
და ლოტოსის ნაზ ლეროებზე
მივესვენები...
მსურს დავლიო, შენ კი ეროსო.
ქიტონი ყელზე პაპირუსით შეიკარ სწრაფად.
მომემსახურე და მომართვი ფიალა ღვინით.
ვითა ბორბალი რბის ეტლისა, გაურჩებელივ
ჩვენი ცხოვრებაც ასე გარბის, ასე ტრიალებს...
კიდევ ცოტაც და განისვენებ ცივ სამარეში
და ძელებიც მალე გადიქცევა ფერფლისა გროვად
და მაშინ რაღა საჭიროა ნელსაცხებელით
სამარის ქვათა განწმენდა და მიწად დაქცევა...
არა სჯობია, ცოცხალი ხარ ვიდრემდის კიდევ,
ამ ნელსაცხებელით დაიზილო სხეული შენი,
თავი ვარდებით შეიმკო და უხმო ქალიშვილს.
მანამ კი, სანამ საპატიო ადგილს
მოძებნი.
ჰადესის პირქუშ მცხოვრებლების ფერხულს ვიხილავ.
მწყურია შევსვა სიამენი... განედევნო დარდი.



- 10 ერთხელ ეროსმა ვერ შენიშნა ლამაზ ვარდებში
ჩამინებული შემოქმედი ტკბილი თაფლისა
და ამიტომაც დაისაჯა, ნესტარი თითში
მწარედ ეჩხვლიტა...
გამეტებით დაარტყა ხელი
და მერმე, როცა მოაკედინა, გაიქცა სწრაფად.
ხან რბოდა, ხანაც მიფრინავდა... ლამაზ კითერეს
შველად იხმობდა, ეძახოდა თვალცრემლიანი

– ო. დედაჩემო, დავიღუპე, ვკედები ნამდვილად.
გველმა დამნესტრა,
სულ პაწია ფრთოსანმა გველმა,
ვისაც გლეხები ეძახიან სახელად ფუტკარს.
დედამ კი ასე უპასუხა – თუკი ფუტკარმა
თავისი ნესტრით მოგაყენა ასეთი ტანჯვა,
მაშინ დაფიქრდი, რა ძლიერი არის ტკივილი,
ეროსო, შენი ისრებისგან მიყენებული...



11 მეწამულ ფერის
საგებელზე მეძინა ღამით
და ლიეოსთან
წილნაყარი ვხედავდი სიზმარს:
ფეხის წვერებზე
გავბროდი და ქალწულებს შორის
ლაღად ვხუმრობდი... იცინოდნენ ყმაწვილნი იქვე,
თვით ლიეოსზე უფრო ნაზნი და მშვენიერნი...
შეუბრალებლად დამცინოდნენ მწარე სიტყვებით,
ლამაზმანების გამო იყო ეს ყველაფერი.
მაშინ მომინდა დამეკოცნა ერთთავად ყველა.
მაგრამ სიზმარმა მიმატოვა
და დავრჩი მარტო...
ვნებით აღვსილი,
დაძინებას ეცდილობდი კვლავად...



12 ჩვენ საფეთქლებზე
შემოვიწინათ გვირგვინნი ვარდთა,
ესვათ, მზიარულად
ვიხარხაროთ... ბარბითის ხმებზე
ქალწული ერთი, დაგრეხილი თირსებით ხელში.
ცეკვაეს და ცეკვაეს...
კოხტა ფეხებს აყოლებს პანგებს,
და დაუფარავს ეს თირსები სუროს ხშირ ფოთლებს.
თავდავიწყებით აზმიანებს პექტიდის სიმებს
ხუჭუჭა ვაჟი
და იღვრება ტკბილ ბაგეთაგან
ღალი სიმღერა...
ეროსი კი ოქროსთმიანი,
და მშვენიერი ლიეოსი,
ნაზი კითხრე,
სამივე ერთად, მოხუცების ქეიფის ხალისს
იზიარებენ, ესწრებიან მომხიბლელ ნადიმს.



13 ეროსისათვის საყვარელი ყვავილი ვარდი
ღიონისესთან შეეაერთოთ...

და უნაზესი

ვარდის ფურცლებით საფეთქლები შევიძკოთ უხვად,

ესვით მხიარულად, ამოდ ვილხინოთ...

ვარდო, შენა ხარ ყვავილებში ულამაზესი,

ვარდო, ღმერთების სიტკობაჲ...

თავად კითერეს

ვაეს უგვირგვინებ ბუჭუჭა თმებს, როდესაც იგი

ნაზ ქარიტებთან ცეკვაეს... ცეკვაეს თავდავიწყებით.

შემიმკე თავი მეც გვირგვინით და ლირის ხმებზე,

ო, შენთან ერთად, დიონისევ, შენს საუფლოში,

საესემკერდიან ქალიშვილთან ერთად ვიცეკვებ...

ვარდის გვირგვინით

თავშემკული ვიცეკვებ ღვინით...

◆

14 როცა ვსვამ ღვინოს,

აღმაფრენა შემოდის გულში.

...

და ხოტბას ვასხამ მხიარულად მშვენიერ მუზებს.

როცა ვსვამ ღვინოს,

მშორდებიან ფიქრები სწრაფად,

ჭმუნვას და დარდებს,

ვით ზღვის ტალღებს ღვინიან ქარნი...

როცა ვსვამ ღვინოს,

სულს როს მივსებს შვებით ბახუსი

და მრავალფერი ყვავილების სურნელით დამთვრალს,

გაბრწყინებული დამატარებს მწვანე მდელოზე,

როცა ვსვამ ღვინოს,

ყვავილებით მოვიწნავ გვირგვინს

და თავმორთული

მე ვუმღერი ცხოვრებით ტკობას.

როცა ვსვამ ღვინოს,

ნელსაცხებლით ტანდაზელილი,

როცა ვეხვევი, ვეუფლები ქალწულს მშვენიერს,

მაშინ თვალწარმტაც კიპრიდაზე მოლხენით ვმღერი.

ღრმა ფიალიდან.

როდესაც ვსვამ თაფლივით ღვინოს,

გონებას ჩემსას

აღაფრთოვანებს და ღვინით ავსებს

წრე მოზეიმე ყმაწვილების...

როცა ვსვამ ღვინოს,

სარგებელიც ესაა ჩემი...

ამა ქვეყნიდან გარდასული სხვას რას წავიღებ?

მხოლოდ გავიყოფთ მოკვდავები სიკვდილს ერთადერთს.

თარგმნა თამარ კალატოზა

ტრაქტატი „ამაღლებულისათვის“ ბერძნული ლიტერატურათმცოდნეობითი ამრის შედეგად უნდა შეირაცხოს. სამწუხაროდ, ეპოთა სიავემ ტრაქტატი უფრო დაინდო, ვიდრე მისი ავტორი: ქმნილებამ, მართალია, არასრული სახით, მაგრამ მაინც მოაღწია ჩვენამდე, მაშინ როდესაც შემოქმედის სახელი საბოლოოდ დაკარგულად უნდა ჩაითვალოს.

მაგრამ თუ შემოქმედის სახელი უცნობია, სამაგიეროდ, ქმნილების მიხედვით, გარკვეული წარმოდგენა მაინც გვაქვს მასზე, როგორც მწერალსა და მოაზროვნეზე, მისი ინტერესების სფეროსა და მსოფლმხედველობრივ სამყაროზე. ესაა თავისი დროის ერთ-ერთი უგანათლებლესი კაცი, ჰემმარიტი ერულიტი, ნაყოფიერი მწერალი. საკმარისია ითქვას, რომ მის თხზულებაში ციტირებულია 60-ზე მეტი ბერძენი ავტორი. ის კარგად იცნობს რომაულ მწერლობას და, როგორც ჩანს, ბიბლიასაც (იხ. თ. IX). პოეტები და მწერლები, ფილოსოფოსები და ისტორიკოსები, სოფისტები და რიტორები, ეს რთული და ქაოტურად ჰრელი სამყარო მისი სტიქიაა; აქ ის ყველას იცნობს – დიდიან-პატარაინად, გიგანტებიდან გნომებამდე; ყველასთვის პოულობს საჭირო სიტყვას, ყველას თავის კუთვნილს მიაგებს – ადიდებს, ამცირებს, აღმერთებს, აბიაბრუებს; მაგრამ ყოველთვის ინარჩუნებს ტაქტს, გულითად გონს, კეთილმოსურნეობას. ჩვენ ვხედავთ ავტორის ნატიფ გემოვნებას, მის თამამსა და ყოველგვარი სქოლასტიკური პედანტიზმისაგან თავისუფალ ამრს, ვგრძნობთ მის მსუბუქ იუმორს, ვისმენთ მის ლაღსა და გადამდებ სიცილს, რომელიც არასოდეს გადადის სარკასტულ ქირქილში. ყველა პასაჟში გამოსჰვივის ავტორის დიდსულოვნება და კეთილშობილება, მისი სიწრფელე და მნეობრივი სიწმინდე, არგისტიზმი და მომიერების კურთხეული გრძნობა.

ამაღლებულისათვის

I

როცა მე და მენ, ჩემო ძვირფასო პოსტუმუს გერენტიანე,¹ ერთად ვეცნობოდით ცეცილიუსის² თხზულებას ამაღლებულის შესახებ, თეალნათლიე დაერწმუნდით, რომ ის

¹ პოსტუმუს გერენტიანე – უცნობი დიდგვაროვანი რომაელი; შესაძლოა, ფსევდო-ლონგინეს მოწაფე ან მიმდევარი.

² ცეცილიუსი (I ს. მე.წ.ა.) – რომაელი რიტორი, დიონისე პალიკარნასელის მეგობარი და თანამოაზრე (იხ. დიონისეს „წერილი პომპეუსისადმი“, თ. III), წარმომავლობით – კალაკელი („კალე აკე“ – სიცილიის ქალაქია; იხ. სეიდა: მდრ. ათენაიოსი, VI, 272f; XI, 466a). მისი მრავალრიცხოვანი თხზულებებიდან მხოლოდ უმნიშვნელო ფრაგმენტებმა მოაღწია ჩვენამდე. შემოგერჩა ცეცილიუსის 13 თხზულების სათაური: „რიტორიკა“, „ფიგურებისათვის“, „ამაღლებულისათვის“, „ფრიგიელთა წინააღმდეგ“, „რითი განსხეადება ატივისტური მკერმეცყელება ამიანურისაგან“, „ათი რიტორის დახასიათებისათვის“. „დემოსთენესა და ციცერონის შედარება“ (განქიქებული პლუტარქეს მიერ, – იხ. მისი „დემოსთენე“, თ. III), „დემოსთენესა და ესქინეს შედარება“ და სხვ. როგორც ამ სათაურებიდან ჩანს, ცეცილიუსის თხზულებათა უმრავლესობა რიტორიკული და ლიტერატურულ-ესთეტიკური პრობლემებისადმი ყოფილა მიძღვნილი. ვარაუდობენ, რომ მას გარკვეული წელილი უნდა შეეგანა შხაგერული სტილის შესწავლის, აგრეთვე გომოსასეის სამუალებათა – სტილისტიკური ფიგურებისა თუ ტროპების კვლევისა და კლასიფიკაციის საქმეში. ცეცილიუსი იყო ფანატიკოსი ატივისტი. ქედს იხრიდა ლისიას წინაშე და მას პლატონზე გაყალბებით მაღლა აყენებდა, რაც, თავისთავად, კრიტიკული აღღოს სიზღუნვეს და ესთეტიკური გემოვნების საკმაოდ დაბალ ღონეს მოწმობს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამგვარი ტენდენცია ნიშნეულები იყო თითქმის ყველა მამინდელი რიტორისათვის, რომლებიც პლატონში თავიანთ მგერს და მეტოქეს ხედადნენ (მდრ. დიონისე პალიკარნასელის „წერილი პომპეუსისადმი“). თავის ტრაქტატში „ამაღლებულისათვის“ ცეცილიუსი იკვლევდა ამაღლებულის ხელოვნურ წყაროებს – სიტყვათა შერჩევის წესებს, რი-

მთლიანად როდი მოიცავს თემას და ძალიან ზერეულე მამოიხილავს არაერთ არსებით საკითხს: ასე რომ მკითხველი ვერ იღებს მისგან იმ სარგებლობას, რომელსაც, უპირველეს ყოვლისა, უნდა მიუღწევოდეს აეგორი. ყოველი მეცნიერული გამოკვლევა ორ პირობას უნდა აკმაყოფილებდეს: ჯერ ერთი, მკაფიოდ უნდა განსაზღვრავდეს კვლევის საგანს და, მეორეც, უნდა გვიჩვენებდეს, როგორ ან რა გზით შეგვიძლია შედმიწვევით დავეუწლოთ ამ საგანს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს მეორე პირობა მხოლოდ რიგის მიხედვითაა მეორე, თავისი არსებით კი ის პირველზე გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია. ხოლო ცეცილიუსი ცდილობს ურიცხვი მაგალითების მოხმობით გვიჩვენოს ამაღლებულის ბუნება, თითქოს უმეცართ მიმართავდეს და მათთვის წერდეს. მაგრამ როგორ უნდა განვაფიქროთ ჩვენი ბუნებრივი შესაძლებლობანი, რათა შეძლებისდაგვარად მიეხალათ ამ სიმაღლეს და სიღიაღეს? – ის არაფერს გვეუბნება ამის შესახებ. თითქოს საქმე ეხებოდეს ფუჟსა და უმნიშვნელო საკითხს.

თუმცა, შესაძლოა, ცეცილიუსს კი არ უნდა ვგმობდეთ ამ ნაკლის გამო, არამედ, პირიქით. უნდა ვაქებდეთ მისი მდებლობისა და გულმოდგინებისათვის. მაგრამ რაკილა დაეინებით მოითხოვ, რომ მე პირადად შენი გულისთვის ხელი მიეყო ამაღლებულის კვლევას. ამიგომ, შეძლებისამებრ, ვუძლები მცირეოდენი სამსახური მაინც გავიწიოთ როგორც შენ, ისე იმ განათლებულ კაცთაც, რომელნიც საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ემზადებიან, რადგან, ჭეშმარიტად, მართალი იყო ის, ვინც კითხვაზე – რითი ვგავართო ჩვენ, კაცნი, ღმერთებს, – უპასუხა: კეთილი საქმით და სიმართლითო.³

ვინაიდან მე შენ მოგმართავ, ჩემო ძვირფასო მეგობარო, როგორც განსწავლულსა და განათლებულ კაცს, ამიგომ შედგებად მიმაჩნია იმის მტკიცება, რომ ამაღლებული სიგყვიერი შემოქმედების მწვერვალია, და რომ ღიღმა პოეტებმა თუ მწერლებმა სწორედ მისი წყალობით მოიხვეჭეს პირველობა და ღიღების შარავანდელით შემოსეს თავიანთი სახელი.

ამაღლებული კი არ არწმუნებს მსმენელს, არამედ აღელვებს და ალაფროვანებს მას, ვინაიდან განსაკუთრებული ყოველთვის უფრო მძაფრ შემოქმედებას ახდენს, ვიდრე სარწმუნო ან სასიამოვნო. მართლაც, სარწმუნოს დაჯერება ან არდაჯერება – ჩვენი ნებაა, ხოლო განსაკუთრებული იმდენად ძლიერია და წინააღმდეგომელი, რომ მისი შემოქმედება სახეებით დამოუკიდებელია ჩვენი ნება-სურვილისაგან. მასალის ოსტატურად მიკვლევისა და მისი მწყობრი თანმიმდევრობით გადმოცემის ხელოვნება ერთი და ორი ადგილის კი არა, მხოლოდ მთელი თხზულების გამოწველივით განხილვისას ცნაურდება და ისიც ღიღი გაჭირვებით ცნაურდება ჩვენთვის, მაშინ როდესაც ამაღლებული, თუკი მას დროულად და მართებულად იყენებს აეგორი, მეხის

გორიკულ ფიგურებს (მეტადრე – მეტაფორებს), ფრამათა კონსტრუქციებს; სამაგიეროდ, თითქმის მთლიანად უგულვებელყოფდა ბუნებრივ წყაროებს, კერძოდ, სუბიექტურ ფაქტორს, ანუ შემოქმედის სულიერ სიმაღლეს და სიწმინდეს, მის განსაკუთრებულ გრძობელობას და სპირიტუალურ გზნებას. ცეცილიუსს სურდა დაემტკიცებინა თანამედროვეთათვის, რომ ჭეშმარიტი სიღიაღე სტილის სფეროში სხვა არა არის რა, თუ არა რაციონალური სისადაე და უბრალოება, რომელიც გამორიცხავს ყოველივე გამზიადებულს, უჩვეულოს და პარადოქსულს. მოკლედ, ეს იყო პედანტური გულმოდგინებით განჯარიმებული და მუსტად აწონ-დაწონილი, მაგრამ, ამასთან, ცივი და უსულგულო კონსეფცია. ფსევდო-ლონგინუს თხზულების მინაგანი პათოსი, უშუალოდ თუ არაუშუალოდ, სწორედ ამ კონსეფციის წინააღმდეგაა მიმართული.

³ ციგატა დემოსთენეს სიგყვიდან „ტიმოკრატეს წინააღმდეგ“, XIII; მღრ. ელიანე, *Varia historia*, XII, 59: „პითაგორა ამბობდა, რომ აღამიანებს ღმერთებისგან ებოძათ ორი უმშენიერესი ძღვენი: სიმართლის თქმისა და სიკეთის ქმნის ნიჭი. ერთიცა და მეორეც, მისი ამრით, უკედაეთა ბუნებას ენათესაებთ“.

დაცემასავით ერთბაშად კმუსრავს ყველა სხვა საბუთს და მეყესეულად გვიმელავენებს რიგორის⁴ მთელ ძალმოსილებას.

თუმცა მე მწამს, ჩემო ძვირფასო გერენგთანე, რომ შენ პირადი ცდითაჲ შეგეძლო მისულიყაიე მსგავს დასკვნამდე.

II

უწინარეს ყოვლისა, უნდა ვიკითხოთ: შეიძლება თუ არა ხელოვნებაში გაწაფვის გზით ეგვიაროთ ამაღლებულს? მოგიერთის ამრით, მცდარია ყველა ხელოვნებისეული წესი თუ ნორმა, ასე რომ ამაღლებული განსწავლით კი არ მიიწვდომება, არამედ ბუნებით თან დაგვეყება ჩვენ. ისინი აღიარებენ მხოლოდ ბუნებით თანდაყოლილ ნიჭიერებას და იმასაჲ კი ამტკიცებენ, რომ ჩვენი შესაძლებლობანი ჩლუნგდებიან და თავიანთ ცხოველმყოფელობას კარგავენ ბუნების გამომოფიგეელი წესებისა და ნორმების არგახეხში.⁵

ამგვარი მოსაზრების საპირისპიროდ, მე ვამტკიცებ, რომ ყველა ეს მსჯელობა ცალმხრივი და უსაფუძელო მოგვეჩვენება, თუ გულდასმით განვიხილათ იმას, რომ ბუნება – თვითმყოფი და თვითმპყრობელი სიგყვიერების, როგორც ამაღლებულ, ისე პათეტიკურ ეანრში, არასოდეს უარყოფს წესრიგს და თანმიმდევრულობას. ყველაფერს ბუნება უდევს საფუძვლად, როგორც პირველადი და დასაბამიერი საწყისი, მაგრამ მხოლოდ გარკვეულ მეთოდს შეუძლია გვასწავლოს ყველა ცალკეულ შემთხვევაში ამაღლებულის თავის დროსა და თავის ადგილას ხმარება და, ამრიგად, შემოქმედებითს პროცესში თავიდან აგვაიცივინოს შეცდომები. ამაღლებული, რომელიც მარტოდენ საკუთარ სწრაფვასაა მიხლობილი და შლევურ შემართებას მინებებული, ისევე არასანდოა და არასაიმედო, როგორც მებღვაურებისგან მიგოვებული, თავის ნებაზე მიშვებული და ტალღების სათამამოდ ქეუული ხომალდი. რადგან ამაღლებული ყოველთვის თანაბრად საჭიროებს არა მარტო დებებს, არამედ სადავესაჲ.⁶

⁴ გერმინებს „რიგორი“ („ორაგორი“), „რიგორიკა“ და მათგან წარმოებულ ყველა სხვა სიგყვას ფსევდო-ლონგინე, ნ. ა. ჩისტიაკოვას მართებული შენიშვნით, მხატვრულ შემოქმედებასთან, უწინარეს ყოვლისა, კი პრობასთან მისადავებით ხმარობს.

⁵ აეგორი ცდილობს ერთმანეთს შეუთანხმოს ძველი ბერძნული ესთეტიკური ამრის ორი ურთიერთ-გამომრიცხველი ტენდენცია: „ხელოვნების“ – პროფესიული ოსტატობის, გაწაფულობის (ტექნე) პლატონური გაგება და იგივე „ხელოვნების“ სოფისტებისეული კონსეფცია. თუ პალტონი მხოლოდ „ღუთაებრივ სიმშაგვს“, „მუშებისმიერ მემთავონებას“ მიიჩნევს პოეტური შემოქმედების პირველ-საწყისად („იონი“, 533d-535a; „სოკრატეს აპოლოგია“, 22 a-c; „ფედროსი“, 245a; „კანონები“, IV, 719c) და სრულიად უარყოფს ხელოვნების როლს („იონი“, 534c; „ფედროსი“, 245a), სამავიეროდ ხელოვნების სოფისტური – პირწმინდად ტექნიკური და ეულგარულ-მექანისტური კონსეფცია ხელოვნების ერთგვარ აბოსლუგიმაიას ახდენს: სოფისტების მტკიცებით, ყველას შეუძლია ვახდეს შემოქმედი, ყველას შეუძლია დაეუფლოს პოეტურ პროფესიას: საჭიროა მხოლოდ შეიყნოს, გაიხსნად და შემოქმედებითს პრაქტიკაში გაითვალისწინო მისი მოთხოვნები და ამ მოთხოვნების განხორციელებისათვის აუცილებელი პირობები თუ ხელოვნური წესები. ყოველივე ეს, სოფისტური მოძღვრების მიხედვით, საუსებით საკმარისია ხელოვნების ნაწარმოების შესაქმნელად (მდრ. „ფედროსი“ 268c-269a; მდრ. М. Вундт, Греческое мировоззрение, П., II, 1916, გვ. 129-130). როგორც ჩანს, ეს ორი ურთიერთგამომრიცხველი კონსეფცია, რამდენადმე მოდიფიცირებული რედაქციებით, ფსევდო-ლონგინეს დროსაჲ უპირისპირდებოდა ერთმანეთს, რამაჲ თავისი ასახეა პპოეა გრატკატში „ამაღლებულისათვის“. მისი ანონიმი აეგორი არ იზიარებს არცერთ ამ უკიდურესობას და ხელოვნებას მხატვრული შემოქმედების ისეთსაჲე აუცილებელ პირობად მიიჩნევს, როგორც ბუნებით თანდაყოლილ ნიჭიერებას. მდრ. რუსთაველი: „აჲ ენა მინდა გამოთქმად, გული და ხელოვანება“ (ხაზი ჩეზია, – ბ. ბ.).

⁶ ეს გამოთქმა საკმაოდ ხშირად გვხვდება ბერძენ აეგორთა თხზულებებში. ასე მაგალითად, ცნობილია, რომ არისტოტელე თაჲს უსაყვარლეს მოწაფეებზე – თეოფრასტესა და კალისტენეზე ამბობდა ხოლმე: „ერთ მათგანს სადავე სჭირდება, ხოლო მეორეს – დებებიო“ (Diog. Laert., V, 39). სეილას მოწმობით, ისოკრატეს უთქვამს: „თეოპომპეს სადავე სჭირდება, ხოლო ეფოროსს – დებები“ (Suidas, Ephoros).

ფრაზა. ამ უკანასკნელის თხზულებანი გაბერილ ბუმბებსა ჰევანან, ხოლო მათი ავტორი, სოფოკლეს სიგყვებით რომ ვთქვათ:

საბერველივით ქმენს მხოლოდ იმიგომ,
რომ აამღეროს ჰაგარა სკვირი.¹¹

იგივე ითქმის ამფიკრატეს, ჰეგესიასა და მაგრიდეს¹² თხზულებებზე. ამ მწერლებს რომ ჰკითხო, მათ მხოლოდ ლეთიური ზემთაგონება აღანთებს და აღაფრთოვანებს, თუმცაღა ძალიან ხშირად ისინი ბაკქური ექსტაზით შეპყრობილებივით კი არ შმაგობენ, არამედ, ჰაგარა ბაეშეების მსგავსად, თავს იქცევენ და თამაშობენ. მართლაც, სწორედ მაღალფარდოვანებაა ის ნაკლი, რომლის თავიდან აცილება ყველაზე მეტად უჭირს ხოლმე მწერალს. ვინაიდან ამალღებულის გრუიანნი, რომელნიც ყველაზე მეტად უფრთხიან ენის უღიმღამობას და უსიციოცხლობას, არ ვიცი რატომ, მაგრამ სწორედ მაღალფარდოვანების მოჩვენებით სიმალღეს მიელტვიან უპირატესად. ამასთან, მათ გულწრფელად სწამთ, რომ:

სასახელოა წაფორხილებაც,
თუკი მიელტვი შენ ამალღებულს.¹³

მედმეტი წონა არა მარტო ჩვენს სხეულს ამძიმებს, არამედ სიგყვასაც, რომელიც ამის გამო ფუყე, ფუტურო და არაწრფელი ხდება და ხშირად სრულიად საპირისპირო ზემოქმედებას ახდენს მსმენელზე. გყუილად როდი ამბობენ, რომ „არაფერია უფრო ჩამგკნარი და ჩამომხმარი, ვიდრე წყალმანკით სნეული“.¹⁴ თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მაღალფარდოვანება ამალღებულის მიწვენას და მიწვლომას ცდილობს.

ღიაღსა და ამალღებულს მკვეთრად უპირისპირდება ბალღური უნდილობა.¹⁵ რადგან არაფერია უფრო დაბალი, უგემოვნო და უამური. მაგრამ რა არის მანინ ეს ბალღური უნდილობა? – უმწუბობა და უმწიფრობა აზროვნებისა, რომლის ფუჭი წრიალი გულისგამყინავი სიცივითა და უგრძნობლობით გვირგვინდება. ეს ნაკლი ნიშნეულია იმ მწერლებისთვის, რომლებიც მთელის არსებით მიელტვიან რაღაც უჩვეულოსა და განსაკუთრებულს, დახვეწილობას და ბრწყინვალეობას, მაგრამ ხელმოყარულნი უგემოვნო და პედანტური მიბაძვით აბოლოვებენ თავიანთ ძიებებს.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ პათეტიკური სტილის მესამე ნაკლიც, რომელსაც თეოდორე¹⁶ „პარენთირს“¹⁷ უწოდებს. ეს უკანასკნელი სხვა არა არის თუ, თუ არა

¹¹ ციტატა სოფოკლეს ჩვენამდე არმოდწეული გრავედიდან, რომლის სიუჟეტურ ქარგადაც, როგორც კომენტატორნი აღნიშნავენ, პოეტს უნდა გამოეყენებინა მითი ბორეასისა და ორიითიას სიყუარულის შესახებ (იხ. აქვე, მენ. III, I). მუ ციტათი შეეყვალე ციტატის აზრი, რათა მკითხველისათვის უმნიშვნელოდ გასაგებოთ გამეხად იგი.

¹² ამფიკრატი (IV ს. ძვ.წ.ა.) – ათენელი რიტორი. ჰეგესია (III ს. ძვ.წ.ა.) – მაგნესიელი რიტორი (მაგნესია – ლიდიის ქალაქია), ამიანური სტილის ერთ-ერთი მამამთავარი, ფსედო-ლონგინემდე საუკუნით აღრე მკაცრად დაგმობილი და განპიქებული ციყრონის მიერ (De oral., 69, 226). მაგრიდე (II ს. ძვ.წ.ა.) – ბერძენი რიტორი, ჰეგესიას მიმღევი.

¹³ უცნობი ავტორის ციტატა.

¹⁴ ბერძენული ანღაზა.

¹⁵ „ბალღური უნდილობა – ამ სიგყვებით გაღმოსყემს მთარგმნელი ბერძნულ გერმინს „მეორაიოდეს“. „სტილის ამ ნაკლზე, რომელიც ესოდენ ნიშნეულია ატიცისგებისათვის, არაერთგმის ლაპარაკობენ ბერძენი და რომაელი ავტორები – დონისე პალიკარნასელი, ციყრონი, პლუტარქე“ (ნ. ა. ჩისტიაკოვას შენიშვნა).

¹⁶ იგულისხმება თეოდორე გაღარელი (I ს. ახ.წ.ა.) – ცნობილი ბერძენი რიტორი, იმპერატორ გიბერიუსის (14 – 37წ.) მასწავლებელი (სევეტონიუსი, „ტიბერიუსი“, 57); მოღვაწეობდა რომში, სადაც დააარსა ე.წ. „თეოდორელთა“ რიტორიკული სკოლა, რომელიც წარმატებით ეტოქებოდა ციყრონის მასწავლებლის აპოლოდორეს სკოლას და მის მიმღევეებს, ე.წ. „აპოლოდორელებს“ (კინ-

უადგილო პათოსი ან წრეგადასაული ექსტაზით თრობა. და მართლაც, ბევრი ავტორი ისე ეინიანად მიეღვების ვნებათა სიხუხეს, როგორც მემთვრალე – ღვინოს, თუმცაღა ეს ვნებიანობა სრულიადაც არ შეჰუერის საკუთრივ მათი სიგყვის შინაარსს. ამის მიზეზი მათს მიღრეკილებებსა და სასკოლო წესებისადმი მათს ბრმა ნღობაში უნდა ვეძიოთ. ისინი ისე მძვინვარებენ სრულიად გულგრილ მსმენელთა წინაშე, როგორც სიმშაგით ცნობამიხიღინი – ცნობაწყნართა წრეში. მაგრამ, მოღი, ჯერჯერობით მოვეშვათ პათოსს. ქვემოთ ჩვენ კვლავ მიუბრუნდებით მას.

IV

ამაღლებული სტილის მეორე ნაკლი, ესე იგი, სიგყვის ხელოვნური სიცივე ყველაზე მეტად გიმეოსს¹⁸ ახასიათებს, თუმცაღა, სხვა მხრივ, ის საკმაოდ ნიჭიერ, მოგჯერ მაღალი სიგყვის უყყური გრძნობით დაჯიღღობულ, ღიღად განსწავლულ და გონებამახვილ მწერლად გვევლინება. მაგრამ, ამასთან, მას უყვარს სხვისი ნაკლის გამოჩხრეკა და განქიქება, მაშინ როღესაც თითქმის ვერ გრძნობს და ვერ ამჩნევს საკუთარ ნაკლს. ეგევ არ იყოს, ვნებიანად რომ მიეღვების ყოველივე უჩვეულოს და მოუღღონელს, გიმეოსი ხშირად ინჟანგიღღობაში ვარღება.

მოვიგან მხოლოდ ორიოღე ნიმუშს გიმეოსის ნაწერებიღან, რაღგან ცეციღიუსის თხზუღება სავესა მისი ციგაგებით. ხოგბას რომ ასხამს აღექსანღრე ღიღს, გიმეოსი წერს: „აღექსანღრემ უფრო მალე ღაიმორჩიღა მთელი აზიღ, ვიღრე ისოკრატე“¹⁹

გიღანე, III, 1, 19). აპოღღორღელები ამკარა კონსერვატორები იყენენ და რიგორიკას მიიჩნეღენ უეღღელ, ერთხელ და სამუღამოდ ჩამოყაღბიღებულ ხეღღონებად, რომღის ღოგმაგური წესე-ბიღან თუ კანონიკური ნორმებიღან უმნიშვნეღღო ღაღახვევასაც კი მიუგეღებულ შეუღღებაღ თელიღნენ; მაშინ როღესაც, თოღღორღელები, რომღებისთივისაც უესო იყო ყოვეღღეკარი ღოგმა-გიმში, რიგორიკას უყრებღნენ როგორც უფრო მოქნიღღსა და ღროის მოთხოვნებისა თუ კონკრე-გულ ვითარებათა მიხეღღით ცეღად ხეღღონებას... ცეციღიუსს რომ ეკაქეღება, ფსევეღღ-ღონიწიწე, იმავეღღოღღად, აპოღღორღესა და მთელ მის სკოღასაც უპირისპიღღება. ამ მხრივ, ის ჰემშარიტი „თოღღორღელი“. აპოღღორღესა და თოღღორღეს შესახებ ის. ა. კრუაზე, მ. კრუაზე, ღასახ. ნაშრ. გვ. 313-314; 355-356.

¹⁷ თოღღორღე ამკარად ამასხრებღა ყაღბი ფსევეღღ-პათეგიკური სტიღის მიმღღევრებს, სტიღისა, რომ-ღის მაღღღფარღღონება კონგექტის შინაარსითა და თემის ინგიმური ბუნებით კი არ არის გან-პირობებული, არამედ თითმიმზღრია და, ამღენად, არაბუნებრივი, უადგილო და გაუშართლებელი. სწორედ ამნაირი სტიღის აღსანიშნავად იყენებღა იგი გერმინს „პარენთირსი“, რომელიც ღიონ-ისეს (ბაქენის) ორგინსტული საშიმომ პროუესიისა და ბაქენსების ექსტაგური სიმშაგის რემინის-ცენციას იწვევს: „პარენთირსი“ წარმოსღგება სიგყვიღან „თირისი“ („თირსოს“): ასე იწოღებოღა ღიონისესა და მისი მზღებღების (ბაქენსების) სეციფიკური აგრიბუტი – სუროსა და ეამის ფოთ-ღებით გარშემოწწული და ნაბვის გირჩით დაგვირგვინებული კეერთხი.

¹⁸ გიმეოსი (ღაახლ. 352 – 256 წ. ძვ.წ.ა.) – ბერძენი ისტორიკოსი. მისი მთავარი თხზუღებიღან, რომელიც სიღიღისა და იგაღღის ისტორიას ეხებოღა და 68 წიგნს ითეღიღა, ფრავგენგებიღაა შემორჩენიღი. გიმეოსს სასტიკად ჰგმობღა პოღბიოსი მისი მანიკიერი სტიღისა და ანგისტორიული გენღენციის გამო (XII, 3-15, 23-28; მღრ. პღუგარტე, „ნიკიღ“, I), თუმცა ციყერონი არ იმიარებს ამ ამრს („ორაგ“, II, 14, 58), გიმეოსის შესახებ ის. ვ. გარნი ღასახ. ნაშრ. გვ. 254-255.

¹⁹ ისოკრატე (436 – 328 წ. ძვ.წ.ა.) – სახეღგანთქმული ბერძენი რიგორი, სოფისტ გორგიას მოწაფე, ნორმაგული მხატვრული პრომის ერთ-ერთი კანონმღებელი; განსაკუთრებულ ყურადღებას აქეეღა ექსპრეიულ ძაღმოსიღებას, ემოციურ სიწრფელეს და მაღალი სტიღის გექნიკურ სრულყოფიღებას. მისი ფრამა ღახეციღიღა, მრავალფეროვანი და კეთილხმიერი, პერიოღი – გულ-მოღგინედ დაბუშაეებული და დასრულებული (ციყერონის მოწმობით, მან პირეეღად ღანერვა ე.წ. „პერიოღღეს ღამრგეღება“ – „კიკღოს“). ისოკრატეს დაუწერია 60 სიგყვა (შემოგვრჩა მხოლოდ 21), მეგწიღად პოღგიკური ხასიათისა. მათ შორის თავის გამოშახეღღობითი ბრწყინეღლებით, ამაღლებული პათეგიკითა და პაგრიოგული სულსიკეთებით უთოღ ყვეღაზე ძღიერიღ „პანე-გირიკი“ („სიგყვა პანელიწერ ყრიღობამე“), რომელშიაც ავტორი დაწერიღებით ჩამოთღღის ათ-ენის ღამსახრებღს ეღღარის წინაშე, რათა ღაამგკიკოს, რომ სწორედ ათენს ეკუთვნის ჰეგემონობა და, იმავეღღოღად, მოუწოღებს ყვეღა ბერძნულ პოღღის, ყვეღა ბერძენს, ერთობღიეღად ღაღამქრონ სპარსეთი.

შეთხზავდა თავის „პანეგირიკს“, რომლითაც ის სპარსელების წინააღმდეგ სალაშქროდ აქეზებდა ბერძენებს“.

ჭეშმარიტად განსაყვიფრებულია ალექსანდრე მაკედონელის შედარება სოფისტთან! თუკი შენს სიტყვებს ვერწმუნებით, ჩემო გიმეოს, მაშინ უნდა ვალიართო, რომ ისოკრატეს თვით ლაკედემონელები ეერ შეედრებოდნენ სიმამაციო: მართლაც, მათ ხომ ოცდაათი წელი მონადრომეს შესენიის დაპყრობას,²⁰ ხოლო ისოკრატემ ათ წელიწადში შეთხზა თავისი „პანეგირიკი“.

აი, რას ამბობს იგივე გიმეოსი სიცილიელების მიერ დატყვევებული ათენელების შესახებ: „მათ შემუსრეს პერმესის ქანდაკებანი და, ამრიგად, კგმეს და შეაგინეს ღმერთი. ამიგომაც მიევოთ სანაცულო სწორედ იმ კაცის ხელით, ვისი საგვარეულოც უკეთურთა მიერ შეგინებული ღმერთისაგან იღებს დასაბამს, კერძოდ, პერმოკრატეს, პერმონის ძის ხელით“²¹ მე მიკვირს, ჩემო საყვარელო ტერენტიანე, რატომ არ მოუვიდა ამრად გიმეოსს გირან დიონისიოსზედაც დაეწერა ასე: „დიონისიოსმა კგმეო მესი და პერაკლე: ამიგომ დიონმა და პერაკლიდებმა დაამხესო იგი“²²

თუმცა გიმეოსზე რა გეეთქმის, როცა თვით სოკრატეს მიერ გამოწერთნილი და გამობრძმედილი ისეთი დიდი მწერლებიც კი, როგორიც არიან ქსენოფონტე და პლატონი, ზოგჯერ ამკარად სყოდავენ ამ მხრივ და ვერც ამჩნევენ თავიანთ მეცდომებს. აი, რას წერს, მაგალითად, ქსენოფონტე თავის „ლაკედემონურ

²⁰ VIII – VII ს. (ძვ.წ.ა.) ლაკედემონი (სპარტა) გააფთრებით ეომებოდა თავის მეზობელ მესენიას. ორი ხანგრძლივი და სისხლისმღერელი ომი, რომლებიც „მესენური ომების“ სახელითაა ცნობილი, მესენიის დამარცხებით დამთავრდა (პაესანიი, „ელადის აღწერილობა“, IV).

²¹ იგულისხმება პელოპონესის ომისდროინდელი ერთი დრამატული ეპიზოდი: 415 წლის (ძვ.წ.ა.) დამღეს ათენელებმა, აღკობიადეს წაქეზებით, დაიწყეს სამზადისი პელოპონესის მოკავშირის, სიცილიის მსხვილი სავაჭრო ცენტრის – ქალაქ სირაკუზისა და მთელი სიცილიის დასალაშქრად. ამ მიმნი, იმავე წლის გაზაფხულზე გაამზადეს ფლოგი, რომელიც 200 გრიერისა და საგრანსპორტო ხომალდისგან შედგებოდა, ხოლო ეკიპაჟი 38000 მეომარსა და მენიზებს ითვლიდა (მოგვიანებით მათ შეუერთდა კიდევ 75 გრიერი 5000 მეომართურთ). მღვაში გასელამდე რამდენიმე დღით აღრე უცნობმა პირებმა ვადააყირავეს და დაამსხერიეს პერმები („პერმაი“) – ათენის ქუჩებში მღვარი სვეტები პერმესის გამოსახულებითურთ. და რაკი პერმები, ეპკრობისა და მოგმადურობის ღმერთი, სიცილიის მფარველად ითვლებოდა, ამიგომ ეს ღეთისმგმობელური აქტი ათენში არა მარტო გაუვიწარ მკრებელობად, არამედ ავისომასწავებელ ნიშნდაც იქნა მიჩნეული. და მართლაც, სიცილიური ექსპედიცია, ცული ორგანიზაციის, სუსტი სტრატეგიისა და დიპლომატიური სიბეცის გამო, ათენელთა სრული კრახით დამთავრდა: 413 წ. ძვ.წ.ა. სიცილიელებმა პერმოკრატეს მეთაურობით მთლიანად გაანადგურეს ათენელთა ფლოგი. ასეთივე ბედი ეწია ათენის სახმეოლო ჟარსაც. ვინც სიცილილს გადურჩა, გყვედ წაასხეს და სირაკუზის ქეის სამგერეებში სამუშაოდ გაგმანეს. თითქმის ყველას კატორღამი ამოხდა სული. ამ დრამატული ეპიზოდის შესახებ მოგვითხრობენ თუკილიდე და პლუტარქე.

²² ფსევდო-ლონგინე გულისხმობს სირაკუზის გირანს დიონისიოს უმცროსს (გირანობის წლები 367 – 357; 346 – 343 წ. ძვ.წ.ა.) დიონისიოსის თვითნებობით, სისასტიკითა და გახრწნილებით აღშფოთებული სირაკუზელები ორჯერ აუჯანყდნენ მას: პირველად – სირაკუზელი დიდებულის, პლატონის მოწაფის და მიმდერის დიონის (დაახლ. 410 – 354 წ. ძვ.წ.ა.) მეთაურობით და კიდევ დაამხეს იგი 357 წ. მაგრამ 354 წ. დიონი მოდალაგურად მოკლა მოსყიდულმა მკვლელმა და გაკვიანრებული სამოქალაქო ომის შემდეგ დიონისიოსმა კელავ დაიბრუნა გირანობა. მაშინ სირაკუზელებმა დახმარებისათვის მიმართეს კორინთოს, რომელმაც აჯანყებულთა მისამეულად გაგზავნა პაგარა რამში გიომოლონის მეთაურობით. 343 წ. მოკავშირეებმა ხელახლა დაამხეს დიონისიოსი და სირაკუზიდან გააძევეს იგი... ფსევდო-ლონგინეს ირონია ანალოგიის პრინციპზეა დაფუძნებული: დიონისიოსმა თავისი უსამართლობით შეურაცხყო სამართლიანობის მფარველი ღეთაებანი – მესი და პერაკლე, ამიგომაც, შეეძლო ეთქვა გიმეოსს, დიონმა და პერაკლიდებმა დაამხესო იგი: საქმე ისაა, რომ, ჟერ ერთი, „მესი“ (ბერძნ. „მეს“) ირიბ ბრუნებში (ნათესაობითში, მიცემითში, ბრალდებში) იძლევა ფორმებს – „დიოს“, „დიი“, „ლია“ (დელანში სწორედ ეს უკანასკნელია ნახმარი). – მდრ. „დიონი“; და, მეორეც, კორინთიოელები, რომელთა შეწვევითაც სირაკუზელებმა ხელმეორედ დაამხეს დიონისიოსი, პერაკლეს თავიანთ წინაპრად თვლიდნენ, ამიგომაც გიმეოსს შეეძლო „პერაკლიდები“ ეწოდებინა მათთვის.

პოლიტიკაში“:²³ „ლაკედემონელები უფრო იშვიათად ლაპარაკობენ, ვიდრე მარმარილოს ქანდაკებანი, და მათ მხერასაც უფრო ძნელად დაიჭერს კაცი, ვიდრე ბრინჯაოს ძეგლების მხერას. ისინი უფრო მორცხვნი და კდემამოსილნი არიან, ვიდრე ჩვენი თვალების გოგონები – ჩვენი გუგები“.²⁴ ქსენოფონტეს კი არა, ამფიკრატეს უფრო შეშვენიოდა თვალების კდემამოსილი გოგონები ეწოდებინა გუგებისათვის. ღმერთო ჩემო! ვის მოუვა თავში აზრად, უკდემამოსილესი უწოდოს გუგებს, მაშინ როდესაც ყველას მშვენიერად მოეხსენება, რომ კაცის ურცხვობა, უპირველეს ყოვლისა, მისსავთვალეში ვლინდება. და მართლაც: ხომ ამბობს პომპროსი:

ეპი. ღვინით გაღვმილო, ქოფაკისთვალავ!²⁵

ტიმოსმა ეს ცივი და უსიციოებლო გამოთქმა მოჰარა ქსენოფონტეს და მიითვისა ის, როგორც ფსადაუდებელი ნადავლი. აგათოკლეს²⁶ ძალმომრეობის აღწერისას ტიმოსი ვადმოგვეყმს, რომ მან, თვდაპირველად, თანხმობა განაცხადა გაეთხოვებინა თავისი ძმისწული. მაგრამ შემდეგ, ქორწილის დროს, თვითონვე მოიტაცა იგი, და დასძინს: „განა შეიძლება ამნაირი დანაშაული ჩაედინა კაცს, ვისი თვალებიდანა იმზირებიან უმანკო ქალწულნი და არა მეძაბენი?“

დაბოლოს, ყველა სხვა მხრივ ჭეშმარიტად უზადო და ღვთაებრივი პლატონი წარწერებით აჭრულებულ ხის ფირფიტებზე ამბობს: „ტაძრებში ქაოვებენ სამუდამო სავანეს ეს კიპარისის ძეგლები“;²⁷ ხოლო მეორეგან ის გვეუბნება კელლებისათვის: „მე ვიზიარებ სპარტელთა აზრს, ჩემო მეგილე, უმჯობესია კელლები მშვიდად თვლემდნენ მიწაში; ამიგომ, დაე, ნულარაეინ ალაღვენს მათ“.²⁸

არც პეროლოტე იქყევა უკეთ, როცა „თვალების სატანჯეელს“ უწოდებს ლამაზ ქალებს.²⁹ თუმცა ამგვარი გამოთქმა, ასე თუ ისე, მაინც მისატევებელია, ვინაიდან ამ სიგყეებს ბარბაროსები და, თანაც, მთვრალი ბარბაროსები წარმოთქვამენ. მაგრამ თვით ესეც კი არ ამართლებს მწერალს, რომელსაც შეეძლო ღვმილით აეველო გვერდი ამ უამური გამოთქმისათვის და, ამრიგად, თაეიდან აეცილებინა პირუთენული შთამომავლობის მსჯავრი.

V

ყველა ეს უკვმოვნო გამოთქმა ერთი და იგივე წყაროსგან იღებს დასაბამს: ეს ვახლავს სიახლის წყურეილი, რომელიც პირდაპირ ამმაგებს თანამედროვე მწერლებს. სტილის ყველა ღირსებასა თუ ნაკლს ჩვენში ხშირად ერთი და იგივე მიზეზი განაპირობებს; ასე რომ, ის, რაც ხელს უწყობს ნაწარმოების მხატვრულ სრულყოფილებას, სახელდობრ, ენის სინატიფე, მაღალი აზრი და თხრობის სასიამოვნო სტილი, ზოგჯერ სრულიად საპირისპირო შედეგს იძლევა. იგივე შეიძლება ითქვას მეტაბოლების,³⁰ პარაბოლებისა თუ მრავლობითობისთვისაც. ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, რაოდენ სახიფათოა მათი ხმარება. ახლა კი ჩამოეთელი და განვიხილავ ყველა იმ

²³ იხ. ქსენოფონტე, „ლაკედემონური პოლიტიკა“, III, 5.

²⁴ ღვანში სიგყვათა თამაშია, რომლის ვადმოცემაც თარვმანს არ ძალუქს, ვინაიდან ბერძნულად „გოგო“ და „გუგა“ ომონიმებია („პართენოს“)... ანალოტიურ გამოთქმას ეხვლებით რომაელი ექიმის არუტეოსის (II ს. ახ.წ.ა.) თხზულებამი „სნეულებათა მიზეზებისთვის“, I, 7.

²⁵ „ილიადა“, I, 225. ამ სიგყეებით აქილევის მიმართავს აგამემნონს.

²⁶ აგათოკლე (361 – 289 წ. ძე.წ.ა.) – სირაკუმელი გირანი, ავანტურისტი და უმურპატორი, მის შესახებ მოგვითხრობენ ისტორიკოსები – იუსტინე და დიოდორე სიცილიელი.

²⁷ პლატონი, „კანონები“, V, 741c.

²⁸ პლატონი, „კანონები“, VI, 778d.

²⁹ პეროლოტე, V, 18. მღრ. პლუტარქე, „ალექსანდრე“, 21.

³⁰ მეტაბოლა – რიგორიკული ფიგურა; ასე იწოდებოდა ნებისმიერი გადახვევა ამა თუ იმ სიგყვის ან ნაწარმოების ძირითადი სტილისტური ხაზისგან.

ხერხს, რომელთა მეშვეობითაც შეიძლება დაეძლიოთ ან სულაც თავიდან ავიცილოთ ამაღლებული სტილის ნაკლოვანებანი.

VI

უწინარეს ყოვლისა, ჩემო მეგობარო, ჩვენ გვამრთებს ზღმნიწევნით ზუსტად დაეადგინოთ, რას ეწოდება ჭეშმარიტად ამაღლებული, ანდა როგორ განისაზღვრება იგი. ამოცანა მეტად რთულია, რადგან ამნაირ განსაზღვრებას მხოლოდ ხანგრძლივი და გულმოდგინე შესწავლის შემდეგ თუ ჩამოვყალიბებთ თავისი საბოლოო სახით. მაგრამ რაკილა გვაიძულებენ, ვცადოთ, იქნებ შეძლებისდაგვარად მაინც ეუპასუხოთ ამ კითხვებს.

VII

უნდა ვიყოფეთ, ჩემო ძვირფასო, რომ თვით ჩვენს ყოველდღიურ ყოფაცხოვრებაშიც კი არ შეიძლება დიდად ვთვლიდეთ იმას, რის მიმართ მიზლიც განადიდებს ადამიანს. რაკი სიმდიდრე, სახელი, პატივი, ერთპიროვნული ძალაუფლება და სხვა მისთანანი მხოლოდ თავიანთი ყალბი ბრწყინვალეობით ხიზლავენ ბრბოს, ამიგომ შეუძლებელია გონიერ კაცს სიკეთედ ესახებოდეს ის, რის მიმართ მიზლიც დასაბამს აძლევს ჭეშმარიტ სიკეთეს. განსეიფრებას და აღტაცებას იწვევს არა მოჩვენებით სიკეთეთა მფლობელი, არამედ ის, ვისაც შეუძლია ფლობდეს ყველა ამ ფუჭ სიკეთეს. მაგრამ, თავისი შინაგანი კეთილშობილებისა და ღიღსულოვნების წყალობით, ქედმაღლური მიზლით უარყოფს მათ.

მუსტად ასევე, როდესაც ვიკვლევთ ამაღლებულს პროზასა³¹ თუ პოეზიაში, თადაპირველად უნდა ჩაწვდეთ მის ჭეშმარიტ არსს: ენახოთ, იქნებ ის მხოლოდ ზოგადად, მხოლოდ მთლიანობაში ჩანს ჭეშმარიტად ამაღლებული, გამოწვლილვით განხილვა კი ააშკარავებს მის უამრო მალაღუარდოვანებას, რაც უფრო მიზლის ღირსია, ვიდრე განსეიფრების.

ჩვენი სული, თავისი ბუნებით, ექოსავით ეხმიანება ჭეშმარიტად ამაღლებულს, რომელიც ისეთი სიხარულითა და ზეიადი თეითრწმენით ადავებს მას, თითქოს თვით იყოს მისივე აღმვსების შემოქმედი და შემქმნელი.

თუ ნაწარმოები, რომელსაც ჭკეიანი და განათლებული კაცი კითხულობს, არ ამაღლებს მის სულს, არ აღძრავს მასში მალაღ ამრებს და არაფერს უტოვებს სულიერ სამრდოდ, გარდა ბერულე და ზედაპირული მთაბეჭდილებისა, მაშინ ის, გულდასმით განხილვისას, თანდათანობით კნინდება და უხადრუკი ხდება მის თვალში. ასეთ ნაწარმოებში არა არის რა ამაღლებული; ის ჩვენზე მოქმედებს მხოლოდ მანამ, სანამ ვკითხულობთ. ჭეშმარიტად ამაღლებული კი გვაიძულებს გულდასმით ვიკითხოთ და ვიკვლიოთ იგი. არა მარგო ძნელია, არამედ, საერთოდ, შეუძლებელიც წინააღუდეგ მის შემოქმედებას, ისე ღრმად და წარუმულელად აღიბეჭდება ის ჩვენს ხსოვნაში.

მამ, დაე, შენთვის მშვენიერი და ჭეშმარიტად ამაღლებული იყოს მხოლოდ ის, რაც ყველასათვის და ყოველთვის მშვენიერია და ამაღლებული. როდესაც თავიანთი საქმიანობით, ცხოვრების წესით, მზე-ჩევეულებით, მიდრეკილებებით, ხნოვანებითა და განათლებით ერთმანეთისაგან განსხვავებული კაცნი ერთიმეორეს ეთანხმებიან ამაღლებულის შეფასებაში, სწორედ ეს თანხმობა იქნება შენთვის ურყევი და უტყუარი საბუთი იმისა, რომ ჭეშმარიტად ამაღლებულს ეხება საქმე.

³¹ ბერძნულ ენაში არ არსებობდა ლათინური „პროზის“ შესატყვისი ტერმინი. პროზული ნაწარმოების აღსანიშნავად იყენებდნენ უადრესად მრავალმნიშვნელოვანსა და გვეად სიტყვას „ლოგოსს“. ან მის მრავლობით ფორმას – „ლოგოი“.

როგორც ვიცი, ამაღლებულს ხუთი არსებითი ნიშანი ახასიათებს. ხუთივე ნიშანი ერთ საერთო საფუძველს ემყარება. კერძოდ, სიგყვის დიდოსტატური ხელოვნებით ფლობს უნარს, ურომლისოდაც ფუჭია ყოველივე სხვა დანარჩენი. ამათგან უპირველესია სულის სიმაღლე და სითამამე. ეს მე ერთხელ უკვე აღვნიშნე ჩემს თხზულებაში ქსენოფონტეს მესახებ. მეორე ნიშანია მძაფრი და შეაღმტაყი ვნება, მაგრამ თუ პირველი ორი ნიშანი თვითმბაღია, ესე იგი, თუ ორივეს კაცის ბუნებრივი თვისებები განსამღვრავს და განაპირობებს, სამაგიეროდ დანარჩენი სამი უმეტესწილად განსწავლითა და ხელოვნებაში გაწაფით შეიძინება. ამაღლებულის მესამე ნიშანია ამრობრივი და სიგყვიერი ფიგურის მწყობრი ერთობლიობა, მეოთხე კი – სიგყვაკამზულობა, რომელიც, თავის მხრივ, ორი ნაწილისაგან შედგება: სიგყვების მკაცრი შერჩევისა და გროპებითა თუ ხატოვანი გამოთქმებით მდიდარი მეტყველებისაგან. დაბოლოს, მეხუთე ნიშანი, რომელიც ოთხსავე წინა ნიშანს მოიცავს და აერთიანებს, სხვა არა არის რა, თუ არა ყოველი მათგანის ორგანული მთლიანობა და ამაღლებულის ხარისხში აყვანილი ერთიანობა.

ახლა კი განვიხილოთ თვითეული ნიშანი ცალ-ცალკე. მაგრამ წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ ცეცილიუსი მთლიანად უგულებელყოფს ზოგიერთ ნიშანს, როგორც მაგალითად, პათოსს – ვნებას.

თუ ის მხოლოდ იმიტომ იქცევა ასე, რომ ერთმანეთისაგან არ ასხევეებს ამაღლებულს და პათეტიკურს, რასაკვირველია, ცდება, ვინაიდან პათეტიკური ზოგჯერ არათუ არ ემთხვევა ამაღლებულს, არამედ, როგორც ბერი მდაბალი ვნების, მაგალითად, ღრტიების, წუხილის თუ ძრწოლის მომცველი, კიდეეაც უპირისპირდება მას. და პირუკუ, ამაღლებულისათვის ზოგჯერ სრულიად უცხოა ყოველივე პათეტიკური, რის ნიმუშადაც მირიადი მაგალითიდან მოვიტან მხოლოდ ჰომეროსის სიგყვებს ალოადების³² შესახებ:

მათ განიზრახეს ოლიმპომე დაემხოთ ოსა,
ხოლო ოსაზე – პელიონი კალთებგყიანი,
რათა ფიცხელი იერიშით აეღოთ გეცა.³³

ამას მოსდევს კიდეე უფრო ძლიერი და ხმიერი ლექსი:

საქმედ აქეედნენ მგვაობარნი თავხედურ მრახვას...

სახობო, საზეიმო თუ სადღესასწაულო სიგყვები, ჩვეულებრივ, თავიანთი აწეული გონითა და ამაღლებული განწყობილებით გამოირჩევიან, მაგრამ მათთვის ხშირად უცხოა ვნებიანობა. ამიტომაა, რომ ვნებით მთავონებული ორაგორები ხელმოყარულნი რჩებიან ხოლმე სახობო სიგყვების თხზვისას, ხოლო მეზობენი, თავის მხრივ, ცუდად ფლობენ პათეტიკურ სტილს.

ხოლო თუ ცეცილიუსს ჰგონია, რომ ამაღლებული საერთოდ არ მოიცავს პათეტიკურს, და ამიტომაც არ ასხენებს ამ უკანასკნელს, ეს კიდეე უფრო მიუტევებელს ხდის მის შეცდომას.

მე კი, ჩემი მხრივ, თავს ნებას ვაძლევ ვამტკიცო, რომ არაფერია უფრო მეტად ამაღლებული, ვიდრე დროული და კეთილშობილური ვნება,³⁴ რომელშიაც ცნაურდება ჭემმარიგი შემთავონება, ღვთიური სიშმაგით რომ ალავეებს პოეტის სიგყვებს.

³² ალოადები – ჰოსიედონის ძის ალოედის ვაჟები – ვფილტე და ოგოსი; მითიური გოლიათები, რომლებმაც განიზრახეს ერთმანეთზე შეეღათ მთები, რათა მეყისთვის მიეღწიათ და თავს დასხმოდნენ ეკვდაე ღმერთებს. ამ თავხედური მრახვით განრისხებულმა აპოლონმა ისრით განგმირა ისინი.

³³ „ოდისეა“, XI, 315-317.

³⁴ ესეიერო-ლონგინე ამაღლებულის ერთ-ერთ უმთავრეს ინგრედინტად გვისახავს „დროულსა და კეთილშობილურ ვნებას“ (პათოსს), მაშინ როდესაც მაღალი სტილის არსებით ნაკლად თელის „უადგილო პათოსსა თუ წრეგადასული ექსტაზით თრობას“, ანუ ე.წ. „პარენთირისს“ (იხ. შენ. III, 10).

თუმცაღა ამაღლებულის უპირველესი და უმთავრესი ნიშანი შექენილი კი არა, ბურებით თანდაყოლილი თვისება გახლავთ,³⁵ მიუხედავად ამისა. ჩენი სულები ხარბად უნდა ეწაფებოდნენ ამაღლებულს და, ამრიგად, გამუღმებით ნაყოფიერდებოდნენ სხვისი თანდაყოლილი შთაგონებით.

კი მაგრამ, როგორ? იკითხავ შენ. ერთ ჩემს თხზულებაში მე ვწერ: „ამაღლებული – სულიერი სიმაღლის გამოძახილია“. განა სწორედ ამიგომ არ გვაკვირებს ყოველგვარ სიგყიერ გარსს მოკლებული, მიშველი და შემოსავი აზრი? ასე მაგალითად, ჰომეროსის „ოდისეაში“, კერძოდ, „სულეთში“ აიანგის პირქუმი ღუმელი ყოველგვარ მჭევრმეგყიებაზე უფრო გულისმემქერელია და შთამბეჭდავი.³⁶

უპირველეს ყოვლისა, ჩვენ გვმართებს გაეარკიოთ, რაგომ არ აღიძერის ჭემმარიგი შემოქმედის სულში უკეთური და უღირსი აზრი, ან რაგომ ვერ შექმნის რაიმე ღიადს და მარადიულს ის, ვინც მთელი სიყოცხლის მანძილზე მღაბალი აზრებით სულმდგმულობს, ბილწ სურვილებს და უღირს ზრახვებს დამონებული?³⁷ იმიგომ რომ ამაღლებული – მაღალი აზრის ნაყოფია, ხოლო მისი შემოქმედი თავაღაყ მაღალია და მაღლად მხელი.

ერთხელ, პარმენიონის სიგყეების პასუხად, ალექსანდრე ღიღმა თქვა: „მეც მივიღებდი“...³⁸

...ჰომეროსი ასე გვიხაგავს ერიღას.³⁹

ცას სწედება თხემით, ხოლო ფეხით ეყრღნობა მიწას.⁴⁰

როგორ განსხვავდება ამ სურათისგან წყვიღადის ჰესიოდესეული აღწერა, თუკი „ფარი“ მართლაც ჰესიოდეს ეკუთენის:

ნესგოებიღან სღიოდა წვინგლი...⁴¹

წყვიღადის ეს ხაგება ძრწოღას კი არა, ზიღლს იწვევს ჩვენში.

ღა, პირიქით, აი, როგორ გვიხაგავს ჰომეროსი ღმერთების სიღიადეს:

³⁵ მღ. VIII თავის დასაწყისი.

³⁶ „სულეთი“ (ბერძნ. „ნეუკია“) – ასე ეწოღება „ოდისეას“ XI სიღლრას, რომელშიაც აღწერიღა ოღისეუსის ჩასულა ჰადესში, საღაც მრავალგანჯული გზირი ხედება ყოფიღ თანამებრძოღთა ღანღებს მათ შორის, აიანგის აზრღიღსაც. როგორც ჩანს, აიანგს სიკეღიღმაც ვერ ვაუქარვა სიყოცხლემი ღაღმენიღი წყენა: როცა აქიღეღსის სიკეღიღის მემღვე ბერძენთა შორის აგყდა ღაყა, ვის უნღა რეგბოღა სწორუპოვარი გზირის საჭურეული. არჩევეანი ოღისეუსსა და აიანგზე შერეღდა; ორი ღორსეული ჰრეგენღენგღიღან ბერძენებმა ოღისეუსს მიანღიჭეს უპირაგესობა და საჭურეული მასვე არგუნეს. აიანგმა ვერ აიგანა მეურაცყოფა და თაღი მოიკღა. ოღისეუსი გამოულაპარაკება ყოფიღ მეგოქეს, მაგრამ აიანგი პირქუმღ ღუმელიღთ მეაქევეს შურგს და ფეხაკრეფით მეურთღება ჰადესის მწუხარე აზრღიღთ. მღ. „ოდისეა“, XI, 563-564.

³⁷ ეს თემა მკაფიოღ იკეეთება გრატგატის უკანასკნელ, XLIV თავემი.

³⁸ ხელნაწერის აკღია ორი ფერსეული.

³⁹ პარმენიონი (IV ს. ძეწა.) – მაკეღონელი მხედართმთავარი, ალექსანდრე ღიღის თანამებრძოღი. ფსევღო-ღონგინე გუღისხმობს ბერძენ-სპარსელთა ომის ერთ ეპიზოღს, რომელსაც ასე გაღმოგვეყმს პლეგარქე („ალექსანდრე“, 29): დამარცხებულმა „ღარიოსმა ალექსანდრეს ეღჩემი გამოუგმავენა და თან წერიღიყ გამოაყოღა. ღარიოსი ალექსანდრეს თაეაზობღა გყეეების გაღოსასყიღად ათღ ათას გალანგს, უთმობღა მთელ სამფლობეღოს, რაიყ ეეფრატის დასაეღეთით მღებარეობღა, პირღებოღა ერთ-ერთი ქაღიღეღის მითხოვებას და სთხოვღა მეგობრებს ამენო. „მე რომ ალექსანდრე ვიყო, – თქვა პარმენიონმა, – მივიღებდი ამ პირობებსო“. „მეც მივიღებდი, ვფიყავ მეესს, – უკასუხა ალექსანდრემ, – პარმენიონი რომ ვიყოო“ (თარგმანი აკ. ურუშაძისა). I მღ. არიანე, „ანაბასიისი“, II, 25, 2.

³⁹ ერიღა – განთხეთქიღების ქაღღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში, ომიანობის ღმერთის არესის და ბროძღის ველზე მისი მუღმიეი თანმხლები.

⁴⁰ „იღიადა“, IV, 442.

⁴¹ გარღა საქეეყნოღ ცნობიღი პოემებისა – „სამუშაონი და ღღენი“ და „თეოგონია“, ჰესიოდეს მიეწერება აგრეთვე ჰატარა პოემა „პერაკლეს ფარი“, საიღანაც ფსევღო-ღონგინეს მიერ ციგირებული 267-ე სტრიქონი „ასღისს“ – წყვიღადის პერსონიფიკირებულ ღვთაებას ეხება.

უსამღვრო სიერეს, რომელსაც მახვილი მშერთით მოიყავს კაცი, მთის მწვერვალიდან რომ გაჰყურებს ღვინისფერ მღვას, ერთი ნახტომით ფარავენ ღმერთების თავენბა და ფიცხი ცხენები.⁴²

პოეტი კოსმიური მასშტაბით მომავს ცხენების ნახტომს. განზომილების ამგვარი ვრანდიომზლობა განცვიფრებით წამოგვაძახებინებს: ერთი ნახტომიც და მათთვის, ალბათ, ადგილიც აღარ დარჩება ამ სამყაროში!

ან რაოდენ შთამბეჭდავია და დიდებული ღმერთების ბრძოლის ფანტასტიური სურათი:

*ნაღარის ხმამ შესძრა ოლიმპო და შეარყია ზეის თაენი...⁴³ შეერთა მიწის ქვეშ თვითონ ჰადესიც, ქვესკნელის მეუფე: შეძრწუნებული წამოიჭრა ტახტიდან და ხაფი ხმით შეჰბლაელა ზეიას: ხომ არ გააპო დედამიწა პოსეიდონმა, მიწისმრყეველმა ღმერთმა? ხომ არ განუხენა უკვდავთ და მოკვდავთ მისი პირქუში საბრძანებლის ბჰენი, საბრძანებლისა, რომელიც თაეზარსა სყემს თვით ნეტარ ღმერთებს?!*⁴⁴

ნუთუ თვალნათლივ ვერ ხედავ აქ, ჩემო მეგობარო, მკერდგაპობილ მიწას, პირამჰმულ ჰადესს, მიშით და ძრწოლით მოყულ სამყაროს? ნუთუ ვერ ხედავ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმულ ზესკნელს და ქვესკნელს, ერთმანეთში აღუფხულ უკვდავთ და მოკვდავთ?

მართალია, ამგვარი აღწერა რაღაც ზეადამიანურისა და ზებუნებრივის წარმოდგენას იწვევს, მაგრამ თუ მას არ აღვიქვამთ როგორც ერთგვარ ალევორიას, მამინ ის ყოვლად უხამსად და მკრეხელურად მოგვეჩვენება ჩვენ.⁴⁵ ღმერთების ჭრილობებს თუ ურთიერთბრძოლებს, მათ კირთებას თუ შურისძიებას, მათ ცრემლებს თუ ენებებს რომ უმღერის, პომეროსი, ჩემი ამრით, ცდილობს შეძლებისდაგვარად გააღმერთოს ილიონის გმირები, ხოლო ღმერთები, პირიქით გააადამიანუროს. მაგრამ ჩვენ, ბედკრულ ადამიანებს, ნუგეშად და სასოებად გვივის სიკვილილი, ჩვენი მსხნელი და საბოლოო ნავთსაყუდელი. პომეროსმა კი უკვდავყო არა იმდენად ღმერთების ბუნება, რამდენადაც მათი საღმობანი, მათი ენებები.

რამდენად უმჯობესია ღმერთების ბრძოლის ამსახველ ამ სურათზე პომეროსის ის სტრიქონები, რომლებშიაც ღმერთი მთელი თავისი სიდიადითა და ძალმოსილებით, თავისი ჰემმარიტი ბუნებით არის წარმოდგენილი. ნიმუშად მოვიტან ჩემამდე არაერთი ავტორის მიერ მრავალგზის განხილულ და ციტირებულ სტრიქონებს, რომლებიც ასე გვიხატავენ პოსეიდონს:

შეირყა მთა და შეირხა გყე, შეგორგმანდა მკვიდრად ნამენი გროა, ნაპირს მიასკნენ აქაეელთა ხომალდები, პოსეიდონის წმინდა გერფით ვადათქერილნი: მფრთოვან ტალღებს ეგლით ვადაუქროლა მრისხანე ღმერთმა; იძრა წყლის სიღრმე, უფსკრულიდან ამოყურდა ვეშაპთა გუნდი და გარს შემოერტყა პატრონს; შუა გაიპო სისხარულით შეძრული მღვა და ვრიგალივით გაფრინდა ეგლი.⁴⁶

⁴² „ილიადა“, V, 770-772.

⁴³ „ილიადა“, XXI, 388.

⁴⁴ „ილიადა“, XX, 61-65.

⁴⁵ ფსევდოლონგინე, პლატონის კვლადაკვად, ილაშქრებს ღმერთების ანთროპომორფიზაციის წინააღმდეგ (მღრ. „სახელმწიფოს“ III და X წიგნი).

⁴⁶ „ილიადა“, XIII, 18-19; 27-30.

მუსგად ასევე, იუდეველთა სჯულმდებელმა ზემთავონებულმა და ღმერთის სიდიადით გულშეძრულმა კაცმა,⁴⁷ ამ სიტყვებით გვაძენო არსთა გამრიგის ძალმორჭმულება თავისი კანონთა წიგნის დასაწყისში: „და სთქვა ღმერთმა“. – მაგრამ რა სთქვა მან? – „იყავნ ნათელი!“ და იქმნა ნათელი. – „იყავნ მიწა!“ და იქმნა მიწა.⁴⁸

იმედი მაქვს, თავს არ შევაწყენ, ჩემო ძვირფასო მეგობარო, თუ დავიმოწმებ კიდევ ერთ ადგილს პომეროსის პოემიდან, სადაც პოეტი თავის გმირებს გვიხასიათებს. მე მსურს ვიჩვენო, როგორ გადადის პომეროსი მისსავე მიერ წარმოსახულ ღიადასა და ამბლელბულ პერიოკაში, როგორ ერწყმის და ესისხლხორცება მას. მოულოდნელად ჩამოწოლილმა ღრუბელმა და ღამის წყვლიადმა შეწყვიტეს ბრძოლა, და აი, სწორედ აქ გაისმის აიანგის სასოწარკვეთილი ყვირილი:

მამაო ჩვენო, მაღალო გეეს, იხსენ აქაველნი ამ უკუნისგან, გაფანტე ბნელი! დაუბრუნე დღეს მისი სინათლე, ხოლო ჩვენს თვალებს – ნიჭი ხედვისა, და დაგვლუქე ღლისით და მშისით!..⁴⁹

ეს ყვირილი გვიმედავენებს აიანგის ჭეშმარიტ პათოსს. გმირი სიცოცხლეს როდი სთხოვს ღმერთს – ასეთი თხოვნა უთუოდ შებღალადა მის ღირსებას; არა, რაკილა ჩამოწოლილ წყვლიადში თავისი კეთილშობილური სიმაჰმაცის გამოვლენა არ შეუძლია, ბრძოლის მოულოდნელი შეწყვეტით განრისხებული აიანგი ნატრობს, რაც შეიძლება მალე განქარდეს ბნელი, რათა ღლისით, მშის სინათლეზე, ღირსეულად შეეგებოს სიკედილს და ზურგი არ უჩვენოს მტერს, თუნდაც თვით გეესთან მოუხდეს შებმა.

აქ პომეროსი ზურგქარს ემსგავსება და საგმირო საქმეთათვის რომ აქებებს თავის გამმაგებულ გმირებს, თვითონაც მათთან ერთად

მძინეარებს, როგორც მუბმემართული არესი ბრძოლის ეელზე, ან როგორც ყოვლისმმუსერული ხანძარი უსიერ ტევრში.⁵⁰

ხოლო „ოღისეაში“, რომელსაც მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა, ღუმილით ეერ ავეულით გევრდს, ამქარად ჩანს, რომ სიბერეში, თავისი ღიადი პოეტური გენიის მიმწუნრზე, პომეროსი თხრობის გმას ირჩევს. და მართლაც, „ოღისეა“ „ილიადაზე“ უმრწემესია,⁵¹ რაც, ბევრი სხვა საბუთის გარდა, იმითაც დასტურდება, რომ ილიონის მისადგომებთან დათმენილ ტანჯვა-ვაებათა მოვონება „ოღისეაში“ ჩვენ გეესმის, როგორც ტროას ომის ეპიზოდთა მორეული გამოძახილი. „ოღისეას“ გმირები დასტირიან თავიანთ უბედურებას, მაგრამ არა როგორც ამეამად თავს დატეხილს, არამედ როგორც დიდი ხნის წინათ დათმენილს და გადატანილს. ასე რომ, „ოღისეა“ სხვა არა არის რა, თუ არა „ილიადას“ ეპილოგი.

⁴⁷ იველისხმება მოსე.

⁴⁸ არამუსტი ციტატა „მესაქმიდან“, I, 3. ამ უაღრესად საინტერესო პასაჟთან დაკავშირებით იხ. ნ. ა. ჩისტიაკოვას ერცელი და საქმიანი შენიშვნა წიგნში: О возвышенном, перевод, статьи и примечания Н. А. Чистяковой, М.-Л., 1966, გვ. 127-128.

⁴⁹ „ილიადა“, XVII, 645-647.

⁵⁰ „ილიადა“, XV, 605-607.

⁵¹ მთელი პასაჟი, რომელიც უშუალოდ მოსდევს ამ სიტყვებს, ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო და ნათელი ფურცელია პომეროსის კრიტიკის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. რაც შეეხება საკუთრივ აქ დასმულ პრობლემას, ბერძნები ყოველთვის ცხოველ ინტერესს იჩენდნენ მის მიმართ. სენეკა მსუბუქი იუმორით წერს (De brev. vit., 13): „ბერძნებს პირდაპირ აეადმყოფობად ქქონდათ ქქეული ეძიათ, რამდენი მენიჩზე ჰყავდა ოღისეესს, „ილიადა“ უფრო ადრე დაიწერა თუ „ოღისეა“ და, გარდა ამისა, ერთსა და იმავე ავტორს ეუუთენოდნენ თუ არა ისინი“.

იქ წევს ლომგული აიანტი, იქ წევს აქილევსი, იქ სძინავს სიბრძნით ღმრთისწორ
პატროკლეს, იქ განისვენებს ჩემი ძვირფასი ვაჟი...⁵²

მე მგონია, ამავე მიზეზის გამო, „ილიადა“, რომელიც პოეტის მოწიფულობის ასაკშია შექმნილი, როცა მისი შემოქმედებითი ძალმოსილება თავის აპოგეას აღწევს, – მხოლოდ მოქმედება და ბრძოლა, მამინ როდესაც „ოდისეა“ სხვა არა არის რა, თუ არა გაბმული თხრობა, რაც ასურებად ნიშნულია სიბერისათვის. „ოდისეაში“ პომეროსი შეიძლება შევადაროთ ჩამავალ მზეს, რომელიც, მართალია, ძველებურად ვეღარ აცხუნებს, მაგრამ ჯერ კიდევ არ დაუკარგავს სიკაშკაშე და ცხოველმყოფელობა. აქ ჩვენ უკვე ვეღარ ვგრძობთ იმ უჩვეულო ძალმოსილებას, რაც ეგზომ გვაცვიფრებს „ილიადაში“. ვერც ამაღლებულის იმ თანაბარმოძიერ რიგმს, რომლისთვისაც უცხოა ყოველგვარი დაღმავლობა, ვერც ურთიერთმონაცვლე ვნებათა შმაგ ნაკადს, ვერც განწყობილებათა სწრაფ ცვლასა თუ სამოგადოებრივ ელერადობას, დაბოლოს, ვერც სინამდვილისაგან ნასესხებ სახეთა თუ ხასიათთა უსასრულო მრავალფეროვნებას. ისევე როგორც ოკეანის მოქცევას მიქცევა მოსდევს, ხოლო მიქცევას – გაღლის დამცრობა და ბობოქარი ძალის დახსრობა, ისე აქაც, „ოდისეას“ მღაპრულსა და მითიურ წიაღსვლებში ჩვენ ვხედავთ ამაღლებულის გამუღმებულ უკუმიქცევას.

თუმცა, ამას რომ ვამბობ, მე არ დამვიწყნია არც გრივალთა მძვინვარება „ოდისეაში“, არც სისხლიანი დრამა კიკლოპის მღვიმეში⁵³ და სხვა მისთანანი. მაგრამ მე ელაპარაკობ სიბერეზე, ხოლო სიბერე – სიბერეა, თვით პომეროსის სიბერეც კი. და მართლაც, თითქმის მთელს „ოდისეაში“ თხრობა და მითი აშკარად ჩრდილავს მოქმედებას და სინამდვილეს.

ეს გადახვევა იმისთვის დამჭირდა, რათა მეჩვენებინა, რომ თვით ყველაზე დიდი პოეტიც კი თავისი სიცოცხლის მიმწუხრზე არცთუ იშვიათად უხდის ხარკს ფუჭ ლაყობას და სიგყვამრავლობას. გაეხსენოთ თუნდაც ის ადგილები, სადაც პომეროსი ლაპარაკობს რუმბებზე, კირკეს მიერ ღორებად ქცეულ გმირებზე,⁵⁴ რომლებსაც ზოილი⁵⁵ მჭყვირალა გოჭებს უწოდებს, ზევსზე, რომელსაც უმწეო ხუნდივით კეებავენ მგრელები,⁵⁶ ოდისევსზე, რომელიც მთელი ათი დღე შიმშილობს ხომალდის დაღუპვის შემდეგ,⁵⁷ და ბოლოს, იმაზე, თუ როგორ გაელიტა ოდისევსმა სასიძოები.⁵⁸ რას შეიძლება შევადაროთ ყოველივე ეს, თუ არა ზევსის მმანებებს?

და კიდევ ერთი მიზეზი, რამაც ასეთი გადახვევა გამოიწვია: მე მინდოდა დამემტკიცებინა შენთვის, რომ დიდი მწერლებისა თუ პოეტების სიბერისდროინდელ ქმნილებებში პათეტიკას თანდათანობით მნე-ჩვეულებებისა და ყოფა-ცხოვრების აღწერა ცელის. და მართლაც, ოდისევსის სახლში ყოველდღიური საყოფაცხოვრებო წერილმანების აღწერით „ოდისეა“ ერთგვარი ყოფითი ხასიათის კომედიას მოგვაგონებს.

X

ახლა ვნახოთ, რა გზით შეიძლება სიმაღლე და სიღიაღე მივანიჭოთ სიგყვას.

⁵² ნესტორის სიგყვებია; იხ. „ოდისეა“, III, 109-111.

⁵³ „ოდისეა“, IX, 181 და შმდ.

⁵⁴ „ოდისეა“, X, 1 და შმდ., 210 და შმდ.

⁵⁵ ზოილი (IV – III ს. ძვ.წ.ა.) – ბერძენი რიგორი და ვრამატიკოსი, რომელსაც უპირველესი ბერძენი პოეტის წინააღმდეგ თავხედური და ცილისმწამებლური გამოხდომების გამო „პომეროსის მათრახი“ („პომერომატიკოს“) შეურქვა მეტსახელად, ხოლო მისი ენაგესლიანობა და სარკასტული ბილწისიგყვობის გამო – „რიგორიკოსი ძაღლი“ („კიონ რეგორიკოს“).

⁵⁶ „ოდისეა“, XII, 62 და შმდ.

⁵⁷ „ოდისეა“, XII, 447.

⁵⁸ „ოდისეა“, XXII, 79 და შმდ.

როგორც ვიცი, ყველა საგანი, თავისი ბუნებით, გარკვეული ნაწილებისაგან შედგება, რომელთაგანაც ითხზვის თვითელი მათგანის მთლიანობა. ამიტომ ამაღლებულის საძიებლად აუცილებელია მთელი სიგყვისაგან ჩოგიერთი არსებითი ნაწილის გამოყოფა, ხოლო შემდეგ, ამ ნაწილთა ბუნებრივი ურთიერთკავშირის გამო, მათი ხელახლა შეერთება და, ამრიგად, კვლავ ერთ არსად, ერთ ორგანულ მთელად ქცევა. მსმენელს თავდაპირველად განსაუფრებს ცალკეულ ნაწილთა მომხიბვლელობა, ხოლო შემდეგ – მთელის სიმდიდრე და მრავალფეროვნება.

მუსტად ასე იქცევა საფო: ეროგიულ ენებათა სიმმაგეს რომ გეხიბავს, ის ამ ენებათა თანამდევნი სულიერი განცდებისა და სინამდვილისაგან სესხულობს მათ. მაგრამ მაინც რა გვიმელავენებს მის ტალანგს და ნიჭიერებას? ის განსაუფრებული ძალმოსილება და უგყუარი ალლო, რომლითაც პოეტი ქალი არჩევს და გამოჰყოფს ყველაზე ღრმას და ყველაზე მაღალს, რათა შემდეგ ერთი მთლიანი სახე, ერთი მთლიანი ხატება შექმნას მათგან:

მე ღვთისწორი მგონია იგი, ვინც გვერდით ვიზის, შეფრუენით ვიმგერს და ნეტარებით აღვსილი ისმენს მენს საყვარელ გიგინს.

მე კი, თვალს მოგკრავ თუ არა, გულმემკრთალს და შეძრწუნებულს, თავებრუ მესხმის და მეყესეულად მუნჯდება ენა.

უჩვეულო სახმილის ალი ედება სხეულს; ველარას ეხედავ, ვერც რას ვისმენ სმენადახშული. ცხროიანივით ვეახცახებ, ეძრწი და ცივ ოფლს მასხამს; ფერმიხილს და გულგაყინულს, ალბათ, მალე მიმირქმევს სიკედილი.⁵⁹

ხედავ, რა გასაოცარი და გულმიჩამწვდომი სიგყვით მიმართავს პოეტი ქალი თავის სულსა თუ სხეულს, სმენას თუ ენას, თვალსა თუ კანს, მოკლედ, ყველაფერს, რამაც თითქოს უკვე დააგდო, უკვე დაუტევა იგი. და მერე, ურთიერთსაპირისპირო გრძნობებს რომ აერთებს, ის, ერთდროულად, ან იწვის და იყინება, ან გონს კარგავს და ცნობას ეგება, ან სიკედილის შიშით ძრწის და თან სიკედილს ნაგრობს, რათა გვიჩვენოს, რომ ერთი რომელიმე კი არა, მირიადი გრძნობა ახელებს მას. და მართლაც, განა სინამდვილეში ამასვე არ განიცდის მიჯნურის სული? ამ ლექსის უჩვეულო ძალმოსილება, როგორც აღვნიშნე, მნიშვნელოვანწილად განპირობებულია უკიდურესობათა შერჩევით და შემდეგ მათი შერწყმა-შეერთებით. ჩემი აზრით, ასევე იქცევა ელადის უდიდესი პოეტი: გრიგალის აღწერისას ის გამოჰყოფს ყოველივე საშინელს და თავმარდამცემს, რაც კი თან ახლავს ამ სგრიქონის მძვინვარებას. „არიმასაქას“ ავგორი⁶⁰ კი, პირიქით, თვლის, რომ ამნაირი ლექსით შეძლებს მსმენელის შეძერას და შეძრწუნებას:

არნახული სასწაული აძრწუნებს ჩვენს სულს: კაცთ დაუვდიათ ხმელეთი და მღვის ტალღებზე დასახლებულან. უბედურნი! დღემუდამ ოფლს ღვრიან, მძიძე შრომით ქანცანწყევეგილნი. ვარსკელაეთა მიმართ აღუპყრიათ თვალნი, ხოლო სულით მღვამი დათნქმულან. შევლას შესთხოვენ ღმერთებს, სასოებით ხელაპყრობილნი, მაგრამ ამაოა თხოვნა: ღმერთებმა რისხვით იბრუნეს მათგან პირი.

⁵⁹ საფო, ფრაგმ. 2. ამ ლექსის თავისუფალი ლათინური თარგმანი ეკუთვნის ძველი რომის ერთ-ერთ უთვალსაჩინოეს პოეტს კატულუსს.

⁶⁰ იგულისხმება ბერძენი პოეტი არისტეას პროკონესელი (VI ს. ძვ.წ.ა.), ჰეროდოტეს მოწმობით (IV, 13-16), ჩვენამდე არამოღწეული ეპიური პოემის „არიმასაქას“ ავგორი. არიმასაქები ეწოდებოდა ლეგენდარულ ცალთვალ ხალხს („სკიითურად „არიმა“ ერთს ნიშნავს, ხოლო „საქ“ – თვალს“, – ჰეროდოტე, IV, 27), რომელიც უკიდურეს ჩრდილოეთში სახლობდა და ოქროს გულისთვის გამუდმებით ეომებოდა სკიითებს.

ალბათ, ყველა შენიშნავს, რომ აქ ფერადოვნება ამკარად ჩრდილავს საშინელებას. ახლა ვნახოთ, როგორ იქცევა პომეროსი; მოვიგან მხოლოდ ერთ მაგალითს:

მრისხანედ დაეცა, როგორც ეცემა ხომალდს გრივალით ამთავორებული ტალღა; ქაფით იფარება ხომალდი, ქარიშხლის მძვინვარება აკენებს ანძებს და შიშით ძრწიან მებომალდენი, სიკედილის კლანჭებიდან სასწაულით თავდაღწეულნი.⁶¹

ასეთივე განსაყდელის გადმოცემას ცდილობს არატოსიც:

თხელი ფიცარილა ამორებთ სიკედილს...⁶²

მაგრამ აქ ყველაფერი უფრო დაწერილმანებულია და დახვეწილი, ვიდრე – საშინელი. ეგუც არ იყოს, სიგყვებით – „ფიცარი... ამორებთ სიკედილს“, – პოეტმა შეარბილა საფრთხე და გვაგრძნობინა, რომ მის გმირებს რაღაც მაინც ამორებს სიკედილს. პომეროსი კი, აბობოქრებულ მღვაში ყოველ წამს დასაღუჟად განწირულ მღვაოსნებს რომ გვიხატავს, ოღნავაც არ არბილებს საფრთხეს. გამოთქმაში – „სიკედილის კლანჭებიდან“ – ის თამამი ანალოგიით აიგივებს ერთმანეთთან მტაცებელს და სიკედილს.⁶³ ხოლო ლექსის ბუნებრივ რიტმს რომ არღვევს, თითქოს თავსდამტყდარი ტალღით ამსხერვესო მას, პოეტი პირდაპირ ჩვენ თვალწინ ბერწავს, ჩვენ თვალწინ ასაგნებს განსაყდელის ხატებას და, ამრიგად, გულისშემძვრელი და შთამბეჭდავი სიგყვით გადმოგვეყმს მის თავმარდამცემ ძალმოსილებას: „სიკედილის კლანჭებიდან სასწაულით თავდაღწეულნი“.

ასევე იქცევა არქილოქეს ხომალდის დაღუპვის აღწერისას⁶⁴ და ღემოსთენეს, როდესაც წერს: „მოსაღამოვდა“...⁶⁵ ორივე არჩევს მხოლოდ მთავარს, მხოლოდ არსებითს და თავს არიდებს ყოველივე გაყვეთილს, მწიგნობრულს და ზედაპირულს, რომლებიც ისე ამახინჯებენ მთელ ქმნილებას, როგორც ის ვიწრო ბზარები თუ ჭუჭყრუგანები, მოულოდნელად რომ ჩნდებიან ღიღოსტაგური ხელოვნებით მკვიდრად ნაგები შენობების კედლებზე.

XI

ამაღლებულის შემოაღნიშნულ თავისებურებებს მიეკუთვნება ეგრეთ წოდებული მაგებაც, რომელიც სხვა არა არის რა, თუ არა ფაქტებისა და მოვლენების გადმოცემისას ახალი დანართებითა თუ ჩანართებით მათი შევსება და ურთიერთმონაცვლე პერიოდების განმეორებისა და თანდათანობით გრადაციის გზით ამაღლებულის ჭეშმარიტ არსთან თანამიარება.⁶⁶

⁶¹ „ილიადა“, XV, 624-628.

⁶² ციტირებულია 299-ე სტრიქონი ბერძენი პოეტის არატოსის (III ს. ძვ.წ.ა.) ღიდაქტიკური პოემიდან „ფაინომენა“ („ეიური მოვლენები“).

⁶³ რაკილა ბერძნული წინდებულის „პიპერ“ ადეკვატური გადმოლება ქართულად ყოველად შეუძლებელია, ამიტომ მე იძულებული ვიყავი რამდენადმე შემეყვალა პომეროსის სტრიქონის ამრი და, იმავდროულად, მისი ფსევდო-ლონგინესული კომენტარიც, მაგრამ, ამასთან, შევეცადე არ დამერღვია ორიგინალის შინაგანი ამრობრივი სტრუქტურა და რაც შეიძლება ნაკლებად დაემორბოდი მას.

⁶⁴ ღიდი ბერძენი პოეტის არქილოქეს (680 – 640 წ. ძვ.წ.ა.) შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამღვაო კატასტროფების თემას (ფრაგმ. 7, 14, 50, 52 და სხვ. – იხ. ე. ვ. ვერესაევის თარგმანი წიგნში – Эпические поэмы, М. 1963, გვ. 206, 207, 215, 216...). არცაა გასაკვირი: როგორც დაქირავებული ჯარისკაცი, არქილოქე თითქმის მთელი სიცოცხლის განმავლობაში იბრძოდა ხმელეთსა თუ მღვაზე.

⁶⁵ ღემოსთენე, „გვირგვინისათვის“, 169.

⁶⁶ „მაგება“ (აუქსუსის) ფსევდო-ლონგინეს ესმის როგორც ამრის და სიგყვის თანმიმდევრული ამპლიფიკაცია და აღმაავალი გრადაცია, რაც სულიერ სიღრმეთა თუ სიმაღლეთა წვდომას ისახავს

აქვე შეიძლება შემოვიტანოთ საერთო რიტორიკული ადგილების განმეორება, ზოგიერთი ცალკეული ფაქტისა თუ არგუმენტის ხაზგასმით გამოყოფა, უნებათა თუ ქმედებათა მონაცვლეობა და ა.შ. ერთი სიტყვით, შეიძლება ითქვას, რომ მაგებას ათასი სხვადასხვა სახე აქვს. მაგრამ რიტორს უნდა ახსოვდეს, რომ ამალღებულის გარეშე არც ერთი ამ სახეთაგანი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სრულყოფილად და ფასეულად, ზოგიერთი იშვიათი გამონაკლისის გარდა, როცა საჭირო ხდება სიბრალულის გამოწვევა, ან მოწინააღმდეგის დამცირება. მაგების ხმარება ყველა სხვა შემთხვევაში სხეულიდან სულის ძალით ამორთმევას ჰგავს. მაგება უაზროა და უფასური, თუკი ამალღებულს არ ემყარება.

ყველაფერი, რაც ახლა ვთქვი, რამდენადმე განსხვავდება მემოტიქმულისაგან, სადაც აღწერილი იყო ამალღებულის არსებითი ნიშნები, აგრეთვე მათი მთლიანობა და ერთობლიობა. რასაკვირველია, ამალღებული არ ემთხვევა მაგებას და არსებითად განსხვავდება მისგან, მაგრამ სიუხალის გულისთვის შევეცდები მოკლედ მაინც განვმარტო, რა არის მაგება.

XII

ხელოვნებისმცოდნეთა⁶⁷ განმარტება მე არ მაქმაცოფილებს. მათი აზრით, მაგება ეწოდება ისეთ ფიგურას, რომელიც სიღიადეს ანიჭებს შინაარსს.⁶⁸ მაგრამ ეს განმარტება თანაბრად შეგვიძლია მივუსადაგოთ ამალღებულსაც, პათეტიკურსაც და ნებისმიერ ხატოვან გამოთქმასაც: სამივე სიღიადეს ანიჭებს სიტყვას. ჩემი აზრით, მათი განმასხვავებელი ნიშანი ისაა, რომ ამალღებული სიმაღლეს ემყარება, ხოლო მაგება – სიმრავლეს, ამიგომ პირველის გამოსაუქნად მოგჯერ საკმარისია ერთადერთი აზრიც, მაშინ როდესაც მეორე აუცილებლად მოითხოვს აზრთა სიმრავლეს და სიუხვეს.

ამრიგად, ზოგადი განმარტებით, მაგება არის შემადგენელი ნაწილებისა და ცალკეული ადგილების ისეთი ერთობლიობა, რომელიც ამჟამურებს გამოყოფილ არგუმენტთა მემოტიქმედებას. მაგება იმით განსხვავდება მტკიცებისაგან, რომ ეს უკანასკნელი მხოლოდ საქმის არსს გვიხსნის...⁶⁹

...ზღვის სიუხვით იღვრება და, თანდათან მზარდი სიღიადით, ზღვასავით ერცლად განიფინება პლატონის სიტყვა. ეს იმიგომ, რომ ღემოსთენე უფრო პათეტიკურია, უფრო მგზნებარე და ეცხლოვანი. პლატონი კი, თავისი მშვიდი სიღიადით და მჟიადი

მიზნად. აი, როგორ გადმოვეცემს, მაგალითად, შევიყაროელი ელნისიტი ანდრე ბონარი პლატონის სამწერლო ხელოვნებისათვის ნიშანდობლივ „მაგებას“, ანუ მის ლგოლეს კერძოდან ზოგადისკენ. გრძნობადიდან შეგრძნობადისკენ, უშუალო სიუხადიდან და სისადავიდან გრანსცენდენტური სიმაღლისა და სიღიადისკენ: ...ყველაფერი ეს ჯერ კიდეე პლატონის უბრალოებაა... მაგრამ, აი, ფრაზა თანდათანობით გრძელდება, მოძრაობას იწყებს. ქარმა ამაღა სიტყუების ბუქი. სიტყუები ბრუნავენ და ისაკენ მისწრაფიან სულ უფრო და უფრო მზარდი სისწრაფით. ფრაზის ორბიგა ფართოვდება. საით მიეყავართ ჯალოქარ აეგორს? არ ვიცი... ჩვენ ეუახლოვდებით ციურ მზათობს, მშეს. უეერად ვგრძნობთ, რომ გონება და სიყვარული გვიხუტებს გულში. ამ მშაგი აღტიუნების მღგომარეობაში ჩვენი აღქმა ჩვენსავე მიერ წარმოთქმული სიტყუების აზრისგან სულაც არ არის დამოკიდებული. ის ხორციელდება მომწუსხველი ენის სიღაბური ელერის მემვეობით, ენისა, რომელსაც პლატონი ვირტუომულად ფლობს, რომლითაც ის ეონგლიორობს... ჩვენ მონუსხულები ვართ. პლატონმა ჩვენ მოვეაჯალოვა“ (Греческая цивилизация, т. III, 1962, გვ. 155).

⁶⁷ ბერძნ. „ტექნოგრაფი“; რიტორიკული ხელოვნების თეორეტიკოსები იგულისხმებიან.

⁶⁸ ანალოგიურ ღეფინიციას ეხელობით ერთ ანონიმურ ტრაქტატში, ე.წ. Anonymus Sequerianus-ში; იხ. Rhetores Graeci, ed. Spengel – Hammer, I, 457: „მაგება ეწოდება ფიგურას, რომელიც უფრო ღიადად წარმოვეტივნეს შინაარსს“. როგორც ნ. ა. ჩისტიაკოვა შენიშნავს, გერმანელი მეცნიერის მეჩმანის აზრით, ეს ღეფინიცია შეიძლება ეცილილუსისგან მიმდინარეობდეს.

⁶⁹ ხელნაწრის აკლია ორი ფურცელი.

სიღარბაისლით. მართალია, ცივი არ არის, მაგრამ არც დემოსთენესავით ეგზნება ხოლმე.

ჩემი აზრით, ჩემო ძვირფასო ტერენტიანე, სწორედ ეს განასხვავებს დემოსთენეს თქვენი ციყრონისაგან.⁶⁹ თუკი ჩვენ, ბერძნებს, შეგვიძლია ჩვენი აზრი ვიქონიოთ ამ საკითხზე. დემოსთენე მკაცრი სიმაღლეა და სიღიადე, ციყრონი – ფართოდ განფენილი მშაგი საკადი.

ჩვენი ორაგორი, რომელსაც ხელეწიფება თავისი სიმძაფრით, სისწრაფით და ძალმოსილებით ერთბაშად გადააბუგოს, ანდა შემუსროს ყველაფერი, შეიძლება გრიგალს შევადაროთ ან კიდეც ელვას. ციყრონი კი თვალუწვდენ სიერცუმე მზობოქრე ხანძარს გვაგონებს, რომელიც თავისი უმრეტი ალით გარეეგზნება ყველაფერს და თანდათანობით ვრცელდება ირგვლივ, თანდათანობით იზრდება და ძლიერდება.

თუმცადა თქვენ, რომაელებს, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ ყოველივე ეს. დემოსთენეს მაღალი და დაძაბული სტილი ყველაზე უკეთ ეხამება, ყველაზე უკეთ ესადაგება შთამბეჭდავსა და მძაფრი პათეტიკით აღსავსე სიტყვას, რომელიც მიზნად ისახავს სულის სიღრმემდე შეძრას მსმენელი. და პირიქით, ციყრონისეული მშაგი ნაკადი თითქოს ყველაფრის წასალეკად არის გამიზნული. რადგან ის ყველაზე უკეთ უდგება საერთო ადგილებს, მეტწილად – დასკენებს, არაპირდაპირ მტკიცებებს, განსაზღვრებებს, ისტორიულ წიაღსელებს, ბუნების აღწერებს და სხვა მისთანათ.

XIII

ახლა კი კვლავ გემოთქმულს მივუბრუნდეთ. პლატონის სიტყვა რომ ზღვასავით ერცლად განიფინება, მაგრამ, ამასთან, არასოდეს არ კარგავს სიმაღლეს და სიღიადეს, ეს, ალბათ, თავადაც მოგეხსენება; საკმარისია დაუკვირდე „სახელმწიფოს“ ერთ ადგილს: „სიბრძნესა და სიქველესთან წილუყრელნი, – ამბობს ის, – რომელნიც დროსტარებასა და განცხრომაში ატარებენ თავიანთ სიციცხლეს, ბრმად მოარულებივით დაეხეებებიან ამქვეყნად, ქვედადრეკილნი და ქვენა გრძნობებს დამონებულნი. მათ არასოდეს აღუყრიათ თვალნი ჭეშმარიტების მიმართ, არასოდეს ამაღლებულან მის შემეცნებამდე, არასოდეს დამტკბარან წმინდა და შეუმღერეველი სიხარულით. პირუტყვებივით თავდახრილნი და მიწყვი მიწის მიმართ მზირალნი, ისინი ხარბად ეწაფებიან ხორციელ ვნებებს, ძოვენ, ძღებიან და თანაცოფის სიბილწით ტკბებიან. გაუმაძღრობით აღძრულნი გლინკებს აყრიან, რკინის რქებით რქენენ და ფლოქვებით თქერენ ერთიმეორეს“.⁷⁰

თუ გერეულე არ განვსჯით ამ სიტყვებს, ჩვენ ვნახავთ, რომ პლატონი, გემოაღნიმნულის გარდა, ამაღლებულთან თანაზირების კიდეც ერთ გმას გვთავაზობს. მაინც რა გზაა ეს? წარსულის დიდი მწერლებისა თუ პოეტების მიბაძვა და მათ კვალდაკვალ სვლა. ნუ დავივიწყებთ ამას, ჩემო ძვირფასო ტერენტიანე.

ბეერი მწერალი, პითიას მსგავსად, სხვისი გემთავონებით საზრდოობს. ნაპარალის თავზე დადგმულ სამფეხს რომ უახლოვდება, პითია, როგორც ამბობენ, ხარბად იყნოსავს ღეთაებრივ ოხშივარს და ღეთიური ძალმოსილებით აღვისილი მეყვსეულად იწყებს თავის გეთმაგონებულ წინასწარმეტყველებას.⁷¹ ძველი მწერლების ღიად

⁶⁹ პლუტარქეს („დემოსთენე“, 3) და სეიდას (სუდას“ ლექსიკონის მოწმობით, ცეცილიუსს დაუწერია სპეიკალური თხზულება, რომელშიაც ერთმანეთს ადარებდა დემოსთენეს და ციყრონს; ამასთან, დემოსთენეს „მძღაერ“ („ღეინოს“) სტილს ციყრონის „საამო“ („პელუს“) სტილს უპირისპირებდა.

⁷⁰ პლატონი, „სახელმწიფო“, IX, 585a.

⁷¹ უსეელ-ლორწინე გულისხმობს საიღუმლო მისნობის აქტს, რომელსაც ასრულებდა პითია – ღელ-უის სამისნოს ქალწული ქერუმი. პითია იყო მეღიუმი, რომელიც ღმერთის (აპოლონის) ნებას ეუხსალებდა სამისნოში სამკითხაოდ მოსულ მორწმუნეთ. სამისნო ადგილი (მანტეიონ) წარ-შოადგენდა ვიწრო ნაპარალს, საიდანაც შემზარავი მიმინით ამოდიოდა ცხელი ორთქლი. ნაპარალის თავზე იდგა ოქროს სამფეხი (გრიპოლი) ზედ შედგმული წმინდა ფეშხუმით (პოლმოს), რომელზედაც

ქმნილებათა სული ისეთივე ცხოველმყოფელი ძალით აესებს მათ მიმბაძეველებს, როგორც დელფოსის წმინდა ნაპრალებიდან ამონადენი ოხშივარი – გრძნულ პითიას. ამ ღვთაებრივი ძალის წყალობით თვით საშუალო ნიჭის მწერალიც კი ეზიარება ხოლმე ამაღლებულს.

და განა მარგო პეროდოტე ჰბაძავს ჰომეროსს? მასზე აღრე ჰომეროსსევე ჰბაძავდნენ სტესიქორე და არქილოქე, მაგრამ ყველაზე დიდი მიმბაძეველი მაინც პლატონია, რომელიც უკლებლივ იერთებს ჰომეროსის ცხოველმყოფელი წყაროდან მომდინარე ურიცხვ ნაკადულს. შეიძლებოდა მრავალრიცხოვანი მაგალითების მოხმობით ცხადგვეყო ეს, მაგრამ ამონიოსის⁷² მიმდევრებმა ჩემზე აღრე ამომწურავი პასუხი გასცეს ამ საკითხს.

მიზაძვა პარვა არ არის. ის შეიძლება შევადაროთ კაცის ხელითა თუ გონებით შექმნილ მშენიერ ქმნილებათაგან აღებულ ნიღაბს. ჩემი აზრით, პლატონი არ ჩააქსოვდა თავის ფილოსოფიურ ნააზრევში ამდენ პოეტურ გზნებას და, უფიქაე მეცეს, წამლაუწუმ არ გადაიჭრებოდა პოემიის სამყაროში, პირველობას რომ არ ეცილებოდეს ჰომეროსს, როგორც ახალბედა – უკვე სახელმძოხვეჭილ ოსტატს. შესაძლოა, პლატონი მეტისმეტ სიფიქსებს იჩენს ამ შეჯიბრში, თითქოს საქმე ეხებოდეს მხოლოდ შუბებით ასპარეზობას. მაგრამ ვერ ვიგყვიოთ, რომ ჰომეროსთან ქიშპობა უსარგებლო იყოს მისთვის. და მართლა, პესიოდეს თქმისა არ იყოს, „ერიდა სასარგებლოა მოკედავთათვის“.⁷³ ჭეშმარიტად მშენიერი და დიდების ღირსი ამნაირი ასპარეზობაც და ის გვირგვინიც, რომელიც ელის გამარჯვებულს, ხოლო დამარცხება სულაც არ არის სამარცხენო უფრო ძლიერსა და გამოცდილ მეტოქესთან ჭიდილში.

XIV

რა კარგი იქნებოდა ჩვენთვის, მაღალი სტილისა და მაღალი აზრების მეკლევართათვის, წარმოვედგინა, რას იგყოფდნენ ჩვენს ადგილას ჰომეროსი, პლატონი, დემოსტენე, ან ისტორიკოსი თუკიდიდე. თუკი ისინი, ჩვენი მდელლობის შესაბამისად, სათანადო გაელენას მოახდენენ ჩვენზე, მაშინ ეს აღამაღლებს ჩვენს სულს მათი უებრო ქმნილებების წელომამდე. მაგრამ კიდეე უფრო უკეთესი იქნება, თუ წარმოვიდგენთ ჰომეროსს ან დემოსტენეს ჩვენი მსმენელების როლში და შევეცდებით გამოვიცნოთ, როგორ შეაფასებენ ისინი ჩვენს სიტყვებს. ჭეშმარიტად დილია მისი პასუხისმგებლობა, ვინც თავის ქმნილებებით წარსდგება ამ ბუმბერაზთა მსჯავრის წინაშე, რათა ანგარიში ჩააბაროს მსმენელებს, რომლებიც ერთდროულად გამოდიან მსაჯულთა და მოწმეთა როლში.

ადიოდა წინასწარ განზანილი და მხურვალე ლოყვით განწმენდილი პითია თავისი ოქროს დიადემითა და გრძელი მოსასხამით. ცოგა ხნის შემდეგ, ცხელი ორთქლით ცნობამიხილი და უცნაური ექსტაზით შეპყრობილი მისანი გრანსში ჩაეარდნილი ქადაგიით იწყებდა ბოლვას, გულმეშმარავი კივილით ისროდა ბუნდოვან სიტყვებსა (ფეზე) თუ ენიგმური ფრაზების ნაწყვეტებს (მანტეუმბ). რომლებსაც იქვე მდგარი ინტერპრეტატორები (პროფეტები) კერებდნენ, ალაგებდნენ, ლექსის ფორმას (ხრესმოლია) აძლევენ და ღვთაებისათვის მიცემულ კითხვას უსადაგებდნენ სიმბოლური პასუხის სახით. დელფოს ორაკული დაახლ. 390 წ. გააუქმა ბიზანტიის იმპერატორმა თეოდოსი I-მა (379 – 395 წ.). ფსეედო-ლონგინე, პლატონის ევალდაკვალ, შემოქმედის ინსპირაციას (შემთავრებას) მედიუმის გრანსს ადარებს (მდრ. „იონი“, 533d – 535a; „ფედროსი“ 245a; „კანონები“, IV, 719c და სხვ.).

⁷² იმ მეცნიერთა აზრით, რომლებიც ჩვენი გრაქტაგის აეგორად კასიუს ლონგინეს (დაახლ. 220 – 273 წ.) მიიჩნევენ, ეს უნდა ყოფილიყო ამონიოს საკასი (დაახლ. 175 – 242 წ.) – პლატონის, ორიგენესა და თვით კასიუს ლონგინეს მასწავლებელი. მაგრამ რეპერმა (Roepfer) ჯერ კიდეე 1846 წელს დაამტკიცა, რომ აქ იგულისხმება ამონიოს ალექსანდრიელი, II ს. (მე.წ.ა.) გრამატიკოსი, რომელსაც „ილიადას“ სქოლიასტის ცნობით, დაუწერია შრომა პლატონზე ჰომეროსის გავლენის შესახებ. ამავე ამონიოსს იხსენიებს სვიდას ლექსიკონიც.

⁷³ პესიოდე, „სამუშაონი და დლენი“, 24. ვრიდას შესახებ ის. შენ. IX, 5.

თუმცა ყველაზე დიდი სტიმული ჩვენთვის უნდა იყოს მაინც ის, თუ რას იგყვის ჩვენზე შთამომავლობა. მაგრამ თუ ეინზე ახლავე შიმობს, ეათუ ჩემმა ქმნილებებმა ვერ გაუძლონ დროის გამოცდას და მოძველებულნი აღმოჩნდნენო მომავალი თაობებისთვის. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მისი სულიერი ქმედითობის ნაყოფი უძწიფარი და უღლეური იქნება და, მამასადამე, უფასურიც – შთამომავლობისათვის.

XV

სიგყვის სიმაღლეს, სიღიადეს და ძალმოსილებას მნიშენელოვანწილად ვანაპირობებენ, ჩემო ძვირფასო გერენგინე, ის წარმოდგენები, რომლებსაც ზოგი გრძობად ხატებს⁷⁴ უწოდებს. საერთოდ, წარმოდგენებს უწოდებენ ყოველგვარ ამრს, რომელიც მიწყიე თან ახლავს სიგყვას. მაგრამ ამ გერმინს ჩვენ ვიყენებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა გეშთავონება და პათოსი განსაკუთრებულ თვალსაჩინოებას ანიჭებენ სიგყვის შინაარსს. ჩვენ თითქოს თვალნათლივ ვუჩვენებთ მსმენელს, რასაც მოვეუთხრობთ.

შენ, რა თქმა უნდა, კარვად მოგეხსენება, რომ წარმოდგენის მიშანი სხვაა პროზაში და სხვაა პოეზიაში: პოეზიაშ სულის სიღრმემდე უნდა შესძრას მსმენელი, ხოლო პროზაშ თავისი სიყხადით უნდა დაარწმუნოს იგი. მაგრამ მათ საერთო ნიშანიყ ახასიათებთ: ორივე ედილობს დაეუფლოს მსმენელის სულს და მძაფრი გემოქმედება მოახდინოს მასზე.

*გვეედრები, დელო, ნუ მომისეე თვალსისხლიან და გველისთმებიან ქალწულთ; აპა, მოქქრიან, მოფრინავენ, ვარემერგყმიან.*⁷⁵

ან კიდეუ:

*უთუოდ მომკლავს; სად გაეიქეე, სად ვადეიხეეწო?*⁷⁶

პოეგმა აქ თითქოს საკუთარი თვალით იხილა ერინიები და, ამასთან, თითქმის ძალით აიძულა თავისი მსმენელი თვალნათლივ ეხილათ ის, რაც მხოლოდ წარმოდგენაში ესახებოდა მას, როგორც ხილევა, როგორც გმანება.

ვერიპიდეს დრამების თემა უპირატესად ორი ენებაა: სიშმავე და სიყვარული, რომელთა წარმოსახვაშიყ ის, ჩემი ამრით, ჰემშარიგად უბადლოა, თუმცა მისთვის არე სხვა ადამიანური ენებებია უყხო.

ვერიპიდეს არ ახასიათებს დიდებულება და გრანდიოზულობა, მაგრამ ის ხშირად აიძულებს თავის თავს ამაღლდეს გრავიკული ხელოვნებისა და სრულყოფილების მწვეერვალამდე, განსაკუთრებით, სიღიადის წარმოსახვისას. ჰომეროსის სიგყეებით რომ ვთქვათ, ის ემსვავსება ლომს, რომელიყ

*მრისხანედ იგლამუნებს კედს ფერდებსა და თეძობზე, და, ამრიგად, თითქოს საბრძოლველად აქემებს თავის თავს.*⁷⁷

⁷⁴ დედანში – „ფანგასიაი“ (მხ. რიყეი – „ფანგასია“). განშარგებისათვის მიემართოთ კეინგილიანეს (VI, 2, 29): „იშას, რასაყ ბერძენები „ფანგასიას“ უწოდებენ, ჩვენ, საყსებით მართებულად, ხილეებს (visiones) ვეძახით, რომელთა გეშეეობითაყ ჩვენგან დროითა თუ სიერყით დამორებული საგნები იმნიირად წარმოუჩნდებიან სულს, თითქოს მათ თვალთ ვარჩეედეთ და პირისპირ ვჭყრეტდეთ, როგორე ჩვენს გვერდით მყოფთ“.

⁷⁵ ვერიპიდე, „ორესგე“, 241 – 243. დედის მოყელის შემდეგ ორესტეს ეჩვენება, თითქოს მას ესევიან ერინიები, შურისგების მრისხანე ქალღმერთები, და დაღუეით ეშუქრებიან.

⁷⁶ ვერიპიდე, „იფიგენია გავრ“. 291.

⁷⁷ ჰომეროსი, „იღიადა“, XX, 170-171.

პელიოსი, სადავეს რომ გადასცემს ფაეტონს, ასე მიმართავს მას:

ვასწი, გაფრინდი, მაგრამ ვრიდე ლიბიის მცხუნვარე ცას, რადგან უცუარო თავქვე დააქანებს ეგლს, დაგვეცემს, დაგამზობს.

და მერე განავრძობს:

„შეიდი მთიებისკენ აიდე გემი!“ ფაეტონმა ისმინა მამის რჩევა, აკრიფა სადავე, მოლტი გადაუვირა ფრთოსან რაშებს და ცის ხეულ გმებს და ხეობებს ისარივით გადაუქროლა ეგლმა. მამა სამარაქაფო ცხენზე ამხედრდა, უკან მოჰყვება ძეს და ასე არიგებს მას: „მარჯვნივ მიუშვი, ახლა მარცხნივ, და ისევ მარჯვნივ...“⁷⁸

კაცმა შეიძლება იფიქროს, რომ პოეტი აქ თითქოს ფაეტონთან ერთად აღის ეგლზე და, იზიარებს რა სინძელეს გმისას, მასთან ერთად მიაგვლეებს ფრთოსან რაშებს. და მართლაც ის ეერასოდეს ვერ შეძლებდა დაეხატა ყოველივე ეს, წარმოსახვით რომ არ მისდევდეს ამ ციურ არსთა სრბოლას. ასევე ხატოვანი წარმოდგენა მოცემული კასანდრას სიტყვებში:

მაგრამ თქვენ, ცხენთმოყვარე გროულებო...⁷⁹

კიდევ უფრო თამამად გვიცხადებს ესქილეს ფანტაზია ჰეროიკულ ხილვებს. ასე მაგალითად, მის გრაველიამი – „შეიდნი თებებს გალაქანთან“ – ვკითხულობთ:

შეიდმა მძვინვარე ლობხავეტმა დაკლა კურატი; სისხლით აავსეს შავი ფარი, თითები ჩააწეს მიგ და ერთხმად შეჰფიყეს არესს, ენიოსა და სისხლისმოყვარე ფობოსს: ან მიწასთან გაეასწორებთ კადმოსელთ ქალაქს, ან ჩვენს სისხლით მოვრწყავთო ბრძოლის ეგლს.⁸⁰

ყველა ისინი უსინანულოდ იფიციებიან, რომ თავს დასდებენ ბრძოლის ველზე... თუმცა ესქილე ზოგჯერ დაუმუშავებელი სახით გვთავაზობს თავის ამრებს, თუმცა მისი სიტყვა ზოგჯერ მქისება და ხორკლიანი, მაგრამ ვერიპიდე, როგორც ყველა პატივმოყვარე, მაინც ბედავს კვალდაკვალ მიჰყვეს მას.

ასე მაგალითად, ესქილეს გრაველიამი დიონისეს გამოცხადება თითქოს ღვთაების სულით ავსებს ლიკურგეს სასახლეს:

⁷⁸ სიტატები ვერიპიდე დაკარგული დრამიდან „ფაეტონი“, რომელსაც საფუძვლად ელო მითი ფაეტონის შესახებ. ერთხელ ფაეტონმა სთხოვა მამას – მისი ღმერთი პელიოსი, მისთვის მიენლო მშორი ეგლის მართვა. ფიცით შეკრული პელიოსი იძულებული იყო დათანხმებოდა შეილის თხოვნას; მაგრამ ჭაბუკმა თავი ვერ დაუჭირა პელიოსის გაფიცებულ ცხენებს, რომლებმაც მიწისკენ გააქანეს ეგლი. აუტანელი სიცხე ამრობდა მდინარეებს, წვადა ტყეებს, უდაბნო აქცედა ველმინდერებს. დედამიწა რომ გადაერჩინა, გვესმა ელვით განგმირა ფაეტონი.

⁷⁹ სიტატა ვერიპიდე დაკარგული გრაველიდან „ალექსანდრე“. კასანდრა – გროას მეფის პრიამოსის ასული. კასანდრა შეუყვარდა აპოლონს და წინასწარმეტყველების ნიჭი უბოძა მას, მაგრამ ქალმა უარყო ღმერთის სიყვარული და სასტიკად დაისაჯა: კელაინდებურად შერჩა წინასწარმეტყველების ნიჭი, მაგრამ მისი წინასწარმეტყველება არავის სწამდა.

⁸⁰ ესქილე, „შეიდნი თებებს გალაქანთან“, 42-46. ლობხავეტი – „ლობოსი“ (რამზის) მეთაური. ენიო – ომიანობის ქალღმერთი, არესის თანმხლები. ფობოსი (ბერძნ. შიში) – არესისა და აფროდიტეს ქე, შიშისა და საშინელების ღვთაება.

შმაგობს სასახლე, მძვინვარებს ჭერი.⁸¹

ხოლო ევრიპიდე ოდნაე შერბილებული სახით გაღმოგვეცემს ამავე ამრს:

და მათთან ერთად შმაგობს მთელი მთა.⁸²

ასეთსავე სიმალლეს აღწევს სოფოკლეც, როცა გვიხატავს ოიდიპოსის აღსასრულისა და ღმერთების ნებისამებრ, მისი თვითდამარხვის სცენას.⁸³ ანდა გავიხსენოთ, როგორ ევლინება ილიონიდან ხომალდებით შინმძივალ ბერძნებს აქილეუსის მკედრეთით აღმდგარი ლანდი. მე არ ვიცი, ვინ შეძლებდა სიმონიდეზე უფრო ცხადად, უფრო თვალნათლივ წარმოედგინა ჩვენთვის ეს გულისშემძვრელი სცენა.⁸⁴ მაგრამ ყველა მაგალითის ჩამოთვლა შეუძლებელია.

თუმცა პოეტურ ხილებში, როგორც აღვნიშნე, მითიური გაზვიადება აშკარად ჩრდილავს ყოველივე ნამდილს და, მით უმეტეს, ყოველივე სარწმუნოს. რაც შეეხება პროზაულ ნაწარმოებებს, მათში ყველაზე მშვენიერია ასახვის ქმედითობა და სიმართლე. საშინელი და არაბუნებრივია ის წიაღსულები, რომლებშიაც პროზის ენა პოეტურ ფორმას იღებს და თანდათანობით შორდება სინამდილილეს, ხოლო მოგვერ მთლიანადაც კი ინთქმება შეუძლებელში. აქ უკვე, ვფიცავ ზეესს, ჩვენი ვაი-რიტორები გრაგიკოსებივით თვალნათლივ ჭვრეტენ თვით ერინიებს. მაგრამ ამ ჭკუის კოლოფებს ვერ შეუგნიათ, რომ როდესაც ორესტე ამბობს:

განვედ ჩემვან, ერინია, შურისმგებლო სულო! შენ მეხვევი, რათა გარტაროსში გაღამიძახო.⁸⁵

ის უკვე შესილია და ბოდავს იმას, რასაც თავისი დაბინდული გონებით ხედავს.

მაგრამ მაინც რა როლს ასრულებს რიტორიკული სიტყვის გრძობადი ხატები თუ სახეები? მათ დარწმუნების მრავალგვარი და მრავალრიცხოვანი ხერხებით უნდა გაამდიდრონ სიტყვა და შეძლონ სათანადო განცდების გამოწვევა, რადგან ფორმალურ მტკიცებასთან შეერთებული სახე თუ ხატი არა მარტო არწმუნებს მსმენელს, არამედ კიდევაც იპყრობს და იმორჩილებს მას. „ერთ კაცს რომ ანამდად შემოსმოდა ყვირილი სამსჯავროს წინ, – ამბობს დემოსთენე, – ხოლო მეორეს ეცნობებინა შეკრებილთათვის – საპატიმრო გატეხეს და პატიმრები გარბიანო, ალბათ, არავინ. არც მოხუცი და არც ახალგაზრდა, არ გამოიჩენდა ისეთ სულმდაბლობას, რომ, შეძლებისდაგვარად არ დახმარებოდა კანონის მცველთ. ხოლო ეინმე რომ შემოსულიყო და ეთქვა: აი, ამ კაცმა გააქციაო ისინი, დამნაშავეს, ყოველგვარი გამოძიების გარეშე, იქვე ჩაქოლავდა ხალხი“.⁸⁶

⁸¹ ციტატა ესქილეს დაკარგული დრამიდან „ლიკურგეა“, რომლის თემა მიახლოებით ემთხვეოდა ევრიპიდეს დრამის „ბაკელი ქალების“ თემას: თრაკიის მეფე ლიკურგე არ აღიარებს დიონისეს და თავისი ქვეყნიდან განდევნის, რისთვისაც ღმერთი სასტიკად დასჯის მას.

⁸² ევრიპიდე, „ბაკელი ქალები“, 726.

⁸³ იხ. სოფოკლე, „ოიდიპოსი კოლონოსში“, 1586 და მმდ.

⁸⁴ იგულისხმება სიმონიდეც რომელიდაც ჩვენთვის უცნობი ლექსი. მაგრამ რომელი სიმონიდე? სიმონიდე ეკოსელის თუ სიმონიდე ამორგოსელისა? ჩვენთვის ესე უცნობია (მართალია, დღეს უფრო მართებულად მიიჩნევენ წერონ სემონიდე ამორგოსელი, მაგრამ გრადიცია არ ასხეავენს ამ ორი პოეტის სახელს).

⁸⁵ ევრიპიდე, „ორესტე“, 264-265.

⁸⁶ დემოსთენე, „ტიმოკრატეს წინააღმდეგ“, 208.

ვიყიავ მეგეს, ასევე მოიქცა პიპერიდე, რომელსაც ბრალად დასდეს ის, რომ, ქერონეასთან დამარცხების შემდეგ,⁸⁷ წინადადება შეიგანა მონების განთავისუფლების შესახებ. „ეს წინადადება, – თქვა მან, – ორაგორმა კი არ შემოიგანა, არამედ თვით ქერონეის ბრძოლამ“.⁸⁸ როცა ორაგორი ფაქტების გადმოცემისას მხატვრულ სახეებსაც იშველიებს, ამით ის არა მარტო არწმუნებს მსმენელთ, არამედ კიდევ ალელებს მათ.⁸⁹

ამ დროს ჩვენ, მსმენელები, როგორც ჩანს, ჩვენდა უნებურად, მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვანს აღვიქვამთ ხოლმე. ჩვენი ყურადღება მტკიცებიდან მეყვსეულად მიიქცევა ჩვენი გულისშემძვრელი სახისა თუ ხატის მიმართ, რომელიც თავის ბრწყინვალეობით აშკარად ჩრდილავს ყოველგვარ საბუთს. და ეს სახეებით ბუნებრივია, ვინაიდან ორი ფერომენის ანამდეული შერწყმა-შეერთებისას სუსტი ყოველთვის შთაინთქმება ძლიერის მიერ.

ამრიგად, მე უკვე საკმარისად ვილაპარაკე ამროვნებისეულ სიმაღლეზე, ამაღლებულსადაში მიბაძვასა და გრძნობად ხატებსა თუ წარმოდგენებზე.

XVI

ახლა კი დროა გადავიდეთ რიგორიკულ ფიგურებზედაც,⁹⁰ რომლებიც ამაღლებულის ფრიად მნიშვნელოვან ნაწილებად გვევლინებიან, თუკი, როგორც უკვე აღვნიშნე, მართებულად არიან ნახმარნი. მაგრამ აქ არა მარტო ძნელია, არამედ თითქმის შეუძლებელიც, გამოწველივით განვიხილოთ თვითეული მათგანი. ამიტომ, ჩემი მოსაზრების ნათელსაყოფად, შეეჩერდები მხოლოდ მოვიერთ იმ ფიგურაზე, რომელიც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს სიტყვის ამაღლებულ სტილს.

დავიწყოთ დემოსთენეთი. ორაგორმა უნდა დაიწყას და გაამართლოს თავისი მოღვაწეობა სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე.⁹¹ რიგორი უნდა იყოს მისი სიტყვა?

⁸⁷ პიპერიდე (დაახლ. 395 – 322 წ. ძვ.წ.) – სახელგანთქმული ბერძენი რიგორი, დემოსთენეს თანამედროვე და თანამებრძოლი. ქვემოთ (თ. XXXIV) ფსევდო-ლონგინე დაწერილებით აანალიზებს პიპერიდეს სტილის მოვიერთ სპეციფიკურ ასპექტს.

⁸⁸ 338 წ. ძვ.წ. ბუგოლის პატარა ქალაქ ქერონეასთან გამართულ ბრძოლაში ფილიპე მაკედონელმა დაამარცხა ათენელთა არმია და ელადაში მაკედონიის პეგემონია დაამკვიდრა.

⁸⁹ პიპერიდეს სიტყვას, საიდანაც ფსევდო-ლონგინეს მოაქვს ეს ციტატა, ჩვენამდე არ მოუღწევია.

⁹⁰ ტერმინი „ფიგურა“ (ბერძნ. „სქემა“) პირველად ისტორიკოსმა და რიგორმა ანაქსიმენე ლამპსაკელმა (IV ს. ძვ.წ.) იხმარა. სიტყვიერ ფიგურებს სპეციალურად არჩეულ არისტოტელს, ხოლო მისმა ბერძენმა და რომაელმა შემკვიდრებებმა ერთმანეთისაგან განასხვავეს სიტყვიერი და აპრობრივი ფიგურები (*figurae verborum et sententiarum*). იმ რიგორთაგან, რომლებმაც საგანგებო გამოკვლევები მიუძღვნეს რიგორიკული ფიგურების თეორიულ საფუძვლებს (...*proprie libros huic operi dedicaverunt*), კეინტილიანე ასახელებს ცეცილიუსს (იხ. შენ. I, 2), დიონისე პალიკარნასელს, რუტილიუს ლუპუსს (I ს. ძვ.წ.), რომელსაც ეკუთვნის 2 წიგნისაგან შემდგარი თხზულება „*Schemata lexos*“. კეინტუს კორნიფიუსს (გარდ. 43 წ. ძვ.წ.), ციკერონის მეგობარს, რომელსაც კეინტილიანე მიაწერს დღეს ანონიმურად მიჩნეულ თხზულებას – „*Rhetorica ad Herennium*“ ვიშელიუსს და სხვ. და სხვ. (კეინტ. IX, 3, 89).

⁹¹ დიდ ბერძენ ორაგორს და სახელმწიფო მოღვაწეს დემოსთენეს (384 – 322 წ. ძვ.წ.) უადრესად რთულ პოლიტიკურ ეითარებაში მოხუდა სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლა. მაკედონიის აღმეება, მისი ბრძოლა პეგემონიისათვის, ფილიპე მაკედონელის (359 – 336 წ. ძვ.წ.) ექსპანსია თავის მომხრეებს პოულბო თვით მინავანი წინააღმდეგობებით გათიშულსა და დასუსტებულ ათენში, სადაც პრომაკედონული პოლიტიკის მომხრენი აარსებენ მაკედონურ პარტიას, რომლის სათავეში დგანან ორაგორები – ესქინე (დაახლ. 389 – 314 წ. ძვ.წ.), ისოკრატე (იხ. შენ. IV, 2) და გაულენიანი ფინანსისტი ევბულე (გარდ. 330 წ. ძვ.წ.). მათ აქტიურად უპირისპირდებიან ანტი-მაკედონური მოძრაობის ლიდერები – დემოსთენე, პიპერიდე (იხ. შენ. XV, 14), ლიკურვე (დაახლ. 396 – 325 წ. ძვ.წ.). დემოსთენეს ინიციატივით, ელაღის თავისუფლების დასაცავად შეიქმნა შუა საბერძნეთის პოლისთა კოალიცია ათენისა და თებეს პეგემონობით, მაგრამ ქერონეის ბრძოლის წაგების შემდეგ (იხ. შენ. XV, 15) ეს კოალიცია დაიშალა. აქედან მოყოლებული, დემოსთენეს მთელი ცხოვრება ესაა, ერთი მხრივ, დაუსრულებელი განჯუჯავება, ხოლო, მეორე მხრივ, თავიანწორული, მაგრამ ამაო ბრძოლა ათენის დამოუკიდებლობის გადასარჩენად (დაწერილებით იხ.

„თქვენ არ შემცდარხართ, აიენელნო, როცა ელადის თავისუფლებისათვის ბრძოლაში ჩაებით; თქვენი სამშობლოს ისტორია ხომ სავსეა ამგვარი ბრძოლის მაგალითებით. ასევე არ შემცდარან მარათონთან, სალამინსა თუ პლატეასთან მებრძოლნი“.⁹²

მაგრამ აქ ორაგორი, თითქოს ანაზღადა აღივსოო გემთაგონების ღვთიური მადლით, თვითონ აპოლონს ემსგავსება⁹³ და გულმხურვალედ იფიცავს ელადის ღირსეულ შვილთა ხსოვნას: „არა, არ შემცდარხართ თქვენ, ვფიცავ მარათონის ველზე დაცემულთი“.⁹⁴

ორაგორი აქ იყენებს ფიცისთვის ეგზომ ნიშნულ ფიგურას, რომელსაც მე აპოსტროფს⁹⁵ ვუწოდებ და, მისი შემწეობით, ღმერთებად სახავს ჩვენს ღიდ წინაპრებს. ამით ის შეაგონებს ყველას, რომ ბრძოლის ველზე დაცემულ გმირებს ისევე უნდა იფიცავდეს ხალხი, როგორც ნეტარ ღმერთებს, ხოლო მსაჯულებს სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა აზრებს ახვევს თავს და, ამრიგად, დასაბუთების ჩვეულებრივ წესს ბეაწეული განწყობილებით, პათოსითა და ფიცის ახალი, უჩვეულო და ჭეშმარიტად გულისშემძვრელი ფორმულით რომ ცელის, თითქოს სასწაულთმოქმედ ბალზამსა სცხებს მსმენელის სულს. თავისი ხოგბით მან გაამხნევა და დაარწმუნა ყველა, რომ ფილიპესთან ბრძოლის წაგება⁹⁶ არანაკლებ სასახელოა, ვიდრე მარათონსა და სალამინთან მოპოვებული გამარჯვებები. ერთ ფიგურაში რომ შეაერთა დარწმუნებისა და შეგონების ამდენი ხერხი, მან მეძლო თავის მხარეზე გადაებირებინა ყველა მსმენელი.

ზოგი ამგვიცებს, აზნაირი ფიცი პირველად ევპოლიდემ გამოიყენაო:

ვფიცავ ჩემს მარათონს, ვფიცავ იქ გადახდილ ბრძოლას, მათგან არც ერთი აგრე ეგვალხად არ მოწყლავს ჩემს გულს.⁹⁷

მაგრამ საქმე ისაა, რომ შთამბეჭდავია არა ყოველგვარი ფიცი; უნდა ვიცოდეთ, სად, როგორ, რა ვითარებაში ან რისთვის ვფიცულობთ. ევპოლიდეს მარტივი ფიცი მიმართულია სეპებდნიერი ათენელებისადმი, რომლებსაც არც გამხნევება სჭირდებათ და არც ნუგეში. ამასთან, პოეტი უკვდავ გმირებს როდი იფიცავს, რათა მათმა ხსენებამ საგმირო საქმეთათვის ალაგზნოს მსმენელნი; არა, ბრძოლაში დაცემულთა ნაცვლად ის იფიცავს უსულო ცნებას – ბრძოლას. დემოსთენეს ფიცი კი უშუალოდ დამარცხებული

პლუტარქე, „დემოსთენე“, 20 და მმდ.). 322 წ. 12 ოქტომბერს დემოსთენემ თვითიკელელობით დაასრულა სიოცხლე.

⁹² დემოსთენე, „გვირგვინისათვის“, 208. ორაგორი ჩამოთვლის ბერძენთა მიერ მოპოვებულ ბრწყინვალე გამარჯვებებს ბერძენ-სპარსელთა ომში: მარათონის ველზე 490 წ. ძვ.წ.ა. ათენელთა არმიამ, მილგიადეს მთაუარსარღობით, სასტიკად დაამარცხა სპარსეთის უზარმაზარი არმია და დამონებისაგან იხსნა ელადა. სალამინის სრუტეში 480 წ. (ძვ.წ.ა.) 20 სექტემბერს ბერძენების პაგარა ფლოგმა გაანადგურა სპარსელთა უბლიერესი ფლოგი. პლატეასთან 479 წ. (ძვ.წ.ა.) სექტემბრის დამლევს ელინური პოლისების გაერთიანებულმა არმიამ მუსრი გააელო სპარსელთა ლაშქარს მარდონიოსის მეთაურობით. თვით მარდონიოსი ბრძოლის ველზე დაეცა.

⁹³ მდრ. პლუტარქე, „დემოსთენე“, 9: „ერაგოსთენე ამგვიცებს, რომ სიცივის წარმოთქმისას დემოსთენეს ხშირად თითქოს ბაქური ექსტაში ეუფლებოდა, ხოლო დემეტრიოსი ამბობს, რომ ერთხელ, თითქოს ზეგარდმო შთაგონებით შეძრულმა, მან ხალხის წინაშე ლექსად წარმოთქვაო ფიცი: „უფიცავ შიწას, წყაროს, ჩანჩქერს, ნაკადულს ვფიცავ!“

⁹⁴ პეროლოგეს ცნობით, „მარათონის ბრძოლაში ბარბაროსთაგან 6400 კაცი დაეცა, ხოლო ელინთაგან – 192“ (VI, 117).

⁹⁵ აპოსტროფი – რიტორიკული ფიგურა, რომლითაც ორაგორი უშუალოდ და მოულოდნელად მიმართავს დამსწრეთ თუ არადამსწრეთ, მოწინააღმდეგეთ თუ მოკაემირეთ, სულიერ თუ უსულო არსთ და ა.შ. კეინგილიანეს მგვიცებით (IX, 2, 38). აპოსტროფი „განსაკეიფრებულ შემოქმედებას ახდენს“ (mire movei), როცა თავს ვესხმით მოპირდაპირეს, როცა თხოვნით ან მოწოდებით მიემართათ ვისმე.

⁹⁶ იგულისხმება დამარცხება ქერონეასთან (იხ. მენ. XV, 15).

⁹⁷ ციტატა კომედიოგრაფ ევპოლიდეს (V ს. ძვ.წ.ა.) კომედიიდან „დემები“ („დემოი“), რომელმაც ფრავმენტების სახით მოაღწია ჩვენამდე.

თანამოქალაქეებისადმი მიმართული, რათა ათენელებმა სასოწარმკვეთ უბედურებად არ მიიჩნიონ ქერონეის ბრძოლის წაგება. ეგეც არ იყოს, მისი ფიცი, როგორც აღვნიშნე, ხაზგასმით ამტკიცებს ათენელთა⁸⁸ საქმის სიმართლეს; ის მათთვის, ერთდროულად, მაგალითიცაა, მრწამსიც, ქებაც და, ბოლოს, მოწოდებაც.

მაგრამ ამნაირ ორაგორს შეიძლება ასე შესიგყებოდნენ: „რას ამბობ, კაცო? შენ, სახელმწიფოს მეთაურმა, დამარცხებამდე მიიყვანე შენი ხალხი და ახლა გამარჯვებებს იფიცავ?“ ამიგომბა, რომ დემოსთენე შემდეგ უკვე ბედმიწევნით მუსტად იცავს ზომიერებას, დიდი სიფრთხილით არჩევს სიტყვებს და ამით თითქოს შეაგონებს ყველას, რომ თვით ბაკქური ექსტაზით თრობის დროსაც კი საჭიროა შეეინარჩუნოთ გონების სიფხიზლე. ის ლაპარაკობს მეომრებზე, რომლებიც იბრძოდნენ მარათონთან, მღვაზე ერკინებოდნენ მგერს სალაშინსა თუ არგემისიონთან⁸⁹ და რისხვად ატყდებოდნენ მომსდურს პლატეასთან, მაგრამ არსად არ უწოდებს მათ „გამარჯვებულთ“. მეტიც, ის საერთოდ არ ახსენებს ბრძოლის შედეგს, ვინაიდან ყველა ეს ბრძოლა ბერძნების გამარჯვებით დამთავრდა, ქერონეის ბრძოლა კი – მათი დამარცხებით. ამიგომ, თითქოს სურს მსმენელთა მხრივ შესაძლო შესიგყება წინასწარეე აიცილოსო თავიდან, დემოსთენე სრულიად მოულოდნელად, ასეთ ფრამას რთავს თავის სიტყვაში: „ყველა ისინი მშობლიურმა ქალაქმა მიაბარა, ესქინე.“⁹⁰ მიწას, ყველას თანაბარი პატივი მიაგო, და არა მხოლოდ იმათ, ვისაც ბედმა გაუღიმა და გამარჯვებული დაბრუნდა შინ“.

XVII

მე უმართებულოდ მოვიქცეოდი, ჩემო ძვირფასო, თუ ღუმილით ავეუღიდი გვერდს ერთ ჩემს დებულებას, რომლის არსი შეიძლება ორიოდე სიტყვით გადმოვეყთ: რიტორიკული ფიგურები, თავიანთი ბუნებით, სავრძნობლად უწყობენ ხელს მსმენელის სულზე ამაღლებულის გემოქმედებას და, პირუკუ, ამაღლებული, თავის მხრივ, ბევრ რამეში შეეწევა მათ. მაგრამ სად ან როგორ ხდება ეს? ახლავე მოვახსენებ.

რიტორიკული ფიგურები, როგორც ვიცი, ყოველთვის იმარხავენ ამა თუ იმ ფარულ ამრს, ამიგომ მათი ხმარება ათასგვარი ეჭვისა თუ უნდობლობის წყაროდ იქცევა ხოლმე; ეჭვობენ, ხომ არ იმალება მათ მიღმა სიერუე, მიზლი, ბოროტი მრახეა ან ცბიერება. ყოველივე ეს მეტისმეტად სამიშია მაშინ, როცა ორაგორს უმენაეი მსაჯულის, განსაკუთრებით კი, თვითმპყრობელის, მეფისა თუ მხედართმთავრის წინაშე უწევს სიტყვის წარმოთქმა. ისინი მეყესეულად ენთებთან რისხეით, რადგან თელიან, რომ გაქნილი რიტორი, პაგარა ბალებების მსგავსად, აბრუებს და აბიებურებს მათ. ზოგი მაინც სულ მთლად მხეცდება და ცოფს ანთხევეს ხოლმე, ვინაიდან თავის მტდარ დასკენას მის მიმართ გამოვლენილი მიზლის გამოხატულებად თელის. ზოგი კი თუშეა იოკებს რისხეას, მაგრამ უკვე არავითარ სარწმუნო საბუთს აღარ ენდობა. ამიგომაც ყველაზე უკეთესია ის ფიგურა, რომელიც ყველაზე უკეთ მალაეს თავის ფიგურულ ამრს.

და აი, სწორედ აქ გვევლინებიან მწედ და მეოხად ამაღლებული და პათეტიკური, რომლებიც მყისეე აქარწყლებენ ყოველგვარ ეჭვს, რასაც რიტორიკული ფიგურების ხმარება იწვევს. ნებისმიერი მანქანება თუ მახე შეიძლება მეუმჩნეეელი ვახადო. თუკი რიტორიკული ფიგურა უშუალოდ ერწყმის მშენიერსა და ამაღლებულს. გემოთ მოგანილი ფრამა – „ეფიცეე მარათონის ეელზე დაეეეულთ“, – საკმაოდ დამაჯერებლად გვიმოწმებს ამას. მაგრამ მაინც რითი ახერხებს აქ ორაგორი თავისი რიტორიკული ფიგურის შენიღბვას? ცხადია, მისიეე საკუთარი ბრწყინეალეებით.

⁸⁸ არგემისიონის კონსტან გამართა პირეული სამღვაო ბრძოლა ელინთა და სპარსელთა ზლოგებს შორის (480 წ. ძე.წ.ა.).

⁸⁹ ესქინე (დაახლ. 389 – 314 წ. ძე.წ.ა.) – ბერძენი ორაგორი, მაკედონური პარტიის ლიდერი, დემოსთენეს მოწინააღმდეგე (იხ. შენ. XVI, 2).

მსგავსად იმისა, როგორც მზის ამოსვლა აფერმკრთალებს და აუჩინარებს სხვა ციურ მნათობებს. ისე ყოველგვარ რიტორიკულ მანქანებასაც ჩრდილავს და უჩინარს ხდის ყოველმხრივ მოზღვაებული ბრწყინვალება სიღიადისა.

დაახლოებით ასეთივე მოვლენა შეიმჩნევა ფერწერაშიც. მიუხედავად იმისა, რომ აქ შუქი და ჩრდილი ფერებით არიან აღბეჭდილი ერთსა და იმავე გედაპირზე, შუქი მაინც პირველად აღიქმება ჩვენ მიერ და, ამასთან, აღიქმება არა მარტო როგორც უფრო ნათელი, არამედ როგორც ჩვენთვის უფრო ახლობელიც. ზუსტად ასევე, პათეტიკური და ამბულბული მწერლობაში, არ ეიცი, იმიტომ, რომ თავიანთი ბუნებით გვენათესავეებიან ჩვენ თუ იმიტომ, რომ თვალისმომჭრელი ბრწყინვალება ახლავთ, უფრო ღრმად იჭრებიან სულში და ჩვენც უფრო უმაღლ აღვიქვამთ ორსავე მათგანს, ვიდრე შეენიშნავდეთ იმ რიტორიკულ ფიგურებს, რომლებსაც ისინი ისე ჩრდილავენ, თითქოს ერთგვარი რილით ჰხურავენო მათ.

XVIII

რა შეიძლება ითქვას ისეთი რიტორიკული ფიგურების მიმართ, როგორცაა კითხვა-პასუხი? განა სათქმელს სწორედ მისი წყალობით არ ენიჭება უფრო მეტი სიმსუბუქე და სიმძაფრე? „ან, იქნებ, ვნებათ, მითხრათ გეთაყვა, – ამბობს ღემოსთენე,¹⁰⁰ – აქეთ-იქით აწყვდობდეთ და ერთმანეთს ეკითხებოდეთ: რა ისმის ახალიო, მაგრამ რა შეიძლება იყოს იმაზე უფრო ახალი, რომ მაკედონელი ამარცხებს ბერძნებს და თვითონ განაგებს მათ საქმეებს?

– ფილიპე ხომ არ მომკვლარა, თუ იცი?

– არა, ავადაა.

კი მაგრამ, განა თქვენთვის სულ ერთი არ არის? მან რომ, ვთქვათ და, მართლაც გაჭიმოს ფეხი, თქვენ ახალ ფილიპეს დაისევამთ თავზე“.

სხვაგან ის ამბობს:¹⁰¹

„ხომ არ გაცურით ხომალდებით მაკედონისაკენ?

– კი მაგრამ, რომელ ნაპირს მივადგებით? – იკითხავს ვინმე.

– თვით ომი გვიჩვენებს, ათენელნო, სუსტ ადგილს ფილიპეს სამფლობელოში“.

ეს ფრაზა რომ უბრალოდ ყოფილიყო ნათქვამი, მაშინ ის ვერავითარ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენდა. მაგრამ აქ ორაგორის გზნებამ, კითხვა-პასუხის სწრაფმა მონაცვლეობამ და თავისი თავისადმი, როგორც თანამოსაუბრისადმი მიმართვამ, გემოაღნიშნული რიტორიკული ფიგურების წყალობით, არა მარტო უფრო მეტი სიმაღლე მიანიჭა სიტყვას, არამედ უფრო დამარწმუნებელიც გახდა იგი.

პათეტიკური კიდევ უფრო მძაფრ გემოქმედებას ახდენს მაშინ, როცა გგონია, თითქოს ის ორაგორის სულიდან კი არ იღებს დასაბამს, არამედ თვით გარემოებათაგან, და როცა ავგორის კითხვები თავისივე თავისადმი და პასუხები მათზე ვნებიანი სიტყვით გვიცხადებენ საქმის ჭეშმარიტ არსს. ცნობილია, რომ კაცნი ყველაზე სწრაფად და პირდაპირ პასუხობენ ხოლმე იმ კითხვებს, რომლებიც პასუხის მოუქრების საშუალებას არ იძლევიან; ამიტომ ორაგორი, რომელიც თავის სიტყვას სწრაფად მონაცვლე კითხვებითა და პასუხებით თხზავს, ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს მსმენელზე, თითქოს ყოველივე ეს სახელდახელოდ – მოუქრებლად და მოუმზადებლად ჰქონდეს მეთხზული, რითაც კიდევ უფრო მეტად ზრდის თავისი სიტყვის გემოქმედების ძალას. და თუ ჩვენ ვაღიარებთ პეროლოგეს სიტყვების უჩვეულო სიმაღლეს...“

¹⁰⁰ ღემოსთენე, „ფილიპიკები“, I, 10.

¹⁰¹ ღემოსთენე, „ფილიპიკები“, I, 44.

* ხელნაწერს აკლია ორი ფერცელი.

XIX

...ისე მოჰქუხს და მოღელავს სიგყვა, გეგონება წინ უსწრებსო თვითონ ორაგორს.
„ფარებით ეჯახებოდნენ და დაუნდობლად ჰკმერდნენ ერთმანეთს, – ამბობს ქსენოფონტე, – ჰკლავდნენ, კედებოდნენ“.¹⁰²

ახლა ევრილოქეს სიგყევს აღარ იკითხავ:

*შენი ბრძანებით განველეთ მუხნარი, ბრძენო ოდისევს, ვიხილეთ ველზე გურფად ნამენი სრა-სასახლენი.*¹⁰³

ეს სიგყეები, ერთმანეთს მოწყვეტილნი, მავრამ, ამასთან, თანაბარი, სწრაფი რიგით შეკრულნი, თითქოს ერთმანეთს ერკინებოდნენ, აკავებენ და, იმავდროულად, კიდედაც აქეზებენ ერთიმეორეს, ხოლო ყოველივე ამას სიგყვათა უკავშირო შეერთებით აღწევს პოეტი.

XX

ყველაზე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს რიგორიკული ფიგურების ისეთი შერწყმა, როცა ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ორი თუ სამი ფიგურა თითქოს ერთმანეთს ეჯიბრება, ენახოთ, რომელი ჩვენგანი უფრო მეტ ძალმოსილებას, დამაჯერებლობას და მშვენიერებას მიანიჭებსო სიგყვას. ნიშნულად გამოდგება ერთი ნაწყვეტი მიდიას წინააღმდეგ მიმართული სიგყვიდან, სადაც განმეორებანი და აღწერილობანი უშუალოდ ერწყმიან უკავშირო სიგყვათნაერთებს: „ბევრ რამეს, რასაც შეურაცხყოფილი ვერს კი გაუმელავენებს ვისმე, შეურაცხყოფილი ერთ წამში დაათმენინებს მას თავისი ქცევით, მშერით, ყვირილით“.¹⁰⁴

შემდეგ კი, თითქოს მიშობს, ვაითუ გემოაღნიშნულმა ფიგურებმა შეაჩერონო სიგყვის ბობოქარი ღინება (ვინაიდან შეჩერება ყოველთვის გულისხმობს სიმშვიდეს და აუმღერეველობას, ხოლო მღელვარება ნიშნეულია ვნებისათვის, რომელიც სხვა არა არის რა, თუ არა სულის მარადიული მოძრაობა და სურვიელი ლტოლვა) – დემოსთენე მოულოდნელად გადადის ხელახალ განმეორებებსა თუ უკავშირო სიგყვათნაერთებზე: „ყვირილით, მშერით, ქცევით; ხან როგორც მოძალადე, ხან როგორც მძინეარე მტერი, სილას ულაწუნებს სახეში, ან, როგორც მონას, მუშგით უხეთქავს ყვრიმალს“.

ამით ორაგორი თვითონვე ემსგავსება მას, ვისაც მოძალადეს უწოდებს და დაუნდობელი დარტყმებით ჰმუსრავს მსაჯულთა ყველა საბუთს.

და კელავ გრიგალისებური შეგვეა: „აი, რა ამწარებს, აი, რა აკარგეინებს წონას-წორობას ამაყსა და შეურაცხყოფას შეუჩვეველ კაცს. ვის ძალუძს სიგყვით გვაგრძნობინოს ამ თავხედობის მთელი სიბილწე?“

ოსტაგური გადასვლებით დემოსთენემ მეძლო უცელელად შეენარჩუნებინა განმეორებებისა და უკავშირო სიგყვათნაერთების ჰემმარიტი არსი, წესრიგი მის სიგყვაში ერთგვარი უწესრიგობის სახეს იღებს, ხოლო უწესრიგობა, თავის მხრივ, შინაგან მოწესრიგებული ფენომენის სახით გვევლინება.

XXI

მავრამ, აბა, სცადე და, ისოკრატეს მიმღვერების მიბაძვით, კავშირები ჩართე ამ სიგყვაში: „არც ის უნდა დაგვაიწყდეს, რამდენ ბოროტებას სჩადის მოძალადე, ჯერ ერთი, თავისი ქცევით, შემდეგ მშერით და, ბოლოს, ყვირილით“. ხელად იგრძნობ,

¹⁰² ქსენოფონტე, „ჰელენიკა“ (Historia Graeca), IV, 3, 19.

¹⁰³ ჰომეროსი „ოდისეა“, X, 251.

¹⁰⁴ დემოსთენე, „მიდიას წინააღმდეგ“, 72.

როგორ ავლევებენ ეს ჩანართები სიგყვის მიუღ ხორკლიანობას თუ სიმქისეს, როგორ არბილებენ მის სიმძაფრეს და აქრობენ მის ელვარებას.

წარმოიდგინეთ, როგორ ბარბაცებს მორბენალი, რომელიც დაიჭირეს, შეკრეს, შეკოჭეს და მოძრაობის უნარი წაართვეს. ასევე ბორძიკობს კავშირებითა თუ სხვა სიგყვიერი არტახებით შებოჭილი პათეტიკური სიგყვა. მორბენალისა არ იყოს, აღარც მას შესწევს წინ სწრაფვისა თუ მშვილდით ნაცყორცნი ისარივით ფრენის უნარი.

XXII

რიტორიკული ფიგურების ამავე რიგს მიეკუთვნება, ეგრეთ წოდებული, გადასმაც, რომელიც სხვა არა არის რა, თუ არა სიგყვათა და ამრთა ჩვეულებრივი წყობის დარღვევა და რომელიც მეამბოხური პათოსის უტყუარ ნიშნად გვევლინება ყოველთვის, როცა კაცნი მართლა მრისხანებენ, შიშობენ, დრგვინენ ან კიდეე ეჭვსა თუ რომელსამე სხვა ენებას კმონებენ (რადგან ენებას იმდენი სხვადასხვა სახე აქვს, რომ არაეის ძალუძს მათი ჩამოთელა), ხშირად, ერთ რომელიმე საგანზე საუბრისას, თავისდა უნებურად, ხტებიან ხოლმე მეორემე, სრულიად უამრო და უშინაარსო სიგყვას რთავენ მუაში, დაბოლოს, კელაე ანგარიშმიუცემლად უბრუნდებიან დასაწყისს. სულიერი მღელვარების ეამს ისინი ისე წრიალებენ, აქეთ-იქით აწყდებიან და ირყევიან, როგორც წამითიწამად ცვალებადი ქარით რხეულნი, და თან გამუღმებით ცელიან გამოთქმებს, ისევე როგორც ამრებისა თუ სიგყვების ბუნებრივ წყობას. სულიერი მღელვარების სწორედ ამ ბუნებრივ მღგომარეობას ბაძაძენ ხოლმე სიგყვის ღიღოსგატნი გადასმების სამუალებით.

ხელოვნება მხოლოდ მაშინაა სრულყოფილი, როცა ის თვით ბუნებას ჰკავს, ბუნებას გვაგონებს, ხოლო ბუნება უნაკლოა მაშინ, როცა ფარული სახით იმარხავს ხელოვნებას.

ჰეროდოტეს თხზულებაში დიონისიოს ფოკელი ამბობს: „ბეწვმე ჰკიღია ჩენი ბეღი, იონიელნო! ორში ერთი უნდა ვირჩიოთ: თავისუფლება ანდა მონობა, სამარცხეინო და საძრახი მონობა. და თუ გსურთ თავი დაადწოთ ამ სირცხვილს, დროა ახლავე აღსდგეთ საომრად, დროა ახლავე ჩაებათ სამკედრო-სასიციოსლო ბრძოლაში, და თქვენ სძლევთ მგერს!“¹⁰⁵

სიგყეების ბუნებრივი წყობა ასეთი უნდა ყოფილიყო: „იონიელნო! ახლა კი დროა აღსდგეთ საომრად. ბეწვმე ჰკიღია ჩენი ბეღი“. ორატორმა კი გადასვა, პირველი ფრამის ბოლოს გადაიგანა მიმართვა „იონიელნო“, და პირდაპირ თავსდატეხილი განსაცდლის ხსენებით დაიწყო თავისი სიგყვა, თითქოს შიშმა შეუშალაო ხელი უშუალოდ მიმართა მსმენელებისთვის. შემდეგ მან შეცვალა ამრთა ბუნებრივი წყობაე: ნაცულად იმისა, რომ ბრძოლისაკენ მოუწოდოს თავის მსმენელებს (ხოლო ესაა მისი სიგყვის ერთადერთი მიზანი), ორატორი თავდაპირველად მიუთითებს მათ, თუ რატომ მართებთ ბრძოლა – „ბეწვმე ჰკიღია ჩენი ბეღი“, – რითაც ისეთ მთაბეჭდილებას ახდენს მსმენელზე, თითქოს სიგყვა წინასწარ კი არ ჰქონდეს მომზადებული, არამედ – სახელდახელოდ, თვით გარემოებათა კარნახით მეთხზული.

ამ მხრივ, კიდეე უფრო მეტ სითამამეს იჩენს თუკიდიდე, რომელიც გადასმების სამუალებით თვით იმასაც კი არღვევს და ანაწეერებს, რაც თავისი ბუნებით დაურღვეველი ჩანს და განუყოფელი. დემოსთენე სითამამით ვერ შეედრება თუკიდიდეს, მაგრამ გადასმების ოსტატური გამოყენებით ამკარად ჩრდილავს ყველას. პაექრობის მისი ჰეშმარეგად უბადლო უნარი, ვფიყავ გვესს, უპირველესად გადასმების მახელიგონიერულ ხმარებასა და იმპროვიმაციის უმადო ხელოვნებაში ელინდება. მხოლოდ მას ძალუძს გადასმების დაუსრულებელ ლაბირინთში შეიგყუოს მსმენელი.

¹⁰⁵ ჰეროდოტე, VI, II.

დემოსთენე ხშირად შუა გზაზე ატოვებს დაწყებულ ამრს, რომელიც ამის გამო თითქოს პაერში გამოკიდებული რჩება, შემდეგ კი სადღაც გარედან აღებული და სრულიად უჩვეულო წყობის მქონე ამრებით აესებს თავის სიგყვას, რითაც გამუდმებით აღელვებს და დაძაბულ მდგომარეობაში ამყოფებს მსმენელს, რომელსაც კვონია, რომ სიგყვა სადაცაა გაწყდება, ნაწილებად განწვალდება და განქარდება; ის ძრწის ორაგორის მაგიერად და მასთან ერთად განიციდის ამ უჩვეულო ძალისხმევის სიმძაფრეს, სანამ, ბოლოს და ბოლოს, არ მოისმენს დიდი ხნის ნანატრ დასკენას. ამ თამამი და, იმაედროულად, სახიფათო გადასმებით დემოსთენე სულის სიღრმემდე აღელვებს მსმენელს. მაგრამ მსგავსი მაგალითები იმდენია, რომ მათი სათითაოდ ჩამოთვლით მხოლოდ თავს მოგაწყენ და მოგაბეზრებ.

XXIII

როგორც მოგეხსენება, ბრუნვამრავლობა, თავმოყრა, მონაცელობა და მაგება უხეად ამკობენ სიგყვას და მნიშვნელოვანწილად განაპირობებენ ამ აღებული და პათეტიკურ სტილს. მაგრამ როგორ? საქმე ისაა, რომ ბრუნვითა, ღროთა, პირთა, რიყხეთა და, ბოლოს, სქესთა მონაცელობა დიდად ამრავალფეროვნებს და ცხოველმყოფელობას ანიჭებს სიგყვას.

დავიწყით იმ შემთხვევით, როცა მხოლოდით რიყხეს მრავლობითი ენაცელება. ჩემი ამრით, ამნაირი შენაცელების მიზანი მარტო იმ გამოთქმის გაძლიერება კი არ არის, რომელშიაც მთავარი სიგყვა, არსებითად, მრავლობითია, მიუხედავად იმისა, რომ, უორმალურად, მხოლოდითადაა წარმოდგენილი:

მიმოიფანტა ურიყხეი ბრბო გვირთმოლიელიე მღვის ნაპირას და გაფანტულნი აყვირდნენ უკებ.¹⁰⁶

გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ამნაირი შენაცელება ხელს უწყობს სიგყვის სიღიადეს და ამძაფრებს მის ექსპრესიულ ძალმოსილებას.

ამასვე მოწმობს ოიდიპოსის სიგყეები სოფოკლეს ტრაგედიაში:

ვაგლახ, წყეული ქორწილნი და ქორწინებანი, რომელთაც გემობეს, და რა გემობეს, უკუდასთხიეს მშობლისა და შობილის თესლი. ამ თესლით იმუნენ ცოდვის შეილნი – ძენი და ძმები, დედა-მამანი, ქალნი და რძალნი; მეგი სიბილწე არ უხილავს ჯერ კაცთა მოდგმას.¹⁰⁷

თუმცა, სინამდვილეში, აქ მხოლოდ ერთი სახელი იგულისხმება: კაცისა – ოიდიპოსი, ქალისა – იოკასტე. მაგრამ მრავლობითმა რიყხემ პირდაპირ წალეკა მხოლოდითი, გაამრავლა ცოდვა და გააღრმავა უბედურების მრუეე მორევი.

ასეთივე პლეონაზმია გამოყენებული შემდეგ ლექსშიც:

სადაა არიან დღეს ჰექტორნი ან სარპედონნი.¹⁰⁸

იგივე ითქმის პლატონის ჩემ მიერ სხვაგან უკვე მოყვანილი ციტატისთვისაც, რომელშიაც ფილოსოფოსი ათენელებზე ლაპარაკობს: „რადგან არც პელოპსები, არც კადმოსები, არც ეგვიპტელები, არც დანაელები თუ სხვა ბარბაროსნი არ ცხოვრობენ ჩვენ შორის; ჩვენ, ბერძნები, არ ვერევით ბარბაროსებს“¹⁰⁹ და ა.შ.

ცხადია, სახელების ასეთი თავმოყრა განსაკუთრებით ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს მსმენელზე. მაგრამ ამ ხერხს უნდა მივმართოთ მხოლოდ მაშინ, როცა საგანი

¹⁰⁶ ციტატის წყარო უცნობია.

¹⁰⁷ სოფოკლე, „ოიდიპოს მეფე“, 1403 და მმდ.

¹⁰⁸ უცნობი ავტორის ციტატა.

¹⁰⁹ პლატონი, „მენექსენე“, 245d.

თვითონ მოითხოვს განდიდებას, გამრავლებას, გაზვიადებას და ა.შ. – ან მხოლოდ ერთს. ან ყველას ერთად. რადგან ყალბი სამკაულებით სიცივის შემკობა მხოლოდ სოფისტებს სჩვევიათ, ჩემო ძვირფასო.

XXIV

და პირიქით, სიცივას არანაკლებ სიმაღლეს და სიღიაღეს ანიჭებს ხოლმე მრავლობითი რიცხვის მხოლობითით შეცვლა. „მთელი პელოპონესი მღელვარებამ მოიყვა“. – ამბობს ერთი ავტორი,¹¹⁰ ხოლო მეორესთან ვკითხულობთ: „როდესაც ფრინიქემ თავისი დრამა – „მილეგის აღება“ დადგა, თეატრი ცრემლებად დაიღვარა“.¹¹¹ გათიმული სიმრავლის ერთ კრებით სახელში შეერთება გრძნობად-კონკრეტული, სხეულებრივი მთლიანობის შთაბეჭდილებას ახდენს.

ჩემი აზრით, ორივე ეს ხერხი ერთი და იგივე მიზნით გამოიყენება: რადგან იქ, სადაც სახელი მხოლობით რიცხვში უნდა იყოს წარმოდგენილი, მრავლობითით მისი შეცვლა, სრულიად მოულოდნელ ეფექტს ახდენს, ხოლო მრავლობითი რიცხვის მხოლობითით შეცვლა ერთგვარი კეთილხმიერი მთლიანობის წყაროდ იქცევა და თავისი მოულოდნელი სახეცვლილებით აცყვევებს მსმენელს.

XXV

როცა წარსული დროის ამბავს ამნაირად გადმოგვცემს მთხრობელი, თითქოს ეს წარსულში კი არა, ახლა ხდებოდეს, მაშინ თხრობას მოქმედების უშუალო ასახვა ევლის. „ერთი მეომარი, – გადმოგვცემს ქსენოფონტი, – ფეხქვეშ ჩაუვარდა კიროსის ცხენს და, დამფრთხალი ცხოველის ფლოქეებით გადათქრილი, ხანჯლით უფატრავს მას მუცელს. ცხენი ყალყზე დგება, კიროსი თავს ვეღარ იმაგრებს და მიწაზე ეცემა“.¹¹² თხრობის ეს სახე უპირატესად ნიშნულია თუკიდიდესთვის.

XXVI

ასეთსავე ზემოქმედებას ახდენს მსმენელზე გრამატიკული პირის შეცვლა, რაც მას აღწერილი ამბისა თუ მოქმედების თვითმხილველად ან თანამონაწილედ წარმოადგენინებს თავს:

*მენ იგყოდი, დასვენებული მამეელი რამში ჩაებაო ბრძოლაში, ისე ფიცხლად უტევენ მებრძოლნი ერთურთს.*¹¹³

ხოლო არაგოსი წერს:

*ამ თვეს მაინც ნუ გახვალ მღვაში.*¹¹⁴

აქვე შეიძლება მოვიგანოთ პეროლოგის სიცივეებიც: „ქალაქ ელეფანტინიდან აღმა აჰყევი დინებას და მიაღგები ვრცელსა და დაცემულ ველს. მას რომ გასცდები, სხვა

¹¹⁰ დემოსთენე, „გვირგვინისათვის“, 18.

¹¹¹ პეროლოგი, VI, 21. ფრინიქე (VI – V ს. ძვ.წ.ა.) – ბერძენი დრამატურგი, ესქილეს უფროსი თანამედროვე. მის ქმნილებებს ჩვენამდე არ მოუღწევია. ფრინიქეს დრამა „მილეგის აღება“, რომელსაც მითი კი არა, ისტორიული ფაქტი ელო საფუძვლად (ისევე როგორც ესქილეს „სპარსელებს“) დარიოსის მიერ ქალაქ მილეგის აღებას ეხებოდა.

¹¹² ქსენოფონტი, „კიროსის აღმრდა“, VII, I, 37. მოქმედების გასაცხოველებლად და თვალსაჩინოების ეფექტის მისაღწევად ნამყო სრულისა (perfectum) ან ნამყო უსრულის (imperfectum) ნაყელად მზნის აწმყო დროის (praesens) ფორმით ხმარება ბერძნულსა თუ ლათინურ გრამატიკაში ცნობილია როგორც ე.წ. „ისტორიული აწმყო“ (praesens historicum).

¹¹³ პომპროსი, „ილიადა“, XV, 697-698.

¹¹⁴ არაგოსი, „ეიური მოვლენები“ („ფაინომენა“), 287.

ხომალდზე ახვალ და ორი ღლის ცურვის შემდეგ მიადევნე დიდ ქალაქს, მეროდ სახელდებულს".¹¹⁵ ხომ ხედავ, ჩემო მეგობარო, როგორ ეუფლება მწერალი შენს სულს და, მგერად რომ აქცევს შენს სმენას, როგორ მიგიძღვის წინ მისსავე მიერ აღწერილ გზაზე? ასეთი პირდაპირი მიმართებები მოქმედების უშუალო მონაწილედ აქცევენ მსმენელს, მაშინაც კი, როცა ყველას კი არ მიმართავენ, არამედ მხოლოდ ერთს:

ვერ შეაგეობდი, რომელ რამში გრიალებდა გიდევის ძე.¹¹⁶

ამ გზით შენ უფრო მძაფრ შემოქმედებას ახდენ მსმენელზე, მთლიანად ეუფლები მის ყურადღებას და აიძულებ შეუნელებელი ინტერესით გისმინოს და მოგსდიოს შენ.

XXVII

ისეუ ხდება, რომ მწერალი, ამა თუ იმ პირზე საუბრისას, მის ადგილას თავის თავს აყენებს ხოლმე. ამ რიტორიკულ ფიგურას პათეტიკური სტილის გასაძლიერებლად იყენებენ:

ქექტორი მეუხარე ხმით მოუწოდებდა გროვლებს იერიში მიეტანათ ხომალდებზე და ხელი არ ეხლოთ სისხლიანი ნადავლისათვის:

ხოლო თუ შევნიშნე, რომ ვინმე შორდება ხომალდთა რიგს, წამსვე მოეუსწრაფებ სიციცხლს.¹¹⁷

პომეროსი ჯერ, ჩვეულებისამებრ, თავისი პირით გვიყვება ამბავს, მაგრამ ამ მრისხანე მუქარას, ყველასათვის მოულოდნელად, განრისხებული ბელადის პირით გადმოგვცემს.

საკმარისი იყო პოეტს დაემატებინა: ქექტორი ამას და ამას ამბობსო, რომ მთელი სურათი მეყვესულად გაქვეადებოდა და უსიციცხლო გახდებოდა. მაგრამ აქ ერთი პირიელი ფორმის მეორეთი შეცვლა უფრო უმაღლ მოხდა, ვიდრე მთხრობელი ამ ცვლილების ახსნას მოასწრებდა.

რასაკვირველია, ეს ხერხი მხოლოდ მაშინ უნდა იქნეს გამოყენებული, როცა მომენტის სიმძაფრე მწერლისაგან პირიელი ფორმების დაუყოვნებლივ შეცვლას მოითხოვს. სწორედ ასე იქცევა ქექტორი: „შემინებულმა კეიქსმა უბრძანა პერაკლიდებს სასწრაფოდ დაეტოვებინათ მისი სამეფო: „რადგან მე არ შემიძლია დაგვხმაროთ. ნურც თავს დაილუპავთ და ნურც მე წამახდენთ, წადით და სხეავან ეძიეთ თავშესაფარი“.¹¹⁸

არისტოტილის წინააღმდეგ მიმართულ სიტყვაში დემოსთენემაც გამოიყენა პირთა შენაცვლება, მაგრამ მისი მანერა სულ სხეავარია – ვნებიანი, მძაფრი, მღელვარი: „ნუთუ არცერთ თქვენგანს არ აღაშფოთებს და განარისხებს ის სიბილწე, რასაც ეს ურცხვი და უტიფარი სჩადის? ის... ო, შენ, ყველა სიბილწით შესერილო სულს, როდის დაგვხმობა სიტყვის თავისუფლება, მაგრამ არა კრეტსაბმელით ან

¹¹⁵ პეროდოტე, II, 29. ელენანგინი – ეგვიპტის ქალაქი, მდ. ნილოსის პირველ ჭორობთან. მეროდ – ეთიოპიის დედაქალაქი.

¹¹⁶ პომეროსი, „ილიადა“, V, 85.

¹¹⁷ პომეროსი, „ილიადა“, XV, 346-349.

¹¹⁸ ქექტორი (VI – V ს. ძვ.წ.) – ბერძენი ლოგოგრაფოსი. მისმა თხზულებებმა – „დელამიწის აღწერილობა“ და „გენეალოგიები“, საიდანაც აღებულია აქ მოცემული ციტატა, ფრაგმენტების სახით მოადწია ჩვენამდე. კეიქსი – თესალიის ქალაქ ტრაქინის მითიური მფუე, პერაკლეს ნათესავი და მეგობარი. პერაკლეს სიციცილის შემდეგ მისმა დაუძინებულმა მტერმა ეერისთევსმა ღვენა დაუწყო პერაკლეს შეილებს (პერაკლიდებს), რომლებსაც კეიქსმა მისცა თავშესაფარი. მაგრამ როცა ეერისთევსმა ალყა შემოარტყა ტრაქინს, შემინებულმა კეიქსმა უბრძანა პერაკლიდებს სასწრაფოდ დაეტოვებინათ ქალაქი.

ცხრაკლიგულით, რომელიც შეიძლება მანაც ვაალო...¹¹⁹ ამრის დაუმთავრებლად, ორატორმა სწრაფად შეცვალა ის და რისხვით აცახცახებულმა ორ სხედასხვა პირს შორის გაანაწილა თავისი სიტყვა – „ის“ და „შენ“, ყველა სიბილწით შესვრილო სულო“. მართალია, არისტოვიგონისადმი მიმართივთ ღემოსთენემ თითქოს თავისდა უნებურად დაკარგა სიტყვის არსი, მაგრამ შემდეგ, თავისი ბობოქარი პათოსის წყალობით, კვლავ მიაკვლია მას და კიდევ უფრო სრულად გავცისხნა იგი.

ასევე ლაპარაკობს პომპროსის პენელოპე:

მაენე, რისთვის გამოგზავნეს კეთილშობილმა სასიძოებმა? ხომ არ სურთ, ღვთაებრივი ოდისეუსის მხელებმა საქმეს თავი ანებონ და სუფრა გაუწყონ მათ? როდის დამეხსნებიან თავგასულნი, როდის მოელება ბოლო მათ ღრეობას ჩვენს სახლში? რატომ მიღუკავთ ოქახს, რატომ ანიავებთ გულუშიში გელემაქეს საუნჯეს? ან, იქნებ, ბავშვობაში არ გსმენიათ მამებისაგან, როგორი იყო ოდისეუსი?¹²⁰

XXVIII

მე მგონია, ვერავინ ვერ შემედავება, თუ ვიტყვი, რომ ამალღებული სტილის არანაკლებ მნიშვნელოვანი კომპონენტია პერიფრაზა.¹²¹ მსგავსად იმისა, როგორც მუსიკაში ძირითად ტონს უფრო სასიამოვნოს და სრულყოფილს ხდის დამატებითი ტონების თანხლება, ისე აქაც ძირითად ფრაზას პარმონიულად ეხმიანება პერიფრაზა და თავისი თანახმიერებით ხელს უწყობს სიტყვის სინატიფეს და დახვეწილობას. მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ პერიფრაზაში არა იყოს რა მალღფარდოვანი და არამუსიკური.

პერიფრაზის ღიღებული ნიმუში მოგვცა პლატონმა თავისი ერთ-ერთი ღიღლოგის დასაწყისში: „ჩვენ საქმით მივაგეთ თვითეულ მათგანს სათანადო პატივი. ახლა ისინი უკვე დაადგნენ ბედისწერის მიერ წინასწარ დასამღერულ გმას, რომელმედაც მათ, ყველას ერთად, მიაცილებს მთელი ქალაქი, ხოლო თვითეულს ცალ-ცალკე – მათი მოყვასნი“.¹²² პლატონმა ბედისწერის მიერ წინასწარ დასამღერული გმა უწოდა სიკვდილს, ხოლო მიცვალებულის წინაშე უკანასკნელი ვალის მოხდა მალღიერი სამშობლოს საშიემო-სამგლოვიარო მსელელობად წარმოგვიღგინა.

განა არ აღამალდა მან თავისი ამრი ამ პერიფრაზით? და განა უწმინდეს პოემიად არ აედერდა ყოველღური სიტყვა, თითქოს პერიფრაზისეული პარმონიის მაყოცხლებელი ცეარი აკურესო მას?

ხოლო ქსენოფონგე ამბობს: „ღვაწლს თქვენ მიიჩნევთ ერთგულ მეგზურად, რომელიც ბენიერი ცხოვრებისკენ მიგიძღვით. მეომართათვის ყველაზე უკეთესი და უბერიფასესი ნაღავლი თქვენსავე სულშია. რადგან ყველაზე უფრო მეტად თქვენ გბიბლავთ ღიღება“.¹²³ ნაცელად იმისა, რომ ეთქვა – თქვენ გსურთ იღწოდეთო, მწერალი ამბობს: „ღვაწლს თქვენ მიიჩნევი ერთგულ მეგზურად, რომელიც ბენიერი ცხოვრებისკენ მიგიძღვით“. ამრიგად, ჩეულებისამებრ რომ განავრყოფს სხვა დანარჩენსავე, ქსენოფონგე თავისი ხოგბით ავარაყებს ამ მალღ ამრს.

იგივე ითქმის პეროლოგეს უებრო გამოთქმისთვისაც: „სკვითებს, რომლებმაც მებილწეს წმინდა ბომონი, ქალღმერთმა ქალური სნეულება მოუეღინა სასჯელად“.¹²⁴

¹¹⁹ ღემოსთენე, „არისტოვიგონის წინააღმღეგ“, I, 27.

¹²⁰ პომპროსი, „ოდისეა“, IV, 681-689.

¹²¹ პერიფრაზა – მხატვრული ტროპი, რომელიც საგნის, არსის თუ მოელენის სახელს მათი არსებითი, განმსაზღერელი ან ნიშანღობლივი ატრიბუტებით ცელის და, ამრიგად, უფრო ნათლად და ხატოენად წარმოგვიღგენს მათ.

¹²² პლატონი, „მენესქენე“, 236d.

¹²³ ქსენოფონგე, „კიროსის აღმრდა“, I, 5, 12.

¹²⁴ პეროლოგე, I, 105.

XXIX

მაგრამ პერიფრაზის უადგილოდ ან არაზომიერად ხმარება საკმაოდ სახიფათოა. ამ შემთხვევაში ის მეტისმეტად უმწეო, ფუყე და არაფრისმთქმელი ხდება. თვითონ პლატონიც კი, რიტორიკული ფიგურების ეს ჭეშმარიტი დიდოსტატი, მოგჯერ არამართებულად იყენებს პერიფრაზს. ასე მაგალითად, თავის „კანონებს“ ის წერს: „არ უნდა მივეთ ვერცხლეულსა თუ ოქროულ სიმდიდრეს ქალაქში დასახლების ნება“.¹²⁵ ამიგომ მოვი დაციინეთ ამბობს: პლატონს რომ ეს აკრძალავა პირუტყვემდაც გავერცელებინა, მაშინ მას, ალბათ, ცხერეულსა თუ ძროხეულ სიმდიდრეს უწოდებდაო.

მაგრამ, მოდი, ვიკმართ ეს გაჭიანურებული მსჯელობა რიტორიკული ფიგურების შესახებ, ჩემო ძვირფასო გერენგინე. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ თვითოეული მათგანი უფრო მეტ ვნებიანობას და ცხოველმყოფელობას ანიჭებს სიგყვას. ენება კი იმდენადვეა წილნაყარი ამალეებულთან, რამდენადაც ჩვევა – სასიამოვნოსთან.

XXX

რაკი აზრი და მისი სიგყვიერი გამოხატულება უპირატესად მათი ურთიერთკავშირის წყალობით ცნაურდება ჩვენთვის, ამიგომ, მოდი, გემოთქმულის გასრულების მიზნით, განვიხილოთ სიგყვიერი გამოხატულების სხედასხვა სახე. რასაკვირველია, მცოდნე ხალხს თავი არ უნდა შევაწყინოთ იმ გაუეთილი ჭეშმარიტებების გამეორებით, რომ ზუსტი და დიდმშენიერი სიგყვების შერჩევა განსაყვიურებელ გემოქმედებას ახდენს და პირდაპირ აჯადოებს მსმენელს, რომ ამ შერჩევისათვის, უპირველეს ყვლისა, მრუნავენ რიტორები და მწერლები, და რომ, ბოლოს, სწორედ ეს შერჩევა ანიჭებს სიგყვას მთელ თავის ძალმოსილებას, მთელ თავის სიმალეს თუ სიდიადეს და, ამრიგად, თითქოს იმ ღეთაებრივ ქანდაკებებს ამსგავსებს მას, რომლებსაც სასწაულთმოქმედი ძალით შთაბერეს ცხოველმყოფელი და მეტყველების ნიჭით ცხებული სული. და მართლაც, მხოლოდ მშენიერ სიგყვებში ვლინდება ჩვენი გონებისა თუ აზრების მთელი ბრწყინვალება.

მაგრამ დიდმშენიერი სიგყვების ხმარება ყოველთვის როდი იძლევა სასურველ შედეგს. ის, ვინც მალალი და დიადი სიგყვით უბადრუკი აზრის გამოთქმას ცდილობს, იმ კაცს ემგვანება, რომელიც უსუსურ ბაღს უზარმაზარ გრაგიულ ნიღაბს უკეთებს. მხოლოდ პოემიამი და...“

XXXI

...რა ცოცხლად და შთამბეჭდავად ამბობს ანაკრეონტი:

„ვედარ ვიურვებ თრაკიულ ფამაგს“.¹²⁶

არანაკლები ქების ღირსია თეოპომპეს ერთი ციგაგა, რომელიც აზრისა და მისი სიგყვიერი გამოხატულების სრული ურთიერთშესაყვისობის მხრივ ჭეშმარიტად უბალო მგონია, თუმცა ცეცილიუსი, ჩემთვის უცნობი მიზეზის გამო, მკაცრად აკრიტიკებს მას: „საჭიროების შემთხვევაში, – წერს თეოპომპე, – ფილიპეს შეუძლო წყენის ჩაყლაკვა“.¹²⁷ და მართლაც, მდაბიური გამოთქმა მოგჯერ მორთულ-მოკამშმულსა და მიზილ-კიბილებით შემკულ სიგყვაზე უფრო მეტყველია; მისი მეშვეობით აეგორის აზრი უფრო ცოცხალი და ადვილად აღსაქმელი ხდება, ვინაიდან არაფერია უფრო სარწმუნო, ვიდრე ჩვეულებრივი და ყოველდღიური აი, აქაც,

¹²⁵ პლატონი, „კანონები“, VII, 801 b.

* ხელნაწერს აკლია ორი ფერცელი.

¹²⁶ ანაკრეონტი, ფრაგმ. 88.

¹²⁷ თეოპომპე (IV ს. ძვ.წ.ა.) – ბერძენი ისტორიკოსი, აეგორი აწ დაკარგული თხზულებებისა – „ელადის ისტორია“ და „ფილიპე მაკედონელის ისტორია“.

გამოთქმა: „საჭიროების შემთხვევაში ფილიპეს შეეძლო წყენის ჩაყლაპვა“, – ამომწურავად გვიხასიათებს კაცს, რომელიც პირადი სარგებლობისა თუ გამორჩენის გულისთვის უღრგინველად და, ასე განსაჯე, ერთგვარი სიამოვნებითაც კი ითმენდა ნებისმიერ სირცხვილსა თუ შეურაცხყოფას.

იგივე ითქმის პეროლოგეს სიტყვების მიმართ: „გაგივებულმა კლეომენემ ხმალი იმიშელა და გამშავებით დაუწყო ჩეხა საკუთარ სხეულს, ვიდრე მთლად დაკეპილმა არ განუტევა სული“.¹²⁸ ან კიდევ: „პითესი მანამდე იბრძოდა ხომალდზე, სანამ პირწმინდად არ აკუნჯს“.¹²⁹ ეს სიტყვები თავიანთი ფორმით ძალზე უახლოვებიან მდაბიურ გამოთქმებს, მაგრამ შინაარსით თუ მნიშვნელობით საკმაოდ შორს ღვანან მათგან.

XXXII

მეტაფორების სიმრავლეზე მსჯელობის დროს, ცეცილიუსი, ჩვეულებრივ, იზიარებს მათ აზრს, ვინც გვიწესებს, ერთი და იგივე საგნის აღწერისას შემოვიფარგლოთ ორი ან, დიდი-დიდი, სამი მეტაფორის ხმარებით. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მეტაფორების ხმარება გამართლებულია მხოლოდ იქ, სადაც ვნებათა შმაგი ნაკადი თითქოს თავისი ბობოქარი ტალღით იტაცებს და თან მიაქანებს მათ. პირველობა აქაც უდავოდ დემოსთენეს ეკუთვნის.

„უკეთურნი, ბილწნი, პირფურნი! – ამბობს დემოსთენე, – მათ შემუსრეს თავიანთი სამშობლოს თავისუფლება და თავდაპირველად ფილიპეს, შემდეგ კი ალექსანდრეს მიჰყიდეს იგი. თავიანთი ღორმუცელობა და პირუტყვეული ენებები რომ აქციეს კეთილდღეობის ერთადერთ კრიტერიუმად, მათ დაამხეს და ფეხქვეშ გათელეს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, რაც ძველ ბერძნებს სიკეთის ერთადერთ ჭეშმარიტ საზომად მიაჩნდათ“.¹³⁰ აქ ორატორის რისხვა სამშობლოს მოღალატეთა და გამყიდველთა მიმართ ამკარად ჩრდილავს მხატვრულ ტროპთა სიმრავლეს და მათ ექსპრესიულ ძალმოსილებას.

არისტოტელესა და თეოფრასტეს სიტყვით, ყველა მეტისმეტად თამამ მეტაფორას შეიძლება მოეძებნოს ერთგვარად შემარბილებელი საშუალება. მათ რიცხვს ეკუთვნის ისეთი გამოთქმები, როგორიცაა: „თითქოს“, „ასე ვთქვათ“, „თუ შეიძლება ასე ითქვას“, „თუ თავხედობაში არ ჩამომართმევთ ამის მტკიცებას“ და ა.შ. როგორც ამბობენ, ამნაირი თავისმართლება საგრძნობლად არბილებს მეტაფორების სითამამეს.¹³¹

მე, რა თქმა უნდა, ვიზიარებ ამ აზრს, მაგრამ, როგორც უკვე მოგახსენე რიტორიკული ფიგურების შესახებ, არც ის მავიწყდება, რომ მეტაფორების სიმრავლეს და სითამამეს ყველაზე მეტად არბილებს და ჩრდილავს სიტყვის თავისდროული ენებიანობა, ისევე როგორც მისი კეთილშობილური სიმაღლე. რადგან მათი ბობოქარი ბუნება ისეთია, რომ თავიანთი შმაგი სწრაფვისას ძალით იტაცებენ, ითრევენ და თან მიაქანებენ ყოველს. მათთან კავშირში თვით ყველაზე თამამი მეტაფორებიც კი სასხებით ბუნებრივნი და აუცილებელნი ჩანან. ორატორის ენთუზიაზმს რომ გადასცემენ და გადასდებენ მსმენელს, ისინი მთლიანად იპყრობენ, მთლიანად ეუფლებიან მას და აღარ უტოვებენ იმის დროს, რომ ცივი ანალიზის გზით გაერკვეს მეტაფორების მთელ სიმრავლეში.

მაგრამ როგორც საერთო ადგილებში, ისე აღწერებშიაც არაფერია უფრო მთამბეჭდავი, ვიდრე ტროპების ხშირი და თანმიმდევრული ხმარება. სწორედ მათი წყალობით იყო, ქსენოფონტემ ასე დიდებულად რომ აღწერა კაცის სხეულის

¹²⁸ პეროლოგე, VI, 75.

¹²⁹ პეროლოგე, VII, 181.

¹³⁰ დემოსთენე, „გეირგენისათვის“, 296.

¹³¹ ამასვე აღნიშნავენ ციცირონი („De oratore, III, 41, 165) და კვინტილიანე (VIII, 3, 37).

აღნაგობა, ხოლო პლაგონმა – პირდაპირ ღვთაებრივად: თავს ის უწოდებს აკროპოლისის და ამბობს, რომ მას სხეულისაგან ერთგვარი ისთმოსიებით ამორებს ყელი, ხოლო მალეbs კარის ანჯამებს ადარებს, რომლებსაც თავისი სიმძიმით ეყრდნობა და ემყარება თავი. განცხრომა, პლაგონის აზრით. სხვა არა არის რა, თუ არა ადამიანურ უბედურებათა საგყუარი, ხოლო ენა გემოს მსაჯულად გვევლინება. გული – ძარღვების გორგალი და სხეულში სწრაფად მიმოქევადი ჩუხჩუხა სისხლის წყარო – მკერდში ისეა მიმაღული, როგორც სხეულის მკეველი – თავის იღუმალ სენაკში. ფორების ნასვრეგებს ის უწოდებს ვიწრო ბილიკებს და გვეუბნება, რომ საფრთხის მოლოდინით ათრთოლებული თუ მრისხანებით შეძრული გულის დასაყავად ღმერთებმა ასეთი მექანიზმი შექმნეს: ირგვლივ შემოუფინეს მას ნაზი, უსისხლო, მთლად დასვრეგილი და ღრუბელივით ღბილი ფილგვები, რათა მრისხანებით მბორგავ გულს უვნებლად განევრძო ძგერა ამ ნაზი საბურველის ქვეშ. სურვილთა შესაკრებელი, მისი აზრით, თითქოს საქალებოა, ხოლო რისხვის საეანე – საკაეპო. ელენტა შიგნეულობის სამზარეულოა, ეინაიდან უწმინდური ნარჩენებით აესებისას მეტისმეტად სივდება და იბერება. „ყოველივე ამას, – განაგრძობს პლაგონი, – ღმერთებმა გადააკრეს ხორცის გარსი, რომელიც ნაბადივით გადააფარეს შიგნეულს, რათა გარემოს მავნე გავლენისაგან დაეცვათ იგი“. სისხლს ის უწოდებს სხეულის საზრდოს, ხოლო ამ საზრდოს მისაწოდებლად, – განაგრძობს შემდეგ, – ღმერთებმა მთელ სხეულში, როგორც ბოსტანში თუ ბაღში, გაიყვანეს მრავალრიცხოვანი თმისსისხო არხი, რათა გულიდან დაძრულმა მასაზრდოებელმა სითხემ ძარღვების გავლით გზა გაიკელიოს სხეულის ამ ვიწრო ხეობებში. აღსასრულის ეამს სულის შემკერული კვანძები ხომალდის საბმელი ბაგირებივით იხსნებიან და ჩვენი არსების უკეთესი და უკვდავი ნაწილი თავს აღწევს სხეულის ღილეგს“.¹³²

ამნაირი მაგალითები პლაგონის თხზულებებში ჭეშმარიტად აურაცხელია, მაგრამ ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. საესებით საკმარისია ერთი მათგანის გამოწეილივით განხილვაყ, რათა თეაღნათლივ დაერწმუნდეთ, რაოდენ დიდებულნი არიან ეს ტროპები თავიანთი ბუნებით, როგორ უწყობენ ხელს მეტაფორები ამაღლებული სტილის სრულყოფილებას, დაბოლოს, როგორ აძლიერებენ ისინი პათეტიკურსა თუ აღწერილობითს ადგილებს.

მაგრამ, მეორეს მხრივ, ისიც აშკარაა (თუნდაც მე საგანგებოდ არ შეეეხო ამ საკითხს), რომ ტროპებისა თუ სხვა სიგყვიერი სამკაულების გამუღმებული ხმარება ხშირად აცდუნებს და მომიერების გრძნობას აკარგვინებს მწერალს. თვით პლაგონსაც კი ხშირად ჰყვედრიან ამ ნაკლის გამო. და მართლაც, სიგყვის მიმართ თაედაეიწყებულსა და ეგზალტირებულ სიყვარულს ის ხშირად მიჰყავს არაზომიერი, ტლანქი მეტაფორებისა თუ მაღალფარდოვანი ნართაული გამოთქმების ხმარებამდე. ასე მაგალითად, ერთგან ის ამბობს: „ადვილი როღია იმის მოაზრება, რომ სახელმწიფო კრაგერს უნდა ჰგავდეს, რომელშიაც დულს და გაღმოდულს ახლად ჩასხმული მუშხუნა ღვინო და თანდათანობით ადგილს უთმობს თითქოს მის დასასჯელად მოვლენილ მეორე ღვთაებას – სიფხიზლის ღმერთს, რათა მასთან კეთილზომიერად შეზავებული ღვთაებრივ და საამო სასმელად იქეცს“.¹³³ მაგრამ იმის თქმა, რომ წყალი სიფხიზლის ღმერთია, ხოლო ღვინის წყლით გაზაეება – ღვინის დასჯა, კრიტიკოსების აზრით, მხოლოდ რომელსამე მღარე მეღექსეს შეეძლო გაეებდა და ისიც არაფხიზელ მდგომარეობაში.

კრიტიკოსების კვალდაკვალ პლაგონს ცეცილიუსიც დაესხა თავს. ლისიასადმი მიძღვნილ თხზულებებში მან გაბედა პლაგონზე მაღლაყ კი დაუყენებინა ლისია, რაც, აშკარად, მისი ღამბბრმაეებელი ორი ქსოტური ვნების ზემოქმედებას უნდა მიეწეროს:

¹³² იხ. პლაგონი, „ტიმოსი“, 65c – 85c.

¹³³ პლაგონი, „კანონები“, VI, 773c. კრაგერი – საღვინე ჰურჰელი, რომელშიაც ღვინოს წყლით აზაეებდნენ.

ერთი მხრივ, მას თავის თავს ურჩევნია ლისია, ხოლო მეორე მხრივ, პლატონისადმი უსაზღვრო სიძულვილი კიდევ უფრო ძლიერია, ვიდრე მისი სიყვარული ლისიას მიმართ. ევკე არ იყოს, პაექრობის დაუოკებელი კინი ცეცილიუსის დასკვნებს არც ისე უდავოს ხდის. როგორც თვითონ მას შიამნია. ასე მაგალითად, პლატონს, რომელიც, მისი აზრით, ხშირად უშვებს უხემ შეცდომებს, ცეცილიუსი უპირისპირებს... ლისიას, როგორც ჭეშმარიტად სრულყოფილ და უმაღლო მწერალს. ეს კი ამკარად გონებრივი სიბრძნის ნიშანია.

XXXIII

მაგრამ, მოდი, მაინც ვცადოთ იმის გარკვევა, არსებობს თუ არა, საერთოდ, უნაკლო და უმაღლო მწერალი. ამისათვის, უწინარეს ყოვლისა, უნდა გაირკვეს, რა უკეთესია პროზასა თუ პოეზიაში: ამადლებული, რომელსაც თან ახლავს ცალკეული შეცდომები თუ თანაბარზომიერი, თავის თავში დასრულებული და ყოველგვარი შეცდომებისაგან თავისუფალი საშუალო ნიჭიერება? იგივე კითხვა, ვფიქვან გვესს, შეიძლება სხვაგვარადაც დაისვას: რა უფრო არსებითია მხატვრული ნაწარმოებისათვის – ღირსებათა სიმრავლე თუ მათი სიმადლე? პასუხი უშუალოდ უკავშირდება ამადლებულს. ამიგომ ჩვენც სწორედ ამის განხილვით დავიწყით.

მე ვიცი, რომ ყველაზე ნაკლებ უმაღლონი უზარმაზარი ქმნილებანი არიან, რადგან მკაერი სიზუსტე ყოველ წამს შეიძლება უზადრუე წერილმანობაში გადაიზარდოს. ღიად ქმნილებებში, ისევე როგორც ღიძალი ღარიით სავსე საღარომი, ყოველთვის ერთგვარი დაუღვერობა სუფევს. შეიძლება უზადრუკი და მღარე ნაწარმოებები, რომლებსთვისაც სრულიად უცნობა თამამი მიზანდასახულობა და სულიერ სიმადლეთა წდომის წყურვილი, საერთოდ წარმოდგენენ არიან ციე ანგარიშზე დაუშუნებული მუსტი გათვლის, უმდარობისა და სიფრთხილის გარეშე, მამინ როღესაც ამადლებულთან წილნაყარი ღიადი ქმნილება მუდამ მერყეობს და წონასწორობას კარგავს სწორედ მისივე საკუთარი სიმადლის და სიღიადის გამო.

მაგრამ ჩემთვის არც ისაა დაფარული, რომ კაცთა ქმნილებანი, უპირველეს ყოვლისა, თავიანთი ნაკლოვანებებით იყრობენ ხოლმე ჩვენს ყურადღებას; მესხიერებაში წარუშლელად აღიბეჭდებიან მხოლოდ შეცდომები, მამინ როღესაც ღირსებანი სწრაფად ეძლევიან დავიწყებას.

მე თვითონ მოვიგანე პომეროსისა თუ სხვა ღიდ მწერალთა ცალკეული შეცდომების არა ერთი და ორი ნიმუში. რასაკვირველია, მათ არ შეეძლოთ ჩემი აღტაცება გამოეწეათ, მაგრამ ისინი უმაღ გენიალური ავტორების დაუღვერობითა თუ წამიერი უყურადღებობით გამოწვეულ უნებლიე ღაფსუსებად უნდა მიგეაჩნდეს, ვიდრე შეგნებულ შეცდომებად და შეცოდებებად. ამიგომ, ჩემი აზრით, ამ ავტორებს, ცალკეული შემთხვევითი შეცდომების მიუხედავად, ყოველთვის უნდა ვანიჭებდეთ პირველობას, თუნდაც მათი სულიერი სიმადლის გამო. თუმცა აპოლონიოსი¹⁴ თავის „არგონავტიკაში“ ჭეშმარიტად უმაღლო პოეტად მოგვევლინა, ხოლო თეოკრიტეს¹⁵ ბუკოლიკები, მოგიერთი იშვიათი გამონაკლისის გარდა, ბერძნული პოეზიის შეღვერებად ცნეს, მაგრამ ნუთუ შენ მართლა ამჯობინებდი აპოლონიოსი ყოფილიყავ და არა პომეროსი?

¹⁴ იგულისხმება აპოლონიოს როღოსელი (III ს. ძვ.წ.ა.), ბერძენი პოეტი, სახელგანთქმული ეპიური პოემის „არგონავტიკის“ ავტორი. ქართულად თარგმნილია აკ. ურუშაძის მიერ.

¹⁵ თეოკრიტე (III ს. ძვ.წ.ა.) – ბუკოლიკური პოემიის მამამთავარი, მწყმესების იღიღიური ყოფის მომღერალი.

ან, იქნებ, გვონია, რომ ერაგოსთენე¹³⁶ თავისი პაგარა, თითქმის სრულიად უნაკლო პოემით – „ერიგონე“ – უფრო მაღლა დგას, ვიდრე არქილოქე, რომელიც ღვთიური ზემთავონებით აღტკინების ეამს მეგნაკლებად სყოდაეს ხოლმე და არა სცნობს არავითარ წინასწარ დადგენილ ნორმას თუ წესს? ან კიდევ, ნუთუ ლირიკულ პოეზიაში შენ არჩევ იყო ბაკქილიდე¹³⁷ და არა პინდარე¹³⁸ ხოლო გრაველიაში ამჯობინებ იონ ქიოსელი¹³⁹ გერქევს და არა სოფოკლე? რასაკვირველია, ბაკქილიდე და იონი არასოდეს არ არღვევენ პოეტური ხელოვნების დადგენილ წესებს, ყოველთვის დიდი სიფრთხილით და პედანტური სიმზუსტით წერენ, მაშინ როდესაც პინდარემ და სოფოკლემ, თავიანთი ბობოქარი ვნებებითა და მღვგური გზებით, შეიძლება ერთბაშად გადასწვან, ერთბაშად გადაპზუგონ ყველაფერი, თუმცა ასევე შეიძლება მოულოდნელად ჩაქრენ და ჩაიფერფლონ. მაგრამ ნუთუ ამქვეყნად მოიძებნება თუნდაც ერთი საღად მოამზოენე კაცი, რომელიც იონის მთელ შემოქმედებას არჩევდა სოფოკლეს მხოლოდ ერთ „ოიდიპოსს“?

XXXIV

ხოლო თუ მწერლის მნიშვნელობას მისი თხზულებების ღირსებით კი არა, რაოდენობით შევაფასებთ, მაშინ იძულებული გავხდებით პიპერიდე ღემოსთენემე გაიცილებით მაღლა დაეყენოთ. პიპერიდეს სიგყვა უფრო პოლიფონიური, მრავალწახნაგოვანი და მნიშვნელობით უფრო მდიდარი, მაგრამ, ამასთან, მას ყოველთვის რაღაც აკლია, რაღაც არ ჰყოფნის იმისათვის, რომ მისწედეს და ეზიაროს ჰემმარიგ სიმალლეს და სიდიადეს. ამ მხრივ, პიპერიდე იმ ათლგეს მოგვაგონებს, რომელიც ხუთჭიდის ქულათა საერთო ჯამით ყოველთვის სხვას უთმობს პირველობას, თუმცა უცელელად იმარჯეებს ხოლმე მოგიერთ ცალკეულ სახეობაში.

ეს ჩეენი პიპერიდე, სიგყვათა წყობის გამოკლებით, ყველაფერში ღემოსთენეს ჰბაძავს. ეგეც არ იყოს, მან შეითვისა და შეისისხლხორცა ლისიას¹⁴⁰ სტილის მთელი სინატიფე და მომხიბულელობა. ამიგომ იქ, სადაც საჭიროა, მისი სიგყვა გულისშემძერული უშუალობით მოედინება, რითაც ის თავს აღწევს ღემოსთენესეულ მკაცრ თანმიმდერულობას და მონოტონურობას. თავის მნეობრივ მეგონებებს კეთილბომიერად ამაეებს იგი სმენისთვის სასიამოენო სიტკბოებით. მისი მახვილგონიერება ჰემმარიგად უბადლოა, პოლიტიკური ალღო – განსაცეიფრებელი. მან ყოველთვის წინასწარ იცის, სად ჩაურთოს მახვილი სიგყვა, რომელიც მუდამ თავისდროულია და არაფრით არ მოგვაგონებს ატიკელი ქილიკების უწმაწურსა და უხამს ოხუნჯობებს. მას შეუძლია უმტიენეულოდ დასცინოს კაცს, ყველგან გამოჩხრიკოს სასაცილო,

¹³⁶ ერაგოსთენე (275 – 194 წ. ძვ.წ.ა.) – სახელგანთქმული ბერძენი გეოგრაფი, ასტრონომი, მათემატიკოსი, ისტორიკოსი, ფილოლოგი, პოეტი. მის პაგარა ელეგიურ პოემას „ერიგონა“, რომლის სიუჟეტი ელადამი დიონისეს კულტის დანერგვის მითიურ ფონზე იყო გაშლილი, ჩვენამდე არ მოუღწევია.

¹³⁷ ბაკქილიდე (V ს. ძვ.წ.ა.) – ბერძენი ლირიკოსი, ესქილეს ბიძა. პინდარეს მეგოქე.

¹³⁸ პინდარე (521 – 441 წ. ძვ.წ.ა.) – უდიდესი ბერძენი ლირიკოსი. ჩვენამდე მოაღწია მისი ოდების ოთხმა წიგნმა „ეპინიკებმა“. ამრების სიმალლე და მეტაფორების სითამამე, სტილის დახეწილობა და ბრწყინეალება, პარმონის უჩეულო გრძნობა, ექსპრესიული ძალმოსილება, შინაჯანი გზნება, რელიგიური განცდის სიწმინდე და სიწრფელე, სახეების სიხუეე და მრავალფეროენება. ასეთია, ძალზე მოგადად, პინდარეს პოეტური ხმის განმსაზღერელ ნიშან-თვისებათა ერთობლიობა.

¹³⁹ იონ ქიოსელი (გარდ. 422 წ. ძვ.წ.ა.) – ბერძენი პოეტი; წერდა ელეგიებს, ღვთირამბებს და გრაველიებს, რომლებიც, მაინცდამაინც, დიდი ორჯინალობით არ გამოირჩეოდნენ. მათგან მხოლოდ მცირერიცხოვანი ფრაგმენტებიღაა შემორჩენილი.

¹⁴⁰ ლისია (დაახლ. 459 – 380 წ. ძვ.წ.ა.) – სახელგანთქმული ბერძენი რიგორი. უფრო გეიან (II – I ს. ძვ.წ.ა.) აღექსანდრიელმა სწაულულებმა, ცხრა სხეა რიგორთან ერთად, ატიკური ორაგორული ხელოენების კლასიკოსად შეიარყეს იგი. შემოგერჩა მისი 34 სიგყვა (425-დან). ლისიას ბიოჯრაფი დიონისე პალიკარნასელი საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლეეს მისი სიგყეების სისადაეს, ნათულსა და დახეწილ სტილს.

ყველას გამოუძებნოს სუსტი ადგილი და მწარედ მოსწყლას თავისი ბასრი ნესტრით, ხოლო ყოველივე ამას თან ახლავს უებრო სიკისკასე, ბრწყინვალეობა და მომხიზველელობა. მას სხვაზე უკეთ ეხერხება სიბრალული აღძვრას მსმენელს. ამასთან, მოქნილს და ენამოქარგულს, არასოდეს არ ელევა სათქმელი და მსუბუქად დაქრის, მსუბუქად დაფარუაგებს ერთი თემიდან მეორეზე, თითქოს ნიავის ნაპი ფრთებით ატაკებულნი. მე არა მეგულება რა უფრო პოეტური, ვიდრე მისი თხზულება ლეტოს¹⁴¹ შესახებ, ხოლო მისი „ეპიკაფიოსი“¹⁴² ჭეშმარიტად შეუღარებელია.

და პირიქით, ღემოსთენე არც ხასიათების მხატვარია, არც სიტყვაუხვი, არც მოქნილი და მაღაღმარდოვანი. ხშირად მას თითქმის არ გააჩნია არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი ღირსება. იქ, სადაც ღემოსთენე დახევიწილობისა და მახვილგონიერულობის გამოჩენას ცდილობს, სხვას კი არ აცინებს, არამედ თვითონ ხდება სხვისი დასაყინი. ხოლო რაც უფრო მეტს ზრუნავს იმისთვის, რომ სასიამოვნოდ მოგვაჩვენოს თავი, მით უფრო უამური გვეჩვენება იგი. მას რომ მოესურვებინა ბრტყელ-ბრტყელი სიტყვების მეთხზვა ფრინესა თუ ათენოგენეს¹⁴³ შესახებ, ჰიპერიდეს მთელი უპირატესობა ჭეშმარიტად უდავო შეიქნებოდა.

მაგრამ ჰიპერიდეს სტილის ყველა მომხიზველი ღირსება, მთელი მათი მრავალფეროვნების მიუხედავად, მე შესახება როგორც ცივი და ვნებათაგან შეუძერელი გულის უნდელი ნაყოფი. მისი სიტყვა არ აღელვებს და აღაფრთოვანებს მსმენელს; არავის განუცდია სულიერი მღელვარება თუ თავზარდამცემი შიში მისი კითხვისას. და პირიქით, ღემოსთენეს განსაკვიფრებელ ნიჭიერებას, უპირველეს ყოვლისა, გვიმღავენებს ის, რაც თითქმის სრულიად არ გააჩნია ჰიპერიდეს. ესაა მისი გაქანება და სიქველისმიერი სრულყოფილება, გონალობის სიმადლე და სულიერი ვნებიანობა, გონების ყოვლისმძლე გამჭრიახობა და ყოვლისმომყველი სიღრმე, ჭეშმარიტი სილიადე და მხოლოდ მისთვის ნიშნული ძლიერება და ძალმოსილება. მხოლოდ ღემოსთენეს სული იტყვს ღმერთების მიერ უშურველად მომადლებული ყველა ამ ნიჭის უსასრულო მრავალფეროვნებას. ხოლო „ღმერთების მიერ მომადლებული“ იმიტომ ვამბობ, რომ შეუძლებელია კაცთაგან ბოძებული ეუწოდოთ მათ. სწორედ ამის წყალობით ამარცხებს იგი ყველა მეტოქეს, რისთვისაც ოსტატურად იყენებს არა მარტო ყველა თავის ღირსებას, არამედ ყველა მისეულ ნაკლსაც. თითქოს მესად და ჭეჭა-ჭეხილად აგყდება ღემოსთენე თავს ყველა დროის ცნობილ ორატორთ და ერთობლივ კმუსრავს მათ. უფრო ადვილია თვალი გაუსწორო ელვას, ვიდრე წინააღმდეგ მისი ვნებიანი და გულმიჩამწვდომი სიტყვის გამაოგნებელ ძალმოსილებას.

¹⁴¹ ქალღმერთი ლეტოს – აპოლონისა და არტემიდეს დედისადმი მიძღვნილი ამ თხზულების შესახებ იხ. Maximus Planudes, V. 481; Anonym: Rhel., I. 439.

¹⁴² იგულისხმება ჰეპირიდეს სიტყვა, წარმოთქმული ლამიის ომში დაღუპულთა პატივსაცემად. ლამიის ომში (322 წ. ძვ.წ.ა.) აღექვსანდრე მაკედონელის სიკვდილით იმედმოცემულა ელადამ სყადა თავი დაეღწია მაკედონიის ბატონობის უღისაგან, მაგრამ ამაოდ: მაკედონელებმა ანტიპატრუსა და კრატერუს წინამძღობობით შეძლეს გადამწყვეტი გამარჯვების მოპოვება. იმავე წელს ჰიპერიდე, ანტიპატრონური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი (იხ. მენ. XVI, 2), ანტიპატრუს ბრძანებით, სიკვდილით დასაჯეს.

¹⁴³ ფრინე (IV ს. ძვ.წ.ა.) – ბერძენი პეტერა, ცნობილი თავისი განსაკვირვებელი სილამაზით, წინააღმდეგობელი ქალური ხიზლითა და თავის სახელოვან თანამედროვეებთან ინტიმური ურთიერთობით. ფრინე იყო პრაქსიტელეს მოდელი, როცა ის თავის სახელგანთქმულ „აფროდიტე კნიდოსელს“ აქანდაკებდა. ფრინე იყო აპელესის მოდელიც „ანადიომენზე“ მუშაობის დროს. როცა ფრინეს ღვთისმშობლობა დასწამეს და სამართალში მისცეს, ჰიპერიდემ იკისრა მისი დაყვა, მაგრამ რაკი თავისი ენაბჭევრობით ვერაფერს ვახდა, უკანასკნელი „არტემენტი“ მოიმეღვია: სამოსი ჩამოახია ქალს და მისი მშვენიერებით გაოგნებულმა მსაჯულებმა ერთხმად გაამართლეს იგი (პატესანია, I, 20, 1; ათენაიოსი, XIII, 590). რაც შეეხება ჰიპერიდეს სიტყვას ათენოგენეს შესახებ, ის ერთ უმნიშვნელო პროცესზე და ასევე უმნიშვნელო საქმის გამო იქნა წარმოთქმული.

ხოლო პლატონს ლისიასაგან, როგორც უკვე აღვნიშნე, ბერი სხვა რამეც განასხვავებს. ის შეუდარებლად უფრო მაღლა დგას ლისიაზე არა მარტო საკუთარ სიქველეთა სიღიადით, არამედ მათი სიმრავლითაც. ლისია კი უფრო თავისი მანკიერებით აღემატება, ვიდრე ზოგიერთი ღირსებით დაუვარდება პლატონს.

საინტერესოა, რაზე ფიქრობდნენ ეს ღეთისწორი მწერლები, როცა ცდილობდნენ სიღიადე მიენიჭებინათ მხოლოდ მთელი ქმნილებებისათვის და ხშირად ივიწყებდნენ ცალკეულ ნაწილთა გულმოდგინედ დახვეწას და დამუშავებას? მრავალ სხვა მიზეზთა შორის ყველაზე მთავარი და არსებითია ერთი: საქმე ისაა, რომ დედაბუნება უბადრუკ და უკეთურ არსებებად როდი გვქმნის ჩვენ. არა, ის გვმობს, სიცოცხლეს გვანიჭებს და სიყვარულით შემოუყვაროთ ამ უსასრულო და უთვალავი ფერით მოცულ სამყაროში; ის გვიწევს ამ გრანდიოზულ დღესასწაულზე, რათა ჩვენ – კაცნი, ხარბად ვჭკვრედეთ მთელ მის საესებას და თაყვანს ვცემდეთ მის სიღიადეს; სწორედ ამ მიზნით, დაბადებისთანავე გვინერგავს იგი სულში უძლეველსა და შეუმუსერელ სიყვარულს ყოველივე ღიადის მიმართ, ეინაიდან მისი ბუნება ათასწილ უფრო ღეთაებრივია, ვიდრე ჩვენი.¹⁴⁴

ამიგომ კაცს სულიერი ჭერეგისა და ამროვნების ასპარეზად არც კი ჰყოფნის მთელი სამყარო. ჩვენი ამრები ვიწროდ გრძნობენ თავს მის არგახეზში. და თუ ვინმე გულდასმით დაუკვირდება კაცთა ცხოვრების მდინარებას და შეიყნობს, რამდენად სჭარბობს მასში ყველაფერს მშვენიერება და სიღიადე, ის მალე მთლიანად გაიხადებს ჩვენი ამქვეყნიური არსებობის მიზანს.

უფიცივე ზევსს, სწორედ უსამღვროების ეს ბუნებრივი წყურვილია იმის მიზეზი, რომ ჩვენ პატარა ნაკადულები კი არ გვხიბლავენ, მთელი მათი სიანკარისა და მარგებლობის მიუხედავად, არამედ – ნილოსი, ისტროსი, რენოსი და, რასაკვირეულია, ყველაზე მეტად – თვით ღიადი ოკეანოსი.¹⁴⁵ ზუსტად ასევე, აქ, მიწაზე, ჩვენი ხელით დაგზნებული ეცხლის ალი – ეს წმიდათაწმიდა ალი კი არ იწვევს ჩვენს ალგაეებას, არამედ ციურ მნათობთა მარად უქრობი შუქი, მარად უქრობი სხიუცსიკროვნება, მიუხედავად იმისა, რომ მას ხშირად გვიბურავს ბნელი. ან რა შეიძლება იყოს უფრო განსაკვირებელი, ვიდრე ეტნის კრატერი, საიდანაც თვითონ ქვესკნელი აფრქვევს ხოლმე გავარვარებულ ლოდებს და ლავას, რომელიც ცეცხლის მდინარეებად მოიგრაგნება მთის კალთებზე.

¹⁴⁴ ამ ბრწყინვალე პასაჟში გამოთქმული ამრი, რომლის მიხედვითაც სამყაროს სისასითა და სიღიადით გულშეძრული კაცი ასეთივე სავსე და მაღალი ხმით ჰარმონიულად ესიგყება, ჰარმონიულად ეხმიანება ყოელისმყრობელი ბუნების უსასრულო ძალმოსილებას, ხშირად მეორდება არა ერთი და ორი ბერძენი თუ რომაელი ფილოსოფოსის ნაამრევი: მღრ. იამბლიქოსი, *De vita Pyth.*, 58; პერადილე პონგოლი იხ. ციყერონი, *Tusc.*, V, 3, 8 და მმღ. მღრ. მარკუს ავრელიუსი „ფიქრები“, IV, 23. იგივე ამრით, იგივე ნათელი და ამაღლებული განწყობილებითაა შთავგონებული რაბინდრანატ თაყროსი ერთი პატარა ღირიული მეღვერი:

მე მომიწვიეს ამ საწუთროს ღიად ზეიმზე
და ამგვარად სიცოცხლე ჩემი ღიადილია:
თვალთა ჩემთა იხილეს და ყურთა ჩემთა ისმინეს.
მე ამ ნაღიმზე ჩემი ქნარი უნდა დამეკრა
და ყველაფერი, რაც ძალმეღვა, მე გაეაკეთე.
ახლა ვკითხულობ:
დადგა თუ არა საბოლოო ეამი შენკენ შემოვიქცე,
ვიხილო და გიძღვნა ჩემი უხმო სალაამი?
(თარგმანი თ. ჩხენკელისა).

¹⁴⁵ ისტროსი – მღ. დუნაის ძველი სახელწოდება; რენოსი – მღ. რაინი; ოკეანოსი – ძველი ბერძნების კოსმოლოგიური წარმოდგენით, უმარმამარი მდინარე, რომელიც გარს უვლის მთელ დედამიწას; მისგან იღებს დასაბამს ყველა მღვიური ღინება, ყველა მდინარე თუ ნაკადული; მისგან ამოდის და მასშივე ჩაღის ყველა ციური მნათობი.

თუმცა ეს აზრი შეიძლება ორიოდ სიგყვითაც ითქვას: რაც უფრო მეტ გულგრილობას იჩენენ კაცნი ყოველივე ჩვეულებრივის, ყოველდღიურისა და, ასე ვასინჯე, თვით მათთვის აუცილებელის მიმართ, მით უფრო მეტად აცვიფრებს მათი ყოველივე უჩვეულო და მოულოდნელი.

XXXVI

შემოთ ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ დიდი მწერლების იმ ქმნილებებზე, რომლებშიაც სასარგებლო და აუცილებელი უშუალოდ ერწყმის, უშუალოდ უკავშირდება ამაღლებულს; ახლა კი ისიც უნდა დავსძინოთ, რომ ეს შემოქმედნი, მთელი თავიანთი შეცდომების მიუხედავად, ყველა მოკვდავზე მაღლა დგანან, და რომ მათ ვერასოდეს შეეხება დავიწყების მსახვრალი ხელი. მხოლოდ ამაღლებული ამაღლებს ჩვენს სულს და ღვთაებრივი ვონების ჰერეტად მიაქცევს მას, ყოველივე დანარჩენი კი კაცთა საარსებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ემსახურება. რასაკვირველია, არც სიგყვის უმცდარობა და ლალი ღინებაა ყვედრების ღირსი, მაგრამ მხოლოდ ამაღლებული იწვევს ჩვენს აღტაცებას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ დიდი შემოქმედი სიგყვის მხოლოდ ერთი ამაღლებული მოქცევით გვაიწყებს ხოლმე ყველა მისეულ შეცდომას თუ ხელისმოცარვას, და რომ პომეროსის, დემოსთენეს, პლატონისა თუ სხვა დიდი მწერლების ყველა შეცდომა, ერთად აღებული, სრულიად უმნიშვნელო გვეჩვენება, ან, უფრო ზუსტად, არა მარტო უმნიშვნელო, არამედ საერთოდ შეუმჩნეველი სიგყვის ამ ჰემშარიტ დიდოსტატთა ბრწყინვალე მიღწევებისა და თავბრუდამხვევი წარმატებების გვერდით. ამიტომ ყველა თაობა და ყველა საუკუნე, თუკი მათ არ აბრმავებს შური, თავიანთ სცემს და სამარადისო დიდებით მოსავს მათ უკვდავ სახელს, დიდებით, რომელიც განუყრელია მათგან და განუყრელი იქნება მანამ,

სანამ რბის წყალი და გარშემო საამურად ბიბინებს მდელი.¹⁴⁶

შესაძლოა მითხრან, რომ კოლოსი¹⁴⁷ მთელი თავისი ნაკლოვანებებითურთ სულაც არა დგას პოლიკლეტეს „ღორიფოროსზე“ უფრო მაღლა. პასუხად, სხვათა შორის, შეიძლება ისიც ითქვას, რომ ხელოვნების ძეგლები თავიანთი სიზუსტითა და

¹⁴⁶ ერთი სტრიქონი ძველ საბერძნეთში საკმაოდ მოკლე ეპიგრამიდან (ეპიგრაფიიდან), რომელიც, გადმოცემით, ფრიგიის ლევენდარული მეფის მიდასის საფლავზე იყო ამოკვეთილი. მის ავტორად თვლიდნენ პომეროსსა თუ ქალაქ ლინდოსის გირანს კლეობულეს (VII-VI ს. ძვ.წ.ა.). ამ ეპიგრამას იყნობს პოეტი სიმონიდე (frag. 48 D.); ის ციტირებულია პლატონის მიერ („ფედროსი“, 264d) და შესულია „პლატონის ანთოლოგიაში“ (VII, 153). პლატონის მოწმობით, ეპიგრამა ისეა შედგენილი, რომ სულ ერთია, რომელ სტრიქონს წაეკითხათ პირველად და რომელს – ბოლოს. აი, მისი ქართული თარგმანი:

ბრინჯაოს ქალწულს აწ მიდასის სამარეზე დამხობილს მხედაეთ,
სანამ რბის წყალი და გარშემო თვალწარმატყად ბიბინებს მდელი,
არ მოვიცდებები ამ ობოლ და მწარე ცრემლით დაღტობილ საფლავს,
რათა ვაუწყო გამვლელთ, რომ აქ განისვენებს მიდასის ნემგი.

¹⁴⁷ „გაურკვეველია, რომელ კოლოსს გულისხმობს ავტორი. ზოგის აზრით, კოლოსი აქ ეწოდება ფიდასის მიერ ოქროსა და სპილოს ძლისგან შექმნილ მეფის ოლიმპიელის ქანდაკებას; მეორენი თვლიან, რომ აქ იგულისხმება პელიოსის ქანდაკება – როდოსის კოლოსი, უდიადესი ანტიკურ ქანდაკებათა შორის, რომელიც III ს. (ძვ.წ.ა.) დამლევეს დაანგრია დიონისძერად (ეოლტერსი); შესაშენი მიუთითებენ 64 წ. (ახ.წ.ა.) აგებულ იმპერატორ ნერონის ქანდაკებაზე, რომლის შესახებაც მოგვითხრობს პლინიუსი (პუხენაუ, ფ. მარქსი); დაბოლოს, მეოთხენი ვარაუდობენ, რომ აქ იგულისხმება არა რომელიმე კონკრეტული ქანდაკება, არამედ, საერთოდ, მონუმენტური სკულპტურა. ე.ი. ის კოლოსალური ქანდაკებანი, რომელიც ესოდენ უხედავ ამკობდნენ იმპერატორთა რომს (კიანტი). უკანასკნელი მოსაზრება სარწმუნო ჩანს, ვინაიდან ავტორი აქ ერთმანეთს საილუსტრაციოდ ზოგად მაგალითს იმეველებს: პოლიკლეტეს მხატვრული კანონი („ღორიფოროსი“) და ახალი პომპეური მონუმენტური სტილი“ (ნ. ა. ჩისტიაკოვას შენიშვნა).

სინატიფით უნდა იწყებდნენ ჩვენს განცვიფრებას, ბუნების ქმნილებანი კი -- თავიანთი სიდიდით; ხოლო კაცს ბუნებამ მიუბოძა სიგყვის ღვთიური ნიჭი. ამიტომაც, რომ ქანდაკებებში ეძებენ მხოლოდ კაცთან მსგავსებას, ხოლო სიგყვებში, როგორც უკვე მოგახსენე, მარტოოდენ იმას, რაც მათ ჩვენს კაცურ ბუნებაზე ამაღლებს.

აქედან გამომდინარე დასკვნა კვლავ უბრუნდება ჩვენი თხზულების დასაწყისს: რადგან უმცდარობას მხოლოდ და მხოლოდ ხელოვნების დაუფლებით აღწევს კაცი. ხოლო ამაღლებული, თუნდაც არათანაბრად განაწილებული, ბუნებრივ ნიჭად გვევლინება, ამიტომ ბუნებას მწედ და მეოხად ყოველთვის ხელოვნება უნდა ედგას მხარში, ვინაიდან ჭეშმარიტად სრულყოფილ ნაწარმოებს მხოლოდ მათი ურთიერთკავშირი და თანამდგომობა აძლევს დასაბამს.

მხოლოდ ასე უნდა ეუქასუხოთ მოცემულ კითხვას. თუმცა ჩვენს აზრს არავის არ ვახვეთ თავზე.

XXXVII

მაგრამ კვლავ მივუბრუნდეთ მეგაფორებს, რომელთა უახლოეს შემოხებად შედარებანი და გაიგივებანი გვევლინებიან. ეს უკანასკნელნი მეგაფორებისგან მხოლოდ იმით განსხვავდებიან, რომ...

XXXVIII

...იგივე ითქმის ამგვარი გამოთქმების მიმართ: „უკეთუ ჭკუა თავში გაქეთ და არა ფეხებში, და თქვენ თვითონ არ ქელავთ მას“.¹⁴⁸

ამიტომ აუცილებლად უნდა ვიყოდეთ ის ზღვარი, სანამდისაც შეიძლება განვაფიქროთ პიპერბოლა;¹⁴⁹ ვინაიდან, საკმარისია ოდნავ მაინც გადაეცდეთ ამ ზღვარს, რომ პიპერბოლა უკვალოდ ქრება, დაძაბულობა სუსტდება და ავტორის მიზანი მიულწყველი რჩება.

ასე მაგალითად, ისოკრატე, პიპერბოლების გამუდმებული ხმარების გამო, ერთგვარ ინფანტილურობაშიც კი ვარდება: როგორც ვიცი, მისი „პანეგირიკი“ მიზნად ისახავს დაამტკიცოს, რომ ათენს უფრო დიდი დამსახურება მიუძღვის ელადის წინაშე, ვიდრე ლაკედემონს. მაგრამ თავის სახობგო სიგყვას ის ამგვარი შესავლით იწყებს: „სიგყვის ბუნება ისეთია, რომ შეგიძლია სხვადასხვაგვარად განმარტო ერთი და იგივე რამ, დიდი პაგარად აქციო და, პირიქით, სიდიდე მიანიჭო პაგარას, ძველზე ახლებურად ილაპარაკო, ხოლო ახალი ძველებურად გამოთქვა“.¹⁵⁰ ძალაუნებურად გებადება ასეთი კითხვა ავტორის მიმართ: კი მაგრამ, ჩემო ისოკრატე, ნუთუ შენ აპირებ კვლავაც ასე ილაპარაკო ლაკედემონელებისა და ათენელების შესახებ? რადგან ამნაირი სახობგო სიგყვით შენ თვითონვე შეაგონებ მსმენელებს, რომ არ ენდონ და ერწმუნონ მას.

ამრიგად, ფიგურებისა არ იყოს, ყველაზე უკეთეს პიპერბოლად მე მიმაჩნია ისეთი პიპერბოლა, რომელსაც ვერც კი შეაგყო, რომ ის პიპერბოლაა, ეს კი მხოლოდ მაშინ ხდება, როცა ძლიერი ვნებით გულმეძრული მწერალი პიპერბოლებს მიმართავს და ისინი პარმონიულად ერწყმიან, პარმონიულად ეთანხმებიან აღწერილი ამბის სიდიადეს. ასე ავვიწერს, მაგალითად, თუკიდიდე ათენელების დამარცხებას სიცილიაში: „სირაკუზელები დაბლა ეშვებოდნენ და მუსრს ავლებდნენ, უპირველეს ყოვლისა, მდინარის პირას მდგარო, რის გამოც წყალი ერთბაშად იწამლებოდა და სასმელად უვარგისი ხდებოდა. მაგრამ მას მაინც ხარბად სვამდნენ, სვამდნენ

* ხელნაწერს აკლია ორი ფერცული.

¹⁴⁸ ღემოსთენე, „პალონენოსისათვის“, 45.

¹⁴⁹ პიპერბოლა – რიტორიკული ფიგურა, რომელიც აძლიერებს საგნისა თუ მოვლენის ძალას, მომას, მნიშვნელობას და ა.შ. მსმენელზე ან მკითხველზე უფრო მძაფრი გემოქმედების მოხდენის მიზნით.

¹⁵⁰ ისოკრატე, „პანეგირიკი“, 8.

სისხლნარევი შლამთან ერთად და, ასე განსაჯეთ, ბევრი ხმალდახმალ იბრძოდა კიდეც მისი გულისთვის.¹⁵¹ მღვთმარეობის გრავიზმში აშკარა და სარწმუნო გახდა ამ აყროლებული, სისხლსა და შლამში არეული წყლის აღწერით, რომლის თითოეული წვეთის დასაუფლებლად ხმალდახმალ ბრძოლა იყო საჭირო.

ასევე აგვიწერს ჰეროდოტე თერმოპილესთან¹⁵² დაცემულ გმირებს „ყველა, ეინც გააფთრებით იყავდა თავს და ხმლით, თუკი ის ვინმესა შერჩენოდა, ან კიდეც შიმველი ხელებითა თუ კბილებით ებრძოდა მგერს, ბარბაროსებმა პირდაპირ ისრებით ჩაქოლეს“.¹⁵³ – კი მაგრამ, – წამოიძახებს განცეიფრებული მკითხველი, – განა შვიძლება კბილებით ებრძოლო თავით ფეხებამდე შეიარაღებულ მგერს? ან სად ვაგონილა ხალხის ისრებით ჩაქოლვა? – დიახაც შეიძლება, – მიუვებთ ჩვენ, – ვინაიდან აღწერილი ამბავი კი არ არის მოგონილი ჰიპერბოლისთვის, პირიქით, თვითონ ჰიპერბოლა იღებს დასაბამს მისგან.

მე ვამბობდი და კვლავაც ვიმეორებ, რომ სიგყვის მეგისმეც სითამამეს ყოველთვის არბილებს და ასაგანს ხდის როგორც მოქმედების უჩვეულო სიმძაფრე, ისე ბობოქარი და ეგზალტირებული ვნება. აი, რაგომაა, რომ თვით კომიკურ გამოთქმასაც კი, რომელიც ხშირად არასარწმუნო ჩანს, მის მიერ გამოწვეული მსიარული სიცილის წყალობით ჩვენ აღვიქვამთ როგორც სარწმუნოს და დამაჯერებელს:

მისი მიწა უფრო ჰაგარაა, ვიდრე სპარტელის წერილი.¹⁵⁴

და მართლაც, სიცილს ხომ სიამოვნება იწვევს კაცში.

ჰიპერბოლებით თანაბრად შეიძლება როგორც რისაზე განდიდება, ისე დაკნინებაც მისი. ორსავე შემთხვევაში მათი არებითი ნიშანია მეგისმეგობა. ასე რომ, აქ სიცილს იწვევს უბადრუკობის გამგვიადება.

XXXIX

ამაღლებულის იმ ხუთი არსებითი ნიშნიდან, რომელიც ჩემი თხზულების დასაწყისში მოვიხსენიე, განსახილველი დაგვრჩა, ჩემო ძვირფასო, მეხუთე ნიშანი, სახელდობრ, სიგყეებისა და წინადადებების თანაკავშირი, მათი ჰარმონიული მთლიანობა და ერთიანობა. მაგრამ რაკი ჩემს ორ სხვა თხზულებაში დაწერილებით მევეზე ამ საკითხს, ამიგომ აქ იმასდა დავსძენ, რომ სიგყეიერი ჰარმონია, თავისი ბუნებით, არა მარტო არწმუნებს და სიამოვნებას ანიჭებს მსმენელს, არამედ ამაღლებულისა და ჭეშმარიტ ვნებათა გამოვლენის განსაკვიფრებელ საშუალებადაც გვევლინება.

როგორც მოგეხსენება, მარტო ფლეიგას როდი ძალუმს ისეთი განცდები აღუძრას მსმენელს, რომელთაც ხელეწიფებათ ცნობა მიძხალონ სულის სიღრმემდე შეძრულს და ბაკეური ექსტამით აღავსონ იგი; მარტო მას როდი შეუძლია საკუთარ რიგმს

¹⁵¹ თუკიიდე, VII, 84.

¹⁵² თერმოპილე („თერმოპილაი“) – ვიწრო ყელი მთაგრეხილ ოიგეს კლდეან კალთება და მალიაკოსის სრუტის ჭაობად ქვეულ სანაპირო ხაზს შორის. ეს იყო ერთადერთი გზა, რომელიც თესალიას ლოკრიდთან აკავშირებდა. აქ 480 წ. (ძე.წ.ა.) სპარტელთა მცირერიცხოვანი რაზმი თავისი მამაყი შუგის ლეონიდეს მეთაურობით სამი დღის განმავლობაში გმირულად უმკლავებოდა სპარსელ დამპყრობთა უმარამარ არმიას, რომელსაც თვით ქსერქსე სარდლობდა. მაგრამ ბოლოს ერთმა თესალიელმა გამყეშმა საყალფეხო ბილიკით წაიყვანა სპარსელები და მურგიდან დაასხა თავს გამაგრებულ სპარტელებს. უთანასწორო შერკინებაში ყველა სპარტელი გმირულად დაყა ბრძოლის ველზე.

¹⁵³ ჰეროდოტე, VII, 225.

¹⁵⁴ უცნობი ავტორის ციტატა. სპარტელები, ანუ ლაკონელები (ლაკედემონელები) ცნობილნი იყვნენ თავიანთი სიგყვაძუნობით. მათივე სახელისგან წარმოსდგება სიგყეები „ლაკონიზმი“, „ლაკონიერი“.

დაუმორჩილოს თვით სრულიად არამუსიკალური მსმენელიც და, ამრიგად, აიძულოს იგი სულისა და სხეულის რიგმული მოძრაობით აკყვეს მისი მომხიბლავი მელოდიის გაქტს. არა, თვით კითარის სრულიად უმინაარსო ბგერებიც კი, ცალკეულ ხმათა მონაცვლეობის, გონების თანაფარდობისა და პარმონიული თანახმიერების წყალობით, უფიცივე მვესს, ჭეშმარიტად გამოაგნებელსა და მომაჯადოებელ შემოქმედებას ახდენენ ჩვენზე.

მაგრამ მუსიკა, ჩვენს სულებზე მთელი თავისი შემოქმედების მიუხედავად, მხოლოდ ყალბი და ხელოვნური მიბაძვაა იმ დაჯერების თუ ღარწმუნებისა, რომლისთვისაც აუცილებელია კაცური ბუნების შეგნებული და გაცნობიერებული ქმედითობა, რაც არაერთგმის აღმინიშნავს ჩემს თხზულებებში. ნუთუ ამის შემდეგ შეიძლება ეჭვი შეგვეპაროს იმაში, რომ სიგყეებისა თუ წინადადებების თანაკავშირიც პარმონიაა, მაგრამ არა ბგერების, არამედ სიგყეების, ესე იგი, იმ ღვთიური ნიჭის პარმონია, რომელიც ნიშნულია მხოლოდ კაცისთვის. ეს სიგყეიერი პარმონია ჩვენს სულში იწვევს უსასრულოდ მრავალფეროვან წარმოდგენებს სახელთა, სამრისთა თუ საგანთა შესახებ. მასშივეა ჩადებული უკვდავი ღვრიგა ყოველივე მშვენიერისა და კეთილხშიერისა, რაც დაბადებითვე თან დაგვეყვა ჩვენ და რაც სამარადისოდ შევისისხლბორცეთ. თავისი თანახმიერი ბგერების ერთიანობის და, იმაღროულად, მრავალფეროვნების წყალობით, ეს პარმონია ორაგორის ბობოქარ ვნებას გადასცემს მსმენელს და, ამრიგად, პარმონიის ჭეშმარიტ სილიადეს ამიარებს მას. განა ამრებისა და სიგყეების ურთიერთშერწყმით ეს სიგყეიერი სიმფონია პარმონიულად არ ეხმიანება ამალლებულს? განა ის მეყესეულად არ ეუფლება ჩვენს ნებას და ყოველწამიერად არ მიგვაქეყევს სილიადის, სიწმინდის თუ სიმაღლის, მოკლედ, ყოველივე იმის მიმართ, რაც ესოდენ ნიშნულია თვითონ მისი ბუნებისათვის? სიმლეგე იქნებოდა ამ უდავო და ეჭვმიუგანელი ჭეშმარიტების უარყოფა, რომლის სისწორე დადასტურებულია მთელი ჩვენი მრავალსაუკუნოვანი გამოცდილებით.

რარიგ მაღალი და ჭეშმარიტად განსაცყეფრებელი გეყჩვენება, მაგალითად, ის ამრი, რომელიც ღემოსთენემ გამოთქევა სახალხო სათათბიროს მიერ გამოგანილი ერთი დადგენილების შესახებ: „ამ დადგენილებამ მთებს იქით გადარეკა ჩვენი ქალაქის თავზე ჩამოწოლილი საფრთხე, როგორც ქარმა – სააღრო ღრუბელი“.¹⁵⁵ სიგყეიერი პარმონია აქ, ჭეშმარიტად ამრობრივი სიმაღლის თანაფარდია და გოლუასი. მთელი ფრაზა დაქტილური რიგმით, ამ უკეთილშობილესი და უდიდებულესი რიგმითაა გამართული, ვინაიდან ის არა მარგო პეროიკული, არამედ უმშვენიერესი სამომიყაა ჩვენთვის ცნობილ ყველა სხვა სამომთა შორის. ახლა ცყადოთ, სხვა ადგილას გადავსვათ სიგყეები: „როგორც ქარმა – სააღრო ღრუბელი“ და, ამრიგად, ეთქვათ: „ამ დადგენილებამ, როგორც ქარმა – სააღრო ღრუბელი, მთებს იქით გადარეკა ჩვენი ქალაქის თავზე ჩამოწოლილი საფრთხე“; ან კიდევ, ერთი მარცვლით შეეამციროთ სიგყეა „როგორც“ და ნაცვლად სინგაგმისა – „როგორც ქარმა“ – ეთქვათ: „ეით ქარმა“. უფიცივე მვესს, ჩვენთვის მყისვე ცხადი გახდება, რომ ამალლებული მთლიანად დამოკიდებულია სიგყეიერი პარმონიისაგან. პირველ სინგაგმაში – „როგორც ქარმა“ – პირველი სიგყეა ორმარცვლიან გერუს ქმნის, ხოლო მეორეში ერთი მარცვლის დაკარგვასთან ერთად დაიკარგა მთელ სინგაგმის ექსპრესიული ძალმოსილებაც. ანალოგიურ შედეგს მივიღებთ, თუ პირველ ორმარცვლიან გერუს ერთ მარცვალს დაუემაგებთ და ვიცყვით: „ეითარყა ქარმა“. შინაარსი უცვლელი დარჩება, მაგრამ დაირღვევა ფრაზის რიგმული მთლიანობა და, მასთან ერთად, ამალლებულის მონოლითური სილიადეც.¹⁵⁶

¹⁵⁵ ღემოსთენე, „გეირგენისათვის“, 188.

¹⁵⁶ სიგყის ესოდენ უგყუარი გრძნობა, ფრაზის რიგმული ბუნების არსში ესოდენ შეუმცდარი წდომა ბერ თანამედროვე ფილოლოგსა და ლიგერატორს შემურღებოდა. აი, როგორ არჩეეს, მაგალითად, წინამღებარე პასაჟს ისეთი კომპეტენტური ნამრომი, როგორიყა «История греческой музыки»

სიგყვა. რომელიც სიმაღლესა და სიღიადესთან თანაზიარებას ისახავს მიზნად, უპირველეს ყოვლისა, ცოცხალ სხეულს უნდა ჰკავდეს ნაწილების ორგანული თანაკავშირით და პარამონიული ურთიერთიმერწყმით. და მართლაც, სხეულის ასოებს ცალ-ცალკე არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნიათ და მხოლოდ ურთიერთკავშირით ქმნიან ორგანულსა და სრულყოფილ მთელს. მუსტად ასევე, საკმარისია შემადგენელ ნაწილებად დაეშალოთ ამაღლებული, რომ მთელი მისი სიღიადეს განქარდება და ნაწილთა შორის განწვალდება, მაშინ როდესაც იგივე ნაწილები, ერთმანეთთან შეერთებულნი და საერთო პარამონიით მჭიდროდ შეკრულნი, დაუყოვნებლივ იძენენ ამაღლებულისათვის ნიშნულ მთლიანობას და პარამონიულ ერთიანობას. ამრიგად, ნაწილთა ორგანული ერთობლიობით განპირობებული სიგყვის საერთო სიმაღლე და სიღიადე შეიძლება ამჟსონთა ნადიმს შევაღაროთ, რომელსაც ფსონით მართავენ ისინი.

ჩვენ ვიცი, რომ ბევრი პოეტი თუ პროზაიკოსი, რომლებსაც ბუნებამ არ მიუბოძა სიმაღლისა და სიღიადის უშუალოდ წვდომის ნიჭი, უპირატესად სულ უბრალო, ყოველდღიურ მეტყველებაში ხმარებულ სიგყვებსა თუ გამოთქმებს იყენებს, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მათი ქმნილებები მდაბალნი და მდაბიურნი კი არა ჩანან ჩვენს თვალში. არამედ – ღიადნი და ამაღლებულნი, რაც, უპირველეს ყოვლისა, სიგყვების ოსტატური შერწყმითა და პარამონიული წყობითაა განპირობებული. ამ მწერალთა შორის დავსახელებთ ფილისტეს,¹⁵⁷ ნაწილობრივ – არისტოფანეს და, რასაკვირველია, ეერიპიდეს.

ასე მაგალითად, ეერიპიდეს ტრაგედიაში პერაკლე, შვილების მკვლელობის შემდეგ ამბობს:

მე იმდენი მხამი მასვეს, რომ მეტს ვეღარც შევსებამ.¹⁵⁸

ეს სავსებით ჩვეულებრივი გამოთქმა აქ ამაღლებული გახდა სიგყვების ოსტატური წყობის წყალობით. საკმარისია სხვაგვარად დავაღაგოთ ისინი და ჩვენ ვნახავთ, რომ ეერიპიდეს ძალმოსილება უფრო ფრამის დახვეწილი ხელოვნებით აგებამს, ვლინდება, ვიდრე მის მინაარსში.

სხვაგან, ხარის რქებზე მიკრული ღირკეს წამებას რომ აგვიწერს, პოეტი ამბობს:

ბრღვეინავედა ხარი, გამმაგებული ეხეთქებოდა ღობე-ყორეს და, ქალთან ერთად, თან მიათრევედა მუხის ხეებს და ვეება ქეებს.¹⁵⁹

ტურს». т. III, М. 1960, стр. 169: «Однако справедливо заметил Гиббон, что понимать это сочинение вследствие обилия фигур и метафор, крайне трудно. Нам, например, невозможно понять, почему в штированном Псевдо-Лонгином месте речи Демосфена «О венке» (гл. 39), если одно слово переставить с своего места на другое или один слог отсечь или прибавить, то исчезнет возвышенность.» არსებობს მუსიკალური სმენა; არსებობს ლიტერატურული სმენაც. ფსევდო-ლონგინუსს ჰქონდა ეს სმენა, რასაც, სამწუხაროდ, ეერ ვიგყვით მის მოგიერთ თანამედროვე ინტერპრეტატორზედაც.

¹⁵⁷ ფილისტე (V – IV ს. ძვ.წ.ა.) – ბერძენი ისტორიკოსი, აწ დაკარგული თხზულების „სიცილიის ისტორიის“ („სიცილიკა“), ავტორი.

¹⁵⁸ ეერიპიდე, „შემღილი პერაკლე“, 1245. პერაკლეს მოძულე ქალღმერთ პერას მიერ ჰკუიდან მემღილი გმირი საკუთარი ხელით ხოცავს საყვარელ ცოლ-შვილს, ხოლო გონს მოსვლის შემდეგ საშინელი დანაშაულით შეძრწუნებული თავის მოკვლას აპირებს.

¹⁵⁹ ციტატა ეერიპიდეს დაკარგული დრამიდან „ანგიოპე“. მითი, რომელიც საუბედად ელო ამ დრამას, შემდეგს გვაუწყებს: თებეს მეფის ასულს ანგიოპეს მევისსაგან შეეძინა ტყუპი ვაჟი – ამფიონი და ძეთოსი. შემინებული ქალი გაექცა მამის რისხეას და სიკიონს შეაფარა თავი, მაგრამ ბიძამ ლიკოსმა შეიპყრო ის და თავის მეუღლეს ღირკეს მიჰგვარა მხეველად. გულქვა ღირკე სასტიკად

აქ ამრი თავისთავადაც ღიადა და ამაღლებული, მაგრამ ის კიდევ უფრო შთამბეჭდავი ხდება იმის გამო, რომ სიგყვიერი პარმონია ერთბაშად კი არ ვლინდება და ვითარდება, არამედ ნელ-ნელა, თანდათანობით. ყოველი წინამდებარე სიგყვა თითქოს მისი მომდევნო სიგყვის ერთგვარ საყრდენად იქცევა, რაც მტკიცედ შეკრული მთლიანობისა და გრძნობად-კონსერვული სიღიაღის შთაბეჭდილებას ქმნის.

XLI

მეორე მხრივ, არაუფერი ისერიგად არ ამაღლებს ამაღლებულ სტილს, როგორც წყვეტილი და სწრაფი მეტრი, ვთქვათ, პირიქი, გროქე ან ლიქორე,¹⁶⁰ რაც მხოლოდ სასეკუარო სიმღერებისთვისაა გამოსადეგი. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ გაბმული რიგებით გამართული ნებისმიერი სიგყვა ნაწეალები, ნაძალადევი, არასასიამოვნო და ვნებისგან დაუღილი ჩანს მისი გულისგამაწვირებელი ერთფეროვნების გამო.

მაგრამ ყველაზე უარესი მაინც ისაა, რომ ამნაირი გაბმული რიგებით გამართული სიგყვები თავიანთი შინაგანი პათოსით როდი აღეგებენ მსმენელს; არა, იმ მსუბუქი და უშინაარსო სიმღერებისა არ იყოს, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ მსმენელის გართობას ისახავენ მიზნად, ისინი მარტოოდენ თავიანთი რიგმულობით იპყრობენ ხოლმე ჩვენს ყურადღებას. ამიგომ ზოგჯერ, რიგმის მიხედვით რომ გრძნობს სიგყვის მოახლოებულ დასასრულს, მსმენელი თითქოს მთლიანად უგულებელყოფს აზრობრივ მხარეს და, მუსტად ისე, როგორც ცეკვის დროს, ცდილობს ფეხების ბრაგუნით აჰყვოს სიგყვის თანაბარ ტაქტს, თითქოს სურს ორაგორს დაასწროს და მასზე ადრე დაასრულოს იგი.

ამაღლებულთან ასევე წილყურელია ვანზრახ დაღვარჭნილი, მეგისმეგად მოკლე სინტაგმებად დანაწევრებული და იმ ადგილებში, სადაც თავს იჩენს ერთგვარი გაუგებრობა თუ გაურკვეველობა, თითქოს ლურსმნებით შეკრული და უხეიროდ შეკოწიწებული ყოველი სიგყვა.

XLII

ასევე ამცრობს და აკნინებს ამაღლებულს ფრაზის მეგისმეგი მოკვეთილობა და სიმოკლე. რადგან ყოველივე ღიადი შეიძლება დაამახინჯო და დაასახინჯო მეგისმეგი შეკუმშულობით. საქმე ეხება არა კეთილგონიერულსა და აუცილებელ სიმოკლეს, არამედ ფრაზის მეგისმეგ დაქუცმაცებას და დანაწევრებას. თუ მოკვეთილობა აბნელებს და აბუნდოვანებს ამრს, კეთილგონიერული სიმოკლე, პირიქით, ხელს უწყობს მის სიცხადეს და უსწრაფეს აღქმას. მეორე მხრივ, ისიც ამკარაა, რომ უსამეველოდ გაგრძელებული და გაჭიანურებული სიგყვა დუნეა, უსიცოცხლო და მომეებული.

XLIII

არანაკლებ ბლაღავენ ამაღლებულს მდაბალი სიგყვები და გამოთქმები. ასე მაგალითად, ქარიშხლის ჰემმარიტად ღეთაებრივ აღწერაში ჰეროდოტე რთავს რაღაც ისეთს, რაც, ვფიქვ მეესს, სრულიად არ შეჰფერის საკუთრივ მისი სიგყვის შინაარსს.¹⁶¹ ერთგან ის ამბობს: „ზღვა აბუყბუყდა“. არაკეთილხშიერი სიგყვა „ბუყბუყი“ ამ ადგილას ამკარად ამახინჯებს ამაღლებულს. სხვაგან ის წერს: „ქარი

აწამებდა ანგიოქეს. როცა ამფიონი და ძეთოსი წამოიზარდნენ, სამაგიერო მიუმღეს ღირქეს: გაველურებულ ხარს რქებზე მიაკრეს და დააფლეთინეს.

¹⁶⁰ პირიქი - ორი მოკლე მარცელისაგან შემდგარი გერფი (-). გროქე, ანუ ქორე - ვრძელი და მოკლე მარცელისაგან შემდგარი გერფი (-). ლიქორე - გერფი, რომელსაც ორი გროქეს ერთობლიობა ქმნის (- - -).

¹⁶¹ ჰეროდოტე, VII, 188.

დაიღალა“.¹⁶² ხოლო ჩაძირული ხომალდის მეზღვაურებს, თურმე ნუ იტყვი, „უსიამოვნო აღსასრული“ ელოდათ.¹⁶³ „დაიღალა“ აქ უაღვილოა და გაუმართლებელი, ხოლო „უსიამოვნო“ ამკარად არ შეესაბამება მომენტის გრაფიკმს“.

ზუსტად ასევე, თეოპოპემ სულ რამდენიმე სიტყვით გააუჟკა ის დიდებული ადგილი, რომელიც ვადმოგვეცემს სპარსელთა მეფის სამშადისს ეგვიპტის წინააღმდეგ გასალაშქრებლად: „აზიის რომელმა ქალაქმა ან რომელმა ხალხმა აღარ აახლა ელჩები მეფეს? ბუნების რა ფასდაუდებელი საბოძვარი თუ ხელოვნების რა ურჩეულისი ქმნილებანი არ უძღვენს მას? რამდენი ფასდაუდებელი ხალიჩა თუ მდიდრული ქლამიდა – ძოწისფერი, ჭრელი, თოვლივით თეთრი; ოქრომკედით ნაქარგი და ძვირფასი ძღვენით პირთამდე სავსე რამდენიმე კარაგი; ურიცხვი სტავრის ფარდავნი და უღბილესი სარეცლები; ვერცხლისა და ოქროს ჭურჭელი – ძვირფასი თევლებით მოოჭვილი და განსაცვიფრებელი ხელოვნებით უხვად შემკული თასები, ფიალები, აზარფემები; ბერძენი თუ ბარბაროსი ოსტატების ნაწრთობი ხმლები. კაცს აყვიფრებდა სასაპალნე თუ სამსხვერპლე საქონლის თვალუწვდენი ჯოგები; ვინ დასთვლიდა სანელებლით სავსე კალათებს, გომრებს, ფუთებს, პაპირუსის გრაფიკებს თუ სხვა საჭირო საგანთა ურიცხვ სიმრავლეს. ახლა ხორცის მარაგს აღარ იკითხავთ? ერთად დახვავებული მამხისა თუ აპოხგის ვეება გროვები შორიდან მთავრეხილს მოავონებდა კაცს“.¹⁶⁴

როგორც ვხედავთ, თეოპოპე, თავისდა უნებურად, სულ უფრო და უფრო დაბლა ეშვება. ნაცულად იმისა, რომ თანდათანობითი გრადაციის გზით მიაღწიოს ახალ სიმაღლეს და სიღიადეს. ამ გრანდიოზული სამშადისის დიდებულ აღწერაში მან მოულოდნელად შემოიგანა გომრები, ფუთები, სანელებლით სავსე კალათები და, ამრიგად, პირდაპირ სამშარეულოში ამოგვაცოფინა თავი. წარმოვიდგინოთ, რომ მთელი ამ ბრწყინვალეების – ოქრო-ვერცხლისგან ჩამოსხმული და ძვირფასი თევლებით მოოჭვილი თასების, ფიალების, აზარფემებისა თუ ოქრომკედრით ნაქარგი კარვების გვერდით ვიდაყამ მართლა დაყარა გომრები, ფუთები და კალათები. რა უამური სანახაობა გადაიშლებოდა ჩვენ თვალწინ! მერწმუნე, ანალოგიურ შთაბეჭდილებას ახდენენ აღწერილობაში ეს სიტყვებიც, რომლებიც ისეთსავე უამურ კონგრასს ქმნიან, როგორც ყვითელი ლაქები – თეთრ მოსასხამზე.

თუმცა ავგორს დიხსაც შეეძლო თავი დაეღწია ამ ნაკლისათვის. ასე მაგალითად, იქ, სადაც იგი ლაპარაკობს მთავრეხილებზე, მამხისა თუ აპოხგის გროვების ნაცულად, მეფეთა სუფრის საკადრი ხორავითა და სურსათ-სანოვავით დაგვირთული აქლემების ქარავანი ეხსენებინა, ან, უბრალოდ, ხორბლის ვეება ხეავეები დაეხატა ჩვენთვის და ორიოდ სიტყვით აღწერა ყოველივე ის, რაც კომფორტისა და ფუფუნების საგნად ითვლება, თუკი მაინცდამაინც აუცილებლად თვლიდა თითოეული წერილმანის გამოწვლილვით განხილვას, აღნუსხვას და დასახელებას.

ამაღლებული სტილი ვერ იგუებს მდაბიურ სიტყვებსა და უწმაწურ გამოთქმებს, თუკი, რა თქმა უნდა, აუცილებლობა არ მოითხოვს ამას. სიტყვის ხმიერება ყოველთვის უნდა ეხმებოდეს მის შინაარსს, ეინაიდან მხოლოდ ამ გზით შეგვიძლია ვბაძავდეთ ბუნებას, რომელმაც, კაცი რომ შექმნა, გამოსაჩენ ადგილას კი არ გამოაბა ის ასოები, რომელთა ხსენებაც, ჩვეულებრივ, სირცხვილად ითვლება, არამედ საგულდაგულოდ დამალა ისინი და, ამრიგად, ქსენოფონტეს სიტყვებით რომ ვთქვათ,¹⁶⁵

¹⁶² ჟეროლოტე, VII, 191.

¹⁶³ ჟეროლოტე, VIII, 13.

¹⁶⁴ ისტორიკოს თეოპოპემ (IV ს. ძვ.წ.) თხზულებებიდან შემორჩენილია მხოლოდ ფრაგმენტები. ფსედო-ლონგინუს გრაქტაგმი მოგანილ ფრაგმენტს იხსენიებს ათენაიოსის თავის „სოფისტთა ნაღიმში“, II, 67f.

¹⁶⁵ ქსენოფონტე, „მოგონებები სოკრატეზე“, I, 4, 6-7.

მგერისაგან განარიდა ყველა ეს არხი, რათა არაფრით შეებღალა თავისი ქმნილების მშენიერება.

მაგრამ რა საჭიროა ყოველივე იმის დაწვრილებით ჩამოთვლა, რაც ამდაბლებს ამაღლებულ სტილს? მე უკვე გამოწვლილვით განვიხილე ყველა ის ხერხი, რომელიც ხელს უწყობს სიგყვის სიმაღლეს და სიღიადეს. მამასაღამე, ჩვენ შევეიძლია ყოველგვარი მტკიცების გარეშე დავასკენათ, რომ ის, რაც თავისი არსით უპირისპირდება ყველა ამ ხერხს თუ საშუალებას, დასაბამს აძლევს მღბალს, უგვანსა და უკეთურ სიგყვას.

XLIV

ახლა კი, ჩემო საყვარელო გერენგინე, ისღა დამრჩენია, რომ შენი დაუოკებელი ცნობისწადილის დასაკმაყოფილებლად, გულდასმით განვიხილო კიდევ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ამასწინათ გადასაწყვეტად შემომთავაზა ერთმა ცნობილმა ფილოსოფოსმა,¹⁶⁶ ის ამბობს:

„მე, ისევე როგორც ბევრ ჩვენგანს, დიღად მაკვირებს ის ამბავი, რომ ჩვენს ღროში შეიძლება შეხედვ არა ერთ მაღალნიჭიერ და მრავალმხრივ განსწავლულ კაცს, რომელთაც თავიანთი მჭვერმეგყველებით ხელეწიფებათ ჭეშმარიტი სიამონება მოგვანიჭონ. მაგრამ მათ შორის, რამდენიმე იშვიათი გამოწაკლისის გარდა, ძნელად თუ პპოვებ ჭეშმარიტად დიღბუნებოვანსა და სულიერ სიღრმეთა თუ სიმაღლეთა წვდომის ნიჭით ცხებულ ნატურებს. ხოლო მაღლად მხედთა და, მათთან ერთად, ამაღლებულის თითქმის უკეალოდ გაქრობა ჩვენი ბერწი ეპოქის წყველად და საყოველთაო უბედურებას იქცა.

რა ექნათ, ხომ არ ვაღიაროთ იმ მოარული ამრის სისწორე, რომლის მიხედვითაც მხოლოდ დემოკრატია შობდა დიად შემოქმედთ, რომელნიც მისი წყალობით აღწევდნენ თავიანთი შემოქმედებითი ძალების სრულ გაფურჩქენას და რომელნიც შემდეგ მის კეაღაკეალ ჩავიდნენ საფლავეში, მის დამხოხასთან ერთად მიებარნენ მიწას. იმასაც ამბობენ, რომ მხოლოდ თავისუფლება მრდის, ამაღლებს და სიღიადეს ანიჭებს კაცთა სულებს, მხოლოდ თავისუფლება უნერგავს მათ შემოქმედებითი ურთიერთშეჯობრის, შემოქმედებითი ქიშპობისა და მეტოქეობის ბუნებრივ გრძნობას. რათა პირველობის მოხვეჭისათვის საბრძოლველად აღძრას ისინი.

მაღალი ჯიღლო, რომელსაც დემოკრატია ანიჭებს თავის დიდ ორატოროთ, ახალი სიმაღლეების წვდომად აქემებს, ყოველგვარი მწიკელისგან წმენდს და არნახული ძაღით აბრწყინებს მათ ნათელ სულებს. ჩვენ კი – ბედკრულინი და სეველეისილინი – სიყრმითგანვე მეგეაჩვიეს მონობის უღელს. ჩვენ თითქოს დღდის რძესთან ერთად შევიწოვეთ და შევისისხხორსკეთ მონური ჩევეები და აღათ-წესები. ხოლო ის, ვისაც ერთხელაც არ უგემნია თავისუფლება, ვინც ერთხელაც არ დასწაფებია სულიერი სიმაღლისა და სიღიადის ამ უწმინდესსა და უცხოველესმყოფელეს წყაროს, ჩემი ღრმა რწმენით, შეიძლება იყოს არა დიდი შემოქმედი, დიდი მწერალი, არამედ მხოლოდ დიდი ქვემეთრევი, დიდი პირმოთხე.

ჩვენ ვიცით, რომ მონადშობილიც კაცია; მას თავისი ინტერესები, თავისი მისწრაფებები აქვს და ზოგიერთი ამ მისწრაფების ხორცშესხმისათვის საჭირო ძაღიც შესწევს. მაგრამ მონა ვერასოდეს ვერ გახდება ორატორი ანდა მწერალი. თავისუფალი სიგყვის შიში, როგორც დიღევის მარად ფხიზელი მცველი – თავის უმწეო გყვეს, ხელად შეიპყრობს, ხელ-ფეხს შეუკრავს და ფრთებს შეაჭრის მას,

¹⁶⁶ გერმანელი მეცნიერის ე. ნორდენის ამრით, აქ შეიძლება იგულისხმებოდეს ფიღონ ალექსანდრიელი, რომელიც 39 წ. (ახ.წ.ა.), ოთხ ალექსანდრიულ ებრავლთან ერთად, ეღჩად წავიდა რომს, რათა იმპერატორ კალიგულასათვის თავის შევიწროებულ თვისგომთა საჩივარი მიერთმია.. საყურადღებო ამრია, მაგრამ მინც სათუო და პიპოთეკური.

მონობის მძიმე კირთების ქვეშ გამუდმებულ გვემასა და ვოდებას ნაჩვევს. პომეროსის თქმისა არ იყოს,

უსიხარულო მონობის მძიმე გირთოს რომ არგუნებს წილად, გვესი მისი ღირსებების უკეთეს ნაწილს სპობს კაცში.¹⁶⁷

თუკი მართალს გვეუბნებიან იმ ჯუჯებისთვის, რომლებსაც, ჩვეულებრივ, პიგმეებს უწოდებენ.¹⁶⁸ მაშინ თვით ყველაზე მსუბუქი მონობაც კი შეიძლება შეეადართო მხოლოდ იმ კუბოსავით ვიწრო კილობნებს, რომლებშიაც სირყმითგანვე წვანან ისინი, რათა მეტად აღარ იზარდონ. მსუთავი არგახები ბოჭავენ და ჭყლეტენ ამ ჯუჯების სხეულს, ამახინჯებენ და ასახინჯებენ მათ. მუსტად ასევე, ნებისმიერი მონობაც კაცისთვის ის კილობანია, რომელშიაც, როგორც დილეგში, გამომწყვდეულია მისი სული, ხოლო დილეგში ყოფნა ამახინჯებს, ამდაბლებს და ასაპყრებს სულს“.

მაგრამ აქ მე სიტყვა გავაწყვეტინე ფილოსოფოსს და, ჩემი მხრივ, ასე მივეუცე მას:

ჩემო ძვირფასო მეგობარო, კაცთათვის უკვე ჩვევად იქცა თავიანთი თანამედროვეებისა და თანამედროვეობის განუსჯელად გმობა. მაგრამ დაუიქრდი: მშვიდობის დღევანდელი საყოველთაო სუფევა ხომ არ არის მალლად მხედთა აშკარა უკმარობის მიზეზი, ან, უფრო მუსტად რომ ვთქვათ, მშვიდობის სუფევა კი არა, იმ მარადიული ომის გრიგალი, რომელიც მოსვენებას არ აძლევს, გამუდმებით ამღვრევს და აბორგებს ჩვენი სურვილებს თუ ქენა გრძნობებს? ან, იქნებ, ამის მიზეზი, ვფიცავ გეცს, ჩვენი მდაბალი ვნებებია, რომლებიც ყოველი ფეხის ნაბიჯზე გვითვალთვალებენ, მახეს გვიგებენ, გვატყვევებენ და გვიმონებენ. ვერცხლის მოყვარეობამ და განცხრომისაკენ დაუოკებელმა ლტოლვამ შერყენეს, შებილწეს ჩვენი სიწმინდე და ბიწიერების უსკრულში გადაისროლეს იგი. რადგან არ არსებობს უფრო ბილწი ვნება, ვიდრე ანგარება და უფრო საშარცხინო, ვიდრე განცხრომის მშავი წყურვილი.

მე ვერ წარმომიდგენია, როგორ შეძლებს ის, ვინც ქელს იხრის სიმდიდრის წინაშე, ან, უფრო სწორად, თავის კერპად სახაეს, აღმერთებს და თავყვანს სცემს მას, თავი მოიბლუდოს მორჭმულების თანმხლებ ბილწ ვნებათაგან. ვინაიდან უზომო და ულევ სიმდიდრეს ყოველთვის თან სდევს მისი ასევე უზომო ხარჯვა, მულანგველობა და ხელგამლილობა. როგორც კი სიმდიდრე ქალაქის ბჭესა თუ სახლის კარს შეაღებს, მასთან ერთად ხელგამლილობაც შეიპარება შიგ და სამუდამოდ იქ დასახლდება. ცოგა ხნის შემდეგ ეს ღირსეული წყვილი, ბრძენკაცთა სიტყვით რომ ვთქვათ, ბუდეს იკეთებს და სულ მალე ბარგყებსაც ჩეკს; და, აჰა, უბადრუკ ნაბუშრებად კი არა, მათ კანონიერ მემკვიდრებად გვევლინებიან ცუდმედილობა, ქედმაღლობა და ფუფუნება. ვაი მას, ვინც თავისუფლად ზრდის ნებას მისცემს მორჭმულების ამ უძღებ შევილებს: ისინი მოწიფულობისთანავე იწყებენ გამრავლებას და კიდევ უფრო ხარბსა და სასტიკ დესპოტებს მობენ კაცის სულში – ძალმომრეობას, უგითრობას, უკანონობას.

ეს პროცესი ჭეშმარიტად გარდუვალია; კაცნი, რომელთაც შეიმიზღვს სიქველე, ვეღარასოდეს დაიბრუნებენ თავიანთ დაკარგულ დიდებას და კეთილ სახელს. მათი სულიერი სიდიადე თანდათანობით კნინდება, ჭკნება და ქრება, ხოლო მათი ბიწიერი ცხოვრების წრე საბოლოოდ შეიკვრება სიკედლის მსახვრალი ხელით. უკუსაქცევი გზა საბოლოოდ მოჭრილია მათთვის, ვინაიდან ისინი ისე ჩამყაყდნენ თავიანთ

¹⁶⁷ „ოდისეა“, XVII, 322.

¹⁶⁸ რომაელ იმპერატორებსა და დიდებულებს კარის სხვა მსახურთა შორის კყადათ ხოლმე პიგმეებიც – მასხარა ჯუჯები. ეს ქონდრისკაცები, განმორჩილობის გარდა, ხშირად თავიანთი ფიზიკური სიმახინჯითაც გამოირჩეოდნენ, ხოლო ამ სიმახინჯეს მათი ხელოვნური დასახინჯების გზით აღწევდნენ ხოლმე. სევეტონიუსის მოწმობით, ეს მოღა ავეგუსტუსმა დანერგა რომში.

სიბილწეში, ისე დაემონენ ხორციელ ვნებებს, რომ აღარ ძალუძთ თავი მიუძღვნან და მისდიონ მას, რაც უკვდავებას ამიარებს მოკვდავ ბუნებას.

თუნდაც ერთხელ მოსყიდული და მოქრთამული მსაჯული ვერასოდეს ვეღარ შეძლებს საქმის მიუკერძოებელ გარჩევას, ვეღარ შეძლებს თამამად და თავისუფლად დაიჭიროს სამართლიანობისა და პატიოსნების მხარე, ვინაიდან ყოველი მექრთამე სამართლიანად და პატიოსნად მიიჩნევს მხოლოდ იმას, ვისგანაც რაიმე სარგებელს გამოელის. ამ ჩვენს დაწყველილ დროში ყველას ქრთამზე უჭირავს თვალი, ყველა მმაკერობისა და ცბიერების ქსელს ხლართავს, ყველა მხოლოდ იმაზე ფიქრობს, როგორ უმუხტლოს მისსავე მოყვასს, ანდა როგორ დაეუფლოს სხვის ანდერძს თუ აელა-დიდებას. ჩვენ ყველანი ერთგული მონებივით ექმსახურებით ჩვენს ანგარებას და მზად ვართ მისი გულისთვის დაეაგირაოთ და არა მარტო დაეაგირაოთ, გაეყიდოთ კიდევ ჩვენი სულეები. ვინ დაიჯერებს, რომ სიბილწისა და სისასტიკის ამ თავაწყვეტილ თარეშში შეიძლება აღმოჩნდეს მიუკერძოებელი და სამართლიანობის მაღალი მრწამსით შთაგონებული მსაჯული, რომელიც შეძლებს ვაეკაცურად გაუძლოს საცთურს, ხელი არ ახლოს შეთავაზებულ ქრთამს და, ამრიგად, გამარჯვებული გამოვიდეს საკუთარ ანგარებასთან ჭიდილში.

და რაკი რაც ვართ, ესა ვართ მხოლოდ, ათასწილ გვიჯობს მონებად დაერჩეთ და ზურვი ვაქციოთ თავისუფლებას. აბა, სცადე და თავისუფლება მიანიჭე ჩვენს მდაბალ ვნებებს! რკინის გალიიდან თავდაღწეული მხეცებივით ეტგერებიან ისინი ჩვენსავე მოყვასთ და მთელი სამყარო დაინთქმება გამძვინვარებული ვნებების აღში.

მეორე მხრივ, ისიც აშკარაა, რომ ჩვენი ბუნებრივი ნიჭიერება დღეს უაზროდ ჭკნება და ხმება იმ ჭეშმარიტად საყოველთაო მცონარების გამო, რომელსაც, რამდენიმე იშეიათი გამონაკლისის გარდა, უკლებლივ მისცემია ყველა დიდი თუ პატარა სული. და მართლაც, რომელი ჩვენგანი არჩევს მოყვასთათვის ზრუნეასა და საზოგადო სიკეთისთვის თავდადებულ შრომას პირად სარგებლობას თუ მსწრაფლწარმაველ სიამოვნებას?!

მაგრამ უმჯობესია მოვეშვათ ამას და გადავიდეთ იმ პათოსზე, რომლისთვისაც, დაპირებისამებრ, მთელი ახალი თხზულება უნდა მიმეძღვნა.

პათოსის წვლილი ნებისმიერ ნაწარმოებში ამაღლებულის წილად მოდის...

თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ



საკუთარ სახელთა ბანმარტბები

ბ

აბე – ქალაქი ფოკასში, რომელიც ცნობილი იყო თავისი გაძრებით.

აბავე – თებეს მეფის, პენტევისის დედა, რომელმაც ირწმუნა დიონისეს ღვთაებრიობა და ბაკურ ექსტაზში მოკლა თავისივე შვილი, პენტევისი.

აგამემნონი – აგრევისის ძე, მენელაოსის ძმა, კლიტემნესტრას მეუღლე, ორესტის, ელექტრას, იფიგენიასა და ქრისოთემისის მამა, ბერძენთა მხედართმთავარი ტროას ომში.

აგენორი – ფინიკიის მეფე, კადმოსის მამა.

აღმეგოსი – თესალიელი გმირი, არგონავტების ლაშქრობის მონაწილე.

აღონისი – ფინიკიური ღვთაება, რომელიც განასახიერებს მომაკედავ და კელავ აღორძინებად ბუნებას; მშვენიერი ახალგაზრდა, აფროდიტეს და პერსეფონეს რჩეული, რომელიც ზევის ნებით, წლის ნაწილს აფროდიტესთან აგარებდა, ნაწილს პერსეფონესთან. იგი, გახმა დაგლჯა რა ნადირობისას, ყვავილად (ეარიანტი – მირტის ხე) გარდაიხსა.

აღრასტოსი – ერთ-ერთი იმ შვიდ მხედართმთავართაგან, რომლებმაც გაილაშქრეს თებეზე.

აღრასტა – ფრიგიული ღვთაება, ზევისის აღმზრდელი, მას რეა-კიბელესთან აიგივებდნენ.

აელისი (აელიდი) – ქალაქი ბეოტიაში, სადაც ტროაზე გალაშქრების წინ თავმოყრილი იყო ბერძენთა ლაშქარი.

აეგოლიკოსი – პერმესის და ქიონეს ძე, ოდისეისის პაპა, მაკყუარა და გაიძვერა გმირი, რომელიც ფლობდა გარდასახვის უნარს.

აეგონოე – კადმოსისა და პარმონიას ასული, აქტეონის დედა.

ათამასი – ქ. ორქომენოსის მბრძანებელი, მეფე ეოლოსის ძე, ღრუბელთა ღვთაების, ნეფელეს სატრფო, ფრიქსოსისა და პელეს მამა.

ათენა – სიბრძნის, სამართლიანი ომებისა და კეთილკანონიერების ღვთაება; დაიბადა ზევისის თავიდან. მისი ეპიკლესებია: გრიგონიდა, პალასი და სხვა.

ათონი – მთა მაკედონიის მისადგომებთან.

აია – კოლხეთის უძველესი სახელწოდება.

აიასი (აიაქსი, აიანტი) – ტროას ომის მონაწილე ორი გმირის სახელი: 1. აიას ტელამონის ძე, სალამისის მეფისწული; 2. აიას ოილეისის ძე, ლოკრისის მეფისწული.

აიეგი – პელიოსის ძე, აია-კოლხეთის მბრძანებელი, მელეს მამა.

ალექსანდროსი (ალექსანდრე) – იხ. პარისი.

ალკმენე – თებეს მეფის, ამფიგრიონის მეუღლე, რომელსაც თანაეყო ზევსი, ამ კაემირისგან დაიბადა პერაკლე .

ალფეოსი – მდინარე პელოპონესოსში; ამავე მდინარის განმასახიერებელი ღვთაება.

ამალთეა – თხა, რომელმაც თავისი რძით გამოკვება ზევსი კუნძულ კრეტამზე. როდესაც მას რქა მოგყდა, ზევსმა იგი „სიუხვის რქად“ გარდასახა. ხოლო როდესაც ამალთეა გარდაიყვალა, მისი ტყავისგან დაამზადეს ზევსის ფარი.

ამონი – მზის ძველევგიპტური ღვთაება, ელინისტურ რელიგიაში მას ზევსთან აიგივებდნენ.

ამორძალები (ამაძონები) – ლეგენდარული მებრძოლი ქალები.

ამფილოქოსი – ამფიარაოსის ძე, ელენეს ერთ-ერთი საქმრო, ტროას ომის მონაწილე.

ამფიონი – თებეს მეფე, ზევსისა და ანტიოქეს ძე, ნიობეს მეუღლე.

ამფიგრიგე – ნერვიდა, ნერევის ასული, პოსეიდონის მეუღლე.

- ამფიგრონი – თებეს მეფე; პერაკლეს დედის, ალკმენეს მეუღლე.
- ანაპოსი – მდინარე სიცილიაზე, მიედინებოდა ქ. სირაკუსას მახლობლად.
- ანდრომაქე – გროას მეფისწულის, პექტორის მეუღლე, ასტიანაქსის დედა.
- ანტენორი – გროელთა ერთ-ერთი ბელადი, პრიამოსის მრჩეველი, რომელიც მოითხოვდა, დაებრუნებინათ ელენე აქაველთათვის.
- ანტენორიდი – ანტენორის ძე.
- ანგიოპე – თებეს მეფის, ნიქტევის (ვარიანტი – მდინარის ღმერთის, ასოპოსის) ასული. ზევსისგან შვა გყუპები: ძეგესი და ამფიონი. მამის რისხვისგან თავი რომ დაეღწია, გაიქცა სიკიონში, სადაც ცოლად გაჰყვა მეფე ეპოტეუსს.
- ანუბისი – მისეალებულთა ღვთაება ძველევკვიპტურ მითოსში.
- ანჟიზისი – ქ. დარდანოსის (მცირე აზია) მეფე, აფროდიტეს საყვარელი. მათი გრუბობის შედეგად იშვა ენეასი.
- აპოლონი – სინათლის, ხელოვნების, კანონიერების ღვთაება, წინასწარმეტყველი; ზევსისა და ლეტოს ძე.
- არაქნე – (სიტყვ. „ობობა“) ხელოვანი, მქსოველი, რომელმაც შეჯიბრში გამოიწვია ათენა. ქალღმერთმა იგი ობობად გარდასახა.
- არვი(ე)ლები – ქ. არგოსის მოქალაქენი, ბერძნები.
- არგო – სახელწოდება იმ ხომალდისა, რომლითაც არგონავტებმა იმოგზაურეს კოლხეთში.
- არგოსი – 1. ქალაქი პელოპონესოსში, 2. გეას (დედამიწის) ძე, ასთეალა გიგანტი.
- არგოსისმკვლეელი – პერმესი.
- არესი – ომის ღვთაება, ზევსისა და პერას ძე.
- არეთუსა – 1. ნიმფა, არგემისის მსლებელი. 2. წყარო სიცილიაზე.
- არიადნე – კრეტის მეფის, მინოსის ასული, რომელმაც თესევსს მისცა გორგალი („არიადნეს გორგალი“); დიონისეს მეუღლე.
- არიმასპები – სკვითების მოდემის ზღაპრული გომი.
- არკადია – მთიანი მხარე პელოპონესოსის ცენტრალურ ნაწილში.
- არგემისი – ნადირობის ღვთაება, ზევსისა და ლეტოს ასული, აპოლონის და.
- ასკლეპიოსი – ექიმი-ღვთაება, აპოლონის ძე, ქირონის აღზრდილი. მიცვალებულთა გაყოცხლებისთვის ზევსმა სიკვდილით დასაჯა. ასკლეპიოსის სამსხვერპლო მღებარეობდა ეპიდავროსში.
- ასტიანაქსი – პექტორისა და ანდრომაქეს ძე.
- ასოპოსი – მდინარე; ამავე მდინარის განმასახიერებელი ღვთაება.
- ატალანტა – კალიდონის ნადირობისა და არგონავტების ლაშქრობის მონაწილე. მასზე დაქორწინების მსურველთ სრბოლაში ეჯიბრებოდა და დამარცხებულს შუბს სტყორცნიდა. მელანიპოსმა ატალანტა მოხერხებით დაამარცხა. სრბოლისას იგი გზაზე ოქროს ვაშლებს ყრიდა, რომელთაც ქალწული კრეფდა, რის გამოც ჩამორჩა.
- ატლასი (ატლანტი) – გიგანტი, იაპეტოსისა და ოკეანიდა კლიმენეს ძე, პრომეთეს ძმა.
- ატრევსი – მიკენის მეფე, რომელმაც თავისი ძმის, თიესტესის შვილები მოკლა და მას მათივე ხორციით გაუმასპინძლდა.
- აგრიდები – ატრევსის ვაჟები: აგამემნონი და მენელაოსი.
- აგისი – ფრიგიული ღვთაება, მშვენიერი ვაჟი, რეა კიბელეს რჩეული.
- აფროდიტე – სიყვარულისა და მშვენიერების ღვთაება; დაიბადა ზღვის ქაფისგან (ვარიანტი: ზევსისა და დიონეს ასული). მისი ეპიკლესებია: კიპრისი (კიპრიდა), კითერეა, პაფია და სხვა.
- აქაველები – ელინთა ადრეული სახელწოდება.
- აქელოოსი – ამავე სახელწოდების მდინარის ღვთაება; ოკეანოსის ძე, რომელსაც შეეძლო მრავალი სახის მიღება.
- აქერონი – მდინარე ჰადესში.
- აქილეუსი – გროას ომის გმირი, მირმიდონელთა მეფის, პელეუსისა და ზღვის ღვთაება თეტისის ვაჟი.

აქტონი – ცნობილი მონადირე, რომელიც არტემისმა კადნიერების გამო გარდასახა ირმად, რათა თავისივე ქოფაკებს დაეგლიჯათ.

ბ

ბაკოსი (ბახუსი) – დიონისეს მეტსახელი.

ბაკოსის დედა – სემელე.

ბაქტრია – ძველი სპარსეთის ერთ-ერთი მხარე.

ბელეროფონი – ბერძნული მითოსის გმირი, რომელმაც ფრთოსანი რამის, პეგასოსის დახმარებით დაამარცხა ურჩხული ქიმერა. მან სხვა საგმირო საქმენიც აღასრულა, რის გამოც ღმერთების კეთილგანწყობა დაიმსახურა. ხოლო როდესაც პეგასოსზე ამხედრებულმა ოლიმპოსზე ასულა განიზრახა, მევს-მა ამ თავსედობისთვის მკაცრად დასაჯა: გაამზავა რამი, რომელმაც თავისი მხედარი მიწას დაანარცხა. ბელეროფონი დაკოჭლდა, დაბრმავდა და სიკვდილამდე კლდე-ღრედ ეხეტებოდა.

ბიბლოსის მთები – ბიბლოსი, ქალაქი ფინიკიაში.

ბითონები – თრაკიული გომი ჩრდილო-დასავლეთ მცირე აზიაში.

ბოსფოროსი – 1. თრაკიული, ამჟამად ბოსფორის ყურე; 2. კიმერიული, ამჟამად ქერჩის სრუტე.

ბრიაროსი – ასხელა გოლიათი.

ბრისეისი (ბრიზიდა) – აქილევსის ხასა.

ბრომიოსი – „ხმაურიანი“, დიონისეს ზედწოდება.

ბ

გალათა – ნერეიდა, ზღვის ღვთაება ნერეუსის ასული.

განიმედესი – გროას მეფისწული, რომელიც მოიტაცა ზევსმა და ოლიმპოსზე დაასახლა.

გარგარონი – იდას მთის მწვერვალი.

გეა – ღელამიწის ღვთაება, ურანოსის მეუღლე (გაია).

გერიონი – სამთავიანი მითოსური გოლიათი.

გორგოები (გორგონები) – სამი და (ურჩხულები), რომელთა მგერით ადამიანები ქეაედებოდნენ. მათგან უმცროსი, გორგო-მედუზა, მოკლა პერსეუსმა.

გორგოს (გორგონას) გბა – გბა კორინთოს ყელთან.

გორგოპი (გორგოპისი) – გბა კორინთოს მახლობლად.

გრაიები – ფორკისისა და კეტოს სამი ნათელმზილველი ასული. სამთავეს დაბადებიდან ჰქონდა ერთი კბილი და ერთი თვალი, აგრეთვე თეთრი თმა (გრაიები ანუ „ბებრები“).

დ

დაიმონი – ღვთაება, როგორც კეთილი, ასევე ბოროტი. მოგვიანებით უარყოფითი მნიშვნელობა შეიძინა (დემონი).

დანაელები – ამ სახელით მოიხსენიებს ჰომეროსი ბერძნებს.

დანაიდები – არგოსის მეფის, დანაოსის (ეგვიპტოსის ძმის) ორმოცდაათი ასული. მათ არ ისურვეს დაქორწინება ბიძაშვილ ეგვიპტილებზე და ქორწინების პირველ ღამეს დახოცეს ისინი. ამის გამო დანაიდები პადესში იხდიან სასჯელს: უძირო ქვევრს ავსებენ წყლით („დანაიდების ქვეერი“).

დანაე – არგოსის მეფის, აკრისიოსის ასული.

დარდანელები – იგულისხმებიან გროელები.

დარდანოსი – ზეუსის ძე, გროას მეფეთა წინაპარი.

დაფნე – ნიმფა, გეასა და მდინარის ღვთაება პენტეუსის ასული; გაურბოდა რა შეყვარებულ აპოლონს, დაფნად გარდასახული, აპოლონის წმინდა ხელ იქცა.

დაფნისი – მწყემსი, ბუკოლიკური პოემის ლეგენდარული ფუძემდებელი, პერმესის ძე.

- დედალოსი – ლეგენდარული ათენელი ხელოვანი; მან კუნძულ კრეტაზე მეფე მინოსს მინოტავროსისათვის აუგო ლაბირინთი, სადაც მოგვიანებით თავად აღმოჩნდა ვაჟიშვილთან ერთად. ლაბირინთიდან თავის დასაღწევად დედალოსმა გამოიგონა ფრთები და იკაროსთან (ვაჟთან) ერთად გაფრინდა.
- დეკალიონი – პრომეთეს ძე, პირას მეუღლე. დეკალიონი და პირა მოკვდავთა ერთადერთი წყვილი იყო, რომელიც მსოფლიო წარღვნის შემდეგ გადარჩა. მათგან დაედო სათავე ადამიანთა ახალ მოდგმას.
- დეიფობოსი – პრიამოსის და ჰეკუბეს ვაჟი, ქექტორის ძმა.
- დელოსელი – ივლისისმება აპოლონი.
- დელოსი – კუნძული ეგეოსის ზღვაში, ითვლებოდა აპოლონის ადგილის დედად.
- დელფოსი – სრულიად ბერძნული სიწმინდე ფოკისში, სადაც მდებარეობდა აპოლონის ტაძარი.
- დემეტრე – მიწათმოქმედებისა და ნაყოფიერების ქალღმერთი, ზევსის და, პერსეფონეს დედა.
- დემოდოკოსი – ბრმა მომღერალი ფეაკთა მეფე ალკინოოსის საბრძანებელში.
- დიკე – ზევსისა და თემისის ასული, სიმართლისა და მართლგანგებების ქალღმერთი.
- დიომედესი – არგოსის მეფე, გიდეუსის ძე, ადრასტოსის შვილიშვილი, გროას ომის მონაწილე, რომელმაც დაჭრა აფროდიტე და არესი.
- დიონისე – ზევსისა და სემელეს ძე; ნაყოფიერების, ღვინისა და ექსტაზის ღვთაება.
- დიოსკურები – პოლიდეკესი და კასტორი; ლედასა და გინდარეოსის ვაჟები, ელენესა და კლიტემნესტრას ძმები, გყუპები. მზღლეაურთა მფარველი ღვთაებები.
- დირკე – წმინდა წყარო თებუში.
- დოდონე (დოდო) – ადგილი ეპიროსში, სადაც მდებარეობდა უძველესი ორაკული და ზევსის წმინდა ტაძარი.
- დორიელები – საბერძნეთის მოსახლეობის ერთ-ერთი დიდი ჯგუფი თავდაპირველად ცენტრალურ საბერძნეთში, შემდეგ სამხრეთით.
- დრიასი – 1. ლაპითა ბელადი; 2. ლიკურგოსის მამა.
- დრიალები – ტყის ნიმფები.

ქ

- ეაკიდი – ეაკოსის ბაღში, აქილეუსი.
- ეაკოსი – ზევსის ძე, ტელამონის და პელეუსის მამა; მიწისქვეშა სამეფოს მსაჯული.
- ეგეუსი – ათენის მეფე, პანდიონის ძე, თესეუსის მამა.
- ეგისი (ეგიდა) – „თხის ტყავი“; თხა ამაღლეთას ტყავისგან დამზადებული ფარი, ზევსისა და ათენას აკრიბუტი.
- ეგიოქოსი – ზევსის ეპიკლესა.
- ეგიპლანქტონი – „მთა, რომელზეც ძოვენ თხები“ მეგარას მახლობლად.
- ეგისტოსი (ეგისტე) – კლიტემნესტრას საყვარელი, აგამემნონის მკვლელი. თიესტესის ძე.
- ეგობია (ეგეა) – 1. ეგეოსის ზღვის ყველაზე დიდი კუნძული. 2. სიცილიაზე ეგობიას ქალკისიდან გადმოსახლებულთა მიერ დაარსებული ქალაქი.
- ეგმენიდები – კეთილმოსურნე ღვთაებები. ეგმენიდებად გარდაისახნენ ერინიები (იხ.), რაც ასახულია ესქილეს „ორესტეაში“.
- ეემოლპიდები – ეემოლპოსი, ელევსინის მისტერიების დამაარსებელი. ეემოლპიდები წარმოადგენდნენ ამ მისტერიათა მსახურებს.
- ეერიბაგოსი – ოდისეუსის მაცნე.
- ეერიდიკე – 1. ლეგენდარული მომღერლის, ორფეუსის მეუღლე; 2. თებეს მბრძანებლის, კრეონის მეუღლე.
- ეერიკლეა – ოდისეუსის ძიძა.
- ეერიპილოსი (ეერიპილე) – 1. ტელეფოსის ძე, გროელთა მეკავშირე; 2. აქაველი მებრძოლი, რომელიც ქექტორს და პარისს ეომებოდა.
- ეერიპოსი – ზღვისპირი ეგობასა და ბეოგიას შორის.

მკრისთევისი – მიკენისა და გირინისს მეფე, რომელსაც ემსახურებოდა პერაკლე.
 მკრიტიონი – კენტავრი, რომელიც ცდილობდა პირითოსის მეუღლის, პიპოდამეას მოტაცებას.
 მკრიგოსი – ექალისს მეფე; მისმა ძემ, იფიტოსმა ოდისეუსს უბოძა მშვილდი.
 მკროპე – ფინიკიელი დედოფალი, აგენორის ასული, კადმოსის და. ხარად გარდასახულმა ბევსმა მოიტაცა ეეროპე და კრეტაზე დააყენა. აქ იმენენ მინოსი, სარპედონი და რადამანთისი.
 მკროსი – სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარი.
 მკთერი – ღმერთების ადგილ-სამყოფელი, სიერსე ცასა და მიწას შუა.
 მკთიოპები – ხალხი, რომელიც დედამიწის დასალიერში მოსახლეობდა, იქ, სადაც მზე ყველაზე ახლოს იყო მიწასთან; ხალხი, რომელიც უყვარდა ღმერთებს.
 მკთრა – გროძენის მეფის ასული, ეგეუსის მეუღლე, თესეუსის დედა, რომელიც დიოსკურებმა მოიტაცეს და ელენეს მხეველად დაუყენეს.
 მკირენე (ირენე) – მშვიდობის ღმერთი.
 მკლენე – ბევსისა და ლედას ასული, მოკვდავ ქალთაგან ულამაზესი, სპარტის მეფე მენელაოსის ცოლი, რომელიც მოიტაცა გროას უფლისწულმა პარისმა. ასე დაიწყო გროას ომი.
 მკლინოსი – დეუკალიონისა და პირას ძე, პრომეთეს ბადიში, ელინურ გომთა (ეოლიელთა, დორიელთა და იონიელთა) მამამთავარი, ელადის ეპონიმოსი.
 მკლიმიონი – მშვენიერი ჭაბუკი, რომელიც ღმერთებმა მარადიული ძილით მიაძინეს; სელენეს (მთვარის) ან არტემისის სატრფო.
 მკნეასი – აფროდიტესა და გროელი (დარდანოსის მეფის) ანქისესის ვაჟი, გროას ომის გმირი, რომელთა მითოსური მამამთავარი.
 მკნიალიოსი – იგივე არესი.
 მკნიო – ომის ქალღმერთი, არესის და (ან ქალიშვილი).
 მკოლიელები – ბერძენთა ერთ-ერთი დიდი ჯგუფი, თავდაპირველად თესალიაში, შემდეგ მცირე აზიაში, პელესპონგოსის ნაპირებზე და კენტაურებზე.
 მკოლოსი – 1. ქარების ღმერთი; 2. ელინოსის ძე; ეოლიელთა მამამთავარი.
 მკოსი – განთიადის ქალღმერთი.
 მკოაფოსი – ბევსისა და იოს ვაჟი.
 მკოპმეთევისი – პრომეთეს ძმა.
 მკრატო – სატრფიალო პოემიის მუზა.
 მკრებოსი – (წყვილიადი) ქაოსის ვაჟი, ღამის ძმა.
 მკრებთევისი – ატიკის ძველთაძველი მეფე, გეას (ან პანდიონის) ძე, ერისთონიოსის ბადიში.
 მკრებთიდები – ათენელები (კრებთევისის ჩამომავლები).
 მკრიგონე – 1. იკარიოსის ასული; 2. ვეგისთოსის და კლიტემნესტრას ასული.
 მკრიდანოსი – მითოსური მდინარე, რომელსაც იგალიის დასავლეთით მდებარე მდინარე პოსთან აიგივეებენ.
 მკრიმანთოსი – მდინარე და ამავე სახელის ღმერთი არკადიაში.
 მკრინიები – შურისძიების ქალღმერთები.
 მკრისი – განხეთქილების ქალღმერთი.
 მკრიქსი – მთა სიცილიაზე და ქალაქი, აფროდიტეს საკულტო ადგილი.
 მკრიხთონიოსი – 1. ათენის მითოსური მეფე, გეასა და პეფესტოს ვაჟი; 2. დარდანოსის ძე, გროსის მამა.
 მკროსი (კროტი) – 1. უძველესი ბერძნული ღმერთი, ქაოსიდან წარმოშობილი; 2. აფროდიტეს და არესის (ან ბევსის) ვაჟი, სიყვარულის ღმერთი.
 მკსკულაპოსი – იგივეა, რაც ასკლეპიოსი, მკურნალი ღმერთი.
 მკსონი – იოლკოსის მეფე, იასონის მამა.
 მკსონიდი – ესონის ძე იასონი.
 მკტნა – 1. ეულკანი სიცილიაზე; 2. პეფესტოს სამჭედლო; 3. გიფონი, ცეცხლისმურქვეველი გოლიათი.
 მკქალია – ადგილი თესალიაში (ან ევბოაზე), ქალაქი, რომელიც დაარბია პერაკლემ.

ექი - ნიშნა, რომელიც ნარკისოსისადმი (ნარკისისადმი) გრუობამ ისე დაადნო, რომ მისგან მხოლოდ ხმა დარჩა.

ექსანგელოსი - სხვა ქვეყნიდან, შორიდან მოსული მაცნე.

გ

გევისი - უზანესი ოლიმპიელი ღვთაება, კრონოსისა და რეას ძე (კრონიონი ან კრონიდი).

გეფიროსი - დასავლეთის ქარი; დასავლეთის ქარის განმასახიერებელი ღვთაება.

თ

თალია - კომედიის მუზა.

თემისი - გიგანდა, გევისის ყოფილი მეუღლე, სამართლიანობის ღვთაება.

თერმოდონი (თერმოდონტი) - მდინარე ბეოტიაში.

თერსიტესი (თერსიტე) - აქაველი გმირი, რომელიც მედგრად ეპაექრებოდა ავამემ-ნონს, ამხელდა მას და მოუწოდებდა აქაველებს შეეწყვიტათ ომი გროელთა წინააღმდეგ.

თესევისი - ეგევისის ძე, ატიკის სახელოვანი გმირი, ათენის მეფე.

თესტია (თესტიდა) - ეგლიის მეფის, თესტიოსის ასული.

თესისი - ნერეიდა, პელეუსის მეუღლე, აქილესის დედა.

თიესტესი (თიესტე) - პელოფისისა და ჰიპოდამეას ძე, აგრეუსის ძმა. თიესტესმა შეაყ-დინა აგრეუსის ცოლი. აგრეუსმა კი საკუთარ ძმაზე ასე იძია შური: მოკლა მისი შვილები და მათი ხორცი შეაჭამა. თიესტესმა ძმა დაწყევლა. არსებობს ასეთი გამოთქმა: „თიესტესის ნადიმი“.

თიმბრისი - მთა სიცილიაზე.

თინები - თრაკიელები, რომლებიც ცხოვრობდნენ ბითონებთან ერთად მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთით.

თრაკია - ქვეყანა ეგევისის ზღვას, ისტროსსა და შავ ზღვას შორის.

ი

იაქქოსი - იგივეა. რაც დიონისე.

იაპეგოსი - გიგანი, პრომეთეს მამა.

იასიონი - მიწათმოქმედების უსეველი ღვთაება; დემეტრეს საგრო (ვარიანტი: დემეტრეს ქმარი); პლეგოსის (სიმდიდრის) მამა; ხალხს ასწავლა მიწის დამუშავება.

იასონი - იოლკოსის მეფის, ესონის ვაჟი, ქირონის აღზრდილი. ესონის ძმამ, პელიასმა განიზრახა მისი დალუქვა; ამ მიზნით მოსთხოვა ძმისშვილს კოლხეთიდან ჩამოეტანა „ოქროს საწმისი“. იასონმა შეკრიბა საბერძნეთის სახელოვანი გმირები და კოლხეთის მეფის, აიგის გრძნეული ასულის, მედეას დახმარებით მეძლო საწმისის საბერძნეთში ჩამოტანა.

იასონიდები - იასონის ჩამომავლები.

ილომენეუსი - კრეტის მეფის, მინოსის ბადიმი, ელენეს ერთ-ერთი საქმრო, გროას ომის მონაწილე.

ითაკა - კუნძული იონიის ზღვაში, ოდისეუსის სამშობლო.

იკარიოსი - 1. პენელოპეს მამა; 2. ათენელი, რომელსაც დიონისემ ღვინო აჩუქა. იკარიოსს სურდა ათენელებისათვის ესწავლებინა მეღვინეობა, მაგრამ მთვრალმა ათენელებმა, რომლებმაც იეჭვეს, რომ მოწამლულები იყვნენ, იგი მოკლეს.

იკაროსი – ხელოვან დედალოსის ვაჟი. ლაბირინთიდან თავდასაღწევად დედალოსმა ფრთები გამოიგონა. შეილი გააფრთხილა, მზეს არ მიახლოებოდა; მაგრამ ჭაბუკი ფრენამ ვაიგაცა და მალე აიჭრა; ცვილით დამავრებული ფრთები დაღნა და იკაროსი მღვამე ჩაეარდა.

ილიონი – იგივე გროა. მითოსურ-ისტორიული ციხე-ქალაქი მცირე აზიაში.

ილითია – ახალშობილთა და მშობიარეთა მფარველი ღვთაება.

ინაქოსი – მდინარის ღვთაება არგოსში; არგოსის მეფე.

ინო – კადმოსის ასული, თებეს მეფის, ათამასის მეუღლე. დიონისეს აღმზრდისათვის ისინი დაისაჯნენ: ათამასმა ერთი შეილი მოკლა, მეორის გადასარჩენად ინო მღვაში გადაეშვა და ზღვის ღვთაება ლეუკოთოელ გარდაისახა.

იო – ინაქოსის ასული, ზეუსის საგროფო. ეჭვიანმა პერამ ის გარდასახა ძროხად და მიუჩინა ბზიკი, რომლისგან ვერ მოახერხა რა თავის დაღწევა, ვაკიედა.

იოკასტე – თებეს მეფის, ლაიოსის მეუღლე; დედა და ცოლი ოიდიპოსისა.

იოლკოსი – ქალაქი თესალიაში, იასონის სამშობლო.

იონიელები – ბერძნულ გომთა ერთ-ერთი დიდი ჯგუფი, რომელიც მოსახლეობდა მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროზე, კუნძულებსა და ზოგან საკუთრივ საბერძნეთის მაგერიკზე.

ირისი – ცისარტყელას განმასახიერებელი ღვთაება, ღმერთების მაცნე.

ისტომოსი – კორინთოს ყელი.

ისმენე – ოიდიპოსის ქალიშვილი, ანტიგონეს, პოლინიქსისა და ეტეოკლესის და.

იტისი – იხ. პროკნე.

იფიგენია – აგამემნონისა და კლიტემნესტრას ასული, რომელიც მამამ მსხვერპლად შესწირა არგემისს, რათა მისი მძვინვარება დაეცხრო გროაზე გალაშქრების წინ (ვარიანტი: იფიგენიას ნაცელად არგემისმა ირემი შეიწირა. იფიგენია კი ტაერისის ტაძარში გადაიყვანა და თავისი კულტის ქურუმობა დააკისრა).

იქსიონი – მითიური მეფე, ჰადესის ცოდვილი.

კ

კადმოსი – აგენორის ძე, თებეს დამაარსებელი.

კალიოპე – ეპიკური პოეზიის მუზა.

კალიფსო – ნიმფა, აგლასის (ან პელიოსის) ასული, რომელთანაც შეიღი წლის განმავლობაში იმყოფებოდა ოდისეუსი.

კალქასი (კალქანგი) – სახელოვანი მისანი აქაველთა ლაშქარში.

კანობოსი – სანაოსნო ქალაქი მდინარე ნილოსზე, სადაც მდებარეობდა სარაპისის (სიციციხის, სიკელიისა და აღორძინების ეგვიპტური ღვთაების) ცნობილი ტაძარი.

კაპანეესი – თებეს წინააღმდეგ „შეიღთა ლაშქრობის“ მონაწილე, რომელიც ზევსმა თავის ელვით განგმირა თებეს ალებისას.

კარიელები – მცირე აზიაში მდებარე კარიის ბინადარნი.

კარნაიონოსი – მდინარის სახელწოდება.

კარნეოსი – იგივე აპოლონი.

კარია – ქვეყანა მცირე აზიის სამხრეთ-დასავლეთით.

კასანდრა – პრიამოსისა და ჰეკაბეს ასული, რომელიც აპოლონმა შეიყვარა და მისნობის ნიჭი უბოძა. მაგრამ როდესაც კასანდრამ მისი სიყვარული უარყო, აპოლონმა დასაჯა: მისი მისნობის აღარავის სჯეროდა.

კასტალიის წყარო – წყარო პარნასოსის ძირას, დელფოსში.

კასტორი – დიოსკურთაგან ერთ-ერთი, გინდარეოსისა და ლედას ვაჟი, ელენესა და კლიტემნესტრას ძმა.

კეკროფსი – ათენის მეფე, გეას ძე, ნახევრად კაცი, ნახევრად გველი; მისი სახელის მიხედვით ატიკას კეკროპია ეწოდებოდა.

კელეოსი – ელენისინის მეფე, გეას ძე; მის სასახლეში ცხოვრობდა დემეტრე, როდესაც მეუღისწულ დემოფონს დაუდგა ძიძად.

- ქეჩევი – ლაპითი, კენტავრომაქიისა და კალიდონის ნადირობის მონაწილე.
- კენტავრები – მითოსური არსებები, ნახევრად კაცნი, ნახევრად ცხენნი.
- კერბუროსი – მითოსური სამთავიანი ქოფაკი, მიწისქვეშა სამყაროს დარაჯი.
- კერები – ღამის შეილები, რომლებსაც ადამიანებისათვის უბედურება და სიკვდილი მოაქვთ.
- კეფალოსი – პერმესისა და კეკროფის ასულის, პერსეს ვაჟი, რომელიც შეიყვარა განთიადის ღვთაება ეოსმა და ცად აღაზვეა.
- კეფისოსი – მდინარე ატიკაში და ამავე მდინარის ღვთაება, ნარკისოსის (ნარკისის) მამა.
- კიდონია – ქალაქი კრეტის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე.
- კითურა – აფროდიტეს მეტსახელი.
- კიკლოპები (ციკლოპები) – 1. ურანოსისა და გეას ვაჟები, ცალთვალა გოლიათები; 2. კიკლოპი პოლიფემოსი – პოსეიდონის ძე, რომელიც დააბრმავა ოდისეესმა.
- კილენე – წმინდა მთა, რომელიც პერმესის საუფლოდ ითვლებოდა.
- კიპრისი (კიპრიდა) – იხ. აფროდიტე.
- კირენე – მხარე და ქალაქი აფრიკაში, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე.
- კირკე – პელიოსის ასული, აიფტის და; ჯადოქარი ქალღმერთი, რომელიც კუნძულ აიაიაზე ცხოვრობდა.
- კისთენე – 1. ზევანი ან მთავრეხილი, გორგოები სადაც მკვიდრობდნენ; 2. ქალაქი ეოლიაში; 3. მთა მცირე აზიაში.
- კითერონი – 1. მთა ბეოგიაში; 2. მთის განმასახიერებელი გმირი.
- კლაროსი – ქალაქი მცირე აზიაში, სადაც მღებარეობდა აპოლონის ტაძარი და ორაკული.
- კლეოპატრა – ბორეასის ასული, თრაკიის მეფის, ფინევსის მეუღლე, რომელმაც ფინევსი ღალატისათვის იმით დასაჯა, რომ დააბრმავა ორივე შვილი. სხვა ვერსიით, ისინი თავად ფინევსმა დააბრმავა ახალი მეუღლის ჩაგონებით, რის გამოც ზევსმა მასაც წაართვა თვალის ჩინი.
- კლიმენე – ლაპითთა მეფე პირითოსის და, რომელიც ელენეს მონად დაუყენეს.
- კლიტემნესტრა – ელენეს და; აგამემნონის მეუღლე; თავის საყვარელ ეგისტოსსთან ერთად მოკლა ტროას ომიდან დაბრუნებული აგამემნონი, რის გამოც მოკვინანებით მასზე შვილებმა (ელექტრამ და ორესტესმა) იძიეს შური.
- კლიო – ისტორიის მუზა.
- კლოთო – მოირათავან (ბედისწერის ქალღმერთთავან) უფროსი.
- კნოსოსი – მთავარი ქალაქი კუნძულ კრეტაზე.
- კოკიკოსი – მიწისქვეშეთის მდინარე.
- კოლონოსი – ბერძენი გმირი, ათენის განაპირა სოფლის (სოფოკლეს სამშობლოს), კოლონოსის მითოსური ეპონიმი ანუ სახელმძღვანელო.
- კოლხიდა – მხარე შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე, მდინარე ფასისთან.
- კორიბანტები – რეა-კიბელეს თანამგზავრები და მსახურნი.
- კორიკოსელი ნიმფები – იგივეა, რაც ბაკქი ქალები. (კორიკოსი – კონცხი იონიაში).
- კრანიადები – წყაროს ნიმფები.
- კრეონი (კრეონტი) – 1. იოკასტეს (ლაიოსის და ოიდიპოსის მეუღლე) ძმა, რომელიც განაგებდა თებეს ოიდიპოსის გაძევების შემდეგ; 2. კორინთოს მეფე, რომელმაც შეიფარა იასონი და მედეა.
- კრონიდი – კრონოსის ძე ანუ ზევსი.
- კრონიონი – იგივეა, რაც ზევსი.
- კრონოსი – ურანოსისა და გეას ძე, რეას მეუღლე; ზევსისა და სხვა ღმერთთა მამა; უზენაესი ღვთაება, რომელიც ზევსმა შეცვალა.
- ქსანთოსი – 1. მდინარე ტროადაში და ამავე მდინარის განმასახიერებელი ღვთაება; 2. აქილეუსის ცხენი.
- კურეტები – ქალღმერთ კიბელეს თანამგზავრები.

მ

ლაბდაკიდი – ლაიოსის ჩამომავალი, ლაიოსი.

ლაბდაკოსი – თებეს მეფე, ლაიოსის მამა.

ლაღონი – მდინარე არკადიაში.

ლაერტესი – ოდისეუსის მამა.

ლაერტიდი – იგივე ოდისეუსი.

ლაიოსი – თებეს მეფის, ლაბდაკოსის ძე, ოიდიპოსის მამა.

ლაპითები – თესალიური მოღვმის მეომარი ტომი, რომლის მამამთავარი იყო ლაპითოსი.

ლაოთოე – პრიამოსის ერთ-ერთი ცოლი.

ლაერქოსი – ათამასის ძე.

ლექოთოე – იხ. ინო.

ლელა – გინდარეოსის მეუღლე, კლიტემნესტრას, ელენეს, დიოსკურების (კასტორისა და პოლიდეკესის) დედა.

ლეთე – დავიწყების მდინარე მიწისქვეშეთში.

ლერეონი – ქალაქი სამხრეთ ელისში.

ლერნე – გბა არგოლისში.

ლეგო – ტიგანიდა, აპოლონისა და არტემისის დედა.

ლეგოიდი – არტემისი ან აპოლონი.

ლიკაონი – 1. არკადიის მეფე, ჯელასგოსისა და ოქეანიდ კილენეს ძე; ზევსს მსხვერპლად შესწირა ბიჭუნა, რისთვისაც დასაჯეს: იგი მკლად გარდაისახა (ეარიანტი: ზევსმა დაუერულა); 2. პრიამოსის ერთ-ერთი ვაჟი, რომელიც მოკლა აქილეესმა.

ლიკეოსი – იგივე აპოლონი.

ლიკურგოსი – თრაკიის მეფე, რომელიც ეწინააღმდეგებოდა დიონისეს კულტის დამკვიდრებას. მან განდევნა დიონისე, რის გამოც ზევსმა სიბრძავეთ დასაჯა.

ლისა – ცოფის, სიბრძაზის განსახიერება.

ლოქსიასი – „ირიბი“, აპოლონის ეპიკლესა.

მ

მაია – ჰერმესის დედა, აგლასის ასული.

მაკისტოსი – მთა ევბოიას კუნძულზე.

მარიანდინები – ტომი შავი ზღვის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე.

მარსიასი – სატიროსი (სატირი); იგი აპოლონს კთარაზე დაკერის ხელოვნებაში შეეჯიბრა და მოუგო, რის გამოც მას აპოლონმა ტყაყი გააძრო.

მელა – კოლხეთის მეფის, აიეგის გრძნეული ასული, იასონის მეუღლე.

მელასი (მელანი) – „შავი მდინარე“: 1. თესალიაში; 2. თრაკიაში; 3. ბეოტიაში.

მემნონი – განთიადის ღეთაება ეოსის ვაჟი, ეთიოპელთა მეფე, ტროელთა შეკავშირე, რომელიც მოკლა აქილეესმა.

მენადები – დიონისეს მხლებელი ბაკეი ქალები.

მენეკეესი – თებეს მეფე კრეონის მამა.

მენელაოსი – აგრევსის ძე, აგამემნონის ძმა, ელენეს მეუღლე, სპარტის მეფე.

მენოტიდი – პატროკლოსი.

მენოტიგოსი – პატროკლოსის მამა.

მეროპე – კორინთოს მეფის, პოლიბოსის მეუღლე.

მეტოპოსი (მეტოპი) – მდინარე არკადიაში.

მინოიდი – მინოსის ასული.

მინოსი – კრეტის ლეგენდარული მეფე, ზევსისა და ევროპეს ძე, არიადნეს, ფედრასა და ანდროგეას მამა, პასიფაეს მეუღლე.

მინოტავროსი – ურჩხული, ნახევრად ადამიანი, ნახევრად ხარი; პასიფაესა და ხარის ნაშიერი; ბინადრობდა ლაბირინთში, მოკლა თესევსმა.

მირმიდონები – თესალიური მოღვმის ხალხი, რომელიც იბრძოდა გროას ომში აქილევსის წინამძღოლობით.

მისია – ქვეყანა მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთში.

მიგრა – სიკეთისა და სინათლის აღმოსავლური ღვთაება.

მოირები – ბედისწერის ქალღმერთები.

მომოსი – ღამის ძე, დაცივნისა და ლანძღვის ღმერთი.

მუზები – ზევსისა და მერკურების ქალღმერთის, მნემოსინეს ცხრა ასული. პოეზიის, ხელოვნებისა და მეცნიერების მფარველი ღვთაებები.

მუსაგეტესი („მუზათა წინამძღოლი“) – აპოლონის ეპიკლესა.

მუსეოსი – მითური მგოსანი, ორფევის მოწაფე.

6

ნავსიკა – ფეაკთა მეფე ალკინოოსის ასული.

ნარკისოსი (ნარკისი) – მშენებელი ჯაბუკი, მდინარის ღმერთის, კეფისოსის ვაჟი. ნიმფა ექოს სიყვარულის უარყოფელი ღმერთებმა დასაჯეს: მას საკუთარი თავი შეუყვარდა და ამ სიყვარულში სულდაღუული ღამაში ყვაეილად გარდაისახა.

ნელე – არკადიის ნიმფა, ზევსის აღმზრდელი. არსებობს ამ სახელწოდების მდინარეც.

ნელეესი – პილოსის მეფე, პოსეიდონის ძე, ნესტორის მამა.

ნელეიდი – ნესტორი, ნელეესის ძე.

ნემესისი (ნემესიდა) – ღამის ასული, მურისძიების ღვთაება.

ნერეუსი – ზღვის ღვთაება. ზღვის ნიმფების, ნერეიდების მამა.

ნერეიდები – ზღვის ღვთაება ნერეუსის ასულები.

ნესტორი – პილოსის მეფე, აქაველთაგან უხუცესი, ვინც გროას ომში იბრძოდა.

ნექტარი – ღმერთების სასმელი, უკვდავების და მარადიული ახალგაზრდობის მიმნიჭებელი.

ნიკე – გამარჯვების ღმერთქალი.

ნიმფები – ბუნების (ზღვების, მდინარეების, მთებისა და სხვა) ღვთაებები.

ნიობე – ტანგალოსის ასული, თებეს მეუღის, ამფიონის მეუღლე, შვიდი ვაჟის და შვიდი ასულის ღვთა. ლეტოს წინაშე მკრეხელობისთვის მწარედ დასჯილი კლდედ გარდაისახა.

ნისა – მთა, სადაც აღიზარდა დიონისე.

ნისოსი – მეგარის მეფე. მას თმებში ჰქონდა მეწამული ღერი, რომელიც მის სიციოცხლეს განაპირობებდა. როდესაც კრეტის მეფე მინოსმა მეგარას ალყა შემოარტყა, ნისოსის ასულმა სკილამ, მინოსზე შეყვარებულმა, მამას თმის მეწამული ღერი შეაჭრა, რითაც დაღუპა კიდეც იგი. მინოსმა დაიპყრო რა ქალაქი, სკილა დასაჯა.

ნიქსი (ნიქტო) – ღამის ქალღმერთი.

ნოტოსი – სამხრეთის ქარი.

7

ოგიგია – კუნძული, სადაც ცხოვრობდა ნიმფა კალიფსო.

ოღისეუსი – ლაერტესის (ლაერტეს) ძე, ითაკის მეფე, ჰომეროსის პოემათა გმირი.

ოიდიპოსი – თებეს მეფე, ლაიოსისა და იოკასტეს ძე, ანტიგონეს, ისმენეს, პოლინიკესისა და ეტეოკლესის მამა.

ოინომაოსი – ელისის მეფე, არესის ძე, ჰიპოდამეას მამა.

ოკეანიდები – ზღვის ნიმფები, ოკეანოსის ასულები.

ოკეანოსი – 1. ტიტანის, ურანოსის და გეას ძე, ოკეანიდების მამა; 2. მითოსური მდინარე, რომელიც გარს აკრავდა მთელ დედამიწას.

ოლიმპია – ადგილი ელისში (პელოპონესოსში), სადაც მღებარეობდა ზევსის გაძარი და იმართებოდა ოლიმპიური ასპარეზობანი.

ოლიმპოსი – მთა თესალიაში, ღმერთთა საეანე.

ომეფაღე – ლიდის დედოფალი, რომელსაც ემსახურებოდა პერაკლე (ეს იყო მისი სასჯელი იფიგონის მკვლელობისათვის).

ორესტესი (ორესტე) – აგამემნონისა და კლიტემნესტრას ვაჟი, რომელმაც შური იძია მამის მკვლელობისათვის.

ორიონი – ბუმბერაზი მონადირე, პოსეიდონის ძე, რომელიც თავდავიწყებით უყვარდა არტემისს. აპოლონისგან მოტყუებულმა არტემისმა თავისი ისრით განეგმირა იგი (ეარიანტი: მორიელმა უკბინა). ბოლოს ორიონი თანავარსკვლავედად გარდაისახა.

ორკოსი – მიწისქვეშა სამყაროს ღმერთი; მოგჯერ ასევე უწოდებდნენ მიწისქვეშეთსაც.

ორფეუსი – ლეგენდარული მგოსანი, თრაკიელი; მონაწილეობდა არგონაუტების ლაშქრობაში; უყვარდა ეერიდიკე; იგი მენადებმა დაგლიჯეს.

ოსა – მთა თესალიაში.

ოსირისი – მომაკვდავი და კვლავ გაცოცხლებადი ბუნების ძველგვიპტური ღვთაება; მისი მეუღლე იყო ისისი (ისიდა); ბერძნები ღირსისესთან აიგივებდნენ.

კ

პალასი (პალადა) – 1. ათენას ეპიკლესა. 2. პალასი (პალანგი) – ათენის მეფის, პანდიონის ძე, რომელიც მოკლა თესევსმა.

პალანტიდები – პალასის შვილები.

პამფილიელები – ხალხი მცირე აზიის სამხრეთ სანაპიროზე.

პანი – ტყეთა და ჭალათა ღვთაება, პერმესის ძე, გამოსახავდნენ რქებითა და თხის ფეხებით; მწყემსთა და მონადირეთა მფარველი.

პანდიონი – 1. ათენის მითოსური მეფე, ერისთონიოსის ძე, ერებთევისა და პროკნეს მამა; 2. ატიკის მეფე, კეკროფისის ძე, ეგეისისა და პალასის მამა.

პანდორა – პირველი ქალი, რომელიც ზევსის ბრძანებით შექმნა პეფესტომ. ღმერთებმა იგი „ყოველნაირად დაასაჩუქრეს“ (ასე ითარგმნება მისი სახელიც) და ადამიანებს მიუგზავნეს. ეს იყო სასჯელი განკუთვნილი პრომეთესათვის, რომელმაც ღმერთებს მოჰპარა ცეცხლი.

პარისი (ალექსანდროსი) – ტროას მეფის, პრიამოსისა და ჰეკუბეს ვაჟი, რომელმაც აფროდიტეს ნებით, სპარტის მეფე მენელაოსს მოსტაცა ცოლი (ელენე), რასაც მოჰყვა ისტორიაში ცნობილი „ტროას ომი“.

პარკები – ბედისწერის ღვთაებები (იხ. მოირები).

პარნასოსი (პარნასი) – მთა ფოკისში (ფოკიდაში), სადაც მდებარეობს დელფოსი, აპოლონის წმინდა ადგილი. პარნასოსის ფერდობებზე დავანებულ მუშებს ხშირად სტუმრობდა-ხოლმე აპოლონი.

პარასია – ქალაქი და მხარე არკადიაში.

პასიფაე – მეფე მინოსის მეუღლე, პელიოსის ასული, ანდროგეოსის, ფედრას, არიადნესა და მინოტაუროსის დედა.

პატროკლოსი – მენოიგოსის ვაჟი, აქილევსის მეგობარი, ტროას ომის მონაწილე.

პაფლაგონიელები – ხალხი მცირე აზიის ჩრდილო სანაპიროზე.

პეანი – 1. მკურნავი ღვთაება, რომელსაც აპოლონთან აიგივებდნენ; 2. აპოლონისადმი მიძღვნილი სიმღერა.

პეგასოსი (პეგასი) – ფრთოსანი რაში, რომელიც პერსეუსის მიერ მოკლული გორგო-მედუზას სისხლის წვეთებიდან იშვა.

პეითო – დარწმუნების ქალღმერთი.

პელასგია – უძველესი ხალხის, პელასგების ქვეყანა. პელასგები ცხოვრობდნენ ძველ საბერძნეთში, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, აგრეთვე მცირე აზიასა და კუნძულებზე.

პელასგოსი – 1. პელასგთა მამამთავარი; 2. არგოსის მეფე.

პელევსი – ეაკოსის ძე, მღვის ღვთაება თეგისის (თეტიდას) მეუღლე, აქილევსის მამა, არგონაუტების ლაშქრობის მონაწილე.

- პელიასი – იოლკოსის მეფე, პოსეიდონის ძე, ნელევსის ძმა, ესონის (იასონის მამის) ნახევარძმა. რომელმაც იასონი გაგზავნა „ოქროს საწმისის“ მოსაპოვებლად.
- პელიადები – პელიასის ქალიშვილები.
- პელიდი – აქილევსი, პელევსის ვაჟი.
- პელიონი – თესალიის ტყით დაფარული მთები.
- პელოფი (პელოპი) – ტანგალოსის ძე; ტანგალოსი ღმერთების რჩეული იყო, მაგრამ ეს კეთილგანწყობა ვერ შეიფერა, მათი გამოცდა ისურვა. ამიგომ მოკლა თავისი ძე და მისი ხორცი ღმერთებს მიართვა. მხოლოდ დამწუსრებულმა ღმერთებმა გასინჯა საკვები. ღმერთებმა დასაჯეს ტანგალოსი (იხ. ტანგალოსი). პელოფი კი პერმესმა გააყოცხლა და სპილოს ძვლის მხარი ჩაუდგა. მოგვიანებით პელოფსმა მეფე ოინომაოსის ასული ჰიპოდამეა რომ ცოლად შეერთო, მოისყიდა მეფის მეეტლე მირტილოსი (რის გამოც დაიღუპა ოინომაოსი), რომელიც ბოლოს მღვამე გადასაგდებად გაიმეცა. მირტილოსმა დაწყევლა პელოფსი და მთელი მისი მოდგმა (მირტილოსის წყევლა).
- პენელოპე – იკარიოსის ასული, ოდისეუსის მეუღლე; ერთგული ცოლის სიმბოლო ბერძნულ მითოლოგიაში.
- პენეოსი – თესალიის მთავარი მდინარე და დაბლობი.
- პენტეფესი – თებეს მეფე, კადმოსის ბაღში, რომელსაც არ სურდა თებეში დიონისეს კულტის დამკვიდრება. ამის გამო დიონისემ იგი დაავლევინა გონებადაბინდულ ბაქქ ქალებს, რომელთა შორისაც იყო ღელამისი ავავე.
- პენთესილა – ამორძალთა (ამაძონთა) ღელოფალი.
- პერგამონელი – იგივე ტროელი.
- პერგამონი – 1. ტროას ციხადელი ან თავად ტროა; 2. ქალაქი მისიაში (მცირე აზია).
- პერმესოსი – მდინარე ბუოგიაში, რომელიც სათავეს პელიკონიდან იღებს.
- პერსეუსი – ზევსისა და დანაეს ვაჟი, რომელმაც დაამარცხა გორგო-მედუზა, იხსნა და შემდეგ ცოლად შეირთო ანდრომედე.
- პერსეფასა – იგივე პერსეფონე, იგივე კორა, ქვესკნელის ღელოფალი.
- პერსეფონე – ღმერთებს ასული, მიწისქვეშა სამყაროს ღელოფალი, ნაყოფიერების ღვთაება, ჰადესის მეუღლე.
- პიგმეები – ჯუჯათა მითური ტომი, რომელიც სხვადასხვა ვერსიით სხვადასხვა მხარედ (ფრიგია, კოლხიდა, ინდოეთი, აფრიკა და ა.შ.) მოსახლეობდა.
- პიერიდები – მუზები. მათ ასე ეწოდათ იმის გამო, რომ თრაკიულ პიერიაში მუზათა კულტი არსებობდა.
- პითო – პარნასოსის (პარნასის) და ღელფოს უძველესი სახელწოდება.
- პილადესი (პილადე) – ორესტესის (ორესტეს) მეგობარი.
- პილოსი – ქალაქი მესენიის (საბერძნეთი) ჩრდილოეთ სანაპიროზე, ნესტორის საბრძანებელი.
- პინდოსი – მთაგრეხილი ჩრდილოეთ საბერძნეთში.
- პირითოოსი – იქსიონის ძე, ლაპითთა მეფე; პირითოოსისა და ჰიპოდამეას ქორწილისას დაიწყო ცნობილი ომი ლაპითებსა და კენტავრებს შორის; ათენის მეფე თესევსის მეგობარი.
- პიგთეუსი – ტროიძენის მეფე, ეთრას მამა, თესევსის პაპა.
- პლეადები – ატლასის შვიდი ქალიშვილი, რომლებიც ზევსმა თანავარსკვლავედად გარდასახა.
- პლისთენესი – პელოფისა და ჰიპოდამეას ძე, ატრეუსის ძმა (ვარიანტი: ატრეუსის ვაჟი).
- პლისტოსი – მდინარე ღელფოსის მახლობლად.
- პლუტონი – იგივეა, რაც ჰადესი; მიწისქვეშა სამყაროს მბრძანებელი.
- პლუტოსი – სიმდიდრის ღმერთი.
- პოთოსი – ვნებიანი ტრფობის ღვთაება.
- პოლიბოსი – კორინთოს მეფე, ოიდიპოსის აღმზრდელი.
- პოლიდამასი (პოლიდამანგი) – ტროელი გმირი, პექტორის მეგობარი.

- პოლიდოროსი – 1. კადმოსის ძე, ლაბდაკოსის მამა, ოდიპოსის წინაპარი, თებეს მეფე;
2. გროას მეფისწული, პრიამოსის ძე, რომელიც მეფე პოლიმესტორმა ვერაგულად მოკლა. მოგვიანებით პოლიმესტორი დააბრმავა პეკუბემ (პოლიდოროსის დედამ).
- პოლინიკესი (პოლინიკე) – ოდიპოსის ვაჟი, ანტიგონეს, ისმენეს და ეტეოკლესის (ეტეოკლეს) ძმა.
- პოლიფემოსი (პოლიფემი) – 1. კიკლოპი, ცალთვალა გოლიათი, პოსეიდონის ვაჟი;
2. ლაპითი, კენტაურთა წინააღმდეგ ბრძოლისა და არგონაუტების ლაშქრობის მონაწილე.
- პოლიპიმნია – საზემო პოემიის მუზა.
- პოსეიდონი – ზღვათა მბრძანებელი, ზევსისა და ჰადესის ძმა. მისი მეუღლე იყო ამფიტრიტე.
- პრიამიდები – გროას მეფის ჩამომავლები.
- პრიამოსი – ლაომედონის ძე, გროას უკანასკნელი მეფე.
- პრიამოსი – ნაყოფიერების ღვთაება დიდი ფალოსით.
- პროკნე – პანდიონის ასული, თრაკიის მეფის, ტერევის მეუღლე, იგისის დედა. მეუღლე ღალატის გამო რომ დაესაჯა, თავისი შვილი, იგისი მოკლა და მისი ხორცი შეაჭამა. ზევსმა პროკნე მერცხლად გარდასახა, ხოლო ტერევისი – ოფოფად.
- პრომეთე – ტიტანი, იაპეტოსის ძე, რომელმაც ღმერთებს ცეცხლი მოჰპარა და ადამიანებს უბოძა. ამის გამო ზევსმა იგი კავკასიონზე მიაჯაჭვა. აქ ყოველდღე მოფრინავდა არწივი, რათა მისი ღვიძლი ეკორგნა. პრომეთე გაათავისუფლა პერაკლემ.
- პროტეესი – ზღვის ღვთაება, მოხუცი მისანი, რომელსაც შეეძლო მრავალ სახედ გარდაქმნა.
- პროტესილაოსი – გროას ომში მონაწილეობის მსურველი. იგი პირველი გადავიდა ხომალდიდან გროას მიწაზე და განიგმირა პექტორის ისრით. მისი მეუღლის, ლაოდამეას თხოვნით ის ღმერთებმა დროებით გააცოცხლეს, მოგვიანებით კი თავად ლაოდამეა წაჰყვა მას მიწისქვეშეთში.

რ

- რადამანთისი – ზევსისა და ევროპეს ძე, მინოსის ძმა, ჰადესის მსაჯული.
- რეა – ურანოსისა და გეას ასული; კრონოსის მეუღლე, ოლიმპიელი ღმერთების დედა, რომელსაც აიგივებდნენ ღმერთების დიად დედა კიბელესთან.

ს

- საბაძიოსი – თრაკიულ-ფრიგიული ღვთაება, რომელსაც დიონისესთან აიგივებდნენ.
- სარდე – ლიდიის დედაქალაქი.
- სარონიკოსი (სარონიკი) – ზღვის ყურე არგოლისსა და აგიკას შორის.
- სარპედონი – ზევსისა და ევროპეს ვაჟი, მინოსისა და რადამანთისის ძმა. გროელთა მეკავშირე, ლიკიის მეფე, რომელიც მოკლა პაგროკლოსმა.
- სატირები – დიონისეს თხისფეხა თანამგზავრები, ნაყოფიერების გყიური ღვთაებები.
- სელენე – მთვარის ღვთაება.
- სემელე – თებეს მეფის, კადმოსისა და ჰარმონიას ასული, რომელმაც ზევსისაგან შეაღიონისე და დაიფერფლა მეხისგეხაში.
- სთენებოია – არგოსის მეფის, პრეტოსის მეუღლე, რომელიც ამაოდ ლამობდა ბელეროფონის მოხიბვლას.
- სთენელოსი – კაპანეუსის და ევადნეს ვაჟი, ელენეს ერთ-ერთი საქმრო, დიომედისის მეგობარი.
- სილონი – ქალაქი ფინიკიაში.

- სილენოსი – პანის ვაჟი (ვარიანტი: პერმესის), დიონისეს აღმზრდელი და თანამგზავრი, სატირთა წინამძღოლი, ნაყოფიერების ღვთაება.
- სიმეოსი (სიმონენტი) – სკამანდროსის შენაკადი, მდინარე ტროადაში.
- სიმპლევალები – მოძრავი კლდეები, რომლებიც პონტოს (შავი ზღვის) შესასვლელში ერთმანეთს ესეთიქებოდნენ.
- სიპილოსი – ქალაქი ლიდაიაში.
- სირინოზები (სირენები) – მითური ქალ-ჩიგები, რომლებიც საოცარი გალობით თავის კუნძულზე შეიგყუებდნენ-ხოლმე მგზავრებს და კლაედნენ.
- სირიოსი – ნათელი ვარსკვლავი, რომელიც ზაფხულის პაპანაქებისას გამოჩნდება ხოლმე.
- სისიფოსი (სიზიფე) – კორინთოს მეფე, პადესის ცნობილი ცოდვილი, რომელსაც მთის მწვერვალამდე აზიდული ლოდი დაბლა უგორდება და ასე ვრძელდება დაუსაბამოდ (სისიფოსის ჯაფა – ამაო ჯაფა).
- სკამანდროსი – მდინარე ტროადაში, ამავე მდინარის განმასახიერებელი ღვთაება (სხვაგვარად მას ქსანთოსსაც უწოდებენ).
- სკილა (სცილა) – ექვსთავიანი ურჩხული, რომელიც იგალიასა და სიცილიას შორის მდებარე მღვიმეში ბინადრობდა და მის მასლობლად მცურავ ზღვაოსნებს მთანთქავდა.
- სკოტოსი – „წყვილიაღი“. წყვილიაღის ღვთაება, რომლისგანაც გვამ შვა ერინიები.
- სმინთევისი – აპოლონის ეპიკლესა.
- სპარტთა მოღვმა – „დანათესართა“ მოღვმა, ანუ თებელნი, კადმოსის მოღვმა.
- სტიმფალიის (სტიმფალიური) ფრინველები – არკადიაში, სტიმფალიის ტბასთან მობინადრე ბრინჯაოს ფრთებიანი ფრინველები, რომლებიც ამოხოცა პერაკლემ.
- სტიქსი – მიწისქვეშა სამყაროს მდინარე.
- სტრიმონი – მდინარე თრაკიაში.
- სფინქსი – იღუმალი არსება: არწივის ფრთებით, ლომის ტანითა და ქალის თავით.
- სქერია – კუნძული, რომელმაც ცხოვრობდნენ ფეაქები.

ტ

- ტალთიბიოსი – აგამემნონის შიკრიკი.
- ტანგალიდები – ატრიდები (ატრევსის შვილები) ითვლებიან მითური გმირის, ტანგალოსის ჩამომავლებად.
- ტანგალოსი – ფრიგიის მეფე, ზეუსის ძე, პელოფისა და ნიობეს მამა. პადესის ცნობილი ცოდვილი. ჩადენილი დანაშაულის გამო (იხ. პელოფისი) ღმერთებმა დასაჯეს: მის თავს ზემოთ დიდი ლოდია დაკიდებული, რომელიც გასრუსით ეშუქრება (შიში); იგი წყალში დგას, მაგრამ ვერ სვამს (წყურვილი), იქვეა მწიფე ვაშლებით დახუნძლული ხე, რომელიც ნაყოფს არ აძლევს (შიმშილი).
- ტარტაროსი – უფსკრული მიცვალებულთა სამეფოში; უსაზარლესი ადგილი პადესში.
- ტევერები – ტროელები.
- ტევეროსი – 1. ტროას პირველი მეფე, სკამანდროსის ვაჟი; 2. ტელამონის ძე, აიასის ძმა; საუკეთესო მებისრე აქაველთაგან.
- ტეთისი (ტეთიდა) – ზღვის ღვთაება, ურანოსისა და გეას ასული, ოკეანოსის და და მეუღლე.
- ტელამონი – ეაკოსის ძე, პელევსის ძმა, აიასის მამა.
- ტელემაქოსი – ოდისეუსის ვაჟი.
- ტელეფოსი – პერაკლეს ძე, რომელიც შუბით დაჭრა აქილეუსმა, როდესაც ბერძნები ტროას მიუახლოედნენ. იარა იმავე შუბით განიკურნებოდა მხოლოდ – ასე ითქვა. ტელეფოსმა მათხოერის სამოსით შეაღწია აქაველებში და დახმარება სთხოვა აგამემნონს, რომელმაც დაარწმუნა აქილეუსი, ვანეკურნა პერაკლიდი.

ტენარონი – კონცხი პელოპონესოსზე, სადაც მდებარეობდა პოსეიდონის ტაძარი და მიწისქვეშა სამეფოში გამაგალი მღვიმე.

ტერეუსიქორე – ფერხულთა მუზა.

ტიდეუსი – ღომედესის მამა, რომელიც თებეს წინააღმდეგ იბრძოდა („შვილი თებეს წინააღმდეგ“).

ტიდიდი – ღომედესი (ღომედე), ტიდეუსის ძე, ერთ-ერთი მთავარი მებრძოლი აქაველთაგან.

ტითონოსი (ტითონი) – პრიამოსის ძმა, რომელიც უყვარდა ეოსს და რომელსაც ღმერთებმა უკეღავება მიანიჭეს, თუმცა დაავიწყდათ, მარადიული ახალგაზრდობა შეენარჩუნებინათ მისთვის.

ტინდარეოსი – სპარტის მეფე, ელენეს, კლიტემნესტრასა და დიოსკურთა მამა, ლედას მეუღლე.

ტირესიასი (ტირესია) – თებეს ბრმა მისანი.

ტირო – სახელოვანი შვილების: ნელეუსის, პელეუსის (იოლკოსის მეფის) და ესონის (იასონის მამის) დედა.

ტიროსი – ქალაქი ფინიკიაში.

ტიტანები – ურანოსისა და გეას ვაჟები: ოკეანოსი, კოიოსი, კრიოსი, ჰიპერიონი, იაპეტოსი, კრონოსი.

ტიტანიდები – ურანოსისა და გეას ასულები: თეა, რეა, თემისი, მნემოსინე, ფოიბე, ტუთისი.

ტიფონი – გეასა და ტარტაროსის ვაჟი, გველისმაგვარი სამინელი ურჩხული, რომელიც ზეუსის წინააღმდეგ იბრძოდა. ზეუსმა ის ელვით განგმირა და ტარტაროსში ჩააგდო.

ტიქე – ბედის, ბედნიერებისა და შემთხვევითობის ქალღმერთი.

ტიმოლოსი – მთა ლიდიამი.

ტრინაკრია – კუნძული სიცილია.

ტრიპტოლემოსი – ათენის მეფის, კელეოსის ვაჟი, რომელსაც დემეტრემ მიწათმოქმედების ხელოვნება შეასწავლა.

ტრიტოგენეა – ათენას ეპიკლესა.

ტრიტონი – ზღვის ღვთაება, პოსეიდონის ვაჟი; მოგვიანებით ტრიტონები პოსეიდონის თანმხლებნი იყვნენ.

ტროა – იხ. ილიონი.

ტროფონიოსი – დელფოსში აპოლონის ტაძრის ერთ-ერთი ხუროთმოძღვარი.

უ

ურანიდები – ურანოსის შვილები.

ურანოსი – ზეუსის ღვთაება, გეას (დედამიწის) მეუღლე, ღმერთების პირველი თაობის მეფე, ტიტანთა მამა, რომელიც საკუთარმა ძემ, კრონოსმა ჩამოაგდო ტახტიდან.

ფ

ფაეთონი – პელიოსის ძე. მამის ეგლზე ამხედრებულმა ვერ შეძლო რაშების დამორჩილება და მეტისმეტად მიუახლოვდა დედამიწას. ზეუსმა დედამიწის ვადასარჩენად ფაეთონი ელვით განგმირა. პელიოსის ძე მდინარე ერიდანოსში ჩაეარდა. დები – პელიადები, რომლებმაც ძმა დაიგირეს, ალვის ხეებად გარდაისახნენ.

ფალესი – ნაყოფიერების უძველესი ღვთაება.

ფასისი – 1. პელიოსის ძე, კოლხოსის მამა; 2. მდინარე კოლხიდაში, ახლანდელი რიონი; 3. ქალაქი მდინარე ფასისზე.

ფეაკები – ზღაპრული კუნძულის, სქერიას ბინადარნი.

ფედრა – მინოსისა და პასიფაეს ასული, თესეუსის მეუღლე. როდესაც გერმა ჰიპოლიტოსმა არ გაიზიარა მისი სიყვარული, თავი მოიკლა.

ფერესი (ფერეტი) – ქ. თერას მითოსური დამაარსებელი.

ფთია – ქალაქი და მხარე სამხრეთ-აღმოსავლეთ თესალიაში. პელეუსისა და მისი ვაჟის, აქილევსის სამფლობელო.

ფილირა – კრონოსის საყვარელი ფერია, ოკეანოსის ასული და კენტავრ ქირონის დედა.

ფინიკია – ქვეყანა სირიის მახლობლად.

ფლეგრე – ზღვისპირეთის ერთ-ერთი ძველი სახელწოდება (კამპანიის მახლობლად).

ფობე (ფება) – 1. ურანოსისა და გეას ასული, ლეტოს დედა; 2. არტემისის მეგსახელი.

ფობოსი (ფებე) – აპოლონის უმცირესი.

ფოკისი (ფოკიდა) – მხარე შუა საბერძნეთში, სადაც მდებარეობს მთა პარნასოსი და დელფოს სამინო.

ფორკიადები – ფორკოსის შვილები.

ფორკოსი – ზღვის ლეთაუბა, ნერეუსის ძმა; გრაიების, გორგოთა და ქესპერიდების მამა.

ფრიგია – ქვეყანა მცირე აზიის ცენტრალურ ნაწილში.

ქ

ქალკისი (ქალიკიდა) – 1. ევბოიას (ევბეას) მთავარი ქალაქი; 2. ქალაქი ეგოლიაში; 3. მდინარე ელისში, სადაც გაშენებული იყო ამავე სახელწოდების ქალაქი.

ქაოსი – სამყაროს თავდაპირველი, უფორმო მდგომარეობა. დაუსაბამო და უსამანო სივრცე.

ქარიბდისი (ქარიბდა) – ურჩხული, მძვინვარე მორევის განსახიერება.

ქარიტები – სიკეთის, მშვენიერებისა და სიხარულის განმასახიერებელი ქალღმერთები; ზევსის ქალიშვილები.

ქარონი – სულთა გადაწყვენი ჰადესის სამეფოში, ცნობილი მენავე.

ქიმერა – ურჩხული, რომელსაც ლომის თავი, თხის განი და დრაკონის კული ჰქონდა.

ქირონი – კენტავროსი (კენტავრი), კრონოსის ძე, ასკლეპიოსის, აქილევსისა და იასონის აღმზრდელი.

ქრისეისი (ქრისეიდა) – ქრისეისის ასული, რომელიც ავამემონს ერგო ნადავლად.

ქრისესი (ქრისე) – აპოლონის ქურუმი.

ხ

ხალიბები (ქალიბები) – ქართველთა გომი, რომელიც ცხოვრობდა მცირე აზიის ჩრდილოეთ სანაპიროზე, მისიებსა და პაფლაგონიელებს შორის.

ჰ

ჰადესი – კრონოსისა და რეას ძე, მიწისქვეშა სამყაროს მბრძანებელი.

ჰარმონია – არესისა და აფროდიტეს ასული, კადმოსის მეუღლე.

ჰარპიები – ფრთოსანი ქალღმერთები, ქალ-ჩიტები, რომლებიც ზევსმა მიუჩინა მის მიერ დასჯილ მეფე ფინევსს.

ჰებე – ახალგაზრდობის ქალღმერთი, ზევსისა და ჰერას ასული. ჰერაკლეს გაღმერთების შემდეგ – მისი მეუღლე.

ჰეკატე – ჯადოქრობის და წყვილიადის ქალღმერთი. მას არტემისთან და სელენესთან აიგივებენ.

ჰეკუბე – გროას მეფის, პრიამოსის მეუღლე.

ჰელანდროსი, ჰელეპტოლისი („მამრთა დამცვევებელი“) – ელენეს მეგსახელები.

ჰელიადები – ჰელიოსის ასულები; იგლოვდნენ რა ძმას, ფათონს, გარდაისახნენ ალვის ხეებად, რომლებზეც ქარვად დაეკიდა მათი ცრემლები.

პელიოსი – მზის ღვთაება.

პემონი – თებეს მეუღის, კრეონის ვაჟი, ანტიგონეს საქმრო.

პერა – ზევსის მეუღლე, ღმერთების დედოფალი.

პერაკლე – ზევსისა და მოკედავი ალკმენეს ვაჟი, ძველი საბერძნეთის დიადი გმირი.

პერიონი – სამთავიანი გოლიათი. პერაკლემ მისი ძროხები მოიპარა, თავად პერიონი კი მოკლა.

პერმაფროდიტოსი – პერმესისა და აფროდიტეს ვაჟი, ორსქესა არსება.

პერმესი – ზევსისა და მაიას ძე, ღმერთების მაცნე; მოგზაურთა, მოვაჭრეთა და ქურდთა მფარველი; მიცვალებულთა გამცილებელი ჰადესში.

პესიონე – ოკეანიდა, პრომეთეს მეუღლე.

პესპერიდეები – პესპერიოსის (მწუხრის ვარსკელაჟი) ასულები; ვარიანტი – აგლასის ასულები, რომლებიც დელამიწის ღასალიერში არსებულ ოქროს ვაშლების ბაღს დარაჯობდნენ.

პეფესტოსი (პეფესტო) – ზევსისა და პერას ვაჟი, აფროდიტეს მეუღლე, ცეცხლისა და მჭედლობის ღმერთი.

პექტორი – ტროელთა მთავარსარდალი და უდიდესი გმირი, მეფე პრიამოსის უფროსი ვაჟი.

პიაკინტოსი – აპოლონის საყვარელი; მშვენიერი ჭაბუკი, რომელიც შემთხვევით შემოაკვდა აპოლონს. მისი სისხლის წვეთებიდან აღმოცენდა ყვავილი პიაკინტოსი (გიაციინტი).

პიმენეესი – ქორწინების ღვთაება.

პიმეროსი – აფროდიტეს ძე, სურვილთა ღმერთი.

პიპერიონი – 1. ტიგანი, ურანოსის ძე, პელიოსის მამა; 2. გაიგივებულია პელიოსთან.

პიპნოსი – ძილის ღმერთი; თანატოსის, სიკედილის ღმერთის ძმა.

პიპოდამეა – 1. პელოფსის მეუღლე; 2. პირითოოსის მეუღლე.

პიპოლიტე – ამორძალთა დედოფალი, თესეესის მეუღლე.

პიპოლიტოსი – მეფე თესეესისა და ამორძალ პიპოლიტეს ვაჟი.

პორები – წლის ღრთა ღვთაებები, ზევსისა და თემისის ასულები: ევნომია, დიკე და ეირენე.

პორკოსი – „ფიცი“. ფიცის ღვთაება. ზევსის ერთ-ერთი თანამდგომი ღმერთი, რომელიც ფიცის სიწმინდეს იცავდა.

პოსია – უმაღლესი სიწმინდისა და სათნოების განმასახიერებელი ქალღმერთი.